წიგნებსაც, ადამიანების მსგავსად, საკუთარი ბედი აქვთ. არსებობას აკადემიური გამოცემები, არსებობენ გესტალერები. ზოგი ერთხელ დაიბეჭდა და აიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა, თუმცა თავის დროზე პოპულარობა არ აკლდა. სწორედ ასეთ წიგნებს წარმოგიდგენთ „რეტრო-ლიტერატურა“:

გადავამოწმოთ ჩვენი წინაპრების გემოვნება. იქნებ, ბევრი მათგანი არც იყო დავიწყების ღირსი?! გამომცემლობა, რომელსაც 90 წელი შეუსრულდა („სახელგამი“, „საბჭოთა საქართველო“, „საქართველო“), თანამედროვე მკითხველს ახალი სერიით სთავაზობს არა მარტო ორიგინალურ ქართულ, არამედ უცხოურიდან თარგმნილ თხზულებებსაც.

აქედე გვინდა გამოვხატოთ ჩვენი მადლიერება იმ ადამიანებისადმი, ვინც მთელი საუკუნის მანძილზე შექმნა ეროვნული საგამომცემლო სკოლა, ვის მხრებზეც იდგა ქართული წიგნი.

გამომცემლობა „საქართველო“
თბილისი - 2010

რეტრო ლიტერატურა

წიგნი I



იროდიონ სონღულაშვილი

მირანდუხტ იადხამობილი

თხრობა

შპს(UDC)821.353.1.31
ს 677

იდეის ავტორი და შემდგენელ-რედაქტორი

მარინე მჭედლიძე

რედაქტორი

ირაკლი ყრუაშვილი

მხატვარი

არსენ ვოგლაძე

ტექსტი მომზადებულია 1965 წლის გამოცემის მიხედვით

ISSN 1987-9016
ISBN 978-9941-0-2314-9
© ი.მ. მარინე მჭედლიძე. თბილისი. 2010.

იროდიონ სონღულაშვილი
(1881 — 1958)

მაღალი ტანის, ხმელხმელი, საზრიანი თვალებით. მუდამ ტკბილად მოუბარი. ბავშვივით გულუბრყვილო. მიმზიდველი, მარად დაუზარებელი, მარად მოქმედი და საქმიანი.

ასეთი იყო ერთი შეხედვით იროდიონ სონღულაშვილი.

მაგრამ ერთი შეხედვით კაცი როგორ დაფასდება?

იროდიონი კი ნამდვილად დასაფასებელი კაცი იყო. ოღონდ ეს არის, რომ თავის სიცოცხლეში მას ნაბიჯიც არ გადაუდგამს იმისათვის, რომ რაიმე დაფასება მოეპოვებინა, სახელი გაეთქვა, ან უბრალოდ, მის ირგვლივ აელაპარაკებინა საზოგადოება.

ჰაბუკობის პირველ წლებიდან ღრმა მოხუცებულობამდე ყველაფერი ანაცვალა ხალხის სამსახურს.

ყველაფერს, რასაც იროდიონი აკეთებდა ათეული წლების მანძილზე, აკეთებდა როგორც დიდ საქმეს თავისი ერისთვის, აკეთებდა დიდი სიყვარულით, დიდი ზნეობითა და თავგანწირვით. აგროვებდა და სწავლობდა წარსულის ნაშთებს, წერდა მოთხრობებსა და მემუარებს, თუ ყოველდღიურ ვალს იხდიდა სამსახურში, მას ყოველთვის თვალწინ ედგა ერთი საზრუნავი: რა გაეკეთებინა და რაც შეიძლება უკეთესად თავისი ქვეყნისათვის.

იროდიონ თომას ძე სონღულაშვილი დაიბადა 1881 წლის 4 იანვარს, სოფელ დიღომში, გლეხის ოჯახში. საშუალო განათლება მიიღო თბილისში, ეგრეთ წოდებულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში. სკოლის დამთავრების შემდეგ იროდიონს დიდი სურვილი ჰქონდა უმაღლესი განათლების მიღებისა, მაგრამ საამისო სახსარი არ გააჩნდა. მხოლოდ ექვთიმე თაყაიშვილის მზრუნველობით (იგი იმ დროს სათავადაზნაურო სასწავლებლის დირექტორად მუშაობდა) ირ. სონღულაშვილს დაენიშნა სტიპენდია, რამაც საშუალება მისცა, 1903 წლის აგვისტოს ქ. ოდესას გამგზავრებულიყო და იქაური უნივერსიტეტში შესულიყო ფიზიკა - მათემატიკური ფაკულტეტის ბუნებისმეტყველების დარგზე.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იროდიონი თბილისში ბრუნდება და მასწავლებლად იწყებს მუშაობას, მაგრამ სულ მალე,

1909 წლის ოქტომბერში, იგი საბოლოო არჩევანს აკეთებს თავის ცხოვრებაში და ისეთ სარბიელს ადგება, რომელსაც ნირშეუცვლელად მიჰყვება და ემსახურება უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. ეს იყო საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომელიც 1907 წელს დაარსდა და რომლის მიზანსაც შეადგენდა შეგროვება, შენახვა და მეცნიერული შესწავლა საისტორიო, საარქეოლოგიო, სალიტერატურო და საეთნოგრაფიო ნაშთებისა როგორც უწინდელი საქართველოსი, ისე მთელი კავკასიისა და მისი მოსაზღვრე ქვეყნებისა.

იროდიონი ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს იყო დაინტერესებული საქართველოს წარსულით. ამიტომაც სრულიად კანონზომიერი იყო მისი შესვლა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში. თავის ავტობიოგრაფიაში იროდიონი წერს: „საზოგადოებაში შესვლისთანავე ჩავები საისტორიო, საარქეოლოგიო, სალიტერატურო და საეთნოგრაფიო ნაშთების შეგროვების, შენახვასა და შესწავლაში და მას აქეთ დღევანდლამდე ამ საქმისთვის თავი არ დამინებებია".

მართლაც, თავი არ დაუნებებია ამ საქმისათვის თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე. ამ ხნის განმავლობაში ის ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ედიდებინა თავისი ხალხი, გამოეჩინა და გზა გაეხსნა ყველაფრისათვის, რაც მრავალთა თვალისათვის მიმალული იყო. ასე იღვაწა ირ. სონღულაშვილმა 50 წელიწადს თავდადებულად, მთელი შემართვით, საკუთარ ძალთა დაუზოგავად, რათა საკაცობრიო სარბიელზე გამოეტანა ქართული ხელსაქმე და ქართული ოქრომჭედლობა, რადგან ღრმად სწამდა, რომ ერთიცა და მეორეც უიშვიათესი მოვლენა იყო ქართველი ხალხის შემოქმედებითი გენიის ნაამაგარში. და თუ კერძოდ ქართულმა ოქრომჭედლობამ საყოველთაო აღიარება მოიპოვა, აქ საკმაო ღვაწლი მიუძღვის ირ. სონღულაშვილსაც, როგორც მკვლევარ-მეცნიერს.

ყოველი პიროვნების განვითარებაზე, მისი ხასიათის ან მიდრეკილების ჩამოყალიბებაში თუ გადამწყვეტს არა, ძალიან დიდ როლს თამაშობს იმ ადამიანთა გარემოცვა, რომელნიც მის გარშემო ტრიალებენ. ირ. სონღულაშვილს ამ მხრივაც ბედნიერი გარემოცვა შეექმნა. მისი ახლობელი ადამიანები იყვნენ ახალგაზრდობის წლებიდან ღრმა მოხუცებულობამდე ექვთიმე თაყაიშვილი, დიმიტრი ჯავახიშვილი,

ეკატერინე გაბაშვილი, კალისტრატე ცინცაძე, ვასილ ბარნოვი, თედო სახოკია, გერონტი ქიქოძე, ივანე ჯავახიშვილი და გიორგი ჩუბინაშვილი.

სიტყვასთან ჰიდილი ბუნებრივი მოთხოვნილება იყო იროდიონ სონღულაშვილისათვის; სიტყვას ებრძოდა იგი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე, რადგან გულში ოცნებად ჰქონდა გატარებული ერთი წადილი — ჭეშმარიტად ქართული სიტყვით შეექმნა თუნდაც ერთი ისეთი ნაწარმოები, რომელიც ღირსეულად ასახავდა ქართველი ხალხის ცხოვრებას მისთვის მნიშვნელოვან რომელიმე ეპოქაში. ასეთ მნიშვნელოვან ეპოქად საქართველოს წარსულში იროდიონს ბევრი საბუთის ძალით მიაჩნდა მეთერთმეტე საუკუნე.

1912 წელს ირ. სონღულაშვილი იწყებს თანამშრომლობას ჟურნალ „კლდეში". სამწერლო ასპარეზზე იგი გამოდის თარგმანებით და შემდეგ იწყებს ორიგინალური მოთხრობების წერას.

1914 წლიდან მოკიდებული ირ. სონღულაშვილი აქვეყნებს მრავალ მოთხრობას, მეტწილად ინ. ბანის ფსევდონიმით, ხოლო იშვიათად ირ. სონღულაშვილის ხელმოწერით. 1914-20 წლებში ირ. სონღულაშვილმა 70-ზე მეტი პატარა მოთხრობა დაბეჭდა ჟურნალებში („კლდე" და „მერანი") და აგრეთვე სხვადასხვა გაზეთში.

მოთხრობებს იროდიონი შემდეგ წლებშიც აქვეყნებს, მაგრამ გაცილებით ნაკლები რაოდენობით. 1923 წელს ჟურნალ „დროშაში" (№6) ბეჭდავს მოთხრობას, რომელსაც „ჰეროსტრატოსი" ეწოდება, ხოლო 1933 წელს ჟურნალ „მნათობში" (№6-7) ქვეყნდება მისი მოზრდილი მოთხრობა „ნაანდერძევი".

ჯერ კიდევ 1916 წელს, უჯარმაში ყოფნისას, ირ. სონღულაშვილს დაებადა აზრი შეექმნა დიდი ნაწარმოები XI საუკუნის საქართველოს ცხოვრებიდან. ამის შემდეგ, თითქმის 25 წლის მანძილზე, იროდიონი კრებს მასალებს, სწავლობს ეპოქას და ყოველმხრივ ემზადება რომანის დასაწერად. მრავალმხრივ აღჭურვილი, ისტორიული ცოდნით შეიარაღებული და შემოქმედებითად მომწიფებული, თითქმის 60 წელს მიღწეული იროდიონი შეუდგა რომანის წერას, რომელსაც „მირანდუხტ იადხმობილი" შეარქვა. შვიდი წლის განმავლობაში არ შეშრობია მელანი იროდიონის კალამს, სრული შვიდი წელიწადი ძერწავდა იგი რომანის გმირთა სახეებს, საყვარელ და საძულველ ადამიანთა ხასიათებს, ათასგვარი ტკივილითა და განსაცდელით აღსავსე ეპოქას.

არ ჩქარობდა მწერალი და არც არავინ აჩქარებდა მას.

თავის მემუარებში ირ. სონღულაშვილი წერს:

„1940 წელს დაწყებული მქონდა რომანი „მირანდუხტ იადხმობილი". მისი პროლოგი დავამთავრე და ვესწრაფოდი პროლოგში მოთხრობილი ლეგენდის გაშლას რომანის სახით, XI საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიულ ამბებზე ამ ლეგენდის ამბის გადაბმით. წელს (1947) დავამთავრე რომანი თავისი ეპილოგით. შვება მიეცა ჩემს სულს იადხმობილისაგან..."

ეს უკანასკნელი სიტყვები: შვება მიეცა ჩემს სულს იადხმობილისაგანო, ნამდვილი მწერლის გულიდან და გონებიდან ამოსული სიტყვებია, გამსჭვალული უდიდესი გულწრფელობით, სიხარულით და სიყვარულით საკუთარი შემოქმედების ნაყოფისადმი.

რომანი „მირანდუხტ იადხმობილი" იყო ირ. სონღულაშვილის მთელი ცხოვრების აზრი, ყველა მისი ამაღლებულ მისწრაფებათა თავმოყრა, ყოველივე იმის გაერთიანება, რასაც მწერალი და მოქალაქე ეტრფოდა მისი მშობელი ქვეყნის წარსულსა და მომავალში.

გ. ჩუბინაშვილისადმი მიმართულ წერილში ირ. სონღულაშვილი აღნიშნავდა: „ქართველთა ტომთა თავმოყრისა ჰაპანთწევაზე აღმოვაცენე ამბავნი „მირანდუხტ იადხმობილისა" და ამა ამბავთა გმირნი ერის დიადის მისწრაფების მსხვერპლად ავსახე".

ამ სიტყვებში ჩაქსოვილია მთელი რომანის სული და გული. მართლაც ცნობილია, რომ საქართველოს ხანგრძლივი ისტორიის თითქმის მთელ მანძილზე ქვეყნის უკეთესი შვილები ცდილობდნენ თავი მოეყარათ ქართველი ტომებისათვის, რათა ამ გზით გაეძლიერებინათ ერი და უფრო ბრძოლისუნარიანი გაეხადათ იგი როგორც გარეშე, ისე შინაური მტრების წინააღმდეგ.

მაგრამ მტერი მუდამ ფხიზლად იყო და ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ქართველთა ტომები არ გაერთიანებულიყვნენ. ყოველგვარ ხერხს და საშუალებას იყენებდნენ ამ მიზნისათვის: მოსყიდვას, მოტყუებას, ძალადობას, სხვადასხვა ტომების ერთმანეთზე წაქეზებას, რელიგიას, შუღლს, ცეცხლსა და მახვილს. მტერმა იცოდა, რომ დაქსაქსულსა და თავმოუყრელ ტომებს გაცილებით უფრო ადვილად დაიმორჩილებდა და მეტწილად აღწევდა კიდეც საწადელს.

ირ. სონღულაშვილის რომანი სწორედ ამ იდეურ საფუძველზე არის აგებული. რომანის ყველა დადებითი გმირი, რომლებიც ავტორის სათაყვანებელ გმირებს წარმოადგენენ, იქნება ეს ვაჩე არსაკიძე თუ ბაგრატ მეფე, რევი სასანიანი თუ მისი ძე ბაქარი, ზენკალი ბერა თუ რევის შინაყმა – ფერისი, და რაც მთავარია, თავად მირანდუხტ იადხმობილი, მზად არის თავი გასწიროს და მტლად დაედოს ქართველთა ტომების თავმოყრის საქმეს. ამ გმირების სიტყვა და საქმე ერთმანეთს არ სცილდება და ყველა ისინი მართლაც თავსა სდებენ საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში.

„მირანდუხტ იადხმობილი" ისეთი ისტორიული რომანია, რომელშიც ისტორიული მოვლენები, ფაქტები და პიროვნებები ჰარმონიულად არის შერწყმული ავტორის მიერ გამოგონებულ ამბებთან და გმირებთან. აქ მთავარი ის არის, რომ ავტორისეული გამოგონება და ფანტაზია მტკიცედ არის დამყარებული აღწერილი ეპოქის, მისი სულისკვეთებისა და თავისებურების უნაკლო ცოდნაზე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ირ. სონღულაშვილმა შესანიშნავად იცოდა მეთერთმეტე საუკუნის საქართველოს ვითარება როგორც ისტორიკოსმა, ხელოვნებისმცოდნემ და ეთნოგრაფმა. ამიტომაც ხდება, რომ თვით გამოგონებული სიტუაციები საოცრად დამაჯერებელ და უტყუარ ამბად გვევლინება რომანში.

მკითხველი უთუოდ ყურადღებას მიაქცევს და დააფასებს „მირანდუხტ იადხმობილს", როგორც ისტორიული რომანის, ორ ღირსებას:

პირველი ღირსება ის არის, რომ რომანის სოციალური დიაპაზონი არათუ შეზღუდული არ არის, არამედ ვრცელია. რომანში მეფეთა და დიდგვაროვანთა გვერდით თანაბრად მოქმედებენ და იბრძვიან ეგრეთ წოდებული უბრალო ხალხის წარმომადგენლები – გლეხები, ხელოსნები და შინაყმები, რომლებიც ისე სისხლსავსედ არიან დახატული ყოველგვარი ტენდენციურობის გარეშე, რომ თავს გვაყვარებენ და მათ ბედსა და უბედობას არა ნაკლებ განვიცდით, ვიდრე თვით მირანდუხტ იადხმობილისას, თუმცა ეს უკანასკნელი ავტორის უპირველესი და უსაფარლესი გმირია.

რომანის მეორე ღირსებად ის უნდა მივიჩნიოთ, რომ იგი დაწერილია წმინდა ქართული ენით და მწერალი თითქმის სრულიად არ

იყენებს ეპოქის კოლორიტის შესაქმნელად არქაიზმებს, რაც არა ერთსა და ორ მწერალს მიუჩნევია სავალდებულოდ და, მიუხედავად ამისა, ეპოქის კოლორიტს არა დაუკარგავს რა რომანში, ხოლო მკითხველისათვის კი ,,მირანდუხტ იადხმობილი'' ამ სახით გაცილებით უფრო მისაწვდომი და გასაგები ხდება.

ხანდაზმულობის მიუხედავად ირ. სონღულაშვილი ბოლო დღეებამდე განაგრძობდა ენერგიულ მოღვაწეობას და სრულიად მოულოდნელად გარდაცვალა 1958 წლის იანვარში. რომანი ,,მირანდუხტ იადხმობილი'' მას გამოსაცემად გამზადებული არ ჰქონდა, რაც აშკარად ამჩნევია რომანის რამდენიმე თავს, მაგრამ ეს ვერ ამცირებს რომანის საერთო იდეურ-მხატვრულ ღონეს.

ვ. კუპრავა.

წიგნი პირველი

I

ძველთა მეფეთა ნათესავის პალატის წინ ქალაქ უჯარმის ხალხს თავი მოუყრია. უკანასკნელად პატივსა სცემენ რევის თანამეცხედრეს ნანას. სიკვდილს უდროოდ გამოუგლეჯია ხელიდან ოჯახისათვის მცირეწლოვან შვილთა დედა. რევის სამუდამოდ დასდუმებია მეუღლე. დადუმებულს ცრემლნარევი სიტყვის ნაკადი ზედ ედინება. დიაცნი შიგნით შეკრებილან. მამაკაცნი, გამოსვენების მოლოდინში, გარეთ ხმადაბლა მასლაათობენ.

გარეთ მდგომთ ახალმოსულები ემატებიან.

აგერ, აღმართს ამოსულმა მხედარმა ვაკე ხე ცხენი ამოაქანა. ჩოხანი ეცვა, უკან იარაღში ჩასხმულნი ცხენოსანნი, შინაყმანი მოსდევდნენ. ნიავმა ჭაღარა წვერი შეუფრიალა: სპილოს ძვლისფერი, შავწარბებიანი სახე შეჰხურებოდა. სხივთმფრქვევნი დიდრონი თვალნი გადმოჰკრა ახოვანმა საფლავამდე მიცვალებულის მისაცილებლად თავმოყრილ ვაჟკაცებულს. ვაჟკაცს გული შეუქანდა, სახე დაეწრიტა სისხლისგან.

— შვილი გამომცლია ხელიდან, შვილი! — ამოიგმინა ელდანაკრავმა. — რაზე არ მოვუსწრებდი გასვენებას!

— ვაჩე! მამა ნანასი, მამა! — გაირბინეს სიტყვებმა თავმოყრილთა შორის.

მამაკაცთა კრებული ორად გაიპო და პალატისაკენ გზა დაუგდო ნანას მამად აღიარებულს.

მხედარი სწრაფად ჩამოხტა ცხენიდან. სადავე მიგებებულ მსახურთ მიუგდო, მოიხადა ქუდი და პალატს მიაშურა. მისმა შინაურებმა, რევის კარისკაცთა ჩვენებით, ცხენებიანად ბინები მონახეს.

უჩუმრად გაიარა ვაჩემ დაგდებული გზა, დერეფანი და პალატის კარის ზღურბლზე ფეხი შედგა.

ქალთა შეძახილი გარეთ გამოიჭრა.

— მამა მოგვივიდა, ნანა, მშობელი მამა! რატომ არ ეგებები? სად გაგონილა და თქმულა მაგრე დახვედრა?

— ნათესაო ბრწყინვალეთა მათ ძლიერთა და ძველთა მეფეთა არ-

საკიანთა, შესთხოვე შენით ხელთქმნილს სვეტიცხოველს, შესთხოვე, შვილი დაგიბრუნოს!

— შეიბრალე შენი შვილის ნაშობნი, მამავ მშობელო!

— მამა მოგიველი, შვილო, მამა! გამოიღვიძე! — გაიგონეს გარეთ მდგომთ მამაკაცის ნაღვლით სავსე ხმა და გულს ჩამწვდომი მძლავრი ქვითინი. — ვაჰმე, რომ ჩემმა ამბორმაც არ იმოქმედა შენზე! წარიკვეთა არსუკიძის შტო, ქართლოსიანნო, მის ნატამალს ველარ იხილავთ!..

იშვიათად ტირის მამაკაცი და იშვიათია მამაკაცის ტირილისთანა ტირილი. მის სიღრმეში ჰმზერ სიკვდილის საშინელებას, ტანს ჟრუანტელი გიელის და უარჰყოფ იმიერ ცხოვრებას. პალატიდან მონადენ მამაკაცის მოთქმაზე გარეთმდგომ მამაკაცთ სახე მოეღუშათ. ბევრს ცრემლი მოადგა თვალზე.

ნაღვლიმოდებული გულის გასაქარვებლად ყრუ ლაპარაკი გაიბა.

— ნეტა რატომ დაიგვიანა ვაჩემ?

— რატომ დაიგვიანა და, მე შენ გითხრა, ერისთავთა და მეფეთა დავის ხანაში ადვილად მიუვიდოდა ამბავი.

— აბა ეგ ხომ არის და არის, მაგრამ მაგას საბერძნეთიდან ბაგრატის დაბრუნებაც დააგვიანებდა, — დასძინა იაზონ ცალქალამანიძემ, — დახვედრა არ უნდოდა? ბაგრატს ჰსურს ასეთი ხალხის ახლოს ყოლა, მეგობრობა, რომ ქართლსა და კახეთზე მოირჭვნას და იუფლოს. ქართლსაცა და კახეთსაც ჯერ კიდევ კარგა ახსოვთ არსუკიანნიცა და სასანიანნიცა. მათთა ჩამომავალთა თანაგრძნობის მოპოება ქართლელთა და კახთა თანაგრძნობის მოპოებაა. მაგრამ, რასაც მიიღებს ამ თანაგრძნობით, ვნახავთ, კათალიკოს-პატრიარქი მელქისეღეკი კი ხომ არსუკიძიანთა გვარიდან არის. ვაჩე ძმაა მელქისედეკისა.

— ძმაა მელქიდეკისა?

— დიახ, უმცროსი ძმაა, ნახევარძმა. მამა მელქისედეკისა, ვინმე ბაკურ არსუკისძე, თავგამეტებული იბრძოდა დიდი ბაგრატის, ახლანდელი ბაგრატის პაპის განმტკიცებისათვის. მარუშიძის ჯგუფს ეკუთვნოდა. ბაგრატის მტრებმა ბაგრატის მოსარჩლე ბაკურის დასჯა მოისურვეს. გადაწყვიტეს მისი ციხე-დარბაზისა და ოჯახის განადგურება. ანაზდეულად თავს დაესხნენ მის ბუნაგს, მაგრამ ბაკური მზად დაუხვდა და მკაცრად შეებრძოლა დამცემლებს. დამარცხდნენ დამცემლები, მაგრამ

ბაკურსაც დიდი უბედურება დაატყდა: თანამეცხედრე, დაჭრილების მომვლელ-პატრონი, მტრის ისარმა გამოუსალმა წუთისოფელს. მელქისედეკი მცირეწლოვანი ჭაბუკი იყო ამ დროს, ადერკს ეძახდნენ. ბაკურის მადლიერმა ბაგრატმა უდედოდ დარჩენილი ყმაწვილი თავის კარს მოაყვანინა და მწიგნობარნი მიუყენა აღმზრდელად. გავიდა ხანი, ბაკურმა მეორე ცოლი მოიყვანა. ამ შეუღლებამაც ერთი ვაჟი შესძინა, აი სწორედ ეს ვაჩე. გახდა ათი წლისა ვაჩე და მშობლები დაეხოცა. პატრონად დავაჟკაცებული ძმა ადერკი მოევლინა, უკვე ძლიერი მწიგნობარი, დიდი მცოდნე ქრისტეს მოძღვრებისა. ადერკმა ძმას ნამდვილი მამობა გაუწია, გაზარდა, აზიარა თავის ცოდნას და მწიგნობარი გახადა. თვრამეტი წლისა საბერძნეთში გაგზავნა სწავლის გასავრცობად. ვაჩეს რამდენიმე წელს მოუხდა საქართველოს გარეთ ყოფნა. მოვლილი აქვს საბერძნეთი და სხვა ჩვენი სამხრო ქვეყნები ეგვიპტემდე, თვით ეგვიპტეც. სამშობლოში გამობრძმედილ ხუროთმოძღვრად დაბრუნდა. ძმა ადერკი კათალიკოზ მელქისედეკად დახვდა. სვეტიცხოველი თუ ააგო კათალიკოზ ძმის დავალებით, სამთავისშიაც წილი უდევს. თუ მის ძმას მეფე-პაპა სწყალობდა, მას შვილიშვილი-მეფე სწყალობს. ცოლი ადრე მოუკვდა ვაჩეს, მაგრამ მამისთვის არ მიუბაძნია: მეორე აღარ მოუყვანია. მიცვალებული ნანა მისი ერთადერთი შვილია და მზე და მთვარე ნანას შვილებზე ამოსდის.

— მაშ თუ რევიმ მეორე ცოლი მოიყვანა, რევი ხომ ჯერ კიდევ ახალგაზრდაა! შვილიშვილებს ეგ წაასჯამს?

— ვინ იცის? ეგ თუ მომხრეა ბაგრატისა, მომხრეა ივერთა ქვეყნების აღმოსავლეთისა და დასავლეთის გაერთიანებისა, რევისა არავინ არაფერი იცის. გულდახურული კაცია. ვაჩე ბაგრატს არ შორდება, რევის კი შვილები ძალიან უყვარს და ვფიქრობ, არ გაატანს.

— რამდენი წლის ხარ, ცხრაბიჭაანთ შვილო, ეს ყველაფერი რომ იცი? — ღიმმორევით შეეკითხა იაზონ ცალქალამანიძეს ვინმე მოხუცი.

— ყურმა ჩემმა წელანაც ბევრი რამ გაიგონა შენი ნაამბობი.

იაზონი უკმაყოფილოდ შეიჭმუხნა და ჩვეულებრივად წყნარი, მოწმენდილი პირისახე მრისხანებით აღეესო.

— რას ჯავრობ, ჭაბუკო? — განაგრძო მოხუცმა.

— მე გვარი მაქვს და სახელი.

— ვიცი, ვიცი. მაგრამ საწყენი განა რა გითხარი? მამაშენმა ცხრა ვაჟი დასტოვა ამქვეყნად და მის ოჯახს ყველა მეზობლურად, ქართველურად ცხრაბიჭაანთ ეძახიან.

იაზონმა ზურგი შეაქცია მოხუცს და პალატისაკენ გაიხედა. ფართო მკერდი მაღლა აზიდა, ამოისუნთქა ძლიერად და სახიდან მრისხანების დაღი მოიცილა: ფართო შუბლი გადაეტკიცა, წარბებმა თავისი ადგილი დაიჭირეს და მათ ქვეშიდან კამეჩისებურმა თვალებმა უგულოდ დაიწყეს ცქერა. ჭაბუკმა გადინაცვლა თავისდა უნებლიედ და ნაძვის სიმტკიცე გამოიჩინა. თვრამეტი წლისა იყო, როცა მამა ბაგრატ მეფესთან ბრძოლაში დაეღუპა და მამის ოჯახს სათავეში მოექცა. რვა ძმა და კვეტარი მის ამარა დარჩა. სიმართლე უნდა ითქვას, ღირსეულად უძღვებოდა ყველას და ყველაფერს. ორი წელიწადი შესრულებოდა, რაც თავის თავს დანდობოდა, და ერთხელ ფეხიც არ გადაბრუნებია. იმედი ჰქონდა, შემდეგშიც ასე ივლიდა. ბაგრატის დიდი მოწინააღმდეგე გარეგნულად კახეთის მეფეებს ემორჩილებოდა. თავი ისე ეჭირა, როგორც მათ მოკავშირეს. კარგად ესმოდა, რა მკაცრ ბრძოლას ეწეოდა აფხაზთა და ქართველთა მეფე იარაღითა თუ ჭკუის მოქნილობით გალაღებულ დიდებულებთან, და როგორც ვასალი, ცდილობდა თავისი პატრონების, კახეთის მფლობელების, გამაგრებას კახეთის არემარეზე, რათა თავისი დამოუკიდებლობა არ დაეკარგა.

დაურიდებელმა მოხუცმა იცოდა იაზონისა და მისი მამის მიდრეკილება და მოისურვა მხილება რევის პატივსაცემად მოსულ მამაკაცთა წინ, რომელთა შორის, როგორც თვითონ მოხუცი, მრავალი იყო ბაგრატის მომხრე: მამულიშვილს აწუხებდა ივერთა მიწა-წყალის ცალკეულ კუთხეებად დაკუწვა.

— იაზონ ცალქალამანიძე ვერ ინელებს ქართლელთა და კახთა გაერთიანებას, — ხმადაბლა უთხრა მოხუცმა ახლო მდგომთ, — კარგად იცის, რომ გამძლავრებულ დიდებულთა ფრთები შეეკვეცებათ. რა ენაღვლება მაგას მამასებრ, დაუშრეტელი ატეხილი ღელვით რომ იგვემება ალმოსავლეთი.

— ქობულ! შურისძიება იცის იაზონმა, — გაახსენეს მოხუცს. — სიფრთხილე გმართებს.

— არ მეშინია შურისძიებისა, — წარმოთქვა ქობულად წოდებულმა

და ნაღელიანად დასძინა: — შვილები ჩვენ ქვეყანაში დაუსრულებლად წარმოებულმა ბრძოლებმა ამომიხოცეს. დღეს თუ ხვალ ჩემი მეუღლითურთ იმ ქვეყნისკენ გავემგზავრები და რაღას დავერიდო. სწორედ ჩვენისთანა ხალხმა უნდა ამხილოს ყველა და ყველაფერი...

ქობულმა ლაპარაკი შეწყვიტა. პალატის დერეფანში მანდილოსნებმა დაიწყეს დენა.

გარსმდგომნი აჩურჩულდნენ.

— უნდა გამოასვენონ! უნდა გამოასვენონ!

— მოასვენებენ!

პალატის დარბაზის კარში გამოჩნდნენ სასულიერო პირნი. დერეფანში გაისმა: „წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო“, გამობრძანდა ნინოწმიდელი. გამოასვენეს მიცვალებულიც. უკან მოჰყვნენ ჭირისუფალნი. მოხუცებული გამზრდელი, ძაძით მოსილი, კენესით მოადგამდა ფეხს. გაფითრებულ რევის გარინდებული მოსდევდა თხუთმეტი წლის ჭაბუკი. ვაჩეს ხელში აეყვანა ექვსი წლის გოგონა მირანდუხტი, გულში ჩაეკრა და ცრემლს ადენდა.

— სად მიხვალ, ნანა? — დაადევნა მიცვალებულს სიტყვები გამზრდელმა ნინომ: — შენ თუ გაგზარდე, ძალით სავსე იყავი, ჩემო პატრონო. მოვხუცდი ახლა და შენ პატარას ვეღარ გაგიზრდი. მობრუნდი, ნანა, მობრუნდი! შენი მირანდუხტი შეიბრალე.

მირანდუხტმა პაპის მკერდზე მიყრდნობილი თავი ასწია, წარბთქვეიდან ორი ია გამოახედა და მიცვალებულს გაადევნა.

— პაპილო, სად მიჰყავთ დედა? რატომ აღარ მიძახის? აღარ ვუყვარვარ?

— ღმერთმა დაიბარა, შვილო, თავისთან, — აღმოხდა ვაჩეს ბოღმავარამით დამძიმებული ხმა. — ღმერთს მიჰყავს.

— არა, პაპილო, აგე ყუთში წევს და კაცებს მიჰყავთ. წაართვი. პაპილო! წაართვი! დედა მინდა, დედა!

ბავშვმა მოუსვენრად დაწყო ტრიალი პაპის ხელში. ღაპაღუპით გადმოსდიოდა ცრემლი. ბავშვის განწირულმა ძახილმა ბევრი მამაკაცი ააქვითინა.

ბაქარმა ვეღარ მოითმინა. მივიდა მირანდუხტთან, სიყვარულით შეხედა. ხელები გაუწოდა.

— მოდი ჩემთან, ია, მოდი! დედა აღარ გვყავს მე და შენ. მოგვიკვდა. მიწამ უნდა ჩაყლაპოს!

ყელში ცრემლი მოებჯინა ყმაწვილს და გაჩუმდა. უნდოდა თავი შეეკავებინა, მაგრამ თვალებმა უმტყუნეს და მდუღარება გადმოაბნიეს.

პატარამ კისერზე ხელი მოჰხვია ძმას, პაპის ხელიდან მის ხელზე გადინაცვლა და გულში ჩაეკრა.

მიცვალებულის წინნაძღოლი ხალხი თავქვე დაეშვა და წალკოტის პატარა ვაკეზე შეჩერდა. აქ იყო გათხრილი სამარე. რევის გადაწყვეტილებით აქ უნდა აშენებულიყო ეკვდერი პატარა ეკლესიის სახით, საცა თვითონაც და მისი ნაშიერებიც თავის დროზე მონახავდნენ საიმქვეყნო სავანეს. მიცვალებული დაასვენეს. მცირე ანდერძი აუგეს. ჭაბუკი ბაქარი მიუახლოვდა დედის გვამს დითურთ, მუხლებს დაეყრდნო, მარცხენა ხელი დას მოხვია, მარჯვენა მაღლა ასწია და მღელვარე ხმით წამოიძახა:

— არამი იყოს შენი ბუბუ ჩემთვის, დედავ, არამი, თუ ჩვენს იას ერთგული ძმობა არ გაუწიო.

ჭაბუკს გვერდს რევი ამოუდგა. მამამ შვილს თავზე ხელი გადაუსვა და შუბლზე აკოცა. გამოთხოვება გათავდა. მიცვალებული მიწას მიაბარეს.

2

მეორე დღეს, ჯერ მზე არ ამოსულიყო, რომ პალატიდან ტანადი ვაჟკაცი გამოვიდა. დილის ბინდბუნდი ვერ ჩრდილავდა მისი ტანის ნაკვთების უნაკლო აკინძულობას. მათი რიტმული მოძრაობა უნებლიეთ იზიდავდა ადამიანს. ვაჟკაცი ნანას საფლავს მიუახლოვდა და მუხლი მოიყარა.

— ოოჰ, ნანა! სხვა აღარავინ ვინდომო შენს მეტი. სხვას ველარავის ვიყოლიებ ჩემ გვერდით: არარად იქცნენ ჩემთვის სიამენი ამა სოფლისა. სამ რამეს დასტრიალებდნენ თავს ჩემი გონება და გრძნობა: ძლიერ ივერიას — ქართლოსიანთა სამკვიდრებელს, შენ და ჩვენს შვილებს. შენ იყავი ჩემი ამა ქვეყნად ნათესავი სულისა ჩემისაცა და ხორცისა ჩემისაცა. მე ვსუნთქავდი შენთან ერთად ძლიერი ივერიისათვის, შვილთა ჩვენთა მომავლისათვის. მაგრამ ხორცი ჩემი მარტო დარჩა აქ საწიალოდ და სული ჩემი კი შენსკენ ისწრაფვის: გახლიჩა არსება ჩემი შენმა სიკვდილმა, ნანა, და ვეწამები რევი სასანიანი.

პირქვე დაემხო და გაირინდა. მზემ ამოიტივტივა და უხვად გადმოყარა სხივები. მაგრამ რევის თავი მაღლა არ აუღია.

პალატიდან გამოსულმა ვაჩემ გადმოიხედა და დაინახა პირქვე დამხობილი სიძე. მისკენ გამოეშურა ენერგიული ნაბიჯით. მიუახლოვდა, მოხუცებული — წინაპართა სიძლიერეს კიდევა ჰფლობდა. ვაჩემ წამოაყენა მწუხარებით შებოჭილი ადამიანი, თვალი შეავლო მის პირისახეს, ჩახედა შავზღვა თვალებში და ყრუდ გამოელაპარაკა.

— სიმხნე გმართებს, რევი. შენ შვილები გყავს და მე შვილიც აღარ მყავს, — მძიმედ ამოიოხრა ვაჩემ ამის თქმაზე და მწარედ დასძინა: — მარტო ვარ, მარტო!...— თავი დახარა და გაჩუმდა, სული მოითქვა, ყელში მომდგარი ტირილი შეიკავა და განაგრძო: — შვილებს უნდა შესწირო თავი. მათ კარგი პატრონი სჭირიათ. ბაქარი თხუთმეტი წლისაა და თუ შენ გვერდით არ ატარე და არ წრთვენ, დაგელუპება: შენ ძე დაგეკარგება, ჩვენს ქვეყანას კი ჯან-ღონით აღსავსე მომავალი მესვეური. ვიცი, მირანდუხტ იად გაიშლება და მუდამ ძლიერი მფარველი უნდა ჰყავდეს — ჯერ მშობელი და, შემდეგ, სამისოდ შესაფერისად გამონახული მეუღლე. პატრონობა უნდა მიცვალებულსაც. ასე ცის ამარა ხომ არ დატოვებ? უბრალო სამლოცველო არ არის მის გვერდით.

ვაჩე შეჩერდა. ბაქარი მოვიდა. მირანდუხტი ხელში ეჭირა.

ბავშვი მამას წასწვდა.

— მამა, რად ჩააფლევინე დედა მიწაში?

რევი შეჟრჟოლდა.

— მამა! — დაუძახა ბავშვმა განწირულებით, — დედა მინდა, დედა!

რევიმ პატარას თვალი ვერ გაუსწორა და უნებლიეთ ბაქარს მიაჩერდა. ჭაბუკი გრძნობადაძაბული და სახეგაფითრებული იდგა. მისი თვალებიდან მწუხარება და საყვედური იმზირებოდა. რევის ძლიერი სხივი ჩაეჭრა გონებაში, მისმა გულმა თავისი მოვალეობა იგრძნო და ბაქარისკენ შეუჩერებლივ გაიწია. მამამ შვილს თვალებში აკოცა, მირანდუხტი ჩამოართვა და საფლაკზე შეფიცა, რომ უდედოდ დარჩენილებს დადობასაც გაუწევდა და მამობასაც.

მერმე მოუტრიალდა სიმამრს და მტკიცე კილოთი ამცნო:

— ნანა მკვდარიც ჩემი მეუღლეა და უპატივცემულოდ არ დავტოვებ. მის საფლავს უნდა გადაედგას საკმარისად ფართო საყდარი, სადაც

მიებარდებით მიწას მეც, ჩემი შვილებიც და მათი მომავალნიც. საყდარი უნდა იყოს „ფრიად-მშვენიერ-კეთილად ნაგები“.

უკანასკნელმა სიტყვებმა გააოცა ვაჩე. ფრიად მშვენიერსა და კეთილად ნაგები საყდრის აღმართვა დიდ განძს მოითხოვდა — სიძის შეძლება კი, ეგონა კარგა იცოდა: რევი თითქოს მის გაღარიბების გზაზე დამდგარ დიდებულთა ჯგუფს ეკუთვნოდა. გარეშე მტრის ხშირმა შემოსევამ და ურთიერთშორის ხშირმა ბრძოლამ ძირს დასცა ბევრი დიდ-ვაროვანი და ქონებრივი ნიათი გამოაცალა. ასეთივე ნიათგამოცლილ დიდებულად სთვლიდა ვაჩე თავის სიძეს.

„კარგი, — ფიქრობდა იგი, — ხელმძღვანელობა ჩემი იქნება. ამ მხრივ არაფერი დაეხარჯება, მაგრამ ეს ხომ არ არის საკმარისი? ამას დასჭირდება წმინდა ქვა, ქვისმთლელები, კალატოზები და კიდევ სხვა ბევრი რამ. ყველა ეს ხომ ხარჯს მოითხოვს, სად არის საამისო განძი? თვით ბაგრატ მეფესაც კი უძნელდებოდა ასეთი საქმის დაწყება. სვეტიცხოვლის გაახლებაზე ბერძენთა მეფეს სთხოვა შემწეობა. ჩემ სიძეს კი შერჩენია ცოტაოდენი სამკვიდრებელი: პალატი, პატარა წალკოტი და კიდევ რაღაც, ყველა ეს მხოლოდ წინაპართა ნაღვაწია, და როგორ აუვა თუნდაც სვეტიცხოველზე ათჯერ პატარა საყდრის აგებას?“

რევიმ თითქოს გაიგო, რას ფიქრობდა სიმამრი და ნათქვამს დასძინა:

— ჯერ კიდევ არ გამოჰლევია სასანიანთ ნაშენთ ხვასტაგი, რომელიც გამოიტანა ჩვენმა დიდმა მამამ, დიდმა ვახტანგ მეფემ ინდოეთით და სინდეთით, „დაფლული უჯარმის პახლობლად ორთა კოშკთა შორის“, რომლის არ გათქმისათვის ჭიჭუმმა აწამა ჩვენი წინაპარი მეფე არჩილი. ამ განძის სამალავი ადგილი მამისჩემისაგან მაქვს ნაჩვენები. ვიცი მისი საიდუმლო შესასვლელებიც. მემკვიდრე ვარ გარდასულთა დიდთა მეფეთა — და გადავადგამ საყდარს, „კეთილ ნაგებს“, ნანას საფლავსა...

რევი შეჩერდა. მის ხელში შერჩენილი და მიყუჩებული მირანდუხტი მოულოდნელად შეტრიალდა. ძირს დასმა მოითხოვა ბავშვმა. მამამ აუსრულა ბავშვს წადილი. მირანდუხტმა პაპას კალთაზე წაავლო ხელი და თვალებში შეხედა.

— დედის თვალები აქვს, — წაილაპარაკა ვაჩემ და შვილიშვილი მაღლა აზიდა, მკერდზე მიიკრა, მიუალერსა, — რა გინდა, იავ, პაპისგან?

ბავშვი პატარა ხანს კიდევ სდუმდა. რაღაც აზრი უტრიალებდა თავში და მის გამოთქმას რატომღაც ახანებდა.

— თქვი, შვილო, თქვი! — წაახალისა ვაჩემ.

— პაპილო, სვეტიცხოველი მართლა შენ ააგე? ბაქარმა მითხრა.

— ჰო, შვილო!

— მაშ, დედასაც აუგე, თორემ ნინომ მითხრა, უსაყდროდ არ შეიძლება მიცვალებულიო.

ვაჩემ გაულიმა.

— ჰო, შვილო, ავუგებ. შენ კიდევ დედის საფლავს ყვავილები დააყარე.

— დავაყრი, პაპილო, დავაყრი!

რევი აღელდა. ბაქარს ცრემლები წამოსცვივდა.

ვაჩემ თავზე ხელი გადაუსვა ბავშვსა და ძირს დასვა.

ბაქარს გადახედა: სთხოვა, ბავშვი წინ წაიყვანეო. ბაქარი შეყოყმანდა. მიხვდა: პაპას მამისათვის რალაც უნდა ეთქვა. მართალია, დედის სიკვდილმა ძალზე დააძმარა, მაგრამ ცნობისმოყვარეობა ამის გამო არ მიჰყუჩებოდა. ვაჩეს შეეცოდა ჭაბუკი და რევის გადახედა. რევიმ ბაქარს მხარზე ხელი დაადო.

— წაიყვა, შვილო, მირანდუხტი. ნინოსაც უთხარი, სადილი მოგვიმზადოს. დრო არის.

ამ წყნარ თქმაში ბაქარმა მტკიცე ბრძანება იგრძნო: ალბათ ასე უნდაო, გაივლო გულში, წაავლო იას ხელი და პალატისაკენ ამავალ ალმართს მიმართა.

რევიმ კი სიმამრს მიმართა:

— ბაქართან ყველაფრის თქმა შეიძლება. საიდუმლოს შენახვაც იცის და ყოველ სამძიმო დავალებასაც ასრულებს, მაგრამ ექვსი წლის მირანდუხტის ყურს არაფერი გამოეპარება ხოლმე. იხსომებს ყოველნაირ თქმას და გაუგებრის ახსნას მოითხოვს. თუ შენ არ ეტყვი რაიმე მიზეზით, სხვას ჰკითხავს, უცხოს. მეშინია, ბავშვმა თავისდა უნებურად არ გაამხილოს რაიმე. აბა, მიბრძანე!

— უეჭველია, მე მომიხდება საყდრის აგება, — დაიწყო ვაჩემ. რევიმ თანხმობის ნიშნად თავი დახარა.

— მაგრამ, — განაგრძო ვაჩემ, — ჯერჯერობით ბაგრატს უნდა დავუბრუნდე. ამბავი უნდა მივუტანო შენგან. კახეთის დასაპყრობად აპირებს წამოსვლას და უნდა გაიგოს შენგან, ვისი იმედი შეიძლება ჰქონდეს ამ

მხარეს. ეზარება მოძმეთა სისხლის ღვრა. კარგად ვიცი, რომ საყვარელი მეუღლის დამკარგველისათვის ძნელია ამოქმედება, მაგრამ მაინც მოგმართავ ჩემსა და მეფის ნაცვლად, შვილის მაგიერო. სამშობლოსათვის შენი დარდები უნდა მოთოკო. მეც ვიოკებ. მეფე დაულალაჯად იბრძვის საქართველოს მთლიანობისთვის და მოითხოვს ხელის შეწყობას. მთავარი მისი მოძულე ალაგმულია. საბერძნეთთან მეფის მორიგებამ ლიპარიტს ნიადაგი გამოაცალა. მალე დატყვევებულ იქმნება. ქართლის დიდებარიანნი ვერ ინელებენ მის ზვიადობას.

რევი შეირხა და სიმამრისაკენ ბიჯი წარდგა.

— ბევრი არა მაქვს რა სათქმელი, მამის მაგიერო. მოუთმენლად ელის ბაგრატს ჩვენი მხარე. ვერც აქ იტანენ თავაგდებულ დიდგვარიანებს, თითქოს აღსართანის ერთგულებს, ნამდვილად კი მის მათამაშებლებს. ერთი მათგანი გუშინ აქ გახლდათ, ვითომდა ჩემ პატივსაცემად, ნამდვილად კი ამ არემარეზე თავმოყრილთა გასაცნობად. მათი სულისკვეთების გასაგებად. უნდა იცოდეს, თუ საითკენაა მათი გული გადახრილი. გაგებული ეჭნება ბაგრატის დაბრუნება საბერძნეთიდან. ცალქალამანიძობით თავი მოაქვს კვეტარის მფლობელს. თავის წინაპრებად იაზონ არგოელსა და მის მეუღლეს — კოლხეთის მეფის აეთის ასულს მედეას აცხადებს. რამდენად მართალია ეს, ღმერთმა იცის, მაგრამ იაზონისებრ რომ მეკობრეა და მედეასებრ ვერაგი და დაუნდობელი, ეს ყველასათვის ცხადია. ამგვარი ვაჟბატონები საკმარისი ჰყავს კახეთს: პანკისის ერისთავი, შტორისა, მაჭელი, იაზონისებრ გამელელ-გამომველელთა მძარცველები, აბა როგორ მოინელებენ ბაგრატს, ხომ ფრთები შეეკვეცათ. ხალხი მათ დამსჯელს ელის. კახეთის მეკობრენი ლიპარიტს უნდა გაჰყვნენ უკან. ხოლო ხალხს ნიშანი უნდა მზად ყოფნისა, ისე ვერაფერს გავაწყობთ.

რევის უკანასკნელ სიტყვაზე ვაჩემ უბიდან ამოიღო ბაგრატის ხელმოწერილი გრაგნილი. რევიმ წაიკითხა. ძუნწობდა ბაგრატი: მომხრეობისათვის საბადლოს არავის არაფერს ჰპირდებოდა. ქვეყნის შველას ყველას ვალად უთვლიდა.

მაგრამ ბაგრატის სიძუნწემ რევი როდი შეაფიქრიანა. მისთვის საბადლოდ საკმარისი იყო ნაგვემი ქართველი ხალხის დაოსებულ შვილთა შვება და მოსვენება.

რევიმ გონების თვალი გადაავლო ბაგრატის მომხრე კახელთა

მთელ მწკრივს. და ჯერ მოხუცებულ ქობულზე შეჩერდა. ეს ადამიანი სულითა და გულით ესწრაფოდა ყოვლისა საქართველოის გაერთიანებას. გამოჩენილ მწიგნობრად ითვლებოდა და რევისაც ერთ დროს დიდ ხელმძღვანელობას უწევდა მწიგნობრობაში, როგორც მამამისის დიდი მეგობარი. რევის მამა სამხედრო საქმეს ეტრფოდა და რევისაც მხოლოდ სამხედრო საქმე ასწავლა. მაგრამ ქობულმა, თუ საკუთარ შვილებს ვერა უხერხა რა, სამაგიეროდ რევი გადახარა მწიგნობრობისაკენ. ხშირად უთქვამს ქობულს რევის მამისათვის: არჩილ, რევი ჩემს შვილად უნდა გაჩენილიყო, ჩემი შვილები კი შენადო. არც ერთი მათგანი ჩემს გზას არ დასდგომია. ყველანი სამხედრო საქმეს ეტრფიან და არც ერთი არ შემრჩებაო. მართლაცდა არც ერთი არ შერჩა. როგორც თვითონ მოხუცმა განაცხადა ნანას დასაფლავებისას მოსულ ხალხში, მისი შვილები მუდმივმა ომებმა მოინარიკლეს. რევის მამამაც ამ ომებს შეაკლა თავი, ცოლიც, რევის დედა, მისმა სიკვდილმა გადაიტანა და მთელი ოჯახიდან მარტო რევიღა დარჩა.

სასანიანთ ჩამომავალს ზედმიწევნით შეესწავლა ბერძნული, სპარსული და არაბული. მართლმადიდებელთა ქრისტიანული მოძღვრება საიშვიათოდ ჰქონდა ათვისებული და მწვალებლებთან ძალზე ეხერხებოდა პაექრობა. მეტყველება არ აკლდა, შეეძლო ხალხში მოხერხებული სიტყვის გადაგდება და ხალხის უკან ადევნება, მაგრამ, ახლა, ნანას დამკარგველს, გული ძალზე დაიარავებოდა და უკვნესოდა. დღეს შვილებთან შეხვედრამ, ბაქარის გამოხედვამ გონება აუმოქმედა და მამის დიდი მოვალეობა მთელი სიგრძე-სიგანით თვალწინ აემართა. წუხელის კი, მარტო დარჩენილს და ფიქრების მორევში შეცურებულს, ნანას ცივ სამარეში ჩასვლამ სასო წარუკვეთა, ამქვეყნად არსებობა უაზრობად მოაჩვენა და შვილები და სამშობლოს სიყვარული ლანდად უქცია. გულს ბოლმა მოაწვა და ყრუ ქვითინი აღმოხდა. რევი არ იყო ჩვეული ხმამაღლა ტირილს და მუდამ გულჩათხრობილი, ცრემლსაც კი არავის ანახვებდა ხოლმე. ამიტომაც წამოიჭრა დილაადრიან ლოგინიდან და ნანას საფლავისკენ დაეშვა. ფიქრი სიტყვებად გადმოებნა და მუხლი მოეკვეთა.

ვინ იცის, როდის ადგებოდა რევი, სიმამრს რომ არ წამოეყენებინა ზეზე. სიმამრის ლმობიერ ლაპარაკზე მოსულიერდა. შვილების სიყვარულმა კიდევ თავისი ადგილი დაიჭირა მის გულში და წონასწორობა

დაუმკვიდრა: რევის ფიცი ათქმევინა. ნათელი გახდა, რომ მამა თავის ნატამალებს თავს არ დაანებებდა. რევიმ სიმამრისებრ ჩოხანის ჩაცმა მიისაჯა და გადაწყვიტა, ქობულსა და ბაგრატის სხვა მომხრეებს რომ მიიწვევდა, მათი თანდასწრებით აღეთქვა ბერად შედგომა. ეს შეეძლო მოგვიანებითაც მოემოქმედა, მაგრამ მგლოვიარისგან მოწვევა ცოტა ხალხისაც კი, უდროოდ რომ არ ჩაეთვალათ და ზოგიერთებს სხვანაირად არ მიეღოთ, ან ეჭვი არ შეეტანათ რამეში, საქმე საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო. ამიტომაც მოწვევისათვის რაიმე საბაბი უნდა გამოეგონებინა. ამ შემთხვევაში კი არაფრის გამოგონება აღარ სჭირდებოდა.

3

— საით, ფერის, საით, შენი უფლის ცხენით შევჯავშნულხარ? გეტყობა, შორ გზას ადგიხარ.

— ახლოც რომ ვიყო მისასვლელი, განა მაშინ კი არ შევიჯავშნები, ბერავ. ამ ოხერ დროს ვინ იცის, რას არ უნდა მოელოდეს კაცი. მიკვირს, ქვეითად მოდიხარ. აგრე ცარიელი გამოსულხარ სახლიდან. ახლანდელ დროში ქრისტიანი ქრისტიანს აღარ ინდობს და მერმე ხომ განძის მამაოხერის ფადლონის მეკობრეთა გუნდის ნავარდობა მოსვენებას არავის აძლევს.

— ეჰ, ჩემო ფერის, საჭურველიანი დამალვას ვერ მოვახერხებ, ერთი კი მთელ გუნდს ვერ გავუმკლავდები. უსაჭურველოს კი რა მიშავს. ერთს თუ ორს, გინდაც სამს ამ კომბლით გავუმასპინძლდები. ხედავ? — ბერამ თავბურთიანი მძიმე კეტი ერთი-ორჯერ შეათამაშა ხელში და სწრაფად ისევ დაუშვა, — ერთ—ორს ხმლიან კაცსაც კი შევებმები, მრავალს კი ასე ჩაცმული ადვილად დავემალები ტყემრავალ მხარეში, მაინც, საით მიეშურები, ჩემო ფერის?

— საითა და ჯერ ბოჭორმას — ვარაზვარდთან, მერე ვერენაში — ქობულთან, მერე კაწარეთში — კაწარელთან, ნინოწმიდელთან ნინოწმიდაში, რუსთაველთან რუსთაველში. ერთი ხუთი კაცი უნდა ვაწვიო ჩემს პატრონს რევისა.

ბერას თვალები გაუფართოვდა.

— რა ამბავია? გუშინწინის წინ ცოლი დაასაფლავა და ამ დროს წვეულება და თუნდაც რაიმე საქმის დაწყება? სად გაგონილა!

— ვაი ასეთ წვეულებას, ჩემო ბერავ. ჩემმა პატრონმა მონაზვნობა მოისურვა, ჩოხანი უნდა ჩაიცვას, საპატიო პირნი უნდა დაისწროს, აღთქმის დადებისას წესი უნდა შეისრულოს მონაზვნად აღკვეცისა.

— მაშ, ძალიან გამწარებია სიცოცხლე ცოლის დაკარგვით, — დასძინა ბერამ. — მერე შვილები?

— განა მონაზონს კი არ შეუძლია მოუაროს?

— ესეც კია. ფრთხილად კი იყავ. იორი ადიდებულია. ბოჭორმიდან მოვდივარ. გწყალობდეს ბოჭორმის წმიდა გიორგი. ბოჭორმის არემარეზე რატომღაც ცალქალამანიძის გუნდი დაძრწის. ერთ ადგილას შემხვდნენ, მიცნეს უჯარმელი ზენკალი: შარშანწინ კვეტარში აბჯარი მაკეთებინა იაზონმა. შემაჩერეს და მკითხეს, ვაჩე ისევ რევისთან არისო? ხალხი ხომ არ დაიარება რევისთანაო? ვაჩე, ვითომდა მონაზონი, საცა კი გაჩნდება, იქ უსათუოდ რაღაც ამბავი ხდებაო.

ფერისმა გაიცინა.

— მართალი უთქვამთ, ჩემო ბერავ. ვაჩე მოვიდა და ხომ გითხარი, რევიმ მონაზვნად აღკვეცა გადაწყვიტა-მეთქი. ვინ მეთაურობდა იმ რაზმსა? თვითონ იაზონი?

— არა, მისი მომდევნო ძმა აეთი, თვრამეტი წლის ლაწირაკი. ჩემგან რომ ვერა გაიგეს რა, თავი მანებეს. ნამდვილი გველის წიწილთა ბუდეა ეს კვეტარი. სამი წყვილი ტყუპ-ტყუპადაა შობილი: პირველი იაზონია. მეორე აეთი. აეთს მოჰყოლიან ტყუპნი გუბაზი და გუდანი, გაუწყრეს გუდანის ხატის მადლი, მერმე დაბადებულა ცალიანი ბედური, შემდეგ მეორე ტყუპი ლომი და ვეფხვი, და ტყუპი მესამე — აფთარ და ბოცვერ. ამ მეორე და მესამე ტყუპებისათვის, როგორც ეტყობა, ადამიანური სახელები ვეღარ მიუყენებიათ და მხეცებისა დაურქმევიათ. შეეფერებათ კიდეც...

ბერას ამ სიტყვებზე ფერისმა გადაიხარხარა.

— ჰო, მე და ჩემმა ღმერთმა! — დასძინა ბერამ. — მეტადრე ბოლოლეებსა. ექვს-ექვსი წლისანი იყვნენ, კვეტარში რომ ვიყავი. ღვთის რისხვად იქცეოდნენ ხოლმე, თუ ვინმე უნებლიეთაც რასმე აწყენინებდათ, სულ ცოფებს ჰყრიდნენ. წამოიზრდებიან და ქვეყანას აამტუტებენ. ბოროტება არც წინამორბედ ძმათ აკლიათ. ეს კია, რომ უმცროსნი უფროსთ ემორჩილებიან და ყველანი იაზონის სიტყვას მისდევენ. ოი, ზეციერო გამჩენო, როდის მოგვასვენებ თავგასულ დიდგვარიან მეკობრეთაგან.

— მალე იქნება, მალე, ჩემო ბერა, — დასძინა ფერისმა და ცხენი გაქუსლა.

ბერამ თვალი გაადევნა.

„იცის რაღაც და არ თქვა, — გაიფიქრა მან, — მაგას გავიგებ. ღმერთმა ქნას, ღმერთმა! თუ რამე გვეშველება, მაგაზე უკეთესი რალა იქნება?“

პირჯვარი გადაიწერა და უჯარმისაკენ იბრუნა პირი.

— შესდექ! — უთხრა ბრძანების კილოთი დაბურული ხევიდან გადმოსულმა მხედარმა.

ბერამ გულგრილად ახედ-დახედა. მხედარს ზარადით პირისახე დაემალა. ჯაჭვსაბურვლიდან მოუჩანდა მხოლოდ ანაპერწკლებული კუნაპეტი თვალები. ხმლის ვადისათვის ხელი წაეელო და მზად იყო დაესაჯა გაუგონარი.

— რა გნებავთ, ჩემო უფალო? — შეეკითხა ბერა.

— ვინ არის ის მხედარი?

— ვერ ვიცანი.

— როგორ თუ ვერ იცანი?

— რას მიტევ? რატომ უნდა მეცნო? შემიძლია განა ახლა გიცნო? ჩამოგიფარებია ზარადი, ჩემო უფალო, და საიდან გავიგებ, თუ ვინა ხარ! თუ აქ ახლოს იყავი, ადამიანი იარაღში ჩასმული, შენ თვითონ მიხვიდოდი და ჰკითხავდი, თუ ძალიან გსურდა მისი ვინაობის გაგება. შენ უფრო გაგცემდა პასუხს... იმისმა მხარ-ბეჭმა ხომ არ შეგაშინა, ჰა?..

მხედარს უკანასკნელ სიტყვებზე სიბრაზით თვალები აუციმციმდნენ.

— ღმერთო სვეტიცხოველო, ჯვარო პატიოსანო და წმინდა გიორგი ბოჭორმისავ, — ახსენა ბერამ თავის სალოცავები და თავის კეტს თვალი გადაავლო. შვინდის გულიდან გამოეთალა თავისი ხელით კომბალი და კოხტად დაეჭრელებინა. ადლზე მეტი სიგრძისა იქნებოდა. სიმაგრით რკინას უდრიდა, ისე იყო დროთა ვითარებაში გამომშრალი. კომბლის მსხლური ყალიბის ბურთობ თაეზე ბერას თავისი საყვარელი გმირები გამოეკვეთა. ურყევად სჯეროდა, რომ მის კომბალს ძალას ჰმატებდა მასზე გამოსახული ვახტანგ გორგასალის გამარჯვებანი ბუმბერაზებზე. კომბლის თავის ზემო არეზე გამოენაკვთა ჯვარი პატიოსანი, მტერთან შებრძოლებისას მისი წყალობა რომ არ მოჰკლებოდა. კომბლის ყელზე ბოჭორმის წმიდა გიორგის სახე გამოეყვანა: წმიდანს მდაბიო ხალხის მოსარჩლედ ჰსახაედა.

— ჩემო იმედო, — გამოელაპარაკა გუნებაში ბერა თავის კეტსა, — ერთია ჩვენი მოწინააღმდეგე, მოვერევით და გავიგებთ, ვინ არის ეს ვაჟბატონი.

განრისხებულმა მხედარმა შეუტია:

– მაგ თავხედობას არ შეგარჩენ. დაგსჯი, ჯიუტო! ყურებს ჩაგათლი!

ხმალი იშიშვლა და ბერას მარჯვენა ყურისაკენ სწრაფად დაუშვა.

ბერას ყურის ნაცვლად ხმალი მოულოდნელად კეტს მოხვდა. მოძრაობით მობოშებულ პატრონის ხელს დაუსხლტა და მოშორებით მარცხნივ დაეცა.

ბერამ იერიში მიიტანა უხმლოდ დარჩენილზე, მაგრამ მხედარმა მეყვსეულად ცხენი ხმლისაკენ გადაახტუნა. ცხენიდან ტანის სწრაფი გადაკიდებით ძირს დაცემულ იარაღს ხელი დასტაცა და ისევ დაეუფლა.

მხედრის ამგვარმა ოსტატობამ ბერას კეტარი გაახსენა. ასეთი ფანდით მიწაზე დაგდებულ ნივთს ცხენიდან მხოლოდ აეთი ცალქალამანიძე იღებდა. რამდენჯერმე ენახა ეს ყმაწვილი სხვებთან ერთად მოვარჯიშე. თუ სხვები, ცხენზე მჯდომარენი, ცხენიდან ცხრავჯერ ძირს დაგდებულ ნივთს ერთხელ იღებდნენ, ან სულაც ვერა, აეის ხელი ცხრავჯერკე გამარჯვებული რჩებოდა. მოაგონდა ბერას, რომ ერთხელ ამ ყმაწვილმა მის თვალწინ ძირს დააგდო ბაგრატეული, ცხენიდანვე გაუჭირვებლივ დაეპატრონა და წამოიძახა, ასე ადვილად ჩამაგდებინა ხელში თვით ბაგრატიცაო.

„დიახ, აეთია, ლაწირაკი! — გაიელო გულში ბერამ. — ბოჭორმასთან გუნდით დამხვდა ზარადახდილი, აქ ზარადჩამოშვებული მარტო მომევლინა, ცხენგამოცელილი, ფრთხილობს და, როგორც ჩანს, გარეკანს იცვლის ხოლმე. ნეტა რას დაეძებს ეს გველის წიწილი, რომ შემომაკვდეს, იაზონის შურისძიებას ველარ წაუვალ, ალბათ მაგისი ამხანაგები აქ სადღაც დაძრწიან. ლაწირაკი! შეჯავშნულ ფერისს ეერაფერი გაუბედა და ქურდულად გეითვალთვალებდა კლდეს ამოფარებული. წავიდა ფერისი და მე, უიარაღოს, გულდაგულ მომადგა. ლაწირაკი! მე ვუჩვენებ მაგას, როგორი უიარაღოცა ვარ!“— ფიქრი შეწყვიტა. ხმალი კიდევ ემუქრებოდა. აიცდინა. კეტი აზიდა, ცხენისათვის თავში უნდა დაეცხო: წავაქცევ ჰუნეს და პატრონიც ძირს დაეცემაო.

მაგრამ კეტი ფარს მოხვდა.

გაისმა საყვირთა ხმა. აეთიმ საყვირითვე უპასუხა. თავისიანები იცნო და ბერას უფრო მედგრად შეუტია.

„თავს ეუშველოთ, ჩემო თავო, – იფიქრა ბერამ, – თორემ ცუდადაა ჩვენი საქმე“.

მომავალ მხედრებს თვალი მოჰკრა. დიდხანს აღარ უფიქრია: ერთი კიდევ შეუტია მოწინააღმდეგეს, უკან დაახევინა; გზა დააგდებია და იქვე ახლოს, ტევრში შეიჭრა. მხედარი გამოეკიდა, მაგრამ ღრმა ხევს წააწყდა. ცხენით დადევნება აღარ ხერხდებოდა. ისრებს მიმართა, მაგრამ ვერც ამითი გააწყო რამე, ხეების სიხშირე უშლიდა.

ბერა კი თითქმის დაუბრკოლებლივ მიექანებოდა. უჯარმელი უჯარმის არემარეზე და უჯარმის სამხროზე მრავლად მიმოფანტულ ხეებს კარგად იცნობდა.

მხედარი იდგა ერთ ადგილას გააზნებული: გულზე ცოფის ალი მოსდებოდა და სახეზე მრისხანება აღბეჭდოდა.

მოუვიდნენ ამხანაგები. ზარადახდილნი აემართნენ წინ.

– რას გასცქერი, აეთ? – გამოელაპარაკა ხნიერი მხედარი და მზრუნველის თვალი გადაავლო. – აღელვება გეტყობა.

– თაეხედი! გამექცა! – წამოიძახა თითქოს პასუხად აეთად ხმობილმა. ტევრისკენ მუქარით ხელი გაიქნია. – დამაცა! კიდევ შეგხვდები!

ხნიერმა მხედარმა ხელი წაავლო. ხელმა ალერსით სითბო აგრძნობინა თავმოყვარეობაშელახულს და გული დაუოკა. აეთი გამოერკვა და მახლობელი დაინახა.

– რა მოგივიდა, დისწულო! – ჰკითხა ხნიერმა.

აეთმა ზარადი აიხადა. თვალებიდან სიბრაზის სისხლი გადაყროდა, მაგრამ სიმკაცრის სხივები მაინც სცვიოდა.

– სირცხვილი მაჭამეს, – წაილაპარაკა ყრუდ.

– მიამბე, შვილო, ბიძაშენს, გულთფარს, ვინ გაწყენინა? დავსჯით.

– ვინა და უჯარმელმა ზენკალმა, ბოჭორმის მიდამოებში რომ შეგვხვდა, იმან.

აეთმა გულთფარს თავისი თავგადასავალი უამბო.

– მხედარი, შვილო, იქითკენ მიმავალი, – გულთფარმა ხელი გაიშვირა, – თავს როდი იმალავდა, ფერისი იყო, ერთგული შინაყმა რევისა, მაგარი ვაჟკაცია. არავისი არ ეშინია. ყველაფერი მითხრა. რევის

დავალებით მიეშურებოდა: ბოჭორმას ვარაზვარდთან, ვერენას ქობულთან, კაწარეთს კაწარელთან და იქიდან ნინოწმიდაში ნინოწმიდელთან, მერმე რუსთავში რუსთაველთან. სახლში იწვევეს ამათ ყველას. რევის სურს, ამ ხუთი პირისა და თავისი სიმამრის თანდასწრებით აღიკვეცოს მონა'ვნად. ტყუილად წაჰკიდებიხარ ბერას. ფერისს რომ დაჰნახვოდი, ის ყველაფერს გიამბობდა.

— მაინც გადავუხდი ბერას.

— ბერა, შვილო, კომბლის ხმარებაში განთქმულია. ხშირად სამს გაჰმკლავებია. მაგრამ მეტს თუ ნახავს, ბრძოლას თავს არიდებს. საყვირთა ხმაზე მიხვდა, ალბათ სამზე მეტნი რომ ვიყავით და თავი აგვარიდა, თორემ მარტო ერთს არ შეუშინდებოდა.

ნამდვილი ბაგრატი არ ყოფილა ეს ბერა?! — წამოილაპარაკა გულთფარის გვერდით მდგომარე ჭაბუკმა მხედარმა. — ბაგრატმაც ხომ ეგრე იცის. თუ ნახა, რომ მტერს პატარა ძალა აქვს, მაშინვე შეუტევს, თუ მოეჩვენა, მტერი უფრო ღონიერიაო, მისი აჩრდილისაც კი ეშინია და ან ზემო ქართლის კუნჭულებს აფარებს ეავს, ან გარბის თავის აფხაზეთისაკენ, როგორც ბერა ახლა თავის უკარმისაკენ.

ამ შედარებამ ყველა გააცინა. მხოლოდ აეთმა პირზე ღიმილიც კი არ გაიკარა: საწყინოდ ჩასწვდა გულში ბიძის სიტყვები. თვითონ ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ბერა მის მკლავს გაექცა, ბიძამ კი განუცხადა, ბერა ერთს არ შეუშინდებაო.

— არ გადამირჩება ის თავხედი, ისა, — წამოილაპარაკა ბოროტი, მტკიცე კილოთი და ბოჭორმისაკენ გაუძღვა რაზმს. უნდოდა, ფერისის შემდეგ კაწარელიც ენახა, ბოჭორმელიც, მისი მზვერავი სული ზედმეტის გაგებას მოითხოვდა. გულთფარის გადმოცემული ფერისის სიტყვები დამაჯერებლად არ მიაჩნდა.

„ვაჩე არსაკიძე, ცხრა შვილიც რომ მოუკვდეს, — ფიქრობდა ჭაბუკი, — სხვა მხარეს წავა, თქმა არ უნდა, მათ მოსატირებლად, მაგრამ ბაგრატის საქმესაც არ დაივიწყებს. მამაჩემი კარგად იცნობდა მაგ ნახევარბერს და მეც და იაზონსაც საკმაოდ გაგვაცნო“.

ბერა ზენკალი უჯარმის თავისუფალ მოქალაქეთა რიგებს ეკუთვნოდა, მაგრამ რევის მაინც თავის პატრონად აცხადებდა. გორგასალის დიდი მოთაყვანე სხვანაირად ვერ მოიქცეოდა, რევი გორგასალის ჩამომავალი იყო და ბერა მასთან კავშირს არ სწყვეტდა. ზენკალს გული საგულეში აღარა ჰქონდა, თუ რევისა და მის მახლობლებზე ვინმე უდარილებდა. ცალქალამანიძიანთ რაზმი რევის ოჯახში რაღაცას ეძებდა. ბერამ კარგად იცოდა, რომ ცალქალამანიძიანთგან კარგი არა გამოვიდოდა რა, და გადაწყვიტა, რევისთვის შეეტყობინებინა ყველაფერი. თავის სახლსა და სახელოსნოს გვერდი აუქცია და ძველთა მეფეთა ნათესავის პალატისაკენ გასწია. რევი გარეთ დახვდა. სიმამრს ელაპარაკებოდა, ბერამ ორივეს გამარჯვება მოახსენა.

— გაგიმარჯოს, ჩემო ბერა, გაგიმარჯოს! — მიაგება სიტყვები რევიმ, — გეტყობა, შინიდან არ მოდიხარ, ნამგზავრი ხარ, რაზე გარჯილხარ?

— საქმემ მომიყვანა, ჩემო უფალო, საქმემ! საამბობელი რამე მაქვს.

— აბა თქვი, ჩემო ბერა, თქვი!

ზენკალმა არ დაახანა. დაუყოვნებლივ უამბო ცალქალამანიძიანთ რაზმის თარეში ბოჭორმისა და უჯარმის მიდამოებში დაზვერვის მიზნით და თავისი თაგადასავალიც ფერისთან შეხვედრის შემდეგ.

რევიმ ვაჩეს წარუდგინა ერთგული ადამიანი.

— საჭურვლის დიდი ხელოსანია, მაგრამ თვითონ კი მებრძოლია კომბლით, — მოახსენა სიმამრს სიძემ.

ვაჩემ თვალი ააყოლ-ჩააყოლა საჭურვლის ლიდ ხელოსანს, მოიწონა მისი ბრგე ტანი, შეღერებული ყელი, მის მკლავთა კუნთები, ფეხთა სიმტკიცე, სიღრმიდან მაცქერალი და სიკეთის სხივთა გამომცემი თვალები, და გაიფიქრა:

„თუ გაგიერთგულდა, გათავდა, შენი იქნება, ფეხდაფეხ მოგყვება ყოველ კეთილ საქმეში, მაგრამ, თუ ბოროტ საქმეზე გახელებას დაუწყებ, თვითონვე მოგიტრიალდება ნაწყენი და მშვიდობით, ველარ გადურჩები.

ზენკალს თვალი თვალში გაუყარა.

— მერმე რატომ არ უთხარი იმ ახალგაზრდას, თუ საით და რისთვის მიდიოდა ფერისი? — ჰკითხა ვაჩემ. — ხომ გიამბო ყველაფერი ფერისმა?

— რატომ არ ვუთხარი? — ბერამ უხმოდ ჩაიცინა, — რად უნდა მეთქვა? უწესო მოპყრობაზე კაცი ჩემგან უწესო მოპყრობას უნდა მოელოდეს: როგორც მომმართა, ისეთი პასუხიც მიიღო. ჩვენ, უჯარმელები თავისუფალი ხალხი ვართ. ვუგონებთ რევის, ძველთა მეფეთა ნათესავს, კელავაც გავუგონებთ, თუ ღმერთი მოგვცემს სათავეში, კაცთა მეკობრეების ბრბოებისა და მეკობრე დიდგვარიანების ამლაგმელს და არა ლაწირაკ აეთს მეკობრის ბუნაგიდან გამოსულს. კვეტართან უშაროდ ვერავის გაუვლია. მგზავრები გაწამებულები არიან ცალქალამანიძეებისაგან. თუ, ცხენი ჰყავს ვინმეს — ცხენის საბალახოს ცხენის ფასად ახდევინებენ, თუ ურმით მიდის ვინმე და ხარების დაკარგვას შიშობს. ვაჭარი ვერ გაუვლის კვეტარს გვერდით, რომ ნახევარი თავნი არ დაკარგოს. რამდენჯერ უჩივლიათ აღსართანთან დაზარალებულთ და ვერაფერს გამხდარან. ის რაზმი რომ არ გასჩენოდა იმ ლაწირაკს, მე ვიცოდი, რასაც ვუზამდი. იმისი ბედი, ჩემს კომბალს რომ გადაურჩა და ჭკუა ვერ ვასწავლე.

ვაჩეს მოეწონა ბერას ლაპარაკი და რევის გადახედა.

— ერთი მათგანია, — აცნობა მოკლედ რევიმ, — და მერე ძალზე თავდადებული.

— კარგი ზენკალი ხარ? — ჰკითხა ვაჩემ.

ბერამ გადახედა ვაჩეს და გაიღიმა. ეს იმას ნიშნავდა, თავს ვერ ვიქებო.

— ჩვენს პატრონ რევის ჰკითხეთ.

ვაჩემ განაგრძო:

— ბევრი გიკვეთავს აბჯარს?

— ჩემი ხელობის მრევლია ჯერ უჯარმა, მერმე ბოჭორმა, ვერენა, სოფლები და თვით კვეტარიც კი, საცა რამდენიმე თვე მამუშავა იაზონ ცალქალამანიძემ და თვისი და თვისი ძმების ვინაობა კარგად გამაცნო.

— მაშ, შენ სახელოსნოში ხშირად გნახულობს ხალხი.

— როცა უჯარმაში ვარ, მაშინ.

— რა? განა ამ მხარეში შენს მეტი არავინაა ზენკალი, სხვაგანაც რომ გიწვევენ?

— უჯარმაში რამდენიმენი ვართ, მაგრამ მე ისეთმა წუწია ადამიანმაც კი გამიწვია, როგორიც აზონ ცალქალამანიძეა.

— ზენკალთა თავია, — დაუმატა ბერას სიტყვებს რევიმ, — მათი წინამძღვარია.

დუმილი ჩამოვარდა. ვაჩე ფიქრობდა: „ხალხს ბევრსა ხვდება, ზენკალთა წინამძღვარი ყოფილა, ასეთი ადამიანი ბაგრატის სასარგებლოდაც ხომ ბევრ რამეს გააკეთებს, რომ დავავალო...“ — ფიქრი შეწყვიტა და სიჩუმე დაარღვია:

— მინდა აბჯარი შემოგიკეთო, ჩემო ბერა!

— ვისთვის გინდა? — ჰკითხა რევიმ. — შენთვის? თან შეიარაღებული ამალა გდევს

— მერე რა არის? არ შემეფერება? თუკი მთავარანგელოზი გაბრიელი შეჭურვილია, რატომ მეც არ შემიძლია? მაგრამ ჩემთვის არ მინდა. მე ჩემი ერთი ჯავშანიც მყოფნის, ქვეშ რომ მაცვია მკერდის დასაცავად. — ისევ ბერას მიმართა: — რამდენ ხანს მოუნდები გაკეთებას?

— შენ მალე გნებავს, არა? კარგა დრო უნდა, ჩემო უფალო! მაგრამ მე მაქვს დამზადებული სიმების ძალზე სამი კაცისათვის. საგულდაგულოდ გაკეთებულია, აქ მოგარომევ და აირჩიე, ორი დღის შემდეგ გეწვევით.

ბერამ დასტური მიიღო და შინისკენ გასწია.

ზენკალს მოხუცი თვალში მოუვიდა. მისი სადა ლაპარაკი გულში მოხვდა.

„აბა ვინ ააგებდა სვეტიცხოველს, თუ ეგ არა?“ — ფიქრობდა მიმავალი ბერა.

— ღმერთმა შეარცხვინოს მაგასთან ბევრი ერისკაცია და მონაზონიცა. გარედან შეხედო მაგის ხელქმნილს, გული გინათდება, შიგნიდან შეხედო, კვლავ გული გინათდება, თვითონაც გინათებს გულსა“.

ბერა სალოცავად დაიარებოდა სვეტიცხოველში. მისი წინაპრები რომელიღაც სასანიანს გადმოჰყოლოდნენ მცხეთიდან უჯარმაში და მთელი გვარეულობა მას აქეთ აქ მოსახლეობდა, მაგრამ ძველ სალოცავს კი არ ივიწყებდა. ბერაც ამ შემთხვევაში გვარეულობის წესის ნამდვილი მიმდევარი იყო. ტყუილად კი არა თქვა ზენკალმა, ღმერთო სვეტიცხოველოო, აეთთან შეტაკებისას: მამა-პაპათა სალოცავი გაიხსენა. ბერა ხშირად სწვევია სვეტიცხოველის დღეობას და საასპარეზოდაც გამოსულა. ზენკალს კეტით დაუმარცხებია კეტიანიცა და ხმლიანიც და თავისი გამარჯვება სვეტიცხოველის სურვილისათვის მიუწერია. ასეთი

მათაყვანებელი სკლეროზისაგან, თქმა არ უნდა, სვეტიცხოველის ამშენებელსაც მაიკოფერების თვალით შეხედავდა. ბერამ სამუდამოდ ჩაისვენა ვარჭის სახე, რეცი და მისი ოჯახი ძალიან უყვარდა ბერას და ვარიც თავისი გულის იმათ წილ კუთხეში მოაქცია.

მივიდა თუ არა შინ, მაშინვე გაღმოალაგა სამი კაცის საჭურველი, საგულისგულოდ გაკეთებული, სამი ჯავშანი, სამი მუზარადი, სამი წყვილი სამკლავე, სამი ფარი და სამი წყვილი საბარკული. ჯავშნები გულდასმით გადაათვალიერა.

— სამივე ძნელად იგესლება, — წაილაპარაკა ბერამ თავისთვის. ფარებს მიუტრიალდა. ერთი აიღო. ხელი გადაუსვა სიყვარულით.

— ეს ფარი ფოლადია. პირველად რევის პატარა მირანდუხტი რომ ვნახე და იისფერი თვალები შემომანათა, იმის ბედზე დავიწყე ამის გამოჭედვა. გამოვჭედე და ოქროს იები დავასხი. აი ამისი შესაფერისი წყვილი სამკლავეც, საბარკულიც. ესენიც ფოლადისანი არიან. ამათაც ოქროს იები დავასხი. აი შესაფერისი მუზარადიც. ამას, ირგვლივ შემობნეულ იებს გარდა, წინიდან ოქროს მგელ-ლომიც დავასვი. ბაქარის ძღვნად მინდოდა. გორგასალის სისხლია ეს ჭაბუკი და შვილივითაც მიყვარს. მაგრამ თუ მისმა პაპამ აირჩია ესენი, მისთვის სხვას გავაკეთებ, ამგვარებსვე. — ზენკალმა იებიანი ფარი ცალკე გადააწყო. ახლა სხვებზე შეჩერდა.

— აი ესენი იებიანს არ დაუვარდება, მეფესაც ეკადრება. ამ ფარს, საამისო მუზარადს, სამკლავეებს და საბარკულებს მტევან-ფოთლიანი ოქროს ვაზი აყრია. ამითია ჩვენი მხარე განთქმული. რატომ ესენი არ უნდა აირჩიოს? იმავე ფოლადისაა. ლამაზია. ესენი? — ბერამ კმაყოფილებით გაიღიმა. — განა ცუდია? შერცხვეს ბერაი, თუ ნაკლები იყოს დანარჩენებზე. მერმე ყველას ოქროს თავთავი აყრია, თავთავი, ვაჩეს საყვარელი ქართლის ფერი. — ისევ ჯავშნებს მიუტრიალდა. ერთი გაშალა.

— ეს ჯაჭვის პერანგი ხოსროვანია. ესეც ბაქარისთვის მინდოდა. ხომ ხოსროიანია თვითონაც. მაგრამ თუ აირჩია მისმა პაპამ, უარს როგორ ვეტყვი? აბჯრებს ზოგი დასამაგრებელი არა აქვთ. ორ დღეში მოვაგვარებ.

ბერა მეორე დღეს დილიდან ჩაუჯდა მუშაობას.

— ეჰეე! მონახე შენი სახელოსნო, ძმობილო? სადა ხარ, კაცო? — გამოელაპარაკა ბერას პირველი კარსმომდგარი. — მიაგდებ ხოლმე, შვილოსან, უჯარმასა დ მშვიდობით.

— მაშ, აბა, რა ვქნა? ხან ერთ ციხის თავს სჭირდება საომარი საჭურვლის გამთელება, ხან მეორესა და ხან ვისა და ხან ვისა. ჩემმა ბედმა ეგ მომაკუთვნა.

— არა, შვილო, ცოლი არა გყავს და ამიტომა.

— ცოლი რომ მყოლოდა, აქამდე აღარ მეყოლებოდა. ჩემს აქეთ-იქით სიარულში მომტაცებდა ვინმე.

— აი სწორედ მაგიტომაა საჭირო ცოლი, რომ მისმა თვალყურის დევნებამ დაგაბას. ეგ რაღად გადმოგილაგებია? მყიდეე ი იშოვე?

— რევის სიმამრმა მოისურვა ყიდვა.

— რევის სიმამრმა? გუშინ, კაცო, იმ მეკობართა ბუნაგის რაზმი შემხვდა. რატომ დაძრწის ამ ჩვენ არემარეზე, ღმერთმა უწყის! მკითხეს, ვაჩე როდის მიდისო? ხომ არ გაგიაო?

— მე ჯილდოს მპირდებოდნენ! — წამოიძახა ლაპარაკს შემოსწრებულმა უჯარმელმა: — გაგეიგე, როდის მიდის ვაჩეო. მაშ, თავი ცოცხალი რაღად მინდა, რომ ცალქალამანიძიანი რევის ოჯახს ვამჯობინო!

ცალქალამანიძიანი ვაჩეს წასვლის დღის გაგებას რომ ცდილობდნენ, სხვა მომსვლელთაგ ნაც გაიგო ბერამ და ცოტა არ იყოს, გული მოეკუმშა. ვაჩეს უკვე თავისიანად თელიდა. „ემანდ გზაზე თავს არ დაესხან“, გაიფიქრა ზენკალმა.

სამხრობისას, როცა ხალხი გაიკრიფა. სახელოსნოდან პალატისაკენ წასვლა განიზრახა, ვაჩეს ვაცნობებ გაგონილსაო, მაგრამ შეჩერდა.

— საჭურველს რომ მივიტან, მაშინ გავაფრთხილებ, — წარმოთქვა თავისთვის. — ჯერ ხომ მაინც არ წავა, სანამ რევი არ აღიკვეცება მონაზვნად.

ცოტა შეისვენა და მერმე ისევ საქმეს შეუდგა.

5

როგორც აეთ ცალქალამანიძემ გაიხსენა, ვაჩეს მართლა ნახევარმონაზვნის სახელი ჰქონდა დაგდებული. მართალია, ჩაიცვა ჩოხანი, მაგრამ ქვეყანას არ გასდგომია. არც ერთ სამონასტრო ტაძრის არეზე ბინა არ დაუდვია, არც ერთ სამონაზვნო ხარისხის მიღებას არ ცდილობდა ხუროთმოძღვარი. მგზავრობისას მუდამ სათანადოდ შეჭურვილი დაიარებოდა

და, როგორც „ნათესავსა ბრწყინვალეთა მათ ძლიერთა და დიდთა მეფეთა საარსაკიანთა“ ამალაც თან ახლდა ყოველთვის. აუცილებელ წესად ჰქონდა გადაქცეული. ფრთხილობდა, მოუსვენარ ხანაში ეცხოვრობთო. და ამიტომაც იყო, რომ თავისი ასულის დასაფლავებაზე მოსატირებლად წამოსულ უკვე მოხუცებულ მონაზონს იარაღში ჩასხმული მცველები მოჰყვნენ თან.

ვაჩე ბაგრატის მომხრეობაში გულითადობას იჩენდა და მის სატყვას გასავალიც ჰქონდა, რაც ბევრთ არ ესიამოვნებოდათ და მის გაქრობას არ მოერიდებოდნენ, თუ სადმე მოიხელთებდნენ, მაგრამ ამალის მყოლ ადამიანს ადვილად ვერას უბედავდნენ: ვაჩეს მცველნი შინაყმანი რჩეულნი ვაჟკაცნი და თავის პატრონის ერთგულნი იყვნენ.

ბევრს პირში გაუკიცხავს ვაჩე.

— ვინ მონაზონი და ვინ შენ? სად გაგონილა, რომ მონაზონი იარაღს ატარებდესო?

— „და დაადგინა ქერობინი მოტყინარე, და მახვილი იქცევისი დაცვად გზასა ხისა ცხოვრებისასაო“, — მიუცია პასუხი გაკიხულს „დაბადებიდან“ ამოღებული სიტყვებით და თანაც ზედ დაურთავს: — ხომ არ გგონიათ მახვილი თავისთავად მოქმედებდა?... ეგრე ყოფილიყო, ანგელოზის გვერდით ყოლა რაღად დასჭირდებოდა?... თუკი ანგელოზს შეუძლია მახვილის ჭერა, მე რაღა დამიშავებია, მონაზონსა, როცა ჩვენი ქვეყნის ხეს ცხოვრებისას არამცთუ მოლის საშიშროება გაძარცვისა, სძარცვავენ კიდეც წარამარა და მძარცველების გაძევებას უნდა ვცდილობდეთ. საამისოდ კი ყველას „მოტყინარე გული“ უნდა ჰქონდეს და ეჭიროს ხელში „მახვილი იქცევისი“.

ვაჩეს ხშირად გაუგია უკეთურთაგან თავისი მონათვლა ნახევარმონაზვნად, მაგრამ გული არ აჰფორიაქებია. თავისი თავი მაინც სრულ მონაზვნად ჰქონდა დასახული. ქრისტიანული ყოფა-ცხოვრების წესისათვის, რომელსაც მონაზვნები მისდევდნენ, პირად ცხოვრებაში არ გადაუხვევია.

მისი მონაზვნად აღკვეცა ცოლის სიკვდილმა გამოიწვია.

— ჩემი ცხოვრების ახალი თანამგზავრის გამონახვა აღარ მწადია, — განუცხადა ძმას, მელქისედეკ კათალიკოსს, — ჩოხანი უნდა ჩავიცვა.

ამ თქმას მალე საქმეც მოაყოლა: ჩოხანი ჩაიცვა. თავისი ასული ნანა მიათხოვა ნათესავსა ძველთა მეფეთასა, ჭაბუკ რევის, დიდად გა-

ნათლებულ ახალგაზრდას, და ოჯახიდან მთლად განთავისუფლდა. მისი გული და გონება შეიწირა მისთვის საყვარელმა ხელოვნებამ — ხუროთმოძღვრებამ და მომავალმა მთლიანმა საქართველომ, რასაც ყველაზე წინ აყენებდა მუდამ და რაც თავისი საყვარელი ხელოვნებით შეამკო.

საქართველოს მთლიანობა ვაჩეს სულიერ არეში ორი მთავარი ლიანდაგით მიემართებოდა: ერთ ლიანდაგს მიზანში ამოეღო სახსრებში დაწყვეტილი, დანაწევრებული საქართველოს ყველა მხარის ისევ მტკიცე ფიზიკურ ერთეულად აკინძვა; მეორეს კი ჰქონდა დასახული ქართველთა ტომების საერთო სულიერი კულტურის შეუპოვარ ფუძეზე დამყარება, გამკვრივება, წინსვლა და ახალ-ახალსახეობაში გადასვლა. საამისო ნიადაგს ვაჩე ხედავდა ერთი ფუძის მქონე ქართველთა ტომების მრავალფეროვნებაში. უცხოეთიდან დაბრუნებულს ცოდნით დატვირთულს, ბევრის მნახველს, დიდი კულტურის მქონე ხალხებთან გაცნობილს ქართლოსიანთა მოდგმა გაცნობილებზე ნაკლებ ხალხად როდი მიაჩნდა და მის დიად მომავალს უკვე თვალითა სჭვრეტდა, თუმცა კარგად ხედავდა გამძლავრებულ დიდგვარიანთა აღვირახსნილობასაც.

— მაშ ასე: საბერძნეთთან მეფის მორიგებით ლიპარიტს ნიადაგი გამოეცალა, — გაახსენა მოწვეულთა მოლოდინში რევიმ ვაჩეს წინანდელი ნალაპარაკევი. — ქართლის დიდგვარიანთ ვეღარ მოუნელებიათ ლიპარიტის ზვიადობა და უქმაგოდ დარჩენილ გოროზ ადამიანს დაატყვევებენ. მაგრამ თვითონ ამ დამტყვევებლებსაც ხომ შეოკება უნდათ? ზოგი მათგანი თუ ერთგულია ბაგრატისა, ზოგი ხომ თავისაკენ მიიწევს? ტაო-კლარჯეთის წვრილფეხა აზნაურობაც კი საბერძნეთს ეტმასნება. შესძლებს ბაგრატი, ყველა ალაგმოს?

— შეძლებს თუ არა, ამას შემდეგი დაგვანახებს, მაგრამ ბაგრატი რომ შეუპოვრად იბრძვის დიდგვარიანთა დასამორჩილებლად და გულს არ იტეხს, ამას ყველა ეხედავთ, დროდადრო, მართალია, ხელი ეშლება გარედან შემოჭრილი მოვლენებით, მაგრამ, ჩვენი ქვეყნის ეტლი გაერთიანებისაკენ მიექანება, ეს ნათელია ჩემთვის. ბაგრატს ერგება წილად ეს გაერთიანება თუ მის მომავალთ, ამისას ნიშანდობლივ ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ყოვლისა საქართველოს გამთლიანება რომ ბაგრატიანთა გვარის ხვედრია, ეს უდავოა. ამის საწინდარი ბაგრატის პაპამ — ბაგრატმა მოგვცა. ერთ დროს ჩემმა გვარმა, არსაკიანთა ოჯახმა, ულამპრა

ქართლოსიანთა მოდგმას: დიდი რომი თავის მეგობრად და მოკავშირედ აცხადებდა იბერიელთ, არსაკიანებით გაძლიერებულთ. ამის თავდებია ფარსმან ქველი, ცხენიანი ქანდაკება რომ აუმართეს რომაელებმა მარსის ველზე. ერთ დროს შენი წინაპარნი სასანიანნი იღვწოდნენ ყოვლისა საქართველოსათვის. მირიანმა ქრისტიანობის სხივები მიმოაბნია, გორგასალმა შორს გაუთქვა ქართლოსიანთა გმირებს სახელი და დაამკვიდრა საქართველოშიე თავი ყოვლისა საქართველოს ქრისტიანობისა. არჩილმა კიდევ თავისი წამებით განამტკიცა ქრისტეს მოძღვრება, კაცთა ძლიერი ჭკუის ნაკადი. ჯერი დაუდგათ ბაგრატიანთა.

— ბაგრატიანთ ვერ მოიგეს ტფილისის გული, — წამოილაპარაკა რევიმ.

— ყოვლისა საქართველოს გულის გული მცხეთაა, — უპასუხა მტკიცედ ვაჩემ და გონების თვალი გადაავლო დედაქალაქს.

„სადაა ამისთანა მეორე?“ — გაიფიქრა ვაჩემ და ხმამაღლა გაიმეორა:

— დიახ! მცხეთაა ყოვლისა საქართველოს გულის გული, — და თან დასძინა: — მცხეთა თავია ტფილისისაც და სხვა მრავალისაც. მცხეთა ეკუთვნა ქართლოსიანებს. აქ დაედოთ მათ მკვიდრი ფუძე. აქ გადიშალა მათი სული და გული. აქ დანთხეულა ქართლოსიანთა ოფლი და მით გაპოხიერებულ ნიადაგზე ამოყრილა დვრიტით უცვლელი, მაგრამ მრავალსახიანი ცხოვრების ახალ-ახალი ყლორტები. აქ არის ქართლის ფუძის ანგელოზი. აქ აღმოცენდა ჯვარის საყდარი, სასანიანთა უკანასკნელი ელვარება...

ვაჩე დადუმდა. სვეტიცხოველი აემართა წინ.

მცხეთა სატრფოდ ჰყავდა გადაქცეული ვაჩეს. თუ მეფის კარს არ იმყოფებოდა, მცხეთას მკვიდრობდა. ყველას ეგონა, გარდაიცვლება კათალიკოსი მელქისედეკი და ვაჩე თავის გზას მონახავსო. გარდაიცვალა კათალიკოსი მელქისედეკი და დაჯდა კათალიკოს—პატრიარქად მელქისედეკისაგან შვილად გაზრდილი ოქროპირი და ვაჩე მცხეთიდან არ დაძრულა: სასახლე ჰქონდა ბელტის ციხის ასწვრივ მაღლობზე ჩამოდგმული და იქიდან გასცქეროდა არაგვს, ჯვარის საყდარს, მისი ამგების ზენაარს ნიჭით გატაცებული, მტკვარს, ირგვლივ შემოლაგებულ მთებს და თავის ხელთქმნილ სვეტიცხოველს. ვაჩე აქ ეძიებდა თავის მარადიულ სამკვიდრებელსაც.

რევი უცქეროდა ვაჩეს სპილოსძვლისფერ დაღარულ პირისახეს, მის ჯერ კიდევ სწრაფმკვესავ თვალებს; თავისუფლად მსუნთქავ მკერდს, ურყევ ბუნებას და ნანას დაკარგვით გულდაკოდილს გული უამდებოდა.

„ასეთი ადამიანი მუდამ გვერდით რომ მყოლოდა, ადვილად გამოვიბრძმედებოდი, – ფიქრობდა იგი, – ჩემ ნანასაც სიცოცხლეს არ შევუმოკლებდი. ვერ ავუღე ალღო, ვერა, მის ავადმყოფობას!.. ვაჩე სულ სხვაა... მაგრამ ვინ გააჩერებდა უჯარმაში ასეთ ადამიანს? მისი მოსვლა აქ მუდამ ერთი-ორი დღით განისაზღვრებოდა, ან მოდიოდა შვილსა და შვილიშვილებზე თვალის დასაკრავად, ან საქვეყნო საქმისათვის. ოთხი დღეა სულ, რაც აქ არის. ამდენ ხანს რა დაარჩენდა აქ, რომ ერთად არ აკინძულიყვნენ, ნანას სიკვდილი, ბაგრატიანთა ერთგულება, ჩემი გადაწყვეტილება ჩოხანის ჩაცმისა და ბავშვების დაობლება? ამ ცოტა ხანში ბავშვები მთლად მოხიბლა. აი ახლა ჩვენ ორნი ზევითა ვართ, ჩემი ია კი მოუთმენლად ელის, როდის დავუძახებთ ან როდის ჩავალთ ძირს... ნეტა ბაქარმა რად დაიგვიანა? დამეთხოვა, სანადიროდ უნდა წავიდე, პაპას ძღვენი უნდა მოვართვაო. თხუთმეტი წლისაა, ბევრი რამ იცის, მაგრამ ბევრ რამეში ჯერ კიდევ ვერ ერკვევა. მეომრობისაკენ იხრება. ვინ იცის, უდროოდ გამომეცალოს ხელიდან, სადმე ბრძოლის მსხვერპლი გახდეს? იქნებ ვაჩეს გაუგონოს და სხვა გზას დაადგეს. ჩემს ბაქარს წიგნებში კირკიტი უყვარს... ვაჩე წინათ თუ მალავდა, იშვიათად თუ ამხელდა ხოლმე ბავშვების წილ გრძნობებს, ახლა აღარ მალავს. თითოეულ ნაბიჯზე ამხელს. მთხოვა, ჩემთან დაუდე ბინაო. ეს სამუდამოდ დათმობაა: არ შემიძლია უმათობა, თუმცა მონაზვნად უნდა აღვიკვეცო. მერმე რაა, რომ უნდა აღვიკვეცო, რამდენი მონაზონი უვლის უპატრონოს, უცხოებს, წრესგადასულებს, გარიყულებს. მე ამგვარებსაც მოვუვლი და ჩემებსაც, რომ ცხოვრებამ არ გარიყოს. მცხეთაში უნდა ჰყავდეს ვაჩეს ჩემი შვილები. თვეობით შემიძლია დავთმო ჩემი შვილები. თვეობით შემიძლია დავთმო ჩემი სისხლ-ხორცნი, წლობით ვერა“, – რევიმ ფიქრი შეაჩერა. მისდა შეუმჩნეველად მოხუცი ამდგარიყო და ფართო ღიადურიან სარკმელს მისდგომოდა. წალკოტს გასცქეროდა. რევიმ თვალი გააყოლა მის თვალს და ნანას საფლავზე დაინახა შეჩერებული.

ვაჩემ ეტრატი და საწერ-კალამი მოითხოვა. რამდენჯერმე გაუსვ-გამოუსვა ეტრატს და რევის მიუტრიალდა.

— ასეთი იქნება იქ საყდარი, — ნანას საფლავზე მიუთითა მან, — შენი და შენი ჩამომავლობის სამკვიდრებელი. აქ აღმოსავლეთის კედელია: სამი სარკმლით, ორი — ორ უბეში და ერთი მაღლა, შუა კამარის ზემოებში. ეს ჩრდილოეთის კედელია, ზემო კამარის ზემოებში ერთი სარკმელით. ქვემოებში კი, ნაპირებზე, მისი სვეტების დამჭერნი — მირიანი და გორგასალი. ეს სამხრეთის კედელია. აქაც თანატოლი სამი კამარის კამარნარია. შუა კამარის ზემოებში ერთი სარკმელი და ქვემოებში კარი, ნაპირებზე კი — კამერის სვეტების ამზიდავნი — ნინო და სალომე უჯარმელი.

ვაჩემ ლაპარაკი შეწყვიტა, ქვევიდან მირანდუხტის ჯიუტად ნათქვამი სიტყვები ამოიჭრა.

— არა, მე უნდა ავიდე.

— არ შეიძლება! — ამოჰყვა პირველის სიტყვებს ნინო გამზრდელის სიტყვები, — მოიცადოს, საცაა თვითონ დაიძახებენ ან ჩამოვლენ ძირს.

— რად უნდა მოიცადოს, რადა?

კიბეზე ასწრაფებული ფეხის ხმა გაისმა.

მირანდუხტმა ამოირბინა ზევით. იისფერ თვალებს ანაპერწკლებდა. მამა არ გამიჯავრდესო, პაპისაკენ გამოექანა. პაპამ ხელი მოხვია.

მამა გაოცებული უმზერდა შვილს.

— რა იყო, გენაცვალე? — ჰკითხა ტკბილად რევიმ, — რატომ არ მოიცადე?

„გენაცვალეს“ გაგონებაზე მირანდუხტი პაპას ხელიდან გაუსხლტა და მამას ჩამოეკიდა კისერზე.

— მამა, ბერა მოვიდა. პაპილოს ნახვა უნდა. ცხენით საჭურველი მოიტანა.

— სიტყვის კაცი ყოფილა! — წამოილაპარაკა ვაჩემ. — ამ ორი დღის წინათაც რომ მოგვადგა კარს და ამბავი მოგვიტანა, სამხრობა ახლოვდებოდა. დღესაც სწორედ სამხრობაა მოახლოებული. ასე თქვა, ორი დღის უკან მოვალო, და მართლაც ორი დღის უკან მოვიდა. მიყვარს ასეთი ადამიანი. წადი, შვილო, — მიმართა მირანდუხტს,— უთხარი, აქ ამოვიდეს. შენ კი იქ დარჩი.

მირანდუხტი რევის მოსცილდა და კიბისაკენ გაექანა.

— რა სწრაფი რამ არის ეს პატარა! — წარმოთქვა ვაჩემ და უსაზღვროდ მზრუნველი თვალი დაადევნა ბაღშეს.

ბერა მალე გაჩნდა პალატის ზედა სართულზე. მხარზე უზარმაზარი ხურჯინი ჰქონდა გადაგდებული. ზენკალს ვაჩე მიეგება.

— ჰო, ასე უნდა სწორედ, ჩემო ბერა, ასე. ხომ მოიტანე?

ბერამ ხურჯინი მოიხსნა, ქუდი მოიჩადა და სიმამრსა და სიძეს დაბლა თავი დაუკრა. გამარჯვება უსურვა.

— აი, გამომართვი, ჩემო უფალო, და რაც გსურს, აირჩიე, — მოახსენა ვაჩესა და ხურჯინიდან მოტანილი ტახტზე გადმოალაგა. ვაჩემ სიამოვნებით გაიღიმა. ბერას გადახედა,

— ჩინებული მოქმედიც ყოფილხარ, ჩემო ბერა! ეს ორი ალბათ სამანქანია, არა? ეს კიდევ, ეს მომცრო ჯავშანი, უსათუოდ ხოსროვანია.

— მართალი ბრძანე, უფალო, — დაუდასტურა ბერამ, — ეს ორი მართლა სამანქანია, მესამე მომცრო ხოსროვანია. მე თუ ჩინებული მოქმედი ვარ, შენ ჩინებულად ერკვევი, როგორც ვხედავ, საჭურველში.

ვაჩემ კიდევ გაიღიმა და ხოსროვანზე შეჩერდა.

— მსუბუქია, მაგრამ ისევე მტკიცეა, როგორც ეს ორი, — სამანქანაზე მიუთითა. — ამ ხოსროვანს, ალბათ, ეს ფარი, ეს სამკლავეები და ეს საბარკულები და კიდევ ეს მუზარადი უდგება. მე მგონია, კარგი გიქნია, იები რომ გამოგიყვანია ზედ. ამას ავიღებ.

ბერა გაშრა, ვაჩემ იებიანს ხელი დაადო. აბჯრის მოქმედს იმედი ჰქონდა, მოხუცი თავთავიანებს აიღებსო.

— რაა, გენანება? — შეეკითხა ვაჩე.

— არა, ჩემო უფალო. შენთვის არაფერი მენანება. მხოლოდ მეგონა, აი ამეებს აირჩევდი. გნებავს, აიღე. გეუბნები: არაფერი მენანება შენთვის-მეთქი. შენმა სახემ მტკიცედ მოიკალათა ჩემს გულში და მერმე ასეთები შემიძლია კიდევ გავაკეთო.

— არა, პირობა უნდა მომცე, რომ ამისთანას აღარ გააკეთებ. ვისაც უნდა მივთავაზო, მარტო იმას ჰქონდეს. ამისთანა სხვამ არავინ უნდა ატაროს.

— კარგი, ჩემო უფალო, — მოახსენა მორჩილებით ბერამ. ხოსროვანი ჯაჭვის პერანგი და სამისოდ გაწეწებული იებიანი ფარ-სამკლავე-საბარკულები და მუზარადი ტახტზე დატოვა და დანარჩენი ყველაფერი ისევ ხურჯინში ჩააბრუნა.

— მიგეჩქარება? — შეეკითხა ვაჩე ისეთნაირად, რომ ცხადად ჩანდა,

ბერასაგან კიდევ რაღაცას მოელოდა, მაგრამ თვალებგასხივოსნებულმა მირანდუხტმა ხელმეორედ ამოირბინა და ყველას ყურადღება მიიქცია.

— მამილო! — მიმართა რევის გოგონამ, — ბაქარი დაბრუნდა. ტახი მოუკლავს, ისეთი ეშვები აქვს, რომა! უჰ!... ვეებერთელა!

რევის ფერი ეცვალა. ამ ტახზე კარგა ხანია ლაპარაკობდნენ. მის დევნას დიდ საშიშროებად თვლიდნენ უჯარმის სანახების მცხოვრებნი. მამამ ძირა სართულს მიაშურა. მირანდუხტი ხტუნვა-ხტუნვით უკან აედევნა. ვაჩე არ დაძრულა:

„რაკი ცოცხალი დაბრუნებულა ჭაბუკი, მაშ არაფერი ისეთი არა დამართნია რა“, — გაიფიქრა მოხუცმა და მშვიდად გადახედა ბერას.

— ჩემო უფალო, — ალაპარაკდა ბერა, — შენი დაბრუნების დროს გარკვეულად ნუ დაასახელებ.

— რა ამბავია?

— რა ამბავია და კვეტარის ბუნაგის მეკობრეთა ბრბო ისევ აქ დაძრწის თურმე, როგორც გავიგე ჩემს სახელოსნოში შემოსწრებულთაგან. კითხულობენ, როდის მიდისო. შეიძლება, დაგეცნენ.

— ამალა მყავს შეიარაღებული თხუთმეტი ტალიკ-ტალიკი ვაჟკაცი. შენ ეგ მითხარი, ბერა, არ უნდა მოელოს ბოლო ასეთ აღვირახსნილობას?

— უნდა მოელოს, უნდა!

— მაშ მოჰყევით ბაგრატს!

— მზად ვართ. ოღონდ მოვიდეს. როდის გვეწვევა?

— რევი გაცნობებთ. თქვენ კიდევ თქვენ გარშემო რაც მოხდება, რევის აცნობეთ

ვაჩემ ლაპარაკი შეწყვიტა. კიბეზე ამომავალი ბაქარი დაინახა და გაიღიმა. ესიამოვნა თხუთმეტი წლის ჭაბუკის სიმკვრივე და მტკიცე ნაბიჯი.

— შე საძაგელო, როგორ გაბედე მარტოკა ტახზე ნადირობა?

— შენცა, პაპილო? მამაც შუბლშეკვრით დამხვდა. რა ვქნა, შემომეჩეხა. მე ხომ არ დავეძებდი. ვიღასგანაც უკვე ნადევნი და ძალიან გაბოროტებული ჩანდა ნადირი. რომ დამინახა, აღარ მოშერიდა. უნდა გამოვტყდე, შიშმა ამიტანა, მაგრამ გონება არ დამიკარგავს. გავიხსენე ჩვენი წინაპარი გორგასალი, თხუთმეტი წლისა რომ შეება ბუმბერაზ ბაყათარს. მეც ხომ თხუთმეტი წლისა ვარ. არ შევარცხვენ ჩვენს

წინაპარს-მეთქი, ვთქვი და გული გამიკაჟდა. უშველებელ წიფელს ამოვუდექი და ისე დავუხვდი შენი ნაჩუქარი მახვილით, პაპილო, ეშვის შემოკვრა ვეღარ მოასწრო. ერთი დაკვრით თავი გავუჩეხე.

— აი შენი მარჯვენის ჭირიმე, შენი! — შესძახა ბერამ. — ვაჟკაცი ხარ, ვაჟკაცი! — ზენკალმა ბაქარს მკლავზე აკოცა.

ვაჩემ სიამოვნებით კვლავ გაიღიმა.

— პაპილო! — განაგრძო ბაქარმა, — ნანადირევი ძღვნად შენ მოგართვი.

— აბა, რაკი აგრეა, — უთხრა ვაჩემ, — და მასახელე კიდეც, — ბერასგან შეძენილ საჭურველზე მიუთითა, — ესენი მიიღე ჩემგან სახსოვრად.

ბაქარმა პაპას გულზე აკოცა და საჭურველს თვალიერება დაუწყო, ბერას სახე გაუბრწყინდა: გაუხარდა, რომ ბაქარს არ ასცდა იებიანი საჭურველი. ხურჯინს ხელი წამოავლო, გაპარვა დააპირა, რაკი ბაქარს ჩაჰბარდა ის, რაც ბაქარისთვის ძღვნად სწადდა. ფასის აღებაზე გულში უარი თქვა.

„განა აქამდე კი არ უნდა მომეტანა ეს ძღვენი? — გაიფიქრა ზენკალმა. — მაგრამ, დასწყეველოს ჩემი თავი! ხან სად მიხდება ყოფნა და ხან სად. არავინ მაცლის."

ვაჩემ შენიშნა ბერას მოძრაობა და წინ ხელი გადაუღობა.

— ჯერ საზღაური მიიღე საჭურვლისა!

— რას ბრძანებთ, დიდო მოქმედო? სწორედ ბაქარისათვის მინდოდა მეძღვნა ეგ ყველაფერი.

— არა, რაკი აქნობამდე ვერ შეასრულე და მე დაგასწარ, გათავდა, აღარ უნდა წამომედავო.

ბერამ ვეღარა უთხრა რა ვაჩეს და საზღაური ჩაიბარა.

— პაპილო! — წამოიძახა სარკმელთან მიმდგარმა ბაქარმა, — აგე, ფერისი მოვიდა.

სამივე ძირა სართულისაკენ გაემართნენ.

პაპა-შვილიშვილმა და ბერამ ჩავლეს კიბე და ორი კამარიანი ვიწრო სარკმელით განათებულ მარცხენა ოთახში გაჩნდნენ. აქ წალოს წინ მდგომ ტახტზე ნინო გამდელი მოკალათებულიყო და საბანს ალიანდაგებდა.

— ია სადღაა? — ჰკითხა ბაქარმა ნინოს. დედის დასაფლავების შემდეგ ჭაბუკი, როცა შინ იყო, მუდამ კითხულობდა ბავშვს, რაკი გამდელთან აღარ დაინახავდა.

— სადღაა, უფლისწულო, და უფალს გაჰყვა, — მიუგო ნინომ თავაუღებლივ და თან დასძინა: — ტახს ეშვები უნდა გავუსინჯოო. ეს ვინ იცის, მერამდენეჯერ სინჯავს.

ვაჩე, ბაქარი და ბერა დარბაზში გავიდნენ, ნინომ მირანდუხტზე დაწყებული ლაპარაკი მაინც განაგრძო.

— მოუსვენრობს, გეთაყვა, თუმცა ცუდს არას კი სჩადის. არაფერი გამოეპარება რა. ყველაფრის გაგებას ცდილობს. ბევრს ისეთ რამეს მეკითხება პასუხს ვერ ვაძლევ. ნანაც მასეთი იყო ბავშვობისას. ნამდვილი დედამისია ია. ვაიმე, ჩემო უფლის ასულო ნანა, რომ შენ აღარ გიცქერი. ის არა სჯობდა, მე ჩავსულიყავ სამარეში! ზეციერო, დაილოცოს შენი სამართალი! მე ვის რაღად ვუნდივარ? — ნინოს მოხუცებულობისაგან მონაოჭებული სახე უაღრესად მოუნაოჭდა და თვალთაგან ცხარე ცრემლი გადმოედინა. მაგრამ სიტყვის ნაკადი არ შეუჩერებია. გამზრდელმა გაიხსენა ნანას სიკეთე და სილამაზე, შეელერი გამოხედვა, ყარყარა ყელი, წერწეტი და კენარი ტანი, პატარა ფეხის ამაყი გადადგმა, ლერწამივით რხევა, პატარა, გრძელ-წვრილთითება ხელი, მაგრამ ელვის სისწრაფით მოქმედი, მისი უნარიანობა, მისი მოყვალე, მაგრამ მტკიცე და უშიშარი გული...

ნანას ამ ღირსებების ჩამოთვლას და ნინოს „ვაიმეს“ ძახილს კარგა ხანს ბოლო არ მოელებოდა, რომ მირანდუხტი არ შემოსჭროდა.

— აბა, ჩქარა! მამა გეძახის. ჩამოდი ჩქარა. ფერისი მშიერია, მერმე ბერას და ტახის მომტანს მეურმეს უპურმარილოდ ხომ არ გავუშვებთ. ჩვენც ხომ სამხარი გვინდა. დროა, ჩქარა.

— ახლავე, ჩემო უფლის ასულო, დამაცა პატარა ხანს.

— რაღა პატარა ხანს? ჩქარა, ჩქარა და ჩქარა! — წამოიძახა ჯიუტად მირანდუხტმა და მიჩუმდა.

ნინომ საბანი დაკეცა და წალოში შედო. მიტრიალდა და ბავშვი ოთახში ველარ დაინახა.

— ღმერთო, რა სწრაფია! ზეციერო, შენ მიეცი დღეგრძელობა და ბედნიერი სიცოცხლე, — წარმოთქვა მოხუცმა და ძირდაყრილ ქოშებს თვალი გადმოავლო.

6

ფერისის მოტანილი ამბით რევის პალატს დღეს უნდა სწვეოდნენ მეუფენი კაწარელი, ნინოწმიდელი, რუსთველი და ერის კაცნი — ციხისთავი ბოჭორმისა ვარაზვარდი და ვერენიდან ქობულ, დიდ მწიგნობრად ცნობილი, მაგრამ აუცილებელი ომის დროს კარგი მებრძოლი.

მათი მომლოდინე პალატის მცხოვრებლებს დიდი აღელვება მოსდებოდათ და პატარა მირანდუხტსაც მოუსვენრობა გაორკეცებოდა. ვაჩე შვილის საფლავს დასტრიალებდა. მის გარემოს ზომავდა, თან ბერას მოყვანილ უჯარმელ ხუროებს იხმარებდა, უხსნიდა, თუ როგორი ეკვდერი უნდა აშენებულიყო. თან შიგადაშიგ იმასაც ეუბნებოდა, თუ რა ვნება მოჰქონდა ქვეყნის დაქუცმაცებასა და მრავალბატონიანობას ხალხისათვის. რევი ამზადისს შესდგომოდა სტუმრების მისაღებად. ბაქარი მთელი დღე შინ ტრიალებდა. მამის სხვადასხვა ბრძანებას ასრულებდა. ნინო გამზრდელი ფუსფუსებდა. შინაყმებიც დატრიალებდნენ და მირანდუხტისათვის არავის ეცალა. ბავშვი მიეყუდა დერეფნის სვეტს და ცრემლი გადმოყარა. დარბაზიდან გამოსულმა ბაქარმა დაინახა თუ არა მტირალი და, ხელში აიყვანა.

— ჩემი ია, ჩემი ია! რა გატირებს, გენაცვალე?

დაყვავების კილომ ბავშვი უფრო აატირა.

— სულე, გენაცვალე, სულე. გინდა პაპილოსთან წაგიყვანო? — შეეკითხა ბაქარი.

— პაპილომ მითხრა, იქ არ მოხვიდეო, — გაიშვირა ხელი დედის საფლავის მხარეს.

— წავიდეთ, გენაცვალე, და აგე იქიდან გადავხედოთ.

ბაქარმა ეზოს ნაპირს მიაშურა. მირანდუხტი დამშვიდდა. ბაქარს ლოყაზე ხელი მოუსვა და შუბლზე აკოცა.

— ჩემი ბაქარი, ჩემი ბაქარი, — დაუწყო ბავშვმა ღუღუნით, თავი მაღლა აიღო და ძმას თვალებში ჩააცქერდა.

— ბაქარ, შენც ხომ არ დამანებებ თავს?

— მერმე, ვინ განებებს თავს?

— მამა! — იყო მოკლე პასუხი.

ბავშვს კიდევ წამოსცივდა ცრემლები.

— ვინ გითხრა, იავ, ვინ? — შეეკითხა ბაქარი.

— ნინო გამზრდელმა. ვაი შენ, ჩემო პატარა იაო, დედამ ხომ თავი დაგანება და დაგანება, მოკვდა, წავიდა და ახლაც მამაც თავს განებებსო. მონაზვნად, ბერად უნდა წავიდესო, მთლად დაობლდებიო.

— მერმედა პაპაც ხომ ბერია, აბა თავი დაგვანება?

— პაპა ნახევარბერიაო, ნინო გამზრდელმა თქვა.

— მამაც ნახევარბერი იქნება, — უთხრა ბაქარმა, რომ ბავშვი დაეშვიდებინა. დანამდვილებით კი არ იცოდა, მამამისი, რევი, რა გზას დაადგებოდა მონაზვნობაში.

ფერისმა უამბო, მღვდელმთავრებს გაეხარდათ, როცა გაიგეს, რევი მონაზვნად უნდა აღიკვეცოსო.

„ჩემ შემდეგ ღირსეული კაცი აღარ იყო ჩემი ადგილის დამჭერი, — უთხრა თურმე ფერის ნინოწმიდელმა. — ვის შეჰშვენის ჩემი ადგილი ჩემი სიკვდილის შემდეგ, თუ არა რევის, ვახტანგ გორგასალის ჩამომავალს, ნინოწმიდის სამღვდელმთავროს დამაარსებლის ნაშიერს, მწიგნობარია დიდი“.

რევის განზრახვა რუსთველსაც და კაწარელსაც გახარებოდათ. თითოეული მათგანი დაიმედებული იყო ნინოწმიდელიეით და წარმოეთქვათ, ჩემს სამღვდელმთავროს მემკვიდრე გაუჩნდაო.

მღვდელმთავრების ასეთმა იმედებმა თხუთმეტი წლის ჭაბუკს ბაქარს, ცოტა არ იყოს, გული აუჩქროლეს, ვაითუ მამა გადაიბირონ და მონაზვნად აღკვეცილს ოჯახისათვის აღარ მოაცლევინონო. თვითონ რევი მაინც ძლიერ იერიშს არ მოელოდა მღვდელმთავრებისაგან და მტკიცედ იდგა თავის განზრახვაზე: მონაზვნად აღვიკვეცები, მაგრამ შვილებს თავს არ დავანებებ, სანამ არ მომაგრდებიანო. მისი სადარდებელი უმთავრესად მირანდუხტი იყო. ჭაბუკი ბაქარი უკვე ჭკუადამჯდარ ადამიანად მიაჩნდა და მისი იმედი ჰქონდა.

„მხოლოდ ჩემი ია, ჩემი ია მაფიქრებს“, — ფიქრობდა იგი და ემზადებოდა სტუმრების დასახვედრად.

ვაჩეს კი სიძის მონაზვნად აღკვეცა სრულებით არ აფიქრებდა და შვილიშვილების საკითხს სულ უბრალოდ წყვეტდა მოხუცი.

„თუ რევი მონაზვნობამ გაიტაცა, — ამბობდა ვაჩე, — ჩემი ნანას შვილები მე დამრჩება. ჯერ კიდევ ძალა მაქვს. იას უნდა მხოლოდ

მოლა. ბაქარი წელმაგარია. მალე იმდენად გაუმკვრიედება ჭკუა, რომ ცოლის შერთვასაც შეძლებს. ჩემი ნანას შვილები არ დაიკარგებიან, თუ ჩვენი ქვეყანა გაერთიანდება და ერთი სკიპტრის ხელში მოხვდება. რევი ბერად რომ აღიკვეცება, ორი წლის შემდეგ უკვე მღვდელმთავარიც იქნება, ან ნინოწმიდელი გახდება, ან რუსთველი, ან კაწარელი. სამიეე უკვე დაძაბუნებული მოხუცია. რევის ერთ-ერთის კვერთხი არ ასცდება და ბაგრატსაც ამ მხარეში უძლიერესი მომხრე ეყოლება.

სახელგანთქმული ხუროთმოძღვარი საქართველოს გაერთიანებისათვის ყველაფრის გამოყენებას ცდილობდა და შვილის საფლავზე ეკვლერის აგების წინასწარ მუშაობასაც ამისთვის იყენებდა. ორი საათის განმავლობაში ვაჩეს ორი ხუროს გული ისე მოეგო, რომ გაჭირვების დროს ორივენი თავიანთი ამხანაგების მთელ რაზმს მიაშველებდნენ.

ვაჩემ ხუროები დააჯილდოვა და ისე გაისტუმრა. თვითონ ერთი კიდევ მიტრიალდ-მოტრიალდა საფლავთან და მერმე ალმართს შეუდგა. პაპამ თვალი მოჰკრა ბაქარსა და მირანდუხტს და ხელი დაუქნია.

მირანდუხტი გაუსხლტა ხელიდან ძმას და პაპისაკენ გაეშურა.

— იავ, არ დაგორდე! იავ, არ დაგორდე! — დაუყვირა ბაქარმა.

მაგრამ ბავშვი აინუნშიაც არ აგდებდა თავდაღმართსა და პაპისაკენ შეუჩერებლივ მიექანებოდა.

ბაქარი არ დაძრულა პაპის მისაგებებლად: შორს, ივრის გაღმა დაინახა ცხენოსანთა პატარა ჯგუფი და ფიქრობდა ვინ უნდა ყოფილიყვნენ მომავალნი.

მირანდუხტი მივარდა ვაჩეს და მისი ხელი გულში ჩაიკრა. ვაჩემ ბავშვი ხელში აიყვანა და იისფერ თვალებში ჩააცქერდა. უყვარდა მისი თვალები: ნანას მოაგონებდა. მოხუცმა ბავშვს თვალებში სიწითლე შენიშნა.

— რად გიტირნია, ია? — შეეკითხა მზრუნველობით ვაჩე.

— რად გიძახიან, პაპილო, ნახევარბერს? — შეეკითხა მირანდუხტი პასუხის ნაცვლად.

ვაჩემ გაიცინა.

— რად გინდა იცოდე იავ?..

— მინდა. მითხარი, შენი ჭირიმე პაპილო! — შეემუდარა გოგონა.

— იმიტომ, შვილო, რომ მონასტერში არა ვცხოვრობ. მახვილსა და ჯავშანს ვატარებ.

— მთავარანგელოზი მიქელი რომ ატარებს მახვილსა და ჯაჭვანს, ისიც ნახევარბერია?

მოხუცმა გაიცინა და ბავშვი გულში ჩაიხუტა.

— რად გაიცინე, პაპილო? ჩვენ გვაქვს შინ ხატი მთავარანგელოზისა.

— რატომ მეკითხები, შვილო, ასეთ რამეებს?

— მინდა, მამამაც შინ იცხოვროს, თავი არ დაგვანებოს.

მოხუცი შეკრთა ბავშვის ამ სურვილზე. ეს იმას ნიშნავს, რომ რევი ბერი მონასტერში არ დაბინავდებოდა: ბავშვების გულისთვის შინ დარჩებოდა და მღვდელმთავრობის თანამდებობას ათეული წლობით დაჰშორდებოდა. მონასტერში კი მუდმივი ყოფნა გორგასალის ჩამომავალს სწრაფად გადაადგმევინებდა ნაბიჯს მღვდელმთავრობისაკენ. ამის თავდები იყო რევის გამობრძმედილობა ღვთისმეტყველებასა, აღმოსავლურსა და ბერძნულ სიბრძნეში. მღვდელმთავარს რევის, თავისი თანამდებობის წყალობით, როგორც დიდი გორგასალის ჩამომავალს, საჭრძნობი გავლენა იქნებოდა მთელ გარე კახეთზე. საქართველოს მთლიანობას ერთი ძლიერი მომხრე ეყოლებოდა ამ მხარეში...

ვაჩემ ფიქრი შეწყვიტა. ბაქარი ახლოვდებოდა.

— პაპაჩემო, აგე! მოდიან, მგონი. აი ის ორი ჯგუფი კაწარელისა და ნინოწმიდელისა იქნება, გაღმიდან გამოვიდნენ. ეტყობა, ნინოწმიდელს კაწარელისთვის გამოუვლია. აგე, მესამე სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ივრის გამოღმა ნაპირებს ამოჰყვა: ალბათ რუსთველი იქნება. აი კიდევ ორი ჯგუფი ჩრდილოეთიდან გამოჩნდა. უსათუოდ ქობული იქნება და ბოჭორმელი.

— აბა, მაშ მამას შეატყობინე, შვილო.

ბაქარმა პალატს მიმართა. აღმართს ამოსული ვაჩე ქვაზე ჩამოჯდა შესასვენებლად. ია მუხლებზე მიეყრდნო და თვალებში შეხედა.

პაპას ბავშვის თვალებიდან ნაღვლიანი ძრწოლა ეცა.

— გეშინია, შვილო?

— მოდიან, მამას წასაყვანად, მოდიან! — გაისმა მწარე წამოძახილი და ვაჩეს ჟრუანტელმა დაუარა ტანში.

პაპამ გულში ჩაიკრა შვილიშვილი.

— დედასთან მინდა წავიდე, პაპა, დედასთან. მეც მინდა მოვკვდე.

იამ ცრემლები გადმოყარა. ვაჩეს გული მოეკუმშა, მაგრამ ბავშვის დასამშვიდებლად ბაგენი არ ამეტყველებია.

„დაე განიცადოს ტკივილები, – თქვა გულში მოხუცმა. – პატარა იმდენად ჯანსაღია სხეულითაც და გონებითაც, რომ აიტანს. ასეთი ამბები აკაჟებს ადამიანსა და ცხოვრებისათვის გამოსადეგად ხდის. რევი, თქმა არ უნდა, ჯერჯერობით თავს არ დაანებებს შვილებს, მაგრამ,, ადრე თუ გვიან, მაინც მოუხდება თავის დანებება. მთლად თუ არა, მთელი თავისი ცხოვრების სამ მეოთხედს მაინც თავის სამწყსოს მოანდომებს და პატარა მირანდუხტი თავიდანვე უნდა შეეჩვიოს ამ მოვლენას, რომ განუმტკიცდეს სული, გული, ხასიათი და რევიმ თუ ახლა არა, შემდეგ მაინც გააკეთოს ჩვენი ქვეყნის საქმე ამ მხარეში. დიდ მსხვერპლს მოითხოვს ქვეყნის მთლიანობის დამყარება და განმტკიცება და ეს მსხვერპლი შეწირულ უნდა იქნას ყველასაგან. – ვაჩე წამოდგა, – დიახ, ყველასაგან!“ – დასძინა მტკიცედ მოხუცმა და ბავშვს თვალი გადაავლო. ცრემლთა დენა შეჩერებოდა. ვაჩემ ხელი ჩაჰკიდა და ნელი ნაბიჯით პალატს მიმართა.

– პაპილო! – დაარღვია სიჩუმე მირანდუხტმა.

– რა არი, შვილო!

– შენ არ გებრალები?

ვაჩე გააოცა პატარისაგან გაგონილმა თქმამ და თანაც გულიც ძალზე ატკინა.

– სად გაიგონე, ბავშვო, ასეთი სიტყვა? – შეეკითხა ვაჩე ჩახლეჩილი ხმით.

– ნინო იძახის ხოლმე: ღმერთს აღარ ვებრალები, რომ არ მივყავარ საიქიოსო.

ვაჩე შეჩერდა და შვილიშვილს ახედ-ჩახედა.

„ეს ბავშვი უბრალო ბავშვი არ არის, – გაიფიქრა მან. – უნარი ყოველნაირი თქმის გამოყენებისა დიდი აქვს“.

– შვილო, წამო ჩემთან მცხეთას, ჩემი ნაგები საყდარი არ გინდა ნახო. უუ! ისეთი დიდია და მაღალი, თვალს ვერ აუწვდენ. პაპა არ გიყვარს? – დაიღუღუნა ვაჩემ.

მირანდუხტმა პასუხი არ გასცა. რევი დაინახა. პაპას თავი ანება და მამისაკენ გაჰკურცხლა.

„ღმერთო, რა სწრაფია! – წამოიძახა ვაჩემ. ბავშვს თვალი გაადევნა: – ღმერთო, შენ ამაშორე ყოველგვარი გასაჭირი!“

რევიმ შენიშნა ბავშვის აღელვება, ხელში აიყვანა და თვალებში ჩახედა.

— შვილო, ნამტირალევი ხარ?

— მამი, თავი არ დამანებო! არ დამანებო! — შეემუდარა მირანდუხტი.

— მერე, როდის განებებ თავს!

— მონაზვნად რომ უნდა აღიკვეცო?

— შენ მაინც თავს არ დაგანებებ, შვილო.

მაღლიერმა ბავშვმა მამას პირზე აკოცა.

მალე ვაჩეც მოვიდა სიძესთან.

— პაპილო! — მიახარა მირანდუხტმა, — მამა თავს არ დამანებებს. ახლა შენთანაც წამოვალ მცხეთას.

გულდამშვიდებული ბავშვი ისევ პაპას ამოუდგა გვერდში.

რევი სტუმრების მისაგებებლად გაემართა. ჩაჰყვა ხეხილით დაჩრდილულ წალკოტის ხეივანს, ცალად დარჩენილმა ადამიანმა ნ. ნას საფლავს გადახედა და ამცნო, პირობას ვასრულებო. გაუარა მუხის წამოზიდულ ტოტებქვეშ მოქცეულ აუზს. გაშინაურებულმა გარიელებმა იცნეს პატრონი და კაკანი ასტეხეს: ძღვენს მოითხოვდნენ, წელს ნანას სურვილით მოაყვანინა ეს ფრინველები, ჯერ კიდევ ჭუჭულები. ნანამ დაზარდა.

— ცუდი ფეხი მომიტანეთ, გარიელებო, ცუდი! — უსაყვედურა ფრინველებს რევიმ და აუზს გასცილდა. წალკოტის ბოლოს მოექცა. გალავნის კართან დადგა და იქიდან ამოხედა წალკოტს. დიდი არ იყო, მაგრამ კაცის თვალს მაინც ატკბობდა. რევის კი ახლა დარდებს უშლიდა. გალავნის გასწვრივ ჩარიგებული მაღალი ვერხვები წარამარა ათრთოლებდნენ თავიანთ ფოთლებს და ვაივაშის ჰანგებს აბნევდნენ რევის ყურისათვის. სასანიანთა ჩამომავალმა პირი იბრუნა და გალავნის კარისაკენ მოხდენილ უჯარმის გზას გახედა. სტუმრებად ნაგულეე ჯგუფს ქალაქში შემოედგათ ფეხი. გეზი რევის წალკოტისაკენ ჰქონდა აღებული.

წალკოტის თავს ბაქარი გადმოდგა და რევიმ ხელით ანიშნა. ბაქარმა წალკოტის მხარეს გაიხედა, მარჯვენა ხელი აათამაშა და რამდენიმე წუთის განმავლობაში შინაყმათა გუნდი შემოიგროვა. გუნდი ბაქარიანად თავქვე დაეშვა და რევის ზურგთუკან ამოუდგა.

მალე გალავნის კარს სტუმრები მოადგნენ.

მღვდელმთავართა მხლებლებში მხოლოდ ორი თუ სამი ბერი ერია. სხვები შეიარაღებული ქრისკაცები იყვნენ.

რევი ჯერ ნინოწმიდელს მიუახლოვდა. სამ მღვდელმთავარს შორის პირველობა მას ეკუთვნოდა. სასანიანმა კურთხევა სთხოვა და ხელზე ემთხვია.

— საქვეყნო საქმეს შესდგომიხარ, შვილო! — უთხრა ნინოწმიდელმა.

რევიმ თავი დახარა და რუსთველისაკენ გადაინაცვლა.

— კეთილად გატაროს, შვილო, ახალ გზაზე. — აკურთხა რუსთველმა.

რევიმ ახლა კაწარელისაკენ გადაინაცვლა.

მღვდელმთავრებში მესამე ადგილი მას ეკავა.

კაწარელმა სევდა ამოიკითხა რევის თვალებში.

— მონაზვნად აღკვეცა იმას არ ნიშნავს, — უთხრა მან სასანიანს, — რომ ამ ქვეყანას მთლად ხელი ჰკრა. ქვეყნისათვის ზრუნვით კაცი უფრო მეტს მოიგებს თავის სულისათვის. ყველაზე მთავარია შინაურსა და გარეულს გაჭირვების დროს დაეხმარო და მერე ილოცო თავისი და სხვისი სულისათვის ღმერთისა მიმართ.

— ჭაბუკო, ძლიერი ხარ! — შეესმა ამ დროს რევის სიტყვები.

ნინოწმიდელი ბაქარს ელაპარაკებოდა.

ბაქარი ნინოწმიდელს ცხენიდან ჩამობრძანებაში შეელოდა.

— შენ, ბაქარ, ახლა შეგიძლია ოჯახსაც გაუძღვე, — გაიგონა რევიმ დამატებით ნინოწმიდელის სიტყვები და გაიფიქრა: „ნინოწმიდელს სურს, როგორც ეტყობა, ოჯახს მომაშოროსო. რუსთველმა გარკვეული არა მითხრა რა თავისი მოკლე თქმით. რა სახით გულისხმობს ჩემს ახალ გზას, არ სურს ამხილოს. მაგრამ, ეტყობა, კაწარელი მიმიხვდა განზრახვებს და დასტური დამცა".

— ჭაბუკო, მართლა ძლიერი ხარ, — გაიგონა რევიმ ახლა რუსთველის სიტყვები.

ბაქარი თავისი ხერხიანი ხელით ახლა რუსთველს წასშველებოდა ცხენიდან ჩამობრძანებაში. რევი გაინაბა. რუსთველისაგან სიტყვის გაგრძელებას ელოდა. მაგრამ სასანიანთა ნაშიერს მეტი აღარაფერი გაუგონია რა.

ბაქარმა ახლა კაწარელს წააშველა ხელი.

— ყოჩაღი ვაჟი გყოლია, შვილო. — უთხრა რევის კაწარელმა. — ვფიქრობ, მხცოვანობისას დიდი ნუგეში გეყოლება.

რევიმ მადლობა გადაუხადა კაწარელსა, მერე ქობულისა და ვარაზ-

ვარდისაკენ იბრუნა პირი. ახლა ამათ უძღვნა სალამი და მეგობრული თვალით გადახედა. ქობული მისი ნათესავი და მასწავლებელი იყო, ვარაზვარდი — მისი ძმადნაფიცი, უებრო მეომარი. რევიმ სტუმრები პალატისაკენ გაიწვია. ყველანი ჩამოქვეითდნენ და ბაქარის გუნდთან ერთად უკან აედევნენ წინ მიმავალ მღვდელმთავრებს. რევისა და ორ დიდებულს, მერე ხეივანს მწყობრ ჯგუფებად შეეფინნენ.

პალატთან მღვდელმთავრებს ვაჩე შემოხვდათ. ხუროთმოძღვარს ხელში მირანდუხტი ეჭირა. გვერდით ნინო გამზრდელი ამოსდგომოდა. მირანდუხტი თავისებური სისწრაფით დაუსხლტა ხელიდან პაპას და მამასთან გაჩნდა. ბავშვს თვალები უცნაურად აუციმციმდნენ. მამამ ხელში აიყვანა.

— ჩემი ხარ, შვილო, ჩემი! — წასჩურჩულა ყურში მირანდუხტს. — არასოდეს არ დაგანებებ თავს.

ბავშვი დამშვიდდა და კმაყოფილება აღებეჭდა თვალებში.

მღვდელმთავრებმა სალამი უთხრეს ხუროთმოძღვარს. მან მათგან ლოცვა-კურთხევა მიიღო. მეუფეებმა იმედი გამოთქვეს, ხუროთმოძღვრის მადლიანი ხელი ჩვენს დაზიანებულ ტაძრებსაც გამოასწორებსო. ვაჩემ თავაზიანად აღუთქვა ყველაფერი და დაუყონებლივ აზრად გაიკლო: „მღვდელმთავრების წინადადებებით ვისარგებლებ, მათთან ხშირად ყოფნას ტაძრების გამო საბაბად გავიხდი და განუმტკიცებ მათ საქართველოს მთლიანობის აღდგენის აუცილებლობას ბაგრატიანთა დინასტიის ხელში“.

მეუფენი ახლა ნინო გამზრდელს მიუტრიალდნენ.

მხცოვანმა მანდილოსანმა შესთხოვა მღვდელმთავრებს, ელოცნათ, რათა მისი სული საიქიოს მალე დაბინავებულიყო მისი გაზრდილის ნანას გვერდით.

— რას ამბობ, ნინო? მირანდუხტს რაღა პასუხს აძლევ? შეეკითხა ნინოწმიდელი.

— ეჰ, მეუფეო, დავბერდი, ძალა აღარა მაქვს. ბავშვი სწრაფია და ვეღარ მომივლია.

— ბავშვი მართლა სწრაფია, — დაასკვნა კაწარელმა და მირანდუხტს ყელზე იშვიათი ხელობის ფერადი მინანქრით გამოყვანილი მიქელ მთავარანგელოზის ხატი ჩამოჰკიდა.

ბავშვმა დახედა ხატს და წამოიძახა:

— ნახევარბერი!

— რატომ ნახევარბერი, ბავშვო? — ჰკითხა კაწარელმა.

იმიტომ, რომ მახვილი უჭირავს. პაპილოც ნახევარბერია და მახვილით დაიარება.

მღვდელმთავრებმაც და ყველამ გულიანად გაიცინეს, ვაჩეც სიამოვნებით იღიმებოდა.

მღვდელმთავრები, ქობული და ვარაზვარდი პალატის ზღვა სართულში აიწვიეს. მათი მხლებლები პალატის ძირა სართულის მთავარ დარბაზში მოათავსეს. ნამგზავრნი სამხარს უნდა შესდგომოდნენ.

7

სუფრაზე ვაჩესათვის სრულიად მოულოდნელი ამბავი მოხდა. როგორც პირველი მღვდელმთავართა შორის, პირველად ნინოწმიდელი ალაპარაკდა, დაილოცა და ამ თავის დალოცვაში სწორედ იმ გულმტკივნეულ საკითხს შეეხო, რომელიც მუდამ აწუხებდა ხუროთმოძღვარს, როგორც მამულიშვილს და რომელზედაც თვითონ მას უნდა ჩამოეგდო ლაპარაკი. ხოლო როგორ და როდის, ჯერ გადაწყვეტილი არ ჰქონდა. კაწარელს გარდა, ყველას საკმარისი გზა ჰქონდა გამოვლილი, მეტადრე რუსთველს და, ცოტა არ იყოს, ვაჩეს ერიდებოდა იერიშის მიტანა ნამგზავრ ხალხზე. ასე ფიქრობდა, როცა რევის მონაზვნად აღკვეცის წესის საქმე შესრულდება, მაშინ მოვუთხრობ მათ ყველაფერსო.

მაგრამ ნინოწმიდელმა მეუფემ თავისდა უნებლიეთ საქმე დააჩქარა.

— ჩვენი ქვეყანა დიდგვარიანთა მძლავრობისაგან სულს ძლივსღა ღაფავს! — წამოიღაღადა მღვდელმთავარმა. — და ამ სუფრაზე ჯერ მას უნდა ვუსურვო ძალის მოკრება და მის შემაწუხებელთა ქედმოხრა.

— ამინ! — დაურთეს ზედ რუსთველმა და კაწარელმა.

მღვდელმთავრებს ხმა მისცეს ქობულმა და ვარაზვარდმაც. სდუმდნენ მხოლოდ ვაჩე, რეკი და პაპის გვერდით მჯდარი ბაქარი, პაპის მოთხოვნით გარეული გარე კახეთის თავანკარ პირთა წრეში. თხუთმეტი წლის ყმაწვილი ჭაღარა ხალხში მოექცა უტოლებოდ და უხერხულად გრძნობდა სუფრაზე თავს. ბაქარმა არ იცოდა, როგორ დაეჭირა თავი. ყმაწვილს ყოველი მოძრაობა შეჰბოჭოდა. ნინოწმიდელის სიტყვებმა

ფიქრი სამშობლოს მდგომარეობისაკენ გადაუნაცვლეს და ცოტაოდენ მოუბოშეს გული.

სამშობლოს სიყვარული, სამშობლოსათვის თავგანწირვა და მისი დახსნა ოცნებად გადაქცეოდა ბაქარს. მამა წლობით აღვენთებდა გულში ყოველივე ამას და ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი სამშობლოს კეთილდღეობისათვის ბრძოლა. დედის სიკვდილმა და პატარა მირანდუხტის უღელად დარჩენამ რამდენიმე ხანს მიუყუჩა ეს მისწრაფებანი, მაგრამ პაპის დღედადღე წამქეზებელმა სიტყვებმა აუქოთქოთა სული და გული და ახლა ყმაწვილი მოუთმენლად ელოდა, თუ რას იტყოდა ვაჩე ნინოწმიდელისა და სხვა მოწვეულთა სიტყვების შემდეგ.

უფრო ლაღად იგრძნო თავი ბაქარმა ქობულის სიტყვებზე.

— მე დაუცხრომელ ბრძოლებში დამელუპა შვილები, — ბრძანა მოხუცმა. — აღარ დამენანებიან ეს დაღუპულნი, აღარ დავინანებ, რომ მყავდეს კიდევ იმდენი, გავწირავ და მეც თავს შევწირავ, ოღონდ ჩვენს ქვეყანას ეშველოს რამე და გამძლავრებულ მეკობრე დიდგვარიანთა ნაჯარდობას მოეღოს ბოლო.

— არც მე ჩამოგრჩები, ქობულ, — წარმოთქვა ბოჭორმის ციხისთავმა. — მაშ ვარაზვარდი არ ვიყო, თუ თავი არ შევაკლა მეკობრეებადქცეულ დიდგვარიანთა ალაგმვას, მხოლოდ მაჩვენეთ ადამიანი, რომლის გარშემო შემოვკრბებით.

ჩამოვარდა დუმილი. ბაქარმა თვალი პაპას შეავლო.

შვილზე ადრე სიმამრისათვის რევის მიეპყრო თვალი.

ქობულმა ჯერ ვაჩეს გადახედა და ჩაუცინა, მერმე ვარაზვარდს მიმართა:

— შენ, ვარაზვარდო! — დაიწყო მოხუცმა, — რად გავიწყდება, რომ ჩვენ ქვეყანაში ახლა მხოლოდ ერთი გვარია, რომელსაც ჩვენი ხალხი გაჰყვება. ამ გვარმა წარმოშვა აშოტ დიდი, დავით კურაპალატი, ბაგრატ III. აი სწორედ ამათ ნაშენის გარს გვმართებს თავისმოყრა.

ვაჩე წამოდგა და ბაქარი მთლად ყურადღებად იქცა. თავისუფალ მიმოხვრას მთლად დაეუფლა. უხერხულობის ნატამალსაც აღარ გრძნობდა:

— დიახ, ერთი პირია საჭირო, რომლის გარშემო თავს მოვიყრით! — დაიწყო ვაჩემ და ნინოწმიდელს გადახედა. — ჩვენი ქვეყნის შემაწუხებელთა და ქვეგამხედვართა ქედმოხრა მაშინ მოხდება, როცა ერთმფლობელო-

ბის ფესვების გადგმას ხელს შეუწყობენ მთელი ქვეყნის მოჭირნახულენი და გულშემატკივარნი. ამას მხარი უნდა დაუჭიროს ეკლესიამ. თქვენ კიდევ, — მიმართა ხუროთმოძღვარმა ახლა ქობულსა და ვარაზვარდს, — იქ, სადაც სიტყვა არ გასჭრის, ან სიტყვას განმტკიცება მართებს, მახვილი უნდა აღმართოთ. მართალი ხარ, ქობულ, ერთიმფლობელობის ძალის გამტარებელი ახლა ბაგრატიონთა გვარში უნდა ეძიოთ. ამის უნარი უკვე გამოიჩინეს მისმა ნაშიერებმა: შენ აკი დაასახელე კიდეც. ყველას გვახსოვს, რა ქმნა ბაგრატ III კურაპალატმა. თავისი ერთმფლობელობის განმტკიცებით მეფე სპარსთა მეგობარ და ერთგულ ჰყო. ჩვენი ქვეყნის თავმოყრით გაძლიერებულმა ბერძენთა მეფესაც დიდი შიში ჩაუნერგა გულში. ბაგრატმა, ქართველთა და აფხაზთა მეფემ, პირველი ადგილი მიიკუთვნა სხვა ქვეყნების ხელმწიფეთა შორის. მის მოაჯენ იქცა ყოველი ხელმწიფე. ბაგრატს დაემორჩილა ყოველი მტერი და ჩვენ ქვეყანას მიემადლა მშვიდობა. მაშ შევუწყოთ ხელი ერთმფლობელობას და ჩვენი ქვეყნის შემაწუხებელნი და ქვეგამხედვარნი ქედს მოიხრიან, აღვირახსნილი და გამძლავრებულნი დიდგვარიანნი აილაგმებიან. არსაკიანთა და სასანიათა ნაცვლად ბაგრატიანთა გვარი მოევლინა ჩვენს ქვეყანას მესვეურად და ამ გვარს უნდა გავყვეთ, მათში სჩქეფს ჩვენი ქვეყნის გარდასულ სხვა შტოთა მეფეების სისხლიც.

— მერმე? ახლანდელი ბაგრატი შესძლებს რამეს? — დაიწყო კაწარელმა, — ლიპარიტს ვერ გაჰმკლავებია და კახეთ-ჰერეთის თავგასულ დიდგვარიანთა და საეჭვო გვარის მეფეთ გაუმკლავდება, ჩვენგან მხარდაჭერას რომ მოითხოვს, ხომ გაგვანიავეს, თუ ბაგრატი დამარცხებული დაბრუნდა? ჩვენ გვინდა ქვეყნის მთლიანობა, მაგრამ თუ სათავეში ძლიერი ხელისა და გონების მქონე არ მოექცა, საქმეს წავაგებთ. აი, აქ როცა გვიწვევდით, თითქმის ფეხდაფეხ მოჰყვა იაზონის ძმა თავისი რაზმით თქვენ გამოგზავნილ კაცს. ფერისი ნინოწმიდელისაკენ გაემართა და აეთმა კარი დაგვიკაკუნა. გათავხედებულმა გამოკითხვა დაგვიწყო. თან დაუმატა, ის ნახევარბერი მარტო შვილის დასაფლავებაზე არ მოვიდოდაო. ყოველ მოვლენას თავისი მიზნებისათვის იყენებს ხოლმეო. სასულიერო წოდების პირველი წარმომადგენლები ვართ და ჩვენი მორიდებაც კი არა აქვთ გამძლავრებულ დიდგვარიანთ. თუ ფეხი დაგიბრუნდა, მონად გაქცევენ.

— და განა ახლაც დამონებული არა ხართ? — დაიწყო რევიმ. აღელვებულმა სიმამრს პასუხის თქმა აღარ აცალა: — რატომ უნდა ვისხდეთ გულხელდაკრეფილი. მხარი მხარს მივცეთ და შევებრძოლოთ თავგასულებს. გავუწოდოთ ხელი ქართლში ქვეყნისათვის მოწაღმართე ხალხს, თავგასულთა ალაგმვის მოსურნეთ. შეუდგეთ საქმეს. ჩვენ სწორედ ბაგრატის გარშემო უნდა მოვიყაროთ თავი. არაა მართალი, რომ ძლიერი ხელი და გონება არ ჰქონდეს ამ მეფეს. ყოველთვის დაუნიავებია კახეთის თავგასულნი დიდგვარიანნი, როცა კი შემთხვევა მისცემია და შინაურ საქმეში გარედან შემოჭრილი ძალა არ გარეულა. დიახ, ძლიერია ლიპარიტი, მაგრამ განა ბაგრატი არ დასცემდა ძირს ამ თავგასულს, რომ ან საბერძნეთს და ან აღმოსავლეთის ათას ნასხლეტს არ შეეშალა ხელი მისთვის? თუ ძლიერი არაა ბაგრატი, ჩვენი ქვეყნის გულშემატკივრებმა მხარი მივცეთ მას და გავაძლიეროთ. სიძლიერეს ქმნის ერთად მოქმედება. თუნდაც რომ დამარცხდნენ ერთადმოქმედნი, ცალ-ცალკე მოქმედებაზე, თუნდაც ძლიერებაზე, მაინც ძლიერნი იქნებიან, ჭირს უფრო ადვილად აიტანდნენ.

— მართალს ჰღალადებს რევი, — დაასკვნა ქობულმა.

— დიახ, მართალს ჰღალადებს, — დაეთანხმა ქობულს ვარაზვარდი.

რუსთველმა კმაყოფილების ნიშნად თავი დაიქნია.

— რაღა თქმა უნდა, მართალია რევი, — წარმოთქვა ნინოწმიდელმა და ვაჩეს მიმართა: — ქართლიდან ახლად მოსულხარ და გეცოდინება იქაური ამბების ვითარება.

— გაიგონებდით, ბაგრატი დაბრუნდა საბერძნეთიდან და საბერძნეთის იმპერატორთან მორიგებულა. ქართლის დიდგვარიანთ თვითონვე მობეზრდათ ლიპარიტის თავგასულობა და უქომაგოდ დარჩენილს კაი ღღე არ მოელით.

ვაჩემ გააცნო ბაგრატის ის სიგელიც, რამდენიმე ღღის წინათ რომ წაუკითხა რევის.

სტუმრებმა ნახეს, რომ მთავარი ამქოთებელი ქვეყნისა მალე ალაგმული იქნებოდა და ბაგრატი ზურგგამაგრებული წამოვიდოდა კახეთისაკენ. ყველას იმედი მიეცა, დიდგვარიანთა თარეშს ბოლო მოეღებაო.

ქობულმა და ვარაზვარდმა ნინოწმიდელს გზის დალოცვა სთხოვეს ერთმფლობელობის განმტკიცების საქმეში.

— მეუფეო, მეც დამილოცე გზა! — მიმართა წათამამებულმა ბაქარმა ნინოწმიდელს: — მახვილი მიკურთხე, რომ ქვეყნის სასარგებლოდ ავამოქმედო ჩემსა და მამიჩემის ნაცვლად.

— არა, შვილო! — უთხრა მამამ. -- მართალია, მონაზვნად უნდა აღვიკვეცო, მაგრამ ეს ნაბიჯი მახვილის აღებაში ხელს როდი შემიშლის. გაიხსენე, შვილო, თორნიკე მონაზონი.

რევიმაც გზის დალოცვა სთხოვა ნინოწმიდელს.

ვაჩეს სული ხარობდა. ბაგრატის საქმე კეთდებოდა. სიმაგრეები: რუსთავი, ვერენა, ბოჭორმა და სამღვდელმთავროები: კაწარეთი და ნინოწმიდა, მათი სანახები უსისხლღვროდ გადავიდოდა ბაგრატის ხელში. უჯარმა ხომ რევი სასანიანის სამკვიდრებელი იყო ხალხის თვალში. ერთი კი ეთქვა რევის, ბაგრატიანთ ვუჭერ მხარსო, და ვერც ერთი ციხისთავი ვერ შეაჩერებდა იქაურ მოსახლეობას. ყველა რევის გაჰყვებოდა. აქაურების ოცნებაში რევი და მისნი ნაშიერნი ისეთივე მეფური უფლებით იყვნენ აღჭურვილნი, როგორც მათი წინაპარი ნამდვილი მეფენი.

„რევი თუ ნინოწმიდელის ადგილს დაიჭერს თავის დროზე, — გაიფიქრა ვაჩემ, — მთელი გარე კახეთის პატრონი გახდება სინამდვილეში, აუჩემებია, მირანდუხტს თავს ვერ დავანებებო მირანდუხტის გახსენებაზე ხუროთმოძღვარს უცბად ერთმა აზრმა გაუელვა თავში. მოხუცის ფიქრთა დენა სხვა გზით წარემართა: — ხალხი რევის მეფედ სთვლის, თუმცა მას სინამდვილეში მარტო ეს პალატიღა დარჩენია თავისი არემარეთი. მაგრამ რევი ხელს გაიქნევს და აქაურ ხალხს წამსვე გაიყოლიებს. რაკი ასეა, სინამდვილეში მეფე ყოფილა, მხოლოდ უმამულო. მამული მისი სხვას წარუტაცნია, სამაგიეროდ ხალხის გული კი მისია. ჩემი შვილიშვილები მეფისწულები არიან. რატომ არ შეუძლია ბაგრატს ასეთი ოჯახის ქალი ირძლოს. ჩემს მირანდუხტს ბავშვსავე ეტყობა, რომ მეფის თანამეცხედრეობის ღირსია. თამამად შეუძლია მხარი დაუმშვენოს ბაგრატის მემკვიდრეს“.

ვაჩემ გადაწყვიტა მირანდუხტიცა და ბაქარიც ერთი-ორი თვე მცხეთაში წაეყვანა, სადაც უნდა დახვედროდა ბაგრატს მისივე ბრძანებით.

„სასანიანთ გვარიდან სასძლოდ მიყვანა ბაგრატს არამცთუ გარეთაში, შიგნით კახეთშიაც და თვით ჰერეთშიც თანაგრძნობას მოაპოვებინებდა. მირანდუხტი ისეთი ბავშვია, არ შეიძლება მნახველმა ყურადღება არ

მიაქციოს. მირანდუხტი ისეთია, რომ " — ვაჩეს ფიქრები შეუჩერდა. ნინოწმიდელი გამოელაპარაკა:

— ხუროთმოძღვარო, როდის აპირებ ქართლში დაბრუნებას?

— რევი აღიკვეცება მონაზვნად და მეორე დღეს მეც დავიძვრები, — მოახსენა ვაჩემ.

— არ შეიძლება ნინოწმიდაში წამობრძანდე და საყდარს თვალი გადაავლო? მიწისძვრამ კედელი გაუბზარა და გამოცდილი ხუროთმოძღვარია საჭირო.

ვაჩემ პასუხის გაცემა ვეღარ მოასწრო. სარკმლებიდან მირანდუხტის ხმა შემოიჭრა:

— უნდა ავიდე! უნდა ავიდე!

— ნუ იცი შენ ეგ, — გაისმა ნინო ხმაც. — მამა გაგიჯავრდება არა უშავს რა, მოიცდის.

-- ეჩქარება, ნინო გამზრდელო! ეჩქარება!

მალე მოისმა მსუბუქი ფეხის ხმა ზედა დარბაზში, სწრაფად გაიღო კარი და მირანდუხტმა შემოირბინა.

— პაპილო! პაპილო! ბერა მოვიდა, ბერა! — წამოიძახა ბავშვმა შემოსვლისთანავე. მამას გადახედა. უხერხულობა იგრძნო. თვალებიდან უკმაყოფილების სხივი მოხვდა და სახეზე შიში აღებეჭდა.

— მამა, ახლავე წავალ! — უთხრა რევის მირანდუხტმა ტირილს მიახლოებული კილოთი. — მე მარტო პაპილოსთან მოვედი.

ბავშვი დაიძრა და ნელ-ნელა თავდაღუნული, გულდაწყვეტილი გაემართა ძირს ჩასასვლელად.

რევიმ გადაინაცვლა კიბის კარისაკენ, იქ უკვე გასასვლელად მისული შვილი ხელში აიყვანა და ცრემლიან თვალებში დაუწყო ცქერა. ბავშვმა სწრაფად იგრძნო მამის ლმობიერება და თვალებიდან გამონაკრთობმა სიხარულის სხივებმა ცრემლები აუბზინეს.

მამამ აკოცა.

— აღარ მიჯავრდები, მამა? — წაჟღურტულა მირანდუხტმა. — თავს არ დამანებებ, არა? შემეშინდა, გავაჯავრე და თავს დამანებებს-მეთქი.

— არა, შვილო, არა! წადი, უთხარი ბერას, აქ მოვიდეს.

მირანდუხტი გახარებული მიიმალა კიბის ხვრელობში.

მალე ბერა გაჩნდა ზემო სართულში, მოწიწებით შეჩერდა კართანვე,

დაბალი სალამი მისცა გარე კახეთის წინამძღოლთ, კურთხევა ითხოვა მღვდელმთავრებისაგან.

— რას იტყვი, ბერა? — ჰკითხა ვაჩემ. — შეგიძლია ყველაფერი დაურიდებლად თქვა.

— ძალიან გაახშირეს კვეტარის ბუნაგიდან უჯარმის მიდამოებში თვალყურის დევნება. ცნობაა, ჩემო პატრონო, რომ ნამდვილად თქვენი მოსპობა უნდათ. ეს აქამდის თუ კანტიკუნტად და საეჭვოდ ისმოდა, ახლა სავსებით გამოირკვა, სინამდვილედ უნდა ვალიაროთ, რომ თქვენი წასვლის დღის გაგება უნდათ. გზაში აპირებენ თავდასხმას, ბაგრატის კაცია და ცოცხალი არ უნდა გავუშვათ აქედანაო.

— გმადლობ, ჩემო ბერა, — უთხრა ვაჩემ, — დავიხსომებ შენს სამსახურს.

— აბა, რაღას ემღურებოდი მირანდუხტს, — მიმართა ნინოწმიდელმა რევის. — ამისთანა ამბავს, რაც უფრო ადრე გაიგებს ადამიანი, უფრო კარგია, მარჯვე ყოფილა მირანდუხტი, მარჯვე!

— პატარა მირანდუხტი, მეუფეო, ვერ იტანს, როცა ადამიანს ალოდინებენ, — გამოელაპარაკა ნინოწმიდელს ბერა. — აი, ამას წინათაც ასე მოიქცა. სწორედ ამ დარბაზში ამოირბინა ისევ ჩემი გულისათვის. ჩვენ, უჯარმელები პატარა დედოფალს ვეძახით, მუდამ გვექომაგება.

ნინოწმიდელმა სასმისი მიაწოდა ბერას. ბერამ ჩამოართვა და ხელზე მოხვევით მადლობა მოახსენა.

— ჩემ წინაპართა გადმონაცემიდან ვიცი: საქართველოს სასანიანთა გვარეულობიდან ჰყოლია მეფეები. მათში სახელოვანნი ყოფილან მირიანი, ქრისტიანობის დამმკვიდრებელი, ვახტანგ გორგასალი, ვენაცვალე იმის მარჯვენასა, და წმიდა არჩილი, ქრისტიანობისათვის თავი რომ დასდო, ჩვენი რევის წინაპარნი ვიცი, სასანიანთა შემცველელი ბაგრატიანთა გვარია, დიდი ხელმწიფეები მოგვცა ამ გვარმა, მაგრამ შინაური და გარეული მტრისაგან გვემული ქვეყანა, მისგან ისეთ ძლიერ მეფეს მოელის, რომელიც გარეულ მტერსაც მოსპობს და შინაურსაც ალაგმავს. თვითონ მას ისეთ კონად შეჰკრავს, რომ მის გახსნას ველარავინ ახერხებდეს და ბაგრატიანთ გვარს სწორედ ასეთი მეფის გაჩენას ვუსურვებ.

ბერამ სასმისი მოსვა, მადლობა მოახსენა ყველას და გამოეთხოვა.

ბერა წავიდა. ნინოწმიდელმა ვაჩეს გადახედა.

— ძალიან ამოუღიხარ თვალში, ხუროთმოძღვარო! როგორღა გაგიმეორო, წამოდი ნინოწმიდაში-მეთქი?

— მე მაინც წამოვალ, — უპასუხა ვაჩემ ნინოწმიდელს, — თუმცა საშიშროება მომელის, მაინც მოვალე ვარ ენახო დაზიანებული ტაძარი, ვახტანგ გორგასალის ნაღვაწი. თუ ჩემს სიკვდილს ეძებს ვინმე, ეტყობა თვითონ ის დღეგრძელი არ ყოფილა.

— სიკვდილით მემუქრებიან? — განაგრძობდა ხუროთმოძღვარი. — მეც სიკვდილით დავემუქრები. მონაზონი ვარ, მერე რა არის? ქვეყნის მთლიანობისათვის ვზრუნავ და მახვილს მახვილითვე უნდა ეუპასუხო. ჩემმა მირანდუხტმაც კი შენიშნა, რომ მთავარანგელოზს მიქელ-გაბრიელს მახვილი უჭირავს და ჩვენ რატომ არ უნდა გავიხსენოთ ეს. დიახ, უჭირავს და იმიტომ უჭირავს, რომ ბოროტება მოსპოს. და მეც იმიტომ მიჭირავს, რომ ქვეყნის მთლიანობისათვის მტერს თავი გავუპო. ხალხისათვის ხმლით მებრძოლს, თუნდაც მონაზონს, ღმერთი არ დასჯის. იესო ქრისტე ხალხისათვის ეწამა.

— პაპავ, შენ ამალაში მეც გამრიე, — სთხოვა შვილიშვილმა ბაქარმა.

ვაჩემ თავი დაუქნია.

— კაწარეთის სამებაც გორგასალის ნაღვაწია, — ჩაილაპარაკა კაწარელმა.

— კაწარეთსაც ვეწვევი და რუსთავსაც, — განაცხადა ხუროთმოძღვარმა. — მგლის შიშით ცხვარი არავის გაუწყვეტია. მე ჩემსას მაინც გავაკეთებ. ციხეში არ გამოვიკეტები.

— ამინ! — წარმოთქვა ნინოწმიდელმა.

ვაჩემ კარს მიმართა. განიზრახა, ბერას დასწეოდა. მოხუცმა ზენკალს თვალებში შენიშნა, კიდევ რაღაც სათქმელი ჰქონდაო.

8

დაბლა სართულში ჩასულ ბერას ფერისი გადაელობა.

— ფერის, ნუ მაჩერებ, — შესთხოვა ბერამ.

— ცოტა ხანს, ბერავ!

ფერისმა ხელი წაავლო და სტუმრების სუფრაზე მიიყვანა.

ზენკალს სასმური მიაწოდეს.

— ბერავ, რაზმს აგროვებ თურმე! — შესძახა სასმურის მიწოდებისთანავე ზენკალს ახალგაზრდა ვაჟკაცმა ვარაზვარდის ამალიდან.

— შენ რა? უნდა მამხილო, რომ მოსვლაც აღარ მაცალე? — მიაგება უკმეხად სიტყვა ბერამ.

— კი არ მინდა გამხილო, — იყო პასუხად, — უკვე მხილებული ხარ, რაკი მე ვიცი: ლაპარაკობენ, მე მწადია შენს რაზმში ჩარიცხვა.

— არა, ახალგაზრდავ, არავითარ რაზმს არ ვაგროვებ და რომ მეგროვებინა კიდეც, შენისთანა მყვირალას არ მივიღებდი.

— ღირსეული პასუხია, ბერავ! — გაისმა ზენკლის ზურგს უკან.

ყველანი გაჩუმდნენ. ბერა მიტრიალდა. თამამი ახალგაზრდა უფრო მეტად გაწითლდა. მათ წინ ვაჩე იდგა. შეუმჩნევლად შემოსულიყო დარბაზში. ბერა მიხვდა, ხუროთმოძღვარს ჩემი ნახვა კიდევ უნდა და ამიტომ მოატოვა ზევითა სართულიო. ვაჩემ გადახედა ზენკალს და გარეთ გამოვიდა. ბერამ სასმური ასწია, ახსენა ბოჭორმის წმიდა გიორგი, ჯვარი პატიოსანი და თავისი საყვარელი სვეტიცხოველი. ახალგაზრდებს სიდინჯე უსურვა, ხნიერებს მშვიდობიანობა, ცოტა ღვინო მოსვა, სასმური მომწოდებელს დაუბრუნა და გასასვლელ კარს მიმართა. ზენკალს ვაჩე ეზოში დაუხვდა.

„ჩემი მოსპობა უნდათ, ჰა, — ფიქრობდა იგი, — ვნახოთ, ვნახოთ ეს ხომ ხელს შემიშლის: შვილიშვილებს ველარ წავიყვან მცხეთაში. ბაქარს კი თვითონ შეუძლიან თავის დაცვა, მაგრამ რა ვუყო მირანდუხტს. მინდა კი მცხეთაში მყავდეს. ბაგრატმა ნახოს. ვინ იცის, რა მოელის ჩემს იას მეფესთან შეხვედრით“ — ვაჩე ხუროთმოძღვარს ფიქრი შეუწყდა. ბერა მივიდა მასთან. ვაჩე წამსვე შეეკითხა.

— შენ კიდევ რაღაც უნდა გეთქვა ჩემთვის.

— მართალია, ჩემო უფალო. კადნიერებაში ნუ ჩამომართმევ, რომ შენს საქმეში ვერევი. მე შემიყვარდი და გული მიკვდება, როცა თავხედნი ემუქრებიან შენს სიცოცხლეს. ვიცი, არ შეუშინდები გამცემლებს,მაგრამ მე მაინც ნება დამრთე გაჭირვებაში დაგეხმარო. მაცოდინე შენი წასვლის დღე, — ზენკალის ხმაში თითქმის მუდარა ისმოდა.

— ვნახოთ, ვნახოთ, ჩემო ბერა, — უთხრა ხუროთმოძღვარმა, — შენს ერთგულებაზე უარს არავინ იტყვის. — თან გაიფიქრა: „ეტყობა, მართლა რაზმს აგროვებს, რომ მეუბნება შენი წასვლის დღე მაცნობეო.

ჩემი ამალა და მაგისი რაზმი დამეხმარება ჩემი ია მცხეთაში წავიყვანო".

ხუროთმოძღვარმა ფიქრს თავი ანება და ისევ ალაპარაკდა:

—ერთი მითხარი, ბერავ, ვინ არის ის ახალგაზრდა?

— ბოჭორმის აზნაურია, ვეჟან ქველიძე. ღვთის წინაშე უნდა ითქვას, ცუდი არაა... ღვინომ თუ აალაპარაკა. დაი ჩოსტაცეს. გუმანი კვეტარის მეკობრეებზე აქვს. ცდილობს შური იძიოს. აგე, გარეთ გამოვიდა. ოპო, ჩვენსკენ გამოემართა. თავჩაქინდრულია... ეტყობა თავისი საქციელი აწუხებს.

ახალგაზრდა მართლა მოვიდა მათთან, მოწიწებით მიუახლოვდა ვაჩეს.

— ბრალი მიმიძღვის, ხუროთმოძღვარო, ბერასთან! — წამოიღაღადა ახალგაზრდამ. — ნუ გამიწყრები, ბერავ, ჩემი დის ბედი არ მასვენებს. მინდა ვიხსნა როგორმე ჩემი სისხლ-ხორცი. სხვა არავინ ჰყავს ჩემს მეტი საცოდავს, და რომ ვერას ეშველი, გონება მებნევა. ვის მივმართო? ვის ვთხოვო დახმარება? ვინ არის გამკითხავი? კახეთის მფლობელი აღსართანი? ცუნდრუკი, უმეცრად უსამართლო. მეკობრეთა ხელის-შემწყობი. ერთიღა ვარ ოჯახში. სანამ მყავდა ძმები, თავს ვიცავდით, ჩვენს კოშკზე თავდასხმას ვერავინ ბედავდა, კვეტარის მეკობრეებსაც კი კუდით ქვას ვასროლინებდით ხოლმე. ჭირი შემოგვიჩნდა ოჯახში. ხუთნი ძმანი გაისტუმრა სასულეთში. დავრჩით მე და ჩემი და და ძმათა წვრილფეხობა. ჩემი ლამაზი და, ჩვენი მხრის თვალი, თვალში ჰყავდათ ამოღებული კვეტარის მეკობრეებს და ჩემს ამარად დარჩენილ ოჯახს ეგონათ ადვილად დასცემდნენ, მაგრამ გაცრუება მოელოდათ. თავს დაგვეხსნენ ანაზდეულად და მინც ვერ დაგვაკლეს რა: მე, ჩემი კოშკი და ჩემი შინაყმანი გავუმკლავდით. უკუვაქციეთ. თავის კვეტარს დაუბრუნდნენ, მიყუჩდნენ. კარგა ხანს აღარ გაუჭაჭანებიათ ჩვენს არე-მარეზე. მეგონა, თავი ანებეს განზრახვას-მეთქი და ჩემი და მიუდგომელ ბოჭორმას გავისტუმრე ხატში სალოცავად. რა მომაფიქრებდა, რომ სწორედ აქ დამელუპებოდა ჩემი სისხლ-ხორცი. ნათესავებში წყნარად მოსაუბრე, ღამეს უთევდა წმიდა გიორგის და სწორედ აქ გაქრა. ძმათა ცოლებმა, ჩემმა რძლებმა შვილებიანათ თავიანთ დედ-მამას შეაფარეს თავი. გამოვკეტე მამა-პაპათა კოშკი და ვარაზვარდს შევეკედლე. აქე-დან დავიწყე დაკარგულის გზა და კვალის გამორკვევა. ყველა ნიშანი

კვეტარზე მიმითითებდა. იქ არის შენი დაო!...ოჰ, მე! ოჰ, მე! გულთფარ! ერთი შენი ჯავრი მაინც ამომაყრევინა!

— ვინაა გულთფარი? — იკითხა ვაჩემ.

— დედის ძმაა კვეტარის ლეკვებისა, — განუმარტა ვეჟანმა. — ის წკრთნის თავის უმცროს დისწულებს. იმან მოაწყო ჩემი დის გატაცება იაზონის საცოლედ. ისაა იაზონის მარჯვენა ხელი, მგონი, ხელმძღვანელიც. გამწარებული ვარ, ბერავ, გამწარებული და ვეძებ წამალს ჩემი სიმწრის დასაოკებლად. უნებურად ყური მოვკარ შენი რაზმის ამბავს... ტყეში ვისვენებდი, ტყე-ტყე მომავალი ორი მხედარი დაბალი ხმით მობაასობდა. შეუმჩნეველი დავრჩი იმათგან. „შენ გყავს ვინმე გუნებაში ბერას რაზმისათვის?“ — ჰკითხა ერთმა მეორეს. დაბალი ხმით იყო ნათქვამი ეს სიტყვები, მაგრამ მაინც გავიგონე. მხოლოდ ეს გავიგონე. სხვა არაფერი და გამეხარდა: ბერა რაზმს აგროვებს, ალბათ კაი საქმისათვის-მეთქი. და გადავწყვიტე, მომემართა შენთვის. ვიცი, შეუფერებელ ჟამს შეგეკითხე, ავსწრაფდი, მაგრამ გეტყვი, ვისთან ვთქვი, ყველა მოძულეა მეკობრე დიდგვარიანთა და ერთი ხელის დაქნევაა საჭირო, რომ აზვავდნენ და დაჰყვნენ პატიოსან წუნამძღოლს.

ვაჩემ გულდასმით მოისმინა ვეჟანის ნაამბობი. გულში გაიხარა.

„ნიადაგი, როგორც ჩანს, მომზადებულია. —. გაურბინა გულში ხუროთმოძღვარს. — დღეგანდელმა დღემ ბევრი რამ მითხრა. ბაგრატი დაუყოვნებლივ უნდა წამოვიდეს აქეთკენ. მორჩება თუ არა რევი თავის საქმეს, მეც უნდა დავიძრა აქედან. და... — მაგრამ ფიქრმა უეცრად სხვა გზით უწყო დენა ვაჩეს: — ჯერ ნინოწმიდელს გავყვები, სურვილს აეუსრულებ... მის სამწყსოშიაც გავიგებ ხალხის სულისკვეთებას... რუსთავშიც მივალ. ქალაქია ხალხმრავალი. კაწარეთშიაც მივალ, თორემ კაწარელს ეწყინება...“ მერმე ზენკალს მიმართა:

— ბერა, მართლა რაზმს ადგენ?.. ვიცი, ვიცი, რისთვისაც გინდა. ჩარიცხე ვეჟანი.

ბერამ თანხმობის ნიშნად თავი დახარა და ხელზე ეამბორა ვაჩეს.

— მხოლოდ თავშეკავებაა საჭირო, ყმაწვილო, სიტყვის თქმისას, — უთხრა ვაჩემ და პალატისკენ გაიხედა. დერეფნში სტუმრები გამოსულიყვნენ. მათ შორის მირანდუხტი დატრიალებდა. ბერამ თვალი მოჰკრა ვარაზვარდს და ვეჟანს მიმართა:

— მერმე ვარაზვარდი გამოგიშვებს?

— მე თავისუფალი აზნაური ვარ, — უთხრა ვეჟანმა.

— მაინც რად უნდა დაანებო თავი ბოჭორმის ციხისთავს. მთელი ჯარი ჰყავს — ციხის მცველები. თვითონ ვარაზვარდი ხომ გამოცდილი მეთაურია. მერმე ჩემს უფროსობას იტვირთებ? უბრალო ზენკალი ვარ, შენ კი ამაყი აზნაური.

— შენ ხალხი მოგდევს და ეს აზნაურზედაც მაღლა დაგაყენებს. ჩემი სიამაყე აქ სრულიადაც არ იჩაგრება... ვარაზვარდს ჰყავს, მართლა, მთელი ჯარი ციხისმცველები, მაგრამ თითქმის უმოქმედოც. ციხეში ვარჯიშობა მე წამლად არ დამედება. მე ამოქმედება მინდა, შენ კი, თქმა არ უნდა, რაზმს აგროვებ სამოქმედოდ. ვფიქრობ, არ ეცდები, მეკობრეების საწინააღმდეგოდ...

ვეჟანი შეჩერდა, მირანდუხტმა მოირბინა.

— შენ არ მეუბნები ხოლმე, ბერავ, ჩვენი დედოფალი ხარო, უჯარმისაო? — მიმართა გოგონამ ზენკალს.

— მერმე? — ჰკითხა დაინტერესებულმა ვაჩემ.

— მერმედა, ნინო გამზრდელმა მითხრა, დედოფალს სიტყვას უგონებენო; შენ რა დედოფალი ხარ, შენ სიტყვას არავინ გაიგონებსო. — ბავშვი ისევ ზენკალს მიუტრიალდა: — ხომ ვარ დედოფალი. ბერავ?

— სვეტიცხოველს ვფიცავ, დედოფალი ხარ და ისეთი ხარ, მხარზე შეგისვამ და ისე გატარებ. — ბერამ სიყვარულით აიყვანა ბავშვი და მართლა მხარზე დაისვა.

— ჩემს სიტყვასაც ხომ გაიგონებ? — შეეკითხა მირანდუხტი.

— გავიგონებ.

— აბა, მაშ ვეჟანი მიიღე შენს რაზმში, დედოფალს ასე სურს.

ვაჩემ გულიანად გადაიხარხარა, არც ბერა და ვეჟანი ჩამორჩნენ.

— ვინ გითხრა, დედოფალო, რომ ვეჟანს რაზმში არ ვიღებ?

— დარბაზში გავიგონე. ფერისმა რომ შემოგიყვანა, სუფრაზე რომ მიხვედით. სვეტზე გამოყვანილ ხელსა ვსინჯავდი მაშინ. რად არის, პაპა, ხელი სვეტზე?... ნინო გამზრდელმა მითხრა: პალატის ამგებელს შეგირდი ჰყოლია, შეგირდს უჯობნია მუშაობაში, სვეტი კოხტად გამოუყვანია. ოსტატი გაჯავრებულა და მარჯვენა ხელი მოუჭრია შეგირდისთვისო. მართალია, პაპილო?

— ტყუილია, ბიჭო! ნინოს უხუმრია. ეგ ამბავი ცუნდრუკებსა სჯერათ, ან არცა სჯერათ, მაგრამ მაინც იმეორებენ ამ ტყუილს. კარგის გამკეთებელს ხელს არავინ სჭრის, სვეტზე ხელის გამოკვეთა გვეუბნება, აი ამ ხელმა გააკეთა სვეტი პალატისაო, აგრე არაა, ბერა?

— აგრეა, აგრე, მაშა!

— შენც გამოკვეთე, პაპა, ხელი სვეტიცხოველზე?

— გამოვკვეთე მკლავიანად. გონიო უჭირავს.

— წამიყვანე, პაპა! მაჩვენე!

— წაგიყვან, შვილო, წაგიყვან! — ვაჩემ ბერას გადახედა.

ბერა მიხვდა, რომ ხუროთმოძღვარი უარს არ იტყოდა მის დახმარებაზე და კმაყოფილება იგრძნო.

— აბა, ჩემო დედოფალო, ძირს უნდა დაგსვა. შინ უნდა წავიდე.

— ვეჟანს ხომ მიიღებ შენს რაზმში? — გაუმეორა ბერას მირანდუხტმა.

— მივიღებ მაშა, მივიღებ, დედოფალო, რაკი შენ ბრძანებ! — უთხრა ღიმილით ბერამ. — ყველგან კი არა თქვა.

— არ ვიტყვი, მაშა. დედოფალი ვარ! — წამოიძახა მირანდუხტმა და ვეჟანს ხელი წაავლო: — აბა წამო ახლა ბაქართან.

ბაშუმა ვეჟანი პალატისაკენ გაიტაცა.

— განა პირველად არა ხედავს ვეჟანს? — შეეკითხა ვაჩე ბერას.

— არა! კეჟანი ხშირად დაიარება ხოლმე რევისთან ვარაზვარდის დავალებით. ბაქარის დიდი მეგობარია. თუმცა მირანდუხტი პირველ შეხედვისთანავე დაეუფლება ხოლმე კაცს, თუ მისი სიკარგე იგრძნო, — უთხრა ბერამ ხუროთმოძღვარს და დაბლა თავი დაუკრა გამოსამშვიდობებლად.

9

გათენება მოახლოებულია. საცაა ცისკრის ვარსკვლავი ჩაესვენება. მთვარე მიბნედილ შუქს აბნევს არემარეს. პალატის მცხოვრებნი მშვიდ ძილს მისცემიან. მხოლოდ რევი მოუსვენრობს. ერთი კვირაა, რაც მონაზვნად აღიკვეცა და სიმძიმილს გრძნობს. სოფლის სიამოვნების დათმობა იაფად არ უჯდება. ძალიან ცოტა სძინავს ახალ მონაზონს:

დაღამდება თუ არა და რჩება რევი, იოანედ ქცეული, მარტო, ფიქრების გროვა ესევა მის გონებას. პალატის შიგნით რომ ვერ ისვენებს, გარეთ გამოდის. თავისი სულისკვეთების მოზიარე არავინა ჰყავს. თანამეცხედრის სიკვდილის შემდეგ ხანდახან ვაჩეს უმხელდა ხოლმე დარდებს, ისიც გაჭირვებით. მაგრამ ვაჩე ნინოწმიდელს გაჰყვა და თან ბაქარიც გაიყოლა. ბაქარს კი დედის სიკვდილის შემდეგ მამის ოთახში ეძინა და მამას სულს უმშვიდებდა. ახლა კი უკვე შვიდი ღამეა, რაც ბაქარი გვერდით აღარა ჰყავს. დღისით მირანდუხტი უფორიაქებს გულს თავისი არაბავშვური შეკითხვებით, ღამღამობით გონება ერევა.

— ჩემსა და ამ სოფელს შორის თითქოს კედელი აღიმართა, — ჩივის მამაკაცი. — თითქოს ახალ სამყაროში მოვხვდი და დაგდებულ სამყაროს არეზე ჩემი მამოძრავებელი სურვილები, თითქოს მიყუჩებულნი, ახლა გამოცოცხლდნენ და სულს მიწუწავენ. შვილები, ჩემი შვილები თითქოს იქით მხარეს დარჩნენ და გული მიკვნესის... შვილები სხვებ ი არ უნდა გამოარჩიოო, მეუბნება ახალი სამყარო, როგორც შენს შვილებს, სხვის შვილებსაც ისე უნდა მოექცეო. შვილები ჩემი ქართველთა ერის შტონი არიან. ქართველთა მოდგმა ჩემი ნათესაობაა და მაშ, ჩემი სამშობლოცაა.. განა ჩემი სამშობლო სხვის სამშობლოსაგან არ უნდა გამოვარჩიო?! — მომჩივანს გაახსენდა კითხვა, მონაზენად აღკვეცისას მღვდელმთავარმა კაწარელმა რომ მისცა: „დაითმენა ყოველსა ჭირს, — ძვირის ხილვასა, იწროებასა, ბოროტთა მიერ აღძრულსა მზაკვარებასა, სასუფეველისათვის ცათასა?“ ძვირ.აცა, იწროებაცა და ბოროტთა მიერ აღძრული მზაკვარებაც ემართება ჩვენს ქვეყანას. ესაა ჩემთვის ძვირიც, იწროებაცა და ბოროტის მიერ აღძრული მზაკვრობაც. განა ეს მოსათმენია? თვით ცათა შინა მყოფთათვის? ჩემი პირადი ცხოვრება, ჩემი ხალხის ცხოვრებაა. ჩემი სამშობლო სხვის საშმობლოს მირჩევნია. დაე, ამაში მე დამითმოს ახალმა სამყარომ... უნდა დამითმოს, უნდა!

როგორღაც ძილმა თავი წაართვა, მაგრამ სადიდხნოდ არა, მალე გამოიღვიძა შეშფოთებულმა. რევიმ სიზმარში ნანა ნახა დაღონებული, უნდოდა ჩაეკრა გულში, მაგრამ გაახსენდა ახლა სხვა კითხვა, მონაზენად აღკვეცისას რომ მისცა რუსთველმა: „ დაიცავს ქალწულებასა შენსა ყოლითა გონიერებითა და სასოებითა?“ და უჩინარი კედელი ახალი სამყაროსი აქაც აღმართა წინ. „ნანა აღარაა შენი თანამეცხედრე,

— ეუბნებოდა ახალი სამყაროს ზნეობა, — დაია შენი ქრისტეს მიერ და როგორც დას, უნდა ეამბორო".

რევიმ ველარ მოითმინა ლოგინზე წოლა. ახალ ძილს აღარ დაუცადა, გადაიცვა ჩოხანი და წმიდა არჩილის ხატს დაუჩოქა. შესთხოვა სულის სიმშვიდე, ფეხზე წამოდგა და კარს მიაშურა.

გარეთ გამოსულმა სასანიანმა წალკოტს გადახედა.

წალკოტის ხეთა ჩრდილნი აღმოსავლეთისაკენ დაგრძელებულიყვნენ. ნანას საფლავი მთვარის მიბნედილ შუქზე ცხადად ჩანდა. რევი საფლავთან გაჩნდა. ცრემლი არ გადმოუგდია: მხოლოდ გულში ალაპარაკდა: „ თურმე, ნანა, აღარა ხარ ჩემი თანამეცხედრე. დაი ხარ ჩემი ქრისტეს მიერ. უნდა მიყვარდე, როგორც დაი. სხვა სიყვარული ჩვენ შორის აღარა შეიძლება. ჩემი გული კი ჯერ არ განთავისუფლებულა ცოლქმრული სიყვარულისაგან: თანამეცხედრეს სცნობს შენში, სხვა არავის. მაგრამ ახალი სამყარო ნებას არ მაძლევს, ძველი გზით ვიარო. ახალი სამყარო ცოლქმრულ გრძნობას უარყოფს. ახალი სამყარო წარსულთან კავშირს გვიწყვეტავს.

რევყოფილი იოანე მონაზონი წარსულში გადავარდა. სურათების რიგი გადაეშალა თვალწინ: აი, მცხეთა და სვეტიცხოველი... დღეობაა სვეტიცხოვლისა. მრავალი ხალხია. ქართველთა ტომებს მოუყრიათ თავი. შეჭურვილნი ახალგაზრდა ვაჟკაცნი შეჯიბრებისათვის ირაზმებიან. მაყურებელს უნდა დაანახონ საჭურვლის ხმარებაში თავიანთი უნარიანობა. რევიც აქ არის, ოცი წლის ვაჟკაცი. მამასთან, მამის ამალაშია: შეჭურვილია სათანადოდ, მაგრამ შეჯიბრებას არ აპირებს. აგე, ცალკე ჯგუფებად დგანან ახალგაზრდა ასულნიც, სეირის საყურებლად მომზადებულან. ბევრია ლამაზი, მოხდენილი, კენარი ტანისა. ხნიერი თუ ახალგაზრდა ვაჟკაცნი უნებლიეთ აჩერებენ მათზე თვალს. ხანდახან რევიც გადააელებს ხოლმე მათ თვალსა. აი, ახლაც ყმაწვილს მთელი არსება შეებოჭა. ვინმე უცნობი ასული მოხვდა მის თვალს. რევის რაღაც უჩინარი ძაფები ამოუტიეტიევდნენ გულის სიღრმიდან. ძაფები დაიჭიმნენ, დაგრძელდნენ. უცნობი ასულისაკენ გასწიეს და რევის გული თან წაიღეს, ასულის არსებას მიაბოჭეს. ასულმა მოუსვენრობა იგრძნო და რევისაკენ მიიღო პირი. რომ დაინახა მისკენ მომზირალი ჭაბუკი, თვალი სხვაგან გადაიტანა, შემდეგ გვერდზე მდგომ ხნიერ მანდილოსანს რაღაც წასჩურჩულა და მასთან ერთად სხვა ადგილი მონახა.

რევი აზრს იცვლის. თუ წინათ არ სწადდა, ახლა სწადიან შეჯიბრებაში ჩაბმა.

„ჩემს თვალს მოეფარა ჩემი გულის შემბოჭველი, – ამბობს რევი, – მაგრამ ხომ ისევ აქ არის. ქალთა ჯგუფშია ჩამალული. დამინახავს, როგორი ვაჟკაცია ვარ".

მამა ვერ ხვდება, რამ შეუცვალა გუნება რევის, რომ შეჯიბრებაში აპირებს ჩაბმას. მართალია, კარგად ჰყავს ნავარჯიშევი შვილი სხვადასხვა იარაღის ხმარებაში, მაგრამ ისიც, კარგა იცის, რომ უფრო მწიგნობრობისაკენ არის გადახრილი... რევი შეჯიბრების მონაწილეთა შორის იკავებს ადგილს. ხანგამოშვებით მამას უცქერის. რევის მამას ვინმე მამაკაცი უახლოვდება სწრაფი ნაბიჯით.

– არჩილს გამარჯვება მტერზედ, – ეუბნება მოსული რევის მამას და ჰკოცნის.

რევი ხედავს მამას, სახე ულიმის. ჩანს, ესიამოვნება მოსული. მოსულმა არჩილს წელზე მკლავი შემოაჭდო და ისე გაუბა ბაასი. რევი ხედავს: მამამაც და უცნობმაც მისკენ დაიწყეს ცქერა. მამამ ხელი დაუქნია. ჭაბუკიც ეახლა მამას.

– ესაა ჩემი სიყრმის შვილი, ჩემო ვაჩე, – ეუბნება არჩილი უცნობს. – სამეულ წელიწადზე მეტია, რაც სვეტიცხოველი ველარ მოვილოცე, რაც ჩემს წინაპართა აკვანს, დედაქალაქს ველარ ვეწვიე. წელს გავტეხე ნავსი, წამოველი და თუ აქამდე ბავშვი მომყავდა ხოლმე ჩემი შვილი, ახლა ოცი წლის ჭაბუკი მოვგვარე ჩვენს დედაქალაქს. შვილო, – მიმართა არჩილმა შვილსა, – ესაა ვაჩე არსაკიძე, ნათესავი ბრწყინვალეთა მათ ძლიერთა და დიდთა მეფეთა, ჩემი სიყრმის ამხანაგი. ამ არემარეზე ვსწავლობდით ერთად. მე მეომრის გზას დავადექი, ეს – ხუროთმოძღვარულ საქმეს, გმართებს ამის მარჯვენას ეამბორო, სვეტიცხოვლის ამგებელია.

რევი უახლოვდება ვაჩეს, მამის სურვილის ასასრულებლად და თავისი გულისხმის დასაკმაყოფილებლად.

ვაჩეს უკვე ჰქონდა გავარდნილი დიდი ოსტატის სახელი და რევი ნატრულობდა მის ნახვას. ათი წელიწადი იყო, რაც რევის მამა აღარ ყოფილა მცხეთას და უმამოდ რევიც არ წამოსულა აქეთ.

– შვილო! – ეტყოდა ხოლმე არჩილი, – დამთავრდეს ჯერ სვეტიცხოველის აგება და მისი დამთავრების ზეიმზე წავიდეთ.

არჩილმა შვილს სიტყვა აუსრულა. მამა-შვილი მცხეთას არიან ქართველთა დიდი სალოცავის დამთავრების დიდ ზეიმზე, ქალსაც შეხვდა რევი, თავისი გულის მომხიბვლელს, მისი ეშხით შეჯიბრებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს და სვეტიცხოველის ამგებსაც ხელზე ეამბოროს: მის გულში ხუროთმოძღვარმაც ერთი მთავარი კუთხე დაიჭირა. რევი ლამობს დიდ შემოქმედს ხელზე ეამბოროს, მაგრამ ვაჩე არ აცლის და თვითონ ეხვევა ყმაწვილს. პირს უკოცნის. მოსიბლულია ხუროთმოძღვარი ჭაბუკის აღნაგობით.

— ჩემთან რატომ არ ჩამოხვედით, არჩილ? — ეკითხება ვაჩე რევის მამას. — ჩემს ასულსაც გაგაცნობდით. თანამეცხედრე კი, — დასძინა არსაკიანმა დაღონებით, — წელიწადზე მეტია, აღარა მყავს. ნაცვალი აღარ მინდა. ასულს გავათხოვებ და მონაზვნად აღვიკვეცები, — რევის გადახედა: — აი ასეთი ვაჟკაცი თუ შემხვდა. წამსვე მივცემ ჩემს ასულს.

რევის ვაჩეზე მიბოჭილი გულის ძაფები სწრაფად დაუწყნარდნენ. ნანახი უცნობი ქალის მეტი არავინ უნდა ჭაბუკს.

„ვაითუ, — ფიქრობს ახალგაზრდა სასანიანი, — მამამ მომთხოვოს ვაჩეს ასულის შერთვა. ძველთა მეფეთა ნათესავს ხომ საკადრისი მძახალი ეყოლება მაშინ?“

რევიმ თვალი ვაჩეზე შეაჩერა.

— დღეს უსათუოდ ჩემთან მოდით, — ამბობს ვაჩე. — აგე ჩემი სასახლე და მაინცდამაინც თუ ჩემს ასულს დაიწუნებთ, ვფიქრობ, ჩემს ბუნაგს მწიკვლს ვერ უპოვით.

— შენს ასულზე, როგორიც უნდა იყოს, — ისმის მტკიცე პასუხი არჩილისა, — უარს ვერ ვიტყვით. რევის შენს ასულს გარდა სხვა საცოლეს აღარ ვუსურვებ.

ამის გამგონე რევი სწრაფად სცილდება მამას. შეჯიბრებისათვის გამზადებულთ გვერდით უდგება.

— პირველად შეჯიბრება მშვილდ-ისრებითაა, — ამბობენ მაყურებლებში. და მართლაც, აგერ ჯერ მშვილდ-ისრებით მწკრივდებიან შეჯიბრების მონაწილენი.

— გაიგონეთ, ხალხნო! — ყვირის ხელმძღვანელი შეჯიბრებისა: — ოითოეულ თქვენთაგანისათვის ცხრავჯერ იქნება აფრენილი თითო-თითოდ ცხრა-ცხრა მტრედი სამასი ყრთის მანძილზე. ამ სიშორეზე ყოველმა

თქვენგანმა უნდა ესროლოს აფრენილ მტრედსა და პირველი საჩუქარი ცხრა მტრედის გამგმირავს ერგება.

იწყება შეჯიბრება...

ასხლტა ხელიდან პირველი მტრედი და ჯერით შეჯიბრების პირველმა მონაწილემ ისარი ააყოლა, მაგრამ დააცდინა. მშვილდ-ისრის მოზიდვისას სიმშვიდე ვერ გამოიჩინა. მტრედი მაღლა-მაღლა ავიდა, ერთი შემოტრიალდა და მერმე სვეტიცხოვლის სახურავზე წამოჯდა. ახლა მეორე მტრედი შეათამაშეს და ჯერით მეორემ სტყორცნა ისარი ფრინველს, მაგრამ ამაოდ. მისმა ხელმაც სიმტკიცე ვერ გამოიჩინა. მეორე მტრედიც უვნებლად მოექცა ტაძრის სახურავს და პირველს მოუჯდა გვერდით. მესამე მშვილდოსანმა ფრთაში მოარტყა მტრედსა და მხოლოდ ნავარდის უნარი დაუკარგა.

რევი სასანიანს ჯერის მოლოდინში თავქვე დაშვებული უკავია მშვილდი-ლარზე მიბჯენილი ისრიანად. მეცხრე ჯერი აქვს ნარგები. აჰა, უფრენენ მტრედს და თვალის დახამხამებაზე მშვილდი ისრიანად ალმა შვრება ზურგს, იღუნება და მტრედი ბოლოდან თავამდე განგმირული ქვასავით მოდის აფრენის ადგილისაკენ. ძარჯვე მოხვედრაზე ხალხი კიჟინას სტეჱს.

— აი, მორტყმა ეს არის! აი სროლა ასე უნდა! — ისმის ყვირილი.

შეჯიბრების ხელმძღვანელი შეჯიბრების მეორე რიგობაზე პირველ ჯერს ახლა რევის სთავაზობს. რევი მეორე მტრედსაც პირველივით ჰგმირავს.

— ისევ სასანიანისათვის ააფრინეთ მტრედი, ისევ სასანიანისთვის! — მოისმის მრავალი მხრიდან წამოსული ხმები უჯარმელებისა.

ხელმძღვანელი უარს არ ამბობს და ზედიზედ თითო-თითოდ შვიდი მტრედი მოდის მაღლა და ზედიზედ შვიდივე თითო-თითოდ ცვივა თავიდან ბოლომდე განგმირული. დანარჩენი მონაწილენი შეჯიბრებისა ცდილობენ რევის არ დაუვარჯნენ. აგერ ერთმა სწორედ ისევე განგმირა მტრედი, როგორც რევიმ, მეორეჯერაც სწორედ ისევე მოარტყა მსხვერპლს. წახალისდა, მაგრამ მესამეც უცდება, მეოთხეცა. ცდილობენ სხვანიც. ცხრა ნასროლში რევისებური სამი-ოთხი ან ხუთი გამოდის, და ზევით ველარ მიდიან. რევი ერთადერთი აღმოჩნდა ცხრა მტრედის გამგმირავი. ქებას ასხამენ.

— ვახტანგ გორგასალის მოდგმისაა და! ვახტანგ გორგასალისა! — იძახიან აქეთ-იქიდან. აგერა უცხო ასულიც წინ წამოდგა და თამამად დაუწყო ცქერა ჭაბუკს. ჩანს, მოეწონა. რევი წახალისდა. სასანიანი ახლა მახვილით მებრძოლთ რიგებში დგება. აქაც პირველობას ეუფლება. ხალხს ცათაფრენა ემართება მისი მახვილის ხმარებით.

რევის შეჯიბრება იტაცებს. კომბლის ხმარებაშიც უნდა სცადოს თავისი ბედი, ვაჟკაცობა. ახალგაზრდა ზენკალი ბერა უჯარმელი უთმობს თავის კომბალს. მაგრამ მამა ნებას აღარ აძლევს.

— ვაჩე მოგველის თავის პალატში და ჩვენი დახანება აღარ შეიძლება. ეს დიდი მოქმედის უპატივცემულობა იქნება, შვილო.

რევი მაყურებლებში თავის მოწონებულ ქალს ვერა ხედავს და მისდევს მამას. მისთვის ახლა სულ ერთია, საცა იქნება. ვაჩეს სიტყვები, ამისთანა ვაჟკაცი რომ შემხვდეს, წამსვე მივათხოვებ ასულსაო, ძალიან არ მოსწონს, მაგრამ ამას როგორ გაუმჟღავნებს მამას, ჭაბუკი ნაძალევად დგამს წინ ბიჯს... სასანიანნი უახლოვდებიან არსაკიანის პალატს. ვაჩე მამა-შვილს დერეფანში ხვდება.

— კაი მარჯვე ხელი და კაი თვალი ჰქონია, ჩემო არჩილ, შენს შვილს! ეგ მწიგნობარი კი არა, მშვილდოსანია, მეომარი, მაგის მახვილის ხმარებამაც, სწორე გითხრა, გამაოცა.

— არა, ჩემო ვაჩე! იარაღის ხმარებას ჩემი შვილი თუმცა არ უარჰყოფს, მაგრამ მაინც მშვილდ-ისარიცა და მახვილიც მაგისათვის არაფერია. მწიგნობრობისაკენ არის გადახრილი მაგისი გული, — ეუბნება რევის მამა არსაკიძეს დაღონებული კილოთი.

— მაინც სადარდებელი არა გაქვს რა, არჩილ, — ეუბნება ვაჩე და დერეფნისაკენ პირს შვრება, ასულს ეძახის: — შვილო, ნანა, სტუმრები მოგვივიდნენ, გამოდი!

დარბაზიდან სწორედ ის ასული გამოდის, რევიმ მაყურებლებში რომ შეასწრო თვალი და რომლის გულისათვის შეჯიბრებაშიც ჩაება.

აგერ, დარბაზიდან გამოჩნდა, ისევ მიიმალა სწორედ ის ხნიერი მანდილოსანი, თავის გულის წარმტაცებელ ასულთან რომ ნახა მაყურებლებში.

ვაჩე აცნობს სტუმრებს თავის ასულს.

რევი მოწიწებით უახლოვდება ასულს. ფერმკრთალად გამოიყურება:

სუნთქვა ეკვრის, მაგრამ მაინც თავს ხრის მის წინაშე სალამის ნიშნად. ქალი იისფერ სხივებს აყრის თვალთაგან ჭაბუკს.

— ყმაწვილო, — ეუბნება ვაჩე, ცოტა არ იყოს დაცინვის კილოთი რევის, — თუ ჩემი ასული ნანა არ მოგწონს, ჩემი სასახლე დაათვალიერე, გამოჩენილ ხუროთმოძღვრის შექმნილია, იქნება ამან მოიგოს შენი გული.

ნანა მამის სიტყვებზე დარბაზში მიიმალა, რევი კი წაბარბაცდა და დერეფნის უშველებელ სვეტს მიეყრდნო...

რევიმ გაიხსენა ძლიერი სიყვარულისაგან თავისი დაავადება. გაიხსენა, ერთი კვირა რომ იწვა სიყვარულით დაუძლურებული ვაჩეს პალატში, და სწორედ თხუთმეტი წლის ნანამ მოიყვანა ჯანზე დაუღალავი მოვლით. თვითონ კი ახლა უმწეოდ დასცქერის ნანას საფლავს... ფიქრთა დენა შეაჩერა. ივრის გაღმა მხრიდან კიჟინი მოესმა. ზეზე წამოიჭრა ელვის სისწრაფით.

„ვაითუ ვაჩე ბრუნდება და თავს დაესხა კვეტარის მეკობრეთა გუნდი?! — გაიფიქრა წამსვე და თან დასძინა: — ვაი, ჩემო შვილო ბაქარო! ვაითუ გაგაქრონ მეკობრეებმა და მოგსპონ ერთადერთი შტო, სასანიანთა გამგრძელებელი!“

რევყოფილმა სწრაფად აირბინა წალკოტის აღმართი ჩუმი, მაგრამ სწრაფი ნაბიჯით შედგა ფეხი პალატში. მონაზვნობა მთლად გადაავიწყდა. გააღვიძა ომში ნაცადი ხუთიოდე შინაყმა; შეაკაზმინა ცხენები და შეაჭურვინა თავი. თენდებოდა. კარგად იცოდა, ქალაქის კარებთან ახლა აღარავინ შეაჩერებდა. მოახტა ცხენს და წალკოტის ხეივნისაკენ გაეშურა. უკან შინაყმანი აედევნენ.

10

ვაჩე ნინოწმიდელს გაჰყვა, მაგრამ ნინოწმიდელმა ჯერ რუსთავისკენ ქნა პირი და რუსთველს გაჰყვა. რუსთველისა და ქალაქ რუსთავის მფლობელის მოსარიგებლად. რუსთავის მთავარ სასულიერო პირსა და მთავარ საერო პირს დავა ჰქონდათ ქალაქ რუსთავის შემოსავლის განაწილებაზე. ნინოწმიდელს კი, როგორც უხუცეს მღვდელმთავარს, ბევრი დიდგვაროვანი უგონებდა.

— მაინც რუსთავში წასვლის განზრახვა გქონდა და, — უთხრა

მღვდელმთავარმა ვაჩეს, — ნუ გამიწყრები, რომ ჯერ რუსთავისკენ მიმყევხარ. იქაურ ტაძარსაც დაათვალიერებ და რუსთავის მფლობელს, არიშიანთა მოდგმასა და იქაურ ხალხსაც გაიცნობ. სვეტიცხოველმა ისე გაგითქვა სახელი, რომ საცა წახვალ, ყველგან პატივისცემით მოგეპყრობიან. ნინოწმიდას მერე გავემგზავროთ.

ხუროთმოძღვარმა რუსთაშიაც უსინჯა კბილი მდაბიო ხალხს ვისაც კი შეხვდა, მოხიბლა. ვაჩემ დაინახა, რომ აქაურებიც ბაგრატიანთა დინასტიისაკენ იცქირებოდნენ: ბაგრატ III საქმენი ღრმად ჩასჭროდათ გულში და მის ნაშიერთაგან ხსნას მოელოდნენ.

რუსთავის მფლობელიც, არიშიანი, დიდი პატივისცემით მოეპყრა ვაჩეს, მაგრამ თავის გულის ნადები ამ დიდებულმა მთლად არ გადაუშალა. ერთი ეს იყო, რომ სამძიმარი უთხრა ასულის დაკარგვაზე და სინანული გამოთქვა, რომ რევის პატივი ვერ სცა და ვერ დაესწრო მისი თანამეცხედრის დასაფლავებას.

— რევი ნათესავია ჩემი! — განუცხადა არიშიანმა ხუროთმოძღვარს. — მაგისი ბებია მამაჩემის ბიძაშვილი იყო. ხუროთმოძღვარო, მე და შენ მძახლები ვართ.

ეს, რა თქმა უნდა, ვაჩეს არ დააკმაყოფილებდა.

„რატომ არ მეუბნება საქართველოს ბედზე რამეს? ჩემი ასული ჩემზე მეტად არავის დააკლდა. ერთადერთი მყავდა“.

ეს თავისი მარცხი ვაჩემ ნინოწმიდელს მოახსენა.

— ხუროთმოძღვარო! არიშიანი გულჩათხრობილი კაცია: სანამ კარგა არ დაუახლოვდება კაცს, მანამ თავის ნაფიქრს არავის გაუზიარებს. მაგრამ, ერთს გეტყვი კია, რომ საქართველოს ბედი ჩვენზე ნაკლებ არ იზიდავს. მერწმუნე, ეგ ელის დროს და რა წამს გაჩნდება ჩვენი ქვეყნის გულშემატკივარი, წამსვე მხარს დაუჭერს.

ნინოწმიდაში წასვლის წინ ვაჩემ ერთხელ კიდევ ინახულა არიშიანი, მხოლოდ უნინოწმიდელოდ.

— პეტრე ბერს გაუფრთხილდი, ხუროთმოძღვარო, — უთხრა მისელისთანავე ვაჩეს არიშიანმა. — ორი დღეა, რაც მაცნობეს: ეგ გულთფარის ძმა ყოფილა. ნინოწმიდელს ანგელოზი ჰგონია. მუდამ ამალაში ჰყავს. წინათ, როცა კი მინახავს რუსთველთან ნინოწმიდელისაგან გამოგზავნილი, რატომღაც ეჭვებს მიბრაზდა ხოლმე გულში. მას აქეთ

კი რაც გავიგე, რომ გულთფარის ძმაა, ეჭვი არ მეპარება, რომ ცალქალამანიძეთა მზვერავია.

ვაჩემ გაიხსენა პეტრეს სახე, მისი მუდამ თითქმის ნახევრად ძირს დაშვებული თვალები, ხანდახან თითქოს დარცხვენით მომზირალნი, თუმცა იშვიათად ბოროტი ცეცხლთა მფრქვეველნი და დაიჯერა არიშიანის ნათქვამი.

— იმ დღეს ვერაფერი გითხარი რა, — განაგრძო რუსთავის მფლობელმა, — ნინოწმიდელს თან ახლდა თავისი ანგელოზი და არ მსურდა კვეტარის მეკობრეთ სცოდნოდათ ჩემი გულის ზრახვანი, არც ახლა მსურს და არც მესურვება. მუხანათობის მეტს არას მოველი მათგან. მათი გადაკიდება მუდამ სიფხიზლეს მოითხოვს და ეს მუდმივი სიფხიზლე სხვა საქმეთა გაკეთებას აბრკოლებს. ჩემი ქვეყნის ბედი ვიცი, რომ ჩემგანაც მსხვერპლს მოითხოვს და ამ მსხვერპლს არასოდეს არ დავზოგავ. იცოდე, ხუროთმოძღვარო, რომ ისეთივე მიმდევარი ვარ ბაგრატიონთა გვარი[1]სა, როგორც შენ.

არიშიანის ამგვარმა ლაპარაკმა დიდად გაახარა ვაჩე და არიშიანს მეგობრულად გამოეთხოვა. ნინოწმიდელთან ხუროთმოძღვარი კარგ გუნებაზე დაბრუნდა. ბაქარმა შენიშნა ესა პაპას და შეკითხვის თვალი მიაპყრო. პასუხის ნაცვლად ვაჩემ გააფრთხილა შვილიშვილი, პეტრეს ნდობით არ მოეპყროო.

— პაპავ, მუდამ ვერიდები მაგ ადამიანს! — უთხრა ბაქარმა. — ამას წინათ მითხრა: პაპაშენი ვაჩე რას ფიქრობს ჩვენი ქვეყნის მდგომარეობაზეო. ჯერ იმდენად არ დავდინჯებულვარ, რომ პაპაჩემმა თავისი ფიქრები ჩვენი ქვეყნის მდგომარეობაზე მე გამიზიაროს-მეთქი.. — ვუპასუხე. მას აქეთ აღარაფერი უკითხავს რა.

ვაჩემ გულიანად გაიცინა და შვილიშვილს თვალებში აკოცა.

არიშიანის ცნობამ და ბაქარის ნათქვამმა, ცოტა არ იყოს, ჩააფიქრეს ვაჩე და მთელი გზის მანძილზე ნინოწმიდამდე და თვით ნინოწმიდაში თვალს აღარ აცილებდა პეტრე ბერს. ბევრი რამ საგულისხმო შენიშნა: ნინოწმიდაში ხუროთმოძღვარმა მეტი ნაბიჯიც გადადგა.

— მამაო პეტრე! სულ მუდამ მორცხვი დიაცივით თვალებ-ძირდაშვებული რატომ დადიხარ? ჰკითხა ვაჩემ დაურიდებლად. — გეტყობა, ძალიან მძიმე ცოდვებითა ხარ დატვირთული, რომ ადამიანს თვალს ვერ უსწორებ.

ბერს ამ შენიშვნაზე კრინტი არ დაუძრავს, მხოლოდ სახე შეუფერიანდა ოდნავ, რაც იქვე მდგარ ბაქარის მახვილმა თვალმა შეამჩნია. ბაქარი იმასაც მიხვდა, რომ ეს შეფერადება ბერის დარცხვენას კი არ მოასწავებდა, არამედ ეს ბერის გულში ჩამარხული სიბრაზე იყო.

პეტრე ბერი წყნარად გასცილდა პაპა-შვილიშვილს, თუმც გულის კედლებზე ზღვად ქცეული სიბრაზის ტალღები ეხეთქებოდა. თავის სენაკში შევიდა და აქ გადმოანთხია ბალღამი გაბოროტებისა.

— ნახავ შენ, ნახევარბერო, თუ რა დაგემართება გზაზე ვერენისაკენ მიმავალს.

მაგრამ მანამ ეს მუქარა აუსრულდებოდა ვაჩეს, პეტრე ბერი ვერ მოისვენებდა. გადაწყვიტა შულღი ჩამოეგდო ნინოწმიდელსა და ხუროთმოძღვარს შორის, რომ ნინოწმიდელის კურთხევა არ გაჰყოლოდა თან თავხედ არსაკიძეს. ორი წელიწადი იქნებოდა, რაც პეტრე მიჩენილი ჰყავდა ნინოწმიდელს. კვეტარელთა ნასხლეტი იშვიათი მორჩილებით ჰხიბლავდა მბრძანებელს. თუ რომელ გვარეულობას ეკუთვნოდა ეს ადამიანი ერისკაცობაში, ნინოწმიდელმა არ იცოდა — პეტრე მასთან მზამზარეულ მონაზვნად მოვიდა და მეუფე არც ცდილობდა ამის გაგებას. მისი აზრით, რაკი ერთხელ ადამიანი უარს იტყოდა თავის გვარზე ახალ მსოფლიოში ფეხის შედგომისას, მას გვარი აღარ უნდა ჰქონოდა: ბერს გვარი აღარ ეკითხებაო, ამბობდა მისი მეუფება და პეტრესაც აღარ ჰკითხავდა, პეტრე მონაზვნისა ნინოწმიდელს ყველაფერი სჯეროდა და მისი ყოველი ბიჯის გადადგმას ნდობით ეპყრობოდა. პეტრე სარგებლობდა ამ ნდობით და ნინოწმიდელთან მოსულ ყოველ დიდებულზე ყოველნაირ ცნობას აწვდიდა კვეტარელ მეკობრეთა რაზმებს და, რა თქმა უნდა, ვაჩესაც ამ მხრივ უპატივისცემოდ არ დააგდებდა. ვაჩეს საქართველოში მრავალი იცნობდა. ამ მრავალში პეტრეც ერია. ბაგრატიონთა მაღიარებელს, თუგინდ დიდ ხუროთმოძღვარს, რას დაინდობდა კვეტარელების დედის ძმა და აღსართანის ერთი კუდთაგანი. ცალქალამანიძეთა რაზმებს ვაჩეს თითქმის თითოეული მნიშვნელოვანი ბიჯის გადადგმაზე ჰქონდა ცნობა, მას აქეთ, რაც ვაჩე ნინოწმიდელს გამოჰყვა ჯერ რუსთაველში და მერმე თვით ნინოწმიდაში.

პეტრემ გადაწყვიტა, ესარგებლა მღვდელმთავრის ნდობით. ბერი ღრმად დარწმუნებული იყო, რომ შულღის ჩამოგდების ცდა ამაოდ არ ჩაუელიდა, რომ ნინოწმიდელს სტუმარზე გულს ააყრევინებდა და და-

შოშმინდა. სენაკი გულდამშვიდებულმა მიატოვა.

ტაძრის გალავანში ბერს ბაქარი შეეჩეხა. ვაჩე ამ დროს ტაძრის ნაპრალებს ათვალიერებდა ნინოწმიდელთან ერთად და ეძებდა ტაძრის აგებულობაში მთავარ ნაკლს, რომელსაც ხელი შეეწყო მიწისძვრისათვის კედლების დახეთქვაში და აინუნშიაც არ მოსდიოდა, რომ პეტრე ბერს მწარე სიტყვით გაუმასპინძლდა. სამაგიეროდ მისი შვილიშვილი ძალიან ფხიზლობდა. პეტრე ბერმა უკვე მოურიდებლად გადახედა მარტო მდგომ ჭაბუკს და გვერდზე გაუარა. ბაქარმა ამ გადმოხედვაში მუქარა იგრძნო და ელვის სისწრაფით თავში აზრი წამოეჭრა.

„რითი შეიძლება გვავნოს ამ მონაზონმა? — ბაქარმა თავის თავს მაშინვე ასეთი პასუხი გასცა: — გულთფარის ძმაო, უთხრა თურმე პაპას არიშიანმა, ბიძა კვეტარელი ლეკვებისა. ამათი რაზმები კი დაძრწიან ჩვენს არემარეზე. კითხულობენ, ვაჩე როდის ბრუნდება ქართლშიო. ბერას მოკრებილი ცნობებით მოსპობა უნდათ პაპიჩემისა, გზად მიმავალზე სადმე თავდასხმით. ნინოწმინდიდან კაწარეთს უნდა ვეწვიოთ, მერმე ვერენას. უსათუოდ ამის თაობაზე აცნობებდა რამეს იმ მეკობრეებს პეტრე მონაზონი და ივრის ჭალებში თავს დაკლესხიან. ერიჰა!.. ჩემო თავო, როგორ მიიყურისძირე? ეს არ გეპატიება“, — ჩაილაპარაკა ჭაბუკმა და მტკიცე ნაბიჯით გასწია ნინოწმიდელის პალატისაკენ. ვაჩეს ამალაში ძიძიშვილი გამონახა და გარეთ გამოიწვია.

— ონოფრევ! — უთხრა ბაქარმა დაბალი ხმით, — გასწი უჯარმას დაუყონებლივ ბერასთან. აუცილებლივ აცნობე, რომ ხვალ განთიადამდე კაწარეთს მიედინება პაპაჩემი თავისი ამალით, მერმე ვერენასაკენ გასწევს და თვალყური ეჭიროს კვეტარელებზე.

— ე რძეძაღლიშვილ ბერს, — დაბალი ხმითვე მიუგო ონოფრემ თავისებურად ხალხურად, — კარგა ხანია შევნიშნე, რომ კაი სული არ უდგას, მაგრამ, რამე რომ მეთქვა, რას დამიჯერებდა პაპაშენი. წარამარა მოგვადგებოდა ეს თხისწვერა და ხან რას გვეკითხებოდა და ხან რას

ბაქარმა შეაჩერა.

— მერმე მიამბე, მერმე! ახლა კი გზას გაუდექი.

— შინ კი არ ავიდე? უკან არ დაებრუნდე?

— შინ ნუ ახვალ, მამა არ შეწუხდეს უბრალოდ. ჩვენც კარგა დავუმკლავდებით კვეტარელებს, ხომ გახსოვს, შარშან ბოჭორმაში,

გიორგობას, თოთხმეტი წლისამ რა ვუყავი აეთ ცალქალამანიძეს ხმლით შეჯიბრებაში. ახლა უარესს მოელოდეს...

— ვახტანგ გორგასალის ნატამალი ხარ და! — ჩაურთო ონოფრემ სიტყვა.

ბაქარმა ყურადღება არ მიაქცია ამას და თავისი განაგრძო:

— მაგრამ აქაც ნუ დაბრუნდები, ბერასთან დარჩი, მოეხმარე, პეტრე მონაზონმა ალღო არ აიღოს, ჩემი დახოცილი ხოხბები ნახევარი ბერას წაუღე: გაეხარდება ჩემი ძღვენი. თუ ვინმემ გკითხოს, რად მიდიხარ უჯარმაშიო, მამამისთან ხოხბებს მატანს—თქო, უთხარი.

ონოფრემ ცხენი შეკაზმა და ხოხბებაკიდებულმა ნინოწმიდას საკრებულოს ტაძრის გალავანი დააგდო.

ბაქარმა პაპა მონახა.

— ამბავი, შვილო? — ჰკითხა ვაჩემ.

— ონოფრე უჯარმას გავგზავნე ბერასთან, — უპასუხა ყმაწვილმა.

ვაჩემ შუბლი შეიკრა, არ ესიამოვნა: თავის ამალას საკმარისად სთვლიდა, რომ მეკობრეთ გაჰმკლავებოდა. დუმილით გაშორდა შვილიშვილს.

ვაჩეს შუბლის შეკვრამ ბაქარზე ძალიან იმოქმედა. ჭაბუკი გალავნის მიყრუებულ ადგილს მიეკედლა. დაღონებული ქვაზე ჩამოჯდა. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ნაბიჯი სწორედ გადადგა. კარგად იცნობდა კვეტარელთა ფანდებს, მაგრამ პაპას რად ეწყინა, ამას ვერ ჩასწვდომოდა.

„ბერასთან კაცის გაგზავნა აუცილებელი გახდა, რაკი გავიგე, ვინ ბრძანდება პეტრე ბერი. ალბათ ეს მზვერავი წარამარა აძლევს ცნობებს კვეტარის მოხეტიალეებს. თხუთმეტი კაცი პაპიჩემის ამალისა რომ საკმარისი ყოფილიყო, ღმერთმა ხომ იცის, ბერას არ მივმართავდი. კვეტარელები პატარ-პატარა გუნდებად დადიან მაშინ, როცა იციან, რომ გამბედავი ვინმე არ შეეჩეხებათ, მაგრამ, თუ გადაწყვეტილი აქვთ საგრძნობ ძალასთან შებმა, მაშინ ოცდაათი და ორმოცი, ხანაც სამოცი კაცისაგან შემდგარ რაზმად იქცევიან ხოლმე. მერმე ახლა მთლიანად ერთად ხომ არ მოდიან შენზე. სამად იყოფიან და ერთმანეთთან შორიახლოს საფრდებიან. ერთ განაყოფს რომ წააწყდები და ბრძოლა ატყდება, მეორე განაყოფი ზურგიდან დაგეცემა. თუ ორსავე განაყოფს გაუჭირდა, საყვირებით გამოწვეული მესამეც თავს დაგესხმის და მაშინ, მშვიდობით! ძნელად თუ დააღწევს თავს. პაპის ამალა რჩეული ვაჟკაცებისაგან

შედგება, მაგრამ ასეთ რაზმთან გაუძნელდებათ ბრძოლა. არა, პაპაჩემს ვერ გავწირავდი, ვერა! უნდა მეცნობებინა ბერასათვის უსათუოდ. მამას შევატყობინებდი, მაგრამ მონაზვნად აღკვეცა პირდაპირ ტანჯვად ექცა. არავის არაფერს ეუბნება, მაგრამ განა არ ეტყობა?... გამომიშვა აქეთ მამაჩემმა და მითხრა, ფხიზლად, შვილო! იმასაც ეშინია, რომ პაპას ზიანი არავინ მიაყენოს. მე მამაჩემის დავალება გავყევი და რად იწყინა, რად, პაპაჩემმა ჩემი ნაბიჯი...“

ბაქარს ფიქრთა დენა შეუწყდა: პეტრე ბერი წამოადგა თავს.

— ჭაბუკო, რომელ ცოდვას ჩაუფიქრებიხარ მაგრე?

ბაქარმა უკმაყოფილოდ თვალი გადაკრა: რა უნდა ამ არამკითხესაო, და სიტყვა მოუჭრა: — სასანიანნი მხოლოდ თავიანთ მოძღვარს ეუბნებიან აღსარებას და არა ყველა ვიგინდარას, — ყმაწვილი ზეზე წამოდგა და ნინოწმიდელის პალატისაკენ გაემართა, ბაქარს გზაში ტაძრიდან გამოსული პაპა დახვდა, უკვე სახემოღიმარი. ეტყობოდა, წყენა გაჰქარვებოდა და შვილიშვილის თვალიდან მიფარება შემძიმებოდა.

— გამებუტე, შე საძაგელო? — ჰკითხა ხუროთმოძღვარმა ბაქარს, რაკი სახეზე დაღონება შენიშნა. — განა აო უნდა გეკითხა ჩემთვის?

— მართალი ხარ, პაპილო, დანაშაული ჩავიდინე, — უპასუხა ბაქარმა თავდახრით, — მაგრამ დანაშაულის ჩადენა ვამჯობინე იმ ვნებას, რომელსაც მოგაყენებდნენ შენი მაძებარნი მტერნი. რომ იცოდე, პაპა, რა ვერაგი ხალხი გადაგეკიდა, დანაშაულს დანაშაულად აღარ ჩამითვლიდი. ვგრძნობ, ეს ბერი წარამარა ცნობებს აწვდის ჩვენს თაობაზე კვეტარის მფლობელთა რაზმებს.

ვაჩემ მოხვია შვილიშვილს თავზე ხელი, თვალები და შუბლი გადაუკოცნა.

— შვილო, წყენა ერთ წუთში გამიქრა და შენი საქციელი დანაშაულად აღარ ჩავთვალე. პირიქით, მალე გავიხარე შენი გონიერული საქციელით, შენგნით გამოჩენილი მზრუნველობით. ხვალ, შუაღამისას, სიგრილით კაწარეთის გზას უნდა გავუდგეთ, მერმე ვერენას წავიდეთ და ბოლოს უჯარმაში დავბრუნდეთ.

პაპა-შვილიშვილი ნინოწმიდელის პალატაში შევიდნენ. ძირა სართულის დარბაზში ბაქარმა თავისი ნანადირევი ხოხბები წამოკრიბა და ისე გაჰყვა პაპას ზემო სართულში ნინოწმიდელთან. პეტრე მონაზონიც

აქ დახვდათ. მღვდელმთავარს აღელვება ეტყობოდა. პეტრე მონაზონი კიდევ იდგა და თითქოს რაღაცას ელოდა. ვაჩეს არ ესიამოვნა ნინოწმიდელთან ბერის ყოფნა და მის მეტყველ სახეზე სწრაფად აღიბეჭდა ეს მოვლენა. უნდა ეთქვა ნინოწმიდის ტაძრის ნაპრალებზე თავისი მოსაზრებანი, მაგრამ სიტყვის თქმა დაუმძიმდა. ნინოწმიდელს თავისებური მორიდებული კილოთი მოახსენა:

— გვაკურთხე, მეუფეო!.. აი ეს მოგართვი დილანდელი ჩემი ნანადირევი.

— სად მოასწარი, ყმაწვილო! — გაოცებით უთხრა მღვდელმთავარმა, — გეტყობა, მშვილდ-ისრის ხმარება კარგად გცოდნია.

— მამა მასწავლიდა, მეუფეო, სროლას! ხომ მოგეხსენებათ, კარგი მოისარია.

— ვ..ცი, ვიცი, და გმადლობ, ჭაბუკო. ჩანს, არც შვილი დაუვარდება მამას. პეტრე, ესენი სამხრისათვის მოამზადებინე, აბა დააელე ხელი და წაიღე.

პეტრე როგორღაც ახანებდა, თითქოს დაცდას აპირებდა. ნინოწმიდელმა ერთი გადახედა, თვალით კარისკენ გზა უჩვენა და ისიც იძულებული გახდა გასულიყო დარბაზიდან.

ნინოწმიდელი მუდამ პირდაპირობდა. ეს მისი თვისება ყველამ იცოდა. მღვდელმთავარს არასოდეს უღალატნია ამ თვისებისათვის და ამ წუთსაც ცხადად ჰყო იგი.

— ხუროთმოძღვარო, შენი ასახსნელობა ღრმად ჩამეჭრა გულში და აი დღეს ამ ცოტა ხნის წინათ მოისურვეს მისი ამოშლა. იცი, რა მითხრეს? ვაჩემ სიძეს ძალად გადაადგმევინა ნაბიჯი მონაზნობისაკენაო. მას სურდა, რომ თუ ვინიცობაა ბაგრატი გაიმარჯვებს, ნინოწმიდელობა ჩამოგართვან და რევი შეამოსინოს ნინოწმიდელობის ღირსებითაო. მე პეტრე ბერი ძალიან მიღებული მყავს. მას აქეთ, რაც ჩემთანაა, ეჭვი არ შემპარვია მის ფაქიზობაში. ეჭვი არ შემპარვია დღევანდლამდე. დღეს შემერყა ნდობა მის მიმართ... ვითომ უჯარმაში გელაპარაკოს ჩემზე: იქ გავიგეო... — ნინოწმიდელი ამბობდა ამას და ვაჩეს თვალში თვალს უყრიდა. ვაჩე წარბშეუხრელად უცქეროდა. — გულს შევეკითხე, — განაგრძო ნინოწმიდელმა. — და ვერ დაგთმო შენ. აქნობამდე თუ სჯეროდა პეტრე მონაზვნისა, შენზე რომ მიდგა საქმე აღარ დაიჯერა.

— მეუფეო, პეტრე მონაზონი თურმე გულთფარის ძმაა, დედითგან იასონ ცალქალამანიძისა და აბა კარგს რას გეტყოდა ჩემზე, რას დამინდობდა? ალბათ სურდა, რომ თქვენი წყევლა-კრულვა დამტეხოდა თავს.

— დედის ძმა იასონ ცალქალამანიძისა! — გაიკვირვა ნინოწმიდელმა.

— დიახ, დედის ძმაა იასონისა. არიშიანმა მითხრა ჩვენ აქ წამოსვლისას. რუსთაველში მისვლის ორი დღის წინათ გაეგო. არ ეცნობებინა თქვენთვის. ეგონა არ დაუჯერებდით.

— მართალია, — თქვა ნინოწმიდელმა, — შენ რომ არ შეგხებოდა ეგ მუხანათი, არ დავიჯერებდი.

ნინოწმიდელმა კაცი გაგზავნა პეტრეს მოსაყვანად. უნდა ემხილა და სასჯელი მიეყენებინა.

მაგრამ პეტრე მონაზონი ველარსად ნახეს, ვერც ნინოწმიდის გალავანს შიგნით, ვერც ნინოწმიდის სანახებში.

რამდენიმე დღის შემდეგ მთხრობელმა ამბავი მოიტანა, პეტრე ბერი თავის ცხენზე იჯდა და კაწარეთისაკენ მიაქანებდაო.

ნინოწმიდელს გაახსენდა, თუ როგორ თამამად ლაპარაკობდა მასთან მოსული ერთ-ერთი დიდებული ცალქალამანიძიანთ ალაგმვის თაობაზე პეტრე მონაზვნის თანდასწრებით, როგორ ნატრობდა ეს დიდებული ბაგრატიანთა მოსვლას გარე კახეთში და როგორ აოხრებული დახვდა მას საცხოვრებელი ადგილი შინ დაბრუნებისას. გაახსენდა მეორეც, მესამეც, რომელთაც მასთან პეტრესვე თანდასწრებით ელაპარაკნათ და სწორედ შინ დაბრუნებისასვე, როგორც პირველს, საკუთარი ქონება გაოხრებული დახვდათ. ნინოწმიდელმა ეს თავის თავს დიდ ცოდვად ჩაუთვალა და წმიდა ნინოს ხატს სთხოვა, ძლიერი სასჯელი მიეყენებინა მისთვის.

11

მთვარის შუქი ნელდებოდა, როცა ვაჩე თავის შვილიშვილთან და ამალასთან ერთად უჯარმის დასწვრივ ივრის სანახებსა და უჯარმისა და ვერენას გასაყარს უახლოვდებოდა. გზა ამ მიდამოებში ატეხილ ჭალებზე მიდიოდა და გზასაყარიც ამ ჭალებში იყო ჩამალული. ვაჩეც, ბაქარიც და მთელი ამალა სმენადაძაბული მიერეკებოდნენ ცხენებს და ხეების ტევრით შექმნილ კედლებს თვალს არ აშორებდნენ. ნინოწმიდიდან მამლის ყივილისას წამოსვლა ვაჩემ განგებ გადაწყვიტა.

ამ დროს ჩემს მგზავრობას მტერი ძნელად თუ მოისაზრებსო. — ფიქრობდა ხუროთმოძღვარი და ზედმეტი დავიდარაბა ამცდებაო, მაგრამ მაინც ფხიზლობდა თვითონაც, მისი შვილიშვილიც და ამალაც, საგანგებოდ შემდგარი შინაყმებში შერჩეული ვაჟკაცებისაგან. პეტრე ბერის მიმალვა მაინც კარგს არას მოასწავებდა. ვინ იცის, მიხვდა ის მკრეხელიო, ფიქრობდა ვაჩე, გამიგო, რომ ღამე დავიძვრებოდი ნინოწმიდიდან და თავის დისწულთა რაზმს აცნობაო.

ამ დროს ტყის ნაპირს აჩრდილი გამოეყო. დაკრძელდა უკვე დასავლეთისაკენ გადახრილი მთვარის შუქზე და ბაქარს სწრაფად მიუახლოვდა.

— ონოფრე! — გაისმა ღამის დუმილში ყრუ წამოძახილი.

ბაქარმა იცნო თავისი ძიძიშვილი მუზარადითა და ჯავშნით მოვლენილ სულიერში; ასე გამოწყობილი სახლში არასოდეს არ ჰყოლიათ ონოფრე.

ონოფრეს სახელის გაგონებაზე ვაჩემ ბაქარისაკენ გადაინაცვლა:

— რა ამბავს იტყვი, ონოფრეე? — ჰკითხა ხუროთმოძღვარმა და თან სიამოვნებით ახედ-დახედა. მისი აღნაგობა მოეწონა.

— გუშინდელს აქეთ სულ ამ არემარეზე ვტრიალებდი, ვაჩე პატრონო! — მოახსენა ონოფრემ. — ჩასაფრებულები ვართ ერთ სამალავში, რომელიც აქამდე ბერას მეტმა არავინ იცოდა. ოცდაათნი არიან ბერაიანად, მე ოცდამეთერთმეტე ვარ. ის რძეძაღ... უუჰ! კინაღამ არ წამომცდა ჩემებურად. ცოტა გაწყდა, არა ვთქვი ის რძეძაღლიშვილები-მეთქი ვაჩე პატრონთან!..

ირგვლივ გულიანი ხარხარი ატყდა.

— რა იყო? რას იცინით? — იკითხა წყენით ონოფრემ.

— მერე? ის რძეძაღლიშვილები? — წაახალისა ვაჩემ.

— ამ ორი დრის წინათ ამ მიდამოებში ტრიალებდნენ თურმე კვეტარელები, — განაგრძო ონოფრემ, — და ახლა კი სადღაც გამქრალან. ეს მესამედ გამოუსულვარ თქვენს მოლოდინში და ახლა გნახეთ მარტო. პატარა ხანი მოითმინეთ, ბერას რაზმი ხელად აქ გაჩნდება.

ონოფრე ისევ ტევრს დაუბრუნდა.

პატარა რაზმი ვაჩესი აღარ დაიძრა. მოლოდინში დუმილს მიეცა.

ერთი საათის უკან უღრან ტყეს პირველად ონოფრეს ჩრდილი

გამოეყო, ონოფრესას ბერასი მოჰყვა, მერე ვეჟანისა და რაზმელებისა. ყველას სათითაოდ ცხენი მოჰყავდა ფლოქვებზე ნაბდებგამოკრული. ბერასაც კი ელალატნა თავისი ჩვეულებისათვის და ცხენით მოეელინა ვაჩეს.

— ვერენამდე მიგაცილებთ, — განუცხადა ზენკალმა. — ჯერ არავინ შეგვინიშნავს, მაგრამ ეს დამამშვიდებელი არ არის. შეიძლება ახლავე შემოგვეფეთნენ, შეიძლება მერმე, ან სულაც არა. თხუთმეტი კაცი შენი, ოცდაცხრა ჩემი, მე, ბაქარი, ონოფრე, არა უშავს რა, კაი ძალაა, დავიძრათ!

ბერას რაზმელები, ონოფრე და ბერა ცხენებს მოახტნენ. წინ ვაჩე, ბაქარი და ამალა გაუშვეს, თვითონ შორიახლოს უკან აედევნენ წინწასულებს, ისე, რომ წინშეხვედრილი წინა რაზმს რომ დაინახავდა, უკანა რაზმი კარგა ხნობამდე მის თვალის სარბიელს არ მოხვდებოდა.

— და კვეტარელები თამამად დაესხნენო, — ამბობდა ბერა, — მერმე ჩვენ ვიცითო. ვნახოთ, რას გვიზამენო.

ბერას რაზმის ფეხთ ნაბადმოკრული ცხენების სიარული ხმაურობას არ იწვევდა. ისმოდა მხოლოდ ვაჩეს რაზმის ცხენთა ბაკუნი. ესეც კარგი იყო, ბერას თქმით.

გზაგასაყართან ერთი ცხენოსანი გამოჩნდა და ისევ სწრაფად მიიმალა. პატარა ხანს უკან კი სამოციოდე ცხენოსანმა ვაჩე შვილიშვილიანად და რაზმიანად შუაში მოიქცია და ცხარე ბრძოლაში ჩააბა. კიჟინი, ხმლის ჩახაჩუხი მოედო ირგელივ არემარეს და უჯარმამდე და პალატამდინაც ავიდა. ერთმანეთს ზურგით შექცეული ვაჩე, ბაქარი და ამალა ავ დღეს აყენებდნენ მოიერიშეთ, ისინი კიდევ, თავისი სიმრავლით წაქეზებულნი, არ დრკებოდნენ და გამწარებულნი ეკვეთებოდნენ სალი კლდესავით მდგართ და შუაში მომწყვდეულ მოწინაღმდეგეთ. ვაჩეს წინ უკვე რამდენიმე დაჭრილი კვნესოდა. ამალა პატრონს არ უვარდებოდა, ბაქარი კიდევ პაპას სჭარბობდა.

— მიმიშვით ერთი მაგ ძაღლის ლეკვთან, მიმიშვით! — დასჭყიცლა ახალგაზრდა მხედარმა კვეტარელებში და თავისიანებს გზა დააგდებინა ახალგაზრდა სასანიანისკენ.

ბაქარმა იცნო.

— მობრძანდი, აეთ, მობრძანდი! ნამდვილად ბოჭორმა დაგვიწყებია, — შეუძახა დაცინვით ყმაწვილმა და ჭაბუკ ცალქალამანიძის შემოქნეულ ხმალს მარჯვედ შეაშველა ფარი.

— აი, შენს მკლაკს კი ვენაცვალე, შენ მკლავს, ბაქარ! დაჰკა, არ გაუშვა, დაჰკა! — უყივლა სასანიანს მტრის უკან თავის რაზმიანად მომდგარმა ბერამ, ერთი დაკვრით პაპა-შვილიშვილისა და მათი ამალის შემბოჭავი რკალი გაჰკვეთა და თავისი კეტი ელვასავით დაატრიალა. ბერას არც მისი რაზმი ჩამორჩა. კეტს ხმლებით მიეშველა. ონოფრე ბაქარს გვერდით ამოუდგა.

— თქვე რძეძაღლიშვილებო, თქვენა! — დასჭყივლა ძიძიშვილმა კვეტარელებს, — რომელიც გინდათ, შემებით, და სეირს გაჩვენებთ!

ბერას რაზმის მისვლით კვეტარელები თითქოს შედრკნენ, მაგრამ იჭექა იაზონ ცალქალამანიძის ხმამ და დამცემთა რაზმი კვლავ გაკაჟდა.

აქამდე შეუმჩნეველად და უმოქმედოდ მყოფი კვეტარის მფლობელი ბრძოლაში ჩაება, მაგრამ მისმა ხმამ და ბრძოლაში ჩაბმამ მისი რაზმელები თუ გააკაჟა, მოპირდაპირენი ვერ შეაშინა. არც ერთი მათგანი ფარხმალის დაყრას არ ფიქრობდა. ბრძოლა გამწვავდა. იაზონი ვაჩეს მოსპობას ლამობდა, ვაჩე თავისიანებით — კვეტარელების დამარცხებას.

აგერ გულთფარი წამოვიდა ბაქარისაკენ, როცა დამარცხებული თავისი დისწული ძირს დაცემული დაინახა.

ვაჩესკენ თვით იაზონი გამოემართა. მაგრამ დისწულს გვერდს პეტრე ბერი ამოუდგა.

— იაზონ, ეგ ნახევარბერი ბერს დაუთმე! შენ აგე, იმ ზენკალს მიხედე, თორემ მთელ რაზმს გაგინადგურებს.

პეტრე ბერმა ვაჩეს შეუტია და იაზონმა ბერასკენ გასწია. გაუძნელდა ცალქალამანიძეს ბერასთან მისვლა. ბერას რაზმელები მარჯვედ იქცეოდნენ. მათი ძლიერება ხელოსნობას გამოეკაჟნა.

ვაჩემ პეტრე ბერს ხელი პოჰკვეთა.

— ჯაშუში ხმლით სიკკდილის ღირსი არ არის! — მიაძახა ხუროთმოძღვარმა უმარჯვენოდ დატოვებულს და სხვებს შეუტია.

გულთფარს წინ ვეჟანი გადაეღობა.

— სად არის ჩემი და, შე ეშმაკის კერძო? — შესძახა ქველიძემ მოწინააღმდეგეს და ხმალი შემოუქნია.

გულთფარმა ხმალი ხმალს აუკრა და გადაიხარხარა.

— შენც მოგკლავ! — მიუგო მოპირდაპირეს, — და ვისთანაც არ მიშვებ, იმასაც წაგაკლავ!

— მაგასაც ვნახავ! — გაისმა პასუხად ვეჟანის სიტყვები და გულთფარის წინ იელვა ხმალმა.

გულთფარმა დაინახა, რომ მარჯვე ჭაბუკთან ჰქონდა საქმე, და სიფრთხილით აღიჭურვა. ბაქარისაკენ წასვლა მოუცდა. ახალგაზრდა სასანიანი კი პაპას შეელოდა: ხან ერთ მხარეს აცხრებოდა ქორიეით, ხან მეორეს. ბაქარს ძიძიშვილი ეჯიბრებოდა.

— თქვენს სინსილას გავწყვეტ, თქვენს სინსილას, თქვე რძეძაღლიშვილებო! — იძახდა ხანგამოშვებით ონოფრე და ვეფხვივით ტრიალებდა.

ბრძოლას ბოლო არ უჩანდა... კვეტარელებს რამდენიმე დაეჭრათ, რამდენიმე დაეხოცათ, სიმრავლით მაინც სჭარბობდნენ არსაკიანისა და ზენკლის რაზმებს, მაგრამ უკანასკნელნი სიმტკიცით აღემატებოდნენ კვეტარელებს.

ღამე ბინდბუნდად იშლებოდა, როცა მეომართ გზასაყარზე უჯარმის გზიდან ცხენთა ფეხის ხმაური შემოესმათ. ცოტა ხანმა გაიარა და კვეტარელების რაზმში გრიგალივით შემოიჭრა რევი და მისი ხუთი შინაყმა და სიკვდილი დაატრიალეს. იაზომა დაინახა, ველარას გახდებოდა და თავისი რაზმით პირი იბრუნა. სახუმარო როდი იყო გარე კახეთის განთქმულ მეომრებთან — რევისა და ფერისთან ბრძოლა. ცალქალამანიძემ თან გაიტაცა თავისი დაჭრილი ძმა აეთი.

გამარჯვებულები არ დასდევნებიან გაქცეულებს. ვაჩეს ბრძანებით მისმა ამალამ და ბერას რაზმელებმა საკაცეები გამართეს, ზედ დაასვენეს თავისი თუ მტრის დაჭრილები და უჯარმისაკენ გაუყენეს.

— რა კაცია, ღმერთო, ეს ხუროთმოძღვარი?! — ამბობდა გზაში ბერას გვერდით მიმავალი ფერისი. — ეს დაჭრილი მტრები რაღად მოჰყავს უჯარმაში? ყრილიყვნენ ბრძოლის ველზე უპატრონოდ. სწორედ გითხრა, შემზარავი რომ არ იყოს დაჭრილთა ხელყოფა, ბრძოლის ველზევე მოვულებდი მათ ბოლოს. ისინი ხომ ყველანი მეკობრეები არიან.

— შენთვის თუ შემზარავია დაჭრილების ამოჟეჟვა, ჩემო ფერის, — მიუგო ბერამ, — როგორ გგონია, მონაზონს, ქრისტეს მიმდევარს, შეუძლია განა მტრის დაჭრილები ბრძოლის ველზე დატოვოს? ასეთი საქციელი მხოლოდ მეკობრეებსა და კვეტარელებს შეშვენით.

ფერისსა და ბერას ვეჟანი ამოუდგა გვერდით. ბრძოლაში მკლავი დასჭროდა და აეკრა.

— რაც მოგივა, დავითაო, ყველა შენი თავითაო, — უთხრა ბერამ ვეჟანს. — დამთხვეული ბრძოლა გცოდნია. კაი ვაჟკაცი ხარ, მე და ჩემმა ღმერთმა, მაგრამ თვალს დროზე არ აშველებ შენს მოქმედებას. მიკვირს კიდეც, ცოცხალი როგორ გადაურჩი გულთფარს, იშვიათ ფრთხილ მეომარს.

— გავაქციე კია და!

— ონოფრე არ ყოფილიყო, მე ვიცი, როგორც გააქცევდი! იმან აუკრა როგორლაც გვერდიდან ხმალი, თორემ ახლა მკლავი მთლად აღარ გექნებოდა. ესეც არ გიშველიდა, რომ რევი თავისი ჯგუფით არ გაჩენილიყო. მათმა მოსვლამ თავზარი დასცა მტერს, თორემ ჩვენ კიდევ ახლაც ბრძოლაში ვიქნებოდით: ჩვენზე ორჯერ მეტნი იყვნენ ის ძაღლისნასხლეტები. ვაჯობებდით კია: იაზონს, გულთფარს, აეთსა და პეტრე ბერს გარდა ჩვენთან ვერავინ მოვიდოდა — ვაჩეს თხუთმეტი კაცი კლდესავით იდგა. ბალიან ვაჟკაცები შეურჩევია ჩვენს მძახალს, ძალიან! მერმე თვითონაც ლომივით იბრძოდა და ტყუილად კი არ არის ნათქვამი: როგორც ერიო, ისეთი ბერიო, სწორედ მაგასა და მაგის რაზმზეა ზედ გამოჭრილი.

— მერმე სხვა? — შეეკითხა ვეჟანი, — რატომ სხვაზე არაფერს ამბობ?

— სხვა! შენ აკი გითხარი, დამთხვეული ხარ-მეთქი. შენ თვალის ჩიფრთხილე უნდა ისწავლო. მაგალითად ბაქარ- უნდა გყავდეს, ვენაცვალე იმის მარჯვენას. თვალფრთხილია და თვალსწრაფი. ასეთი თხუთმეტი წლისა ათასში ერთი თუ გამოვა. არც ჩემებია ნაკლები, მაგრამ ყველას რევი გვჯობია. ისა და მარტო ფერისი იყო საკმარისი, რომ მტერი დამფრთხალიყო. ბაქარი მამას ჰგავს არა, ფერის?

— ჰგავს, მაშა, ჰგავს! — უპასუხა ფერისმა და ბაქარს გახედა. ბაქარი ჩაფიქრებული მიდიოდა. გვერდით ონოფრე მისდევდა და რაღაცას ეუბნებოდა ბატონიშვილს, მაგრამ ბიჭიშვილის სიტყვები სულაც არ ესმოდა, მისი გონება მამას დასტრიალებდა.

— ვუყვარვარ, ძალიან ვუყვარვარ! — წამოილაპარაკა ფიქრის შედეგად ყმაწვილმა.

— უყვარხარ, მაშა! — ჩამოართვა სიტყვა ონოფრემ, — ისე უყვარხარ, რომ გულმა უგრძნო და მოგეშველა, განა მონაზენად რომ აღიკვეცა, მაგითი გაფუჭდა რამე? არაფერი, ბაქარ, არაფერი.

ბაქარმა ონოფრეს ახედ-დახედა და არაფერი უთხრა რა. ისევ ფიქრს მიეცა, ძიძიშვილს გულში უპასუხა: „როგორ თუ არაფერი? იტანჯება! რადა, არ ვიცი, მაგრამ ძალიან კი იტანჯება, ამას ჩემის თვალითა ვხედავ!“

ყმაწვილმა პაპასთან ერთად მიმავალ რევის გახედა. თავი დაეხარათ და დუმილს მისცემოდნენ.

ვაჩე ფიქრობდა: ეს გამარჯვება კარგი ნიშანიაო. ბერას რაზმების თავდადებული ბრძოლა ბაგრატის კაცის გადარჩენისათვის ბაგრატიანთა დინასტიის დიდსა და დიდ თანაგრძნობას გამოსახავდა და ეს ვაჩეს გულს სიხარულით ავსებდა.

რაკი შვილსა და სიმამრს საფრთხე აღარ ელოდა ჯერჯერობით, რევი იქითურ სამყაროს თავის არყში მოექცა. „ნუ გაიწყდება, — ეუბნებოდა საიდუმლო ხმა, — რომ შენ გვარი აღარა გაქვს. შენ შენს ერსაც აღარ ეკუთვნი, არამცთუ შენ გვარსა. შენი შვილები ახლა ყველა შვილის თანაბარია შენთვის. ეს უნდა გახსოვდეს შენ, იოანე მონაზონო!“

იოანე მონაზონს ფიქრთა დენა შეუწყდა, თავი მაღლა აიღო და გვერდით ბაქარი დაინახა. მამის გულმა შვილისკენ გაიწია. შვილმა მშობლის თვალებში უსაზღვრო სიყვარული და ზრუნვა ამოიკითხა. მის ყურს მოხვდა დუდუნით წარმოთქმული სიტყვები.

— გაუთავებელი შურისძიება იციან, შვილო, კვეტარელებმა! სიფრთხილე გმართებს.

ვაჩემ გაიგონა სიძის სიტყვები და ღიმის გამოკრთომით ალაპარაკდა.

— შვილის მაგიერო, ბაქარს ნამდვილი სარდლური სიფხიზლე ჰქონია! შეგიძლიან იამაყო მაგნაირი შვილით.

ვაჩე მოუყვა რევის, თუ როგორ იქცეოდა ბაქარი ჯერ რუსთავში და მერმე ნინოწმიდაში. ბოლოს დასძინა, მცხეთაში გამომაყოლე, ქართლი უნდა ვაჩვენო, მეფე ბაგრატი ვანახულო და მისი გული მოვაგებინოო.

პაპა ლაპარაკობდა და შვილიშვილი წითლდებოდა. რომ დაეღწია თავი უხერხული მდგომარეობისაგან, მამას მიმართა:

— ბერას არ დავიწვევთ სადილად, მამავ? უჯარმაში შემოვდგით ფეხი და აგე მისი რაზმელები მალე წაველენ-წამოველენ სახლებში.

— როგორ არა, შვილო! წადი, ბერას უთხარი, არც ერთი რაზმელი არ გაუშვას.

ბაქარმა შეება იგრძნო. გააბრუნა ცხენი და ბერასაკენ გააქანა. მერე ონოფრესაკენ გადაინაცვლა. უბრძანა, გამომყეო და ბოლოს ისევ რევისთან მივიდა.

— ხომ საჭიროა დაჭრილებისათვის წინასწარ ადგილები დამზადდეს და სადილისათვის ვიზრუნოთ? — მოახსენა მამას ჭაბუკმა.

მამამ პასუხად თავი დაუქნია.

ბაქარი და ონოფრე დაწინაურდნენ.

წალკოტში უფლისწულსა და ძიძიშვილს ნინო გამზრდელი და მირანდუხტი დახვდათ. ბავშვი თვალებანთებული გამოიყურებოდა. დაუსხლტა ნინოს ხელიდან და ბაქარისაკენ გაექანა, ჭაბუკი ჩამოხტა ცხენიდან. მირანდუხტმა ხელი წაავლო და აჩქარებით ჰკითხა:

— ბაქარ, დაამარცხეთ?

— დავამარცხეთ, განაცვალე, დავამარცხეთ! — უპასუხა ბაქარმა და ხელში აიყვანა.

— მამა და პაპა როგორ არიან?

— კარგად არიან, კარგად. მალე მოვლენ და ნახავ.

ბავშვს მზესავით გაუბრწყინდა სახე.

ბაქარის ბრძანებით პალატში ყველა აფუსფუსდა. ზოგი ლოგინებს უმზადებდა დაჭრილებს, სხვები სადილის სადარიგს შეუდგნენ. ნინო ხან ერთს აძლევდა შენიშვნას, ხან მეორეს. მირანდუხტი კიდევ ბაქარს აღარ გაშორებია. დაისვა გვერდით და ყველაფერი აამბობინა, თუ ვინ როგორ იბრძოდა.

პატარა ხანმა განელო და პალატის ეზოში გაისმა ახალმოსულთა ხმიანობა. მოიყვანეს დაჭრილები. ვაჩე მათ დაბინავებასა და მოვლას შეუდგა. იცოდა ჭრილობათა მკურნალობა. რევი საღსალამათებს გაუმასპინძლდა. მირანდუხტი პაპას აედევნა და ცნობისმოყვარეობით თვალყურს ადევნებდა მის საქმიანობას და თან დაჭრილებს ებაასებოდა. რომ გაიგო, დაჭრილები მტრის რაზმიდანაც არიანო, მათი გაცნობა მოიწადინა. თითოეულის ვინაობას იგებდა და ჰკითხავდა, რა ჯავრი გჭირდათ ასეთი გულკეთილი პაპისაო. ყველა იღიმებოდა და იხიბლებოდა ბავშვის ქცევით.

დაჭრილებს მოჰბანეს ჭრილობები და მოასვენეს. ვაჩე საღსალამათებს დაუბრუნდა. მირანდუხტი კი ისევ განაგრძნობდა თავის გამოკითხვას.

— შვილის მაგიერო, უნდა გამატანო მცხეთას ბაქარი და მირანდუხტი! — უთხრა ვაჩემ რევის. — ბაგრატი დამხედავს და კარგი იქნება, რომ შენი შვილები — ჩემი შვილიშვილები მის თვალის სარბიელს მოხვდნენ, ვინ იცის, რა ბედი ეწვიოს ბაქარსაცა და მირანდუხტსაც! წინ რად უნდა გადაეღობო?

რევიმ მხრებში შეიშმუშნა, სამი დღის განმავლობაში ეს მესამედ გაუმეორა ვაჩემ თავისი სურვილი და პასუხი დღესაც ვერ მისცა. შვილებისაგან ახალი სამყაროთი გამიჯნულ იოანე მონაზონს ეზარებოდა მათთან დიდი მანძილით დაშორება. ეზარებოდა თვით სიმამრის წასვლაც. მისი ახლოს ყოფნა სულს უმსუბუქებდა. მაგრამ როგორ შეუშლიდა ხელს ნანას მამას.

„ ნეტავი ეს დაჭრილები ადრე მაინც არ განეკურნა! — ფიქრობდა სასანიანი. — წასვლაზე ლაპარაკს აგრე მალე აღარ დამიწყებდა მაშინ. ერთ კვირაში კი გამოამთელა ყველანი. მეკობრენი გადარია თავისი მოპყრობით. ყველამ სთხოვა, შენ ამაში ჩაგვრიცხეო “ — რევიმ გაიხსენა ერთი მათგანი, ტანოვანი, ოცდახუთი წლის ჭაბუკი, გულადად წოდებული, წაბლათმიანი, მუქმწვანე თვალებიანი ფხოველი, მოლექსე.

მუხლმოდრეკით შესთხოვა ახალგაზრდამ ვაჩეს, შენ გამიყოლიე, შენთან მამყოფეო, კვეტარელი ვარ და იქაურ მფლობელთა თავხედობას ველარ მოვინელებო. ახლა ვიცი, ადამიანი როგორი უნდა იყოსო. მაგრამ მუდარამ ვერ გატეხა ვაჩე. არსაკიძემ ყველას განუცხადა, დაუბრუნდით თქვენ-თქვენ სახლ-კარსა და ოჯახს, და როცა ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობის მოპოებისათვის ბრძოლის ჟამი დადგება, ხალხი აამოქმედეთო. მეკობრეობას ნუ გაჰრევთ ამ წმინდა საქმეშიო და მეკობრეთა წინააღმდეგ ამხედრდითო.

დაღონებული მოსცილდა გულადი ვაჩეს და წასასვლელად მოემზადა. პალატის ეზოში ვეჟანი დაიარებოდა. დაინახა დაღვრემილი ჭაბუკი და ლაპარაკში გამოიწვია.

— რას დაღონებულხარ, გულად? სახლს რომ დაუბრუნდე, არა სჯობია?

— სახლს რომ დავუბრუნდე, რა სიკეთეს შევეყრები? კვეტარის

მფლობელნი ან ისევ თავის რაზმში მომაქცევენ, ან, თუ არ დათანხმდები, სახლ-კარს ამიწიოკებენ. ახლა მათთვის დაკარგული ვარ, ცოცხალიც არ ვგონივარ და ჩემი სახლიც მოსვენებულია. დალოცვილ ვაჩეს რომ წავეყვანე, სხვაზე ნაკლებ ერთგულებას როდი გავუწევდი.

— გინდა, გულად, ბერას .რაზმში ჩავარიცხინო შენი თავი? ვაჩე ხვალ მიდის მცხეთაში და ბერა ამბობს, ჩემი რაზმით უნდა გავაცილო, სამშვიდობო გზას გავიყვანოო.

— ახლა კი წამოგყვებით, ვეჟან, რომ ვაჩესთან ახლოს ვიყო რამდენიმე ხანს და კიდევ კარგი რამ გავიგონო მისგან, მერე კი აღარ დავრჩები ბერას რაზმში. და როგორც ვაჩემ დამარიგა, ისე მოვიქცევი. ფხოველი ვარ და, თუ ადამიანი ჩამივარდა გულში, ზედ გადავეგები. ბრმა ვიყავი და ვაჩემ თვალხილული გამხადა. სასიკვდილო ვიყავი და დამინდო, არ მომკლა, ჭრილობა გამიმთელა...

გულადმა ლაპარაკი შეწყვიტა. პალატის მხრიდან ბავშვის ძახილმა მოაღწია:

— გულად! ჩემო გულად! კარგო გ:ულად!

გულადმა გაიხედა პალატისაკენ. მისკენ მირანდუხტი მორბოდა.

ფხოველს სახე გაუბრწყინდა. მას, დაჭრილს, ხშირად ეტიკტიკებოდა სასანიანის პატარა ასული.

— რა იყო, იავ, რა? — შეეკითხა გულადი მირანდუხტს.

— სამგორის ამბავი მომიყევი, სამგორის! ხვალ პაპას მივყევარ მცხეთას და გვერდზე უნდა გაუაროთ იმ გორაკებს. ონოფრემ მითხრა, გულადმა კარგად იცის, რად ეძახიან სამგორსო.

— მოგითხრობ, ქალაუ, მოგითხრობ, — უთხრა გულადმა და დაიწყო: დიდი ხნის წინათ ჩვენს ქვეყანას უწინ ერთი მეფე გარდაცვლია. მცხეთაში მჯდარა მაშინ ის მეფე. მეფეს ახალგაზრდა ქვრივი და ცხრა წლის ვაჟიშვილი დარჩენია. მტერს უხელთნია ეს დრო და მრავალრიცხოვანი ჯარით სამი მხრიდან მიუტანია იერიში ჩვენს ქვეყანაზე... ქვრივ დედოფალს ჯარი არ ჰყოლია შეგროვილი და უთქვამს, ვინც ამ სამი გზით მოწოლილ მტერს დროებით შეაჩერებს, იმათ ქვეყნის სათაყვანებელ ხატებად გავხდიო. დედოფალს ჯარი მცხეთაში უნდა შეეყარნა. მტერი კიდევ ერთი გზით ბოჭორმისაკენ მოისწრაფოდა, მეორე გზით — უჯარმისაკენ, მესამე გზით — რუსთავისაკენ. სამი ვაჟკაცი ძმა წამომდ-

გარა დედოფლის წინ და განუცხადებია, მტერს ჩვენ შევაჩერებთო. ერთი ძმა ბოჭორმაში გამაგრებულა, მეორე — უჯარმაში, მესამე — რუსთავში, და უკვე ციხეებთან მომდგარი მტერისათვის თავიანთი რაზმებით სასტიკი ბრძოლა აუტეხიათ. მტერი მართლაც კარგა ხანს შეუჩერებიათ. დედოფალს მრავალრიცხოვანი ჯარის შეგროვება მოუსწრია და წამოუყვანია იმ სამი ძმის საშველად. ჩვენი ჯარი ადიდებული არაგვივით დაძრულა და მთლად წაულეკია მტრის ლაშქარი. დედოფალს ციხე-სიმაგრეებიდანაც გაურეკია მტერი, მაგრამ სამი ძმა — სასიკვდილოდ დაჭრილი დაბრუნებია...

— პაპილო მოარჩენდა იმათ! — წამოიძახა მირანდუხტმა. —ნეტავი მაშინ ყოფილიყო!

გულადმა გაიღიმა.

— მოარჩენდა, ქალავ, მოარჩენდა! ისეთი ძალა აქვს ვაჩეს, რომ მოარჩენდა. მაგრამ, პაპილოს რომ მაშინ ეცხოვრა, ჩვენ ვიღა მოგვარჩენდა? მაშინ ამბავს მე ველარ მოგითხრობდი. ყველა დროს თავისი ბედი აქვს, ბალღო ჩვენს დროს ბედმა პაპილო არგუნა. იმ დროს კიდევ — ის დედოფალი. აბა ყური დამიგდე. მწარედ დასტიროდა დედოფალი ვაჟკაც ძმებს, მაგრამ რას უშველიდა. როცა გული მოიოხა ტირილით, თავის ცხრა წლის ვაჟიშვილს უთხრა: კარგად დააცქერდი, შვილო, დაიხსომე მათი სახეები და მათი საქმენი საგმირონი, სამშობლოსათვის თავი დასდეს, აოხრებას გადაარჩინეს ჩვენი სამკვიდრებელი და შენც, როცა დიდი გაიზრდები, მათი სისხლი უნდა აიღო, მტერს თავს რისხვა დაატეხე და მრავალჯერ სამი ვაჟკაცი — ძმა მოუსპეო. ამის შემდეგ დედოფალმა ცალ-ცალკე დაასაფლავა ძმები იმ მინდორზე, სადაც მრავალრიცხოვანი მტერი დაამარცხა. გავიდა წლები, დედოფლის შვილი წამოიზარდა, ჯანღონით აივსო და გამეფდა. ახალგაზრდა მეფემ გაიხსენა დედის სიტყვები, შეკრიბა დიდძალი ლაშქარი, მტრის ქვეყნებს მიუსია, და მრავალჯერ სამი ვაჟკაცი წუთისოფელს გამოასალმა, ინდოეთი მოიარა, მრავალი დავლა წამოიღო და თან მრავალი ტყვეც წამოიყვანა. შინ დაბრუნებისას წამსვე სამგორის მინდორი მონახა, ძმების საფლავებს თაყვანი სცა, მერმე ტყვეებს ტომრებით მიწა აზიდვინა და ძმების საფლავზე თითო უშველებელი გორა აამართვინა. მას აქეთ იყო, რომ მინდორს სამგორის მინდორი დაერქვა, ჩემო იავ.

— მე ხომ ახლა პატარა დედოფალი ვარ? — წამოილაპარაკა მი-

რანდუხტმა და რაკი ვეჟანის სახეზე ღიმი შენიშნა, დაურთო: — ბერა ხომ მეძახის, ჩვენო პატარა დედოფალო უჯარმისაო. რაკი ბერა მეძახის, მაშ, მართალია! მე რომ დიდი დედოფალი გავიზრდები, იმ დედოფალის ვაჟისთანა ვაჟს გავზრდი.

ვეჟანმა გადაიხარხარა.

მირანდუხტმა იწყინა და მტკიცედ გაიმეორა:

— გავზრდი!

— გაზრდი, ქალავ, გაზრდი! — დაუდასტურა გულადმა მირანდუხტს დარწმუნებით და მის წინ მოწიწებით მუხლი მოიყარა. — შენისთანა დედოფლები ნუ გამოულიოს ღმერთმა ჩვენს ქვეყანას. დამლოცე კეთილ საქმეზე.

ბავშვმა შეიშნო ეს სიტყვები, თავი მაღლა აიღო, თვალები აასხივოსნა და გულადს თავზე ხელი დაადო. გაიხსენა, თუ როგორ ლოცავდა ნინოწმიდელი ხალხს, სიტყვასიტყვით გაიმეორა მისი დალოცვა.

— დაგლოცოს ღმერთმა კეთილ საქმეზე, გულად! — უთხრა ბავშვური მედიდურობით ფხოველს, — გამარჯვებული გატაროს მტერზე! მეკობრეებს ებრძოლე!

— ოჰო, ამას რას ვხედავ? — გაისმა მოულოდნელად მოახლებული ვაჩეს სიტყვები: — მართლა, რომ სადედოფლო ქალი იქნები შენ, ჩემო შვილიშვილო.

— არა, ახლაც ვარ, პაპილო, დედოფალი! — უთხრა მტკიცედ მირანდუხტმა ვაჩეს, როცა დალოცვა დაამთავრა და გულადი ფეხზე წამოაყენა. — ბერა მეძახის უჯარმის დედოფალსა და ვარ დედოფალი.

— იყავი, შვილო, იყავი! — უთხრა ვაჩემ მირანდუხტს და თვალებში აკოცა. შემდეგ მოუტრიალდა გულადს და გაუღიმა: — აბა, ფხოველო. დედოფლის სიტყვა ძირს არ დააგდო.

გულადმა თანხმობის ნიშნად თავი დახარა და წამოიძახა:

— ეფიცავ ჩემს გამჩენს, რომ არ დავაგდებ.

— შენ მეჩანგე მგოსანი ყოფილხარ, როგორც გავიგე, — უთხრა ვაჩემ და თვალი თვალში გაუყარა.

— მივუხვდი, ჩემო პატრონო, შენს სურვილს, გამოვიყენებ ჩემ ჩანგსაც.

წიგნი მეორე

I

საბერძნეთიდან დაბრუნებული მეფე ბაგრატი „მოთავსდა ქუთათისს სახლად თვისად“ და მოსვენებას მიეცა. მთლიანი საქართველოს ბედს თითქოს უგულებელჰყოფდა. დამძლავრებული დიდგვარიანები მისთვის ვითომც აღარ არსებობდნენ. თითქოს მიანება მათ ალაგმვას თავი და კმაყოფილდებოდა მარტო აფხაზეთის სამეფოთი, რომელიც შეიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს ლიხთ არემარეების გამოკლებით.

ორმოციოდე წლის ვაჟკაცი მხოლოდ ნადირობით ირთობდა თავს და აფხაზეთის დიდებულნი გაოცებულნი იყვნენ, რომ მეფე ღვთის ამარა ტოვებდა ლიხთ არემარეებს, ლიპარიტი რომ უკლებლივ ჰფლობდა; ქართლსაც, რომელსაც ლიპარიტი მის შვილს, მცირეწლოვან გიორგის მეფედ უზრდიდა; და კახეთ-ჰერეთსა, სადაც აღსართან მორჭმულად გრძნობდა თავს. ეს მოვლენა სათაკილოდ მიაჩნდათ სასახლეში მყოფ დიდებულთა და აქა-იქ ჩურჩულიც ისმოდა.

— ჩვენი მეფე ბერძენთა ქვეყანაში უმოქმედობას დაჩვეულა.

— სამი წელიწადი კონსტანტინეს ქალაქში იჯდა და მიქაელ სტრატიოტიკოსის კარს ზეიმების დროსტარებას გარდაუქმნია ჩვენი მეფე.

— რად მიანება თავი ვაჩემ? — კითხულობდა ზოგი.

— განა მარტო ვაჩემ? ქართლისანი სხვანიც შემოეფანტნენ. რა იქნენ სულა, გრიგოლ არტანუჯის ერისთავი და კიდევ მრავალნი?

— ვაჩეს ასულის ავადმყოფობის ამბავი მოუვიდა და იმიტომ მოუხდა წასვლა.

— სხვებს რალა დაემართათ?

— ვინ რა იცის მათი? ვინ რა თქვას? ყველანი კი დიდი სიხარულით დახვდნენ მეფე ბაგრატსა და!

არც ერთ კითხვაზე პასუხი არსაიდან იყო.

ბაგრატი კი არავის რას ეუბნებოდა და თავი ისე ეჭირა, თითქოს მარტო დროსტარების მეტი არა ჰქონდა რა გულში.

— თავისიანიც არავინ ჰყავს გვერდით და... — დაიწყო ერთ დღეს საგონებელში ჩავარდნილმა კარისკაცმა — ოთაღო ჭაჭას ძე ქვაბულელმა.

— მაშ, მაშ! — კვერი დაუკრა ერთმა ოთაღოს და გაიბა ლაპარაკი სასახლის დარბაზში.

— აი, დედა უნდა ჰყავდეს ახლა აქ. უნარიანი ადამიანია.

— მოდგმამ იცის და! ტყუილად ხომ არაა ჩამომავალი ბრწყინვალეთა მათ ძლიერთა და დიდთა მეფეთა არშაკუნიანთა.

— ნეტა რად დატოვა კონსტანტინეს ქალაქში?

— ეგ არაფერი, რომ დატოვა. მოხერხებული ადამიანია და ბერძენთა მეფეს შვილის სასარგებლოს რამეს დასცინცლავს. თავს რას იქნევ, ოთაღო?

— რასა და ქარისა არც შემოტანილი მინდა და არც გატანილი. არ მახსოვს ისეთი დრო, რომ ბერძენთა მეფეებს თავისი მონაცემი ორმაგად არ აენაზღაურებინოთ ჩვენი მეფეებისაგან.

-- კარგი იქნებოდა, დაი რომ ჰყოლოდა აქ, გურანდუხტ დედოფალი, ადამიანი სრული და უნაცვლო სახით, სიბრძნითა და ყოვლითა კეთილითა შემკული თვით თავხედ ლიპარიტისაგან პატივცემული და მემკვიდრის გიორგის პატრონად მიწვეული. იმას რომ არ მოეთხოვა ბაგრატი, ვინ იცის, ახლაც კონსტანტინეს ქალაქში მჯდარიყო.

— მართალია, მართალი! რა უნდა ახლა გურანდუხტ დედოფალს და მეფის ძეს გიორგის ღრტილსა.

— ეს ყველაფერი ლიპარიტის ოინებია. დიდი შეცდომა ჩავიდინეთ, რომ ბერძენთა ქვეყანაში ბაგრატის ყოფნისას ნება მივეცით ძე ბაგრატისი, გიორგი, ქართლის მეფედ ეკურთხებინა. ეს ერთი ბზარია აფხაზეთსა და ქართლს შორის. გიორგი რომ მცირეწლოვანი არ იყოს, როგორც მეფეს, შეაგულიანებდნენ და მამას წაჰკიდებდნენ. გვინახავს ასეთი მაგალითები.

— არა ხარ მართალი, ლომსიანო! მე, ოთაღო, ვამბობ, რომ სხვანაირად არ შეიძლებოდა. ლიპარიტმა ერთხელ ბაგრატის მეტოქედ ბაგრატის ნახევარძმა დემეტრე გამოიყვანა და მთელი სამფლობელო ბაგრატს ორად გაუპო. მოკვდა დემეტრე. გიორგი რომ არ მიგვეცა ქართლის ტახტზე ასაყვანად, მაშინ ლიპარიტს შეეძლო ბაგრატის ძმისწული დავითი, დემეტრეს ძე, მოეყვანა ქართლში და საქმე გაუარესდებოდა. გიორგის თან კარგი დამრიგებელი ჰყავს. გურანდუხტ მამიდა ცუდ ნაბიჯს არ გადაადგმევინებს ძმისწულს. გიორგისა და გურანდუხტის აქ არყოფნა თვითონ მეფის საქმეა. ბაგრატი რომ დაბრუნდა ბერძენთა ქვეყნიდან,

ყველამ ვნახეთ, მას შვილიც დახვდა და დაც, მაგრამ რატომ არ არის ახლა ერთიცა და მეორეც, ღმერთმა უწყის. ეს ალბათ, მეფის საიდუმლოა. რატომ არაფერს გვეუბნება, ესეც, ალბათ, მისი საიდუმლოა. თუმცა, თითქოს შემეფერებოდა, ბაგრატ მეფეს ეს ჩემთვის ეთქვა. ქვეყანამ იცის, თვითონ რომ ტფილისის ჩასაბარებლად გაიწვიეს ტფილელებმა, მე განვაგრძე მისგან დაწყებული გარემოცვა ანაკოფიისა და განუძეევე იქიდან არამკითხე პატრონები.

— არც ლომსიანთა დავუშავეთ რამე: ჩვენ ხუფათი ავუღეთ ბაგრატ მეფეს სწორედ მაშინ, როცა ტფილისში მიბრძანდებოდა. მეფე როგორღაც უგულებელყოფს ჩვენს ამაგს.

ბაგრატიანთა გვარს ძირიან-ფესვიანად დაემორჩილებინა აფხაზეთის სამეფოს დიდებულთა ბუნება. მხოლოდ ქართლის დიდგვარიანნი ზემოისნი და ქვემოისნი ეურჩებოდნენ წარამარა. ხან ერთი უწყრებოდა მეფესა, ხან მეორე. მათ დაუდეერობას ბერძენთა მეფენი ხელს უწყობდნენ. გაერთიანებული საქართველო მათთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდა. ეს მათ ბაგრატის პაპამ დაანახვა. ბიზანტიისათვის მისაღები იყო მხოლოდ დაქუცმაცებული საქართველო და მისი ძეფეები ყოველთვის შეეცდნენ სთესდნენ საქართველოს მეფეთა და დიდგვარიანთა შორის. ბაგრატი ღრმად ჩასწვდომოდა ბიზანტიის ტახტის მპყრობელთა გულისზრახვას და ყოველნაირად ცდილობდა დაეცხრო ქართლის გამძლავრებულ აზნაურთა დაუცხრომელი ბუნება. მაგრამ ლიპარიტი ქედმაღლობდა და თავს არ იხრიდა. მედგარ წინააღმდეგობას ეწეოდა და დღემდის გამარჯვებული რჩებოდა. ვერსაიდან ვერ მოუარა ბაგრატმა ამ ადამიანს და გადაწყვიტა მისი წამქეზებლის ბერძენთა მეფის გულის მოგება. პირი ქნა კონსტანტინეს ქალაქისაკენ. სამ წელიწადს იტრიალა ამ ქალაქში და რას მიაღწია, არავინ იცოდა. დაბრუნდა ბაგრატი სამშობლოში დიდი საჩუქრებით და სევასტოსად, მაგრამ შინ დაბრუნებულმა ხელმწიფემ საქართველოს გაერთიანებისათვის რა მოიტანა, დიდებულთა მის ქვეყნისათა არც გაუგონიათ, არც შეუმჩნევიათ რამე.

დარბაზში გამოსულმა ბაგრატმა თვალი გადაავლო მის მომლოდინე დიდებულებს. მათ მორიდებულ გამოხედვაში აღინიშნა შეკითხვა, რატომ არ მოქმედებო.

მეფე დაბრძანდა ტახტზე. მისმა თვალმა ერთხელ კიდევ გადაუ-

არა კრებულს და იქ ვერ დაინახა ბერძენთა მეფის წარმომადგენლები. ბაგრატი რომ ბრუნდებოდა სამშობლოში, მიქაელ სტრატიოტიკოსმა ეს წარმომადგენლები თან გამოაყოლა, როგორც გამოცდილი მრჩევლები, ნამდვილად კი ეს ვაჟბატონები მისი სასმენი ორგანოებისა და თვალის ნაცვალნი იყვნენ. ეს ორი გვამი არასდროს არ აკლდებოდა ბაგრატის დიდებულთა კრებულს. ორივეს ქართული ათონის ივერიის მონასტერში ისე შეესწავლათ, რომ კილოზე თუ შეიტყობდა კაცი მათ ბერძნობას. დღეს ისინი არ გამოცხადებულიყვნენ და ბაგრატს კიდეც ესიამოვნა ეს. დღეს ამოისუნთქა მეფემ თავისუფლად თავის რჩეულ დიდებულთა შორის. კარგად იცოდა, რომ ყველა იქ მყოფი მის ერთგულებას ეწეოდა. ბაგრატი საკუთარ თავსავით ენდობოდა მათ. სამშობლოში დაბრუნების პირველ ხანს ერთი მოახერხა მხოლოდ მეფემ: დამხვდურებს შორის მყოფ ქართლის დიდებულთა ქართლში გასტუმრებისას საიდუმლო დავალებებით დატვირთვა. ცხადლივ კი მათ მოახსენა მადლობა, პატივისცემით დაუხვდნენ და განუცხადა ორივე ბერძნის თანდასწრებით:

— თქვენ გყავთ ახლა საკუთარი მეფე, ჩემი ძე გიორგი, მისი მზრდელი ერისთავი ლიპარიტ, კაცი ბრძენი და ფილოსოფოსი (დაცინვის იერმა გადაურბინა სახეზე), განთქმული მეომარი, მეგობარი ჩვენი მწყალობელის (შუბლი ოდნავ მოუნაოჭდა) ბერძენთა მეფის მიქაელ სტრატიოტიკოსის, გყავთ ჩემი და — გურანდუხტ დედოფალი, პატრონი ჩემი ძისა, ადამიანი სრული, უნაცვლო სახითა, სიბრძნითა და ღვთისმსახურებითა, შემკული ყოვლითა კეთილითა, პატივცემული თვით მიქაელ სტრატიოტიკოსისაგან. ქართლისა და აფხაზეთის დაშორება ურთიერთისაგან სურვილია ბერძენთა მეფისა და მის სურვილს ვერავითარი რა დაუდგება წინ.

ეს უკანასკნელი სიტყვები ისეთი დაჯერებით წარმოთქვა ბაგრატმა, რომ თვით ქართლის წარმომადგენლებიც დაიჯერებდნენ, უბეში რომ ბაგრატის საიდუმლო დავალებანი არა სდებოდათ. ორ ბერძენს კი, რომელნიც ერთ ხანს ეჭვის თვალით უმზერდნენ ბაგრატს, მთლად დაუმშვიდდათ გული.

— ცხრა წლის გიორგის კი მეფემ უთხრა:

— ძეო ჩემო, მე ბედმა ცხრა წლისა გამამეფა აფხაზეთში (ბაგრატმა განგებ არ ახსენა ქართლი, თითქოს ცხრა წლისავე ამ ქვეყნის მეფე-

დაც არ ყოფილიყოს). შენაც თითქმის ჩემი ბედი გქონია. შენც ეცირეს, ჩემზე უფრო მცირეს, გეკურთხა გვირგვინი და, თუმცა მეძნელება შენი დათმობა, უნდა დაუბრუნდე შენს მოვალეობას.

ბავშვს სახე სატირლად მოუნაოჭდა — არ უნდოდა მშობლის დაშორება, მაგრამ გურანდუხტმა წყნარის თვალით გადახედა და თვალთ მომდგარი ცრემლი შეუჩერდა.

— აი, ძეო ჩემო, გურანდუხტ მამიდა, — განაგრძო ბაგრატმა სიტყვა, — ეს იქნება შენი მფარველი პატრონი.

გურანდუხტმა ბაგრატს მიმართა:

— ბრწყინვალე მეფეო, ძე გეთხოვება.

დედოფალმა გიორგი მამასთან მიიყვანა. გიორგი მამას ხელზე ეამბორა.

— მე კი ქართლის მეფეს ვეამბორები ხელზე, — წარმოთქვა ბაგრატმა ისეთი სიდარბაისლით, რომ ყველა გაოცდა. ეგონათ, ამიც ქართლზე უარს ამბობსო.

„ეტყობა, ძალიან დაუმონებია ეს მოუსვენარი ადამიანი ჩვენს მბრძანებელს“, — იფიქრა ბერძენთა მეფის ერთმა წარმომადგენელმა.

„მომავალი დაგვანახვებს, თუ როგორი უარის მთქმელია ქართლზე“, — გაიელო გულში მეორე წარმომადგენელმა.

პატარა გვირგვინოსანი და მისი მამიდა წინასწარ გამზადებულნი ქართლის გზას გაუდგნენ ქართლიდან მოყოლილი ამალითურთ.

ბაგრატის გული ძეს გაჰყვა. სამი წელიწადი კონსტანტინეს ქალაქში დაჰყო, სამი წელიწადი ენატრებოდა თავისი პატარა და მოკლე ხანში კი მოიშორა. მისი წყრომის ფიქრები საბერძნეთისაკენ გაემართნენ.

„ტყუილია, შენი ცდა, მიქაელ სტრატიოტიკოსო, ვერ გასთიშავ მრიანის ხვედრს ქართლისა და მის ერთ-ერთ შტოს ჩემს მამა-პაპათა, ბაგრატიანთა სამფლობელოს და მირიანისავე ხვედრს ჩემს სამფლობელოს აფხაზეთის სამეფოს. მხოლოდ მადროვე“.

— ფიქრებმა გაგიტაცეს, მეფეო, — მოახსენა ერთ-ერთმა ბერძენმა.

ბაგრატმა გადახედა მას. გულში ბოროტი ზრახვები აიმოძრავა, მაგრამ სახეზე არაფერი გამოუმზეურებია, და თავაზიანად გაუღიმა არამკითხეს.

— გამახსენდა ნადირობა ბერძენთა ქვეყანაში ჩემს წამოსვლამდე.

წარმომიდგნენ ჩემნი დიდებულნი: ნადირთა მმუსვრელნი. და გულს კვლაე სწადია ყველაფერ ამის ნახვა. აბა, ქვაბულელო, შენც, ვარდან ლომსიანო და დანარჩენებო, ვისაც სურვილი გაქვთ, მოემზადენით. — უბრძანა ბაგრატმა თავისიანებს და მერმე ისევ ბერძენთა წარმომადგენლებს მიუტრიალდა: — თქვენც ხომ წამობრძანდებით, პატივცემულო სტუმრებო, რომ ინახულოთ ბარბაროსების ნადირობა! — „მე თქვენ გიჩვენებთ, თუ ვინ არიან ბარბაროსები“, — გაიკლო თან გულში მეფემ და გაიხსენა ის სისხლისმსმელობა, რომლითაც უსწორდებოდნენ დაპყრობილობის მაძიებელ ქართველ ხალხს.

— სით აპირებთ ნადირობას, დიდებულო მეფევ? — შეეკითხა ბერძენი.

— რასაკვირველია, ლიხთ იქით არა, — უპასუხა ბაგრატმა და სანადირო საჭურვლის სენაკისაკენ გაემართა.

მას აქეთ დღევანდლამდე ბაგრატი მეტ წილ დროს ნადირობაში ატარებდა, ნაკლებ წილს კი აფხაზეთის სამეფოს შინაურ საქმეებს ანდომებდა. კარისკაცთ ეს მისგან უჩვეულოდ მიაჩნდათ და ამგვარი საქციელის მიზეზს ვერ ხვდებოდნენ და ეს იწვევდა მათში უსაფუძვლო მითქმა-მოთქმას. ბაგრატის გულის ბუხრისთვის კი ყური რომ მიედოთ, ცეცხლის გუგუნს გაიგონებდნენ. ბაგრატი ნადირობით სწორედ ამ გუგუნს იყუჩებდა და დრომდე არ ამჟღავნებდა. მიქაელ სტრატიოტიკოსს ბევრი რამ დაეთმო მისთვის საქართველოს ბედის საკითხში და თანაც დამატებით ეს ორი ბერძენი აეკვიატებია. გზა ზღვით მისცა და ხუფათისაკენ გამოისტუმრა, რომ მამაპაპეულ მამულებზე არ გამოევლო. ბერძენთა ბატონს, ჩანს, ეშინოდა, ბაგრატს აქ ხალხი არ გაჰყოლოდა და ამით დაიმედებულს ქართლისაკენ არ გაეწია. ბერძენთა ბატონს, ალბათ, ცნობები ჰქონდა, ბერძენთა მეგობარი ლიპარიტი ქართლელთ საკმარისად მოჰბეზრებოდათ. მაგრამ რას მიაღწია ამით მიქაელ სტრატიოტიკოსმა? არაფერს. ბაგრატს ხუფათს დახვდნენ ქართლის თავფენების წარმომადგენლები, აფხაზეთის სამეფოს დიდებულებთან ერთად დიდად გახარებულები. ქართლის დიდებულთ ბაგრატის ძის გიორგის ამალად მოაჩვენეს თავი ბაგრატის გვერდით მდგომ ბერძნებს. მამულიშვილები წამსვე მიხვდნენ, რომ კონსტანტინეს ქალაქის ეს ორი გვამი ბაგრატის თვალყურის სადევნელად იყო წარმოგზავნილი. ბაგრატმა ქართველთაგან გაიგო, თუ რამდენად ვეღარ ინელებდნენ ლიპარიტს დიდგვაროვანნი.

მათ ბევრი რამ უმხილეს ბაგრატს და ისე დაბრუნდნენ თავის ქვეყანაში, ბაგრატისაგან დავალებებით დატვირთულნი.

დადგა ქართლიდან ამბების მოსვლის ვადები და ბაგრატი აღარ გაუიდა სანადიროდ.

მეფე წინასწარ იმასაც შეეცადა, რომ ის ორი ბერძენი არ შესწრებოდნენ ამ ამბების მოსმენას. ცდას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. გუშინ მარჯუა გაამართვინა თავის ამალას. მოკისკასე ცხენები მოაყვანინა. მარჯუაში მონაწილეობდნენ ცხენოსნობაში განთქმული ვაჟკაცები. ორმა ბერძენმაც გამოიდო თავი და მარჯუაში გამოვიდა. ბაგრატსაც სწორედ ეს უნდოდა. პირველ ჭენებაზევე ჯერ ერთი ბერძენი გადმოვარდა და მერმე მეორე. გადმოვარდნილებს გულმტკივნეულობა გამოუცხადეს. ერთსაც და მეორესაც საკაცეები დასჭირდათ. დოსტაქრებმა გამოარკვიეს, რომ ორივე ბერძენს ორ-ორი კვირა მაინც დასჭირდებოდათ წოლა. როცა დარბაზში გამოსულმა მეფემ იკითხა მათი მდგომარეობა და კაიგო, ორი კვირის განმავლობაში ვერ მოსცილდებიან, სარეცელსო, გაიღიმა.

ეს ყოყოჩობა რომ არ მოსდგამდეთ ბერძნებს, ახლა ის ორი აქ იჯდებოდა, — გაიცლო გულში ბაგრატმა, — ქართლიდან მოსულ მათთვის არასასიამოვნო ამბებს ნაადრევად გაიგებდნენ თავისივე ყურით და წამსვე კაცებს აფრენდნენ ახლო მდებარე ჩვენ მოსაზღვრე ბერძენთა სამფლობელოების მმართველებთან. ატყდებოდა მთელი აურზაური. ჯარებს მოაშველებდნენ თავგასულ ლიპარიტს. ჯერ ხელში ჩაუიგდო ეს ვაჟბატონი, მერმე ვისაც უნდა აცნობონ, ვერას დამაკლებენ. ჩემი ერთგულნი ქართლის დიდგვარიანნი ჩემს ლაშქარს გაამრავლებენ...“

მეფეს ფიქრთა დენა შეუჩერდა. ყურში ხმა ჩაწვდა.

— მეფეო, ვაჩესაგან კაცები მოვიდნენ.

ბაგრატმა ფიქრთა სავანე მიატოვა და გონება კარისკაცთა კრებულზე შეაჩერა. ყველა მდუმარებით მოელოდა მის სიტყვას. ბაგრატმა უხერხულობა იგრძნო, რომ ამდენს ხანს მომლოდინენი თავის წრეში არ მოაქცია. წინ ამირეჯიბი ედგა და პასუხს ელოდა მისგან.

— ვაჩესაგან კაცები მოვიდნენ? — იკითხა მეფემ. — რატომ არ შემოგყაკათ?

ამირეჯიბმა დარბაზის შორეულ სვეტთან მდგომ სამ ვაჟკაცს ხელით ანიშნა, წინ ინაცვლეთო.

მეფემ გადახედა სვეტს მოცილებულ საუცხოოდ შეჯავშნულ სამ ვაჟკაცს. სამივეს სიმკვრივეს ყურადღება მიაქცია. სამივეს თვალში ერთგულება ამოიკითხა.

წამოიწია იებიან საჭურველში გამოწყობილმა თხუთმეტი წლის ჭაბუკმა და მუხლმოდრეკით სალამი უძღვნა აფხაზეთის სამეფოს მბრძანებელს. ასევე მოიქცნენ ჭაბუკს უკან მდგომნი, ორნი, მისნი თანამგზავრნი ვაჟკაცნი.

— ვინ ხარ, ჭაბუკო? — მიმართა ბაგრატმა დაწინა ჯრებულს.

— სასანიანი! — გაისმა დარბაზში ნაკვეთი ხმა.

კარისკაცთ თვალნი გაუფართოვდათ.

— ძველთა მეფეთა ნათესავი! ძველთა მეფეთა ნათესავი! — წამოვიდა სიტყვები აქეთ-იქიდან: — კიდევ ყოფილა ნაშთი სასანიანთა,

— სახელი? — ჰკითხა ბაგრატმა სასანიანად მოვლენილსა და თვალი თვალში გაუყარა.

— ბაქარი, — იყო პასუხი, — რევის შვილი, შვილიშვილი ბრწყინვალეთა მათ ძლიერთა და დიდთა მეფეთა არსუკისძეთა ჩამომავლის ვაჩესი.

ბაგრატს მოეწონა ბაქარი, მისი ნაკვთების კენარობა და მკერდის თავისუფალი მოძრაობა. თვალი ორ დანარჩენზე გადაინაცვლა. მათი ვინაობის გაგება მოისურვა.

— ეს ფერისია, — მოახსენა ბაქარმა. — მამიჩემის თანაშეზრდილი ერთგული ყ2 , ეს უჯარმის თავისუფალი მოქალაქე, ზენკალი ბერაა, სასანიანთა მათაყვანებელი. ვისთანაც სასანიანია, ესეც იმისი არის. ორნივე ჩემნი თანამგზავრნი ჩემთან ერთად და მთელ გარე კახეთთან ერთად მთლიან საქართველოს მონატრულნი. ჭირშიაც და ლხინშიაც შენი თანამოზიარენი ვართ, დიდო მეფეო. ვფიცავ ჩემს სიყრმეს, რომ ჩვენ სამნი და მთელი გარე კახეთი, გარეწრებს გარდა, მთლიან საქართველოს შექმნისათვის მხარდამხარ გამოგყვებით შენ, ჩვენთვის სრულიად საქართველოს მფლობელს.

ბაგრატი უსმენდა ჭაბუკ ბაქარს და ჰკვირობდა მის სითამამეს. ჰკვირობდნენ კარისკაცნიც და თვით ფერისი და ბერაც. თანამგზავრთ ასეთ გაბედულ ლაპარაკში არასდროს არ უნახავთ ბაქარი.

ვაჩე პაპამ განგებ გამოგზავნა მეფესთან ჭაბუკი შვილიშვილი და თან გამოაყოლა გარე კახეთის დაბალი ფენების საუკეთესო წარმომადგენელი

ორი ვაჟკაცი, საამისოდ საგანგებოდ გამოწვეული უჯარმიდან მცხეთას. ამით სახელგანთქმულ ხუროთმოძღვარს მეფისათვის უნდა ეჩვენებინა, თუ რა სახის ვაჟკაცნი ამოუდგებოდნენ მის სახელს ახალგაზრდებიდან და შუახნის ვაჟკაცებიდან. თავის შვილიშვილს ვაჩემ ვრცელი წერილი გამოატანა, საცა მეფეს იგი ჯერ თავშეკავებით აცნობებდა შვილი ავად-მყოფი კი არა, მიცვალებული დამხვდაო და ულმობელმა ბედმა შვილს კი არ წააყრევინა მიწა მამის კუბოსთვის, არამედ პირიქით მოხდაო. უხატავდა გარე კახეთის ვითარებას. უამბობდა, თუ როგორ შეხვდა პირველად გარე კახეთის დიდგვარიანთა წარმომადგენლებს რევის მონაზვნად აღკვეცისას, თავის შეხვედრას არიშიანთან, ნინოწმიდელთან სტუმრობას, შემდეგ შეტაკებას კვეტარის მფლობელ იაზონ ცალქალამანიძესთან და მის კარგა მოზრდილ ბრბოსთან, გამარჯვებას მათზე, ბაქარის, ბერასი, ფერისისა და მათი ამხანაგების გმირობას, და თან დასძენდა: „მეფეო, ჩემი მოსპობის მსურველთა ეს დამარცხება საწინდარია შენი უეჭველი გაუფლებისა, როგორც გარე კახეთში, ისე ალაზნის ველის კახეთში“.

ბაგრატმა ეს წერილი თავის კარისკაცთა კრებულს მოასმენინა ყველას სახე უბრწყინავდა. ბაგრატი ჩამოვიდა ტახტიდან, მიუახლოვდა ბაქარს და დედის გარდაცვალების სამძიმარი უთხრა:

— შვილო, სიკვდილი ყველას უფლობს. ასეა დაწესებული. მასთან ბრძოლა ამაოა.

ბაქარი გაფითრდა, თავი დახარა, მაგრამ ცრემლი არ გადმოუგდია.

— შენ მამითაც დაობლებულხარ, შვილო! — განაგრძო ბაგრატმა და ბაქარს შუბლზე აკოცა: — მონაზვნობა სხვა სამყაროა.

— არა, მეფეო, მამა ჯერ არ გვანებებს თავს, — ჩაილაპარაკა წყნარად დაღვრემილმა ბაქარმა. — ჩემი დაი მირანდუხტი ექვსი წლისაა და მამას ჰსურს ჯერ ის გამოზარდოს.

— სიმამრს თუ ჰბაძავს.

— არა, მეფეო, მამა სრულ მონაზვნად ჰრაცხს თავის თავს. თუმცა ძვირად უჯდება კია: ჩვენი სამყაროს იმ სამყაროსთან ბრძოლამ დიდად გააოგნა. მაგრამ გაიზრდება მირანდუხტი და მამა წავა ჩვენი სამყაროდან.

მეფემ ბაქარს თავზე ხელი გადაუსვა გულმტკივნეულად და ამგვარად უსიტყვოდ მისი მწუხარების თანაზიარად აღიარა თავი. შემდეგ გადახედა მუქზურმუხტისფერი თვალებით წყნარად მომზირალ ფერისს და ბოლოს თვალი ზენკალზე შეაჩერა.

— კომბლის ხმარება, უჯარმელო, გეტყობა, კარგა იცი, რომ კომბლიანი მეწვიე.

— ეს კომბალი საშინელია მეკობრე დიდგვარიანთათვის, თქვენი მტრებისათვის, — მოახსენა ბერამ.

მეფემ გაიღიმა.

— უნდა გამოგცადო.

— მზად ვარ გამოცდისათვის, დიდო მეფეო.

— ვინა გყავს გამოსახულნი კომბალზე?

— წმიდა გიორგი, ვახტანგ გორგასალი და წმიდა არჩილი. ამათი ძალით ვიმარჯვებ. სამს ვუსწორდები.

— ვნახოთ, ვნახოთ, ქადნიავ, — უთხრა ხუმრობითვე მეფემ. — მეტი მოწინააღმდეგე რომ მოგადგეს, მაშინ რაღას იზამ.

— ეს უკვე გაჭირვებაა, დიდო მეფეო. გაჭირვება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო: გავიქცევი, — დამშვიდებით უპასუხა ბერამ.

მეფემ გაიცინა და კარისკაცებიც აჰყვნენ.

ბაგრატმა გადაწყვიტა გაემართა სეირი. ბერასთან ხმლიანების შებრძოლება ეჩვენებინა ყველასათვის. ბრძანა, ქუთათისის უტევანი სათანადოდ მოეწყოთ ხვალისთვის და თან დასძინა:

— შესაფერისი ბინა მიეცით ჩემს პირველ მერცხლებს. კარგად გაუმასპინძლდით სასანიანსა და მის მხლებლებს. არ გავუშვებ აქედან, სანამ სხვა მერცხლები არ მეწვევიან. და თავისი პირით აცნობონ ვაჩეს მათი პირით მოტანილი ამბები.

აქამდე ვაჩეს მოციქულები და მისი წერილი აფხაზთა სამეფოს დიდებულთ კერძო მოვლენა ეგონათ, მავრამ როცა მეფისაგან გაიგონეს : არ გავუშვებ აქედან, სანამ სხვა მერცხლები არ მეწვევიანო, გონება სწრაფად სხვა გზით აამუშავეს.

„მაშ, ვაჩეს გამოგზავნილები პირველ მერცხლები ყოფილან! — გაიცლო გულში ოთაღომ, — მეფე მოელის სხვა მერცხლებს, ესე იგი, დანარჩენ დიდგვარიანთა კაცებსაც, რომლებიც ამბავს მოუტანენ გამომგზავნელთაგან: სულასაგან, გრიგოლ არტანუჯის ერისთავისაგან. აი, რატომ გაისტუმრა ყველა ესენი ადრე. ორი დღეც არ დასტოვა. ესენი, ჩანს, მარტო მეფის დასახვედრად კი არ მოვიდნენ მაშინ, არამედ რაღაც განზრახული საქმის გასამჟღავნებლად. ჩანს, აქედან ყველანი დავალებით

წავიდნენ. ჩვენ აქაურებს მიხვედრის უნარი დაგვეკარგა, გვეგონა, მეფემ დაივიწყა აღმოსავლეთიო. უქმობას შეეჩვია კონსტანტინეს ქალაქშიო. თვითონ მეფეც ხომ ამას გვეუბნებოდა...“

ოთაღომ ვარდან ლომსიანს გადახედა.

ამ ორ დიდებულს შორის მოკლე ხნით ჩურჩული გაისმა.

— აბა, ჩვენ რას გაგვიზიარებდა, — წარმოთქვა ვარდანმა ოთაღოს გადმოხედვაზე. — ის ორი ყური და თვალი ბერძენთა მფლობელისა მუდამ უკან სდევდა.

— შენ რას მიხვდი, **ვარდან**, მე რომ მაგაზე ვფიქრობდი? — ჰკითხა ოთაღომ, — თითქოს გულში მეკექჰიო, ისე მიპასუხე.

— მაგას რა დიდი ტანჯვა კოზი უნდა, მეფემ, სხვა მერცხლებიო რომ თქვა, მაშინვე ვიფიქრე, პირველი ვაჩეს გამოგზავნილი კაცები არიან-მეთქი. ჩანს, მეფის გეგმით რაღაც ამბავი ხდება.

— რა კაცია, ადამიანო, ეს ვაჩე! — თქვა ოთაღომ. — შვილს მიწას აბარებს და თითქმის ამ დროსვე ცდილობს მეფის სასარგებლოდ იმოქმედოს და როგორ მოხერხებულად! მერმე პირადი მწუხარებაც დაიოკო! ვინ იზამს ამას? სიძე მონაზვნად აღკვეცას ემზადებოდეს და საამისოდ მოწვეული გარე კახეთის ხუთი მთავარი მნიშვნელოვანი პირი წამსვე საქართველოს მთლიანობისათვის აამოქმედო. ეს ყველაფერი მარტო ვაჩეს შეუძლია გააკეთოს...

2

დღეს დიდი სანახაობა გადაიშლება ქუთათისის უტევანზე: სამი დიდგვაროვანი ხმლოსანი მეფის ბრძანებით უნდა შეებრძოლოს კომბლით შეიარაღებულ ვიღაც უჯარმელ ზერკალ ბერას. უამრავი ხალხი ირევა უტევანის ირგვლივ. სიცილ-ხარხარს ბოლო არ უჩანს და თანაც გაუთავებელი მითქმა-მოთქმაა ჯგუფ-ჯგუფად თავმოყრილთ შორის.

— ძალიან სეირს კი გვაყურებინებს ჩვენი მეფე.

— რამ მოაფიქრა, კაცო!

— რამ მოაფიქრა და გონების სიმახვილემ.

— რა გუნებაზე იქნება კომბლით მებრძოლი? ხუმრობა ხომ არ არის,სამი ელვარე ხმლის მოგერიება, მერმე სამი განთქმული ვაჟკაცისა!

— ის კომბლიანი მაინცდამაინც ცუდ გუნებაზე არ იქნება. თვითონ განუცხადებია, სამ ხმლოსანთან შემიძლია ბრძოლა და ოთხს კი გაექცევიო. შენ ეგ მითხარი, რა გუნებაზე იქნება ახლა ის სამი ხმლოსანი.

— რა გუნებაზე და გახედე აქეთ. აგე! ცხენებიანად არ დგანან. არამცთუ პატრონებს, თვითონ მათ ცხენებსაც უკან რჩებათ ფეხები: პატრონების უგემურ გუნებას გრძნობენ.

— ნეტავი რატომ არიან ცუდ გუნებაზე? ეს ხომ გართობაა.

— თქვი რაღა შენცა! კომბლიანს ვიღაც უჯარმელ ზენკალს ხმლიანები უნდა შეებან. რომელი ვაჟკაცი აიტანს მაგას?

— აგე, აგე! მეფე მობრძანდა თავისი კარისკაცებით, ნეტავი რომელნი იქნებიან უჯარმიდან მოსულნი? ამბობენ, ერთი ჭაბუკიაო, ძველთა მეფეთა ნათესავი. ისე ეჭირა თავი მეფესთან, როგორც მართლა სასანიანთ შეშვენის. ამის მიუხედავად, თურმე, დიდებულ მეფეს დიდი ერთგულება გამოუცხადა თანხმლებთან ერთად. ერთი მათი ოჯახის ერთგული ყმა ყოფილა, მისი წარმოსადეგობა ბევრ ჩვენ დიდგვაროვანს მოენატრება.

— ეგ ხომ ეგრეა, მაგრამ თურმე ზენკალი არ დაუვარდება იმას.

— მივიდეთ ერთი ახლოს, ვნახოთ რანი არიან.

— მერმე ის ხალხი მიგიშვებს? აგე, რამდენი ხურხურებს მათსა და მეფის გარშემო.

— ნუ გადარდებს, ტყეების ტევრში ხომ იცი ძრომა. ეს ხალხი ტევრად წარმოვიდგინოთ.

მეფემ თავისი ადგილი დაიკავა, მარჯვნივ ბაქარი მოისვა. ჭაბუკს უკან ფერისი ამოუდგა, ბერა კი თავისი იარაღით უტევანზე გავიდა და დამშვიდებით ელოდა მოპირდაპირეებს.

— რა ჭაბუკია და! — შეაქო ბაქარი მის წინ წამომდგარმა ერთმა ხნიერმა კაცმა.

— ვახტანგ გორგასალისა და წმიდა არჩილის ჩამომავალია თურმე და, ეტყობა თავისი წინაპრებისა გამოჰყოლია გარეგნობაც და ტანშედგომულობაც.

— ნეტავი სად გადარჩენილა ეს ნატამალი, ან რამ გადაარჩინა?

— აბა, რა ძალიან გიკვირს. ვაჩე უფრო ადრეულ მეფეთა შტოისა არ არის განა? ბრწყინვალეთა მათ ძლიერთა და დიდთა მეფეთა არსაკიანთა ნატამალია. არსაკიანნი სასანიანებზე ადრე მეფობდნენ.

— უყურე, ოქროსიებიანი, ოქროსლომ-მგელიანი მუზარადი ხურავს. ფარიც ოქროს იებითა აქვს შემკული. სამკლავეებიცა და საბარკულებიც.

— რა ამბავია, იებით რომ შეუმკია? ლომ-მგელი მესმის.

— ალბათ იებშიაც რაიმე აზრია ჩართული.

— ამბობენ, მეფეს ძალიან მოეწონა ეგ საჭურველი და მაგ ყმაწვილმა გულით შესთავაზა კიდეც თურმე მოწონებული საჭურველი, მაგრამ მეფემ ძღვენის მიღება არ ინება. მინდა მაგეთ საჭურველიანს გიმზიროო, უბრძანებია ჭაბუკისათვის.

მეფემ რომ უარი თქვა ძღვენზე, ზენკალმა ფეხი წინ წამოდგა და თუმცა მოწიწებით, მაგრამ მაინც გაბედულად მიმართა ბაგრატს:

— დიდო მეფეო, ეგ საჭურველი ჩემი გამოჭედილია. ბაქარის დის, იისფერთვალებიანის პატარა მირანდუხტის ბედზეა გაკეთებული.

— უჯარმის პატარა დედოფლის ბედზე გამოსჭედე? — წარმოთქვა ბაგრატმა ისე, თითქოს კითხულობდა, რატომაა უჯარმის დედოფალიო.

— დიახ, დიდო მეფეო! აგრე ვეძახი მე რევის ერთადერთ ასულს მირანდუხტ იადხმობილს და ჩემგან ერთხელ თქმულს ყველა უჯარმელი იმეორებს.

ბაგრატს წუთიერად გაუელვა ფიქრმა და მისი გონების სავანეში ახალი შუქი ჩაესვენა: თავის დროზე შვილის თანამეცხედრედ მოყვანა მირანდუხტისა.

ბერამ კი თავისი განაგრძო:

— დიდო მეფეო, ნებას ვითხოვ, საკუთრივ ახალი საჭურველი დაგიმზადო, სწორედ მაგეთი, ბაქარს რომ აცვია. მართალია ჩემმა პატრონმა ბრძანა, მარტო ბაქარმა უნდა ატაროს ასეთიო, მაგრამ დიდი მეფისათვის რომ დავამზადებ, გაუხარდება.

— არა! რაკი ვაჩეს უბრძანებია შენთვის, იმის ბრძანებას არ გაგატეხინებ. ალბათ სხვაც გექნება ძვირფასად შემკული საჭურველი.

— მართალსა ბრძანებ, დიდო მეფეო. მაქვს ოქროსთავთავიანები და ოქროსვაზიანები. ისინი იებიანის თანაბარნი არიან თავისი მშვენებითა და სიმტკიცით.

— მაშ, მათგან რომელიც მომეწონება, იმას ავიღებ, უჯარმაში როცა გეწვევი.

ეს ამბავი კარისკაცებისაგან მთელ ქუთათისს მოედო და ახლა უტევანზედაც გაისმა.

— აბა! გაეცით ბრძანება, ბრძოლა დაიწყონ! — მიმართა ბაგრატმა ეჯიბს და ეჯიბი ადგილიდან დაიძრა. მეფის ბრძანება გადასცა სამ ხმლოსანს დიდგვარიანს.

ხმლოსნები მეფეს მიუახლოვდნენ, მის წინ მუხლი მოიდრიკეს და სთხოვეს, გაეთავისუფლებინა სამივე ამ ბრძოლისაგან, არ შეერცხვინა მათი ხმლები, ჯერ ერთი, მდაბიოსთან და, მერმე, კომბლიანთან ბრძოლით. მეფეს შუბლი შეუჭმუხნა მრისხანებამ, მაგრამ რისხვის კილოთი არ გადმოსდენია პირიდან სიტყვები. მხოლოდ სიმკვეთრის სიოს გამოსცემდა მისი ლაპარაკი.

— თუ მეფემ გამოუშვა ეგ ზენკალი, იმას ნიშნავს, რომ ეგ ჩემგნით დიდგვარიანთა სიაში არის მოხვედრილი. თუ კომბლიანთან მსურს იბრძოლოთ, ეგ იმას ნიშნავს, რომ ზენკალის კომბალი გათანასწორებულია ხმალთან.

სამი ხმლოსანი გულში კი სწყევლიდა ზენკალს ქუთათისში გამოჩენისათვის. სამივემ გადაწყვიტა მეტიჩარას დასჯა.

— ყურები ჩამოვათალოთ მაგ ბრიყვსა და ისე გავუშვათ, — წასჩურჩულა ერთმა ამხანაგებს.

— ყურიცა და ცხვირიც, — დაუმატა მეორემ.

— სწორედ ასე უნდა მოვიქცეთ, სწორედ! — კვერი დაუკრა ორივეს მესამემ.

ბერა კი დამშვიდებული ელოდა მოწინააღმდეგეთ. რომ შეხედა მისკენ წამოსულთ, ჩასწვდა მათ სულისკვეთებას და გუნებაში ჩაიცინა. ერთმა ხმლოსანმა გადაწყვიტა, მარტო თვითონ შეესრულებინა მუქარა და ყველაზე უწინ ის მიუხტა ბერას და ცხენი მიაგდო ზენკალზე. ბერა ელვის სისწრაფით განზე გაიდა.

ბერამ დაინახა, რომ ხმლოსანს მიზანში ჰქონდა ამოღებული მისი ყური. თავისუფალი მოქალაქე უჯარმისა არავის არაფერს უთმობდა. განზე გამდგარ ზენკალის კომბალმა ხმლოსანს ხმალი შორს გადაურტყორცნა. ამ მოულოდნელობამ გააშტერა. უხმლოდ დარჩენილი. გაშტერდნენ ამ ამბის დამნახველი მისი ამხანაგებიც, რომლებიც ორი მხრიდან უპირებდნენ ბერას თავდასხმას ყურისა და ცხვირის ჩამოსათლელად.

ატყდა ერთი ჟრიამული და წამსვე მიდუმდა. ბერამ კი თვითონ გამოარკვია თავზარდაცემული და უხმლოდ დარჩენილი მოწინააღმდეგე.

მიუტანა შორს გადაკარდნილი ხმალი და წყნარი ხმით შესთავაზა:

— ვაჟკაცო, ინებე შენი ხმალი!

თან ხმალი გადააწოდა. პატრონი ხელს არ აკლებდა იარაღს.

— ინებე შენი ხმალი, — გაუმეორა ბერამ. — შენ არ უწყოდი, თუ რანაირი ხმარება ვიცოდი კომბლისა. ცუდმა განზრახვამ დანდობილად მოგატანინა ჩემზე იერიში. არ იცოდი, ვისთან გქონდა საქმე. ვხედავ, კაი ვაჟკაცი ხარ. გამომართვი ხმალი და შემები. მეფეს ნუ გაარისხებ. ნუ ჩაგიყარდება ეს მარცხი გულში. რა ეუყოთ, შემთხვევაა. ერთმანეთის მოსაკლავად ხომ არა ვართ გამოსულნი. მეფეს სურს, ნახოს ჩემი ხმარება კომბლისა.

ბრძოლა დაიწყეს. ხმლების ტრიალი შეუდარებელი იყო. ბერას თითქოს უნდა გასჭირვებოდა ბრძოლა სამ მხედართან, სამ მხრივ იერიშის მომტანთან: სამი გამოცდილი ხელი ხმარობდა ხმლებს. მაგრამ ბერა არაფერს იმჩნევდა. არავისგან ხმარებული ფანდით მოქმედებდა. სამი ახრიდან მომდგარ მხედრებს მოხერხებულად უძვრებოდა ხელიდან და ცხენთა თავების ჯაბუნით მთავრდებოდა მხედრების იერიში. თვითონ ბერა ელვის სისწრაფით ორი მხედრის ცხენთა გვერდებშორის თავსდებოდა და მესამე მხედარს ემუქრებოდა და კომბლით პირისპირ ებმოდა. გვერდზე გადმოქნეული ხმლები ორი მხედრისა მესამეს უშლიდა და მესამის ხმალი ჰაერსა სჭრიდა მხოლოდ: ცხენები ორისა მესამე ხმლოსნის დასაკრავად მოქნეულ კომბალს შორს განზე უხტებოდნენ. ხალხში გულიანი ხარხარი ისმოდა.

მეფე უმზერდა ბერას მოქმედებას, იღიმებოდა სიამოვნებით და ფიქრობდა: მაგაზე მეტი სასჯელი რაღად უნდა სამ ხმლოსან მხედარსო?

ბაგრატს გადაწყვეტილი ჰქონდა დაესაჯა სამი ხმლოსანი, ბერას მიმართ უდიერი ქცევისათვის და ეს განზრახვა მთლად გაუქარწყლა ბერასაგან კომბლის მარდმა და მოხერხებულმა ხმარებამ.

როცა ვერას გახდნენ ამგვარი ხერხით, მაშინ სამივემ პირისპირ იწყო იერიშის მიტანა მოპირდაპირეზე: მაგრამ ბერამ აქაც დიდი უნარი გამოიჩინა. ზენკალი მოპირდაპირეთაგან ერთის ხმალს თუ კომბლით ფხას უჩლუნგებდა, ორის ხმალს ფართო ფარს აგებებდა და უვნებელი რჩებოდა.

მეფემ ბრძანა ბრძოლა შეეჩერებინათ.

ხმლოსნები დაქვეითდნენ და ბერასთან ერთად მეფეს ეახლნენ. დაბლა თავი დაუკრეს და პატივება სთხოვეს უდიერი ქცევისათვის. მეფემ მხიარულად ხელი დაუქნია სამივეს პატიების ნიშნად და ბერას შუბლზე აკოცა. ხმლოსნებს უბრძანა, დაეკოცნათ ზენკალი. ხმლოსნებმა მეფის ბრძანება შეასრულეს, თან ბერას სთხოვეს, სანამ აქ იქნები, შენებური კომბლის ხმარება გვასწავლეო.

— ბერავ, რატომ გაურბი ოთხთან ბრძოლას? — ჰკითხა მეფემ.

— რატომ, დიდებულო მეფევ, და — მეოთხე მუხანათია ასეთ ცალკე ბრძოლაში, მაგრამ ჯარის ჯართან დატაკებაში არც შვიდსა და მეტს გაუქცევი: ჩემს გვერდებსა და ზურგს თავისდა უნებურად ჩემნი თანამებრძოლნი დაიცავენ მაშინ.

— კიდევ ვინ იცის უჯარმაში კომბლის ხმარება?

— თვით რევი სასანიანმაც. ერთად ვვარჯიშობდით მე და ჩემი პატრონი ჭაბუკობისას. მაგრამ ის ხმლით იბრძოდა მუდამ. იშვიათი მოისარიცაა. ფერისთან ერთად ბევრჯერ ურეკია მტერი რევის. აი, ამასწინათაც, როცა ჩვენს პატრონს ვაჩეს დაეცნენ კვეტარელები, რევიმ და მისმა ოთხმა ყმამ, რომლებშიც ფერისიც ერია, ბრძოლაში მოულოდნელი შემოჭრით მტერს პირი აბრუნებინეს. მაგრამ ახლა მონაზონია. ბაქარი ნამდვილი მამამისია იარაღის ხმარებაში, — უცბად დაუმატა ზენკალმა თავის ნალაპარაკევს და სიყვარულით გადახედა ჭაბუკ სასანიანს. — დიდო მეფეო, იშვიათი ნადირობა იცის ბაქარმა. აი, ამას წინათ შემთხვევით ტყეში შეხვედრილი ტახი გამძვინვარებული მოკლა მარტოკამ. აი მხარზე რომ აქვს გადაკიდებული ბუკის თავი, იმ ტახის ეშვიდან გამაკეთებინა.

ბაქარი გაწითლდა.

— დიდო მეფეო, მართლა შემთხვევით შემეფეთა ვილაცისაგან გაღიაზენებული და მეც სრულიად შემთხვევით გამოვედი გამარჯვებული. ასევე შემთხვევით ტახსაც შეეძლო ჩემი გამოფატვრა.

— დიახ, დიახ, თავი დაიმდაბლე, — წამოიძახა ბერამ, — ხომ ვნახე შენი მოკლული ტახი. წინასწარ მოფიქრებული დაკვრით ჰქონდა გაჩეხილი თავი ნადირს.

— აბა! თუ ბაქარმა იშვიათი ნადირობა იცის, — ბრძანა მეფემ, — ხვალ სანადიროდ გავიყოლებ თავისი ამალითურთ.

ბაგრატმა განკარგულება გასცა სამეორდღეო ყველაფერი მოემზადე-

ბინათ ნადირობისათვის და ცოტა შეყოვნების უკან ფერისს მიუტრიალდა:

— შენ როდისღა მიჩვენებ შენს ვაჟკაცობას?

— მტერთან ბრძოლაში, დიდო მეფეო!

ბაგრატმა ქორივით ახედ-დახედა სასანიანთ შინაყმას, მაგრამ დაინახა მისი იშვიდად მაცქერალი პირისახის გულწრფელი მეტყველება, გული დაუამდა და წყნარად შეეკითხა:

— შენ რა გინდოდა გეთქვა მაგითი?

— ერთი მხოლოდ, დიდო მეფეო, რომ მსურს-მეთქი შენს წყლულებს მალამოდ დაეედო, ძლევამოსილი ენახოს ჩემს თვალებს შენი თავი, მეფეო, ღვთის მოგზავნილო.

ფერისმა თავი დახარა. ბაგრატმა მხარზე ხელი დაადო.

— ბედს თუ ავლაგმავ, ეგაც იქნება.

— მართალი ბრძანებაა, დიდო მეფეო, — დაეთანხმა ფერისი, — ტყუილად კი არაა ნათქვამი, ცდა ბედის მონახევრეაო, — დაუმატა თავის სიტყვებს სასანიანის შინაყმამ. — ქართველი მუდამ ბედს ებრძვის: მოაჯდა ბედს მხარზე, იმარჯვებს, მოექცა ბედს ქვეშა და ბურთივით გორავს მიწაზე.

— მე ბედის ურჩი ვარ, — თითქოს პასუხად წარმოთქვა ბაგრატმა. და ბრძანა სახლად წასვლა.

3

სამი უჯარმელი, მეფის ბრძანებით, მიჩენილ ბინას დაუბრუნდა. ბინა სასახლისაგან რამდენადმე მოშორებით იმყოფებოდა.

ბაქარი მოუსვენრობამ შეიპყრო. იქ, ბერას ასპარეზობის გათავებისას, უარი ვერ უთხრა ბაგრატს ჭაბუკმა, დუმილითა და თავის დახრით მიიღო მბრძანებლის სურვილი, აქ კი, ბინაზე, ამ სურვილით გამოწვეულ ფიქრთა ხროვას მისცა თავი.

„ქვეყანა იგვემება, მტერი, შინაური თუ გარეული, არ გვასვენებს, მერმე?..“

ბაქარი ამ „მერმეზე“ შეჩერდა, გონების თვალი გადაავლო განგების ხელით მოკლე ხანში გადმობნეულ მოვლენებს. შემდეგ კი ისევ გაჰყვა ფიქრთა დენას:

„თითქოს მეფე სულ იმითაა გატაცებული, თუ როგორ ვიხსნა ქართველთა ნათესავი დაცემისაგანაო. მოხსენდა კახეთის ამბები, ქართლში სასიკეთო ჯერ არა არის რა და ამ დროს ჩემი გამოცდა ნადირობასა და ბერასი კომბლის ხმარებაში ვის რად ჭნდა? ფერისმა კარგად უთხრა. მესმის მართლა გამოცდა მტერთან ბრძოლაში, — მაგრამ ბაქარს გაახსენდა, მეფემ რომ ქორულად ახედ-დახედა ფერისსა და ეჭვი შეეპარა თავის აზრთა სწორ მიმართულებაში. — ეს ქორულად ატრიალება თვალებისა ხომ წყრომა იყო საეჭვოდ მიჩნეულ სიტყვაზე. პაპაჩემიც ხომ მეუბნებოდა, მეფეს არასდროს არ ავიწყდება ჩვენი გვეშული ქვეყანაო. მაგრამ ეს დარდიმანდობა რაღაა? აბა რა ვარ ჯერ მე, რომ ჩემი გამოცდა მოინდომა ნადირობაში? — ჭაბუკს ახალმა აზრმა გაურბინა თავში: სასეიროდ თუ უნდა გ მხადოს?! — სასანიანი აინთო. — ტყუილია, ვერას გახდები, მეფევ! გამოცდილი რომ ხარ ნადირობაში, პაპაჩემმა მითხრა. კარისკაცებშიც ბევრი გეყოლება გამოცდილი მონადირენი, მაგრამ გული მაინც საგულეში მაქვს. წინ თუ ვერ წაგივალთ, გვერდში მაინც ამოგიდგებით!..

— უფლისწულო, რამ ჩაგაფიქრა? — შეეკითხა ფერისი ბაქარსა და ფიქრთა დენა შეუწყვიტა.

— ალბათ, ბაქარს ხვალინდელი დღე აფიქრებს, — ჩაილაპარაკა კუნჭულში მიმჯდარმა და თავისი კომბლის თვალიერებით თითქოს გართულმა ბერამ. — სასანიანო, ნუ გეშინია!

— ჩემო ბერა, რისა უნდა მეშინოდეს? მე მაფიქრებს მეფის დარდიმანდობა.

ფერისმა ღიმილით გადახედა ბაქარსა.

— მეც მაფიქრებდა. ჩემი პასუხიც სწორედ აქედან იყო ნატყორცნი. მაგრამ მეფის კითხვამ, შენ რა გინდოდა მაგითი გეთქვაო, სულ სხვა გზას გადამანაცვლა.

— მეფის დარდიმანდობა, — გადმოსძახა ბერამ კიდევ კუნჭულიდან, — ფანდია ერთი.

— ფანდი? — შეეკითხა ბაქარი ზენკალს და ოთახის კარს მიმართა.

— საით აპირებ წასვლას, უფლისწულო? — შეეკითხა ფერისი ჭაბუკს. — მეფე სამხრად მოგიკითხავს ალბათ.

— შორს არსად წავალ, — უპასუხა ბაქარმა და გარეთ გადგა ფეხი. ისევ პალატისაკენ გასწია. პალატის საფუძვლიანი დათვალიერება მოი-

წადინა, პალატის ასახულებას თვალი გადაავლო. დარბაზის დერეფნის ჯარსვეტებზე შეჩერდა.

— ეს სულ სხვაა, — წარმოთქვა წყნარად და გონების თვალი გადაიტანა შორეულ უჯარმაში, ივრის მაღალ სანაპიროზე მდგომ მამაპაპეულ პალატზე. გაახსენდა თავისი ყრმობა, ხუთისა თუ ექვსისა რომ იქნებოდა; გაახსენდა ზღაპრები, ნინო გამზრდელი რომ უამბობდა; გაახსენდა დევებად რომ სახავდა თავისი პალატის დერეფნის მხარბეჭიან სვეტებს — და დარბაზის მართლაც დევისებურ დედაბოძებს, და ერკინებოდა მათ ვითარცა ბუმბერაზი. აი ახლაც ყურთ მოესმა საყვარელი დედის სიტყვები:

„რას სჩადი ბაქარ? რას ეჯაჯგურები მაგ სვეტებს? არაფერი მოიწიო!“ „სვეტები კი არა, დევებია, დედი, დევები! — მოესმა ყურში ახლა თავისი პასუხი. — ჩვენი სახლი დაუჭერიათ და უნდა წავაქციო“. „წააქცევ და ჭერი თავზე დაგექცევა“, — ჩაესმა ჭაბუკს ყურში ახლა სხვა სიტყვები და აქვე გაახსენდა, თუ როგორ შეშინდა დედის ამ სიტყვების გაგონებაზე და როგორ მიუჯდა დედას გვერდით დალონებული. ყრმას ეგონა, მართლა სვეტებს წავაქცევდი, ჭერი დაგვექცეოდა და დედა აღარ მეყოლებოდაო. ბაქარმა გაიღიმა, მოგონებას წაართვა თავი და ისევ ბაგრატის პალატის ქვის სვეტებს დაუბრუნდა: მიწა მოყვითალონი, წერწეტნი, ფეროვანნი, სამწახნაგოვანნი, წიბოებდამრგვალებულნი, წახნაგებშეზრდილნი, დაბლა ვიწრონი, ზევ-ზევით გაფართოებულნი თანდათანობით, მოლაპლაპენი თავში, წინა წახნაგზე ვერძის შავრქოსანი თითო თავით თავდებოდნენ. ჭაბუკი მიუახლოვდა ერთსა და ხელი გაუსვა: მძივებით არაა ასხმული ეს სამმორგვადი მტკავლის სიმაღლე ქვები! ჩვენი პალატის სვეტნი უშველებელ ქვათა წყობაა. ძალოვნად არიან აზიდულნი მაღლა. ესენი კი თითქოს ზევიდან ჩამოუშვიათო

ბაქარს პაპისაგან ბევრი რამ ჰქონდა გაგონილი ხუროთმოძღვრებაზე. მოხუცს დაეინტერესებინა შვილიშვილი თავისი საყვარელი საქმით. და, ყმაწვილიც, თუ სადმე თვალსაჩინო ნაგებობას ნახავდა, გაუსინჯავს არ სტოვებდა, უსათუოდ პაპის ნამოქმედარს ადარებდა და ასე ადასტურებდა ნანახის ავკარგიანობას. ახლაც აჩემებულ თავის წესს არ ჰღალატობდა, ათვალიერებდა და დასკვნებს აკეთებდა.

„მოყვითალო არეზე ალაგ-ალაგ სისხლისფერი ქვები! — გაიელო გულში ბაქარმა, — ლამაზია“.

გონების თვალი დარბაზში შეახედა, დედაბოძზე შეაჩერა, გვირგვინს შეხედა. დედაბოძებსა და გვირგვინზე პაპის სასახლე გაიხსენა. ამ დარბაზსა და იმ სასახლის დარბაზში საერთო ნიშნები გამონახა.

„ლამაზია პაპიჩემის დარბაზი და ლამაზია თვით მისი შემცველი სასახლეცა... მცირეა, მაგრამ ლამაზია“.

ჭაბუკს აოცებდა ის, რომ მეფეს ერთსართულიანი სასახლე ედგა, რომ ცისკენ მიმსწრაფისებრ ძალზე მაღლა აზიდული, მისაღები დარბაზი თითქმის გამოჰყოფოდა სასახლესა და მხოლოდ მარცხენა და მარჯვენა გვერდებიდან წასულ თითო ღია ბეჭით უერთდებოდა სამ მხრივ შორიახლო მიმდგარ სასახლის ოთახების დერეფნიან სამ მწკრივს. მაგრამ სასახლის გარს შემოვლისას აზრი შეეცვალა.

„მართლადა, ამ ოთახების სიმრავლეს რაღა მეორე სართული უნდა? — ეაიფიქრა ბაქარმა, დარბაზს ერთი კიდევ შეავლო თვალი. — ეს დარბაზი ბუმბერაზია ამ ოთახებს შორის“. — დარბაზსა და ოთახებს შორის ბჭეებს იქით მოქცეულ წალკოტს მიაპყრო თვალი და მოაგონდა ზღაპრები, ნინო რომ უამბობდა პატარას; „შებრძანდა, შვილო, ხელმწიფის შვილი წალკოტში, — გაუმეორდა ყმაწვილს ყურში გამზრდელის სიტყვები, — და რა გინდა, სულო და გულო, იქ არ ნახა! რა ვარდები! რა აუზები! ვინ იცის კიდევ რა?“

— მართლადა ზღაპრული წალკოტია! — წამოიძახა აღტაცებულმა ჭაბუკმა.

ბაქარს პაპისაგან ჰქონდა გაგონილი, რომ სასახლე ბაგრატის პაპას, ბაგრატ III-ს აეგო თავისივე აგებულის, ახლა სახელგანთქმული ტაძრის ახლოს.

ბაქარმა გაიხსენა თუ არა ტაძარი, არ დააყოვნა და ახლა მასთან გაჩნდა. ტაძრის ასახულობით გატაცებულმა ვერ შენიშნა, რომ ტაძრისაგან რამდენიმე მანძილით დაშორებულს, გალავან შიგნით მდებარე მაღლობ ადგილას, კოხტა ნაგებობის დერეფანში იყდა ვინმე დაარტაშნული კაცი. ეს ერთი იმ ბერძენთაგანი ბრძანდებოდა, ბაგრატ IV-ს რომ გამოაყოლა ბიზანტიის იმპერატორმა. ამხანაგზე უფრო მსუბუქად დარეხვილს, გარეთ გამოეყვანინებინა თავი და მოუსვენრობდა. ვერ მოენელებინა, რომ ახლა მეფის გვერდით ვერ უხდებოდა ყოფნა. უცხო ჭაბუკი რომ დაინახა, ამან უფრო გაუძლიერა მოუსვენრობის ცეცხლი.

ბაქარი თავისას განაგრძობდა. ბაგრატის ტაძრის ნახვაზე სვეტიცხოველი გაიხსენა ჭაბუკმა და ცხოვლად იგრძნო პაპის არაჩვეულებრივი ნიჭი.

— დიდი ნიჭია შენი ამგები! — მიმართა ბაგრატის ტაძარს აღგზნებით ჭაბუკმა. — მშვენება ხარ ბაგრატის პაპისა! მაგრამ უდიდესია ნიჭი პაპიჩემისა.

ბაქარმა ამაყად მიიხედ-მოიხედა, თითქოს ამით უნდა ეთქვა, თუ როგორი ადამიანის შვილიშვილად გაეჩინა ზეციერსა, და ამ მიხედ-მოხედვაში ბერძენი დაინახა.

— ჭაბუკო! — უხმო უცხომ. — ნუ დაიზარებ და ჩემკენ წამოდი. მე, როგორც ხედავ, ვერ დავიძვრები: ბედმა მიმტყუნა და დავირეხვე. ჰუნემ გადმომაგდო.

ბაქარი ამ სიტყვებზე მიხვდა, ვინც გამოელაპარაკა.

„ნეტა რაში დაეჭირდი? არ ვიცნობ, არ მიცნობს!“ — თქ ,ა გუნებაში, მაგრამ თავაზიანობამ მაინც გადაადგმევინა ფეხი ბერძენისაკენ.

ბაქარმა აიარა აღმართი და დერეფანს მიუახლოვდა. გაჩერდა და კითხვის გამომეტყველებით გადახედა მხმობელს.

— ვინ ხარ, ჭაბუკო? — შეეკითხა დაკითხვის კილოთი ბერძენი.

— ქართველი! — მოკლედ უპასუხა ბაქარმა, ბერძენის კილოთი ნაწყენმა.

— რომელი მხრიდან ხარ? — შეეჭრა ჭაბუკს ყურში მოუსვენრად თქმული სიტყვები.

— საქართველო ერთი მხარეა, — გასცა პასუხი ბაქარმა.

— ღმერთო! ეს ბარბაროსები რომ ისევ ბარბაროსებად რჩებიან და ვერაფერი ვერ არჯულებთ, — თქვა ბერძენმა ბერძნულად.

ბაქარს გული აენთო: ბერძნული კარგად ესმოდა მამისაგან ბერძნულში გაწაფულს.

— შენ კილოს, თუ ბარბაროსისა არა, სხვა კილო არ შეეფერება, — უთხრა უკმეხად ბერძენს გაჯავრებულმა სასანიანმა და ზურგი შეაქცია. ტაძრისაკენ გასწია. აღელვებულმა გარს შემოუარა და მისი არემარე დააგდო.

ბერძენი სახტად დარჩა, რომ გამოერკვა, ცეცხლი მოეკიდა და დაემუქრა უკვე თვალს მიფარებულ ბაქარსა.

— როგორც იქნება, უნდა ვეახლო ბარბაროსთა მეფეს და პასუხი მოვთხოვო ასეთი უპატივცემულობისათვის, — წამოიძახა გაბოროტებულმა. — მე იმპერატორის წარმომადგენელი ვარ და ჩემი უპატივცემულობა იმპერატორის შეურაცხყოფაა. ვინც მე შეურაცხყოფას მომაყენებს ამ ქვეყანაში, ეს მეფისაგან მოყენებულად უნდა ჩაითვალოს.

მოიხმო მსახურნი, ორს უბრძანა, კუბო დაემზადებინათ, ორს კიდევ უბრძანა, თავისი ბედის მოზიარესთან შეეყვანათ.

— თეოხაროს, რამ აგაღელვა? — შეეკითხა ლოგ[illegible]ში მწოლარე ამხანაგი.

— რამ ამაღელა და ერთი ახალგაზრდა ბარბაროსის უდიერმა მოპყრობამ. პირველი ხომ არ არის ასეთი ჩვენი დამცირება? ჩვენი დამცირება ჩვენი იმპერატორის დამცირებაა. უნდა პასუხი მოვთხოვოთ ბარბაროს მეფეს.

— მაინც დაწყნარდი, თეოხაროს! დამშვიდებული ადამიანი უფრო კარგად ამუშავებს ხოლმე გონებას. მითხარი, რა დამცირება განიცადე. გამაგებინე სწორედ.

თეოხანოსმა აღელვებით უამბო ამხანაგს ბაქართან შეხვედრისას თავისი მარცხი.

— მერმე ქუთათისში, არტემიოს, ასეთი ჭაბუკი არ მინახავს. ცხადად ეტყობოდა, ამ დაწყეველილი ქვეყნის სხვა კუთხიდან იყო. ჩვენთვის მისი აქ გაჩერ[illegible] მნიშვნელოვანი ამბავია. მეშინია, რაკი თვალით აღარ გვხედავს, ბაგრატი არაფერს აპირებდეს.

— ერთმა ჭაბუკის შეხვედრამ როგორ უნდა აგაფორიაქოს, თეოხაროს? რატომ უნდა იყოს სხვა კუთხიდან ის ვიღაც? ამ კოლხიდაში მრავალფეროვანი ხალხ[illegible] ცხოვრობს: აბაზგი, სვანი, კოლხი... კოლხიდის თითოეული კუთხე რომელიმე ცალკე ტომით არის დასახლებული.

— არა, არა, ის კოლხეთის მცხოვრები არ არის. აღმოსავლეთიდან უნდა იყოს! ბაგრატს რაღაც აქვს განზრახული.

— განზრახული? განა რა შეუძლია ახლა გააკეთოს იქ, საცა ძლიერი ლიპარიტია? დამშვიდდი. ან აგონდება კი რამე თავის გართობის მეტი? ხომ ხედავ, ჩვენც აგვიყოლია.

— აგვიყოლია და კისერიც მოგვატეხინა. ოინი გვიყო, როგორც ახლა ვხედავ.

— ეჰ! შენც ერთიდა! გეხვეწებოდა, თუ რა არის, რომ მანაწილეობა მიგველო?.. ნამდვილი ალქაჯები არიან ბაგრატის ქვეშევრდომნი!.. ცხენებიც გადარეული ჰყავთ! აი რა ამბავი მოიტანა ერთმა ჩემმა მოსამსახურემ: დღეს ბაგრატს თურმე სამი ხმლოსანი ცხენოსანი შეუბრძოლებია ერთ კომბლიანთან. ხვალე კიდევ თურმე ერთი ვინმე ახალგაზრდა ნადირობაში გამოსცადოს. ზეგ კიდევ სხვას რაიმეს გასართობს გამოიგონებს. მოვრჩეთ ჯერ, კაცო, და ერთად ვინახულოთ საღსალამათებმა. მაშინ უფრო გონებამოკრებილები ვიქნებით... — არტემიოსი ლაპარაკობდა, მაგრამ თეოხაროსს სიმშვიდე არ ეკიდებოდა, გული ეუბნებოდა, უნდა წახვიდეო, მაგრამ ტკივილები გაუმძაფრდნენ და ეჭვი ეპარებოდა, ვაითუ ვერ შევძლო ჩემი წადილის ასრულებაო. კუბოს მორთმევამ ეჭვი ჩაუკლა და გადააწყვიტინა ბაგრტათან წასვლა.

სამხრობა მოწეული იყო და თეოხაროსი დაუპატიჟებელი უნდა სწეოდა ბაგრატს სამხარზე, მაგრამ ამას არაფრად აგდებდა. მსახურებმა ჯიუტი ბერძენი კუბოში ჩაასვენეს და გზას გაუყენეს.

ბერძნების ბინიდან სასახლისაკენ მიმავალი გზა დარბაზის მარჯვენა კარიბჭეს ხვდებოდა პირველად და კუბოც მარჯვენა კარიბჭეს მიადგა. დარაჯებმა შეაჩერეს, მეფე სამხრობსო.

— მოახსენეთ მეფეს, რომ იმპერატორის სახელით მოვითხოვ მიღებას, — ბრძანა გაკადნიერებით ბერძენმა: — დაუყოვნებელი საქმეა გასარკვევი!

დარაჯებმა ცივად უპასუხეს, მოხსენდებაო.

მეფემდის ჭისვლა ყოვნდებოდა და თეოხაროსი ცოფდებოდა, მაგრამ რას იზამდა? უნდა ეცადნა პასუხის მოტანამდე. ლოდინში მყოფმა ბერძენმა დაინახა, რომ მარცხენა კარიბჭეს რიონის მხრიდან ცხენგაოფლიანებული ცხენოსანი მიადგა. ცხენოსანმა სულა კალმახელი ახსენა და დარაჯებმა იგი არ დააყოვნეს. ცხენი ჩამოართვეს და წაძსვე მეფისაკენ მისცეს გზა. ბერძენი თეოხაროსი ამან უფრო გააბოროტა და ვინ იცის, როგორი უკადრისი ბერძნული სიტყვებით იხსენიებდა ბაგრატს. ბოლოს, როგორც იქნა, მიიღო ბერძენმა მეფის ნახვის დასტური.

4

ბაგრატი ნადიმს იხდიდა ბერას გამარჯვების აღსანიშნავად. ბაქარი გვერდით მოესვა. სასანიანს მეფის გვერდით ყოფნა ეკადრებოდა. ბაგრატს მოსწონდა ჭაბუკი, მისი დარბაისლური ქცევა. მზად იყო, ამალაში ჰყოლოდა მუდმივად, განუცხადა კიდეეაც ჭაბუკს თავის სურვილი, მაგრამ უარი მიიღო მისგან. ბაქარი მირანდუხტის გაზრდამდე არ თანხმდებოდა. მირანდუხტის გახსენებაზე ბაგრატმა გადასწყვიტა სხვა გზით მოევლო ბაქარისათვის. ბაგრატს მოსწონდა დის ასეთი სიყვარული, რომელიც ბაქარს თავისებურად ამოქმედებდა და მისთვის წყრომა არ გამოუცხადებია. პირიქით, სუფრაზე ჭაბუკი მუდამ თავის ყურადღების წრეში ჰყავდა მოქცეული.

— მაშ, ბაქარ, ხვალ ნადირობაში უნდა გამოგცადო!

— მზად ვარ, გემსახურო, დიდო მეფეო!

— აბა, ოთაღო, საუკეთესო მონადირეთ მოუყარე თავი!

შორს ხალხში ჩამჯდარი ფერისი ფეხზე წამოდგა, დარბაისლური ნაბიჯით გამოსწია მეფისაკენ, მიუახლოვდა და დაუჩოქა.

— რა გინდა, ფერის?

— ნებას გთხოვთ მეფეს, ბაქარს თან გამაყოლოთ ნადირობაში, დანაბარები უნდა ავუსრულო ახლა ჩემგან დიდი მანძილით დაშორებულს ჩემ პატრონს

ფერისს გვერდს ბერაც ამოუდგა.

— შენ რაღა გინდა, ბერავ!

— სწორედ ის, ჩემო მბრძანებელო, რაც ფერისს უნდა. ეს ნადირობა ფართოდ იშლება და ჩვენ ორივე ბაქარს გვერდთ უნდა ვყავდეთ. ვაჩე პატრონს

ბერას სიტყვა შეაწყვეტინეს უნებლიეთ: მეფის წინ ეჯიბი წარმოდგა.

— თეოხაროს ბერძენი გეწვიათ, მბრძანებელო! შენს ნახვას მოითხოვს დაჟინებით. რაღაცას აუღელვებია. დარბაზის ზევითა კარიბჭესთან აცდევინებენ გუშაგნი, კუბოში მჯდომარეს, თქვენი განკარგულების მოლოდინში.

— მობრძანდეს! — ბრძანა ბაგრატმა.

ეჯიბი გავიდა და მალე ისევ შემოვიდა, შემოიყვანა ის ვაჟკაცი,

თეოხაროსმა რომ დაინახა ცხენით მომდგარი მარცხენა კარიბჭესთან.

— სულა კალმახელის გამოგზავნილია, მბრძანებელო, — მოახსენა მეფეს ეჯიბმა.

ვაჟკაცი წინ წამოდგა, და მეფეს დაბლა თავი დაუკრა. ბაგრატმა თვალებიდან სხივები გადმოაფრქვია. ეჯიბი ბერძნის მოსაყვანად გავიდა.

— რა ამბავია? — ჰკითხა ბაგრატმა სულა კალმახელის გამოგზავნილს.

პასუხად მოციქულმა გრაგნილი გადააწოდა მეფეს.

— მბრძანებელო, მტერი დამარცხებულია! — იწერებოდა სულა, — ლიპარიტი დატყვევებული მყავს. დაეპატრონე შენს სამფლობელოს.

ბაგრატმა ყველაფერი ხმამაღლა წაიკითხა და მთელ დარბაზს აღტაცება მოედო.

— მეფეო, თეოხაროს ბერძენი გეახლათ, — მოახსენა ეჯიბმა.

კარი გაუღეს და კუბოთი შემოასვენეს თეოხაროსი. კუბოდან გადმოსვლის თავი აღარა ჰქონდა ბერძენს. მეფემ ნება დართო კუბოდან მოეხსენებინა.

თეოხაროსს თვალს ბაგრატის გვერდით მჯდომი ბაქარი მოჰხვდა და გულზე ცეცხლი მოეკიდა.

— მეფეო, იმპერატორს უპატივცემულოდ ეპყრობიან! — დაიწყო კადნიერებით სავსე კილოთი ბერძენმა, — იმპერატორი შეურაცხყვეს!

ბაგრატს არ ესიამოვნა ბერძნის კილო. შუბლი შეუჭმუხნა მრისხანებამ, მაგრამ მალე ისევ გაეშალა და გულგრილი თვალი გადაავლო მომჩივანს.

— ვინაა ეს იმპერატორის შეურაცხმყოფელი? — იკითხა მოკლედ.

ბერძენმა ბოროტად გაიღიმა, და ბაქარზე მიუთითა:

— აი, ეგ ჭაბუკი, გვერდით რომ გიდგას.

განცვიფრებულმა ბაგრატმა ბაქარს გადახედა. თითქოს ამით უნდა ეთქვა, შენგან ასეთ უგუნურებას არ მოველოდიო. არ ესიამოვნა ეს ამბავი. განცვიფრება გაწყრომად შეცვალა და მკაცრი სიტყვებით უნდა გამასპინძლებოდა ჭაბუკს. ბაქარი მიხვდა ამას და მაინც არ შედრკა. წყნარად, მაგრამ მტკიცედ წარმოთქვა:

— სიცრუეს ამბობს, მბრძანებელო, ეგ ბერძენი, — და მერმე მიმართა თეოხარს. — არ გიცნობ ვინა ხარ. არ ვიცი, მეკადრება თუ არა სა-

სანიანს შენი ხმალში გამოწვევა, მაგრამ მაინც გიწვევ: დაე ხმალმა გადაწყვიტოს, თუ ვინ არის მე და შენ შორის მართალი. მაგრამ რაკი ახლა დარეხვილი შებრძოლებას ვერ შეძლებ, გეყოლება ვინმე საღი თანმხლები, რომ შემებას.

ბაქარი დადუმდა. ბერძენი გაოცებული უცქერდა ჭაბუკს და თან თავში სიტყვები უყალიბდებოდა. სასანიდი (თეოხაროსი ქართველთა გვარებს ბერძნულის დაბოლოებით ამბობდა). კიდევ დარჩენილან ამ ქვეყანაში იმ დინასტიის ნასხლეტები! აი ვისით შეიძლება ბაგრატს წავუხდინო საქმე. რატომ არ შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს ბაგრატიდების დინასტიას ამ ყმაწვილმა? ქართლში კგ უნდა გამეფდეს და გათავდა საქმე! იმპერატორს უნდა ვაცნობო, მაგრამ როგორ გამოვასწორო ახლა ეს ჩემი გამოსვლა? – მისცა ბერძენმა ბოლოს თავის თავს კითხვა. ხმალში გამოწვევაზე უარს ვერ ეტყოდა: თავსა და ბერძნებს არ შეარცხვენდა.

– შენ, სასანიდო, – მიმართა ბაქარს თეოხაროსმა, – შენი გვარის შესაფერი არისტოკრატი არავინ არ მყავს, ჩემი გვარი კი არ არის შენ გვარზე ნაკლები. ჩემში სჩქეფს ჩვენი იმპერატორის ერთ-ერთი წინაამორბედის სისხლი. მე თვითონ შეგებრძოლებოდი ჩემს გამოკეთებისას, მაგრამ შენ ყმაწვილი ხარ და მე კი გამოცდილი მებრძოლი.

– მერმე რაა, რომ ყმაწვილი ვარ? – უპასუხა ბაქარმა. – ჩემ სახელოვან წინაპარს გორგასალს თარხანმაც უთხრა: „მე გოლიათთა და გმირთა გამოცდილთა მებრძოლი ვარ, არა ყმაწვილთა“, მაგრამ მაინც მოკვდა ჩემი წინაპრის, მაშინ ყმაწვილის, ხელით. სიყმაწვილე ჩემი არც მე და არც შენ ვერას დაგვიშლის.

ბაგრატმა სიყვარულით გადახედა ბაქარს. ძალიან მოიწონა მისი ქცევა და თავდაჭერილი ლაპარაკი. შემდეგ თეოხაროს ბერძენს მიმართა.

– მაინც, თეოხაროს, რითი შეურაცხჰყო ამ ჭაბუკმა იმპერატორი. ეს მძიმე ბრალდებაა და, თუ ნამდვილია, პასუხს აგებს.

– ვინაობა ვკითხე და მაგან უდიერად მიპასუხა, მე, იმპერატორის წარმომადგენელს, – მიუგო ბერძენმა. – იმპერატორის წარმომადგენელისათვის ასეთი მოპყრობა უსათუოდ იმპერატორის შეურაცხყოფაა და მისი უპატივცემულობა.

ბაგრატმა ბაქარზე გადაიტანა თვალი. მეფის მიჩერებულმა თვალმა ყმაწვილს ხმა ამოაღებინა:

— მბრძანებელო, დაკითხვის კილოთი მკითხა, ვინა ხარო, და ვუპასუხე: ქართველი-მეთქი. მკითხა იმავე კილოთი, რომელი მხარედან ხარო, და მეც შესაფერისად ვუპასუხე, საქართველო ერთი მხარეა-მეთქი! არავის დასაკითხი არა ვარ, მბრძანებელო! ჩემთვის დაკითხვის კილო შეურაცხყოფაა, მეფეო. ესეც არ მაკმარა: ღმერთოო, წამოიძახა ბერძნულად, ეს ბარბაროსები რომ ისევ ბარბაროსებად რჩებიან და ვერაფერი ვერ არჯულებთ ამათო. შენ კილოს თუ ბარბაროსული არა, სხვა კილო არ შეეფერება-მეთქი, — ვუთხარი უკმეხად და ზურგი შევაქციე.

ბაგრატს გულში ძალიან იამა ბაქარის სიტყვები, მაგრამ არაფრით გაუმხელია, ბერძენს კი სახე შეუფერიანდა. ეტყობოდა, ბაქარის სიტყვებმა დანაშაული აგრძნობინეს, მაგრამ ბოდიშს რა ათქმევინებდა.

— მოვრჩები და შეგებმი! — აუწყა მოკლედ თეოხაროსმა ბაქარს და ბაგრატს მიმართა:

— სულა კალმახელიძისაგან კაცი მოგივიდა!

ბერძენს კილო მხილებისა ჰქონდა, მაგრამ ბაგრატმა გულში გაიცინა და წყნარად უპასუხა:

— ლიპარიტი დატყვევებულია და ხალხი მოითხოვს იმ ჩემს სამფლობელოს ყური ვუგდო, — მერე ოთაღოს მიუტრიალდა:

— მომიმზადე სამ დღეში ჯარი, რომ შევძლო გამგზავრება ჩემი კუთვნილის დასაუფლებლად.

შეშფოთებულმა ბერძენმა უბრძანა კუბოს მატარებლებს და თავი სწრაფად გააყვანინა სანადიმო დარბაზიდან. ბინას მიაშურა. კაცი უნდა ეფრინა იმპერატორთან. უნდა ეცნობებინა თავის მბრძანებლისათვის ბაგრატის ვერაგობა, უნდა ეცნობებინა ახალგაზრდა სასანიდის არსებობა, ისიც, რომ თუ ლიპარიტს ველარა ეშველებოდა რა, სასანიდი გამოეყენებინათ ბაგრატის მეტოქედ. ბერძნის სწრაფმა გასვლამ ჰომერული ხარხარი გამოიწვია სანადიმო დარბაზში. მეფემ კი ბრძანა:

— ნადირობა გადაიდება, ოთაღო! ჩვენ სწრაფად უნდა გავუდგეთ გზას, რომ ამ ბერძენმა არ აამხელროს ჩვენი მოსაზღვრე ქვეყნებში მდგარი ბერძენთა ჯარები და ხელი არ შეგვიშალოს. ლიპარიტის კლდეკარის ციხის აღება უნდა მოვასწროთ და შემდეგ, რაკი მთელი ქართლი ჩემს ხელში იქნება, იმპერატორი ეგრე ადვილად ველარას გვიზამს თავისი ჯარებით. ჯერ ერთი, თვით ქართლი გამიმრავლებს ჯარს და, მერმე, კახეთშიაც ხომ გველიან! — ბაგრატმა კახეთის სამ წარმომადგენელს გადახედა.

— გელით, მბრძანებელო, გელით! — მოახსენა ბაქარმა დაბლა თავის დახრით.

— მოუთმენლად, მეფეო, მოუთმენლად! — წამოიძახა ბერამ.

— გარე კახეთის ქალაქები უბრძოლველად ჩაგბარდება, მბრძანებელო, — დასძინა ბაქარსა და ბერას სიტყვებს ფერისმა.

ბაქარი და მისი თანმხლებლები დიდად გახარებული იყვნენ, რომ მალე დაბრუნდებოდნენ სამშობლოში. მაგრამ სიხარულს მოკლე ხანი ეწერა. ბაგრატმა სანადიმო დარბაზიდან გასვლისას ბაქარს განუცხადა:

— შენა და შენი თანმხლებლები თან გამომყევებით ჯავახეთს. შენ, — მიმართა შემდეგ ფერისს, — ხომ შემპირდი, მტერთან ბრძოლაში გიჩვენებ ჩემს ვაჟკაცობასაო, ახლა შენ იცი. ბერამ თავისებურად კომბალი დაატრიალოს.

— კიდევაც რომ დავატრიალებ და მერე როგორ?

ბაგრატმა გაულიმა ზენკალს და იმედებით სავსემ დააგდო დარბაზი. ნადიმი დაიშალა.

5

„რა ვქნა ახლა მე?“ — გაიღო გულში ბაქარმა.

ნადიმიდან მიმავალი ყმაწვილი ბევრს ფიქრობდა, ვუთხრა თუ არა მეფეს, თან ნუ გამიყოლიებს და მცხეთას გამისტუმროსო, და ვერაფერი პასუხი ვერ მისცა თავისთავს. ვაჩეს ეთქვა, როცა აგზავნიდა: ისე უნდა მოიქცე, რომელიც აღგილი და დრო გვიჩვენებს, თორემ შინ დაბარებულით გარეთ ვერას გადაგწყვეტო. „მაგრამ აქაც რომ ვერაფერი გადამიწყვეტია. მოვედით, პატივების დავალება შევასრულეთ, თითქოს დროა ჩვენი წასვლისა, შინ დაბრუნებისა, დრო მოითხოვს ამას, მაგრამ ადგილი სულ ეწინააღმდეგება აქედან დროით წასვლას. ია, ვინ იცის, დარდობს უჩემოდ! ჩემი იაკო... ბერიც მამაჩემი?... თუმცა მამას კი შეუძლია მცხეთას გადმოვიდეს. იას შანაკს, მაგრამ გულნაკლული დაბრუნდება, იქ რომ არ დავხვდები... მეფეს ერთხელ უარი მოვახსენე, როცა გამომიცხადა, ამალაში ჩაგრიცხავო და ვეღარაფერი მითხრა ამაზე. ახლა როგორღა მოვახსენო უარი, თუ გინდ ერთი თვის უკანაც რომ მომიხდეს შინ დაბრუნება. ჩემიკის ერთი კვირაც რომ დამაგვიანდეს, ბევრია... მაგრამ ჩემი

თვალით რომ არ შევხედო ასეთ დაგვიანებას, მეფის გულისათვის ერთი თვის დაგვიანება ბევრი არაფერია... მაგრამ გული რომ ძალიან მიმიწევს შინისაკენ?... პაპას ხომ ამბავი უნდა მივუტანო?.. თუმცა რა არის, პაპაჩემს ისე უყვარს ბაგრატი, რომ მეტყვის, მეფისათვის არ უნდა გეწყენინებიაო. მართალია, არ უნდა ვაწყენინო... მეც როგორღაც შემიყვარდა ბაგრატი... გულს იზიდავს, მაგრამ...“ ბაქარი ფერისის ხმამ შეაჩერა.

— სადღა მიხვალ, უფლისწულო?

ბაქარი გამოერკვა და დაინახა: ბინასთან იყვნენ მისულნი.

ოთახში შევიდნენ. ბაქარმა გონებით შეაჯამა გზაში ნაფიქრი, ვერაფერ დასკვნამდე ვერ მივიდა და სიტყვები: რა უნდა ვქნა ახლაო, უნებლიეთ ხმამაღლა წამოიძახა.

— რა არის, ბაქარ? რაზე ამბობ მაგას? — მაშინვე პირში სწვდა ბერა ჭაბუკს.

— აი, მეფეს რომ თან მივყავართ და არ ჰსურს პირდაპირ შინ გაგვისტუმროს, პაპას დროზე ამბავს ვერ მივუტანთ. მამა მცხეთაში რომ გადმოვა, ვერ შნახავს, ეს იმოქმედებს იმაზე.

— მართლაცდა საფიქრებელია ეგ, — ჩაურთო ფერისმა.

— კარგი ერთი შენცა და! — შეუტია ბერამ ფერისს. — ახლა შენ გაუტეხე ბაქარს გული! ბოლოს და ბოლოს, ბაქარ, რად სწუხარ? ცოტა გზის გადახვევა მოგვიხდება, თორემ ხომ მივალთ მაინც მცხეთას.

— რას ამბობ, კაცო? — წაეკიდა ფერისი ბერას. — რის ცოტა გადახვევა გზისა. ჯავახეთში უნდა გადახვიდე, ახალქალაქში უნდა მიხვიდე და კაი გადახვევაა, შენმა მზემ. ჩვენ იქ სადმე, კოჭებში ვატყობ, ომის გადახდაც მოგვიხდება. ხომ გაიგე, რა მითხრა მეფემ, აბა ახლა მიჩვენე შენი ვაჟკაცობაო.

— მერმე რა არის ახლა? ჩვენ ხომ გვინდა, ბაგრატი მთელი საქართველოს მეფედ რომ იყოს? მერმე ნამდვილ მეფედ და არა ისეთ კუკა მეფედ, როგორც აღსართანია, მაშასადამე, მხარი უნდა მივცეთ. თორემ გული გაუტყდება...

ბერა შეჩერდა. ვიღაცამ კარი დააკაკუნა. ფერისმა გააღო. ათი-თორმეტი წლის მორბედმა ვაჟმა შემოდგა ფეხი ოთახში. პატარა გრაგნილი დაანახვა ოთახში მყოფთ.

— აი ეს ბაქარ სასანიდთან გამომატანა თეოხაროს ბერძენმა. წერილია.

ბაქარმა ფეხი წინ წამოდგა, ხელი გაუშვირა გრაგნილის ჩამოსართმევად და თან წამოიძახა:

— რას ჩამომეკიდა ეს ბერძენი!.. ბალღო! — მიმართა გრაგნილის მომტანს, — პასუხს დაუცდი?

— ჩემთვის ეგ არ უთქვამს.

გრაგნილის მომტანი წავიდა. ბაქარმა გრაგნილი გაშალა. ბერძენი ბერძნულად იწერებოდა, რაკი მიხვდა, რომ ჭაბუკმა სასანიანმა ბერძნული იცოდა.

— ერთი ამას უყურე! — წამოილაპარაკა ბაქარმა წერილის კითხვისას. — გაგიგონიათ და თქმულა?!

— რა არის, ბაქარ?

— დამაცათ, დავათავო.

პატარა ხანს უკან ბაქარმა წერილს თვალი მოაშორა და თანმხლებლებს გადახედა.

— იცით, რას მწერს ის ახირებული ბერძენი?! სასანიდთა ნატამალი თუ კიდევ იქნებოდა იევრიაში, ჩვენებურად რომ ვთქვათ, საქართველოში, რას წარმოვიდგენდიო. შენი სახელგანთქმული წინაპარი გორგასალი მეხუთე საუკუნის ერთ-ერთი ჩვენი იმპერატორის სიძე იყოო. იმპერატორი რომ გაიგებს, სასანიდთა გვარეულობის შტო კიდევ არის იევრიაში, დიდი პატივით მოეპყრობა მის წარმომადგენელსაო.

— ეს არის ახლა გასმენდა მეფესთან და, ახლა რა მოხდა ასეთი, რომ წყაროს ჟღურტულივით ელამუნება ყურს? — გაჰკრა კბილი ბაქარის გადმონაცემს ბერამ.

— აცადე, კაცო, ბოლომდის თქვას! — შეუტია ფერისმა ალაპარაკებულ ბერას; ბაქარმა განაგრძო:

— კაცს ვგზავნი კონსტანტინეს ქალაქში და უნდა ვაცნობო იმპერატორს, შენ რომ გნახეო. დიდ ბოდიშს იხდის, შენსა და ჩემ შორის გაუგებრობა მოხდაო...

— ოჰო, ოჰო! ხედავ? უკან იხევს, უკან! ეშინია ხმალში გამოსვლისა! — ახმაურდა ბერა.

— კიდევ შენსას არ იშლი? — შეუტია ხელმეორედ ფერისმა.

— არა, — თქვა ბერას პასუხად ბაქარმა. — თეოხაროს ბერძენი მეუბნება, მაინც შეგებმიო. ამას მოითხოვს ჩემი მხრივ იმპერატორის

ღირსების დაცვაო. მოვრჩები თუ არა, უსათუოდ შეგებმიო.

— რაღას შეგებმის, რომ სამი დღის შემდეგ აქედან მივდივართ! — უთხრა ფერისმა. — ან შენ რაღას იზამ, ბაქარ? მაგის მორჩენას ხომ ვერ მოუცდი?

— ჩემ დავალებას შევასრულებ. პაპას ამბავს მივუტან და რამდენიმე ხნის უკან ისევ წამოვალთ აქეთკენ, რომ შევება. შორი გზაა, მაგრამ მაინც წამოვალ.

— სხვა აღარაფერი ეწერა მაგ გრაგნილში? — იკითხა ბერამ.

— როგორ არა, მაგრამ რომ აღარ მაცალეთ, მეთქვა. ბოლოს მთხოვს, მობრძანდი ჩემთან, ერთ დიდ საქმეზე უნდა მოგელაპარაკო. კიდევ, იცი, რას მითვლის, სასანიდი ხარ და ივერიაში დიდი უფლებები შეგიძლია მოიხვეჭო, თუ იმპერატორს მიმართავო.

— ღმერთი, რჯული, ბაგრატის ორგული უნდა რომ გახდე! — განმარტა ბერამ.

— მანამ ნურაფერს მიირთმევს, სანამ მე ბაგრატის ორგული არ გავხდები!

— მაინც რას აპირებ? — ჰკითხა ბაქარს ფერისმა. — წახვალ თუ არა?

— ვფიქრობ, წავიდე, გავიგო, რა სწადიან და ისე შევუკეთო ცეცხლი. მწერს ამ საღამოს ვეწვიო. ერთიც ვნახოთ, როგორ გამაორგულებს.

— რაკი წახვალ, მე და ბერაც წამოგყვებით, — განუცხადა ფერისმა თავის პატრონის შვილს. სასანიანს თან მხლებლები უნდა ჰყავდეს, რომ უფრო ძლიერ იგრძნოს მაგ ბერძენმა შენი დიდგვარიანობა.

— მაგათი ჯიში კი გაწყდეს, მაგათი! — წამოიწყევლა ბერამ. — მაგათ ღალატით კაცის მოკვლაც იციან და ფრთხილად უნდა იყვე, ბაქარ. აი სწორედ მაგიტომაც წამოვალთ მე და ფერისი.

— ჯერ ერთი, მარტო წასვლისა არ მეშინია, — წარმოთქვა ბაქარმა, — ჯავშანში გამოვეწყობი. მერმე, ალბათ, იმ ბერძენს მარტოს ჰსურს, რომ მელაპარაკოს და სხვამ არა გაიგოს რა.

— მერმე რაა? გელაპარაკოს ბერძნულად და ვერაფერს გავიგებთ, — უთხრა ფერისმა: — ჩვენ, უფლისწულო, უსათუოდ გამოგყვებით! მაგან დავიდარაბა აიტეხა და ახლა, ეტყობა, როგორმე უნდა თავიდან აიცილოს. მაგათი მოდგმა მუხანათობაზეა გადამდგარი, სიფრთხილე მოგვეთხოვება. შენ რომ რამე დაგემართოს, მამაშენს რა პასუხი გაცეს?!

— კარგი, ფერის, კარგი! დაწყნარდი. მეუხერხულება, მაგრამ რაც არის, არის, წამოდით.

საღამოს ჟამს ორი მხლებელი კარგად შეიჭურვა და ისე აედევნა ბაქარს.

თეოხაროს ბერძენი, მართალია, ტკივილებით ძალიან შეწუხებული იყო, მაგრამ მაინც დიდი პატივისცემით დახვდა ამალითურთ მისულს, თავისთან წაჩხუბებულ სასანიანს. გულში კი გაიელო, ნეტავი რად უნდოდა, ესენი რომ მოჰყავდაო.

ბაქარი თითქოს მიუხვდა და ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ბერძნულად განუცხადა:

— მამიჩემისა და პაპიჩემის დავალებას ასრულებენ და ვერ დავითხოვ, თან უნდა მდიონ, როგორც სამშობლოდან შორსმყოფს. თქვენ შეგიძლიათ, დაურიდებლად მელაპარაკოთ ბერძნულ ენაზე.

— არა! რას ბრძანებ, ჭაბუკო? საბოდიშო არაფერი გაქვს. თანმხლებელი ამალა მუდამ და ყველგან თან უნდა სდევდეს ძველთა მეფეთა მემკვიდრეებს, — უარჰყო ცბიერმა ბერძენმა ამ სიტყვებით ბაქარის ეჭვები. — თან გაიფიქრა: — საიდან ასეთი ზრდილობა? ვინ შეათვისა ამ ბარბაროსს? ან სად უსწავლია ჯერ კიდევ თითქმის მცირეწლოვანს ასე ლამაზად ბერძნული? ან რად უნდა მიკვირდეს? მაგას წინაპრებიდან ბერძნული სისხლი მოსდევს, — განმარტა თვითონვე. — ამგვარი ხალხი ადვილად სწავლობს ჩვენს ენას...

— თუ ბრძანებ, პატივცემულო თეოხაროს, რისთვის მომიხმე? — მიმართა ბაქარმა ფიქრში გართულს ბერძენს.

ბერძენმა პირდაპირი პასუხი არ მისცა ბაქარს ამ შეკითხვაზე, თითქოს არ გაუგონიაო, სხვა დაუმღერა.

— სად გისწავლიათ, ჭაბუკო, აგრე ჩინებულად ბერძნული?

— სადა და საქართველოში.

— არა, ეგ არა. უნდა მეკითხა, ვინ გასწავლა-მეთქი.

— ბერძენმა მონაზონმა გარესჯის უდაბნოდან.

— როგორ?! მონაზვნებთან იზრდებოდი?

— არა, ჩემ ბინაზე. მამას საგანგებოდ ჰყავდა მოწვეული გარესჯის უდაბნოდან, ნინოწმიდელის ნებართვით... მაგრამ ბრძანე, რისთვის მომიწვიე? — დაუმატა ბაქარმა. ყმაწვილს მობეზრდა ბერძნის გვერდაქცეული

ლაპარაკი. თეოხაროსმა შენიშნა ეს და ნირი იცვალა.

— რას ეშურებით, ჭაბუკო?!

— ან რატომღა უნდა დავახანო? ჩვენ შორის მტრობაა ჩამოვარდნილი: ხმალში ხართ გამოწვეული ცილის წამებისათვის. თუ გაქვს რამე სათქმელი, აი სწორედ ამაზე მელაპარაკეთ.

— ეგ ხომ გავათავეთ. მოვრჩები და შეგებმით დიდგვარიანი დიდგვარიანსა. სხვა მაქვს სათქმელი.

ბრძანე, მოგისმენ. სხვა რა უნდა გქონდეს ჩემთან სათქმელი. თუ იმას იტყვი, რომ ამ სამ დღეში მივდივარ აქედან, მაგისი ნუ გედარდება. გამოსაღდები და მოგმართავ.

— არა, ეგ არა! ვხედავ, ისე ხარ ნაწყენი, რომ ვიცი, შენ განზრახვაზე უარს არ იტყვი. მეც ნაწყენი ვარ.

— კეთილი, მერმე?..

— მერმე და, შენ სასანიდი ხარ.

— შენ კიდევ იმპერატორის ჩამომავალი, თანასწორნი ვართ.

— ივერიის ტახტი შენ გეკუთვნის, — თქვა ბოლოს, როგორც იყო, თეოხაროს ბერძენმა. — რატომ არ მოითხოვ შენს სამკვიდრებელ ს?.. იმპერატორი თავის ჯარებით დაგეხმარება. ბაგრატიდები წარმტაცებლები არიან.

ბაქარი მხოლოდ გააცინა ბერძნის კადნიერებამ.

„მაგას ჰგონია, რომ გამაბრიყვებს. თხუთმეტისა ვარ და გულში ბალღად მივაჩნივარ. ვაჩვენებ, ვაჩვენებ სეირს! როგორი ბალღიცა ვარ! მამამ ტყუილად ხომ არ გამწაფა?“

— შენ კიდევ ხომ ბრძანე, — მიმართა სხივმფრქვეველი თვალებით ყმაწვილმა, — ერთ-ერთი წინამორბედი იმპერატორის ჩამომავალი ვარო, რატომ არ ითხოვ შენ სამკვიდრებელს? სპარსეთი დაგეხმარებათ. წარმტაცებლობა ხშირია თქვენში და ალბათ თქვენ წინაპარს, ან მის მემკვიდრეს, შემდეგმა გვარეულობამ წარსტაცა ბიზანტიის ტახტი.

ბერძენი არ მოელოდა, რომ ვინმე სასანიდი, ჯერ კიდევ ბალღი ასაკით, ასე ადვილად სიტყვას მოუჭრიდა. უხერხული მდგომარეობა შეექმნა. საძერენს ეძებდა და ვერ პოულობდა. ბოლოს, ესღა მოიგონა:

— განა შეიძლება საქრისტიანოში მაჰმადიანების მიყვანა? ეს ხომ დიდ ცოდვად ჩამეთვლება.

— განა ბერძენთა იმპერატორი თავის ჯარებით უკეთესად მოიქცევა მაჰმადიანებზე, ჩემი სამკვიდრებლის დასაბრუნებლად რომ შემოვიდეს საქართველოში? — მიაგება ბაქარმა შეკითხვას შეკითხვა, — განა პირველი ბაგრატიონები ბერძენთა იმპერატორმა არ გამოიყვანა სასანიანთა მეტოქედ? ქართველთა ცოტა სისხლი როდი ულვრიათ იმპერატორებს. ქართველი ვარ და ჩემი მიზეზით არავის ვაგვემინებ საქართველოს. სასანიანთა გვარეულობას დიდი ხანია ყაელი გაუვიდა მეფობისა და ზეციერმა ბაგრატიანთ არგუნა ჩვენი გვარეულობის შემდეგ საქართველოს პატრონობა. არავითარი ბერძენთა ხრიკები არ შეუშლის ხელს ჩვენი ქვეყნის გაერთიანებას. ადრე თუ გვიან, ახლა ბაგრატიანნი ააფრიალებენ ქართველ მოდგმათა საერთო დროშას...

ბაქარი ყველაფერ ამას დიდი რწმენით წარმოთქვამდა. ბერძენს კი მისი სიტყვა ტყვიასავით ეჭრებოდა თავში და გულს უკოდავდა.თეოხაროს უფალი მიხვდა, რომ მალე, სულ მალე დადგებოდა დრო, როცა ივერია ბაქარისთანა ახალგაზრდებით გაივსებოდა და ძრწოლას მოჰგვრიდა როგორც ბიზანტიას, ისე მცირე აზიის სამხრო აღმოსავლეთს, რომ მარუშიდების დანერგილი საქმე, საქმე ივერთა ტომების გაერთიანებისა ღრმად და ფართოდ იყრიდა ფესვებს, რომლის აღმოსაფხვრელად იმაზე უფრო ძლიერი ფანდები დასჭირდებოდა ბიზანტიას, ვიდრე ლიპარიტების ამხედრება ივერთა ტომების გაერთიანების მოტრფიალე ბაგრატიდების წინააღმდეგ.

ბაქარმა გაათავა ლაპარაკი და თავის თანმხლებლებს გადახედა. წასვლა ანიშნა. შემდეგ თვალი ისევ ბერძენზე გადაიტანა. ელვარე და მკვეთრი იყო მისი გადახედვა, თხუთმეტი წლის ჭაბუკმა მის თხუთმეტ წელზე გაცილებით შორს წასული სული დაანახვა თავის სიბრძნეში დარწმუნებულ ბერძენთა წარმომადგენელს.

ბაქარის ელვარე და მკვეთრ გადახედვას ელვარებითა და მკვეთრად წარმოთქმული სიტყვებიც მოჰყვა.

— შენ, ბერძენთა იმპერატორის წარმომადგენელო! არ გეგონოს კია, რომ მე ერთადერთი ვეტრფოდე ერთიან ივერიას! არიან მრავალნი და მოგვყვებიან მომავალნი ახალნიც და კბილს მოჰკვეთენ — ირანიდან წამოსულთაც და ბიზანტიის გზით მოსულთაც. ლიპარიტები ჰბარდებიან თავიანთ პატრონს და მათი გზის მიმდევართ; ძველთაც, ახალმოვლე-

ნილთაც და ახალმოსავლენთაც მოკლე დღე უწერიათ. შენ, იმპერატორის წარმომადგენელო, მეფის ღალატი შემომთავაზე, მეფის ღალატი ჩვენი ქვეყნის ღალატია. ჩემში სისხლი ბრწყინვალეთა მათ მეფეთა არსუკიანთა და სისხლი არა ნაკლებ ძველთა მეფეთა სასანიანთა, და ღალატს ვერ გამატარებინებ გულში. შემომთავაზე ღალატი და შენგნით მოყენებული შეურაცხყოფა გამიორკეცე. მით უფრო დაუნდობელი იქნება ჩემი შურისძიება.

ბაქარი სწრაფად მოტრიალდა და გზს გაუდგა. ბერა და ფერის აედევნენ.

სწრაფად მიტოვებულ თეოხაროს ბერძენს თავზარი დაეცა. რამდენიმე ხანს გონება დაეხშო. თვალები მიელულა. ყურს ჩასწვდა თითქოს რაღაც შორეული ხმაურობა და თვალები ისევ აეხილა. წინ მსახური ედგა და რაღაცას ეკითხებოდა. გონება აუოძრავდა. ბაგენი განეხვენა.

— რაო?

— არტემიოსი გთხოვს, ინახულოთ, — მოახსენა მსახურმა. — სწუხს, რომ მოიგვიანე მასთან მისვლა. თვითონ ხომ ვერ კიდევ არ შეუძლია ადგილიდან დაძვრა.

არტემიოსის გახსენებაზე თეოხაროსი მთლად გამოერკვა.

— დაუძახე ჩემს მსახურს, — ალაპარაკდა ბერძენი საღად, — და გამიყვანეთ არტემიოსთან. აბა, სწრაფად, ნუღარ დაახანებთ.

მსახურმაც მიუყვანა მაშველი და თეოხაროსი არტემიოსს აწვიეს.

— სადა ხარ, თეოხაროს, სადა? — მიმართა არტემიოსმა ამხანაგს გულმხურვალედ. — იმ ჭაბუკმა სულ მიგავიწყებინა ჩემი თავი! რა ამბავია?!

— რა ამბავია და ცუდი ამბავი. ის ჭაბუკი სასანიდია თურმე.

— რაო?! სასანიდი?! თითქოს სულ მოისპოო მერვე საუკუნეში?!

— ხომ გაიგე ახლა, არ მოსპობილა.

— მერე ნამდვილად სასანიდია?

— ისე უჭირავს თავი, როგორც მის წინაპარს — ვახტანგ გორგასალს. რომ ნახო, ეჭვი მაშინვე გაგიქრება, როგორც ჩანს, სრული ცნობები არა გვაქვს ამ ბარბაროსთა ქვეყნის დიდგვარიანებზე. ამ სასანიდთა ნატამალის არსებობა რომ გვცოდნოდა ადრე, ბაგრატს ძლიერ მეტოქეს გავუჩენდით. ახლა, როგორც ჩანს, დაგვიანებულია. ჭაბუკი

ბაგრატისათვის თავგადაკლულია. ეგ რომ გადმოვიბიროთ, ეს ლიპარიტს ემჯობინება... არტემიოს, ლიპარიტი დაუტყვევებიათ.

— დაუტყვევებიათ? ვის?

— ვის და სულა კალმახელიძის, და ალბათ მის დიდგვარიან მეგობრებს. ეს დიდგვარიანებიც რომ გადირივნენ! ბევრი ჩნდება მარუშიძის გზის მიმდევარი. იმპერატორს უნდა ვაცნობოთ. იქნებ ეს ჭაბუკი საპატიო საჩუქრებისა და რომელიმე მნიშვნელოვანი წოდების მიცემით გადმოიბიროს თავისაკენ, თუ ეს არ იქნება, მაშინ ირანის სულთნები აუსიოს და იქამდე აკლებინოს მის წიაღში დამკვიდრებული იბერთა მოდგმა, მ:ნამდე არ დაძაბუნდება და არ მიმართავს ბიზანტიას: მიმსახურე, დამიმონე და აკლებას გადამარჩინეო...

— მერმე როგორ გაიგე, რომ ეს ჭაბუკი სასანიდია.

— როგორ და ბაგრატს გვერდით ეჯდა ნადიმზე. თვითონ განმიცხადა თავისი ვინაობა.

თეოხაროსმა უამბო არტემოისს, თუ როგორ მოხდა ყველაფერი ის, რაც თავს გადახდომოდა.

— კარგი და, როდისღა უნდა შეება? ჯერ არ გამომთელებულხარ, მორჩები და, შეიძლება, იმპერატორმა გაგვიწვიოს, ჩვენს ნაცვლად სხვა გამოგზავნოს, ის კი, როგორც ამბობ, ამ სამი დღის შემდეგ ბაგრატს თან მისდევს.

— ასე მითხრა, მორჩები, მე თვითონ მოგძებნი და შეგებმიო. მაგრამ ამას თავი დავანებოთ ახლა. შემებმება ხომ კარგი, არა და, არც ეგ მექნება სადარდებელი, ჩვენ ერთი კაცი მოვამზადოთ, ერთი კი არა, რამდენიმე, და იმპერატორთან გავგზავნოთ. ყველაფერი დროზე ვაცნობოთ.

იმპერატორის წარმომადგენლები იმპერატორთან გასაგზავნი წერილის დამზადებას შეუდგნენ. მათ ჰსურდათ დღესვე გაესტუმრებინათ იფრინდები. სწერდნენ მბრძანებელს საბერძნეთისათვის ივერიაში შექმნილ სახიფათო მდგომარეობაზე და მოახსენებდნენ, თუ როგორ შეეძლო დაემორჩილებინა ივერთა ტომები.

„დიდგვარიანთა თავგასულობა ნელდება, — აუწყებდნენ თავიანთ უფალს, — მთავარი მეამბოხე ბაგრატისა დატყვევებულია თვით დიდგვარიანებისაგან, რომლის უმრავლესობა მარუშიძების გზას დასდგომია და ესწრაფიან ერთი გვირგვინოსნის ხელში შეჰქმნან ერთიანი

საქართველო. უზენაესო! ღონისძიებებს შენ გამონახავ, თუ როგორ შეეშალოს ხელი სახელოვანი ბიზანტიისათვის საზარალო მოვლენას. უეჭველია, მოისურვებ ბაგრატის ძლიერი მეტოქის გამონახვას. კახეთის მფლობელი აქ არ გამოდგება. ქართლის დიდგვარიანებს არ მოსწონთ, როგორც მოკრებილმა ცნობებმა გვიჩვენა, აბუჩად ჰყავთ აგდებული, ცუნდრუკად ჰყავთ მიჩნეული. ასე ამბობენ, დღეს თუ შენია, ხვალ ვისი იქნება, ვინ იცისო, და მერმე, ცხადი იქნა ჩვენთვის, რომ მისი სამფლობელოს ბევრი დიდგვარიანი ბაგრატისაკენ იმზირება კეთილის თვალით. ბაგრატი ძლიერი პიროვნებაა და მრავალი დიდგვაროვანი თავს იხრის მის წინაშე. ქართლში მხოლოდ ლიპარიტი უმკლავდებოდა, და უფრო გაუმკლავდებოდა, წინამორბედად გვარში გვირგვინოსანნი რომ ჰყოლოდა. ვფიქრობთ, სწორედ ამიტომ ვერ იკიდებდა მტკიცედ ფეხს ქართლში. ქართლის დიდგვარიანები ვერ ინელებენ ჩამომავლობით თავის ტოლ უფალს. სამწუხაროდ ჩვენს წინამორბედებს, ბიზანტ ის წარმომადგენელთ, გამოჰპარვიათ თვალთაგან ერთი დიდი გვარი, რომელსაც სრული უფლება აქვს, რომ ქართლშიაც იუფლოს და აფხაზეთშიაც. ასეთი დიდი გვარიდან ბაგრატის მეტოქედ ვინმეს გამოცხადება, უეჭველია, განხეთქილებას წარმოშობს ივერთა ტომებში. ეს უეჭველია, ხელს შეუშლის ივერთა ტომების გაერთიანებას და ბიზანტიას გაუადვილდება მათზე მფლობელობა...

ბაგრატთან ამჟამად იმყოფება ახალგაზრდა ჭაბუკი, ბერძნულის კარგად მცოდნე, არსაკიდთა და სასანიდთა ჩამომავალი, რითაც დიდად ამაყობს. ეგაა, რომ ერთი რამაა შემაფერხებელი საქმის დაწყებისა: ბაგრატის ერთგულია. ის რომ ბაგრატის თანატოლია, არაფრად აგდებს, მაგრამ ბიზანტიის იმპერატორისაგან ჭაბუკ სასანიდის დაჯილდოება მ.სი გვარის ჩამომავლისათვის რომელიმე შესაფერი ხარისხით და მისი ქართლის მეფედ გამოცხადება, უეჭველია, მის მიმართ ბაგრატში უნდობლობას წარმოშობს და მაშინ, თქმა არ უნდა, ბაგრატი დაუწყებს დევნას ახალმოვლენილ მეტოქეს. ჭაბუკი სასანიდი იძულებული იქნება თავი დაიცვას ბიზანტიის ლაშქრით. უეჭველია, ქართლში მაშინ მომხრეებიც გამოუჩნდებიან მირიანისა და ვახტანგ გორგასალის ჩამომავალს. თუ ამ გზით ვერა გაკეთდა რა, თუ ჭაბუკზე ვერაფერმა გასჭრა და ბაგრატიც მასზე გულს არ აიყრის, მაშინ ამ ამაყ აფხაზთა მეფეს, არამცთუ ქა-

რთლისა და კახეთის მაძიებლად მოვლენილს, არამედ ივერთა ყველა ტომების გაერთიანების მოსურნეს, უნდა ავუსიოთ სულთნები“.

ამ უკანასკნელ ღონისძიების დასახელებას მოსდევდა მისი შედეგების ჩამოთვლაც. აქ გათვალისწინებული იყო სულთანთა შემოსევებით გამოწვეული აოხრება ივერთა ქვეყნებისა, ამ აოხრებით დაძაბუნება ივერთა ტომებისა და მათზე ბიზანტიის ადვილად გაუფლება.

6

იმპერატორთან გასაგზავნი ეს წერილი რომ იწერებოდა, ამ დროს შინ დაბრუნებული ბაქარი შუბლშეჭმუხვნით იჯდა. გზაში თანმხლებლებისათვის არაფერი უთქვამს. უნდოდა თვითონ მოენელებინა დარეხვილი ბერძნის თაეხედობა. ასეულ ფიქრთა ჯარი მოსვენებას არ აძლევდა.

„მეფის ღალატი შემომთავაზა! — კვირობდა გულში, — მეფის ღალატი! განა რა ამოიკითხა იმ დარეხვილმა ჩემში ასეთი?.. თუ ის შემთხვევამ გვამით ახლა დარეხვა, სული, ეტყობა, დაბადებიდან დაჰრეხვია... ვერაგია ბიზანტია და ვერაგნი არიან მისნი შვილნიც. რამდენი წეწვა-გლეჯა განიცადა ჩვენმა ქვეყანამ, ჩემმა წინაპრებმა და, ახლაც რომ იგვემება საქართველო, ეს ხომ ყველაფერი მაგათი ბრალია! ვინ იცის, რა ღონისძიებას არ იხმარენ შემდგომშიაც საამისოდ!..ვერაგია, ვერაგი ბიზანტია და ვერაგნი არიან მისნი შვილნი! გაიგო, ლიპარიტი დატყვევებულიაო, და ახლა მეამბოხეთ მე, შემთხვევით თავისთან შეხვედრილი სასანიანი, დედით არსუკისძეთა ჩამომავალი, ამომარჩია ბაგრატის მეტოქედ იმ დარეხვილმა. ეტყობა, გვამის დარეხველობა ხელს არ უშლის ახალი მახის დაგებაში. ეს, უეჭველია, უნდა ემხილოს მეფეს... მაგრამ, — სასანიანს სულ სხვა საკითხი წამოეჭრა, — განა შეიძლება, რომ მე, საიდუმლოდ ნალაპარაკევი ვამხილო?!. მე გამცემლობა არ მომდგამს... — ჭაბუკი შეყოყმანდა.

„ბერძენი შენ ქვეყანას, შენ ტომს დაღუპვას უპირებს! — წასჩურჩულა ყურში გვემული ქვეყნის სიყვარულმა. — ბერძენი ერთხელ ხომ გწამებდა ცილს, ბაქარ! კიდევაც დაგწამეს! არ დაგინდობს ვერაგი! მაინც რას მიზამს თავისი სივერაგით? მე რომ თანხმობა არ გამომიცხადებია ბაგრატის მეტოქეობაზე... მერმე? — ჩაეკითხა ქვეყნის სიყვარული,

— შენ რომ გადმოგაბრალოს; უთხრას მეფეს, ბაქარ სასანიდი თავის თავს შენს მეტოქედ სთვლისო, მაშინ? მე გადმომაბრალოს! მერმე მეფე დაიჯერებს? ხომ არ დაიჯერა, როცა უთხრა ჩემზე, იმპერატორს შეურაცხყოფა მიაყენაო...“ ბაქარი შეკრთა და სწრაფად ზეზე წამოდგა. ზეზე წამომდგარმა შუბლზე ხელი გადაისვა, თითქოს ნაოჭები უნდა გაისწოროსო... — რატომ აქამდე არ მომივიდა ეს აზრი? — წამოიძახა ხმამაღლა და ფერისსა და ბერას მიმართა: — აბა, ჩქარა! შეიჯავშნენით ისევ და მეფესთან წამომყეთ ახლავე!

— რა იყო, ბაქარ? — შეეკითხა ბერა. — ასე უდროოდ?

— პირში წყალი ჩაიგუბე კი და არაფერი გვითხარი! — წააყვედრა ფერისმა.

— რა გითხრა, ბოლოს და ბოლოს, იმ დარეხვილმა?

— ადექით, ადექით! — დააშურა ბაქარმა პასუხის ნაცვლად. — გზაში გიამბობთ, წამომყეთ! აჰ, მალე!

— აი ის ძაღლის დაგდებული, ისა! — ჯავრობდა ბერა თეოხაროს ბერძენზე, როცა ბაქარი გადმოსცემდა მის ნათქვამს. — არა! იმ დარეხვილმა როგორ შემოგბედა, როგორ, მეფის ღალატი?!

ფერისი კი გულდადინჯებული ისმენდა ამბავსა.

— რა გაჯავრებს, ბერა?! — შეეკითხა ზენკალს ფერისი. — მაგისთანა ბერძნისაგან კარგი ვის გაუგონია როდესმე. კიდევ კარგი, რომ წამოცდა თავისი ზრახვანი, თორემ უარესი იქნებოდა.

— დიახ! კიდევ კარგი, რომ წამოცდა, კიდევ კარგი! — გაიმეორა ბაქარმა ფერისის სიტყვები კვერის დაკვრით.

— მაგრამ ერთი რამაა აქ ცუდი, შეიძლება თავის ზრახვანი მე გადმომაბრალოს, ცილი დამწამოს ისე, როგორც დღეს დამწამა კიდეც და აპიტომაცაა, რომ მეფის კარს მივაშურე. აი, მოვედით კიდეც. უდროოდ კი მოვადექით ამ კარს, მაგრამ რას იზამ. საქმე მოითხოვს...

ბაქარმა თამამად მოუხმო ეჯიბს და სთხოვა, მეფისათვის მოეხსენებინა მისი მოსვლა თავის თანმხლებლებითურთ გადაუდებელი საქმის გამო.

მეფემ მიიღო ბაქარი, თუმცა მისი არსება ძილს მოითხოვდა და დასვენებას, დღეანდელი ამბებით მოქანცული. მაგრამ აფხაზეთის მბრძანებელს ბაქარი კარგა ღრმად შესჭროდა გულში და მის ხშირად ნახვაზე უარს ვერაფერი ითქმევინებდა.

— რა ამბავია, სასანიანო, რომ ასე უდროოდ გასჯილხარ? — შეეკითხა ბაგრატი ღიმილით. — რა ამბავია, სამივე შეჭურვილი რომ მომადექით?

ღიმილი მისი ნიშნავდა, რომ მაინც ესიამოვნა ბაქარის ზედმეტად ნახვა. თუმცა „უდროოდ მოსვლა“ უწოდა ასეთ მოსვლას. ბაგრატის ღიმილმა სასანიანს გამბედაობა გაუძლიერა.

— მბრძანებელო, ქუთათისიდან საბერძნეთისაკენ პირქმნილი გზები შეაკვრევინე, საიდუმლოდ და დაუყონებლივ ქუთათისის გარეთ, დაშორებით.

ბაგრატი გააოცა ამ მოთხოვნამ, აფხაზთა მეფეს თითონაც ჰქონდა ადრე ასეთი ნაბიჯი გადადგმული, მაგრამ თხუთმეტი წლის ჭაბუკი ამას რომ ურჩევდა. არ ეგონა.

ბაგრატიანმა სასანიდს ახედ-დახედა.

— რატომ?! არ მეტყვი?

— თვით გადადგმული ნაბიჯი დაგვანახებს, მხოლოდ კი ჩქარა, მბრძანებელო! ამბის მოყოლით დროს წაგართმევ. ჩვენ სამივენიც გაგეგზავნე რომელიმე საქრაჯოზე.

ბაგრატი აღარ ჩასციებია ჭაბუკს. ბრძანების გაცემას შეუდგა.

მალე ცხრა-ცხრა კაცი გაემგზავრა დიდი სიფრთხილით და დიდი დუმილით თითოეული გზისა თუ ბილიკის შესაკრავად, ერთ რაზმს უჯარმელებიც გაჰყვნენ. ბაქარი ბაგრატს შეჰპირდა გზათა შეკვრის შედეგები თავისი თხრობით დაემთავრებინა.

მალე მეფის განსასვენებელ ოთახში მეფის სურვილისამებრ მეფის მეტი არავინ დარჩენილა. მაგრამ მას ღამით ძილი აღარ მოჰკიდებია. გაფართოებული თვალები სივრცისათვის მიენდო და გონება კიდევ ფიქრებით დაეტვირთნა. ბაგრატი გზათა შეკვრის შედეგებსა და ბაქარის თხრობის დამთავრებას მოელოდა.

„რა უცნაურად მოვიქეცი, დავყევი ბალღობიდან ახლადთავდაღწეულ ჭაბუკს და არ ვაამბობინე ყველაფერი, რამაც გადაადგმევინა ასეთი ნაბიჯი? — თქვა ბოლოს მრავალ ნაფიქრის დასკვნად. — არაფერი კი დაშავებულა რა ამ შენი ქცევით. დარწმუნებული ვარ, რომ რაღაც დიდმა სახიფათო საქმემ აამოქმედა ყმაწვილი. ისეთი ჯონების თვალით იცქირება, რომ ბევრს დარბაისელს მოენატრება ასეთი გამოხედვა. ჩემი

გიორგი მაინც გამოვიდეს ასეთი... მაინც... შეცდომაში რომ შემიყვანოს, ხომ იტყვიან, ბავშვს დაჰყვაო, თქმა არ უნდა, იტყვიან! მაინც რაზე ამაფორიაქა სასანიანმა? – წამოეჭრა მეფეს ერთხელ კიდევ საკითხი, უკვე რამდენჯერმე წამოჭრილი და განვლილი დღის ამბები გაახსენდა რიგრიგობით და გონება შეუჩერდა თეოხაროს ბერძნისა და ბაქარის შეძახებაზე. გონებამ კიდევ დაასკვნევინა: ამ გზების შეკვრას, უეჭველად, თეოხაროს ბერძენთან აქვს კავშირი. ტყუილუბრალოდ ხომ არ შემაკვრევინებდა საბერძნეთისაკენ პირქმნილს გზებს? მაგრამ, საიდან და როგორ იბმევა ეს კავშირი გზების შეკვრასთან?.. იქნებ თეოხაროსს უნდა, გაექცეს ბაქართან შებმას? არა, ეს საფიქრებელი არ არის, არა! თეოხაროსი ისეა დარეხვილი, კუბოშიაც ძლივს იჯდა და ცხენზე ჯდომით ხომ მხოლოდ სულეთს გაემგზავრებოდა. მერმე ბაქარიც თავის გულისათვის გზების შეკვრას არ მოითხოვდა. ამბავი თუ რამ უნდა გაგზავნოს ბერძენმა? ამბავი, რომ ლიპარიტი დაატყვევეს? მერმე და ცოტა წასულა და მიდის საბერძნეთს ამგვარი და სხვაგვარი ამბები? იქნებ ისეთი ამბავია, რომ თავის საშიშროებით ყველა გაგზავნილსა და გასაგზავნ ამბავს აღემატება? მერმე და განა ისეთი ამბავია, რომ ჭაბუკობას ჯერ მხოლოდ ახლა მიღწეულ ბაქარს დაუკავშირონ?.. შეიძლება, შეიძლება დაუკავშირონ. ბაქარი თხუთმეტი წლისაა, მაგრამ, ეტყობა, დიდის ჭკუა აქვს და მერმე როგორი? ძალოვანი. – ბაგრატმა ნადიმზე შემოჭრილ თეოხაროსის გამომეტყველება გაიხსენა ტკივილებისაგან აღბეჭდილი და შემდეგ გაოცებად შეცვლილი სასანიანის გაგონებაზე. – მერე მარტო სასანიანი ხომ არ გაიგონა, არსუკიანიც. ორი ბრწყინვალე სამეფო გვარეულობის ჩამომავალს ჰხედავდა ბერძენი და გაოცდებოდა, აბა რა მოუვიდოდა? მერმე მაინც გზების შეკვრა რას მოასწავებს? რად დავყევი თხუთმეტი წლის ჭაბუკს მე დაბრძენებული და გავგზავნე ხალხი გზების შესაკრავად? არა, მე ვიგრძენი, საჭირო იყო და გავგზავნე. კარგად ჩანს, კარგად, რომ ძალოვანი ჭკუისაა ბაქარი, და, თქმა არ უნდა, ბრძენს რად გამოეპარებოდა ეს. ტყუილად ხომ არ მისცა გონიერი პასუხი, დამაჯერებელი... არა, ბაქარი ჩემთან უნდა იყოს! არასდროს არ გამცემს. თვითონ ჯერ არ უნდა ჩემს ამალაში ყოფნა. უნდა თავისი პაპის დავალება თვითონვე შესრულებული ჩააბაროს პაპას, დას და მამას დახედოს. თავის მოვალეობის შეგნება მხოლოდ ზნეწმინდა

ადამიანს შეუძლია. ბაქარი ზნეწმინდა ადამიანია. ამისთანა ადამიანი უნდა გვერდით მყავდეს... მაგრამ მაინც გზები რად შემაკრევინა?.. ბიზანტია ზნემწიკვლიანია და ალბაო ზნეწმინდა ადამიანის წახდენას შეეცდება. — ბაგრატის გონება მისთვის მოულოდნელად სწრაფად გაელვებულმა სხივმა გააშუქა და შეუკრთო გული. — ეე! აი რა არის!.. ლიპარიტი დატყვევებულია! ეს ბუზანკალი ველარ შეაწუხებს ჩვენს ქვეყანას... ბერძნებს ახალი ბუზანკალის გამონახვა სჭირიათ, დიდგვარიანი, და ბაქარზე დიდგვარიანი კიღა იქნება საქართველოში? ძველთა მეფეთა ნათესავი! უეჭველია, თეოხაროს ჰსურს ჩემი ტახტის მეტოქედ აქციოს ბაქარ სასანიან-არსაკიანი! ცუდად არაა მოსაზრებული. არა!.. ალბათ ბაქარმა თუ გაიგო ესა და მისი ზნეწმინდა სული წინაღუდგა. მაგრამ როგორ გაიგო!“

ამ კითხვაზე ბაგრატმა ველარ მისცა პასუხი თავის თავს. მეფეს ფიქრადაც არ მოსვლია, რომ ხმალში გამოწვეული თეოხაროსი ბაქარს მიიწვევდა თავისთან.

„დაბრუნდება ბაქარი და მიამბობს, — თქვა ბაგრატმა. — მთავარს ხომ მივხვდი. ჯერჯერობით ესეც საკმარისია ჩემთვის... სწორეა! ნამდვილად რამდენიმე იფრინდს გაგზავნიან იმპერატორთან სხვადასხვა გზით ამალამვე... გზები ქუთათისის გარეთ, დაშორებით შეაკვრევინეო, ესეც დიდებულად მოუფიქრებია ჭაბუკს სასანიანს. მართლა აუცილებელია ამ შემთხვევაში ასეთი მოქმედება. ქუთათისის ზღუდეთა გასასვლელ-შემოსასვლელებში ვინმეს დატყვევება საიდუმლოდ არავისთვის არ დარჩებოდა. ჩემი მზვერავებისაგან ამ იფრინდთა დატყვევება კი მძაფრ საიდუმლოდ უნდა დარჩეს. ეს დააგვიანებს ახლების გაგზავნას... ქუთათისის დაშორებით, გზების სადმე ყრუ ადგილებში წარმოშობილი საიდუმლო, ყრუ ადგილებშივე დარჩება, უეჭველია... საბერძნეთო, ვერას გახდები! ქართველთა ტომები ადრე თუ გვიან გაერთიანდებიან ბაგრატიანთა თაოსნობით და შენნი შვილნი ველარ ითარეშებენ ჩვენ მიწა-წყალზე!“ — ბაგრატი შეჩერდა და ზეზე წამოდგა. სასახლის წალკოტი ჩუმი ხმაურით გაივსო. ბაგრატმა სარკმელს მიმართა.

გათენების ბინდბუნდი მოსდგომოდა სასახლის კარმიდამოს. წალკოტში ჩრდილები მოძრაობდნენ.

ბაგრატს ეჯიბი ეახლა.

— მბრძანებელო, ერთი რაზმი დაბრუნდა კიდეც.

ბაგრატს გული აუძგერდა.

— ბაქარისაა? — გაისმა სწრაფი კითხვა: ერთი რაზმის უფროსად მეფეს ბაქარი ჰყავდა გაწვესებული.

— არა, მბრძანებელო, მაგრამ ეჭვი არ არის, დანარჩენი რაზმებიც არ დაახანებენ მოსვლას.

მალე სათითაოდ ყველა რაზმმა მოიყარა თავი წალკოტში. საიდუმლოს დაცვა მოითხოვდა ამას. მეფის ბრძანებით თვალში ხშირად არ უნდა სცემოდნენ ქუთათისის გზასავლებზე შიგნით და გარეთ მოსიარულეთ.

ბილიკებზე მოხვერილ რაზმებს იფრინდები დაეტყვევებინათ. მთავარ გზებზე მოყარაულე რაზმები ცარიელი დაბრუნდნენ.

იფრინდებს თეოხაროსისა და არტემიოსის წერილები უნახეს.

— ბაქარს მომიხმე! — უბრძანა მეფემ ეჯიბს. — მერმე წერილები?

— ოთაღო მოგართმევს წერილებს. — ეჯიბი გავიდა.

მეფეს ოთაღო ეახლა. მალე ბაქარიც შემოვიდა. მეფემ ოთაღოს წერილები ჩამოართვა, მაგრამ, რაკი ბაქარი დაინახა, წერილები გადასდო.

— აბა, სასანიანო! მითხარი ერთი, საიდან გაიგე, რომ იფრენდებს აგზავნიდნენ ბერძნები საბერძნეთში გუშინღამ? — მიმართა ბაქარს ბაგრატმა.

— მოგახსენებთ, მბრძანებელო! — უპასუხა ყმაწვილმა თავდახრით.

ბაგრატი სავარძელზე დაბრძანდა.

ოთაღო, რაკი მეფემ მისკენ აღარ გაიხედა, ატოკდა. კარისკაცმა და სარდალმა არ იცოდა, რა ექნა: გასულიყო ოთახიდან თუ არა?

მეფემ შენიშნა ბოლოს ოთაღოს ტოკვა და უბრძანა.

— ბერძენთა იფრინდები ისე მიმალეთ, რომ არავინ გაიგოს მათი დატყვევება. გააფრთხილეთ ყველა მონაწილე, რომ ენადადუმებით მოეპყრან ამ ამბავს. დაე იფიქრონ თეოხაროს და არტემიოსმა, რომ მათი წერილები მიაღწევენ იმპერატორამდე.

ოთაღო გავიდა ოთახიდან.

— აბა, ბაქარ, — მიმართა ბაგრატმა სასანიანს, — მოიტა ეს სელი და მომიჯექ გვერდით.

ბაქარმა სურვილი აუსრულა ბაგრატს.

— მბრძანებელო, ნადიმობიდან შინ დაბრუნებულს, — დაიწყო ბაქარმა, — თეოხაროს ბერძნისაგან წერილი მომივიდა. მიწვევდა თა-

ვისთან და თან ბოდიშსაც იხდიდა, რომ თვითონ არ შეეძლო ჩემთან მოსვლა და მოლაპარაკება: ტკივილები გამიავზნევდნენ და მოძრაობა მეძნელებაო. ვიფიქრე, ჩემთან შებმის პირობები თუ უნდა გამოარკვიოს პირისპირ-მეთქი. წავედი. გამომყვნენ ფერისი და ბერაც. იმპერატორის წარმომადგენელთან მიდიხარ და სასანიანს მხლებლები უნდა გყავდეს თანაო. ბერძენმა არა გამუხთლოს რაო. თეოხარ ბერძენს ჩემი მისვლა ესიამოვნა, ჩემი თანმხლებლებისა კი არა. ეტყობოდა, რომ ჰსურდა საიდუმლოდ დარჩენილიყო ჩემთან მისი ლაპარაკი, მაგრამ, რაკი გაიგო, რომ ბერძნული კარგად ვიცოდი, დამშვიდდა. გაიმართა ბაასი. შორიდან დაიწყო. მე ვთხოვე, დროზე ეთქვა ყველაფერი და იძულებული ვყავი, ეთქვა პირდაპირ, რას მოითხოვდა ჩემგან.

ბაქარმა უამბო ბაგრატს ყველაფერი. მეფე ხშირად ხარხარით ბანს აძლევდა ამბის გადმოცემას. ბაქარის ჭკუამახვილური პასუხი, ბერძნისათვის რომ გაეცა, გულს უმხიარულებდნენ.

— შინ რომ ვბრუნდებოდი, ბერძნის ეს ლაპარაკი რატომღაც გულს მიმძიმებდა, მბრძანებელო! — მოაყოლა ბაქარმა ნაამბობს. — საიდუმლოდ მიმაჩნდა ბერძნის ლაპარაკი და მასზე თქმა რამისა გაცემად მეჩვენებოდა. ყოყმანმა შემიპყრო. ვიტყოდი ამბავს, ურიგობას ჩავიდენდი, არ ვიტყოდი და, შეიძლება, ჩვენი ქვეყნისათვის ვნება მიმეყენებინა გაჩუმებით. გზა ყოყმანში გამოვიარე და ყოყმანი ოთახშიაც შემომყვა. ბოლოს გამახსენდა, რომ თეოხაროს ბერძენმა არ დამინდო, ცილი დამწამა — იმპერატორის შეურაცხმყოფელი დამიძახა. გადავწყვიტე, ახლაც, არ დამინდობდა. შემაძრწუნა უფრო ძალიან აზრმა, რომ ცბიერი ბერძენი უეჭველად რაიმე საშინელებას შესთითხნიდა, ლიპარიტის დატყვევების გაგების შემდეგ, ჩვენი ქვეყნის საწინააღმდეგოდ და აცნობებდა თავის იმპერატორს დაუყოვნებლივ. დავივიწყე ყველა წესი და შემოგეჭერი უდროოდ, მბრძანებელო!

ბაგრატს ამ გულწრფელმა ლაპარაკმა უფრო მტკიცედ დაუმკვიდრა გულში ჭაბუკი სასანიანი. ვაჩე-პაპას ღრმად ჩაენერგა ბაქარ-შვილიშვილში მეფის სიყვარული. ბაგრატმა იგრძნო ეს, სასანიანს მოჰხვია ხელი და შუბლზე ამბორით აღუბეჭდა თავისი მადლობა.

— აბა, ჩემო ერთგულო, ახლა წერილები წავიკითხოთ, — უთხრა მეფემ. წერილები ერთი და იმავე შინაარსისა აღმოჩნდა. ჩანს, თეოხარო-

სისა და არტემიოსის ვარაუდით, შესაძლო იყო წერილები დაჰკარგოდა ზოგიერთ იფრინდს, ან რომელიმე მათგანს ვერ მიეღწია დანიშნულ ადგილამდე და ერთი მაინც ჩააბარებდა წერილს იმპერატორს.

— კიდევ კარგი, შვილო, — უთხრა მეფემ ბაქარსა, რომელიც უნებლიეთ შვილად მონათლა, — კიდევ კარგი, რომ აზრად მოგვივიდა გზების შეკვრა. ხედავ, რას უქადიან ჩვენს ქვეყანას? ირანის სულთნები ავუსიოთო! ტყუილია, ბიზანტიავ! რაც უნდა აფერხო ყველაფერი შენი ხრიკებით, ივერთა ტომების გაერთიანება მაინც მოხდება. თუ ჩემსობას არ აფრიალდება ჩემი გაერთიანებული ქვეყნის დროშა, ჩემს ჩამომავალთა მეოხებით მაინც აფრიალდება! — მეფემ წერილები ააშრიალა და ბაქარს მიმართა: — ვერავითარი ამგვარი, შვილო, ჩემს გულში ნდობას ვერ დაგიკარგავს! — ამ სიტყვებთან ერთად ერთხელ კიდევ მოჰხვია ხელი ბაქარს, ერთხელ კიდევ ეამბორა შუბლზე და მადლიერმა, ძვირფასად მორთული, საკუთარი მახვილი შემოარტყა წელზე.

7

ბაგრატს თავის ამალაში ჭაბუკ სასანიანის ყოლის სურვილი გაუსკეცდა: ჯერ ერთი, ბაქარი უხიბლავდა გულს უმწიკვლო გულწრფელობით, ბუნების არაჩვეულებრივი სიფაქიზით და, მერმე, ძლიერი გონებით. მეფეს არ უნდოდა ძალა დაეტანებინა მისთვის. ჰსურდა ჯერ ჭაბუკს შეესრულებინა თავისი მოვალეობა, პაპასთან წაელო ქუთათისში მოსვლისა და ყოფნის ამბავი. ბაგრატს დიდი იმედი ჰქონდა, შემდეგ სულ ჩემთან ვიყოლიებ ბაქარსო. მის იმედს ერთი რამ ელობებოდა მხოლოდ — დაი ბაქარისა, პატარა მირანდუხტი. გვირგვინოსანი ჰხედავდა, რომ ძმას ძალიან უყვარდა დაი. მერმე მიცვალებულ დედას რომ მისცა ფიცი ჭაბუკმა, იას ერთგულ ძმობას გავუწევო, ესეც ჰქონდა გაგებული მეფის ყურს. მაგრამ ბაგრატმა ეს დაბრკოლება ადვილად გადალახა. გადაწყვიტა, სასანიანთა პატარა ასული ბორენა დედოფალთან წამოეყვანა. მეფეს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ პაწია გოგონას წამოყვანას თავისთან ხელს არავინ შეუშლიდა. ეგონა, მონაზვნად აღკვეცილი რევი სიხარულით ჩააბარებდა აფხაზთა მბრძანებელს და ერთიან საქართველოსათვის მებრძოლ ადამიანს. აფხაზთა მბრძანებელს ის კი აღარ გაეთვალისწინებინა, რომ თვით

პატარა მირანდუხტის სურვილთანაც ეწნებოდა საქმე. ეგებ ეს მოსვლოდა კიდეც აზრად, მაგრამ გონება მისი ახლა ლიპარიტის საქმის მოგვარებაზე ფიქრობდა. მოუსვენარი დიდგვარიანი ხელში ჰყავდა მის ერთგულ ყმას, კალმახელს. მეფეს უნდოდა ტყვეს დროთი დაჰპატრონებოდა, რომ ჯერ ქართლში მოემაგრებინა ფეხი და მერმე კახეთში. ახლა ოთაღო რკინის რაზმს უმზადებდა ჯავახეთს გასამგზავრებლად. ახალქალაქში სულა კალმახელი უნდა დაებარებინა. ბაგრატი მალე გზას გაუდგებოდა და დედოფლის მოსაკითხად გაემართა.

სადილაოდ გამოწყობილი დედოფალი მხევალ ქალებთან ერთად ხელსაქმობდა, მაგრამ მაინც დაღვრემილი გამოიყურებოდა. ხელსაქმე წაძლად არ ედებოდა მის გულს. ისევ და ისევ თავის გიორგიზე ფიქრობდა. დედის გრძნობები მეტყველებდნენ... ასული მართა მოწყვიტეს და კონსტანტინეს ქალაქში გადაჰკარგეს. ვაჟი მოსწყვიტეს და ქართლში გადაუგდეს. ქალის მოშორებას თითქოს შეურიგდა დედა, ვაჟისას კი — ვერა.

ბორენა დედოფალი გურანდუხტს შეჰნატროდა, რომ გიორგის ისა ჰყავდა პატრონად და არა თვითონ. მის სევდას მხევლებიც თითქოს ბანს აძლევდნენ. ერთის გარდა, ყველას სახე დაბინდოდა. ერთს კი, ყველაზე უმცროსს თორმეტი წლის გოგონას გული მაინც მხიარულად ჰქონდა. ბორენას იგი აღმოსავლეთ საქართველოდან წამოეყვანა: ობოლი, ბაგრატის მომხრე, მტრისაგან ამოწყვეტილი ოჯახის შვილი. მამამისის ბოლონისელ ყმა-გლეხს ცხრა წლის ბავშვი გადაერჩინა და მიემალა. მის ოჯახის წევრთა საკმარისად დიდი რიცხვი დახოცილი ეყარა მტრისაგან აღებული მათი საკუთარი ციხე-სიმაგრის ნანგრევებში, თხუთმეტი წლის ჭაბუკი ძმის — ვარაზ-ბაკურის გარდა. იმ ყმამ ვერც დაკოდილს და ვერც მკვდარს ვერსად მიაგნო ვარაზ-ბაკურს.

— განა შინ არ იყო ვარაზ-ბაკური, ველთავ? — შეეკითხა ყმა პატრონის ასულს.

— შინ იყო, მაშა! — უპასუხა კბილების კაწკაწით, დამფრთხალი შვლის თვალებით მაცქერალმა ველთამ.

— მერმე არ იცი, რა იქნა?

— არ ვიცი, არა! აბა, მე რა ვიცი! — წამოიძახა ძლივს გონს მოსულმა ბავშვმა განწირულებით და ტირილი ამოუშვა. ტირილი სლოკინად გადაექცა.

ყმამ დამშვიდება დაუწყო.

— სულე, ჩემო ველთავ; სულე!... მაშ გუგანი არ ვიქნე, თუ სანაცვლო არ გადავუხადო შენს დამაობლებელს! ეს ალბათ სამშვილდის წარმტაცებელთა ოინებია... ეტყობა ვარაზ-ბაკური შინ არ ყოფილა.

— არა, შინ იყო! აკი ვთქვი. თავს რომ დაგვესხნენ, აქ ტრიალებდა, შეიარაღებული. მე მიმმალეს სამალავში და აღარავინ მინახავს მერმე. — გუგანმა კმაყოფილებით გაიღიმა.

— რაკი დახოცილებში არ არის, ეტყობა, თავი დაუღწევია მტრისათვის, — გაიფიქრა მან. — შურისმაძიებელი გადარჩენილა. მეც ამოვუდგები ვარაზ-ბაკურს მხარში.

ყმას თავის პატრონიცა და მისი ოჯახის ყველა წევრი ღრმად ჰქონდა აღბეჭდილი გულში, მეტადრე ვარაზ-ბაკური.

— ი დალოცვილმა ზვიადმა რაღა ასეთ დროს გამისტუმრა სადღაც ხევხუკებში ფიჩხულის საჭერად, — დასძინა თავის პირველ ნაფიქრს გუგანმა. — ჩემი მარჯვენა სხვისაზე ნაკლებად არ იმოქმედებდა. — ერთი თვალი გადაჰკრა კუნთებსავსე მკლავებს, ხელი მოკუმშა და ჰაერში გაიქნია: — ვაი, თქვენს დედას, მეკობრე დიდგვარიანნო! ეს თქვენი საქმეა!

ყმამ ხელი დააელო ველთას, ზურგზე წამოიკიდა და ბუმბულივით გააქანა. ფოლადაურის შემბოჭავ მთებში მცხოვრებ თავის გვარეულობას მიჰგვარა. დაავალა, თვალის ჩინივით გაფრთხილებოდნენ ანაბარს და თვითონ ისევ დანგრეულ ციხე-სასახლისკენ ქნა პირი...

დახოცილები დამარხა. თუ რამე გადარჩენოდა მტერს სწრაფად წასვლისას, მოაგროვა ველთასთვის და თავის საიდუმლო სამალავში წაიღო.

ორი თვის უკან გუგანმა გაიგო, ბაგრატ მეფე და მისი ოჯახი თრიალეთს არის დაბანაკებული ძლიერი რაზმითურთო, შემოისვა ცხენზე ველთა და იქითკენ გააშურა. ბანაკში მისვლისთანავე მეფის ნახვა მოითხოვა.

მოცდა უბრძანეს, მაგრამ გუგანმა არა ჰქნა.

— ახლა ისეთი დროა, რომ მოცდისათვის არავის სცალია. უნდა ჩავაბაროთ დიდ მეფეს აი ეს ბავშვი, მტრისგან ამოწყვეტილი მისი ერთგული მომხრის ასული, მოვნახო მტერს გადარჩენილი ჩემი ახალგაზრდა პატრონი და მასთან ერთად მტერზე შური ვიძიო. სისხლი ავიღო ჩემი დიდის პატრონის ზვიადისა.

ზვიადის ხსენებამ გუგანს ბაგრატისაკენ გზა გაუხსნა. დაუყოვნებლივ მისცეს მეფის ნახვის ნება.

— მბრძანებელო! — მიმართა გუგანმა ბაგრატს, — მოგგვარე ობოლი ველთამზე, ასული ამ ორი თვის უკან მტრისაგან ვერაგულად ამოწყვეტილი ზვიად ბოლნელისა, თქვენი ერთგული მომხრისა. ბავშვს პატრონობა უნდა და თქვენზე უკეთესი პატრონი მე არ მეგულება.

— მე კი მეგულება უკეთესი პატრონი, — უთხრა ღიმილით ბაგრატმა გუგანს. — აი, შენ. მაგრამ, რაკი შური უნდა იძიო და სისხლი აიღო შენი პატრონისა, როგორც მითხრეს, შენს ველთამზეს მე დავიტოვებ.

მეფემ ჩაიბარა ბავშვი და დედოფალ ბორენას მაანდო მისი პატრონობა.

სამ წელიწადს გაევლო კიდეც, რაც ველთამზე ბორენასთან იმყოფებოდა. სამ წელს დასავლეთში ყოფნას თითქმის მთლად მოენელებინა მისთვის მამის ოჯახზე თავდატეხილი საშინელება და მისი გული ხალვათობდა. ამას გარდა, აღმოსავლეთ საქართველოს შვილისათვის, ბაქარისათვის თვალი მოეკრა. ეჭვი არ ეპარებოდა, იმედი ჰქონდა შეხვდებოდნენ ერთმანეთს და სასანიანი ბევრ რამეს უამბობდა მის სამშობლო ქვეყანაზე. ველთამზეს ჰსურდა გაეგო, თუ როდის იქნებოდა ეს. შეხვედრა, ცოტა არ იყოს, იგვიანებდა. მეფეს აქნობამდე დედოფალთან არ მოეყვანა სასანიანი. კომბლიანი ბერას სამ ხმლიან ცხენოსანთა შებრძოლებასაც არ დასწრებია დედოფალი, არც თავის ამალიანად, არც თვითონ მარტო. დედოფლისაგან საერთოდ გათამამებულმა ზვიად ერისთავის ყრმა ასულმა მოიწადინა დედოფალთან გამოლაპარაკება და გაგება, თუ რატომ არ მოიწვია მეფემ თავისი თანამეცხედრე ბერას ასპარეზობაზე, მაგრამ ვერ მოახერხა: ქალს სითამამე გაუქრა. ცნობისმოყვარეობა კი მოსვენებას არ აძლევდა და აღიზიანებდა.

დედოფალმა იგრძნო, რომ მის ნებიერს რაღაც აწუხებდა, თავი მაღლა აიღო და გადახედა.

— ველთავ, რას ტოკავ?

— ჩემი ძმა ვარაზ-ბაკური გამახსენდა, — უპასუხა ველთამ. — დიდი ხანია, არაფერი ვიცი მისი ამბისა. გუგანმა რომ მონახა ტყეში დაჭრილი და თრიალეთზე მიიყვანა, მაშინ ვნახე მხოლოდ. მერე აღარ მინახავს. შურისძიების გზას დაადგა. ისიცა და გუგანიც ისე მიიმალნენ, რომ ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ უყო პირი, არავინ იცის.

— მერმე რაღა ახლა მოგაგონდა. სამი წლის განმავლობაში რაღა ახლა გაგახსენდა.

ველთა გაწითლდა.

დედოფალმა გაიცინა და მას მხევლებიც აჰყვნენ.

— ველთას ალბათ სასანიანის ნახვა უნდოდა, — თქვა აფხაზმა ქალმა თავისებური სწრაფი დასკვნით.

ველთამზეს სიწითლე გაუძლიერდა, მაგრამ სითამამემ დასძლია და პასუხი არ დაუხანებია.

— მერმე რაა? აღმოსავლეთიდან არის და შეიძლება მითხრას რამე ძმაზე.

— სად ბოლნისი და სად კუხეთი და უჯარმა, — დაიწყო ასულმა ოდიშარმა. — ერთი სად არის და მეორე სად! რა ამბავი უნდა იცოდეს უჯარმელმა სასანიანმა ბოლნელებისა?

— სად აღმოსავლეთი და სად დასავლეთი? — დაიწყო სიტყვების ასწრაფვით გადმობნევა ველთამზემ. — მაგრამ დასავლეთმა მაინც იცის ხოლმე აღმოსავლეთის ამბები. ბოლნისი გაცილებით ახლოა კუხეთზე, სანამ დასავლეთი აღმოსავლეთზე. შენა ⟨გონი⟩, შორს მყოფმა ჩვენმა აღმოსავლეთმა არ იცის, რომ საბერძნეთიდან დაბრუნდა დიდებული ჩვენი მეფე? იცის და ელინ მის იქ მისვლას. თუკი დასავლეთიდან აღმოსავლეთში წავა ამბავი, ბოლნისი უფრო ახლო არ არის უჯარმაზე და უფრო მალე არ მოვა ამბავი იქიდან კუხეთში? ამბავმა ფეხის ადგმა იცისო, შორს მიდისო, ამბობდა ხოლმე ჩემი გამზრდელი.

ბორენა დედოფალი ყურს უგდებდა მის კალთის ქვეშ თავშეფარებულ ობოლ ველთამზეს და კმაყოფილებით იღიმებოდა მის აზრიან პასუხზე.

— ძალიან დაგხსომებია გამზრდელის ნათქვამი, ჩემო ველთავ!

— დიდო დედოფალო, განა მარტო ეგ მახსოვს. მახსოვს სხვაც, მახსოვს ყველაფერი, რასაც კი სიტყვა მოიტანდა ხოლმე და მეუბნებოდა მე, ბავშვს, დასარიგებლად.

დედოფალი ველთამზეს შუბლზე ეამბორა. კონსტანტინეს ქალაქში მყოფი თავისი ასულის — მართას სანაცვლოდ მიაჩნდა იგი. მერმე ველთა იმ ხნისა იყო, რა ხნისაც ახლა მართა. კონსტანტინეს ქალაქში ბედისაგან წარტაცებული.

— ნახავ სასანიანს, შვილო, ნახავ! — შეჰპირდა ბორენა ზვიადის ასულს, — ჩემს თანამეცხედრეს შევთხოვ.

დედოფალს ეჯიბი ეახლა. კარისკაცმა სალამი უძღვნა და მოახსენა, მეფე მობრძანდებაო.

ყველანი წამოიშალნენ.

დედოფლის თანმხლებნი ასულნი ერთ მხარეს მოექცნენ.

მეფე მობრძანდა. ხელმწიფემ თანამეცხედრე მოიკითხა. ყველას გადახედა. მშვიდობა უთხრა. დედოფალის მხევალთა წინ მდგომ ზვიადის ასულს ალერსით ხელი დაადო და დასძინა.

— შენ ჩემო ველთავ, მართლა ველთა მზედ ქცეულხარ.

— ბოლნისთა ველებს მოწყვეტილი, — დაურთო ამ სიტყვებს ბორენამ და შემდეგ პირდაპირ თვით ბაგრატს მიმართა, — ჩემო ხელმწიფეო, ამბები მოგსვლია ქართლიდან, კახეთიდან...

— მართალია, მართალი! დანაშაული მიმიძღვის შენთან. მაგრამ ისე ზედიზედ ბოხდა ჯერ ვაჩესაგან და მერმე სულასაგან წარმოვლენილთა მოსვლა და მათი მოსვლით გამოწვეული ბერძენთა მზვერავების ამოქმედება, რომ დილითღა გეახელ მხოლოდ!.. შენ ჩვენი გიორგის ამბავი გაწუხებს ალბათ.

— სხვას კიდევ სხვა აწუხებს, — თქვა თავის მხრივ ბორენამ და ღიმილით ზვიადის ასულს გადახედა. — ველთას ჰგონია, რომ უჯარმელ სასანიანს ამბავი ეცოდინება მის ძმის ვარაზ-ბაკურისა.

— მართალია, მართალი! დანაშაული მიმიძღვის, ვერ მოგგვარეთ და ვერ გაგაცანით ძველთა მეფეთა ნათესავი სასანიანი, ჭაბუკი ბაქარი! უჯარმელ ზენკალის ასპარეზობაზეც ვერ მოგიწვიეთ. მაგრამ არაფერია. სასანიანსაც ნახავთ და მოასპარეზე ზენკალსაც. ჯავახეთს უნდა წავიდეთ ხვალვე და გზაში უფრო ახლოს გაიცნოთ სასანიანსაცა და მის ორ თანმხლებელს — ზენკალს ბერას, სამი ხმლოსანი რომ დამიმარცხა თავისი კომბლით და ფერისს, სასანიანთა შინაყმას, ჩემი გულისათვის მტერთან ბრძოლაში თავის გაწირვას რომ დამექადნა. ამ სამს თქვენ მოგიყენებთ მგზავრობისას მცველებად. ვარაზ-ბაკური კი, ველთავ, ალბათ სამშვილდის წარმტაცებლებს სულს უმწარებს თავისი პატარა, მაგრამ გმირული რაზმითურთ. აბა, მოემზადენით ჯავახეთისაკენ სამგზავროთ! ახალქალაქს ვეწვიოთ.

მეფემ დედოფლის სავანე მიატოვა.

დედოფლის თანმხლებთ ჩოჩქოლი შეუდგათ, დედოფალს პირისახეზე

დაღვრემილობის ბეჭედი გაუქრა. აზრმა გაუელვა, თანამეცხედრე ჩემი ქართლსაც ეწვევა და შვილს გიორგის ვნახავო. ველთამზე მართლა ველთა მზეს, ველებზე ბრწყინვალე სხივების გადმომყრელს დაემსგავსა. ჯავახეთი მისი მამის გვარეულობის სამშობლოდ ჰქონდა გაგებული. ვინ იცის, ვარაზიც იქ გადმოსულიყო. რაკი გაიგებდა მეფის ყოფნას ახალქალაქში. სასანიანი ზვიადის ასულს გადააივწყდა. გულში იმედი აღეძრა, რომ ძმას ახალქალაქს თუ არა, ქართლში მაინც ნახავდა.

დანარჩენ თანმხლებლებს კი დედოფლისას წინათ დედოფლის პატივსაცემად პირისახეზე განგებ აღბეჭდილი დაღვრემილობა ნამდვილ დაღვრემილობად ექცათ! დასავლეთის შვილთ ეძნელებოდათ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გამგზავრება. ბორენამ შენიშნა ესა და ნება მისცა ყველას სურვილისამებრ მიეღოთ მონაწილეობა მის მგზავრობაში.

8

ქუთათისის სანახების გზათა სადარაჯო ზე ღ. მენაოევს, იფრინდების დატყვევების მონაწილეთ ორ უჯარმელს — ბერაცა და ფერისს მკვდრებივით ეძინათ. ბაქარს კი ნერვები ისე დასჭიმვოდა, თვალზე რული არ ეკიდებოდა. ბაგრატის ნდობა დამსახურებული კი ჰქონდა, მაგრამ პატარა ეჭვი მაინც არ ასვენებდა. ვაითუ მეფეს სადმე გულის სიღრმეში ჩემზე ოდნავი ხინჯი მაინც აქვს მიმალულიო და გონების თვალით ბაგრატის ქცევას გარს უტრიალებდა.

სადილობის დრო იქნებოდა, როცა ფიქრთა დენა შეუწყვიტა კარების ახმაურებამ. ჭაბუკი წამოდგა. მეფის კარისკაცი მოვლენოდა. ბაგრატი იწვევდა სამხარზე სასანიანს თავისი თანმხლებლებით. სთხოვდა, სამივენი შეაბჯრულნი გამოცხადებულიყვნენ.

— სამხარზე და შეაბჯრულნი? — გაიფიქრა ბაქარმა. — მეფეს ხომ არა მოელის რა?.. მერე და თავის სახლად რა უნდა მოელოდეს?

ამ კითხვებზე პასუხი ვერ გასცა თავის თავს. კარისკაცი გაისტუმრა და თავისიანები დააღვიძა. მეფის სურვილი განუცხადა და მომზადება უბრძანა.

სამხრობის დრო მოახლოვდა და სასანიანმა და მისმა თანმხლებლებმა სასახლისაკენ გასწიეს.

შეაბჯრულებს უკვე ყველა იცნობდა ქუთათისში და ყოველი შეხვედრილი ერთსა და იმავეს ასკვნიდა: აღჭურვილან, ეტყობა, სამშობლოში ბრუნდებიანო.

სასახლეს მოსულნი უჯარმელნი ბაგრატმა დედოფლის სამყოფი ადგილის სამხრო მცირე დარბაზში მიიღო. აქ მათ დახვდათ მეფეს გარდა დედოფალიც მხლებლებითურთ. ბაქარი და მისი თანმხლებლები განცვიფრებამ შეიპყრო.

„რა ამბავია?! – გაიფიქრა ყმაწვილმა, – აქამდის მეფეს არ გახსენებია ჩემი წარდგენა თანამეცხედრესთან და ახლა რამ გადააგდებევინა ასეთი ნაბიჯი?“

„ბიჭოს?! – თქვა გუნებაში ბერამ. – კარგი, ბაქარი უნდა გააცნოს თანამეცხედრეს, ძველთა მეფეთა ნათესავია. ეს მესმის, მაგრამ მე და ფერისი ორმელი დიდგვარიანის შვილები ვართ?“

„რაღაც საქმე რომ უნდა დაგვავალოს, ამაში ეჭვი არ მეპარება, – თქვა თავისთვის ფერისმაც. – თორემ ჩვენ, მდაბიოთ, თანამეცხედრესთან რად წარგვადგენდა?.. ისეთი ნდობა დავიმსახურეთ განა?.. არა, თქმა არ უნდა, თავს დავსდებთ მეფისათვის, მაგრამ მაინც ძალიან მოკლე ხანია, რაც გვიცნობს“.

მეფემ დაარღვია ცოტა ხნით ჩამოვარდნილი სიჩუმე.

– ჭაბუკო სასანიანო! ხვალ ჯავახეთს, ახალქალაქს მივემგზავრები. მიმყავს მცირე ლაშქარი და ჩემი თანამეცხედრე თავისი თანმხლებლებით. შენ იქნები უფროსი დედოფლის გამყოლი მცველი რაზმისა და დამხმარეთ გეყოლება ბერა და ფერისი. გამოაცილებ შენზე მონდობილთ ახალქალაქიდან თრიალეთამდე ჩემს ლაშქართან ერთად. თრიალეთიდან მცხეთამდე კიდევ – მხოლოდ შენი რაზმით, და ყველანი მცხეთას დაგველოდებით ბრწყინვალეთა მათთა დიდთა მეფეთა ნათესავთან ვაჩე არსაკიანთან პაპაშენთან.

ბაქარმა, თუმცა დუმილით, მაგრამ მადლობით მიიღო ასეთი დანიშვნა, მაგრამ მაინც ფიქრობდა, შეაბჯრულნი რად დაგვიბარა მეფემო.

მეფეს კი სულ უბრალო, მაგრამ მიზანში ამოღებული განზრახვა ჰქონდა: უნდოდა, სამი უჯარმელი აღჭურვილი შეხვედროდა დედოფალს. ჰსურდა, თანამეცხედრისათვის ეჩვენებინა, თუ რა საუკეთესო მხედრები მიუყენა მის პიროვნებას მცველებად. აბჯარში მხარბეჭიანი ბერა და

ფერისი ზღაპრულ გმირებად გამოიყურებოდნენ. თხუთმეტი წლის ბაქარი კიდევ, იებიან საჭურველსა და მგელ-ლომიან მუზარადში გამოწყობილი, ზღაპრულ უფლისწულს სჭარბობდა.

ბაგრატი არ შეცდა — სამი გმირის დანახვაზე ბორენას კმაყოფილება აღებეჭდა სახეზე და თვითონ მას მადლობის თვალით გადმოჰხედა. დედოფლის მხევლებს, დასაელეთის ასულთ, ვისაც გული არ მიუწევდა ჯავახეთისაკენ, ყველას ბაქარის აღნაგობამ დედოფალთან მოგზაურობის ძლიერი სურვილი აღუძრა. აღმოსაელელი სტუმრის დანახვაზე ველთამზემ სიხარულის სხივები გადმოაბნია.

ბაქარმა თვალი გადაავლო ასულთ გუნდს. იყვნენ კარგახნისანიც, იყვნენ მისი ხნისანიც, მაგრამ უნებლიეთ თვალი ველთამზეზე შეაჩერა.

— სასანიანო! — ბრძანა მეფემ, — შენ წინ ასულია მტრისაგან მუხანათობით ამოწყვეტილი ზვიად ერისთავისა, ველთამზე.

— მაშ ვარაზ-ბაკურის დაა?

— მართალია! — დაუდასტურა ბაგრატმა. — იცნობ ვარაზ-ბაკურსა?

— მცხეთას ეწვია პაპაჩემსა, აქეთკენ წამოსასვლელად რომ ვემზადებოდი.

— აბა, მაშ, ტყუილად არ მოელის ველთა შენგან ამბავს ვარაზ-ბაკურზე. — უბნო ბაგრატმა. — ჩაიბარე რაზმი და მერმე სამხარზე გვეწვიე მე და ჩემს თანამეცხედრეს. რაზმს კი პატრონად დროებით ეგ შენი ბუმბერაზი დაუტოვე.

— ბერა, აბა ეგ შენი კომბალი უჩვენე დედოფალთ დედოფალსა და მის ანგელოზთა რაზმს, — უბრძანა მეფემ.

„მართლა ანგელოზთა რაზმია დედოფლიანად!“ თქვა გუნებაში ბერამ და რამდენიმე ბიჯი წადგა დედოფლისაკენ. კომბალი ასწია, შეატრიალა ჰაერში და დედოფალს თავაზიანად შეაწოდა.

— ამით, დედოფალთ დედოფალო, არა ერთსა და ორს შენს მტერს გავუჭეჭყავ თავს. დამილოცე, ჩვენო პატრონო.

ბორენამ მხოლოდ შეახო ხელი კომბალსა და სვეტიცხოველისა და წმინდა გიორგის მფარველობა უსურვა მის პატრონს.

ველთამ თავი ვეღარ შეიკავა და ბავშვურად წამოიძახა:

— ზედ ჯვარია და მხედრები გამოკვეთილი! — და ასწრაფებით დაუმატა — მითხარი, ჩემო ბერავ, ვინ არიან? წმინდანებია?

ბორენამ უბრძანა ბერას, დაესახლებინა კომბალზე გამოყვანილი გმირების ვინაობა.

ბერა დიდის ხალისით ალაპარაკდა.

— ყველაფერს ვეტყვი, ყველაფერს, მშვენიერ ასულს. ჩვენს, უჯარმის დედოფალს იას, მირანდუხტს მახსენებ, ზვიადის ნატამალო, შენი სწრაფი შეკითხვებით.

— ეგ უჯარმის დედოფალი ვიღაა? — იკითხა დედოფალმა.

— ვინაა, ჩემო მბრძანებელო დედოფალთ დედოფალო, და აი ამ ჭაბუკი სასანიანის ექვსი წლის დაი, ასევე მოუთმენარია და სწრაფი. ვანკარგულებებს გვაძლევს ხოლმე დედოფალივით თავისი სურვილების ასასრულებლად. და მეც უჯარმის დედოფალს ვეძახი იმ ბავშვს. მთელი უჯარმა ანებივრებს რევი სასანიანის ასულს. პატარაა ია, მაგრამ ვინ იცის, რას არ მეკითხება? მერმე როგორ გონივრულად! დიახ, გონივრულად, არა, ფერის?

— ვენაცვალე ჩემი პატრონის ასულს იას! — წამოიძახა დასტურით სახეგასხივოსნებულმა ფერისმა. — მართლა რომ უჯარმის დედოფალია!

ბერამ, რაკი გაიგონა ფერისის სიტყვები, გული დაიკმაყოფილა და ზვიადის ასულს კ.ბლის თხემზე მიუთითა.

— ხომ ხედავ ჯვარს? ეს, ჩემო ველთამზევ, უჯარმის ძველი პატიოსანია, დიდი მირიანის რძალმა სალომემ რომ აღმართა უჯარმაში. ეს, ხომ ხედავ, ვეშაპს რომ ჰკლავს, ვინც არის, მიხვდები, თქმა არ გინდა. ეს ვახტანგ გორგასალია, ეს წმიდა არჩილია — წინაპრები ბაქარ სასანიანისა. ესენი მეხმარებიან კომბლიხ მარჯვე ხმარებაში...

— აბა, მაშ ერთი კომბლის მოხმარებაც აჩვენე დედოფალთ დედოფალსა მის აღზრდილს ველთამზეს, — შეაწყვეტინა მეფემ ბერას დაწყებული თხრობა.

ბერამ ფერისს გადახედა. სხვა საჭურველს გარდა რევის შინაყმას ლახტიც ჰქონდა თან.

ფერისი მიხვდა ბერას გულის წადილს, მაგრამ მეფეს მისთვის არ მიეგმართნა ჯერ და ამიტომ უძრავად იდგა. სასანიანის ყმას არ მოსწონდა ოთახში სეირის ჩვენება. ეს კია, თუ მეფე უბრძანებდა, უარს ვერ იტყოდა.

ბორენამ მიმართა თანამეცხედრეს:

— დიდო ხელმწიფევ, დიდად მოხარული ვარ, რომ ბერა მზად

არის, მასიამოვნოს! — დედოფალმა გაიღიმა. — მაგრამ ბერას აქ ერთთან მოუხდება ბრძოლა. ეს არ მინდა. მე უნდა მაჩვენო სამთან მისი ბრძოლა. ხვალ ჯავახეთს მივემგზავრებით. აი სადმე გზაზე შესვენებისას ფართო უტევანი ამოვირჩიოთ და იქ უბრძანე მოაწყონ უჩვეულო სანახაობა.

ფერისმა დედოფალს მადლობის თვალით გადახედა.

მეფეც სწრაფად დაჰყვა დედოფლის სურვილს: გრძნობდა ოთახში სანახაობის გამართვის უხერხულობას.

ბაქარი თანმხლებლებით რაზმის ჩასაბარებლად გაემართა.

დედოფალმა უბრძანა სამხარი გაეწყოთ.

ველთამზე პირში ჩალაგამოვლებულივით გამოიყურებოდა, ჯერჯერობით მაინც. ბაქარი წავიდა და უამბო დარჩა. ლოდინი უხდებოდა ზვიადის ასულს და წუთები საათებად ეჩვენებოდა. მოუთმენლობამ შეიპყრო ყრმა ქალი. მაგრამ მისი სულისკვეთება შეუმჩნეველი რჩებოდა. ბორენამ და ბაგრატმა ორსაჯდომიან მაღალ მერხს მიმართეს და ქალთა ;უნდი აფუსფუსდა. წყვილი დორი მოარბენინეს და ფერხთ-საყრდნობები დაალაგეს მერხის წინ. ოქრომკედ-ვერცხლმკედი აბზინდა მერხის ზურგსაყრდნობზე. ოქსინოგადაკრული სანაალი დააგეს მის დასაჯდომზე და მეფე-დედოფალი ისე დაბრძანდა ზედ. მალე სუფრაც გააწყეს. მაგრამ ველთამზეს ადგილიდანაც არ გადაუნაცვლია. ბაგრატმა და ბორენამ ხმადაბლა ბაასი გააბეს ჯავახეთს წასვლაზე. ახსენეს ახალქალაქი, სულა კალმახელი, ახლა მათი მოსვლის მოლოდინში მყოფი დატყვევებული ლიპარიტი. ახსენეს თრიალეთი, მცხეთა, ჰერეთ-კახეთი და ჩამშვილდე. მის მფლობელებზე გულისწყრომა გამოთქვეს. სამშვილდეზე ბოლნისიცა და ამოწყვეტილი ზვიად ერისთავი გაიხსენეს და ველთამზეზე შეაჩერეს თვალი; მეფემ თავისებურად გულიანად გაიცინა. დედოფალმა ველთამზეს დაუძახა:

— ისე დგეხარ მანდ, ზვიადის ასულო. თითქოს ვიღაცას დაუბიხარ, ტოკავ, ლამობ აშვებას და ვერ აშვებულხარ.

— არა, ვფიქრობ, ველთა ერთმა ვინმემ დალურსმნა მაგ ადგილზე, — ბრძანა ხუმრობით მეფემ, საერთოდ, ვაჩეს გამოგზავნილების მოსვლის დღიდანვე კაი გუნებაზე მყოფმა. — ჰა! რას იტყვი, ზვიადის ასულო?

დედოფლის სიტყვებზე ველთას სიწითლემ გადაჰკრა, მაგრამ ბაგრატის შეკითხვამ ათქმევინა:

— არა, მე ვარაზ-ბაკურის უამბობამ დამლურსმნა!

— ოჰო! საყვედურს მეუბნები?

ველთა მიხვდა, რომ გადაამეტა. ჯერ კიდევ ყრმა ასულს მაინც ესმოდა, რომ მეფესთან მორიდება ჰმართებდა, მაგრამ გულსწრაფობა უშლიდა ხელს. ქალი მოწყდა აღგილიდან და ბაგრატის წინ მუხლზე დაეცა.

— მაპატიე, მეფეთ მეფეო!.. მთელ წევრთმრავალ ოჯახიდან მე და ვარაზ-ბაკურიღა გადავრჩით, მოგეხსენება. რამდენი ხანია არ მინახავს. სანამ სასანიანი გაჩნდებოდა ქუთათისში თავის თანმხლებლებით, სამმა წელმა თითქოს მიმავიწყა ჩემი ერთადერთი სისხლ-ხორცი. მაგრამ სასანიანის შენთან მოსვლამ ძლიერი წყურვილი აღმიძრა ძმის ამბის გაგებისა და ეს წყურვილი თავს მაიწყებინებს.

ბაგრატმა წამოაყენა ყმაწვილი ქალი, დაუყვავა და შუბლზე აკოცა.

— მესმის, ჩემო შვილის მაგიერო, მესმის! — აღმოხდა გულის სიღრმიდან მეფეს ლმობიერი სიტყვები, — ღმერთმა შეგინდოს უნებლიე დანაშაული, თუ არის კი — სიტყვა შეუწყდა. ბაქარი დაბრუნდა და ლმობიერი ლაპარაკის კილო ხუმრობის კილოთ შეეცვალა. — აი ღმერთმა შეგინდო კიდეც დანაშაული! ბაქარი ახლავ მოგვიყვება ვარაზ-ბაკურის ამბავს!

ველთამზე სწრაფად დაეუფლა ბაგრატის მარჯვენა ხელს და მადლობის ნიშნად ეამბორა. ბაგრატმა ზვიადის ასულს თავზე ხელი გადაუსვა და სასანიანს უბრძანა, ყველაფერი ეთქვა, რაც იცოდა ვარაზ-ბაკურზე. აქ ბორენა ჩაერია.

— ჩემო ხელმწიფევ! — მიმართა დედოფალმა მეფეს, — ხვალ ჯავახეთს მივემგზავრებით და საამისო სამზადისი არა მაქვს დამთავრებული, დროა საჭირო კიდევ. სუფრა გაწყობილია, სამხარს შევუდგეთ. ჭაბუკმა სასანიანმა სუფრაზე შეასრულოს შენი დავალება და დროც მეტი დამრჩება მოსამზადებლად.

სუფრას მოუსხდნენ მეფე-დედოფალი და ბაქარი. მეფემ წესისამებრ ღმერთი ახსენა, და სამხარს შეუდგნენ. დედოფლის თანმხლებელი ქალები თავს დასტრიალებდნენ სამხრის შემქცევებს. პატივსა სცემდნენ. ველთამზე ბაქარს სთავაზობდა.

— მაშ ვარაზ-ბაკური მცხეთას ეწვია ვაჩეს? — მისცა შეკითხვა მეფემ ბაქარსა და ამგვარად გაუადვილა მბობა.

— მცხეთას ეწვია, მბრძანებელო! — უპასუხა ბაქარმა. — ადრე ყოფილიყო მცხეთაში, მაგრამ პაპაჩემი უჯარმას იყო წასული მაშინ. დაბრუნდა პაპაჩემი მცხეთას და მეორე დღესვე ვარაზ-ბაკურიც იქ გაჩნდა. დიღმის ხევის წყლის სათავეებში უდევს ახლა ბინა. პაპაჩემის მოსვლა მცხეთას მაშინვე ეცნობებინა საამისოდ მცხეთას დატოვებულს მის იფრინდს. ველთამზის ამბის გასაგებად მოვიდა, რაკი იცოდა, რომ პაპაჩემი ქუთათისს იყო წასული შენ დასახვედრად, დიდო ხელმწიფევ.

— მაშ ვახსოვარ! — წამოიძახა გახარებულმა ველთამზემ. — ალბათ ვუყვარვარ კიდეც?

— მერმე როგორ?! — დასძინა ბაქარმა. — მისხლივ-მისხლივ გამოჰკითხა პაპაჩემს შენი ამბავი, ზვიადის ასულო... რაკი გაიგო შენი კარგად ყოფნა, „კეთილი ცხოვრება კეთილ დედოფალთ დედოფალთან“, გული საგულეში ჩაუდგა. გვიამბო თავისი თავგადასავალი. ბევრი, ბევრი რამ გადახდენია. მტერი, თქვენი ოჯახის ამომწყვეტი, არ ასვენებდა თურმე: მის ჩაგდებას ლამობდა ხელში, სდევნიდა, მისი მოსპობა ჰსურდა. ახლა კი თვითონ ვარაზ-ბაკურია მტრისათვის საშიში. ვარაზ-ბაკურმა და მისგან განუშორებელმა გუგანმა მოსპეს, ვინც კი აადევნა მტერმა მათ მოსასპობად. ახლა ველარავინ ჰბედავს ვარაზ-ბაკურის დადევნებას. მისი და გუგანის ვაჟკაცობის სახელი მთელ ქართლშია გავარდნილი. ამ სახელით სარგებლობს ზვიად ერისთავის ნატამალი და რაზმებს აგროვებს თურმე, დიდო ხელმწიფევ, შენი უფლების გასამტკიცებლად ქართლსა და სრულიად აღმოსავლეთის ქვეყნებში. დიდი საქმე მოიფიქრეო, უთხრა პაპაჩემს, მაგრამ რა საქმე მოიფიქრა, ეს კი არ გაუმხელია. საქმე თვითონ გაცნობებთ თავის თავსაო. თვრამეტი წლისა და ასეთი უნარიანობაო?! ჰკვირობდა პაპაჩემი. რომ გვეთხოვებოდა მითხრა, არაფერს გაბარებ, სასანიანო, მჯერა, მეფე მალე ქართლს ეწვევა და ჩემ დასაც ვნახავო. თუ შეხვდე, გადაეცი მოკითხვა და უთხარი, მუდამ მახსოვხარ და თავის დღეში არ დაგივიწყებ-თქო. ქუთათისში ჩემი ყოფნის ამ მოკლე ხანს ჩემთა საქმეთა დენა ისეთი გზით მიემართებოდა, — დაუმატა თავის თხრობას ბაქარმა, — რომ არ მეგონა, დედოფალთა დედოფლის ნახვის ღირსი გავხდებოდი და შენ შეგხვედებოდი, ზვიადის ასულო. ჩვენ მბრძანებელს მეფეთა მეფეს უნდა ეუმადლოდეთ, რომ ძმის ამბავი გადმოგეცი.

— არა, დედოფალთ დედოფალს უნდა ვუმადლოდეთ! — ბრძანა მეფემ. — დედოფალმა მოისურვა სასანიანთა ნატამალის გაცნობა.

დედოფალმა გაიღიმა.

— მე კი მქონდა მისი ნახვის დიდი სურვილი, მაგრამ აქ ველთამზეც მოქმედებდა თაკისი მოუსვენრობით და, ჩემო ხელმწიფევ, შენც დიდი წილი მიგიძღვის, რომ იგი მაჩვენე და ჩემს კარს მგზავრობისას საპატიო მცველები მოუყენე.

დედოფალმა ეს საუბარი აძით დაამთავრა და სთხოვა ბაქარს, მოეთხრო კვეტარელებთან შეტაკების ამბავი.

— ეს უნდა ბერას მოათხრობინო, ჩემო თანამეცხედრევ! — დაურთო ბაგრატმა დედოფლის თხოვნას, — თორემ ისე ბაქარი ბევრ რამეს არ იტყვის თავის თავზე.

მეფემ პირველად ასე შინაურულად უნებლიეთ ახსენა სასანიანთა ნატამალი. მის გულში ბაქარის მიმართ ამოძრავებულმა გრძნობამ თავისი გაიტანა.

დედოფალი დაეთანხმა მეფეს და კვეტარელებთან შეტაკების ამბის თხრობა სამგზავროდ გადაიდო.

9

ბაგრატი ზეკარის გზას დაადგა თავისი მცირერიცხოვანი, მაგრამ რჩეული მხედრების რაზმით. ქვეითები მის რაზმში არ რეულან. ურმიანებიც არ მოსჩანდნენ. თვით დედოფალიც კი თავის კარიანად ცხენებით მიემგზავრებოდა, ბარგსაც ცხენებით მიეზიდებოდნენ და დღენახევარში ზეკარის უღელტეხილზე გაჩნდებოდნენ ყველანი უკლებლივ, რომ გზაში, კაკას ხიდთან, მეფეს არ წაენადირნა. ბერძენთა გასაგონად ხმა იყო გავრცელებული ქუთათისში, აფხაზთა მბრძანებელი სანადიროდაა გასულიო. ეტყობოდა, მეფეს ჰსურდა, ჯერ კიდევ მიყუჩებული ემყოფებინა ბიზანტიის იმპერატორის თვალი და ყური და ჯავახეთისაკენ მისი მგზავრობა ნადირობად მოინათლა. ამას ბაგრატი თავისი მოქმედებით, ერთი მხრივ, ამართლებდა კიდეც. მერმე, კაი გუნებაზე ბრძანდებოდა: ლიპარიტი ტყვედ ჰყავდა მის ერთგულ სულას და გვირგვინოსანს ეჭვი ალარ ეპარებოდა ქვეყნის მგვემავის, ატეხილი ღელვის დაწყნარებაში.

გული ხალვათად ჰქონდა. გულის ეს ხალვათობა მეფემ სახედახელოდ მოწყობილ ნადირობაში გამოხატა. მონაწილეობა მიაღებინა ჭაბუკ სასანიანსაც. ბაქარს გვერდში ფერისი ამოუდგა. შინაყმა უფლისწულს თავს არ ანებებდა. ჯერ ერთი, ვაჩე და რევი პასუხს მოსთხოვდნენ, მერმე, თვითონაც მოთხოვდა თავის თავს პასუხს, თუ რამე დაემართებოდა ბაქარს. ბერაც კი დიდი სიამოვნებით აედევნებოდა ბაქარს, მაგრამ დედოფლის კარისმცველ რაზმს ბაქარის ნაცვალი პირი სჭირდებოდა და დედოფლის კართან დარჩა. დედოფლის სურვილებს ასრულებდა.

— ორი რამ გაქვს შესასრულებელი, ბერავ, — უთხრა ბორენამ რაზმთან დარჩენილს უჯარმელ ზენკალს.

— მზად ვარ, დედოფალთ დედოფალო, მხოლოდ მიბრძანეთ, — აღმოხდა ბერას.

— აბა, მაშ, ჯერ კვეტარელებთან ბრძოლის ამბები მომიყევი.

ბერამ დაწვრილებით მოუთხრო დედოფალს მეკობრე დიდგვარიანებთან შეტაკებისა და ბრძოლის ამბები. დიდად შეაქო ვაჩეს, რევის, ფერისისა და მეტადრე ბაქარის ვაჟკაცობა, მაგრამ გულდაწყვეტილი კი იყო, რომ მისმა კომბალმა ვერ იგემა იაზონ ცალქალამანიძე.

— დიდი იმედი კი გაქვს მაგ შენი კომბლისა, — დაურთო დედოფალმა.

— მაქვს, დედოფალთ დედოფალო, მაქვს! მემარჯვება!

— კი ვერ გვაჩვენა და! — ისროლა ველთამზემ უნებლიეთ.

— ახლავე, ახლავე, ზვიადის ასულო! მხოლოდ კი დედოფალთ დედოფალმა მიბრძანოს. აი აქ, კალოსავით ადგილია. ჩვენი რაზმის რჩეულ ხმლოსნებს შევებრძოლები.

ბერამ დედოფალს გადახედა.

— ეგ შენი მეორე დაპირებაა, — უთხრა ზენკალს ბორენამ. — კვეტარელებთან ბრძოლა ხომ მიამბე, ახლა ეგ დაპირება შეასრულე.

ბერა მოკლე ხანში ისე გასცნობოდა დედოფლის კარის მცველ რაზმს, რომ კარგად იცოდა, თუ ვინ როგორ სმარობდა ხმალს. სამი რჩეული ხმლოსანი ცხენოსანი გამოარჩია მოპირდაპირედ.

ბერას ბრძოლა ცხენოსნებთან დიდხანს გაგრძელდა. გულმოდგინედ მაყურებელმა დედოფალმა შენიშნა, ქვეითად მყოფი ერთი კაცის შებრძოლება სამ ცხენოსანთან არც ისეთ სიძნელეს წარმოადგენდა, როგორც ეგონათ, და ბერას უბრძანა, ქვეითი ქვეითებს შეებრძოლეო.

— სწორი თვალი გქონია, დედოფალთ დედოფალო, — მოახსენა ბორენას ზენკალმა, — სამ ხმლოსან ქვეითთან შებრძოლება ერთი ქვეითისა მართლა ძნელია გაცილებით, მაგრამ ბერა არც ამას შეუშინდება: სამს თავის დღეში არ გაექცევა.

ზენკალმა მოპირდაპირენი ჩამოაქვეითა და ახლა ისე შეებრძოლა. ცხენებისაგან განთავისუფლებული ხმლოსნები სწრაფი იერიშებით წარმოემართნენ ბერასაკენ. კომბლის ხმარების მოთაყვანე განზე გაუხტა მოიერიშეთ და დაშორდა. მოიერიშენი გამოეკიდნენ. ბრძოლის დაწყებისას ერთად შემტევნი დაიშალნენ და ველარ შეერთდნენ. დაქსაქსულებს ბერა ადვილად უმასპინძლდებოდა. ზენკალმა ერთს ხმალი გააგდებინა და შორს გადაუტყორცნა კომბლის შემოკვრით.

— ჰა! წადი, აიღე შენი ხმალი! — დაუძახა უხმლოდ დარჩენილ მოპირდაპირეს და ხმლიანებს შეუტია.

ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელებულა. ბორენამ, რაკი ნახა, რომ ბერას ორის დამარცხება არაფრად ულირდა, შეაჩერა შერკინებულნი.

მალე მეფეც დაბრუნდა ნადირობიდან. ნადირობაში მყოფ უჯარმელებს ბედი სწეოდათ. ფერისს მეფე გადაერჩინა გაბოროტებული ძუ დათვისაგან, რომლის წყვილი ბელი თან მოიყოლეს ცოცხლად. ბაქარს ნუკრიანი შველი მოეკლა. ყმაწვილმა ნუკრი მიჰგვარა დედოფალს.

— ორივე უჯარმელმა თავისი პირობა შეასრულა! — განაცხადა ბაგრატმა და ფერისს გადახედა. — ერთმა სიკვდილს გადამარჩინა, თავის გაწირვას არ დაერიდა და მოულოდნელი მტერი დამიმარცხა. ფერისს ჰმადლობდე, დედოფალო, რომ ცოცხალი ვარ. მეორემ — ნადირობაში თავი ისახელა. ბაქარს იშვიათად თუ გამოუძებნის კაცი ცალს ნადირობაში.

— მბრძანებელო, მე რა ვარ, როცა მეფეთ მეფე არსებობს? — თავდახრით წარმოთქვა ბაქარმა. — ეს შველი შემთხვევაა.

— თავს ნუ იმცირებ, ბაქარ! თავს ნუ იმცირებ! — უთხრა ჭაბუკს ბაგრატმა. — ტახის მოკვლა შემთხვევას დააბრალე, შველი მოჰკალ, შემთხვევაა. ბერას რომ ბღუჯად ხოხბები გაუგზავნე ნინოწმიდიდან, ისინიც შემთხვევით დაგეხოცნა, არა?.. საუცხოოდ გცოდნია ისრის სროლა.

— მბრძანებელო! — წამოიძახა ბერამ. — ბაქარი ყველა იარაღს კარგად ხმარობს.

ბერა ვერ ურიგდებოდა იმ ამბავს, რომ ბაქარს რომელიმე იარაღის ხმარებას უქებდნენ ხოლმე და არა ყველასას ერთად.

— ვნახავთ მაგის სხვა იარაღების ხმარების უნარს, ვნახავთ და მაშინ შევაქებო! — ბრძანა ბაგრატმა ხუმრობის კილოთი და ბაქარს სიყვარულით გადახედა.

ბაგრატს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ბაქარს ყველა იარაღის ხმარება ემარჯვებოდა. და უხაროდა ეს ამბავი. მაგრამ უფრო დიდ ღირსებად ბაქარის გონიერება მიაჩნდა. მეფემ გაიხსენა ის საზრიანი პასუხები, თეოხაროს ბერძენისათვის რომ გაუცია ბაქარსა და ღირსეული თავის დაჭერა, ამ ბიზანტიელთან რომ გამოიჩინა ბაქარმა ნადიმზე.

„მარტო გონიერებით ხომ არ არის აღჭურვილი, ზრდილიცაა, განათლებაც აქვს სათანადო, ბერძნული სცოდნია. ალბათ არაბულიც ეცოდინება, — გაიფიქრა ბაგრატმა. — უსათუოდ ეცოდინება. ეტყობა, რევი დიდად განათლებულია, რომ შვილი ასე გაუნათლებია. შევხვდები თუ არა, ვეტყვი, შვილი ჩემ კარზე ამყოფოს. ფრთხილიცაა ბაქარი. მაგის: გონების თვალს არაფერი ურჩება შეუმჩნეველი“. მერე დედოფალს მიაპყრო მზერა და გაუღიმა: — კმაყოფილი ხარ, დედოფალთ დედოფალო, მცველი რაზმის უფროსით და მისი თანმხლებლებით?

— აქამდე დაღლა არ მიგრძვნია, მბრძანებელო! — მიუგო ბორენამ. — ამისათვის უნდა ვუმადლოთ ჭაბუკ სასანიანს და მის თანმხლებლებს ბერამ კვეტარელებთან შეტაკების ამბავიც მოგვითხრო, კომბლის ხმარების ოსტატობაც გვიჩვენა ორგვარად. კომბალი ბერას ხელში საშინელი იარაღი ყოფილა. ერთი ათი მასეთი კომბლიანი ვაჟკაცი კარგა დიდ რაზმს გაუმკლავდება.

— ბერას გაქცევა სცოდნია. თვითონ აღიარა. — დაურთო ხუმრობით ბაგრატმა თანამეცხედრის სიტყვებს.

— მართალს ბრძანებს მეფეთ მეფე, დედოფალთ დედოფალო! — ალაპარაკდა ზენკალი. — მაგრამ ეს მაშინ, როცა ერთი ვარ და სამზე მეტი მესხმის თავს. მამა-პაპათგან თქმული ანდაზის მიხედვით ვიქცევი.

ამ მოკლე საუბრის დროს ბაქარი სდუმდა. მისი გონების თვალი მცხეთას, უჯარმას და სამ მახლობელს დასტრიალებდა თავს. მაგრამ ხორციელი თვალიც უმოქმედობას არ ეძლეოდა. ფხიზლობდა.

ჭაბუკს ფიქრი შეუჩერდა: შორს ცხენოსანთა სამეული დაინახა. ჯგუფი მეფის ბანაკისაკენ მოაქროლებდა ცხენებს. მოუსვენრობდა. ხან ცალკევდებოდა და ხან იკუმშებოდა.

— ნეტა რა ჯგუფია, რომ ასე გამწარებული მოჰქრის ბანაკისაკენ? — წამოილაპარაკა ბაქარმა.

ყველამ მომქროლავ ჯგუფისაკენ გაიხედა. ჯგუფი კიდევ პატარად მოჩანდა, ეტყობოდა, შორს იმყოფებოდა. ბაგრატმა ჯგუფისაკენ მამზირალნი თვალნი ბაქარზე გადაანაცვლა.

— შორს მიდენილა შენი თვალი, სასანიანო, შორს! მაგისთანა თვალები მუდამ ჩემს ახლოს უნდა იმყოფებოდეს.

— სანამ თქვენთან ვარ, მიმსახურეთ, მბრძანებელო! — მოახსენა ყმაწვილმა და თავი დახარა.

„ჩემი სურვილია, სულ მუდამ ჩემთან იტრიალო, — უნდა ეთქვა ბაგრატს, მაგრამ სიტყვები გულში ჩაიმარხა. — არა, არა! — გაიფიქრა მან, — მაგისი სურვილითაც უნდა მოხდეს ჩემთან დარჩენა“. — ხმამაღლა ალაპარაკდა:

— დიახ, ჭაბუკო, ვისარგებლებ, სანამ ჩემთან ხარ, და, იმედია, შემდეგშიაც მასარგებლებ, თუ დრო დაჭირვებას მომაყენებს!

— როცა კი ბრძანებთ, გეახლებით, მეფეთ მეფეო! ახლა კი, მბრძანებელო, შენ ბანაკს მაწვიე ჩემი ერთი თანმხლებლით. ამბავს მოგიტანთ. ჯგუფი დასხვილდა თვალისათვის. ჩანს, მოუახლოვდა შენს ბანაკს.

მეფის ბანაკი შორიახლოს დაეცათ დედოფლის კარის კარვებისაგან.

მეფემ თანხმობა გამოუცხადა ბაქარს. ბაქარი დაიძრა ფერისითურთ. ბერამ კი რაზმი ფეხზე დააყენა.

— დეე იცოდნენ, რომ ჩვენ მოუმზადებელნი არავის დავხვდებით, — თქვა მან.

ორი უჯარმელი ბანაკს შეერია. მობანაკენი ყურადღებას არ აქცევდნენ.

ბაქარი თანმხლებლითურთ სპასპეტის კარავს მიადგა.

— რას ბრძანებ, სასანიანო? — შეეკითხა ბაქარს სპასპეტი.

ბაქარმა ბანაკს უკვე კარგა მოახლოებულს ცხენოსანთა სამეულზე მიუთითა.

— მეფეთ მეფის ბრძანებაა, ცნობა მივიტანო მათზე.

სპასპეტი შეფერიანდა: ბანაკი ოდნავ მობოშებულიყო და ეს არ ესიამოვნა. მოყვარე იქნებოდა თუ მტერი, სამი კაცი იქნებოდა თუ რაზმი კაცმრავალი, ჯარი იარაღასხმული უნდა დახვედროდა ყველას.

სპასპეტი დატრიალდა, ბრძანება ბრძანებაზე გასცა და ატყდა ერთი ორომტრიალი.

ჯერ კიდევ არ იყო წესრიგი დამყარებული, როცა პირდაპირ სპასპეტის კარავთან ბაქარისაგან თვალშესწრებული ცხენოსანთა ჯგუფი გაჩნდა. ცხენებს ხვითქი გადასდიოდათ: ეტყობოდათ, პატრონები დაუნდობლად მოერეკებოდნენ ბაგრატის ჯარის დასაწევად.

ისინი ბერძნები აღმოჩნდნენ. თეოხაროსისა და არტემიოსის მოციქული და მისი მცველები.

— წერილი იმპერატორის ყმასთან, ბაგრატ მეფესთან, — განაცხადა მოციქულმა ყოყოჩურად ბერძნულ ენაზე...

ბაქარს გული აუფორიაქდა საქართველოს მეფის ასე თავხედურად ხსენებამ, მაგრამ პირისახეზე უკმაყოფილება არ ალებეჭდა და თავი შეიკავა.

მოციქულმა თავის სიტყვებს კიდევ ერთი რამ დაუმატა:

— ნაბრძანები მაქვს პირადად მე თვითონ ჩავაბარო იმპერატორის ყმას ეპისტოლე.

ბაქარს თვალებში ციცინათელები აუელვარდნენ.

— ფერისო, ეს მოციქული ბანაკიდან წასვლისას ჩვენ უნდა გავაცილოთ, — გამოუცხადა ხმადაბლა უფლისწულმა. ფერისი მიხვდა უფლისწულის განზრახვას და თანხმობის ნიშნად თავი დახარა.

სპასპეტს მოციქულის თქმაზე შუბლი შეეჭმუხნა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

— ჭაბუკო სასანიანო, თვითონ მეფეთ მეფე მოურიგდება, — ამცნო მან ბაქარს. — რაკი შენ მეფეთა მეფის გამოგზავნილი ხარ სტუმართა ვინაობის გასაგებად, შენვე მიაცილებ ამ ვაჟბატონებს მასთან. მბრძანებელი თვითონ გასცემს პასუხს.

„მე კი სრულიად საქართველოს პატრონი დამიმცირეს, — გაიფიქრა ბაქარმა, — ეს კი საქართველოს დამცირებაა, მაშ მეც დამცირებული ვარ და პასუხი უნდა მოვთხოვო დამამცირებელს“.

— აბა, ელადის მედიდურებაე! — მიმართა ბაქარმა მოციქულს ოდნავი კბილის გაკვრით, — წამობრძანდი შენი მცველებითურთ.

სასანიანი სწრაფი ნაბიჯით დაიძრა. ფერისი გვერდში ამოუდგა ჩვეულებისამებრ თავის უფლისწულს და მათ უკან ცხენოსანი სტუმრები აედევნენ.

დედოფლის კარავთან მისვლისას ბაქარი შეჩერდა და ცხენოსანთა სამეულიც შეაყენა.

— აქ მოითმინეთ, სანამ მეფეთ მეფეს მოხსენდება თქვენი მობრძანება, — მტკიცე კილოთი უთხრა ბერძნებს ბაქარმა.

მოციქულს ბაქარის სიტყვებში მუქარა ენიშნა და გულში შიშის ქარები ჩაუდგა.

— ნაბრძანები მაქვს პირადად ჩავაბარო თქვენ მეფეს ეპისტოლე, — გაუმეორა ბერძენმა ბანაკში ნათქვამი სიტყვები „იმპერატორის ყმის“ გამოკლებით, ახლა კი დაბლა ხმადაშვებით და დიდი რიდით. ბაქარის ერთმა გადახედვამ ბერძნები ცხენებიდან ძირს ჩამოსხა.

საკმარისად მიყუჩებულმა მოციქულმა მეფის გამოსვლას კარავის შესასვლელთან დაუწყო ლოდინი. ბაგრატს არ დაუხანებია. სწრაფის ნაბიჯით გამობრძანდა აფხაზეთ-ქართლის მბრძანებელი. შეჩერდა. ბერძნების დანახვაზე შუბლი შეეკრა მეფეს. თვალი ბაქარზე შეუჩერდა.

— თეოხაროსისა და არტემიოსის მოციქულია, მბრძანებელო! ეპისტოლე გაახლათ მათი.

მეფემ ბერძენს გულგრილად გადახედა და ისედაც უკვე შიშით მობუზულთ შიში გაუორკეცდა. გრაგნილი ჩამოართვა და ხელის გაქნევით რამდენიმე მანძილით დაიშორა მხლებლებიანად. ბაქარს მკლავში ხელი წაავლო და თავისკენ გადმოადგმევინა ნაბიჯი. ეპისტოლე გადაათვალიერა.

— თავხედნი! — წარმოთქვა აღელვებული დაბალი ხმით, მაგრამ ბაქარის გასაგონადაც. — მე ვუჩვენებ სეირს მაგათ! თუ რა ვარ მე იმპერატორისათვის, მაგასაც დავინახავთ.

— მბრძანებელო! — წამოიძახა ბაქარმა. — ვერ გადამირჩება თეოხაროს ბერძენი! გულს გავუპობ შენს უღირსად მახსენებელს და ზედ მის არიფსაც მივაყოლებ.

ბაგრატმა კმაყოფილებით გაიღიმა. „არა, არა! — თქვა გულში, — ჩემ ერთგულ ყმას არ გავათხვრევინებ ხმალს უწმინდურების სისხლში. მზაკვარია თეოხაროსი. გამომთელდება და უარს ეტყვის ყმაწვილს ხმალში გასვლაზე, ჩემი დესპანობა ნებას არ მაძლევსო. ჰპირდებოდა საქართველოს ტახტს, ვერ ათქმევინა „ჰო“ და ახლა აღარ დაინდობს, დაღუპავს, თუ შემთხვევამ ხელი შეუწყო. მაგრამ ვნახავ, ვინ ვის დაღუპავს!“ — ძეო ჩემო! — წამოილაპარაკა ბაგრატმა ხმამაღლა და ბაქარს მხარზე ხელი დაადო. — მზაკვარ ხალხს პატიოსანი ბრძოლით არ უსწორდებიან და არც შენ შეგაბღალინებ თავს თეოხაროსთან ბრძოლით.

ეს ჩემი ნებაა, — უთხრა მტკიცედ ბაგრატმა. — თეოხაროსიცა და მისი არიფიც მალე საპატიმროში ჩაიყრებიან ჩემის ბრძანებით. დამიტყვევებია ეს სამნიც, — მოციქულსა და მის მცველებზე მიუთითა. — მიჰგვარე ახლავე სპასპეტს და გადაეცი ჩემი ბრძანება: ოძრხეს საპატიმროში გამო?ამწყვდევინოს, სანამ ლიპარიტს გავუსწორდები.

ბაქარმა გულში ინანა, რომ მეფემ პატიმრობა გადაუწყვიტა თეოხაროსის და არტემიოსის მოციქულსა და მცველებს. ჭაბუკს ჰსურდა როგორც თეოხაროსი გამოიწვია ხმალში, ისე მის მოციქულებსაც მოქცეოდა. თეოხაროსმა თუ ეს გამოწვევა გადაუდო თავის გამომთელებამდე, მოციქულს გადასადები არაფერი სჭირდა და იმედი ჰქონდა, დღესვე აიძულებდა შესაბმელად. მეფემ კი თავისი ბრძანებით ხელი შეუშალა და უკვე ხმალში გამოწვეულ თეოხაროსთანაც აუკრძალა ბრძოლა.

ბაქარმა მეფის ნალაპარაკევს გონების ყური შეახო და ხელი ჩაიქნია. ალბათ ასე უნდაო, თქვა და შემდეგ ერთ აკვიატებულ აზრს დაუწყო დევნა გონებით: მოისურვა გამოცნობა იმისა, თუ მეფემ დატყვევება რატომ გადაუწყვიტა წერილის მომტან ბერძნებსა და მის მცველებს.

„მოციქულს ხომ პირადად მეფისთვის არა.ვერი უთქვამს რა ?დიერი?.. მის მცველებს ხომ კრინტი არ დაუძრავს!..ალბათ ეპისტოლეში წრესგადასული რამ უდიერობა ეწერა. თეოხაროსი განა ნაკლებია თავის მოციქულზე? მოციქულმა ჩვენთან ალბათ გამომგზავნელთა ნათქვამი გაიმეორა. მაგრამ მოციქული და მცველები მაინც რა შუაშია, რომ მათი დატყვევების ბრძანებას იძლევა მეფე?..

ჭაბუკმა ბოლოს ასე დაასკვნა, ალბათ მეფეს ჰსურს პასუხი დაუგვიანოს თეოხაროსსა და არტემიოსსაო. ყმაწვილი მსჯელობდა და თან მეფის ბრძანებას ასრულებდა.

მეფე ისევე დედოფლის კარავში შებრძანდა.

ბერძენ ცხენოსანთა სამეული კი მეფისაგან პასუხს ელოდა. თავის ბედს ჯერ ვერ მიხვედრილიყო.

დედოფლის კარავიდან ველთამზემ გამოირბინა. ბერძენ ცხენოსანთა სამეულს დაუწყო ცქერა: დედოფალთან მეფისაგან თქმული სიტყვები გაიგონა და სწადდა გაეგო, თუ რა გუნებაზე დადგებოდა ეს სამეული. ველთას სხვა ქალებიც გამოჰყვნენ ამავე მიზნით.

ბაქარმა დედოფლის კარის მცველი რაზმიდან ბერას გამოაწვევინა

ხუთი მხედარი ფერისის მეთაურობით, ბერძენ ცხენოსანთა სამეულს გარს შემოარტყა და გამოუცხადა, დატყვევებულნი ხართ მეფეთა მეფის ბრძანებითო. შემდეგ ცხენები ჩამოართვა მოციქულებს და ქვეითებად ქცეულებს სპასპეტისაკენ გაუძღვა, ტყვეები მას ჩააბარა და აუწყა: ოძრხეს საპატიმროში უნდა ჩაყარო ისინიო, და თავისი პატარა ჯგუფით ისევ დედოფლის კარავს მიმართა.

კარავთან ბაგრატი დახვდა.

— ბევრის ატანა მომიხდა, შვილო! — მიმართა მეფემ ბაქარს, როცა მის თანმხლებელ სახელდახელოდ შედგენილ პატარა რაზმში შემავალნი თავთავიანთ ბინებისაკენ წავიდ-წამოვიდნენ. ახალგაზრდას ისე მიეზიდნა მეფის გული, რომ აღარ ერიდებოდა მის წინ იარების გადაშლას და მარტოდ დარჩენილი გულწრფელად ალაპარაკდა:

— ჯერ ისევ სამი წლის ბაშვი მძევლად წამიყვანა ბიზანტიამ. სამი წელიწადი მამყოფეს სამშობლოს დაშორებით. ალბათ სამშობლოს სიყვარული უნდა ამოერეცხათ ჩემ გულში, მაგრამ პატარას გული მაინც თავის მთა-ბარს ეტრფოდა და ბიზანტიას ვერ შეეგუა. სამი წლის შემდეგ პატარა ტყვე გამათავისუფლეს დადებული პირობისდა კვალად და სამშობლოსაკენ გამომისტუმრეს. გამომისტუმრეს სამშობლოსაკენ და ბასილი იმპერატორი გარდაიცვალა თურმე, ჩემი მძევლად წამყვანი. ტახტზე ასულმა ბიზანტიის ახალმა იმპერატორმა კონსტანტინემ, ალბათ, შეცდომად ჩათვალა ჩემი სამშობლოში გამოსტუმრება და კაცი დამადევნა დასაბრუნებლად. მაგრამ ადევნებულმა კაცმა, აღმოსავლეთის კატაბარმა, რომლის განსაგებელზე მომიხდა გავლა, რომ დაინახა, სამშობლოს საზღვარს მოვაღწიე და წინ მომეგება სიმრავლე დიდძალი, ერისთავთ-ერისთავნი და ერისთავნი ტაოელნი, მესხნი და ქართლელნი, ველარა გამიბედა რა და ახალ იმპერატორს სურვილი ვერ აუსრულა. ცხრა წლისას მამა გარდამეცვალა სრულიად ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე, დიდი მოძულე სამშობლო ქვეყნის სხვის უღელქვეშ ყოფნისა. ალბათ მოწამლეს გამყიდველებმა იმპერატორის დავალებით. ცხრა წლისას ტახტზე მომიხდა ასვლა და არ მახსოვს მშვიდობიანი დღეები. ბიზანტიამ მეტოქედ ლიპარიტი წამომიყენა და მისი საშუალებით დაუნდობილი ბრძოლა ამიტეხა. ყმა გამიორგულა. ლიპარიტი ტყვედ ჩაუვარდა სულთანს და ბიზანტიამ ხმა გამივრცელა, რომ ლიპარიტის თანამეცხედრე ვითომდა შეურაცხვყავი და ასე ვიძიე

შური მასზე. თავისი ბინძური თვისება ბეზანტიელმა იმპერატორებმა მეც მომაწერეს. ტყვე ლიპარიტიც მათი ფულით გათავისუფლებული თურქებისაგან, დააჯერეს, რომ მე მისი ოჯახის შეურაცხმყველი ვიყავი და დაუძინებელ მტრად გადამკიდეს. ჩემი მამულის მთელი აზნაურობა შემიგულიანეს, გამიორგულეს და თავისაკენ გადაიბირეს. მზაკვარნი მბრძანებელნი სდევნიდნენ ქართველთა ტომების გაერთიანების მოტრფიალეთ და სულს მიწუხებდნენ. ლიპარიტმა გამოიყვანა საბერძნეთიდან ჩემი ნახევარძმა დემეტრე, შემწედ მოიყოლა ბერძენთავე განძი და ლაშქარი და განხეთქილება ჩამოაგდო ჩემ სამეფოს კაცთა შორის და მრავალი გადაიბირა დემეტრეს მხარეზე. გარდაიცვალა დემეტრე, და რომ მომესპო განხეთქილება ჩემ მამულში, თავი დავიმდაბლე, ვუქმენ მუდარა ლიპარიტს და ცხენოსნით მცირედით მივედი მასთან ხოლეს, ჩემზე დადებული ცილის გასაქარწყლებლად, მაგრამ ლიპარიტმა არ მოისურვა ჩემი ნახვა, ისე ჰქონდა გამჯდარი ძვალ-რბილში იმპერატორების პირით შეთხზული ჭორი ჩემსა და მეუღლის თაობაზე. ყოველ ვიგინდარა ბერძენს შეეძლო ჩემი გაბიაბრუება. მოწმე ხარ კიდეც ერთი ამბისა: ხომ გახსოვს, როგორ თავხედურად შემოვიდა ნადიმზე მისი ამპარტავნებ: დღეს ეპისტოლეშ.. ეს თავხედი ბერძენთა იმპერატორის ყმას მეძახის. მწერს, თუ როგორ გაებედე უიმათოდ აქით წამოსვლა მე, ყმამ ბერძენთა იმპერატორისამ, მისი და მისი არიფის ნებადაურთველად. ვაჩვენებ, ვაჩვენებ, თუ როგორ გაებედე! ალარაა ჩემთვის საჭირო ყოველი შეურაცხყოფის მონელება. ლიპარიტი დატყვევებულია ერთგული მამულიშვილის ხელით. ზედ მივაყოლებ ცუნდრუკ აღსართანს და მაშინ, თუ ბედმა არ მიმტყუნა, ბიზანტიელი იმპერატორი არაგულწრფელად და იძულებით თანასწორობის ხელს გამომიწვდის. ვფიქრობ, ჩვენი ქვეყნის ცისკარი ამოცურდა ცაზე და მის წინსვლას ძნელად თუ ვინმე შეაჩერებს. ვფიქრობ და მჯერა კიდეც, ჩვენ ქვეყანას ბრწყინვალე დღეები დაუდგება. იქნებ ბევრი რამ გადაეღობოს წინ, მაგრამ მაინც დაუდგება. ჩემში სჩქეფს სისხლი დავით წინასწარმეტყველისა, ჩემში სჩქეფს არსაკიანთა და სასანიანთა სისხლიც, მე ვარ მემკვიდრის მყოლი ფარნავაზიანთა ნატამალიც, რომლის შთამომავლებში გაუახლდება ჩვენს ქვეყანას არსაკიანთა და სასანიანთა სისხლიც. დადგება დრო და ჩემი შთამომავალნი გადალახავენ ზეკარზე უფრო მაღლა აზიდულ უღელტეხილებს...

ბაქარი აღტაცებული უცქერდა მეფის ფერისცვალებას. ბაგრატი მიდუმდა და სასანიანი ათრთოლებული დაეწაფა საამბორებლად მის მგრძნობიარე, მაგრამ მუდამ მტკიცედ მოქმედ ხელს.

ბაგრატმა ასწრაფებით მოხადა მუზარადი ყმაწვილს და შუბლი გადაუკოცნა. მერმე ხელი ჯავახეთისაკენ გაიწვდინა და დასძინა:

— ახლა კი იქითკენ, სულასკენ! სრულიად საქართველოს შემცველ ტაძარს ერთმა ბაგრატმა საძირკველი ჩაუყარა, გარს ზედეთანი შემოუყოლა და კართა თავამდე კედლები ამოუყვანა, დაე მეორემ კართა ანყოლებზე ქუდით მორთული ბალავრები გადაუტაროს! აბა! სულასკენ! — გაიმეორა მეფემ და ბრძანება გასცა, წასვლის მზადებას შესდგომოდნენ.

10

თუ მეფე არ ახანებდა და მიისწრაფოდა სულასკენ, თვითონ სულაც დიდ მოლოდინში იმყოფებოდა. ბაგრატის ერთგული ყმა ესწრაფოდა ლიპარიტისა და მასთან ერთად დაპატიმრებული შვილის იოანეს ბედის გადაწყვეტას, და, როგორც მეფის ერთგულ ყმას, ამის მოგვარება კალმახის დიდგვარიანს მეფის უფლებად მიაჩნდა. ლიპარიტის ბედი მის დატყვევებისთანავე შეეძლო თვითონვე გადაეწყვიტა და შური ეძია მასზე, როგორც პირად მტერზე და იოვანეს დასჯითაც სარგებლით აენაზღაურებინა ლიპარიტისაგან მიყენებული მთელი სიდუხჭირე. განა თავის დღეში დაავიწყდებოდა სულას, ლიპარიტმა რომ დაატყვევა არყის ციხესთან ბრძოლაში და სურდა კალმახის ხელში ჩაგდება. მაგრამ სულამ ცარიელზე დასვა ეს თავსგასული დიდგვარიანი: ვერაფრით უარი ვერ ათქმევინა კალმახის პატრონს თავის კალმახზე. თავს სასიკვდილოდ გასწირავდა სულა და არავის დაანებებდა უსიერ კლდეზე აღმართულს, დიდშენს მაგარსა და შეუვალს, გაუგარელ პიტიახშთა ნაოფლარ კალმახის ციხეს. განა გრიგოლი იყო, ძე აბუსერისა, რომელსაც მოსთხოვეს არტანუჯი „სიკუდილისა ქადნებითა“ და დაათმობინეს! ძელსა ზედა გასულმა სულამ კი სიცილ-ხარხარი გადააყარა მწამებელ ლიპარიტს.

— ეი, შენ! ღვთის ურჩო! პატრონისაგან ქვეგამხედვარო! ვერას მიაღწევ ჩემი წამებით! სასანიანთა გვერდისა ვარ! თუ არ მომდგამს სასანიანთა ტანი ბუმბერაზული, სული მაინც მიდგია მათი! ჩემი სული

ჩემ გვამსა უფლობს და მრუდედ ნაბიჯს არ მადგმევინებს. გაიხსენე არჩილი, ჭიჭუმმა რომ აწამა, ჭიჭუმის მსგავსო! ვერ ათქმევინა ჭიჭუმმა არჩილს ვახტანგ გორგასლის განძის ადგილი და ვერც სჯული ქრისტესი დააგდებინა. ვერ დამათმობინებ და ვერც აიღებ ჩემ წინაპართა, გუგარის პიტიახშითა ნაგებ კალმახის ციხეს. მტრის ურჩნი იყვნენ პიტიახშნი და კლდეც მონახეს მათ, პიტიახშთა, მტერთა ურჩი, მიუდგომელი, და იქ აიგეს თავშესაფარი. ნათესავი ვარ პიტიახშთა, მტერთა ურჩი, ღმერთისაგან ნაკურთხი მეფეს მორჩილი და ჩემი კალმახი ემორჩილებოდა ჩემ სურვილს, სურვილი ჩემი — მეფეთა მეფეს, ჩემ პატრონსა და მის მომვლენელს ზეციერს. ჩემი სურვილი კალმახის მეციხოვნეთა კერპია და მერმე თვითონ, კლდეც კალმახისა არ მიგიყენებს!

მართლაცდა მეციხოვნეთა რაზმი პატრონისებრ კერპობდა და კალმახის კლდეც მის სიკერპეს აასკეცებდა. ლიპარიტი მოღალა კალმახის ციხემაც, სულას წამებამაც, ბაგრატისაგან ქვეგამხედვარმა ჩას ერთგულ ყმას საპყრობილეღა გაუწესა. სულა მისმა მწყალობელმა პატრონმა მეფეთ მეფემ ბაგრატმა დაიხსნა საბადლო ტყვის — ლიპარიტის მახლობლის განთავისუფლებით.

სვე შეუტრიალდა ლიპარიტს. ამაყი, ქედუდრეკი დიდგვარიანი ახლა თვითონ ჩაუვარდა სულას შვილითურთ ტყვედ. ახლა თვითონ მოელოდა თავის ნაწამები ადამიანისაგან წამებას სამაგიეროს. მაგრამ ლიპარიტს არ გაუმართლდა ეს მოლოდინი. სულამ განუცხადა მტკიცედ, მეფის ტყვე ხარო. გრიგოლ არტანუჯელი კი მოითხოვდა ლიპარიტის წამებას. ძეს აბუსერისას ჰსურდა, ლიპარიტზე განეხორციელებინა ძველი აღთქმური თქმა: კბილი კბილის წილ და თვალი თვალის წილო. ჰსურდა ლიპარიტისათვის მიეძღვნა ისეთი დამცირება, როგორც ლიპარიტმა ნას აგემა. მაგრამ რას გახდებოდა აბუსერის ძე სულასთან, რომელსაც ლიპარიტმა ვერცა „მრაველითა ტანჯვითა“ და ვერცა „ძელსა ზედა გასუმითა“ „ჰო“ ვერ ათქმევინა. სულას მოქნილი შუათანა ტანი, შუბლი სიკერპის მამხილებელი და სამშობლოს სიყვარულად ქცეული, და მთლად დაფლეთილი გული, მხოლოდ და მხოლოდ მის მოუხრელობასა და . სიმტკიცეზე მეტყველებდნენ: ორჭოფობა, ყოყმანი არ მოსდგამდა მთლიან საქართველოს მაღმერთებელს. გრიგოლი კი, თითქმის ბუმბერაზი თავისი აგებულე ით, ჭკუასაც არ მოკლებული, მაგრამ ხშირად

ჭკუის დაუმორჩილებელი გულის მქონე, უფრო გულით მოქმედებდა ყოველ საქმეში. სულას გული კი ყოველთვის ჭკუას ემორჩილებოდა. მისი გული თავის ზრახვებში ჭკუას ეკითხებოდა მხოლოდ. ლიპარიტსა და სულას შეთანხმებით რომ ემოქმედათ მაშინ, ყველანი სამუდამოდ უნდა გამოსთხოვებოდნენ მთლიანი საქართველოს შექმნას. განგებამ ისე ქმნა, რომ სულას საქართველოს გამთლიანების სიყვარული ჩაუნერგა და სიყვარულის გასაკაჟებლად თითქოს მოწინააღმდეგედ მასზე არა ნაკლებ მტკიცე, მაგრამ თავისი პირადი ზრახვისათვის ამოქმედებული ლიპარიტი მოევლინა. ბევრჯერ ცდილობდნენ სულას გადაბირებას ბიზანტიელები, მაგრამ კოზი ნაცარში ჩაუვარდათ. სულა ჰკიცხავდა მესხ აზნაურთ, მეტ წილად ბიზანტიისაკენ გულით გადამიჯნულებს და თუ სადმე წაასწრებდა, სინისლას უქრობდა. ერთ რამეში ჰგავდა მხოლოდ გრიგოლი სულას: ერთიცა და მეორეც, უებრო და უშიშარი მეომარნი იყვნენ. ერთიც და მეორეც,თუ ლიპარიტს არყის ციხესთან ბრძოლაში ტყვედ ჩაუვარდნენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ლიპარიტის მოზღვავებულ ჯარს – ბერძნებსა და ლიპარიტის სხვა ამყოლებს წინ გადაეღობნენ და მეფეს შეაძლებინეს სამშვიდობოს გასვლა. აქ გრიგოლი სასწაულებს ახდენდა. ტყვედ ჩავარდნილს კი ფეხი წაუბორძიკდა. სიკვდილით რომ დაექადნა აულაგმავი დიდგვარიანი, გული აუმოქმედდა, ოჯახი გაახსენა, ვაითუ ოჯახი უპატრონოდ დამრჩესო, ათქმევინა და ჭკუაც შეუბოჭა. მამაპაპისეული სხვა მაბულით, მცირე მამულით დაკმაყოფილდა, უბრძანა გულმა და არტანუჯი წალკოტ-ვენახიანად დაათმობინა, ლიპარიტის ხელში ჩააგდებინა ეს ნაბიჯი გრიგოლს ვერ ეპატიებინა თავის თავისათვის და ჰსურდა, მეფის დაუკითხავად ტანჯვა და წამება მიეყენებინა ლიპარიტისათვის, შური ეძია თავის შეურაცხმყოფელზე.

– მაგრამ, გრიგოლ, ეს შენი სურვილი ხომ მეფეთა მეფის ურჩობას მოასწავებს! არტანუჯი ტანჯვამ, სიკვდილით დაქადნებამ დაგათმობინა. ამისათვის პასუხს ვერავინ მოგთხოვს ძლიერად, ვერც მეფე, ვერც ზეციერი, მაგრამ მეფის ურჩობისათვის პასუხს მეფეც მოგთხოვს და ზეციერიც. მეფე ჩვენი საქართველოს მთლიანობაა. ვინც ამას ელობება წინ ურჩობით, ის პასუხს აგებს ამ მთლიანობის გამახორციელებელი პიროვნების სამსჯავროს წინაშე.

ღრმა რწმენით თქმულმა სულას ამ სიტყვებმა გრიგოლს გული

შეუტრიალა, ჭკუა გაუნთავისუფლა გულის ბატონობისაგან და სწრაფად დაჰყვა სულას.

— შენ მართალი ხარ, სულა! მეფეთ მეფემ უნდა მსჯავრი დასდოს ლიპარიტს. კიდეც რომ აპატიოს შეცოდებანი, ჩვენ ხმაც არ უნდა ამოვიღოთ, — უთხრა აბუსერის ძემ და სულასებრ დაუწყო ლოდინი მეფისაგან ამბავს.

დღეს ორივემ სამზერ ადგილად გამონახეს ციხის ჩრდილო კოშკის ბანი. ქვევით ჩახედეს ვიწრო ხეობას. თვალი ამოადევნეს კალმახის კლდეს, ძირიდანვე კიბურად ამონადენს, მის ანახეთქს, ოთხკუთხედა წახნაგების მქონე მოგრძო ქვებს, თავის დედა ნიადაგს არმოცილებულს, მისი რელიეფის მიხედვით მასზე დალაგებულთა და თავის შეჯამებით კიბურობის ასახულობის შემქმნელ კოშკებსა და გალავანს, ბოლოს გადაანაცვლეს და გააყოლეს მთათა კალთებით შემოჭრილ ვიწრო ხეობას, და მზერა მიაპყრეს მაღალ მთაზე გადმონადენ უღელტეხილს. დიდხანს უცქირეს.

უღელტეხილზე მხედრებმა ამოაქანეს ცხენები, წამს შეასვენეს და ისე ჩამოაქანეს ვიწრო ხეობაში. გზა ხეობის წყალს მოსდევდა. წყალს ადევნებული გზა კალმახის კლდის ძირსაც ხვდებოდა. მხედრები ციხეს ვერ აცდებოდნენ. ვიწრო ხეობა მიხვეულ-მოხვეულად გასწოლოდა ძირში მასზე იერიშის მიმტან მთებს და მხედრებიც ხან თვალს ეფარებოდნენ, ხან თვალს ხვდებოდნენ. ციხის მზიდავ მთას რომ მიუახლოვდნენ, ციხისაკენ ამ იმავალ ბილიკს ამოჰყვნენ.

— მეფის იფრინდები! — წამოიძახა გახარებულმა სულამ.

იფრინდები სამნი იყვნენ სამების ძალზე. გალავანს მომდგართ სულას ხმას ბუკის ხმა მოადევნეს... პასუხად ციხეში მყოფთაც აახმაურეს ბუკი. შორს გაფანტულმა ბუკთა ბგერებმა ხეობა აამღერეს. სულამ და მისმა სტუმარმა კოშკის ბანი დააგდეს. მხედრები მართლაც მეფის იფრინდები აღმოჩნდნენ. ბაგრატი იბარებდა სულას ტყვეებიანად. ახალქალაქში მისვლას უბრძანებდა. სულას აღარ დაუყოვნებია.

— ახლავე მივდივართ, — განუცხადა არტანუჯელს კალმახელმა.

არტანუჯელი თავისებურად შეყოყმანდა. უნდა ეთქვა, სჯალაო, მაგრამ სულამ სწრაფად შეაჩერა.

— შენ თვითონ სწრაფობდი ლიპარიტის დასჯას, მსჯავრის დადებას

და ახლა გინდა, გააჭიანურო? მეფეთ მეფეს ზედმეტად ვერ ვალოდინებ! — უთხრა მტკიცედ მეფის ერთგულმა ყმამ და გრიგოლმა ხმა აღარ ამოიღო.

სულა სამზადისს შეუდგა. ჯარასავით დაატრიალა გალავანში, ყველანი. ცოტა ხნის შემდეგ ცხენები მზად იყო წამსვლელთათვის. გამოიყვანეს ტყვეები: ლიპარიტი და მისი შვილი იოანე.

მამა-შვილი ერთი იერისანი იყვნენ, თავისთა წინაპართა არ დაშორებული ნატამლები, მაგრამ ერთმანეთის მსგავსებას მაინც ნაკლებად წარმოადგენდნენ. მამის ოდნავ წინ წამოზიდული შუბლი ფუძედ დასდებოდა არწივისებურ ცხვირს, მის აქეთ-იქით ოდნავ მაღლა ალმაცერად აზიდულ წარბებს, რომლის ქვეშიდან პატრონის სიმძლავრის აღმსარებელი თვალები გამოიყურებოდა. ხორბლისფერ პირისახეზე დამსერავი ხაზების რიცხვი მეტყველებდა, რომ მეფის ურჩ დიდგვარიანს დაუცხრომელი ცხოვრება ეტარებინა, რომ მისი ხნოვანება სამოც წელს აღემატებოდა, მაგრამ მკვრივი აგებულება მაინც გვამის სიძლიერეს ამჟღავნებდა. შვილის სწორი შუბლი მოშვილდულ წარბებსა და ოდნავ ქედაზიდულ ცხვირს დაჰმყარებოდა. ტანბრგეს უფრო სულის უმკვრივობა ახასიათებდა. ამას ჰმოწმობდნენ, თუმცა ლამაზი, მაგრამ მოდუნებული ტუჩები, ხანდახან მკრთომნი მოუთმენლად. ტყვედ ჩავარდნილი თვალებს მოუსვენრად აფეთებდა. მამის ენერგია არ მოსდგამდა, მაგრამ დაუდეგრობასა და დიდგვარიანობა უაზრო თავნებობას არ იყო მოკლებული. ერთგულება მისი ბუნების ღირსებას არ შეადგენდა. უერთგულებდა მხოლოდ ძლიერ არსების მქონე პატრონს. სუსტს პატრონს კი უფრო დაასუსტებდა. წამსვე გაურგულდებოდა.

რომ გამოიყვანეს გალავნის ეზოში, იოანე გამომყვანთ რატომღაც ქორივით აუფორიაქდა. მამამ რომ გადახედა, იოანეს ქორის სულისკვეთება სწრაფად გაუქრა.

— ძეო ჩემო! ტყვე ხარ, მაგრამ თავი ღირსეულად უნდა გეჭიროს! — უთხრა ლიპარიტმა. — უბრალო სიბრაზე არაფერს გიშველის. სამასხაროდ ნუ გაიხდი თავს.

ლიპარიტმა სულა დაინახა და სიტყვა შეწყვიტა.

სულა ტყვეებისათვის გამზადებულ ცხენებს ათვალიერებდა. არტანუჯელი გვერდში ამოუდგა.

— რა ძალიან უთვალთვალებ ჰუნეებს! ეგაც მეტია მაგათთვის, — წამოილაპარაკა გრიგოლმა. — კარაულებზედაც რომ შესხა მამა-შვილი, ისიც საკმარისია.

— რით ვერ გაიგე, გრიგოლ, რომ მეფეს საღად უნდა მივგვარო ტყვეები! — უპასუხა სულამ.

ლიპარიტმა გაიგონა ეს და გულში ძლიერი ტკივილი იგრძნო. სულას ხელით თავის დასჯას ადვილად აიტანდა, მაგრამ მეფისაგან, მისი მეუღლის შეურაცხმყოფელისაგან, ვერა და ვერა.

ლიპარიტს თანამეცხედრის შეურაცხყოფის გახსენებაზე ტანში ჟრჟოლამ დაურბინა. ბაგრატთან ტყვედ მყოფი მისი მეუღლე, საღსალამათი ადამიანი, მოულოდნელად გარდაიცვალა. თავი მოიწამლაო, გავარდა ხმა. ამ ხმას სწრაფად მეორეც მოჰყვა: რაღაც საშინელება დაჰმართეს თურმე იმ ადამიანს და, მეტი რა ღონე ჰქონდა, თავი უნდა მოეწამლაო. რა საშინელება დაჰმართეს, ამას ჯერ არავინ ამბობდა. თვითონ ბაგრატმაც ჯერ არა იცოდა რა. ამ დროს მეფე ქუთათისს არ ყოფილა. კახეთის მეფესთან და მის ერისთავებთან ნაბრძოლი და კახეთის ციხეთა აღებით მოღალული მხოლოდ ბრუნდებოდა „სახლად თვისად“. შინ რომ მივიდა, პირდაპირ ამ ამბის ბრჭყალებში მოხვდა. ელდა ეცა მეფეს. ლიპარიტის თანამეცხედრის დიდი იმედი ჰქონდა. ტყვედ ჰყავდა, მაგრამ ისე ეპყრობოდნენ როგორც დედას. ბაგრატი გათავისუფლებასაც უპირებდა ლიპარიტის თანამეცხედრეს. ვთხოვ, ლიპარიტთან მომარიგოსო, ფიქრობდა. ლიპარიტის თანამეცხედრის სიკვდილმა კი იმედები გაუცრუა. უკვე გარდაცვლილი დახვდა. მოახსენეს, მოწამლულიაო. თანმხლებელი ქალები ჭკუაზე შერყეოდნენ. — ორნი იყვნენ. გამოკითხვისას არეულად ლაპარაკობდნენ. სულ შეშინებული თვალებით იმზირებოდნენ. ყველაფერ ამის მნახველს ბაგრატს ველარ ეწამებინა რა. ეს ამბავი კარგს არას ჰპირდებოდა. მისსა და ლიპარიტს შორის მორიგების ხიდის გადება სრულიად შეუძლებელი ხდებოდა. ახლა კი მეფეს ელდა გაუსკეცდა, როცა მის ყურს უხამსო ხმა მოხვდა: მეფემ თავისი დედის ტოლი, ლიპარიტის თანამეცხედრე გააუპატიურა, ქალმა ვერ აიტანა ეს შეურაცხყოფა და თავი მოიწამლაო. ამ ხმას ხელი შეუწყო ლიპარიტის თანამეცხედრის თანმხლებლების ჭკუაზე შერყევამაც. ვინ რა სინამდვილეს გაიგებდა შეშლილებისაგან. ბაგრატის მტერს სწორი ანგარიშით ემოქმედნა. ჩუმ-ჩუმ მითქმა-მოთქმას ბოლო აღარ ჰქონდა ქუთათისში.

აღარავის აგონდებოდა, რომ ამ საშინელ ამბის დროს ბაგრატს, კახეთიდან დაბრუნებულს, ჯერ ქუთათისამდე არ მოეღწია. ორი დღე უნდა ეარნა კიდევ. ქუთათლნი ერთი მეორეს არწმუნებდნენ, გაუუპატიურებიაო, ყველას დავთრები არეოდა და საშინელ ციხისწამებებს ღრმად ძირს უდგამდნენ. მაგრამ ბაგრატმა სწორედ ამგვარ მდგომარეობისას უფრო ძლიერ იცოდა გონების სიმახვილის გამოჩენა. მეფეთ მეფემ წამსვე დაუსვა თავის თავს კითხვა, თუ ვის სჭირდებოდა ამგვარი ხმის გავრცელება, ვის სჭირდებოდა, რომ ლიპარიტი მუდამ დაუცხრომელი მტერი ყოფილიყო, მუდამ კრიჭაში სდგომოდა, და წამსვე გონების თვალი მის კარზე ჩვეულებრივად ბიზანტიის იმპერატორის თვალთა და ყურთა ნაცვლად მუდამ მყოფ ბერძნებზე შეაჩერა. ეჭვი არ იყო, მეფეთ მეფეს ამათ ოინებთან ჰქონდა საქმე. სრულიად საქართველოს მთლიან ერთეულად გარდაქმნის მოსურნემ თვალთაგან ცეცხლი გადმოაბნია, დაიმუქრა. საიდუმლო ბრძანება გასცა, არც ერთი იფრინდი ბერძენთა წარმომადგენლებისა ხელიდან არ გაეშვათ, ჩუმად დაეპატიმრებინათ. წერილი იქნებოდა, წერილი ჩამოერთვათ, სიტყვიერი დანაბარები იქნებოდა, სიტყვიერი დანაბარები ეთქმევინებინათ მკაცრი ზომების წახმარებით.

„მოგვიანებით კი არის ეს ბრძანება, — თქვა თავისთვის ბაგრატმა. — ალბათ ამბავი წასულია კიდეც კონსტანტინეს ქალაქში და თურქების ტყვეობიდან ახლადგათავისუფლებულ ლიპარიტს მალე აცნობებენ და დააჯერებენ ამ ჭორს, მაგრამ არ შეიძლება უამისობა, რომ ჩემს კარზე მყოფმა ბერძენთა წარმომადგენლებმა კონსტანტინეს ქალაქს შემდგომ გაგზავნილ წერილებში არა წამოაყრანტალონ რა. რაიმე საბუთი უნდა ჩავიგდო ხელში, რომ ლიპარიტი ჩავაჩუმო და დავარწმუნო, თუ როგორ მეგობრებთან ჰქონდა საქმე. ჩემთვის უსაბუთოდაც ნათელია, საცოდავი ქალი მაგათ მოწამლეს. რამე საჭმელი შესთავაზეს მოწამლული ვითომდა თავის მეგობრის თანამეცხედრეს. ასევე უქმნეს, უეჭველია, ამის თანმხლებლებს. გონება შეურყიეს ორივეს, რომ თავისი დანაშაული მიეჩქმალათ... გამოვარკვევ ყველაფერს, გამოვარკვევ!“ — დაურთო ბაგრატმა ბოლოს თავის ნაფიქრს.

სანამ გამოარკვევდა, თვეები გავიდა. მეფემ კი ჩაიგდო ხელში საბუთი, მაგრამ კარგა ხანი იყო გასული, რაც ბიზანტიელ მბრძანებლებს ეცნობებინათ ლიპარიტისათვის, ბაგრატმა თანამეცხედრე გაგიუპატიუ-

რაო, ლიპარიტსაც დაეჯერებინა და ეზარებოდა ბაგრატთან შეხვედრა. დიდგვარიანს ახლა უმთავრესად შურისძიება ამოქმედებდა, სწადდა ბრძოლაში მიწასთან გასწორებით თავისი ოდესღაც პატრონად აღსარებულისა და ახლა მხოლოდ და მხოლოდ შეურაცხმყოფის დამცირება. ახლა რომ შეესმა, სულას მეფესთან მიეყვანარო, გული აუფორიაქდა, გააჟრჟოლა, მაგრამ რა უნდა ექნა? სულას ვერ სთხოვდა, აქვე დამსდე მსჯავრიო. ეს უდრიდა მოწყალების თხოვნას. თვითონ უწყალოდ მოეპყრა კალმახელს დიდებულს და ის რაღად უნდა მოპყრობოდა მოწყალებით თავის არ შემწყალებელს. სულასაც ხომ მოსდგამდა, როგორც თვით ლიპარიტს, თავის ნათქვამობა.

აგე, ჰუნენი შეკმაზულნი დგანან. სულა უკანასკნელ ბრძანებას აძლევს მეცხოვნეთ! აჰა! ლიპარიტისათვისაც და მის ძის იოვანესათვისაც ჰუნენი მოამზადეს. მათკენ წამოიყვანეს. სულაც გამოჰყვა მათკენ ჰუნეთა წამომყვანთ. ლიპარიტმა თავს ძალა დაატანა და მოახლოებულ სულას მიმართა. გულში ცეცხლი ენთო დატყვევებულს, მაგრამ სიტყვებში სიგრილე გამოუცემდა.

— რად გინდა სულა, რომ მეფეს მიმგვარო? — დაიწყო ლიპარიტმა. — ხომ შენი ტყვე ვარ. ქართლის დიდგვარიანს შეგიძლია შენ თვითონვე დამდო მსჯავრი.

— მე დაგდე კიდეც ჩემი მსჯავრი. ესაა მეფეთა მეფესთან შენი მიგვრა, — უპასუხა ლიპარიტს სულამ და ბრძანა ტყვეები ცხენებზე შეესხათ.

ლიპარიტმა დუმილით თავი აიღო. გულში სულას სისხლის ძლიერი წყურვილი აიმოძრავა, მაგრამ ტყვე რას იზამდა.

სულამ გადახედა ტყვე დიდგვარიანს და თავის სიტყვებს დასძინა:

— შენ გეზარება მეფეთ მეფეს პირზე შეხედო. ვიცი რისთვისაც და ამიტომ მსურს, რომ შეხვდე — ჯერ ამით გსჯი. მერმე თვითონ მეფე გაგიმჟღავნებს ისეთ მკვეთრ საბუთს, რომ შენ გულს უჩინარ ბასრს მახვილს აგრძნობინებს და ქედს გადაგიტეხს. მეორე სასჯელს ამით გაყენებ. სხვა მეტით დასჯა შენი მე აღარა მსურს.

სულა რაზმს მიუტრიალდა.

— აბა! ჰა, სწრაფად! ჰუნებზე! — ყველანი ცხენებს მოასხდნენ. ცხენებზე შესხმული ტყვეები რაზმმა შუაში მოიქცია და კალმახელის ეზო მიატოვა.

— აჰა! ესეც ჯავახეთის ახალქალაქი! — აღმოხდა ბერას ახლადნაგებ ქალაქს მოსვლის მეორე დღეს დილით, როცა მისი თვალი საფუძვლიანად გადაევლო თვით ქალაქსა და მის მიდამოებს.

— როგორც გინდა თქვი, და ჩვენ უჯარმასთან ვერ მოვა. მაინცდამაინც მტრისათვის ძნელი მისადგომი კია. აქედან ჯავახეთის ციტკვარი, იქიდან ახალქალაქის წყალი. ხელად კი მოუნათლიათ ეს რაღაც ხევი ახალქალაქის წყლად! ეს ამირანის გორააო, არა, ფერის?.. ძალიან არ შეეფერება ამირანს!.. რა ქალი ყოფილა ეს გურანდუხტ დედოფალი?! მეფეთ მეფე ალბათ ამაყობს, რომ აგეთი დაი ჰყავს! მამაკაცი რომ იყოს და უფლება ჰქონდეს ტახტისა, თავის პაპას ბაგრატს თუ არ გადააჭარბებდა, არ ჩამოუვარდებოდა მაინც. ეგ რომ არ ყოფილიყო, ვინ იცის მეფე დღესაც მჯდარიყო იმ დაწყევლილს კონსტანტინეს ქალაქში! როდის მოსულან ორტილიდან?.. ჰო! ჰო! სამი დღეა, აქ გელოდებითო, გუშინ აკი მოახსენა გვირგვინოსან ძმას... კაცო, რა საშინელი ბრალი დაუდვია ლიპარიტს თურმე მეფისათვის! — ბერამ ხელი დაადო მუხლზე მის გვერდით მჯდარ თავდახრილ ფერისს.

ახალქალაქი, როგორც ახლად გაშენებული, ჯერ კიდევ ვერ შეევსოთ საკმაო ბინებით და მეფემ ისევ კარავთ ბანაკი გააშლევინა და თავისათვისაც კარავი დაადგმევინა. მხოლოდ დედოფალი ბორენა მოთავსდა გურანდუხტთან, რომელსაც ბინა დაედვა თავისი პაპას ბაგრატის ბრძანებით ნაგებ მცირე სასახლეში. მეფისწულიც, ცხრა წლის გიორგი, ქართლის მეფედ ნაკურთხი ლიპარიტის სურვილით ექვსიოდე თვის წინათ, დედასა და მამიდას თავისთან ჰყოლიათ. ყრმას გული კარვებისაკენ გაუწევდა, მაგრამ გურანდუხტის ერთი გადახედვა ამ ზრახვას მისი არსების შორეულ კუნჭულში ამალვინებდა. რაღა თქმა უნდა, დედოფლის მცველი რაზმიც კარვებში მოეთავსებინათ და დედოფალს სადარაჯოზე მხოლოდ ორ-ორი სპა ეყენა. უჯარმელთა კარავში ბაქარსაც ჰქონდა თავისი ადგილი, მაგრამ მეფეს თითქმის სულ გვერდით ჰყავდა. სასანიანი ხშირად ეჯიბის მოვალეობას უსრულებდა ბაგრატსა.

ბერას ხელმა გამოარკვია ფერისი და თავი მაღლა ააღებინა.

— რა იყო, ბერავ! — წამოილაპარაკა უგულოდ რევის ერთგულმა ყმამ.

— მე გელაპარაკები, მგონია, ყურს მიგდებს-მეთქი, შენ კი, ვინ იცის სად ხარ გონებით! — უსაყვედურა ზენკალმა.

— სად უნდა ვიყო? ჩემ პატრონთან. მეშინიან, იმ უღმერთომ შურისძიება იცის და არა უმუხანათოს რა.

— რევის ვერაფერს გაუბედავს კვეტარელი მეკობრე, — წარმოსთქვა დარწმუნებით ბერამ. — მე მეორე დიდგვარიან მეკობრეზე გეუბნებოდი. ლიპარიტს საშინელი ბრალი დაუდეია მეფეთ მეფისათვის. ამ უღვთომ როგორ გაბედა?!

— როგორ გაბედა! ჰუმ! — ჩაიცინა ფერისმა. — მე შენ გითხრა, დაუშლიდა რამე! თუ სულ წინ ელობებოდა მეფეს და ებრძოდა, უშლიდა ქართლის დაჭერას ჭრელი ხალხის ქომაგობით, მაგასაც გაუბედავდა. საბაბი არ უნდოდა განა, თავის მოქმედება გაემართლებინა?...

ბერამ სიტყვა შეაწყვეტინა.

-- აგე! მეფისწული დასხლტომიათ ხელიდან დედასა და მამიდას, დედოფალთა დედოფალსა და დედოფალს. ტყუილია! ბავშვობასთან ვერას გახდება ადამიანი. ბავშვი მაინც ბავშვია. გინდ მეფისწული იყოს, გინდ უფლისწული რომელიმე დიდი გვარიდან, მოუნდება კუნტრუში და აისრულებს წადილს. აი მაგალითი. როგორი ფხიზელი თვალით დასტრიალებდნენ ახლა დედაცა და მამიდაც, მამიდა უარესად... ნეტავი მაცოდინა, როგორ დაუსხლტა! სასეირო ამბავი სწორედ!.. ეჰე! აქეთ მოხტის...

მართლაცდა მეფისწულმა გიორგიმ უჯარმელებთან მოირბინა.

ლიპარიტის მეოხებით ქართლის მეფედ გამოცხადებულს და გვირგვინ-ნაკურთხს ბავშვს, ტანზე გაწყობილი, მუხლების თავთ დამფარველი, ფირუზისფერი კაბა ეცვა, შინდისფერ ხაზნარიანი ყვავილებით დამშვენებული, გულამოჭრილი სამკუთხედად, წინ შეკრული სარტყლის არემდე, ფირუზა ყვავილების მქონე ოქრომკედა საოლველებით — მკერდის არეზე, მკლავებსა და მაჯებზე, კალთების ნაპირებზე. სამკუთხედად ამოჭრილი კაბის არეზე შვინდისფერი უსარტყელო პერანგი მოუჩანდა, საყელე ადგილის წინა კიდეზე ცხრა მსხვილი მარგალიტით. ფეხთ კოხტად გამოყვანილი წაღები ეცვა და კენარ ტანს უმშვენებდა.

ბერა და ფერისი ფეხზე წამოუდგნენ, შესაფერისი სალამი მისცეს. ბავშვს სახე შეუფერიანდა, მაგრამ პირი მაინც არ მოურიდებია და

სალამზე სალამი არ დაუხანებია. ხმა კი არ ამოუღია. რაღაცის თქმა უნდოდა და ვერ თქვა. თითქოს ერიდებოდა.

ბერა წაეშველა.

— ბრძანებას ველით, მეფისწულო!

— მაშ უჯარმა ქართლს ჰკუთვნებია, — წარმოთქვა მეფისწულმა.

— არა, კუხეთს ეკუთვნის.

— აბა, მაშ როგორ გიბრძანოთ? მე მხოლოდ ქართლის მეფე ვარ.

ბერამ თავი ვერ შეიკავა და გულიანად გადაიხარხარა. ფერისმა გაიღიმა.

ბავშვმა შუბლი შეიკრა. იწყინა ასეთი მოპყრობა. მკაცრი გამომეტყველება მიიღეს მისმა ყომრალმა თვალებმა.

თავისი წახდენილი საქმე ბერამ ისევ თვითონ გამოასწორა.

— მეფისწულო, მეფეთ მეფის ძე ბრძანდები და შეგიძლია ჩვენც გვიბრძანო!

მეფისწულს შუბლი გაეხსნა, პირზე ღიმი აუთამაშდა.

— აბა, მაშ შენი კომბალი მაჩვენე!

— მერმე და აგრე მალე ვინ მოასწრო და გიამბო ჩემი კომბლის ოინები!

— ვინ და ველთამ.

— ერთი იმას უყურე და! სულსწრაფი! — წამოიძახა ბერამ და მეფისწულს მიმართა. — კარავში ხომ არ ინებებ შემობრძანებას?

— არა, აქ გამომიტანე, ჩემო ბერავ!

— მეფისწულმა მიმისაკუთრა, — იხუმრა ზენკალმა და კარავიდან თავისი სახელოვანი კომბალი გამოიტანა.

— სწორედ ჩემი სიგრძე არ ყოფილა! — წამოიძახა მეფისწულმა.

— მძიმეა, მეფისწულო, გაგიჭირდება მაგის აწევა, — დასძინა მეფისწულის სიტყვებს ბერამ. — თუმცა ჩვენი ბაქარი თავისუფლად ატრიალებდა ამ კომბალს შენოდნობას. საოცარი არაბავშვური ძალა ჰქონდა ბაქარს. რამდენი წლისა ბრძანდები, მეფისწულო?

— ცხრისა! მეც მაქვს ძალა. მამიდას უკვირს: შენოდენას და მაგოდენა ძალაო!

რაკი ეს გაიგონა ბერამ, თავის კომბალი უყოყმანოდ გადააწოდა ყრმას და თან დასძინა:

— ინებე, მეფისწულო! გურანდუხტ დედოფალი ისეთი ადამიანი ჩანს, თავის დღეში არ შეცდება.

— მეფისწულმა ჯერ ცნობისმოყვარეობით დაათვალიერა და შემდეგ მართლა თავისუფლად დაატრიალა თავისი ნაკეთი პატარა მარჯვენათი, რომელიც კომბლის ტარის ნახევარ სიგანეს ვერც კი შემოეჭდო.

ბავშვმა გააცა ზენკალი. ბერას ვერ წარმოედგინა, რომ მის კომბალს ბაქარს გარდა კიდევ ვინმე ცხრა წლის ყრმა თავისუფლად შეათამაშებდა.

გამარჯვებულმა მეფისწულმა ჩააბარა პატრონს ანაბარი და გულწრფელად აღნიშნა:

— მართლა ძალიან მემძიმა, ჩემო ბერავ, ეს კომბალი.

— რას ბრძანებ, მეფისწულო? ისეთი მებრძოლი რაინდი იქნები, რომ ცალი არ გეყოლება. შენს მარჯვენას ენაცვალოს ბერა ზენკალი.

ზენკალი მეფისწულს მარჯვენაზე ეამბორა.

— ჩემო ბერავ, ხომ მასწავლი კომბლის ხმარებას? — შეეკითხა მეფისწული.

— შენ ბრძანე მხოლოდ, მეფისწულო, და ყველაფერს აგისრულებ, — განუცხადა ბერამ აღტაცებით. — თუკი ნება დამრთო... — უნდა ეთქვა, შენმა მშობელმა, სრულიად საქართველოს მეფეთ მეფემო, მაგრამ მისმა ყველაფრის სწრაფად დამნახველმა თვალმა ხელი შეუშალა, მხედართა რაზმი დაინახა, შორს მომავალი.

— რაზმი გამოჩნდა აგე სამხრეთიდან! — წამოიძახა ზენკალმა. — ნეტავი რა რაზმია?

— სულა კალმახელს მოელის მეფეთ მეფე, — გაუმარტა მეფისწულმა ზენკალს. — გუშინ ლაპარაკობდნენ იქ, — სასახლისაკენ ხელი გაიშვირა.

— მაშ ის იქნება თავის რაზმით, — თქვა ფერისმა, — ტყეები, ლიპარიტი და მისი შვილი იოვანე მოეყოლება თანვე. გზიდან აცნობებდა მეფეს, ამ დროს ახალქალაქს ვიქნებიო. ლიპარიტის შვილი ნიანია კი გაჰქცევია. ამბობენ, კლდეკარის ციხოვანთა არ მიიღეს და საბერძნეთში გადავარდაო.

ფერისი მოულოდნელად მეფისწულს მიუტრიალდა.

— როგორ გექცეოდა, მეფისწულო, ლიპარიტი, ეს აღვირახსნილი დიდგვარიანი.

ბავშვმა მხრები შეიშმუშნა: „აღვირახსნილი“ არ ესიამოვნა.

ფერისმა გაიოცა.

მან კარგად იცოდა, რომ ბავშვი ალღოთი ამჩნევს ხოლმე თავის მიმართ ადამიანის მტრულსა და მოყვარულ ქცევასაც და ამიტომ მისცა ასეთი შეკითხვა მეფისწულს. უბრალო მოვლენა ხომ არ იყო. ბაგრატ მეფის ძე გიორგი, თავის მტრის შვილი, აჰყავს ლიპარიტს ქართლის ტახტზე მას შემდეგ, როცა თვით ბაგრატმა ბიზანტიას წასვლის წინ ქუთათისში ამ ძეს აფხაზეთის გვირგვინი უკურთხა. თქმა არ უნდა, ლიპარიტმა მოიმოქმედა ეს რაიმე განზრახვით და არა ბაგრატის ძის სიყვარულით. ალბათ ნიადაგს უმზადებდა ბაგრატსა და მის ძეს შორის განხეთქილების ჩამოგდებას: ბავშვი გაიზარდებოდა ქართლის მეფედ და მეფობას შეჩვეული, მტრად გადაექცეოდა მამას. მაგრამ რევის ყმას, პატრონისაგან გაწაფულს აზროვნებასა და დასკვნებში, წამსვე გურანდუხტი გაახსენდა და უმალ ეჭვი შეეპარა თავის პირველ დასკვნაში. გურანდუხტ დედოფლის მიწვევა ქართლის მეფედ ნაკურთხი გიორგის პატრონად, გიორგის მზრდელად გამოცხადებულ ლიპარიტს უნდა სცოდნოდა, რომ მამისა და ძის წაკიდებას არ გამოიწვევდა. გურანდუხტი ისეთივე მოტრფიალე იყო სრულიად საქართველოს გამთლიანებისა, როგორც მისი ძმა ბაგრატი. მერმე მეფისწულს აფხაზეთის გვირგვინიც ჰქონდა ნაკურთხი, ქართლის მეფედაც იყო ნაკურთხი და ბაგრატი ამ დროს ბიზანტიას იმყოფებოდა. ამგვარად საქართველოს მთლიანობას ხომ საძირკველი ეყრებოდა: ალბათ ლიპარიტს არ უნდოდა, რომ თვით ბაგრატი მოჰქცეოდა სათავეში ამ საქმეს, ჰქონდა მტრობა მხოლოდ ბაგრატისა. არა მარტო ჭორის გამო, ჭორამდეც ველარ ინელებდა ლიპარიტი ბაგრატს. ფერისმა ეს კარგად იცოდა.

მან კიდევ გაუმეორა გიორგი მეფისწულს თავის კითხვა, მაგრამ კითხვას სიტყვა „აღვირახსნილი“ კი გამოაკლო.

მეფისწულმა უპასუხა.

— შვილიშვილს მეძახდა! ეს კაბა მისი არჩევით შემიკერეს, მოუხდებაო. სულთნის ნაჩუქარი თავისი ჰუნე, კამკამა თეთრი მე მომეძღვნა. თეთრი გიორგი იყავი ჩვენი ქვეყნისათვისო.

ფერისმა ფიქრთა დენა შეწყვიტა და მეფის ბანაკს გადაავლო თვალი. კარვებიდან სპანი გამოიშალნენ. გამობრძანდა მეფეც და თან გამოჰყვნენ თანმხლებელნიც.

— ბერავ! — მიმართა ზენკალს ფერისმა. — რაზმი უნდა ვაახლოთ დედოფალთ დედოფალს, ალბათ.

— აგე ბაქარი წამოვიდა! — წამოიძახა მხიარული კილოთი მეფისწულმა.

ნათლად ჩანდა, გუშინდლიდან გაცნობილი ბაქარი უკვე გულში ჩავარდნოდა პატარა გეირგეინოსანს.

უჯარმელებმა რაზმი გააწყეს და ბაქარიც მოვიდა. დედოფლის ბინისაკენ გაემართნენ. გიორგი მეფისწული ბაქარს ამოუდგა გვერდში და ლაპარაკი გაუბა.

— ბერას კომბალი ვნახე! ხომ უნდა მენახა? თავისუფლად დავატრიალე, თუმცა ჩემი მარჯვენა მის სახელურის ნახევარ სისქესაც ვერ შემოეჭდო. რა მძიმე კომბალია! — ჰ!.. ისე შევაწებე ხელი, რომ კაცი ვერ გამაგდებინებდა. აი ისე დავატრიალე სწორედ, შენ რო ცხრა წლისას დაგიტრიალებია. მეც უნდა მავარჯიშოს ბერამ კომბლის ხმარებაში...

— შენ ეგ მითხარი, უფლისწულო!.. — შეაწყვეტინა ბაქარმა სიტყვების ნაკადი ბავშვს, — რა პასუხი გავცე დედოფალთ დედოფალს დედაშენს ან გურანდუხტ დედოფალს მამიდაშენს, შენ რომ გამომექცი უმცველოდ მეფეთ მეფის კარავიდან ჩვენი რაზმის ბანაკამდე?.. ამ ფარღალალა ქალაქში მეფისწულს უმცველოდ ერთი ნაბიჯიც არ გადაედგმის.

— შენ რომ ტყეშიც დადიოდი უმცველოდ, ნადირობდი მშვილდ - ისრით, — შეაგება სიტყვები მეფისწულმა ბაქარს. — ველთამ მითხრა, მე კი მხოლოდ მეფეთ მეფის კარავიდან თქვენ კარავამდე ვიარე მარტო. ბერა და ფერისი მხედავდნენ. აი მცველები!

— ბერავ! ეს სულ შენი სიტყვები მხვდება წინა, თორემ ველთამ რა იცოდა! — უსაყვედურა ბაქარმა ზენკალს და მერმე ისევ მეფისწულს მიუტრიალდა. — მე რად მადარებ შენ თავს, მეფისწულო! მე უბრალო უფლისწული ვარ, შენ კი მეფისწული, მეფეთა მეფის ძე ხარ, ერთიან საქართველოს მომავალი პატრონი და გეუბნები, უმცველოდ ერთი ნაბიჯიც არ გადაგედგმის, მეფისწულს მცველობას ვერ გაუწევენ თუნდაც ახლოდან მამზირალნი.

— თუ აგრეა, რად დავიბადე მეფისწულად! — წამოიძახა ბავშვმა. — მარტო ნაბიჯი ვერ გადამიდგამს!

მეფისწულმა თავი დახარა და სანამ შინამდე მივიდოდნენ, აღარაფერი

უთქვამს რა. თავში ისღა უტრიალებდა ბავშვსა, თუ როგორ აეცდინა ბაქარისათვის დედოფალთა საყვედური.

დედოფლებმა კაი გუნებით მიიღეს თავისმცველი რაზმი. ამბავი კიდეც იცოდნენ, რომ სულას რაზმითურთ და ტყვეებიანად ფეხი კიდეც შემოედგათ ახალქალაქის ახლო სანახებში. დედოფალთ დედოფალი ბორენაც და გურანდუხტ დედოფალიც მზად იყვნენ მეფეთა მეფის კარავისაკენ წასასვლელად, რომ დახვედროდნენ სრულიად საქართველოს მთლიანობის ერთგულ მესვეურს, სულა კალმახელს.

გურანდუხტ დედოფალმა მეფისწულს ძლიერი მოწყენილობა შენიშნა სახეზე.

არც დედოფალ ბორენას და არც გურანდუხტ დედოფალს არ მოსვლოდათ ამბავი, გიორგი მეფისწულის უმცველოდ გაელისა მეფის კარავიდან უჯარმელთა კარავამდე. ეს ამბავი სულას მოსვლას მიეჩქმალა.

— რა მოგივიდა, შვილო? — ჰკითხა მზრუნველობით მამიდამ.

ბორენაც შეშფოთდა.

— რა იყო, გიორგი? — შეეკითხა ახლა ის.

ბავშვი მუხლებში ჩაუვარდა დედას და უხმოდ ატირდა, რაც იშვიათად მოდიოდა. ტირილის მუდამ ერცხვინებოდა.

— შენ ტირილი არ იცოდი, რამე რომ გტკიოდეს კიდეც, — უთხრა მტირალს ბორენამ. — ხალხი გიცქერის.

ბავშვი ხელად გაჩუმდა და გაწითლდა. პატარა რომ დაწყნარდა, ალაპარაკდა.

ბავშმა უამბო დედოფლებს, თუ რა ჩაიდინა და სთხოვა, ბაქარისათვის არ ეთქვათ საყვედური: არ შემიჯავროსო. მინდა ბაქარი სულ ჩემთან იყოსო.

— მაგას რას ბრძანებ, მეფისწულო! — უთხრა გულწრფელად ჭაბუკმა, — მტლად დაგედები. საყვედურს თუ მეტყვიან დედოფლები, ღირსი ვარ. თავი ცოცხლად რაღად მინდა, რომ ჩემის მიზეზით გევნოს რამე.

ბაქარი ხელზე ეამბორა მეფისწულს. გიორგიმ ვერ შეიკავა თავი და სიყვარულით მოეხვია ბაქარს.

არაჩვეულებრივი დახვედრა ერგო სულას პატრონისაგან. ასე არც ერთი ხელმწიფე არ დახვედრია თავის ყმას. ბაგრატ მეფემ ქალაქის პირას მიაგება კალმახელს თავისი ლაშქარი, თავისი თავი, დედოფლები, ძე თავისი გიორგი და ბაქარი, ძველთა მეფეთა ნათესავი სასანიანი თავისი რაზმითურთ.

მეფისწული გიორგი ლიპარიტის ნაძღვნევ თეთრ, მართლადა კამკამა თეთრ ცხენზე იჯდა. ფართო მკერდი ცხენისა მის ძლიერებას მოწმობდა. ზომიერი გავა, მკვრივი ბარკლები, კუნთები, წერილი ნათალი კიდურები და კოხტა სახოვნების პატარა ფლოქვები კიდევ მის სისწრაფეს ადასტურებდა. გემოვნებით შეკერილი კაბა მეფისწულისა ცხენის სითეთრეს ისე შეჰხამებოდა, რომ მეფისწული ცხენიანად ერთ დაუნაწევრებელ არსებად ეჩვენებოდა ადამიანს. ლიპარიტმა თვალი მიაპყრო ამ პატარა მხედარს და პირისახეზე სიკეთე გადმოიბნია: კარგად შეამჩნია, რომ პატარა მხედარი ცალი თვალით მისკენ იცქირებოდა. მიხვდა, მისგან ქართლის მეფედ ნაკურთხი მეფისწულის გული მისკენაც მიიწევდა. ქართლის მეფეს მისი ნახვა უნდოდა. ნათლად ჩანდა, რომ ბავშვს ბევრი კარგი ახსოვდა მისგან.

დამარცხებული დიდგვარიანის თვალი ახლა მეფისწულთან მდგარ საჭურველიან მხედარზე შეჩერდა: ეს ვიღა მისდგომია ბაგრატს? ამ კითხვაზე მისი პასუხის გამცემი ჯერ არავინ იყო. ყველას გულისყური სულასკენ მიემართნა. ბაგრატს კი ერთხელაც არ მიუხედნია მისკენ. ამ მოვლენას ლიპარიტმა ღირსეული ქცევა დაარქვა და მადლიერების თვალით გადახედა ბაგრატის ზურგს. მისი თვალი მეფისა და მის ერთგულ ყმათა შეხვედრაში გაერთო.

აგერ სულა კალმახელი და გრიგოლ არტანუჯელი ჩამოხტნენ ცხენებიდან და მუხლმოდრეკით თაყვანი სცეს მეფეს. ბაგრატმა ორივენი თავისი ხელით წამოაყენა და გადაკოცნა. მოსულებმა სალამი ახლა დედოფლებს უძღვნეს. ლიპარიტმა ცხადად დაინახა, რომ სულამაც მიაქცია ყურადღება იებიან მხედარს, და ისევ შეაჩერა თვალი ბაქარზე:

„ნეტავი ვინაა? ნეტავი ვიცოდე, პირველად და უკანასკნელად ვხედავ მაგას, თუ კიდევ დავინახავ?..“ – ფიქრი შეუწყდა ლიპარიტს: ბაგრატის

ბოძების სიგელის წაკითხვას შეუდგა მწიგნობარი. ბაგრატი ერთგული სამსახურისათვის უბოძებდა სულა კალმახელს მამულობით ციხისჯვარსა და ოძრხეს, სხვასაცა მრავალ საქონელსა და საძღელთმოძღვაროთა.

ბოძების ამბავი გათავდა. ბაგრატმა ერთგულნი ძვირფასნი ყმანი თავის კარვისაკენ გაიწვია და ბაქარიც იხმო.

„ბაქარი რქმევია, – წარმოთქვა ლიპარიტმა გულში. – რა კეთილშობილური აგებულებისაა! ეტყობა, უბრალო სისხლი არ უჩქეფს. რა ღირსეულად მივიდა ბაგრატთან! ნეტავი ვინ არის? ნეტავი ვინ არის? – გაიმეორა ზედიზედ ცნობისმოყვარეობით გატაცებულმა ტყვემ და თითქოს მის პასუხად მისმა ყურმა გაიგონა ბაგრატის სიტყვები, სულას მიმართ წარმოთქმული:

– ძველთა მეფეთა ნათესავი, სასანიანი.

„ნეტავი სადაურია? – იკითხა გუნებაში ტყვემ, მაგრამ ბაგრატს ისეთი აღარა უთქვამს რა, ამის პასუხად გამომდგარიყო.

ტყვეს ახლა თავის დამტყვევებელ სულას სიტყვები მოეჭრნენ.

– ნათესავი ვარ პიტიახშთა და ცალი გვერდით სასანიანი, ვახტანგ გორგასალის ერთი ასულის ნატამალი.

ბაქარმა რაღაც ბრძანება მიიღო ბაგრატისაგან. ამ ბრძანების სიტყვები ლიპარიტის ყურს არ გაუგონია: დაბალი ხმით იყო წარმოთქმული. ბაქარი სწრაფად გასცილდა ბაგრატს და ფერისი და ბერა მოიხმო.

„ეს კომბლიანი ვიღაა? – გაიფიქრა ლიპარიტმა. – არტანუჯელს არ დაუვარდება ბუმბერაზული აგებულობით. თუ არტანუჯელისებრ სულმოკლეა, ეგ ვერაფერი. – ლიპარიტმა ფერისზედაც შეაჩერა თვალი. – არც ეს არის ნაკლები ამ კომბლიანზე, – ჰ ოვლო გუნებაში ფრთებშეკვეცილმა დიდგვარიანმა. – მაგისთანა მეომარი რომ ჰყავდეს ბაგრატს ათასამდენადაც კი, ჩვენს ქვეყანას მთლიანად ხელში ჩაუგდებდნენ. აგე მეფისწული მივიდა ბაგრატთან. რაღაც უნდა სთხოვოს მამას და ვერ უბედავს. შეფერიანდა. აბა, რას ეტყვის მამას ჩემი პატარა მეფე“.

ლიპარიტი სმენად გადაიქცა. მაგრამ მეფისწულმა ვერ გაუბედა მამას რაიმეს თქმა. მხოლოდ ბაქარს და ორ უჯარმელს გადააკლო თვალი.

– ჰო, ვიცი, რაც გინდა, – უთხრა შვილს ბაგრატმა. – გინდა ბაქარს გაჰყვე.

მამის სიტყვებზე მეფისწულმა თავი დახარა.

— გაჰყევი! გაჰყევი! — მოაყოლა ნათქვამს ბაგრატმა, — და მერმე იმასთან ერთად მიდი ჩემ კარავში. ნადიმი უნდა გავუმართოთ სულას, ჩვენს ერთგულ ყმას. იქ კარავის წინ ბერასაც გამოვუშვებ საასპარეზოდ.

მეფისწულმა მადლობა მოახსენა გვირგვინოსან მშობელს და მოხერხებულად ცხენი ბაქარისაკენ გადააფრინა.

ბაგრატმა აღტაცებით გაადევნა თვალი შვილს.

„რაინდი იქნება უშიშარი, დიდებული, — თქვა თავისთვის მეფემ, — ზედმეტ გულჩვილობას რომ არ იჩენდეს“.

გიორგი მეფისწული ბაქარს მიეჭრა.

— მამამ შენთან წამოსვლის ნება დამრთო! — უთხრა გახარებულმა. — ხომ არ გაჯავრდები, ბაქარ, რომ ასე მოვაბერხე.

ბაქარმა მხოლოდ გაუღიმა, გვერდით მოიყენა მეფისწული და ფერისთან და ბერასთან ერთად თავისი რაზმი ტყვეებისაკენ გადაანაცვლა, ტყვეებს შემოარტყა, სულასაგან მიჩენილ მცველთა მაგივრად, და ტყვეებიანად თავიანთ ბანაკისაკენ გაიყოლა.

მეფესაც აღარ დაუხანებია და დედოფლებთან და საპატიო სტუმრებთან ერთად ლაშქრითურთ თავის კარვისაკენ გამოსწია.

ბაქარს ბაგრატისაგან ნაბრძანები ჰქონდა, დაებინავებინა ტყვეები დედოფლის მცველი რაზმის რომელიმე კარავში და მიენდო ფერისისათვის, თვითონ კი დაბრუნებულიყო მის კარავში ნადიმზე დასასწრებლად და თან ბერაც წამოეყვანა.

ბაქარი უფრო მეფისწულს ადევნებდა თვალს, ვიდრე ტყვეებს. მისი ცხენზე თავისუფალი ჯდომა ჭაბუკს ძალზე აკვირვებდა. თვალი ლიპარიტზე გადაიტანა: ეტყობა, ლიპარიტი სიყვარულით ეპყრობოდა მეფისწულსო, გაიფიქრა მან. გიორგი მეფისწული ლიპარიტს მიუახლოვდა. შვილი ლიპარიტისა, თუ დაუდევრად იმზირებოდა აქეთ-იქით, თვით ლიპარიტი თავდაბრილი ფიქრს მისცემოდა. მეფისწულმა ხელი შეახო ყოფილ მზრდელს და ამ ხელის შეხებით ალერსი აგრძნობინა მას. ლიპარიტი შეკრთა და თავი აიღო. ბაქარმა ნათლად დაინახა, რა დიდი სიყვარული გამოჰკრთოდა მეფისწულისა დატყვევებულ მეამბოხეს თვალებში.

— მეფე ქართლისა! — წამოილაპარაკა ლიპარიტმა.

მეფისწულმა გაუღიმა. გიორგის სწადდა ეთქვა რამე ლიპარიტისათვის, მაგრამ ბაქარისა ერიდებოდა. ლიპარიტმა შენიშნა ეს და ბაქარს მიმართა:

— განა ბავშვს ჩემთან ლაპარაკის ნებას არ აძლევ?

— ფიქრადაც არ მომსვლია, — უპასუხა ბაქარმა ლიპარიტს და მეფისწულს გადახედა. ეს გადახედვა ნიშნავდა მეფისწულო, თავისუფალი ხარო.

მაგრამ ლიპარიტმა ყურადღება მიაქცია ბაქარის სადა ლაპარაკს, მოიწადინა მისი ვინაობის უფრო დაწვრილებით გამორკვევა და ბაქარს მიმართა:

— სადაური სასანიანი ხარ? აქაური?

— არა! კუხელი ვარ: უჯარმიდან. შემიძლია ვთქვა, უკანასკნელი იმ მხარეში.

— მამა გყავს?

— რევის უხმობენ.

— ეს ის რევი იქნება, იცი, მამაჩემო! — წამოილაპარაკა მოულოდნელად ლიპარიტის ძემ, იოანემ, — აი მაშინ, სვეტიცხოვლობას მშვილდოსნობასა და ხმლის ხმარებაში რომ გაიმარჯვა. კარგა ხანია მას აქეთ, თხუთმეტ წელიწადზე მეტი იქნება ალბათ. ოცი წლის ვაჟკაცი იქნებოდა მაშინ. გასაოცრად ისროდა ისრებს. ცხრა მტრედი აუფრინეს ერთი მეორეზე მიყოლებით და არც ერთი გაუგმირავი არ დატოვა. რა გაუჭირვებლივ მოქმედებდა მისი თვალი და ხელი! ახლა ხმლით როგორ იბრძოდა და! — იოვანეს სახეზე გულწრფელი აღტაცება აღებეჭდა. — მერმე კომბლის ხმარებაშიაც უნდა მიეღო მონაწილეობა და რატომღაც უარი თქვა. მაგა ჰყავდა თანა, მგონი, ჭაღარა შერეული. მამამისი დაიძრა, ისიც თან გაჰყვა. მე მხოლოდ ექვსი მტრედი ჩამოვაგდე.

მიყუჩებული ბერა ჯერ ყურს უგდებდა იოანეს ლაპარაკს და მერმე, რაკი მის სიტყვებში კომბალმაც იჩინა თავი მოუთმენლობამ შეიპყრო და ალაპარაკდა.

— სწორედ ის რევია. მეც იქ ვიყავი. ჩემი კომბლით უნდოდა გამოსვლა, მაგრამ მამამ ნება აღარ მისცა და თვითონაც წაუხდა გუნება ერთი მიზეზის გამო.

იოანემ ბერას გადახედა.

— შენც მაგონდები, ბუმბერაზო. მაგონდები, რომ მაშინ შენ გამოხვედი კუხეთიდან კომბლებით ასპარეზობაში. მართლა საოცრად ხმარობდი კომბალს. გეტყობა, აქამდე არ მიგინებებია მაგ იარაღისათვის თავი, — იონემ ზურგზე მიუთითა: — ახლაც ზედა გაქვს.

— სად არის ახლა რევი სასანიანი? — იკითხა ლიპარიტმა. — მართალი უნდა ვთქვა: ძალიან მომეწონა ის ვაჟკაცი.

ბაქარს მამის გახსენებაზე დაღვრემილობა მოეფინა პირისახეზე. პასუხი დაახანა ყმაწვილმა. თქმა არ უნდა, ესიამოვნა, რომ მამამისი ქებით მოიხსენიეს, მაგრამ ამ ქებასთან დაკავშირებული წარსული ბედნიერების გაქრობამ მამისამ გული დაუწვა. გაიხსენა ყმაწვილმა მამის ყოფნა მცხეთის სვეტიცხოვლობას წარსულში, მამისგან ნაამბობი. გონების თვალი გადაავლო მამის ცხოვრებას ნანას სიკვდილამდე, მოიგონა ნანას სიკვდილთან დაკავშირებული ამბები და ხმის ამოღება გაუძნელდა.

ლიპარიტს კიდევ მისთვის კითხვა აღარ გაუმეორებია. თვითონ მოუხდა ამ დიდგვარიანის წარსულში გონების თვალის ტრიალი. წინ ამოუტივტივდა ოცი წლის ჭაბუკი რევი სასანიანი, რომელიც ანაზდეულად გულში ჩაეჭრა. ვინ იცის, რა სახელმწიფოებრივი აზრი არ დაებადა მაშინ თაეში პატრონისაგან უკვე ქვეგამხედვარად ქცეულს.

„თუ ჭაბუკი სასანიანია, — ფიქრობდა ლიპარიტი მაშინ, — მაშასადამე, უფლება აქვს საქართველოს ტახტზე ასელისა. მირიანისა და გორგასალის ჩამომავალი იყოს და უფლება არ უნდა ჰქონდეს?.. მაგრამ ხომ წმიდა არჩილის შვილებით დამთავრდა სასანიანთა ჩამომავლობის პირდაპირი შტო. გვერდის შტოს თუ ეკუთვნის რევი?.. მაშინ ბევრი არაფერი გამოვა რა“.

ლიპარიტმა მაინც დაიწყო გამოკითხვა რევის თაობაზე, თუ სასანიანთ რომელ შტოს ეკუთვნოდა იგი და გაიგონა ამბავი საგულისხმო: სარკინოზნი სდევნიდნენ სასანიანებს და მათი გასაგისის გაწყვეტას ლამობდნენ. წმიდა არჩილის ძე ჯუანშერი მტერს მოუკლავს, მაგრამ გადარჩენილა მისი თანამეცხედრე ლატავრი, რომელიც ამ დროს ფეხმძიმედ ყოფილა. ლატავრის დაბადებია ვაჟი და მამის სახელი ჯუანშერი დაურქმევიათ. ლატავრის ეს ამბავი არავისათვის განუცხადებია. ქალი საიდუმლოდ ზრდიდა ძეს. სანამ სარკინოზებისაგან გამძაფრებული დევნა არ მინელებულა, მანამდე საიდუმლო არ გამომჟღავნებულა. ლატავრის დიდად უზრუნვია შვილზე. მამის სახელის მატარებელი ჯუანშერი ფილოსოფოსად და მწიგნობრად გამოუზრდია. თხუთმეტი წლისა რომ გამხდარა მალულად გაზრდილი ვაჟი, ლატავრი გარდაცვლილა. ვაჟის საშკვიდრებლის დაუფლებას სხვები ცდილან, მაგრამ ვერას გამხდარან. ჯვარპატიოსნობას, თხუთმეტი წლის ჭაბუკი ჯუანშერი, მალულად

აღზრდილი, ჯვარპატიოსანში გადასულა და ხალხს რომ დაუნახავს, დაუძახნია, ეს არის, უეჭველად, ძე ჩვენი პატრონის ჯუანშერისაო! ისე ძალიან ჰგვანებია ჭაბუკი მამას ჯუანშერს. ხალხს გაურეკია სამკვიდრებლის მოდაევნი და მისი უფლება განუმტკიცებია ამ სამკვიდრებელზე.

ლიპარიტმა თვალი ისევ ბაქარს მიაჩერა. მოსწონდა ბაქარი, ისე როგორც რევი მოეწონა ერთ დროს.

„სასანიანთა გვარი ისეთი მოდგმისაა, — გაიფიქრა ლიპარიტმა, — რომ თხუთმეტი წლისანიც ადვილად გამოდიან ცხოვრების ასპარეზზე. ვახტანგ გორგასალი იყო და თხუთმეტი წლისამ უკვე დიდი ომები გადაიხადა. საიდუმლოდ აღზრდილი ჯუანშერიც თხუთმეტი წლისა გამოვიდა ცხოვრების ასპარეზზე თურმე. როგორც მაშინ გავიგე უჯარმელ ზოგ მწიგნობარისაგან, ამ ჯუანშერმა თავის მემკვიდრეობითი უფლება იმითი განიმტკიცა, რომ თხუთმეტი წლისას ჰქონია დაწერილი თავისი საგვარეულოს ამბავი და უწვენებია ხალხის მამასახლისებისათვის გვარეულობის ნივთები, რომლებიც დედას მისთვის დაუტოვებია, როგორც სასანიანთა ნატამალისათვის. გამზრდელსაც დაუმოწმებია ჯუანშერის შვილობა მისი. აი ახლაც გვერდით მომდევს ჭაბუკი სასანიანი. თხუთმეტი წლისა იქნებოდა, მეტისა არა... როგორ ღირსეულად უჭირავს თავი და! ტყუილად კი არ მინდოდა მაგისი მამა ბაგრატის მეტოქედ, მაგრამ დავიგვიანე: მალე ვერ გავიცანი... ვაჩე არსუკისძემ, კერპმა ხუროთმოძღვარმა, ბაგრატის მასწავლებელმა და მისთვის თავდადებულმა მომხოემ, დამასწრო: თავისი ქალი მიათხოვა რევის და გზაც თავისი მისცა... არა, რა მისხლივ-მოსხლივა ვძიობდი, გვერდის შტო იყო სასანიანთა, თუ პირდაპირი, რევი სასანიანი? განა არ ჩანდა, რომ პირდაპირი შტო ირხეოდა ჩემ თვალწინ? რევის ხომ სიმაღლე ასაკისა და სიმშვენიერე ხატისა მისი წინაპრის წმიდა არჩილისა ჰქონდა. რა ღმერთმა შემშელა, რომ მეწვრილმანედ ვიქეცი? მაშინვე რომ გამეცნო რევი პირდაპირ ჩემი ზრახვანი ხომ სინამდვილედ იქცეოდა. მეც ხომ ვიყავი მაშა მშვენიერი ასულის მზევინარისა. მერმე იქ არა მყავდა ეს ჩემი მზე იმ სვეტიცხოვლობას, სვეტიცხოველში წამოყვანილი? ქალი მხიარულ სხივებს აბნევდა ტოლებთან ლხინში დამიდარდიანდა მოულოდნელად. ღრმა სევდა მოედო მის გულს. ვეღარა ვუშველე რა ჩემს ასულს, — ლიპარიტმა ამოიკვნესა: თვალწინ ამოუტივტივდა ასული, ჯერ სხივოსანი, და მერმე სევდით სხივებმიმქრალი. — ნეტავი მაცოდინა,

საყვარელო ჩემო ასულო, თუ რა დღიდან მიგიქრო სევდამ სხივები? – ჰკითხა მამის გრძნობამ ასულს, ამართულს სურათად ლიპარიტის წინა და მიიღო პასუხი, ცხადი პასუხი ასულისა: „ვნახე რევი სასანიანი, სიმაღლითა, ასაკითა და სიმშვენიერითა ხატი წინაპრისა მისისა წმიდა არჩილისა, გამარჯვებული მშვილდოსნობასა და ხმლის ხმარებაში და გულმა გამწია მისკენ. გულს ვერ გავყევი და გული დამეხურა.“.

ლიპარიტმა ძლიერად ამოიოხრა. გაიხსენა, რომ სწორედ იმ სვეტიცხოვლობას ასპარეზობის გათავებისას აღარ ჰშლიდა სხივთა ჯგუფებს მისი ასული.

„მაშ ჩემმა მეტისმეტმა სიფრთხილემ დაგღუპა, ჩემო ასულო. შენც და ჩემნი დიდნი ზრახვანიც... დიახ, დიდნი ზრახვანიც... მეც მინდოდა შემექმნა მთლიანი საქართველო... ვინ იცის, რომ მეც ნათესავი ვარ ძველთა მეფეთა სასანიანთა. სულამ ამაყად განუცხადა ბაქარს ბაგრატთან, ცალი გვერდით სასანიანი ვარ, ვახტანგ გორგასალის ერთი ასულის ჩამომავალიო. გაიხსენონ მატიანე ქართლისაი, გაიხსენონ იქ ნათქვამი: „წარვიდა იოანე ეგრისად და წარიტანა თანა დედა და ორნი დანი თუისნი“. აი სწორედ ამ იოანეს ნათესავი ვარ, იოანე უმრწმესი იყო ჯუანშერზე. ცუძე ქართველთა ტომების ქართლი და კახეთიც ჯუანშერსა ხვდა. და იგრისი, როგორც უმრწმესი, იოანესა. და მაშ ვარ გვერდის შტო სასანიანთა. ბაგრატიანებს, სასანიანთა ერთი ასულისა და აფხაზთა ერისთავთ ნატამალებს, თუნდაც ქრისტეს ძმათა ნათესავთა, აფხაზეთი ხვდათ უეგრისოდ, ეგრისი ჰფლობდა მთელ სამხრეთს. ქართველ ტომთა გული, მცხეთა, ქართლის დედა, დედა ქართველთა ქვეყნებისა სასანიანთა კუთვნილია და სასანიანთა ჯერ პირდაპირი შტოს ნატამალს, მერმე გვერდისას, თუ პირდაპირი მოისპობოდა, უნდა ეუფლათ მთელ ერთეულად გადაქცეულ ქართველთა ტომთა ქვეყანაზე... აი სიმართლე. მაგრამ, ჩანს, რომ ბედი უკულმა უტრიალებს სასანიანთ. რევი ხელიდან გამომაცალეს ქართლის ვულში. მე სასანიანთა ნატამალად აღარავინ მცნობს: გვერდის შტო ვარ მივიწყებული და ნიადაგი ვერ გავიმკვრივე... რა მაბრძოლებდა? ამ ბაგრატის მუდმივი რყევა...“

ლიპარიტმა ფიქრს თავი ანება და მიმართა ბაქარს:

– მითხარი, ჭაბუკო! მამაშენი ხომ არ გარდიქმნა? ისევ ისეთი მშვილდოსანია და ხმლისა მარჯვე მხმარებელი? ხომ არ უმტყუნა რევი სასანიანს მარჯვენამა?

— ამ ორი თვის წინათ კიდევ გვიჩვენა თავის სიმარჯვე ხმლის მოქნევაში, — მიუგო ბაქარმა.

— დიახ, გვიჩვენა! — წამოიძახა ზენკალმა აღტაცებით. — სულ კუდით ქვა ასროლინა კვეტარელ მეკობრე დიდგვარიანებს, იაზონ ცალქალამანიძეს და მეკობრეთა რაზმს.

ბერამ დაწვრილებით მოუთხრო ლიპარიტს ბრძოლის ამბები.

— გვარცხვენს, გვარცხვენს დიდგვარიანებს მეკობრე დიდგვარიანთა გუნდი, — წარმოთქვა ლიპარიტმა და ამავე დროს თავში გაუელვა აზრმა: „მაინცადამაინც ცუდი არ იქნებოდა, რომ ვაჩე მოეკლათ გინდ იმ მეკობრეებს. ერთია კი, დიდი ხუროთმოძღვარი დააკლდებოდა ჩვენს ქვეყანას. ქართლს შეუძლია იამაყოს ასეთი ადამიანით, მაგრამ ბაგრატის კერპი მოსამსახურეა და ეს მისიებს გულს“.

— ჭაბუკო, როგორ მოხვდი ბაგრატთან? — ჰკითხა ლიპარიტმა ბაქარს.

— პაპაჩემმა აი ამ ორი თანმხლებლით გამომგზავნა დავალებით, — უპასუხა ბაქარმა.

— მერმე და აგრეთ ახალგაზრდას როგორ განდო საქმე? — ლიპარიტს ამის თქმაზე პირზე ღიმმა გადაურბინა: დიდგვარიანმა ტყვემ მოისურვა ამგვარი კითხვით, ჯერ ერთი, ვაჩესთვის კბილი გაეკრა, აღენიშნა, ჭკვიან ხუროთმოძღვარს აფუმე მოსვლია, რომ თხუთმეტი წლის ჭაბუკისათვის საქმე დაუვალებიათო და, ამასთან, მოიწადინა გაეგო, ღირდა ეს ჭაბუკი იმათ, რომ მისთვის საქმე დაევალებინათ.

ბაქარმა წყნარად და აუღელვებლად უპასუხა.

— წერილის წამოღებას რა ბევრი რამ უნდა, პაპის ტოლო, როცა თან კიდევ ორი ამისთანა მხლებელი გყავს? — მიუთითა შემკითხველს ყმაწვილმა.

ბერამ ამის გამგონმა თავის კომბალს ახედ-დახედა, რითაც თქვა, ვინ გაუბედავს ბაქარს ჩემთან რამესო, ფერისმა კიდევ წყნარად წამოილაპარაკა.

— ჩემი უფლისწული ნამდვილი მამაა გონების თვალის გამჭრიახობითაც და იარაღის მოხმარებითაც.

— ის ადამიანი, რომელიც უტეხ ტყეში გახელებულ ტახს მარტო შეებმის და მოჰკლავს, მკლავითაც მარჯვეა და გონებითაც, — დასძინა ბერამ ფერისის სიტყვებს.

იოანემ ბერას ნათქვამზე ფართო თვალები უფრო გაიფართოვა და

ბაქარს მიაჩერა.

— შენ მოჰკალი, ჭაბუკო, გახელებული ტახი მარტოდმარტომ? — ჰკითხა გულწრფელი გაოცებით.

— მხოლოდ შემთხვევით! — უპასუხა ბაქარმა მოკლედ და საყვედურის თვალით გადახედა ბერას, რითაც აღნიშნა, სალაპარაკო არა არის რაო.

ლიპარიტი თვალყურს ადევნებდა ბაქარის სიტყვებს და იხიბლებოდა, თან იმეორებდა გუნებაში: ჰო! სასანიანნი არიან, ხშირად თხუთმეტი წლისანი თავის ხნოვანებას გონებით კარგა წინ რომ უსწრებენ ხოლმეო, და გაიხსენა ზოგი რამ ნაბიჯი თავისი, თხუთმეტი წლისამ რომ გადადგა.

აქამდე გაჩუმებული მეფისწული ვერ ახერხებდა ლიპარიტთან გამოლაპარაკებას და ახლა გამოელაპარაკა, რაკი ბაქარზე მიდგა საქმე.

— ლიპარიტ პაპავ, როგორი კარგია ბაქარი, იცი?.. ეს რომ არ დამანებებდეს თავს, ბევრ რამეს მასწავლის და კარგი კაცი გამოვალ, ნამდვილი ქართლის მეფე ვიქნები მაშინ.

ლიპარიტს თვალები გაუბრწყინდა: ესიამოვნა ბავშვის გატაცება ბაქარითა და თავში აზრმა გაურბინა; ჰო, ბაქარი რომ ჰყავდეს მუდამ გვერდით და თავისი მამიდა გურანდუხტი, ჯერ მცირეწლოვან ქართლის მეფეს ძლიერ მეფედ აქცევდნენ.

— სასანიანო! — მიმართა ბაქარს ლიპარიტმა ყურადღებით აღსავსე კილოთი. — ჯერ ბავშვია ქართლის მეფე, მაგრამ გამჭრიახი ალღო აქვს. მაგისი გული მუდამ გრძნობს რიგიან ადამიანს. თუ აგრე გაფასებს, ვაჩეს შესაფერისი პირი აურჩევნიხარ დავალებისათვის.

— მეფეთა მეფეს, მამაჩემსაც ძალიან უყვარს ბაქარი, — დაუმატა მეფისწულმა თავის ნათქვამს.

— მაშ თუ ბაგრატიც მოგნდობია ასეთ მოკლე ხანს, სანდო ყოფილხარ. ბაგრატის ნდობას ძნელად თუ დაიმსახურებს კაცი. სწორედ მისმა უნდობლობამ ამამხედრა მის წინააღმდეგ. მსურდა ბაგრატის ერთგულება და მისი გული კი ეჭვით დამიხვდა. ორჯერ მივეცი შემთხვევა, რომ ტფილისი ხელში ჩაეგდო, სხვებს დაუჯერა, მე ნდობის ღირსი არ გამხადა და ტფილისი ისევ მტერს დარჩა.

— გამიგონია: მცირე ხნისა ყოფილა მაშინ მეფეთა მეფე, — უთხრა ბაქარმა ლიპარიტს. — უნდობლობაზე შენ ნდობით უნდა გეპასუხნა და მის ნდობას შენ ნდობით მოიპოვებდი.

ლიპარიტი ჩააფიქრა ბაქარის ამ სიტყვებმა.

„მართლა რა იქნებოდა, მუდამ რომ ნდობით მეპასუხნა უნდობლობაზე ბაგრატისათვის? – ჰკითხა თავის თავს გუნებაში მეამბოხე დიდგვარიანმა. – იქნებ მართლა დამეთრგუნა მისი ეჭვები, უნდობლობა, ეჭვთა ნაყოფი?.. არა, არა! მისი უნდობლობა მისი დაუნდობლობის ნაყოფია...“

უხმოდ სჯას თავი ანება ლიპარიტმა და ხმამაღლა წამოიძახა:

– ჩემი მეუღლე არ დაინდო!

– შენ ხნიანობას რომ ვხედავ, – უთხრა ბაქარმა, – უკჭველია, შენი მეუღლე დედად უნდა ჰკუთნებოდა მეფეთ მეფეს.

– რად მეუბნები მაგას, ჭაბუკო, რად? ჭორი გგონია ის ამბავი? მაშ თავი რაღად მოიწამლა ჩემმა მეუღლემ.

– იქნებ მოწამლეს შენი მეუღლე? ცოტა მტერი ჰყავს ჩვენს ქვეყანას? შენსა და მეფეთა მეფეს შორის არსებულ შუღლში მტერს უდევს წილი. მეფეთა მეფეს მაგისთანა რამ რომ ჩაედინა, განა გაბედავდა შენთან მოსვლას შესარიგებლად? არა.

უკანასკნელი სიტყვა ისე მტკიცედ თქვა ბაქარმა, რომ ლიპარიტს ხმა აღარ ამოულია. მთელ არსებაში ეჭვის თესლი მოებნა და თავში აზრმა გაურბინა:

„ვინ იცის, შურისძიებით შებოჭილმა, ვერ დავინახე სინამდვილე?.. მართლაცდა როგორ გაბედავდა ჩემი მეუღლის გამაუპატიერებელი ჩემთან შესარიგებლად მოსვლას?..

ლიპარიტს ფიქრთა დენა შეუწყდა: დედოფლის მცველ რაზმის ბანაკთან მოვიდნენ. ტყვეები უჯარმელთა კარავში მოათავსეს და ფერისის თვალყურის დევნების წრეში მოაქციეს.

ბაქარი, მეფისწული და ბერა მეფის კარავისაკენ გაეშურნენ.

13

გუშინ დიდი ნადიმი გადაუხადა ბაგრატ მეფემ თავის ერთგულ ყმას. ყველა იძახდა, სულასთანა პატივი თავის მეფისაგან არც ერთ ყმას არ რგებიაო. დღეს კი მეფის წინ უნდა მოეყვანათ ყმა ორგული, მეამბოხე, მუდამ მისი დამარცხების მცდელიც და დამამცირებელიც. მეფეთ მეფე დამშვიდებული ელოდა ამ წუთს. ყმა კი ღელავდა; გუშინ მის არსებაში მობნეული ეჭვის თესლი ყლორტებს იძლეოდა. ლიპარიტი ჯავრობდა თავის თავზედაც, ჯავრობდა ბაქარზედაც:

„რა ღმერთი გიწყრება, რატის ძევ! – ეუბნებოდა თავის თავს, – რომ ბალღის ერთმა-ორმა სიტყვამ ასე შეგაჭოჭმანა? ან ვინ მისცა ამ ღლაპს, თუნდაც ძველთა მეფეთა ნათესავ სასანიანს, ნება ჩემთან ასეთი სიტყვების დახარჯვისა? ჩემთან, ლიპარიტთან, რომელსაც მეგობრობს იმპერატორი ბიზანტიისა და სულთანიც!.. თითქოს არაფერიაო, უბრალო რამეაო, ჩემი ოჯახობის გაუპატიურება, ტყვე ვარ, ტყვე და აი რად გამიბედა თხუთმეტი წლისამ მე, დაბრძენებულს, სამოცდაათწლამდე მიღწეულს...“

მაგრამ ამაყმა დიდგვარიანმა გაიხსენა, რომ თვითონ გამოეხმაურა ბაქარს, რომ ბაქარი არაფერს იტყოდა, თვითონ რომ არ გამოეწვია საპასუხოდ.

„მე კბილის გაკვრაც მოვიწადინე მისი თავიდანვე, – გამოუტყდა თავის თავს ლიპარიტი. – იმისგან კი სადად თქმული პასუხი მივიღე. მე დავუწყე ლაპარაკი ბაგრატის უდიერობაზე და თხმუთმეტი წლის ჭაბუკს, როგორც მეთვალყურეს, შეეძლო ჩავეჩუმებინე, მაგრამ ეს არა ქნა. საიდან აქვს ასეთი სიდარბაისლე ჯერ კიდევ ყრმას?.. კითხვაზე კითხვა დამისვა და, უნდა გამოვტყდე, გონივრული. ეჰ, ლიპარიტ რატის ძევ, ასეთი შვილები უნდა გყოლოდა და არავინ დაგამარცხებდა!..

იოანეს გადახედა გულნაკლულად ლიპარიტმა, ნიანიაც გაიხსენა და მწარედ ჩაიცინა.

„არც ერთი არ მგავს... ან რა გასაკვირია, რომ ჭაბუკი სასანიანი დაბრძენებული მოგვევლინა? გუშინ არ გიამბო ფერისმა, თუ როგორ გამოზარდა ჭაბუკი მისმა მამამ რევიმ. უცხო ენები უსწავლებია ყმაწვილისათვის. მამას, თვითონაც განათლებულს, შვილიც გაუნათლებია. მე, როგორც დავინახე, ამ რევის, თავისივე ხნის არამცთუ შვილი, შინაყმაც ფერისიც კი კარგად გაუწაფია გონებრივად... დიახ! დამასწრო, დამასწრო ვაჩემ და ხელში ჩაიგდო კაცი განათლებული, დაისიძევა და ბაგრატს დიდი მომხრე მოუპოვა. ჩოხანი ჩაუცვამს რევის და, ალბათ, არ გაივლის დიდი ხანი, როცა ის ნინოწმიდელის ადგილს დაიჭერს. ნინოწმიდელი კიდევ ძალაა კახეთსა, კუხეთსა და ერეთში

ლიპარიტმა შეაჩერა ფიქრთა გვრიობა: ბაქარი მოვიდა მეფის დავალებით მის წასაყვანად. ბაგრატი მარტო ლიპარიტს მოითხოვდა, შვილს კი არა.

პირისპირ უნდა შეხვედროდა მეფეთ მეფე თავის მეამბოხე ყმას, სულას და ბაქარის თანდასწრებით. ლიპარიტს ეს ამბავი ბაქარმა აცნობა, გზად მიმავალს. ტყვე დიდგვარიანს კიდევ აეშალნენ ფიქრები ჭაბუკ სასანიანის გარშემო: თვალი ისევ მასზე შეაჩერა.

„ხედავ, როგორი დიდი ნდობა დაუმსახურებია ამ ჭაბუკს!.. უნდა კი გამოვტყდე, რომ ღირსია ამ ნდობის... ეჰ! დავიგვიანე! რევი დამისხლტა ხელიდან და ამ ჭაბუკს ველარავინ გადმოიბირებს თავისკენ, თორემ ესეც კარგ მეტოქედ გადაექცეოდა ბაგრატს. მამა ნინოწმიდელად ქცეული ტახტის მაძიებლობაზე შეგულიანებულ შვილს დიდ წონას მისცემდა... ახლა ბაგრატს გული საგულეში აქვს, მაგეთ სასანიანებისაგან მხოლოდ თავისი ტახტის განმტკიცებას მოელის, მეტს არაფერს... სხვა მოწინააღმდეგე ჩემს შემდეგ ვიღა ეყოლება?

მსჯელობაში გართულს ლიპარიტს ვერ შეენიშნა, თუ როგორ მისულიყვნენ ბაგრატის კარვის შესასვლელთან.

ბაქარი მოსახსენებლად კარავში შევიდა მეფესთან, ლიპარიტს კი ბაგრატის კარავის შესასვლელმა სხვა გზით აუმუშავა გონება.

„ტყვე ვარ და ჩემ სურვილს ვინ დაეკითხება? არ მინდა დავინახო ბაგრატის სახე, არა! მაგრამ დამანახვებენ, არამც თუ დამანახვებენ, პირისპირ დამკითხავს კიდეც თვით ბაგრატი, რომელიც გამეფებისთანავე უნდობლობით მომეპყრო, თუმცა მიზეზი არ მიმიცია. ეს მაშინ, როცა ორჯერ დიდი სურვილი მქონდა ტფილისი მის ხელში ჩამეგდო, როცა სწორედ სრულიად საქართველოს გამთლიანების მოტრფიალეთათვის საჭირო იყო ტფილისი, გაწმენდილი უცხო ტომთაგან, მათი მბრძანებლობის ფუძის მოსასპობად საქართველოში. გავწმენდი კიდეც ქალაქს და იქ ჩავუყრიდი საქართველოს სიძლიერისათვის ფესვებს. ტყუილად კი არ ამჯობინა მცხეთას ტფილისის ადგილი ჩვენმა წინაპარმა დიდმა ვახტანგ გორგასალმა. მერმე რა ადვილად გვივარდებოდა ხელში ქალაქი. სხვებს, ლანდებისაგან შეშინებულს, დაუჯერა ბაგრატმა, მე კი უნდობლობა გამომიცხადა, მე, იმ რატის შვილს, ვისაც თვით დიდი ბაგრატი, პაპა მაგისი, თვალად იღებდა...“

მამის გახსენებაზე ლიპარიტს გაახსენდა მისი დამოკიდებულება ბაგრატის პაპა ბაგრატთან. ლიპარიტის მამა ვერ ეგუებოდა ბაგრატის პაპას ბაგრატს.

„მერმე რა არის, რომ ვერ ეგუებოდა? მე ხომ საბუთი ასეთ შეუგუებლობისა პაპა ბაგრატის შვილიშვილისათვის პირველ ხანებში არ მიმიცია? ერთგულებით დავიწყე სამსახური და არ დაიჯერა ჩემი ერთგულება შვილისშვილმა ბაგრატმა, — დაიწყო თავის მართლება ლიპარიტმა, მაგრამ გაიხსენა ბაქართან ლაპარაკი და ბაქარზე მიიტანა იერიში: — რა მითხრა ამ ღლაპმა? უნდობლობაზე ნდობით უნდა გეპასუხნაო. ღლაპი-მეთქი: ძალიან ღლაპი არ არის ასეთი სიტყვების მთქმელი! ეჭვი აღმიძრა ჩემს ქცევაზე! უბედური ჩემი თანამეცხედრე!.. რა, განა შეძულებული მყავდა, რომ საშინელი თავზარდამცემი ამბავი ავიტანო, რაც მას შეამთხვიეს?! საშინელი შურისძიებით გამიმასპინძლდა ბაგრატი!.. იქნებ, ჭორიაო. აი რა მითხრა სასანიანმა ბაგრატის ქცევაზე. იქნებ, მტრებმა მოწამლესო, — გაახსენდა ლიპარიტს ბაქარის სიტყვები და აქაც ეჭვმა დაუწყო გულის ღრღნა. — იმპერატორი მწერდა, იმპერატორი, მუდამ ჩემი სიკეთის მსურველი, მოსიყვარულე!.. მერმე იმპერატორს ვინ აცნობა?.. ბაგრატის კარს ძ̇ოფმა ბერძენმა ელჩებმა. ერთი ხომ ჩემი დიდი მეგობარიც იყო. არისტახორსი, ჩემი გულშემატკივარი. — ლიპარიტი შეკრთა სიტყვა „გულშემატკივარის“ თქმაზე. მის გულში ეჭვმა წამოყო თავი. — რაში ვხედავდი გულშემატკივრობას? — ჰკითხა თავის თავს უკვე ეჭვების კლანჭებში მოქცეულმა ადამიანმა. — ვინ იცის, იქნებ შურისძიებით აღსავსე გონება დამიბნელდა და სინამდვილე ვეღარ დავინახე?.. სასანიანო, რად შეგხვდი? ეს რა მიყავი მე სამოცდაათი წლის კაცს, ბიზანტიის იმპერატორის მეგობარს, მხეცის სულთნის მომხიბვლელს შენ, თხუთმეტი წლის ჭაბუკმა?.. სული, სული შემირყიე! ეჭვების მორევში გადამაგდე! მე, დატყვევებულს, რაღა ეჭვების ჭირი მინდოდა?!. ძლიერი ლიპარიტი შენმა სადა დასკვნებმა მიწაზე დამცეს. ძნელია, ძნელი ეჭვებთან ბრძოლა, ისე ძნელი, რომ თხუთმეტი ომის გადახდა მერჩივნა ეჭვების შემოსევას!.. რა მიყავი, მე ძლიერ ლიპარიტს, სასანიანო? — გაიმეორა კიდევ გუნებაში ლიპარიტმა და თითქოს გაიგონაო, კარვის შესასვლელთან მომდგარმა ჭაბუკმა სასანიანმა გარეთ გამოიხედა.

ბაქარის გამომეტყველება მოწმობდა, რომ მის წინ ახალი ამოცანა ამართულიყო. ბაგრატთან რომ შევიდა ჭაბუკი, სულას გარდა კიდევ დახვდა ვინმე ხუნდებგაყრილი ბერძენი, გამხდარი, უსწორმასწოროდ წვერდაგრძელებული, კაი ხნის გაუპარსავ-გაუკრეჭელი. მეფეს უდიერად ედავებოდა:

— ამას, იცოდე, ბიზანტიის ყმაც, იმპერატორი არ გაპატიებს! — გაიგონა ბაქარმა ხუნდებგაყრილი ბერძნის სიტყვები. — სამშობლოში ბრუნდებოდეს იმპერატორის ერთგული მოსამსახურე, დამსახურებული, და სრულიად არაფრის ჩამდენი, დააპატიმრო საიდუმლოდ? ამას იმპერატორი არ შეგარჩენს. აბა, რა ჩავიდინე? მითხარი! ხუთი წელი. სწორედ ხუთი წელი გამომწყვდეული გყავარ საპყრობილეში და რა ბრალსა მდებ, არ ვიცოდე? დანაშაულიც რომ მიმიძღოდეს, მხოლოდ იმპერატორს შეუძლია ჩემ საქციელზე მსჯავრის დადება და არა შენ, მის ყმას...

ბერძენი ბობოქრობდა. ბაგრატი ისმენდა და იღიმებოდა. ბაქარი რომ დაინახა, მხოლოდ მაშინღა გახადა ბერძენი პასუხის ღირსი.

— აი ახლა გაიგებ, არისტარხოს, იმასაც, თუ რა ჩაიდინე და იმასაც, შემიძლია შენზე მსჯავრის დადება თუ არა, — უთხრა ბაგრატმა ბერძენს თვალთაგან ცეცხლის გადმოფრქვევით და კარავში შემოსულ ბაქარს მიმართა: — ჩანს, ლიპარიტი მოგიყვანია, შვილო! კარავში მომგვარე!

ბაქარმა წამსვე ლიპარიტთან გამოსწია.

ბერძენს, ბაგრატის ცეცხლიან თვალების დანახვაზე, თითქო კრიჭა შეეკრაო, კრინტი აღარ დაუძრავს.

სასანიანმა ტყვე მეამბოხე მეფეთა მეფესთან შეიწვია.

ბაგრატი არ აღელვებულა ლიპარიტის შემოყვანაზე. მეამბოხე ყმას, ახლა მის ტყვეს მხოლოდ დამშვიდებული თვალი გადააყოლო. ყმა კი ღელვით იგვემებოდა.

ლიპარიტს სალამი არ მიუცია ბაგრატისათვის, ზედაც არ შეუხედნია. თავდახრილი შემოჰყვა ბაქარს და თავაუღებელი გაჩერდა მეფის წინ.

— მშვიდობა, მამის ტოლს! — შეეჭრა ლიპარიტს ყურში ბაგრატის მშვიდი ხმა და მის გულს მახვილად ეცა.

„მამის ტოლსაო“, გაიმეორა თავისთვის ტყვემ და გაახსენდა: ბაქარის ნათქვამი, ალბათ დედად ეკუთვნოდა შენი თანამეცხედრე მეფეთა მეფესაო.

„ჰო! მამის ტოლი ვარ, — დაადასტურა გუნებაში ლიპარიტმა. — და ჩემი თანამეცხედრეც დედის ტოლად უნდა ეღიარებინა. მერმე აღიარა?“ — ლიპარიტმა ახლა ვერც „ჰო“ უთხრა და ვერც „არა“ თავის თავს.

ვიღაცას ავადმყოფური ხველა აღმოხდა და ანაზდეულად ეცა ლიპარიტის ყურს. გაღიზიანებულმა ყურმა ლიპარიტს ტანი შეუჟრჟოლა, თავი მაღლა ააღებინა. დაინახა ხუნდებგაყრილი ბერძენი, ეცნაურა მისი სახე.

„ნეტავი ვინ არის?.. ნეტავი ვინ არის?..“ — ფიქრობდა ტყვე.

— თუ იცნობ მაგას, ლიპარიტო? — შეეკითხა მეფის გვერდით მდგომი სულა კალმახელი.

ლიპარიტმა ბაქარს გადახედა, თითქოს უნდოდა ეთქვა, იქნებ შენ შემიბრალო, ჭაბუკო, ცხოვრებას ჯერ შენი გული არ გაუტეხნია და არ შეუმწიკლია, ჯერ კიდევ ალბათ ლმობიერება მოგდგამს, და მითხარ, ვინ არიო.

მაგრამ თვითონ ბაქარსაც აოცებდა წვერდაგრძელებული არსების გაჩენა მეფის კარავში.

ბაგრატმა ლიპარიტს ბერძნული წერილი გამოუწოდა:

— მაშ, ჯერ ეს წაიკითხე. ხელს ხომ იცნობ?

ლიპარიტმა თავს ძალა დაატანა და ბაგრატს პირი გაუსწორა, წერილიც ჩამოართვა.

ლიპარიტი გააოცა ბაგრატის მშვიდმა პირისახემ. მისგან უარყოფილი მეფე იმსე იქცირებოდა, რომ მნახველს ეჭვიც კი არ უნდა შეჰპარვოდა მისი სინდისის სიწმინდეში.

ლიპარიტმა ჯერ უგულოდ დახედა წერილს, მაგრამ ხელი იცნო და უყურადღებოდ აღარ დასტოვა. კითხვა დაიწყო. ქვეით ჩასულმა წაიბორძიკა, თვალები გაუფართოვდა, წერილის ბოლო მონახა და ხელის მოწერაში არისტარხოს ამოიკითხა. მის თვალებს უფრო უარესი დაემართა. ლიპარიტს თავზარი დაეცა: ჯერ ტანი აუცახცახდა, წვერდაგრძელებულ პატიმარზე თვალი შეუჩერდა და ეცნო მისგან თავის გულშემატკივრად აღიარებული, ექვსიოდე წლის წინათ ბაგრატის კარზე მყოფი, ბიზანტიის იმპერატორის თვალისა და ყურის ნაცვალი. მერმე მუხლთ მოეკვეთა, წელში მოიხარა და თავი დახარა. სამად მოკაკული მისი არსება მიწაზე დაცემას ლამობდა, მაგრამ სწრაფად მოძრავმა ბაქარმა ჰაერშივე შეაჩერა. ბაგრატის ბრძანებით ლიპარიტი სელზე ჩამოსვეს. სახეზე წყალი აპკურეს.

ბაგრატი უცქეროდა ამ ამბავს და მის გულს სიბრალული ეპარებოდა.

„სჯეროდა ვერაგი ბიზანტიელებისა და მკაცრი სასჯელი მიეზღო თავისივე მოქმედებით, — გაივლო გულში მეფემ. — რაღა მსჯავრს დაუდებ და სასჯელს მივაყენებ ამაზე მეტს. ძირს დაემხო ამაყი ადამიანი და ამ დამხობით ბოლო მოელო მის სიამაყეს...“

ბაქარმა ძირს დავარდნილი წერილი ხელში აიღო, ბაგრატს მიაწოდა და ბაგრატმა ფიქრი შეწყვიტა, მაგრამ წერილი არ ჩამოართვა ბაქარს. უბრძანა ჭაბუკს, გასცნობოდა წერილის შინაარსს.

არისტარხოსი კონსტანტინეს ქალაქში მყოფ მეგობარს სწერდა ამბავს. წერილი ამყარებდა, რომ ლიპარიტი ბაგრატს შეურიგებელ მტრად ექცა. ლიპარიტი რომ სულთანმა დაატყვევა, ბაგრატმა თავისი სხვა მეტოქე ვეღარა ნახა და აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქართველთა ტომების გაერთიანებას მიჰყო ხელი. ბიზანტიელი შეჩოჩქოლებულა, გაერთიანებულ იბერთა ტომები ხომ სახიფათო იქნებოდა ბიზანტიისათვის. ერთხელ მოითმინეს ეს გაერთიანება ბერძნებმა და სანანურად გაუხდათ. არისტარხოსს რა დაავიწყებდა ბაგრატის პაპას — ბაგრატს! ბაგრატის პაპა ბაგრატი ხომ ძრწოლას ჰგვრიდა სულთნებსაცა და იმპერატორებსაც. წერილი შვილიშვილ ბაგრატს პაპის მსგავს მფლობელად იხსენიებდა. რას დაუშვებდა იმპერატორის თვალთა და ყურთა ნაცვალი ბერძენი ბაგრატის პაპის დროის დაბრუნებას. ბაგრატი შვილიშვილი, შერიგებული დიდგვარიანებთან, იბერიელებს ძნელად გასატეხ ერთეულს შეუქმნიდა.

საჭიროა მუდამ შური ითესოს იბერიელების მეფეთა და დიდგვარიანთა შორისო, — ჰღაღადებდა წერილში არისტარხოსი. ბაგრატისაგან დაუმარცხებელ ერთადერთ ძლიერ ყმად ლიპარიტს თვლიდა ბიზანტიელი თავის წერილში. იმპერატორი კონსტანტინეს ქალაქიდან ცდილობდა სულთნის ხელში ტყვედ ჩავარდნილი ლიპარიტის გათავისუფლებას, მის თვალთა და ყურთა ნაცვალი ქართველთა ტომების ქვეყანაში ცდილობდა შურის თესვას. ცდას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. დაუნახავს, რომ ბაგრატის ხელში ტყვედ ჩავარდნილი თანამეცხედრე ლიპარიტისა, ბაგრატისაგან დიდად პატივცემული, ლიპარიტსა და ბაგრატს შეარიგებდა და ამ შერიგების ჩასაშლელად სწორედ ლიპარიტის თანამეცხედრე გაუხდია ვერაგობის მსხვერპლად. ნაბიჯი გადავდგი მაშინო, სწერდა ბერძენი მეგობარს, როცა ბაგრატი ჯერ კიდევ გზად იმყოფებოდა ქუთათისისაკენ მომავალიო...

ვერაგი ბერძენი აქ ასახელებდა, თუ რა ნაბიჯიც გადადგა. წერილი ჰმოწმობდა, რომ ლიპარიტის თანამეცხედრე და მისი ორი თანმხლებელი ქალი მოეწამლა წერილის დამწერს მირთმეული ძღვენით, რომ წერილის დამწერსვე გამოეგონებინა ჭორი საშინელი — ბაგრატისაგან ლიპარიტის თანამეცხედრის გაუპატიურება, და ეს თავისი გამოგონება

იმპერატორისათვის ნამდვილ ამბად მოეხსენებინა და იმპერატორსაც მისი გამოგონება ლიპარიტისათვის ნამდვილ ამბად ეცნობებინა.

„ბიზანტიის ვერაგნო შვილნო! კაცს არაფერი არ შერჩება რა ჩადენილი საქმეებიდან! – თქვა გუნებაში ბაქარმა. – ვერაგმა იმპერატორმა თურმე ნამდვილ ამბად მიიღო ვერაგი ყმისაგან შეთითხნილი ამბავი! კარგა იციან თვითონ იმპერატორმაც და მისმა ყმეჩვაც, ქართველთ არ მოსდგამთ ეს სიმახინჯე. დედის ტოლთა სინდისის შებღალვა მათი საქმეა და მათი ჩვეულება. თვით იმპერატორიც მიხვდებოდა, უეჭველია, გაუპატიურების ამბის სიცრუეს, მაგრამ მეგობარ ლიპარიტს სულთნისაგან ათავისუფლებდა და, თქმა არ უნდა, უსინდისოდ შეთითხნილ ამბავს ნამდვილ ამბად მოაჩვენებდა. ლიპარიტიც, რასაკვირველია, რატომაც არ დაიჯერებდა? ლიპარიტის მეგობარმა მისი წონა ფული ჩაუყარა ხელში მის გასათავისუფლებლად... – ლიპარიტს შეჰხედა ჭაბუკმა. იგი უაზროდ გამოიყურებოდა. – უეჭველია, ჭკუით სავსე ადამიანი მოქმედებდა მაშინ ბაგრატის წინააღმდეგ. ამ კაცმა ხომ სულთანიც დაიმეგობრაო, ასე ამბობენ... რამ დაუბნელა ასე ჭკუა, რომ ბერძნებს ვერაგობას ვერ მიუხვდა?.. ბაგრატიანთ ხვედრმა, დიახ, ბაგრატიანთ ხვედრმა მწარეთ სჯის მის გზაზე დაბრკოლების ამ მართველს და მწარედ დასაჯა ლიპარიტიც".

ბაქარმა გაათავა წერილის კითხვა და ბოლოს გაიხსენა თავისი ლაპარაკიც ლიპარიტთან მისი მეუღლის გაუპატიურებისა და ბაგრატის უნდობლობაზე, რომელიც გამოიჩინა ვითომდა ლიპარიტის მიმართ ბაგრატმა, ჯერ კიდევ ყრმამ, ორჯერ, და ლიპარიტი კიდევ შურისძიებით გატაცებული ლამობს თვითონ მეტოქე, ბაგრატის სხვა მეტოქის წამოყენებასაც. აგულიანებს საამისოდ ბაგრატ მეფის ნახევარძმას ერთხელ, მეორედ და ასე წინ ელობება ბაგრატიანთ ხვედრს – ქართველთა ტომების გაერთიანებას, თავისი ულმობელი ჯიუტობით აძევებს ბაგრატს სამშობლოდან და ბოლოს უცნაურ ნაბიჯსაც სდგამს: ქართლის ტახტზე სვამს გიორგი მეფისწულს, მცირეწლოვანს, უკვე ქუთათისს მამისაგან აფხაზთა მეფის გვირგვინ ნაკურთხს და თითქოს ვერ ამჩნევს, რომ ქართლს და აფხაზეთს ერთ მეფეს უქმნის.

ბაქარმა გაიხსენა პაპის სიტყვებიც, ქართველთა ტომების ერთ ერთეულად გადაქცევა ბაგრატიანთა ხვედრიაო. თუნდა ბუმბერაზი შეებრძოლოს ამ ხვედრს, დიდ დამარცხებას იგემებს, წელში გატყდება, დაეცემა და ვეღარ წამოდგებაო.

„დიახ! გამართლდა პაპა ვაჩეს სიტყვები, — თქვა ბაქარმა თავისთვის. — ლიპარიტი ის ბუმბერაზია“.

ჭაბუკმა კიდევ შეხედა ლიპარიტს. ლიპარიტი გონს მოსულიყო, მაგრამ მაინც უძრავად იდგა. არისტარხოსის წერილისაგან გულს ლახვარსობილ ადამიანს პირისახის გამომეტყველება მთლად ტანჯვად ქცეოდა. ამის დამნახველ ბაქარს ბაგრატიონით გულს სიბრალული მოეკიდა.

— იქნებ წყალი ინებო? — ჰკითხა ჭორის მსხვერპლს თანაგრძნობით ჭაბუკმა.

ლიპარიტმა ხელის გაქნევით უარი უთხრა. ცოტა ხნის შემდეგ ძალა მოიკრიბა და თავი მაღლა ასწია, წამოდგა ფეხზე და ბაქარს მიუტრიალდა.

— ბრძენი ყოფილხარ, ჭაბუკო სასანიანო! — უთხრა ყრუ ხმით. — ბრძენს გაუზრდიხარ. გონება გისწრებს ხნოვანებას. — სულას შეხედა და გამოუცხადა. — კალმახელო! მართლა რომ საშინელი სასჯელი მომისაჯე! — ბაქარს წერილი ჩამოართვა და ხუნდებგაყრილ ბერძენს თვალთ მიუტანა. — ხომ სცნობ შენს ნამოქმედარს, მზაკვარო?..

ბერძენი წერილის დანახვაზე კრინს დაემსგავსა. რას მოიფიქრებდა, რომ ბაგრატსა და ლიპარიტის მეუღლეზე გავრცელებული ჭორის სათავეს ბერძენთა იმპერატორის თვალთა და ყურთა ნაცვალთა სავანეში გამოძებნიდა ბაგრატი. ჭორის სათავეს კაცთა შორის ცხრა ადგილზე მიუთითებენ და არც ერთი სწორი არა დგება. ამის იმედით შექმნა ჭორი ბიზანტიის იმპერატორის მონამ. ვერ მოისაზრა არისტარხოსმა, რომ გონიერი ადამიანი სახელმწიფოს ორ ბანაკად დამრაზმველს ჭორის სათავეს, უსათუოდ მოიკითხავდა ქუთათისის ბიზანტიელთა სავანეში. რას მოიფიქრებდა არისტარხოსი, რომ ჭორის გავრცელებიდან დაწყებული, სამი თვის მანძილზე, ბაგრატის ბრძანებით, მისი სპანი საიდუმლოდ აწარმოებდნენ ბერძენთა საეჭვო იფრინდთა ჭერას და არც ერთ მათგანს აღარ უშვებდნენ საბერძნეთში, სანამ მისი წერილი არ იქნა ჩაგდებული ხელში. თუ აქამდე არისტარხოსს გათავისუფლების ოდნავი იმედი მაინც ჰქონდა, ახლა სულაც ჩაუქრა. სწორედ ამგვარი დღისათვის ინახავდა ბერძენს ბაგრატი. ქუთათისიდან საიდუმლოდ მოჰყავდა ბაგრატს ეს ბერძენი ახალქალაქში და მართლა ისე მოიყვანეს იქ, რომ სულაცა და ბაქარიც მხოლოდ მეფის კარავში შეხვდნენ პატიმარს. მეფეს უნდოდა,

წერილიც და მისი მთხზველიც ერთად ენახა ლიპარიტს, რომ სულიერი დამარცხება ხდომოდა წილად მის არსებას. მეფემ საწადელს მიაღწია. ლიპარიტი წელში მოტეხა.

ლიპარიტი მიუახლოვდა ბაგრატს. მის წინ დაიჩოქა და მუხლები დაუკოცნა.

— მეფეთ მეფეო! — მიმართა ბაგრატს მისი მეფეთ მეფობის უარმყოფელმა ლიპარიტმა. — მე უარვყოფდი შენ ნახვას, ჩემი ოჯახის დამცირებაში ბრალს გდებდი, ეს ბევრმა იცის და შენც იცი, შენს დაუცხრომელ მტრად ვთვლიდი თავს. შენი მზერა მეზარებოდა. დღეს ჩარხი უკუღმა დამიტრიალდა. პირი მირცხვენის და შენი მზერის ღირსადაც არ ვთვლი ჩემს უბედურ თავს. ან როგორ მიცქერ, ან როგორ მითმენ ცილისწამებელს? სწორი ყოფილხარ შენ, ჯერ კიდევ ყრმა, რომ არ მენდე. ჩანს, ალღო გქონდა. მეფეთ მეფეო. გული გქონია ლმობიერი! ეს არ მჯეროდა და მაინც მომიხდა დაჯერება. ბრძანებას ვაძლევ ციხოვანთა არტანუჯისას, ყველისას, არტაანისას, უფლისციხისას, ბირთვისას და კლდეკარისას, რომ მეფეთ მეფეს დაჰმორჩილდნენ! — ლიპარიტი ზეზე წამოდგა და არისტარხოსს მოუტრიალდა. მის მიხრწნილ სახეს ჩაუკვირდა, — ცოტაა შენთვის! ცოტაა შენთვის, არისტარხოს, რაც დაგმართნია! გამოუსყიდველი ცოდვა თავს იდევ ტვირთად, მისმა სიმძიმემ უნდა გაგსრისოს!

— ახლა ხომ ხედავ, ლიპარიტ? — გაიგონა არისტარხოსისკენ მიტრიალებულძა ლიპარიტმა მეფის სიტყვები, — რომ მტერი შენი და ჩემიც ბიზანტიის ზრახვები არის. რომ ბიზანტია მტრისაც მტერია და მეგობრისაც.

— მეფეთ მეფეო, შურისძიებამ გონების თვალი დამიბნელა. ოოჰ! რომ შემეძლოს ჩემი ცხოვრების ახლად დაწყება! — არისტარხოსზე მიუთითა. — ჩვენ ქვეყანაში ბოროტ სულებად მოვლენილთა მოსპობას ამგვარი ხალხის თავის გაჭეჭყვით დავიწყებდი. მაგრამ გვიანღაა ჩემთვის სააქაოს ამოქმედება. სამოცდაათ წელს მიღწეული ვარ. თუ სიცოცხლეს შემინარჩუნებს შენი გული, საიქაოსთვის უნდა ვემზადო...

ლიპარიტი მიდუმდა. მის მიდუმებას მხოლოდ კარვის დუმილმა გასცა პასუხი.

ყველა ციხისთავმა ჩაიბარა მასთან გამოგზავნილი ლიპარიტის ხელმოწერილი გრაგნილი. კლდეკარის ციხისთავის გარდა ყველამ ჩააბარა ბაგრატ მეფის ბრძანებით ციხისთავად დანიშნულ პირს ციხე. ბრძოლა არაფის აუტეხია. კლდეკარის ციხოვანთა კი, ჯერ იყო და ციხის კარს მომდგარი გრაგნილის მომტანი, თავისი მოსელის საყვირით მაცნობელი იფრინდი, კინაღამ წუთისოფელს არ გამოასალმეს, და მერმე მეფეთა მეფის ჯარს შეუტიეს. კლდეკარში პატრონის ლიპარიტის ნაცვლად გაუფლებული მწიგნობართუხუცესი ანამორი, მტკიცე კაცი, არ ფიქრობდა ციხის გადაცემას. ანამორი იყო, რომ სულასაგან გამოქცეული შვილი ლიპარიტისა – ნიანია არ შეაშვებინა კლდეკარში, ვაითუ ციხეს დაეპატრონოსო, რადგან მამის სანდო ადამიანად არ მიაჩნდა. ანამორი იყო, რომ მეფის იფრინდიც არ მიაღებინა ციხოვანთა. არ სჯეროდა, ლიპარიტი ვისმეს დაუთმობდა თავის კლდეკარს, გინდ რომ ეტანჯათ კიდეც. თვით ლიპარიტის ხელმოწერილი გრაგნილიც რომ წაეკითხა ციხის გადაბარების თაობაზე, იმასაც კი არ დაიჯერებდა: მწიგნობართუხუცესმა მწიგნობართა წერის ოინები კარგა იცოდა. ზოგს მათგანს ისე ჰქონდა გავარჯიშებული ხელი წერაში, რომ შეეძლო სხვისი ხელი ნამდვილი ასახულობით გადმოეცა.

მეფე ბაგრატი ქუთათისიდან წამოყვანილი ჯარით მოვიდა კლდეკართან. აქ თავი მოიყარეს ქართლისა და ჯავახეთის ლაშქრებმაც, დიდებულთაგან წამოშველებულებმა, და აქვე მოვიდა თავისი რჩეული რაზმით ზვიადის ძე, ველთამზეს ძმა, ახალგაზრდა ვარაზ-ბაკურიც, რომელსაც გაეგო ბაგრატის მოსვლა თრიალეთში.

მაგრამ სულას კალმახივით მიუდგომელი კლდეკარი თითქოს დასცინოდა მის ასაღებად თავმოყრილ სპათა.

– ჰაი! დასწყევლოს ჯვარმა პატიოსანმა და ყველა ჩემმა მამაპაპათა სალოცავმა! რა პიტალო კლდეა და! – წამოიძახა ბერამ, კლდეკარის ფუძედ ამართული მთა-მაღალი რომ დაინახა. – რას იტყვი, ფერის, ჰა? თუ სადიდხანოდ აქვთ სურსათი ციხოვანთა, კლდეკარი დიდხანს აუღებელი დაგვრჩება. ვფიქრობ, ერთი წელიწადიც გავა, რომ ჩვენ უჯარმას ვერა ვნახავთ. რომ დაგვპირდა მეფეთ მეფე, ახალქალაქიდან გაგიშვებთ

მცხეთას, დედოფალთ დედოფალ ბორენას და დედოფალ გურანდუხტს მეფისწულ გიორგისთან გაგაყოლებთო. საქმე არა გაქვს? დედოფლებიც აქ წამოიყვანა თავისი ამალით, მეფისწულიცა და ჩვენი ბაქარიც ჩვენიანად. ძალიან შეუყვარდა ბაქარი მეფეთა მეფეს. ეს მეფისწულიც რომ არ შორდება! მერმე, კაცო ეგ ლიპარიტიც შეჰყვარებია მეფისწულსა. ეტყობა, თვითონ ამ დიდგვარიანსაც, მისი სურვილით ქართლის მეფედ ნაკურთხი ბავშვი ძალზე შეჰყვარებია. თავის გონებითაც რომ შეუმოსია მეფისწული ამ მეამბოხე დიდგვარიანს!.. აგერ ბაქარი. ის ვინ მოსდევს.

— ვარაზ-ბაკური თუ არის ველთამზეს ძმა? — თქვა ფერისმა. — მცხეთას მისულიყო ჩვენ იქ მოსვლამდე ვაჩესთან და ბაქარს იქ გაეცნო. ძალიან ვაჟკაცი კი არის, მაგრამ არც ჩვენი ბაქარია ნაკლები. თხუთმეტი წლისაა ჩემი უფლისწული, მაგრამ მაგ ვარაზ-ბაკურს არ დაუვარდება. თუმცა არც ვარაზ-ბაკურია დიდი ხნისა თურმე. თვრამეტი წლისააო. ისეთი გამოკვერილი რაზმი მოჰყავდა წეღან, რომ რაღა! ა რ ნახე, რომ მოდიოდა თავის რაზმიანად?

— მე მაშინ კარავში ფარებს ვწმენდდი, — უპასუხა ზენკალმა.

— ძმებივით არ მოჩანან!..

ბაქარი და ვარაზ-ბაკური უჯარმელების კარავთან მივიდნენ. ბერა და ფერისი ფეხზე წამოდგნენ და სალამზე სალამი მისცეს ვარაზ-ბაკურსა.

— ბერავ, ვარაზ-ბაკური ჯავშანს გიკვეთავს! — მიმართა ზენკალს ბაქარმა. — უჯარმაში რომ წავალთ, ესეც წამოვა თავის რაზმიანად და ან დამზადებულს მისცემ თუ გაქვს, ან ახალს გამოუჭედავ!

— თავთავიანებს მოვართმევ, თავთავიანებს! — წამოიძახა ბერამ. — ზედ მაგაზეა გამოჭრილი. მაგრამ, ვინ იცის, როდის წავალთ ჩვენ უჯარმაში. ჯერ ხომ ცხენ უნდა ჩავიგდოთ ხელში. ვინ იცის, წელიწადი დაგვაბრკოლოს აქ ამ ოხერამ. ხედავ, როგორ აწვდილა მაგისი ფუძე-მთა! ცარიელი კლდე კი არის და!.. მერმე ხომ მცხეთასაც უნდა მივიდეთ და რამდენიმე ხანს დავიცადოთ, სანამ მეფეთა მეფე იქ იქნება. თუ მანამდის მოითმენს ეს მოყმე, მზად ვარ, ვემსახურო.

— არა, ზენკალო! მალეც ავიღებთ და მალეც წავალთ! — უთხრა ბერას ვარაზ-ბაკურმა.

— როგორ, ყმაწვილო, ერთი გახედე ამ მთასა? მიდგომა არ უნდა?

— ასლაც არ დაგვჭირდება, ისე ავიღებთ. — მიუგო ბაქარმა ღიმილით.

— შენ პირს შაქარი, ჩვენო უფლისწულო!

— აგე მეფისწული და ველთა, მცველი ვინმე გამოჰყოლიათ თანა და აქეთ მოდიან. მცველი უკან დასტოვეს. ისინი მორბიან! — ამცნო ფერისმა მოლაპარაკეთ. — ნეტა ვინაა ის მცველი, რომ აგრე აუჩქარებლივ მოადგამს ფეხსა? თუმცა კაი ვაჟკაცი კი მოსჩანს.

— ეგ გუგანია, — უპასუხა ვარაზ-ბაკურმა. — მართლა და კაი ვაჟკაცია. ველთა მაგის ნებიერია.

— ძალიან ფეხსწრაფია ველთა, — განაგრძო თავისი ფერისმა. — ლამის არის მეფისწულს გამოუსწროს! — ვაჟური ქალია ველთა, ვაჟური! — წამოიძახა ბერამ აღტაცებით. — მეფისწულის ხმლისათვის წამოეველო ხელი და ისე ხმარობდა, გეგონებოდა სულ ხმალზეა გადამდგარიო. ჩემი კომბალიც, თუმცა ძნელად, მაგრამ მაინც კარგა შეათამაშა. მეფისწულს კი არ გაჭირვებია, პირველად რომ აიღო ჩემი კომბალი. ძალიან ვაჟკაცი იქნება!

ფერისი თუმცა ყურს უგდებდა ბერას, მაგრამ გონება მისი სხვა აზრსაც ამუშავებდა.

— ბედნიერი იქნება ის ოჯახი საცა კი ველთა დამკვიდრდება! — რევის შინაყმამ თავი'ს უფლისწულს გადახედა. — აი ვის უნდა შეხვდეს ველთამზე მეუღლედ!.. მაგრამ ბაქარი ჯერ ამაზე არ ფიქრობს. საფიქრებელი სხვა აქვს. ველთა კიდევ ჯერ არ ქალობს, ბავშვობს. გავა ხანი და, ვინ იცის, როგორ დატრიალდეს ჩარხი!

ბაქარი ეამზერდა მეფისწულს, რომელიც ძალიან შეუყვარდა, უმზერდა ველთამზესაც, და თავისი ია აგონდებოდა. გული მისი მცხეთას ესწრაფოდა და უჯარმას. მამის ბედზე ნაღელობდა.

ვარაზ-ბაკურს კი ველთა აფიქრებდა: ნეტავი ვის ხელში მოხვდები, ჩემო დაო ველთავ?.. ჯერ კიდევ ბავშვი ხარ!.. ბაქარისთანა თუ შეგხვდება, არა გიშავსრა, მაგრამ მეფის კარს მრავალი ახალგაზრდა ჭაბუკი აივლის და ჩაივლის შენ წინ და, ვინ იცის, ვის აირჩევ, ან ვინ აგირჩევს თავის ცხოვრების მეუღლედ. მე კი ბაქარის მეტს ვერვის გისურვებ. — ბაქარს გადახედა. — კარგი ვაჟკაცია, ჭაბუკი! ცოტა წაემატოს წლები სასანიანს და ცალი არ ეყოლება... ახლაც არა ჰყავს ცალი...

— ეიჰ! როგორ ერთნაირად მორბიან და! — წამოიძახა ბერამ და ყველას ყურადღება მორბენალებზე მიაქცია. — ერთმანეთს ვერ უსწრებენ! — დაურთო წინა ნათქვამს ზენკალმა.

მეფისწულმა და ველთამზემ ისე მოირბინეს მართლა, რომ ერთმანეთს ვერ გამოუსწრეს. მეფისწულმა ბაქარს შემოაჭდო წელზე მკლავები და ველთამ კიდევ თავის ძმას.

— რა მოგარბენინებდა, ველთავ? — პკითხა დას ვარაზ-ბაკურმა. — მოგდევდა ვინმე, თუ რა არის?

— მეფისწულმა და ქართლის მეფემ ბრძანა! — უთხრა ეშმაკური ღიმილით გოგონამ. — არ გამეგონა განა? გამეჯიბრე სირბილშიო, და მეც გავეჯიბრე. მეფისწულსა და ქართლის მეფეს უარს როგორ ვეტყოდი?

მეფისწული გიორგი მხოლოდ გაწითლდა ველთას სიტყვებზე, არ გაბუტულა.

— გუგანმაც გვითხრა, გაიქეცითო, — დაუმატა ველთამ.

გუგანი აუჩქარებლივ მოვიდა და სალამი მისცა ყველას.

— ეს ბერა იქნება, კომბლითა ვცნობ: ველთამ ამიწერა. — თქვა გუგანმა. — ეს ფერისია. მე გუგანი ვარ.

გუგანი ორ უჯარმელს გვერდში ამოუდგა. ვარაზ-ბაკურმა გადახედა სამივეს ერთად და გულწრფელად წამოიძახა:

— ნამდვილი დევგმირები ხართ! — და ბოლოს გუგანს უსაყვედურა: — რა იყო ეს ხალხი რომ არბენინე ასე?!

— უფლისწულო, ბავშვები არიან! ხანდახან უნდა ირბინონ კიდეც. რა ვქნა, რომ ერთი მეფისწულია და მეორე ჩემი უფლისწული ქალია, — შეეკამათა გუგანი თავის პატრონის ძეს და ბოლოს თავის ნათქვამს დაურთო — მეფეთა მეფე გიბრძანებთ ორივეს.

— აქედან უნდა დაგეწყო! — უთხრა ვარაზ-ბაკურმა.

— შენ იქიდან დაიწყე და მეც იქიდან გიპასუხე.

ბაქარმა ხელი წაავლო მკლავში ვარაზ-ბაკურს და გზად გასწია.

— წავიდეთ, თორემ კიდევ დაგახანებს ეს შენი გუგანი და მეფეთა მეფეს ვალოდინებთ.

ბაქარი და ვარაზ-ბაკური დაიძრნენ და თან მეფისწული და ველთამზე გაიყოლეს.

სამმა, დევგმირად აღიარებულებმა, თვალი გაადევნეს წასულებს.

— როგორ მოგწონთ ჩემი უფლისწული? — იკითხა გუგანმა. — ვაჟკაცია არა?

— ვაჟკაცია მაშა! — მიუგო ბერამ.

— არც ჩემი უფლისწულია ნაკლები, — ჩაერია ფერისიც ლაპარაკში.

— მერმე ვინ გედავება? — დაეკითხა საყვედურით გუგანი.

— თქვენ აქ ჩხუბიც არ მოგივიდეთ! — უთხრა ბერამ ორივეს: — ორივე ვაჟკაცები არიან, თუმცა ეროიც ახალგაზრდაა და მეორეც.

ფერისმა გუგანს გადახედა.

— არა, გუგანთან ჩხუბი არ მომივა. მხოლოდ მინდა, როცა ერთს ვაქებთ, მეორეც ვაქოთ, რომ თანაბრად წარმოვიდგინოთ.

— მართლაც და ორივე ერთმანეთს არ დაუვარდება! — თქვა გულწრფელად გუგანმა. — ერთი უყურეთ, რა კენარი ტანისაა ბაქარი. ვაჟს ხარირემივით უჭირავს თავი და ისე მოედინება. აგე, ჩემი უფლისწულიც როგორ მიიწევს წინ! ნამდვილი ვეფხვია!

ბაქარი და ვარაზ-ბაკური ჩქარი ნაბიჯით მიდიოდნენ. წინ მეფისწული გიორგი და ველთა მიუსტოდნენ.

მალე მეფის კარავს მიადგნენ, ზვიადის ძე და რევის ძე.

ეჯიბმა აუწყა, მოუხსენებლად შეგიძლიათ მეფესთან შესვლაო.

ბოლნელმა და სასანიანმა მეფისწული და ველთამზე იქვე მდგომ დედოფალთა კარავში გაისტუმრეს, თვითონ მეფესთან შევიდნენ.

მეფესთან თავი მოეყარათ სულას, არტანუჯელს და სხვა დიდებულთ.

— სისხლი არ მინდა დაიღვაროს, — გაიგონეს ახლად შემოსულებმა მეფის სიტყვები. — ციხე კი არ გვნებდება ოავისთავად. სისხლსაც რომ არ მოვერიდოთ, ჯერჯერობით მაინც ვერაფერს ვიზამთ. ციხის მიდგომას დიდი მზადება სჭირდება. დრო კი გარბის, დახანება არ შეიძლება. ლიპარიტის მწიგნობართუხუცესი ანამორი კერპი ყოფილა. არავინ მიაკარა ციხის კარებს, რომ ამბავი მიეტანათ ჩვენგან მასთან მოსალაპარაკებლად. როგორ მოვიქცეთ?

მეფეთა მეფემ სულას გადახედა. სულამ დუმილით უპასუხა. მეფემ თვალი მოავლო სხვა დაბრძენებულებს. ვერვინ რა უთხრა. ჯერი ვარაზ-ბაკურსა და ბაქარს დაუდგა: მეფის თვალმა კითხვა დაუსვა ორივეს.

— უნდა მივმართოთ პატრონების ძელზე გასმას — წამოიძახა ვარაზ-ბაკურმა, — სხვა გზა არ არის.

— არა! — თქვა სულამ. — ლიპარიტმა კიდეც იწვნია სასჯელი, საშინელი სულიერი სასჯელი.

— აბა, რა სასჯელია ეს სასჯელი? ეს არაფერიც არ ყოფილა! — წამოიძახა გრიგოლ არტანუჯელმა.

— ვისთვისაც სული არ არსებობს, მისთვის, თქმა არ უნდა, არაფერია, — გაკრა კბილი არტანუჯელს სულამ.

კალმახელი ვერ ივიწყებდა, ახალქალაქში რაც დაჰმართა ლიპარიტს სიცრუის მამხილებელმა წერილმა და მისი დამწერის შეხვედრამ. ლიპარიტმა რომ ტანჯვა მიაყენა სულას, თვით სულასაც არაფრად მიაჩნდა ლიპარიტის სულიერ წამებასთან და არტანუჯელის წამოლაპარაკებამ ბრაზი მოჰგვარა.

არტანუჯელს ხმა აღარ ამოუღია.

— სულა მართალია! — დაამოწმა მეფემ. — ლიპარიტი მსჯავრდებულიცაა და სასჯელმიღებულიც.

ციხის აღების საკითხი გადაუჭრელი რჩებოდა. მეფემ კიდევ გადაავლო თვალი დაბრძენებულ ხალხს.

— ამბობთ, ლიპარიტი მოტყდაო, — დაიწყო მძიმე-მძიმედ ერთმა მათგანმა, ქართლის დიდგვარიანმა, მეფის საშველად თავისი ხალხით მოსულმა, დემეტრემ, — ამბობთ ურჩმა დიდი სულის სასჯელი გამოიარა და თავისი ურჩობა დაჰგმოო...

— მერმე? — შეეკითხა მოუთმენლად სულა.

— მერმე და, თუ მართლა დაჰგმო ურჩობა, ალბათ მეფის ბრძანებას არასდროს წინ აღარ წაუვა. სიტყვის კაცად მყავს მიჩნეული; კლდეკარს ვაწვიოთ.

— მარტოდ? — გაისმა ისევ სულას მოუთმენელი ხმა.

— დიახ, მარტოდ, პიტიახშთა ნატამალო, — მიიღო კალმახელმა ისევ აუღელვებელი, მაგრამ ოდნავ დაცინვანარევი, მაგრამ მტკიცე პასუხი. — კლდეკარის კარებსაც გაგვიღებს და ციხესაც ჩააბარებს მეფესა.

ეს რჩევა თითქოს უნდა მიეღო ყველას, ვინც კი ლიპარიტის მონანიების მოწმე გახდა, მაგრამ სულაც და მეფეც დაეჭვდნენ.

„თითქოს მართალს ამბობს ეს ქართველი, — დაიწყო მეფემ თავისთვის, — მართლაცდა, რაც ძალიან სასურველია, უბრალოდ, უსისხლოდ გადაწყდებოდა კლდეკარის დაჭერის საქმე, მაგრამ კლდეკარში მარტოდ შესვლამ რომ ფრთები შეასხას იმ სასჯელამდე მუდამ მოწინააღმდეგე სულს ლიპარიტისას? ანამორსა და მტკიცე ციხოვანთ რომ დაინახავს თავის გვერდით ლიპარიტი, ვაითუ გაკაჟდეს და ისევ დაუბრუნდეს თავის ურჩობას. სიტყვის კაცობა რას მიქვია?.. თუ ანამორი ასე მაგრობს,

ლიპარიტს კლდეკარში გამაგრებულს ხომ უფრო ვეღარას დავაკლებთ. წლობით მოგვიხდება კლდეკაროან დგომა. საბერძნეთი არ დაუხანებს ლაშქრის მოშველებას...“

მბრძანებელმა სულას მიაპყრო თვალი. ერთგული ყმა წამსვე მიხვდა პატრონის სულისკვეთებას.

— დიახაც, რომ, მბრძანებელო. ყველაფერს უნდა მოველოდეთ, — მოახსენა მან ბაგრატს. — მარტოდმარტო კლდეკარს მისული ლიპარიტი სახიფათოა. სახიფათოა, თუ გავატანთ კლდეკარის პატრონს რამდენიმე შეჭურვილ ჩვენგანსაც: ეს — ვითომ მარტო გაგეგზავნოს ლიპარიტი თავის ბუნაგში. ანამორი მცირერიცხოვანს გუნდს დაატყვევებს, თუ ლიპარიტის გულმა პირი იბრუნა თავის ძველი გზისკენ. კლდეკარის ზღუდეებს მიახლოვებულ ჩვენს დიდ რაზმს კიდევ, ლიპარიტის უკან მიმდევარს, ლიპარიტის ძალად მიმყვანად აღიარებს და ბრძოლას აუტეხს.

ამის მომსმენმა ღემეტრემ, ქართველმა დიდგვარიანმა მხოლოდ და მხოლოდ მხრები აიჩეჩა და თავის ნათქვამის გასამტკიცებლად კი არაფერი დაუმატებია.

მეფემ კიდევ მიხედა ახალგაზრდებს.

— მე ისევ ჩემსას ვიმეორებ. — თქვა ვარაზ-ბაკურმა. — უნდა მივმართოთ პატრონების ძელზე გასმას, სხვა გ'ბა არ არის.

მეფემ ჭოჭმანის თვალით დაიწყო მზერა. საკითხი ისევ გადაუჭრელი რჩებოდა.

ბაქარმა წინ წამოდგა ნაბიჯი.

— მეფეთ მეფეო! — მიმართა ჭაბუკმა ბაგრატს და შეჩერდა.

ბაგრატს თვალები გაუბრწყინდა: წინასწარგრძნობამ სწრაფად აუწყა, რომ საკითხს ბოლოს მოულებდა სასანიანი.

— თქვი, თქვი, ბაქარ!

— ძელზე გასმა, — თქვა ბაქარმა თავისებური სიდინჯით, — მოჩვენებად გადავაქციოთ. ტოლებში ხშირად გვითამაშნია ძელზე გასმა. ისე გაგვისვამს ერთმანეთი, რომ ტკივილები არ გვიგვრძნია.

— შენ კი გენაცვალე, სასანიანო, რომ გაიხსენე! — წამოიძახა ველთამზის ძმამ გულწრფელად. — ტოლებთან ერთად მეც მისინჯია ეგა! ისე გავსვამდი ძელსა ზედა ჩემს ტოლებს, რომ არავითარ გაჭირვებას არ ვაგრძნობინებდი ხოლმე.

ბაქარი იდგა თავდახრილი და ელოდა, როგორ გზას მიმართავდა მეფეთ მეფე მისი რჩევის შემდეგ.

ბაგრატი სწრაფად წამოდგა, სწრაფადვე მიუახლოვდა ბაქარს და მის შუბლზე ამბორით აღნიშნა თავისი კმაყოფილება.

დაადგნენ ბაქარის ნაჩვენებ გზას. სწრაფად შეუდგნენ საქმის შესრულებას. ლიპარიტს აცნობეს, რაც მოელოდათ მას და მის შვილს იოანეს. ლიპარიტმა თავი მორიდებით დახარა. დიდგვარიანი თავის თავს აღარაფრად აგდებდა.

ვარაზ-ბაკურმა დიდი ოსტატობა გამოიჩინა. გუგანის დახმარებით ძელზე გასმის პირდაპირ ხორცშესხმული მოჩვენება შექმნა.

თვალი რომ მოჰკრეს ძელზე გასმულთ, თავიანთ პატრონს ლიპარიტსა და მის ძეს, კლდეკარის ციხოვანთ საყვირთა ძახილი ასტეხეს. კლდეკარის სიმაგრიდან მონადენმა გნიასმა მთლად დააყრუა ბაგრატის ბანაკი.

არამცთუ კლდეკარის ციხოვანთა, ბაგრატის მთელ ბანაკსა და დედოფალთა კარავში მყოფთაც სინამდვილედ მიიჩნიეს ეს მოსაჩვენარი ძელზე გასმა.

გიორგი მეფისწული ხელიდან დაუსხლტა დედას და მამიდას და გულაჩუყებული მიიჭრა აღმართულ ძელებთან, საიდანაც გადმოიყურებოდნენ ლიპარიტი და მისი ძე იოანე. ბავშვს გადაავიწყდა დედის დატუქსვაც და მამიდის შეძახილი და გულამოსკვნილი ატირდა. ამის დამნახველ ლიპარიტს თვალები გაუსხივოსნდა.

„ბევრი რამ დამიშავებია, ძალზე ბევრი! თვითონ ჩემი მეუღლეც არ დავინდე, — ჩაილაპარაკა თავისთვის ლიპარიტმა, — და მისი გაუპატიურება ვირწმუნე, და გმადლობ, უფალო, ზეციერო გამჩენო, რომ გიორგი მეფისწულზე მამობრივი ჩემი ზრუნვა მაინც კეთილ საქმედ ჩამითვალე და ჩემს მიმართ მისი გულმტკივნეულობა ჩემს გულს მალამოდ დაადე!“

— სულე, შვილო, სულე! — გაისმა ხმამაღლივ მისი სიტყვები. — ნუ ტირი, პაპა ლიპარიტს გაუგონე!

ძელებთან მდგომმა ბაქარმა ხელი წაავლო მეფისწულს, დაყვავებით ჩახედა თვალებში და უთხრა.

— ეს ლიპარიტის დასასჯელად კი არა, ციხის ასაღებად არის მოწყობილი.

ბაღშვი გაჩუმდა. მიხვდა ლიპარიტს ცუდი არაფერი მოელოდა.

მალე გაიღო ციხის კარი და ციხიდან გამოვიდა თეთრ ალამაფრიალებული ცხენოსანთა ჯგუფი. წინ მოუძღოდა შეჯავშნული, მაგრამ პირსაბურველ ახდილი მხედარი. ჭალარაშერეული წვერი ჰმოწმობდა მის ხნიერებას, ცხენზე ჯდომის ხასიათი – მის სიმკვრივესა და ხასიათის სიმტკიცეს. ჯგუფიანად ბანაკთან მომდგარ მხედარს მეფეთა მეფის ბრძანებით შეეგება ბაქარი მხლებლებიანად. მხედარი წამსვე მიხვდა, რომ ბანაკის განაპირას მდგარი ჭაბუკი მხლებლებიანად მის დასახვედრად იყო გაწესებული.

– ანამორი, მწიგნობართუხუცესი დიდი ლიპარიტისა, – გააცნო თავი მხედარმა ბაქარს.

ბაქარს პირზე ოდნავ ღიმმა გადაჰკრა.

„ლიპარიტს საუსებით შეესაბამება, – გაიფიქრა სასანიანმა, – პაპაჩემი, სულა, ეს კიდევ და ერთი ორი კიდევ ამგვარნი საკმარისია მეფეთა მეფის მტკიცე დასაყრდენად...“

– რად გაიღიმე, ჭაბუკო, ჩემი ვინაობის გაგონებაზე? – ჰკითხა ანამორმა მოულოდნელად ბაქარს.

– ვიცოდი, რომ მკითხავდი მაგას, – უთხრა ბაქარმა, – დასამალი არაფერი მაქვს. ყმა პატრონს რომ შეჰხამებიხარ ხასიათით, ეს გავიფიქრე,

– მერმე და დიდი ცოდვაა ეგ?

– არა, ცოდვა რად იქნება? პირიქით. ცოდვაა მხოლოდ, მეფეთა მეფეს ხელს რომ უშლი გადააქციოს ქართველთა ტომნი ერთ მკვრივ ძალად.

ანამორი შეფერიანდა.

„ხედავთ ღლაპი რას მეუბნება?! ისე დაჯერებული ლაპარაკობს, თითქოს დიდი გამოცდილი ვინმე არისო!“ – გაიფიქრა ლიპარიტის ერთგულმა ყმამ და ხმამაღლივ ბაქარს მიმართა:

– ვინ ხარ, ჭაბუკო?..

– ძველთა მეფეთა ნათესავი, სასანიანი, – უპასუხა ბაქარმა ანამორს და ცხოვა, მეფეთა მეფის კარავისაკენ გაჰყოლოდა.

„ოჰო! სასანიანი!.. – დაიწყო ფიქრი ანამორმა და თავის ჯგუფიანად ბაქართან და მის მხლებლებთან ერთად სამეფო კარავისაკენ გაემართა – სასანიანი?.. კუხეთიდან იქნება, რევის შვილი, იმ რევისა, სვეტიცხოვლობას მცხეთაში რომ გაიმარჯვა. დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინა მაშინ იმ

სასანიანმა. ფილოსოფოსიაო, ამბობდნენ იმაზე, მწიგნობარი დიდიო. თუ ასე არის, აღარ მიკვირს, რომ ეს ჭაბუკი, თუკი მისი შვილია, მისებურია. როგორ უჭირავს თავი, გეგონება ამისთანა სადა ადამიანს ვერსად ნახავო. თავიდან ფეხებამდე კი სიამაყით გაჟღენთილია... რა სასიძო წაუვიდა ხელიდან მაშინ ჩემს პატრონს! ნეტა რა რჯიდა, მისხლივ-მისხლივ გამორკვევაში რომ ჩააბა თავი. პირდაპირ ეტყობოდა რევის წმინდა წყლის სასანიანობა და უბრალოდ შეიძლებოდა საქმის გადაჭრა. არა, მაინც ვერ მოისვენა პატრონმა, ვიდრე დაწვრილებით ცნობები არ შეკრიბა კუხეთის სასანიანზე და ამიტომაც მოიგვიანა. რევი რომ ჰყოლოდა სიძედ ჩემს პატრონს, მისი უნარიანობით აქამდე ქართველთა ტომები ისევ სასანიანთა გვარეულობის ხელში გაერთიანდებოდნენ. დიდი ხარ, ლიპარიტ, დიდ საქმეებს გასძღოლიხარ, მაგრამ სასანიანთა გვარეულობის, შენი გვარეულობის ხელახლა გამოყვანა ქართველთა ტომების პატრონად დიდი შეცდომით დააგვირგვინე!.. საძელედ გაიხადე თავი...“ აქ ანამორმა ფიქრს თავი დაანება. მეფის კარავთან მივიდნენ. სანამ ეჯიბი აცნობებდა მეფეს კლდეკარის მხედრების მოსვლას, ანამორმა ახალ ფიქრს გააყოლა გული. „იქნებ ბაგრატიანთა ხვედრია მართლა საქართველოს ტომების გაერთიანება? იქნებ თავისდა შეუგნებლად სწორედ ბაგრატიანთა ხვედრის ზეგავლენით აკურთხებინა ჩემმა პატრონმა აფხაზთა მეფისწული გიორგი ქართლის მეფედ? საბერძნეთს წასვლისას ქუთათისში მამამ უკურთხა აფხაზთა მეფის გვირგვინი გიორგი მეფისწულს, ამ მხარეს – ლიპარიტმა. ეს ვინ იცის იმის მომასწავებელია, რომ ბაგრატიანთა ხვედრი მოითხოვს და ისრულებს წადილს!.. მეტი გინღა! თვითონ ლიპარიტსაც შეუყვარდა პატარა მეფე ქართლისა!.. – ანამორს ფიქრი შეუწყდა.

ეჯიბმა აუწყა ბაქარს, მეფეთა მეფის სურვილია, ჭაბუკო სასანიანო, შენ შემოუძღვე კარავში ანამორსაო... ანამორს ახლა კლდეკარის ბედზე აუმოძრავდა ფიქრები.

„ვეტყვი ბაგრატს, – თქვა გულში ლიპარიტის მწიგნობართუხუცესმა. – ციხეს ჩაგაბარებ, თუ გაათავისუფლებ ჩემ პატრონებსა და ციხოვანთა არას ერჩი-მეთქი. არ იქნება ეს და, თუ გინდ მეც დამაკავო, ციხეში დარჩენილნი ციხოვანნი ახლოს არ გაგაკარებენ ციხესთან-მეთქი“. მაგრამ მეფის კარავში თვით ლიპარიტი და მისი შვილი იოანე დახვდნენ. მეფეთა მეფის ბრძანებით, ესენი სწრაფად მოეხსნათ ძელებიდან და სწრაფადვე

მიეყვანათ მასთან კარავში: პატრონის დანახვაზე ანამორმა თავი კარგად ვეღარ იგრძნო. გულისხმიერმა ადამიანმა სწრაფად შეამჩნია, რომ ლიპარიტს სული გარდაქმნოდა. მიხვდა, რომ ეს სული რომელიღაც სხვა სამყაროს ეკუთვნოდა ახლა. ამას მოწმობდნენ ლიპარიტის ნაბიჯები. თვითონ ანამორს აღარ მოუხდა, ეთქვა თავისი ნაფიქრი კლდეკარის გადაცემის პირობათა თაობაზე მეფისათვის. ლიპარიტის ბრძანებით მისმა ერთგულმა ყმამ გადააბარა ციხის კლიტენი ბაგრატს. მეფემ ნება დართო ლიპარიტს, გაეტანა კლდეკარიდან თავისი ხვასტაგი, გაუშვა ციხოვანნი და ციხეში თავისი ხალხი ჩააყენა.

15

დღეს მცხეთას საცაა ეწვევა მეფე ბაგრატი. გვირგვინოსანს თან მოჰყვებიან ბორენა დედოფალი, გურანდუხტ დედოფალი, გიორგი მეფისწული, ბაქარ სასანიანი, უნებლიეთ მეფის ტყვეთ ქცეული და სხვანი.

ვაჩე მზადაა სასახლეში მიიღოს ყველანი, მაგრამ, თქმა არ უნდა, მეფე თავისიანებით კათალიკოზთან მივა საბინადროდ. ფართოა და ტევადი საკათალიკოზო სასახლე, კათალიკოზ მელქისედეკის ნაგები, ვაჩეს ნაგეგმი. ვაჩეს როდი ჰშურს, რომ მეფეთა მეფე იქ დაიდებს ბინას ცოტა ხნით, მცხეთაში ყოფნისას, მაგრამ დიდ ხუროთმოძღვარს ძალიან ესიამოვნებოდა, თუ თავის ნამოწაფარს თავის სასახლეში ნახავდა დაბინავებულს.

პატარა იას კი აინუნშიც არ მოსდის, მათთან დაიდებს ბინას მეფე, თუ საკათალიკოზო სასახლეში, ელოდება მეფეს მის პაპისებრ მთელი მცხეთა თუ არა. იას ბაქარი მოუდის და მის სიხარულს საზღვარი აღარ აქვს, მისთვის მხოლოდ ბაქარი არსებობს. პატარა ია მხოლოდ ბაქარს ელოდება. არა, არა! ეს მთლად არაა მართალი: ია კიდევ ერთს ელოდება, ელოდება თავის გამანებივრებელ ბერას.

— ნინო, ჩემო ნინო! ჩვენი ბაქარი უნდა მოვიდეს, — ეუბნება თავის გამზრდელს პატარა.

— ჰო, შვილო, ჰო! — უმოწმებს გამზრდელი.

— ჩვენი ბერაც მოდის, ფერისიც, ნინო! — ამბობს ბავშვი.

— მოდიან, შვილო, მოდიან! — უდასტურებს გამზრდელი.

— ახლა უჯარმაშიაც წავალთ! მამას ვნახავთ...

პატარას გაახსენდა, რომ მცხეთას პაპა რჩებოდა, გული ეტკინა, პაპაც ხომ უყვარს.

— ნინო, პაპაც ხომ წამოვა, არა!

— აბა, რა ვიცი, შვილო!

-- როგორ არ იცი? წამოვა მაშ!

— ვინ იცის?

— მაშ დედას საყდარი არ უნდა დაადგას? წამოვა! — თქვა ბავშვმა სწრაფად და პაპას სამუშაო ოთახს მიმართა. მაგრამ ვაჩე შიგ არ დახვედა: სვეტიცხოველში წავიდა წირვაზეო, უთხრა დერეფანში გამოსულ იას ეზოში მოფუსფუსე ვაჩეს ხნიერმა შინაყმამ, რომელსაც პატრონი ხუმრობით ზადენს ეძახდა, მისი კერპობის აღსანიშნავად.

— ჩემო ზადენ, წამიყვა სვეტიცხოველში! — დაუძახა იამ.

— ახლა სვეტიცხოველი მომინდომე! - უპასუხა ზადენად ხმობილმა. — სადა მცალიან, რომ სვეტიცხოველში წაგიყვანო! რა გინდა სვეტიცხოველში?

ბავშვმა მცხეთაში ყოფნის დროს კარგად გაიგო, თუ როგორი კერპი იყო ზადენი; იგი მხოლოდ ვაჩეს უგონებდა, და ამიტომ აღარ გაუმეორებია თავისი თხოვნა. ია მივიდა დერეფნის შუა სვეტთან და ზედ მიეყრდნო. კარგა ხნობამდე აღარ განძრეულა.

— ვინ წამიყვანდა ახლა სვეტიცხოველში? — ფიქრობდა რევის ასული. — ბაქარი. კიდევ? ონოფრე. კიდევ? მამაც. ჰო! ფერისიც! ბერა! კიდევ? კიდევ... გულადი! — წამოიძახა გახარებულმა ბავშვმა. — გულადი წამიყვანდა სვეტიცხოველში. ზღაპრებსაც მეტყოდა. შენ კი, ზადენო, ცუდი ხარ, ცუდი!.. ცუდო ზადენო, კერპო ზადენო, — ზადენმა მოხედა. თვალი რომ მოჰკრა დაღონებულსა და გაჯავრებულ ბავშვს, გულში სინანული გაიელო, უარი რად ვუთხარი, რა იქნებოდა, წამეყვანაო. მაგრამ სინანული ხორცხშეუსხმელი დაურჩა.

— აგე, ის არის! სხვა რომელიღა იქნება?! — გაისმა ხმამაღლა. — აგე, მაღალი, მხარბეჭიანი სამი ბოძი რომ მოჩანს, ის არის ვაჩე ხუროთმოძღვრის სასახლე?

ერთი მცხეთელი ვიღაც მოსულს მოუთითებდა ვაჩეს სასახლეზე.

— გულადი! — წამოიძახა ბავშვმა, — გულადი! ჩემი გულადი!

ბავშვი მერცხალივით გადმოფრინდა აივნიდან და ეზოში ცხენით შემოსულ გულადს მიეგება.

— წამიყვან თუ არა სვეტიცხოველში? — მიაძახა იამ გულადს. — ხომ წამიყვან?

— მაშ, მაშ! წაგიყვან, წაგიყვან! — მიუგო გულადმა. — ერთი ეს წერილი გადავცე პატრონს ვაჩეს და წაგიყვან: პირჯვარი უნდა გადავიწერო, სანთელი დავანთო...

— ვაჩე პაპა სვეტიცხოველშია წასული, — ამცნო გულადს იამ.

— სვეტიცხოველშია წასული? აბა, მაშ ახლავე წავალთ... მამის ტოლო! — მიმართა გულადმა ზადენს. — ერთი მიჩვენე ადგილი, ჰუნე დავაბინაო!

ზადენმა რალაც წაიბურტყუნა ცხვირწინ, თავი კი არ აუღია.

ამ დროს გამოვიდა ნინო. მოხუცმა დაინახა გულადი, გაიოცა და გაიხარა.

— როლის მოსულხარ, გულად? — რატომ არ შემატყობინე, იაე, გენაცვალე, ხომ ეშიება?

— ეს არის ახლა მოვედი, ნინო! — გასცა პასუხი გულადმა. — ეშიებას თავი დავანებოთ. იქნებ მითხრა, ცხენს რა ვუყო? მამის ტოლმა შეკითხვაზე არაფერი მითხრა რა. ყურს თუ აკლია.

ნინომ ქოქოლა მიაყარა ზადენს.

— უჟმური!.. ტოლებში გამოწყდეს ეგა!.. მიაბი აი ხეზე! მშვიდი სჩანს ჰუნე... მეტი რა ჩარა აქვს? თავში ქვას იხლის და დააბინავებს.

გულადმა ცხენი ნაჩვენებ ხეს მიაბა, ხელი მოჰკიდა იას და სვეტიცხოველისაკენ იბრუნა პირი.

კვირა იყო. კათალიკოზი სწირავდა. გულადი და ია რომ შევიდნენ სვეტიცხოვლის ტაძარში, წირვა კიდეც თავდებოდა. ვაჩეს დასავლეთის კედელთან პატრონიკენის ქვეშ გაუფლებულ ბინდბუნდში მოეყარა მუხლი. ხუროთმოძღვარი ლოცულობდა: ღმერთს ავედრებდა თავის ვედრების მუდმივ საგანს — თავის ქვეყნის გამთელებას შესთხოვდა.

გულადი და ია რომ შევიდნენ ტაძარში, ბინდბუნდში ვაჩე ვერ შენიშნეს და წინ წავიდნენ. გულადმა სანთელი დაანთო. კათალიკოზმა წირვა გამოიყვანა. გულადი მიუახლოვდა საკურთხევლის წინ მდგარ სრულიად საქართველოს მღვდელმთავარსა და მის გამოწვდილ ჯვარს და ჯვრის დამკაებელს ხელს ჯერ ია ამთხვია, მერმე თვითონ ემთხვია. კათალიკოზმა იას შუბლზე აკოცა და მთელი სეფისკვერი მისცა.

ვაჩემ თავიდანვე დაინახა გულადიცა და თავისი შვილიშვილიც. მაგრამ ლოცვას თავი არ მიანება. წირვის გამოყვანას მოუცადა. არსაკისძე ჯვრის სამთხვეველად არ დაძრულა ადგილიდან. გამოიყვანეს წირვა და ვაჩემ ეკლესიის მსახურთ შორის რიღასისათვისაც მზადება შენიშნა და მაშინვე მიხვდა, რომ ვიღაც მონაზვნად უნდა აღეკვეცნათ. რაღაც მზადება გულადმაც შენიშნა და ტაძრიდან გასვლა აღარ მოიწადინა. ისა და ია თავისი სეფისკვერითურთ გვერდზე გაჯდნენ და ლოდინად გადიქცნენ. ვაჩეს პატრონიკენის ქვეშიდან ფეხი არ მოუცვლია. ხუროთმოძღვარმა გადაწყვიტა, აქედან ედევნებინა თვალი, თუ ვინ აღიკვეცებოდა მონაზვნად და აქვე შეხვედროდა შვილიშვილსა და გულადს.

ტაძრის სამხრეთ კედელს მოსცილდა ვინმე ხნიერი მამაკაცი, დიდგვარიანი, და კათალიკოზისაკენ გაემართა. გვერდით მისდევდა ორმოციოდე წლის მამაკაცი. ვაჩემ მაშინვე იცნო ორივენი: ლიპარიტი, დიდი ლიპარიტი და მისი შვილი იოანე. რომ მარცხი განიცადა ამ დიდგვარიანმა, ეს კიდეც ჰქონდა გაგებული ვაჩეს, მაგრამ დიდი მარცხის შემდეგ მცხეთას თუ მოვიდოდა ლიპარიტი სალოცავად, ვერ წარმოედგინა.

„რაღაც ცვლილებაა მომხდარი მაგ დიდგვარიანში. ნეტავი გამაგონა, რა ცვლილებაა?“ – იფიქრა ხუროთმოძღვარმა და გაიგო კიდეც – თავის თვალით დაინახა, და ძალიან გაოცდა, როცა ლიპარიტი ჩოხანით შეიმოსა.

ტაძრის კარებში შეხვდა ლიპარიტს ვაჩე.

– გამარჯვებული შენ გამოხველ, გალილეველო! – შესძახა იულიანე განდგომილისებურად ლიპარიტმა ხუროთმოძღვარს და თანაც ზედ დაურთო. – მე დავმარცხდი, ბაგრატიანთ ხვედრს მკაცრი უარმყოფი, მკვეთრი – ლიპარიტმა სიტყვა შეწყვიტა. იამ დაინახა პაპა კარებთან, მისკენ გამოიწია და თან გულადი გამოიყოლა. პაპას წელზე ხელი შემოაჭდო და ცნობისმოყვარეობით თვალი მიაპყრო უცხო მამაკაცს. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ პაპასთან ყოფნით გათამამებულმა ბავშვმა ლიპარიტს მიმართა:

– დედა მომიკვდა და მამაც ბერად შედგა. შენ ვინ მოგიკვდა, უცხო პაპავ?

ლიპარიტი შეკრთა. ბავშვის სიტყვებმა გაახსენეს ყველაფერი ის, რაც აბრძოლებდა ბაგრატთან. ეს იყო რწმენა მისი, რომ ბაგრატიანნი წარმტაცებელნი იყვნენ, რომ სრულიად საქართველოს სვებედი ხელთ

უნდა ჰქონოდათ ჯერ კიდევ არგადაშენებულ სასანიანებსა, რომელთა გვერდის შტოდ თავის თავს თვლიდა ლიპარიტი. თუ პირდაპირი შტო არ ეძიებდა თავის დანაკარგს და არც კი იხსენებდა ამ დანაკარგს, გვერდის შტოს რად უნდა ეთქვა უარი ამ დანაკარგის მოპოებაზე, როცა ახსოვდა კიდეც ეს დანაკარგი და არც სურდა ის ვისმესთვის დაეთმო. მერმე რაა, რომ იმას სასანიანობის საბუთი ხელთ არ ეპყრა და ჟამთა უკულმართობას ჰქონდა გადაყლაპული? გადმოცემად ხომ არსებობდა გვარში თავიანთი სასანიანობა. „ქართლის ცხოვრება“ მოწმობს, იოანე სასანიანი, ჯუანშერის ძმა, საეგროში გადასახლდა დედით და ოვის ორი დითაო. აი სწორედ ამ იოანეს ჩამომავლად თვლიდნენ თავიანთ თავს მამა ლიპარიტისა და თვით შვილიც ლიპარიტი. თვლიდა ლიპარიტი სასანიანად თავსა და ერთ თავის შვილს, ახლა გვერდით რომ დასდგებოდა. სახელად „იოანეს“ უხმობდა. თვლიდა თავს სასანიანად და იბრძოდა ბაგრატიანთა შესასუსტებლად, ცდილობდა, მათ ხელიდან ტახტის გამოტაცებას და დამარცხდა.

„სწორი შედარებაა, სწორი! — თქვა იას სიტყვებზე გულში ლიპარიტმა. — აი სასანიანის პირდაპირი შტო; ბავშვი სიმართლეს ჰლაღადებს“.

დიდგვარიანი მიხვდა, ია ვაჩეს შვილიშვილია და რევი სასანიანის შვილიო.

ლიპარიტმა მოჰხვია ხელი იას, თვალებში აკოცა, მოიხსნა გულიდან პატარა ხატი — ოქროს მიწარზე ფერადი მინანქარით გამოსახული წმიდა გიორგი მის გულზე გადაანაცვლა და თან დაურთო:

— გფარავდეს, პატარავ, ამისი მახვილი!

— რა კარგი მხედარია! — წამოიძახა ბავშვმა, წმიდა გიორგის ხატს რომ დახედა. — აგე, როგორ გადუქნევია მახვილი. ბაქარმაც უსათუოდ ასე მოკლა ის დიდი ტახი!

ლიპარიტს თხუთმეტი წლის ჭაბუკი სასანიანი თვალწინ წარმოუდგა და პირს სიამოვნების ღიმი მოადგა. დიდგვარიანმა მისი დარბაისლური ლაპარაკი გაიხსენა, მისი სადა და გონივრული ლაპარაკი.

„დიახ! სწორი გზა აქვთ არჩეული ამ სასანიანთ“, — თქვა გულში ლიპარიტმა და მერმე ხმამაღლა მიმართა ვაჩეს: — სათხოვარი მაქვს შენთან დიდო ხუროთმოძღვარო!

ლიპარიტის სიტყვაზე ვაჩემ წერილი ჩამოართვა გულადს და თან სთხოვა:

— წაიყვა, ჩემო გულად, ბავშვი, გაიარ-გამოიარე მცხეთაში და მერმე მოდი ჩემთან სასახლეში, იქ დაგხვდები.

გულადმა ია წაიყვანა.

— ბრძანე! — მიმართა ლიპარიტს ვაჩემ.

— მწადიან მეფეს შევევედრო, — უთხრა ლიპარიტმა. — და შენც შემაშველე სიტყვა, რომ ჩემი იოანე აქ საქართველოში დატოვოს და იმსახუროს.

იოანემ თავისი სახელის გაგონებაზე განზე გაიხედა. ეტყობოდა, მამის აზრს ადგა, მაგრამ მამას არას ეტყოდა. ვაჩე დიდი ყურადღებით მოექცა ლიპარიტს. დაჰპირდა სიტყვის წაშველებასაცა, ხელის ჩამორთმევით გამოესალმა და ტაძრიდან გავიდა. გარეთ გამოსულმა გალავნის არემარეს მოავლო თვალი, ხომ არ ტრიალებენ აქ გულ ;დი და იაო, რაკი ვერავინ დაინახა, თავის სასახლისაკენ წარმართა ნაბიჯი.

მისი დიდებულად ნაგები სასახლე ფართო კამაროსანი სარკმლებით გასცქეროდა სვეტიცხოველს. ვაჩე დერეფანში შევიდა და ზადენმა მის ზურგთუკან დახშა გალავნის კარი.

„რატომ არ შეიძლება, რომ ჩემ სასახლეში მოკლე ხნით დაიდოს ბინა მეფემ? ჩემი სასახლე თვალს უსწორებს ბელტის ციხეს... აფხაზთა მეფეს და ქართლის პატრონს არაფერი აქვს დასაწუნი ჩემს სასახლეში...“ — ფიქრობდა ვაჩე და თვალი მ ის ქმნილებას ყოველ ღირსებას აღუნიშნავდა. ფიქრი შეიჩერა ხუროთმოძღვარმა. მის ყურთ ცხენთა თქარათქური და სალხთა ხმაური შემოესმა. კარი გამოაღო ვაჩემ და დერეფანში გამოიხედა. ნანატრი მეფე ქართლისა და აფხაზეთისა კარს მოსდგომოდა არსაკისძეს. მთელი სასახლე დაფაცურდა. ცხენების და ბარგის დაბინავებას შეუდგნენ.

ვაჩე მეფეს მიეგება და მუხლმოდრეკით ხელზე ეამბორა, დედოფლებს თაყვანი სცა, მეფისწულს გიორგისაც ხელზე აკოცა, ბაქარი გულში ჩაიკრა, ვარაზ-ბაკურს გაუცინა და ფერისსა და ბერას კმაყოფილებით თავი დაუქნია. და, ბოლოს მეფე ოჯახიანად დარბაზში შეიწვია. მაგრამ მეფეთა მეფემ შესდგა თუ არა ფეხი დერეფნის ფეხთთავხეზე, დერეფანი მოიწონა და იქ მოისურვა მოსვენება ოჯახითა და მხლებლებითურთ. შინაყმებმა მოარბენინეს მერხები და სელები. გააჩინეს მერხებზე

საუცხოოდ მოქარგული დორები, მეფე და მეფისწული, დედოფლები და მათი თანმხლებელი ასულნი, ყველანი მოთავსდნენ მათთვის განწესებულ ადგილებზე და ნამგზავრნი მოსვენებას მიეცნენ. ვაჩე ხუროთმოძღვრის სტუმრები გაჰყურებდნენ ჯვარის საყდარს, სვეტიცხოველს, სამთაროს, ირგვლივ მთლიანი მცხეთის მიდამოებს, ხან მცხეთის სამკაულიდან მთებს. სასახლე მთის მაღალ ფერდობზე წამომდგარიყო და ხელს უწყობდა ვაჩეს სტუმრებს მტკვარიც და არაგვიც დაენახათ. სასახლის დამხდურებმა კი, ვაჩეს ბრძანებით, გალავნის კარი დააკეტვინეს, რომ მცხეთელებს ჯერჯერობით ნამგზავრი მეფისათვის მოსვენება არ დაერღვიათ. გალავანს მიმდგარ მთის კალთაზე მეფის მცირე რაზმმა დასცა ბანაკი.

გალავნის კარი დაიკეტა და მსახურნი სამხრის მზადებას შეუდგნენ. ბერა, ფერისი, ბაქარი, ვარაზ-ბაკური კი თავის გუგანიანად დამხდურებს შეეშველნენ. მირანდუხტ სასანიანი აღარავის მოჰგონებია, — არც ძმას, არც ბერა-ფერისს, არც ვაჩე პაპას და არც ნინოს. ვაჩეცა და მისიანიც ყველა იმას ფიქრობდა, რომ მეფეს, მის ოჯახს და თანმხლებელ რაზმს შესაფერისად გაჰმასპინძლებოდნენ. თვით იადხმობილს მირანდუხტსაც აინუნშიაც არ მოსვლია, რომ მისიანი არავინ არ იგონებდა. ჰყავდა თან თავისი მცველი-მფაოველი გულადი, გულადიც მის მერცხლისებურ ჭიკ-ჭიკს ისმენდა და თვითონაც თავის გამოგონილ ზღაპრებს და ლექსებს ეუბნებოდა. ვაჟკაცს მგოსანს ამ გოგონამ გაულილი გზაც გადაავიწყა და ისიც, რომ შენაყრება უნდოდა.

იამ ნახევარი მცხეთა შემოატარა გულადს. გზადაგზა ხან ერთი ოჯახიდან უღიმოდნენ ვაჩეს შვილიშვილს, ხან მეორედან. ეტყობოდა, იმ მოკლე ხანს, რაც მცხეთაში დაედო ბინა, იას ბევრისათვის გაეცნო თავი და გზაზე ნაცნობთა ალერსი ფიანდაზად ეფინებოდა. საუცხოო ნათავაზევი ყვავილები მოჰგროვებოდა იას. ბევრი მის პაწია ხელს ვერ დაეჭირა. ძნასავით გაზრდილიყო ყვავილთა კონა და იას მარცხენა მკლავით მკერდზე მიეკრა. ბევრი სთხოვა გულადმა, მე წამოგიღებ ყვავილებსაო, მაგრამ ვერ დაათმობინა. იქნებ კიდევ ევლოთ იას და გულადს, რომ გზაში ყური არ მოეკრათ, ვაჩეს სტუმრები ეწვივნენო. ია აფორიაქდა:

— ჩქარა, გულად, ჩქარა! წავიდეთ! ეს ხომ ბაქარი, ბერა და ფერისი მოვიდოდნენ! — ბაღშვს, ვინც მუდმივ აგონდებოდა, იმათი სახელები წამოსცვივდა პირიდან. თუმცა პაპა ეუბნებოდა, ბაგრატ მეფეც უნდა მოვიდესო.

გულადმა ხელში აიყვანა ბავშვი და სწრაფი ნაბიჯით გაემართა ვაჩეს სასახლისაკენ. მალე გალავნის კარებს მიაღწია მგოსანმა.

— ახლა კი დამსვი, გულად, ახლა კი დამსვი! — გადმოფარტა სხაპასხუპით სიტყვები იამ და გულადმა წადილი აუსრულა.

— დაჰკარ ახლა გალავნის კარს, მაგრა, თორემ ზადენი ვერ გაიგონებს და არ გაგვიღებს! — უთხრა იამ თავის ერთგულ რაინდს და რაინდმა ძლიერი ხმიანი რაკუნი აუტეხა კარს.

— ვინ არის ეს ბრიყვი, ასე ხმიანად რომ არაკუნებს? — გაისმა გალავანს შიგნიდან ზადენის ხმა. — გამოვიდე ერთი და გიჩვენებ სეირს! მეფე გვეწვია და სად მოიბრძვით?

ზადენმა კარი გააღო და მას წინ აღემართა ია, თითქოს გოგონა გაიზარდაო.

მრისხანებით ანთებული თვალები მიანათა ბავშვმა ზადენს.

— ვინ არის „ბრიყვი"? — იკითხა იამ.

ზადენი შეკრთა. ხუმრობა ხომ არ იყო, პატრონის შვილიშვილს. პატრონის ნებიერს, სიტყვა „ბრყვი" მოასმენინა.

— მაპატიე, უფლისწულო, მაპატიე" მეგონა, ვინმე მცხეთელი არაკუნებს-მეთქი. — წაიბურტყუნა ზადენმა. — ნაბრძანები მაქვს, ჯერ არავინ შემოვუშვა ამ გალავანში. მეფე ისვენებს.

უყურადღებოდ დარჩა ზადენის ნათქვამი.

ია პირდაპირ შეფრინდა ყვავილებიანად გალავანში, თან გულადიც შეიწვია.

— აბა! ამას არ აწყენინო კიდევ! — უთხრა ბრძანების კილოთი ბავშვმა, — პური მიართვი.

ია დერეფნისაკენ გაექანა.

— ასე გაჯავრებული არ მინახავს მირანდუხტი, — გააგონა გულადს ზადენმა. — ჩანს, ყველაფრით შეილიშვილია პატრონისა. ჩემი პატრონი იშვიათად თუ გაჯავრდება ხოლმე, მაგრამ თუ გაჯავრდა!.. აი ზომ ნაბუ ეგ ბავშვი, ნამდვილი ეგ არის! მერმე აგეთი პატარა! ღმერთო, სვეტიცხოველო! შენ მაპატიე, მაგის ნაცვლად და მაგასაც გული დაუწყნარდეს! წელანაც ვაწყენინე, არ გავაცილე!.. ბავშვს ეწყინა კია, მაგრამ აგრე არ გაჯავრებულა... ყმაწვილო! — მიმართა ზადენმა გულადს: — რით დაიშსახურე მაგისი სიყვარული?.. — და თან დაუმატა: — შენი ჰუნე

დაბინავებული მყავს. უთხარი მირანდუხტს, გულში ბოროტს ნუ ჩაიდებს ჩემზე. ასეთი გავიზარდე, რა ვქნა? მაგრამ მიყვარს ჩემი პატრონი და ყველა მისიანი! ვიცი, ყმაწვილო, უჯარმიდან მოხვედი, რევისაგან ნამგზავრს პური გეშიება. ახლა შენთვის ვერავინ მოიცლის. მეფე გვეწვია ოჯახობით. აგე ჩემი ოთახი. ახლავე სუფრას გაგიშლი. შენ შეექეცი, მე კი კართან დავბრუნდები. — ზადენმა წაავლო ხელი გულადს, წამოდი, ნულარ ახანებო, და თავის ოთახისაკენ გასწია. გულადიც დაჰყვა მის ნებას და ადგილიდან დაიძრა. ახლა ჭამაზე უარს არ იტყოდა.

იამ კი დერეფანთან მიირბინა ყვავილებიანად. ყვავილებს ბავშვი გულიდან არ იშორებდა. მარცხენა ხელს მკლავიანად მათ ანდომებდა და მხოლოდ მარჯვენას აყოლებდა თავის ტანის მოძრაობას. რევის ასულმა ფეხი შედგა დერეფნის ფეხთთახევზე და დერეფანში განსვენებას მიცემული ხალხი შეათვალიერა: ბაქარი უნდოდა დაენახა ბავშვს და ბაქარი იქ არ იყო. კინაღამ ცრემლი არ წამოსცვივდა, მაგრამ მისი ყურადღების წრეში გიორგი მეფისწული მოხვდა და მოეწონა. მოეწონა მოხდენილად შემოსილი პატარა ვაჟი. მდუმარენიც, დერეფანშიც მყოფნი, არ ჩამორჩნენ იას. მეტადრე მეფე. ბავშვი ბევრი ახსოვდა ბაგრატს, თავისიც, სხვებისაც, მაგრამ ასეთი ჯერ არ ენახა. იას არაჩვეულებრივად მეტყველმა სახემ მოხიბლა მდგომარეობითაც და სულის სიძლიერითაც დიდი ადამიანი. ასეთივე დაინახეს ია დედოფლებმაც. გიორგი მეფისწულს, ველთასა და სხვა ახალგაზრდა ასულებს ანგელოზად მოეჩვენათ ყვავილებიანი გოგონა.

ია მოსწყდა ფეხთთავხეს და ყველასათვის მოულოდნელად გიორგი მეფისწულთან გაჩერდა. მთელი ტანით მის წინ აღემართა.

— ჩემზე მაღალია, — წამოილაპარაკა ბავშვმა და მისმა ზარისებურმა ხმამ სიჩუმე დაარღვია. — რამდენი წლისა ხარ? — მიმართა გიორგი მეფისწულს იამ.

გიორგი მეფისწულმა უმწეობა იგრძნო თავისზე, ვინ იცის რამდენი წლით, უმცროს პატარა ადამიანთან. თავდაპირველად ვერა უთხრა რა, დაახანა თქმა, და მერმე, როგორც იყო, ხმა ამოიღო ტუჩების გაბრუნჩვით.

— ჰო! ცხრა წლისა! — გაიმეორა თავისთვის იამ მეფისწულის სიტყვები და თან დასძინა. — მე ექვსისა ვარ.

— შენ ვინა ხარ? — მიახალა წამსვე მეფისწულს გოგონამ.

— ქართლის მეფე! — უპასუხა მაშინალურად გიორგიმ.

— აი, მეკობრე დიდგვარიანმა ლიპარიტმა რომ აკურთხა რუისში, ისა? — დასძინა მეფისწულის სიტყვებს იამ და ბაგრატ მეფეს ჰომერული სიცილი აუტყდა. გულწრფელად იცინოდნენ დედოფლებიც და მათი მხლებელი ასულნიც. ყველაზე მეტს კი ველოა იფხრიწებოდა.

მაგრამ იამ ამას ყურადღება არ მიაქცია.

სიცილმა სამხარის მზადებაში მყოფი ვაჩე დერეფანში გამოიყვანა. თან ბაქარიც გამოედევნა. რომ დაინახეს მირანდუხტი გიორგი მეფისწულის წინ, პაპა-შვილიშვილმა ერთი და იგივე აზრი გაივლეს გულში: ვაითუ იამ რაიმე საწყენო წარმოთქვაო და გადასწყვიტეს მისი გაცლა აქედან. ბაგრატმა შენიშნა და ხელის გაქნევით არ მისცა ამის ნება.

იას ეს ამბავი არ შეუნიშნავს. ბავშვს უკანაც კი არ მიუხედნია და თავის გამოსვლები არ შეუჩერებია.

ქართლის მეფემ კი შუბლი შეიჭმუხნა, იწყინა, საიდანღაც უცბად მოვლენილმა გოგონამ მეკობრე რომ უწოდა ლიპარიტს.

— მეკობრე რად იქნება? იცი რა გულკეთილია. აი ტანისამოსი რომ მაცვია, იმან დაამზადებინა ჩემთვის. კამკამა თეთრი არაბული ჰუნე ძღვნად მომართვა.

— არ იცი განა, რომ ყველა, ვინც ეომება ჩვენ მეფეს, მეკობრეა? — დარწმუნებით უთხრა იამ და თან მეფისწულივით შუბლი შეიკრა. — სირცხვილია, რომ არ იცი. — რევის ასულმა სწრაფ კილო შეიცვალა და შუბლი გაიხსნა: — აბა, მაშ, ქართლის მეფევ, ინებე ეს ყვავილები! — და ბავშვმა თავისი თაიგულიდან გიორგი მეფისწულს ორი ყვავილი მიაწოდა ღიმილით.

— აბა, გამომართვი ყვავილები! შენ თუ ქართლის მეფე ხარ, მე უჯარმის დედოფალი ვარ, — გააცნო თავი იამ მეფისწულს.

სიცილმა იმატა.

— შენ თუ მეკობრე ლიპარიტმა გაკურთხა მეფედ, მე ბერა მეძახის, უჯარმის დედოფალოო, — დაუმატა იამ წინა ნათქვამს. — მეძახის ფერისიც და მთელი უჯარმაც. მაშ რა გეგონა? იცნობ შენ ბერას?

— დიდი კომბალი რომ აქვს! — უპასუხა გიორგი მეფისწულმა. — მე მისი კომბალი დავატრიალე.

— დაატრიალე? — იამ ეჭვის თვალით გადახედა. ბოლოს წამოილაპარაკა. — ტყუილები ხომ არ იცი?

— ბერას ჰკითხე.

რაკი ეს თქვა მეფისწულმა, იამ დაიჯერა. თვითონაც თავი რომ გამოეჩინა ქართლის მეფესთან, სიტყვასიტყვით გულადის ნაამბობი თქმულება სამგორის მინდორის თაობაზე გადმოსცა და თან დაუმატა:

— იცი, მე რომ გავიზრდები, იმ საბი ძმისთანა ვაჟკაცი უნდა გავზარდო და მტრის სისხლი ვაღვრევინო, რომ ჩვენ ქვეყანაში შემოსველა ველარავინ გაბედოს.

ბაგრატმა ველარ მოითმინა, ყმაწვილივით სწრაფად წამოლგა ზეზე, ია ხელში აიყვანა და გადაჰკოცნა.

იამ ბაგრატს თვალი თვალში გაუყარა და გაუცინა.

— რა კარგი ხარ?.. რა გქვია?

— ბაგრატი! — უპასუხა უბრალოდ ბავშვს მეფემ.

ამ სახელის გაგონებაზე მეფეს ხელიდან ჩამოუცურდა და მის წინ გაჩერდა.

— ჩვენი მეფეთა მეფე! — წამოიძახა სახე გასხივოსნებულმა, ბაგრატს ახედ-ჩამოხედა და ბოლოს ხელზე პაწაწა ტუჩები დააკონა. თავი მაღლა რომ აიღო, ბაქარს მოჰკრა თვალი.

— ჩემი ბაქარი! — მოსწყდა იას პირიდან ძმის სახელი. ბაქარმაც მისკენ გამოსწია და გულში ჩაიკრა. ჭაბუკი დანაშაულს გრძნობდა, რომ პაპის სასახლეში მოსვლისთანავე თავისი და არ მოიკითხა.

— ხომ აღარ წახვალ ჩემგან? — ჰკითხა ძმას იამ წამსვე. — ხომ აღარ წახვალ?

ბაქარმა მეფეს გადახედა. ია მიხვდა, რომ მეფეს ბაქარის თავისთან ყოფნა უნდოდა, და მივიდა მეფესთან.

— მეფეთ მეფეო! — მიმართა პატარამ. — ნუ დაიტოვებ ბაქარს შენთან! მე მარტო ვიქნები! სულ მარტო ვიქნები... — გოგონამ ცრემლები გადმოყარა. — გავიზრდები, და თუ გინდა მაშინ წამოვიდეს შენთან.

— მოდი, გოგონავ! — უთხრა ხუმრობით მეფემ. — ბაქარიც ჩემთან დარჩეს და შენც ჩემთან წამოდი! შენთან ითამაშებს ველთამზე, გიორგი მეფისწული!

— აბა, ველთამზე? — იკითხა იამ.

— აგერ! — მიუთითა ბაგრატმა იას დედოფალთან მდგარ ზვიადის ასულზე.

ია სწრაფად გამოეცალა ბაქარს ხელიდან, სწრაფადვე მისრიალდა ველთასთან. ველთას ოჯახის ამბავი ჯერ არავისგან გაეგონა იას.

— შენ ხარ ველთამზე? — შეეკითხა იგი. — მე დედა არა მყავს? შენა?

ველთას სახე მოენისლა და თავის გაქნევით, არაო, უთხრა.

— მამა ხომ გყავს? — გაისმა კიდევ იას შეკითხვა.

ველთას ცრემლი მოადგა თვალებში. იამ შენიშნა ეს. მიხვდა ბავშვი, რომ ველთას მამაც აღარა ჰყავდა და სიბრალულით აღივსო.

— საწყალი ობოლი! — წამოილაპარაკა იამ გულნატკენად და თან დაუმატა. — მე მყავს მამა.

იამ თვალები ალერსით აიმეტყველა და ველთას ყვავილები მიაწოდა.

— ჩემო ველთამზე, აი რა კარგი ყვავილები მაქვს! გინდა მცხეთა დაგატარო? სვეტიცხოველი გაჩვენო?

— მერმე? — წამოიძახა მეფისწულმა, — მცველი გყავს?

— მერმე? შენ გინდა იყო ჩემი მცველი? — შეეკითხა ია მეფისწულს, თითქოს დაცინვის ღიმილით და დერეფანში მყოფთ კიდევ სიცილი აუვარდათ.

მეფისწული გაწითლდა და მორცხვად წამოილაპარაკა:

— მე თვითონ უმცველოდ არსად მგზავნიან.

— დღეს ჩემი მცველი გულადია, — უპასუხა გოგონამ და მიმართა ველთას. — იცი? მგოსანია გულადი. — თავის მარცხენა მკლავსა და ხელს გადახედა. — უჰ! მე კიდევ ბევრი მაქვს ყვავილი. — მეფის დას მიაპყრო ალერსიანი თვალი: — შენ ვიღა ხარ?

— გურანდუხტ დედოფალი! — მიუგო ღიმილით და სიყვარულით მეფის დამ.

— გურანდუხტ დედოფალი?! — გაიმეორა იამ ჩაფიქრებით და სწრაფად დააყოლა. — ჰო! ჰო! ვიცი! ვიცი! პაპაჩემმა უთხრა შენზე ნინოწმიდელს: ადამიანი სრული და უნაცვლო სახითა, სიბრძნითა, სიუხვითა და ღვთისმსახურებითა...

— ღმერთო ჩემო! რა ბავშვია! — წამოიძახა ვაჩემ უნებლიეთ, — ან სად მოასწრო ამის გაგონება, ან სად დაიხსოვნა!

ბაგრატს ევსებოდა გული სიხარულით რომ მის წულს — გიორგის სადედოფლოს ძებნა აღარ დასჭირდებოდა. ჯერ ქუთათისშივე ბაქარის პირველი ნახვისას, დაებადა აზრი: პატარა იას ბაგრატიანთათვის სასძლოდ გამზადებისა და ახლა თვითონ იას გაცნობისას ეს აზრი უფრო გაუმტკიცდა.

ვაჩეც ზეიმობდა, რომ თავის განზრახვა უსრულდებოდა. დიდი ხუროთმოძღვარი დარწმუნებული იყო, რომ ბაგრატიანთა მემკვიდრესთან შეერთება არსაკიანისა და სასანიანის ნათესავისა, ქართველთა ტომების მთლიანობას განამტკიცებდა.

ბავშვმა გურანდუხტს ყვავილები მიაწოდა.

— სამი შენ! სამი... — გოგონამ ბორენას გადახედა. — ეს შენ! მივხვდი: ბორენა დედოფალთ დედოფალი ხარ, გულკეთილი. ვარაზ-ბაკურმა უთხრა პაპაჩემს... ჩემს დას ბორენა დედოფალთ დედოფალი ჰპატრონობსო.

— შენც წამოდი ჩემთან, უჯარმის დედოფალო! — უთხრა ბორენამ იას ღიმილით. — სამი დედოფალი ვიქნებით: გურანდუხტ დედოფალი, მირანდუხტ დედოფალი და ბორენა დედოფალი.

იამ გაიხსენა, თუ როგორ წამოაძახებდა ხოლმე ნინო, მისი ხან ერთი ხან მეორე დაჟინებითი თხოვნით გაბეზრებული, და თვითონაც ნინოსგვარად წამოიძახა.

— აჰა, ღმერთო ჩემო! მეფეც მეუბნება, წამოდიო, დედოფალიც! მერმე მამაჩემი? — მიმართა დედოფალს. — ხომ მარტო დარჩა. მომვლელი არ უნდა? ნინო დაგვიბერდა. — ეს იამ ფერისის სიტყვები გაიმეორა. — სულ იძახის, აღარაფერი შემიძლიანო. ღმერთო, ნანასთან გადამასახლეო... მამას მომვლელი უნდა. არა, მე და ბაქარიც მამასთან უნდა ვიყოთ, — დაასკვნა ბავშვმა გადაწყვეტით და დედოფლების მხლებელ დანარჩენ ასულთ მიუტრიალდა, ყველას ყვავილები ჩამოურიგა, თავისთვის არაფერი დაიტოვა.

— შენ რომ აღარაფერი დაგრჩა? — უთხრა ბაგრატმა.

— მე მასპინძელი ვარ. ნინო მეუბნება ხოლმე, ჯერ სტუმრებს უნდა სცე პატივიო.

— მაშ მე რომ არ მომეცი ვარდი? — უთხრა ბაგრატმა.

მაგრამ იას ყურს გალავნის გზიდან ნაცნობი ხმები შემოესმა: მეფეს პასუხი აღარ გასცა ბავშვმა, წამოეფანტა სიტყვები, ბერა და ფერისი მოსულანო. ველთავ, მალე მოვალო, და წამს ეზოში გაჩნდა. დერეფანში კი დატოვა განცვიფრებული სტუმრები.

— მერცხალივით არ მოგვიფრინდა! — წარმოთქვა ბაგრატმა, — და მერცხალივით არ გაგვიფრინდა! იჭიკჭიკა, იჭიკჭიკა და გაგვიფრინდა!

გიორგი მეფისწული თავისი ადგილიდან დაიძრა და დერეფნის ფეხთთავხესთან მივიდა. ქართლის მეფემ ზედ ფეხი შედგა და ეზოში

დაიწყო ცქერა. ია ბერასთან და ფერისთან დიდ ამბავში იყო. აგერ კიდევ ვიღაც კაცი მივიდა მათთან.

— ოჰ, გულად, შენა? — უთხრა ბერამ. — უჯარმის ამბავს მოგვიყვები ალბათ.

— ჩემი პატრონი როგორ არის? — ჰკითხა ფერისმა.

— როგორ არის? — წამოიძახა იამ. — როგორ არის და მარტოა! ახლა კი აღარ უნდა დავახანოთ, უნდა წავიდეთ.

გიორგი მეფისწულმა ბაგრატს გადახედა.

— რა, გინდა იქ წასვლა? — ჰკითხა ბაგრატმა.

შეფერიანებულმა მეფისწულმა თავი დაიღო.

— წადი, — უთხრა ბაგრატმა და ველთამზისკენ გადაიხედა. — ველთავ, აგე ვარაზ-ბაკური, წადი შენც, უთხარი, მოვიდეს ჩვენთან და მერმე მირანდუხტი, შენა და გიორგი ერთად მოდით ქალებთან ისამხრებთ.

გიორგი მეფისწულიც და ველთამზეც წამსვე ეზოში გაჩნდნენ.

ვაჩემ დერეფანში დარჩენილები სამხარზე მიიწვია, მეფე — დარბაზში, ქალები დარბაზის ერთ მხართოთახში, რომელიც სამხრეთ აღმოსავლეთით იჭვრიტებოდა, ჯვარის საყდარს ჰხედავდა.

მეფემ დარბაზში შესვლისას წამოიძახა:

— დიახ, მირანდუხტი იქნება დედოფალი!.. მე გავხდი დედოფლად!

მეფე ამ სიტყვებით მერმისში უქადდა დედოფლობას რევის ასულს, თვით ასული რევისა კი, პატარა მირანდუხტი, უკვე დედოფლობდა.

— ქართლის მეფევ, მოხვედი? — მიმართა იამ მასთან მისულს გიორგი მეფისწულს თავისებური, თითქოს დაცინვის ღიმილით. — შენ გინდოდა ბერა წაგერთმია ჩემთვის? კიდევ ფერისიც! მე უჯარმის დედოფალი ვარ, ესენი კიდევ უჯარმელები არიან, მაშ ჩემები არიან. აი კიდევ ჩემი, — გოგონამ გვერდზე მიუთითა, — მგოსანია. პაპა ვაჩე ეუბნებოდა ბაქარს, მცხეთაში რომ მოვედით, დედოფლებს მგოსნები ჰყავდათო. მეც დედოფალი ვარ და მგოსანი მყავს. რომ გითხრას დედოფალმა, ხომ დაუკრავ ჩანგს და ლექსებს იტყვი.

— დავუკრავ, დავუკრავ, ჩემო პატარა დედოფალო! — დაუმოწმა გულადმა.

— ხომ გესმის, მეფისწულო, რას მეუბნება. დედოფალი ვარ, მაშ! — დარწმუნებით წამოიძახა.

ბავშვს სწრაფი იერიშები მიჰქონდა გიორგი მეფისწულზე. მეფისწული წითლდებოდა. ვერ გაეგო, რას ედავებოდა ეს გოგონა. დიდები კიდევ გულიანად იცინოდნენ. ბერამ შენიშნა, რომ გიორგი მეფისწული მალე ცრემლებს გადმოყრიდა, და რომ ეს არ მომხდარიყო, რევის ასული მხარზე შეისვა და წამოიძახა:

— ისეთი დედოფალი ხარ, რომ ჩემს მხარზე ტახტს დაგიდგამ და ისე გასცემ ბრძანებებს! — ბერა შეჩერდა. ველთამზეს მეფის დანაბარები გადაეცა ვარაზ-ბაკურისათვის და ახლა აქ მოვიდა. ბერამ იფიქრა, ჩვენთანაც ხომ არა აქვს დანაბარებიო, მაგრამ, რაკი ველთამზე მხოლოდ გიორგი მეფისწულს ამოუდგა გვერდში, თავისი განაგრძო: — მაგრამ, ჩვენო უჯარმის დედოფალო, იცი, რა კარგი რამ არის გიორგი მეფისწული, არა, ველთავ?

— ძალიან კარგი! — დაუმოწმა მოკლედ ველთამ.

— იცი, მირანდუხტ დედოფალო! — უთხრა იას ზენკალმა, — გიორგი უფლისწულმა ჩემი კომბალი თავისუფლად და გაუჭირვებლად დაატრიალა. ველთამაც სცადა დატრიალება და გაუჭირდა, მხოლოდ ასწია. გიორგი უფლისწული დიდი რაინდი იქნება, კარგი მხედარი. ისე ზის ჰუნეზე, თავის თეთრ ჰუნეზე, ლიპარიტმა რომ აჩუქა, თითქოს ჰუნეიანად დაბადებულაო.

— აბა, მაშ მიეცი შენი კომბალი, ჩემთან დაატრიალოს.

— ფერის, წადი ერთი ჩემი კომბალი გამომიტა! — უთხრა ზენკალმა, — თორემ მე რომ წავიდე, უჯარმის დედოფალს ტახტი მოეშლება.

— გამოიტა, ფერის, გამოიტა! — მიაძახა იამაც ფერისს.

ფერისმა უარი ველარ უთხრა თავის პატრონის ასულს და კომბალი გამოიტანა.

გიორგი უფლისწულმა დაატრიალა კომბალი.

— აბა, გულად! — მიმართა თავის მგოსნად გამოცხადებულ ფხოველს. — აიღე ჩანგი და გიორგი მეფისწული შეაქე. ქართლის მეფეა. დიდი რაინდი იქნება. მერმე ველთასაც უთხარი ქება. ტყუილად ხომ არ ეძახიან ველთამზეს. არა, არა! ჯერ დაიცა. ჯერ ქართლის მეფემ მაჩვენოს თავისი ჯდომა ჰუნეზე!

— გამომიყვანე, ფერის, ჩემი ჰუნე, — თითქმის თხოვნით მიმართა გიორგი მეფისწულმა ფერისს. უნდოდა მირანდუხტის პატივისცემა დაემსახურებინა.

ფერისმა ცხენი მოჰგვარა. პატარა დედოფალს თვალი ზედ დარჩა. მეფისწულმა გალავნის ეზოს გზის პირას ქვის სკამს მიუყენა. ცხენი კარგა მაღალი იყო ცხრა წლის ყრმისათვის. მეფისწული სკამზე შედგა და ისე მოახტა ცხენს. გამოცდილი ვაჟკაცივით ლაგამი აამოქმედა და ცხენი ეზოში გაათამაშა.

— აი მართლა მხედარი! — წამოიძახა გულადმა. აღტაცებულმა იამ ტაში შემოჰკრა.

— ხედავ, ველთამზევ, ხედავ!

ველთამზე იდგა და სიამოვნებისაგან მხოლოდ იღიმებოდა. ზვიადის ასულს უხაროდა, რომ მისი პატრონის შვილმა, უჯარმის დედოფლად წოდებულ ბავშვთან თავი არ შეირცხვინა. იამ კი რამდენჯერმე გაიმეორა: — რა კარგია, რა კარგიაო, და უცბად რაღაც გაიხსენა. გაიხსნა გულისპირი და ამოაძვრინა ლიპარიტის ნაჩუქარი ოქროს მიწარზე ფერადი მინანქრით ასახული წმიდა გიორგის პატარა ხატი.

—ერთი უყურე, უყურე! ბერავ, ბერავ, უყურე! — მიმართა ზენკალს რევის ასულმა, — არა, არა! ჯერ დამსვი, დამსვი, ისე გაჩვენებ.

მირანდუხტმა მიწაზე ფეხი დადგა და ხატი უჩვენა ბერას. ბერამ პირი გააღო.

— ღმერთო, როგორა ჰგავს მეფისწულს... თვითონ წმიდა გიორგი პირდაპირ მეფისწულია! სულ ისეთი სამოსელი აცვია. იმფერებიანი, იმყვავილებიანი! ჰუნე ახლა! მეფისწულისა არ არის? მაშ ვისია? ისეთივე თეთრია, კამკამა თეთრი, ისეთივე თავი აქვს, ფეხთა კუნთები!

ველთანაც დახედა ხატს და აღტაცებით შესძახა:

— როგორა ჰგავს, მირანდუხტ, ვინ მოგცა?.. პატარაა ეს ხატი და მაინცა ჰგავს. ვინ მოგცა, მირანდუხტ, ვინა?

— ვინ მოგცა ეგ? — ჰკითხა ახლა ბერამ მირანდუხტს.

— ვინა და ბერმა ანტონმა.

— ვინაა ეს ბერი ანტონი?

— ისე, როგორც მამას მოუკვდა დედაჩემი, იმასაც მოჰკდომია ვიღაც, არ მითხრა კი ვინა, და უცხო პაპა ბერად შედგა დღეს. პაპაჩემს ელაპარაკებოდა ტაძრის კარებში. მე რომ მიველი პაპასთან, იმან ამიყვანა, მაკოცა და ეს ხატი ჩამომკიდა. გულადიც იქ იყო.

— იქ ვიყავი, მაშ, — დაამოწმა და ხატს დახედა. — მართალია,

როგორა ჰგავს გიორგი მეფისწულს! ღმერთმანი, ბევრი დიდი მხედარი ვერ მოვა მაგასთან! ჩემო მირანდუხტ დედოფალო, იავ, მზად ვარ შევაქო მეფისწული.

მაგრამ გულადს არ მოუხდა მეფისწულის შექება. გალავნის კარებთან ზადენმა აურზაური ასტეხა.

იამ, რაკი იცოდა ზადენის კერპობის ოინები, და წელან ხომ თვითონაც იგემა, აღარ დაახანა. გალავნის კარისაკენ გაექანა. მეფისწულიც სწრაფად ჩამოხტა ცხენიდან და დაედევნა იას.

ბერამაც და გულადმაც გალავნის კარებს მიმართეს სეირის სანახავად. ფერისმა მეფისწულის ცხენი წაიყვანა დასაბინავებლად.

მხოლოდ ველთამზე არ დაძრულა ადგილიდან. ნახევრად მაინც ქალობაში ფეხშემდგმული ზვიადის ასული ფიქრობდა, რა ვუთხრა დედოფალს ბორენას, სამხარზე მისვლა რომ დავაგვიანეთო.

„ია თავისას გაიტანს. ყველაფერზე პასუხი მზად აქვს. ყველა დაჰყვება ხოლმე მაგ თითისტოლას. მე და მეფისწულს მოგვხვდება, გურანდუხტისაგან მაინც“. — თქვა ბოლოს ველთამზემ და გალავნის კარისაკენ გაიხედა.

იქ პატარა მირანდუხტი კიდეც შეება ზადენს.

— შე, კერპო ზადენო, ცუდო ზადენო, ქვავ, ქვავ! — კენჭებივით მიაყარა ბავშვმა მეკარეს, — რატომ არ აღებ კარებს?.. შენთან ხომ არ მოვიდოდა ვინმე? პაპასთან იქნება. მერმე რა არის, მეფე რომ გვყავს სტუმრად? იქნებ დიდი საქმე აქვს მოსულს?

— ნაბრძანები მაქვს, არავინ შემოვუშვა, — იყო მოკლე პასუხი.

— წადი და შენს პატრონს მაინც მოახსენე, ანტონ მონაზონი გკითხულობს-თქო! — მოისმა გარედან სიტყვები...

იას მახვილმა ყურმა იცნო ხმა, იას გულში ჩარჩა ანტონ ბერის სახე. დღეს არ იყო, რომ მიუალერსა ანტონ ბერმა და ხატი აჩუქა! ბავშვები უყვარს ანტონ ბერს, კარგია ანტონ ბერი. როგორ შეიძლება არ შემოუშვან იგი?

თითქოს შუშა დაიმსხვრაო, ისე წამოსცვივდა მირანდუხტს სიტყვები:

— თავის ნათქვამო! უსულო! უგულო! — ბავშვმა ფეხი მიწას დაჰკრა — ახლავე გააღე, ახლავე გააღე!

ზადენი გათანგა იას თვალებმა, თითქოს უნებისყოფო არსებად აქცია ხანგრძლივ ცხოვრებას გამოვლილი მამაკაცი.

— ნუ ზოზინობ, ნუ! — გაიგონა დამატებით მტკიცედ წარმოთქმული სიტყვები ზადენმა და მორჩილებით ააჭრიალა გალავნის კარი.

სტუმარმა მორიდებით შემოდგა ფეხი გალავანში.

— ლიპარიტ პაპა! — წამოიძახა გახარებულმა მეფისწულმა.

— ლიპარიტი! — წამოიძახა გაოცებულმა ბერა ზენკალმა, ამ დიდგვარიანის ტანზე ჩოხანი რომ დაინახა.

ია და გულადიც გაოცდნენ. აბა საიდან წარმოიდგენდნენ ისინი, რომ მათ თვალწინ დღეს მონაზვნად აღკვეცილი ადამიანი ლიპარიტი გამოდგებოდა. ტაძარში მხოლოდ ანტონის სახელს მოჰკრეს ყური: სახელი „ლიპარიტი“ გამოეპარა ერთსაც და მეორესაც. ლიპარიტმა გაუცინა გიორგი მეფისწულს და იასაკენ იბრუნა პირი.

— შენ არ ყოფილიყავ, სასანიანთა პატარა ასულო, მე ეს კერპი არ შემომიშვებდა.

იას ხმა არ ამოუღია. პირი შეეკრა. დუმილი დაეუფლა. თავში კი პატარას პატარ-პატარად გამოკვეთილი აზრები ებადებოდა და უტრიალებდა:

„მეკობრეა ეს ლიპარიტი. მეკობრე ხალხს სძარცვავს. აგე ცალქალამანიძენი, მეკობრე დიდგვარიანები, ხალხს სძარცვავენ. ძალად სხვასაც ამეკობრებენ. გულადმა მითხრა. გულადმა ტყუილი არ იცის. გულადი ხომ მოშორდა იმ მეკობრეებს“.

დიახ, გულადი მოშორდა რამდენი ხანია იმ მეკობრეებს და ახლა იას გვერდით იდგა და ლიპარიტს შესცქეროდა.

„ესაა დიდი ლიპარიტი! — ფიქრობდა გულადი. — მეფეთა მეფის მეტოქე ხშირად მეფეზე გამარჯვებული! ახლა ბერი! ბედს ვერ წაუვა ვერავინ წინა. ბაგრატიანთა ხვედრს ებრძოდა და დამარცხდა. ბაგრატიანთა ხვედრია ქართველთა ტომების გამთლიანებაო, მითხრა ვაჩემ. მართალი ყოფილა დიდი ხუროთმოძღვარი: მაშ, აღსართანიც ან მისი მომხრენიც სულ ერთია, დამარცხდებიან. ძლიერი ლიპარიტი დამარცხდა, ბაგრატიანთა ხელიდან უნდოდა ტახტის გამოგლეჯა და ბაგრატს მეტოქედ ჯერ მისი ნახევარძმა დემეტრე მოევლინა, მერმე მისი წული გიორგი მცირეწლოვანი. დემეტრე ნახევარძმაა, ეს მესმის, მართლაც მეტოქე იყო ბაგრატისა. გიორგი ბაგრატის მცირეწლოვანი შვილია. რა მეტოქეა? აქ ბაგრატიანთა ხვედრმა წაჰკრა ალბათ ხელი ლიპარიტს. გიორგი ქუთათისში და რუისშია გვირგვინნაკურთხი, ეს ხომ შეერთებაა

ორი სამეფოსი. ჯიბრით ექცეოდა ბაგრატს ეს დიდგვარიანი, შენ არ მინდიხარო. ან შენი ძმა უნდა ყოფილიყო ჩვენი ქვეყნის ტახტზე, ან შენი წული გიორგი უნდა იყოსო. რა ამბავია?! ასეთი ახირება!.. მერმე ბერობა!.. გულადი დაიბნა. უაზროდ გადახედა ყველას და თვალი იაზე შეაჩერა: — ჩემი მირანდუხტი დედოფალი...“ — რაღაც აზრი უნდა გამოენასკვა მირანდუხტზე და ვერ გამონასკვა.

სამაგიეროდ მირანდუხტი თვითონ განაგრძობდა დაწყებული აზრების გამონასკვას:

„ლიპარიტი სძარცვავდა ხალხს! პაპას არ უთქვამს ეს. მეკობრეს ეძახდა. რად ეძახდა? მეფეს ებრძვისო. ვინც მეფეს ეომება, მეკობრეა“.

ია შედგა. ველთამზე მოვიდა. ზვიადის ასულმა გადაწყვიტა, აღარ ელოდნა: დედოფლები გაუწყრებოდნენ.

— გიორგი მეფისწულო, ხომ არ ინებებთ წამობრძანებას მამიდასთან და დეიდაშვილთან?.. მირანდუხტ დედოფლები გველიან...

თქვენ წადით.

— შენა?

— მე მასპინძელი ვარ! ნინო ამბობს ხოლმე, მასპინძელი ფეხზე უნდა ტრიალებდესო.

ველთამზემ დაინახა, იას ვერ წაიყვანდა და მეფისწულს გადახედა.

— წავიდეთ, მეფისწულო!

მეფისწული არც კი გაჩუჩუნებულა.

ბერამ, როგორც მეფისწულმა, ერთი წამოიძახა, ლიპარიტიო, და ბერძნულ დადუმდა.

იამ მხოლოდ ახლა ამოიღო ხმა, როცა ველთამზე გამოელაპარაკა და ისევ მიდუმდა.

ყველა თითქოს განგებ მიყუჩებულიყო. ლიპარიტმა უხერხულობა იგრძნო და დიდებს გადახედა.

— ჩანს, არავისათვის მისაღები არ ვყოფილვარ, — წარმოთქვა წუხილით.

იამ შეხედა, ლიპარიტმა თავი დაიღო.

რევის ასულს პატარას ისევ პატარ-პატარად წამოესივნენ აზრები:

„გულადი მეკობრე იყო, დაიჭრა და პაპამ ჩვენსას მოიყვანა. სხვა ბევრი მოიყვანა. მოუარა და მოარჩინა. თავისებად აქცია. ლიპარიტი პაპასთან მოვიდა. ლიპარიტი ახლა ბერია. უფალმა არაფერი უყო“. —

ბავშვს გაახსენდა მორწმუნე მეკობრე, რომელზეც პაპამ უამბო — იესომ რომ აპატია მორწმუნე მეკობრეს ბავშვი ამის გახსენებაზე სწრაფად შეჩერდა. მოულოდნელად სასახლისაკენ გაქანდა. თვალებგაბრწყინებული დარბაზში შეიჭრა.

— ოჰო! რა ამბავია, ჩემო მერცხალო? — ჰკითხა ბაგრატმა.

— ჩვენო მეფეო, შენი ნახვა სურს ანტონ ბერს, ლიპარიტს.

— სათხოვარი აქვს შენთან. შვილი იოვანე უნდა შეგავედროს, — მოახსენა ვაჩემაც ბაგრატს თავის მხრივ.

— ადვილია! — მიუგო ბაგრატმა. — დიდი ლიპარიტი აღარ არის, ანტონი მონაზონია და ლიპარიტის შვილი ახლა, რაღა თქმა უნდა, თავს მოგვიხრის! აბა, უჯარმის დედოფალო, სთხოვე მოვიდეს. სწორედ შენ მოიყვანე.

ია დარბაზიდან გაქრა. მალე მიიჭრა გალავნის კართან. ყველანი ისევ იქ იდგნენ. მხოლოდ ველთამზე დაძრულიყო მეფისწული არ გამოჰყოლოდა ზვიად ბოლნელის ასულს.— მეფეთა მეფე გიბრძანებს! — მიმართა ლიპარიტ ყოფილს, ანტონ ბერს მირანდუხტმა.

ლიპარიტს თვალები გაუსხივოსნდნენ ნაზად აკოცა ბავშვს.

იამ კი თავისებურად მიახალა:

— ხალხს არ სძარცვავდი ხომ, მეკობრე დიდგვარიანს რად გეძახდნენ?

ლიპარიტს გული ეტკინა. თვალებმა უელვეს, მაგრამ გაახსენდა, რომ ანტონ მონაზვნად ევლინებოდა ქვეყანას და თავი დახარა.

— არა, არ ვძარცვავდი. — უპასუხა დიდგვარიანმა იას. — მეფეს ტახტს ვტაცებდი.

— ხომ გაიგონე, — უთხრა იამ გიორგი მეფისწულს, — ტახტის წამრთმევიც მეკობრეა, არა? — ჰკითხა ლიპარიტს გოგონამ.

— მეკობრე, შვილო, მეკობრე! — უპასუხა ლიპარიტმა. — ახლა კი მე მხოლოდ ანტონ მონაზონი ვარ.

იამ გულისპირიდან ანტონ ბერის ნაჩუქარი ხატი ამოაძვრინა.

— ეს მეფისწულია? — ჰკითხა ანტონ მონაზონს.

— გიორგია, გიორგი! შევმოსე აი ამ ტანისამოსით. — მეფისწულის ტანისამოსზე მიუთითა ლიპარიტმა რევის ასულს, — შევსვი თეთრ ჰუნზე, და ასე ოქრომქანდაკებელს გამოვაკვეთინე, კათალიკოზს ვაკურთხებინე და დღეს შენ ხვედრად იქცა, სასანიანის ასულო მირანდუხტ.

„დღეს შენ ხვედრად იქცაო“, ამ სიტყვებმა გონება გაუნათეს ლიპარიტს: გიორგი მეფისწული ხვედრია მირანდუხტისაო, გაუელვა თავში აზრმა დიდგვარიანს და წინასწარ იგრძნო, რომ ბაგრატიანთა გვარში ერთხელ კიდევ ამოქმედდებოდა ექვსი საუკუნის წინათ ჩანგრეული და საუკუნეთა მსვლელობით შენელებული თვით მირანდუხტის შენერგვით აღორძინებული სასანიანთა სული... დიდგვარიანი გაჰყვა იას. გიორგი მეფისწული აედევნა.

იამ დარბაზში შეიწვია ლიპარიტი. გიორგი მეფისწულიც შეჰყვა. ქართლის მეფედ ნაკურთხი ყრმა ველარ შორდებოდა მირანდუხტს, სასანიანის ასულს.

წიგნი მესამე

1

ლიპარიტი აღარ ელობებოდა წინ ბაგრატს, სამუდამოდ ჩამოსცილდა გზიდან, მონაზვნად აღიკვეცა. თავის ქვეყანაშიც კი არ დარჩა და საბერძნეთში მოქმედ ერთ-ერთ მონასტერს შეაფარა თავი. შვილი იოანე ჯერ მცხეთაში შეავედრა ბაგრატს, სამშობლოში დამიტოვეო, და მერმე — საქართველოდან გაქცეული, კონსტანტინეს ქალაქიდან შემოავედრა, სამშობლოში დაბრუნების ნება მიეციო. ბაგრატმაც პირველი თხოვნაც შეუსრულა და მეორეც, ჯერ სამშობლოში დარჩენის ნება მისცა იოანეს, შემდეგ — დაბრუნებისა. მეფეს აღარაფრისა ეშინოდა. ქართლი მთლიანად ხელში ჩაუვარდა. აღარავინ ეცილებოდა ამ მხარეს. ბაგრატმა ახლა კახეთ-ჰერეთს მიჰყო ხელი და საქართველოს ამ მხარის ყველა ციხე აიღო, „თვინიერ კვეტარისა და ნახიჭევანისა“.

აი ათმა წელმა განვლო და იაზონ ცალქალამანიძე კი თავის ბუნაგიდან ვერ გამოაგდო. ციხე კვეტარი კლდეკარობდა. თუ ათი წლის წინათ იაზონს წვრილფეხა ძმები ჰყავდა, ახლა ყველა მათგანი წამოიზარდა. ყველა იაზონიანად ისართა ძნელად გასატეხ ზღაპრულ კონას წარმოადგენდა. მათ მხარში ედგათ ბიძა — გულთფარი და ბიძა ცალმკლავა პეტრე ბერი, — ხნოვანებით დაბრძენებულნი. კვეტარს დროგამოშვებით თავს აფარებდა კახეთის პატრონიც აღსართანი. იაზონი თვალისჩინივით უფრთხილდებოდა მას. მაგრამ ბაგრატი თითქმის გულდამშვიდებით უმზერდა ამ ამბავს.

— კვეტარს ბოლო ვერ მოვუღე ჯერ, — ამბობდა ბაგრატი კახეთ-ჰერეთის სხვა ციხეთა დაჭერის შემდეგ, — ეგ არაფერი. ბაგრატიანთა ხვედრმა ჭკუით სავსე ლიპარიტი დასცა და, სულ ერთია, ეს ხვედრი არც მეკობრე ცალქალამანიძეთ აბოგინებს. ადრე თუ გვიან გაქელავს. განა აქამდეც კი არ გაიქელებოდნენ, რომ ალფარსლანი არ მოვლენოდა ჩვენ ქვეყანას?! ამ რისხვა ადამიანის შემოსევამ ჩვენს ქვეყანაში ის მიქნა, რომ კახეთის ციხეთ თავი ვანებე. თავმინებებულთ ისევ აღსართანი დაეპატრონა. ვითომ დაეპატრონა... მე კიდევ ზავი დავუდე ამ აღსართანს მოსაჩვენებლად... მე მაინც მეფე ვარ გაერთიანებულ ქართველ ტომთა ... მოულოდნელი იყო ჩემთვის ჩვენ ქვეყანაში ალფარსლანის შემოჭრა. სისხლით მომირწყო ამ მხეცმა თრიალეთი და ჯავახეთი. გმირულად კი იბრძოდნენ თურმე ახალნაგები ახალქალაქის, თითქმის უზღუდო ქალაქის მცხოვრებლები, მტკიცედ იცავდნენ თავის საბინადრო ადგილს. მრავალი მებრძოლი გაუწყდა სულთანს. მაგრამ მრავალზე მრავალი ?ინც გადაურჩა. რას გაუხდებოდნენ მცირერიცხოვანი ახალქალაქელნი. მიწასთან გაასწორა დაუნდობელმა ქალაქიცა და მისნი დამცველნიც. მრავალი შვილი ჩვენი ქვეყნისა თან გაიყოლა. თითონ მეც, ტაოს მყოფი ოჯახითურთ ძლივს დავუსხლტი ხელიდან სულთანს. დაიწყო, ჩანს ბიზანტიამ თავისი მორიელობა. შვიდი წლის წინათ კი სევასტოსობა მომაყენა. ჰოი, ბიზანტიავ, მე თუ არა, ჩემი შთამომავლობა არ შეგარჩენს შენს ვერაგობას! ბევრი უბედურება დამატეხე თავსა, ბევრსაც კიდევ მოველი შენგან, მაგრამ მაინც ურჩი ვარ ჩემი ბედ ისა, ვერავინ შემცვლის, ჩემი ქვეყნის თავდამსხმელი სულთანები არც შენ გაყრიან სიკეთეს. ბეცი ხარ, ბეცი! შორს ვერ სჭვრეტ! არ იქნება მთლიანი საქართველო და შენც მოგეღება მაშინ ბოლო. შენ გინდა იუფლო ჩვენზე ჩვენი აწეწვით. მაგრამ ჩვენი აწეწვა შენვე წამოგასვამს თავზე შენგნით ჩვენზე წაქეზებულს სულთანებს, ან კიდევ მოხეტიალე სხვა ხელმწიფეთ. უფრო მეტს გეტყვი: შენ აღიგვები, ჩვენ დავრჩებით: ჩვენი მთები შემოგვინახავენ, დაგვასვენებენ თავის საფარში და ისევ ვივლით შეუდრეკელნი ჩვენი გზით... შვილი წამომეზარდა მართლა ვაჟკაცი, ცხრამეტი წლისაა. იბრძვის ლომივით... — ბაგრატმა გონების თვალით წინ აიმართა თავისი მემკვიდრე, ახედ-დახედა და ისევ განაგრძო ფიქრთა დენა. — მაგრამ გულჩვილია ცხენოსან-მშვილდოსანი რჩეული. მის გონებას ლმობიერება დაუფლებია, ხასიათის სიმკვრივის მომ პობი, ყმათა ლაგამის მომბოშებელი...

მაგრამ ბაგრატი ამას შვილს იშვიათად ეუბნებოდა და ბორენა დედოფალი წუხდა: მისი ცხრამეტი წლის ძე, ჭარბად კეთილი, დაუდგრომელ ხანაში, საფრთხეს საფრთხეზე უქმნიდა თავის მომავალს...

— იქნებ. მბრძანებელო მოეთხოვოთ მეფისწულს, რბილობას უკლოს. — შეეკითხა ბორენა ბაგრატს. — მეფისწულის ქმედობაში დაუდევრობასაც ბევრსა ვხედავ... ჯერ კიდევ ყრმაა ჩვენი შვილი და იქნებ ხშირ-ხშირი შეჩვენებით აღმოვფხრათ ეს ნაკლი...

— არა, ჩემო ოანამეცხედრევ! — მიუგო ბაგრატმა. — ხშირი თქმა უარესს ნაყოფს გამოიღებს. ყმათა მიმართ ჩემი მოქმედებაც ეყოფის თქმად. ხომ ხედავ, თან დამყავს მუდამ მეფისწული, რომ ხედვიდეს ხოლმე ჩემ მოქმედებას ლაშქრად და ყველგან. თუ ამით ვერას გავხდები და სასძლო მყავს მისთვის შემბოჭავი. რევყოფილს, იოანე ნინოწმიდელის ასულ მირანდუხტს ვთხოვ მეფისწულის თანამეცხედრედ. მცხეთას, ხომ გახსოვს, როგორ გვხიბლავდა ექვსი წლის ია. ვერ ვშორდებოდით ვერც შენ და ვერც მე, ვერც დაი ჩემი თავდაჭერილი გურანდუხტი და ვერც სხვები. ვეღთამზე და გიორგი ხომ თითქოს კალთაზე ჰყავდა მიბმულნი. რა დამავ.წყებს იმ დღეს, როცა ლიპარიტს შემოუძღვა მირანდუხტი ჩემთან დარბაზში... „მეფეთ მეფეო! სათხოვარი აქვს ანტონ ბერს", — მომმართა დარბაისლურად ბავშვმა, თავი დახარა, გვერდზე სდგა ბიჯი, ლიპარიტისათვის გზის დასაგდებად და მერმე კარებისაკენ პირი წარმართა: გარეთ გასვლას ეშურებოდა ბავშვი. ხელი წავავლე და შევეკითხე პატარას: „ჩემო მირანდუხტ, ვინ გასწავლა შენ ეს სიტყვები?"

„ვინა და, ჩემმა ვაჩე პაპამ. ხელმწიფის ზღაპარი რომ მიამბო, იქ გავიგონე", — მოშაყარა სწრაფად სიტყვები, ჩემი ხელიდან თავი იშვა და ცქრიალით მიატოვა დარბაზი. ჩემი შვილი შელოცვილივით უკანვე გაჰყვა. თვით ვაჩეც კი გაოცებული გასცქეროდა შვილიშვილს. აი რა მითხრა მაშინ მოხუცმა: „პირველად მცხეთას რომ მივიყვანე მირანდუხტი, მამას დარდობდა, ღამე შფოთავდა, იქნებ დავამშვიდო-მეთქი: ზღაპარი ვუამბე ხელმწიფეზე და დავაძინე. უცნაურია. უცნაური, რომ მთელმარემ შესძლო აღებეჭდა გონებაში ჩემი თქმული და სწორედ რომ საჭირო სიტყვა გაიხსენა იმ ზღაპრიდან, მბრძანებელო, ახლა შენ წინ ჩემმა გოგონამ. — მართლაცდა უცნაურს უნდა უწოდებდეს ადამიანი ასეთ მოვლენას, — დასძინა ბაგრატმა და ისევ განაგრძო ლაპარაკი: მა-

შინ უჯარმის დედოფლობას მიაკუთვნებდა მირანდუხტს ბერა ზენკალი, ახლა კი მე აფხაზ-ქართველთა და კახთა მეფეც ვაცხადებ მას აფხაზ-ქართველთა და კახთ დედოფლად. ხუთი წლის წინათ კახთა სამყარო რომ დავიპყარ, უჯარმას შემხვდა მირანდუხტი თერთმეტი წლისა, რევის პალატში მომეგება დადინჯებული, სხივმფრქვეველი. თექვსმეტი წლისაა ახლა რევის ასული. ტანს აიყრიდა ცხრამეტი წლისაა მეფისწული, ჩვენი გიორგი, მხარბეჭიანი ვაჟკაცია. ხანი დგას მათი შეუღლებისა... მომიხმეთ ერთი მეფისწულს.

— მბრძანებელო, მეფისწული სანადიროდ არის გასული, — მოახსენა ეჯიბმა მეფეს. — დიდგორის სანახებს დასტრიალებს ეს ორი დღეა, მარტოდმარტო. საჭურვლისმტვირთველიც კი არ გაიყოლია.

დედოფალმა მეფეს თვალი შეაელო, ნახა რომ შუბლი შეეჭმუხნა და სიტყვა უთხრა ღიმილით.

— ბაქარს ჰბაძავს, მბრძანებელო! ბაქარმა მარტოდმარტო მოჰკლა ტახიო. მეც მინდა მარტოდმარტო მოვკლა დიდგორის სანახებში მრქენავი გალაღებული ხარირემიო.

ბაქარის გახსენებაზე მეფეს შუბლი გაეხსნა: უყვარდა სასაინაი, მისი დარბაისლობა, მისი გონივრული მოქმედება. ოთხიოდე წელს იყოლია თაეისთან ჭაბუკი აფხაზ-ქართველთა მბრძანებელმა და ბოლოს ერთგული სამსახურისათვის უჯარმის ციხეს დაუნიშნა პატრონად. ბაგრატი დარწმუნებული იყო, რომ ბაქარს აღსართანი ამ სიმაგრეს ხელიდან ვერ წაგლეჯდა. მეფემ უშუამდგომლა კიდეც თავის ერთგულ ყრმას — ბაქარს ვარაზ-ბაკურთან და ველთამაზე თანამეცხედრედ გაუხადა. ახლა ველთამაზეს შვილიც ჰყავს ბაქარისაგან. ვაჟი, პაპის სახელის მატარებელი. ახლა უჯარმელ სასანიანთა პალატში თითქოს ველთამაზეს უნდა ედიასახლისნა, მაგრამ შინ ოჯახის გამძღოლად, ველთამაზეზე ექვსი წლით უმცროსი, მირანდუხტ მული ევლინებოდა. ია გარეთ ძმას ემორჩილებოდა, მაგრამ შინ ყველაფრის პატრონობას თვითონ ეწეოდა. სულ მუდამ თავს დასტრიალებდა ბაქარის ცოლ-შვილს. სამი წლის რევისათვის სულსა და გულს არ ჰზოგავდა, პატივით ეპყრობოდა ვარაზ-ბაკურს, ყურადღებას არ აკლებდა გუგანსაც!

„ვენაცვალე უჯარმის დედოფალს. — ხშირად უთქვამს გუგანს, — დევებს შევებმი იმის გულისათვისო“. სოფლიდან სოფელში დაირხა მირანდუხტის ქება-დიდება. ჩანგზე ამღერებდნენ ცნობილი მთქმელის

ლექსს, რაც ღრმად ჩასწვდა გიორგი მეფისწულის გულს და მარტო დარჩენილი ხშირად იმეორებდა და ღიღინებდა:

იამა გშობა შობითა,
ვარდმა გაგზარდა გრძნობითა,
ნარგიზმა ძუძუ გაწოვა –
დამსგავსებიხარ სულითა.

თან ახსენდებოდა ექვსი წლის გოგონა მცხეთაში მყოფი. აგონდებოდა ისიც, რომ თვითონ ცხრა წლისა ამ გოგონას ველარ შორდებოდა და სულ უკან დასდევდა. ახლა ცხრამეტი წლისას სურდა წარმოედგინა თექვსმეტი წლის მირანდუხტი და ამ ლექსმა დაუხატა ნათლად სასურველი არსება გონების თვალწინ და შეაყვარა კიდეც. შეყვარებულმა მარტოდმარტო დაიწყო სანადიროდ გასელა... ტახტის მემკვიდრე ნადირთა სრვაში იქარვებდა სიყვარულისაგან დასევდიანებულ გულს. ბოლოს მოისურვა შმაგი ხარირემის მოკვლა. ასე ამბობდა: ბაქარმა მარტოდმარტო მოკლა ვეება ტახი, მეც მოვკლავ მარტოდმარტო შმაგ ხარირემსო. დიდი იმედი ჰქონდა თავისი თვალის სისწრაფის, მკლავისა და იარაღის მარჯვე ხმარების. თხუთმეტი წლის რომ გახდა, ბაქარს შეება ხმლითა და მისმა ხმლის ხმარებამ უკანასკნელს აღტაცება მოჰგვარა.

ხარირემს ვეფისწული კომბლით უნდა შებმოდა, მისი კომბალი ბერა ზენკალს გაეთალა.

და როცა ბაგრატმა გაიგო, მეფისწული მარტო კომბლით აპირებს ხარირემთან შებმასაო, მყისვე ბრძანა მოერთმიათ მისთვის ცხენი და რამდენიმე ვაჟკაცით გიორგის საშველად გაემართა. მაგრამ კომბლიანი შვილი, ცხენით მომავალი, წინ შემოეყარა. შორიახლოს ურმით მოჰქონდათ შუბლგახეთქილი, უზარმაზარი ხარირემი.

დედოფალს მოკლული ხარირემის დანახვამ უნებურად შიში მოჰგვარა.

„არ მეგონა, ასეთი უშველებელი იქნებოდა ეს ნადირი: ბორცვივით გდია, – გაიფიქრა ბორენამ. – შეეძლო ჩემი გიორგი დაეზიანებინა... მემკვიდრეა... სხვა მეტი ვინა გვყავს...“

დედამ შვილს გადახედა, გოლიათს მიამსგავსა და თავისი შიში უსაფუძვლოდ მიიჩნია. გული სიამაყით აევსო მშობელს.

„ამისთანა ვაჟკაცს ლომიც ვერ მოერევა, — თქვა გუნებაში, — რას გახდებოდა მრქენავი ირემი მასთან? აგე, ნადირის რქებ შუა ჩემი შვილის ნაკომბლარი...“

— მალე ჯვარპატიოსნება იქნება, — უთხრა ერთ დღეს გიორგი მეფისწულმა ბაგრატს.

— ვიცი! — თქვა ბაგრატმა.

— ეგებ გამიშვა ბაქართან, უჯარმაში, —განაგრძო გიორგიმ. — უნდა ვილოცო ძველი ჭეშმარიტი, აღმართული დიდი მირიანის ბრძანებით და სალომე უჯარმელის ხელით. გავეცნობი კახთა და ჰერთა, ნინოწმიდელს, სხვა მღვდელმთავრებს და იქაური მხრის დიდებულებს.

ბაგრატმა ჯერ დუმილით უპასუხა შვილს. მეფისწული შეფერიანდა. უარი ეგონა მამის პასუხის დახანება.

ბაგრატი ჯერ თავის თავს შეეკითხა:

„ხომ კარგი იქნება, ნება რომ მივცე? სწორედ შესაფერისი დროა. ხვალ ან ზეგ პასუხი მომივა ნინოწმიდელისაგან. აკი წერილი გავუგზავნე. ვიცი მღვდელმთავარი უარს არ მეტყვის მძახლობაზე და ჩემს ძეს მომავალი სიძის სახელით მიიღებს თავის ოჯახში ჯვარპატიოსნობას. ალბათ ვაჩეც იქნება ამ დროს. უნდა აუსრულდეს ეს სურვილი მეფისწულს. დამშვიდდება და გაშმაგებული ნადირთ დევნას თავს დაანებებს.

ბაგრატმა დუმილი დაარღვია და მეფისწულს უჯარმას წასვლის ნება დართო.

2

დიდი მზადება ჩაატარა ჯვარპატიოსნობის გადასახდელად რეჟი სასანიანის ოჯახმა. ველთა მოელოდა მეკობრე ფადლონის ბრბოების სადევნელად წასულთ — ბაქარსა და ვარაზ-ბაკურს თავის რაზმებიანად. მირანდუხტი კიდევ, მთავარი ავან-ჩავანი საუქმო მზადებისა — ვაჩე პაპასა და მრავალ მცხეთელ სტუმარს: კუხეთის ახალგაზრდობას — ვაჟსა თუ ქალს. მოელოდა მამასაც — იოანე ნინოწმიდელს.

მამის მოსვლა მისთვის მუდამ სასიხარულო ამბავი იყო, მაგრამ ახლა კიდევ რაღაც წაჰმატებოდა მის გულში. ამ სამიოდე დღის წინათ ნინოწმიდიდან დაბრუნებულ ბაქარს ორი ამბავი მოეტანა: ორი წერილი

მოსულია მამაჩემს – ერთი მეფეთა მეფის ბაგრატისაგან და მეორე იაზონ ცალქალამანიძისაგან. ერთი თხოვდა მამაჩემს მირანდუხტს მემკვიდრისათვის საცოლედ, მეორე საკუთრივ თავისთვისო. მირანდუხტმა ორივე ცნობა გულგრილად მიიღო. ორივე ამბავი ერთმანეთს შეუპირისპირა: იაზონს გულში რისხვით უმასპინძლდებოდა და ცხრა წლის წინათ მცხეთაში ნანახი გიორგი მეფისწულის ცხრამეტი წლის ჭაბუკად წარმოსახვას ცდილობდა. გაიხსენა მისი ცხენზე ჯდომა და გაიღიმა. ახლაც მოსწონდა გიორგი მეფისწულის მაშინდელი ცხენოსნობა. ქალი შეირხა, აუზის პირს გაჰყვა და სამზერლად მოხერხებული ადგილი დაიკავა. გულისპირის ქვეშ მიმალული მინანქრის მცირე ხატი გამოაჩინა და თვალიერება დაუწყო: ლიპარიტის ნაძღვნევი წმიდა გიორგი იყო.

– ცხრა წლისაზე მეტი მოჩანდა. ასეთი სახით იმზირებოდა, – ჩაილაპარაკა მირანდუხტმა, – ვინ იცის, რა იქნება ახლა! მაშინ გამობმულივით დამდევდა უკან, მემორჩილებოდა ექვსი წლისას, ახლა ჩემ პატრონად უნდა გახადონ.

ქალმა ხატი გულისპირს ამოაფარა და შუბლი შეიჭმუხნა: იაზონ ცალქალამანიძე გაიხსენა. თვალები რისხვით აანაპერწკლა და გაიმეორა წინაპარ არჩილის, ხაზართაგან ტყვედ წაყვანილი ასულის შუშანას სიტყვები: „უმჯობეს არს ჩემთვის სიკვდილი, რათა ღირს მყოს მე უფალმან წმიდათა დედათა თანა, ვიდრეღარა შევიგინო წარმართთა მიერ“.

– დიახ უმჯობესია მოვკვდე, სანამ მეკობრეს მეუღლედ გავყვე, – დასძინა მირანდუხტმა, ხატი ამოიღო, და ზურგი გაუხსნა. – მაგრამ სანამ მოვკვდებოდე ტყვედჩავარდნილი, აქ დამალული შხამით ჯერ ჩემს დამტყვევებელს წავიმძღვარებდი წინ და ქვეყანას ბოროტებას მოვაცილებდი...

მირანდუხტი ნელ-ნელა დაწყნარდა. გალავნის აღმოსავლეთ კარიდან ხმა ამოიჭრა. მის შეუმჩნევლად ცხენოსანთა გუნდი მოსდგომოდა კარს და გალავნის შიგნით შემოდიოდა. გუნდი წალკოტის ხეივნის აღმართს შემოუდგა. ყველანი შეჯავშნულნი იყვნენ. წლებით დაბრძენებულნი სდუმდნენ, ახალგაზრდანი მოიმღეროდნენ. იას ყურში შეეჭრა სიტყვები: „იამა გშობა შობითა“. სასანიანთა ასული არც შემკრთალა, არც შეფერიანებულა: მუდამ გულგრილობით ხვდებოდა ამ ლექსის მთქმელებს და ახლაც ასე მოიქცა. გუნდს წინ მოუძღოდა ოქროსფერ ჯავშანში გამოწყობილი მხარბეჭიანი ჭაბუკი. ისე ეჭირა ტანი, თითქოს ცხენზე ჯდომა დაბადებიდანვე თან დაჰყოლოდესო. ქალს გაახსენდა მცხეთაში

ყოფნა და თვალწინ წარმოუდგა ცხრა წლის მეფისწული გიორგი მის თვალწინ ცხენის მანავარდებელი. ის ცხრა წლისა და ახლა გუნდის წინ წამოსული, ასაკში მოსული ვინმე ცხრამეტი წლისა, რევ სასანიანის ასულმა ერთმანეთს შეადარა და ერთი იერი დაინახა ცხენზე ჯდომისა.

— მაშ ეს გიორგი მეფისწულია?! ჯერ ხომ მამაჩემს პასუხი არ მიუცია მეფეთა მეფისათვის. ბაქარმა მითხრა, ბაქარი ხომ არ დამიმალავდა. ეს კი თამამად მოდის! — ქალი მოიღუშა. — არა, როგორ გაბედა! — მაგრამ იადშობილმა შუბლი ისევ გაიხსნა: — ეტყობა ჯერ არ იცის, რომ მეფეთა მეფეს წერილი გამოუგზავნია მამიჩემისათვის, თორემ როგორ წამოვიდოდა მარტო, უმამოდ. წინასწარ რომ არ ეცნობებინათ თავიანთი წამოსვლა. ჩანს, ჯვარპატიოსანში მოდის სალოცავად და აბა სად უნდა ჩამოხტეს, თუ ჩვენთან არა? მეფეთა მეფისა და თავის საყვარელ ბაქართან?... მერმე ბაქარი რომ შინ არა არის მაშ მე უნდა მივილო, მე, სხვა აბა ვინ?... ველთა შეუძლოდ გამხდარ პატარა რევის უნდება.

ქალმა ერთხელ კიდევ გადაჰკრა თვალი თითქმის აუზთან მოახლოებულთ და ერთი თვალის გადაკვრით გუნდი უძრავად ჰყო. მერმე პირი იბრუნა პალატისაკენ, სწრაფი, მაგრამ მოხდენილი ნაბიჯით, ტანის ოდნავი მწყობრი რხევით აიარა აუზის აღმართი, პატარა ეზო სწრაფად გადასჭრა და პალატის დერეფანში მიიმალა.

— ეს რა ზღაპრული ამბავი დაგვემართა! — წამოიძახა გუნდის წინ მდგარმა წუთიერი დაბნეულობისაგან გონსმოსულმა ჭაბუკმა.

— დიაღაც რომ ზღაპარსა ჰგავს ეს ამბავი, მეფისწულო! — გაისმა გუნდში.

— სიზმარში მგონია თავი! — მიაღწია მეფისწულის ყურამდე ახლა სხვისმა ნათქვამმა. — ასეთი მზეთუნახავი ან სიზმარში მოეზმანება კაცს ან ზღაპრად გაეგონება.

— გინდ ზღაპრული უწოდეთ, გინდ სიზმარეული, ამ ამბავს! — წამოიძახა უფლისწულის მხლებელმა მწიგნობარმა, ხანდაზმულმა ქავთარმა. — ეს კი უეჭველია, რომ იოსას ამოვუარეთ, უჯარმაში მოვედით, სასანიანთა საგვარეულოს წალკოტიან სიმაგრეში ვართ, კუხეთის მთების გაგრძელებას გავცქერით და ახლა თვალწინ რომ ქალი გაგვიქრა, ეს მირანდუხტი სასანიანია, იადხმობილი. შარშანწინ ბაქარს რომ გამოვყევ აქეთკენ, მაშინ ვნახე რევის ასული და მეც აგრე დავიბენი, როგორც ყველანი თქვენ.

— მირანდუხტი, იადხმობილი... — აღმოხდა მეფისწულს სიტყვები სვენებ-სვენებით. — ექვსი წლისა... მცხეთაში...

— მეფისწულო, — მიმართა გუნდის წინ მდგარ ჭაბუკს მწიგნობარმა ღიმილით, — ახლა ექვსისა კი არაა მირანდუხტი, თექვსმეტისაა... ამაზე იფიქრე! ფრთხილად იყავ, გული არ ღაგიკოდოს! იცი რამდენი ახალგაზრდაა ამ მხარეს დამონებული მაგისი მშვენიერებით. გრძნეულივით მოქმედებს ყველაზე მაგისი სილამაზე. თვითონ კი სხვისი მომხიბლავი, მუდამ მოუხიბლავი რჩება.

— დაგვემალა! — წამოიძახა მეფისწულმა.

— არა, მაგან დამალვა არ იცის, — დაიწყო ისევ მწიგნობარმა. — რომ იმალებოდეს, ახალგაზრდობა გადარჩებოდა მაგის ტრფიალით დაავადებას... აჰა! ხომ ვთქვი დამალვა არ იცის-მეთქი! — წარმოთქვა მწიგნობარმა.

რამდენიმე წუთის წინ მიმალული ასული ახლა წალკოტის თავს გადმოდგა მხლებელთა გუნდით. მათ შორის იყვნენ უკვე ჭაღარით დაფერფლილი, მაგრამ ბუმბერაზობის იერ შეუცვლელი ფერისი და ონოფრე, თავისი ბრგე ტანით ადრეულ ფერისს მიმსგავსებული. მირანდუხტი მხლებლებითურთ გუნდს მიუახლოვდა.

— გაერთიანებული საქართველოს ტახტის მემკვიდრეს სალამს უძღვნის მისი ყმა რევი სასანიანის ასული! — წარმოთქვა მირანდუხტმა და მეფისწულს დიდი პატივის ნიშნად ცხენის სადავის ჩამოსართმევად ხელი გაუწოდა.

გიორგი სწრაფ გონს მოვიდა, ცხენის სადავე თავის მხლებელთა გუნდის კაცს გადაუგდო, მყისვე მირანდუხტის წინ ცალმუხლზე დაეშვა, მის ხელს ხელი შეავლო, ეამბორა და თან დასძინა:

— მე ვარ ახლა შენი ყმა და არა შენ ჩემი, სასანიანის ასულო:

ქალმა გიორგი ფეხზე წამოაყენა და უთხრა;

— მე ვარ შენი ყმა, წულო მეფეთა მეფისაო, და მე მმართებს ჩემი პატრონის ხელზე ამბორი, — სწრაფად დაბლა თავი დაიღო და სწრაფადვე ხელზე ემთხვია მეფისწულს.

მირანდუხტის ამ მოქცევაში ჭაბუკმა ამოიკითხა მხოლოდ პატივისცემა ყმისა და არა სასანიანთა ასულის ახალგაზრდული ვნება. მეფისწულს სევდა მოედო სახეზე. მირანდუხტმა კარგა დაინახა ეს მაგრამ

ყურად არ იღო და ბაგრატის მემკვიდრეს მშვიდად მოახსენა.

— მეფისწულო, ჯერ არს, რომ ბაქარი დაგეხვედროდა, მაგრამ ვერაგი ფადლონის ბრბოების სადევნებლად არის წასული ვარაზ-ბაკურთან ერთად და მე ვკისრულობ მისი მოვალეობის შესრულებას. ვერც მისი თანამეცხედრე გამოგეგებათ: ველთამზეს პატარა რევი ცოტა შეუძლოდაა, მიზეზიანობს. ბავშვი დედას არ უშვებს ჯერ მე ვეცდები საკადრისი მასპინძლობა გაგიწიოთ შენ და შენ თანმხლებლებს და მერმე მამამ, პაპამ, ბაქარმა: მალე აქ იქნებიან.

მეფისწულს არაფერი ეს მკაფიოდ არ გაუგონია. მის ყურს ეწვეთებოდა მხოლოდ მირანდუხტის ნათქვამი სიტყვები და გულს ეფონებოდა. ჭაბუკი კმაყოფილი იყო იმით, რომ მირანდუხტი ახლოს ედგა.

მირანდუხტი მის თანმხლებლებს მიუტრიალდა:

— მშვიდობა ჩვენთან თქვენს მობრძანებას! — მიმართა ქალმა. იმათ ჯერ თავი დახარეს და მერმე ცალმუხლზე დაშვებით სალამი უძღვნეს იადშობილს. მწიგნობარმა ქავთარმაც მოიდრიკა მუხლი და თვალებაციმციმებულმა თქვა: დიდ არს ჯვარპატიოსანი, რომ მის კალთაზე წამოიზარდა მირანდუხტ იადხმობილი, უჯარმის დედოფალი.

— ახირება ხალხისა, ქავთარ, ჟორემ კარგა ხანია უჯარმის დედოფლობაზე უარი ვთქვი, — ამცნო მირანდუხტმა მეფისწულის მწიგნობარს. — მე ვარ ახლა მხოლოდ სასანიანის ასული მირანდუხტი.

„სამაგიეროდ ახლა ჩემი გულის დედოფლად იქეცი!“ — უთხრა გულში სასანიანის ასულს მეფისწულმა და ფიცი დაუდო თავისთავს რომ მირანდუხტის აუგის მთქმელს მახვილის წვერზე წამოაგებდა.

— მთლიანი საქართველოს ტახტის მემკვიდრეს ერთგული ყმის სალამი! — შეესმა ბურანში წასულს მეფისწულს და თავის წინ დაჩოქილი ფერისი დაინახა.

გიორგიმ შუბლზე აკოცა ფერისს და ბერა მოიკითხა, მეფისწულს სწადდა, რომ ფერისთან ერთად ბერაც აქ ყოფილიყო. ის ბერა, კომბლის ხმარება რომ ასწავლა...

— ბერა, მეფისწულო, თავის საზენკლოში ზის. ბაქარისა და ვარაზ-ბაკურის რაზმელებს საჭურველს უმზადებს. ვაცნობებ, რომ აქ ბრძანდები და ხელად გეახლებათ, — ფერისმა ონოფრეს მიმართა: — ონოფრე, ბერასთან წადი და უთხარი; მეფისწული გიორგი ჯვარპატიოსანს ეწვიათქო.

ონოფრე სწრაფად მოსწყდა ადგილს და წალკოტის ხეივანს ჩაჰყვა.

— შენი შვილია, ფერის? — იკითხა მემკვიდრემ.

— დისწულია: ბაქარის ძიძიშვილია.

— ძალიან მომწონს! — წარმოთქვა მეფისწულმა.

— ერთი კია, — თითქოს მეფისწულის თქმულის დასამოწმებლად თქვა ფერისმა, — თუ შეუყვარდა ვინმე, თავს გადააკლავს ზედ. ჩემი უფლისწულის მირანდუხტის დიდი მათაყვანებელია.

— ონოფრე ჩემი რაინდია, მცველი! — დაუმატა მირანდუხტმა ფერისს. — გულწრფელი და პირდაპირი. — შემდეგ მეფისწულს მიმართა: — ვფიქრობ, დროა წალკოტი დავაგდოთ. პალატს ვეწვიოთ.

მაგრამ ამ დროს გალავნის აღმოსავლეთ კარებთან გამოჩნდა ჩოხანით შემოსილთა გუნდი.

— მამა! — წამოიძახა ბავშვური სიხარულით სახეამზიანებულმა ქალმა. და მერე აფხაზ-ქართველთა მეფის მემკვიდრეს მიუტრიალდა: — მეფისწულო! ნინოწმიდელი მობრძანდა, ჩვენი ოჯახის უფროსი, და შესაფერისად ის გაგიძღვებათ.

მეფისწული შეკრთა. სახე მოენისლა ჭაბუკს. არ იცოდა ყმაწვილმა, ნინოწმიდელთან მისი შეხვედრა რაგვარად წარიმართებოდა და თავი დახარა. სასანიანთა არემარეზე ფეხის დამდგმელს გული ეთანაღრებოდა, რომ ჰმალავდა თავისი წამოსვლის ნამდვილ მიზეზს და შიშობდა, ნინოწმიდელს გონებით არ ემხილა მისი ზრახვები.

იამ წამსვე შენიშნა, რომ მეფისწულს რევყოფილის მოსვლამ კრძალვა მოჰგვარა და ჭოჭმანი შეუყენა. ეს მოვლენა მორიდებად მიიღო და რომ გაემხნევებინა, ტახტის მემკვიდრეს დაჯერებით ამცნო:

— ნინოწმიდელს უყვარს მეფეთა მეფე ბაგრატიც და მისი მემკვიდრეც. მეფეთ მეფეცა და შენც, მეფისწულო, საქართველოს გამთლიანების გულისგულად დაუსახვიხართ მამაჩემსა და ქართველ ტომთა ერთ ერად ქცევას ბაგრატიანთა ხვედრად თვლის.

მეფისწულმა თავი მაღლა აიღო და ხნოვან სასანიანს მიეგება ამალითურთ. მირანდუხტმაც მიაშურა მამას. ქალს შინაურებიც მიჰყვნენ.

— ქართველთა და აფხაზთა ტახტის მემკვიდრე გიორგი, — გააცნო თავი შეჩერებულ ნინოწმიდელს მეფისწულმა. — კურთხევას ვითხოვ შენგან, მეუფევ! — მეფისწული ხელების გაწვდით დაეშვა ნინოწმიდელის ფერხთით.

ნინოწმიდელმა ღრმა ჭკუის თვალნი გადააელო მუხლმოდრეკილსა და ლმობიერებით აღსავსე კილოთი კურთხევა უთხრა. ჯერ ხელზე ამთხვევინა, მერე ფეხზე წამოაყენა და შუბლზე ეამბორა. ამ ამბორში მეფისწულმა სიყვარული იგრძნო და ნინოწმიდელს მადლიერის თვალით შეხედა. ნინოწმიდელი კიდევ თავის ასულს მირანდუხტს მიუტრიალდა. მღვდელმთავარმა მამამ აქეთურ სამყაროში დატოვებული ქალიშვილი აკურთხა და გულში ჩაიკრა. ორმოცდაათ წელს გადაცილებულ ნინოწმიდელს შვილების სიყვარული არ გაჰნელებოდა. ხნოვანობას მისთვის ხანიერი სიყვარულის განელება არ მიეკარებინა. რევყოფილმა თვალებში ჩახედა მირანდუხტს და თვალთმომდგარ ცრემლთაგან ქუთუთოები აუციმციმდა. მერმე მეფისწულს გადახედა და გაიფიქრა, მოუვლის თუ არა ეს მემკვიდრე ტახტისა ჩემს იასაო. მღვდელმთავარს თვალში მოსდიოდა გიორგი მეფისწულის აღნაგობა და მისი პირგაწყობილობა, მაგრამ უფრო მეტის შეცნობა სწადდა, უნდოდა გონების თვალით მის სულში ღრმად ჩაეხედნა.

მეფისწული შეკრთა სულში ჩახედვის მოსურნე თვალისაგან. ჩემი მოსვლის საიდუმლოებას არ მიმიხვდეს ნინოწმიდელიო, თქვა გულში ყმაწვილმა და სახეშეწითლებულმა სწრაფად თვითონვე გამოაცხადა თავი ჯვარპატიოსნის სტუმრად; — ჯვარპატიოსანს ვეწვიე, მეუფეო, მამიჩემის ნებართვით, — დაიწყო ჭაბუკმა, — და მოვალედ ჩავთვალე თავი, შენი ოჯახიც მომეკითხა: მიყვარს ბაქარი და მის თითოეულ მახლობელს ჩემ გულში საკუთარი არე მიეჩემება. მისი მეუღლე დედაჩემთან იზრდებოდა და დად მეკუთვნის; მისი და, მირანდუხტი, ცხრა წლისამ ექვსი წლისა ვნახე და არ დამვიწყებია. შენ ახლა გხედავ და პირველ დანახვაზევე ჩემი გული დაიმონე!

— კეთილი იყოს, კეთილი შენი ფეხი ჩემი შვილებისათვის! — აღმოხდა გულის სიღრმიდან რევყოფილს მეფისწულის პასუხად. — ანგელოზის კვალად მოევლინოს შენი კვალი ჩემ ოჯახს.

იქითურ სამყაროში გადასახლებული სასანიანი მაინც თავისად თვლიდა შვილების სამკვიდრებელს.

მეფისწული უმზერდა თავაზიანად მოპასუხე მეუფეს და გულს უნებურად, მას უმორჩილებდა.

მეუფე კი ფიქრობდა: — „ჩანს, მეფისწულმა არ იცის, რომ მეფე მის თანამეცხედრედ მთხოვს ჩემს მირანდუხტს და არც მე ვეტყვი უარს. დავუმოყვრდები საქართველოს მბრძანებელს, მაგრამ ჩემი მირანდუხტი

წლის განმავლობაში მაინც ჯერ კიდევ ჩემთან იქნება, რომ ჯერ ფიქრით შევურიგდე მის მოშორებას. ესაა ჩემი გარდუვალი სურვილი.“

ნინოწმიდელმა ფიქრი შეწყვიტა და მეფისწულის ამალასა და მეფისწულის გამოსაგებებლად პალატიდან გამოსულთ პირჯვარი გადასწერა და ყველანი პალატისაკენ გაიწვია.

ნინოწმიდელი თავისი კენარი აღნაგობით, სიარულით და გამომეტყველებით სავსებით მოაგონებდა მეფისწულს მირანდუხტსაც და ბაქარსაც. მეფისწული გრძნობდა, რომ ეს მღვდელმთავარი იმგვარადვე იზიდავდა მის გულს, როგორც ბაქარი და თვით მირანდუხტიც, მისი გულის სამუდამოდ დამმონავებელი.

რევყოფილმა აიარა წალკოტის აღმართი და თავის წინაპართა პალატს თვალი შეავლო. დერეფანში ველთა გამოსულიყო და ჩაფიქრებული გამოიყურებოდა. ნინოწმიდელმა შენიშნა ესა და მირანდუხტს მიმართა:

— რა ამბავია ველთას თავს? რატომ ჩემი რძალი არ გამოეგება სრულიად საქართველოს ტახტის მემკვიდრეს?

— რევი შეუძლოდ გვყავს, მამავ! — გაისმა დამშვიდებული პასუხი.

მღვდელმთავარმა მოითხოვა შვილიშვილის ნახვა. ველთამზე მამამთილს პატარა რევთან შეუძღვა.

მეფისწული ისევ მირანდუხტს შერჩა. სასანიანის ასულმა დერეფანში კოხტა სელები გამოატანინა. მისი ბრძანებით მეფისწულს განსაკუთრებული სახოვნების სკამი მიართვეს და საუცხოო დორით მოურთეს.

— მირანდუხტის სკამი, ფერისის ნახელოვნარი, და მირანდუხტის ხელით ნაქარგი დორი! — ამცნო ქავთარმა თავის პატრონს.

მეფისწული სდუმდა. შეფერიანებული და თავდახრილი სკამზე ჩამოჯდა. ჭაბუკმა მიწას დაუწყო ცქერა.

მირანდუხტმა მწიგნობარს კბილი გაჰკრა არამკითხეობისათვის.

— ქავთარ, იმ ქავთარისა რა ხარ, ჩვენი მეფეთა მეფის პაპას, ბაგრატს რომ ებრძოდა, ქართლის ურჩი აზნაურებისაგან ზურგგამაგრებული?

ქავთარს გულზე უკბინა ამ სიტყვებმა და ძალიან ინანა, მირანდუხტს ალაპარაკების საბუთი რომ მისცა. ის ქავთარი, ქავთარტბელი მამა იყო მისი. თავის წარკვეთით დასჯეს ურჩობისათვის. მისი თანამეცხედრე ამ მწიგნობარ ქავთარზე ფეხმძიმედ ყოფილიყო.

„სამაგიეროს მიძღვნა სწრაფად იცის, სწრაფად, სასანიანთა ასულმა,

— თქვა გულში მწიგნობარმა. — რა მსჯიდა ახლა, რომ ვამხილე, ვისი საკუთრებაც იყო სკამი და ვისი ნაქარგი დორი.

თუ მართლა თავის შვილის თანამეცხედრედ უნდა ეს ბაგრატს, ჩემი მტრის კარს! მაგრამ მე მაინც რა მედარდება: ბაგრატს ერთგულად ვემსახურები. შურისძიება გულში არ ჩამიდგია. დედაჩემისათვის ბაგრატის მამას არ უწყენინებია. მეფისწულს რად ვუღალატებ".

ნინოწმიდელი და ველთამზე თვალებგასხივოსნებული გამოვიდნენ.

— პატარა რევი კარგად გახდა, კარგად! — წამოიძახა ზვიადის ასულმა. — პაპისა და მეფისწულის ფეხი მოუხდა!

— ეს ფეხი კი მოუხდა, — თქვა ნინოწმიდელმა, — მაგრამ ტახტის მემკვიდრეს შესაფერისი პატივით ვერ მოვექეცით, და ვერც ვექცევით, ეს ვერაა კარგი. რა დროს ავადმყოფობა იყო. მეფისწულო უნდა გვაპატიო!

— რას ბრძანებ, მეუფეო! — წამოიძახა გიორგიმ. — მე რა ვარ იქ, ამ თვით მეფე ტახტის მპყრობელი, სადაც ბავშვია...

ამ საუბრით მეფისწულმა ცოტა ხნით გულის სწრაფვანი მიიყუჩა. მაგრამ მირანდუხტზე თვალის შეჩერებამ ისევ აუტოკა გული, ყმაწვილმა გადაწყვიტა პალატის დაგდება. მხლებლებს უბრძანა, კარვები დაეცათ, თავციხის გალავნის სამხრეთ-დასავლეთით, ივრისაკენ ჩაყოლებულ დაბლობს გაღმა, სუბად ჩამოქანებულ ფერდობზე. უბრძანა, აქ ერთი კარავი მისთვისაც გაემზადებინათ. ამ ფერდობზე ჯვარპატიოსნის მლოცავები იყრიდნენ თავს.

რევყოფილს მეფისწულის გადაწყვეტილება გულში ხინჯად მოხვდა. მღვდელმთავარმა ცოტა ხანს მდუმარებას მისცა თავი.

— მეფისწულისათვის მთელი ზედა სართულია გაწესებული, — თქვა ბოლოს რევმა. — რა ხანსაც დაჰყოფს ტახტის მემკვიდრე ჯვარპატიოსნის არემარეზე იმ დარბაზში მის მეტი ფეხს ვერავინ შესდგამს, მის ნება დაურთველად.

გიორგი დაიბნა. ლექსისგან დანთებულ სიყვარულის კოცონს იადხმობილის დანახვაზე გუგუნი გაჰქონდა. ყმაწვილი გრძნობდა, რომ ამას ვერ დამალავდა და გაცლას ცდილობდა პალატიდან, მხოლოდ პალატიდან, შორს კი არც თვითონ წავიდოდა. ან წავიდოდა შორს მაშინ და სულაც გადაიკარგებოდა, თუკი მირანდუხტს ცხად გულგრილობას შეამჩნევდა, ჯერ კი ვერაფერს ჰხედავდა. მოიწადინა სწორედ პალატის არემარის

გარე არეზე ერკვია თავისი სული. სიყვარულის ბურანში გახვეული. ამ წადილით რევყოფილის უკმაყოფილება გამოიწვია და თავი ორ წყალშუა ჩააგდო. დაინახა, რომ ამ მდგომარეობიდან ადვილად ვერ დააღწევდა კაცი თავს და ბაქარი გაიხსენა. ახლა ბაქარი მეფისწულს მხსნელად მოევლინებოდა. ბაქარი ყველაფერს მიუხვდებოდა. ბაქარს მეფისწული ყველაფერს ეტყოდა. მერმე რა რომ ეტყოდა? განა შვებას მიიღებდა მისგან. შვებას კი მიიღებდა, მაგრამ შველას ვერა. მეფისწული ისევ რევყოფილს უნდა წარსდგომოდა წინ. მეფისწულს განწირულის ნაბიჯი უნდა გადაედგა, სხვა გზა არ ჰქონდა და ამ გზას უნდა დასდგომოდა, მხოლოდ შესაფერისი წუთი უნდა გამოენახა.

მეფისწულის ამალა კარვების გასამართავად გაემართა. ამ დროს ბერა მოვიდა. მეფისწულს ოდნავ გულს მოეშვა.

ზენკალმა ლოცვა-კურთხევა მიიღო რევყოფილისაგან და მერმე მეფისწულს მუხლმოდრეკით სალამი მოახსენა, ხელზე ამბორი უყო. მეფისწულმა შუბლზე აკოცა.

ბერამ მირანდუხტს მიმართა:

— არა, მითხარი ერთი, უჯარმის დედოფალო, ე დამთხვეული რას გამომიგზავნეთ?.. გინდა თუ არა, უნდა შეგკრა და ისე მიგგვარო მეფისწულსაო, სანამ კომბალი არ დავანახვე იმ ცეტს, ვერას გავხდი. დავანახვე კომბალი ჩემებურად და, გაგიხარიან, ვათქმევინე: გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გიჩვენებო. თაგვის სორო მოვანახვინე...

ბერას ლაპარაკისას გოდორმოკიდებულმა ონოფრემ წალკოტიდან ამოირბინა და ბერას უკანასკნელ სიტყვებს ყური მოჰკრა. ბაქარის ძიძიშვილმა შორიდანვე დაუძახა ზენკალს:

— ბერავ, ნუ ცრუობ, თაგვის სორო კი არა, ..ვრის ნაპირები მოვნახე. იქ ფაცრები მქონდა დამალული! — ონოფრემ მეფისწულს მიმართა: — ფიჩხული მოგართვი! — აუწყა გაცინებით და წინ გოდორი დაუდგა, — ბედი გქონია: საუკეთესო ფიჩხული მოხვდა ჩემ ფაცერს! — გარს მყოფთ თავდაჭერილი, თითქმის უხმო სიცილი წასკდათ.

მაგრამ ჭაბუკმა ამას ყურადღება არ მიაქცია. ნინოწმიდელს თვალი მოჰკრა და გოდორს თავი ანება. ონოფრემ მღვდელმთავრის წინ მუხლი მოიყარა:

— ჩვენო უფალო! — წამოიძახა, — პატიებას ვითხოვ! ვერ დავინახე, კურთხევა მიბოძე შენს ერთგულ ყმას!

მღვდელმთავარმა მარცხენა ხელი თავზე ღაადო, მარჯვენა ასწია ჯვრის გამოსასახავად, მაგრამ ვერ მოასწრო: ონოფრემ თავში ხელი ირტყა.

— ეს რა მომივიდა! — წამოიძახა ფეხზეწამოჭრილმა. — აქამდე თქმა ვერ მოვასწარი. მაგრამ რა ჩემი ბრალია: აქ ბერას უხმეო, იქ მეფისწულს ფიჩხულიო, აქ კურთხევის მიღებაო, იქ ისაო, აქ ისაო... ყველაფერი ერთი მეორეზე ებმება და ერთი რამ მაინც დაგავიწყდება, მა რა მოგივა, მეტიც დაგემართება: გადაირევი.

— მე შენ გითხრა ისე კი გადარეული არა ხარ! — წამოიძახა ბერამ. მაგრამ ონოფრემ ყურადღება არ მიაქცია ბერას და წალკოტისაკენ პირი იბრუნა.

— ბიჭო, სად მიხვალ, სადა! — დაადევნა სიტყვები პალატის ქვედა ოთახიდან გამოსულმა ფერისმა. — საქმეა აქ გასაკეთებელი, საქმე!

— ბაქარი და ვარაზ-ბაკური მოდიან რაზმებითურთ: გალმა მხარეს მოვკარ თვალი და უნდა დავუხვდე. ტყვეები მოჰყავთ! აი იმ ხიდთან იქნებიან, — გადმოისროლა ონოფრემ მხართუკან სიტყვები და წალკოტი ჩაირბინა. გალავნის აღმოსავლეთი კარის გარეთ მიიმალა.

ფერისი მოტრიალდა და მეფისწულის წინ დადგმული გოდორი რომ დაინახა, მიხვდა, შიგ რაც იყო, მაგრამ თავი მაინც გააქნ-გამოაქნია და წაილაპარაკა:

— ერთი იმას უყურეთ, რა უქნია! მეფისწულის წინ დაუდგამს გოდორი! ბრიყვი! პატივი უცია რაღა! სხვასაც რომ არ გახსენებია ამ გოდრის აქედან აცლა! ჯვარპატიოსნობა ყველას თავს ავიწყებინებს ხოლმე! — ფერისმა გოდორს ხელი დაავლო და შიგ ჩახედა: ბიჭოს! რა მშვენიერი ფიჩხულია! სწორედ სამეფო სუფრას მოუხდება! კაი ძღვენია, მეფისწულო. სამხრისათვის მოვამზადებინებ, — და გოდორი სამზარეულოსაკენ გაუყენა.

ფერისი წავიდა და ონოფრე ისევ ამოვარდა წალკოტის დაბლობებიდან: პალატის დერეფანში მყოფთ თავი ვერ შეიკავეს და ხარხარი ასტეხეს.

ონოფრემ კი დაიძახა, ვაჩე პაპა მოდისო, ისევ წალკოტისაკენ ქნა პირი და გაუჩინარდა.

მართლაცდა, ჯერ ვაჩე მობრძანდა თავისი მცველი გუნდითურთ. დიდ ხუროთმოძღვარს სახე ძალზე დაჰღაროდა. წვერ-ულვაში და თმა მთლად გასთეთრებოდა: ოთხმოც წელს თავისი გაეტანა, მაგრამ მოხუცს თვალები ძველებურად უელვარებდნენ.

— მე რომ აქ მოვდივარ ხოლმე, — თქვა ვაჩემ ღიმილით, — სულ მგონია, ჩემ პატარა იას ვნახავ, ხელში ავიყვან და ისევ ჩავიკრავ გულში-მეთქი, მაგრამ ჩემ ასეთ სულისკვეთებას მუდამ ცივი წყალი ესხმის: მხოლოდ ერთს წუთს მეფინება ხოლმე მისგან გადმობნეული ხსივები და მერე ვხედავ დარბაისლური, ამოუცნობელი სახის მქონე ასულს ჩემი ასულისას.

— პაპილო! — გამოეხმაურა მირანდუხტი, — შენ არ მაგონებდი ხშირად ანდაზას: მამა ნახე, დედა ნახე, შვილი ისე გამონახეო.

ვაჩემ შეათვალიერა მირანდუხტი.

— ოო! ნამდვილი ჩემი ნანაა, ნამდვილი! — წამოიძახა ხუროთმოძღვარმა და შვილიშვილი გადაკოცნა.

მირანდუხტამდე ხუროთმოძღვარმა ჯერ ნინოწმიდელი მოიკითხა, როგორც მღვდელმთავარს პირველად პატივი იმას სცა, მერე კი მეფისწულს მიმართა სალმითა და კითხვით, როგორ იმგზავრე მცხეთიდან აქამდეო.

ვაჩე ჩასწვდა მის სულის სწრაფვას და, თითქოს იმედს აძლევსო, უთხრა:

— მეფისწულო, ჯვარპატიოსნობა ბევრ კარგს მოგვიტანს.

ხუროთმოძღვარმა ველთამზეს გახედა და გამოელაპარაკა.

— დაღვრემილი ხარ, ჩემო რძალო!

— დედის ტყუილ-უბრალო შიშია მიზეზი მაგ მოვლენისა, — დაიწყო რევყოფილმა. — პატარა რევი ცოტათი შეუძლოდ იყო და ველთას ეს გაუზვიადებია...

მღვდელმთავარს არ დაემთავრებინა განმარტება: დერეფანში შიშველმა პატარა რევიმ გამოირბინა. თავმინებებულ ბავშვს კაი გუნებაზე გამოღვიძებოდა, ძალა ეგრძნო და გარეთ გამოეწია.

პატარა სასანიანი თავის პაპიკოს შეაფრინდა ხელზე:

— ვაიმე, შვილო, — წამოიძახა ველთამზემ. — რომ გაცივდეს, ხომ უარესი დაემართება.

— აჰა! ხომ ხედავ, თუ როგორ შეუძლოდ არის, — დაურთო ნინოწმიდელმა თავის ნალაპარაკევს და შვილიშვილს მხრებში ხელი წაავლო, მაღლა ასწია და ყველას დაანახვა.

— ნამდვილი სასანიანია! — განაცხადა მღვდელმთავარმა.

— სახით მე მგავს თითქოს, — დაურთო რევყოფილის სიტყვებს ხუმრობით ვაჩემ.

— კიდევაც რომ გგავს! — წამოიძახა ბერამ. — ერთი შავ თვალებში შეხედე!

ხუროთმოძღვარი ყველას მიესალმა, ყველა მოიკითხა და მერე ისევ შვილიშვილისაკენ იბრუნა პირი.

— მოდი ჩემთან, პატარავ! — უთხრა ვაჩემ პატარა რევის და ხელები გაუწოდა.

ბავშვმა ეჭვის თვალით გადახედა.

— მართლა გგავს, იცით, დიდო ხუროთმოძღვარო! — ამცნო ვაჩეს ქავთარ მწიგნობარმა.

— რატომ არ მემგვანება, არსაკიანთა სისხლისაც არის, — მიუგო ვაჩემ.

— ზვიად ერისთავის სისხლისაც არის! — გაისმა მძლავრი ხმა მოულოდნელად.

ბავშვის მზერაში გართულთ ვერ შეენიშნათ დერეფანთან მომდგარი ვარაზ-ბაკური.

— ძია! — წამოიძახა პატარა რევიმ და მისკენ გაიბრძოლა.

ნინოწმიდელმა ბავშვი დედას ჩააბარა და ვარაზ-ბაკურისაკენ მიტრიალდა.

ვარაზ-ბაკურმა კურთხევა მიიღო მღვდელმთავრისაგან, მეფისწულს მუხლმოდრეკით სალამი მისცა და ხუროთმოძღვარს მადიანად ხელი ჩამოართვა. ყველანი მოიკითხა წესისამებრ და ქავთარს სიტყვა ესროლა სხვათა შორის.

— კიდევ მოგიხდა აქეთ ყოფნა?

— ჯვარპატიოსანმა მომიკითხა! — უპასუხა მწიგნობარმა ეჭვნარევი კილოთი.

— იცის, იცის მოკითხვა! ტყუილად გეპარება ეჭვი! — წამოიგუგუნა ისევ ვარაზ-ბაკურმა, დას ბავშვი ჩამოართვა და აკოცა. ბავშვმა იგრძნო ლოგინში დაბრუნების შიში აღარ მელისო, კარს მდგომთ თვალი მოავლო და ვაჩეს შეაჩერდა.

— შენ ვინა ხარ? — შეეკითხა ხუროთმოძღვარს ტუჩების გაბრუნჩვით.

— მირანდუხტის პაპა! მამაშენის პაპა! — უპასუხა ღიმილით ვაჩემ.

— ჩემია მირანდუხტი! ჩემია მამა! — წაედავა სასანიანი. დიდ არსაკიანს.

— მერე და ვინ გართმევს ან ერთს ან მეორეს?

გარს მდგომთ შორის ბევრი იღიმებოდა სამი წლის ბიჭუნასა და ოთხმოცი წლის პაპის „კამათზე“.

— ვინ არის ისა, ჰა, ვინ არის, ჰა?

პატარა სასანიანი ახლა გიორგისაკენ იშვერდა ხელს.

— მოდი ჩემთან. — უთხრა მეფისწულმა ალერსით და ხელები გაუწოდა.

— ვინ არის, ჰა? — იკითხა კიდევ ბავშვმა მემკვიდრის ვინაობა და როცა პაპისაგან მიიღო პასუხი, მეფისწულიაო, დაფიქრებით გაიმეორა, მეფისწულიო, და მირანდუხტს შეეკითხა.

— კარგია?

— ძალიან კარგია, ძალიან! — უპასუხა მირანდუხტმა მომღიმარე თვალებით და თან დასძინა: — მიდი მასთან.

მეფისწულს გულში ნათელი ჩაესვენა მირანდუხტის სიტყვებზე. პატარა რევიმ კიდევ, რაკი მირანდუხტმა აქო მეფისწული, წამსვე ვარაზ-ბაკურის ხელიდან მეფისწულის ხელში გადაინაცვლა. ბავშვმა მეფისწულის მკერდს მიაყრდნო თავი. მეფისწული ვარაზ-ბაკურს გამოელაპარაკა:

— ბაქარი სადღა არის?

— ბაქარმა თავციხისაკენ გასწია, მეფისწულო, ჩემი და თავისი რაზმი უნდა დააბინავოს.

მეფისწულს ძალიან სწყუროდა ბაქართან შეხვედრა. სწამდა მასთან ყოუნით სული დაუმშვიდდებოდა. თვალი მიმოავლო ყველას, ბაქარისთანა ვინ იქნებაო, და ასეთი სურათი დაინახა: ნინოწმიდელს და ვაჩეს ერთმანეთისაკენ გადაენაცვლათ და ხმადაბლა ლაპარაკობდნენ. ვარაზ-ბაკური დას რაღაცას ედავებოდა, ბერა ხან მირანდუხტს შეჰყურებდა, ხან მეფისწულს. მირანდუხტი ქავთარს აღიზიანებდა თავისი მწვავე

სიტყვებით. მეფისწულმა ისიც შენიშნა, რომ ნინოწმიდელი, ვაჩესთან ლაპარაკისას, თვალს წარამარა ხან მასზე აჩერებდა, ხან მირანდუხტზე და უცნაური ის იყო, რომ როცა მისკენ იცქირებოდა, წარბებს ღუშავდა და პირდაღვრემილი გამოიყურებოდა. მეფისწულმა არ იცოდა, რით აეხსნა ეს. ყმაწვილი წუხდა. გულმა ბაქარისაკენ ძალუმად გაუწია. ტახტის მემკვიდრეს ფიქრად მოუვიდა, კი არ ელოდნა ბაქარისათვის დერეფანში, თვითონ წასულიყო ციხეში მასთან, მაგრამ ვერ ახერხებდა.

პატარა რევიმ ლოყაზე ალერსით მოუცაცუნა ხელი და გამოელაპარაკა.

— ცხენზე ხომ შემსვამ? — მამა შემსვამს ხოლმე. წამიყვანე მამასთან.

მეფისწულს სიხარულით გული აევსო. ბავშვმა ბაქართან წასვლის საბაბი მისცა.

— წაგიყვან მაშა, წაგიყვან! — მიუგო ბავშვს და ველთას მიუტრიალდა:

— ხომ შეიძლება რომ წავიყვანო? შეიძლება? მაშ ჩააცვი.

ველთამ უარი ვეღარ უთხრა მეფისწულს.

— მეფისწულო, გაზაფხულია და თავციხის არემარე მყუდროებას მოკლებულია. — უთხრა მემკვიდრეს მღვდელმთავარმა. — ვაითუ იქ პატარას ავმა ნიავმა დაჰკრას ნაავადარზე.

მეფისწულმა უხერხულობა იგრძნო, თავი დახარა. მაგრამ მღვდელმთავარმა განაგრძო:

— ვიცი, ბაქარის ნახვა გწყურია, ვიცი ბაქარსაც უყვარხარ: გაეხარდება შენი ნახვა. მე კი თავციხის დათვალიერება მინდა, ვნახო როგორ გაამაგრა ჩემმა ნატამალმა მისი ზღუდენი. იქნებ ჩემთან ერთად ინებო იქითკენ გავლა.

მეფისწულმა გაიხარა. წელან გადაწყვიტა პირისპირ, მარტოდმარტო შეხვედროდა იქითურ სამყაროს მოქცეულ სასანიანს და ეს წუთები თავისთავად ახლოვდებოდნენ. მეფისწულმა ფეხზე წამოდგომით აღნიშნა თავისი თანხმობა: არაფერი თქვა რა. ერთი ეს იყო, რომ უნებლიეთ სახე კმაყოფილებით აიმეტყველა. ნინოწმიდელმა ვაჩეს სთხოვა სამხრამდე ცოტათი მოესვენა, გამოართვა მირანდუხტს ეკვდერის გასაღები და მეფისწულთან ერთად წალკოტს მიმართა.

წალკოტში თავქვეშ დაეშვნენ და ეკვდერის დასავლეთის კართან შეჩერდნენ. ნინოწმიდელი ფიქრობდა უკან დაბრუნებისას ელოცნა ნანას საფლავზე და ისე ესამხრა. მეფისწულმა კი თვალი შეავლო ეკვდერს, უნებლიეთ პატარა საყდ(ის ჩრდილოეთის კედელს გაჰყვა და ნინოწ-

მიდელიც თან გაიზიდა. რევყოფილს ჰხიბლავდა მუდამ სიმამრის ნაგები ეკვდერი, ამიერიდან ქრისტეს მიერ მის დად ქმნილი ნანას სამუდამო სამკვიდრებელი.

ისინი აღმოსავლეთით მოექცნენ ეკვდერს. მერმე სამხრეთის კედელს გაჰყვნენ და ბოლოს ისევ დასავლეთის კედლის კართან შეჩერდნენ. ნინოწმიდელს იზიდავდა საყდრის კარები: თითქოს სთხოვდა საყდარში შებრძანებას. მეფისწულს კი თვალწინ წამოემართა სვეტიცხოველი და მცხეთა. მოაგონდა მირანდუხტის მცველი მგოსანი, გულადი. გაიხსენა, მირანდუხტმა რომ უთხრა: აბა, გულად, აიღე ჩანგი და გიორგი უფლისწული შეაქეო, ქართლის მეფეაო, დიდი რაინდიაო. გულადიც ხომ მზად იყო აესრულებინა იას სიტყვები. სად არის ახლა გულადი? რატომ თან არ ახლავს მირანდუხტს?

გულადს კი კარგა ხანია, რაც ფეხი აღარ მოედგა სასანიანთა კარზე. მცხეთაში ყოფნის შემდეგ ერთ ხანს კიდევ ტრიალებდა თურმე გულადი უჯარმაში და მერე აღარავის უნახავს. ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ უყო პირი მგოსანს, არავინ იცოდა.

მეფისწულს გულადის გახსენებამ იაზე გამოთქმული ლექსის შემთხზველის ვინაობის გაგება მოანდომა. მაგრამ ვინ ეტყოდა ამას? ისევ მცხეთაზე შეუჩერდა გონების თვალი. ათი წლის წინათ... აგერ ექვსი წლის ია! აგერ თვითონაც გვერდით მისდევს სასანიანის პატარა ასულს. მაშინ ძალიან დაუმეგობრდა ია. თავისუფლად დასდევდა თვითონაც ჯერ კიდევ პატარა პატარას. გაახსენდა, როგორ ღიმილით და გულხალვათად ხვდებოდნენ ია მცხეთელები და ეუბნებოდნენ: მშვიდობა და დღეგრძელობა უჯარმის დედოფალსაო. ყველა ფიანდაზად ეგებოდა წინ. გაახსენდა, როგორ უთითებდა ხოლმე მასზე ია მცხეთელთ და ეუბნებოდა: ის ჩვენი მეფისწული გიორგია, საქართველოს ტახტის მემკვიდრეო. კარგი რაინდია, კარგი მხედარი, დიდი გახდება და მტერს დაგვიმარცხებსო. გაახსენდა მეფისწულს, როგორ მოსთხოვა იამ, ხმლის ხმარება მასწავლეო, ვისწავლი და ბრძოლაში დაგეხმარებიო. ისიც გაახსენდა, თუ როგორ ატრიალებდა ია მის ხმალს. დღეს ის დრო სანატრელად ექცა ჭაბუკს. სურდა თავისუფლად ემზირა მირანდუხტისათვის და არ შეეძლო, მასთან ახლოს ყოფნა სიტყვის უნარს აკარგვინებდა. ბევრი კარგი შეეძლო ეთქვა მირანდუხტისათვის და მორიდების გრძნობა ამის ნებას არ აძლევდა. მირანდუხტი თითქოს მიუწვდომელ არსებად

ექცა საქართველოს ტახტის მემკვიდრეს. ია სწორედ ლექსში ასახულ არსებად გაეხადა თავის კარმიდამოში. „ნეტავი ვინ არის ამ ლექსის გამომთქმელი? — იკითხა განმეორებით გულში მეფისწულმა, — შუბლს გადავუკოცნიდი. ნეტავი რა ძალამ გამოაგონებინა მირანდუხტის ღირსების სწორედ ამსახველი ლექსი:

იამა გშობა შობითა.
ვარდმა გაგზარდა გრძნობითა,
ნარგიზმა ძუძუ გაწოვა...

მეფისწულს ლექსის სიტყვები თავისდა შეუმჩნევლად ოდნავ გასაგონი ხმით წამოცდა, მაგრამ ერთხელ მამასთანაც დაემართა ეს ამბავი, ახლა კი მირანდუხტის მამა ედგა გვერდით. მისი პირიდან წამობნეული სიტყვათა მარცვლები უფრო წყაროს წყნარ ჟღურტულს ჰგავდა, ვიდრე ლექსის მკაფიოდ გასახოვნებული მარცვლების წყებას. მხოლოდ ძალზე ყურმახვილი ადამიანი თუ გაიგონებდა მათ დენას.

რევყოფილის ყურთმახვილობა კი ცნობილი იყო მთელ გარე კახეთში და გაიგონა კიდეც მეფისწულისაგან წარმოთქმული ლექსი. მღვდელმთავარი მიხვდა, რომ მეფისწულს ლექსის ძლიერი ზეგავლენა განეცადა. ნათელი გახდა მისთვის ყმაწვილის სახის დაღვრემა, ყმაწვილის წარბთ შუა ნაოჭის დალაგება. იოანე მიხვდა, რომ ეს გამოეწვია სიყვარულის ტკივილებით შექმნილ ტანჯვას. რევყოფილს გული შეეკუმშა. ბაგრატმა ქალი სთხოვა შვილისათვის. მეფეს, აბა, უარს რას ეტყოდა. შეყვარებული შვილი თვითონ მოვიდა უჯარმას. თითქოს მირანდუხტს ბედი ეჩარხებოდა, მაგრამ ბერად შემდგარ მამას გული ეურჩებოდა, ღვიძლ ასულს არავისათვის ათმობინებდა. რევყოფილმა ახლა კი თავციხეზე ასვლამდე განიზრახა შესვლა ეკლესიაში, ნანას საფლავზე ლოცვა, ნანას საფლავისაგან სულიერი შთაგონებით აღჭურვა და ისე გადაწყვეტა მირანდუხტის ბედისა, ისე გაცემა პასუხისა ბაგრატის წერილზე. უცნაურადაც კი მოეჩვენა ახლა, აქამდე რომ არ გადადგა ეს ნაბიჯი და დახანება მოუხდა. განა ჯერ ნანას საფლავი არ უნდა ენახა? ნანას სიყვარული იქითურმა სამყარომ ვერ გაუნელა და ნათლად ჩანდა, რომ სიკვდილამდეც ვერ გაუნელებდა. აქეთური სამყაროსებური გრძნობები თავს არ ანებებდა, ეკვდერში შესვლის წყურვილს უძლიერებდა. მაგრამ

იოანე ნინოწმიდელს თან ახლდა საქართველოს ტახტის მემკვიდრე და ჰმართებდა მისი სურვილის გათვალისწინებაც.

— ხომ არ გსურთ ეკვდერის შიგნიდან დათვალიერებაც? — მოხვდა ფიქრებში გართული მეფისწულის ყურს შეკითხვა.

მეფისწულმა მღვდელმთავარს შეხედა და კაცის სულის სიღრმეში ჩამხედავ მის თვალებში ეკვდერში შესვლის აუცილებლობა ამოიკითხა. იგრძნო, რომ თავისი საიდუმლო გაემჟღავნებია უნებლიეთ წარმოთქმული ლექსით; ფერი დაკარგა და თავი დახარა. მღვდელმთავრის პასუხად კარისაკენ ფეხი გადადგა, ნინოწმიდელმა ეკვდერის კარი გააღო, ჯერ სანთლები დაანთო, ხელთა აპყრობით ღმერთი ახსენა, მერე უბიდან ლოცვანი გამოიღო, მუხლი მოიყარა ნანას საფლავთან და წყნარად, მგრძნობიარედ დაიწყო კითხვა.

მეფისწული ეკვდერის დათვალიერებას არ შესდგომია. თავდახრილი შევიდა შიგ და საფლავთან ახლოს გაჩერდა. აქ მოელოდა თავისი ბედის გადაჭრას. კარგა ხანს იდგა ასე. გაისმა მისთვის მოულოდნელი მწარე კვნესა. მეფისწულმა თავი მაღლა აიღო და თვალი საფლავზე შეაჩერა. საფლავს ნინოწმიდელი დამხობოდა. ლოცვანი გვერდზე გადაეგდო. პირქვე მდებარის მწუხარება მწვავედ მოედო მეფისწულის გულს. ყმაწვილმა იგრძნო, რევყოფილისა და მის გრძნობათა სწრაფვას შორის საერთო ბევრი რამ იყო და უკვე მტკიცედ გადაწყვიტა ეკვდერშივე ემხილა თავისი გული რევყოფილთან. გამბედაობის ძალა მოიკრიბა და ხელზე ხელი შეახო ნინოწმიდელს, ნინოწმიდელმა გული დაიოკა და თავი მაღლა აიღო. მეფისწულს გაფითრებული, უსაზღვრო ტანჯვით ამეტყველებული სახე მიაჩერა. თვალი თვალში გაუყარა, მაგრამ ასეთმა შებმამ უფლისწულს მისებურად თავი ვეღარ დაახრევინა. ჭაბუკის ამეტყველებული სახე ეუბნებოდა ხნიერ მამაკაცს: შენ, მართალია, დაგნთებია კოცონი გულში ჩემებრ, მაგრამ მრავალი წელია მას აქეთ, მე კი მცირე ხანია, რაც დამენთო — ახალგაზრდას, მთელი ახალგაზრდული გრძნობების სიძლიერით, და მის გაძლიერებას საზღვარი არ უჩანს. ახლად დანთებული უფრო მწვავეა გამოუწვავი გულისათვისო.

— რა გინდა ჭაბუკო? — შეეკითხა მკაცრად და მოულოდნელად მეფისწულს იქითური სამყაროს მიკუთვნებული ადამიანი და მერე დონე დაშვებული კილოთი განაგრძო: — სასანიანთა გვარისა ვარ; მირიანისა, გორგასალისა, წმიდა არჩილის ნატამალი. მე მომდგამს მათი ყველაფერი...

მეფისწულმა ძლიერად ამოისუნთქა და რევყოფილი შეაჩერა.

— მე ბაგრატიანთა გვარისა ვარ, — დაიწყო ყმაწვილმა, — და ვეამბორები სამი გმირის ნატამალის ხელს. — ზეზე მდგარმა სწრაფად დაიჩოქა და ხელზე სწრაფად ეამბორა. — კთხოვ მომისმინო აღსარება საქართველოს ტახტის მემკვიდრეს და შენდობა მითხრა უნებლიე უარსაყოფი საქციელისათვის.

ნინოწმიდელმა თავი დახარა, ყურს გიგდებო.

— ჩემი მოსვლა აქ, უჯარმაში, ჯვარპატიოსანში საბაბი არის, მხოლოდ საბაბი. ვეღარა ვმალავ ამას. მართალი უნდა გაგიმხილო. ადრე დაიძრა ბაგრატ მეფე, მამა ჩემი, ოჯახიანად დიდგორისაკენ, ადრე! ჩემი არსების საბედისწეროდ!.. მე, ბაქარის მაღმერთებელი, გმირთა საქმეთ ვეწაფებოდი და მგოსანთ ვუსმენდი კაცთ გმირობაზე. ხსვა არაფერი მიზიდავდა. მოვედი დიდგორს, ჩემი გზები არც აქ შევცვალე. ისევ გმირობა და გმირი ხალხი მაგონდებოდა. მგოსანი ვიხმე გმირთა ამბების მოსმენისათვის და სულ სხვა ლექსი გავიგონე. ასულს აქებდა სასანიანს. მირანდუხტს. გმირი გმირობდა მირანდუხტისათვის. მე კი გმირული ყველაფერი ჩვენი ქვეყნისათვის წარმომედგინა. მოვაყვანინე ხსვა მგოსანი და აქაც უჯარმა, ია, მირანდუხტ ყურს ჩამეწვეთა. ექვსი წლის ია ცხრა წლისამ ვნახე მცხეთაში... წინ მიძღოდა და დედაქალაქს მაჩვენებდა, მე ხმლის ხმარებას ვასწავლიდი... მოვაყვანინე კიდევ მგოსანი და იგივე ლექსი. გავიგონე, ბოლოს გულს რომ დამესვა ლახვარივით. ვიმეორებდი ამ ლექსს, ვიმეორებდი და შენი ასულის მშვენება ვიგრძენ. მის მონად ვიქეც... არ დავინანებ ჩემ თავს იასათვის, ღმერთო მაღალო!.. მოსვენება აღარ მქონდა. მამის მალულად მარტოდმარტო ვიარებოდი ტყე-ღრეველებში. ნადირობაში მწადდა მეძია სულის სიმშვიდე. ვერ მივაღწიე საწადელს. მამას ვთხოვე, გამოვეშვი უჯარმისაკენ ჯვარპატიოსნის მოსალოცად. მამამ უარი როდი მითხრა, გამომიშვა. ია ვნახე, შვება ვერ ვნახე, იას დანახვამ გულში დანთებული კოცონი გამიძლიერა... უდიერობას ნუ დამწამებ, რომ კარვის დადგმა ჩემთვის წალკოტში ვუბრძანე, შენი პალატი გულს მიღელვებს, წელში მღუნავს... არ ვიცი ვისთვის გემეტება შენი ასული, მაგრამ სხვას ვეღარავის დავემონები. მირანდუხტი, იადხმობილი ჩემს გულს ეუფლა სამუდამოდ!.. ოოჰ! მეუფეო, მომიტევე ყოველი თქმული. ჩემი გული შეუბღალავი წყაროა. მირანდუხტზე ცუდს არ გავივლებ. ეს კი იცოდე, ტახტის მემკვიდრე

გეუბნება, თუ მირანდუხტი თანამეცხედრედ არ მეყოლება, ურჩობას გავუწევ მამას: სხვას არ ვინდომებ.

ნინოწმიდელი უცქეროდა, უსმენდა ახალგაზრდას და ლმობიერებით იჭურვებოდა. ყმაწვილის აღსარებას თავისი გაჰქონდა. საფლავს მიეპყრო თვალნი.

— ოოჰ! ნანა, ხომ მოისმინე აღსარება ჭაბუკისა! — ჩასძახა მან.

— ოოჰ! იას დედავ! ისმინე ჩემი! — ჩაჰღაღადა ტახტის მე¬კვიდრემ საფლავს. — ნუგეში ეცი დამონებულ გულს!

თითქოს ნინოწმიდელმა საფლავში თავისი ჩაძახებით პასუხი მიიღო ნანასაგან, ზეზე წამოდგა, მეფისწულიც წამოაყენა, მკერდზე მიიყრდნო და წარმოთქვა სულში ჩამწდომი ხმით:

— დეე გულმა იგრძნოს, რომ მემატება მესამე შვილიც, თუ ია თვითონ მოისურვებს საქართველოს ტახტის მემკვიდრეს თანამეცხედრედ.

თავისი ბედის გადაჭრა თვით მირანდუხტს მიენდო.

4

რევყოფილი და გიორგი მეფისწული წალკოტისაკენ რომ გაემართნენ, მირანდუხტმა ქვედა დარბაზის ზემოსართულთან დაუკავშირებულ მხართოთახში ვაჩე პაპა შეიწვია დასასვენებლად. ნაალდაგებულ ლოგინზე მუთაქა დაუდო და გასვლა დააპირა, მაგრამ ვაჩემ არ მოისურვა ლოგინზე წოლა, მირანდუხტი გვერდით მოისვა და შეეკითხა:

— იცი, შვილო, რომ ბაგრატ მეფე გთხოულობს თავისი მემკვიდრის თანამეცხედრედ? წერილი მოსვლია მამაშენს.

— ბაქარმა გადმომცა. — ამცნო მოკლედ მირანდუხტმა დამშვიდებული კილოთი.

— მაშ ცალქალამანიძის წერილსაც გეტყოდა ბაქარი.

— მითხრა! — წარმოთქვა დამშვიდებული კილოთივე ქალმა. — დავმოყვრდებით და ჩვენ შორის არსებული მტრობა მოისპობაო, ასე ამთავრებდა თურმე წერილს ის თავგადადებული მეკობრე.

— საპასუხო წერილი მე უნდა წავუღო ბაგრატს, — თავის მხრივ ამცნო ვაჩემ ქალს.

— მერე რას მისწერს მამაჩემი?

— თანხმობას.

მირანდუხტს თვალები აუელვდნენ. წუთიც არ გაგრძელებია ეს მოვლენა და ვაჩემ მაინც ყურადღება მიაქცია.

— ვის შეუძლია უარი უთხრას მეფეს? — შეეკითხა მოხუცი.

პასუხად მირანდუხტმა მხოლოდ გაიღიმა.

— ან კი რა არის აქ საუარო? — განაგრძო ვაჩემ. — ტახტის მემკვიდრის თანამეცხედრედ ყოფნა ვის არ ესურვება!

მირანდუხტი დუმდა.

— რას გაჩუმებულხარ? რატომ არას ამბობ? განა მეფისწული მოსაწონი არ არის? — ჩაუწვეთა ყურში ქალს კიდევ შეკითხვა.

მირანდუხტმა გულიანად გაიცინა, ვაჩეს ხელები ყელზე შემოჰხვია და მკერდზე თავი მიადო.

— აბა რა გითხრა, პაპავ, — დაიწყო ქალმა. — მეკითხები, ვის შეუძლია მეფეს უარი უთხრასო? ან რა არის აქ საუარო? ტახტის მემკვიდრის თანამეცხედრედ ყოფნა ვის არ ესურვებაო? განა მეფისწული მოსაწონი არ არისო? ამას ისე მეკითხები, რომ წინასწარ უარის თქმაზე ლაპარაკიც კი მეკრძალება. თითოეული შენი კითხვა მეუბნება: არ გაბედო და არ იუაროო. რაღა პასუხი უნდა გაგცე, თუ არ, იყოს ნება შენი და მამაჩემისა-მეთქი.

ვაჩემ ახედ-დახედა შვილიშვილს და თავი გააქნ-გამოაქნია.

მირანდუხტი წამოდგა, ოთახიდან გასვლას გაეპირა, მაგრამ ვაჩემ კიდევ შეაჩერა.

— დაიცა, ბავშვო! — მიმართა მოხუცმა და თან დასძინა თავისთვის: — კაი ბავშვია, შენმა მზემ, როცა თავისი სიტყვის მოჭრით ლამის მე, ცხოვრებით დაბრძენებული დამაბნიოსო.

— ვიცდი, პაპაჩემო!

ხუროთმოძღვარმა ხმა ამოიღო.

— ვთქვათ, ჩემს შეკითხვებში ყველანაირი თქმის ნებართვა გამოსჭვიოდეს, მაშინ რაღას იტყვი?

— მაშინ რაღას ვიტყვი? ვიტყვი, მადროვეთ-მეთქი. შენც ხშირად გითქვამს ჩემთვის და ხშირად მინახავს ჩემი თვალით, თავის ნიადაგიდან სხვა ნიადაგზე გადატანილი ხეც კი ხშირად ჭკნება, არ ხარობს... მიყვარხარ, პაპაჩემო, მიყვარს მამა, ბაქარი, პატარა რევი, ველთა, ჩვენი შინაყმები (თუგინდ ონოფრე), ბერა, მიყვარს ჩვენი პალატი, მისი კარმიდამო, წალკოტი, უჯარმა... ეს ხომ ის ნიადაგია, რამაც მკვება

სულიერად და ხორციელად, მანოყიერა, გამზარდა, აი ამოდენა ქალი გამხადა, ყველას ჩამოთვლილს ხომ ერთი ხელის მოქნევით მოვწყდები, ვისიმე თანამეცხედრედ რომ ვიქცე...

— როგორ თუ ვისიმე თანამეცხედრედ ვიქცეო? — წარმოთქვა ვაჩემ წყენით. — გიორგი მეფისწული „ვისიძეა"? საქართველოს ტახტის მემკვიდრე!

— დიახ, პაპაჩემო! მართალი ხარ, მეფისწული მართლა უბრალო „ვისიმე" არ არის. ძალიან ბრალიანი ვინმეა და ეს კარგად ვიცი. მისი დიდი ვინმეობა უფრო მომწყვეტს ყველას ჩემიანს და აი რატომ ვამბობ, მადროვოთ. ჩვენი ტახტის მემკვიდრის, მომავალი მეფის თანამეცხედრეობა დიდი ტვირთია, ძალიან დიდი ტვირთი, პაპილო! ვაითუ მისი სიმძიმე ჩემმა მხრებმა ვერ აიტანოს. უნდა ვიფიქრო, გამოვირკვიო, თუ დავინახავ, რომ ღონე შეწევს მაგ ტვირთის ზიდვისათვის, მაშინ, სიყვარულითაც რომ ამეტყველდეს ჩემი გული, მაინც გავყვები ტახტის მემკვიდრეს.

— ერთი ამას უყურეთ, რას მეუბნება! — წამოიძახა ვაჩემ.

— პაპილო! — მიმართა ალერსიანი კილოთი მირანდუხტმა დიდ ხუროთმოძღვარს. — ამ ჩემ სურვილს, ვიცი ვერ მოახსენებ ბაგრატ მეფეს, მამა უარს ხომ არ გეტყვის თანხმობაზე, მე მიბრძანებთ, — იადხმობილს სახე საოცრად დაეღვრიმა, — და ხმას არ ამოვიღებ, — საკანს ხომ არ აძლევთ ჩემ თავს თანამეცხედრედ, რომ ჩემი წმინდა წინაპრის ასულის შუშანასებრ თავი მოვიწამლო.

ვაჩემ დაინახა თავისი ია სახედაღვრემილი, გულში ტკივილი იგრძნო და უნებლიეთ პირი მოარიდა შვილიშვილს. თვალთ ცრემლი მოადგა.

ის კი აღარ გაუჩერდა პაპას და ოთახიდან გავიდა.

პალატის დერეფანში ბერა და ქავთარი დახვდნენ. მათ დანახვაზე მირანდუხტს წამს სახე ჩვეულებრივად შეენიღბა. დაღვრემილობის ნაკვალევსაც ვერ შეამჩნევდა ადამიანი, მაგრამ თვალმახვილ ბერას რა გამოეპარებოდა.

— ჩემი უჯარმის დედოფალი გუნებაზე ვერ არის?! — წამოიძახა ზენკალმა.

— რად ვიქნები ცუდ გუნებაზე, ბერავ? — გაეპასუხა ია. — პაპამ და მამამ დაგვხედეს თავის ნატამალებს. ბაქარი და ვარაზ-ბაკური დაბრუნდნენ. პატარა რევი კარგად გაგვიხდა. მერმე მთავარი რაც არის, მეფისწული, საქართველოს ტახტის მემკვიდრე, გვეწვია და ჯვარპა-

ტიოსნობა ჩვენთან ერთად უნდა გაატაროს. ასეთი პატივისცემა ჩვენი ოჯახისათვის დიდი რამეა.

ბერამ აღარაფერი უთხრა ქალს. ისეთი დუმილით უსმენდა, თითქოს სჯერაო ყველაფერი მისი ნათქვამი.

— ახლა იმას ვფიქრობ, თუ როგორი შესაფერი სამხარი გავუწყო ჩვენი ოჯახისათვის იშვიათ სტუმარს, — დაურთო თავის სიტყვებს იადხმობილმა და ნელი ნაბიჯით გასწია წალკოტისაკენ.

მლოცავების კარვების რიცხვი გაზრდილიყო ივრამდე ჩაყოლებულ დაბლობს გაღმა, თაეციხის ფუძის დავაკებული ფერდობის ნაკვეთზე. წარამარა ჩნდებოდნენ ხან ცხენოსანნი, ხან ურმით მომავალნი. გალავნის დასავლეთ მხარეზეც დაეცათ კარვები. ქვეყიდან მოსულ ბევრ მლოცავს დასაბინავებლად მიჰქონდა იერიში იქითკენ, საითაც ჯვარპატიოსნის მისადგომი კარი იმზირებოდა. მირანდუხტს მოსწონდა მლოცავი ხალხის თავმოყრა, მათი კარვების დალაგება და ზეიმი. უყვარდა ბაქარის გამოსვლა ასპარეზობაზე, თავი მოჰქონდა თავისი ძმის ვაჟკაცობით, მისგან სხვადასხვა იარაღის მარჯვე ხმარებით.

თავქვე დაეშვა. წალკოტს ეწვია. რატომღაც ჯერ ეკვდერისკენ წავიდა. საყდრის კარებს მიადგა. ზღურბლთან ჩახსაკრავი ეგდო.

„მეფისწულს ჩახსნია, — წარმოთქვა მირანდუხტმა. — ჩანს, დაუდევარია... მაგრამ რატომ აქ დაჰვარდნია? ეკვდერის კარებში...“

არ იცოდა, რომ მამა მეფისწულთან ერთად ეკვდერში იყო. მამას მარტო უყვარდა ამ საყდარში ლოცვა. რას იფიქრებდა ქალი, რომ მეფისწული მისი დედის საფლავზე დაიჩოქებდა და ცალი ჩახსაკრავის მარყუჟი მუხლის მუხლზე უნებლიე გახახუნებით ჩაიშლებოდა.

მირანდუხტმა აიღო ჩახსაკრავი, გასინჯა და ჩაილაპარაკა:

— უცხო ხელსაქმე ყოფილა ამის მომქსოვი.

ხელზე გადაიხვია ჩახსაკრავი და აუზისაკენ გადაინაცვლა. შემდეგ აუზის პირას ჩამოჯდა და სივრცეს მიაშტერა თვალები. თავი საქართველოს ტახტის მემკვიდრის თანამეცხედრედ წარმოიდგინა და გონების თვალით დაუწყო ცქერა მეფის კარზე ცხოვრებას. შებოჭილი დაინახა თავისი თავი! მერე ვინ არის შემბოჭავი! მეფის კარი. ასეთი ყოფილა მეფის კარი მუდამ და ასეთი იქნება მერმეც. სინანულის ლოდად შემოაწვა გულზე მამაპაპათა პალატის მიტოვება. გაახსენდა პაპის საგულიგულო

მიზანი: ქართველი ტომების შეერთებით მთლიანი საქართველოს შექმნა.

„ეს პაპაჩემი კერპია! – ჩაილაპარაკა მირანდუხტმა, – პაპას ყველაფერი და ყველანი, თავისიცა დ სხვისიც, ამ კერპის სამსხვერპლოზე უნდა რომ დაიწვას და სურს, მეც ამ სამსხვერპლოზე აღმედვას ცეცხლი“.

– მერმე? – ჩასწვდა ქალს ყურში ხმა, – მერმე, გგონია შენ კი არ გინდა მთლიანი საქართველო!

გონებაში ჩავარდნის დღიდანვე მირანდუხტი ამ მიზნით იყო გამსჭვალული და „არას“ როგორ ეტყოდა თავის თავს! მხოლოდ ქალის ჯერ კიდევ ნორჩი ბუნება შიშობდა დედოფლობის უღელში შებმას. იქნებ ეს შიში გადაელახნა კიდეც, რომ გიორგი მეფისწული გულში ჰყოლოდა ჩავარდნილი. გული არ სთხოვდა ჯერ ამას და ბუნება ახლა მხოლოდ გონების შეგნებითღა უნდა დაემორჩილებინა.

„საქართველოს მთლიანობა მოითხოვსო, მეუბნებიან, – განაგრძო მირადუხტმა თავის თავთან ლაპარაკი. – რატომ ჩემგან მოითხოვს ამას... ჩვენი ქვეყნისათვის თავს გავწირავ, თქმა არ უნდა, მაგრამ რატომ ჩემი გადედოფლებით უნდა გამოიხატოს ეს თავის გაწირვა? – ამ კითხვას სხვაც მიაყოლა ქალმა: – ბაგრატ მეფემ რაღა მე გამომნახა! თვითონ ჯერ საბერძნეთის მეფის ქალი ჰყავდა, გარდაეცვალა და ისევ სხვა ტომის ქალი, ოსთა მთავრის ასული მოაყვანინა თანამეცხედრედ. შვილს თავისი ტოლი ოჯახიდან უნდა მოუყვანოს ქალი მეულლედ; ჩვენ მისი ყმები ვართ. – ქალმა ისევ ქართველ ტომთა გაერთიანებისაკენ გადაანაცვლა ფიქრი: – დიდგვარიანი ლიპარიტი უშლიდა ხელს ამ საქმეს. ის არ სცნობდა ბაგრატიანთა უფლებას. მაშ ვის უნდა ეუფლა ლიპარიტო?... ჰო, ბაქარმა მითხრა, ალბათ სასანიანებს ფიქრობდა. ბაქარმა იცის ადამიანის გულში ჩაწვდომა. ჩანს, ჩვენ გვკუთნებია ქართველ ტომთა ზედა უფლება... – ამ დასკვნას მეორეც მიაყოლა, – არსაკიანთა და სასანიანთა ნატამალი ვართ... ჩანს, ბაგრატი ქართლისა და კახეთის გულის მოგებას ცდილობს თავისი მემკვიდრის ჩემთან შეულლებით...“

ქალმა ჩახსაკრავს დახედა: „დაუდევარია, ჩანს, მეფისწული: ვინაობის დავიწყებაც ეცოდინება: მარტოდმარტო უზარმაზარ ირემს შეება ტყეში კომბლითო. ტახტის მემკვიდრეს რომ დაჰმართოდა რამე, ეს ხომ ქართველთა ტომების გაერთიანებაში არევ-დარევას გამოიწვევდა. გულის ამყოლობა უნდა მოსდგამდეს...“ – ქალი შეჩერდა. მისმა ყურმა

შორეული ფეხის ხმა დაიჭირა.

მირანდუხტმა თავი მაღლა აიღო და ბაქარისაგან მომავალი მამა დაინახა. რევყოფილს ტახტის მემკვიდრე ბაქართან დაეტოვებინა.

მამა ასულის წინ გაჩერდა და თვალებში ჩააცქერდა. ნინოწმიდელმა იცოდა იადხმობილის სულისკვეთების ამოკითხვა მის თვალებში.

— შვილო, შენ რაღაც გაწუხებს! — უთხრა ძან.

შვილმა მამას მხოლოდ გულში ჩაკვრით უპასუხა.

— პაპა გეტყოდა რამეს, როგორც ვხედავ, — განაგრძო რევყოფილმა ლაპარაკი და რომ დაინახა ასულის ხელზე დახვეული ჩახსაკრავი იკითხა: ვისიაო.

— ეკვდერის ზღურბლთან ეგდო... — მიუგო მირანდუხტმა. — წელან იმის წვივებზე შევნიშნე სწორედ ასეთნი. დაუდევარი ყოფილა.

რევი დაუსახელებლად მიხვდა ჩახსაკრავის პატრონის ვინაობას და შვილს მოკლედ მოუყვა ეკვდერში მომხდარი ამბავი.

ქალი მიხვდა, რომ მამას ეძნელებოდა მისი დაშორება, ჰსურდა ამ დაშორების წუთების საკარგახნოდ გადადება და მადლიერების თვალით გადახედა, მაგრამ მეფისწულს ჩახსაკრაკის დ ვარდნა მაინც დაუღევრობად ჩამოართვა.

— გულისთქმას აჰყოლია და არა ჭკუისას, — დასძინა მირანდუხტმა მამის ნაამბობს.

— კარგი, ჩემო ასულო იავ, ეგ აგრე. მერმე? პასუხის გაცემა მაინც ხომ უნდა მეფეს?

— მადროეოს ბაგრატმა, — მოკლედ მიუგო იამ.

— თვითონ მეფისწულს რაღა ვუთხრა? ჩემთვისაც და შენთვისაც ცხადია, რომ მამის წერილის არა იცის რა. მეფისწულს შენს უნახავად მის გულში ჩაჭრილი შენი სიყვარულის ამოქმედებით გამოუწვევია აქეთკენ. დამონებულია შენი სიყვარულით თავდავიწყებამდე და მეშინია, არა ჩაიდინოს რა თავის საზნები.

— მეც შენთან ვარ, მამაჩემო! — წამოიძახა იამ თვალების აელვარებით და მერმე ხმადაშვებით გაუცხადა მშობელს: — პასუხს კი, თუ ნებას დამრთავ, შენს ნაცელად ჩემგან მიიღებს მეფისწული, სანამ აქ არის შევხვდები, უეჭველია. პირისპირ, მარტოდმარტო. და ვამბობ: გულისთქმას შევაკებინებ.

ასულის სიტყვამ, მადროვოს ბაგრატმაო, და გულდაჯერებულმა თქმამაც, გულისთქმას შევაოკებინებო, კაი გუნებაზე დააყენა მამა.

— კვეტარელს, შენს მთხოვნელს, რაღა პასუხი გავცე? — ჰკითხა მირანდუხტს პირზე ღიმმოსულმა რევყოფილმა. — ჩვენ შორის მტრობას ბოლო მოეღებაო, იწერება მედეასი და იაზონ არგოელის ჩამომავლად თავის გვარეულობის გამსაღებელი.

— მისწერე, მამავ, მტრობას ბოლოს კი არ მოუღებს ჩვენი დამოყვრება, უფრო გაამწვავებს-თქო.

— როგორ, ქალო! — ჰკითხა რევყოფილმა განცვიფრებით.

ქალმა თვალები დააკვესა.

— არასდროს არ მესურვება, მამავ, იაზონ ცალქალამანიძე თანამეცხედრედ და, თუნდაც შენ მოინდომო და ძალად მიმთავაზო მეკობრე დიდგვარიანს, ჩემი წმინდა წინაპრის ასულს შუშანას კი არ მივბაძავ, ჯერ იმას გამოვასალმებ წუთისოფელს და მერმე ჩემ თავს, თუ ეს დამჭირდა.

რევყოფილი შეკრთა ასულის ამ სიტყვებზე.

— რას ამბობ, ბავშვო! ვინ გაგიმეტებს მერმე! — ამოხდა შეძრწუნებულ მამას გულის სიღრმიდან ამონადენი ღაღადისი. — უმალ დღე დამიბნელდეს, თუ ასეთის ნაბიჯის გადადგმას ოდესმე განვიზრახავ.

მამის უკანასკნელ სიტყვებზე მირანდუხტს სიხარულის ორადორი ცრემლი გადმოვარდა თვალთაგან. მამამ ხელი წაავლო, მონამული თვალები გადაუკოცნა და პალატისაკენ პირი უბრუნა.

— წავიდეთ, სამხარი გავაწყობინოთ, მალე ბაქარი და გიორგი მეფისწული მოვლენ, — უთხრა რევყოფილმა ასულს. — ღრმად ჩაჰვარდნიხარ, შვილო, გულში ტახტის მემკვიდრეს. რომ გამომიტყდა შენ სიყვარულში, ასეთი სიტყვები გამაგონა მისმა პირმა, თუ შენი ასული გამომყვება თანამეცხედრედ, ხომ კარგი, თუ არა და მაგის ნაცვლად აღარავის ვინდომებო.

— ჩანს, გულს აჰყოლია, მამავ, და არა ჭკუასა. ჩანს გული ვერ დაუმორჩილებია გონებისათვის.

იოანე ნინოწმიდელმა ახედ-ჩახედა ასულს, არაფერი კი არ უთქვამს, წელკლავი მოჰხვია და ისე შეუდგა წალკოტიდან პალატისაკენ ამავალ მოკლე აღმართს.

გათენდა. მზემ გადმოხედა პალატს და მისი დერეფნის სვეტებიც მთლიანად გამომზეურდნენ თავიანთი მონაკვთულობით. დერეფნის ბინდბუნდიც დაირღვა და გამოჩნდა პალატის კამაროსანი შესასვლელის ანყოლ'ზე მიყრდნობილი მირანდუხტი. თვალები გამოჰლარებოდა ქალს. წუხელ მხოლოდ ცოტაოდნად მოჰკიდებდა ძილი და ისიც სიზმრიანი. აუზთან მდგომს მოჰხდომოდა ცხრამკლავა დევი და გადაყლაპვას უპირებდა. ქალი არ დაბნეულა, დაუსხლტა ცხრამკლავას და აუზის მეორე მხარეს მოექცა. გაჩდნენ ფერისი და ონოფრე, დევს გადაელობნენ, გაჩალდა ბრძოლა... ფერისიც და ონოფრეც წუთისოფელს გამოესალმნენ. ახლა კი ჩემია მზეთამზე იადხმობილიო, წამოიძახა გახარებულმა ცხრამკლავამ და მირანდუხტს დაედევნა, ხელი წაავლო...

მირანდუხტს გამოეღვიძა. გული ძლიერად უცემდა.

— ოჰ, სიზმარია! — წარმოთქვა გონსმოსულმა და პირჯვარი გადაიწერა. გული დაიმშვიდა.

ძილის დაკლებით მოქანცულს ძილი ისევ დაეუფლა და ესიზმრა: ისევ აუზთან მდგომს ევლინება ბუმბერაზი ტანშედგმულობის და ღრმა ჭკუის თვალით მომზირალი ჭაბუკი.

— ბაქარი! — ჰხდება პირიდან მირანდუხტს. მაგრამ ბაქარი არ არის.

— დედავ, ვერ მიცანი, თუ რა არის? — ეკითხება ჭაბუკი მირანდუხტს, მოღიმარი მოსიყვარულე სახით.

— რას ამბობს ეს ჭაბუკი? — გაიოცა სასანიანის ასულმა. — საიდან ვიქნები მაგისი დედა, როცა ეგ ჩემზე უფროსი მოჩანს?.. მერმე ჯერ ხომ არც გავთხოვილვარ?

ქალმა წარბებს ხელი შეიხო, ოდნავ ზემოთ აიყოლა, შუბლის საშუალ ხელს რკალი მოხვდა გვირგვინისა. აუზის წყლის უძრავ პირს თვალი დაჰკრა, წყლისაგან მოწვდილ სარკეში თავის თავსა ზედან უცხო თვალებმოყრილი სადედოფლო გვირგვინი დაინახა. ბისონი ეცვა, ოქროსთმა ნარევი, ლაჟვარდოსანი, ოქროქსოვილის ომფორით დამშვენებული. ომფორზე იაგუნდი, ლალნი და მარგალიტნი ჯავარობდნენ.

— დედოფალი ვარ?! სასწაულია თუ თვალთმაქცობა? — იფიქრა იადხმობილმა.

— დედავ საყვარელო, მივდივარ, გშორდები!.. მიმეშურება... — ჩაეწვეთა ყურში იადხმობილს პასუხად შორით მონადენი, ნაღვლიანი, გულსჩამწვდომი, ალერსიანი ხმა. — მტრის ურდოები მოსდებია ქართველთ ტომებს... აღთქმას ვდებ... უნდა გავდევნო სისხლისმღვრელნი, სისხლის ღვარები უნდა ვადინო ჩვენი ქვეყნის მტარვალთა ჯარებს.

ქალმა აუზს თვალნი აშორა: აუზს გადაღმა გადაენაცვდა ბუმბერაზ ჭაბუკს. იადხმობილს მუხლმოდრეკილი, თვალნაღვლიანი ჭაბუკი სთხოვდა გზის დალოცვას.

— შვილო, გფარავდეს ქართველ ტომთა სალოცავები. — უნდა ეთქვა პირს მომდგარი სიტყვა და გამოეღვიძა. გული უცემდა ძალოვნად და პალატის გარეთ მიიბრძოდა, ქალმა დერეფანს მიაშურა, დარბაზს კარის ზღურბლი გადმოულახა და შეჩერდა. ღამის ლანდებსა და მონადენს ნათელს შორის ატეხილ ბრძოლას უწყო ცქერა...

ქალი ანყოლს მიეყრდნო მხარით და ფიქრს მიეცა.

მირანდუხტმა უნებლიეთ წარმოიდგინა მეკობრე ქართველ ტომების გაერთიანების მოთაყვანეთა ბრძოლა დიდგვაროვანებთან. ეს ხომ ბრძოლაა ბნელსა და ნათელს შორის. აგერ პალატის ირგვლივ კიდეც მიმოიფანტნენ ლანდები. დერეფნის ბინდ-ბუნდი ჯიუტობს. მაგრამ აი ესეც დაიძრა. რა ამბავია? რა ამბავია და მზე ამოცურდა... ოჰ! როდის, როდის ამოუცურდება თავისი მზე ჩვენი ქვეყნის გამთლიანებას?!

ქალმა წარმოიდგინა სიზმარში ნანახი ბუმბერაზი, ჭკუით მომზირალი ჭაბუკი.

„დედავ, ვერ მიცანი თუ რა არის?“ — გაიმეორა იადხმობილმა სიზმარში გამოცხადებული ჭაბუკის სიტყვები და დასძინა. „ღმერთო მაღალო! დედოფალი ვიყავ, დედოფალი! ეს სულ ალბათ გუშინ ჩემ თავს დატეხილი ამბავნი მაწუხებდა. გიორგი მეფისწული, ბაგრატ მეფის წერილზე ლაპარაკი... ეს ცხრამკლავა დევი რაღად მეჩვენა? ცხრათავიანი დევი კი გამიგია, ზღაპარში და, ცხრამკლავა დევი!.. მერმე მიტაცებდა ჩაყლაპვას მიპირებდა... ონოფრე, ფერისი დამედევნენ!“

ქალმა ცხრაზე გაიხსენა ცხრა ძმა ცალქალამანიძე, იაზონის წერილი...

„ჩაყლაპვას მიპირებდნენ თუ?.. — ქალმა თვალები დააკვესა. — ამირანიც ხომ ჩაყლაპა დევმა... მერმე?.. მერმე გაუჭრა დანით მუცელი ჩამყლაპავს და თავი გაინთავისუფლა... ფრთხილად, ფრთხილად, იაზონ

ცალქალამანიძეც, ფრთხილად... ქალი ვარ, სუსტი გგონივარ... ნუ დაგავიწყდება: გორგასალის ჩამომავალი ვარ, თექვსმეტი წლისა ვარ, მაგრამ გორგასალის ნატამალი ვარ... ეს ორი სიზმარი და ორივე ჰაუზთან... რაღაცას მიქადის".

ქალი ანყოლს მოსცილდა. სწრაფად შეტრიალდა დარბაზში. თავის ოთახი მონახა, დაავლო ეკვდერის გასაღებს ხელი და გაემართა აუზისაკენ. აუზის ნაპირას, პალატის სამხრო ბაქანზე ეწყო ახლადნაკრეფი ყვავილების რამდენიმე კონა. მირანდუხტმა გაიღიმა. შარშან ჯვარპატიოსნობის დღეს ნახა ასეთი ამბავი. წელსაც გამეორება იყო შარშანდელისა. შარშანაც წამსვე მიხვდა, რომ ყვავილთა თაიგულები მის მათაყვანებელ ჭაბუკთ მოეტანათ. ყვავილთა კონანი ერთმანეთს პირველობას ედავებოდნენ. ჭაბუკნი თითქოს შებმოდნენ ერთმანეთს ყვავილების შერჩევაში. ქალმა თაიგულებს თვალი შეავლო. თითოეული გულს აამებდა. ყველა შეეკრათ ივრის ხეობის დაბლობებში და მირანდუხტმა ვერც ერთში ია ვერ დაინახა. დაბლობებს ეს ყვავილები შემოჰლევოდათ.

მირანდუხტმა თვალი გადაჰკრა წალკოტის მაღლობებში ყვავილთა ბუდობებს. მრავლად გაშლილმა იებმა პირს შემოსცინეს. მრავლად დაწყვიტა ია, დახრილი ტანი მაღლა აიღო და პალატის მხარეს თვალი შეავლო. სურვილი ჰქონდა დედის საფლავზე მამასთან ერთად ლოცვა წარმოეთქვა. ბაქარზედაც უარს არ იტყოდა, მაგრამ ჯერ კიდევ არც მამა ჩანდა, არც ბაქარი. პაპაც ინატრა მირანდუხტმა, მაგრამ პალატიდან გამოსვლას არც ის ჩქარობდა. ქალი აუზის ნაპირის ბაქანზე ჩამოჯდა და ფიქრებმა გაიყოლა, მაგრამ მალე შეუჩერდა ფიქრთა დენა. წალკოტის ხეივანს მიაპყრო თვალი და დაინახა ვინმე შეჯაჯშნული ზარადჩამოფარებული ზევითკენ მოემართებოდა. შუატანისა და მხარბეჭებფართო, თავამაყი, ვეფხვებრ მოადგამდა ფეხს. ხელთ ყვავილთა კონა ეჭირა. უცნობი გაბედულად მიუახლოვდა სასანიანის ასულს. ქალს თვალებმა უელვეს. არ ესიამოვნა ზარადჩამოფარებულის სითამამე. უცნობი შეფერხდა, შებორძიკდა. მის გაბედულ ნაბიჯს გაუბედავი ნაბიჯი მოჰყვა: ვაჟკაცს გული შეუდრკა, ქალის თვალთა წუთიერი გაელვება ძლიერი რისხვის შედეგად ჩანდა. ამ რისხვამ თითქოს მოადუნა ვაჟკაცი.

„გრძნეულია, ალბათ, გრძნეული. — გაიფიქრა მოსულმა, — ასე რომ არ იყოს, რად დაკონებდა თავის უნახავად ამდენს, ბრძოლაში

ბრძმედილ ახალგაზრდას? მეც დამიმონა, უნახავად! გამალაჩრა. სხვებ დალაჩრულთ შორის მეც მოვიქეცი. ყვავილთა კონაც მომატანინა დედის საფლავის შესამკობად, თავის უნახავად. ოოჰ, მგოსნებო! ამოსაძირავი ხართ ყველანი! სულ თქვენი საქმეა, თქვენი! თქვენი შაირნი რომ არ მსმენოდა, რა მომიყვანდა სასანიანთა წალკოტს, აუზთან?! რას მივმართავდი რევის, იოანე ნინოწმიდელს, ჩემ მტერს, წერილით! — ვაჟმა მწარედ და უხმოდ ჩაიცინა. — ასულს ვთხოვდი მე იაზონი, ცალქალამანიანი იაზონის ნატამალი. მტერს სასანიანს!.. პასუხის ღირსიც არ გამხადა".

აუზთან ლერწმად ამართული მირანდუხტი ჯერ მდუმარებით სჭვრეტდა ჭაბუკს, მერმე შეირხა და ალაპარაკდა.

— შენნი ყვავილნი, სურნელთ გამომცემნი, თითქოს სიკეთეს არ მიქადიან! — ამცნო რევის ასულმა მოყმეს პირზარადიანს. — შენი სახეც, ზარადის ქვეშ რომ მიგიმალავს, კარგს არას მეტყვის. პირველად, დედის საფლავს ყვავილთ რომ ვუკრეფდი მე პატარა, ნინო გამზრდელი ჩამდუდუნებდა, ზოგჯერ ყვავილი, ტკბილსულნელიც შხამს აბნევსო. შენი სახეც ზარადიანი ამასვე მასმენს. ვაჟს, მოყმეს, კეთილის მოწადინეს პირის შებურვა არ სჭირია. მხოლოდ და მხოლოდ მტერს შეუძლია ჩვენს სავანეში შენგვარად მოსვლა.

იაზონი გაშრა ქალისაგან მშვიდად წარმოთქმულ, მაგრამ სიმკაცრის მფშვენ სიტყვებზე. უაზროდ ატრიალებდა ყვავილთა თაიგულს. მირანდუხტი, კიდევ, ელოდა მის წასვლას. ქალი შეირხა, მოთმინების ფიალა შევსებული. მისმა შერხევამ წალკოტში მყოფი გარიელების ყაყანი გამოიწვიეს. ყაყანმა იაზონი გამოარკვია. თავდახრილი, ნელი ნაბიჯით დაჰყვა ხეივანს ცალქალამანიძე. მირანდუხტი ყვავილთა კონებს მიუტრიალდა და მათ ალაგებას შეუდგა. ყველანი თავის ხელით მოკრეფილ ყვავილებთან ერთად მკერდზე მიიყრდნო და ეკვდერს მიმართა. მაგრამ იადხმობილი გზაზე შეჩერდა: გალავნის აღმართს თვალი მოჰკრა მეფისწულს. ონოფრე მოსდევდა.

ნინოწმიდელთან და ბაქართან საუბრით რამდენადმე დამშვიდებულმა მეფისწულმა მაინც თავისი ამალის ბანაკში მისთვის საგანგებოდ დადგმულ კარავში გაატარა ღამე. პალატში ღამე დარჩენა ეძნელებოდა, ახლა კი ხალისიანი ნაბიჯით მოეშურებოდა პალატისაკენ. გუშინ საღამოს მლოცავთა კარვებიდან გამოსულმა ახალგაზრდობამ თავისი

მითქმა-მოთქმით გუნება გადაუწმინდეს ტახტის მემკვიდრეს. მათთვის უცნობი მეფისწული ბევრ რამ საგულისხმოს ისმენდა მირანდუხტზე: იადხმობილი ყველას დაუფლებოდა. ცხადი ხდებოდა მისთვის, რომ ყველა უიმედოდ შესტრფოდა სასანიანის ასულს. ერთმა ახალგაზრდამ ოხვრით წარმოთქვა: ჩვენ რას შევწვდებით ქალსა მზეთა-მზეს, ვინ იცის, კიდეც დედოფალთა დედოფლად დაწესებულაო. ეს გულთმისნობას ჰგავდა. მეფისწულმა ნათლად იგრძნო, რომ ის, ვინც დედოფალთა დედოფლად გახდიდა მირანდუხტს, თვითონ იყო და გულს მოეშვა. ბაქარის გუშინდელმა შეხვედრამაც დაანახვა ეს ჭაბუკს და გამბედაობით აღიჭურვა. ბაქარმა უთხრა, აბა სხვას ვის მოისურვებს ჩემი ია, თუ შენ არაო. ბაქარს არ უთქვამს ტახტის მემკვიდრისათვის, მეფეთა მეფემ წერილით სთხოვა მამას მირანდუხტი შენ თანამეცხედრედო. ეს ამბავი არც ნინოწმიდელს უცნობებია. მეფის საიდუმლოებად მიაჩნდათ მამასაც და შვილსაც. ბაქარს არც ის უთქვამს, მირანდუხტს რომ ეძნელებოდა მშობლიური ბუდის მიტოვება. ეს წერილის მოსვლის გაგებისთანავე უთხრა დამ და სამართლიანიც მიაჩნდა დის ნათქვამი. თვითონაც ეძნელებოდა მისი დაშორება. თუ დასთმობდა დას ჭაბუკი, მხოლოდ საქართველოს ტახტის მემკვიდრისათვის. ბაქარის ეს აზრი მეფისწულმა ალღოთი შენიშნა. თვით ნინოწმიდელსაც ხომ უარი არ უთქვამს. ის დათანხმდა კიდეც, მხოლოდ ბოლო სიტყვის თქმა მირანდუხტზე იყო მიგდებული და მეფისწული ახლა მირანდუხტისაგან მოელოდა თავის ბედის გადაწყვეტას.

დილაადრიან გაახილა ჭაბუკმა ძილისაგან ძლივს დამორჩილებული თვალი. მსწრაფლ იარაღი აისხა და მარტოდმარტო მოისურვა სანადიროდ გასვლა. ხელის შეშლა ქაუთარმაც კი ვერ გაუბედა მეფისწულს. თავის ნათქვამობა მოსდგამდა. წინათ მამისა ერიდებოდა, ახლა კი მამა არ ახლდა თან და თამამად იყო. ჭაბუკი გავიდა კარვიდან და იერის ნაპირს მიმართა. მაგრამ ონოფრეს წააწყდა, ფაცრების დასახედავად წასულიყო, ტახტის მემკვიდრეს ახალი თევზი უნდა მივართვაო, მეფისწულს მარტოობა დაერღვა. ონოფრე აეკვიატა სანადირო ადგილებს გაჩვენებო. მეფისწულმა უარი აღარ უთხრა ბაქარის ძიძიშვილს და მოიგო მისი თან წაყოლით. ჯერ ერთი, ონოფრემ ისეთ ადგილს მიიყვანა ჭაბუკი, რომ მალე ნადირს წააწყდა. მერმე, ერთობოდა კიდეც ონოფრესთან ლაპარაკით. მეფისწულ[illegible] გზააბნეული თელი მოჰკლა გარეული ღორისა

და მირანდუხტისათვის ძღვნად გააწვსა. ტახტის მემკვიდრეს ონოფრე აქაც გამოადგა. მებარგულობა გაუწია: თელი თევზისათვის გამზადებულ გოდორში მოათავსა და ზურგზე მოიგდო. ორივემ პირდაპირ წალკოტის გალავანს მოაშურეს. გზად ზევითგან მომავალი პირზარადიანი იაზონი შემოეყარათ. თაიგული ხელთ შერჩენოდა. სამივენი უნებლიეთ შეჩერდნენ.

ონოფრემ მგლური თვალით გადახედა უცნობ პირზარადიანს.

— გააჭირეს საქმე რაღა ამ რაინდებმა თავისი ყვავილებით! — წამოიძახა მან, — ცოტა ყვავილებია ამ წალკოტში ჩემი უფლის თანამეცხედრის საფლავისათვის, არამკითხეებმა რომ არ ზიდონ სხვა ადგილებიდან?.. მერმე ამას ზარადში რომ ჩაუმალია პირისახე! არ იქნები კაი სული შენა, პირი გირცხვენის ალბათ შენი კაიკაცობისაგან.

იაზონ ცალქალამანიძეს გულს ცეცხლი მოეკიდა. ცოტა გაწყდა არ წაეკიდა ონოფრეს.

— ბრიყვო! — წამოსცდა მხოლოდ ეს ერთი სიტყვა ხმამაღლა და წამსვე ტუჩები მოკუმა. — ვაითუ მიცნოს ხმაზე, ვინცა ვარო, გაუელვა თავში, — ეს ხომ ბაქარის ძიძიშვილია.

ონოფრემ კიდევ თავის სიტყვებს დასძინა:

— ასრე არ არის, მეფისწულო? — კაიკაცი, ჯვარპატიოსანში სალოცავად მოსული, პირს არ უნდა იმალავდეს ზარადით.

მეფისწულო? — გაიოცა იაზონმა გულში და ტახტის მემკვიდრეს ახედ-დახედა. ბოროტებით აღივსო ცალქალამანიძე. დიდი სიამოვნებით გაჰგლეჯდა მეფისწულად დასახელებულს, გრძნობდა, რომ ეს ბაგრატის მემკვიდრე მირანდუხტის თანამეცხედრეობის დიდი მოსურნე უნდა ყოფილიყო.

— ჯვარპატიოსანში მოსული მოყმე და პირსაბურვლიანი! — განაგრძო ონოფრემ ჩაცინებით.

— თავი აგიგდია, მონავ! — წამოიძახა ახლა უკვე თავშეუკავებლად მოთმინებადაკარგულმა იაზონმა.

— ბიჭოს! — შესძახა ონოფრემაც იაზონის სიტყვებზე. — ეს ხმა მეცნობა!.. აი დასწყევლოს ღმერთმა ჩემი თავი! ვერ მომიგონია, ვისია!..

იაზონი შეკრთა, თავი ხომ არ გავეციო.

— კარგი, ონოფრევ! გეყოფა! ნუ ჩამოაცივდები ამ მოყმეს, — დაიწყო მეფისწულმა. — ზოგს ხომ შეუძლია შეუთქვას ხატს პირსაბურვლიანმა იაროს დრომდე: განიწესოს რაიმე შემცდარი ნაბიჯის მოსანანიებლად.

მეფისწულის ასეთმა საქციელმა გული გაუსივა იაზონს, არც თვითონ მოსდგამდა ლმობიერება სხვის მიმართ, არც სხვისი ლმობიერება ესიამოვნებოდა თავის მიმართ. ადგილიდან მოსწყდა და გამალებული დაეშვა თაქვე.

— ძალიან გაჯავრებული წავიდა აი, მეფისწულო! — მიმართა თანამგზავრს ონოფრემ.

მეფისწულს ხმა არ ამოუღია. თავდახრილი აჰყვა აღმართს.

— ეგ, მეფისწულო, შეიძლება მზვერავიც იყოს! — თქვა ონოფრემ. — ვინ იცის, იმ ხოჯას გამოგზავნილიცაა, აი აღსართანისა!

— მზვერავი ისე გაბედულად როგორ მოდგამდა აქ ფეხს? — უთხრა მეფისწულმა.

— ნუ გეშინიან! მაგის უნარი კი აქვს თვითონ აღსართანს და მის დამქაშებსაც.

მეფისწულმა არაფერი უთხრა. გზა განაგრძო. ერთ ხანს დუმილი ჩამოვარდა.

— ეგ რძეძაღლიშვილი, ეგა! — წამოიძახა ონოფრემ პირზე გამოკერებული სიტყვა პირზარადიანის მისამართით და მსწრაფლ ტუჩები მოკუმა. მერმე გულწრფელად აღიარა: — ეგ ოხერი ესა, ვერ მოვიშალე ამის თქმა... ის უნდა მეთქვა, რომ ეგ რძეძაღლი... უჰ! კინაღამ კიდევ არ წამომცდა უფლისწულთან!... ჰო! ეგ ალბათ ეგრე ავრცელებს, ხატს შეუთქვიო, და ბევრს მოუფიქრებელსაც დააჯერებს, რომ მართლა შეთქმული აქვს: აი შენც არ გაფიქრებინა აგრე? მე კი მიხვედრილი ვარ ბევრის აქაურის მამაძაღლობას... უჰ! კიდევ ცუდი სიტყვა! გავჩუმდე მაინც...

მეფისწულს ცუდი სიტყვებისათვის ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ, სასანიანთა შინაყმამ რომ მოუფიქრებელ კაცად გამოიყვანა გულში ჩაწვდა.

— შენ რა, მეფისწულო? აქ არ გიცხოვრია და აქაურობას არ იცნობ. — დაიწყო ისევ ონოფრემ. ბევრი აქ ცხოვრობს და ყველა აქაურ გვარეულობას იცნობს, ამათი ავისა და კარგის მცოდნეა და ხშირად სწორედ აგრე ფიქრობს... სიფრთხილეს თავი არ სტკივა, მეფისწულო, სიფრთხილეს!

სწორედ ეს სიფრთხილე აკლდა ღრმად მოფიქრების უნართან ერთად გიორგის. ონოფრე კიდევ მიამიტად ისეთ რამეს წამოისროდა, რომ გამოდიოდა, თითქოს მეფისწულს თავისი ხელის ხუთი თითივით იცნობსო.

ზევითკენ წელან ხალისიანად მიმავალმა მეფისწულმა ახლა მოიწყინა. ონოფრე კიდევ მიამიტობით რომ რაიმეს იტყოდა, ვერ ამჩნევდა, თუ როგორ უწეწავდა სულსა და გულს ტახტის მემკვიდრეს.

მირანდუხტს მიახლოებულ მეფისწულს მთლად დაეკარგა ხალისი, — მოეჩვენა, რომ მირანდუხტის თვალი მის წვივებს მოხვდა და ჩახსაკრავის დაკარგვა გაახსენდა. მირანდუხტმა იპოვა მისი ჩახსაკრავი, ჩააბარა თავისი ხელით და გიორგი ხვდებოდა ჩახსაკრავის დაკარგვას დაუდევრობაში უთვლიდა ქალი. გაწითლდა.

მაგრამ ონოფრემ მისდაუნებურად გული გამოუბრუნა ტახტის მემკვიდრეს და სახეზე ხალისიანობა ისევ აღუბეჭდა. სალმის თქმა არც მირანდუხტს აცალა, არც თანამგზავრს.

— იცი, ჩემო უფლის ასულო? აი, რა მოგართვა ჩვენმა მეფისწულმა, ჩვენმა ტახტის მემკვიდრემ! — მიმართა მხიარულად იადხმობილს ონოფრემ და წინ გოდორში ჩაგდებული თელი დაუსვენა. — თვალი მოჰკრა და წამსვე ისე განართხო ისრით მიწაზე, თითქოს მიზანში არც კი ამოუღიაო. ეს ყველაფერი ცოტა ხანში მოხდა. მე ჩემი ფაცრებისაკენ გავრბოდი და მეფისწულს კი შევეჩეხე გზაში. მარტო მოეფიქრა წასვლა. ივრის გალმა სწადდა ნადირობა და მეც გავყევ, თუმცა ჩემს გაყოლაზე თითქოს უარის თქმას მიპირებდა. მაგრამ ხომ იცი ჩემი თავისნათქვამობა, გავყევი, ხიდი ვუჩვენე, ვასწავლე საცალფეხო ხიდზე გასვლა. ხომ იცი, სიფრთხილეს თავი არა სტკივაო. — აქ ონოფრემ კიდევ ატკინა გული მეფისწულს. მაგრამ მალე ისევ გამოასწორა თავისი ჩანადენი. — ჩემო უფლისქალო, იცი, რა მშვილდოსანი ყოფილა! — დაუმატა თავის ნალაპარაკევს და, ვინ იცის, რა ზღაპრული ქებათა-ქება არ წარმოსთქვა მეფისწულზე.

მირანდუხტს სახე ჯერ გაუფითრდა მერე ნელ-ნელა მოელუშა. ქალმა თვალებიდან ცივი სხივები გადმოაბნია. ონოფრეს პალატისაკენ ხელი გაუშვირა, უბრძანა ძღვენი წაიღეო. ბრძანების ასრულება არ დახანებულა:

„გაჯავრდა ჩემი უფლის ასული, გაჯავრდა! იშვიათად ჯავრობს, მაგრამ თუ გაჯავრდა, ჩემ მტერს მაშინ, ჩემ მტერს! — გაივლო გულში ონოფრემ. — მოუშორდე, თორემ მაგისი სიტყვა მახვილივით გამიმახვავს გულს,“ — და გამალებული გაექანა პალატისაკენ. თავდახრილი გიორგი პირისპირ დარჩა მირანდუხტთან.

სასანიანის ასულმა მუხლი მოიდრიკა და სალამი უძღვნა მეფისწულს. მას თავი მაღლა არ აუღია, ქალი ზეზე არ წამოუყენებია და სალამზე სალამი არ მიუცია. სასანიანის თვალებში ჩახედვა ეკრძალებოდა.

— მადლობას გიძღვნი, ტახტის მემკვიდრეც, რომ ჩემთვის აგრე გარჯილხარ, ჩემი გულისათვის თავი გაგიმეტნია და ჩვენი ქვეყნის იარები დაგვიწყნია! დიდი მსხვერპლია ეს შენგან ჩემისთანასთვის, შენი ყმის ქალისათვის! — ჩაეწვეთა მეფისწულს ყურში და ამ სიტყვებმა ტანი შეუთრთოლა, უნებლიეთ თავი მაღლა ააღებინა. ჭაბუკმა მირანდუხტი ეკვდერისაკენ მიმავალი დაინახა. გულის ტკივილი იგრძნო ძლიერი. მეფისწული დაიძრა ადგილიდან. არც პალატისაკენ გახედა გზას და არც თავის ბანაკისაკენ: მირანდუხტს აედევნა თოკზე გამობმულივით.

მეფისწული, თუ ნაკვთთა სახევნობით ქანდაკებას ემსგავსებოდა, სულით დაუდევრობის მიტევებას ეეედრებოდა მირანდუხტს.

ეკვდერს შესული მირანდუხტი დედის საფლავზე ყვავილებს ალაგებდა სამკაულებად და მიწას მდებარეს შესთხოვდა მწარით სავსე დედოფლობის სასმისის თავიდან აცილებას. ქალი მკვეთრად გრძნობდა ქართველთა ქვეყნის მომავალი მმართველის თანამეცხედრედ ყოფნის სიმძიმეს.

„მეფისწული გულის ამყოლია, — ფიქრობდა მირანდუხტი, — ლმობიერიაო ამბობენ. ლმობიერება ბოროტება როდია, თუ გონება ექმნა წინ წამძღვარებული. მის გონებას კი გული უძღვის. ვინ იცის, ჩვენი ქვეყნის ბევრ დამარცხებულ დამღუპველს გამოესარჩლოს მისი ლმობიერება!.. დანდობით მოეპყრას... გეეწვია ტახტის მემკვიდრე. მსწრაფლ ნათელი იქმნა ჩვენთვის მთელი არსებით. მეფისწულმა უმალვე თვალწინ გადაგვიშალა თავისი თავი... გმირია ჭაბუკი, თავგანწირული. გულს გიხიბლავს ყველაფრით, სიფრთხილეს კი მოკლებულია. თავგანწირვა ქვეყნის საქმეს უნდა უძღოდეს... ივრის გაღმა მარტოდმარტო ჯერ კიდევ მტრის მრავლად საესე მხარეს მარტოდმარტო განაყარდება!.. კიდევ კარგი, რომ ონოფრე ასდევნებია... ან მარტო ონოფრე რას უშველიდა?.. ხომ მოისპო მეფისწული და გათავდა!.. დღეგრძელობა კი მეფეთამეფეს, ღმერთი ფარვიდეს მაღალი! მაგრამ ხომ მოუხდება უმემკვიდროდ დარჩენილსაც მაინც ოდესმე სამუდამოდ სამკვიდრებელში გადასახლება?... წავა გვირგვინოსანი და უმმართველოდ დაგერჩება ჩვენი ქვეყანა. აირევიან

ქართველთა ტომნი. – ქალს ზედ დატანებით გაახსენდა მამის ნათქვამი: – დამონებულია შენი სიყვარულით თავდავიწყებამდე და მეშინია, არა ჩაიდინოს რა თავის სავნებიო. მთლიანი საქართველოს ტახტის მემკვიდრის დაღუპვით ხომ წარუხოცელი ჩირქი მოგვეცხობა ჩვენ, ქართველ ტომთა გაერთიანების მოტრფიალეთ. არსაკიანთა და სასანიანთაო... მამის თქმით თავდავიწყებამდე შევყვარებივარ მეფისწულს... მრქენავ ირემთან შებრძოლება, ეს მარტოდმარტო ივრის გაღმა გასეირნება ჯრძნობით ნაკარნახევი სურვილის ასასრულებლად დავიწყებაა ქართველთა ქვეყნისა და არა თავისი თავის დავიწყება.

ქალი მორჩა საფლავის მკობას და ლოცვას შეუდგა. ლოცვა დაათავა და შვება იგრძნო. გარეთ გამოიხედა: ხომ არ მოდიან ან მამაჩემი, ან ბაქარი, ან პაპაჩემიო. და მათ ნაცვლად ანყოლს აკრული, ქანდაკებას დამსგავსებული გიორგი მეფისწული დაინახა. მეფისწული არ განძრეულა. მის თვალს მისთვის სანეტარო მირანდუხტი არ შეუნიშნავს. ქალს თავისი დარდები გაუყუჩდა და მეფისწულის მიმართ სიბრალული აღეძრა გულში. იდაყვზე ხელი შეახო იადხმობილმა ტახტის მემკვიდრეს. ტახტის მემკვიდრე გამოერკვა, მირანდუხტ ქალი დაინახა და მის წინ მუხლნი მიწას დააყრდნო. ქალი ცდილობდა მის აყენებას და ვერას ხდებოდა. ტახტის მემკვიდრემ ქალს შეჰღაღადა:

– გამირისხდი! ჩემი მოუფიქრებელი ნაბიჯი შხამად მექცა. მივხვდი, რომ თავაღებულად მოვინათლე მე შენს თვალში. სიფრთხილე არ ვიცი. ონოფრემაც კი მიკიჟინა შეუგნებლად ეს ჩემი ნაკლი. გავიგონე ლექსი „იამა გშობა შობითაო", და შემიყვარდი. თავი დამვიწყებია. მუდამ შენ ხარ ჩემ წინ ამართული. ველარას ვხედავ შენს მეტს, ველარას ვამჩნევ. თუ ვინმე შენს თავს შემედავება, არ ვაბოგინებ. ლმობიერება რისხვად მექცევა... მეფისწულოო, ტახტის მემკვიდრეო, ასე მიხმობენ. რას მიქვია მეფისწულობა, რად მინდა ტახტის მემკვიდრედ გაწესება ჩემი, თუ შენ გვერდით არ მეყოლები?..

– რას მიქვიაო!.. – გაიმეორა მირანდუხტმა მეფისწულის სიტყვები წყნარად, მაგრამ გულისმლახვრავი იერით. სახეზე ჩრდილმა გადაურბინა, არ ეგონა, თუ ამას იტყოდა მეფისწული. მეფეთა მეფის ვაჟკაცი ძე სიყვარულს აბოჭინებდა გონებას. გაჰქრობოდა ტახტის მემკვიდრეს დიადი გრძნობები. დაჰვიწყებოდა ქართველთა ტომების ერთ მთლიან

ერად გადაქცევა. მამა, პაპა და ბაქარი, ქალს ექვსი წლიდან, დედისაგან ობლად დატოვებულს, ამას. ასმენდნენ, გულს უნერგავდნენ! დედაც ხომ, სანამ ცოცხლობდა, სულ ამას უყვებოდა, ხან ნანად, ხან მოკლე ამბად — როგორ უსწორდებოდა ქართველი გმირი თავისი ქვეყნის მტერსა და მჩაგვრელსა.

— ჩვენი ქვეყანა, — წამოილაპარაკა მირანდუხტმა, — მოუწოდებს ტახტის მემკვიდრეს, მსხვერპლად სთხოვს თავს მეფისწულს, იმედს ამყარებს ბაგრატიანთა ნატამალზე. სთხოვს ნატამალს თავის გრძნობათა კონა მის სამსხვერპლოზე ააგიზგიზოს, და ნატამალი გაიძახის, რას მიქვია მეფისწულობა, ტახტის მემკვიდრედ გაწესება ჩემიო! თავდავიწყებით მიყვარხარო... თავდავიწყებით რომ გიყვარდე, ჩვენი ქვეყანა გეყვარებოდა, მის მთლიანობას შესწირავდი შენს თავსა და ჩემს თავს. დაგვიწყნია, მეფისწულო, შენი ქვეყანა და გახსოვს მხოლოდ შენი თავი. შენ ითხოვ ჩემგან შეგეწირო. მე კი ვითხოვ შენგან, ჩვენი ქვეყანა არ დაივიწყო, მისი გულისათვის თავი დასდო... სხვა ვერაფერი შემაყვარებს მეფისწულს...

მირანდუხტმა თავი ანება ბაგრატიანს, ეკვდერის კარი დაკეტა და პალატისაკენ პირი იბრუნა.

მეფისწული ფეხზე წამოდგა. მირანდუხტი წალკოტის აღმართს აჰყვა. მეფისწულმა თვალი გააყოლა მიმავალს, უკან გადევნება ვეღარ გაბედა. ჭაბუკს კარგად ახსოვდა ექვსი წლის მირანდუხტის სიმტკიცე. შეძრწუნვით წვივზე ხელი მოისვა, მუხლებს დაყრდნობით ხომ არ შემეხსნა წვივსაკრავიო. გუშინ წვივსაკრავის შეხსნა, თითქოს მივიწყებული, ახლა შხამად ახსენდებოდა. მირანდუხტი თვალს მიეფარა. მეფისწული დაიძრა ადგილიდან. აუზთან მივიდა. პალატისაკენ გაიხედა, ბაქარი ხომ არ მოდისო. პალატის ზემო სართული მოსჩვდა თვალში. ეს ხომ მის საყოფ ადგილად გააწესეს. ინატრა ჭაბუკმა იქ ყოფნა. ინანა კარვად დაბინავება.

„პალატს რომ ვყოფილიყავ დაბინავებული, — იფიქრა გიორგი მეფისწულმა, — ჩემთვის გაწესებულ ზემო სართულს ხომ ვეწვეოდი თავისუფლად. ბაქარს ვნახავდი... ახლა ვერ ებედავ. პირი მირცხვენის. მაგრამ დამალვა არაფრისა არ შემიძლია: მართალს ვამბობდი. არჩევანზე რომ მიდგეს საქმე, მითხრან: ან მირანდუხტი ან ტახტზე ასვლაო, მირანდუხტს ვირჩევ...“

მეფისწული შეკრთა – მის ყურს უნებლიეთ კვლავ მოხვდა ია ქალის მკვეთრი სიტყვა: მე ვითხოვ შენგან ჩვენი ქვეყანა არ დაივიწყო... მისი გულისათვის თავი დასდო. სხვა ვერაფერი შემაყვარებს მეფისწულსაო.

– ასე იქნება, მჯერა, ასე იქნება! – დაურთო მეფისწულმა მირანდუხტის სიტყვებს. – ვინ იცის რა ბრძოლა დამჭირდება, რომ ვთქვა: გავწირავ იადხმობილს ქართველ ტომთა საბედნიეროდ-მეთქი.

წალკოტის ხეივანს ჩაჰყვა ნელის ნაბიჯით. გალავნის აღმოსავლეთ კარისაკენ მიდიოდა, მაგრამ ქვეყიდან მისი მხლებლები მიემართებოდნენ მასთან. ზემოდან ბაქარი წამოვიდა.

ქავთარს ფერწასულობის და დანარჩენთ დაბნეულობის კვალი ემჩნეოდათ.

მეფისწული აგვიანებდა ბანაკში დაბრუნებას და ბანაკის წევრთ გული ელეოდათ. გიორგის ივრის გაღმა მოუხდა გასვლა სანადიროდ. ქავთარს კი ეცლო ოდესმე აქეთ მხარეს, მაგრამ მაინც არ შეეძლო ზუსტი ცოდნა გამოეჩინა ამ ადგილებისა. ქავთარსა და მასთან მყოფთ მხოლოდ ერთი რამ აფიქრებდათ, მოხეტიალე გარეწრებთან შეხვედრა მეფისწულისა. იმედი ჰქონდათ, ხუთ კაცს თამამად გაუსწორდებოდა მეფეთა მეფის ანაბარი. ყველა მათგანმა იცოდა, თუ როგორი „კაცი საშიში და ცხენოსან-მშვილდოსანი“ იყო გიორგი მეფისწული, მაგრამ მაინც შიშობდნენ.

„მერმე ქვეითად გაუდგა გზას“ – ფიქრობდა თითოეული.

ბერა ზენკალის გაქცევა-დამალვის ფანდს ვერ გამოიყენებდა მეფისწული: არ იცნობდა იმ ადგილებს და, შესაძლებელია, ტყვედ ჩაჰვარდნოდა რიცხვით ძლიერ მტერს, ან თავიც შეეკლა მისთვის და...

„მაშინ ნახე, ქავთარ მწიგნობარო, ქავთარ ტბელის-ძევ, – გაივლო გულში ქავთარმა, – ბაგრატ მეფეთ მეფე მოწინააღმდეგეთა ბანაკში მოგაქცევს და თუ ჩაუვარდი ხელში, თავსაც გაგაგდებინებს. მართალიც იქნება. ან ჩემი უნდა გამეყვანა და გავყოლოდი გაუფრთხილებელ ჭაბუკს რაზმიანად ცხადლივ, ან მალულად ავდევნებოდი“.

ივრის გაღმა გასულთ რომელიღაც უჯარმელი შემოეყარათ. მისგან ცნობა მიიღეს: სასანიანთა შინაყმა ონოფრე შემხვდა, ვინმე მშვენიერ ახალგაზრდას მისდევდაო. თელი მოეკლა ახალგაზრდასო. ონოფრეცა და ახალგაზრდაც უჯარმისაკენ მიეშურებოდნენო.

ქავთარი მაშინვე მიხვდა, ვინც იქნებოდა ის მშვენიერი ახალგაზრდა, ონოფრე რომ ასდევნებოდა, და გულში ქებათა-ქება უძღვნა ბაქარის ძიძიშვილს: ვაჟი ხარ, ვაჟი, ონოფრევ, რომ ატორღიალება იცი, და მეფისწულს თავის ნათქვამობაში არ ჩამოუვარდებიო.

ქავთარი და მისი რაზმი მსწრაფლ დაბრუნდნენ, უჯარმის მხარეს გამოვიდნენ და სასანიანთა გალავნის აღმოსავლეთ აღმართს შემოუდგნენ, წალკოტში მოსულთ გულს ხინჯი მოშორდათ, მეფისწული რომ დაინახეს. ქავთარმა და მისმა რაზმმა ნადირობის კეთილად ჩატარება მიულოცეს ტახტის მემკვიდრეს. მისი დანახვით გახარებულებმა ვერ შენიშნეს, როგორი დამარცხებული ადამიანის დაღს ატარებდა მისი სახე.

სამაგიეროდ ბაქარმა კარგად იცოდა მეფისწულის მარცხი. მირანდუხტს თავისიანებისათვის ყველაფერი ეამბნა. პირზარადიან ვისმესთანაც შეხვედრა თავისი, მისივე შეხვედრა მეფისწულთან და ონოფრესთან. აქ ონოფრეს გადმოეშალნა თავისი ზღაპრული და არა ზღაპრული ამბები ამ ვინმე პირზარადიანზე.

ამოცანად ექცა ეს პირზარადიანი ბაქარს, მაგრამ გადაწყვიტა თუნდაც ეცნო, მაინც არ გაემჟღავნებინა მისი ვინაობა. პირზე ზარადჩამოფარებით მოსვლას ჯვარპატიოსანში მლოცავს ვერავინ დაუშლიდა, ამ შემთხვევაში ბაქარი ერთ რამეს მაინც არ დაანებებდა თავს: თვალყურის დევნას არ მოაკლებდა იმ უცნობ ვაჟკაცს.

ბაქარს მოსმენილი ჰქონდა პირისპირ დარჩენის ამბავიც მირანდუხტისა გიორგისთან და მირანდუხტის პასუხიც, მეფისწულს რომ მიეღო და, თქმა არ უნდა, ნათელი ხდებოდა მისთვის მეფისწულის სახეზე აღგზნებული ტკივილის კვალიც. ბაქარის გამოსვლა პალატიდან სწორედ ყველაფერმა ამან გამოიწვია. სასანიანმა კარგად იცოდა: მეფისძე პალატში მისვლას უხერხულად ჩასთვლიდა და მხლებელთა ბანაკს დაუბრუნდებოდა. გზად იქნებოდა ჯერ თუ ბანაკში კიდეც მისული, ბაქარს სადილზე უნდა წამოეყვანა ამალიანად.

სასანიანი მიუახლოვდა საქართველოს ტახტის მემკვიდრეს, დაიხარა და ხელზე ეამბორა. წელში გასწორდა და ოდნავ ასცილდა ტანის სიმაღლით. მეფისწულმა თავის გვერდით რომ დაინახა სასანიანი, გულს შვება იგრძნო და წელზე მკლავი მოჰხვია. ბაქარმა გაუღიმა ლახვარსობილს და გულში სხივი ჩაუსვენა.

— პაპაჩემი და მამაჩემი, მეფისწულო, სადილზე გელიან, — დაარღვია უნებლიეთ ჩამოვარდნილი სიჩუმე ბაქარის გულით წარმოთქმულმა სიტყვამ.

მეფისწული ხმაამოუღებლივ დაჰყვა ბაქარს. სასანიანმა ქავთარიც და მეფისწულის ამალის წევრებიც გაიწვია. ყველანი პალატისაკენ გაემართნენ.

6

ჯვარპატიოსნობის დღეა. ნინოწმიდელი ჯვარპატიოსანში სწირავს. ბევრს საყდარში შესვლა უარუყვია, — ძალიან მცირეა საყდარი. გარეთ მდგომთ შორის მოსჩანან გუგანი, ონოფრე, ბერა, ფერისი. ონოფრე მისჩერებია შენობის კედელზე მიყუდებულ ნაბდიანს. შუბლზე წარბამდე ქუდჩამოფხატულს. ნაბდიანს ნაბდის ქვეშ იღლიაში რაღაც უჭირავს.

— რას მისჩერებიხარ, ონოფრე, — შეეკითხა გუგანი ბაქარის ძიძიშვილს, — რომ სულ ერთ მხარეს იცქირები და არც აქეთ იხედები და არც იქით შენებურად.

— რას კი არა, ვის მისჩერებიხარ-თქო, — შეუტრიალა სიტყვა ონოფრემ გუგანს.

— კარგი, ვის მისჩერებიხარ?

— აი იმ ფხოველს, ქუდი რომ თვალებზე ჩამოუფხატია!

— მერე! რა ნახე მაგაში ისეთი?

— ის ვნახე, რომ მეცნობა!

— გეცნობა და ვერ მოგიგონია, ჰო? შენ ეგეთი მცნობელი ხარ. პირზარადიანის ხმაც გეცნო-და ვერ იცანი. ეგ გეცნობა და ვერა სცნობ. აი გაქრი, გაქრი.

ონოფრეს ხმა არ ამოუღია გუგანის კბილის გაკვრაზე. მხოლოდ მხრები შეათამაშა.

სასანიანთა ყმა სწრაფად გაშორდა ვარაზ-ბაკურის ყმას და ფხოველს გვერდში ამოუდგა.

— ხედავ? პასუხის ღირსადაც არ გაგხადა! — წაულაპარაკა ბერამ გუგანს გულის გასასივებლად.

მაგრამ გუგანს ძნელად თუ ვინმე გულს გაუსივებდა... ბერასათვის არა უთქვამს რა, არც კი მიუხედნია მისკენ. ფხოველისაკენ გადანაცვლებული

ონოფრესათვის თვალი არ მოუშორებია. ფხოველმა მისი გულისყურიც მიიბოჭა. გუგანმა ფხოველის მხარეს შორიახლოს მონახა ადგილი და ონოფრეს თვალ-ყური ადევნა, რა აქვს გულშიო.

ბერა ფერისს მიუტრიალდა.

— კაცო, ასე რამ დაამსგავსა ერთი მეორეს ხასიათით, — უთხრა ზენკალმა რევის შინაყმას. — სად უჯარმა და სად ბოლნისი... გადააბი ერთმანეთს და წყალში გადაყარე თავის ნათქვამები, გაუტეხელები!

— მაინც კარგი ვაჟკაცები არიან, ბერავ! — მიუგო ფერისმა.

— როგორ არა, მაგათმა მზემ! კაი ვაჟკაცები... ერთი გადარეული, მეორე უკმეხი.

— მერმე რა ვუყოთ? მეც მაჯავრებს ხოლმე ეს ჩემი დისწული, ეს ბოლნელიც ხომ მრქენავი ხარივით დამეტაკება ხოლმე, მაგრამ შენც კარგა იცი, გინახავს, მტერს როგორ გაშმაგებით ეტაკებიან. ხომ გახსოვს, როგორ შეეხეთქნენ იერიშის მომტანს ალფარსლანის მოწინავე ჯარს, როცა მეფეთა მეფის ოჯახს ვიცავდით ბაქარის წინამძღოლობით, მე, შენ და რაზმი მისი.

ბერამ ამაზე აღარაფერი თქვა რა. ან რაა იტყოდა ზენკალი საწინააღმდეგოს, როცა თვითონაც მოსწონდა ონოფრესა და გუგანის ვაჟკაცობა. მეტიც ემართებოდა ზენკალს: ეშინოდა ამ შმაგურმა თავგამეტებამ არ დაღუპოს ან ერთი, ან მეორეო. უყვარდა უკვე ჭაღარამორეულ ვაჟკაცს ორივე, მაგრამ მათი ჯიუტობა გულს უსივებდა და სადმე კბილი რომ არ გაეკრა მათთვის, არ შეიძლებოდა. ისინი კიდევ აინუნშიც არ იგდებდნენ ამ კბილის გაკვრას, მაგრამ მისი გულისათვის თავს დასდებდნენ.

აგე ონოფრემ, ვითომდა თავის მოსაფხანად აწეული ხელი, ფხოველს მხარში მოახვედრა. ფხოველი არ განძრეულა.

— ერთი უნდა გავიგო, რა სწადიან იმ ბერკეტს იმ ფხოველისაგან? — გაივლო გულში ზენკალმა და ფხოველისაკენ გაემართა ისეთი ტანრხევით, თითქოს ერთ ადგილზე დგომა მოეწყინა და მეორეზე უნდა გადაინაცვლოსო..

— ეი, ზენკალო! — მიმართა გუგანმა, — რა ამბავია? გეკბენ და მაინც უჩვენოდ ვერა სძლებ, ჰა?

— როგორ არა, სულ თვალში მიზიხართ, თქვენმა მზემ! — ბერამ ონოფრეზე მიუთითა: — ისიცა და შენც!

ზენკალმა საყდრის კარისაკენ ჰქნა პირი და ზედმეტ სიტყვებს ყური აღარ უგდო.

ონოფრემ განგებ ერთი მაგრა დაამთქნარა, ხელი ახლა კინკრიხოს მოსაქექად ასწია და ფხოველს ნაბდის ქვეშ მიმალულ ხელს იდაყვში მოარტყა.

ფხოველმა დინჯად შეავლო თვალი ონოფრეს და ფხოველური კილოთი უთხრა:

— ემანდ, ძმობილო, ჩანგი არ მომიტვრიო.

„ჩანგი ჰქონია? — გაიფიქრა ონოფრემ. — მგოსანია. ისიც მგოსანი იყო. ამას წვერიც მიუგავს იმასა... ეს ხომ პირსავსეა? ის პირხმელი იყო. ისიც ფხოველი იყო, მაგრამ ფხოველურად როდი ლაპარაკობდა... იქნებ პირი შეევსო იმასა?.. დავიჯერო ეს გულადია... ნეტა რად მეჩვენება ასე?...“

ბერა თავისას ფიქრობდა.

„მაინც რა უნდა ამ ბერკეტს ამ ფხოველისაგან?“ — ჰკითხა თავის თაესა ბერამ.

ზენკალმა თავის კითხვას ვერ გასცა პასუხი და ონოფრეს ახედ-დახედა. ახედ-დახედვამაც ვერა გამოარკვია რა მისთვის.

ბერას ფხოველი არავის აგონებდა. რატომღაც ამ წუთებში მეხსიერება დახშოდა.

გუგანს კი ფხოველის გადმოხედვამ გაოცება აღუბეჭდა სახეზე. ვარაზ-ბაკურის ყმამ ახლახან გაიხსენა მხოლოდ პატარა მირანდუხტის მგოსანი, მცხეთაში რომ ნახა.

„ის არის! — გაივლო გულში, — ნეტა სად იყო აქამდე?.. რა ეშმაკია ეს ონოფრე!...

ფხოველმა ჩამოფარებული ქუდი აიწია და წარბები გამოიჩინა.

„არა! ის არ არის!“ — უარყო სწრაფად გუგანმა.

აღარც ონოფრეს სჯეროდა, ფხოველი რომ გულადს ჰგავდა.

ჩამოფხატული ქუდის ქვეშ დამალულმა და ქუდის უკან გადაწევით გამოჩენილმა წარბებმა თითქმის მთლად გამოუცვალეს სახე ნაბდიან ფხოველს.

„...დატეხილი წარბები აქვს! — თქვა ონოფრემ, — თითქოს თითოეულ წარბზე თითო დამღა აზისო. გულადს ხომ სწორე წარბები ჰქონდა?“

„თითქოს დატეხილი წარბები! თითქოს თითოეული მათგანი შუაში

დასერილია გარდი-გარდმო. — თქვა თავისთვის გუგანმა გაკვირვებით: — იმას სიკეთით სავსე სახე ჰქონდა, ამას მკაცრი აქვს".

„ღმერთო რა გაჯავრებით იცქირება! — დაასკვნა ონოფრემ. — აფსუს, გულადის კეთილო სახევ!

„ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, — დასძინა თავის სიტყვებს, გუგანმა, — განა მირანდუხტს დაივიწყებდა. ის პირველი გამოთქვამდა ლექსს".

„ცალქალამანიძიანთ მოუღეს იმას ბოლო ალბათ, — ფიქრობდა ონოფრე. — ნეტა როდის იქნება იმ რძეძაღლების ამოწყვეტა?.."

ონოფრემ ფიქრის ნაკადი შეწყვიტა. საყდრის კარებთან აფუთფუთდნენ. წირვა გამოეყვანა ნინოწმიდელს და საყდარში მყოფთ იწყეს გარეთ გამოსვლა. აგერ კახეთის დიდგვარიანი ახალგაზრდობა. ყველანი მირანდუხტის მოთაყვანენი არიან და ყველანი მირანდუხტის გულისათვის ბაგრატს ეყმნენ — მირანდუხტის თვისნი ჰაგრატს ემხრობოდნენ. აგერ მათ შორის პირზარადიანიც!

— ეჰე! — წამოიძახა ონოფრემ, — ის პირზარადიანი!

— სუ, ონოფრევ? — ჩაესმა ონოფრეს ფხოველის ნათქვამი.

ონოფრეს თვალები გაუფართოვდა.

— ბიჭოს! ამ ფხოველს ჩემი სახელიც სცოდნია! — წაუბუზღუნა ბაქარის ძიძიშვილმა.

— ვიცი, ვაჟავ, ვიცი! — უთხრა ფხოველმა ყრუ დუდუნა ხმით სასანიანთ შინაყმას, — შენი სახელი კარგა შორს არის გავარდნილი და ვიცი.

ფხოველმა პირზარადიანს მიაჩერა თვალი. მისი ნაბიჯი გულმოკლულს წააგავდა.

„ეგ ავი სული რამ დააღონა ნეტავი ასრე? — თქვა გუნებაში ფხოველმა. — განა ისე შეუყვარდა სასანიანთა ასული? თუ ეს ასეა, უბედურებაა მირანდუხტისათვის, ჩემი ია დედოფლისათვის! მაშ გულადი არ ვიყო, რომ ყოველი ღონე არ ვიხმარო შენი კბილის მოსაჭრელად, იაზონ. ვეჟან ქველიძის და მოინარიკლე, საფლავში ჩაიყვანე უდროოდ და ახლა სხვას ეძებ რაღა, შე რჯულძაღლო, განძის მამაოხერის, ფადლონის ავანჩავანო! შენი არც თუ სიძულვილი, სიყვარულიც კი უბედურების მომტანია. ისევ სიძულვილი სჯობია შენი. მაშინ მაინც იცის ადამიანმა, რომ მტერი ხარ. უფრო უკეთესად დაიცავს მაშინ თავს შენგან მიზანში ამოღებული... გავიგე, მირანდუხტი თვალში რომ მოსელია ამ მეკობრეს. გავიგე, ცოლად უთხოვნია... რევი სასანიანისაგან უარს მიიღებს, თქმა

არ უხდა, და ქალის ძოტაცებას ეცდება მეკობრე...“

ბაქარი და ვარაზ-ბაკური გამოვიდნენ ტაძრიდან. ქალებიც გამოყვნენ. გულადს სახე გაუნათდა, სასანიანის ასული დაინახა. რამდენჯერ ყოფილა ჯვარპატიოსანში გულადი და არავის უცვნია და თვითონაც არავის გამოცნაურებია, ისე კი სტკბებოდა თავისი სათაყვანებელი მირანდუხტისა და მისი თვისტომის მზერით. ერთხელ სუფრაზე ეწვია ჯვარპატიოსნობას სასანიანთ. ვერავინ იცნო. ლექსი –„იამა გშობა...“ გამოუთქვა და უმღერა კიდეც მირანდუხტს და მიიმალა.

ვაჩე გამოვიდა ტაძრიდან და გულადმა ახლა მას დაუწყო ცქერა. ვაჩეს მეფისწული მოსდევდა სახემონისლული. მაგრამ ხარირემივით თავსდამჭერი, გამოვიდა ნინოწმიდელი და ყველამ მის წინ მუხლი მოიდრიკა, კურთხევის მოლოდინში.

გარემდგომთაგან ტაძარში შესვლა იწყეს პირჯვარის გადასაწერად. გულადიც შევიდა შიგ. არ დაუხანებია: მალე გამოვიდა...

გულადმა გადაავლო თვალი თავის წარსულს: მეკობრე დიდგვარიანის ცალქალამანიძის ყმად დაინახა თავისი თავი, თავისი მამა და პაპა, ფხოველთა თემის მიმტოვებელნი, ბედისაგან გზააბნეულნი, ცალქალამანიძეთა მეკობრეთ შორის მეკობრეთ ქცეულნი, მამისა და პაპის დაღუპვა ავი სახელის მოპოვებით. შუბლი შეიჭმუხნა: „თქვენი საქმეა, თქვე მამაძაღლის გვარისანო! – მიმართა იაზონს გუნებაში გულადმა. – მამაშენის ავმა საქმემ დაღუპა ისინი. სხვამ თუ ვერ გიცნო, მე გიცანი, პირზარადჩამოფარებული, მე, შენგან გამოუცნობელმა. დადგება შენი განკითხვის დღეც!“

გულადმა წარმოიდგინა თავი ვაჩეს თავდამსხმელად. გაახსენდა დაჭრილი და დამარცხებული რომ მიატოვა იაზონმა, მერე ვაჩეს ბრძანებით, სასანიანთა პალატში რომ გადაიტანეს. აგერ ია მის ახლოს ზის, ექვსი წლისა, ტიკტიკებს:

– პაპილო კარგია. რად ებრძოლე? ჰოო, ძალად გაბრძოლეს! ბოროტი იაზონი! აღარ მიხვალ, არა, გულად, იმასთან?.. ჩვენთან მოდი ხოლმე, როცა გინდა. ხომ კარგია პაპა. მამა, ბაქარი, ფერისი. კიდევ ონოფრე, ბერა.

აგერ ახალ მცხეთას ხედავს გულადი. აგერ სვეტიცხოველი და ია, ვაჩეს სასახლე და ია, ყვავილებით მკერდზე. ია და მეფისწული, ველთამზე...

დღესაც ხედავს გულადი იას, მეფისწულს, ველთამზეს. მაგრამ ია ახლა ქალია, მზეთამზე ქართლისა და კახეთს განთქმული, მეფისწული ჭაბუკია, საროსტანი ვაჟკაცი, ველთამზეს გვერდით თავისი ნატამალი ჰყავს, ნეტავი ია როდისღა დაენახვება თავისი ნატამალით?

„დაებრუნდი უჯარმაში, — გაიცლო გულში გულადმა, — მოვუტანე ამბავი რევის მცხეთიდან. ვტრიალებდი მის კარმიდამოზე, მისთვის სასურველი. ბევრი რამ მასწავლა, გული შემივარდა რევიზე. მინდოდა მისი ყმობა და არ დამცალდა: მიაწია ხმამ იაზონამდე, რომ ცოცხალი ვიყავი. მოაწია ჩემამდეც ამბავმა, რომ იაზონი მეძებდა. შესაფარი მოვნახე. ჩემი სახლობაც იქ დამხვდა. გამოჰპარვოდა ცალქალამანიძეთ თავისი პატარითურთ. თავისიანები მოენახა საფხოველოში, რაკი ჩემი სიკვდილი სინამდვილე ჰგონებოდა. მეც იქ დავიდე ბინა. ჩემს თემს მივეკედლე ოჯახითურთ. გული კი მეწეოდა მცხეთასა და უჯარმისაკენ. ფხოველთ შევაყვარე ვაჩე, ძველთა მეფეთა ნათესავთა ნატამალი. ხანდახან ჩამოვდიოდი ბარად, ხან მცხეთაში და ხან უჯარმის მიდამოებში და ჩემ სათაყვანებელ ხალხს კი ახლოს ვერ ეუდგებოდი. ჯერ კიდევ მეძებდა ცალქალამანიძეთა მოდგმა. ვფიქრობდი, არ შემამჩნიოს მტერმა-მეთქი. გავიდა წლები. წარბები დავისერე გარდიგარდმო და სახე შემეცვალა. ვინ იცის, რამდენჯერ გამიელია იაზონის წინ დადამღულსა და იაზონს კი ვერ უცნივარ სხვებსაც. აი ახლა ჯვარპატიოსანს ვეწვიე, ნაცნობებს ბევრს შეეხვდი და ვერ მიცნეს. აი ეს არის, ონოფრემ თითქოს მიმამსგავსა ძველ გულადს, ჩამოფხატული ქუდი მაღლა ავიწიე და ონოფრემ უკან დაიხია. დაეთარი დაებნა ვაჟკაცს. ცხადად დავინახე გუგანსაც ასეთი ამბავი დაემართა. იაზონიც ვერ მცნობს, გვერდით მოუდგები და მაინც ვერ მცნობს“.

გულადმა თვალი შეავლო ხალხს, ზოგნი დიდგვარიანნი, ტაძრიდან გამოსულნი თავქვე ეშვებოდნენ, დაბლობისაკენ ისწრაფოდნენ. სადღეობო სეირ-თამაშობანი იმართებოდა. იაზონიც მათ შეუერთდა. გულადი დაიძრა ადგილიდან და თითქმის გვერდით მიუდგა ცალქალამანიძეს.

მოზარდი ახალგაზრდობა ამოქმედებულიყო. ჭიდაობა გაემართათ ბავშვებს. დაესწროთ მოზარდთ ჭაბუკ-ვაჟკაცებისათვის.

— ფერის, ერთი უყურე, შენი შვილი ბასა რა ამბავშია? — მიუთითა ბერამ ერთ მოჭიდავე ბალღზე სასანიანის დიდ შინაყმას. — რა კოხტა მოგვერდი სცოდნია!

— შაგან კაი ფეხის გამოკვრაცა და წამოკიდებაც იცის, — ჩაერია ონოფრე, — თორმეტისაა და თაეისზე სამი წლით უფროსსაც არ დაერიდება ხოლმე. ეცემა, კაცო, წამსვე მოპირდაპირეს და ელვის სისწრაფით ხან მოგვერდს უგდებს, ხან ფეხს გამოჰკრავს ზედიზედა და ხან წამოიკიდებს ხოლმე!..

ონოფრემ სიტყვა შეაჩერა: ბასამ მოპირდაპირე წააქცია და ერთი ღონიერად დაიყვირა:

— ეს ერთი კვეტარელი!

ბავშვმა მიიხედ-მოიხედა და ისევ წამოიძახა:

— კვეტარელებო! ეეი ჰო!.. გყავთ კიდე ვინმე ჩემი ხნისა? ან თუ გინდა ჩემზე ერთი-ორი წლით უფროსი? დამჭიდეთ, საქმე გამოასწორეთ, თორემ შინ შერცხვენილნი წახვალთ!

ბავშვის ამგვარ სითამამეზე ატყდა გნიასი. ვიღაცამ ბასას ხუმრობით დაუძახა.

— ბიჭო, რა ამბავში ხარ? შენ ტყავში ვეღარ ეტევი? ხომ არ გინდა იაზონი გადაიმტერო!

— იაზონს კარგა ხნისომება, ათი წლის წინათ ჩვენებმა ივრის გაღმა წვენი რომ ადინეს! — დაიძახა პასუხად წარბშეუხრელმა ბასამ და თან დაუმატა: მამამ მიამბოო.

ფერისმა გაიღიმა შვილის სიტყვებზე, მაგრამ რკალი გაარღვია და სილა დაანახვა. ბასა სწრაფ მოშორდა ტოლებს, რკალის მეორე მხარეს დიდებს ფეხებში გაუძვრა და მიიმალა.

ფერისმა დანარჩენი მოზარდნიც გაისტუმრა დიდთა რკალის გარეთ. მალე დიდების ჭიდაობა უნდა გამართულიყო.

ბაქარს, როგორც ციხისთავს, ასპარეზობის ზედამდეგად ფერისი ჰყავდა დანიშნული და ისიც ამოქმედდა. მან საქმე შვილის გაძევებით დაიწყო და ზედ სხვა ონავრებიც მიაყოლა. მაგრამ ონავრებმა არ დაახანეს უკანვე დაბრუნება. რკალის შიგნით ვეღარ გაბედეს ფეხის წადგმა, მაგრამ დიდებშორის მაინც დაიჭირეს სათანადო ადგილი. დიდების ჭიდაობა ძალიან იზიდავდათ მოუსვენრებს. აგერ ბასაც თავის უფროსს თხუთმეტი წლის ძმას გვერდში ამოუდგა.

— შენც იჭიდავებ? — ჰკითხა ბალღმა დაჩის.

— მერე მაშ რა გნებავს? — შეეკითხა ძმას დაჩი.

— რა და აი კვეტარელ ფოცხვერ ცალქალამანიძეს დაეჭიდე.

—რას აიჩემე, ბიჭო, შენ დღეს ეგ კვეტარელები?

— ჩვენი მტრები არიან. რა უნდათ, რომ მოდიან ჩვენ ხატში?

— ნუ ხარ სულელი! ჯერ ერთი, ხატი ყველასია. მერმე, ბაგრატ მეფე მაგათ მეფესთან შერიგებულია და ამ ხატში ყველა კახელს შეუძლია მოსვლა სალოცავად. თვითონ იაზონ ცალქალამანიძესაც კი, თუმცა მტრობს ჩვენს პატრონებს.

— აი სწორედ მაგიტომ, რომ ჩვენ პატრონებს მტრობენ ცალქალამანიძენი, ნეტავი ერთი შენი ტოლი გამზარდა, რომ ფოცხვერს ცალქალამანიძეს ცხვირ-პირი დედამიწას ვუგალო.

— წადი აქედან, შე უშნო შენა! — დაუტია დაჩიმ ბასას, — ნეტავი შეგეძლოს მაინც მართლა რამე.

— შენოდენა იაზონსაც ვუგლი ცხვირ-პირს მიწაზე, — წამოისროლა უცბად ბასამ და უნებლიეთ ახლოს მდგომ პირზარადიანს მოჰკრა თვალი. თვალსწრაფმა ბავშვმა მყისვე შენიშნა, პირზარადიანი უკმაყოფილოდ რომ ტოკავდა და თან მისკენ იცქირებოდა.

— აგერ! — მიუთითა ძმას ბასამ. — პირზარადიანს ბუზანკალი შესჯდომია ლაჯებში. ეტყობა, ჩემი სიტყვები არ ესიამოვნა. ღმერთმანი კვეტარელი იქნება.

დაჩიმ კარგა ხანია შენიშნა იმ უცნობის მოუსვენრობა, ცდილობდა შეეჩერებინა ბასას ენამწარე ლაპარაკი. მაგრამ ბასას აგრე ადვილად ვერ შეაჩერებდა.

პირზარადიანს გულში ეკლად ესობოდა პატარა ბიჭის სიტყვები. კვეტარელი დიდგვარიანი ბასას სიტყვებიდან ნათლად ხედავდა, რომ არაფრის იმედი არ უნდა ჰქონოდა სასანიანებთან დამოყვრებისა. მტრობის მოსპობაზე ეს ამაყი გვარი არ დათანხმდებოდა. სასანიანთა კვეტარელებისაკენ მიმართული გაუნელებელი სიძულვილი მათ პატარა ყმასაც კი გასჯდომოდა ძვალ-რბილში. ბასა ძმამ ვერ გააჩუმა. ვიღაცამ წამოიძახა: ფერისს ეს მოუსვენარი ალბათ მეკობრეთ გაეზრდებაო, და ბასამ განაცხადა:

— გამოვალ, მამა, მეკობრე! მაგრამ ხალხს კი არ გავძარცვავ, არამედ ხალხის გამძარცველებს. აი ისეთებს, როგორიც კვეტარელები არიან.

— ბიჭო, შე გადარეულო, შენა! დაიკარგე აქედან, თორემ... — დაუტია დაჩიმ ძმას, — მეტის მოთმენა აღარ შემიძლია.

ბასამ ეს სიტყვები არ ჩაიგდო აინუნში. ყურადღება ახლა პირზარადიანის ახლომდგომ გულადზე გადაიტანა და წამოიძახა:

— ერთი უყურეთ იმ ფხოველსა და! ბოჭორმის წმიდა გიორგის კედელზე გამოსახულ ეშმაკს არ მიუგავს სახე?

ატყდა სიცილ-ხარხარი: ფხოველი თავისი გარდიგარდმო დასერილ-დატეხილი წარბებით სწორედ ბასასგან დასახელებულ ეშმაკს მიამსგავსეს.

ბასას კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ აღარ დასცალდა: შეამჩნია, რომ ფერისი მისკენ წამოვიდა და წამსვე რკალის გარეთ ამოყო თავი.

ბაქარი ჭიდაობას თავის ციხოვანთა სავარჯიშოდ იყენებდა: ხელჩართულ ბრძოლაში გამოადგებათ ჭიდაობის სხვადასხვა ფანდის გაწაფული ხმარებაო, ამბობდა იგი. ბაქარი ციხოვანთ კიდევ ავარჯიშებდა ნაბადზე გადახტომაშიც, მაგრამ აუცილებლად შეჯავშნულებს. ციხისთავს მრავლად ჰყავდა სამ ნაბადზე გადმომხტომი ციხოვანნი. შეჯავშნულნი ისე ხტებოდნენ, რომ ნაბადს ფეხს არ აკარებდნენ არც ახტომის და არც დახტომის მხარეზე. სამ ნაბადზე მხტომნი გამონაკლისად ითვლებოდნენ. ხუთსა და შვიდ ნაბადზე მხტომ ციხოვანთ ხუმრობით გაკრულ ბურთებს უწოდებდნენ. კომბლის ხმარება, ხმალდახმალ ბრძოლა, შვილდოსნობა და ცხენოსნობა — ყველაფერი ამის ცოდნა სავალდებულო იყო ყოველი მეციხოვნისათვის. სეირ-თამაში ჰსურდა ეჩვენებინა ბაქარს სალოცავად მოსული ხალხისათვის: ჭიდაობა, ნაბადზე ხტომა და მაისის წვიმებით მოდიდებულ იორში შეაბჯრულ ცხენოსანთა რაზმის გასვლა-გამოსვლა. ამ შეჯიბრ-თამაშში სალოცავად სხვა კუთხიდანაც მოსულთაც შეეძლოთ ჩაბმულიყვნენ, თუ კი სწადდათ თავიანთი ვაჟკაცობის და ძალღონის გამოცდა. მოდიდებულ წყალში გასვლა რაზმთან ერთად და ისევ გამოსვლა ადვილს არაფერს ჰპირდებოდა მონაწილეს: გადალობილი წყალი მძვინვარე და დაუნდობელი იყო და, ვაი რაზმის პირველ რიგს, თუ მედგრად არ დახვდებოდა. გამოუცდელი, თუნდაც ძლიერზე-ძლიერი ვაჟკაცი, ხშირად ვერ ჰბედავდა რაზმთან ერთად მოდიდებულ იორში გასვლას.

ხალხი მოუთმენლად ელოდა შეჯიბრებათა დაწყებას. ტოკავდა, ადგილზე ველარ დგებოდა. აქა-იქ ისმოდა სიტყვები, რაღას იგვიანებენო.

— რაღას იგვიანებენ და ელიან ნინოწმიდელსა და მისიანებს! — გასცა ვიღაცამ პასუხი შემკითხველებს. — აგე, ვერა ხედავ? — მიუთითა პასუხის გამცემმა ხალხს თავციხის ფუძე-მთის სამხრეთ დასავლეთით

დაქანებულ კალთის ქვემოებზე, — იქ არავინ არის ჯერ.

იქ მოჩანდა კიბურად მოწყობილი სასხდომები. ისინი სამ რიგად გადმოყურებდნენ სასეირო უტევანს. აქ უნდა მოთავსებულიყვნენ ასპარეზობათა სამზერად ნინოწმიდელი თავისიანებით და სტუმრებიანად და კიდევ სხვა პატივცემული ოჯახები დიდგვარიანთა.

ლაპარაკი შეწყდა. თავციხიდან გამოვიდნენ: ნინოწმიდელი, მის გვერდით ვაჩე, მეფისწული, ქავთარ მწიგნობარი, მირანდუხტი და ველთამზე პატარითურთ. მათ მოყვებოდნენ სხვა დიდგვაროვანნი.

სასხდომების წინა რიგი ნინოწმიდელმა, მისიანებმა და სტუმრებმა დაისაკუთრეს.

ფერისმა ამხანაგ ზედამდეგად ბერა ზენკალი მოიწვია. უტევანზე რკალს შიგნით შემოჭრილთ ონოფრესა და გუგანსაც დაუქნია ხელი, ჩემთან მოდით, თქვენ მომეხმარეთო. ონოფრემ უარი განაცხადა ზედამდეგობაზე. გუგანი ხმაამოუღებლივ შეუდგა მოვალეობის ასრულებას.

— კომბალი აიღე, კომბალი და გარსმდგომთა რკალი გააფართოვე! — დაუძახა ბერამ გუგანს.

— ჩემი ხელები შენ კომბალზე ნაკლები როდია! — გასძახა ბერას გუგანმა და თავისი გრძელი მკლავები ხელების მოკუმშვით კომბლებს დაამსგავსა.

— აბა! განი, განი! — დასჭყივლა და რკალს ელვის სისწრაფით შემოურბინა. რკალი ფართოვდებოდა და გუგანი მაინც განი, განიო, იძახდა.

ბასა ისევ რკალს შიგნით გაჩნდა.

— აი, შე ვერხვის ჭინკავ, შენა! — დაუძახა გუგანმა, — კიდევ გაჩნდი?

— მე დიდი ხანია გავჩნდი. თორმეტი წელიწადია მას აქეთ, — უპასუხა ბასამ.

— აბა, ვერხვის ჭინკავ! ჰა, უპასუხო არაფერი დატოვო! — წასძახა გუგანმა. — აქედან აიფხიკე!

ბასას მაღალ ხეებზე ასვლა უყვარდა. სასანიანთა წალკოტის არც ერთი ვერხვი არ დაუგდია აუსვლელი, ამიტომ ვერხვის ჭინკას ეძახდნენ.

ბასამ რკალს გარედან შემოურბინა. სხვა მხრიდან მოისურვა შიგნით შეძრომა, მაგრამ ბაქარს ჩაუვარდა ხელში.

ფერისი წამოვიდა ბაქარისაკენ: შვილის დატუქსვას აპირებდა. მაგრამ ბაქარმა ღიმილით მიმართა:

— ჩემი ტყვეა ბასა, მე დავსჯი ოინებისათვის მაგ დაუდეგარს!

ბასას გაუხარდა, რომ ბაქარმა მისი თავი მამას არ ჩაუგდო ხელში.

ბაქარმა „ტყვეს“ შუბლზე აკოცა:

— გინდა, ბასავ, ჩემთან იყო ახლა? — შეეკითხა იგი ბიჭუნას.

— ძალიან! — სიხარულით წამოიძახა ბასამ.

— ჩემთან ბოლნისში არ წამოხვალ, ბასა? — შეეკითხა ახლა ვარაზ-ბაკური.

— არა, მე ბაქარი მიყვარს, — წარმოთქვა ბასამ და ბაქარს ჯავშნის კალთაზე ხელი მაგრად მოსჭიდა.

ვარაზ-ბაკურმა გაიღიმა და ბაქარს მიმართა:

— უსათუოდ ერთი ვინმე თავდადებული გამოვა შენთვის ეს ონავარი!

— კიდევაც! — დაჰკრა კვერი ბასამ ვარაზ-ბაკურის სიტყვებს და ბაქარის კალთას უფრო ძალოვნად ჩაბღუჯა.

ბაქარი, ვარაზ-ბაკური და ბაქარს ატორღიალებული ბასა ხალხის რკალს შიგნით მოექცნენ.

ბასამ ძმას — დაჩის თვალით ნიშნი მოუგო, აი მე ვარ ბაქართან და არა შენო.

ბაქარმა პირზარადიანს მიაქცია ყურადღება. სასანიანმა ჯერ კიდევ ვერ ცხადჰყო თავისთვის მისი ვინაობა.

ბასამ შენიშნა, რომ ბაქარმა პირზარადიანს გადაჰკრა თვალი.

— უფლისწულო, გინდა გავიგო, ვინც არის ეგ პირზარადიანი? — უთხრა მან ხმადაბლა.

ბაქარმა გაულიმა ბავშვს.

— აბა, როგორ გამიგებ, შე ონავარო? — ისეთი კილოთი შეეკითხა, რაც ნიშნავდა, გამიგეო.

ბასამ ხელი უშვა ბაქარის კალთას.

— ნახევრად კიდეც ვიცი, ვინც არის, — წაილაპარაკა და მამისაკენ გაიხედა, ხომ არ მიცქერსო. მამას მისთვის არ ეცალა. ბაშვი მსწრაფლ რკალს გარეთ გავარდა და მისგანვე ეშმაკად მონათლულ ფხოველს ზურგთუკან მოექცა. ფხოველს კი თითქმის გვერდით ედგა პირზარადიანი.

— ეი, ფხოველო! ბოჭორმის წმიდა გიორგის ეშმაკო! ფართო ნაბადი გაქვს; შენც გასხია და კიდევ შიგ რაღაცას ჰმალავ, იღლიის ქვეშ უნდა გეჭიროს!

— მერმე შენ რაში გეკითხება, ვერხვის ჭინკავ? — შეეკითხა გულადი ბასას. გულადმა კარგად გაიგონა გუგანმა „ვერხვის ჭინკა“ უწოდა ბავშვს.

— რა მინდა და მეც დამმალე, მამაჩემმა თვალი რომ არ შემასწროს, — მიუგო ბასამ. — ხანდისხან შენი ნაბდის კალთებიდან გამოვიჭყიტები და ჭიდაობას დავინახავ.

— მერე ეშმაკისა არ გეშინია? — ჰკითხა ღიმილით ფხოველმა და თანხმობის ნიშნად ნაბდის კალთები გასწი-გამოსწია.

— რად უნდა მეშინოდეს! შენ ეშმაკი და მე ჭინკა, პატარა ეშმაკი. ნათესავები ვართ, — უთხრა ბასამ და ნაბდის ქვეშ თავი ამოჰყო.

— ეი, ფხოველო! — გამოელაპარაკა ბასა ხმადაბლა, — შენი ჩანგი მეცნობა.

— მერე და მაგ სიბნელეში რა დაუნახე ჩანგს, რომ მეცნობაო, იძახი?

— კატის თვალები მაქვს. მერმე ნაბდის ქვემოდან შუქი ამოდის.

— სად გინახავს ჩემი ჩანგი?

— მამაჩემმა მითხრა ერთხელ: აქ ერთი მგოსანი გეყავდა, გულადიო, ასეთი და ასეთი ჩანგი ჰქონდაო. თვითონ გამოეკვეთნა კოხტადაო. ისეთი არავის ხელში არ მინახავსო. შენ ან გულადი ხარ და ან გულადის ჩანგი გიჭირავს, — დასძინა ბასამ.

გულადს სურდა ჩაეჩუმებინა ეს არამკითხე ბავშვი და უეცრად შესძახა:

— არიქა, ჩქარა დაიმალე, თორემ მამაშენი აქეთ იცქირება...

ბასამაც სწრაფად შემალა თავი, მაგრამ მალე ისევ გამოაძვრინა ნაბდის კალთებს შუა. პირზარადიანს შეხედა:

— ჭიტა! — უთხრა და გაუცინა.

ფხოველის მუცლის სიმაღლეზე ბავშვის გამოყოფილი თავი ახლოს მდგომთ სიცილსა ჰგვრიდა, იაზონი კი გულზე სკდებოდა.

„რას გადამეკიდა ნეტავი ეს ბავშვი?.. რა გათამამებული ვინმეა! წეღან რომ დაიყვირა ცინგლიანმა, ვინ ხართ კვეტარელნი, კიდევ გამოდითო, — ერთი ღა აკლდა ეთქვა: დიდი და პატარაო. რა ვარ აქ? რაა ეს სიყვარული, რომ მტრის ბანაკში მომიყვანა, რომ მასმენინებს ამ შეურაცხმყოფელ სიტყვებს, მეც ვითმენ, მინდა გავიდე ამ დაწყეველილი არემარიდან და ფეხს არ მაცლევინებს ადგილიდან. — მირანდუხტს გადახედა იაზონმა, მის გვერდით მყოფ მეფისწულს თვალი შეავლო. სახე

დაჰლვრემოდა, თავი მოჰხროდა. მირანდუხტი დამშვიდებული უცქეროდა რკალადშეკრულ ხალხს. იაზონმა ველთამზეს მიაჩერა თვალი.

„ოოჰ! ლამაზია, ლამაზი ზვიადის ასული, თითქოს მირანდუხტსაც არ დაუვარდება და მაინც მირანდუხტს დაემონა მრავალი ვაჟკაცი... გრძნეულია, გრძნეული! – გაიმეორა ცალქალამანიძემ გუშინდილანდელი თავისი დასკვნა სასანიანის ასულზე. – აგერ მეფისწულია, ვაჟკაცია, ჭაბუკის ჰასაკს გადასცილებია, უნდა მხიარულობდეს და თავმოხრილი კი გამოიმზირება. ჩანს, მირანდუხტი გულის კარს არ უღებს ქართველთა ტახტის მემკვიდრეს!.. ნეტავი ვიცოდე, ვინ გაბედნიერდება მაგისი გულით?... ოოჰ! გავიგო ერთი, გავიგო და აღარ, აღარ ვაცოცხლებ იმ გაბედნიერებულს!.. იაზონ ცალქალამანიძე ემონა სასანიანის ასულს და სხვას მისით დამონებულს, მისკენ მისწრაფებულს გზას როგორ მისცემს?! წუთისოფელს გამოასალმებს, წუთისოფელს!.. ფიქრი შეუწყდა ცალქალამანიძეს: ყურს ბასას სიტყვები ჩაეწვეთა:

– ეი, ბოჭორმის წმიდა გიორგის ეშმაკო, ხომ მგოსანი ხარ? მასწავლე მგოსნობა! ჩანგიც მათხოვე: მირანდუხტს შევაქებ, აი ამ პირზარადიანსაც, გულთმისანი ვარ და სახელი გავიგე მაგისი.

თვალმახვილი ბავშვი ფიქრში გართულ პირზარადიანს თვალს არ აშორებდა. ზარადიდან მამზირალ თვალებს აცქერდებოდა დიდხანს და ბოლოს დაასკვნა გულში: „ნამდვილად იაზონ ცალქალამანიძეა. შარშან – გიორგობას, ბოჭორმაში სალოცავად რომ ვიყავით, იქა ვნახე, სწორედ ჩვენი ლომა კამეჩის თვალები ჰქონდა. ლომა კამეჩის თვალები გაქვს, პირზარადიანო, ლომა კამეჩისა. სწორედ იაზონი ხარ!“

პირზარადიანის იაზონობაში რაკი დარწმუნდა ფერისის ნატამალი, თავის ოინებს გაჰყვა ისევ.

გულადს მოჰბეზრდა ბასას მოუსვენრობა.

– გაჩუმდი, ბალღო, თორემ გაგაგდებ!

– შენ რომ არ გამაგდო, მე კი ვერ წავალ! ძუნწი ყოფილხარ, ძუნწი! არ გინდა მგოსნობა მასწავლო... იი! ძუნწი, ძუნწი! – მიაყარა სხაპასხუპით ბასამ გულადს და თან ყველაფერს პირიდან წამობნეულს დაურთო: – აბა, ბოჭორმის წმიდა გიორგის ეშმაკისაგან რა სიკეთე გამოდნება? ფააფუ! არაფერი...

ბავშვი ნაბდიდან გამოძვრა და ციბრუტივით შემოტრიალდა.

— ფუჰ! ფხოველის მკბენარი დამეხვია, ხალხო, უნდა დავიბერტყო! — დაიძახა მან და რკალის შუა არე დაურიდებლად გადასჭრა, ჯერ მამას გაუარა, აბა თუ მეტყვის რამესო.

ფერისმა თუმცა გაიღიმა, მაგრამ პირიდან მაინც მუქარის სიტყვები აღმოხდა:

— შინ მოხვალ, შინ და მაშინ ნახავ შენ სეირს!

— სანამ შინ მოვალ, ეგ გაბრაზებაც გაგიელის, მამაჩემო! — მიადევნა ბასამ მამის სიტყვებს, ონოფრეს გვერდით გაჩნდა და წასჩურჩულა: — კაი ბიჭი ხარ, ონოფრეე, მაგრამ ერთ ნაბადზედაც ძლივს გადახტები!

ბასამ არც ბერა დასტოვა უნუგეშოდ.

— ბერა ძიავ, ბერა ძიავ! თვითონ შენც რომ კომბლად იქცე, კვეტარელებს მაინც ვერას დააკლებ!

— დაიცა, დაიცა, შე ჭიპრანავ, მოხვალ ჩემთან საზენკლოში და კიდევ დამეღრიჯები, საჭურვლის კეთება მასწავლეო, ნახავ, როგორც გიფრენ, — გასძახა ბერამ.

ბასას პასუხი აღარ გაუცია, სწრაფად ამოუდგა ბაქარს გვერდში და ხმადაბლა მოახსენა:

— უფლისწულო! ის უცნობი კვეტარელი მეკობრეა, იაზონი!

— მერმე მეტყვი, როგორ გაიგე, არა? — უთხრა ბაქარმა და თან უბრძანა, არავის გაუმხილო ეს საიდუმლოებაო.

— სამარე ვარ, სამარე! — წასჩურჩულა ონავარმა და თან შეჰღიჯინა, ისევ შენს გვერდით მიყოლეო.

ბაქარმა თავისთან დარჩენის ნება დართო ბავშვს და ბრძანება გასცა, ციხოვანნი ჭიდაობას შესდგომოდნენ.

მოჭიდავეთ ჯაჭვის პერანგები ეცვათ, წელზე სარტყელშემოსალტული.

გამოვიდა პირველი წყვილი. მოპირდაპირენი ჯერ დაშორდნენ, შორიახლოდან ახედ-დახედეს ერთმანეთს. აგე, ერთი თითქოს ჰაერიდან გადმოეშვა, ჩანს, სიმარდეს ფლობს, ეცა მეორეს, ჯაჭვის პერანგის საყელოში სწრაფად ჰკიდებს ხელს და უჩოქებს, წამოკიდებით ემუქრება. მეორეც ხმარობს ხერხს, მარდს თითქოს უთმობს თავის ტანს, მაგრამ მის ზურგზე მოქცეული კი არ გადასდევს სიგრძეზე, გვერდს ეკლება და დაჩოქილი, მოპირდაპირის წინ ფეხზე ამართული, ხალხს ეკლინება,

მოპირდაპირეს მხარში ხელს ჰკიდებს და შემოქნევით ლამობს მიწაზე მის გართხმას. შემოქნეული მარდი ფეხზე დგება და ხალხი კიჟინით ეგებება მის გადარჩენას. მარდი ახლა ელვის სისწრაფით ფეხში ფეხსა სცემს ჭარბჯანიანს, ფეხმტკიცეს. ჭარბჯანიანი ფეხის სიმტკიცეს აღარ ეყრდნობა, მარდს ხელში უვარდება და მოგვერდს ხმარობს მის წინააღმდეგ. აგე! გადმოაქვს კიდეც მოპირდაპირე. მარდი, ჰა და ჰა, უნდა დაეცეს. გამარჯვება თითქოს ჭარბჯანიანს რჩება ხალხი ცრუვდება: მარდს ფეხზე ჰხედავს...

ზედამდეგებმა გააშველეს პირველი წყვილი: გამარჯვება არც ერთ მათგანს არ დარჩენია.

პირველ წყვილს მეორე მოაყოლეს, მერმე — მესამე და შემდეგნი. თუ ციხოვანთა წყვილში ვინმე გამარჯვებული გამოდიოდა, ეს მხოლოდ მოპირდაპირის ფეხის მოულოდნელი წაბორძიკებით, ანდა მოულოდნელი თვალის დაცდენით. ყველა იშვიათ სიფხიზლეს იჩენდა.

იაზონი უცქეროდა მოჭიდავე მეციხოვნეთ. უნებლიეთ გონების თვალით ადარებდა შემთხვევით მოკრებილ თავის გარეწართა რაზმს და ფიქრობდა, როგორ გაუსწორდება ჩემი ნაყარნუყარი ამ გაწვრთნილ ციხოვანთო. მათ ერთადერთ ღირსებას კი აღნიშნავდა: ეს იყო სწრაფი თავმოყრა თავდასასხმელად და სწრაფადვე მიმალვა...

ფერისმა სალოცავად მოსული ვაჟკაცები საჭიდაოდ გაიწვია, შემდეგ ხალხთა რკალს მიეკედლა და იაზონმა უტევანზე ბაქარის ძიძიშვილი დაინახა.

— რას გამოვიდა ეს ბრიყვი? — გაიცლო გულში ცალქალამანიძემ ბოროტი ზრახვით.

— მეფისწულის მოჭიდავედ ვაცხადებ ჩემ თავს, ვაჟკაცნო! — წამოიძახა ონოფრემ, თითქოს იაზონის პასუხად, — ვისა გაქვთ ხალისი, მეჭიდავეთ!

იაზონის ყურამდე მიეღწია ხმას, ონოფრე მუდამ გამარჯვებული გამოდის ჭიდაობაშიო, მაგრამ ეს მის გულს ადრე არ ჩასწვდომია. რა იქნებოდა მაშინ მისთვის სასანიანთა ვიღაც შინაყმა? გუშინდელს აქეთ კი იაზონს რაღა მოანელებინებდა ონოფრეს ქებას. ონოფრეს გუშინდელი ქცევა და მისკენ მიმართული სიტყვები შურისძიებისათვის აქეზებდნენ ცალქალამანიძეს. ხალხი კი ჩურჩულებდა: ონოფრეს ვინ დაეჭიდება,

დევსა ჰგავს და ჯერ არავის წაუქცევიაო. ეს ჩურჩული მწარედ ხვდებოდა იაზონის გულს, ონოფრე კი ამაყად ტრიალებდა უტევანზე და ელოდა, ჰა, ან ახლა გამოვა და ან ახლა მოპირდაპირეო. იაზონმა მოისურვა ონოფრეს სახელის წაშლა თავისი ხელით, მისი დასჯა და შერცხვენა მიწაზე გართხმით.

— მეფისწულის მოჭიდავედ ვაცხადებ ჩემ თავს, ვაჟკაცნო! — კვლავ მოესმა იაზონს ონოფრეს სიტყვები და ბოროტმა ჩაცინებამ გადაურბინა სახეზე და კამეჩისებური თვალები დააბრიალა: — „ალბათ მეფისწული დაარწმუნეს მაგის უძლეველობაში. მე ვაჩვენებ, როგორი უძლეველიც არის ეგ თავხედი, სასანიანთა შინაყმა!“

იაზონმა გონების თვალით კიდეც წარმოიდგინა წაქცეული ონოფრე. აგერ ზურგით გართხმულია მიწაზე ეგ საძაგელი, ცალქალამანიძეს კი გამარჯვების ნიშნად ფეხი დაუბჯენია მის გულ-მკერდზე.

იაზონს გული კმაყოფილებით აუტოკდა: ონოფრეს დამარცხება სასანიანების სახელის გატეხვაა და მეფისწულის შერცხვენა ეს ხომ მირანდუხტსაც გულს ატკენსო.

ონოფრეს შეძახილზე მირანდუხტმა მეფისწულს გადახედა, თითქოს ეუბნებოდა: ნუ იწყენ, მეფისწულო, რომ ონოფრემ თავი შენს მოჭიდავედ გამოაცხადაო. კაი მოჭიდავეა, არ შეგარცხვენსო. ონოფრეს ძალიან ჩავარდნიხარ გულში და ასეთი გამოსელით თავის სიყვარულს ამჟღავნებს შენს მიმართო.

მირანდუხტს სჯეროდა ონოფრეს ვაჟკაცობისა. თავის გამეტება მოსდგამდა ყველაფერში ბაქარის ძიძიშვილს. ბრძოლაში ჩაბმულს თუ სხვა ვინმე ძალიძალად არ გამოაბრუნებდა, უკან დახეულს ვერავინ იხილავდა. ძალა მაქვს, გული მერჩის და უკან რად უნდა დავიხიოო, ამბობდა. ბევრჯერ გამოსულა საჭიდაოდ ჯვარპატიოსანსა და სხვა ხატობაშიაც მირანდუხტის სახელით და მუდამ გამარჯვებული რჩებოდა.

— ონოფრე მომწონს! — გულწრფელად წამოიძახა მეფისწულმა. — უბირია, მაგრამ ვაჟკაცია!

— ვაჟკაცნო! მეფისწულის მოჭიდავე გიწვევთ საჭიდაოდ! — დაიძახა კიდევ ონოფრემ და თავის წინ ამართული პირზარადიანი დაინახა.

— ოჰო! პირზარადიანო! — წარმოთქვა ონოფრემ დაცინვით. — განა კადრულობ ჩემთან ჭიდაობას? შენ ხომ დიდგვარიანი უნდა ბრძანდებოდე?

გუშინ ყვავილების თაიგული გეჭირა ხელში... კიდევ, ბრიყვო, დამიძახე, თავი აგიგდია, მონავო... ასე ხომ მარტო დიდგვარიანები მიმართავენ ხოლმე თავისა თუ სხვის ყმებს...

— დიდგვარიანი როცა წაეკიდება მონას, სჯის! — დაიწყო გაბრაზებულმა იაზონმა ონოფრეს პასუხად, ამასთან ზურგთუკან სარტყელში გარჭობილი მათრახიც ამოიძრო და ისე განაგრძო ნირშეუცვლელად: — მეც ამით ზურგზე ბოლს აგადენ, როცა მიწაზე გაგაკრავ, დიდგვარიანი დასჯის მონას სიბრიყვისათვის.

— ბიჭოს! კარგებსა მპირდება! — წამოიძახა ონოფრემ. — კარგი, აგრე იყოს. აგრე მიყავ. ღირსიც ვიქნები, თუ კი წამაჭცევ, მაგრამ თუ მე წაგაქცევ იცოდე, პირიდან ზარადს აგაგლეჯ და გამხელ, ვინცა ხარ.

ბაქარის ძიძიშვილს, ლაპარაკის კილოზე ეტყობოდა, არაფრად მიაჩნდა პირზარადიანის მუქარა. ბაქარი კი შეაფიქრიანა ონოფრეს მოპირდაპირე უცნობის გამოსვლამ. იცოდა იაზონის ვაჟკაცობა, მაგრამ იცოდა ისიც, რომ, თუ ვაჟკაცობით ვერას გახდებოდა იაზონი, მუხანათობასაც არ დაერიდებოდა. ამიტომ ონოფრეს გაფრთხილება განიზრახა, უნებლიეთ გვერდით მდგომ ბასას გადახედა, თვალი თვალში გაუყარა და გაუცინა, თითქოს უთხრა, აბა შენ იციო. ბასა მამას გვერდზე გაუხტა და ონოფრესაკენ გაითამაშა.

— მამიდაშვილო, მამიდაშვილო! — დაუძახა ახლოს მისულმა ბავშვმა ონოფრეს. — ხედავ, ლომა კამეჩის ოდენა თვალები აქვს პირზარადიანს! წაგაქცევს!

— ჭინკავ! გამეცა აქედან, თორემ მე ვიცი შენი! — დაუტია ონოფრემ ბასას.

— აჰა! მე კი გაგეცლები, მაგრამ მაგას, შენ მოპირდაპირეს რომ ლომა კამეჩის თვალები აქვს, ეს მართალია, ვერ ხედავ? თუ დაბრმავდი? — უთხრა ბასამ ონოფრეს და პირზარადიანს შეხედა. ჭიტაო, შესძახა და ხტუნვა-ხტუნვით ისევ ბაქარისაკენ გასწია. გავაფრთხილეო, მოახსენა.

ონოფრეს კიდევ ლომა კამეჩის თვალების ორჯერ გახსენებამ გონება გაუნათა.

„ბიჭო! დახე ამ ჭინკას! მართლა ლომა კამეჩს მიუგავს თვალები ამ პირზარადიანს! — გაიკვირვა მან. — მაშ ეს იაზონია! იმიტომ მეცნო გუშინ მაგისი ხმა, დღეს ხავილით ლაპარაკობს, მეტისმეტი სიბრაზისაგან იხრჩობა. მაგათ მოდგმას სჭირს ასეთი გაბოროტება. კარგი! მაშ კარგი.

რასაც წაიღებ, პირზარადიანო იაზონ, ონოფრესაგან, მაგასაც ვნახავ“.

მტრულად შეხვედრილთ, საჭიდაოდ გამოსულ ორ მოპირდაპირეს შორის ჩაერია ზედამდეგი — ფერისი.

— თქვენ ორივენი ახლა ხატის კარსა ხართ, — მიმართა მათ მტკიცე კილოთი. — დღეს ხატის დღეა. ხატის კარს გამართულ ასპარეზობაში მტრობა არავის უნდა შეჰქონდეს. თუ შენ წააქცევ, პირზარადიანო, მოპირდაპირეს, ნებას არ მოგცემ წაქცეული გაამათრახო. მოვითხოვ, მათრახი ახლავე რომელიმე შენიანს გადასცე. შენ კიდევ, ონოფრე, გეკრძალება ახადო ზარადი წაქცეულს. ერთიც და მეორეც ან სეირთამაშის წესს მიჰყევით, ან და ერთმანეთთან ჭიდაობაზე უარი თქვით.

მოჭიდავეთ დაინახეს, რომ ერთმანეთის დამუქრება ამაოდ ჩაუელიდათ. იაზონმა იფიქრა, სულაც უარს ვიტყვი, წადილს ვერ ავისრულებ და რას მიქვია სასანიანთა ვიღაც შინაყმის, ვინ იცის იქნებ ნაბიჭვრის მარტო წაქცევაო. მაგრამ სიამაყემ შეაჩერა. უკან დახევა ხომ მის დაშინებასა და დამარცხებას უდრიდა. ხალხი არ დააყოვნებდა და იტყოდა, ვინმე პირზარადიანი დიდგვარიანი ჯვარპატიოსანის კარს ჯერ გამოვიდა საჭიდაოდ, მეფისწულის სახელით მოჭიდავეს უნდა შებმოდა, შემდეგ დაშინდა და ეეღარ გაბედა ჭიდაობაო. ცეცხლივით აინთო, სხეული აუვარვარდა ცალქალამანიძის მოდგმას და ფეხი მიწაზე მიელურსმნა. ონოფრეს კი არ უფიქრია უკანდახევა. თავში ერთი აზრი უტრიალებდა მხოლოდ; დამეჭიდება ცალქალამანიძიანთ ნასხლეტი, ხომ კარგი, დავეჭიდები, არა და მის ნაცვლად სხვა მოჭიდავე გამოინახებაო, რად მივატოვო უტევანიო. ბაქარის ძიძიშვილს ძლიერ უყვარდა ჭიდაობა, — ჭიდაობის გიჟს ეძახდნენ ყველანი.

ჭიდაობის დახანებამ ხალხი ააგუგუნა. მოითხოვდნენ ან დაეწყოთ ჭიდაობა, ანდა სხვებისათვის დაეთმოთ ადგილი.

— ჰა! მეჭიდები თუ არა, პირზარადიანო! —ჰკითხა ონოფრემ მოპირდაპირეს.

იაზონმა რამდენიმე მანძილი დააგდო ონოფრესა და თავის შორის. ამით პასუხი გასცა, გეჭიდებიო. ონოფრე თვითონ არ დაძრულა. თვითონ არ გადასულა იერიშზე, მოპირდაპირის იერიშის დასახვედრად მომართა ხელები და მთელი ტანი. იაზონი კი დასაცემად მოემზადა, ვეფხვივით მოიღუნა წელში და გრიგალისებური კამარით გადმოვიდა ონოფრეზე. ხალხში ბევრს თვალები აუჭრელდა: ონოფრე ძირს განრთხმული მოელანდათ.

— ხედავ, რა ვაჟკაცი წაახდინა! — წამოიძახა ვიღაცამ.

— რას მიედ-მოედები! — გაისმა პირველი წამოძახილის პასუხად. — თვალებზე ბინდი ხომ არ მოგდებია? ვერა ხედავ?..

კლდესავით იდგა ონოფრე, ხელებით იაზონის ჯაჭვის საყელოს და ჯაჭვის სამხრეს დაპატრონებოდა და მოპირდაპირის პირქვე წაქცევას ლამობდა. მაგრამ იაზონს ხელთ ჩაეგდო ონოფრეს ჯაჭვის საყელოც, სამხრეც და ისიც მედგრად იყო. შემდეგ ერთმანეთის მოგვერდით გადმოტანა სწადდათ მოპირდაპირეთ, მაგრამ საწადელს ვერ ისრულებდნენ. ერთიმეორეს ჯაჭვის პერანგი შემოახიეს.

— ეი, ბერა, ძიავ, ბერა ძიავ! შენი ნაკეთები ჯავშანია! არ ყოფილხარ კაი ხელოსანი! — გაისმა ბასას ძახილი. — კვეტარელები არ შეგარჩენენ პირზარადიანის ჯავშნის დაფხრეწას!

ახლ.ა ონოფრეს მიეჭრა ბასა.

— გაგიხუნდა ვაჟკაცობა, მამიდაშვილო! — შეუძახა ბავშვმა ბაქარის ძიძიშვილს და იაზონისაკენ გადაინაცვლა. — ჭიტა! პირზარადიანო! — მიმართა პატარამ იაზონს — მუხლი როგორა გაქვს? გეგონა ადვილია სასანიანთა შინაყმების დამარცხება? რატომ არ გაიხსენე, როგორ გიფრინეს ამ ათი წლის წინათ? მაშინ ხომ აღარ... — ველარ დაამთავრა: მამა წამოვიდა მის დასატუქსავად, მაგრამ ბასა სადღაც გაქრა. ფერისმა ხელი ჩაიქნია და თან შვილის სიტყვებმა ჩააფიქრა.

— მაშ ეს პირზარადიანი იაზონია?! — დაასკვნა გაოცებით ფერისმა. ონავარმა როგორ გაიგო?.. ონავარია, მაგრამ კარგი ონავარი...

ფერისმა მოჭიდავეებს გადახედა. მათი გაშველების დრო იყო. ერთსაც და მეორესაც ძალთა დაძაბვით გამოწვეული სისხლი ნაკადივით სდიოდათ ცხვირთაგან.

ფერისი მიუახლოვდა მოჭიდავეთ. ზედამდეგმა ორიეს მხარზე ხელი დაადო, მაგრამ ამ ხელის დადებამ მოჭიდავეთა გამწარებული შერკინება გამოიწვია მხოლოდ. მოპირდაპირენი მიხვდნენ, რასაც ნიშნავდა ეს ხელის დადება. გაიგონეს კიდეც ფერისის სიტყვა, გაშველდითო.

ჭიდაობის უშედეგობით გაბოროტებულ იაზონს გულში ძალზე ჩასჭროდა ბასას სიტყვები და ცეცხლს უკიდებდა. სირცხვილი სწვავდა. ნათელი გახდა ცალქალამანიძისათვის, რომ ბავშვს მისი ვინაობა გაეგო. იაზონი მიხვდა, რომ ტყუილად არ ამოჰფარებოდა იგი ფხოველის ნაბადს და იქიდან გამოსძახოდა „ჭიტას“.

„აკი გამაგონა კიდეც, – გაივლო გულში ჭიდაობაში ჩაბმულმა ცალქალამანიძემ. – ე! ფხოველო, ჩანგის დაკვრა მასწავლე, აი ეს პირზარადიანი უნდა შევაქო, მისი სახელი ვიცი-ო ბაქართან ტრიალებდა ის ცინგლიანი და, თქმა არ უნდა, ბაქარმა იცის ჩემი ვინაობა.“

იაზონს აბრაზებდა ისიც, რომ ბაქარი ისე ტრიალებდა შორიახლო, თითქოს იაზონის ვინაობა არ იცისო. გულზე ცეცხლი ედებოდა იმის გამოც, რომ ბაქარის შინაყმას ეჭიდებოდა და ვერა სძლევდა. ეს ხომ მის დამარცხებას უდრიდა. ასეთი სულისკვეთებით გამსჭვალული ცალქალამანიძე რას გაუშვებდა ხელს ონოფრეს, სანამ ძირს არ დასცემდა. ხოლო ონოფრემ გაიფიქრა:

„არა, შვილო! ჯერ კვეტარელმა მიშვას ხელი და მერმე მე გავუშვებ. განა არ ვიცი კვეტარის პატრონის მუხანათობა? ხელს ავუშვებ და სწორედ მაშინ დამაყრის ფანდებს. არ მგონია კი, მაშინაც წამაქციოს, მაგრამ მაინც რად შევიქმნა სახიფათო მდგომარეობა, როცა ვიცი, ხელაშვებულსაც არ დამინდობს“.

დიახ, არ დაინდობდა ონოფრეს რისხვისაგან გონებადაბნეული იაზონი. რაკი მოჭიდავენი ვერ დააშორა ერთმანეთს, ფერისმა ბაქარს მიმართა.

მაგრამ ბაქარის ჩარევა აღარ შეიქნა საჭირო. მოულოდნელად რკალი გაიხსნა და ასპარეზზე მირანდუხტი და მეფისწული გამოვიდნენ. მირანდუხტმა ციხოვანთ უკან დაახევინა. ქალი მეფისწულის თანხლებით მოჭიდავეთ მიუახლოვდა. ბაქარს ხელი არ შეუშლია დისათვის.

მირანდუხტმა ბრძანების იერით ხელი დაადო ბაქარის ძიძიშვილს.

– აბა! – დაიძახა მან მკვეთრად, – ჩემო ონოფრევ, თუ მეფისწულის მოჭიდავედ გამოაცხადე შენი თავი, მის სურვილსაც დაემორჩილე! ხელი უშვი მოპირდაპირეს!

მირანდუხტმა მეფისწულს გადახედა: სახეზე კმაყოფილება აჰხატოდა.

„ეჰ! მიბრძანებს უჯარმის დედოფალი! – გაივლო გულში ონოფრემ. – გინდ ხელის აშვებისას მიმუხანათოს იაზონმა, მაინც სურვილს ავუსრულებ უფლისწულს“.

მან წამსვე ხელი უშვა პირზარადიანს. უკანასკნელმა დაინახა ახლოს მდგომარე მირანდუხტი, ერთი ძლიერად ამოიგმინა და ონოფრეს საყელოში ჩავლებული ხელები მოუდუნდა, მის წელს ჩამოშორდა და მოწყვეტილივით ძირს დაეშვა.

„გრძნეულია, გრძნეული!“ — ყრუდ ჩაილაპარაკა იაზონმა და თავდახრილმა უტევანი მიატოვა. ხალხმა ქება შეასხა სასანიანის ასულს.

სად იყო და სად არა, გაჩნდა ბასა. მირანდუხტთან მისვლას ლამობდა. მაგრამ ვერას გახდა. ყველანი გარს ეხვივნენ უჯარმის დედოფალს.

უნებლიეთ ფხოველი გამოადგა მშველელად. მან გაარღვია რკალი და მირანდუხტის წინ დაიჩოქა. ბასა კუდივით შეჰყვა ფხოველს.

— უფლის ასულო! — მიმართა მირანდუხტს ონავარმა და ფხოველზე მიუთითა: — ბოჭორმის წმიდა გიორგის ეშმაკია. მაგრამ ნუ შეგეშინდება, კეთილია. მერე იცი, მგოსანია, არ მეგონა, რომ მგოსანი ეშმაკი იქნებოდა.

მირანდუხტმა გაუღიმა ბასას და თვალი ფხოველზე შეაჩერა. ფხოველის დაჩოქებამ გაახსენა გულადი. ექვსი წლისას ხომ გულადმა სწორედ ასე დაუჩოქა მცხეთაში და დალოცვა სთხოვა.

ფხოველი კაბაზე ემთხვია მირანდუხტს და წამოდგა.

მირანდუხტის გვერდით მდგომ მეფისწულს გაოცება აღებეჭდა სახეზე. მასაც გულადი გაახსენდა, მაგრამ თითქოს აღარ გავდა იმ გულადს.

ნაბდიანი ფხოველის დანახვაზე მირანდუხტთან მოვიდნენ: ბაქარი, ვარაზ-ბაკური, ბერა, ფერისი, გუგანი და ონოფრე, რომელსაც ბერამ ნიშანი მოუგო: ჰე, შეგხვდა თუ არა ბიჭიო!

— შენ რომ იცოდე, ვის ვეჭიდებოდი, ვინ ვერ დავამარცხე და ვინ ვერ დამამარცხა, — გაეხმაურა ონოფრე ზენკალს და თან ცერისა და სალოკი თითის ერთმანეთზე მიდებით შექმნილი რკალი დაანახვა, — ამოდენა გაგიხდებოდა თვალები.

— ვის ეჭიდებოდი, არ მეტყვი? — ჰკითხა ბერამ.

ონოფრემ პასუხი არ გასცა ზენკალს და ყურადღება ფხოველზე შეაჩერა. ბასამ დაინახა, მამაც მირანდუხტთან ბივიდაო, ბაქარის გვერდით მონახა ბინა. თავის უფლისწულს ჯაჭვის პერანგის კალთაზე წაავლო ხელი და, ამგვარად, მამისათვის მიუდგომელი საფარი გაიმართა.

ბაქარმაც გაოცებით დაუწყო ცქერა ფხოველს.

ბასამ კალთა დასწია ბაქარს.

— რა გინდა, ბიჭუნავ? — ჰკითხა ბაქარმა.

— იცი ვინ არის ეგა? — წასჩურჩულა მას ბასამ და თავის მკერდზე მიუთითა: — აქ, შიგნით რომ არის, ის არის.

ბაქარი მიხვდა ბავშვის მუნჯური მითითებით ფხოველის ვინაობას და დაასკვნა:

— წარბები დაუსახიჩრებია განგებ, სახის გამოსაცვლელად. ფხოველმა კი ჩანგი გამოაძვრინა ნაბდიდან და წინ გაიჩერა. ფერისმა ჩანგი რომ დაინახა, წაილაპარაკა:

— ეს ხო ის მგოსანია, „იამა გშობა შობითა“ რომ გამოთქვა. ამისთანა ჩანგი საწყალ გულადსაც ჰქონდა. უეჭველად კვეტარელებმა მოუღეს ბოლო იმ საწყალს... დასწყეველოს ეშმაკი ჩემმა გამჩენმა! ჰგავს კია ეს ფხოველი გულადს, წარბები დადამღული რომ არ ჰქონდეს... მერე რატომ არ შეიძლება წაბებდადამღული გაეხადოს თაყისი თავი? ამით სახე გამოიცვალა ვაჟკაცმა და კვეტარელების მუდმივ დევნას გადარჩა. გულადია, გულადი! — დაასკვნა ფერისმა. — წარბები დაუმახინჯებია, მაგრამ მაინც გულადია...

ფხოველმა მარჯვენა ხელის თითებით ჩამოკრა ძალებს, საოცარი ხმები გამოაბნევინა ჩანგს და ვაჟკაცურად დასძახა:

ჩანგი მაჰმართა ზარდიამ
სიტყვათა მისათვლელადა,
ყური დაუგდეთ სიმღერას
გულისა გასართველადა.

ჩანგო, ვუმღეროთ იასა,
მირანდუხტს სასანიანსა!
რომ ვხედავ ასულს სხივოსანს,
დღეს აღარ ვეძებ მზიანსა.

ქალია, მისებრს ვერ ნახავთ,
სულაც რომ მოვლოთ ხმელეთი,
ცით ჩამოგვსვლია მნათობი,
გაგვინათდება ბნელეთი!

მთას მიეღწია ამბავსა —
ბავშვმა თვისტომნი ახარა.
ზეციერს აძლევს აღთქმასა
იადხმობილი პატარა:

მეც გავზრდი ისეთ ვაჟკაცებს,
სამგორის გმირთა სადარსა,
მტრისათვის რისხვის მომცემს და
ქვეყნის ავსულთა მზარავსა.

ხალხი უსმენდა მგოსანს და სიხარულით შესცქეროდა სასანიანის ასულს. ხანგამოშვებით მეფისწულზედაც აჩერებდა თვალს და გუნებაში გაივლებდა, რა კაი ვაჟკაციაო. ნეტავი ისე მოეწყოს საქმე, რომ ჩვენი ია, ჩვენი უჯარმის დედოფალი, მეფისწულის თანამეცხედრე გახდესო და მართლაც, მხსნელს ვაჟკაცსა გაგვიზრდისო.

ია კი უცქეროდა ბოჭორმის წმიდა გიორგის ეშმაკად მონათლულ ფხოველს და ამ ცქერით თითქოს ეუბნებოდა: თუმცა წარბები დაგიდამღია, მაგრამ მაინც გიცნობ, ვინცა ხარ. მაშინაც კი, ლექსი „იამა გშობა შობითა“ რომ გამოთქვი, უცნობად არ მიმაჩნდი. ვინც იყავი, ვიცოდი. ფერისმა კი ვერ გიცნო, არც მე ვაცნე ფერისს შენი ვინაობაო.

სასანიანთ ოჯახის წევრები, თვით სტუმარი მეფისწული და სხვა დამსწრენიც ახლა აღარ ეჭვობდნენ, რომ გულადს უსმენდნენ, თუმცა მგოსანმა თავისი თავი ზარდიად მონათლა. მაგრამ არავინ ცდილა „გულადის“ წამოძახებას. კარგად ესმოდა ყველას, რომ გულადი ცოცხალი იყო, ეს კი ცალქალამანიძიანთ არ უნდა სცოდნოდათ.

გულადმა მეფისწულზედაც თქვა ლექსი. შეაქო მისი აღნავობა. გამოუთქვა ლექსი ონოფრესაც, მხოლოდ სახუმარო, და ხალხი გაამხიარულა.

7

სამხრობა გათავდა. მლოცველებმა კარვები და ფარდულები მიატოვეს და თავციხის სამხრეთ-აღმოსავლეთის კარიდან გამავალ გზას მიმართეს. ყველა ეშურებოდა: ზოგი — ქვეითად, ზოგი — ზეითად — ცხენით. სასანიანთა წალკოტის გალავნის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ივრის მარჯვენა სანაპიროსთან მდებარე ვაკეზე, ბაქარის ციხოვანნი იკრიბებოდნენ ცხენებზე ამხედრებულნი, თავით ფეხებამდე შეჭურვილნი. რაზმებად უნდა დალაგებულიყვნენ და ისე შერეოდნენ ადიდებულ იორს გასაცურ-გამოსაცურად. ამ სეირობა-თამაშის საცქერლად ისწრაფოდნენ მლოცველები. არჩეულ

ვაკეზე ბევრ მაყურებელს კიდევ მოეყარა თავი. ბავშვებში ჩამდგარი ბასა ჯერ თავის ტოლებთან ონავრობდა, მერმე დიდებს მიუტრიალდა. დიდებში, წინასწარ მოსული ციხოვანნი ამოიღო მიზანში. ისინი კარგად იცნობდნენ ბიჭუნას, ხშირად თავს ირთობდნენ მისი სიტყვამახვილი პასუხებით, მაგრამ ახლა მისთვის არ ეცალათ. სამაგიეროდ ბასას ეცალა მათთვის. აჰა, მიუხდა ერთ ციხოვანს და გამოიჯგიმა.

— რა თვალში მეჩხირები, ჭინკავ? — დაუყვირა ციხოვანმა ბასას. — აქედან გაეცა! რა გინდა, წინ რომ ამეყუდე?

— რა უნდა მინდოდეს? — უპასუხა ბასამ დაწყნარებული, დარბაისლური კილოთი. — მოვედი, უზანგი დაგიკავო, ჰუნეზე შეჯდომა რომ არ გაგიჭირდეს, წელან არ ენახე, რა ხტომა გცოდნია! ახტი გადასახტომად, ნაბადს ფეხი დაჰკარ და გასვარე, დახტი მეორე მხარეს და ახლა მეორე ნაბადი გასვარე.

— ეი! ჭინკავ, ეს ხომ არ გინდა! — ციხოვანმა მათრახი დაანახვა.

— არა, არ მინდა, — უპასუხა ბასამ. — ეგ შენ კანჭებს მოუხდება. რომ ფეხი ნაბადზე არ გრჩებოდეს.

ახლა სხვა ციხოვანზე მიიტანა იერიში და ფეხებში დაუწყო ცქერა.

— რა ფეხებში მიყურებ, ონავარო? — შეეკითხა ციხოვანი ღიმილით. კაი გუნებაზე იყო, ნაბადზე ხტომაში თავი ესახელებინა ვაჟკაცს.

— ტერფებზე გაბერილი ბუშტები ხომ არ გაქვს-მეთქი, უნდა გამეგო. — მიუგო ბასამ. — როგორ ხტები ხუთ ნაბადზე?

ახლა თავისთან დამეგობრებული ერთი ციხოვანი ამოიღო მიზანში. ახლოს დაუდგა. ციხოვანმა ზედაც არ შეხედა. ბავშვმა გარს შემოუარა და მისი ყურადღება მაინც ვერ მიიქცია. შემდეგ წინ გაუჩერდა. ციხოვანმა ცხენს უნაგირის გასწორება დაუწყო. ბასამ თვალებით გაოცება გამოხატა.

„ვერ მხედავს თუ რა არის?“ — გაიელო გულში.

ციხოვანმა კარგა დაამაგრა უნაგირი ცხენზე და ივრის გაღმა მხარეს გახედა.

„მელანდება თუ რა არის?“ — წაიბურტყუნა თავისთვის.

ყურმახვილმა ბასამ გაიგონა მისი სიტყვები და თვითონაც თვალი შეაელო გაღმა მხარეს, მაგრამ უკანვე გადმოინაცვლა. ციხოვანი აინტერესებდა და ციხოვანს მიაჩერა თვალი, ციხოვანს მდუმარება დაუფლებოდა, ქვის იერი მისცემოდა. ბა! ამ ხელი ხელზე დაადო, ციხოვანი შეკრთა.

— რა გინდა, ჭინკავ? — შეეკითხა ბავშვს უკმაყოფილოდ.

— ვეჟან, ჩემო ვეჟან! ჩემზე თუ ხარ გაჯავრებული? — შეეკითხა ბასა.

ამ შეკითხვას მუდარის იერი დასცემოდა. ბავშვი ქველიძეს თავისიანად თვლიდა და ქველიძესაც უყვარდა იგი. ბასას შეკითხვაზე თვალები ლმობიერებით აევსო დ ბიჭს შეაჩერდა, მაგრამ კლავე გაღმა გაჰხედა. ბასამაც წამსვე გაღმა დაიწყო ყურება და უცბად წამოიძახა:

— ვეჟან, იქ წარაფებში ვიღაც შეიარაღებული ტრიალებს. ფადლონის რაზმელს ჰგავს. აი, გუშინწინ ბაქარმა რომ შორეკა, იმათებურია.

— ხედავ, მაგ ძაღლის ნასხლეტებს! — ხმადაბლა წარმოთქვა ვეჟანმა, — ორი-სამი დღეა, კუდით ქვა ვასროლინეთ და მაინც თავისი ვერ მოვაშლევინეთ.

ვეჟანმა ბავშვს თვალებში აკოცა, დაავალა ბაქართან გაქცეულიყო და ყველაფერი ეამბნა.

ბასა ვეჟანის სურვილით მის ცხენს მოახტა და წალკოტისაკენ გაეჭნა.

— ძალიან კი გაათამამა ეს ფერისის ნასხლეტი ვეჟანმა! — წარმოთქვა ერთი ციხოვანმა. — ოვითონაც თავს დაისვა და ჩვენც თავს დაგვასვა.

— მაშა! მაშა — დაუკრა კვერი მეორემ, — შარშან ხომ გახსოვს, ცხენზე უკან შემოისვა და ადიდებულ იორში ჩვენთან ერთად გაიყვანგამოიყვანა. ახლაც იმ ჭინკას ეს იორში გაყვან-გამოყვანა ატრიალებდა ქველიძის ახლოს. ეტყობა, იმედი აქვს, რომ მისი ვეჟანი კიდევ შემოისვამს ცხენზე. — ორი ციხოვანის გამკილავ ლაპარაკს მესამე ციხოვანმა გასცა პასუხი:

— აი დაიხსომეთ ჩემი სიტყვები. ეგ ბასა სამი წლის უკან გვერდში ამოგვიდგება და იქნებ გვჯობნიდეს კიდეც საქმეში. მეომრების მოდგმაა, მეომრებისა. აგე დაჩი, მაგისი ძმა, თხუთმეტი წლისაა და რომელს ჩამოგვიარდება?

— დაიწყო ახლა ამან! — შეუტია პირველმა ციხოვანმა.

ამ მითქმა-მოთქმას ვეჟანმა ყურიც არ ათხოვა და თავის გამგებლობაში მყოლი ბაქარის ციხოვანთა ერთი გუნდი მოამწყობრისა.

როგორც კი ვეჟანის შემონათვალი გაიგო ბაქარმა, წამსვე დაიძრა ადგილიდან. სასანიანს უკან მოყვნენ გიორგი მეფისწული თანმხლებლებით, ონოფრე, გუგანი და ბერა. ფერისი ნინოწმიდელმა თავისთან დაი-

ტოვა, აქ დამჭირდებიო. ვაჩესაც ფეხი არ მოაცვლევინა. მეომარი სულის მქონე რევყოფილმა თითქოს იქითური სამყარო მიიეწყა. შეუმჩნეველად და უაურზაუროდ თავი მოუყარა თავის ხნის შინაყმებს და ვარაზ-ბაკურს სთხოვა, ბოლნისიდან მოყოლილი პატარა რაზმით სასანიანთა პალატს არ გასცილებოდა. კაციც გაგზავნა მლოცველთა ბანაკში. გაგზავნილს უნდა გამოერკვია, თუ ვინ იყო მლოცველთა შორის მოულოდნელ შემთხვევაში ბრძოლისათვის გამოსადეგი.

— თუ ფადლონის რაზმი გაჩნდა აქ, — თქვა რევყოფილმა, — უნდა ვიფიქროთ, რომ კვეტარელების ხელიც ურევია მათ აქ მოსვლაში.

— არის ნიშნები, რომ უნდა ერიოს. — წარმოთქვა ვაჩემ. — თვით პირზარადიანისა და ყველა მისი ძმის დღეობაში მოსვლა ამის დამადასტურებულია. ბაქარმა ფადლონის ერთი რაზმი მიფანტ-მოფანტა და ალბათ ეს მეორეა. სადმე სხვაგან დაძრწოდა და ახლა აქ გაჩნდა. იციან ალბათ დღეობაა, სურთ მლოცველ მშვიდობიან ხალხს ანაზღეულად თავს დაესხან.

— არა, მაგას ვერ გაბედავდნენ ახლა, სხვისი იმედიც რომ არ ჰქონდეთ. — უპასუხა დარწმუნებით რევყოფილმა ვაჩეს და დაატანა: — ვნახოთ, რას წაიღებენ!

— ლომი გრძნობს, შვილებს რაღაც ემუქრება და ყრუდ ქუხს, — გაურბინა თავში აზრმა ვაჩეს. — კამარის შესაკრავად ემზადება. კამარას შეჰკრავს და ვაი მის მტერს!..

— სასანიანთა ოჯახია თვალში ამოღებული, თქმა არ უნდა, — თქვა გულში გადაჭრით ნინოწმიდელმა. — თუ მტერი მართლაც ძლიერია სიმრავლით, შეიძლება შვილები დამელუპონ და მეც უიმათოდ ვეღარ ვიცოცხლებ, მაგრამ სასანიანთ ნატამალი მაინც უნდა დარჩეს: პატარა რევიმ უნდა იცოცხლოს...

და მღვდელმთავარმა გაუმხილა ვარაზ-ბაკურს თავისი განზრახვა. კარგი ხანია შენიშნა, რომ ამ ახალგაზრდას ოცდარვა წლის ვაჟკაცს, მოხერხებულობა მოსდგამდა, დიდი გამოცდილება შესძენოდა. ზვიადის ძეს შეეძლო მტრის არევ-დარევაც და მტრის ხელისაგან დასხლტომაც თავისი რაზმით. ნინოწმიდელმა სთხოვა, თუ მარცხით გათავდება დღევანდელი საქმე, გაეყვანა რაზმი თავცისხის დასაველეთ გზაზე, მოვლით ეარნა, თან გაეყოლებინა მეფისწული და მისი მხლებლები, ველთამზეც პატარა რევიანად. ჯერ ჩაებარებინა ბაგრატ მეფისათვის საქართველოს

ტახტის მემკვიდრე და მერმე დაებინავებინა ბოლნისში და და დისშვილი.

ბაქარი მოქმედებდა დამოუკიდებლად, როცა ნინოწმიდელი პალატში არ ბრძანდებოდა ან თუ სადმე თან არ ახლდა. ისე კი ახალგაზრდა სასანიანი მუდამ მამას უთმობდა გზას. თვითონ შამაც არ ცდილობდა ციხის დაცვის საქმეში ჩარევას. მაგრამ პალატისა და წალკოტის დაცვაში თვითონ პირველობდა. თქმა არ უნდა, ნინოწმიდელს გული იქითკენაც მიებრძოდა, საცა ახლა ბაქარი ტრიალებდა. თუ გაჭირდებოდა, კიდევაც მიეშველებოდა, როგორც ათი წლის წინათ, ივრის გაღმა, ვერენისაკენ მიმავალ გზაზე.

აგე ბაქარი კიდეც დგას ვეჟანთან და ელაპარაკება მას. ბასას ბაქარის ცხენი უჭირავს და თავმომწონედ გამოიყურება. წელანდელ თავის კბილის გამკრავს ციხოვანს მუნჯურად ნიშნს უგებს, ხომ ხედავ, ბაქარის საჭურველმტვირთველი ვარო.

ბაქარი ვეჟანის გამოკითხვაშია. რაზმი გაწყობილია კიდეც ასეულებად წყალში შესასვლელად, მაგრამ, ყველას რომ არ მოუხდება იორში გასვლა, სეირ-თამაშობას რომ სახე შეეცვლება და ბრძოლად იქცევა, ეს ჯერ ყველამ როღი იცის!

ბაქარის გვერდით მეფისწული დგას.

— ვეჟან, თუ მართლა რომელიმე რაზმია ფადლონისა, და ამ მხარეს ტყის სანაპიროზე შეჭურვილს მზირს მოჰკრა თვალი, ის რაზმი აუცილებლად ტყის სანაპიროს გასწვრივა ტევრში იქნება მიმალული. — უთხრა ქველიძეს ბაქარმა. — მტერმა, ეტყობა, იცის ამ ადგილას რომ უნდა გასცურონ ციხოვანთ, მთხრობელი ეყოლებათ კვეტარელთა ბუნაგიდან. პირზარადიანი აღარსად შემიმჩნევია და არც მისი ძმები მოჩანან სადმე. თქმა იმისი, რომ ვითომ მრავალრიცხოვანი მტერი შემოჰსეოდეს ჩვენს ქვეყანას, არ იქნება მართალი, ეს კიდეც დამტკიცდა აგერ, იქ — ბაქარმა დაანახვა გზის გადაღმა ამართულ მაღალ ხეთა კოროში და ბასას ჩუმად მიმართა: — აბა, ვერხვის ჭინკავ, რა დაინახე ყველაზე მაღალი ხის კენწეროდან?

— რა და, — დაიწყო უფლისწულის პასუხად ბასამ, — ივრის სანაპიროთა ტყეებს გადაღმა დაბლობ ადგილებში კაცის ჭაჭანებაც არ არის. აი ამ ტყის ტევრში კი, — უჩვენა ივრის გაღმა მხრის სანაპიროთა ტყეზე, — თითქოს შავად რაღაც ფუთფუთებსო, აი ისე, ხარაბუზებმა რომ იციან ნეხვზე.

ირგვლივ ყველამ გაიცინა.

— მაშ არა და ფადლონის მეკობრეებზე კარგ რამეს ვიტყვი, — დაუმატა თავის სიტყვებს ბასამ სიცილის პასუხად.

— მრავალრიცხოვანი მტერი რომ ყოფილიყო, — განაგრძო ბასას დამოწმებით დაკმაყოფილებულმა ბაქარმა, — ჯერ ამ ტყის გადალმა მდებარე დაბნებს დაარბევდა და მერმე ჩვენზედაც დაურიდებლად წამოვიდოდა. წინასწარ მზირებით კი არ გვითვალთვალებდა, დაუყონებლივ თავს დაგვესხმოდა. უეჭველია, ჩვენ ციხოვანთა რაზმზე დიდია ორჯერ მაინც, მაგრამ მაინც მცირეა და, ჩანს, ჩვენ შესვლას ელიან იორში. ჩვენც შევალთ, — ბაქარმა გაიღიმა. — იმედი არ უნდა გავუცრუოთ, და შევალთ ციხოვანთა მხოლოდ ერთი ასეულით. ვეჟან და ბერავ, ეს ორი ასეული ახლავ დაუბრუნეთ ციხეს, მონახეთ ციხის ჩრდილოეთ-დასავლეთის კარი...

ბაქარი შეჩერდა და ვეჟანი და ბერა ორი ასეულით წალკოტის გზას უკან გაუდგნენ. ორივენი მშვენივრად მიუხვდნენ ბაქარს.

ციხის ჩრდილოეთ-დასავლეთის კარის მონახვა ნიშნავდა· ციხის ვალავანში სამხრეთ-აღმოსავლეთის კარით შესვლას, დაბლობზე გავლას და ციხის ჩრდილო-დასავლეთით მოქცევას, აქედან ჩასამხრეთებას, ფარულად მოვლით ისევ ივრის ნაპირებთან დაბრუნებას, მხოლოდ არჩეული ნაპირებიდან კარგა დაშორებით იორში გასვლას მტრისათვის მოულოდნელად და ზურგიდან თავდასხმას.

მაყურებელი განცვიფრდა. განცვიფრებამ შეიპყრო ციხისკენ უკან დაბუნებული ორი ასეულიც და იორში გასასვლელად დარჩენილი ერთი ასეულიც.

ბაქარი ტახტის მემკვიდრეს მიუტრიალდა და უთხრა:

— მეფისწულო, შენ შენი მხლებლებიანად თვალყური ადევნე, თუ როგორ ჩაატარებს ბავრატიანთა ყმა სადღეობო სეირ-თამაშობას!

მეფისწულს პასუხი უნდა გაეცა ბაქარისათვის, პასუხი უარის მთქმელი, მაგრამ შესდგა: მირანდუხტი მოვიდა, რამდენიმე შეიარაღებული თანმხლებელი ჰყავდა სასანიანის ასულს. თან ფერისის დაჩიც მოჰყვა. ყველანი ცხენებზე ისხდნენ.

— აქ რა გინდა, მირანდუხტ? — შეეკითხა შუბლის ოდნავ შეჭმუხვნით ბაქარი.

მირანდუხტი კი ძმის პასუხის ნაცვლად ცხენიდან ჩამობრძანდა და საქართველოს ტახტის მემკვიდრის წინ აემართა.

— მეფისწულო, ნინოწმიდელი მღვდელმთავარი და პაპა ვარე გთხოვენ წალკოტს დაუბრუნდეთ, — აუწყა მოწიწებით ბაგრატიანს იადხმობილმა.

ქალის კილოში არ გამოსჭვიოდა მისი აზრი, გულის ნაზრახი, მეფისწული დაჰბრუნებოდა წალკოტს, თუ დარჩენილიყო ბაქართან. სახე მისი დანაბარების გადმოცემისას ისევე და ისევე აპოცანური იერის რიდეს არ იცილებდა.

მეფისწული კი ქალის გადმონაცემზე ჯერ შეფერიანდა, მერმე გაფითრდა, ხმა კი არ ამოუღია.

— შენც უკან დაბრუნდი, დაო საყვარელო! — სთხოვა ბაქარმა მირანდუხტს. — რად გამოგიშვა მამამ? — ჰკითხა დაღვრემით ძმამ.

ეს ნიშნავდა: ოჯახში არავინ უნდა დარჩეს, ოჯახს პატრონი არ უნდაო? მეფისწულია, ტახტის მემკვიდრე ჩვენი სტუმარი და რაც უნდა მოხდეს აქ, იქ, შინ, მაინც მასპინძელი უნდა ტრიალებდესო.

— პალატში ველთაა, — გაისმა მირანდუხტის მტკიცე, ნაკვეთი ხმა, თითქოს ბაქარის გაფიქრებულის პასუხად, — ველთაა იქ პატრონი. მამა წალკოტში უფლობს და მე შენთან წამოველდი. მამა არ გადამეღობა წინ. ველთას კი უბრძანა შინ ყოფნა.

— ველთა მარტოა?! — წამოიძახა ბაქარმა.

— რად იქნება მარტო? — უთხრა მირანდუხტმა. — წალკოტში მამაა, შინაყმები, ვარაზ-ბაკური თავისი რაზმიანად, პაპა, გუგანი. მე შენთან ვიქნები.

— რად გამოგიშვა მამამ, რად? — გაიმეორა ბაქარმა.

„მამა გრძნობს რამეს? — გაიელო გულში ჭაბუკმა, — იმას ხომ ხშირად წინასწარ გრძნობები ამოქმედებს... — მაგრამ მირანდუხტი რად გამოუშვა?“

კითხვა უპასუხოდ რჩებოდა ბაქარისათვის. მხოლოდ ნინოწმიდელს შეეძლო ამაზე პასუხის გაცემა, მაგრამ ის იშვიათად თუ აუქცევდა გზას თავის გულჩათხრობილობას, თორემ ისე ამ თვისებას არ ღალატობდა.

— უკან დაბრუნდი, ჩემო დაო! — გაუმეორა ბაქარმა გაასკეცებული მუდარით.

— გაჭირვებას მოელი, ბაქარ, და დას ითხოვ აქედან? — წამოიძახა გულისტკენით მირანდუხტმა. — მამამ კი გამომიშვა, მითხრა: და ძმისთ-

ვისაო და შავი დღისთვისაო. პაპამ გამწაფა მკურნალობაში, საყვარელო ძმაო, და შენს რაზმელებს მტლედ დაველები.

— მტერი არ იქნება მრავალი, დაო! — უპასუხა ბაქარმა ყრუდ. — ან შენ ან მამა რამ შეგაძრწუნათ?

— არც მამასა და არც მე, შენ კარგად იცი, შიში და ძრწოლა არ მოგვდგამს, — შეუტრიალა სიტყვა მირანდუხტმა. — მე ვრჩები შენთან და ხელს ნუ შემიშლი!

ბაქარმა მეფისწულს გადახედა. ამ გადახედვით იგი ეკითხებოდა ბაგრატიანს, იქნებ ინებო, წალკოტში დაბრუნდეო, მღვდელმთავრის თხოვნა აასრულოო.

— სასანიანო! — მიმართა ბაქარს მეფისწულმა, — მეუფე ნინოწმიდელს მადლობის მეტი რა ეთქმის ჩემგან მზრუნველობისათვის, ბაგრატიანთა ოჯახზე მზრუნველობა ერთხელ კიდევ გამოიჩინა მისმა ნატამალმა. შორეულ წარსულზე არ მომიხდება მითითება ამის დასამოწმებლად. რა დამავიწყებს შენს თავგადადებულ ბრძოლას ალფარსლანის წინააღმდეგ მამიჩემის ოჯახის დასაცავად! შენ და შენმა შინაყმებმა შენი პატარა რაზმიანად შეაჩერეთ მოზღვავებული მტერი და ბაგრატ მეფე გადაარჩინეთ ტყვეობას. არასდროს დავიწყებ ამ ამბავს. ახლა სულ სხვაა. მტერი, ვფიქრობ, მეტია შენ ციხოვანთა რიცხვზე, მაგრამ ეს როდია აურიცხველი ბრბო ალფარსლანისა. არაა, თორემ მოწინააღმდეგე არც მოიცდიდა, წამსვე ნიაღვარივით მოგვაწვებოდა. ვიცი, შენც ასე ფიქრობ, აკი თქვი კიდეც. ახლა სხვანაირად ბაქარს ფიქრი არ შეუძლია. აქ მტერი ხელსაყრელ დროს ელის. შეიჭრებით მდინარეში და ალბათ ისიც წყლის ნაპირებს მოეჭრება. ასეთი წყლები სახიფათოა გაღმა გამსულელთათვის, წყლის ნაპირიდან ისრებს ისრებზე მოგაყრიან და გააძნელებენ გასვლას. აქ ერთი კაციც კი გამძლეობის ძალას შემატებს მებრძოლთ. ბრძოლაში გამძლეობა კი თავდებია გამარჯვებისა. სასანიანმა ეს კარგა იცის. მე ქართველ-აფხაზთა ტახტის მემკვიდრე, ჩემი რაზმიანად ოცდათერთმეტი კაცის ძალას შეგმატებ. ფეხდაფეხ მოგყვები. ვფიქრობ, ეს ჩვენი ქვეყნის დავიწყებად არ ჩამეთვლება. მე ვარ ქართველ-აფხაზთა ტახტის მემკვიდრე მხოლოდ და ვახტანგ გორგასალი კი მეფეთ ესვათ იბერთა და კოლხთა თხუთმეტი წლისა და მტრის ბუმბერაზთ თვითონ ებრძოლა ქვეყნისათვის. მეკობრეთა სინსილის გაქრობაში ხელის შეწყობა, ღელვათა გვეშისაგან მოქანცული ერის გამაგრებაა.

ბაქარი ტახტის მემკვიდრეს ხელზე ეამბორა.

მირანდუხტს უფლისწულის ღაღადისისას დუმილი დაუფლებოდა. მაგრამ კაცი თუ ჩახედავდა მის თვალებს თვალთა ბაიებში კმაყოფილი გულის ამბავს ამოიკითხავდა. მეფისწულს მირანდუხტმა მხოლოდ მისი ლაპარაკის გათავებისას გადახედა და ისიც ერთხელ. ამ გადახედვამ მეფისწული მიახვედრა, რომ წალკოტში უკან დაბრუნებაზე მისგან უარის თქმას ქალი არა ჰკიცხავდა. გულს ნათელი ჩაუსვენა ამ ამბავმა. სურდა მადლობა ეთქვა ქალისათვის და ამის გამბედაობა სადღაც გულის ღრმა კუნჭულში მიემალა. აღარც სხვას ვინმეს უთქვამს რამე. ისმოდა მხოლოდ ხალხის ხმაური, ივრის შხუილით გაძლიერებული. ციხოვანთა ცხენები აქ-იქ ტორსა სცემდნენ. ბაქარი დროს ელოდა. მზეს სამხრეთი მოევლო და დასავლეთისაკენ გადაენაცვლა. ბაქარმა თვალი შეავლო, თითქოს მის სხივებში ამოიკითხა რამეო, უფროს ციხოვანისაკენ გადინაცვლა. ბრძანება მისცა და მალე სიტყვებმა: სეირ-თამაშობა იწყებაო, მაყურებელთა რიგებში დაუარა.

მირანდუხტმა მდინარის ნაპირის ახლოს შეაჯგუფა თავისი მხლებლები.

წალკოტის აღმოსავლეთ მხრიდან ცხენის თქარა-თქური გაისმა. სწრაფად, მაგრამ თითქოს დამშვიდებით მოეშურებოდა ბაქარისაკენ შეჭურვილი ვინმე მხედარი. მირანდუხტს მიუახლოვდა და ცხენიდან გადმოხტა.

„გულადი“ – წამოიძახა თავისთვის სასანიანის ასულმა და თვალთაგან სიხარულის სხივები გადმოაბნია. ერთგული, გამოცდილი მხედარი ემატებოდა მის ძმას.

გულადმა სალამი მისცა მირანდუხტს, ჩაფხუტი მოიხადა ოფლიანი შუბლის მოსაწმენდად და დატეხილი წარბები გამოიჩინა.

ბასამ დაინახა დადაღული წარბები და წამოიძახა:

– ეჰე! ბოჭორმის წმიდა გიორგის ეშმაკი და საჭურველასხმული! მუზარადი, ჯავშანი ყველაფერი აქვს! ამოდენა მახვილი რას აგიკვიატებია? ბოჭორმის წმიდა გიორგის ხომ არ მოჰპარე? ეშმაკი და შეაბჯრული!

გარს მდგომნი გამხიარულდნენ. გულადმა გაიღიმა.

– თუ ჭინკას შეუძლია საჭურვლის მტვირთველობა, ეშმაკსაც უფლება აქვს მხედარი იყოს, – დასძინა ფხოველმა თავის ღიმილს.

– ეჰ, შენცა ერთი! – უპასუხა ბასამ, – წყლის ნაპირამდე მარგუნა

საჭურველთმტვირთველობა ჩემმა უფლისწულმა და აი მარტო ცხენი მიკავია მისი. მერმე პანღურს ამომკრავს. მე შენ გითხრა, უკან შემომისვამს და ან ცხენი მყავს საკუთარი, უკან რომ გავყვე. შენც ჩემი ბედი გელის. ისევ ნაბადი წამოისხი და ჩანგი დაიჭი ხელში...

ბაქარი ცხენს ზურგზე მოექცა. ბასა დაღონებული მოსცილდა უფლისწულს. ძალიან უნდოდა იორში გასვლა რაზმთან ერთად. თუმცა იცოდა, რომ ტყეში მტერი იმალებოდა.

გულადი ბაქარს მიუახლოვდა.

— უფლისწულო, ზარდიას სათქმელი აქვს, — გამოელაპარაკა გულადი ბაქარს.

— თქვას ზარდიამ და მოვისმენ. — გაისმა ბაქარის ყრუ პასუხი. ზარდიამ ბაქარისებურად ყრუდ დაიწყო:

— კვეტარელთა ხელი ურევია ამ ამბავში. შურისძიებაა სასანიანებზე სასიძოს დაწუნებისათვის. პირდაპირი მოსვლით ვერას ჰბედავენ, ვერას აწყობენ და მუხანათობას მიჰმართავენ. ნება მიეცი ზარდიას თან გეახლოს. ღონიერია ზარდია: ერთი მახვილის დაკვრით თავს გააგდებინებს ხოლმე კურატს. მშვილდოსანია კარგი...

ბაქარმა ახედ-დახედა ფხოველს და მერმე მირანდუხტისაკენ გაიხედა, დააპირა თქმა: მირანდუხტს ამალა გაუმრავლეო. იცოდა, მგოსანი იასთეის თავს დასდებდა, მაგრამ მირანდუხტმა არ აცალა.

ბაქარი ჩამოხტა ცხენიდან და დას მიუახლოვდა.

— რასა გრძნობ, მირანდუხტ, რას? — ჰკითხა ვაჟკაცმა ჩუმი ხმით.

— არაფერს, გენაცვალე, არაფერს! — უპასუხა ძმას მირანდუხტმა, თუმცა ბევრს რამეს გრძნობდა. — ვიცი, სიფრთხილეს თავი არა სტკივა და მხოლოდ ამიტომ გევედრები: შენთან ახლოს გყავდეს გულადი...

ქალი კისერზე მოეხვია ძმას.

„ვაი თუ უკანასკნელია ეს ჩემი ალერსი, ჩემო ძმაო! — ამბობდა გულში, — და ვერც ტახტის მემკვიდრე მთლიანი საქართველოსი, ვერც მის თანამეცხედრედ ყოფნა, ვერც დედოფალთ-დედოფლობა გაერთიანებული საქართველოსი ვერ გამიწევენ შენს ნაცვლობას...“

ძმამ თვალებში მომდგარი ცრემლი შეამჩნია დას, სწრაფად მოშორდა, სწრაფათვე მოახტა ცხენსა და რაზმს მიუტრიალდა:

— აბა! — წამოიძახა ბაქარმა მკვეთრად. — შეიბურეთ პირი ზარადით, ფარები მოიმარჯვეთ და მშვილდები დაიმზადეთ.

ციხოვანთ უჩუმრად შეასრულეს ეს ციხისთავის მოთხოვნა, მხოლოდ სახეზე შეკითხვის გაშმეტყველება აღებეჭდათ: ყველაფერი ეს რას ნიშნავსო.

— რატომ აგრე მომაჰყარით თვალნი? — მიმართა მათ ბაქარმა. — გეუბნებით არეული დროა. გარეწარნი და მათი გამყოლნი, ჩვენი მოდგმისაგან წამსა და წამს არ გვასვენებენ. შფოთი იქნება ჩვენს ქვეყანაში, თუ სიწყნარე, მუდამ მზად უნდა ვიყვნეთ. მშვიდობა ჩვენში ხომ ხანმოკლეა. მოყვარეცა და მეტრიც საბრძოლველად დამზადებულს უნდა გვხედავდეს...

ციხოვანნი მიხვდნენ, რომ ციხისთავი გაღმა მხარეს საფრთხეს ელოდა. მიხვდნენ, რადაც გაისტუმრა ციხისთავმა ორი ასეული ციხისაკენ. მიხვდნენ ყველაფერს და წარბშეუხრელად შეიჭრნენ იორში. შეიჭრა ბაქარიც, შეიჭრა მეფისწული თავის ამალიანად. გულადი გვერდს ამოუდგა ბაქარს.

გაჯავრდა მდინარე: შხუილის მატებით ცდილობს გამოაყრუოს მის სამფლობელოში შემოჭრილნი. ლამობს თვალნი აუჭრელოს თავხედთა მალი, უსვენებელი დენით. ვერა, ვერ ინელებს გაზაფხულით წათამამებული მდინარე ადამიანის თესლთ თავის სამფლობელოში. ფართოა მისი სამფლობელოს კალთები. ლაღად გაუშლია იორს თავისი წყლები, მაისის ნაკადებით გამრავლებული. დაუფარავს ადრე დაუფარავი ადგილებიც. ნაპირებიდან ნაპირებამდე ხარვეზებს ვერ ხედავს კაცის თვალი. ნაპირებიდან ნაპირებამდე მთლიანი აზვირთებული მდინარეა.

რაზმი კი ყურს არ იბერტყავს. ნაპირს დაცილებულ წყალს შუაზე ჰკვეთს და წინ მიიწევს. ზევიდან მოქცეულ წყალს ქვევით მოქცეულს აშორებს. ქვევით მოქცეული წყლები მიექანებიან ქვევითკენ დაუბრკოლებლივ. ზევით მოქცეულები — ბორცვებად ლამობენ აზიდვას მაღლა და რაზმის თავზე გადავლებას. მაგრამ ვერ ახერხებენ და რაზმს გვერდიდან აწვებიან, მაგრამ ამაოდ — ვერ დრეკავენ.

აგერ ციხოვანთა დიდ რაზმს გვერდს მეფისწულის მხლებლების მცირე რაზმი ამოსდგომია, ზევიდან მოქცევია. პირველს უხდება შეტაკება წყალთა დენასთან. არასდროს უვარჯიშნია, როგორც ცხენოსნებს დარაზმულებს ადიდებულ წყლებთან, მაგრამ მათი ცხენები ციხოვანთა ცხენებს ჰბაძავენ ალღოთი და მტკიცედ გააქვთ თავისი ლელო. ტახტის მემკვიდრე წინ მიუძღვის, ბაქარს გვერდში ამოსდგომია. ბაქარსვე მისდევს იას მგოსანი. აინუშიაც არ აგდებს იორს. არაგვში ნაცადი ფხოველია.

რა არის იორი არაგვთან? ვინ იცის, რამდენჯერ შებრძოლებია ამ მდინარეს გულადი თავის ცხენით. მუდამ გამარჯვებული გამოსულა — საჭურველაუსხმელიც და შეუკავშნულიც.

მლოცველები თვალს ვერ აშორებენ სანახაობას. თვალწარმტაცია წყალთან ბრძოლა.

რაზმმა მდინარის ნაპირს მიაღწია.

გულადმა ტყის ნაპირზე, მაღალი ხის მრავალ ტოტს შორის, მთავარი ღეროს გაგრძელებაზე ვიღაც კაცი შეამჩნია: ძირს ჩასვლას ისწრაფოდა.

— უფრო მალე ჩაგაბრძანებ! — წამოიძახა ფხოველმა მუქარით და მსწრაფლ მშვილდი მოიმარჯვა.. ისარი გასტყორცნა.

— ეს ერთი, უფლისწულო! — ჩაულაპარაკა ბაქარს ფხოველმა. — შენი გამარჯვების საწინდარია.

რაზმი წამს დარწმუნდა, გაღმა მტერს წააწყდებოდა და მშვილდ-მომარჯვებული ღრმა წყლებში შერევას აპირებდა. ბაქარმა შეაჩერა.

— რად შეაჩერე, ბაქარ? — გამოელაპარაკა მეფისწული სასანიანს. — არა სჯობია, სწრაფად გავიდეთ და მტკიცე ნიადაგზე ავუტეხოთ ხელჩართული ბრძოლა?

— არა, აქ დავახანოთ! დეე მტერი გამოიფანტოს სანაპიროზე. ჩვენ მის რაოდენობას დავინახავთ, თვითონ ის კიდევ შეშინებულად მიგვიჩნევს და თამამად მოგვაყრის ისრებს. ისრები კიდევ ასეთ მანძილზე ნაკლებ ზიანს მოგვაყენებენ. გულადისთანა ისრის ტყორცნა ყველამ არ იცის, ჩემ რაზმშიაც კი. მერმე ხომ ხედავ, მეფისწულო, აქ თავთხელია. თავთხელ წყლებში უფრო დაუბრკოლებლად და გაუჭირვებლად ვიმოქმედებთ: თავთხელის იქით, ნაპირის დასწვრივ იორს დარუებული წყლები მოაქვს, ღრმაა და ცურვა-ცურვით მოგვიხდება ნაპირს გასვლა: ბრძოლის უნარი შეგვისუსტდება. გაგვიძნელდება ისრების ტყორცნა. ჩვენ დავიძვრებით აქედან მაშინ, როცა მტერს ზურგს უკან მოადგებიან ბერა და ვეჟანი.

ცოტა ხანს უკან მტერი მართლა გამოიფანტა ტყის ნაპირას და მდინარეს მოაწყდა. ორჯერ მაინც სჭარბობდა უჯარმის ციხოვანთა საერთო რიცხვს. წყალში მდგომთ კი, ალბათ ექვსჯერ.

წყალში მდგომი მცირე რაზმი დაბრუნებას არ ლამობდა; თუ რისი იმედით, ამაზე მტერს არ უფიქრია. გულადის ნატყორცნმა ისარმა აფიქრებინა, უჯარმის ციხოვანთა ასეული ისართა სატყორცნ მანძილზე დგასო და საბრძოლველად ნაბიჯი გადაადგმევინა.

ისრები ისრებზე წამოვიდა ბაქარის რაზმისაკენ. ძლიერი ქარისაგან აბორიალებულ, მოცელილ ყანის ღეროიან თავთავებს ემსგავსებოდნენ ისინი. ბევრი აღწევდა ბაქარის რაზმამდე და ისე ხვდებოდა ციხოვნებს, როგორც კედელზე შეყრილი ცერცვი. ბევრი მოულოდნელი წყალში ცვიოდა. მანძილი შორი აღმოჩნდა ისრის სატყორცნად.

ახლა ბაქარის ციხოვანთაც მოიმარჯვეს მშვილდები. კარგად ჰყავდა ბაქარს გაწაფული ისინი მშვილდოსნობაში. ბევრი იყო გულადის სწორი. ბაქარსაც მშვილდოსნის სახელი ჰქონდა გავარდნილი და მასთან გვერდს ედგა მეფისწული, რჩეული ცხენოსან-მშვილდოსნად ცნობილი კიდეც მამის სჰთაგან. მშვილდები მოიმარჯვეს ტახტის მემკვიდრის თანამხლებლებმაც. ისრებმა გაიზუზუნეს... აგე ბაქარის ნატყორცნმა ისარმა მტრის ვინმე ბუმბერაზს მკერდზე ხელი წააზიდვინა. მეფისწულმა თავისი ნატყორცნით, კისერი მ::ტეხილ ხესავით მოახრევინა მტრის ერთ-ერთ წინამძღოლს. გაიმართა ისართა გაპაექრება. ბაქარი ხან თუ ისროდა, ხან ბრძანებას სცემდა ციხოვანთა მიმართ. მათ მოქმედებას სწორ გეზს აძლევდა, ასეულს ამკვრივებდა, დაჭრილებს უკან აყენებდა. მეფისწულის მხლებლებიც რკალს ჰკრავდნენ თავდავიწყებით მებრძოლ ტახტის მემკვიდრის გარშემო ცოცხალი საფარის შესაქმნელად და ვერას ხდებოდნენ. მეფისწული არ ნებდებოდა, გაშმაგებული, ისარს ისარზე სტყორცნიდა მტრის ბრბოსაკენ და წუთისოფელს ასალმებდა მის რიგებში მყოფთ. მტრის საუკეთესო მშვილდოსანნი ხშირად იღებდნენ მიზანში მეფისწულს, მაგრამ ამაოდ. ჯაჭვის პერანგი იფარავდა. ვერა დააკლეს რა. შელოცვილად სცნეს ალბათ ჭაბუკი და ახლა ბაქარი ამოითვალთვალეს. ბაქარს ღიმმა გადაურბინა სახეზე. მტრის ისარი მასაც ვერას აკლებდა: მხედარს იფარავდა პაპის ნაძღვნევი და ბერას ნაჭედი ხოსროვანი ჯაჭვის პერანგი, ოქროს იებით მოკაზმულნი სამკლავენი და საბარკულნი, მგელლომიანი მუზარადი, მკერდზე აკრული პოლოტიკი და ხელზე აცმული ფარი. თან გულადი მხარში ედგა და იცავდა მას. ონოფრეც იქვე იყო. მისთვის მუდამ თავდადებული.

ბრძოლა გრძელდებოდა, ბაქარი არ აპირებდა არც გაღმა გასვლას, არც უკან დაბრუნებას, უჯარმისაკენ, მდინარის ნაპირას მდგარი მლოცველები — კაცი და ქალი ჯვარპატიოსანს ავედრებდნენ ბაქარის რაზმს, თვით ბაქარსა და მეფისწულს მხლებლებითურთ. მამაკაცნი სწრაფად იკაზმებოდნენ და ბაქარის დასახმარებლად ძიისწრაფოდნენ.

მირანდუხტიც ევედრებოდა ჯვარპატიოსანს. მუხლმოყრილს

ზეცისკენ აღეპრო ხელები.

— ოოჰ, დაიხსენი გაჭირვებისაგან ხალხი ცისმარე დღე ბრძოლაში მყოფი, ხალხი გვემული ატეხილი ღელვისაგან. აკმარე ტანჯვა ჩვენ ქვეყანას, მამა-პაპათა სალოცავო და ზეციერო...

მირანდუხტის ამალა ტოკავს. გული ჟღერა ბაქარისაკენ. დაჩი აკავებს. — მერმე? რა პასუხს აძლევთ ნინოწმიდელს, მისი ასული რომ მიატოვოთ? — ეკითხება იგი. — ეს საქმე, — ჭაბუკმა მტერზე მიუთითა, — ხომ კვეტარელთა ბუნაგის ნასხლეტების ფანდია. მეკობრეებს ვეღარ ვხედავდთ ჯვარპატიოსნის არემარეს, მაშ მათი მზირნი იქ იქნებიან.

აგერ ბასა მორბის ყვირილით;

— მაღალი ხის წვეროდან დავინახე, ხალხნო! მტერი აირია. ზურგიდან ვიღაცანი მოაწვნენ.

მართლაც ყველა ჰხედავს: მტერს ჭკუა ებნევა, მისი რიგები ირღვევა. მტერი ტყის სანაპიროებს ეხეთქება. ბაქარიც რაზმიანად დაიძრა და არეული მტრისაკენ მიისწრაფის.

მირანდუხტის გარშემო გაისმა სიტყვები:

— იქ წყალი ღრმაა! დარუებულია! ხიფათი იცის ამგვარმა ადგილებმა! არ უშავს რა, გაწაფული ჰყავს ბაქარს ციხოვანნი. აგე რაზმის პატარა ჯგუფი ჩვენსკენ მოდის. დაჭრილები მოჰყავს! აგერ ახალგაზრდობა შეუერთდა ბაქარის რაზმს! დედა ეტირა მტერს! თვითონ ეძებდა დავლას და კოზი ნაცარში ჩაუვარდა. თვითონ იქცა დავლად! ციხოვანნი გავიდნენ ნაპირს...

წამოძახილები უცბად წყდება: მირანდუხტს მწუხარებით აღსავსე სიტყვები აღმოცდა პირიდან:

— ვაიმე, ძმაო, ძმაო!

რა დაინახა სასანიანის ასულმა? ციხოვანნი ხომ გავიდნენ ნაპირს, მტერი გარბის... მაშ?

რა და ბაქარი წაბარბაცდა. გულადმა ხელი მიაშველა. გაშმაგებული მეფისწული ვიღაც ბრგე ვაჟკაცს დაედევნა, თავის მხლებლებს კარგა მანძილზე დაშორდა. გაქცეული ვაჟკაცი შეჩერდა, მეფისწულს შეებრძოლა.

— ჯვარო პატიოსანო! — გაისმა მირანდუხტის ვედრება, — უტახტისმემკვიდრედ ნუ დააგდებ მაინც ჩვენს ქვეყანას, თუ ძმა გამიწირე, მეფისწული გადაარჩინე, მეფისწული! — ქალი შეჩერდა, ყურს ჩაეწვეთა აღტაცებული სიტყვები:

— მეფისწულმა გულთფარი დასცა!

ეს ბასამ წამოიძახა. ბავშვი გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებდა ბრძოლას. მან დაინახა, თუ როგორ მოულოდნელად გაჩნდა საიდანღაც გულთფარი და ბაქარს ელვის სისწრაფით ესროლა ისარი ზურგიდან. ვერც ბაქარმა მოასწრო უკან მოხედვა. ცალქალამანიძის ბიძამ მხარში მოარტყა ბაქარს. ბავშვმა ისიც დაინახა, რომ ბაქარი ცხენიდან ჩამოსვეს, იგი მტკიცედ დადგა ფეხზე.

— უფლის ასულო! — დაუძახა ბასამ მირანდუხტს, — ბაქარი მხოლოდ დაჭრილია!

გაიგონა ეს მირანდუხტმა, მუხლი მოიყარა და ღმერთს მადლობა შესწირა. მერმე წამოდგა და ცხენზე შეჯდა. ამალას უბრძანა, გალმა გამომყეთო.

— უფლის ასულო, ძნელი იქნება შენთვის ადიდებულ იორში გასვლა! — მოახსენა დაჩიმ, მაგრამ მირანდუხტმა არ აცალა სიტყვის დამთავრება.

— შენ და დანარჩენი ჩემი ამალისანი ნავარჯიშევი ხართ ბაქარისაგან ადიდებულ იორში გასვლას, — გასცა პასუხი მან ახალგაზრდა შინაყმას. — მე რად უნდა გამიძნელდეს თქვენთან ერთად ივრის დაძლევა?

— თავს დავდებთ ყველანი შენთვის უფლის ასულო! — წამოიძახა აღელვებულმა დაჩიმ, ამხანაგებს თვალი გადააელო და დაინახა, რომ ყველა მზად იყო მირანდუხტისათვის თავი გაეწირათ, — მაგრამ, — გაანაგრძო ჭაბუკმა, — რა მოვახსენო მეუფე ნინოწმიდელს?..

— არა, წავიდეთ! ნინოწმიდელს პასუხს მე გავცემ, — წარმოთქვა ქალმა და ცხენი წყლის ნაპირს მიაგდო.

— უფლის ასულო, მეც წამიყვანეთ! — შესთხოვა ბასამ მირანდუხტს.

ქალმა ბავშვს გაუღიმა.

— ჰუნე არა გყავს! — უთხრა პასუხად თავის მახარობელს. .

— დაჩის შემოვუჯდები უკან, — თქვა ბასამ.

დაჩი შეიშმუშნა. მირანდუხტს შეეძლო მართლა ებრძანებინა მისთვის, ბასა შემოისვიო. მაგრამ არაფერი უთხრა, ბასა კი თავის ცხენზე მიიწვია.

— ჩემი ჰუნე მუხლმაგარია, ბასავ, მე შემომიჯექ უკან.

მირანდუხტი ამალით წყალში შეიჭრა.

თითქოს ისე აღარ ჯავრობდა იორი, როგორც ბაქარისა და მეფისწულის რაზმების მასში გასვლისას. ცხენებმა ხან ცურვით, ხან კალაპოტის ნიადაგზე ფეხის დადგმით მიაღწიეს მეორე ნაპირს.

მირანდუხტი ბაქარისაკენ გაექანა.

— იავ, საშიში არაა ბაქარის ჭრილობა! — ახარა მეფისწულმა და თავი ჩაქინდრა.

ჭაბუკს ერთი რამ უღრღნიდა გულს, თუ რას იტყვის სასანიანის ასული ჩემგან გადადგმულ ნაბიჯზეო.

— მეფისწულო! — გაიგონა ყმაწვილმა და თავი მაღლა აიღო. დაინახა, რომ იადხმობილი მუხლზე დაჩოქილი მადლობას უძღვნიდა გულწრფელი მხნეობისათვის. ჭაბუკს გულში შუქი ჩაესვენა.

მეფისწულმა სწრაფად ფეხზე წამოაყენა იადხმობილი.

— მეც მიყვარს ბაქარი! — შესძახა ბაგრატიანმა.

იამ ხმა აღარ ამოიღო მეფისწულის ნათქვამზე და ბაქარს დაუწყო ჭრილობის სინჯვა.

— შუბლზე მაკოცე, ჩემო იავ, შუბლზე! აი ისე, ექვსი წლისა რომ მაკოცებდი ხოლმე, და ჭრილობა დამიამდება, — ჩაიჩურჩულა თვალებმილეულმა ბაქარმა და იგრძნო, რომ მისმა იამ რაღაც დააყარა ჭრილობაზე. ჭრილობაზე ზრუნვა დას მიანდო. თვითონ კი თავში ერთი აზრი უტრიალებდა:

„როგორ მიგვიყუჩა ასე სიფრთხილე გამარჯვებამ ან მე ან გულადს, ან მეფისწულს ან და სხვებს, დაბრძენებულ ქავთარს!.. მეფისწული რომ დაეკოდათ ასე მოპარვით, რა პასუხს გავცემდი ბაგრატ მეფეს? ბრძენია მამაჩემი... ადვილად გავაქციეთ მტერი... ფადლონის მეკობრეთა რაზმები მხოლოდ ძარცვას მისდევენ, დამარცხებულები შურისძიებას არ დაგიდევენ. ყოველი ქურდბაცაცა ასე იქცევა. ეს ჩემი დაჭრა შურისძიების შედეგია, ეს კეტტარელების ბუნაგის ფანდია. მათი მუხანათობაა. ნეტავი, ვინ იყო ჩემი დამკოდავი?“

— ზარდიავ, ვინ იყო ჩემი დამკოდავი? — ჰკითხა ფხოველ მგოსანს.

— ვერ ვიცან, უფლისწულო! — უპასუხა გულადმა. — სახე ზარადით დაემალა. მე შენ მოგიტრიალდი, ვერ გაეედევნე. მეფისწული გაეკიდა და მოჰკლა.

— მე კი ვიცანი, ვინც არის! — გაისმა ამ დროს ხმა.

— ეს ბასაა, — თქვა ბაქარმა და წამსვე დასძინა ღიმილით, — ჰო, ეს ხომ ვერხვის ჭინკაა, ჩემი საჭურვლის მტვირთველი!

— დიახ, უფლისწულო! შენი საჭურვლის მტვირთველი! — დაუდასტურა ბასამ.

ბავშვს ის უხაროდა, რომ ბაქარმა თვალებდახუჭულმა იცნო იგი.

— მაინც ვინ არის უფლისწულის დამკოდველი! — ჰკითხა გულადმა ბასას.

— ვინაა და გულთფარი! — უპასუხა ბასამ. — მეფისწული რომ გამოეკიდა, ჰუნეზე ვიცანი. შარშან, ბოჭორმაში რომ წამიყვანა მამამ სალოცავად, მაგ ცხენზე ვნახე.

გულადმა თვალები გაიფართოვა.

— რას ამბობ, ვერხვის ჭინკავ! — წამოიძახა ფხოველმა.

— რაც გაიგონე ჩემგან, ახლა ისა ვთქვი, ბოჭორმის წმიდა გიორგის ეშმაკო.

— ბასა ტყუილს არ იტყვის, ზარდიავ! — უთხრა გულადს მირანდუხტმა, რომელსაც ბაქარისათვის ჭრილობის შეხვევა ჯერ კიდევ არ დაემთავრებია. — გაღმაეე დაიძახა, მეფისწულმა გულთფარი დასცაო. — ეს თქვა და ახლა სხვა დაჭრილების მოვლას შეუდგა.

— ვინაა, ჩემო პატარავ, ბაქარის სიკვდილის მსურველი? — ჰკითხა მეფისწულმა.

— კვეტარელთა მთელი ბუნაგი, — სწრაფად მიაგება მეფისწულს ბასამ. — ეგ კვეტარელ ცალქალამანიძეთა ბიძაა, დედის ძმა, შენ რომ მოჰკალი, მეფისწულო, აი, იმ დიდ ხეს ამოფარებოდა, იქიდან ცხენით ელვის სისწრაფით ბაქარისაკენ წამოვიდა, როცა გამარჯვებული რაზმელები დამარცხებულ ფადლონებს გამოეკიდნენ და მიფანტ-მოფანტეს.

— ეგ გულთფარია, ბალღო? — იკითხა გულადმა უარყოფის კილოთი, — მე და, გულთფარი ვერ ვიცნო? თუ მოგელანდა? რა შავ ქვას დაინახავდი გაღმიდან?

— ეი, ბოჭორმის ეშმაკო! — დაიწყო წყენით ბასამ, — მე არაფერი მელანდება ხოლმე. გაღმიდან შავ ქვასაც დავინახავ და, შენ შავ ქვაზე თუ ნაკლები ხარ, შენც დაგინახე. აი იმ ხიდან არ იყო, აი იმ თავთხელიდან შენმა ნატყორცნმა ისარმა მზირი ჩამოაგდო? აგერ იქით გდია მოკლული გულთფარი. — ბასამ კარგა შორ მანძილზე მიუთითა გულადს. — გინდა გაჩვენო?

გულადი ნაჩვენებ ადგილამდე მიჰყვა ბასას და მართლა მოკლულ გულთფარს წააწყდა.

— არწივის თვალები გქონია, ბალღო! — წამოიძახა გულადმა განცვიფრებით. — არწივივით შორიდან ჰხედავ.

— არც შენ გკლებია თვალისჩინი, წარბებდადამღულო! — მიაგება ბასამ თავის მხრივ სიტყვები. — თავთხელიდან ისარი გამოსტყორცნე და აი იმ ხიდან მზირი გადმოაგდე.

— შენ მაინც მჯობნი, ბალღო, — უთხრა გულადმა. — მე თუ ივრის შუა ადგილიდან დავინახე ხეზე მზირი და ძირს ჩამოვაბრძანე, შენ გალმიდან ეს ჩემი ნამოქმედარიც დაინახე და მეფისწულისაც.

ბასას ამ ქებაზე თავის ონავრობამ მოუარა და თვალის მოჭუტვით შეხედა გულადს:

— ჭიტა! — მიაძახა და მირანდუხტისაკენ გაიხედა.

სასანიანის ასულს მოეთავებინა დაჭრილების მოვლა და ხალხი ემზადებოდა მათ გამოსაყვანად, ფონს ეკითხებოდნენ ერთმანეთს. სეირ-თამაშობისათვის არავის აღარ ეცალა.

გულადმა ერთხელ კიდევ დახედა გულთფარს და ფეხი წაჰკრა:

— რჯულძაღლო! შენ გინდოდა ბაქარისათვის გაგეთხარ, სამარე?.. ავო სულო!

ფხოველი შეჩერდა, მოესმა სიტყვები: მკვდარს რას აწუხებო, და მოიხედა. ბასა მირანდუხტისაკენ მიექანებოდა.

ფხოველიც ბასას კვალს მიჰყვა.

ბასამ მირანდუხტამდე ვერ მიაღწია. ნადავლი ცხენები დაინახა და იქ ამოყო თავი.

— აი გულთფარის ჰუნე! — წამოიძახა ვერხვის ჭინკამ და მის წამოძახებაზე ბევრი წამოვიდა მისკენ მეჯისწულისა და მირანდუხტის ამალებიდან, თვით მეფისწულიც მიუახლოვდა.

— ყველა მოკაზმულობა ზედვე აქვს, — განაგრძო ბასამ. — რა კარგი იქნება ახლა ამით იორში გასვლა.

მეფისწული დაინახა, ახლა იმას მიმართა:

— მეფისწულო! ეს ხომ შენი ნადავლია? შევჯდები ამ ჰუნეზე! ამით იორში გავალ.

მეფისწულმა ნება დართო. ქავთარი ჩაერია ლაპარაკში:

— გადმოგაგდებს, ონავარო.

— გადმომაგდებს და მამაჩემმა ინაღვლოს.

ამ დროს გულადიც მოვიდა.

— დააჯერე ეს მგოსანი? — ჰკითხა ქავთარმა ბასას.

— ძლივს! — უპასუხა ბასამ და გულთფარის ცხენს ჩურგზე მოახტა.

— უჯარმაში მივდივარ გამარჯვების მახარობლად! — დაიძახა ყველას გასაგონად და ცხენი მდინარეში შეაგდო.

— ნუ გეშინია, დაჩი! — უთხრა გულადმა. — ჰუნეს ემჩნევა ნაცადობა. ჭინკაც მაგრად ზის, თითქოს ზედაა დაკერებულიო.

8

ბაქარს მთავარ ექიმობას ვაჩე უწევდა. მოხუცი ხუროთმოძღვარი დამშვიდებული გამოიყურებოდა. საშიში ჭრილობა არ ჰქონდა ბაქარს, გუშინ შეხვეული ასლა უნდა შეეხსნა პაპას. ნინოწმიდელი დაჭრილს ფეხთით მისჯდომოდა და დაღვრემილი დასცქეროდა.

ბევრი მლოცავთაგანი კითხულობდა ბაქარის ამბავს და ვაჩეც ყველას ერთ პასუხს აძლევდა: მეკობრეთა სინსილის გამწყვეტს მალე ნახავთ ფეხზე წამომდგარსო.

ნინოწმიდელი მოუსვენრობას გრძნობდა, შვილს თავს მოექცა და მერმე ისევ მიუჯდა ჟერხთით.

ნინოწმიდელს გულს უფორიაქებდა გუშინდელი ომი და შვილების მომავალი. „ამ ბრძოლაში მოიკლა გულთფარი, — ფიქრობდა იგი, — ბიძა ცალქალამანიძეთა, კიდევ ვიღაც კოხიანი მეკობრე — ცალქალამანიძეთა ავანჩავანი, და იმ ავაზაკთა უკანონო ძმად ცნობილი გოდერძი. მათი სიკვდილი გამოწვეულია მათივე მუხანათური ნაბიჯით, მაგრამ ცალქალამანიძენი, უეჭველია, სასანიანთ დასდებენ ბრალს და გაუთავებელი იქნება მათი შერისძიება. ცალქალამანიძეთ არაფრად ჩააგდეს ის, რომ ვაჩეს მოკვლას ლამობდნენ და თავხედური სითამამით ქალსა სთხოვდნენ სასძლოდ. მუხანათობით მოისურვეს ბაქარის სიკვდილი და მარცხი თვითონვე იწვნიეს და, თქმა არ უნდა, ამის ბრალსაც სასანიანთ არ ააცილებენ. რა ამბავია? ფრთხილად, ფრთხილად, იაზონ, მანამ რევი ცოცხალია, ვერას გახდები. ეს ომი არ შეგრჩება".

მერე ხმამაღლა წარმოთქვა:

— ამ ამბის შემდეგ, ვფიქრობ, ზავი დარღვეულია აფხაზთა და ქართველთა მეფესა და კახთა მფლობელს შორის.

ნინოწმიდელმა ვაჩეს გადახედა, რას იტყვისო. ვაჩე ამ დროს

შვილიშვილისათვის მალამოს ამზადებდა ჭრილობაზე დასადებად. ხუროთმოძღვარი თუ ათი წლის წინათ მარტო ერთი მოევლინა პალატში მოყვანილ დაჭრილებს მკურნალად, დღეს მკურნალობის საქმეს მის მიერ მკურნალობაში გაწაფულ შვილიშვილს მირანდუხტს უზიარებდა. ქალი ძმასაც დაჰკანკალებდა და სხვა დაჭრილებსაც უნუგეშოდ არ სტოვებდა. მდუმარებით აღსავსე თავს დასტრიალებდა ყველას და თავგადაკლული მოვლით ჭრილობებს ურჩენდა. რევყოფილის თვალი ხშირად შვილზედაც ჩერდებოდა. ნინოწმიდელს მისი მდუმარება გულში რალაც შიშს უბადებდა. მამისათვის ცხადი იყო, რომ მისი მირანდუხტი რალაცას ებრძოდა. მამა არ ცდებოდა: ქალს დიდად აფიქრებდა, რომ კვეტარელთა გუშინდელი მუხანათობა გამოწვეული იყო სასანიანთა უარის გამო დამოყვრებაზე. მას არ სურდა ეფიქრა, სანამ ბაქარი ფეხზე არ ადგებოდა.

„ეს რა თქვა მამამ! ზავი დარღვეულიაო, — ჩაილაპარაკა მან. აგერ პაპაც ალაპარაკდა საპასუხოდ“.

— რალა ფიქრი უნდა, — დაიწყო ვაჩემ. — გადაჭრით ითქმის: ზავია დარღვეული ამ გუშინდელი თავდასხმით. ფადლონის რაზმი არ ამბავში იარალია. საქმე დაწყებულია კახეთის ერთი დიდგვარიანისაგან და პასუხი კახთა მფლობელმა უნდა აგოს.

— მაშ, ისევ თანამოძმეთა სისხლის ღვრა! — აღმოხდა სიტყვები ნინოწმიდელს თავშეკავებული ოხვრით. — ნეტავი როდის მოელება ბოლო ამ მღელვარებას. — მან დაღვრემით გადახედა ამ მღელვარების მსხვერპლს, შვილს ბაქარს და რამდენიმე ცრემლი გადმოაგდო თვალთაგან.

ბაქარს ეძინა. მამა ფეხაკრეფით მოექცა ბაქარს თავთან და მოწიწებით აკოცა შუბლზე. ბაქარს ძილში პირისახეზე ღიმილმა გადურბინა. თვალი კი არ გაუხელია.

მირანდუხტმა გარეთ დააპირა გასვლა. კარს მიმართა: ქალი ხედავდა, რომ მამა წუხდა და ვერ ისვენებდა, მაგრამ პაპამ არ გაუშვა.

— დაიცა, შვილო! — უთხრა შვილიშვილს ვაჩემ. — მომეხმარე, ეს მალამო დავადოთ.

მირანდუხტი შეჩერდა. ვაჩემ ნინოწმიდელს მიმართა:

— მალე მორჩება ბაქარი, შვილო, ჭრილობა სახიფათო არაა. რა გადარდებს?

— მე ის მადარდებს, ჩემო სიმამრო, — დაიწყო რევყოფილმა, — რომ

მერმეც არ მოასვენებენ ბაქარს. კვეტარელების მუხანათობას ბოლო არ ეჭნება. პირდაპირ კი ვერას გაუბედავენ ჩემს შვილს. ვიცი, ერიდებიან ვაჟკაცურ ბრძოლას ბაქართან...

შემოვიდა ველთამზე. ქალს პატარა რევი თან ჰყავდა. ნინოწმიდელმა ლაპარაკი შეწყვიტა და რძალს გადახედა. ქალი შეშინებული შვლის თვალებით იცქირებოდა. შიშს ჰყავდა შებოჭილი. ველთამზემ ჯერ ნინოწმიდელს გადახედა და, რა დაუნახა დაღვრემილი სახე ყელში ტირილი მოებჯინა.

ველთას შემოსვლაზე მირანდუხტს სახიდან მდუმარების ჩრდილი მოსცილდა და ზედ ჩვეულებრივი ამოცანური იერი აებეჭდა.

მულმა რძალს თვალში მომდგარი ცრემლი სწრაფად შენიშნა და გამოელაპარაკა წყნარი კილოთი, ნელი ხმით, რომ ბაქარს არ გამოჰღვიძებოდა.

— სატირალი არა გვაქვს, ველთავ! ორ-სამ დღეში ბაქარი გამომრთელდება.

— მამა მინდა! — წამოიძახა მკვეთრად პატარა რევიმ, რაკი დაინახა, რომ ხმა არავინ გასცა.

— რას ყვირი, შე მამაბედნიერო? — ხუმრობით, დაბალი ხმით დაუტია ვაჩემ. — აი, აქ არ არის? არ გააღვიძო, ჯერ სძინავს, შენთვის არა სცალია.

— მინდა! — ჯიუტად წამოიძახა პატარამ და ტირილი ამოუშვა.

ბავშვის ტირილზე ბაქარმა გამოიღვიძა. ველთამზე დაინახა და გაელიმა. ბავშვს სიამოვნებით გადახედა და თითი დაუქნია.

ბავშვმა მამისაკენ გაიწია.

— მოიყვა ახლოს, ველთავ! — უთხრა ბაქარმა თანამეცხედრეს, — რა სახე დაგღვრემია? ბიჭოს, თვალებში ცრემლები! ხომ არ ვკვდები, ქალო? რა დაგემართა?

— ხომ ხედავ, ველთავ, როგორ თავისი ჩვეულებრივი ნირშეუცვლელი იერით გამოგელაპარაკა ეს შენი მეუღლე! — დასძინა ვაჩემ ბაქარის ნათქვამს. — ეგ იმას ნიშნავს, რომ ჭრილობა საშიში არ არის. ეგ იმას ნიშნავს, რომ ორიოდე დღეში გამომრთელდება, როგორც მულმა მოგახსენა, და ფეხზე აღგება. მაშ როგორ გინდა? კაცი იბრძოდეს და ერთი ჭრილობაც არ მიიღოს?

— არა, პაპავ, მე მაგას კი არ ვჩივი, რომ დაჭრილია. მე იმას ვჩივი, რომ მუხანათობითაა დაჭრილი.

ვაჩემ ნინოწმიდელს გადახედა თავისი ჯერ კიდევ ცოცხლად გამომყურე თვალებით.

— რა ამბავია, მეუფევ, რომ შენ და შენს რძალს ერთნაირად აგითვისებიათ ეს ამბავი? განა მუხანათობა მუდამ თავისას გაიტანს? ვინ იცის, რამდენჯერ მიმუხანათეს, მაგრამ აი, ოთხმოც წელს მივაღწიე და კიდევ ცოცხალი ვარ.

ბაქარმა პაპის სიტყვებს დაურთო:

— ვნახოთ, ვნახოთ! მუხანათობას თუ ერთხელ დაუჯდა ალჩუს კოჭი, მეორედ, ვფიქრობ, ძნელი იქნება მისთვის კოჭის აგდებაც კი. ერთხელ მონადირის ისარს აცდენილი ნადირი სიფხიზლეს და სიფრთხილეს იორკეცებს და თუ მებრძოლია, ფრთხილად მაშინ, მონადირევ! მე ის მაწუხებს ახლა, რომ ზავია დარღვეული ამ ამბით. ბაგრატ მეფე მოითხოვს კახთა მფლობელისაგან პასუხის გაცემას და ისევ სისხლის ღვრა და ისევ სისხლის ღვრა!...

— მამა მინდა! — წამოიძახა პატარა რევიმ და ბაქარმა სიტყვა შეწყვიტა.

რევი ველთას ხელიდან გაუსხლტა და ისე ჩამოუცურდა წინ არეზე, რომ ფეხზე დადგა. ბავშვი მამისკენ გაექანა.

— დაიცა, ბიჭო, დაიცა! — მიაძახა პატარა რევის რევყოფილმა. — არ მიეხეთქო და ფუფუა არ ატკინო მამას.

— ნამდვილი მირანდუხტია ამ ჩამოცურებით ეს ბიჭი! — წამოიძახა ვაჩემ. — სწორედ ასე მოულოდნელად, სწორედ ასე სწრაფად იცოდა ხელიდან დაცურება იამ.

ვაჩემ მირანდუხტს გადახედა. ქალი თითქოს ყურადღებას არავის აქცევდა. ხელსაქმეს ჩაჰკირკიტებდა.

ბაქარმა შვილს მიუალერსა. ვაჩე მალამოს მზადებას განაგრძობდა. მირანდუხტი უცბად ფეხზე წამოდგა და კარს მიმართა.

— პაპავ, მალე დაებრუნდები. ჯერ ხომ მზად არა გვაქვს? — ეს წარმოთქვა და გარეთ გავიდა.

— აჰა! მეტი გინდათ? — წამოილაპარაკა ვაჩემ. — რაღა პატარა რევი, რაღა ეგ მისი მამიდა, უჯარმაში ბრძენად მიჩნეული.

— პაპილო! განა სიბრძნე სისწრაფის მოწინააღმდეგეა? — შეეკითხა ვაჩეს ბაქარი. — სწრაფად გამსჭვრეტავი გონება ხომ მისი სიმახვილის მომასწავებელია... განა გონებამახვილობა სიბრძნის ერთი თვისება არ არის?

ვაჩემ არ უპასუხა შვილიშვილს. მისი გონება მირანდუხტს გაჰყვა.

— ნეტა სად წავიდა! — იკითხა ვაჩემ; — რაღაც სულ დადუმებულია. რაღაც ამბავია მაგის თავს. როგორ გგონიათ, სად წავიდოდა?

— სად წავიდოდა, პაპავ, და სხვა დაჭრილებთან, — გასცა ჴოხუცს ველთამ პასუხი. — წუხელის მოუსვენრად ეძინა იას. ძილში წაილაპარაკა, ჩემი გულისათვის მოხდაო, კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, დაიწყო და აღარ დაამთავრა, გავაღვიძე... რაო, შეგცვალოო, მკითხა, დაიღალეო. ბაქარს ყურს ვუგდებ და რა დამღლის-მეთქი? შენ კარგა ვერა გძინავს-მეთქი. ბევრი ვეხვეწე, რომ კიდევ წაეძინა, მაგრამ ვერას გავხდი! მაჯობა, მე მიმაწვინა, თვითონ ბაქარს ფეხთით მიუჯდა.

— ვარაზ-ბაკური სადღაა? — ჰკითხა თანამეცხედრეს ბაქარმა.

— მეფისწულთან წავიდა, — უპასუხა ველთამზემ და თან დაურთო: — მეფისწული ამ დილით აპირებს, როგორც გუშინ თვითონ მითხრა. ემზადება.

— კარგი იქნება, რომ ვარაზ-ბაკური გაჰყვეს მეფისწულს, რაკი მოცდა აღარ სურს, — თქვა ბაქარმა. — კვეტარელთა მუხანათობას საზღვარი არა აქვს... ოჰ! მამავ! როგორ იბრძოდა გუშინ მეფისწული!.. კაი ვაჟკაცია, კაი მშვილდოსანი რჩეული! შენ პაპავ, სანამ არ მომარჩენ, ხომ არსად წახვალ? — ახლა ვაჩეს მიმართა ბაქარმა.

— აბა, შვილო! როგორ დაგანებებ თავს, სანამ გამომრთელებულს ფეხზე არ დაგაყენებ. შენც მოგარჩენ, სხვა დაჭრილებსაც და მაშინ დავიძვრები.

— მაშინ დაიძვრები და მეც გამომრთელებული გაგაცილებ ერთი ჩემი ასეულით, — დააყოლა ვაჩეს სიტყვებს ბაქარმა და მერე ისევ მეულლეს მიმართა: — იქნებ, ველთავ, ონოფრე გააგზავნო ვარაზ-ბაკურთან?

— ონოფრე დილიდან არსადა ჩანს, — მიიღო პასუხად ბაქარმა.

— სად დაიკარგება ხოლმე ნეტავი ეგ დამთხვეული? — უკმაყოფილოდ თქვა ბაქარმა.

— გუშინ ბრძოლიდან მოსვლისას მხიარულ გუნებაზე იყო, — მიუგო ველთამზემ. — დაინახა, ყველა დაღონებული დაიარებოდა, შეკრთა და

როცა გაიგო, ბაქარი დაჭრილიაო, თავში ხელები შემოირტყა, რა ღმერთი გამიწყრა, თავი დავანებეო! რა ღმერთმა შემშალა, რომ დავშორდი ჩემს უფლისწულსო!

— კარგი და რად დაუნებებია თავი? — ჰკითხა იოანე ნინოწმიდელმა რძალს.

— რად და მტრის დაშქარში შეუცვნია ცალქალამანიძიანთ ავანჩავანი ერთი მეკობრე, იაზონის დიდი მოთაყვანე, იაზონისათვის თავდადებული, იაზონის დავალებით ბევრი პატიოსანი ოჯახის ამკლები...

— კოხიანი! — ჩაურთო ელთას ლაპარაკს რევყოფილმა.

— დიახ, კოხიანი! — დაადასტურა ელთამ და განაგრძო: — გამოსდეენებია ონოფრე ამ მეკობრეს და შეჰბრძოლებია. მეკობრეს გასჭირებია ონოფრესთან ბრძოლა და სხვა ამხანაგი წაშველებია...

— გოდერძი! — განმარტა რევყოფილმა მეორე მეკობრის ვინაობა.

— მაგრამ ონოფრეს ერთიც მოუკლავს და მეორეც, — მიაყოლა ელთამ რევყოფილის განმარტებას.

— პირველის ჰუნე ჩაუგდია ხელში. თან მოიყვანა ის ჰუნე.

— მაშ კოხიანი და გოდერძი მოუკლავს ონოფრეს? — თქვა ბაქარმა. — ღვთის რისხვა რამ იყო ერთიც და მეორეც... კაი ზარალი მოსვლია გუშინ იაზონს. გულთფარი, გოდერძი, კოხიანი... უბრალო მეომრები როდი იყვნენ.

— ბერამაც თქვა, ეს კოხიანის ჰუნეაო, — დაურთო ელთამზემ ბაქარის სიტყვას.

— მაგრამ ონოფრე მათზე გადამეტია, — განაგრძო ბაქარმა. — ერთი ეგ არის, ეულ მგელს მოგაგონებს: რაზმის მწყობრისობას ვერ ეგუება... ველთავ, მაშინ ვერხვის ჭინკა გაგზავნე ვარაზ-ბაკურის მოსახმობად... ეს ვერხვის ჭინკა პირდაპირ ოქროა. აგეთი მოხეხებული მაგ ხნისა იშვიათად თუ ვინმე გამოვა... ველთა, ეგ გაგზავნე.

— კარგი, გენაცვალე, ამ წუთას წავალ, მოვნახავ. ეგ არ იქნება, სხვას გავგზავნი.

— დედა, მეც წამიყვანე! — წამოიძახა პატარა რევიმ.

ბაეშვი მამას სწრაფად მოსცილდა და დედას დაედევნა.

— ნამდვილი მირანდუხტია, — გაიმეორა ვაჩემ ახლაც წელან ნათქვამი სიტყვები.

ვაჩე მირანდუხტის დუმილზე ვერ ისვენებდა და, თუ საბაბს ნახავდა რამეს, წამსვე მირანდუხტს ახსენებდა ხოლმე. მოხუცს ჰსურდა გულახდილად აელაპარაკებინა მირანდუხტზე მ:ჰამისიცა და ძმაც. ეთქმევინებინა ორივესთვის, თუ რამ დაადუმა მირანდუხტი, მაგრამ ისინი კრინტს არა სძრავდნენ. ერთსაც და მეორესაც გულჩათხრობილობა ვერ დაეძლია, ან რომ დაეძლია კიდეც, ვერას იტყოდნენ. თვით მირანდუხტი აჭარბებდა ყველას თავის გულჩათხრობილობით, ვინ რას გაიგებდა მისგან!

ვაჩემ ვერავის ათქმევინა რაიმე და თავი ფიქრს მისცა.

შეიძლებოდა მირანდუხტის მნახველ გარეშე ვინმეს ეთქვა: ქალს ძმა დაუჭრეს და ის ადარდებს, ის ადუმებს, ეშინია, ხელიდან არ გამოეცალოსო, მაგრამ ვაჩე ასე ვერ იფიქრებდა, ასეთი ჭრილობა ვის არ მიუღია ბრძოლაში? სახიფათო არ იყო ეს ჭრილობა, მირანდუხტმა ეს კარგად იცოდა. მაშ, სხვა რამე აწუხებდა ქალს და ამ რამეს დაეძებდა ვაჩე. ხუროთმოძღვარს თავში გაუელვა: იაზონი გულში ხომ არ ჩაუვარდა ჩემს შვილიშვილსო, და შეკრთა. საშინელებად მიიჩნია ეს ნაფიქრი ბაგრატის მომხრემ.

მდუმარებას მიცემულ სიმამრს ნინოწმიდელი მდუმარებითვე უპასუხებდა. ბაქარსაც აღარ ამოუღია ხმა.

ახალგაზრდა სასანიანს აწუხებდა იაზონის თავხედობა. მტრად გადაკიდებული კაცი დას სთხოვდა თანამეცხედრედ. ისე გამოდიოდა, თითქოს სასანიანნი ადვილად მოინელებდნენ ათი წლის წინათ ცალქალამანიძიანთ თავდასხმას, ვაჩეს მოსპობას რომ ლამობდნენ მეკობრენი.

„ახლა კი მირანდუხტსაც გვთხოვს, მტრობას მოვსპობო, გვეუბნება. კადნიერება მეტი გინდათ? — თქვა გულში ბაქარმა. — მართალს რომ არ ამბობს, გუშინდელი მუხანათობა ამოწმებს, თითქოს ამ მტრობისა გვეშინოდეს. რად ავიწყდება მთავარი? რატომ არ მოიგონა, როცა ჩვენი მოყვრობა მოისურვა, რისთვის დაგვესხა თავს ივრის გალმა? ის მიზეზი რომ არ გამქრალა? ახლაც არსებობს და სანამ ეს მიზეზი იარსებებს, სასანიანთა და ცალქალამანიძიანთა შორის მტრობა არ მოისპობა. ქართველ ტომთა გაერთიანების მოტრფიალეთ და დაქუცმაცებულ საქართველოს გვემის მომხრეთა შორის მოყვრობას ადგილი არ ექნება თავის დღეში. ვერას აწყობს ცალქალამანიძე პირდაპირობით და მუხანათობას მიმართავს. დიახ, საშიშია მუხანათობა. უეჭველია, მუხანათობით ეცდება

ხელში ჩაიგდოს მირანდუხტი, მე ცოცხალი ვიყო და ეს ამბავი მოხდეს?“ — ბაქარმა ჩაიცინა.

მამას გადახედა შვილმა: შუბლი შეეკრა.

თუ ბაქარს მირანდუხტის გარშემო შექმნილი მდგომარეობა აფიქრებდა, ნინოწმიდელს სტანჯავდა ბაქარისა და მირანდუხტის ბედი, რაც განგებას ქართველ ტომთა ერთ მთლიან ერად გადაქცევასთან გადაება. ბაგრატ მეფე ტახტის მემკვიდრის თანამეცხედრედ ქალს სთხოვდა თავის მისწრაფებათა თანამოზიარეს, გარე კახეთის დიდგვარიან სასანიანს, ძველთა მეფეთა ნათესავს და უარს რად მიიღებდა. ამ საქმეს წინ ელობება ვინმე ცალქალამანიძე, იაზონ მეკობრე, ისიც ქალს სთხოვს და არ ითვალისწინებს, რომ იმასა და სასანიანს შორის დიდი ზღვარია, რომ სხვადასხვა გზით მოსიარულენი არიან ისინი. მეკობრე მეკობრულად იქცევა. გუშინ გამარჯვებული დარჩა ბაქარი და მირანდუხტს საშიშროება დაჰშორდა, მხოლოდ დაშორდა. რაიმე მოულოდნელობას თამამად შეეძლო ისევ მოეახლებინა იგი. კვეტარი ისევ არსებობდა. კვეტარი რომ მოესპო ბაგრატს, ეს საშიშროება გაქრებოდა, კვეტარი კი ჯერ არ ისპობოდა. ბაგრატი თითქოს დროს არ კარგავდა ციხის აღებაზე. ალბათ ფიქრობდა, ტყუილად ძალას დავკარგავო. სისხლის ღვრა მეტი იქნებაო, შემოიარა თითქმის მთელი კახეთი და კვეტარს გვერდი აუქცია. საუძვლიანად არ ცდილა მის აღებას. ბაგრატ მეფე ვერაფერს გვაკლებსო, იძახდნენ ცალქალამანიძიანნი და მედგრად იყვნენ, თქმა არ უნდა, ბაქარს ვერას დააკლებდნენ პირისპირ მოსვლით და აუცილებლივ მუხანათობას მიმართავდნენ. ეს კი მუდმივ ფხიზლობასა და სიფრთხილეს მოითხოვდა. ფხიზლობა მოსდგამდათ ნინოწმიდელის შვილებს, თვითონაც დაჯილდოებული იყო ამ თვისებით, მაგრამ ეს ცოტას ნიშნავდა. მთავარი მოქმედი ბაქარი შეიძლება მეფეს გაეწვია. შეიძლება კი არა, უსათუოდ გაიწვევდა: ზავი დაირღვა ქართველთ-აფხაზთა მეფესა და კახთ მფლობელს შორის. ბაგრატი უსათუოდ ომს აუტეხდა აღსართანს და შფოთი არ დაილეოდა. ნინოწმიდელი იმასაც ფიქრობდა, რომ ახლავ დასთანხმდებოდა ბაგრატს, მირანდუხტი გაეხადნა გიორგი მეფისწულის თანამეცხედრედ, მაგრამ ომიანობისას სამეფო კარს მირანდუხტის წაყვანისათვის არავის ეცლებოდა. უჯარმა ნაწილობრივ შესუსტებული დარჩებოდა. სამასი ციხოვანის ნაცვლად ციხეს ასი ეყოლებოდა და იქნებ ამდენიც არა.

„უნდა ვიღონო რამე და უვნებელვყო ჩემი შვილები ხიფათისაგან, – დაასკვნა ნინოწმიდელმა, – მცირე ლაშქარი უნდა შეკიქმნა ნინოწმიდის სამწყსოში...“

მირანდუხტი დაბრუნდა და რევყოფილმა ფიქრთა დენა შეაჩერა. მამამ ასულს გადახედა. თითქოს კაი გუნების იერი სცემდა სახეზე. ნინოწმიდელი ფეხზე წამოდგა წყნარი ამოოხვრით. არ ამოოხვრაში გამოეხატა ნაღელით სავსე დიდი სიყვარული შვილისა. მირანდუხტი გვერდს ამოუდგა და მკლავი მოხვია წელზე.

– ნეტავი ისევ პატარას მხედავდე, მამავ! ხელში ამიყვანდი, გულში ჩამიკრავდი. გამიჯავრდებოდი, შუბლს შემიკრავდი. არავინ წაგედავებოდა ჩემს თაეს.

ქალი მოსცილდა მამას და პაპისკენ გადაინაცვლა.

– პაპილო, მართალს არ ვამბობ, განა? – მიმართა იადხმობილმა ვაჩეს. – მცხეთაშიაც გეყოლებოდი ხანდახან. ნინო გამზრდელი, ცოცხალი მეყოლებოდა. გაგართობდი, პაპილო! შენ არ მეტყოდი ხოლმე, როცა ჩემი წაყვანა გინდოდა მცხეთას, ჩემთან წამო, შვილო, გამართეო.

ახლა ბაქართან მივიდა.

– ჩემი ბაქარი, ჩემი ბაქარი! – წაპლუღუნა მან და წყნარად აუწყა პაპას, მამას და ძმას.

– დამავიწყდა, ველარ გითხარით: მეფისწული მობრძანდება. ჩვენი წალკოტის გალავანს მოუახლოვდა თავისიანებით, ვარაზ-ბაკურიც ქვევიდან მოდის. მლოცავები გაკრეფილან – კარვები აღარსადა ჩანს. ჰო კიდევ! პაპავ, დაჭრილების საქმე კარგა მიდის ჩემო ბაქარ, შენც მალე გამომჯობინდები! ხომ შეიძლება თავით მოგიჯდე?... პაპილო, მალამო არ გამოვუცვალოთ?

გულადის ნაძღვნევი სამფეხა სკამი ბაქარის ლოგინთან მიიდგა, ჩამოჯდა და ხელსაქმეს მოჰკიდა ხელი, სინჯვა დაუწყო. თან ფიქრებს გაუყვა:

„ვის შეუძლია ჩემიანებისაგან გაშორება? მათ გარდა ჯერ არავინ მინდა: მამა, პაპა, ჩემი ბაქარი, ველთამზე, პატარა რევი, ფერისი, ონოფრე, გულადი. – სკამს ხელთა საყრდნობებზე დააცქერდა: – რა კარგად გამოუყვანია ჯიხვთა თავები. იებიც რომ დაუსხია ზედ... ბერა, დაჩი, თხუთმეტი წლისაა და მაინც დარბაისელია, ვერხვის ჭინკა ვისზე

უნდა გავცვალო? სამეფო კარზე ყოფნა?.. კარგია ბაგრატ მეფე, გიორგი მეფისწულიც. მუდამ კეთილს ვუსურვებ. დედოფალი ბორენაც გულკეთილ ადამიანად ჩაჰრჩა გულში... მაგრამ ძნელი იქნება სამეფო კარს ყოფნა, ძნელი! რაც უფრო დახანდება ჩემი იქ წასვლა, გამეხარდება... გუშინდელი ამბავი, უეჭველია, ზავს დაარღვევსო, ასე თქვეს. ბაგრატ მეფე ჩემთვის ვეღარ მოიცლის, ლაშქრის გაძლიერებას უნდება, რომ კახეთის მეფეს დაეტაკოს... ერთი ორი წელი მაინც მამასთან ვიქნები. მერმე ვინ იცის, რა იქნება! იქნებ გავყვე კიდეც მეფისწულს თანამეცხედრედ... — იაზონი გაიხსენა და შუბლი შეიჭმუხნა. — ეს ვაჟი შეეცდება მუხანათობით ჩემ ხელში ჩაგდებას. მაგრამ რატომ მისმა მუხანათობამ უნდა გაიყვანოს თავისი ლელო და არა ჩვენმა სიფხიზლემ. როგორც გუშინდელს საქმე ჩაეფუშათ კვეტარელებს, სხვებიც ჩაეფუშებათ... ჩემი გულისათვის ჩემს ძმას რომ რამე დაემართოს, თავი რაღად ჰ..ნდა ცოცხალი...

გუშინდელს აქეთ ეს აზრი აეკვიატებოდა ხოლმე წარამარა. სწუხდა, რომ მისი გარეგნობა სახიფათო მდგომარეობაში აყენებდა სასანიანთ და ცდილობდა, რაიმე ღონისძიების გამონახვას მის გასაქარწყლებლად. გონება ჯერჯერობით ერთადერთ გზას უჩ ენებდ ქალს: ახლავე ეკისრა მეფისწულის თანამეცხედრეობა, მაგრამ, ჯერ ერთი, ამის შესრულება ახლა შეუძლებელი ხდებოდა დღეს თუ ხვალ ომის მომლოდინეთათვის და, მეორეც, თვითონაც გული არ მიუწევდა სამეფო კარისაკენ, თავისიანების დიდი სიყვარულით უჯარმაზე მიჯაჭვულს.

მირანდუხტმა ხელსაქმეს თავი ანება. ფეხზე წამოდგა: მეფისწული თავისი მხლებლებიანად ეწვია ბაქარს, ვარაზ-ბაკურიც თან მოჰყვა.

მეფისწულს დამხვდურებმა სალამზე სალამი მისცეს. გიორგი ბაქარს მიუახლოვდა და ალერსით თავზე ხელი დაადო.

— მოვედი, გამოგეთხოვოთ, ბაქარ, ყველას! — უთხრა მან ალერსიანი კილოთი.

„აი, მეც რომ ასეთი ძმური კილოთი გამომელაპარაკოს, გამეხარდებოდა, — გაიფიქრა მირანდუხტმა. — მე თვითონ ამგვარი სიყვარულით ვუცქერი მეფისწულს. სხვა ჯერ არა მაქვს რა გულში.“

მეფისწულმა ნინოწმიდელს მიაპყრო თვალი.

ბაქარი ხელზე ეამბორა ტახტის მემკვიდრეს. მან კი კურთხევა და გზის დალოცვა სთხოვა ნინოწმიდელს.

აქ მირანდუხტმა წარმოთქვა:

— ჩვენი ოჯახი ისე როგორ უნდა დააგდო, მეფისწულო, რომ ჯერ არ შენაყრდეთ შენ და შენი მხლებლები ჩვენი ოჯახის წევრებთან ერთად, სადილი კიდეც მზად არის და არ დაგახანებს.

ნინოწმიდელმა წააშველა სიტყვა ასულს;

— არა, რას ეშურები, მეფისწულო, დარჩი და გაეცანი ამ ჩვენ მხარეს: თუ ბაქარი ჯერჯერობით ვერ გაგიძღვება, ვარაზ-ბაკური გაგიწევს ბაქარობას, ბერა, ფერისი, ონოფრე გაგიძლიერებენ ამალას. ბერა უეჭველად თავისი რაზმიანად გამოგყვება. ციხოვანნი უზრუნველყოფენ ამ მხარეში შენს შემოსვლას. მორჩება ბაქარი და თან გამოგყვებ შინ წამსვლელს. დიდებულ მეფეს მოახსენებს აქ მომხდარ ამბავს.

— შვილიშვილი ჩემი და სხვა დაჭრილები გამომთელდებიან და მაშინ მეც გამოგყვები, მეფისწულო! — მიმართა ვაჩემ.

– მართალს მოგახსენებენ, მეფისწულო! — გაისმა ვარაზ-ბაკურის ხმა.

ახლა ბაქარმა ამოიღო ხმა:

— მეფისწულმა იცის, თუ როგორი სასურველია მისი ჩვენთან დარჩენა.

მირანდუხტმა მწვავედ იგრძნო ეს უხერხულობა. იქ მამამ სთხოვა მეფისწულს დარჩენა ბაქარის გამომთელებამდე, აქ პაპამ, მერე ვარაზ-ბაკურმა, ბაქარმაც და გამოდიოდა, თითქოს ქალს სურდა, მეფისწული მხოლოდ სადილზე დარჩენილიყო. მეფისწულსაც გულში ხინჯი ჩაუვარდა. ოჯახის ოთხი წევრი სთხოვდა დარჩენას, ია კი მხოლოდ შენაყრებაზე იწვევდა. თითქოს მირანდუხტს აქედან მისი გაცლა უნდოდა. თუ დარჩებოდა ყმაწვილი, დარჩებოდა მხოლოდ მირანდუხტის სამზერლად.

იამ სთხოვა ჭაბუკს მხოლოდ სადილად დარჩენა, შენაყრება და მისიანებმა კი დარჩენა ბაქარის გამომთელებამდე. იასაც რომ ეთხოვნა, განა დარჩებოდა? არა, თავის გზას კმაყოფილი გაუდგებოდა, რომ ყველამ ერთნაირად გულით სთხოვა დარჩენილიყო.

იამ განსჭვრიტა მეფისწულის ეს სულისკვეთება და მოისურვა მეფისწულისათვის ეგრძნობინებინა, რომ არც თეითონ იყო უარმყოფელი მისი დარჩენისა, ბაქარის გამომრთელებამდე.

— იქნებ მეფისწულმა ჩემს ნათქვამში რაიმე საწყენი ნახა? — დაიწყო ია. — იქნებ ჩემგნით მხოლოდ სადილის გახსენება და მგზავრობის წინ შენაყრება ტახტის მემკვიდრეს უარს ათქმევინებს დარჩენაზე, როცა სთხოვენ აქ დახანებას მამა, პაპა, ვარაზ-ბაკური და ბაქარი? ეს იქნება უმართებულობა ჩემს მიმართ. კაცს გადაწყვეტილი ნაბიჯის გადადგმას

იწელად თუ ვინმე არ გადაადგმევინებს და მეც ვიფიქრე, მეფისწული სადილზე დარჩენაზე მაინც უარს არ ჰყოფს-მეთქი. თუ რამდენიმე დღეს აქ დარჩენა არ მოისურვა-მეთქი. სასანიანნი უკლებლივ ყველანი მოხარული არიან საქართველოს ტახტის მემკვიდრის ხანგრძლივი სტუმრობისა...

ქალი მოღიმარი სახით ამბობდა სიტყვას და მის მაცქერალ მეფისწულს გული უამდებოდა.

ვარაზ-ბაკური არავის დაერიდა თავისებური გულახდილობით და იას მოეხვია.

— აი, ია როგორია! — წამოიძახა ზვიადის ძემ. — ეს გახელებულ მტერსაც დაამარცხებს.

ვარაზ-ბაკურის ამ აღტაცებულ სიტყვებზე ყველას ეგონა, რომ მეფისწული უფრო გაკერპდებოდა, არ დარჩებოდა და გაუდგებოდა გზას, მაგრამ ყველა გაცრუვდა.

მეფისწული დაუყოვნებლივ მიხვდა იას გულწრფელობას. იგრძნო, იას უკანასკნელი ლაპარაკის შემდეგ გზას რომ გასდგომოდა, ყველას ეგონებოდა, მეფისწული ნაწყენი წავიდაო, მეფისწულს კი არ სურდა, ვინმეს ასე ეფიქრა, და სრულიად ძალდაუტანებლად ამოხ და პირიდან, დავრჩებიო.

9

მეფისწული დარჩა. მაგრამ ბაქარი უჯარმის ციხისთავი იყო და ციხისთავის მოვალეობამ აალაპარაკა. ჯვარპატიოსნობისას კეტტარელთა მტრული გამოსვლა მალე უნდა გაეგო ბაგრატ მეფეს და გაღაეწყვიტა მეფესთან ამ ამბის მისატანად ვარაზ-ბაკურისათვის მარჯვე და გამოცდილი გუგანი ეთხოვნა. ნინოწმიდელმა ყველანი სადილზე მიიწვია. ბაქართან მხოლოდ მირანდუხტი დარჩა. სადილს ველთამზე უნდა გასძღოლოდა. ბაქარმა ვარაზ-ბაკური შეაჩერა.

— რა გინდა, ბაქარ? — ჰკითხა ზვიადის ძემ სიძეს და ალერსიანად მხარზე ხელი გადაუსვა.

— რა მინდა და გუგანი უნდა დამითმო რამდენიმე ხანს, — უპასუხა ბაქარმა.

ვარაზ-ბაკურმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— გამოგიგზავნი! — უთხრა მოკლედ და განუმარტებლად და გარეთ გავიდა.

— ბაქარ! — მიმართა ძმას მირანდუხტმა. — პაპამ მალამო დაგიმზადა და ჭრილობაზე ვერ დაგადო. მე დაგადებ.

— მარტოკას გაგიძნელდება, ჩემო იავ! — უპასუხა ბაქარმა. — გუგანი მოვა და წაგეხმარება!

იამ გაიღიმა.

— რა საქმისათვის სთხოვე გუგანი?

ბაქარმა ხუმრობის კილოთი მიუგო:

— წამომსვას, ქალო! პაპა სულ იმას არ მეუბნება, შენ რომ ატან შენს თავს ძალას, წამოწევით ან გადაბრუნებით, ჭრილობას აენებო. გუგანი კიდევ გაუჭირვებლივ წამომსვამს თავისი ფიწლისებური ხელებით.

გუგანი შემოვიდა.

— უფლისწულო, რას მიბრძანებთ? — ჰკითხა შემოსვლისთანავე ვარა'ა-ბაკურის ყმამ.

— ჯერ მოდი, მომეხმარე, წამომსვი, რომ მირანდუხტმა მალამო დამადოს ჭრილობაზე, — მიაგება სიტყვა ბაქარმა. — ყველანი ახლა მეფისწულის მასპინძლობას უნდებიან. ონოფრე გადამეკარგა.

— წამოგსვამ კი არა, ხელში აგიყვან, უფლისწულო! — წამოიჭექა გუგანმა. — ოღონდ მიბრძანე. — მერმე მირანდუხტისაკენ მიიხედა. — აბა! უჯარმის დედოფალო, მზად ვარ, მოგეხმარო.

იამ სუფთა ნაჭერს წაუსვა მალამო, საბვევი დაამზადა და მერე გუგანს ანიშნა, ბაქარი წამოესვა. ქალმა დიდის სიფრთხილით და მოხერხებულად პერანგი მოაცალა ძმას. ჭრილობა შეუხსნა და გაუსინჯა, მრავალძარღვას მთლად მოესუფთავებინა და ვარდისფრად პრიალებდა.

— უფლისწულო! — დაირუხრუხა გუგანმა. — ძალიან კარგა მიდის შენი საქმე! მალე ადგები. ვენაცვალე ჩვენს იას. ერთი უყურე და როგორ კოხტად დაგადო მალამო. ერთი მაგის ხელებს უყურე! უყურე, როგორ გიხვევს! ქალია და ქალი, ნამდვილი ქვეყნის თვალი!... სწრაფად და ფრთხილად, სწრაფად და ფრთხილად. მე აქამდე, უფლისწულო, ერთი ცხრაჯერ მაინც გატკენდი ჭრილობას.

— შენი ფიწალა ხელები, ჩემო გუგან, მტერს უფრო მოუხდება, — უთხრა ბაქარმა.

— გაგიხარიან, დავჯმუჯნი შენს მტერს! ერთი ხელში კი ჩამივარდეს! მაგრამ, უფლისწულო, შენც მოგიხდა ახლა ჩემი ხელები.

— მართალი ხარ, მართალი! ჩემი თანამეცხედრე ველთაც ცხრა

წლისა რომ იყო, სწორედ მაგ ხელებით გიტარებია; აქ ახლა ისე წამომსვი ამოდენა ადამიანი, როგორც ცხრა წლის ბავშვი, ჭრილობის გაულიზიანებლად, ძალა არ დამდგომია და კიდევაც მოველით შენგან...

ბაქარი შეჩერდა, ყურადღებაც მირანდუხტზე გადაიტანა და ლაპარაკიც.

— აბა! მირანდუხტიც მორჩა ჩემი ჭრილობის შეხვევას, ვფიქრობ, ხვალ შევძლებ გაულას, თუ ჭრილობას ენებას არ მოვუტან ჩემი გავლით.

— ხვალ კიდევ უნდა იწვე! — ამცნო გადამწყვეტი კილოთი მირანდუხტმა.

— კარგი, გენაცვალე, კარგი! — დაჰყვა ხელად ბაქარი. — ოღონდაც შენ ნუ გაჯავრდები, ნუ გამიწყრები და რამდენსაც მეტყვი, იმდენ ხანს ვიქნები მწოლიარე.

ბაქარმა საღმრიანი ხელით მიიზიდა ტუჩებთან დის ხელები და მაგრა დაუკოცნა.

მირანდუხტმა ძმას თავზე აკოცა.

გუგანმა ისევ ბალიშზე გადააწვინა ბაქარი.

ბაქარი ისევ ალაპარაკდა.

— შენ, გუგან, შენაყრდი ახლავე! მირანდუხტ, სხვას ნურავის შემოუშვებ. შენ თვითონვე მოუტანე აქ ყველაფერი გუგანს. აქ შეექცეს და...

— წავალ და ჩემი უფლისწულის რაზმელებთან ვისადილებ, — შეაწყვეტინა გუგანმა სიტყვა ბაქარს.

ბაქარმა მტკიცედ თქვა, არაო, და გუგანს საწინააღმდეგო არა უთქვამს რა.

მირანდუხტი ნინოსეულ მხართოთახში გავიდა.

ბაქარმა დაიწყო:

— შენ, გუგანო, წახვალ ზემო დიდგორს, ბაგრატ მეფეთ მეფესთან წერილს გაგატან, შენი წასვლა არავინ უნდა იცოდეს, ვარაზ-ბაკური შენ არაფერს მოგთხოვს. ახვალ დიდგორს და აქეთ ნუღარ დაბრუნდები. იქ დაგვხვდი მე და ვარაზ-ბაკურს.

გუგანი გულმოდგინედ უსმენდა ბაქარს.

მირანდუხტი დაბრუნდა და ბაქარმა ლაპარაკი შეწყვიტა, გუგანმა პატარა ფეშხუმი დაიდგა წინ და ზედ მირანდუხტის მოტანილი სადილი დაილაგა.

— შენ შეექეცი სადილს, — უთხრა ბაქარმა ვარაზ-ბაკურის ყმას, — მე წერილს დავწერ.

მირანდუხტმა კითხვის თვალით შეხედა ძმას.

ეს იმას ნიშნავდა, შენ როგორ დაწერო.

— ნუ გეშინია, ჩემო იავ, მე თვითონ არ დაკწერ, — უპასუხა ბაქარმა დას. — მე გეტყვი და შენ დამიწერ.

მირანდუხტი ლოგინთან მიუჯდა ძმას და საწერად განეწყობა. ბაქარმა დაიწყო ნაწყვეტ-ნაწყვეტ თქმა:

„ქართველთა ტომია დიდ იმედს, დიდ ხელმწიფეს, აფსაზ-ქართველთა მეფეს, ერთგული ყმა, ძველთა მეფეთა ნათესავი, სასანიანთა ნატამალი ბაქარი ჯვარპატიოსნის წყალობას მოახსენებს და ულოცავს განძის მფლობელის ფადლონის მეკობრეთა ორი რაზმის მოსპობას: ერთისას — ჯვარპატიოსნობის წინადღეებში და მეორისას — ზედ ჯვარპატიოსნობის დღესა, როცა არავინ არაფერს მოელოდა. როცა ხალხმა ნახა ერთი სეირ-თამაში, დაესწრო მეორეს — ნაბადზე გადახტომას და მდინარის პირას თავი მოიყარა მესამე თამაშის — ადიდებულ იორში ცხენოსან რაზმების გასვლა-გამოსვლის საყურებლად, აღძრწენილ იქნა მტრის რაზმი, ექვსჯერ მეტი უჯარმის ციხოვანთა რაზმებზე...“

ბაქარი ატყობინებდა მეუღთ მეფეს ყველაფერს: თუ როგორ გაკადნიერდა სასანიანების მტრად გადაკიდებული იაზონ ცალქალამანიძე და ნინოწმიდელს თანამეცხედრედ სთხოვა ასული. ამცნო ის ამბავიც, რაც მოხდა უკანასკნელ დღეებში. ბოლოს ატყობინდა თავის დაჭრის ამბავს და პირდებოდა, მოკლე ხანში განკურნებული ხლებოდა თვითონ დიდგორზე ჩაფისწულთან ერთად. ბაქარი ამცნობდა მეფეს იმასაც, რომ პაპა ვაჩე მიართმევდა ნინოწმიდელის წერილს დამძახლების თაობაზე.

წერილი დაამთავრა და ბაქარმა გუგანს უთხრა:

— თუ რაიმე ხიფათს აუღო ალღო, წერილი მაშინვე მოსპე, ჩემო გუგან, და თავს რომ დაიძვრენ მტრის ხელიდან, ხომ გაიგონე, რასაც ვაწერინებდი, სიტყვიერად მოახსენე დიდებულ მეფეს ყველაფერი... იაზონი ახლა გაფაციცებით დაგეწყებს თვალ-ყურის დევნებას. რასაც წაიღებს, მაგასაც ვნახავთ, მაგრამ მის მუხანათობას რაც მეტი ნიადაგი გამოეცლება, უკეთესია.

იაზონი კი კვეტარში თავისი პალატის ზემო სართულში იყო პირქვე ტახტზე და გმინავდა დაჭრილი ლომივით. მარცხი მირანდუხტთან, აუზის პირას რომ დაემართა, მარცხი ონოფრესთან შერკინებისას, ონოფრეს თავსედობა მასთან წალკოტში შეხვედრისას, მარცხი ფად-

ლონის მეკობრეთა დიდი რაზმისა და დახოცვა ამ რაზმში მოქმედი მისიანებისა მეფისწულისა და ონოფრეს ხელით, გულს ჯოჯოხეთის ცეცხლს უკიდებდა. ხუმრობა ხომ არ იყო? დიდგვარიან ცალქალამანიძეს, რომელსაც თვით ბაგრატმაც საბრძოლველო ვერ გამოგლიჯა ხელიდან, გაღატაკებული სასანიანები სჯობნიდნენ. ყოველთვის ძველთა მეფეთა ნათესავად მოჰქონდა ამ გვარს თავი და სიამაყის მეტი არა შერჩენოდა რა, ქალი სთხოვა იაზონ ცალქალამანიძემ, იაზონ არგოელის ნატამალმა და იმათ პასუხის ღირსადაც არ გახადეს მისი თხოვნა. ახსენდებოდა იაზონს ეს ამბავი, ახსენდებოდა ონოფრე, მეფისწული, თავისიანების დახოცვა, თვალებში გაცოფებულის ნაპერწკლები უკრთოდა და სახეზე ალმური ედებოდა. შინაურთაგანი ველარავინ მიჰკარებოდა, რომელი ძმა შეჰბედავდა მასთან შესვლას?.. გუშინ შუადღის შემდეგ ჯვარპატიოსნიდან შერცხვენილი წამოსული გვარის უფროსი მზიურ შინ დაბრუნდა. გარინდებული დაეგდო ტახტზე და მას აქეთ ახლოს აღარავინ გაჰკარებია.

სადილობამ მოაღწია, როცა ბორგვით მოქანცულ იაზონს ძილმა თავი წაართვა. მაგრამ საშინელი სიზმრები არ ასვენებდნენ.

„აჰა, ვითომდა მირანდუხტი აუზთან მიდის გაბრწყინებული, გვერდით ოქროს იებით შემკულ საჭურველში მეფისწული მისდევს მორჩილივით, გადმოხედა ცალქალამანიძეს მეფისწულმა და თვალებით უთხრა: შენ რა ხარ, რაცა მე საქართველოს ტახტის მემკვიდრესაც ვერ შემიხედნია მირანდუხტისათვისო... ცალქალამანიძეს უნდა ეცეს მეფისწულს, მაგრამ მირანდუხტმა გადმოხედა და ადგილზე მიაჯაჭვა... აგერ, კოხიანი, გოდერძი! სისხლის აღებას მოითხოვენ. აჰაა, გულთფარი! გდია ივრის სანაპიროზე უჯარმის გასწვრივ მოკლული, უპატრონო, სისხლში გასვრილი! ყვავი დასჯდომია მის გვამსა და სწიწკნის!“

„როგორ მოსვლია ბაქარს, რომ არ დაუმარხია! — ფიქრობს სიზმრიანი იაზონი, — თითქოს იციან მაგათ მოყვრისა თუ მტრის დაჭრილებისა და მკვდრების პატრონობაო? ათი წლის წინათ არ იყო, უჯარმის გასწვრივ ვერენას გზაზე რომ დავეცი ჩემი ბრბოთი ვაჩეს, მის შვილიშვილს, ბერას, მათ რაზმებს და რევისა და მისი ხუთი კაცის ბრძოლაში გრიგალივით შემოჭრამ პირი მაბრუნებინა, დაჭრილები და დახოცილები უპატრონოდ მიმატოვებინეს და მათ გამარჯვებულებმა დაჭრილებსაც უპატრონეს და მკვდრებსაც?“ — იაზონს მხარში დაჭრილი და გაფითრებული ბაქარი აღემართა წინ.

„ჰო, დაჭრილა!.. აბა სადღა ეცლებოდათ მტრის მკვდრებისათვის? ვინ დასჭრაო? გუშინ ბურანში მყოფს ყურში ჩამეწვეთა: გულთფარმაო... ამას რას ვხედავ? აგერ გულთფარი, გაყვითლებული ქანდაკება, თავგაჩეხილი... რაო? სამარეს მოითხოვს, სამარეს...“

იაზონმა გაიღვიძა.

„მაშ სისხლია ასაღები! — წამოიძახა ცალქალამანიძემ. — ბიძაჩემი ყველას მერჩიენა!.. კოხიანი, გოდერძი!...“

თვალწინ გაურბინეს კვეტარის პატრონს მეფისწულმა, ონოფრემ. იცოდა კიდეც იაზონმა, რომ ამათი ხელით იყვნენ დახოცილნი ისინი.

„რა დროს მოდუნებაა? — განაგრძო ლაპარაკი ცალქალამანიძემ. — სამაგიერო გადასახდელი მაქვს!.. ვის გადავუხადო? სასანიანებს? ბაქარს, ნინოწმიდელს, ვაჩეს, ბაგრატის მომხრეთ?..

ცალქალამანიძე ფეხზე წამოდგა. იმ წარსულ თავის დამარცხებას არაფრად აღარ აგდებდა ახლანდელ დამარცხებასთან: მისი წერილი პასუხის ღირსადაც არ გახადეს სასანიანებმა!.. წერილის გახსენებაზე იაზონს მირანდუხტი აღემართა გონების თვალწინ.

„დამონებული ვარ, დამონებული! — აღმოხდა პირიდან ბოღმანარევი სიტყვები. — სასანიანებზე შურს ვერ ვიძიებ, ვერა! მირანდუხტი წინ მელობება. განა როდესმე მაპატიებს ეს ასული შურისძიებას, ხელთაც რომ ჩავიგდო?“

იაზონი ჯერ კიდევ სანამ მირანდუხტს ნახავდა, ხშირად ფიქრობდა: არ მომცემენ ქალსა სასანიანნი, მოვიტაცებო. დარწმუნებული იყო, მოტაცებული ქალი, გაიცლიდა ხანი, და გაჰყვებოდა ცოლად. მაგრამ თუ შურისძიებას მიჰყვებოდა, გრძნობდა, ქალი არავის არ აპატიებდა თავისიანის სისხლის დაღვრას.

იაზონმა ჯვარპატიოსნიდან წამოსვლისას გაიგო მხოლოდ, თუ რა ნაბიჯი გადაედგა მის ბიძას. რას ეტყოდა ამ ნაბიჯის გადადგმაზე ცალქალამანიძე თვითონ ნაბიჯის გადამდგმელს, თვითონ მასვე რომ მოეტანა ეს ამბავი, ვინ იცის! მაგრამ ახლა რომ შურისძიება უკუგდებულ იქნა, ეს უეჭველი გახდა. იაზონს ღრმად ჰქონდა ჩაჭრილი გულში სასანიანთა ასული. წელან რისხვისაგან გული უვარვარებდა და სისხლის აღება იფიქრა, მაგრამ მისმა რისხვამ მხოლოდ ჩაძინებამდე გასტანა. ჩაძინებისას სიზმარში მირანდუხტის ნახვამ და სასანიანებზე შურისძიების განზრახვამ გამოღვიძებულ იაზონს მირანდუხტი მკაფიოდ

აუსახა თვალწინ და მისი სიყვარული უფრო ძლიერად აღეგზნო გულში. აქამდის თუ გრძნეულად ელანდებოდა სასანიანთა ასული, ახლა მხოლოდ სიყვარულის ღვთაებად ესახებოდა.

დიდგვარიანი იაზონი არ ერიდებოდა არავითარ საქმეს თავისი გვარის გასაძლიერებლად. არ ერჩეოდა იმ დიდგვარიანებში, რომელთაც ახსოვდათ მხოლოდ ჯერ თავისი თავი, შემდეგ თავისიანი, და სხვა რამ სიკეთე აინუნშიაც რა მოსდიოდათ. მაგრამ იაზონი მაინც იმიჯნებოდა მათგან ზოგი რამ თვისებით. რაც უნდა გაჭირვება მოსდგომოდა კარს, ცალქალამანიძეს მაინც თავისიანებს ვერ გააწირვინებდა. სხვა მისი წრისა ამას არ დაგიდევდა, გაჭირვებისას თავისიანებსაც არ დაინდობდა. იაზონს კიდევ სიყვარული შემოგზნებოდა. ამგვარად უყვარდა ქველიძის ქალიც. სიკვდილმა მოსტაცა და გული სევდამ დაუწყლულა. დრომ განვლო, წლებმა გაირბინეს და წყლულის ნაბრძვილიღა დარჩა გულში ცალქალამანიძეს... მგოსნებმა მირანდუხტი შეაყვარეს, ჯერ მისგან არნახული. ქალის ნახვამ კი იაზონი სიყვარულის ტყვედ აქცია. ბიძას გულთფარს სწამდა გაჭირვებიდან მისი დახსნა და საქმე წააგო. თვითონაც დაიღუპა თავი და იაზონსა და სასანიანთ შორის უფრო მაღალი გადაულახავი კედელი აღიმართა.

„ბიძაჩემმა საქმე გამირთულა“, — წაილაპარაკა იაზონმა თავისთვის და შუბლი მოიღუშა.

ძნელად თუ ვინმე მიხვდებოდა, რას იზამდა ეს კაცი. გონების თვალით შორს სადღაც იცქირებოდა.

იაზონი ადგილიდან დაიძრა. ქვედა სართულში ჩავიდა. ძმებს აქ თავი მოეყარათ და დაბალი ხმით ლაპარაკი გაებათ. იაზონზე ჰქონდათ მსჯელობა. დაინახეს იაზონი ძმებმა და დუმილს მისცეს თავი. ყველანი ზეზე წამოდგნენ. ელოდნენ, რას იტყოდა მათი უფროსი ძმა.

— მიცვალებულები მონახეთ! — თქვა უტეხი კილოთი იაზონმა და ღერემანარევი კილოთი დასძინა: — გოდერძი ძმაა ჩვენი... ბიძაჩვენია გულთფარი... იმან გაგვიწია მამობა... კოხიანი ფეხდაფეხ მოგვდევდა...

— გადავუხდით! — წამოიძახა აეთმა. — არაფერს შევარჩენთ, გინდ მეფისწული იყოს, გინდ... — აეთი შეჩერდა უნებლიეთ. მისი თანამეცხედრე შემოვიდა.

ქალის დანახვაზე იაზონს თვალწინ მირანდუხტის ლანდმა გაურბინა და თავი მოხარა.

— არ შერჩენაზე, შურისძიებაზე ფიქრობენ ჩემი ძმები! არ გრძნობენ, არა, რასაც მომიტანს მე პირადად ეს შურისძიება. სიძულვილით დამხვდა მირანდუხტი უცნობ პირს, ზარადჩამოყარებულს, აუზთან... შური იძიონ ჩემმა ძმებმა, ეს იმას ნიშნავს, პირიდან ზარადი ჩამომგლიჯონ, ეს იმას ნიშნავს, რომ მონაწილედ ვაღიაროთ ჩვენი თავი ფადლონის რაზმის თავდასხმაში ჯვარპატიოსნის კარს უჯარმაზე. ეს იმას ნიშნავს, რევის ასულს სიძულვილი ურყევ ფუძეზე დავუმყაროთ, — ყრუდ ჩაიცინა ცალქალამანიძემ.

უმცროსი ძმები მხოლოდ შესცქეროდნენ უფროს ძმას, შეკითხვას კი ვერ უბედავდნენ. უფრთხოდნენ: არა ვაწყენინოთ რაო. აეთმა შურისძიებაზე დაიწყო ლაპარაკი და შეატყვეს, თითქოს არ ესიამოვნა იაზონსაო. აეთიც შეკრთა.

ძმათა ხმის ნაცვლად იაზონს რძლის ნაზი მთრთოლვარე ღუღუნა ხმა ჩაეწვეთა ყურში.

— ჩემო მაზლო! გუშინდელს აქეთ შეუნაყრებელი ხარ. იქნებ ინებო და რამე მიირთვა?

იაზონმა უარის ნიშნად თავი გააქნია და რძალს რომ არ სწყენოდა მისი უარი, თავზე ხელი ალერსით გადაუსვა.

ძმებს უნებლიეთ განცვიფრება აღებეჭდათ სახეზე.

იაზონს კი თვალწინ ისევ მირანდუხტის ლანდმა უწყო ტრიალი. ხუთი წლის ბავშვმა შემოირბინა დარბაზში და ლანდი გაქრა. გაისმა ზარივით წკრიალა ხმა.

— მამა, მამა! — მიმართა ბავშვმა იაზონ ცალქალამანიძეს. — შენთან არ შემომიშვეს: გაჯავრებულიაო. ხომ შენი ვარ? შენ არ მეტყვი ხოლმე, ჩემი ვაჟი ხარო

ბავშვის უმწიკვლო ხმა მამას გულს ჩასწვდა, თვალები გადაეწმინდა, შუბლზე შეეული ნაოჭები გაუშალა.

ცალქალამანიძეს ეს ბავშვი შერჩენოდა ქველიძის ქალისაგან. პირიმზეს პატარა წათე თითქოს თავის მოსაგონებლად დაეტოვებინა იაზონისათვის და იაზონიც წათეს, როგორც სახსოვარს, ისე უცქეროდა. წათე ახსენებდა მამას თავის განვლილი სიყვარულის ვაების წუთებს: პირიმზისათვის ქველიძეებთან ჩატარებულ ბრძოლას, პირიმზის გატაცებას ბოჭორმიდან წმიდა გიორგობას, სწორედ მაშინ, როცა ვეჟან ქველიძე არაფერს ასეთს არ მოელოდა. კარგა ხანს არ ნებდებოდა მოტაცებული

ქალი იაზონის ცოლობას. პზარობდა ცალქალამანიძის ქმრად ყოლას. იაზონს მთელი წელიწადი ჰყავდა გამომწყვდეული. სურდა ამით თავისი გაეტანა. ეწვეოდა ხოლმე ქალს სენაკში და ემუქრებოდა, შეურაცხგყოფ, თუ თანამეცხედრეობაზე არ დამეთანხმებიო. ქალი კერპობდა. ალქაჯი გამოდგა ქველიძის ქალი, ნამდვილი ალქაჯი.

მამაკაცის ხვევნამ ვერ აღუგზნო ქალური ვნებანი, მხოლოდ და მხოლოდ ზიზღი აღუძრა. იაზონმა კიდევ აცადა. არამცთუ აცადა, თავისუფლებაც მისცა. ნება დართო გარეთ სიარულისა. ქალმა შეება იგრძნო: იფიქრა, ჩემი გაიტანე და იქნებ როგორმე გავეცალო კიდეც ამ ჩემს მტანჯველსაო. მაგრამ მალე დაინახა, რომ კვეტარიდან ვერსად წავიდოდა. ყურში ჩაეწვეთა პირიმზეს დარხეული ხმა: იაზონმა ქველიძის ქალი სასად გაიხადა ღა კიდეც იმიტომ თავისუფლად დადის ქალაქშიო. ამ ხმამ გული მოუკლა პირიმზეს, ვაიმე დედავ, თავი მომეჭრა უდანაშაულოსაო, იძახდა გულში. რომ გავიპარო, ვინ დაიჯერებს ჩემს უმანკოებასაო. წარამარა მდუღარება სცვიოდა თვალთაგან. ვეჟანის დაი ბოლოს იძულებული გახდა, დასთანხმებოდა იაზონს ცოლობაზე თავისი სახელის გამოსწორებისათვის. ცალქალამანიძემ და ვეჟან ქველიძის დამ ჯვარი გადიწერეს. ქალი ბედს დაემორჩილა, მაგრამ ამ დამორჩილებამ დააავადა და გარდაიცვალა. პირიმზემ იაზონს სამი წლის ვაჟი დაუტოვა.

ორ წელიწადს გაევლო, რაც იაზონი ქვრივობდა. შვილს, თუმცა რამდენადმე მკაცრად, მაგრამ მაინც სიყვარულით ექცეოდა. მისი არაჩვეულებრივი წკრიალა ხმა გულს უხიბლავდა მამახ. სწორედ ამ ხმამ გამოარკვია ახლაც. ბავშვი ხელში აიყვანა და მკერდზე თავი მიაყრდნო, თითქოს ამგვარად მოისურვა ფიქრთა უსწორმასწორო დენის შერერებაო. ძმებს ერთხელ კიდევ მიმართა, სიტყვა ესროლა, მიცვალებულები მონახეთო, და დარბაზი დააგდო, — გარეთ გავიდა ბავშვიანად.

სასახლის წინ გარეთ მყოფნი შინაყმანი იაზონის დანახვაზე აქეთ-იქით გალაგდნენ: იაზონის თვალის დაკერას გაურბოდნენ. მას კი არავინ შეუნიშნავს. დარბაზიდან გამოსულს ისევ შვილის მკერდზე ჰქონდა მიყრდნობილი თავი. პატარა ხანგამოშვებით მშობელს თავს უკოცნიდა.

— მამავ, ხომ გიყვარვარ? — ჰკითხა ბავშვმა.

იაზონმა შვილის მკერდს თავი მოაშორა, თვალებში ჩახედა, აკოცა და უპასუხა:

— ჰო, შვილო, მიყვარხარ.

ბავშვმა ლოყაზე ალერსიანი ხელი დაადო მამას.

იაზონმა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ პირი იბრუნა და ბიჯი გადადგა: ტაძრისკენ მოიწადინა გადანაცვლება, ტაძარს მიახლოებულს ტანში ჟრუანტელმა დაურბინა. გაახსენდა, ჯვარი რომ დაიწერა ქველიძის ქალზე.

— მამა! — წამოიძახა ბავშვმა. — გამზრდელი მეუბნება, აი იქ დედაშენი წევსო, — პატარამ ჟამთა მსვლელობით დაპატარავებულ ბორცვზე მიუთითა.

— ჰო, შვილო, დედის სამარეა, — უპასუხა იაზონმა და ბავშვი ძირს დასვა. — წადი გამზრდელთან.

ბავშვმა შეშინებული თვალით შეხედა მამას. პატარას ეგონა, არ ვასიამოვნეო. იაზონმა დაინახა, რომ მის წათეს შიში დაეუფლა და დაუყვავა.

ბავშვს გული მოეცა:

— მამა, სალომე გამზრდელმა ქადა გამომიცხო, — გაისმა მისი წკრიალა ხმა. — მოგიტანო?

— წადი, შვილო, მომიტანე.

ბავშვი გახარებული გაიქცა, იაზონს ცოლის სამარეს დაუწყო ცქერა და ბოლოს თავისთვის წაილაპარაკა:

„სულ ამ საცოდავსა ჰგავს ჩემი ნატამალი. მაგის გულკეთილობა გამოჰყვა. მე არა და, სხვას ვისაც კი დაინახავდა ეს საცოდავი დაღონებულს, გამწარებულს ცხოვრებით, გულს უყუჩებდა. იმედს უნერგავდა. მე? როგორ მეპყრობოდა?.. რაკი დათანხმდა ჩემთან შეუღლებას და შემიუღლდა კიდეც, გამბედავი ჩემს შიშს არ გრძნობდა. სულ პირში მებმოდა, თუ რამე სიმრუდეს შემამჩნევდა. რამე სიმრუდეს-მეთქი ისე ვამბობ, თითქოს იშვიათად ჩამედინოს სიმრუდე. ცხოვრება მრუდეა და ცალქალამანიძეებიც მრუდედ იქცევიან. სხვა დიდგვარიანები მეკობრობენ, ჩვენც ვმეკობრობთ. ცხოვრება მრუდეა, სიმრუდეს თუ არ ჩავიდენთ, დაგვიბრიყვებენ... სხვა ტაციაობდეს, ჩვენ გულხელდაკრეფილები უნდა ვისხდეთ? ბაგრატ მეფე ქართველ ტომებს აერთებსო, გაიძახიან სასანიანნი. ესწრაფის ერთი მთლიანი ქართველი ერის შექმნასაო. დიახ, ესწრაფის! თითქოს ესწრაფის, ნამდვილად კი სამკვიდრებელს იდიდებს. ისეთსავე ტაციაობას ეწევა აფხაზეთ-ქართველთა მეფე, როგორსაც ყოველი ჩვენგანი დიდგვარიანი, მეკობრედ მონათლული. მაშ, მეფეც ისეთსავე სიმრუდეს ეწევა, როგორსაც ყოველი ჩვენგანი... მაგრამ

სიმრუდის ჩადენასაც ჭკუა უნდა. აი, ახლა ბიძაჩემი უჭკუოდ მოიქცა. დაიღუპა. მე მთლად შემიკრა გზა: სასანიანთ როგორღა მივეკარები? მათ სიფხიზლეს ხომ საზღვარი არ ექნება?.. სიფხიზლე და სიმარჯვე არ აკლდა ბაქარს, მაგრამ ახლა უფრო გაასკეცებული ექნება, მერმე მისი მამა, ნინოწმიდელი მღვდელმთავარი და ამავე დროს უებარი მეომარი! ბიძაჩემს, ეტყობა, ზავის დარღვევა სწადდა აფხაზ-ქართველთა და კახთ მეფეს შორის, არევ-დარევის გამოწვევა ჩვენს ქვეყნებში და ამგვარად მღვრიე წყალში თევზის ჭერა... მირანდუხტ სასანიანი მღვრიე წყალს აგრე ადვილად ვერ მოჰყვება...“

იაზონი მოსცილდა ცოლის სამარეს და კვეტარის მთავარი ციხის უმაღლეს კოშკს ბანზე მოექცა. გადახედა კვეტარის მიდამოებს და შვება იგრძნო დამძიმებული გულისა თვისმა სამფლობელომ თვალი წაართვა, პატრონი აალაპარაკა:

„განა ბაგრატი აიღებს როდისმე ცალქალამანიძიანთ ციხე-სიმაგრეს?.. ისეა აზიდული კვეტარის ფუძემთა ილტოსა და ხევგრძელას შესართავთან და წასული მაღლა, რომ აღმოსავლეთიდან მდგარი მტერი ვერას დაგვაკლებს: შორს დავინახავთ ჩვენს ამომღებს მიზანში. ალაზნის ველი ხელისგულივით გადაშლია თვალს. ილტოსა და ხევგრძელასკენ ღონივრად დაქანებულ კალთებს ამოელა არ უნდა განა? სცადოს მტერმა ერთი, სცადოს!“

ახლა ჩრდილოეთითა და სამხრეთით გაიხედა და გაიღიმა. სამხრეთითა და ჩრდილოეთით მის კვეტარის ფუძეს ამოსდგომოდნენ ღონივრად კალთებდაქანებული მთები.

ცალქალამანიძემ კვეტარის ფუძემთის დასავლეთს გახედა. მთის კალთა თიანეთისაკენ აღმართ-აღმართ მიმავალ გზას შეერთებოდა. სამმხრივ თითქმის მიუდგომელი კვეტარის ფუძემთა დასავლეთიდან მტრისათვის მისადგომი ხდებოდა, მაგრამ მტრისათვისვე სავალალოდ. ციხე-სიმაგრე კვეტარს მიუვალი კედლებით შექმნილი ძლიერი მკლავები ღონივრად შემოეხვივნა თავისი ფუძის სამხრეთ ფერდობზე ჩაფენილი ქალაქისათვის და მკერივი ბურჯები აემართა გამბედავი მომსველელის მუქარად.

იაზონმა ისევ ალაზნის ველს გახედა. ალაზნის ველი მუდამ თვალს სტაცებდა ხოლმე მას. რას შეედრებოდა მისი მცირე კვეტარი დიად დედოფალს, რომელსაც მოდარაჯედ ერთ მხარეს თვით კავკასიონი და მეორეზე — ცივგომბორი აემართოდა.

„დიახ, დიადი დედოფალია! – გაიცლო გულში ცალქალამანიძემ. – რატომ ბაგრატი უნდა დაეუფლოს ამ მშვენიერ მხარეს და არა სხვა ვინმე? რატომ ბაგრატიანები და არა სხვა გვარი? კოლხეთის მეფის ჩამომავალი ვარ. რატომ ცუნდრუკი აღსართანი უნდა ფლობდეს სამოთხის იერის მქონე მხარეს?! – იაზონმა თვალები უცბად გააელვა და ბანს ფეხი დაჰკრა: – რატომ მეფისწული უნდა დაეუფლოს მზეთამზეს და არა მე?“ – ხევგრძელაზე მომდგარ უზარმაზარ მთებს დაჟინებით დაუწყო ცქერა. თითქოს მოისურვაო მათი ხორციელი თვალით განჭვრეტა და მათ იქით უჯარმის დანახვა.

დიდხანს უმზერდა იაზონი მიზანში ამოღებულ მთებს. მთები ლოდებად ედებოდნენ გულს. საპყრობილის კედლებად ელანდებოდნენ ბორგვნილ ადამიანს.

ხორციელი თვალი დახუჭა იაზონმა და გონების თვალი აამოქმედა. გონების თვალმა უჯარმა დაუსახა და დაანახვა წალკოტის აუზი, ჯვარპატიოსანი.

„ნეტავი ფეხი გამხმობოდა და ჯვარპატიოსანს არ წავსულიყავი! – გამოთქვა სინანული. – გამინელდებოდა მგოსანთა ქებისაგან გულში ჩავარდნილი სიყვარული სასანიანის ასულისა და ვიქნებოდი ისევ იაზონ ცალქალამანიძე, თავის თავის კეთილი ცხოვრების მაღმერთებელი. ახლა?.. ახლა უნახავად ჩემს გულში ჩავარდნილი, ვნახე მირანდუხტ, ბორკილად მექცა... ქველიძიანთ ქალსაც ხომ პირიმზეობა მოსდგამდა, პირიმზესაც ეძახდნენ სახელად. რითია იადხმობილი სასანიანი იმაზე მეტი... ჩემი პირიმზე, პირში მთქმელი ავისაცა და კარგისაც. აი, ქალი ვინ იყო! – გაიცლო გულში იაზონმა. – ერთი ეს არის, ვერ აითვისა, რომ ცხოვრება ტაციაობაზეა დამყარებული და ის კი სულ კეთილი საქმისაკენ მიმითითებდა. ადამიანის შებრალებასა და სისხლის ღვრის შეჩერებას მოითხოვდა. შებრალება მეც ვიცი, მაგრამ თუ ეს შებრალება ზიანს მოუტანს ჩემს სიცოცხლეს, მუდამ მზადა ვარ, უკუ ვაგდო ეს შებრალება. მე განვაგრძობდი ჩემსას და კიდევაც განვაგრძობ, ის თავისას მიმეორებდა... ბევრი გამაგდებინა ხელიდან დასასჯელად გამწესებული... მთელმა კვეტარმა შეიყვარა... ვერ ეწყობოდა მხოლოდ ჩემს ძმებს... მეც მიყვარდა, ძალზე მიყვარდა... რად დამიმონა ახლა მირანდუხტმა? ვუცქერი სასანიანის ასულს... დიახ, ლამაზია, მაგრამ სილამაზით არც პირიმზეზე

და არც ველთამზეზე მეტი არ არის... გუშინ არ ვნახე? ზვიადის ასულს ველთამზეს, მირანდუხტის რძალს პირსახეზე ნათელი სული უმეტყველებს. პირიმზეც ხომ ასეთი იყო, ვუცქერი, ვუცქერი მირანდუხტს და ვერას ვუგებ: მისი სახე მუდამ გამოუცნობი ამოცანაა, სხვა არაფერი. პირზე ცხადი მზე არ ულიმის ქალს და ხალხმა მზეთამზეც კი უწოდა იადხმობილს... ბევრს, ბევრს ჩაეჭრა გულში სასანიანთა ასული. მის მნახველს სხვათა აღარავის მზერა აღარ სურს არა, არა! არც მე მინდა სხვას ვუმზირო, აღარც მე მინდა!...“

ხორციელი თვალი გაახილა ცალქალამანიძემ, ისევ ალაზნის ველს გააყოლა და თვალს სიტყვებიც დაადევნა: „დიად დედოფალს შეჰფერიხარ, ალაზნის ველო, და ამ დედოფლად მოგიელენს შენ ცალქალამანიძე მირანდუხტს, იადხმობილ მზეთამზეს... ჩემს წინაპრებში მეფენი იყვნენ აეთი კოლხთა მბრძანებელი და გმირი იაზონ არგოელი...“

ყურში ვიღაცამ ჩასჩურჩულა ცალქალამანიძეს: მეკობრე ბერძენი, მეკობრე ბერძენი, სასიმამრო რომ გაქურდაო, გრძნეული მედეას მუხანათობით გამარჯვებას რომ მიაღწიაო...

იაზონი შეკრთა: სწორედ მუხანათობას უკიჟინებდნენ სასანიანნი მუხანათობა არ იყო გუშინ? თავს დაასხეს უჯარმელებს ფადლონის დიდი რაზმი ბიძამ გულთფარმა, კოხიანმა და გოდერძიმ?

„მერე მკითხეს?“ — წამოიძა გაბრაზებულმა იაზონმა.

„შენ ჩვეულებრივ მოქმედებას ნირი არ შეუცვალეს“, — ჩაეძახა ყურში იაზონს და ამ ჩაძახებამ კამეჩისებური თვალები უფრო გაუფართოვა.

მწარედ ამოიგმინა. მის გმინვას კი წკრიალა ხმა მოჰყვა, ალერსიანი, მთრთოლვარე, შიშნარევი:

— მამა, დაჭრილი ხარ?..

იაზონმა პატარა წათე დაინახა, მოშორებით ქვაზე მჯომარე, დაღვრემილი თვალებით მაცქერალი. მუხლზე ქადა ედო ბავშვს.

— შენ აქ რა გინდა! — ჰკითხა მკაცრი კილოთი.

ბავშვი წამსვე წამოდგა და კიბისაკენ უსიტყვოდ მიტრიალდა. მაგრამ იაზონმა ხელი წაავლო და აღარ გაუშვა. ბავშვის უსიტყვობამ, არაჩვეულებრივი სიყვარულით სავსე მორჩილებამ სიმკაცრის ნიადაგი გამოაცალა მამას. შვილი გულში ჩაიკრა. სულ სხვა კილოთი დაუწყო ლაპარაკი.

— შვილო, როგორ ამოხვედი ამ სიმაღლე კიბეზე! რომ დაგორებულიყავი მერმე? გიყვარვარ, არა?..

— მიყვარხარ, მამა, მიყვარხარ — დაიწყო ყელში მომდგარი ტირილით. — აი, ქადა მოგიტანე შენ მითხარი მომიტანეო...

— მერმედა რატომ ძირს არ დამიცადე?

— გიცადე, მამა, გიცადე! ბევრი, ბევრი გიცადე! დედასთან ვიჯექი. მერმე აქ მოვედი. პური ეშიება მამას-მეთქი. გეძინა. აქაც ბევრი გიცადე.

იაზონმა ახლახანღა მიაქცია ყურადღება, რომ მართლა კარგა ხანი გასულიყო მას აქეთ, რაც ხორციელი თვალი დაეხუჭა და სულიერი თვალით ათვალიერებდა ჯვარპატიოსანსა და აუზს სასახიანთა წალკოტის და ამ ადგილებში მის თავს დატეხილ ამბავთა სურათებს. სამხრობას თავისი ყავლი გაევლო და მზე დასავლეთისაკენ იწვერკბოდა.

შვილს უარი ვეღარ უთხრა. ქადა გატეხა, ერთი წილი წათეს მისცა და მეორე შვილის სურვილით თვითონ შეჭამა. წათემ რომ დაინახა მამას ქადა გაუთავდაო, თავის წილს ნახევარი მოტეხა და კიდევ შესთავაზა. იაზონმა ამაზედაც ვეღარ უთხრა უარი.

მერე ფეხზე წამოდგა. აღარსაითკენ მიუხედნია და შვილიც ხელიდან აღარ გაუშვია.

— მამა, ცხენს მაჩუქებ? — შეეკითხა მოულოდნელად წათე.

— მაშა, მაშა! — უპასუხა იაზონმა და კიბისაკენ ნაბიჯები გადადგა.

— მხედარი მინდა გავხდე, — დასძინა ბავშვმა თავის ნათქვამს. — შენ რომ დაგჭრა, ის უნდა მოვკლა.

იაზონმა ბავშვს თვალი შეავლო. კმაყოფილება იგრძნო და გაიღიმა.

„ჩანს, ჩემიც მოსდგამს. — თქვა გულში, — მარტო დედისა არ ყოფილა“. — ბავშვის თავი მკერდზე მიიყრდნო. ისიც ხელთ შემოეჭდო კისერზე.

იაზონმა ჩაიარა კიბე, გაუარა გვერდზე ცოლის სამარეს, პატარა ტაძარს და მალე პალატის დაბლა სართულის დარბაზში ფეხიც შეადგა. შიგ რძლები დახვდნენ. უფროსი მაზლის დანახვაზე რძლებს მორიდების დიდი იერი აღებეჭდათ სახეზე.

— სად არიან ჩემი ძმები? — ჰკითხა იაზონმა.

— წავიდნენ მიცვალებულების მოსანახად, — უპასუხა აეთის ცოლმა და თან დაურთო: — დასვი, ჩემო მაზლო, ბავშვი და ისამხრე!

ბავშვი მამას ხელში შეუკრთა, მამა დამსვამს და თავს დამანებებსო. მაგრამ იაზონმა რძალს უარი უთხრა სამხრობაზე და წათე არ მოიშორა.

ხელში აყვანილი ბავშვითურთ აიარა ზემო სართულში ამავალი კიბეები და დარბაზს თავი შეაფარა. აქ, ტახტზე მდებარე სასთუმალზე მიდო თავი, შვილი გვერდით მოიწვინა და ბავშვის ნაზი მოპყრობით დამშვიდებულმა ძილს მისცა თავი. მამის ძილი ბავშვსაც გადაედო, მაგრამ მაინც მამაზე წინ ვამოელვიძა. გაღვიძებულს ზეზე წამოდგომა არ უფიქრია. მამას დაუწყო თვალიერება. სახეზე ალერსიანი ხელი მოუსვა და მოწიწებით შუბლზე აკოცა. მარჯვენა ხელი ბეჭზე მოხვია და მკერდზე მიანდო. იაზონმა გამოიღვიძა და თვითონაც მიუალერსა შვილს.

დაბლა სართულიდან ხმაურობა ამოიჭრა, იაზონი წამოდგა.

„რა ადრე დაბრუნდნენ", — იფიქრა მან და სარკმელს გახედა.

სარკმელიდან ღამის ლანდები იცქირებოდნენ. დღის სინათლეს სული ეხუთებოდა.

იაზონმა თავის პატარა ისევ ხელში აიყვანა და დაბლა სართულს მიმართა.

ძირა დარბაზში რძლებს, ძმებს და სხვა შინაურებს თავი მოეყარათ. უჯარმის მიდამოებში აქ-იქ მიმალულ იაზონის რაზმელებს ეზრუნათ გულთფარის, გოდერძისა და კოხიანის გვამების გადასარჩენად, მოენახათ წუთისოფელს გამოსალმებული თავისიანები და წამოეღოთ კვეტარისაკენ, მიცვალებულთა საძებნელად წამოსული იაზონის ძმანი შუა გზაში შეჰყროდნენ ჭირისუფალ რაზმელებს.

ზემო დარბაზიდან იაზონის ჩამოსვლამ სწრაფ მიაყუჩა მითქმა-მოთქმა. მომტირალი არავინ ჩანდა: მიცვალებულებზე მზითუკან ცრემლის ღვრა ავ მოვლენად ითვლებოდა.

იაზონმა შვილი გარეთ გაიყვანა.

— ნეტავი რას აუკვიატნია ჩემს ძმას ქველიძის ქალის ნასხლეტი! — წამოიძახა გუდანმა.

— ჩუმად! — დაუტია აეთმა ძმას.

— რა ჩუმად? — წაესარჩლა თავის ცალს გუბაზი. — მიცვალებულს მოვლა არ უნდა, თუ რა არის?.. სხვა რომ არ იყოს რა, მაგის საყვარელი ბიძა იყო გულთფარი.

გუბაზი და გუდანი, თუკი უკმაყოფილებას იგრძნობდნენ, არასდროს ყაყანს არ დაახანებდნენ ხოლმე, სხვა ძმებში მითქმა-მოთქმას იწვევდნენ. სხვა ძმები პირველ ტყუპ ძმას წამსვე ბანს აძლევდნენ. გუდანსა, მის ცალს

და მსგავსს ყველაფერში — გუბაზს არ მოსწონდა იაზონის გატაცება არც ქველიძის ქალით და არც ქველიძის ქალის ნაშობით, რაც კიდეც ამხილეს იაზონის ზურგთუკან. პირში თქმა არ მოსდგამდათ. ომში ორნიცე გამბედაობას იჩენდა. თუ იაზონს თავის გვერდით ხედავდნენ, ბრმად გაჰყვებოდნენ ბრძოლაში, სიკვდილს არ ერიდებოდნენ. ხშირად დაჭრილან. ბრძოლაში იაზონის არ ყოფნისას კი ორთავეს ორჭოფობა დაეპატრონებოდათ. აეთი ხშირად იაზონის შემცველელად გამოდიოდა ყველგან და ამ ახირებულ ტყუპ ძმებს სულ მუდამ უტევდა, ძალად ამოქმედებდა.

ცალად დაბადებულ ბედურს კაცი ვერას მიუხვდებოდა. ბრძოლიდან დაჭრილად გამოსული ის არავის უნახავს ჯერ. ჰყავდა თუ არა გვერდით იაზონი, სულ ერთი იყო მისთვის, მაინც ბრძოლაში ჩაბმას თავისი სასწორით სწონიდა და ისე ასერხებდა ამას, რომ იაზონი თითქოს ვერ ხედაკა. ბედურს საყვედური არასდროს არ მიულია იაზონისაგან. გამჭრიახი თვალის მქონე ჭაბუკი მოპირდაპირეს სუსტს ირჩევდა და თავისზე ძლიერს არ შეებმოდა.

ცალქალამანიძეთა მეორე ტყუპი ძმები, იაზონს თუ ხედავდნენ გვერდით, ხმაამოუღებლივ იბრძოდნენ, არადა გაუღიზიანებლად ბიჭსაც არ წასდგამდნენ. აეთს თუ მარტო უხდებოდა რაზმის გაძღოლა, ძვირად უჯდებოდა ლომინისა და ვეფხვას გვერდით ყოლა. ამათი დაძვრა ერთ ორომტრიალს იწვევდა რაზმში: ერთიცა და მეორეც ვისმე უნდა როგორმე გაეღიზიანებინათ. გაღიზიანებულნი კი ორნივ გამძვინვარებულნი იჭრებოდნენ ბრძოლაში და არ ინდობდნენ მტერს.

მესამე ტყუპი — აფთარი და ფოცხვერა ფანდებით იბრძოდნენ. მათთვის სულ ერთი იყო: ვინ იყო წინამძღოლი: იაზონი თუ აეთი, ოღონდ ბრძოლა კი ყოფილიყო...

აეთი ყოველთვის იაზონის ქცევებს იმეორებდა ხოლმე. ერთი რამ აკლდა ამ ცალქალამანიძეს იაზონისა: უიაზონოდ ძმებს ვერ იმორჩილებდა. აი, ახლაც დაუტია გუდანსა და გუბაზს და ვერას გახდა. ამათ თავისი განაგრძეს.

— ჯერ იყო და, — დაიწყო გუდანმა, — ქველიძის ქალს ბევრი ჩვენიანი შეაკლა; მოიყვანა და ისე სათუთად ეპყრობოდა, თითქოს ციდან მოვლენოდესო... ახლა სასანიანთ ქალს გადაეკიდა

— მაშა, მაშა! — ჩამოართვა სიტყვა გუბაზმა. — ბიძაჩვენი მაგისთვის

დაიღუპა და, ვითომ აქ არაფერიაო, აუყვანია წათე და ხელიდან აღარ უშვებს. რაღა ახლა გაუსკდა შვილის სიყვარულის პარკი?!

— რა სიყვარულის ღირსია ქველიძის ქალის ეგ ნაშიერი?! — წამოიძახა ლომინმა. — ცალქალამანიძიანთ სრულიად არ გვგავს.

— შენ რომ დაგემსგავსოს, რას მოიგებს განა? — გაჰკრა კბილი ცალად დაბადებულმა ბედურძა.

ვეფხვა წაესარჩლა ლომინს.

— აბა შენ რას მოგეწონება ლომინის ნათქვამი! ჯერ თვითონ უნდა ჰგავდე ცალქალამანიძიანთ, რომ სწორე თქვა რაძე.

— რაკი შენ, დამთხვეულს, არ გგევარ! — შესთავაზა სამაგიერო ბედურმა.

— რას ატყდით?! სირცხვილი არ არის?! — მიმართა წაკიდებულ ძმებს აეთმა. — სამ-სამი მიცვალებული წ.ნ გვიდევს! ბარემ თქვენც ალაპარაკდით რაღა? — მიმართა აეთიმ ახლა აფთარსა და ფოცხვერას.

ერთსაცა და მეორესაც თავიანთი სეხნა ცხოველებისებურად მილულოდათ თვალები და თითქოს მათ ყურსა და თვალს არა ხვდებოდა რა.

აეთის თქმაზე აფთარს თვალები აუელ ვარდ.ენ.

— არის სათქმელი და ამბობენ! — ხრინწმოდებული მჭახე ხმით წამოიძახა მან.

თვალები ფოცხვერასაც აუელვარდნენ. ცალმა თავის ცალს დაუტია.

— ნეტავი რა ხმასა სცემ! ან ეგენი, — სხვა ძმებზე მიუთითა: — რას ენამასწარობენ? დიდი საქმეა, მე შენ გითხრა, იაზონმა თუ ბიძას არ დახედა, ან იმ ორს... — კოხიანსა და გოდერძიზე მიუთითა. — დაიხოცნენ, დაიმარხებიან. დავიხოცებით, დავიმარხებით. მოკვდება აეთი და დავმარხავთ, მოკვდება... უცბად ფოცხვერა შეჩერდა. თვალები მოლულა. იაზონი შემოვიდა. სიჩუმე ჩამოვარდა.

უფროს ცალქალამანიძეს წათე აღარ ეჭირა ხელში.

„გამზრდელს გადააბარებდა, თქმა არ უნდა, ჩემი ძმა თავის ნატამალს, — თქვა გულში ბედურმა, — სხვას არავის ენდობა“.

იაზონი ჯერ ბიძის გვამს მიუახლოვდა. საბურავი გადახადა...

დარბაზში გაისმა დაბალი, მკვდარი ხმით წარმოთქმული სიტყვები:

— ბიძაჩემო, საყვედურს არ გეტყვი, თუმცა კი ხარ სასაყვედურო!

ძმებმა გაოცებით გადახედეს იაზონს.

იაზონი ძმებს მიუტრიალდა.

— ჩვენ ბიძაჩემის ნაბიჯი ძვირად გვიჯდება. თვითონ ხომ დაიღუპა თავი და დაიღუპა. ეს ერთი დიდი დანაკლისი, მერმე ეგ ორი, — გოდერძისა და კოხიანის გვამებზე მიუთითა, — ერთგულნი კაცნი დაგვაკლო და შემდეგ, მთავარი რაც არის, ფადლონის რაზმის მოყვანა და უჯარმის ციხოვანთა ზედა თაედასხმა ზავის დარღვევით იმუქრება აფხაზ-ქართველთა მეფესა და კახთ მეფეს შორის. სასწაული იქნება, თუ ბაგრატი რაიმე მცირეთი დაკმაყოფილდა. ბაქარის დაჭრა ხუმრობა ნუ გეგონებათ. წყალი აამღვრია ბიძაჩემმა აფხაზ-ქართველთა მეფესა და კახთ მეფეს შორის, მაგრამ ამ მღვრიე წყლით დიდგვარიანნი ვერ ისარგებლებენ და მათ შორის ჩვენც. თუ რამ სასწაული არ მოხდა. კვეტარის ზედმეტად გამაგრება დაგვჭირდება, რომ აფხაზ-ქართველთა მეფეს ხელიდან დავუსხლტეთ... კოკა მუდამ წყალს ვერ მოიტანს, ერთხელაც იქნება გატყდება. ერთხელაც იქნება კვეტარიც დაეცემა. აფხაზთ-ქართველთა მეფესთან ხუმრობა აგრე იაფი ნუ გგონიათ... ჩვენ ხვალ დავასაფლავებთ მიცვალებულთ, ბიძაჩემ პეტრე ბერს ვერ მოვუცდით.

გაჩუმდა იაზონი და მაღლა სართულისაკენ გაემართა.

ძმანი ცალქალამანიძენი სახტად დარჩნენ. გაახსენდათ ყველას, ბაგრატს რომ ჯარი ჰყავდა შემორტყმული კვეტარის გარს და რა გაჭირვება განიცადეს მაშინ, ბეწვზე რომ ეკიდა მათი ბედი. იაზონის ბუმბერაზობა დაინახეს ძმებმა და თვითეული მადლობას სწირავდა განგებას, რომ ასეთი ძმა მფარველობდა მათ. აეთის გარდა ყველანი უსიტყვოდ წავიდ-წამოვიდნენ საგუშაგოების დასათვალიერებლად.

აეთი კი იაზონს ეწვია ზემო სართულში. ხედავდა, რომ ახლა იაზონთან ლაპარაკი შეიძლებოდა.

მაგრამ გარეთ გასულ უმცროს შვიდ ძმას ისეც მრუხდა ქვემო დარბაზში დაბრუნება. მათ უკან შემოჰყვა რამდენიმე ახლად მოსული რაზმელი. მათ შემოიტანეს ნაბადზე დასვენებული გვამი და აღრე მოტანილი სამი გვამის გვერდით მოათავსეს.

დარბაზი ხმაურობამ გაავსო, ისმოდა კბილების ღრჭენით წამოძახილი მუქარა სასანიანთა მიმართ. ზედა სართულის კიბის გამოსასვლელში იაზონი გაჩნდა. მას აეთი მიჰყვა უკან.

— რა ამბავია? — იკითხა იაზონმა მგრგვინავი ხმით.

უფროს ძმას გუდანმა გასცა პასუხი:

— რა ამბავია?... რა ამბავია და, ბრძოლის ველიდან მეორე ბიძა მოგვისვენეს, წუთისოფელგამოსალმებული!

— მაშ, პეტრეც იმ თავდასხმაში ყოფილა? — წამოიძახა გაოცებულმა აეთმა. — ამბობდა, გარეჯის უდაბნოში მივდივარ სალოცავადო. კარგი ლოცვა გამოსვლია.

— ახლა კი ვხედავ, რომ ფადლონის რაზმის მოყვანა უჯარმის კარზე მაგის საქმეა, — თქვა იაზონმა, — ვხედავ, რომ თავის მკლავის ანაზღაურება უნდოდა. უკანასკნელ ხანს ეგ დაუდეგარი ბერი სულ გაიძახოდა, ვაჩეს არ შევარჩენ ჩემს მკლავსო. კარგა არ შეარჩინა... სხვას ნახევარბერეს ეძახდა, თვითონ ბერობდა და ბერობისა კი არაფერი მოსდგამდა...

იაზონი შეჩერდა: დარბაზში მოხუცებულმა მანდილოსანმა შემოადგა ფეხი. მთლად გაჭაღარავებული, წელში გასწორებული მოადგამდა ფეხს: ხანს ვერ მოეხარა. ქმარ-შვილამოწყვეტილი და ორმოც წკლს მარტო დარჩენილი ნათესავ ცალქალამანიძეთ შეჰკედლებოდა, იაზონის გამზრდელობას დაუფლებოდა და სრულუფლებიან წევრად ითვლებოდა ამ ოჯახში.

მოხუცი მანდილოსანი მძიმე ნაბიჯით მიუახლოვდა იაზონს.

— რა გინდა სალომე? — გაისმა იაზონის სიტყვები.

ცალქალამანიძეს ეგონა, ჩემს წათეს რაიმე დაემართაო.

— რა მინდა, ჩემო გაზრდილო? — დაიწყო სალომემ. — შენი სიცოცხლე. და ამიტომაც გესმის ჩემგან შენთვის მუდამ არასასურველი სიტყვა და ახლაც გაიგონებ... აი, ოთხი მიცვალებული. სასანიანთა ვნების მიმყენებელს ორმაგად საზღაურს მოსთხოვს ხოლმე ზეციერი. ათი წლის წინათ თავს დაესხი, დამარცხდი და აეთიც მძიმედ დაგიჭრეს. ემაგ ბერმა ბიძამ მკლავი დაკარგა. გუშინ დაასხით თავს სასანიანთ ჯვარპატიოსანის კარს უცხო თესლის შვილნი, ნინოწმიდელს შვილი ბაქარი დაუჭრა შენიანმა, როგორც მითხრეს... ეს თქვენი მოქმედება ჯერ რამდენი დაგიჯდათ და მერმე ვინ იცის, რა მოჰყვება ამ ამბავს.

— ბებერო, რა ყვავივით დაგეჩხავი?! — წამოიყვირა გაბრაზებულმა გუდანმა, რომელსაც გადაავიწყდა, რომ იაზონი იქვე იდგა.

გუბაზმა კალთა დასწია თავის ცალს. ცალი მიხვდა, კალთის დაწევა რასაც ნიშნავდა და გაინაბა, გუბაზს ამოეფარა.

— კარგი, შვილო, რი ? ყვავად ჩამთვალე! — უთხრა სალომემ გუდანს,

— ყკავი რომ დასჩხავლებს ადამიანს, იმას კი არ ნიშნავს, რომ დაჩხავლება უბედურებას იწვევდეს. ეს დაჩხავლება ნიშანს აძლევს ადამიანს, სახიფათო ნაბიჯს აპირებ, ნუ გადასდგამ, ამას ნუ იზამ, უბედურებას თავს დაგატეხს ეს ნაბიჯიო!

— კმარა, გამზრდელო, კმარა! — მიმართა იაზონმა სალომეს საოცარი წყნარი კილოთი.

იაზონი გამზრდელს შვილური გრძნობით ეპყრობოდა. ძმებთან მუდამ მკაცრი სალომესთან ლმობიერებას იჩენდა. აჩ მანდილოსანის ალალმართლობა და ყოველი წარმოთქმული სიტყვა, თან მკაცრი და სიყვარულით სავსე, ადუმებდა ცალქალამანიძეს. იქნებ მამა-პაპათა თვისებანი მიჰყუჩებოდა კიდეც, მხოლოდ სალომე რომ ჰყოლოდა გვერდით, მაგრამ მამა-ბიძანიც სწაფავდნენ ბავშვ იაზონს და მის არსებაში წინაპართაგან გადმოსული მტაცებლობა გაავითარეს. თვრამეტი წლის იაზონი იმ ქვეყანას გადასახლებული მამის მაგიერობას ეწეოდა ყოველ საქმეში და მამას აჭარბებდა კიდეც ყველაფერში. სალომეს შენიშვნებს თუმცა მართებულად თკლიდა, მაგრამ უმართებულობას მაინც მისდევდა.

სალომემ არ აიმარა თავის გაზრდილს ერთ ამბავზე ლაპარაკი, მეორეზე გადაინაცვლა:

— ჩემო გაზრდილო, ნუ ჩასციებიხარ სასანიანთა ასულს! ის კარგს არაფერს მოგიტანს არც შენ, არც შენ ძმებს. ის არ წააგავს ქველიძის ქალს, კეთილს, გულმართალს. თორმეტი წლისა ბოჭორმას ვნახე, გიორგობას, იადხმობილი. თორმეტი წლისამ გამაოცა თავისი სიმტკიცით, თორმეტი წლისა, ჯერ კიდევ ბავშვი, რაღაც არაბავშვური იერით ფშვენდა. უჯარმელნი, კუხელნი, თავისუფალი თუ ყმადნაშობნი, დიდგვარიანიც ყველა მონებდა ჯერ კიდევ ბავშვს! თქვენც დაგიმონებთ. მისი წყენა ხიფათს უქადის ადამიანს...

იაზონს აუზი წამოუდგა გონების თვალწინ. გული მოეკუმშა: მირანდუხტის რისხვით სავსე სიტყვები გაიხსენა. გაიხსენა, როგორ წამსვე ხელი ააღებინა რკენას მარკენალთა გამშვეელებლად მოვლენილმა მირანდუხტმა.

ძმებმაც გაიხსენეს ეს ამბავი და სიბრაზისაგან თავისი აფორიაქებული გულის დადუმებაც მირანდუხტის მაყურებელთა რკალში შემოსულით...

სალომემ დარბაზი მიატოვა და რვა ძმამ ერთმანეთს გადახედა.

სალომეს სიტყვებში სიმართლე იგრძნო თითეულმა. თითეულს შიშის აჩრდილმა გადაურბინა თვალებზე. იაზონს კი უფრო ძლიერად გაუწია გულმა მირანდუხტისკენ. თავში იმ აზრმაც გაურბინა, თუ რა ბედნიერი ვიქნებოდი მაშინ, ონოფრესა და ჩემ გასაშველებლად მოვლენილ მირანდუხტს ჩემთვის დაედო მხარზე ხელი და არა ონოფრესათვისო.

10

სალომე დაბრუნდა იაზონის მამისაგან მიკუთნებულ ოთახში და ფიქრს მიეცა. აქ ჰყავდა წათეც. საკუთარი შვილისაგან დაობლებულმა მანდილოსანმა გული ჯერ ძმისწულ იაზონზე დაიყარა და მერმე მის პატარა წათეზე გადაიტანა. ბავშვი არ ჰგავდა ცალქალამანიძიანთ მოდგმას და გვარით ცალქალამანიძიანთ ქალს სწორედ ეს მოსწონდა ბავშვის. ეს უცნაურობად მიაჩნდა ყველას და ვერ მოენელებიათ. ყველან ი, ეროსა და იმავეს იმეორებდნენ, ცალქალამანიძიანთ ქალია და ცალქალამანიძეების ყველანაირ საქმეს ხელს არ უწყობს, ებრძვისო. დიახ, ცალქალამანიძიანთ ქალი იყო სალომე და ყველაზე მკაცრი ცალქალამანიძის ასული და ძმათა ცალქალამანიძეთა ყოველ დაწყებულს ავ საქმეს წინ ეღობებოდა! ცალქალამანიძიანთ ქალია, მაგრამ ცალქალამანიძიანთი კი არაფერი სცხიაო! უფრო დედისა მოსდგამსო, ამბობდნენ კვეტარში. მართლაცდა თუ ცალქალამანიძის ასულად დაებადნა ღმერთს სალომე ხორციელად, სულიერად დელის გვარის ნატამალად ჩაითვლებოდა. დედა სალომესი თვალ შვენა სიყვარულით გამოჰყოლოდა იაზონის დაქვრივებულ პაპას ცოლად. მაგრამ მალე დაინახა თავისი შეცდომა, მალე ეგრძნო, რომ ცალქალამანიძიანთ ბუნაგი მისი შესაფერი არ იყო. მაგრამ სიამაყე აოკებდა ღა დარჩა მათთან. წლისთავზე ეყოლა ასული სალომე. ქმარზე გულაყრილმა ქალმა შვილზე გადაიტანა მთელი თავისი გრძნობა სიყვარულისა. ცხრა წელიწადი დაჰყო ცალქალამანიძეებთან, ბოლოს ველარ მოინელა ავ საქმეთა ფუძე, სიამაყე გადალახა და განიზრახა ასულიანად ბაგრატის მომხრე მამის ციხე-სიმაგრეში თავის შეფარება. თვალშვენა ქმარს ხელიდან გაუსხლტა და ასულიანად გაიპარა კვეტარიდან. სალომეს კარგად ახსოვდა ეს ამბავი. ხშირად უტრიალებდა თვალწინ დედამისი, კვეტარიდან გაქცევა. პაპა მამა დედისა, მეკობრეებთან ბრძოლაში მძიმედ

დაჭრილი დახვდათ. დაჭრილს თავს დასტრიალებდა მეუღლე, სალომე დიდედა. ეს ადამიანი გაქცეული ასულის დანახვაზე ისე აენთო, რომ შემკრთალმა სალომემ დედას კალთაზე წაავლო ხელი და ტირილნარევი ხმით შესთხოვა:

— წავიდეთ, შენი ჭირემე, დედილო, წავიდეთ, თორემ ქვას დაგვთხლეშს ეს დიდედა, აქ უფრო ბოროტი ხალხი ყოფილა!

— დეე, შვილო, ისევ ამისი ხელით დავიხოცოთ! ეს გვერჩივნოს იმ საზარელ ბუნაგში დაბრუნებას, — გასცა პასუხი სალომეს სუსტი ხმით დედამ.

სალომე სწრაფად თავს ართმევს ფიქრებს: წათე ძილში ხმამაღლა ტირის.

გამზრდელი ბავშვს აღვიძებს, ამშვიდებს და ხელახლა აძინებს. სალომე ახლა სხვა სურათს ხედავს: თავის თავს გათხოვილს, ჯერ შვილებდახვეულს და მერმე მარტოდ დარჩენილს, შვილებდაბოცილს და დაქვრივებულს... ქალი მონაზვნობას აპირებს: თავს დიდ ცოდვილად ჰრაცხს, რომ არც მეუღლე შერჩა და არც რომელიმე შვილი: სულ პატარები დაიხოცნენ ჭირისაგან...

სალომე მონობა.ა ფიქრს თავს ანებებს და იგონებს ნახევარძმასთან, მამის მესამე თანამეცხედრესაგან ნაშობთან დაბრუნებას: ძმამ ხელგაშლილი მიიღო და, მაგრამ ქალმა ვერ მოაშლევინა ძმას ცალქალამანიძიანთ გზით სიარული...

ძმამ, იაზონის მამამ, დას პატარა იაზონი მიანდო საპატრონებლად. თანამეცხედრე მისი ლოგინობდა აეთზე.

პატარა იაზონი შვილივით შეიყვარა სალომე მამიდამ. იაზონიც აღმზრდელს თავის დედად ჰრაცხდა. მამიდას უგონებდა მუდამ, მაგრამ წამოიზარდა და ნამდვილ ცალქალამანიძედ იქცა.

— ჩვენ გვარს რა გადააკეთებს, — ეუბნებოდა ძმა სალომეს. — ქვეყანა ბრძოლისაა. იბრძვი, ლელოს გაიტან, არადა თავს დაიღუპავ.

სალომეს ამ სიტყვებზე სეედა ეკიდებოდა გულზე, მაგრამ თავისი ცდა ძმისწულების აღზრდისათვის მაინც არ მოუშლია. აეთზედაც ჰქონდა ამაგი, ბედურზედაც. ტყუპები კი ახლოს ვერ გაიკარა: ქორფობიდანვე ინსტიქტურად გაურბოდნენ.

დაინახა სალომემ, რომ ვერას ხდებოდა თავის გვარის ნატამალებთან და გადაწყვიტა კვეტარის დაგდება, მაგრამ ძმამ არ გაუშვა. მეკობრო-

ბაში გაწაფულ ადამიანს რაღაც ხინჯი არ ასვენებდა გულში, და, ამის მკურნალად და ევლინებოდა.

მოუკვდა სალომეს ძმა და ახლა იაზონი გადაეღობა: კვეტარში დარჩენა შესთხოვა. უფროსი ცალქალამანიძე სალომეს ჰსაჭიროებდა თავისი სულისათვის.

მოიყვანა იაზონმა ქველიძის ქალი და სალომე ამ ქალს გულის ტკივილთა დამაამებლად მოევლინა. ცალქალამანიძიანთ ქალს მოსწონდა ქველიძის ქალის პირდაპირობა, ხიბლავდა მისი ხასიათის სიმტკიცე. გარდაიცვალა ეს ქალი და სალომე მის დანატოვარ წათეს დაეპატრონა, მონაზვნობა აღარ გაუხსენებია, ამ ბავშვის აღსაზრდელად გადასდო თავი.

დროდადრო სალომე ცდილობდა თვალი აეხილა ძმათა ცალქალამანიძეთათვის, დაენახვებინა მათთვის მათივე ჩადენილი თუ მათგან ჩასადენად განზრახული ავი საქმენი, ხანდახან თითქოს გულთმისანადაც ევლინებოდა ძმებს და ძრწოლასა გვრიდა თავისი წინასწარმეტყველური ნათქვამით.

დღესაც ხომ დამართა სალომემ ასეთი ძრწოლა ძმებს. მათ თითქოს მეხსიერება ღალატობდათ. სალომეს სიტყვებით მოგვრილი ძრწოლა მათთვის წამიერი ხდებოდა.

„მეტად, მეტად გასჯდომიათ ჩემს ძმისწულებს მეკობრული სულისკვეთება, — გაივლო გულში სალომემ. — ეს მემკვიდრეობითი სენია, საუკუნეობრივ ჩანერგილი. ჩვენ გვარში. მეგონა, იაზონი სხვა გზით ივლიდა და შევცდი... ახლა წათე... ქველიძიანთ ბევრია ამ ბავშვში. მოსიყვარულეა პატარა და მორიდებული... გული მაინც გამბედავი აქვს წათეს... სიბრალული მოსდგამს და ეს სიბრალული, დარწმუნებული ვარ, ვისმეს წინააღმდეგ ავს საქმეს არ ჩაადენინებს“.

კარზე დააკაკუნეს, იაზონი ეწვია დაღონებული, თავდახრილი.

სალომემ მხოლოდ კითხვის თვალი გადაავლო ძმისწულს. იაზონი სდუმდა...

წათემ კვლავ დაიწყო ძილში ლაპარაკი, ჯერ გაურკვეველად და შემდეგ მკაფიოდ წარმოთქვა:

— არა, არა! მამა მარტო დარჩება. — ერთი ორჯერ გადატრიალდა, თითქოს მტკიცე უარის ნიშნად და ერთხელ კიდევ გაიმეორა: — არა, არა! მამა მარტო დარჩება. — ტირილი ამოუშვა. ელდანაკრავივით გადახედა იაზონმა შვილს.

სალომემ ბავშვი ხელში აიყვანა. დაყვაკება დაუწყო. ბავშვი არ ჩერდებოდა. იაზონმა ჩამოართვა ძამიდას წათე, გულში ჩაიკრა, ყურში რაღაც გამოურკვეველად ჩაჰღუღუნა შვილს და ბალღიც მიჩუმდა.

„შვილს მამა უყვარს, – თქვა გულში ქალმა. – სიზმარში, ვინ იცის, დედა ნახა?.. არ გაჰყვა... მაშ, ვინ იწვევდა თავისთან ბავშვს, თუ დედა არა!.. საწყალი ქველიძიანთ ქალი. ალბათ სულეთშიაც ფიქრობს, შვილი მამას გზას არ დაადგესო... სიზმარში სხვას ვის ნახავდა პატარა წათე, თუ დედას არა?.. არ მიჰყვებოდა და თუ ძალათი მიჰყავდა... ბავშვის სიკვდილის მომასწავებელი ხომ არ არის ძალად გაყოლიება? ან იქნებ, პირიმზეს უნდოდა თავისი ნატამალის მხოლოდ ცალქალამანიძიანთ არიდან გაშორება? ბავშვი არ გაჰყვა?.. ვინ იცის, წამოიზარდოს და მამა-პაპათა ცხოვრების გზას არ გადაუხვიოს...“

– პაპიდავ! – გაისმა წათეს ხმა.

მამიდა-ძმისწულმა წათეზე გადაიტანეს მზერა: ბავშვს თვალი გაეხილა: გაღვიძებოდა.

– პაპიდო! რად გინდა, რომ აქედან წამიყვანო?

– ვინ გითხრა, შვილო?

– ახლა არ გინდოდა წაგეყვანე?

სალომე შეკრთა.

– მამამ გაგაშვებინა ჩემი ხელი, – დასჩინა თავის თქმულს ბავშვმა.

სალომეს აზრმა გაურბინა:

„მაშ, ესეც მამის კვალს გაჰყვება?.. მაშ ამაო იქნება ჩემი ცდა აქაც? გაიზრდება პატარა ცალქალამანიძე და, ჩანს, ისევ თავის მამა-პაპათა გზით ივლის?..

– თუ გინდა, შვილო, რომ თავი დაგანებო, წავიდე სხვაგან

ამ სიტყვებზე ბავშვი შეკრთა. სწრაფად ჩამოუცურდა მამას ხელიდან, პაპიდას ეცა, გულში ჩაეკრა.

– ნუ წახვალ, გამზრდელო, ნუ დამანებებ თავს! შენც მიყვარხარ, მამაც, პაპიდო! მამილო! მეშინია გუდანისა და გუბაზის. კიდევ ლომინისა და ვეფხვასი, კიდევ აფთარისა, კიდევ ფოცხვერასი, ბეღურისა კიდევ. ნუ წახვალ, ნუ პაპიდო! ჩემთან, მამასთან იყავი...

„მაშ, არ უნდა დავკარგო ამ ბავშვის რიგიან გზაზე დაყენების იმედი“, – გაიფიქრა სალომემ. მერმე ბავშვს მიაპყრო თვალი და უთხრა:

– არა, შვილო, შენ როგორ დაგანებებ თავს? დაწექ, დაიძინე!

სალომე ზეზე წამოდგა და ბავშვი დააწვინა. ყრუ ნანა აღმოხდა გულიდან გამხრდელს, ბავშვმა თვალები დახუჭა. სალომეს ნანა არ შეუწყვეტია. იაზონი უცქერდა ამ ამბავს.

ბურანში წასული სალომე ბავშვს რომელიღაც სასანიანის კეთილ ვაჟკაცობაზე მოუთხრობდა.

სასანიანის გახსენებამ ცალქალამანიძეს მირანდუხტი აუმართა თვალწინ, სახე გაუფითრდა: სურათმა არსება შეუბოჭა.

ბავშვმა დაიძინა და სალომე ძმისწულს ძიუტრიალდა, იაზონი რომ გათანგული, ერთ მხარეზე თვალებშეჩერებული დაინახა, შეარხია.

— რა დაგემართა, ჩემო ძმისწულო? — თავს ვერ იკავებ? გრძნობები გძლევენ?

იაზონმა თავი დახარა.

— ვაჟკაცს გული გიმონებს! — დასძინა თავის წინა სიტყვებს სალომემ. — ვაჟკაცი გულის ტკივილებს ამხელ, ვერ მალავ!

იაზონმა თავი მაღლა აიღო. მამიდას მიაპყრო თვალი.

— რატომ უნდა დავმალო ჩემს სახლში ის, რაც მაწუხებს? გამავჯავრებენ — გავჯავრდები. გამახარებენ — ვიზეიმებ. ჩემში ახლა სიყვარული, რისხვა და სიბრალული თანაბრად ამოქმედებულან და სულს მიწეწავენ. ჩემი წათე ძილში შეკრთა, ამიტირდა და სიბრალული მოეკიდა ჩემს გულს. ნანას ამბობდი, ვინმე სასანიან ვაჟკაცის საქმეთა საგმირო ამბებს ჰყვებოდი და მირანდუხტი ამემართა თვალწინ. ძლიერი სიყვარულის ცეცხლი მომედო გულს. ჩემი გული თონეა ახლა, ცეცხლანთებული. წარამარა ვიბუგები, ვიბუგები და ბოროტებით ვიესები: ვწყევლი ბიძაჩემს — გულთფარს და პეტრეს, არამკითხე სამსახურის გაწევისათვის. ვწყევლი მათ მომყოლებს — გოდერძისა და კოხიანს. ისინი ჩემთვის დაიხოცნენ და მაინც არა ვარ მათი მადლიერი. ყველანაირი გზა გადამიჭრეს სასანიანთკენ. ვინ მაპატიებს ფადლონის რაზმის თავდასხმას უჯარმაზე?! ჩემს გულს მირანდუხტი გაუუფლდა და მე კი მისი ყმაწვილობის გახდომის ნება წამერთვა. ხომ ბევრი ეყმო მირანდუხტს? ყვავილები კონანი აუზის პირას ამას მოწმობენ... მეც ერთი მათგანი გავხდებოდი... უარყო ჩემი კონა ქალმა... ეს არაფერი... მეკობრობაზე ხელს ვიღებდი. მუხლთა მოდრეკით თაყვანსა ვცემდი მირანდუხტს... ისიც მიყმობდა მაშინ, მიყმობდა... ქალს ძმა უყვარს... ჩემიანმა დაუკოდა... არ მაპატიებს ამას იადხმობილი.

სალომე გაოცებული უცქეროდა ძმისწულს. გაოცებული ისმენდა მის სიტყვებს, ქალს სიზმარში ეგონა თავი. თვალებზე ხელი მოისვა: ასეთი ლაპარაკი ძმისწულისა არასდროს არა სმენია სალომეს.

მამიდამ ძმისწულს მხარზე ხელი დაადო.

„არა, სიზმარში არ ვარ", — თქვა გულში.

ძილში ბავშვის ხელახლა ატირებამ მთლად გაუფანტა ეჭვები.

იაზონი წათეს ტირილზე გამოერკვა, შვილი ხელში აიყვანა და მეორედ დაამშვიდა. ისევ რაღაც ჩაჰღუღუნა და ჩააძინა. პატარა ხანს ატარა ხელში აყვანილი, მკერდზე მიყრდნობილი. იაზონს შვილის სიყვარული მალამოდ ედებოდა და არ იშორებდა მკერდიდან, მაგრამ სიბრალულმა დასძლია:

— რა ამბავია, რომ ასე მოუსვენრობს წათე? — იკითხა იაზონმა.

— მოუსვენარი დღეებია და მოუსვენრობს, — უპასუხა სალომემ. — გრძნობიერი ბავშვია. შენ გგავს ამ მხრივ.. ერთი რამ მაოცებს შენი, ჩემო ძმისწულო! ვერ მიეხვედრილვარ, თუ როგორ ათავსებ ერთმანეთთან უსაზღვრო ლმობიერებას უსაზღვრო ავკაცობასთან. ხშირად მოწმე ვარ: კაცი შეგბრალებია და ჩვენი ქვეყანა კი, ატეხილი ღელვით გვემილი, არ გებრალება. ხელს უწყობ მის ავადყოფნას, ხელს უშლი მის ამაღლებას, გამომთელებას... რატომ არ აღკვეთ, ვაჟკაცო, მაგ გზაზე სიარულს? რატომ არ სპობ, რატომ? ბაგრატი ძლიერია სწორედ ქართველთა ტომების გაერთიანების ტრფიალით. მრავალი მიმდევარი ჰყავს ამ ტრფიალისა და ადრე თუ გვიან აუსრულდება წადილი...

იაზონი წყნარად უსმენდა მამიდას, მაგრამ ბაგრატის გახსენებაზე აღელდა. თვალწინ გაურბინა ტახტის მემკვიდრემ და გულზე ცეცხლი მოეკიდა. მირანდუხტს ტახტის მემკვიდრეს არ დაუთმობდა კვეტარის მფლობელი.

„არც მე და არც სხვას იადხმობილი!" — თქვა გულში არგოელის ჩამომავალმა.

მართლაც არგოელის შთამომავალს, დაუდეგარი სულის მქონეს, მთლად გადაავიწყდა, რომ თქვა, მეკობრეობაზე ხელს ავიღებდი და იადხმობილი მიყმობდაო. მირანდუხტს კი ეყმობოდა ცალქალამანიძე, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ აფხაზთ-ქართველთა ტახტის მემკვიდრე თავიდან აცილებული იქნებოდა. მიჯაჭვული ამირანივით ამოიოხრა იაზონმა და

მისმა ძლიერმა ამოოხვრამ მძინარე ბავშვი კვლავ აატირა, ფეხზე წამოაყენა. მამამ შვილის აყვანა დააპირა, წელზე ხელი შემოავლო, მაგრამ ბავშვმა ტირილს უმატა.

სალომემ იაზონი შვილს მოაშორა. თვითონ მოავლო წელზე ხელი. უცნაური ამბავი მოხდა: წელან თუ მამამ ორჯერ აიყვანა ხელში და ორჯერვე დაამშვიდა წათე, ახლა პაპიდამ დააწყნარა თავისი ხელის შეხებით. იაზონი შეკრთა ამის დანახვაზე. ცალქალამანიძემ კითხვის თვალი მიაპყრო მამიდას.

— ეს იმას ნიშნავს, — უთხრა სალომემ ძმისწულს. — რომ გული გაგიბოროტდა. ბაგრატის გახსენებაზე, ალბათ, მემკვიდრემაც გაგირბინა თვალწინ და შენში დაბუდებული შვილის სიყვარული დაითრგუნა აღვირახსნილი ბოროტისაგან. გრძნობიერია ეს ბავშვი. უყვარხარ მამა შვილს, მაგრამ ქველიძის სული უდგას და ბოროტებით აღგზნებული შენი გრძნობა აშინებს...

იაზონმა კინწმოწყვეტილივით დახარა თავი. მის აღგზნებულ ბოროტ გრძნობას მამიდამ თითქოს ცივი წყალი გადაასხა.

— ნებისყოფით მოგაქვს თავი, ჩემო გაზრდილო! — განაგრძო სალომემ. — თუ ნებისყოფა გაქვს, რატომ აჰყვები ხოლმე აღვირახსნილ ბოროტ გრძნობებს? რატომ არ იშლი და შენს ძმებსაც არ აშლევინებ მეკობრობას? შენს უმცროს ძმებს ავ გრძნობათა მეტი არა ამოქმედებთ რა. გემორჩილებიან, სანამ ავ საქმეში უძღვები. კეთილ საქმეს გაიფიქრებ და ბუზღუნის მეტი არა მესმის რა მათგან. აეთია ერთი, შენ რომ მოგდევს, თავისიანებს მაინც იბრალებს ხოლმე. დანარჩენნი შენი ძმანი არც სხვას და არც თავისიანებს დაინდობენ, თუკი ვინმემ მოისურვა მათი დაყენება სიკეთის გზაზე. შენ მოგდევენ ისინი მხოლოდ და მხოლოდ ავ საქმეში... არ დაგინდობენ, ძმისწულო, შენი ძმები, თუ ერთხელ მაინც გადაუხვიე მათთვის გაკვერილ გზას... სასანიანთა ასული შეგყვარებია?.. მის გვარს მოსდგამს სათნოებაცა და სიმკაცრეც. მათი სიმკაცრე მათი სათნოების ფუძეა. სიმკაცრე მათი ეს მათი ხასიათის უკიდურესი სიმტკიცით არის გამოწვეული. უსამართლობას ულმობელობით ეპყრობიან. მტკიცედ მოითხოვენ მათ მოსპობას. სათნოებაზე სათნოებით უპასუხებენ. სამართლიანობას მტკიცედ იცავენ. მეკობრობას ვერ შეურიგდება სასანიანთა ასული, ვერ მოირელებს, თუნდაც რომ თავის ფეხქვეშ გაშლილს ხედავდეს თავის მოთაყვანე მეკობრეს...

ცალქალამანიძეს სასანიანთა ასული მთელი თავისი ასახულობით ამოუცურდა თვალწინ, მართლა მკაცრი, მრისხანე, ყურში ჩაესმა ძალოვანად თითგაკრული ჩანგის სიმებად აჟღერებული სიტყვები.

„არა, არ დავინდობ ჩემი ძმის სისხლის მღვრელთ!“

გაოცებულმა იაზონმა სალომეს გადახედა. სალომე თავდახრილი სდუმდა, მტკიცედ პირმოკუმული, თითქოს ამნაირად გულში ატეხილ მწვავე ტკივილების დაოკებას ცდილობსო...

ცალქალამანიძეს კიდევ გაუმეორდა ყურში სიტყვები, არა, არ დავინდობ ჩემი ძმის სისხლის მღვრელთო. თვალები კედელზე მიუჩერდნენ და ისევ მკაცრად და მრისხანედ მომზირალი მირანდუხტი გამოენასკვა თვალწინ...

11

ჯვარპატიოსნობის მეორე დღეს მირანდუხტი თითქოს სრულიად გულდამშვიდებული დასტრიალებს თავს ძმას, თითქოს აღარ ახსენდება ქალს იაზონ ცალქალამანიძე. ესაა ველთამზე შეცვალა ქალმა. ბაქარს სძინავს. ველთას კიდევ უნდოდა დარჩენა, მირანდუხტთან ლაპარაკი, მაგრამ მირანდუხტმა არ დაანება...

— წადი, ქალო, დაიძინე პატარა, რომ შუაღამისას შემცვალო!.. — უთხრა მულმა რძალს. — ბაქარი მალე კარგა გახდება, ეს უეჭველია. ასე რომ არ იყოს, რაიმე ხიფათი მოელოდეს ჩემს ძმას, მეც თან გავყვები!.. არა, არა! ჯერ შურს ვიძიებ და მერმე...

ამ სიტყვებთან ერთად თვალთაგან ალი გამოუკრთა ქალს: იაზონ ცალქალამანიძის ლანდი აემართა წინ. ლანდი ჯერ ოცი წლის იაზონად წარმოუდგა. ასეთს იამ, ექვსი წლის ბავშვმა, ათი წლის წინათ, დედის დასაფლავებაზე მოჰკრა თვალი. მის მეხსიერებას მუდამ შეეძლო თავის არეზე ასეთი იაზონის აღმართვა, გადმოეცა ვეფხვურად რბილად ფეხის გადამდგმელი, დიდი თვალებისა და ოდნავ მოხრილი მხარბეჭთა მქონე ვაჟკაცი, შუათანაზე მაღალი... ასეთი დაეცა იაზონი თავისი ბრბოთი იადხმობილის თავისიანებს ივრის გაღმა, ნინოწმიდიდან მომავლებს. ლამობდა იადხმობილის, ვაჩე პაპისა და ძმის — ბაქარის მოსპობას.

„თავლაფდასხმული გაგისტუმრეს, იაზონ არგოელო, ჩემიანებმა!“ — მიმართა ქალმა ლანდს.

ლანდმა გუშინდელი, ოცდაათი წლის იაზონის სახე მიიღო.

მირანდუხტმა იცნო აუზის პირას ნანახი პირზარადიანი უცნობი თაიგულის მომტანი.

ქალმა იაზონისა და ონოფრეს ჭიდაობა გაიხსენა.

აი, ხედავს იადხმობილი: მოვიდა მოჭიდავეებთან, ხედავს, თუ როგორ დააცილა მისმა ხელის ერთმა დაკარებამ მოჭიდავენი. ხედავს, იაზონს მკლავები მოკვეთილივით ჩამოეშვნენ ძირს. გულში მახვილდაკრულად ემხილა სასანიანის ასულს ვაჟკაცი, პირზარადჩამოფარებული, მოჭიდავეთა უტევანიდან გასული, გული არ მოულბა...

შუბლი შეიჭმუხნა ქალმა: იაზონის უტევანიდან გასვლას ხომ ფალლონის რაზმელთა თავდასხმა მოჰყვა ივრის ნაპირებზე?..

„აი რა გზით სწადიან დედოს ვატანა ცალქალამანიძეს! მერმე? ძვირად დაუჯდება, ძვირად!..

მუქარით სავსე ადამიანს ფიქრი შეუჩერდა: ველთამზემ ხელი შეახო.

— რას გაშტერდი, იავ?.. შენც დაღლილი ხარ. იავ, გენაცვალე, ცოტა კიდევ წაიძინე! მე ვიქნები ბაქართან კიდევ პატარა ხანს. ჩემმა რევიმ კაი ძილი იცის.

იამ შუბლზე აკოცა რძალს. მერმე წელზე ხელი მოავლო და კარზე მიუთითა...

— წადი, გენაცვალე, ოთახში, შენ წაიძინე ცოტა, ძილი შენთვის უფრო საჭიროა, და მერმე...

ველთამზე იძულებული გახდა დაჰმორჩილებოდა მულს.

ბაქარს მშვიდად ეძინა. იამ ფიქრი მამაზე გადაიტანა.

„მამას რაღაც უდევს გულში... რატომ არ ამბობს... ეტყობა, ჯერ არ აუსახნია მკაფიოდ განზრახული... მღვდელმთავარს ხანგამოშვებით ლომივით უელვარებს ხოლმე თვალები... ფერისთან ჰქონდა ლაპარაკი... ბერასთან სწადდა ლაპარაკი... რას აპირებს მამაჩემი!“

ქალს თვალწინ გაურბინა მამის ამოქმედებამ ჯვარპატიოსნობას, როცა ხმა გავრცელდა, გაღმა, ივრის სანაპიროების ტყეებში მტერია ჩასაფრებულიო. გაახსენდა მამის განკარგულებანი...

„მამას შესაძლებლად მიაჩნდა, რომ თვითონაც დაიღუპებოდა და შვილებიც დაეღუპებოდნენ, — განაგრძო ფიქრი იადხმობილმა. — ამიტომაც ავალებდა ვარაზ-ბაკურს, გააპარე მეფისწული და ველთამზე პატარა

რევიანად, რომ საქართველოს ტახტის მემკვიდრე გადაურჩესო... ჩვენ? თვითონ?.. თვითონ ალბათ სურდა შვილებთან ერთად თავის გვარის სამკვიდრებელში ან გაემარჯვა მტერზე, ან მტრისათვის თაყი შეეკლა. ახლა?.. ბაგრატი ბრძოლას აუტეხს კახეთის მფლობელს... ჰოდა უჯარმის ციხოვანთა უმეტესობა ბაქარიანად ბაგრატს გაჰყვება... ციხეს დამცველნი ცოტაღა ეყოლება. თვითონ ნინოწმიდელი ნინოწმიდაში იქნება მეტ წილ დროს, – ქალს უცბად თვალები გაუბრწყინდნენ. – ჩემზე ზრუნავს!... ველთას პატარა რევიანად ბოლნისისკენ გაისტუმრებს. იქ ახლა ყველას ვარაზ-ბაკურის დიდი შიში და მოკრძალება აქვს. ჩვენი ნატამალი ხომ უნდა გადარჩეს... მერმე? მე როგორ უნდა უზრუნველმყოს?.. – ქალს უნდოდა თავის კითხვისათვის პასუხი გაეცა, მაგრამ ველთა დაბრუნდა და კითხვა უპასუხოდ დაურჩა.

– რა მალე დაბრუნდი, ქალო? – ჰკითხა მირანდუხტმა. – განა შუაღამემ კიდეც მოაწია?

– რევის კარგა სძინავს, რა ვქნა, რომ შუაღამე არ არის! – აძლევს პასუხს ველთამზე მულს. – შენ წადი, მოისვენე პატარა კიდევ! თუ ცოტათი მაინც გიყვარვარ, გამიგონე. განა არ ვიცი, როგორ დაღლილი ხარ? იქ დაჭრილი ციხოვანნიო, აქ დაჭრილი ბაქარიო, ხან ერთ ადგილას გაჩნდები, ხან მეორეს ადგილას... რაო? ვერ მოგღლიდა განა ესა? წადი, გეთაყვა, პატარა წაიძინე! შიშმა ადამიანის დაკარგვისამ გუშინდელს აქეთ ისე გამწაფა, რომ ბაქარს კარგა ეუპატრონებ შენ დაბრუნებამდე. შიში, ჩემო იავ, ჭკუას არასდროს მაკარგვინებს. დედ-მამა და სხვა ჩემიანნი რომ ამოწყვიტეს მტრებმა მე ცხრა წლისას მაშინაც გონება არ დამკარგვია. შიში სიფხიზლეს მმატებს ხოლმე. იავ, გეთაყვა, გამიგონე...

ველთამზის მუდარას ძლიერი შთაგონების იერი დასცემდა, მაგრამ იადხმობილი ამ მუდარას არ დაუძრავს თავის სადარაჯოდან. თუმცა კი დაიძრა კია. ქალის გონებას ახლა მამის საიდუმლო ქცევის გამორკვევის სურვილი არ ასვენებდა... იადხმობილმა ველთამზეს ბევრი აღარ ახვეწინა. მამის ოთახს მიმართა.

მამას თითქოს ეძინა, მაგრამ ასულის შესვლამ, ფეხის ოდნავ ხმაურმა თვალი აახელინა.

მღვდელმთავარს პირიდან საყვედური არ აღმოხდომია.

სიტყვებმა: რა გინდა, შვილოო, ოთახის სიჩუმე დაარღვია.

რევყოფილი წამოჯდა ლოგინზე. ასულისაკენ ოდნავ გადაიხარა.

ია მშობელს გვერდით მიუჯდა. მშობელმა მკლავი მოხვია ასულს და თვალებში ჩახედა, აკოცა. ამის პასუხად ასული მიეკრა მამას და შეაჩერდა.

— რა გინდა, შვილო? — გაუმეორა მამამ შეკითხვა.

— არ გეძინა, განა, მამავ? — დაიწყო მირანდუხტმა.

— არ მეძინა, შვილო! — დაუდასტურა მამამ და თან დაურთო. — მე მენავე ვარ, ნავიანად გააფრთებული ზღვის ტალღებს შორის მოქცეული.

— და ნაეში შენი ნატამლები დამკვიდრებულან და გეშინია ტალღებმა ნავი უფსკრულში არ ჩანთქას, არა? — ჩამოართვა სიტყვა მირანდუხტმა და მისთვის მოულოდნელად დასძინა თავის ნათქვამს, მტკიცედ დასძინა: — მამავ, შენ საიდუმლო რაზმს ადგენ?

რევყოფილმა ასულს განცვიფრებით ახედ-დახედა. გულში ჩამალული თავისი განზრახვა ხომ ჯერ არავისთვის არ უთქვამს. საიდან ჩასწვდა საიდუმლოებას მისი ასული?

— ბავშვო, რამ მიგახვედრა? — შეეკითხა მ ვდელმთავარი და თვალებში დაჟინებით ჩააცქერდა.

— ბავშვობისა რა მეტყობა? — წამოილაპარაკა ქალმა თითქოს ზეპირად. თვალები დახუჭა, მამის გულს შუბლი მიაყრდნო და ყრუ ხმით მიმართა: — მამავ, მტერი კარს მოგვადგა და ოჯახის დასაცველად ხელად რაზმი შეადგინე. შენი პატარა ნატამალი დედიანად წამს გაამზადე დედამისის სამშობლოში გასასტუმრებლად. მეფისწულიც მშობლებთან გსურდა გაგესტუმრებინა, რომ თავდასხმისას მსხვერპლი არ გამხდარიყო. ხომ ასეა?.. ასეა. მერმე მტერი დამარცხდა. ბრძოლაში ბაქარი დაიჭრა. შენი ია ბავშვად მიგაჩნიავარ... შენი გონება არ ისვენებს... მეფისწული წავა, მაგრამ შენი მცირე ნატამალი ამ გამარჯვების უკან კარგა ხანს დარჩება აქ... გარედან მოვლენილი მტერი დამარცხდა, მაგრამ მისი საიდუმლო მომაველენი არ აღგვილან დედამიწიდან. ბაგრატ მეფე ბრძოლას დაიწყებს კახეთის მფლობელთან: დამსჯელ რაზმებს მიუსევს. ბაქარს თან იყოლიებს, უეჭველია, ამ ბრძოლაში. მტრის საიდუმლოდ მომაველენი ამღერეულ წყალში თევზის ჭერას შეუდგებიან... რას იზამენ, მაგასაც ვნახავთ, — ქალმა მამას ანთებული თვალებით შეხედა. — მაგრამ სიფრთხილეს თავი არ ასტკივა... შენ განძი გაქვს მამაპაპეული,

შენი შვილები ხიფათს წინ უდგანან: ასე ფიქრობ. შენ ფერისსაც დაელაპარაკე. ყური მოკარი. რა უთხარი არ ვიცი. რომ უბრალო საოჯახო საქმეზე არ იყო ლაპარაკი, ამას მიუხვდი: ბერა ახსენე... აქედან ბავშვიც დაასკვნის ახლახან ჩემგან თქმულს...

რევყოფილი უსმენდა თავის თექვსმეტი წლის ასულს და უფრო და უფრო ეძლეოდა განცვიფრებას...

— გულთმისანი ხარ, შვილო! — უთხრა მღვდელმთავარმა და შუბლი გადაუკოცნა. — მე ფერისისათვის ჯერ არც კი გამიმჟღავნებია, რაზმის შედგენას რომ ვაპირებ. მხოლოდ ვკითხე ჩემს ერთგულ შინაყმას, ბევრია იარაღის რიგიანად მომხმარებელი-მეთქი ჩვენში, ბერას რაზმი ისევ ჰყავს თუ დაეშალა-მეთქი. შენ კი მაინც მიხვედრილხარ ჩემს განზრახულს. — თავზე ხელი გადაუსვა ასულს. — მამაკაცსაც კი იშვიათად აქვს ხოლმე ასეთი თავი

— მაშ, მამავ, გაიწაფე სამხედრო საქმეში! — შესთხოვა ქალმა. — მამაკაცის მაჯა არა მაქვს, მაგრამ მამაკაცის მოხერხებას კი არა ვარ მოკლებული. თუ ბაქარი ბაგრატს თან ეყოლება ბრძოლებში, მე და ველთამზე შენთან ვიქნებით ნინოწმიდაში, ან იქ ფერისთან.

ველთამზის გახსენებაზე იადხმობილმა მამას უთხრა, რომ ველთამზეც უნდა გაიწაფოსო.

„დიახ! — თქვა გულში რევყოფილმა, — ჩვენს ქვეყანაში ატეხილი ღელვანი ამას მოითხოვენ, რომ მამაკაცისა და დედაკაცის შეჭურვილი უნდა ტრიალებდნენ. „მახვილი იქცევისი“ ყველას ხელთ უნდა გვეპყრას. მართალია ვაჩე, რომ ამას ხშირად გვიმეორებს და სხვასაც უმეორებს. სუსტნი არიან ჩვენნი ასულნი: ტანის აგებულება ხელს არ უწყობთ. — ასულს გადახედა. — სულით ძლიერია... სულით. ძლიერნი არიან სხვა ასულნიც ჩვენი ქვეყნისანი. მხოლოდ სულით ძლიერნი...“

რევყოფილმა ერთხელ კიდევ ჩაიკრა გულში შვილი და მოსასვენებლად გაისტუმრა.

მაგრამ იადხმობილი არ წასულა მოსასვენებლად: შუაღამემ მოაღწია და ბაქარის ოთახისაკენ წავიდა ველთამზის შესაცვლელად.

ბაქარს გამოღვიძებოდა.

— ოოჰ! მუდამ ჩემთვის სასურველო! — მიმართა ჭაბუკმა ოთახში შემოსულ დას. — ველთა მეუბნებოდა, ია ძალიან ცოტას ისვენებსო.

— მოვისვენებ მაშინ, როცა სამარე მომნახავს, — მიადევნა მირანდუხტმა ძმის სიტყვებს. — მოვისვენებ მაშინ, როცა ჩვენს მტერს, ქვეყნის მტერს გარეულსა და შინაურს ბოლო მოელება, ან კბილი მოეჭრება. მანამდე კი უნდა ეფხიზლობდეთ, ჩემო ძმაო!.. ველთა, თავისუფალი ხარ! რევის მიხედე... შენც წაიძინე პატარა.

— წაიძინე! შენ რატომ არ წაიძინე! განა არ ვიცი, მამასთან იყავი... ია, არ შეიძლება აგრე, როგორც შენ იქცევი, თავს ძალას ატან, მოიქანცები. ნიათი გამოგელევა. რევის მიხედეო. ღამე რევიმ გამოღვიძება არ იცის. მე მეძინა, შენ არ გძინებია, მაშ, შენ უნდა დაიძინო.

მირანდუხტმა მოუსვენრად ხელი გაიქნია რძლის სიტყვებზე. შუბლი შეიჭმუხნა თითქოს, მაგრამ ხმა კი არ ამოიღო.

— ბაქარ, რატომ არაფერს არ ეტყვი შენს დას? ჩემსას არ იგონებს.

— რა გიყო, საყვარელო? — მიმართა ბაქარმა ცოლს. — თუ გინდა, ვეტყვი. თითქოს გამიგონებს, მგონია. — ახალგაზრდა სასანიანს პირზე ღიმმა გადაჰკრა. — გაუგონარი არაა მირანდუხტი, მაგრამ ისეთს საფუძვლიანს რამეს გეტყვის პასუხად, რომ ეთანხმები და ეუბნები, მართალი ხარო. აი! ეუბნები, მეფისწულს გაჰყევი თ. ამეც ვედრედ, გისაბუთებ, ჯერ ადრეაო და ეთანხმები. ვუთხარი ბრძოლის წინ, შინ დაბრუნდი-მეთქი, გამცა პასუხი და ვერა შევასმინე რა. სწორე იყო მაგის პასუხი: დამჭრეს, ჩემმა იამ ხელი მომისვა ჭრილობაზე და წამსვე კარგა ვიგრძენ თავი.

ბაქარის ამ თქმაზე ველთამზე იას ხელს დაეკონა.

— რად გინდა მაგისთანები, ველთავ? — უთხრა თითქოს უკმაყოფილოდ იამ.

— რას მიქვიან „რად მინდა?“ — წამოიძახა ზვიადის ასულმა. — მე ვემთხვიე ხელს, რომელიც მალამოდ დაედო ჩემი თანამეცხედრის ჭრილობას. მე ვემთხვიე ჩემი თანამეცხედრისათვის თავდადებული ადამიანის ხელს. ვემთხვიე კიდევ ჩვენი ქვეყნის მომავალი დედოფლის ხელს... ბაგრატ მეფე მტკიცე ადამიანია: თქვა და აასრულებს თავის ნათქვამს, ადრე იქნება თუ გვიან.

— ჩემდა სავალალოდ! — დაურთო ანაზდეულად მირანდუხტმა რძლის უკანასკნელ სიტყვებს და აუტანელმა სევდის იერმა გადაჰკრა სახეზე.

შეკრთა ბაქარი. შეკრთა ველთამზე. ვერც ძმა და ვერც რძალი ვერ მიხვედრილიყვნენ, თუ რად იქნებოდა მირანდუხტისათვის დედოფლობა სავალალოდ.

იადხმობილმა კი ძმას შეკითხვით მიმართა:

— ბაქარ, გუგანი რამდენ ხანს მოუნდება ზემო დიდგორამდე სიარულს?

— ქვეითად წაეიდა... — დაიწყო ბაქარმა ისეთი სვენებ-სვენებით, რომ ჩანდა, გონება სხვა რამეზედაც შეაჩერა. — თუ ჰუნე იშოვა სადმე, სამ დღეში დიდგორზე გაჩნდება, თუ არადა მრავალი ღედე-ღუდეა გზაში... არა, გუგანი მაინც მალე მივა ბაგრატთან. ღედე-ღუდებში ნაცადია.

— რომ შეაჩეროს ვინმემ? — წაილაპარაკა მირანდუხტმა.

— გუგანი შეაჩეროს ვინმემ? — წამოიძახა ველთამზემ. — იმას ვერავინ და ვერაფერი ვერ შეაჩერებს. ყველასა და ყველაფერს თავს დააძვრენს.

— ხუთ დღეში მაინც ავა, — დასძინა ბაქარმა. — თუნდაც ქვეითად იაროს.

— მაშ, ბაგრატი ხუთი დღის უკან გაიგებს ამბავს? — შვებისნაირი კილოთი აღმოხდა მირანდუხტს და სახეზე როგორღაც სიამოვნების ღიმმაც გადურბინა.

— ბაგრატს შენ ვერ აუსწრებ დიდგორზე, — ამცნო დამ ძმას.

ჭაბუკი შეკრთა: მართლა ვერ აუსწრებდა, თუ ბაგრატი თავისებურად ამბის მოტანისთანავე დაიძვრებოდა ზემო დიდგორის სანახებიდან უჯარმისაკენ, ან, ვინ იცის, არაგვის მხრიდან პირდაპირ შიგნით კახეთს გადასულიყო. გული აუჩქროლდა ყმაწვილს, ვაითუ წოლა მომიხდეს კიდევ, ვინ იცის, დიდი ხნითაც და მეფეს ვერსად ვეახლოო. მირანდუხტმა შენიშნა ეს და ძმას გული საგულეში ჩაუგდო:

— ბაგრატს შენ ფეხზე დაუხვდები, თუ ჯერ უჯარმისაკენ მოესურვება წამოსვლა, — ამცნო მტკიცე კილოთი.

გულდამშვიდებულმა ჭაბუკმა გაიხსენა მირანდუხტის ნათქვამი: მაშ ბაგრატი ხუთი დღის უკან გაიგებს ამბავსო და თავის თავს შეეკითხა:

„რატომ გაიღიმა ჩემმა დამ ამის თქმისას?.. თითქოს გულს მოეშვაო, ისე აღმოხდა პირიდან სიტყვები: მაშ, ბაგრატი ხუთი დღის უკან გაიგებს ამბავსაო. — მალე მისცა ბაქარმა პასუხი თავის შეკითხვას: — უჯარმას ეწვევა ბაგრატი თუ არაგვით შიდა კახეთს ესტუმრება, კახეთის მფლობელს ხომ პასუხს მოსთხოვს ფადლონის რაზმის უჯარმაზე თავდასხმისათვის და ზარალის ანაზღაურებას წაუყენებს. კახეთის მფლობელი არ გამოცხადდება შეშინებული. ბაგრატი დაუწყებს დევნას აღსართანს, ატყდება ხანგრძლივი ბრძოლა კახეთის ზოგიერთი აუღებელი ციხის გარშემო და სასანიანთა

ასულის სასძლოდ წაყვანაზე ლაპარაკი საკარგახნოდ გადაიდება“.

ბაქარს ფიქრის დენა მირანდუხტის ხმამ შეუწყვიტა.

— რაო? — ჰკითხა ძმამ დასა.

მირანდუხტს სახეზე ოდნავი ნისლი შენიშნა ბაქარმა.

— კარგი არ იქნება, ველთავ? — მიმართა მულმა რძალს, — რომ ერთი ზედმეტი კაციც გაგზავნოს ბაქარმა ბაგრატთან?

— შენ გგონია, გუგანს გზაში რამე დაემართება? — შეეკითხა ველთა. — აქამდე ყველა ხიფათს უსხლტებოდა ჩვენი ყმა და რატომ ახლა...

— განა კოკა ყოველთვის მოიტანს წყალს? — ესროლა მოკლედ მირანდუხტმა რძალსა და ბაქარისაკენ პირი იბრუნა.

— ძმაო საყვარელო, ბაგრატს ხომ უნდა უსათუოდ ეცნობოს უჯარმას მომხდარი ამბავი და დროზედაც უნდა ეცნობოს! ხომ შეიძლება შეუგვიანდეს საძმე გუგანს მისდა უნებლიეთ? ერთი გამოცდილი ვინმე კიდევ გაგზავნე ბაგრატ მეფესთან, ვინმე, მოხეტიალედ ცნობილი. აი, მაგალითად, გულადი. ამ დილით აქ ტრიალებდა... ბაგრატს, საცნობი რაც არის, თუ დროზე არა, აუცილებლივ მაინც ეცნობება მაშინ.

ბაქარი მიხვდა, მირანდუხტს სწადდა აუცილებლივ გამოერკვია თავისი მდგომარეობა, მაგრამ იმასაც ხედავდა, რომ მისი თქმა სისწორეს არ იყო მოკლებული. ყმაწვილს ჭკუაში მოუვიდა დის რჩევა. მეორე დღეს, დილით ზარდია მგოსანს დაუწყეს ძებნა უჯარმის არემარეზე და ვერა ნახეს. ერთი ამბავი მოუტანეს ბაქარს მხოლოდ: ზარდია გუშინ დილიდანვე გუგანს წალკოტის გალავნის გარეთ გაჰყვა და მერმე დაბრუნებული არავის უნახავსო. შემდეგ დაჩიქ აცნობა, გაქცეულ ბასას დაეეძებდი იერის გამოლმა ტყეებში და სანადიროდ მიმავალი გუგანი გზად შემხვდა, გვერდით ზარდია მისდევდაო. მალე ასევე დაუმოწმა ონოფრემაც.

12

გუგანი რომ გამოვიდა ბაქარისაგან, წამსვე ჯერ თავის პატრონს ვარაზ-ბაკურს წარუდგა. მოკლედ გამოუცხადა, ეტოვებ უჯარმას. ბაქარს სჭირია ესაო, და მერმე სასანიანთა უოჯახო შინაყმათა სამყოფისაკენ გაემართა. აქ თავისთვის მიჩემებულ კუთხეში მოიკაზმა სამგზავროდ. ვარაზ-ბაკურის ყმამ ხელში ბერას ხელით საამისოდ გამოკვეთილი უშვე-

ლებელი სისქის კომბალი დაიჭირა იარაღად: ამითაც კარგა დავაფრთხობ მტერსო. „ბერამ ჩინებულად გამწაფა ამის ხმარებაში". — თქვა გულში და ერთი ორჯერ ისეთი მუქარით დაატრიალა უსარმაზარი კეტი, რომ შინაყმათა სამყოფში მყოფთ დამთხვეულად დაალანდა თავი.

— ვინ გაბედავს და გადამელობება წინა! — წამოიძახა ხმამაღლა.

— შენისთანა გადარეულს უკომბლოდაც არავინ გადაეღობება, — მიუგო შინაყმათა საშყოფში მოტრიალე ერთმა ყმათაგანმა.

გუგანმა ყურადღება არ მიაქცია ამ კბილის გაკვრას. ისრებით სავსე კაპარჭი და მშვილდი მხარზე გადიგდო და უოჯახო ყმათა სამყოფის კარს მიმართა.

— საითკენ მიბრძანდები, ყმაწვილო? — აღელვა კითხვა გუგანს მისმა კბილის გამკრავმა.

— სანადიროდ! — გაისმა გუგანის მოკლე პასუხი და კარი გაიღო და დაიხურა.

გუგანი გარეთ გავიდა. წალკოტისაკენ გაემართა. წალკოტის თავში პალატისაკენ მოიხედა. უეცრად ერთმა აზრმა გაუელვა:

„შინ დაბარებული საქმე გარეთ არავის გამოსდგომიაო, — და ამ ანდაზას სხვა ფიქრი მიადევნა: — წერილით მივდივარ. რა გზით შეკასრულებ დავალებას, ვის რა საქმე აქვს? — წერილი კი მივართვი ბაგრატს და არ გავყიდო, არ ვუღალატო არც ჩემს ბაქარს, არც ჩემს ვარაზ-ბაკურს, არც მეფეს, არც ჩემს ქვეყანას და გავენდობი თუ არ გავენდობი ვისმეს, ეს ჩემი საქმეა. წალკოტის გალავანს რომ გავცდები, ხელ-ფეხი მეხსნება. ჯერ იორს დავყევ და მერმე სამგორის მინდორისაკენ გადავუხვიო, სიკეთეს არაფერს მომიტანს — ათასი მამაოხერი დანავარდობს ქარივით ამ მინდორზე. იორს ავყევ, ტყეებში ადვილად დავიმალები, ზედმეტ მტერს ავცდები. მაგრამ გზები რომ კარგა არ ვიცი. აქაური ვინმე ავიკვიატო?.. სანდო უნდა იყოს ონოფრე? არა, მიყვარს, მაგრამ დამთხვეულია", — ფიქრი შეწყვიტა გუგანმა: პალატის მხრიდან მონადენი გულადი დაინახა.

გულადის დანახვაზე სახე გაუბრწყინდა.

„აი ეს გამომადგება!" — თქვა გულში გუგანმა.

გულადი ნაბადწამოგდებული, იღლიაში ჩანგგამოჩრილი და მუცელზე მოკლე მახვილჩამოკიდებული მოემართებოდა წალკოტისაკენ.

— ზარდიავ, საით? — შეეკითხა გუგანი. — ხომ არ გინდა დააგდო სასანიანთა სამკვიდრებელი?

— რას იზამ? ჩემი ბედი ასეთი არის, — უპასუხა გულადმა. — მე და ჩემი ჩანგი ახლა სხვა ხატობაში უნდა გავჩნდეთ. ხატობა ხომ ამ ჩვენს საქართველოში არ გამოილევა? მალე ამაღლება იქნება.

— ჰუნე, საჭურველი, რაღა უყავი? — ჰკითხა გუგანმა დაბალი ხმით.

— მოკეთეებში გავაბარე, — უპასუხა გულადმა. — მყვანან ამ მხარეს კეთილის მსურველნი.

— როგორც სასანიანნი, ვაჩე!.. — მოჰყვა გუგანი ჩამოთვლას და წალკოტს მოეცა.

გულადი გვერდში ამოუდგა და თან გაჰყვა.

— ზარდიავ! — მიმართა გუგანმა ახლა, რაკი დაინახა, რომ წალკოტის არემარეზე არავინ ტრიალებდა. — ამ იერის აყოლიება ადგილებს, ეჭვი არ მეპარება, კარგად იცნობ.

— ივრის აყოლიება რას მიქვიან? — დაიწყო გულადმა. — მთელი ერწო-თიანეთი და არაგვის პირის მხარე ჩემი ხუთი თითივით ვიცი.

— ხომ მაინც იორს უნდა აჰყვე? აღმა უნდა იარო...

— ბოჭორმას ავცდები. და იორს დავცილდები ხელმარჯვნივ.

— მერმედა კვეტარელებს რომ წააწყდე სადმე? — შეეკითხა ბოლნელი ფხოველს.

— ჯერ ერთი ღედე-ღუდეები რას მიკეთებენ?

— მერმე? ღედე-ღუდეების იმედი გაქვს?

— აბა, მაშ რა გგონია?.. მერმე ერწოში კვეტარელები ვერ დანავარდობენ. ხალხი მაგარია და სულ ბაგრატისაკენ იცქირებიან გულით.

— აბა, მაშ მეც შენთან წამოვალ! — აუწყა გახარებულმა გუგანმა გულადს. — ღედე-ღუდეებში მეც კარგა დავდივარ.

— წამოხვალ მარტო ღედე-ღუდეებში სათრევად? — გაისმა გულადის ხმა და მერმე სიჩუმე ჩამოვარდა ერთად მიმავალთ შორის.

ორივემ წალკოტის გარეთ ამოყვეს თავი.

— ჩემს პატრონს გამოვექეცი, — თქვა მოკლედ გუგანმა.

გულადმა მსჭვალავი თვალით გადახედა ვარაზ-ბაკურის ყმას.

— შენ, ბოლნელო, ვერ მომატყუებ.

— ვიცი, — დაიწყო ჯუგანმა. — არც მინდა მოგატყუო, ჩემო ზარდიავ!

აბა რას გაექცევი ჩემს პატრონს. უმისოდ ყოფნა ჩემთვის საძნელოა. გაგიხარდეს პირდაპირ გეტყვი: დაგალუბა მაქვს. წერილი უნდა მივართვა ბაგრატ მეფეს ბაქარისაგან, გუშინდელ ამბავზე. სამგორის მინდვრით გამგზავრება უარეყავ: ყოველი გარეწარი შეეაჩერებდა და გაიგებდნენ, ერწოთი არაგვზე გადასვლა და შენზე უკეთეს მგზავრს ვის ვნახავდი?.. მერმე მცხეთა, ქვემო დიდგორი, ზემო დიდგორი, ჩემი საქმეა.

გულადმა გუგანის გუდას თვალი გადააყოლა და ხელი დაჰკრა.

— საგზალი გაქვს? — იკითხა ისეთი კილოთი, რომ, ეტყობოდა, გუდაში ჩალაგებული იცოტავა.

გუგანმა პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, რომ უკანიდან დადევნებული სიტყვები გაიგონა.

— საით მიერეკებით, საით, ვაჟკაცნო? — გულადმა და გუგანმა მოიხედეს და მოულოდნელად იცრის ნაპირიდან ამომძვრალ, წყალში ტანისამოს ამოზუზუნებულ ონოფრეზე შეაჩერეს თვალი.

— რას ამოწუწულხარ, დაბნეულო? — დაუძახა გუგანმა ონოფრეს.

ონოფრემ ამაზე გუგანს არაფერი უთხრა რა. მისი გონება ახლა იმას უღირღიტებდა, თუ რომელ მხარეს მიიმართებოდნენ გულადი და გუგანი.

— რა, სიტყვას ენაზე მიგდებ? — დაუწყო დავა ბაქარის ძიძიშვილმა გუგანს. — წამოგიდევია, შვილოსან, მშვილდი, ისრებით სავსე ხალთა და... ეს კომბალიო, ეს გუდაო...

გულადმა დაინახა, ონოფრე არ გაათავებს ლაპარაკსაო და მოკლე პასუხით მოაპურა მისი სიტყვათა დენის შეჩერება.

— რომ მოუგდია მხარზე მშვილდი, ეს იმას ნიშნავს, რომ სანადიროდ მიდის.

— სანადიროდ მიდის? გერმანდა გუშინდელმა ომმა რალა ნადირი გააჩერა ამ ადგილებში?.. დააფრთხო.

— ამ ადგილებში დააფრთხო, ვერენა რას აკეთებს?

— კარგი ახლადა, შენცა! სანადიროდ და ამოდენა საგზალი? განა რამდენ ხანს უნდა ინადირო. ე კომბალი რალა არის?

— ხომ არ გინდა შენც დაგიწვიო? — წაელაპარაკა გუგანი ონოფრეს დაცინვით. — მაგამ ნურაფერს შეეშვა.

— შენმა მზემ, ვადა წაგივა, რომ კიდეც დამიწვიო! — უთხრა ონოფრემ ნაწყენის კილოთი და ზურგი შეაქცია. უკან აღარ მოიხედა, ისე გასწია წალკოტისაკენ.

— სწორე გითხრა, მაგის წყენა მე არ მინდოდა! — თქვა გუგანმა. — კარგია და თავს არ დავინანებ მაგისათვის, მაგრამ ყველას ხომ არ გაეწყობი: შენ გაგეწყვე, ზარდიავ, და გამყოლობას მიწევ შენი ჩანგით აქ იერის აღმა და ერწოში და მერმე მე ვიცი.

— ზემო დიდგორამდე მოგყვები, — ამცნო გუგანს გულადმა და კიდევ მის გუდას გადახედა.

— ჰო! ახლა კი მივხვდი, თუ რად გეცოტავა ჩემი საგზალი, — უთხრა გუგანმა გულადს. — ორ დღეს ხომ გვეყოფა.

— ჰაი, ჰაი რომ გვეყოფა! — დაუდასტურა გულადმა.

— აბა, მაშ არა გვიშავს რა... — დაურთო გულადის სიტყვებს გუგანმა. — თუ დაგვჭირდა, ორი დღისას ოთხი დღისად და მეტისადაც ვაქცევ... შენ ჩანგი დაუკარ სოფლებში, პურს ვიშოვით და დანარჩენი ჩემზე მოაგდე...

გუგანი შეჩერდა: მისმა თვალმა იერის ხეობის აღმა შორიდან მომავალი დაჩი დაინახა.

— ამ დილით, მგონი, სასანიანთა შინაყმანი ყველანი გარეთ გამოკრებილან! — წამოიძახა მან, — რა ამბავია? ახლა ეს მკითხავს, სად მიხვალო.

მაგრამ დაჩი მდუმარებით მიუახლოვდა გუგანსა და გულადს. არაფერი უკითხავს რა მათთვის ჭაბუკს. უგემურობა ეტყობოდა სახეზე.

თვითონ გუგანი გამოეხმაურა.

— რა ამბავია, დაჩი? საიდან მოდიხარ? შენ რაღაც გაწუხებს!

— გუშინ ბასას გაურისხდა მამაჩემი, როგორ გაბედე და მარტოკა იორს გამოხვედიო. ცემას უპირებდა, მაგრამ დედაჩემი გადაეღობა წინ მაშაჩემს და ბასა კიდევ შურდულივით გარეთ გავარდა, მამაჩემმა სიტყვები დაადევნა გაქცეულს, შინ ფეხი აღარ შემოდგაო. წუხელის მართლა აღარ მოსულა, დილით კიდევ წალკოტის არემარეზედაც ვეღარა ვნახეთ ის ჭინკა. დედაჩემი სწყევლის მამაჩემს, მამაჩემი კიდევ თავში ხელს იცემს, ვაითუ სადმე დაძრწის დაურიდებლად, არ ფრთხილობსო. ან იორში დაიღუპოსო, ან მტერმა სადმე მიმალულმა არ მომისპოსო.

გულადს დაჩის ნალაპარაკევზე გულიანი ხარხარი აუტყდა.

დაჩიმაცა და გუგანმაც გაიოცეს, სასაცილო აქ რა არისო.

მგოსანმა კიდევ ხარხარი შეაჩერა, დაჩის ჰკითხა:

— ონოფრეც იმას ხომ არ დაეძებდა?

— იმის საძებნელად იყო წამოსული. ჰო, — დაიწყო დაჩიმ პასუხად. — მაგრამ ბასას ძებნა მალე გადაავიწყდა და თავის ფაცრებს მიუტრიალდა. ახლა ამ ჩემმა მამიდაშვილმა იცა თავში ხელი, ვაიმე ჩემო ფაცრებოო! დამღუპვიაო!.. იორს წყალი კიდევ მოჰმატებოდა და ფაცრები წაელეკნა.

გულადმა კიდევ გულიანად ხარხარი ასტეხა. გუგანმა კიდევ თავისი ბოხი ხმით ბანი მისცა ფხოველს.

დაჩი თვალებგაფართოებული მისჩერებოდა მათ: ნეტა რა აქვს სამხიარულო, ძმა დავკარგეო, ფიქრობდა ჭაბუკი.

გუგანი ხარხარებდა — თვალწინ ამოზუზუნებულ ონოფრეს ხედავდა. გულადი ხარხარებდა — ცალკე ამოზუზუნებულ ონოფრესა ხედავდა და ცალკე ბასას. ეს ვერხვის ჭინკა წუხელის ამას მიჰკედლებოდა.

— არ გეწყინოს, დაჩი ჩემი ხარხარი! — უთხრა მგოსანმა ფერისის სიყრმის შვილს მობოდიშებით, — ბასას რა დაჰკარგავს? ან წუხელის აბა სად უნდა წასულიყო ის ვერხვის ჭინკა, ისა, რომ რამე ზიანი მოსვლოდა? სახლიდან გამოქცეული ჩემთან მოვარდა, არიქა, ბოჭორმის ეშმაკო, ღამე შენთან გამატარებინე, თორემ შინ მამაჩემს ვერ შეუვალო, — მითხრა ონავარმა სხაპასხუპით. — ეშმაკი ხარ, ჭინკა ვარ, უნდა მიშველოო. წუხელის ჩემს ნაბადქვეშ ეძინა შენს უმცროს ძმას... დილა დრიან გამოიღვიძა ბალღმა, ცოტაოდენი პური გამომართვა და გარეთ გამოსწია: მითხრა, ივრის პირს ჭალაში, უჯარმის ხელმარცხნივ ფულუროიან ხეზე ციყვი მეგულება და უნდა დავიჭიროო.

— რა ვიცი! — თქვა ცოტაოდნად დამშვიდებულმა დაჩიმ. — ეს ივრის პირა ტყეებიცა და ჭალებიც უჯარმის ხელმარჯვნივ სულ დავათვალიერე და ვერ ვნახე კია.

— რა გაწუხებს, ჭაბუკო? — წამოიძახა გუგანმა და დაჩის მხარზე ხელი დაადო. — შენ თუ ვერ ნახე, იმან, ვინ იცის, რამდენჯერ დაგინახა და გაიტრუნა. დაბრუნდი შინ დამშვიდებული. იმ ვერხვის ჭინკას გულადის მიცემული პური გამოელევა, მოშივა და შიმშილი დააბრუნებს სახლში. წუხელის, ხომ გაიგე, ტკბილად სძინებია. არაფერი ზიანი არ მოსვლია ჯერ. ამ დილით რაღა გამოუტყვრებოდა. შინდაბრუნებულ მლოცავების მეტს ვიღასღა ნახავდა გზაში!

ჭკუაში დაუჯდა დაჩის გუგანის ლაპარაკი.

—მართლადა წუხელის ვერ გაბედა ღამე გარეთ დარჩენა, არც ამა-

ღამ გაბედავს და თავში კოხი-ქვას იხლის, დაბრუნდება თავის სახლში.

საესებით დამშვიდებულმა დაჩიმ უჯარმისაკენ გასწია აჩქარებული ნაბიჯით.

გუგანმა და გულადმა კი თავისი გზა განაგრძეს ივრის აღმა.

— ზარდიავ, მგონი, ახლა ჩვენიანი აღარავინ შეგვხვდება, — დაიწყო გუგანმა. — თუ შეგეკითხება საფუძვლიანად ვინმე, სადმე მიმავალს, ისევ შენიანი გამოგელაპარაკება, გამარჯვებას გეტყვის და გაივლის, ან ცოტაოდენ რამეს დაუმატებს თავის ლაპარაკს და ასე გაათავებს. მოხეტიალე დიდგვარიანებმა და მეკობრეებმა იციან გამოკითხვა, მაგრამ ჩვენ ასეთი ვინ გამოგვეცხადება გუშინდელი ბრძოლის შემდეგ... შენიანი დაგიწყებს, ჩემო ძმაო, და აღარ გაათავებს. შეიძლება შენდა უნებურად ზედმეტი გათქმევინოს, თავისდა უნებურად კისერი წაგვატეხინოს. თუ დაჩიმ არაფერი გეკითხა, ამისათვის არ ეცალა: თავის დარდს სჩიოდა... ონოფრესათვის რამე საწყენი არ მეთქვა, ვეღარ მოვიშორებდი. ბერა, რას იზამ, ჩვენიანია, რომ შემოგეხვდეს, კითხვას კითხვაზე მოგვაყრის... საიდუმლოს შენახვა კი იცის თუ გგონია, გაგანდოს ადვილად თავისი დაწყებული საქმე?.. სხვისას კი ეცდება გაიგოს. ეჰ! რაღა ბერა, აქ არ ვარ! მე მომდგამს ასეთი... მტერს მაშინ ამარცხებ, როცა საიდუმლოებას გაუგებ. ეს ყველამ ვიცით... აგე, ვინ მოდის, ისა... სხვა მხარეს გადაუხვია. ძაღლი მოსდევს.

— კაწარეთში მიდის, ეტყობა, — განუმარტა გუგანს გულადმა, და ამ თავის განმარტებას ზედ შეკითხვაც მიაყოლა: — რას იზამს ახლა ბაგრატ მეფე?

— რას იზამს? ჰმ!.. — გუგანმა ულვაშებში ჩაიცინა. — თქმა არ უნდა, თვალებში არ აკოცებს აღსართანს... — იაზონ ცალქალამანიძემ თავისი სამარე თვითონ გაითხარა: იმისი ციხე-სიმაგრე აუღებელი აღარ დარჩება ბაგრატს.

— ფრთხილია იაზონ ცალქალამანიძე, ჩემო ძმაო, ფრთხილი! — ამცო ფხოველმა თანამგზავრს. — გუშინდელი თავდასხმა, წუხელის აზრმა გამირბინა თავში, იაზონის საიდუმლოდ უნდა იყოს მოწყობილი: ეს გულთფარის საქმეა და აკი დედა ეტირა კიდეც იმ ვაჟბატონს. ვენაცვალე გიორგი მეფისწულის მარჯვენას... არა, ეს გოდერძი და კოხიანიც რომ აუყოლებია იმ ღმერთ გამწყრალს!..

შეჩერდა ფხოველი: რომელიღაც მაღალი ხიდან მოულოდნელად ბალღი ჩამოსრიალდა და გუგანსა და გულადს გადაეღობა კბილების კრეჭით.

გუგანმა და გულადმა პირჯვარი გადაიწერეს: გულს შიში გაივლეს, მაგნე სული ხომ არ არისო.

— ჭიტა! — შესძახა ბალღმა შეფიქრიანებულ წყვილს.

გუგანმა და გულადმა „ჭიტაზე" გულიანად გადაიხარხარეს. წინ შავად სახეგათხუპნული ბასა ედგათ. ხელში გუდა ეჭირა, გუდაში რაღაც პატარა არსება ფხაკუნობდა.

— მეც თქვენ უნდა გამოგყვეთ! — განუცხადა პატარამ გულიანად მოხარხარე მგზავრებს.

ამის თქმა და ხარხარის შეწყვეტა ერთი იყო.

— ხომ არ გადარეულბარ? — დაუმატა გუგანმა ბასას. — ახლავე დაბრუნდი შინ, ახლავე! — შენმა მშობლებმა ლამის არის ქვეყანა გადაა-ბრუნონ: შვილი დაგვეკარგაო, და შენ კი აქ რაღაცას მიჰქარავ. ახლავე დაბრუნდი, თორემ დაგიჭერ და ისე მიგტყეპავ, არ დაგავიწყდეს!

— ბოჭორმის ეშმაკო, შენც მიმტყეპავ? — შეეკითხა ბასა ფხოველს. — შენ კეთილი ხარ, შენ გამოგყვები.

— წადი, ბალღო! წადი შინ! — უთხრა დინჯად გულადმა ბასას. — მე ფხოვში მივდივარ. იქ ხომ ვერ წაგიყვან? ვერც ამას გაჰყვები, გატყეპას გპირდება.

— არა. მამაჩემს აღარ დავუბრუნდები! — წამოიძახა მტკიცედ ბა-სამ. — საცემი არაფერი დამიშავებია რა და უნდა ეცემა ჩემთვის. იორი გამოვცურე? რა მოხდა მერმე? ჩვენებს ვახარე. აი, ჩვენმა პატრონმა იოანე ნინოწმიდელმა რა მაჩუქა სამახარობლოდ, — ბავშვმა გულიდან მინანქრიანი ჯვარი ამოაძვრინა.

— მაინც უნდა დაბრუნდე შინ, — უთხრა გულადმა ბასას. — ჩვენ სად უნდა გვდიო? მე აკი გითხარი, ფხოვში მივდივარ-მეთქი. ეს შორს სადღაც მიემგზავრება სანადიროდ: უნდა ტყე-ღრეში, ღედე-ღუდეებში იაროს.

— დიახ, დიახ! სანადიროდ! — წამოიძახა ბასამ ხმამაღლა და მერმე დაბალი ხმით განაგრძო: — სანადიროდ კი არა, ბაგრატ მეფესთან მიდის.

გუგანმა და გულადმა თვალები დაჭყიტეს. მათ განცვიფრებას საზ-ღვარი არ ჰქონდა.

— საიდან იცი, ბიჭო! — შეეკითხა გუგანი.

— საიდან და დილით ბაქართან მინდოდა შემოსვლა: მინდოდა მასთან დამალვა. ბაქარს ვუყვარვარ. ოდნავ კარი შემოვაღე უფლისწულთან. შენც იქ იჯექი. მირანდუხტი წერდა, ბაქარი ეუბნებოდა მირანდუხტს. შენ პურსა სჭამდი. ვერ გაიგონეთ კარის შემოღება. გავიგონე, ბაგრატი ახსენა უფლისწულმა. აღარ შემოვედი. ვთქვი, გუგანს ბაგრატთან წერილს ატანენ-მეთქი... მერმე აქეთ წამოვედი.

— მერმე? არ გეშინოდა, შე ბრიყვო? — უთხრა გუგანმა ბავშვს. — ამ მხარეს ახლა უეჭველია იაზონის კაცები დაძრწიან თავიანთი მკვდრების ასაკრეფად, ალბათ გულთფარის გარდა სხვებიც იქნებოდნენ იაზონისანი ფადლონის რაზმეულებს შორის. იმათ რომ ჩაგიგდონ ხელში, მერმე? ხომ გაგაქრობენ. შენ გგონია შეგარჩენენ კვეტარელებს რომ მასხარად იგდებდი? წადი, ბიჭო! შინ წადი! — უკანასკნელი სიტყვები გუგანმა ისეთნაირი ლმობიერებით წარმოთქვა, რომ ცხადჰყო, თუ რარიგად უყვარდა ბავშვი. — ან აქეთ რა მოგარბენინებდა? ველთამზესთან მიხვიდოდი და ის დაგიფარავდა ცემისაგან...

— აი რა მომარბენინებდა! — წამოიძახა ბასამ და გუდიდან ციყვი ამოაძვრინა. — პატარა რევისათვის მინდა.

— პატარა რევისათვის გინდა და მე უნდა ამედევნო? — შეეკითხა გუგანი ბასას.

ბასას წითელმა ფერმა გადაჰკრა, სირცხვილმა აგრძნობინა თავი. მამის მუქარა აღარ გახსენებია. უცბად მოსწყდა ბიჭი ადგილიდან და უჯარმისაკენ გაექანა. მაგრამ გუგანმა თავისთვის მოულოდნელად რაღაც აზრი გაივლო თავში, შუბლზე ხელი იკრა, თითქოს უნდა თქვას, ეს რა მომივიდაო, და გაქცეული შეაჩერა: უკან დააბრუნა.

— რად დააბრუნე? — ჰკითხა გულადმა. — ძლიეს მოიშორე თავიდან.

— ბავშვია მაინც! — განუმარტა ამხანაგს გუგანმა. — სხვაგან იტყვის, გუგანი ბაგრატთან მიდიოდაო.

— არაფერსაც არ ვიტყვი! — წამოიძახა ბასამ წყენით.

ბავშვს უნდა ეთქვა გუგანისათვის, თუკი უფლისწული ბაქარი მენდობა, შენ ვინა ხარ, რომ არ მენდოო, მაგრამ უცბად აზრი შეეცვალა და პირზე ოდნავ შესამჩნევმა ეშმაკურმა ღიმმა გადაურბინა...

ისე ეჭირა ბასას თავი, თითქოს სწადია თავი გაინთავისუფლოს გუგანის ხელიდანაო.

გულადი მოუსვენრად შეტოკდა. გუგანი ახანებდა.

— ბოლოს რას აპირებ, კაცო? — შეეკითხა გულადი გუგანს. — ასე ხომ არ გეჭირება.

— გამიშვი, წავიდე, რაღა! — შესძახა გუგანს ბასამ, ვითომდა მოუთმენლად და გასწია.

— არა, პატარავ, შენ ვერ გენდობი! — უთხრა გუგანმა. — სანამ ერწომდე მოვასწრებ ასკლას, მთელ უჯარმას ეცოდინება ჩემი აქედან წასვლის მიზეზი. შენ თან უნდა გაგიყოლიო.

გუგანის ამ უკანასკნელ თქმაზე ბასას გული აუფართქალდა. წელან ღიმმა რომ გაუთამაშა სახეზე, აზრად ის მოუვიდა, გუგანი არ მენდობა და თან წამიყვანსო. მეც ეს მინდაო. ლაწირაკს ციყვიც გადაავიწყდა და პატარა რევიც. საწადელი აუსრულდებოდა.

გულადი ჩაერია საქმეში, რაც ბასას არ ეპიტნავა.

— მერმე ფერისს რა პასუხი უნდა გასცე? — გამოედავა ფხოველი გუგანს. — შვილი ხომ დაკარგული ეგონება.

„ვაიმე! არ წამიყვანს! — გაივლო გულში ბასამ. — ამ ბოჭორმის ეშმაკს ვინ ეხვეწებოდა გამოსარჩლებას.

გუგანმა კი ჯიუტად გადახედა გულადს და დასძინა:

— უნდა გავიყოლიო, მეტი გზა არა მაქვს. ეს ლაწირაკი ქვეყანას შემიყრის. არაფერი მოუვა რა ფერისს და მისიანებს, ერთი ათი დღე რომ ივაგლახონ.

გულადმა თავი გააქნ-გამოაქნია. არ იცოდა, რა ეთქვა.

გუგანი დაიძრა. ფხოველი გვერდით ამოუდგა. ორივეს წინ კიდევ ბასამ გაუფუნდრუკა სიხარულის ნიშნად.

— მიაღწია ჭინკამ საწადელს! — წაულაპარაკა მგოსანმა გუგანს. — ხედავ როგორ გაიკუნტრუშა!

— პატარა გავიაროთ გზა, ვნახავთ როგორ იკუნტრუშებს, როცა სიარულით ქანცი მოსწყდება, — მისცა პასუხი გუგანმა და თან დაწინაურებულ ბასას მიაძახა: — ე პირი მოიბანე, შე ეშმაკის ფეხო.

— აგისრულებ, აგისრულებ მაგ თხოვნას, ბოლნელო! — გამოსძახა მხიარულად ბასამ და პირველ შემხვედრ რუში პირისახეზე ჯერ ლამი მოისვა, მერმე წყალი შეიშხაპუნა და ლამი მოიშორა. მერე მოახლოებულ გუგანს მოუტრიალდა და ამცნო:

— ჰა! წადილი აგისრულე. გავლამაზდი! — თქვა ეს თუ არა, ისევ

წინ გაინავარდა.

— მაგას რა დაღლის? — წაილაპარაკა გულადმა.

ბოჭორმას რომ ჩრდილოეთ-დასავლეთიდან კარგა შორს მოექცნენ მგზავრები, შეჩერდნენ და შენაყრდნენ.

— შენი საგზალი ორ დღეს ძლივს გვეყოფა, — დაიჩივლა გულადმა. — სამნი ვართ.

— ნუ გეშინია!.. ჩემი მშვილდ-ისარი რას მიკეთებს? — ანუგეშა მომჩივანი გუგანმა. — ნადირის ხორცი გამოულეველი გვექნება პურს სადმე სოფელში მოვიკითხავთ, ბაგრატეულითა ვარ მოსაგზლებული.

— შენ რად უნდა მოსცდე! — წამოიძახა თავისებურად ბასამ, — მიშოვე აქ რომელიმე სოფელში შენი ბაგრატეულით საჩემო მშვილდი და ნახავთ, როგორი საგზალით გაგავსებთ!.. სულ შამფურზე შემწვარ მჩხავანა ყვავებს ვაჭმევ ამ ჩვენ ბოჭორმის ეშმაკს. მე ვიცი, რაც აძღებს მაგის მოდგმას...

— წადი, შე ჭინკავ, შენა! — დაუტია გუგანმა.

— აი ჭინკა რომ ვარ, სწორედ მაგიტომ ვიცი, ეშმაკებს რა აძღებს, — შეუბრუნა სიტყვა ონავარმა.

გუგანმა გულში გაიცლო: „ეს რომ გარეული ფრინველის ხორცს არ მოგვაკლებს, თუ მშვილდი ვუშოვე, მჯერა... ვუშოვნი, რატომ არ ვუშოვნი? რად ვკარგო დრო“, — დაამთავრა ბოლოს თავის ნაფიქრი გუგანმა.

გულადმა კი გულდამშვიდებით შეხედა ბასას კბილის გაკვრას, გაიღიმა, ჩანგი მოიმარჯვა და დაამღერა:

ბიჭო, ბასაო, ბასაო.
რად არ მანებებ თავსაო?
წაგგრძელებია კისერი,
თავი მიგიგავს ქვასაო.

ამას მგოსანმა სხვა მწვავე სახუმარო მოაყოლა, ისეთი, რომელიც ბასასთანას ბევრს გააღიზიანებდა და ცრემლსაც მოჰგვრიდა კიდეც. გუგანმა ბევრი იცინა, ნიშნიც მოუგო ბასას, ახლა არ მოასვენებ ენასაო. მაგრამ ბასას აინუნშიაც არ მოსვლია ეს დაცინვა. ახალი ონავრობისთვის აქეზებდა მხოლოდ. ბიჭი ავარდა ხშირ ტოტებიანსა და თვალუწვდენელ ხეზე.

— გადარეულო, სად მიხვალ? — დაუყვირა ხის სიმაღლით შეფიქრიანებულმა გუგანმა. — წალკოტის ვერხვებისთანა ნუ გგონია შენ ეგა!..

მაგრამ გამგონი ვინ იყო? ბასა ხის ტოტებში გაერია.

ორჯერადაც ვერ მოესწრო გუგანსა და გულადს თვალის დახამხამება, რომ ხის კენწეროდან ყვავმა გადმოსჩხავლა.

— აი, გაწყვეტა შენი! გაწყვეტა! — წამოიძახა გუგანმა.

— ამინ! — დაურთო გულადმა. — ცუდად მაქვს დაცდილი.

ყვავის ჩხავილი კიდევ გაისმა.

— ბიჭო! — შესძახა გუგანმა ბასას, რომელიც თვალით ძლივსღა ჩანდა.

— გააგდე ეგ ოხერი!...

ყვავმა ერთი კიდევ დაიჩხავლა და ისე გაკმინდა ხმა, თითქოს გაფრინდაო, ყვავი მიდუმდა და ტოტებმა რხევა იწყეს. ბასა მოისწრაფოდა ქვეითკენ.

მალე ბასა თანამგზავრებთან გაჩნდა. ეშმაკურად იღიმებოდა.

— აი, საჩემო მშვილდ-ისარი რომ მქონოდა ახლა, იმ ყვავს ცოცხალს არ გაუშვებდი! — თქვა ბავშვმა და თავის გუდას ხელი წამოავლო. — მივდივართ, არა? — შეეკითხა თანამგზავრებს.

გულადი და გუგანი ფეხზე წამოდგნენ. მართლა დრო იყო, რომ გზას გასდგომოდნენ.

ბასა დაწინაურდა; კარგა გზა გავლო. გზად წიაბელ მეხრეს შეეჩეხა.

— საიდან მოდიხარ, ბალღო? — ჰკითხა მეხრემ.

— საიდანაც აი ისენი მოდიან, — მიუთითა ბასამ შემკითხველს კარგა შორს ჩამორჩენილ გუგანსა და გულადზე.

მეხრემ ახედ-დახედა ბავშვს და საბრე უჩვენა:

— ეს ხომ არ გინდა, შე ლაწირაკო, შენა!

— ღმერთი, რჯული, არ მინდა! — უპასუხა ბასამ, ერთი თავისებურად შეიკუნტრუშა და „ჭიტა“ უთხრა საბრით დამუქრებულს.

მეხრემ გაიცინა.

— ე გუდაში რა გიფაფხურებს? — ჰკითხა ბოლოს.

— ერთი მეხრის სული! — უპასუხა მოკლედ ბასამ.

— ლაწირაკო! — შეუტია მეხრემ გაჯავრებით. — რა იბრეულად მელაპარაკები?

— რატომ იბრეულად? — დაიწყო ბასამ და თავის თავი გააცნო მეხრეს. — მე ვერხვის ჭინკას მეძახიან და ადამიანებს სულს ვაცლი.

ბასა გუდიანად თვალის დახამხამებაზე ერთ მაღალ ხეს ეცა, სწრაფად აუცოცდა ტანზე და კენწეროში მოექცა. კენწერომ ქანაობა დაიწყო ნიავისაგან და ბასა გადაიტან-გადმოიტანა. მეხრე ჰკვირობდა ბავშვის გამბედაობას და თან შიშობდა, ცოდო არაფერი დატრიალდეს და ამის მოწმე არ გავხდეო. პირჯვარი გადაიწერა მეხრემ, როცა ერთხელ ისე გადმოიხარა ხის კენწერო, რომ კაცს ეგონებოდა, მოტყდება და ბავშვიანად ქვეითკენ წამოვაო. როცა კენწერო უვნებლად გასწორდა წელში და მეხრემ ერთი კიდევ გადიწერა პირჯვარი, მუდარით შესძახა:

— ბალღო, ნუ მაცქერინებ შენს დაღუპვას, თუ ღმერთი გწამს, ჩამოდი ძირს.

ბასამ მეხრის მუდარას ყური არ ათხოვა. მოეიდნენ გუგანი და გულადი. მეხრე ახლა ამათ გამოელაპარაკა.

— თქვენია? — შეეკითხა მოსულთ და პასუხის მიცემა კი არ აცალა, შეკითხვას სწრაფად დაურთო: — ღმერთო, რა თავგამეტებული რამ· ყოფილა ეგ ვიღაც ორავარი! ვისგან დაჰყოლია: ასეთი გამბედობა ძაგ ღლაპს. ეკითხე, რიგიანად პასუხი ვერ მივიღე.

ბასასაგან იერიშით აღებული ხიდან ყვავმა დაიჩხავლა. მეხრეს სიტყვათა დენა შეუწყდა, ფერი ეცვალა. გუგანსა და გულადს ხმის ამოღება ვერ მოესწროთ, რომ ხეზე, საცა ბასა იჯდა, ლაწალუწი გაისმა. ძირს მდგომთ სამივეს ძრწოლა შეუდგათ, აი კენწერო მოუტყდა ბალღს და ქვეითკენ წამოვიდაო... ბუშტივით გასკდებაო. მაღლა ახედვა ვერ მოასწრეს, რომ ბასა წინ გამოეჭიმა უვნებელი, კბილების კრეჭით:

— ძიავ! — მიმართა ონავარმა მეხრეს. — აი ხომ ხედავ? — გულადზე მიუთითა: — ეს ბოჭორმის წმიდა გიორგის ეშმაკია, ხომ სცნობ? ბოჭორმაში ყოფილხარ?

მეხრემ გაოცებით გადახედა გულადს, მართლა ჰგავსო, გაივლო გულში.

ბასამ კი სხაპასხუპით განაგრძო:

— რქები რომ არა აქვს, მოჰხერხეს. ქუდი უფარავს ნარქალ ადგილებს. მე მაგის შვილი ვარ, ვერხვის ჭინკა, ხომ გითხარი, მეხრეების სულებს ვაგროვებ. აი აქ ერთი კიდეც მიზის. ეს ბიძაჩემია გუგანი. ხედავ

რამოდენა ხელები აქვს, თუ მოჰკიდა ვინმეს, ვაი იმას! აი ახლაც მე მიპირებს დაჭერას, მაგრამ, ნურას უკაცრავად! — დაამთავრა ბასამ და განზე სკუპი ქნა. გუგანისაგან შორს დაიკავა ადგილი.

— ე გიჟი ნეტა რას აგეკვიატათ? — მიმართა მწყემსმა ბასას უფროს თანამგზავრებს.

— ღმერთი გამიწყრა რაღა! სხვა რა მეთქმის, — უპასუხა გუგანმა. — წელან ყვავმა სამჯერ ისე დაგეჩხავლა ხიდან, რომ უსათუოდ სადმე უბედურებას შეეყრება ჩვენდა სავალალოდ ეგ დამთხვეული. ახლაც, ხომ გაიგონეთ, დაიჩხავლა იმ წყეულმა.

გუგანმა გაათავა ლაპარაკი და ბასამ ისეთი ჩხავილი ასტეხა რომ ადამიანის შვილი ვერ გაარჩევდა მის ჩხავილს ყვავის ჩხავილისაგან. გუგანმა და გულადმა ერთმანეთს გადახედეს და უნებურად სიცილი აუტყდათ. მეხრე ვერ მიხვდა ბასას ოინს, მაგრამ გუგანსა და გულადს რატომღაც მაინც ბანი მისცა თავისი სიცილით.

— აი, დასწყეველოს ღმერთმა შენი თავი და ტანი! — შეუტია გუგანმა ხუმრობით ბასას. თვალის დახამხამებაში მოულოდნელი სისწრაფით მივარდა დანდობილად მდგარს და ხელი დასტაცა.

ბასა არ ცდილა გათავისუფლებას. გუგანმა ხელში აიყვანა და გადაკოცნა. მერმე მიუტრიალდა გულადს და უთხრა:

— ზარდიავ, შენ შენი ლექსებისა და მე კიდევ ნიშნის მოგებისა გადამიხადა აი ამ ლაწირაკმა! ეს ეშმაკის ფეხი, ესა!

ვარაზ-ბაკურის ყმამ ერთხელ კიდევ გადაჰკოცნა ონავარი და ისე დასვა.

— აბა, წავიდეთ, — თქვა და ადგილიდან ლაიძრა.

მეხრემ შეაჩერა მგზავრები.

— მითხარი ერთი, უჯარმიდან ხომ არ მოდიხართ?

— არა, ბოჭორმიდან, — უპასუხა მოკლედ გუგანმა. — რად ახსენე უჯარმა?

— რად და გუშინ ხომ ჯვარპატიოსნობა იყო? გუშინ იქიდან მომავალმა მლოცავებმა გამომიარეს და მითხრეს: ფადლონის რაზმელები დაესხნენ მიპარვით უჯარმასაო. დიდი ბრძოლა ატყდა დამსხმელებსა და ბაქარის ციხოვანთა შორისო, ჩვენ წამოველით, თავი გამოვარიდეთო. შევარცხვინე კია, ისე არ გავუშვი. იქ ვყოფილიყავი და არ წავეშველე-

ბოდი? რა ღმერთი გამიწყრებოდა. ჰაი დედასა რა ვაჟკაცია ბაქარი!.. ასე მითხრეს გამოქცეულებმა, ბაგრატ მეფის შვილიც იბრძოდა ბაქართან ერთადაო. ნეტავი როგორ გათავდა ე ბრძოლა!

— ჩვენ დილას ვნახეთ იქიდან წამოსული ბლიცკვები, — უპასუხა გუგანმა. — ზოგი ამბობდა, ბრძოლა ჩვენს სასიკეთოდ მაინც არ გათავდაო, ბაქარი მძიმედ დაიჭრაო, ზოგი ამბობდა, მტერი გააქციესო, სხვებმა თქვეს, კეტარელთა ბუნაგმა დაასხა თავს უჯარმას ფაღლონის რაზმიო.

— აი ის დაწყეველილები, ის ღვთისგან შერვენებულნი! — დაიწყო მეხრემ. — როდის იქნება, ქვეყანამ რომ მოისვენოს მაგნაირი ხალხისაგან. ნეტავი რას ფიქრობს ბაგრატ მეფე?

— ალბათ მოჰკითხავს, ძმობილო, მოჰკითხავს! — მიუგო გულადმა.

— ნეტავი ჩქარა მოჰკითხოს და მთელი ერწო ფეხზე დადგება: ბაგრატს ყველა გაჰყვება აქაური. კაცს ვერ ნახავთ აქ აღსართანისა და მისი კუდების მადლიერს!

— მოჰკითხავს, მოჰკითხავს! — წამოთქვა მტკიცედ გუგანმა და გზას გაუდგა, გაჰყვა გულადიც. ბასა ჩვეულებისამებრ დაწინაურდა.

— ბიჭო, რას გარბიხარ, შე ურჯულო! — დაუყვირა გუგანმა. — დაიღლები და სათრევი გაგიხდები.

— მაშ, რა გეგონა, თან რომ მოგყავდა, ბოლნელი? — მიუგო ნიშნით გულადმა. — ეტყოდი, არსად არა თქვა, რომ ბაგრატ მეფესთან მივდივარ-თქო და არ იტყოდა არაფერს. ხომ ხედავ, მეხრემ ვერა ასქმევინა რა... ახლა ხომ ეგ უჯარმაში იქნებოდა და აქ ჩვენ არ გვაწვალებდა. აბა გაიხსენე, როგორ მოიკატუნა თავი, უჯარმისაკენ გაქანებული რომ დააბრუნე! ჯერ კი იტკიცა და შემოგძახა, არაფერსაც არ ვიტყვიო, შენ როცა მითხარი, ბავშვია მაინც, სხვაგანაც იტყვის, გუგანი ბაგრატთან მიდიოდაო; მერმე კი იტრუნა და დაიწყო დავა. მიხვდა, რომ თან წაიყვანდი. მაგასაც ხომ სწორედ ეგ უნდოდა. გაგეცრუა: ერთხელ თავი წამოგაყვანინა, მეორედ ყვავის ჩხაკილი მოგვაჩვენა მაგ შერვენებულმა...

— გვიანაა, ჩემო ზარდიავ, თითზე კბენანი, — უთხრა გუგანმა. —გავბრიყვდი, რას იზამ!

ბოლნელმა დ ფხოველმა წიაბეთისკენ გაიხედეს. ბასა კიდეც შეჭრილიყო სოფელში. ბალღებს ეხმაურებოდა.

გუგანმა და გულადმა ფეხს აუჩქარეს, რაკი თვალი მოჰკრეს ამ ამბავს. უნებლიეთ თავს დატეხილი ბავშვი, მისი მოუსვენარი ხასიათი,

საფიქრებელი გაუხდა ორიევს. სწორედ დროზე მიასწრეს, ბასა ჭიდაობას აპირებდა ტოლებთან. ადვილი შესაძლებელი იყო, ამ ჭიდაობას შესწრებოდა, სეირის საყურებლად გამოსული ხალხიდან, ჯვარპატიოსანის გუშინდელი მლოცავი ვინმე და გულისხმაში ჩავარდნილიყო. ბავშვიც ეცნო ამ მლოცავს, როგორც ჯვარპატიოსანის კარს მოჭიდავე, და ჯვარპატიოსანის ჭიდაობის წრის განზე გამწვევი გუგანიც, თვით მგოსანიც, მირანდუხტს ლექსებს რომ უძღეროდა გუშინ.

— შე დამთხვეულო! — შეუტია გუგანმა, — რა ჭიდაობისა გცხელა? მოიქანცები, სიარული აღარ შეგეძლება, ნოკორნამდენაც ვეღარ მიეღწევთ. ჩვენ კი მოსალოცავი გვაქვს ჯვარიცა, სვეტიცხოველიცა.

— რა გაგჭირვებიათ, ძმობილო, ამდენი ხატი რომ გქონიათ მოსალოცი? — დაუძახა ერთმა წიაბელმა გუგანს.

— გეტყობათ, თქვენც ჯვარპატიოსანშიაც იქნებოდით... იქიდან მოსულებმა თქვეს, უჯარმას ფადლონის რაზმელები დაესხნენო. მაგრამ დედა უტირა ბაქარმაო.

— არა, ჩვენ ბოჭორმიდან მოვდივართ! — უპასუხა გუგანმა. — ჩვენც კი გვითხრეს შემოხვედრილმა მლოცავებმა ეგ ამბავი და კიდევ სხვა.

— რა სხვა? — იკითხეს ცნობისმოყვარეებმა.

— რა და კვეტარელთა მოყვანილნი იყვნენ ფადლონის რაზმელებიო — ამცნო გულადმა. — გამარჯვებული ბაქარი იაზონის ბიძამ გულთფარმა მიპარვით დასჭრაო. ბაგრატ მეფის შვილმა გიორგიმ გულთფარი მოჰკლაო.

— აი, ვენაცვალე იმის მკლავსა! — გაისმა თავმოყრილ წიაბელთა გუნდში. — სასანიანის დამჭრელს აგრე უნდა.

— თვითონ ბაგრატიც ხომ იქ არ ბრძანდებოდაო? — გაისმა შეკითხვა.

— ეგ არ უთქვამთ ჩვენთვის, — უპასუხა გუგანმა.

— ნეტა რაღას ახანებს ის დალოცვილი? — გაისმა კიდევ საყვედურის კილოთი. — მოვიდეს ერთი, რაღა, სული ამოართვას თავაღებულ დიდგვარიანებს!

— კაცოდა, ვინ იყვნენ ის მლოცავები? ჩვენი სოფლისანი? — იკითხეს წიაბელებმა. — რატომ დაწვრილებით არ გამოჰკითხეთ?

— ჩვენი სოფლიდან არც არავინ ყოფილა წელს უჯარმაში, — უპასუხეს შემკითხველებს. — ვაგრანელებმა გამოიარეს ჩვენს სოფელზე და იმათა თქვეს.

— ჩვენს სოფელს რაღა ღმერთი გაუწყრა, რომ ერთი არავინ წასულა ჯვარპატიოსანში? — წამოიძახა უკმაყოფილოდ ერთმა მოხუცმა წიაბელმა.

— აგე, პაპა, აქ იხდიან ჯვარპატიოსნობას! — მიუთითა კბილების გაელვებით ერთმა ახალგაზრდამ მოხუცს.

ორი ვაჟკაცი ღვინოს გეახლებოდათ და გუგანსა და გულადს ხელს უქნევდნენ, თავის ნადიმზე იწვევდნენ. ერთი მათგანი წამოდგა და შეჯგუფებულებთან მივიდა სალაპარაკოდ.

— წამოდით, რაღა? — მიმართა მოსულმა გუგანსა და გულადს — მგზავრები ხართ, ერთი ორი ჯამი ღვინო არ გაწყენთ. ახმეტიდან გვაქვს გადმოტანილი. დაგვლოცეთ.

გუგანი და გულადი გაჰყვნენ მოპატიჟეს, მაგრამ ბასაც არ დაჰვიწყებიათ.

— აბა, ძმობილო! — მიმართა მეღვინემ გუგანს. — ეს ჯამი შენა. უსურვე ბაგრატ მეფეს ყველგან და მუდამ გამარჯვება... საქმეს აჭირებენ მეკობრე ცალქალამანიძენი და სხვანი მათებურნი...

მელვინე ახლა გულადს მიუტრიალდა:

— ეს შენა. მგონი, შენც უარს არ იქნები, ბაგრატ მეფეს გამარჯვება უსურვო.

— უარი რას მიქვიან? ვენაცვალე ბაგრატ მეფეს მუხლებში! — წამოიძახა გულადმა და ჯამი გამოსცალა.

თუ გუგანი და გულადი ღვინის სმას შეუდგნენ, ბასამ თავის ოინებს მიმართა. დერეფანში სამი წლის ბიჭუნა დაინახა, მოწყვეტილი ვარსკვლავის მსგავსი, და პატარა რეჟი მოიგონა. გული ეტკინა უჯარმას დაშორებულ უჯარმელს: უყვარდა ბაქარის ნატამალი.

პატარა წიაბელი კისერმოღერებული იცქირებოდა. ბასამ მისი გულის მოგება მოისურვა, დერეფანში მოტრიალე წიწილებიანი კრუხი დაინახა და კრუხის კუტკუტი ზედმიწევნით გაიმეორა, მერმე წიწილების ხმები გამოსცა პირიდან. მერმე ყვავივით დაიჩხავლა და კრუხმა წიოკობა ასტეხა: წიწილები შამოიყარა, საბრძოლველად აიფხორა ფრთები. ბასას უნდა სცემოდა. ბასამ ისევ კუტკუტი მორთო, ისევ წიწილების ხმები გამოსცა და ბოლოს ყეფა ასტეხა ჯერ ფინიას, მერე ქოფაკის ხმაზე, მგელივით დაიყმუვლა, მერმე ფინიასი და ქოფაკის ყეფა, მგლის ყმუილი, კრუხის კუტკუტი, წიწილების წივილი ერთმანეთში აურია და ერთი გნიასი შექმნა.

— გეთაყვა, რა ყოფილა ე ბიჭი! — წამოიძახა დერეფანში მდგომმა დიასახლისმა. — როგორ კარგა აჯავრებს ყველას!

მოულოდნელად ბასამ ყვავივით დაიჩხავლა. დიასახლისი შეკრთა: პირჯვარი გადაიწერა.

— ღმერთო, გვიხსენ ავისა და ბოროტისაგან! — წამოიძახა დიასახლისმა, — საიდან გაჩნდა, გეთაყვათ, ეს დაწყეველილი? — დერეფნიდან გაიხედა გაოგნებულმა. — არაფერი ჩანდა.

როცა ხელმეორედ გაისმა ყვავის ჩხავილი და ღვინ..თ შექეიფიანებულებმა სიცილი ასტეხეს, მაშინ მიხვდა მხოლოდ დიასახლისი, რომ ბასა ამოსცემდა ბედითი ფრინველის ხმას.

— უი, შენ რა გიოხრა! — უთხრა ქალმა და ქოქოლა მიაყარა, მერმე მსმენელებს მიუტრიალდა: — გეთაყვათ, როგორ აჯავრებს კრუხს, ძაღლს, ყვავს, წიწილებს, მგელს! ვისი ხარ, შვილო! — ჰკითხა ბოლოს ქალმა.

— აგე! გახედე იმას, — მიუთითა ბასამ გულადზე, — მამაჩემია. ბოჭორმის წმიდა გიორგის ეშმაკი. ხომ გილოცნია ბოჭორმაში?

დიასახლისმა გადახედა გულადს და ჩუმი სიცილი აუტყდა.

— გენაცვალეთ, როგორა ჰგავს მაროლა!

— კი არა ჰგავს, ის არის! რქები მოიჭრა და ნარქალი ქუდქვეშ აქვს დამალული... არ გაიგონე, წეღან რომ თქვა თვითონ მაგან, ბოჭორმიდანა ვართო. მე ვერხვის ჭინკა ვარ, მაგის შვილი!

— კარგი ბიჭო, ნუ მომკალი სიცილით.

ბასა მოულოდნელად დადუმდა. მის კალთას სამი წლის ბიჭუნა ეწეოდა. ბასამ ხელში აიყვანა, აკოცა, გულიდან ციყვი ამოათრია და ხელში მისცა, შენი იყოსო. გულში გაივლო, რევის სხვას დავუჭერო.

ამ ოინებით გამსიარულებულმა დიასახლისმა მისი გუდა საგზლით გაავსო.

გუგანი და გულადი წასასვლელად წამოდგნენ. ოჯახი დალოცეს, ბასა მოიხმეს და მასპინძლის დერეფანი მადლობით მიატოვეს. წიაბეთი დააგდეს და მერეკანისაკენ გასწიეს.

ბასას სავსე გუდა სრულიად არ უშლიდა დაწინაურებას.

— რას მირბიხარ, ბიჭო? — მიაძახა გუგანმა.

— მე თქვენ ფეხზე ვერ ვიყლი, — გადმოუგდო გუგანს სიტყვა ბასამ უკანმოუხედავად. პირველი შეიჭრა მერეკანის გზაზე მდებარე ბორტაძეთა

მოსახლეობაში; ძაღლები გამოექანენ მისკენ: დაგლეჯით ემუქრებოდნენ უცხოს. მაგრამ ბიჭი თვალის დახამხამებაზე ახლოს მდგარ ხეზე მოექცა.

— ჭიტა! — გადმოსძახა ძაღლებს ხეზე მოკალათებულმა ბასამ და გუდა გახსნა. ახლა მოისურვა გაგება, რა ჩაულაგა დიასახლისმა გუდაში საგზლად.

ბავშვს თვალები გაუბრწყინდა: სადღეობო ქადები და ყველი ელაგა გუდაში. დიასახლისს გულუხვობა გამოეჩინა. ბასამ გუდაში ქათმის ხორციც ნახა, მალე გუდას თავი ანება და გამოვლილ გზას გახედა, მოდიან თუ არა გუგანი და გულადი — ძაღლების ტყვეობიდან ჩემი მხსნელნიო. მაგრამ ჯერ კიდევ მოშორებით მოჩანდნენ. რომელიღაც სახლიდან ხნიერი მანდილოსანი გამოვიდა, დერეფნის გვას შეუდგა.

— დიდედო! — დაუძახა ბასამ, — ჭიტა!

ოთხმა-ხუთმა ძაღლმა ისევ ყეფა ასტეხა.

— დიდედო, — გაიმეორა ბასამ.

— ვინ მეძახის ნეტავი! — ჩაილაპარაკა მანდილოსანმა, ერთიორჯერ გაიხედ-გამოიხედა, ვერავინ დაინახა და ისევ განაგრძო დაგვა.

ბასამ მგელივით დაიყმუვლა. ძაღლებმა ყეფა ასტეხეს.

მანდილოსანმა ცოცხი დააგდო, სახლის კარი შეაღო და შიგ მყოფ ქმარს შეეხმაურა:

— გამოდი ერთი, კაცო! მგელი შემოჭრილა ჩვენ არემარეზე. ძაღლები გადირევენ.

მამაკაცი სახლიდან გამოვიდა.

— რამ გადაგრია, ადამიანო! — გაუკვირდა მანდილოსანს სახლიდან გამოსული. — ამ დღისით მგელს აქ რა მოიყვანდა.

— რა ვიცი! აგე იმ ხეს ძაღლები არ შორდებიან და გნიასი გააქვთ.

— მერედა მგელს ხეზე რა უნდა? კატუნი ხომ არ არის?

ხიდან კატის კნავილი გაისმა.

— ჰო, ეს კი შეიძლება, ჩვენი კატა იქნება. — წარმოთქვა მამაკაცმა.

— რას ამბობ, ადამიანო, ჩვენი კატა ახლა კერასთან არ იყოდა? — დაიწყო მანდილოსანმა და გაჩერდა: ხიდან ფინიას ხმა გაისმა. ფინიას ხმას ყვავის ჩხავილი მოჰყვა, მალე ხიდან მონადენი ქოფაკის ხმაც მოედო არემარეს, ქოფაკს მგლის ყმუილი მოჰყვა. ქვეით მდგომნი ძაღლები მთლად გადაირივნენ.

— ეშმაკია თუ ქაჯი ამ კაკლის ხეზე? — წამოიძახა მამაკაცმა.

ბასას მართლა კაკლის ხე ჰქონდა ბინად გადაქცეული. ამოფარებოდა კაკლის ტანს და ჩამომჯდარიყო ლარივით გაშვერილ ტოტზე. ფეხები ძაღლების გასაღიზიანებლად ჩამოეკიდა.

— წადი, კაცო, ნახე, რა არის! აი, იმ ტანის ზევითა ნაწილს უკან თუ არის ამოფარებული.

— ადვილად ამბობ შენა, წადიო, — შეუბრუნა სიტყვა მამაკაცმა. — ქაჯსა და ეშმაკს რა დაგანახვებს.

— რა ვიცი! ე ძაღლები კი ხედავენ და იმ ხეს არ შორდებიან.

ამ ორ ადამიანის უნებლიე დავას მალე ბოლო მოეღო. გუგანი და გულადი მოვიდნენ და ძაღლები ახლა ამათ ეცნენ. მაგრამ გუგანმა თავისი კომბალი დაატრიალა, ოთხფეხნი შორს მიმოიფანტა. ძაღლებმა შორიდან დაიწყეს ყეფა. ბასა თავისუფლად ჩამოძვრა ხიდან და თავისიანებს შორის გაჩერდა.

მამაკაცი და მანდილოსანი გაოცებით უცქეროდნენ ონავარს.

გუგანმა და გულადმა სალამი უძღვნეს დამხვდურებს.

— ეგ ეშმაკის ფეხი თქვენია? — ჰკითხა მამაკაცმა გუგანსა და გულადს, — პირდაპირ გული დაგვიხეთქა მე და ჩემს დედაკაცს. იჯდა მაგ კაკლის ხეზე და, ვინ იცის, რომელი სულდგმულის ხმა არ გაგვაგონა! ნეტა რამ მოაფიქრა ამოდენა გზაგამოვლილს კაკლის ხეზე ასვლა.

— აბა, მაშ ძაღლებს ხომ არ დავაგლეჯინებდი თავს? — შეუბრუნა სიტყვა ბასამ.

— ბიჭო, ნუ მირბიხარ წინ-მეთქი, არ გეუბნებოდი? როჟ დაგემართოს გზაში რაჰე, მერე რაღა ვქნა?

— თავი დაანებე, ერთი! — წაელაპარაკა გულადი გუგანს. — მაგას სიტყვით ვერას ვაგონებთ, ხომ ხედავ. დავუჭიროთ ხელი და ისე წავიყვანოთ, ისე ვატაროთ.

გზის გაგრძელება დააპირეს, მაგრამ მოულოდნელად სოფელში აურზაური ატყდა. ყვიროდნენ: ცოფიანი ძაღლი მორბის, მოერიდეთო!

გუგანმა მშვილდ-ისარი მოიმარჯვა: ცოფიანი ძაღლი წიაბეთისკენ მორბოდა. მანდილოსანმა თავის თანამეცხედრეს გამოუტანა კოხტად მოღუნული მომცრო მშვილდი და ისარი. ბასას მის დანახვაზე კბილები აუკანკალდა.

— რად გინდა, დედაკაცო, ეს რომ გამოიტანე? — უთხრა თანამეცხედრემ მანდილოსანს. — ხომ იცი თვალი ისე არა მიჭრის!

— დიდედო, მე მათხოვე, — შესთხოვა ბასამ.

მამაკაცმა ჩამოართვა თავის თანამეცხედრეს მშვილდ-ისარი და ბასას ჩააბარა, თან დასძინა:

— ეს უფრო მარჯვედ ესვრის, დედაკაცო! აი, ნახავ თუ არა.

ბასა გუგანივით არ დაჰლოდებია ადგილზე ძაღლს. თვითონ გაეშურა ძაღლის წინ შესაყრელად. ბევრი უყვირეს გუგანმაც და გულადმაც და ვერას გახდნენ.

ბასა ძაღლს გადაეღობა. ძაღლი მისი ნასროლი ისრით გულგაგმირული დაეცა მიწაზე.

— ხომ გითხარი, დედაკაცო! მაგ ბიჭს კოჭებში ეტყობა, კაი მეომარი იქნება, — თქვა მშვილდის პატრონმა და უკან დაბრუნებულ ბასას მიმართა: — ეს მშვილდი, ბალღო, შენთვის მიჩუქებია. მე, ჭრელა ბორტაძე, გეუბნები. გამოუტა, დედაკაცო, საამისო ისრები ხალთით. ჩემი ხელით გაკეთებულია, ბალღო, ეგ მშვილდი, ჩემისთანა მარჯვეშროლელი მშვილდის გაკეთება ამ არეზე არავინ იცის.

ბასა სისარულმა აიტაცა. ჭრელას მადლობის ნაცვლად ხელზე კოცნა დააყარა. ჭრელამ კი ბასას შუბლი გადაუკოცნა. ბასას საქციელით ნასიამოვნები გუგანი და გულადიც ამაყად გამოიყურებოდნენ. გულადს გაგონილი ჰქონდა ჭრელას მშვილდოსნობაც და მისი ხელით ნაკეთები მშვილდების ამბებიც, ის ახარებდა სწორედ, რომ ერთი მშვილდი, ჭრელა მშვილდოსნის ნაკეთები, სწორედ ბასას ერგო.

ჩვენი მგზავრები გამოემშვიდობნენ ბორტაძეთა პირველ შეხვედრილ ოჯახს და მერეკანისაკენ განაგრძეს გზა. ბინდმა დაჰკრა, როცა ამ სოფელთან მოვიდნენ. ღამე გაუფლდა დედამიწის ზურგზე. მალე მთვარემ ამოანათა და ღამის წყვდიადი ჩრდილებად დაიქსაქსა ხევხუვებსა თუ სოფლის კოშკებს შორის.

მგზავრები ერთმა დიდმა ოჯახმა შეიპატიჟა. დიდმა არჩვიაძეთა ოჯახმა. ბასამ მყუდრო ბინა მონახა და წამსვე წაიძინა. გუგანსა და გულადს ოჯახმა ვახშამი გაუმართეს. ახალგაზრდა ქალმა პურები შემოიტანა. მის დანახვაზე გუგანსა და გულადს თვალები გაუფართოვდათ: პურების დალაგებისას ქალს ზურგზე ცხრა ნაწნავმა დაუწყო მწყობრად ქანება.

ოჯახის უფროსმა, ანდრიად სახელდებულმა, ღვინის მოტანა უბრძანა. ქალმა მწყობრი ცურვა-რხევით კარს მიმართა და ვახშმისაოვის გამზადებულთ მალე ღვინოც მოართვა.

— ჩემი ბოლოლა შვილია! — ამცნო ამაყად ანდრიამ სტუმრებს. — ხუთი ვაჟი მყავს ტალიკ-ტალიკი და ეს ერთი ქალი. ვაჟებში გამეზარდა. ვაჟური სიმამაცე მოსდგამს ჩემს ცისკარას.

— მართლა რომ ცისკარია! — წამოიძახა გუგანმა. — არც ვეღთამზესა და არც იადხმობილს დაუვარდება!

— იადხმობილს! — წამოიძახა ახლა ოჯახის უფროსმა. — მე ანდრია არჩვიაძე არ ვიქნები, თუ მართლა არა ვთქვა: ჩემი ქალი ვერ მოვა იადხმობილთან, შარშან ვიყავი ჯვარპატიოსნობას უჯარმაში და მე, ხნიერ მამაკაცს, მისმა ნახვამ გონება ამიბნია: კინაღამ არ მოვიყარე იადხმობილის წინ თაყვანისსაცემლად.

გულადმა მასპინძელს სიტყვის დამთავრება არ დაანება: ლაპარაკის საგანი მოხერხებულად შეცვალა, რომ მირანდუხტზე ლაპარაკს სხვა რამის მხილება არ გამოეწვია.

— არ გეშინია, რომ ქალი მოგტაცონ? — შეეკითხა ფხოველი ცისკარას მამას.

— გამიბედონ ერთი! — თქვა შუბლშეკვრით ანდრიამ და სევდანარევი კილოთი დასძინა: — მართალია, აღვირახსნილობაა ჩვენში გაუფლებული, ქართლში თუ იკლო დიდგვარიანთა თავგასულობამ, კახეთში დიდგვარიანებს ფრთები ჯერ არ შეჰკვეციათ, მაგრამ ჩვენ გვარს ვინ რას გაუბედავს? შეიდნი ძმანი ვართ ერთიმეორეს მომდეგნონი. მე უფროსი ვარ, სამოცი წლისა, სულ უმცროსი, ორმოცდახუთისად უნდა ეიგულვოთ. ყველანი ვაჟებით დაუჯილდოებია ღმერთს...

კარი მომდევნო ძმამ შემოაღო; მალე შემდეგნიც მოჰყვნენ: მკერდფართონი, კუნთებმკვრივნი, მტკიცე ნაბიჯის მქონენი. ყველანი სუფრას შემოუსხდნენ.

— ჯერ ჩვენ ამ შვიდს, — დაიწყო ანდრიამ, — ვინ რას დაგვაკლებს და მერე ჩვენი მოსწრებული ვაჟი-შვილები მთელი ჯარია! დედაკაცებიც მტკიცე გულისანი გვყავს, გულმშიშარნი არ არიან!

შარშან კუდით ქვა ვასროლინეთ იხონჭაში ცალქალამანიძეთ. ცისკარა გვთხოვეს ბედურისათვის. — თქვა ანდრიას მომდევნო ძმამ.

— დიახ! მართალია! — დაურთო ძმის სიტყვებს ანდრიამ. — მეკობრეთა ოჯახს ქალს რად მიუცემ. საწყალი ქველიძის ქალი მაგათ არ მოიდნეს? — ანდრიამ ცოტათი შეისვენა და ისე განაგრძო: — მაინც ბოლო უნდა მოელოს ამგვარ თუ სხვაგვარ მეკობრე ხალხს... ნეტავი რას ფიქრობდა ბაგრატ მეფე, რომ უზავდებოდა კახეთის მფლობელს?.. მაგრამ განა არ ვიცი, გარედან შემოჭრილი მტერი ვის რას დააცლის...

— ანდრიავ! — მიმართა ცისკარას მამას მესამე ძმამ, — რა დროს მასეთი ლაპარაკია? თქვი სადღეგრძელო და ღვინო დაგვალევინე სტუმრებსა და შენს ძმებს.

— რა დროს ასეთი ლაპარაკია, ნინიავ? — შესძახა ანდრიამ მესამე ძმას. — კარგ ხალხსა ვხედავ და ვამბობ ქვეყნის დარდებსა...

მაგრამ ანდრიას ქვეყნის დარდებზე ლაპარაკი მაინც მოუცდა: დარბაზის კარი შემოაღო შეიარაღებულმა ბრგე ვაჟკაცმა.

— ბიჭო, სადა ხარ აქამდის? — მიმართა ანდრიამ ახალ მოსულს და სტუმრებს ამცნო; — ჩემი უფროსი ვაჟია, ამირანი. ჯვარპატიოსანში გახლდათ სალოცავად, დაიგვიანა...

გუგანი და გულადი შედრკნენ. ერთიცა და მეორეც ადვილი საცნობი იყვნენ ჯვარპატიოსანში მყოფთათვის. მაგრამ სახეზე მაინც არა გამოუსახნიათ რა. გული მალე დაიმშვიდეს: კაი ხალხთან გვაქვს საქმე და არა დაგვიშავდება რაო.

— ცოლეურთას გამოვიარე, გზათ არის ხომა, თავისიანების ნახვა მოისურვა ჩემმა ცოლმა, — ამცნო მამას ამირანმა. — იმიტომ მომაგვიანდა.

ამირანმა უამბო მამას და ყველას ამცნო უჯარმაზე ფადლონის რაზმელების თავდასხმა.

ამირანი ლაპარაკობდა და როგორღაც აზრს ვერ მოდიოდა, რომ მის ოჯახში მოსული სტუმრებიც უჯარმიდან იყვნენ. ვაჟკაცმა მირანდუხტი ახსენა და სახე გაუბრწყინდა.

— მამაჩემო! — წამოიძახა აღტაცებულმა. — ეს სასანიანის ასული ციდან მოვლენილია უეჭველად!.. იმან რომ ჭირეული მოჭიდავენი გააშველა?.. იმან რომ ადიდებული იორი გასცურა! რომელი ქალი იზამდა ამას?.. რა ვაჟკაცია მისი ძმა!.. ისე ჰყავს გაწრთვნილი ციხოვანნი, რომ მაგნაირნი იშვიათად თუ სადმე გამოინახებიან. სწორედ დიდი ვინმეა ეს ბაქარ სასანიანი. ისე მოაწყო საქმე, რომ მტერს სულ დედა უტირა! თავის

რაზმზე სამჯერ თუ ორჯერ მეტ ფადლონის რაზმელებს პირდაპირ მუსრი გაავლო. საწყალი, დაიჭრა კია. მეფისწულს უფრთხილდებოდა, არაფერი არ დაჰმართოდა მოულოდნელად მტერთან ბრძოლაში. ეს მეფისწულიც დიდი ვაჟკაცი ყოფილა. ბაქარის დაღერილი სისხლი იმან აინაზღაურა. მისი დამჭრელი მოკლა. იცი, მამაჩემო, ვინ აღმოჩნდა ეს კაცი? იაზონ ცალქალამანიძის ბიძა გულთფარი, მოპარვით დასჭრა ბაქარი ამ კაცმა... მტერი გაქცეული იყო და აღარავინ მოელოდა რამეს, როცა ეს საქმე ჩაიდინა... კიდევ რა ვნახე იცი! უპატრონოდ დარჩენილი გულთფარის ცხენით თორმეტი წლის ლაწირაკმა ადიდებული იორი გამოსცურა...

„ამ ვაჟკაცს ეს ვერხვის ჭინკა დახსომებია! – გაიცლო გულში გუგანმა. – ჩვენ კი რატომღაც არ ვახსენდებით: არც მე, არც გულადი. თუმცა კარგი კია, რომ არ დავხსომებივართ. ცუდი ისაა, რომ ბასა დახსომებია... კარგი ოჯახის შვილებად კი მოსჩანან ეს არჩვიაძენი, მაგრამ, რომ გაიგონ ჩვენი ვინაობა, მითქმა-მოთქმას გამოიწვევს... ხმას სწრაფი ფეხი აქვს. დღეს რომ გვიცნონ, ხვალ მთელ ერწოს ეცოდინება. კიდევ კარგი, ჩვენს ჭინკას სძინავს და სუფრაზე არ გვიზის...“

გუგანმა გადახედა გულადს.

– ხვალ მამლის ყივილისას გავუდგეთ გზას, არა?

– ოჯახის უფროსო, ნუ გვიწყენთ, თუ დაგაშურებ სუფრიდან ადგომას, – წყნარად მიმართა ანდრიას გულადმა. – შორი გზა გვაქვს საველი.

ანდრიამ არ იუცხოვა ფხოველის თქმა. სუფრიდან ადგომა ბრძანა და ყველანი წამოიშალნენ.

საძილედ გუგანი და გულადი ბასას გვერდით მოეწყვნენ.

13

მამლებმა იყივლეს და ვარაზ-ბაკურის შინაყმა, ფხოველი მგოსანი და ძალად გაღვიძებული ბასა თვით ოჯახის უფროსმა ანდრიამ გზას გაუყენა, ისე თორმეტი წლის ბიჭის მის ოჯახში ყოფნა მისთვისაც და მის შვილ ამირანისათვისაც გაუმჟღავნებელი დარჩა.

მზემ სხივების ბნევა იწყო, როცა გუგანი, გულადი და ბასა ნოკორნას ეწვივნენ. წმიდა არჩილის საფლავს დიდი კრძალვით მიუახლოვდნენ დიდები. ბასამ კი თავისებური დაიწყო:

— ესა მირანდუხტ-ბაქარისა პაპის, პაპის, პაპის, პაპის...

— სუ! — შეუტია გუგანმა, — ხმა გაიკმინდე. დაიჩოქე და შენც ილოცე.

ბასამ არჩილის საფლავზე მუხლი მოიყარა. მას საყდრიდან გამოსული ბერ-მონაზონი მიუახლოვდა და შეეკითხა:

— ყრმანო, საიდან მოდიხართ?

— საიდანდა, საცა დაგვიღამდა და გაგვითენდა, იქიდან! — შეაგება სიტყვები ბასამ და უჩვეულო სიმაღლის ვერხვზე იერიში მიიტანა.

— სად მიხვალ, შვილო? — დაუძახა მონაზონმა შეძრწუნებული ხმით და ხელების წინ გამოწვდით.

ბასა კი, სანამ ბერი ღაღადისს დაამთავრებდა, ვერხვის მეორე ტოტზე გამოიჭიმა.

— ჭიტა! — გამოსძახა აქედან ბასამ მონაზონს და მესამე ტოტზე მოიკალათა. — აგერ, გახედე! მიუთითა გულადზე ონავარმა. — ის ჩანგს აფხაკუნებს, მგოსანია; ლექსებს დაჰმღერის, ხან როკვისას უკრავს, აგერ მეორე! — გუგანი დაანახვა მოუსვენარმა. — იმას ფიწალა ხელები აქვს. ტაშს რომ ააყოლებს ჩანგს, გეგონება, დიდი ლხინი გაიმართაო, მე კიდევ ვროკავ. სოფლიდან სოფელში გადავდივართ სამნი და საცხოვრებელს ვაგროვებთ. მოხეტიალენი ვართ... — ბასამ შეისვენა და ისევ განაგრძო: — ჩემგან ეს თქმა გეყოფა, მამაო! ზოგი იმათა ჰკითხე. მე შენთვის აღარ მცალია, ცაში მივდივარ. ხომ არაფერს დამავალებ?

და წამსვე კენწეროზე ამოჰყო თავი. თვალი მიმოავლო სამ მხრივ ტყეებით შემოზღუდულ ერწოს ველს.

ბასას სასანიანთა წალკოტის ვერხვები გაახსენდა, საიდანაც ციგომბორს გაჰხედავდა ხოლმე და გული შეუტოკდა: შინ დაბრუნება მოსწყურდა. გუგანსა და გულადზე შეუჩერდა თვალი: მისი თანამგზავრები სადილობას აპირებდნენ.

ბასას მოშივებოდა, ჩამოსრიალდა ვერხვიდან და მათკენ გაექანა.

— სოფლიდან სოფელში დაიარებით თურმე ხალხის გასართობად, — მიმართა მონაზონმა გუგანსა და გულადს. — თუ გაიგონეთ ასეთი ამბავი: ვითომც ჯვარპატიოსნობას უჯარმას ფადლონის დიდი რაზმი დასცემია. დღეობით გართულ მლოცავთა და მაცხოვრებლებს დიდი ზარალი მოსვლიათ. იქნებ იცოდეთ, ნამდვილია ეს ამბავი, თუ ჭორი?

„სოფლიდან სოფელში დაიარებით გასართობადო!“ — გაიმეორა გუ-

განმა გაკვირვებით, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ეს ნათქვამი ბასას ოინი იქნებოდა. ეს გამოგონება მოეწონა და მონაზონს სახედაწყნარებულმა გასცა პასუხი:

— როგორ არა. რომელ სოფელშიაც კი გავიარეთ ეგ ამბავი უჯარმაზე თავდასხმისა წინ დაგვხვდა, არა, ზარდიავ?

— მართალია! — დაუმატა გულადმა. — მხოლოდ ჩვენ ასე გავიგონეთ, ფადლონის რაზმისათვის უჯარმის ციხოვანთ ცხვირ-პირი უმტერევიათო.

— ნეტავი, ნეტავი! — წამოიძახა მონაზონმა, პირჯვარი გადაიწერა და დასძინა: — რა ვიცი! აქ კი ასე გადმოგვცეს და!

— ჰო, მართალია! — დაუმოწმა ახლა გუგანმა გულადს. — ჩვენ ასე გავიგონეთ.

— ღმერთმა ჰქნას, ღმერთმა! — წამოიღაღადა მონაზონმა და პირჯვარი გადაიწერა. ხელები მაღლა აღაპყრო და მუდარით შეხედა ცას: — ღმერთო დიდებულო, მუდამ გამარჯვებული ამყოფე მტერზე წმიდა არჩილის ნატამალი!

ნასადილევს გამოეთხოვნენ იმ ბერს და სვლა განაგრძეს.

გზადაგზა ბასას მოხერხებულობაზე ბაასობდნენ.

— კარგი ვაჟკაცი დადგება, ზარდიავ, ჩვენი ბასა, კარგი! — უთხრა გუგანმა. — მაჯავრებს მართალია, მაგრამ მაინც მიყვარს. ხედავ, კაი დიდი ადამიანივით ერთხელ არ წამოსცდენია ჩვენი ვინაობა. მერმე ესეც რომ მოუგონია: სოფელ-სოფელ დავიარებით და ხალხს ვართობთო. ნეტავი რამ მოაფიქრა ეს?

— მართალი ვთქვა, მეც შემიყვარდა ეგ ონავარი, თუმც ბოჭორმის ეშმაკად მომწათლა. — თქვა გულადმა და თან ღიმილით დაურთო: — წამოიზარდოს, ჩემს ქალს მივათხოვებ: მაგაზე ხუთი წლით იქნება უმცროსი.

გუგანი შეჩერდა. უკან დაბრუნებული ბასა გამალებული მოაბიჯებდა. ზურგზე რაღაც ცხოველი წამოეკიდა. ბასას მუხლებამდე სცემდა მისი ტანი, კუდის ნაწილი კი მიწაზე ეთრეოდა.

— რაა ეს, ბიჭო? — შეეკითხა გუგანი ქაქანით მომავალს.

— რა არის და, კატუნი მოვკალი, — იყო მოკლე პასუხი.

გუგანი და გულადი სახტად დარჩნენ.

ბასამ ნანადირევი უფროს თანამგზავრებს წინ დაუხეთქა. გუგანმა გულადს გადახედა:

— რას იზამ, ძმობილო! ფერისის ნატამალია.

— რას ვიზამ? — წამოიძახა გულადმა. — რომ ვერ მოეკლა ონავარს, ხომ თვითონ დააზიანებდა! იცი, რა ოხერია ეს კატუნი? რა ჭირი აიტეხე და წამოიყვანე ეს გადარეული.

მონასტრისაკენ მიმავალი ერთი ბერი შეჩერდა კატუნთან და წამოიძახა:

— ამ წყეულმა ამას წინათ ცხენს ყელი გამოგვიღადრა.

— აბა, მამაო, მაშ, მიიღე ძღვნად! — შესთავაზა გუგანმა ბასას ნანადირევი და თან მიიხედ-მოიხედა: — ბიჭოს, რა იქნა ის დამთხვეული?

— ბასას ეძებ? — ჰკითხა გულადმა. — აგერ, რაღაცას უმიზნებს.

ბასას ყვავისთვის თვალი შეესწრო და მოემარჯვა მშვილდ-ისარი. ყვავი ბელტივით დაეცა მიწაზე. ბასამ წამოაველო ხელი, მოარბენინა კატუნთან და ზედ დაახეთქა.

— ესეც ზედმეტად, საჩუქარი! — დასძინა მან. — ეს ის ყვავია, თქვენ რომ დაგჩხავლათ თავზე, — მიმართა გუგანსა და გულადს და ისევ მოსცილდა.

ყვავის გახსენებაზე ორივეს გაეცინათ.

— ეგ ონავარი ახლა ყველგან ყელს გამოგეჭრის თავისი ყვავისებური ჩხავილის გახსენებით! — თქვა გუგანმა და ისევ ბერს მიუტრიალდა ბოდიშით: — ნუ იწყენ, მამაო, ბავშვის სიტყვებს. ეს კატუნი იმის მოკლულია.

— იმისი?! — გაიოცა მონაზონმა და პირჯვარი გადაიწერა. — წმიდა არჩილს კეთილი თვალით გადმოუხედნია მაგისათვის.

— ჰოდა, მამაო! — განაგრძო გუგანმა, — მშვენიერი ტყავი აქვს მაგ ცხოველს და გამოიყენებთ.

მონაზონმა მადლობა უთხრა, ბასას წამოძახილი აინუნშიაც არ ჩააგდო და კატუნმოკიდებულმა მონასტრისაკენ გასწია გახარებულმა, რომ თავის წინამძღვარს ძღვენს მიუტანდა.

შუადღისას ჩვენმა მგზავრებმა ბორსანიდან არაგვს გადახედეს, სამხრისას ჭოპორტს მიაღწიეს და არაგვზე გადებულ მახლობელ საცალფეხო ხიდს მიმართეს, სადაც ისამხრეს და მცხეთისაკენ ქნეს პირი. თვალნათლივ ბელტის ციხეს მიაღწიეს და დაუბრკოლებლივ შედგეს ფეხი დედაქალაქში. ვაჩეს სახლისაკენ აუხვიეს. სასახლეში ზადენმა გუგანი

წამს იცნო და ხელგაშლით მიიღო ისიცა და მისი თანამგზავრებიც. როცა გაიგო გუგანთან მოსული ნაბდიანი გულადიაო, ათი წლის წარსული ამბები გაახსენდა და იკითხა: ჩემი უფლი ვაჩე როგორ არის? როდის დამიბრუნდება!.. თქვენ რად წამოსულხართო.

— ბაგრატთან მაქვს ბაქარისაგან დანაბარები საქმე, — უშიშრად ამხილა თავისი დავალება გუგანმა, რაკი იცოდა, ზადენი გარეთ არაფერს გაიტანდა და თან დაურთო. — ზემო დიდგორს მივდივარო.

— ბედი გქონია, ვარაზ-ბაკურის ყმავ! — უთხრა ზადენმა.

— როგორ თუ ბედი?

— ისე, რომ შორს აღარ მოგიხდება წასვლა. ქვემო დიდგორის მინდორზეა დაბანაკებული ჩვენი დიდებული მეფე და ტფილისს გასცქერის.

მოხუცმა სუფრა გაუშალა მოსულებს.

— ის რაღად აგიკვიატებიათ? — იკითხა უცბად ზადენმა ვახშმის დამთავრებისას.

— ბაქარმა ბაგრატ მეფეს გასართობად გამოუგზავნა, — უპასუხა ხუმრობით გუგანმა და ბასას გადახედა.

ბასამ ამ გადახედვაზე ჭიტაო მიაძახა გუგანსა და ზადენისაკენ გადინაცვლა.

— პაპი! იცი რა გითხრა? — მიმართა მან ვაჩეს ყმას, — ეგ კი არა, მე ვარ ბაქარის დანაბარებით წამოსული. ჩემი უფლისწულია ბაქარი, ეგ კი ვარაზ-ბაკურის ყმაა. მე ფერისის ნატამალი ვარ.

— მერმე რა დანაბარებით მოდიხარ? — შეეკითხა ზადენი ონავარს.

— გეტყვი. შენც ხომ ჩემი უფლისწულის სიმამრის ყმა ხარ, რად დაგიმალო: გუგანს ენა აქვს დასასერი. ბევრი სიცრუე იცის და ბაქარი ბაგრატსა სთხოვს, მისმა აქიმმა ამოუდაღოს ენაზე სიცრუის გადმომყრელი ადგილები.

გულადმა გაიცინა. გუგანმა თითი დაუქნია, გიჩვენებ სეირსაო.

— დამიტოვეთ ეს ენაჭარტალა, — მიმართა ზადენმა გუგანსა და გულადს. — ენაზე კორძს გავუჩენ. დამიტოვეთ!

— კაი რამესაც შეეყრები, რომ დაგიტოვო, — წაილაპარაკა გუგანმა.

— არას წააგებ, პაპილო, ჩემი დატოვებით! როკვას გასწავლი! — გაელაზღანდარა ბასა ზადენს.

— დამიტოვეთ, დამიტოვეთ! — გაიმეორა ჯიუტად ზადენმა. — დამიტოვეთ!

მოხუცს, ეტყობოდა ღვინო მოჰკიდებოდა.

— გათენდეს, ზადენ, გათენდეს! — უთხრა გულადმა. — ახლა კი დროა ჩვენი მოსვენებისა.

ფხოველი წამოდგა და დანარჩენებიც აჰყვნენ.

ზადენმა ერთი კიდევ გაიმეორა დამიტოვეთო, და კინწმოწყვეტილმა ჩაიძინა.

14

ბაგრატ მეფე შვიდ მაისს სწვეოდა ქვემო დიდგორის წმიდა გიორგის. თუ მისმა მემკვიდრემ ჯვარპატიოსანში ილოცა შვიდი მაისი, მამა მეფემ — ქვემო დიდგორზე. თუ შვილი სასანიანთა ასულის სიყვარულმა მიიყვანა უჯარმაში, მამა მისმა მუდამ მოქმედმა გულის ნადებმა ჩამოასახლა ქვემო დიდგორის მისალოც მინდორზე. მთის შიშველ მწვერვალზედაც ავიდა დღეს. აფხაზთ-ქართველთა უფალმა აქედან თვალი ჩააყოლა დიდგორის ოდნავ დაქანებულ მისალოც მინდორს. შემდეგ დიღმის მინდორზე ჩააქანა თვალი და დიდხანს, კარგა დიდხანს ატრიალა ზედ. აქ იყო, რომ ტფილელნი მიეგებნენ მას, ბაგრატს, მეფეთ მეფეს, თავის პატრონად მოწვეულს... ტფილისი ხელთ აქვს ახლა მბრძანებელს... თვალი ტფილისზე შეუჩერდა... მბრძანებელმა თავი გააქან-გამოაქანა, ბინა ვერ დაიდო ტფილისში. ტფილისის სამხრეთით გაიხედა. იქით, შორს, მთებს იქით მიფარებული ხომ სამშვილდეცაა. ეს ქალაქი ვარაზ-ბაკურმა თავისი მოხერხებული მოქმედებით ხელთ ჩაუგდო ბაგრატ მეფეს, ჯავახეთზე ალფარსლანის თავდასხმით დაწყებული მის გულს დამაამებელი მალამო მოსცხო... მეფემ სამხრეთსა და ტფილისს აშორა თვალი და მტკვარს ამოაყოლა, ის ისევ დიღმის მინდორზე გადმოინაცვლა და მთელ გადაშლილ არემარეს მიაპყრო მზერა.

„ეს ახლა სულ ჩემ ხელთ არის, — წარმოთქვა ფიქრში მეფემ თვალგადავლებულ ადგილებზე, თან დაუმატა: — ჩემია კუხეთიც მისი ციხე-ქალაქები — ბოჭორმა, უჯარმა, რუსთავი და მთელი ციხის აქეთ მდებარე ადგილები... ერთდება მთლიანი ერისთავის სამკვიდრებელი. — მეფემ წუთიერად შეისვენა და ისე განაგრძო: — განა გაცლიან? ხშირად ისე გეცლება ხელიდან მოპოებული... ვინ იცის, რამდენჯერ შემიშალეს ხელი ტფილისის დაუფლებაში ყოველი მხრიდან ანაზდეულად შემოჭ-

რილმა მტრის ძალებმა!.. შარშანწინ რა მიქნა ალფარსლანმა? განა მიზამენ რამეს გინდ ის, გინდ ბიზანტია, რომ ურჩ დიდგვაროვნებს ბოლო მოჰღებოდათ! კახეთს ვიღაც საეჭვო უფლების მქონე ადამიანი დაჰპატრონებია. ზურგს იმაგრებს თავგასულ მეკობრე დიდგვარიანებით, ქართველთა ტომები რჩებიან შეუერთებელნი და გარედან მომდგარ მტერს ველარ უმკლავდებიან... მუდამ სადაეე მოზიდულნი უნდა გვეჭიროს ალაგ-მულნი ურჩნი, თორემ თუ მიუშვი სადაეეს, აულაგმაეებს გადააჭარბე-ბენ... ჩემი მემკვიდრე ტანძლიერია, მკლავი უჭრის, ხორციელი თვალი... გონება? — მეფემ ხელი ჩაიქნია. — გული უფლობს, გული მის სულსა და გონს. გულის ხმას ჰყეება თითქმის მუდამ...“

— ჩვენო ხელმწიფევ, უჯარმის ციხისთავისაგან გამოგზავნილი კაცები გხლებიან! — მოესმა ბაგრატ მეფეს.

მეფის წინ ეჯიბი იდგა.

— უჯარმის ციხისთავისაგან კაცები? აბა?

— მისალოც მინდორზე ელიან შენს ბრძანებას.

— აქ ამოვიდნენ! — წარმოთქვა მეფემ შეურყეველი კილოთი და ფიქრთა საეანეში ბაქარი მოიქცია.

ბაქარი მთელი თავისი არსებით აღიმართა მეფის წინ. მისი სიდარ-ბაისლით იყო მოხიბლული მბრძანებელი. მის ჭკუასაც დიდად აფასებდა.

„სიდარბაისლე, გონება და გამბედაობა ეს ერთადერთი განძია, — გაიმეორა გულში მეფემ რამდენჯერმე. — მოსიყვარულე გულიც აქვს, მტკიცე, უცვლელი, მაგრამ გონებას დამორჩილებული... — მეფემ გონება ბაქარის გამოგზავნილებზე გადაინაცვლა. — ნეტავი რა ამბავს მომიტანენ?.. ჰოო! ეს ნინოწმიდელის პასუხი იქნება ჩემს წერილზე, დამძახლებაზე... ნინოწმიდელი, უეჭველია, თავისიანებში ტრიალებს, ჯვარპატიოსნობას გადიხდიდა.. ბაქარს დაეეალებდა ჩემთან საპასუხო წერილის გამოგზავნას, უარს, თქმა არ უნდა, არ მეუბნება. მირანდუხტი და ჩემი შვილი გიორგი, ჩემი მემკვიდრე! ეს ხომ ჩემი შვილის გულზე, გრძნობებზე გონების გაუფლებაა. ეს ხომ ჩემს მემკვიდრეებში სასანიანთა სისხლის განახლებაა... ნეტავი თვითონ მირანდუხტი რას ფიქრობს? ნეტავი გულში ჰყავს ჩავარდნილი ჩემი შვილი თუ არა?.. გამოყოლით კი გამოაყოლებს თავის ასულს ნინოწმიდელი ჩემს შვილს თანამეცხ-ედრედ. მირანდუხტი მშობელს დაემორჩილება, ქართველის ოჯახის

წესისამებრ, მაგრამ იქნება გული მისი თანახმა გიორგი მეფისწულის თანამეცხედრეობაზე?.. ახალგაზრდაა ძალიან, მაგრამ გონება მეტისმეტად დაუფლებია მის არსებას!.. ნუ ეყვარება მირანდუხტს ჩემი შვილი, რა უშავს? სამაგიეროდ სიამაყე მოსდგამს. სიამაყე ნებას არ მისცემს ჩემი შვილის დამცირებისას... თაეისი მომავალი რატამალი, ჩემი შვილისაგან ნაყოლი, ხომ ეყვარება?.. მჯერა, შვილს გაზრდის ბუმბერაზს გონებითაც და ბუმბერაზს ტანითაც: სასანიანთა მოდგმას მოსდგამს ორივე სიკეთე...“

მეფეს ფიქრთა მოსევისათვის კარგახანობამდე არ დაუნებებია თავი. სურათს სურათზე ჰქმნიდა გონების თვალით თავისი მემკვიდრისა და მისი თანამეცხედრის მომავალ ცხოვრებისას. ამალისანი ხელს არ უშლიდნენ. დიდგორის მწვერვალიდან თვალს ასვენებდნენ ბუნების წარმტაც სურათებზე. აგერ დიღმის წყლის მარცხნივ და მარჯვნივ მიმობნეულნი დაბალნი მთიანი, დიდგორის კრძალვით შეძაცქერალნი, დასავლეთის შვილთ აქანებული ზღვის ტალღებად ესახებიან! აგერ ქართლის ვაკე, წყარო გულუხვი!.. იქით ყარაის ველნი, ყარაიის ტბა და კუმისის ტბაც...

მეფემ ფიქრთა ტრიალი შეიფერხა. დაბლიდან მოდენილი ხმაურობა გაიგონა. ეს გუგანი უტევდა ბასას:

— იცოდე, მეფესთან შენ გაჩუმებული უნდა იდგე. არაფერი წამოისროლო რა შენებურად. მომეცი სიტყვა!

— ჯვარპატიოსანს გეფიცები, გუგან! ოღონდ მეფეს შევხედო და წყალს ჩავიგუბებ პირში. კატა მეფეს შეხედავსო, ეუბნება ხოლმე დედაჩემი მამაჩემს, როცა მამაჩემი ეტყვის ხოლმე, რას მიცქერიო, და მე ხომ ადამიანის შვილი ვარ!

— ეი, ბალღო, ბრტყელ-ბრტყელს ლაპარაკობ!.. — ამოიჭრა ბაგრატის ყურებამდე მესამის ხმა. — გულადი გეუბნები (აქ ფხოველი აღარ მალავდა თავის სახელს). თუ შეგეკითხება რამეს მეფეთ მეფე, პასუხს გასცემ მოკლედ, არადა, სულ უნდა სდუმდე!

„ეს გუგანი ვიცი, ვინც არის, — გაიფიქრა მეფემ. — ეს გულადიც ვიცი, მახსოვს მირანდუხტის მგოსანია, მაგრამ ბალღი ვინაა? რა უნდა ყრმას გამოგზავნილებში?“

დათვის ტყავზე წამოწოლილი ბაგრატი ფეხზე წამოდგა და ქვევიდან მონადენი ხმების მხარეს მიტრიალდა. მბრძანებელმა გაღიზდა და დაინახა გუგანი, წარბებ გარდიგარდმო დასერილი ვაჟკაცი და ვინმე ყრმა.

„ეს წარბებ გარდიგარდმო დასერილი გულადს კი ჰგავს, მაგრამ გულადს წარბები როდი ჰქონდა დასერილი? — მეფემ შუბლზე ხელი მიისვ-მოისვა. — არ მესმის, სახე შეუცვლია გულადს... ეს, იაზონ ცალქალამანიძეს ემალება ალბათ...“

პირველი ბასა გაჩნდა მეფის წინ. ჭრელასეულ მშვილდ მხარზე გადაგდებულმა ისე ამოდგა ფეხი მთის თავზე, თითქოს ქვევიდან ამოფრინდაო. მეფეს მოეწონა ბავშვის სიცქვიტე. ჰსურდა გამოჰლაპარაკებოდა მის წინ დაჩოქილ პატარა ადამიანს, მაგრამ გუგანი და გულადი გაჩნდნენ მასთან, ორივენი ბასასებურად მუხლზე დაეყრდნენ და სალამი უძღვნეს მათგან საკუთარ მეფედ მიჩნეულ ადამიანს.

მეფემ ადგომა უბრძანა.

— ამბავი, გუგან? — ჰკითხა მბრძანებელმა ვარაზ-ბაკურის შინაყმას. გუგანმა მეფეს ბაქარის წერილის მირთმევით უპასუხა. ბაგრატმა დახედა წერილს და ხელი ბაქარისად არ იცნო: გაიღიმა.

— ნინოწმიდელი მწერს! — წაილაპარაკა თავისთვის.

— არა, მბრძანებელო! ბაქარისაა, — უმხილა შეცდომა ბაგრატს გუგანმა. — მხოლოდ მირანდუხტის დაწერილია.

— რას ნიშნავს ეს ამბავი? — წაილაპარაკა გაოცებულმა ბაგრატმა და წერილის შინაარსს მიმართა პასუხის გასაგებად.

ამალა და მოსულნი ცქერად გადაიქცნენ. ამალისანი ელოდნენ წერილით მოწოდებული ცნობების გაგებას, მოსულნი კიდევ — თუ რას იტყოდა მეფეთ მეფე წერილით მოწოდებულ ცნობებზე. მეფეს პირველი სტრიქონების ჩაკითხვით შუბლი მოეღუშა. მერმე კი სულ ნაპერწკლები სცვიოდა თვალებიდან. მტრის დამარცხების ცნობამ შუბლი გაუხსნა, ბაქარის დაჭრამ ლომის გრგვინვა ამოაცემინა გულიდან. მეფისწულის ხელით ბაქარის დამკოდველის მოკვლამ გული გაუხსნა, თვალებიდან კმაყოფილების სხივები გადმოაყრევინა.

— სამი მსხვილი მეკობრე დაჰკლებიათ კვეტარელთა ბუნაგს, — წამოიძახა ბაგრატმა კმაყოფილებით.

— არა, მბრძანებელო! ოთხი დაჰკლებია, — მოახსენა გუგანმა. — ერთი არაა მაგ წერილში.

მეფემ კითხვის თვალი გადაჰკრა გუგანს.

— მეფეთ მეფეო, არც ბაქარმა და არც სხვამ არავინ არ იცოდა,

რომ მეოთხეც დაჰკლებოდა კეტარელ მეკობრეთა ბუნაგს. აი ამ ონავარმა, ჩვენგან დაწინაურებულმა წიაბეთში მოჰკრა ყური თავდასხმისას ცალმკლავა პეტრე ბერის სიკვდილის ამბავს.

მეფის ამალისანი თავდასხმის ხსენებისას შეტოკდნენ. ელოდნენ რომ მეფე იტყვის, რა თავდასხმაზე იყო ლაპარაკი წერილში, მაგრამ მეფემ არაფერი თქვა. შეკითხვის მიცემა კი ვერავინ გაუბედა.

მეფემ ბასას მიმართა:

— ვისი ხარ, ბავშვო? — გაისმა მისი ალერსიანი ხმა: მეფეს მოეწონა ბასა.

— ფერისის ნატამალი, ძლიერო მეფეო! — მკვირცხლად უპასუხა ბასამ.

მეფემ გაიხსენა ფერისის მხნეობა ალფარსლანთან შეტაკებისას.

— კმაყოფილი ვარ დიდად ფერისისა და მის თანამებრძოლთა! — წაილაპარაკა ბაგრატმა თავისთვის. — ბაქარის წინააღმდეგობით ალფარსლანის ხელს დამასხლიტეს. — ბასას თვალი თვალში გაუყარა. — შენ სწორედ გადმოეცი წიაბეთში გაგონილი?

— სწორედ ვიხსომებ, მბრძანებელო, გაგონილს! ტყუილი არ ვიცი, მეფეთ მეფეო! — უპასუხა ბასამ ბაგრატს სხაპასხუპით და თავი დახარა.

მეფეს თუმცა საწყინოდ არ დაურჩა თავისთან ბასას მოსვლა მაგრამ მაინც სწადდა გაგება, თუ რატომ აეკვიატებია ამ ორ მოზრდილ ადამიანს ეს პატარა. მეფეთ მეფემ გუგანსა და გულადს თვალი შეავლო, გულადმა გუგანს გადახედა და გაიღიმა.

მეფე მიხვდა, რომ ბასას აქ წამოყვანა გუგანის ბრალი იყო და გუგანს მიაჩერდა. გუგანი არ შედრკა. თამამად შეხედა მეფეს და მოუთხრო ბავშვის თანგამოყოლის ამბავიც და ბავშვის იონებიც გზაში. ბევრი იცინა მეფემ და ბევრი იცინეს მისმა ამალისანებმაც. თითოეული მათგანი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა თორმეტი წლის ბიჭუნას.

სიცილს გულადიც აჰყვა.

მეფემ ფხოველს გადახედა.

— შენ გულადი ხარ, ვიცი.

— გულადი ვარ, შენი კვნესამე. — უპასუხა ფხოველმა.

— არა, მეფეთ მეფეო! — წამოიძახა წათამამებულმა ბასამ. — გულადი კი არა, ბოჭორმის წმიდ. გიორგის ეშმაკია.

მეფეს გაახსენდა ბოჭორმის წმიდა გიორგის ეკლესია, მისი კედლის მხატვრობა, თვალწინ აღემართა ეკლესიაში დახატული ეშმაკი და გულიანი სიცილი აუვარდა, ისე ჰგავდა მართლაც ფხოველი იმ ეშმაკს თავისი დასახიჩრებული წარბებით.

— აი, შე ვერხვის ჭინკავ, შენა! — უთხრა ჩუმად გულადმა ფერისის ნატამალს ღიმილით.

მეფეს მოესმა ბასას ამ სახელით მონათვლა და მოისურვა მიზეზის გაგება.

— დიდო ხელმწიფეო, ვერხვის კენწეროზე მუდამ უყვარს ყოფნა! — მოახსენა გულადმა მოკლედ.

ბასამ გულადს უკმაყოფილოდ თვალი გადაჰკრა და თან დასძინა:

— არა! მე ყველა მაღალ ხის კენწეროზე მიყვარს ყოფნა...

მერმე სიტყვა შეწყვიტა და სახეშეწითლებულმა თავი დახარა. თითქოს შერცხვაო.

— მაშ, შენ თვითონ მეტყვი სწორედ, ფერისის ნატამალო, რად დაგერქვა ვერხვის ჭინკა და ხის კენწეროზე ასვლის ხელობა უნდა მაჩვენო.

— როცა მიბრძანებთ! — მოახსენა ბასამ.

მეფე ამალას მიუტრიალდა.

— დავიძრათ მისალოცისაკენ, — ბრძანა ხელმწიფემ. — საქმეები გაგვიჩნდა გადაუდებელი.

მეფე მთის ძირისაკენ დაეშვა. ამალა მიჰყვა. გუგანი, გულადი და ბასაც მათ არ ჩამორჩნენ.

მეფე კარგა დაუწინაურდა ამალას თავისი მსუბუქი ნაბიჯით და ისე შემოტრიალდა უკან ჩამორჩენილებისაკენ.

— ფერისის ნატამალო! — შემოსძახა მეფემ ზევითკენ და ამალის ზურგით უკანიდან შურდულნასროლ ქვასავით რაღაც გადმოეშვა და ბაგრატ მეფის წინ ბასა გაჩნდა.

მბრძანებელს სურდა ბავშვთან ლაპარაკით დაეშოშმინებინა თავისი გულის ჩოჩქოლი, გამოწვეული ბაქარის წერილის ცნობებით.

ბასას სახე უბრწყინავდა. ბავშვს უხაროდა, რომ ბაგრატ მეფის გვერდით მოუხდებოდა მთელი ეს ძალზე დაქანებული გზის ჩავლა.

მეფემ მასთან ერთად განაგრძო ქვევითკენ სვლა. აღარ შეჩერებულა

მბრძანებელი. მიბრძანდებოდა, ელაპარაკებოდა ბასას, ეხუმრებოდა, ბასას პასუხებზე იღიმებოდა, ხან იცინოდა და გულში კი კახეთში მოქმედების საქმეზე ფიქრობდა. იქაურ დიდგვარიანებს გაქრობას ემუქრებოდა.

უკან კარგა ჩამორჩენილი ამალის რიგებში დაბალი ლაპარაკი გაიმართა.

— ნეტავი რა მოუთხრო მეფეს ბაქარის წერილმა, რომ შუბლი მოეღუშა, ცეცხლი გადმოებნია თვალთაგან? — ჰკითხა თავისიანს მკლავად ლომსიანმა. — თავდასხმა ახსენა, მაშ, თავდასხმაზე იყო ლაპარაკი წერილში? ამ თავდასხმაში ოთხი კაცი გამოკლებია კვეტარელებს. ვის დაესხა თავს ნეტავი? ცუდად ხომ არ წაუვიდათ ჩვენებს საქმე არ თავდასხმაში?

— მერმე სახე რომ გაუსხივოსნდა მბრძანებელს? — ჩაილაპარაკა მკლავადის გვერდით მდგომმა დიდებულმა.

— მერმე ხომ ისევ შუბლი მოეღუშა? ფერი ეცვალა კ დეც. — თქვა მკლავადმა. — ლომივით იგრგვინა მეფემ.

— მაგრამ ხომ შუბლი ისევ გაიხსნა მალე? რაღაც სიამოვნების ნათელი გამოსცა თვალებითგან. — მიუგო სხვამ.

— ბოლოს ხომ მაინც ისევ აუსინათლდნენ თვალები — დასძინა წინამთქმელის სიტყვებს მკლავადმა. — რაღაც მუქარის გამომეტყველების იერმა გადაჰკრა სახეზე.

— მერმე ხომ დაშოშმინდა? — თქვა კიდევ ერთ-ერთმა ამალისამან. — იცინა კიდეც იმ ბავშვის ამბავზე.

— თქვენ ნუ გავიწყდებათ, — მიმართა საერთოდ ლაპარაკის მონაწილეთ მკლავადმა, — რომ საქმე გვიხსენა მბრძანებელმა ბოლოს. ჩვენ ჩვენს მბრძანებელს ვერასდროს გულში ვერ ჩავწვდებით.

ისინი ვერ ჰბედავდნენ გამოეკითხათ გუგანისა და გულადისათვის, თუ რა იყო მოთხრობილი წერილში. ფიქრობდნენ, მეფეთ მეფე თავის დროზე ყველაფერს გვეტყვისო. მათი გული კი მოითხოვდა ყველაფრის დაუყოვნებლივ გაგებას.

მკლავადმა გუგანსა და გულადს მიხედა.

„არ მგონია, იცოდნენ მაგათ, თუ რა წერია ბაქარის წერილში. — იფიქრა ლომსიანმა. — ბაქარი რად გაანდობდა არ ვარაზ-ბაკურის შინაყმას ან ფხოველს სახელმწიფო საქმეს... მაგრამ თავდასხმა ყოფილა წერილში

მოხსენებული, და საძი კვეტარელის სიკვდილი. ეს ყველაფერი, ეტყობა, გუგანმაც და გულადმაც იციან. ხომ უთხრეს მეფეთ მეფეს, მეოთხეც არის მკვდარი კვეტარელიო. გზაში გაუგიათ ეს უკანასკნელი ამბავი. სამის სიკვდილი ადრე სცოდნიათ".

მკლავადი გუგანსა და გულადს მიუახლოვდა. გუგანმა და გულადმა ცნობისმოყვარეობით ახედ-დახედეს თავიანთ გვერდში ამომდგარ ბაგრატის ამალის კაცს.

— ვაჟკაცია, ვაჟკაცი, გულად! — მიმართა ფხოველ" გუგანმა გამოდავებითი კილოთი.

— კიდევაც რომ ვაჟკაცია! — გაისმა ფხოველის პირველი სიტყვები, — ლექსსაც ვეტყვი.

— შენი ლექსი არ მინდა, ჩემო ძმაო, — უთხრა მკლავადმა მგოსანს. — მითხარით მხოლოდ შენ და შენმა მოყვასმა, თუ რა თავდასხმაა მოხსენებული წერილში. თქვენ გეტყობათ, იცით ეს ამბავი.

— როგორ არ ვიცით? მოწმენიცა ვართ ამ ამბისა, — ჩაილაპარაკა გუგანმა. — ჯვარპატიოსნობას უჯარმას მოპარვით თავს დაესხა ექვსას კაცამდე ფადლონის რაზმელი. ეტყობა, კვეტარელებმა გადმოადგმევინეს ეს ნაბიჯი ამ ხალხს...

— მერმე? — შეაწყვეტინა ფხოველს სიტყვა მკლავადმა.

— ჩვენ გავიმარჯვეთ! — გაისმა ფხოველის აუღელვებელი მოკლე პასუხი. — მ: კრამ ბაქარი დაიჭრა.

— მაშ სისხლი უნდა ავიღოთ, — დაასკვნა მკლავადმა.

— სისხლი აღებულია! — დაურთო გულადმა მკლავაღის სიტყვებს. — აიღო მეფისწულმა. მოკლა ბაქარის დამკოდველი იაზონ ცალქალამანიძის ბიძა, გულთფარი.

— რაო? შეერთებული რაზმების თავდასხმას აწარმოებდნენ მოწინააღმდეგენი?

— არა, ყმაწვილო! მაცალე და ყველაფერს გაიგებ. ასწრაფებითა სოფელი არავის მოუჭამიაო. — თქვა პასუხად გულადმა და ცოტა არ იყოს, თავისგან დარცხვენილსა და მიდუმებულს მოპირდაპირეს, ძირიანფესვიანად გადმოუშალა ჯვარპატიოსანში მომხდარი ამბები.

— ზავი დარღვეულია, — დასძინა გულადის ნაამბობს მკლავადმა.

— დარღვეულია, მაშ! — დაუკრა კვერი გუგანმა ლომსიანს.

— კახეთს უნდა შევესიოთ, — მიაყოლა თავისი ლომსიანმა გუგანის ნათქვამს.

— აი წინ რომ მიისწრაფის, — მიუთითა გუგანმა ბაგრატ მეფეზე ლომსიანს, — შესევა იმის საქმეა.

მკლავადმა ამალაში გადაინაცვლა და მითქმა-მოთქმა ატეხა.

წინ მიმავალი ბაგრატი კი ბასას ალაპარაკებდა და თითქოს ერთობოდა მისი მოხერხებული პასუხებით, მაგრამ გულში რომ ჩაგეხედნათ მისთვის, რისხვის კოცონს დაინახავდით.

მეფემ და სასანიანის მცირეწლოვანმა შინაყმამ ტყის ტევრში ფეხი შესდგეს. პატარა გაიარეს. მეფისათვის მოულოდნელად ბასამ ჭრელასეული მცირე მშვილდი მოიმარჯვა და ისარი ააზუზუნა. მეფის წინ ხიდან წამოსული განგმირული ფოცხვერი დაეცა.

მეფეს გული არ შედრკომია იმითი, რომ ბასას ხელით მხილებული მომპარავი მხეცი გზაში ელოდა ადამიანს ან სხვა არსებას. შეაწუხა მხოლოდ იმის გახსენებამ, რომ ადამიანს, ფხიზელზე უფხიზლესსაც კი, ხანდახან სიფხიზლე უმტყუნებს ხოლმე.

„აი ბაქარს უმტყუნა სიფხიზლემ წუთიერად, — გაიფიქრა მეფეთ მეფემ. — დაიკოდა. ადვილი ზიანით კი გადარჩა... რად უმტყუნა თუგინდ წუთიერად? მის მოქმედებაში მტრის საწინააღმდეგო მხოლოდ და მხოლოდ სიფხიზლე მოჩანს, წერილი მეუბნება ამას მისი. რამ დააკარგვინა, თუგინდ, ბაქარს წუთიერად სიფხიზლე?.. აი, მე ვიცი, რამაც დამაკარგვინა ახლა სიფხიზლე? აღუშფოთდი ჯვარპატიოსანში ცალქალამანიძეთაგან ახალი დანაშაულის ჩადენით. ქრისტიანნი დღესასწაულში მაინც უნდა ასვენებდნენ ქრისტიანთა... თვალწინ აღმემართა ყველა ის დაბრკოლებანი, ცალქალამანიძიანი და მათი მსგავსი დიდგვარიანნი რომ მიქმნიან. ამაშფოთა ბაქარის დაკოდვამ. რომ გამოსალმებოღა წუთისოფელს, ხომ საუკეთესო გმირი მოაკლდებოდა ჩვენს ქვეყანას. იხოცებიან მრავალნი ამისთანანი, ეწირებიან მსხვერპლად ქვეყანას და რჩებიან ცალქალამანიძეებისთანანი!.. ბედო, მაკმარე წინ გადაღობვა!.. მაინც რად უნდა ემტყუნა ბაქარისათვის სიფხიზლეს?.. მეფეთ მეფემ შუბლზე ხელი დაიდო. ეს ნიშნავდა, რომ თავის შეკითხვას პასუხი გასცა. — ეს მსხვერპლია ბაგრატიანთა სამსხვერპლოზე. ჩემს მემკვიდრეს უფრთხილდებოდა ბაქარი. იორს მისცურავდა, გიორგი მეფისწულს უფრთხილდებოდა,

იორს გავიდა, გაიმარჯვა და ისევ მეფისწულს უფრთხილდებოდა...“ — მეფეთ მეფემ ბასას გადახედა.

იგი თავდახრილი იდგა მეფეთ მეფესთან, მაგრამ მისი თვალები მაინც ყველაფერს ხედავდნენ. მშვილდ-ისარი მომზადებული ეკავა ხელთ.

— რა ამბავია, ბასავ, რომ მშვილდ-ისარი მზად გაქვს კიდეე? — ჰკითხა მეფემ.

— ბაქარიც, ჩემი პატრონი, ასე იქცეოდა და მეც ასე უნდა მოვიქცე! — უპასუხა მან სახე შეწითლებით. — მეფეთ მეფესთან ვარ და თვალიდან არაფერი უნდა გამომეპაროს.

— ვხედავ, ყრმაო, რომ შენ თვალს არაფერი გამოეპარება, — უთხრა ბაგრატმა თავის პატარა დამცველს. — თვალსწრაფი და თვალმახვილი ყოფილხარ, პატარავ!

მეფემ სწრაფად დასტაცა ხელი ბასას მხრებზე და მაღლა აიტაცა, გადაკოცნა და თან დასძინა:

— ჩანს, სასანიანებსა და შინაყმათ ღვთისაგან უწერიათ ჩემი დახსნა ხიფათისაგან.

გზაში შემთხვევისაგან შეჩერებულ მეფეს და ბასას ამალა წამოეწია, რომ დაინახეს განგმირული მხეცი, გაოცებულებმა წუთს თავი დახარეს, სინდისის ქენჯნა იგრძნეს, მეფეს საფრთხე მოელოდა და ჩვენ გვერდით არა ვყავდითო. ყველაზე მეტად შეშფოთდა მკლავადი.

ლომსიანი მუხლზე დაეცა მბრძანებლის წინ.

— რას ნიშნავს, მკლავად, ეგ? — ჰკითხა ბაგრატმა.

— მეფეთ მეფეო, მოტევებას გთხოვ! — შეჰღაღადა ლომსიანმა. — დილას შეჩვენებულს გამოეღადრა ყელი ჩემი ჰუნესათვის. არაფრად ჩავაგდე ეს ამბავი: ჰუნე ახლა მოვიპოვე, გული დავიმშვიდე. ჩანს, ჩემი თავი მახსოვდა მხოლოდ. არავინ გავაფრთხილე, დაუდევრობა გამოვიჩინე. შენ, მბრძანებელო, ხიფათში ჩაგაგდე. ნამდვილად სიკვდილის ღირსი ვარ. უბრძანე დამსაჯონ, — ბასას მიუტრიალდა: — შენი მშვილდის ისარს ვხედავ ცხოველის ყელში, მეფეთ მეფე შენ გადაარჩინე, ყრმაო! ხელები უნდა დაგიკოცნო.

მეფემ მხიარულად გაიცინა. ლომსიანს უბრძანა, ამდგარიყო.

— არის ჟამი, — დაიწყო ბაგრატმა და ამალას გადახედა. — როცა უფხიზლეს არსებასაც სიფხიზლის წუთი გონიდან გაურბის, ლომსიანო.

ბედი მოქმედებს მაშინ და ადამიანს, თუ ერთს ამაღლებს, მეორეს დაბლა სწევს, ფეხს უბორძიკებს: დღეს ბედმა სწია ამ ყრმას, სასანიანთა შინაყმას. დღეს მე და შენ ბედის მონახევრედაც ვერ გამოვდექით. დღეს მე ბედმა ამ ყრმის მოვალედ გადამაქცია. ვნახოთ, იქნებ სხვა დროს ვაჯობოთ ამ კაცთა უფალს, უჩინარ ძალას ეი, ფერისის ნატამალო! — მიუტრიალდა მეფე ახლა ბასას წასაქეზებლად, — შენი მშვილდოსნობა ხომ დავინახე. ახლა მაჩვენე შენი სიმარჯვე ხის კენწეროზე ასვლაში...

ბასამ სურვილი აუსრულა მეფეს. თვალისთვის ძნელად მისაწვდომი სიმაღლის ხე გამონახა, სწრაფად, ციყვივით ხის კენწეროზე მოიკალათა და იქიდან გუგანსა და გულადს „ჭიტა“ გადმოსძახა.

. მეფე თვალ-ყურს ადევნებდა ბასას და თავში კი სულ ერთი აზრი უტრიალებდა:

„ზავი დარღვეულია ჩემსა და აღსართანს შორის, ალთფარსლანისაგან მიღებული წყლულები მიყუჩებულია და კახეთს უნდა გადავიდე: დროა დაისაჯონ ვერაგნი!“

ბასა ერთი თვალის დახამხამებაზე ხიდან ჩამოსრიალდა და მბრძანებლის წინ გაიჯგიმა.

მეფემ თავზე ხელი გადაუსვა ბიჭს და ყველას უბრძანა, დაძრულიყვნენ ბანაკისაკენ.

გუგანმა ზურგზე ფოცხვერი მოიგდო და გულადთან ერთად ამალას აედევნა. კარავს რომ მიუახლოვდნენ, მეფემ გუგანი და გულადი კარავში მიიწვია. ბასაც თან შეიყოლა.

— ერთი მითხარი, ერწო რა გუნებაზეა, — ჰკითხა მან გუგანს.

— ჯვარპატიოსანს, ჯაჭვის საყდარს, სვეტიცხოველსა და ქართველთა ტომების სხვა სალოცავებს ვიმოწმებთ, მბრძანებელო, რომ ერწოს ხალხი სულ თქვენს კეთილ ხსენებაშია, თქვენს მოლოდინშია, — უპასუხა გუგანმა.

გულადმა კიდევ ერწოელის ლექსით გადაუშალა იქაური ხალხის გული.

— მბრძანებელო, შენს სადღეგრძელოს სვამენ! — წამოიძახა ბასამ.

„ეს ხალხის სულისა და გულის ამონახეთქია, რასაც მეუბნებიან, — გაიფიქრა მეფემ. — ესენი ერწოს უნებლიე მოციქულებად მეელინებიან... ცხადია, ერწო ჩემია, ეს არე ჩემი მოქმედების ფუძედ უნდა გადაიქცეს“.

მეფემ საგანგებო კაცები იხმო და ერწოში გადასასვლელად მომზადება უბრძანა.

— თქვენც ჩემთან წამოხვალთ ერწომდე! — ამცნო გუგანსა და გულადს, — ხვალვე ყველანი გზაში ვიქნებით... ერწოდან უჯარმაში დაბრუნდებით. წეიილს გაგატანთ, ამბავს მიიტანთ. მეფისწული ერწოს მაახლოს ბაქარმა. ბაქარი ჯერ ვერ შეძლებს ჩემთან მოსვლას, ფერისი და ბერა აახლოს მეფისწულს მცირე რაზმითურთ.

ფერისის გაგონებაზე ბასას ფერი ეცვალა.

— ყრმაო! — მიმართა მბრძანებელმა ფერცვლილ ბასას, — ნუ გეშინია, შენ ჩემთან იქნები... ჰუნე გეყოლება საკუთარი...

ბასა გამხიარულდა. მეფეს ხელზე ეამბორა.

მემკვიდრის დაბარებაზე მეფეს მირანდუხტი გაახსენდა და გულში გაივლო: კახეთს დავიპყრობ და მირანდუხტის რძლად მოყვანას მაშინ შევუდგებიო.

სასანიანთა და ბაგრატიანთა დამძახლება კარგა ხნისათვის გადაიდო.

15

მზე თითქმის მთლად ამოფარებოდა უჯარმის მთებს და მხოლოდ დასავლეთის ცის კაბადონს აფენდა ნათელს. წათობს სვეტებად ამოეზიდნა სხივები კაბადონის აქანებაზე. სასანიანთა მასპინძლები და სტუმრები პალატის ეზოს ნაპირს გადმოშლილიყვნენ და ნელი-ნელ საუბრობდნენ. უკვე ამდგარი ბაქარი სელზე იჯდა და დასავლეთისაკენ პირქმნილ მზის შარავანდედს სჭვრეტდა. პატარა რევი მის მუხლს მიყრდნობოდა და ხელს სცემდა.

— ნუ აწუხებ, ბიჭო, მამას! — გაუჯავრდა შვილს ბაქარის გვერდით მყოფი ველთამზე.

— აბა, რატომ არ მეუბნება, აი ის რა აქვს მზეს! — პატარამ მზის სვეტებზე მიუთითა.

— მე გეტყვი.

— არა, არ მინდა, შენ მითხრა!

— მაშ, წადი იქ, აგერ, მამიდა მირანდუხტი! ის გეტყვის — მიუთითა ველთამ მულზე.

— არ მინდა! — თქვა ჯიუტად პატარა რევიმ და მამას კიდევ დაჰკრა მუხლზე ხელი.

ბაქარი გონების თვალს ზემო დიდგორის არეებს უტრიალებდა... აი, ბაგრატის კარავს მიაჩერდა სასანიანი. გარე ასახულობას კარვისას კარგა ხედავდა. შიგნით არც ცდილობდა შეხედვას. მისი წარმოდგენით, ბაგრატ მეფე კარავის კარს იდგა ჩაფიქრებული, წერწეტი ტანის, მედიდური იერით მზირალი, ჯვარპატიოსნობიდან თავისი მემკვიდრის დაბრუნებისა და ნინოწმიდელის პასუხის მომლოდინე. შვიდი დღეა გასული, რაც გუგანი გაუგზავნა ბაქარმა. მისი ვარაუდით, მისულია კიდეც გუგანი ზემო დიდგორზე, კარვის კარს მდგარ ბაგრატს უახლოვდება. ბაგრატ მეფეს გუგანის დანახვაზე თვალებიდან სხივები სცვივა. გუგანის უბიდან ამოღებული წერილი სიხარულის ნათელით უმოსავს მეფეს სახეს. გუგანი წერილს აწვდის. ბაგრატ მეფე ხსნის გრაგნილს, კითხულობს და სწრაფად შუბლს იღუშავს. თვალებიდან ნაპერწკლები სცვივა, სახე უვარვარდება რისხვისაგან.

ბაქარს ყურში ეწვეთება მირანდუხტის სიტყვები, რა მალე დაბრუნდაო, და გონების თვალწინ ამართული ზემო დიდგორის სურათი უქრება.

ბაქარმა წალკოტის არეზე მართლაც გუგანი დაინახა და გაოცდა.

გუგანმა სწრაფად ამოიარა აღმართი და გარეთ გამოშლილთ შეუერთდა. ყველანი პალატის დერეფანში მოექცნენ და შემოეხვივნენ მას. ყველა ფეხზე ტრიალებდა. დაჯდომას არავინ ფიქრობდა ახალი ამბის მოლოდინში. მხოლოდ ბაქარი ჩამოჯდა სელზე. ვაჩემ მოითხოვა. ბაქარის მუხლს ისევ ამოუდგა პატარა რევი და წარამარა ხელსა სცემდა, საყვედურს ეუბნებოდა მამას, რატომ არ მითხარი, ის რა ჰქონდა მზესაო.

გუგანმა მოტანილი წერილი გადასცა ბაქარს. წერილის დანახვაზე მირანდუხტს სიხარულის იერმა გაუელვა... ვერავინ შენიშნა ქალს ეს მოვლენა. ყველას ყურადღება წერილმა მიიპყრო. მაგრამ გრაგნილის გაშლა ცოტაოდენ დახანდა: თავმოყრილებს ფერისიც შემოუერთდა, გუგანის დანახვაზე თავისი ბინიდან გამოსული.

გუგანის უჯარმიდან გასვლის პირველ დღეს დიდი აურზაური ედგათ ფერისის სახლში, ბასას მიმალვით გამოწვეული. დაჩის მოტანილმა ამბავმა, წუხელის ზარდიასთან ყოფილა დამალული ბასა და დილა დრიან ივრის სანაპიროს ტყეში გაქცეულა ციყვის დასაჭერადო, ყველა დააშოშმინა. რაკი საღამომ მოაწია და ონავარი აღარ დაბრუნდა

პალატის არემარეზე, ფერისის სახლში ვაი და ვიში ისევ გაისმა და მეორე დღის სამხრობამდე არ შეჩერებულა. სამხრობისას კი უჯარმაში მოვიდა წიაბელი მეხრე, გუგანს, გულადსა და ბასას რომ შეხვდა გზაში. მეხრეს მახვილი უნდა ეყიდნა ბერასაგან. ბერას ეკითხა, ხომ არ გინახავს ასეთი და ასეთი ყრმაო. მეხრეს ეთქვა ზენკლისათვის, მარტოკა ყრმა კი არა ვნახე, იმასთან ორი ბუმბერაზი ვაჟკაციც მოედინებოდაო. ერთს ფიწალა ხელები ჰქონდა, მეორეს, ნაბადწამოსხმულს, წარბებგარდიგარდმო დასერილს, ჩანგი ეჭირა ხელშიო. ყრმა ჩემ თვალწინ ისე მაღალ ხეს მოექცა კენწეროზე, რომ თვალები ამიჭრელდაო. მხოლოდ, როგორც თვითონ მითხრეს, ისინი ბოჭორმიდან მოდიოდნენო.

ბერა მაშინვე მიხვედრილიყო მეხრეს ნაამბობიდან, რომ ერთი გუგანი იქნებოდა, მეორე გულადი და მესამე ონავარი ბასა. ზენკალს ეს ამბავი წამსვე ფერისისათვის ეცნობებინა. ფერისის ოჯახი ამ ამბის მიღების უკან დამშვიდდა, შვილი აღარ დაგვეკარგებაო.

დღეს ფერისს მხოლოდ გუგანი მოხვდა თვალში დაბრუნებული, ბასა და გულადი კი არა და სახეზე უიმედობის ღაღი დაესვა. სხვებსაც გული დაწყდათ; მეხრის ნაამბობი გაცრუვდაო, გუგანი ალბათ მარტო წასულაო.

გუგანმაც თვალი შეაელო გულდაწყვეტილ ფერისს და სანამ ბაქარი წერილს წაიკითხავდა, ან სხვა ვინმე რამეს ჰკითხავდა, ყრუდ წაულაპარაკა:

— შენი შვილი მეფეთ მეფესთან არის.

ფერისს თვალები გაუფართოვდნენ. ამ ამბავმა დანარჩენებიც გააკვირვა.

— მაშ, წიაბელი მეხრე მართალი ყოფილა! — თქვა ველთამზემ. — გულადიც თან ეყოლებოდა გუგანს.

— თან მყავდა ზარდიაც, — დაუმოწმა გუგანმა. — ბერას შეუარა, იმასთან ჩემი საჭურველია დატოვებულიო.

— რად გაიყოლე, გუგან, თან ან გულადი, ან ბასა? — ჰკითხა ნინოწმიდელმა, — ან რად დაიტოვა მეფეთ მეფემ ეს ყრმა.

ასეთი კითხვები აღეძრათ გულში ყველას, თვით ვარაზ-ბაკურსაც.

მეფესთან გუგანის გაგზავნა უკვე ყველამ იცოდა და ეს შეკითხვა არავის გაკვირვებია.

— სამგორით წასვლა უარ ვყავი, — უპასუხა ნინოწმიდელს გუგანმა.

— კარგია, — მოუწონა ნინოწმიდელმა. — მერმე?

— მერმე და ერწოთი ვარჩიე გასვლა ქართლში.

— ესეც კარგია! — უთხრა ნინოწმიდელმა. — ერწოს ხალხი ბაგრატ მეფის მოსურნენი არიან. მერმე?

— მერმე და ე გზები კარგად არ ვიცოდი და ზარდია გავიყოლე ამისათვის. ზეპირად იცის მთელი ერწო.

— მერმე ბასა რაღად გინდოდა?

გუგანმა გაიღიმა.

— მივდივართ ივრის აღმა მე და ზარდია, — დაიწყო მან. — ონოფრე შეგვხვდა, მოვიშორე, დაჩი შეგვხვდა, ზარდიამ დააშოშმინა. რას ვიფიქრებდი, ის ონავარი რომელიმე ხიდან ჩამოსრიალდებოდა და წინ დაგვხვდებოდა. გამომიცხადა ბიჭმა, თან უნდა წამოგყვეო. ვიცი, სადაც მიდიხარო: დამისახელა. მამა უბრალოდ მემართლებაო. კარგა ხანს ჯიუტობდა ჭინკა, ბოლოს დავიყოლიე შინ დაბრუნებაზე. მაგრამ მომაგონდა, იცის ბიჭმა, მეფეთ მეფესთან რომ მივდივარ და, ვაითუ მთელი უჯარბა შემიყაროს-მეთქი.

— მერმე საიდან გაიგო, რომ მეფეთ მეფესთან მიდიოდი? — იკითხა მირანდუხტმა.

— საიდან? უფლის ასულო, ბაქარი რომ გეუბნებოდა და შენ წერდი, მე კიდევ რომ ვნაყრდებოდი, შემოუხედნია ონავარს დარბაზში უფლისწულთან თავის შესაფარებლად და შემოხედვისას მეფეთ მეფის სახელი გაუგონია და გადაუწყვეტია, მასთან გზავნიან გუგანსაო. უკან დავაბრუნე, ფერის, შენი ნატამალი, მაშ რა მექნა? ჯერ იწყინა ონავარმა, არაფერსაც არ ვიტყვიო, შემომძახა შემოტევით. მერმე უცბად იტრუნა. რა ვიცოდი, რომ დიდ მახეს მიგებდა. განგებ გაჩუმდა და თავისი გაჩუმებით დამაჯერა, რომ უჯარმაში ხმას გამივრცელებდა. თავი დავისაჯე, თან წავიყვანე. ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო. ძალით ამაკვიატა თავი ბიჭმა. უნდა გითხრა, ონავრობდა ის საძაგელი, მაგრამ ჩვენი მგზავრობის დანიშნულებაზე არავის არაფერს ეუბნებოდა. წიაბეთში დაწინაურებული თავის ტოლებს ჭიდაობაში იწვევდა. მიეუსწარით მე და ზარდიამ ონავარს და ხელი შევუშალეთ. ბორტაძეებში ცოფიანი ძაღლი მოკლა, ჭრელა ბორტაძისაგან მიცემული მცირე მშვილდ-ისრით. ისე მოეწონა ჭრელას ბასას გამბედაობა, რომ მშვილდი ისრებიანად საჩუქრად მისცა, ამ მშვილდიდან ნასროლი ისრით კატუნი მოკლა ბასამ ნოკორნის ტყეში, ქვემო დიდგორის მწვერვალიდან დაბლა რომ დაეშვით.

— მერმე იქ რა გინდოდათ? — ჰკითხა ვარაზ-ბაკურმა.

— იქ ბრძანდებოდა მეფეთ მეფე. — უპასუხა თავის პატრონს გუგანმა. — ქვემო დიდგორის წმიდა გიორგის ეწვეოდა შვიდ მაისს სალოცავად სამი ათასი სპის თანხლებით. ზადენმა გვითხრა, იქ იმყოფებაო.

— მაშ ჩვენ სავანეშიაც შეგვეღიათ? — დასძინა ვაჩემ გუგანის უკანასკნელ სიტყვებს.

— აი რატომ დაბრუნდა თურმე ასე მალე? — უთხრა ველთამ გუგანს.

— მერმე, ქვემო დიდგორის მწვერვალიდან დაბლა რომ დაეშვით, რა მოხდა? — ჰკითხა მირანდუხტმა გუგანს.

— დაბლა რომ დავეშვით, — განაგრძო შეწყვეტილი ლაპარაკი გუგანმა. — მეფეთ მეფე დაწინაურდა თან გაყოლილ ონავრიანად და ონავარმა ტყეში ხეზე ჩასაფრებული ფოცხვერი შენიშნა და ისრით განგმირა: მბრძანებელი ზიანს გადაარჩინა. ახლა თან ჰყავს მეფეთ მეფეს ერწოში ბასა.

— რაო? მეფეთ მეფე ერწოშია! — წამოიძახა ნინოწმიდელმა.

— დიახ, ერწოშია! — დაამოწმა ბაქარმა, რომელმაც გუგანის ლაპარაკში ბაგრატის წერილი ჩაიკითხა კიდეც, — მწერს, სამი ათასი მყავს და კიდევ ველიო. პასუხს მოვთხოვთ აღსართანსო. მიბარებს, ერთი ასეულით თუ შევძლებ წასვლას. გიბარებს, მეფისწულო, შენ შენი ამალიანად, ბერასი და ფერისის თანხლებით, მე თუ ვერ შევძელი გამოყოლა, გიბარებს, ვარაზ-ბაკურ, შენც შენი რაზმელებით. პაპაჩემო, ჩემო საყვარელო მკურნალო! მითხარი ერთი როდის შევძლებ მეც ვეახლო მეფეთ მეფეს? — მიმართა ბაქარმა ვაჩეს.

— სამიოდე დღის უკან მოგცემ გამგზავრების ნებას, — მიუგო ვაჩემ შვილიშვილს და მზრუნველობით თავზე ხელი გადაუსვა. — იქნებ ცოტაც მოგიგვიანდეს, ვინ იცის! ჯობს ჯერ ნაბრძვილი კარგა ამოიცხოს ხორცით. თავციხეში რომ ადიხარ და ჩამოდიხარ, ეგ არაფერი. შორმა გზამ ვაი თუ გაწყინოს!

ბაქარმა ამოიოხრა.

— აბა, ციხოვანთა ერთი ასეული მოამზადე, — მიმართა სასანიანმა ფერისს. — მეფისწულს აახლე თან შენიანად. ბერასაც აცნობე მეფეთ მეფის სურვილი. ხვალ დაიძრებით. ხომ გაიგონე, სამიოდე დღის უკან მეც გამოვემგზავრები ციხოვანთა ერთი ასეულით. მეფეთ მეფე ომით ემუქრება აღსართანს... მივალ ერწოში და შენ უკან დაგაბრუნებ.

ბაქარის გადაწყვეტილებამ, სამიოდე დღის უკან წავალო, ველთამზეს ფერი აცვლევინა და ბაქარის მხრებს მოკვეთილივით დაეყრდნო. პატარა რევის მისმა დაღვრემამ მამის მუხლზე ხელის ცემა შეაჩერებინა. ბავშვი ყველას თვალებში შესციცინებდა, თითქოს სწადდა, ვინმესგან გაეგო, დედაჩემს რა დაემართაო, და ბოლოს მეფისწულს მიაჩერდა. მეფისწული უყვარდა პატარას, რადგან ანებივრებდა. მეფისწულს კი მამის შემონათვალმა თავი დაახრევინა, გული ატკინა. მას აქეთ, რაც უჯარმაში ტრიალებდა ტახტის მემკვიდრე, სულ გაურბოდა წასვლაზე ფიქრს. ჰგონებდა, სულ ასე უნდა ვატარო ჩემი ცხოვრებაო. რა ვქნა, მირანდუხტი როგორც ბაქარს, ძმას, ისე მიცქერისო, არა, უფრო ნაკლები გრძნობით მექცევა, ვიდრე ძმასაო, სამაგიეროდ ხომ მის ახლოს ვარ. სხვა მისი მოთაყვანენი ამასაც მოკლებულნი არიანო. არა, უფრო მეტიც მერგო: ნება დამრთო იებიანი საჭურველი ვატარო მამის წერილი უჯარმას ატოვებინებდა და უჯარმასთან ერთად ყველაფერს, რაც მის სულიერ ცხოვრებას ჩაეწნა აქ ყოფნისას. ეძნელებოდა თავისი ასე დაუნდობლად მოკვეთა სასანიანთა პალატისაგან.

გულმა მოუსვენრად დაუწყო ცემა მამის წერილის გამო. მის მწიგნობარს — ქავთარს ესიამოვნა უჯარმის მიტოვება. მირანდუხტის გულში ჩამწვდომმა სიტყვებმა და ხშირმა კბილის გაკვრამ მოსვენება დააკარგვინა. ხშირად უთქვამს თავისთვის: მტრის კარს მაგისთანა დედოფალიო. მეფისწული კი ჯერ არ აპირებდა მამასთან დაბრუნებას. მოსულმა წერილმა კი მდგომარეობა შეცვალა. მეფე თვითონ იბარებდა შვილს, ტახტის მემკვიდრეს.

მირანდუხტი გულში ზეიმობდა, რომ მეფე კახეთის საქმეზე დაბანდდებოდა. შვილისათვის თანამეცხედრის ძიებას კარგა ხანს შეწყვეტდა. სასანიანთა ასულმა ბაქარისაკენ გადაინაცვლა.

— ველთა, რა მოგივიდა, რომ მხრებზე ხელები დაგიყრდენია ბაქარისათვის და დაჭრილი ადგილი არ გაგხსენებია? — მიმართა რძალს თითქოს საყვედურისა, მაგრამ ალერსიანი კილოთი. — ბაქარი ხვალ ხომ არ მიდის, რომ გული გადაგიქარდა. სამიოდე დღე მაინც მოიცდის. როგორც ვაჩე პაპამ თქვა. თუ არ გაუმთელდება მთლად ჭრილობა, სამიოდე დღესაც გადააცილებს წასვლას. წავა სამიოდე დღის შემდეგ და მერმე რა არის? სპარსეთს ხომ არ მიდის? კახეთს არ გასცილდება, — ქალმა ძმას აკოცა და პაპისაკენ გადინაცვლა: — პაპილო, ხომ მართალი ვთქვი?

ვაჩემ ახედ-დახედა და შუბლზე აკოცა. წელზე ხელი მოავლო და თვალებში ჩააცქერდა.

— რა არის, პაპილო? — ჰკითხა მირანდუხტმა.

ვაჩემ გაიღიმა.

— კუდრაჭა ხარ, კუდრაჭა! — უთხრა შვილიშვილს.

მირანდუხტს არა უთქვამს რა ამაზე, მხოლოდ თვალები მეფისწულზე შეუჩერდა. სიბრალულის აჩრდილმა გადაჰკრა სახეზე.

მეფისწული ახლა ფეხზე აღარ იდგა. საგანგებოდ მისთვის მორთულ მირანდუხტის სკამზე განისვენებდა. მირანდუხტისა რასაც ერქვა, მეფისწული იმისკენ მიისწრაფოდა. მას აქეთ, რაც ეწვია უჯარმას, ეს სკამი სხვისთვის აღარ დაუდგამთ. მეფისწულს განუწესეს განსასვენებლად მირანდუხტის ბრძანებით, როგორც მისი ხარისხის შესაფერისი. მეფისწული კი გულში სკამს ეალერსებოდა ხოლმე, როგორც მირანდუხტის სახსოვარს. ახლაც მის არეზე მოთავსებული, მის საყრდნობს დაჰყურებდა ოდნავ გვერდზე თავმიღებული: მირანდუხტზე არ იქნებოდა მინდობილი მისი ბედის გადაწყვეტა. „თუ არ ვეყვარებოდი, ხომ არც ვეჯავრებოდი ქალსა. მე ხომ მიყვარს ქალი და ჩემი საყვარელი არსება გვერდით მეყოლებოდა მუდამ... მამას ახლა მაინც უნდა გამოვუტყდე... არა, მამა ჩემთვის ვერ მოიცლის, მეც ომს გადამაგებს და თავის თავსაც. ვინ იცის, როდის მოელება ბოლო ომს?.. რატომ, რატომ ადრე არ გამოვუტყდი მამას... ახლა რომ გამოვუტყდე?.. არა, არა, ახლა ეს არ შეიძლება...“

მირანდუხტმა პაპას თავი ანება და მისკენ გადმოინაცვლა. მასთან მდგომ ქავთარს ახედ-დახედა.

— იმედია, ტახტის მემკვიდრეს ბრძოლაში ფეხდაფეხ მიჰყვები, ფხიზელ თვალს არ მოაკლებ. — უთხრა ქალმა მეფისწულის მწიგნობარს, თითქოს კბილის გაკვრით, თითქოს თავისი სურვილის გამოთქმით.

მისი თავის დანებება მოუხდებოდა ხვალიდან ჭაბუკს და სულის სიწყნარე შორს ახლდა ახლა. დარდი უღრღნიდა გულს. დასვენებას ეძლეოდა სკამზე მხოლოდ ტახტის მემკვიდრის გვამი. სული კი ამ წამს მისცემოდა ფიქრთა ქენჯნას. წელან წერილით მოტანილ მამის ცნობაზე ბედს საყვედურს ეუბნებოდა ბედის დამყოლი ადამიანი. ჭაბუკს ახსენდებოდა წამი იას ლექსი რომ წამოსცდა უნებლიეთ მამის გვერდით, ახსენდებოდა მამის სახის გამომეტყველება და ამ გამომეტყველებაში მხოლოდ ახლახან ამოიკითხა, რომ მამას ესიამოვნა მისი პირით იას

სახელის გაგონება. მეფისწული უჯავრდებოდა თავის თავს:

„რატომ არ გამოუტყდი მამას შენ სიყვარულში? — მამა ხელს მოგიმართავდა: სასანიანთა ასული ბაგრატიანთა გვარის საუსებით საკადრისი სასძლოა, მამა მოიწონებდა შენ სიყვარულს, მისწერდა ნინოწმიდელს და ისიც უარს ვერ ეტყოდა“.

— მადლობის მეტი რა ეთქმის მეფისწულზე მზრუნველობისათვის სასანიანის ასულს, — უპასუხა ქავთარმა მირანდუხტს.

— ყმა ვარ ბაგრატიანთა გვარისა და ვარ ყოველნაირ ანგარებას მოკლებული. — მიაგება პასუხზე პასუხი ქავთარს მირანდუხტმა.

ქავთარს გულზე უკბინა ამ სიტყვებმა. ქალი ანგარებას ხომ არ მწამებსო.

— ტახტის მემკვიდრეს ყოველ ბრძოლაში ხილულ მტერთან მუდამ თანა ვსდევ, როგორც დარაჯი, — თქვა პასუხად მირანდუხტის პირველ თქმულ სიტყვაზე ქავთარმა. — უხილავ მტერთან კი ხშირად ზენაარიც ვერას ხდება... ერთი ამგვარი მტერი უკმაყოფილოდ ყოფნაა სულის.

სასანიანის ასულმა ყური არ ათხოვა დაგვიანებულ პასუხს, მემკვიდრეს მიუტრიალდა.

— მეფისწულო, საქართველოს ხალხთა გაერთიანების მრავალჯერ მიყუჩებული ბრძოლა ცხოველდება, — დაიწყო მირანდუხტმა. — რად დაგიხრია თავი? ხომ უნდა ვიბრძოლოთ ვაჟმაც და ქალმაც?

მირანდუხტის სიტყვებზე მეფისწულს ფიქრები შემოეფანტნენ. ქალის ხმის ჟღერამ ყურში ჩაუღიღინა და სიამე აგრძნობინა.

— უნდა ვიბრძოლოთ! — გაისმა მისი მოკლე პასუხი.

— ეს ბრძოლა ხომ ჩვენი ხვედრია? — მოესმა მეფისწულს ახალი კითხვა.

— ჩვენი ხვედრია! — გაისმა ისევ მოკლედ მეფისწულის საპასუხო სიტყვები.

— ხომ უნდა შევქმნათ ძლიერი ჩვენი ქვეყანა? — კიდევ შეეკითხა ქალი.

— უნდა შევქმნათ. — უპასუხა მეფისწულმა.

— მაშ ეს ხატი მთავარანგელოზისა მიიღე თანამებრძოლისაგან. გფარავდეს ბრძოლაში! — დასძინა ბოლოს მირანდუხტმა, მოიხსნა გულიდან ათი წლის წინათ ლიპარიტისაგან მიღებული მინანქრიანი პაწია ხატი და მეფისწულს გადასცა.

მეფისწული წელში გასწორდა; მადლობის თვალი გადაავლო მი-

რანდუხტს და ქავთარს უბრძანა, ხვალ დილაადრიან მზად ყოფილიყვნენ ერწოს წასასვლელად. მერმე შეტრიალდა და თავის მიკუთვნებულ ბინას მიმართა.

მირანდუხტი კი მამასთან მივიდა. ნინოწმიდელი ფერისს ელაპარაკებოდა თავისი გვარეულობის მკვიდრთა და სამკვიდრებლის დასაცავად ახალი რაზმის შექმნაზე.

ფერისს გუნება გამოსწორებოდა, თვალებში სიხარულის სხივები უკრთოდნენ. ონავარი შვილი გამოეძებნა ცოცხალიცა და გამარჯვებულიც.

— ფერის, შენი ბასა კარგ მოყმედ გაიზრდება, — გამოელაპარაკა მირანდუხტი მამასთან შეზრდილ შინაყმას. — თორმეტი წლისამ იქ ცოფიან ძაღლს მოუსპო სიცოცხლე, ნიკორნის ტყეში კატუნი მოუკლავს თურმი, ქვემო დიდგორის ტყეში — ფოცხვერი და მეფეთ მეფე ხიფათისაგან გადაურჩენია. აქ ადიდებული იორი გამოსცურა. მამის ტოლი ხარ, მაგრამ საყვედურს გეტყვი: ტყუილუბრალოდ გაურისხდი ბასას იორის გამოცურვაზე. გამბედაობა მცირეხნოვანისთვისაც ხომ საქებარია.

— საქებარია, უფლის ასულო, საქებარი! — დაუმოწმა ფერისმა და თან ღიმილით ზედ დაუთო: — რომ არ გავრისხებოდი ჩემს ონავარს, მაშინ არც მეფეთ მეფესთან მოხვდებოდა.

ფერისი წავიდა ციხოვანთა გამოსარჩევად და ბერასთან ამბის მისატანად.

მირანდუხტმა მამას ისე შეხედა, თითქოს ამცნო: მამავ, ჯერ კიდევ კარგახანს მომიხდება შინ ყოფნა, არ გავცილდები ამ არემარესო. შენ კი საკარგხნოდ მეფის პასუხისაგან განთავისუფლდიო. მე მიხარია და შენც გახარებს ეს ამბავიო.

დიახ, უხაროდა ნინოწმიდელს: უმტკივნეულოდ წყდებოდა მირანდუხტის სახლიდან წასვლის საკითხი. მეფეთ მეფეს მის სახლთან დამძახლებისათვის ჯერჯერობით აღარ ეცალა.

16

ერწოში გადმოსულ ბაგრატ მეფეს ერწოელები გულსავსენი მოეგებნენ. უხვად გაუმასპინძლდნენ. მეფე დაბანაკდა ერწოს ველებს და იორის შუა აღმართულს ზეგანზე, საიდანაც ადამიანი თვალს ავლებდა მთელ ერწოსაც და იორის აღმა სანახებსაც. მეფეს აქ მოეწვია

ზემო დიდგორიდან დაბარებული თანამეცხედრე, ბორენა დედოფალი, და უჯარმიდან გამოწვეული მეფისწული ამალიანად, ვარაზ-ბაკურისა და მისი რაზმის, გუგანის, ბერასი, ფერისისა და უჯარმის ციხოვანთა ასეულის თანხლებით.

ბორენა დედოფალმა თავისი შვილი დაღონებული ნახა, ფერისმა, სასანიანთა შინაყმამ კი, თავისი ლაწირაკი ბასა — ყელმოღერებული. ბორენა დედოფალს გული ეთუთქებოდა შვილის სახის მონისვლით, ფერისს უხაროდა, მის უმცროს შვილს ბედი რომ სწეოდა, მეფის ყურადღება დაემსახურებია. მაგრამ მამამ ბასას სილა დაანახვა, რაც ნიშნავდა, მაინც ამის ღირსი ხარო!

მეფეთ მეფის, მისი თანამეცხედრისა და ტახტის მემკვიდრის ერთმანეთთან შეხვედრაზე ერწოელებს მრავლად მოეყარათ თავი. აქ მოსულიყვნენ არჩვიაძენიც დედაბუდიანად.

— მამი, მამაჩემო! — წამოიძახა ამირან არჩვიაძემ და ანდრიას ბასასაკენ მიუთითა: — აგერ ის თორმეტი წლის ბიჭი, ადიდებული იორი რომ გასცურა. დიდგვარიანის შვილია ალბათ, მეფის ამალაშია! ჰო და მე დამავიწყდა მეთქვა კიდევ: პირველად მირანდუხტმა უკან შემოისვა ე ბიჭი თავის ცხენზე და ისე შეიჭრნენ უჯარმის მხრიდან იორში გალმა გასასვლელად. ვაჟი თუ ჰყავს კიდევ რევყოფილს უმცროსი?

შვილი თავისას ეუბნებოდა ანდრიას, მას კიდევ თვალნი გაჰფართოვებოდა და წარამარა თავში ერთი აზრი უტრიალებდა, ეს ხომ ის ბალღია, ჯვარპატიოსნობის მეორე დღეს იმ ორ დიდ ვაჟკაცს რომ მოჰყვა თანა და ჩემ ოჯახში მოუხდათ ღამის გატარებაო.

— ეგ ჩვენთან იყო არა, მამაჩემო? — მიმართა ცისკარამ მამას. — აი ჯვარპატიოსნობის მეორე დღეს, ღამით.

— მერმე და ვახშამზე ვერ ვნახე! — წარმოთქვა ამირანმა.

— ეძინა მაშინ! — აუწყა ცისკარამ ძმას.

— აგე, მეფისწულმა გაულიმა იმ ბიჭს! — ანიშნა თავისიანებს ამირანმა. — უსათუოდ სასანიანია ვინმე.

— ვენაცვალე ჩემ ღმერთს, — წამოიძახა არჩვიაძიანთ ამირანთან ახლოს მდგომმა ჭრელა ბორტაძემ, — რომ ჩემი ყრმობის მშვილდი მაგ ბალღს ერგო! მაგან ჯვარპატიოსნობის მეორე დღეს ჩვენი სოფლის გზაზე ცოფიანი ძაღლი ერთი ისრის სროლით გააგორა, პირდაპირ ერთ რამედ ღირდა, მე და ჩემმა ღმერთმა...

— ბიჭოს! ამას აქ რაი უნდა? — წამოიძახა წიაბელმა მეხრემ და ჭრელას სიტყვა შეაწყვეტინა, — მეფესთან რომ ტრიალებს!.. ისეთ ხეს მოექცა კენწეროზე, ღმერთო, რომა შიშისაგან სულ თვალები დამიბნელდა!.. რომ გადმოვარდნილიყო იქიდან, სულიც აღარ ჩამოჰყვებოდა! მერმე, კაცო, ამ დროს იმ ოხერმა ყვავმაც დაიჩხაველა იმავე ხიდან, მეგონა, მაგ ბალღს დღე დაუბნელდება-მეთქი.

— იი, ქა! თვითონ დაიჩხაველებდა ეგ ონავარი! — წაილაპარაკა მანდილოსანმა, ბასას რომ წიაბეთში გუდა სანოვაგით გაეკსო. — ისე აჯავრებს ყვავს ჩხაველსა, რომ ვერ გავარჩიე ყვავია, თუ ადამიანი—შვილია!.. ღმერთო, რამდენი ვიცინე!.. განა მარტო ყვავს აჯავრებს! კრუხ-წიწილას, ქათმებს, ძაღლებს და ვინ იცის კიდევ, რომელ ოთხფეხსა და ფრინველს.

— ეგ ლაწირაკი, ეგა! — წამოიძახა ერთმა წიაბელმა ბალღმა და ბასაზე მიუთითა თავის ამხანაგს. — ეგ ის არ არის, აი წიაბეთში რომ შემოიჭრა და რკენაში მიწვევდა. აი დამჭიდებოდა ერთი, ნახავდა თავის სეირს! როგორ გაეშლართავდი მიწაზე!..

— დაიკარგე! — დაუმატა ბალღმა ქადნიას. — გაშლართავდა მიწაზე!.. მაგან ჯვარპატიოსანში ერთი თავისი ტოლი და თავისზე ერთი-ორი წლით დიდიც არ გაუშვა წაუქცეველი!.. მერმე, ბიჭო!.. — მიმართა მოპასუხემ ახლა გვერდით მდგომ თავის ამხანაგსა. — სულ კვეტარელი ბალღები დასცა ძირს, ამათს გარდა სხვა ვერავინ ჰბედავდა მაგასთან რკენას.

— ვისი? ონე, ეგა? — შეეკითხა ამბის მომყოლს ამხანაგი.

— ვისია და სასანიანთა! — უპასუხა ონემ დარწმუნებით. — იქ ბაქარს კუდში დასდევდა, ჯაჭვზე ებღაუჭებოდა; მერე მირანდუხტმა ცხენზე შემოისვა უკან და ისე გასცურა აღელვებული იორი.

— ქალმა გასცურა?!

— გასცურა, მაშა!..

ონემ ჯვარპატიოსანში მყოფი ერთი ბალღი დაიმოწმა და სახელი — მირანდუხტი ჯერ ბალღებმა და მერმე დიდებმაც ერთმანეთს გადასცეს.

— არჩვიაძიანთ ცისკარას ემსგავსება მირანდუხტი?

— არჩვიაძიანთ ცისკარა რას მიქვიან? ზღაპრებში ხომ გაგიგონია, ხელმწიფის ქალის სილამაზე? ისეთი ლამაზია.

— ისეთი ლამაზია, რომ ვერც ერთ ვაჟკაც ახალგაზრდას ვერ ნახავ მის მნახველს, რომ მისი სიყვარული არ შეჰყროდეს! აგე, მეფისწული

არ დასევდიანებულა... თვითონ კი თურმე ჯერ არავისზე დაუყრია გული. მხოლოდ თავისიანებისათვის არის თავგადადებული. დაჭრილი ძმის გულისათვის ადიდებული იორი გასცურა.

მირანდუხტმა რომ ადიდებული იორი გასცურა, ბორენას ამალაშიაც ლაპარაკობდნენ ამ ამბავზე.

— თავის გაწირვა სცოდნია, — გაიფიქრა გულში ბორენამ. — ჩემი შვილისათვის მაგისთანა ადამიანი ხომ დაუფასებელი იქნება. ერთი მაჩვენა მაინც ჰასაკში შესული მირანდუხტი! აი ახლაც მესმის: მისი გონება ჰფლობს მის გულსაო. ეს რომ ასე იყოს, ხომ მისი გონება მის გულს ჩემ შვილზე შეაჩერებდა... განა რას წააგებს? დედოფალთ დედოფალი გახდება. არა, მისი გული ჰფლობს მის გონებას: უყვარს თავისიანები ქალს და ეს გრძნობა ვერ დაუძლევია, სხვაზე ველარ გადაუტანია, რომ შეეძლოს თავისი თავის ცხოვრების მგზავრის გამოძებნა. აგერ რა ისმის კიდევ, ახალგაზრდა ვაჟკაცნი უანგაროდ ეყმენო. — ბორენამ შვილს მკერდზე ყელს ჩამოკიდებული ძეწკვი დაუნახა. აქამდის ასეთი რამ არ შეუნიშნავს დედოფალს.

— ეს რა ჩამოგიკიდნია ყელზე? — ჰკითხა თვალში თვალის გაყრით.

შვილს დედის შეკითხვაზე სახე შეუფერიანდა.

— ხატი მთავარანგელოზისა, — გაისმა დაბლად და წყნარად წარმოთქმული სიტყვები. — ამით მირანდუხტ სასანიანმა გზა დამილოცა...

ბორენამ კმაყოფილება იგრძნო.

— „ჩანს, ჩემ შვილზე გული დაუყრია“. — იფიქრა დედამ.

მეფისწულმა იგრძნო დედის ეს დასკვნა და მაშინვე მოისურვა ამის გაქარწყლება.

— მირანდუხტი, დედაჩემო, ისევე მეპყრობა, როგორც ექვსი წლის ია მექცეოდა ცხრა წლისას მცხეთაში.

დედოფალი და მეფისწული თუ მირანდუხტის გახსენებით თავის გულს ისერავდნენ, ბაგრატ მეფე გონების თვალით შიდა კახეთის მთებსა და ველებს დასტრიალებდა. მის საერისთაოთა სუსტ ფუძეებს ეძებდა და მათ დაუფლებას წინასწარ განიცდიდა. კვეტარს აულებელს აღარ სტოვებდა. მეფემ გადაწყვიტა, კახეთში დიდხანს დარჩენილიყო და ყველა მოწინააღმდეგისათვის კბილი მოეჭრა, ყველგან მტკიცედ მოეკიდნა ფეხი და ისე დაბრუნებულიყო ქართლში.

მოქმედების დასაწყებად მეფეს ჯარებიც საკმარისი უგროვდებოდა: დღეს გარე კახეთიდან თავისად კიდეც მოერთვა ათასამდე კაცი; ახლა ვერენის მფლობელი ერმრავალი გამოუგზავნიდა ერთ ათას კაცს. რუსთველიც ხომ არ დასტოვებდა ამ მხრივ უნუგეშოდ. არაგვიც არ დაახანებდა ლაშქრის მოწოდებას. ქართლიდან ხვალ-ზეგ აქ იქნებოდა ლაშქარი. აფხაზეთიც კიდევ გამოგზავნიდა მრაველად სპას და ანდერძი აეგებოდა სამუდამოდ კახეთის ურჩებს.

მეფემ შვილისათვის თანამეცხედრის მოყვანაზე ფიქრი გონების ყრუ კუნჭულში მიაგდო. ერთი ეს ქნა მხოლოდ, რომ ბორენას გამოუცხადა, უჯარმას წაბრძანებულიყო. შვილს კი ლაშქრის კარგა საგრძნობი ნაწილი მიანდო.

ტახტის მემკვიდრემ ამ თავის დატვირთვაზე ბერას გადახედა. რითაც უსიტყვოდ უბრძანა, იებიან საჭურველს ნუ დამიხანებო, და ზენკალმა მხოლოდ სახეზე გადარბენილი ღიმით უპასუხა: დარდი ნუ გაქვს, მეფისწულო, დროზე იქნება ოქროს იებით დამშვენებული საჭურველიო.

ბაგრატს იმედი ჰქონდა, რომ ბაქარი მოკლე ხანში გამოჩნდებოდა და მის შვილს მარჯვენ ხელად ეყოლებოდა ბრძოლაში. საქმით სასანიანი იქნებოდა შვილზე მინდობილ სპათა წამყვანი, შვილს კი მხოლოდ სპათა მხედარმთავრის სახელი ექნებოდა.

„ბაქარს დაევალება კვეტარის გარემოცვა და აღება. — ფიქრობდა გვირგვინოსანი, — მე ალაზნის ველს მოვედები ჩემი ლაშქრით. აღარაფერს დავუტოვებ აღსართანს. ეყოთ, რაც იპარპაშეს მან და მისმა წინამორბედებმა.“

ორი დღის შემდეგ ბაქარიც გაჩნდა მეფესთან უკვე მოკეთებული. უჯარმის ციხისთავს თან მამაც და ჰპაც მოჰყვა ბაგრატ მეფის პატივსაცემად. ერთსა და მეორესაც სანაწყენოდ დაურჩათ, რომ არავინ აცნობათ ბორენა დედოფლის ბანაკში ყოფნა, რომ არ აახლეს დედოფალთ დედოფალს თავისი რძალი ველთამზე — შვილიანად და უჯარმასა და გარე კახეთში უჯარმის დედოფლად აღიარებული მირანდუხტი. ნინოწმიდელმა კარგად იცოდა ბაგრატის ხასიათი, იცოდა, რომ ომის მზადებაში გართული მეფე, კახეთის დაპყრობის საშუალებათა გათვალისწინებაში მყოფი გვირგვინოსანი, სასანიანთა და ბაგრატიანთა დამოყვრებაზე ლაპარაკს ალარ ჩამოუგდებდა, რომ ასეთი მდგომარეობა წლობით გასტანდა, და

მირანდუხტის ბანაკში მოსვლა, მეფისა და მის ოჯახის პატივისცემად ახლა სახიფათოდ არ მიიჩნია. მღვდელმთავარი მართალი აღმოჩნდა: ის და მისი სიმამრი, ხუროთმოძღვარი ხელგაშლილი კი მიიღო მეფემ, მაგრამ ნინოწმიდელთან გაგზავნილი თავისი წერილი დამძახლებაზე არ გაიხსენა: კახეთის ხელში ჩაგდებამ ყველა სხვა სურვილი უკანა რიგებში მოუქცია ბაგრატს. თუ ბორენა შვილის სახის მონისვლას დარდობდა და უნებლიეთ, ამის გამომწვევად ხშირად იხსენიებდა მირანდუხტს, ბაგრატს არც ბაქარისა და არც ნინოწმიდელისათვის უბრალოდაც კი არ მოუკითხავს მათი ოჯახის სხვა წევრები. მირანდუხტი საესებით არ მოგონებია.

თუ მეფეს არ მოგონებია მირანდუხტი, თვით მირანდუხტმა მოაგონა თავისი თავი და მისი გონება თავისკენ გადმოხარა ანაზდეულად.

მღვდელმთავრის, ხუროთმოძღვრისა და უჯარმის ციხისთავის მოსვლის მესამე დღეს, დილით არჩვიაძიანთ საბინადროს მხრიდან მკვრივად შეკრული ცხენოსანთა რაზმი გამოჩნდა. რაზმის დანახვაზე მეფის ბანაკში ჩოჩქოლი შეუდგათ. აქეთ-იქიდან წამოვიდა კითხვები.

— ვისი რაზმია?

— რა რაზმია?

—არაგვიდან ხომ არ მოდის რაზმი?

— არაგვიდან და აგრე ცოტა სპა?

რაზმსა და ბანაკს შორის მანძილი შემოკლდა და ბანაკში შეკითხვები სხვა თქმებმა შეცვალა:

— ორი ქალი მოუძღვის რაზმს.

— ორი კი არა, სამი.

— ჰო, ახლა ამოუდგა გვერდში იმ ორს მესამე.

— აგერ, რაზმსა და სამ ქალს შორის ბუმბერაზი, შეჭურვილი.

— აგერ იმ ბუმბერაზთან კიდევ ბრგე ტანის ვაჟკაცი... მკერდზე ბავშვი ეკვრის.

ბევრი რამ ითქვა კიდევ, ბევრი, ვინ რა არა თქვა! ყველანი გარეთ გამოიშალნენ. მეფეც კი გამობრძანდა თავის კარავიდან სტუმრებითურთ.

— ეს ხომ მირანდუხტია! — სიხარულით წამოიძახა მეფესა და სტუმრებს უკან მდგომმა თვალმახვილმა ბასამ. — აი, ველთამზე, ის მესამე — არჩვიაძიანთ ცისკარაა. აგე, ზარდია... აგე, ანდრია არჩვაძე, ისა ბიჭოს! პატარა რევი უჭირავს ანდრიას. აგე, დაჩიც რაზმში!..

ფერისის ნატამალმა სხაპასხუპით გადმოაბნია პირიდან სიტყვები, გადააგიწყდა ყველანი, ვინც წინ ედგნენ, თვით მეფეც კი, და ბანაკში მოტრიალე პირველ შეხვედრილ უბელო ცხენს წაავლო ხელი, თვალის დახამხამებაზე ზურგზე მოეყლო და რაზმის შესახვედრად გაექანა.

მალე მეფესთან მყოფნი სასანიანნი და მათი მახლობელნიც დარწმუნდნენ, რაზმს მართლაც მირანდუხტი მოუძღოდა.

დიახ, ეს მირანდუხტი იყო, გვერდზე ეელთა პყავდა და ცისკარა. სამ ქალს გულადი და ანდრია არჩვიაძე მოჰყვებოდა. მერმე რაზმი მოსდევდა. ანდრიას მართლა პატარა რევი ეჭირა ხელში. ნინოწმიდელის, ვაჩეს და ბაქარს სურვილი აჰსრულებოდათ: დედოფალი ყურად იღებდა და დაუფასებდა მათ ოჯახს ასეთ განსაკუთრებულ პატივისცემას. მირანდუხტის ასეთი ნაბიჯი მის დიდ გონებას ნათელსა ჰფენდა და მამას, პაპასა და ძმას სიამაყეს ჰგვრდა, მაგრამ სამნივე მაინც სდუმდნენ, თავის სულისკვეთებას არ ამეღავნებდნენ. სხვებმა კი, მათმა მახლობლებმა, თავი ვეღარ შეიკავეს, გულწრფელი აღტაცება ამხილეს ბანაკში მყოფთა წინ.

— ხედავ მირანდუხტს! — წამოიგრგვინა ვარაზ-ბაკურმა, — ქალთა ქვეყნის თვალია მარტო სილამაზით კი არა, ჭკუითაც! მრავალ მამაკაცს გადააჭარბებს გონებით!

— მაგისი ცხენის ფეხთა მტვერის ჭირიმე! — მისცა ბანი თაყის პატრონს გუგანმა.

— უჯარმის დედოფალია, უჯარმის! — თქვა ბერამ.

— დედ-მამის შვილია და! — ღასძინა ფერისმა. — სვეტიცხოველის ამგების შვილიშვილი, ბაქარის დაი აგეთი უნდა იყოს და არის კიდევაც.

— რა რაზმი მოჰყავს ეგ! — იკითხა მეფესთან მყოფმა ერთმა დიდგვარიანმა, — ვინ მისცა?

— ვინ მისცა? გაიმეორა შეკითხვა ვარაზ-ბაკურმა, ცოტა არ იყოს წყრომით. — მოვა და გაიგებ.

მაგრამ ეს კითხვა: „ვინ მისცა“, მაინც უტრიალებდა ბევრს თავში, თვით მეფესაც. ციხოვანთ ხომ ვერ წამოიყვანდა ქალი?.. გულადი და ანდრია არჩვიაძე შენიშნა ბასამ რაზმთან ერთად, დაჩიც დაინახა. ციხოვანნი რომ ყოფილიყვნენ, ვეჟან ქველიძეც ეყოლებოდათ თან. მირანდუხტს ნება არ ჰქონდა ციხეში დატოვებული ციხოვანნი დაეძრა ადგილიდან და არც აზრად მოუვიდოდა ეს. ციხის წესები უცხო არ იყო მისთვის. მაშ ქალს თვითონ გამოენახა ხალხი!

ძმის, მამის და პაპის წასვლის ერთი დღის შემდეგ მირანდუხტს ერთმა უჯარმელმა მოუტანა ამბავი, ბაგრატ მეფის ბანაკში ბორენა დედოფალიც არის მოსულიო. და წამსვე დაებადა აზრი, ჰხლებოდა დედოფალს, თან წაეყვანა ველთამზე და სასანიანთა გვარის გამგრძელებელი პატარა რევი. მირანდუხტმა ონოფრეს დაავალა, გასძღოლოდა სასანიანის საშკვიდრებელს და დაჩის უბრძანა, მისი სახელით მიემართა უჯარმელ ახალგაზრდა ვაჟკაცთათვის და ეთხოვნა ცხენოსანთა რაზმის შედგენა, ერწოში გასაცილებლად.

მირანდუხტის რაზმში შემსვლელნი საკმარისნი აღმოჩნდნენ. უჯარმის დედოფლის მიმართვაზე დაირაზმნენ ახალგაზრდა ვაჟკაცები. მათ ზოგი შუახნისანიც ამოუდგნენ გვერდში.

წინამძღოლად რაზმს მირანდუხტმა თავისი მგოსანი გულადი უჩინა. გულადმა, ქალები რომ არ შეწუხებულიყვნენ, პატარა რევის ტარება თვითონ იკისრა. წინა ტახტაზე დაკიდულ დიდ ხოკერში მოათავსა ბაცშვი და ისე გაუყენა ცხენი გზას. რაზმი შუადღის შემდეგ დაიძრა, ბინდმა დაჰკრა, რომ შუა ერწოს მიეიდა და გულადმა ყველანი უკვე მისგან ნაცნობი არჩვიაძების კარს მიაყენა. სახლის უფროსი ანდრია დაფაცურდა. ჩუმრობა ხომ არ იყო, მირანდუხტი, მისი რძალი და პატარა სასანიანნი ეწვეიენენ მის ოჯახს. ამ ხანში შესულმა ადამიანმა პირდაპირ თაყვანი სცა იადხმობილს. ანდრიას მისმა ძმებმა და სხვა არჩვიაძიანთაც მიჰბაძეს. ყველა ცდილობდა ძვირფას სტუმრებს კარგა დახვედროდა. ცოტა არ იყოს, დაბნეულობა ეტყობოდათ, მაგრამ იადხმობილის სადა და შინაურული იერის მოპყრობამ ყველა დააშოშმინა, ყველა თავის კალაპოტში ჩააყენა. იამ ცისკარა რომ დაინახა, მაშინვე მოეწონა და შეიყვარა: ანდრიას ქალმა თამამად და გამბედავად იგრძნო თავი. ველთამზეს ისე მოეწონა ცისკარა, რომ ძმის საცოლედ ინატრა...

„რატომ არ შეიძლება, რომ ჩემმა ძმამ შეირთოს ეს ქალი, – იფიქრა მან. – თავისუფალი ოჯახის შვილია: მეომარი ყოფილა. მითხრეს ისე მოზიდავს მშვილდს, როგორც კაი მამაკაციო. პატარა რევიც მიეტმასნა ცისკარას“.

– ყელში მიყვარს ცისკარა! – განაცხადა ბავშვმა და თან დაურთო: – ჩემი იაც ყელში მიყვარს.

ბავშვმა მირანდუხტი ცისკარას უტოლა. მირანდუხტს არ სწყენია ეს ამბავი: მირანდუხტმა ცისკარა ვახშამზე გვერდით მოისვა.

— იადხმობილის რაზმელი უნდა გაეხდე ხვალ, მამაჩემო, — გამოუცხადა ასულმა ანდრიას. — ხმლის ტარება ვიცი და მშვილდის მოზიდვაც. ჩემი ნასროლი ისარი ნიშანს არა ცდება.

— ახალგაზრდა ვაჟკაცებისა არ გეშინიან, ჩემო ასულო?

— რომელსაც სურვილი აქვს, შემეჯიბროს თუნდ ხმლის ხმარებაში, თუნდაც მშვილდოსნობაში.

— პატარა ხელი გაქვს, გოგონი! — უთხრა ანდრიამ წათამამებულ ასულს.

— პატარა ხელი მაქვს, მაგრამ ძლიერია, — გაისმა ანდრიას საპასუხოდ მისი ასულის სიტყვები. — წელან ჩვენმა ხბომ გამაჯავრა, დავსტაცე ხელი ქეჩოში და ბაკს იქით გადავაგდე.

ახალგაზრდა ვაჟკაცებში სიცილი გაისმა. ხუმრობის კილოთი ერთმანეთს აფრთხილებდნენ, ცისკარას არ შეებათ, თორემ ბაკს იქით გადაგაგდებთო.

ცისკარამ იადხმობილს გადახედა: თითქოს სთხოვა, მხარი მომეციო.

— ცისკარ, ხვალ ჩემთან ერთად შენც წამოხვალ ბანაკში! — განუცხადა მან არჩვიაძიანთ ასულს და ვაჟკაცთა სიცილს ამით ბოლო მოუღო.

ანდრია ისე დაიმონა იადხმობილმა, რომ თავის ცისკარასამებრ თვითონაც ჩაირიცხა უჯარმიდან მოსულ რაზმში. მამას — შვილმა, ამირანმაც მიჰბაძა. სხვა არჩვიაძეებსაც არ ქაუნანებიათ ასეთი ნაბიჯის გადადგმა. მირანდუხტს რაზმი გაუმრავლდა.

ანდრიამ ჩანგი მოითხოვა, სასანიანთა ასულს აღტაცებით გადახედა, თავისიანებს თვალი მიაჩერა და ჩანგის სიმებზე თითები აათამაშა. შემდეგ მკერდის აზიდვით დასძახა:

მზე შინა და მზე გარეთა
მზე ბნელს გვაცილებსო...
არჩვიაძიანთ ნაშენნო,
თვალნი ახილეთო.
მზე შინა და მზე გარეთა,
მზე შინ შემოდიო!
არჩვიაძიანთ ნაშენთა
შუქი ადინეო!..

არჩვიაძიანთ ნაშენნო,
გაგვთენებიაო!
არჩვიაძიანთ ნაშენნო,
მზე შინ გვეწვიაო!
იადხმობილი მობრძანდა,
ბედი გვეწიაო!
არჩვიაძიანთ ნაშენთა
შუქი გვეფინაო.

— არჩვიაძევ, მაჯობე რაღა, მაჯობე! — წამოიძახა აღტაცებულმა გულადმა. ყოველი კარგი თქმული ახარებდა ფხოველს.

— „იამა გშობა! ვისია? — ჰკითხა ღიმილით ანდრიამ თავის მაქებელს.

გულადი მიხვდა, რომ ანდრია მისწვდომოდა მის ვინაობას და შეკრთა. ანდრიამ კი ესროლა იადხმობილის მგოსანს, სხვისათვის ორაზროვნად ნათქვამი სიტყვა, ნურავის ნუ აფიქრებს ეს რომ მე ვიცი, და ველთამზეზე გადაანაცვლა თვალი.

ჩანგს სიმებზე კიდევ გაურბინეს ანდრიას თითებმა. ანდრიას პირიდან ნაკადივით წამოვიდნენ შემდეგი სიტყვები:

როგორ არ ვიტყვი ქებასა
ბოლნელის ველთამზისასა?!
უჯარმას გადმოინაცვლა
სხივთ აბნევს ცხოველ მზისასა.

.

— ერთი უყურეთ ამ მოხუცს, რა ამბებშია?! — წამოიძახა გულადმა თავისებური გულწრფელობით.

— ზარდიავ, ნუ გშურს, — დაიძახა გაკვრით ანდრიამ გულადის საპასუხოდ და თავისი განაგრძო:

თავის პატარა გვაწვია,
მარგალიტს სჭარბობს ზღვისასა.

ანდრია მღეროდა და სუფრაზე მსხდომთ თვალთაგან კმაყოფილების სხივები სცვიოდათ, არჩვიაძიანთ ოჯახი დიდ სიხარულს განიცდიდა.

წმინდა არჩილის საფლავის მლოცავნი წმიდა არჩილის ნატამალთა დიდი მოთაყვანენი იყვნენ, პატარა რევი ხელიდან ხელში გადადიოდა არჩვიაძიანთ რძლებს შორის. ქალებს ვაჟკაცებიც ეიცილებოდნენ. არც თვით პატარა რევი ერიდებოდა მოალერსეებს, ყველას ეუბნებოდა: ყელში მიკვარხარო.

დილით სასანიანის ასულს მგოსანმა გულადმა რაზმი გაწყობილი დაახვედრა. რაზმს ანდრია შეუერთდა თავისიანებითურთ. ჭაღარაშერეული უფროსი ძმა არჩვიაძე ხევის ბერიებით იყო, დანარჩენები წინ ფეხს არ წადგამდნენ. მირანდუხტის რაზმის უკარმელი ახალგაზრდობაც ანდრიას მორიდებით ეპყრობოდა. გულადიც თავს უხრიდა... პატარა რევმა მის მკლავზე მონახა ბინა. ანდრიას აღარ შორდებოდა...

ცისკარა ანდრიას ასული შეიჭურვა და მირანდუხტისა და ველთამაზის წრეს შეუერთდა.

— ცისკარ, რად გინდა საჭურველი? — დაუძახა ასულს ანდრიამ. — ვისმეს ხომ არ უნდა შეებრძოლო? მოიცილე თავიდან და მზეებში ისე გაერიე.

მაგრამ მირანდუხტმა მოისურვა შეჭურვილი ცისკარა და ანდრიაც გაჩუმდა.

რაზმი დაიძრა არჩვიაძეთა სამკვიდრებელიდან და ბაგრატ მეფის ბანაკისაკენ გაემართა. რაზმმა კარგა დაინახა, რა აურ-ზაური გამოიწვია მისმა გამოჩენამ მეფის ბანაკში, დაინახა ისიც, მეფის კარავს როგორ მოსწყდა ვინმე მოზარდი და უბელო ცხენი გამოექანა მისკენ.

— ეს ხომ ბასაა, ბასა! — წამოიძახა არა ნაკლებ თვალმახვილმა გულადმა.

— ეგ ონავარი, ეგა!

ბასა მოიჭრა მირანდუხტის რაზმთან და რაზმში მყოფ უკარმელთა შორის დაიძახა სიტყვა: ვერხვის ჭინკაო.

— ვერხვის ჭინკაო! — წამოიძახა ამირან არჩვიაძემ. — ეგ ჭინკა კი არა, ნამდვილი ქაჯია, ქაჯი, ქასქანჯიელი!

ბასამ ამ წამოძახილს ყური არ ათხოვა.

— ჭიტა! — გაუმასპინძლდა თავის ქაჯად მომხსენებელ ამირანს ბიჭი და მირანდუხტსა და ველთას გადაეღობა. ჯერ ერთის ხელებს დაეკონა, მერმე მეორისას.

ბასამ არც ცისკარა დასტოვა უნუგეშოდ:

— ეი! არჩვიაძიანთ ქალო! საჭურველი ვერას გიშველის, — წაულაპარაკა ანდრიას ასულს ფერისის ნატამალმა. — ბედურ ცალქალამანიძე მაინც მოგიტაცებს.

— აი დასწყეველა ღმერთმა. ეს საიდანღა იცის ამ ბალღმა! — წამოიძახა ანდრიამ.

— შენ თვითონ არ თქვი იმ ღამეს ვახშამზე! ბოჭორმის წმიდა გიორგის ეშმაკთან დროს რომ ატარებდი — მოაგონა ბასამ ანდრიას და ცისკარას ისევ გაუმეორა. — მოგიტაცებს, დიაცო, მოგიტაცებს!

— რას გადამეკიდე, ბიჭო! ხომ არ გინდა, ამ მახვილით ახლავე თავი გაგაგდებინო! — წამოიძახა ცისკარამ ხუმრობით და მახვილის ვადას ხელი წაავლო.

ბასამ ყურად არ იღო ცისკარას სიტყვები და ანდრიას უფროს ვაჟს გაჰკრა კბილი.

— ალბათ იმ ამირანისებრ შენც არ იცი სწორედ ომი. ამირან გოლეგოლეო, ომი არ იცი სწორეო! ის ამირანი ჭკუათხელი უნდა ყოფილიყო: ღმერთს შეებრძოლა. შენ კი... — ბასამ უცბად შეწყვიტა სიტყვა: მისკენ წამოვიდა ძმა დაჩი. ბასა მირანდუხტს ამოუდგა გვერდში. შემდეგ ანდრიასკენ გადინაცვლა და რევის დაუწყო ალერსი.

— წადი! — დაუტია პატარა საპანიანმა, — ციკვი არ მომიყვანე...

— ციკვი? — გაუმეორა ბასამ და დასძინა. — შინა მყავს, გენაცვალე, შინ შენახული. მოდი ჩემთან.

— წადი! მე პაპასთან მინდა! — ბავშვმა ანდრია არჩვიაძის კისერს მაგრა მოხვია ხელი.

— მერმე! პაპამ „ციკვი“ დაგიჭირა? — შეეკითხა ეშმაკურად პატარას ბასა.

ბასა ახლა ცისკარას მიუახლოვდა.

— მოიცა, ჭინკავ! — დაუძახეს უჯარმიდან წამოსულმა რაზმელებმა. — თორემ დაგტაცებს ხელს და ხევს იქით გადაგაგდებს. ეგ თურმე ხბორებს თავის ზღუდის გარეთ ისვრის ხოლმე!

ცისკარამ ონავარს მოულოდნელად ცხენს მათრახი დაუკრა. ცხენი ერთი სკუპით გზის გასწვრივ ჩამდინარე ფართო რუს მეორე ნაპირზე მოექცა. რაზმში სიცილი ატყდა.

— ჭინკავ, რომ არ დაგვივიწყო, მაშ რა გეგონა! — დაუძახა ნიშნის მოგებით ერთმა რაზმელმა. — გადაგაგდო თუ არა ხევს იქით?

ბასამ აინუნშიაც არ ჩააგდო ეს ნიშნის მოგება, ცხენი ისევ გზაზე გადმოახტუნა და კვლავ ოინბაზობდა.

რაზმი მეფის ბანაკს უახლოვდებოდა.

მეფის ბანაკთან ბასა ჩამოშორდა მირანდუხტის რაზმს და თავის უბელო ცხენით სადღაც გაქრა. ბანაკთან მისულ მირანდუხტსა და მის რაზმს მსწრაფლ გზა დაუგდეს მეფისა და დედოფლისაკენ. რაზმის წინ მიმავალი სამი ქალი დაქვეითდა. სამ ქალს რაზმმაც მიჰმართა. დაქვეითებულ სამ ქალში ცისკარა გარს გადგა, მირანდუხტი და ველთამზე გვირგვინოსნებს თაყვანისცემით მიესალმნენ. ბორენამ ველთამზე შვილივით მოიკითხა, პატარა რევი დაუკოცნა თავის გაზრდილს, მირანდუხტმა კი დედოფალთ დედოფალს შიში ჩაუნერგა გულში. სასანიანის ასული დიდ მოწიწებას იჩენდა მეფე-დედოფლის წინაშე, მაგრამ ამ მოწიწებაში არც მეფე და არც დედოფალი ყმის სულს არ გრძნობდნენ. ერთიცა და მეორეც ამჩნევდნენ მხოლოდ და მხოლოდ დიდთა და ძველთა მეფეთა ნათესავის თავისუფალ სულს. ბაგრატ მეფე ექვსი წლის იას ხელში აიყვანდა და აღტაცებით სახეს უკოცნიდა. ახლა კი ვერაფერი გაუბედა. ერთი ეს იყო, რომ ქალს თვალს ვერ აშორებდა. აგერ იადხმობილმა მეფისწული დაინახა და სადად გაულიმა, როგორც მახლობელ ნაცნობს: შინაურებს, თავისიანებს ქალმა სალამი მისცა. მამას, პაპას და ბაქარს აკოცა. ყველას ამათ სათითაოდ გამოელაპარაკა.

„ნეტავი რა აქვს გულში ამ უცხო ასულს!“ — შეეკითხა მეფე თავის თავს და პასუხი ვერ გასცა. გულში გრძნობებს დაუწყო ჩხრეკა და განცვიფრებულმა მოულოდნელად გასაოცარი რამ გამოარკვია. გულს ეკიდებოდა უცხო სიყვარული, მირანდუხტის მაღმერთებელი, მას ორმოცდათერთმეტ წელს მიღწეულ ადამიანს!..

შეშინებული მეფე უცბად მოეგო გონს, გრძნობა ჭკუას დაუმორჩილა და მღელვარების გასაქარვებლად მაინც მირანდუხტს გამოელაპარაკა, თითქმის კბილის გაკვრით.

— ამ ორ მზეს, — მიმართა მეფემ სასანიანის ასულს, — შენა და ველთამზეს, სადაური ცისკარი აგდევნებიათ? — გვირგვინოსანმა არჩევაძიანთ ცისკარაზე ანიშნა, — შეჭურვილა, მთავარანგელოზს დამსგავსებია.

მირანდუხტმა ცისკარა მეფესთან მიიყვანა. არჩვიაძის ასულმა ბაგრატსა და ბორენას თაყვანი სცა.

— ეს მეფეთ მეფევ! — მიმართა მირანდუხტმა ბაგრატს, — ჩემი და ველთამზის მასპინძლის ანდრია არჩვიაძის ასულია.

სასანიანთა ასულმა ანდრია არჩვიაძესაც ანიშნა და მეფისკენ გადმოანაცვლებინა ფეხი თავისიანებითურთ. მეფეს ყველანი თვალში მოუვიდა. ასე დარჩეული ვაჟკაცნი — ხნიერნი და ახალგაზრდანი — ყველა ქართველ ოჯახს არ შეეძლო მოეცა. არჩვიაძეთა გუნდს ცისკარაც გვერდში ამოუდგა.

მეფემ ახედ-დახედა შეჭურვილ ასულს...

— მეც არჩვიაძე ვარ და მეც დავდებ თავს ჩვენი მეფისათვის, — წარმოთქვა წყნარად ქალმა მეფის გასაგონად და თავი დახარა.

— მაინც ბედურ ცალქალამანიძე მოგიტაცებს, — გაისმა მეფის ზურგს უკან ანაზდეულად წარმოთქმული სიტყვები და მირანდუხტის რაზმში ღიმილმა გაირბინა. მეფემ უკან მოიხედა და მთქმელი ვერ დაინახა. მიხვდა კი, რომ ბასა უნდა ყოფილიყო. არ გაჯავრებულა: ფერისის ნატამალს ბეერის ნებას აძლევდა და მისი სახუმარო სიტყვებით ხშირად ერთობოდა.

— მაშ ბედურ ცალქალამანიძე გემუქრება? — შეეკითხა მეფე არჩვიაძის ქალს, მაგრამ პასუხი მამისაგან ჩ..ილო.

— მთხოვა, მეფეთ მეფეო, ცისკარა! მაგრამ მეკობრეს, თუ გინდ დიდგვარიანს, ცხრა ქალიც რომ მყავდეს, მაინც არ მიეცემ. ვერც ერთ მათგანს ვერ გავიმეტებ.

— მოგტაცებს, ანდრია ძიავ! — გაისმა კიდევ.

მაგრამ მეფემა და მის წინ წამომდგართ მაინც ვერ შენიშნეს ბასა.

„ვნახოთ როგორ მომტაცებს!“ ჩაილაპარაკა ხმადაბლა ბაქართან მდგომმა ვარაზ-ბაკურმა.

ბოლნელს თვალში მოსვლოდა ცისკარა და გულში გადაეწყვიტა აღარავისათვის დაეთმო იგი. ველთამზის განზრახვა ძმასაც გადასდებოდა. როგორღაც მეფემაც მოჰკრა ყური ვარაზ-ბაკურის ჩუმად წარმოთქმულ სიტყვებს და ცისკარას მიმართა:

—მე მყავს შენთვის საქმრო, ქალო!

ცისკარამ თავი დახარა.

— ბრძანოს მეფემ, — წამოილაპარაკა ანდრიამ. — და არჩვიაძიანი მეფის არჩეულ სასიძოს არ დაიწუნებენ.

ცისკარა მსწრაფლ მოსცილდა თავისიანებს და მირანდუხტს ამოეფარა.

— ეს კაი მფარველი იშოვა! — წარმოთქვა მეფემ და თვალი მირანდუხტზე შეაჩერა. მაგრამ გულში რაღაც ჩოჩქოლი იგრძნო და დასამშვიდებლად ბორენაზე გადაიტანა მზერა.

— დედოფალო, გავუმასპინძლდეთ დღეს ჩვენ პატივსაცემად მოსულ ახალ სტუმრებს, ხვალ კიდევ გაეიყარნეთ. შენ მირანდუხტ სასანიანს... — სასანიანებს (გაასწორა თქმული გვირგვინოსანმა) ეწვევი უჯარმას, მე ჩემ დაწყებულს განვაგრძობ.

მეფე გრძნობდა, რომ რევყოფილი ნინოწმიდას ჰფლობდა, როგორც მეუფე, ბაქარი ციხისთაობდა უჯარმის ციხეში, მირანდუხტი კი სასანიანთა პალატს ჰფლობდა და ამიტომაც იყო, რომ დედოფალს უნებლიეთ უთხრა, მირანდუხტ სასანიანს ეწვიეო. მეფემ ისიც კარგად დაინახა, რომ მირანდუხტი თვით ქალაქ უჯარმასაც გაუფლებოდა. ტყუილად კი არ ეძახდნენ იადხმობილს უჯარმის დედოფალს. ნამდვილი დედოფალი იყო უჯარისა სასანიანთა ქალი. მეფემ ისიც მშვენივრად განსჭვრიტა, რომ მირანდუხტის სძლობა მის ოჯახში სადიდხნოდ გადაიდო, რომ ომი კახეთის ურჩებთან და ბრძოლა თავის ახალ გრძნობებთან, რომელნიც ემუქრებოდნენ ქართველთა ტომების გაერთიანების ოცნების დახშობით, კარგა ხანს გასტანდა.

ბორენა კი შვილის უბედობასა სწუხდა.

ნინოწმიდელს უხაროდა, რომ მისი შვილი ია ისევ მისი იქნებოდა, ბაქარს გონება კახეთის ომის გარშემო უტრიალებდა და ხუროთმოძღვარი ვაჩე პაპა კი ჰკვირობდა შვილიშვილის მოქმედებას.

მხოლოდ ვარაზ-ბაკურის საქმე გამოიკვერა. მეფეთ მეფის პირით ცისკარამ სთხოვა ანდრია არჩვიაძეს ბოლნისელმა თანამეცხედრედ და თანხმობაც მიიღო. ანდრიას მოეწონა სასიძო, როგორც ვაჟკაცი, როგორც ბოლნისის მემკვიდრეც და როგორც ცოლისძმა ბაქარ სასანიანისა. დიდგვარიანი კაცრულობდა მის ასულს თანამეცხედრედ! ვარაზ-ბაკური ფიქრობდა, ქალს მეომრის იერი მოსდგამს და მე ბოლნისელს სწორედ ასეთი თანამეცხედრე უნდა მყავდესო.

ვარაზ-ბაკური და ველთამზე კმაყოფილებას გრძნობდნენ, არჩვიაძიანი ხარობდნენ, მათ ასულს იშვიათი ბედი რომ ეწია, ვარაზ-ბაკურის კმაყოფილებით სავსე სახის მოცქერალ მეფისწულს თავისი მარცხი აგონდებოდა და მომავლის ცა მოშავბნელებული ეელინებოდა.

წიგნი მეოთხე

I

წელიწადნახევარია, რაც ბაგრატ მეფე კახეთს დაეუფლა. აღსართანმა ვერ გაუძლო მის ლაშქარს, თავისი მომხრე ერისთავებითურთ მთებს შეაფარა თავი, იქ დაიბუნაგა და ფეხი ველარ გამოდგა ალაზნის ველზე. პირველ ხანს მეფემ კვეტარს ხელი არ ახლო. თიანეთიდან კახეთს გალაშქრებულმა გველდი აუხვია კვეტარს და ალაზნის ველზე ისე დაეშვა. ეს ციხე ერთ წელიწადს მაინც დატოვა სპათაგან გარემოუცავი. ცალქალამანიძიანნი ხარობდნენ, მაგრამ მათი დამორჩილებისა, თუ მოსპობის ჟამმაც თითქოს მოაღწია. მაგრამ მეფემ აღსართანისაგან თავდანებებულ თელავში დაიდო ბინა.

აქ თანამეცხედრეც გამოიწვია უჯარმიდან. ზეიმი სურდა გაემართა გამარჯვებულ გვირგვინოსანს ოჯახთან ერთად, მაგრამ, ცოტა არ იყოს, გული აუცრუვდა, ბორენას მირანდუხტი რომ არ მოჰყვა თან. გული სთხოვდა სასანიანთა ასულის დედოფლის კარზე ყოფნასა და ეს აუსრულებელი სურვილი უუგემურებდა გუნებას. ჰსურდა დედოფლისათვის საყვედური ეთქვა, მირანდუხტი რატომ არ გამოიყოლეო, მაგრამ გონება უმხედრდებოდა ასეთ სწრაფვის წინააღმდეგ და სთანგავდა. მეფე გონების უკარნახებლად ნაბიჯს არა სდგამდა. გრძნობდა, გონებას რომ კლანჭებში არ ჰყოლოდა მისი არსება მოქცეული, მირანდუხტს ჭაბუკივით დაემონებოდა.

გაიხსენა მეფემ, მირანდუხტი ექვსი წლისა ხელში რომ აიყვანა და ფიქრებს გააყოლა გონება:

— მაშინ მკვირცხლ ბავშვს მივუალერსე, მამობრივი გრძნობით გადავკოცნე. მამა ვიყავ, მამა, პატარა იასი მაშინ ჩემი გრძნობებით!... ათი წლისა ხომ ვნახე და შვილად ვიგრძენი. ახლაც ხომ შვილად უნდა ვიგულო ჩემი მემკვიდრის მომავალ თანამეცხედრედ გაწვესებული, და რა მომდის! შვილს ვეცილები? არა, არა, ეს არ არის მართალი. ჩემი გრძნობა მხოლოდ მირანდუხტის თაყვანისცემას მიკარნახებს!.. არა, არც ეს არის მართალი მთლად. თაყვანისცემას კი მიკარნახებს, მაგრამ არ მინდა, რომ ვინმე მამაკაცი ჰფლობდეს სასანიანის ასულს და არც მსურს

ეს უფლება ხელში ჩავიგდო. ბიზანტიისა არაფერი მაქვს გადმოდებული... უცნაურია ეს ჩემი გრძნობა. მეშინია ამ ვრძნობისა".

რა ძალა ბუდობდა ამ ასულში ისეთი, რომ ასეთ უცნაურ სურვილს იწვევდა ხნოვანობით დადარბაისლებულ ადამიანში?

— მე ანდრია არჩვიაძე არ ვიქნე, თუ მართალი არა ვთქვა! — გაუცხადა ანდრია არჩვიაძემ წლინახევრის წინათ მასთან ვახშამზე მსხდომ გუგანსა და გულადს, ბასასთან ერთად გზად არჩვიაძიანთ ოჯახში გამოვლილთ, — ჩემი ქალი ვერ მოვა იადხმობილთან. შარშან ვიყავი უჯარმაში ჯვარპატიოსნობას და მე, ხნიერ მამაკაცს, მისმა ნახვამ გაინება ამიბნია. კინაღამ მუხლი არ მოვიყარე იადხმობილის წინ თაყვანისცემად.

ანდრიამ ეს თავისი განცხადება თუ ჯვარპატიოსნობას არა, შემდეგ აკი განახორციელა კიდეც სავსებით, როცა მირანდუხტი ეწვია ოჯახში. მართალია, მუხლი არ მოუყარა სასანიანის ასულს, მაგრამ სამაგიეროდ უმღერა ხალხური „მზე შინა", მზის ჰიმნი თავისებურად გარდაქმნილი. ეს ხომ თაყვანისცემა იყო მზისებრი ადამიანისა.

უკვე ხანში შესული ბაგრატიც ანდრიასებრ რაღაც ძლიერ ღვთაებრივ ძალას ჰხედავდა მირანდუხტში და ითანგებოდა.

ბორენამ შენიშნა მეულლის უცნაური სულისკვეთება, გაიფიქრა, ჩემ გამოწვევას თელავში ხომ არ ნანობს ჩემი თანამეცხედრეო, და უკმაყოფილება იგრძნო გულში.

—მეფეთ მეფეო! — მიმართა დედოფალმა ბაგრატს, — იქნებ საჭირო არაა ჩემი აქ ყოფნა.

ბაგრატი შეკრთა ამ შეკითხვაზე, გულს შეებრძოლა და გონებას დაჰყვა.

— არა! კარგი ქენ, რომ მოხვედი, — უპასუხა თანამეცხედრეს. — აქაურ ჩემ მორჩილ დიდგვარიანებს უნდა გაგაცნო.

ბაგრატმა ერთი თვალსაჩინო ზეიმი გამართა, თანამეცხედრე მოიყვანა, და ამით დაამთავრა. შემდეგ ზეიმზე უარი თქვა. გული არ უსვენებდა მეფეს. გულის დასაოკებლად რამდენიმე ხანს შესუსტებული სამხედრო მოქმედებანი გააძლიერა. თელავიდან კახეთის სხვადასხვა კუთხეში ლაშქრის გზავნას მოუხშირა. ახლა კეტარიც ამოიღო მიზანში. იქითკენაც გაისტუმრა სპანი.

ცალქალამანიძეთ ჯერ მკაცრი ბრძოლა აუტეხეს კეტარის გარემომ-

ცველ ლაშქარს, თითქოს საქმეც გაუჭირეს ოქროს იებდასხმულ აბჯრიან ორ მხედარ-მეთაურს, მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენება გამოდგა. იებიანი მხედარი, რომლის მუზარადზე ოქროს მგელ-ლომი ცხადად დაინახეს კვეტარელებმა, ციხეს მისასვლელ-გამოსასვლელ გზებს მოხერხებულად უხშობდა და სუნთქვას უკრავდა. მეორე იებიანი მხედარი, კვეტარელ მებრძოლთათვის მუზარადზე ნიშნებ-გაურკვეველი, ციხიდან გამოჭრილ სპათ სისხლს უშრობდა. თავიდანვე, ციხიდან მათ წინამძღოლს დააფრინდებოდა, ცხენიდან ძირსა სცემდა, შემდეგ მის რაზმელთა არწივივით დაერეოდა და ჰფანტავდა, ვინც უძალიანდებოდა, ცოცხალს არ უშვებდა. იაზონს ძმა აეთი დაუშავა ამ თავაღებულმა მხედარმა.

— ნეტავი ვინ არის? ნეტავი ვინ არის? — კითხულობდა იაზონი და პასუხს ვერავისგან იღებდა.

მგელ-ლომიან მხედარს კი სცნობდა იაზონი. მას ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ციხის გარემოცვას სათავეში ბაქარ სასანიანი ედგა.

ცალქალამანიძემ გადასწყვიტა თვითონ გამოსჭროდა სპათა გუნდით, მუზარადზე ნიშნებგაურკვეველ მხედარს შეპბმოდა და, მოეკლა, ან მუზარადი მოეგლიჯა მისთვის თავიდან და გაეგო, ვისთან ჰქონდა საქმე.

თავის ციხოვანთ შორის საუკეთესონი გამოარჩია იაზონმა და გამოიყვანა კვეტარის გალავანს გარეთ.

კვეტარის პატრონს და მის გუნდს, ისევე როგორც წინა დღეებში გალავნის გარეთ გამოჭრილ კვეტარელთა სხვა გუნდს, მუზარადზე ნიშნებგაურკვეველი ოქროსიებიანი მხედარი გადმოეგება თავისი გუნდით. იაზონმა მის მუზარადზე ცხადად დაინახა ოქროთი გამოყვანილი შურდულისმტყორცნელი ჭაბუკი და კამეჩისებურ თვალთაგან ნაპერწკლები გადმოაბნია.

— ბაგრატიანთა ნიშანი! ბაგრატიანთა ნასხლეტი! — წამოიძახა მწარედ ცალქალამანიძემ. — მეფისწულია, მეფისწული!.. იადხმობილს ეტრფის ვაჟი! ვუჩვენებ მაგას სეირს! ვერასოდეს ველარ ნახავს, ველარ იადხმობილს!..

მეფისწულს გულში არავის მიმართ არ ჰქონია აღძრული შური. სხვას თუ უყვარდა მირანდუხტი, ტახტის მემკვიდრეს ეს საკვირველი არ აღელვებდა. გრძნობდა, რომ მირანდუხტს ჯერ არავისი სიყვარული გაჰკარებოდა.

შურით ავსილმა ცალქალამანიძემ შეუტია ბაგრატიანს, მაგრამ შურისმაძიებელს, როგორც ონოფრესთან რკენაში, ისევე აქაც აგებეს მარცხი. უდრეკ იაზონს უდრეკი მეფისწული ებრძოლა და ციხოვანთ უელეტდა. ბევრი დაუწყდა. ძმა ბადური დაუჭრეს და ციხეში დაბრუნება მოუსდა იმედგატეხილს. მეფისწული გამოეკიდა თავის გუნდით. ცისის კარებამდე სდია ცალქალამანიძეს, მაგრამ იაზონი ციხის გალავანს ამოეფარა.

გმინავდა იაზონი, გმინავდნენ მისი ძმები და მათთან ერთად მათნიეე ციხოვანნიც. ხსნას არსაიდან მოელოდნენ. აღსართაბს და კახეთის ერისთავთ კავკასიონის მთანი ჰფარავდნენ თავიანთი ქარაფებით, იაზონს ძმებითურთ კვეტარი, ბაქარის მოხერხებული მოქმედებით ძლიერი საფარის ნელ-ნელა ნიადაგის დამკარგველი. ხედავდა იაზონი ამას და ხშირად ფიქრობდა მტრის რკალის გარღვევას, კვეტარის დაგდებას, ბოჭორმასა და კვეტარს შორის აღმართულ ძნელად მისადგომ მთებში გაჭრასა და იქ მიმალვას. თან კი კვეტარის სახელის გატეხაც ჰხარავდა.

— როგორ, თვით ბაგრატ მეფემ, უძლეველად წოდებულმა ვერა დააკლო რა ჩემს საგვარეულო საფარს, ჩემ კვეტარს, — ფიქრობდა იგი, — და ბედისაგან დაჩაგრული საგვარეულოს რომელიღაც ნატამალმა უნდა მოულოს ბოლო... ბედო, მწყალობდი აქნობამდე და ახლა მღალატობ... წამათამამე და წამაბორძიკე არა, შენი ღალატი ვერას მიზამს! ცდა ბედის მოქმედებას ანახევრებს. ვეცდები, ბედო, და შენ მოქმედებას გაუანახევრებ.

მაგრამ ბედმა კიდევ გაუღიმა კვეტარს. ერთ დილით რაღაც მოძრაობა შენიშნა იაზონმა ბაქარის ლაშქარში. მალე მზირებმა ამბავი მოიტანეს, ბაქარის ლაშქარი იშლება, დაკავებულ ადგილებს თავს ანებებს და თიანეთისკენ აპირებს გაბრუნებასო. მალე საქმედ ქცეული დაინახა ცალქალამანიძემ ეს ამბავი; მაგრამ აყრილი ლაშქრის უკან დადევნება ვერ გაბედა. კვეტარის პატრონმა იმით გაიხარა, რომ კვეტარი კვლავ აუღებელი დარჩა ბაგრატ მეფის სპათაგან.

იაზონის ძმები ლხინს მიეცნენ, თვით იაზონი კი თავის თავს კითხვას აძლევდა: „რა ამბავია, რომ ლაშქარი აიყარა. რამ აიძულა გამარჯვებული ლაშქარი ამ საქმის ჩასადენად. ჯავახეთს ხომ არ შემოესია ვინმე, როგორც ამ სამი წლის წინათ?

მაგრამ ეს კითხვა ჯერ უპასუხოდ რჩებოდა ცალქალამანიძეს. გაგზავნილ მზირებს უხანდებოდათ ამბის მოტანა.

იაზონმა ალაზნის ველს გაჰხედა და შორს მონადენი ლაშქარი დაინახა.

„ბაგრატ მეფის სპანი არიან, — დაასკვნა კვეტარის მფლობელმა. — ჩანს, კახეთს სტოვებს ბაგრატი. წელიწადნახევარი მოუხდა აქ ყოფნა. მთელი ეს მხარე ხელში ეჭირა. მე სული შემიხუთეს. ვლამობდი ჩემი კვეტარის მიტოვებას, კახეთის მთებში გაჭრას. კავკასიონისაკენ გზა შემიკრეს...“

იაზონმა ფიქრი შეწყვიტა და სახე შეუხურდა: გაიხსენა მეფისწულთან თავისი ბრძოლა, მოაგონდა ჯვარპატიოსნობას ონოფრესთან რკენაში მარცხი. აქაც, კვეტარის კარებთან რამდენჯერ დასჯაბნა უფლისწულმა! თვალები მუქარით აუციმციმდნენ.

„არ შევარჩენ ჩემ გაბიაბურებას არც ერთსა და არც მეორეს“, — რისხვით წამოიძახა მან.

არგოელის ჩამომავალს არ ავიწყდებოდა სასანიანთა წალკოტში შეხვედრა ონოფრესთან და მეფისწულთან და მის მიმართ ონოფრ ეს პირიდან გადმობნეული სიტყვები: არ იქნები კაი სული შენა, ზარადში რომ ჩაგიმალია პირისახეო. ჯვარპატიოსანში მოსული მოყმე და პირზარადიანიო?

არ ავიწყდებოდა, ლმობიერება რომ გამოიჩინა მის მიმართ მეფისწულმა. ხშირად უმეორდებოდა ყურში მეფისწულის ნათქვამი სიტყვები სასანიანის ყმის დასაოკებლად: კარგი, ონოფრევ! გეყოფა. ნუ ჩააცივდი ამ მოყმეს! ზოგს ხომ შეუძლია შეუთქვას ხატსა, რომ პირსაბურველიანმა იაროს მის წინ დრომდე. სასჯელი განიწესოს რაიმე შემცდარი ნაბიჯის მოსანანიებლადო.

იაზონს, თუ ონოფრეს თავხედური სიტყვების გახსენება გულს რისხვით უვსებდა, აუტანელ შეურაცხყოფად მიაჩნდა მეფისწულის ვამოსარჩლება.

გავიდა მაშინ ონოფრეს დასასჯელად და თვითონ დასჯილი გამოვიდა ბასთან რკენაში. ხომ არ წაუქცევია კვეტარის მფლობელი ონოფრეს, მაგრამ იაზონი მაინც დიდად დამარცხებულად თვლიდა თავის თავს.

„ჩემი მარცხია, ჩემი! — წამოიძახა მოზეიმე ძმებისაგან გამოცალკევებულმა, მთავარი კოშკის ბანზე მოქცეულმა იაზონმა. — ჩემი ქადილი ვერ ავისრულე, მიწაზე ვერ გავ'მხლართე და ფეხი ვერ ვაზეიმე გაშხლართულზე წარმართვით. ყველასათვის გადამიხდია სამაგიერო, ის კი გადამირჩა, არამცთუ გადამირჩა, გავიგე: გოდერძი და კოხიანი იმან გამოასალმა წუთისოფელ'ს, თურმე“.

ცალქალამანიძეს მოაგონდა, რომ სამაგიეროს მიძღვნილთა შორის მეფისწულიც არ ჩაირიცხებოდა. მეფისწულმა ხომ პირი აბრუნებინა ციხისაკენ მას, მრავალ ციხოვან ამოწყვეტილს.

„გულთფარი, ჩემი მარჯვენა! – წამოიძახა ცალქალამანიძემ, – სისხლაუღებელი დამრჩა“.

იაზონს გონების თვალწინ მეფისწული აღემართა და საზარელი გმინვა აღმოხდა:

„დღეს შენ მაჭამე სირცხვილი, ბაგრატიანო! – ბიძა მ·ომიკალ ჯვარპატიოსნობას და აქ კიდევ მე პირი მაბრუნებიე კვეტარის სიმაგრისაკენ!.. ვეჟან ქველიძე გეხმარებოდა, თორემ რას გადამირჩებოდი... დაი ვთხოვე ამ ვაჟს დიდგვარიანმა და ცივი უარი შემომითვალა... არ შევარჩინე ეს შეურაცხყოფა, მისი დაი გავიტაცე და ცოლად დავისვი“.

შვილი წათე, გაიხსენა: აღარა ჰყავდა, წელს, ზამთრის პირზე, გამოჰსალმებოდა პატარა ცალქალამანიძე წუთისოფელს.

მამას სახე მოეღვრიმა. გულწრფელად უყვარდა თავისი ნატამალი.

„მისი გამზრდელი სალომე, მამიდაჩემი, ჩემი გამზრდელი, დღეს თუ ხვალ აღარ იქნება, – დაიწყო იაზონმა თავისთვის ლაპარაკი, – წათეს მისტირის... დარდმა წაართვა ჯანსაღობა საცოდავს... ცალქალამანიძიანთი რა მოსდგამდა ნეტავი... მე, მამამ, მოვინელე ჩემი შვილის სიკვდილი. ასეთია ჩვენი სიცოცხლე: კაცი იბადება, იზრდება, მოედინება ცხოვრების გზაზე და სიკვდილი წაიბორძიკებს, იქ თავდება. ჩემმა შვილმა უდროოდ წაიბორძიკა და გათავდა. ქველიძეებისა ბევრი მოსდგამდა – ქველიძეების გახსენებაზე იაზონს ვეჟანი წარმოუდგა თვალწინ და წამს აზრმა გაუელვა თავში: – ჩემი პატარა მაკავშირებდა მასთან მხოლოდ. ეს იყო მთავარი, რომ გავურბოდი მასთან ბრძოლას. გაქრა ეს კავშირიც. აღარა შემაკავებს რა შენთან ბრძოლაში, ვეჟან! შენ ეხმარებოდი მეფისწულს, ჩემს წინააღმდეგ საბრძოლველად წამოსულს...“

იაზონს ახლა ბაქარი გაახსენდა: „ის არ იყო, ჩემს კვეტარს სული რომ შეუხუთა“, – მაგრამ ფიქრი თავიდან მოიშორა. მირანდუხტი დასტრიალებდა ძმას. იაზონი კი მირანდუხტის მონა იყო. ქალი ძმის მტერს შეიძულებდა. ცალქალამანიძეს გააჟრჟოლა და თვალები დახუჭა, მაგრამ მალე ისევ გაახილა და მზერა ალაზნის ველზე გადაიტანა, ილტოს გადმოავლო და კვეტარის მთის კალთაზე შეაჩერა. მთებს შუა მინადენ

ხევგრძელის სავანედან ვიღაც მხედარი ამოძვრა, კვეტარის მარჯვნივ გააქანა ცხენი და მიიმალა.

ცალქალამანიძე მიხვდა, რომ კვეტარში ამბავი მოჰქონდა იფრინდის და ბანიდან ძირს ჩამოვიდა.

წათეს საფლავთან სალომე იჯდა და ცრემლს აფრქვევდა. იაზონმა დაინახა ეს ამბავი, მოისურვა გვერდი აექცია მამიდასათვის და ვერ გაბედა. მოიწადინა მისი ნუგეშის ცემა და ვერ მოახერხა.

„რა მემართება, როცა ეს ადამიანი ჩემს თვალის წრეში მხვდება. – შეეკითხა თავის თავს იაზონი. – აი არ მიცქერის ახლა, მაგრამ მაინც მხედავს. ეჭვიც არ მებადება რომ მხედავს...“ – იაზონმა, როგორც იყო, სალომესთან გამოლაპარაკება გაბედა: – მამიდაჩემო, იქმარე მწუხარება!.. წათე მეც დავკარგე, მე ვარ მაგისი გაჩენის სათავე არ შემრჩა ნატამალი... ვიგლოვე ყველაფერს ბოლო აქვს და ჩემ გლოვასაც ბოლო მოელო. ეს დედამიწის კერძის წერაა. შენც უნდა მოულო შენ გლოვას ბოლო.

სალომემ ძმისწულს მოჰხედა. ცრემლიანი თვალები წინასწარმეტყველურად უელვარებდნენ.

– მოულო გლოვას ბოლო? – აღმოხდა მოხუცს, – მარგალიტის დარად წარმოიშვა ცალქალამანიძიანთ გვარში, როგორც ჩანს, ეს საცოდავი, – წათეს საფლავს ხელი დაჰკრა მანდილოსანმა, – ამ ბავშვის ნახვამ იმედი ჩამისახა გულში. ვთქვი, გახარებულმა, მაშ, ცალქალამანიძიანთ გვარსაც მოსდგამს მარგალიტები-მეთქი. იმედი გამიცრუედა. გვარის მეკობრული სული არ მოსდგამდა. ბავშვს უყვარდი შენ და სახე ელერიმებოდა, როცა შენს მეკობრობას ხუმრობით წამოაყვედრებდა ხოლმე ვინმე. ეს ანგელოზად გეველინებოდა, შენი ძმისწულები კი ღვთისრისხვანი არიან, მეკობრული სულით გაჟღენთილან ამაზე უმცროსნი... შენი ძმისწულებისაგან მე კარგს არაფერს მოველი, ხანმაც დამძალა და მივტირი ამ მიცვალებულს...

იაზონს ეკალივით ხვდებოდა გულში მამიდას სიტყვები, ჰსურდა პასუხი გაეცა და ვერ მოასწრო. მისკენ იფრინდი მოეშურებოდა.

– ალფარსლანი შემოსევია ჰერეთს! – გაიგონა იაზონმა მოსულისაგან.

– ახლა კი მესმის, თუ რატომ მოისწრაფიან ბაგრატის სპანი აქეთკენ, – დაურთო თვალებასხივოსნებულმა ცალქალამანიძემ მოსულის ნათქვამს. – ბაგრატი გამორბის ისე, როგორც მოსდგამს ყოველთვის.

ადამიანის საშინელი კვნესა მოჰყვა იაზონის ნათქვამს წათეს საფლავის მხრიდან, თან გაისმა სიტყვებიც: — ვაი, ქვეყანაო ჩვენო! — და სულის დამამძიმებელი დუმილი ჩამოვარდა. იაზონმა მამიდას მიხედა. სალომე პირქვე დამხობილი ეგდო საფლავზე.

იაზონმა ხელი მიადო შუბლზე. სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ემჩნეოდა.

2

— სრულიად მოულოდნელად მოვიდა სპარსეთის სულთანი ალფარსლანი ჰერეთად, — გადმოსცემდნენ ბაგრატს მისი მოწინავე სპანი, რომელთაც მიეტოვებინათ დაპყრობილი ციხეები და სწრაფად უკან დაეხიათ.

— ვერც შენმა ერთგულმა ჰერეთის ერისთაებმა და ვერც ჩვენ, შენთა სპათა, ვერავინ ვერ გაებედეთ შებრძოლება ალფარსლანის აურაცხელ ლაშქართან, მოაბნელებენ სპანი ალფარსლანისა დედამიწას, ვითა ცასა ღრუბელნი შავნი ქარიშხლისაგან თავმოყრილნი ყოველი მხრიდან.

— ისევ საბერძნეთი! ისევ საბერძნეთი! — წამოიძახა ბაგრატმა გამწარებით. — ამხედრებულია შენგან ეს მტარვალი, იმპერატორო, შენგან და სხვა არავისაგან! გინდა გასტეხო ჩვენი ქვეყანა, შველა გვათხოვნინო შენი, არ გვაცდი მომაგრებას. შიგნიდან, ჩვენს ქვეყანაში გველებს გვისისინებ, გარედან აპოკალიპსურ მხეცებს გვისევ! ჩემი ქვეყნისაკენ მომართული ეს შენი სიერაგე ათასეულად მოგიზღვას ღმერთმა, ათასეულად!.. და მოგეზღვება კიდეც!

მეფემ წონასწორობა სწრაფად აღიდგინა და სპათა აყრის ბრძანება გასცა. იფრინდები დაგზავნა კახეთის სხვადასხვა კუთხეში მყოფ ლაშქართან ბრძანების მისატანად, რომ თავი დაენებებინათ ყველა დაპყრობილი ადგილისათვის და ქართლისაკენ დაძრულიყვნენ. ბაქარმაც მიიღო ასეთი ბრძანება და კვეტარს მოხსნა ოსტატურად მოწყობილი გარემოცვა. სასანიანიცა და მეფისწულიც მეფის ბრძანებით მიაშურებდნენ ქართლს. მაგრამ ერთსაც და მეორესაც უჯარმისაკენ მოუწევდათ გული. ბაქარს ადარდებდა ყველა თავისიანი, მეფისწულს — თავისი სიყვარული, მაგრამ ბაგრატის ბრძანებას რა გადაალახვინებდათ. ბაქარმა მაინც ერთი

ნაბიჯი გადასდგა თავისით, უჯარმის ციხოვანნი გაისტუმრა უჯარმას და დაავალა თავისიანების ქართლს გამოსტუმრება.

ბაგრატ მეფემ თვითონაც ქართლს მიმართა გალდაწყვეტილმა. მთაში მიმალულს კახეთის მფლობელმა აღსართანს და მისმა მომხრე ერისთავმა ალფარასლანს მიაშურეს მორჩილების გამოსაცხადებლად. მისი ხარკის სატვირთავად. იაზონსაც ბევრი არ უფიქრია: ალფარსლანის ბანაკს ეწვია საჩუქრებით.

თუ აღსართანი და მისი ხელისშემწყობნი ალფარსლანს ეახლნენ და თავი დაუკრეს, ბაგრატი დაშორდა იმ არე-მარეს, საცა ალფარსლანმა ფეხი შემოდგა. ბაგრატს თავისი ამაყი ბუნება არც ქედის მოხრას უკარნახებდა შორეული მხარიდან შემოჭრილი უცხო მფლობელის წინაშე, არც ამ მფლობელის მოხარკედ გადაქცევას. მეფემ ბრძანება გასცა, ციხენი ემაგრებინათ ქართლში და ამ ციხეთა კედლებს ამოჰფარებოდნენ მებრძოლნიც და მთელი მოსახლეობაც. „იყო ქართლსა შინა პური და ღვინო დიდი“ და მეფეს იმედი ჰქონდა, რომ ციხეში მოქცეული ხალხი შიმშილით არ მოიხრებოდა და მტერს კი გადარჩებოდა. მეფე ხედავდა, რომ ალფარსლანის უამრავ სპასთან პირისპირ ვერას გახდებოდა და ციხე-სიმაგრეებით ეპირებოდა თავის გატანას. თვით ქართლის დიდგვარიანნიც, მარუშიანთა გზაზე მტკიცედ მდგომნი, სავსებით ეთანხმებოდნენ თავის გვირგვინოსანს.

ქართლი დაფაცურდა მეფის ბრძანების ასასრულებლად. ხალხმა იწყო ციხე-სიმაგრეთა გამაგრება, სურსათით მათი მომარაგება. ზოგმა მთისკენ დაიწყო ცქერა. იქ შეკედლება უფრო საიმედოდ მიაჩნდათ.

ბაგრატმა მიატოვა გარე კახეთი. კარგად ხედავდა, რომ ალფარსლანს თვალში ამოღებული ჰქონდა ქართლი — ფუძე ქართველთა ტომების გაერთიანებისა. ქართლი მოითხოვდა ზრუნვას, ქართველობის გადასარჩენად. ადრიდანვე ყოველი შემომსევი ქართლისაკენ ესწრაფოდა, რათა თავიდანვე ჩაექრო ქართველთა კერა.

მაგრამ თუ ქართლი ემზადებოდა თავდაცვისათვის, უჯარმაშიაც ხალხი გულხელდაკრეფილი არ იჯდა. ოჯახნი წვრილფეხობასა და მანდილოსნებს მთებში აგზავნიდნენ და მათნი ვაჟკაცნი საიდუმლო რაზმებს ადგენდნენ. რაზმების რიგის ჩამდგმელებად თითქოს ბერა და ფერისი გამოდიოდნენ. დაკვირვებული, კარგა გაწვრთნილი მეომარი კი ამ ამბებში უეჭველად სამხედრო საქმის კარგი მცოდნის ხელს დაინახავდა.

ნინოწმიდელის მითითებით კეთდებოდა ყველაფერი, ნინოწმიდელი არ ზოგავდა ხალხის შესაჭურველად ხვასტაგს, რომელიც, როგორც თვითონ განუცხადა თანამეცხედრის დასაფლავების მეორე დღეს სიმამრს, ჩამოიტანა მისმა წინაპარმა დიდმა ვახტანგ მეფემ ინდოეთიდან და სინდეთიდან, და იყო დაფლული უჯარმის მახლობლად, ორ კოშკთა შორის. მისი არ გათქმისათვის ჭიჭუნმა აწამა არჩილ მეფე. ამ განძის დახმარებით რევყოფილი საჭურველს აწვდიდა ხალხს, რომ თავი დაეცვა განადგურებისაგან და თან ფიქრობდა ამავე განძით მტრის სიხარბის დაოკებას. ამ გზით თუ მოხერხდებოდა ქვეყნის გადარჩენა აოხრებისაგან. მისი მოქმედება გაუთქმელი რჩებოდა ყველასათვის. მხოლოდ ბერამ, ფერისმა და მისმა ასულმა იცოდნენ ხვასტაგის საიდუმლო. მირანდუხტი მარჯვენა ხელად გაუხდა მშობელს. მის თაყვანისმცემელთაგან იზრდებოდნენ ბერასა და ფერისის რაზმები და უჯარმას, ბოჭორმას, ვერენას და რუსთავს ციხოვანნი უმრავლდებოდნენ.

ქართლში ეს ამბები არავის მოჰქონდა და ბაქარს გარე კახეთი გაწირულ ქვეყნად მიაჩნდა. თუმცა ისიც სჯეროდა, რომ რევყოფილი, მისი მამა, არ მოისვენებდა და რაიმე ნაბიჯის გადადგმას შეეცდებოდა ქვეყნის საშველად. ბაქარს ისიც კარგად ესმოდა, რომ ერთია ცდა რაიმე ნაბიჯის გადადგმისა და მეორეა თვითონ ნაბიჯის გადადგმის სისრულეში მოყვანა. თვით მეფემ ერთი მოახერხა, რომ უკან დაიხია. მტრის პირისპირ დადგომა ვერ გაბედა. ქართლში ციხეები გაამაგრებინა ხალხს და ამით დაკმაყოფილდა. მერმე დარჩებოდა კი უთვალავ სპათა პატრონ ალფარსლანს ციხეები აუღებელი, ან დარჩებოდა კი მეფე ქართლში?

ბაქარმა ნათლად დაინახა, რომ დასავლეთიდან გადავიდოდა აფხაზ-ქართველთა მბრძანებელი. თვითონაც მოუხდებოდა მასთან წასვლა.

სასანიანს აზრად მოუვიდა ოჯახის გასტუმრება ბოლნისს, სადაც ვარაზ-ბაკურმა კიდეც გაგზავნა თავისი თანამეცხედრე, არჩვიაძიანთ ასული და მისი გვარეულობა. ბოლნისი გარე კახეთზე მიმავალ მტერს გზად არ ხვდებოდა, ხელმარჯვნივ, ერთი-ორი დღის სავალზე რჩებოდა.

ბაქარმა მოიწადინა ბოლნისს ოჯახის გასტუმრება და გადაწყვიტა უჯარმას წასვლა. ეს გადაწყვეტილება უნდა მოსწონებოდა მეფეს. ამ ნაბიჯის გადადგმა კი ერთნაირ სიძნელეს წარმოადგენდა ბაქარისათვის. ადვილი არ იყო მდგომარეობისაგან დაეჭვიანებულ მეფესთან თქმა: უჯარმაში გამიშვიო. ბაქარი ცოლის ძმას ვარაზ-ბაკურს გაენდო და რჩევა ჰკითხა.

— როგორ მოვიქცე, არ ვიცი, როგორ ეუთხრა მეფეს, უჯარმას გამიშვი-მეთქი. ემანდ ეჭვი რამე არ დაუბადოს ამ ჩემმა თქმამ ჩემზე, ოჯახი კი გასახიზნი მყავს. შენთან, ბოლნისს მინდა გავგზავნო ყველანი.

— ერთი მითხარი, თუ ღმერთი გწამს, რატომ უნდა დაებადოს ეჭვი? — შეეკითხა ვარაზ-ბაკური სიძეს. — განა ცოტაჯერ დაგიმტკიცებია ერთგულება მისთვის? სხვა რომ არ იყოს რა, თვითონ მაგ ალფარსლანისაგან არ იყო, რომ იხსენი შენ და შენიანების თავგამეტებით მეფე! მარტო ესაა საკმარისი შენი ერთგულების საცნობად... მერმე ვთქვათ, დაებადა ეჭვი მეფეს, რა მოხდება? მაშინვე ბრძანება ამოუვა პირიდან, ჰა, ჩქარა დააპატიმრეთო, თუ რა არის? მინამ ამას გაიგონებ, შენი უბრალოება უფრო ადრე იჩენს თავს და ეჭვიც წამსვე გაუქრება. ნუ დაერიდები, წადი, თამამად უთხარი, შინ გაგიშვას!.. ბოლნისიც კარგა მოგიფიქრებია: არჩვიაძიანი ჩემი მეუღლითურთ ხომ იქ არიან ახლა.

წელიწადზე მეტ დროს გაერბინა, რაც ვარაზ-ბაკურს ცოლად ჰყავდა ცისკარა, არჩვიძიანთ ქალი, და ამის გამო მუდამ კმაყოფილებით იყო სავსე მისი სახე.

ახლა თვალწინ აღემართა საჭურველში ჩამჯდარი ქალი. თანამეცხედრე სთხოვდა, შენთან ვიქნები ლაშქარშიო. ამის გახსენებაზე ვარაზმა გაიღიმა.

— ეს რამ მოაფიქრებინა, დიდება შენდა, უფალო! ჯერ კიდევ ყმაწვილის ჭკუა აქვს!..

ქალმა ცივი უარი მიიღო მეუღლისაგან და შუბლი შეიკრა. თავისი უკმაყოფილება გამოხატა.

— რა შუბლი მოიღუშე? — ჰკითხა ქმარმა ცისკარას. — ბოლნისის ციხე ვინ უნდა განაგოს ჩემ იქ არ ყოფნაში, თუ შენ არა?

შენა ჩემი ციხე-სიმაგრეო, გაიხსენა ვარაზ-ბაკურმა თანამეცხედრის პასუხი და ღიმილით დასძინა:

— მოსწრებულად მითხრა, მე და ჩემმა ღმერთმა, მაგრამ მაინც გავისტუმრე ბოლნისისაკენ. გუგანი გავაყოლე კერპი გუგანი იმასაც არ ჰსურდა ბოლნისს წასვლა და მაინც წავიდა. ფეხები უკანა რჩებოდა. ახლა კი დაბრუნდება საცაა.

გუგანი მას აქეთ, რაც თხუთმეტი წლის ვარაზ-ბაკურსა და ცხრა წლის ველთას ბაგრატის მოწინააღმდეგეთ მშობლები და სხვა ნათესავები ამოუწყვიტეს, აღარ გაშორებია ვარაზ-ბაკურს. ვარაზ-ბაკურმა და მისმა

ერთგულმა შინაყმამ ერთად დაიწყეს შურისძიების საქმე და ორივენი ერთად ასრულებდნენ, მათი შიშით ძრწოდნენ სამშვილდის მფლობელნი და, თუ პირველ ხანს ჭაბუკს, ბოლნისის უფალს და მის ახალგაზრდა შინაყმას ჯერ თვითონ სდევნიდნენ, შემდეგ მუდამ ივითონ იყვნენ ამ ომისაგან დევნილნი.

— მე შენთვის თავი არასდროს არ დამინებებია გაჭირვებისას და ახლა რა მოხდა? — უსაყვედურა ვარაზ-ბაკურს გუგანმა.

— შენ არც ახლა მანებებ თავს, ჩემ ნახევართან იქნები. წადი, ბოლნისს გაჰყევი ცისკარას და სამყოფელი ადგილი მიუჩინე ციხეში, დააბინავე, გააცანი იქაურებს, ჩემი ბრძანება გადაეცი ციხოვანთ და მერმე ისევ დაბრუნდი.

— მაშ არა და იქ დავრჩები! — წაიბურტყუნა გუგანმა. — მგონი, შენი ნახევარიც უკანვე მოგიყვანო. ვატყობ, იქ ძალიანაც არ უნდა წამოსვლა.

ვარაზ-ბაკური ფიქრს გაჰყვა, მის გვერდით მდგომი ბაქარი კი თავისი ოჯახის აღრეულ მდგომარეობას ითვალისწინებდა და მისი დაცვის სურვილმა ნაბიჯი გადაადგმევინა ბაგრატისაკენ.

ბაგრატთან გზად მიმავალ ბაქარს გუგანი შემოეყარა. გულითადი სალამი მისცა ბოლნელის შინაყმამ სასანიანს. ბაქარი გუგანისათვის ვარაზ-ბაკურობდა.

— შენ მოსულხარ კიდეც, — გამოელაპარაკა ბაქარი მას.

— კი არ მოვსულვარ, მოვდივარ, — გაისმა გუგანის მჭექარე ხმა. — ჩემ პატრონს უნდა წარვუდგე, მოვახსენო, რა გავაკეთე ბოლნისში.

— კარგა დააბინავე ჩანაბარები? — ჰკითხა ბაქარმა.

— მაშა! ისე არადროს შემისრულებია ჩემი პატრონის ნაბრძანები, როგორც ახლა. არჩვიაძიანთ ხნიერი მამანი ციხოვანთა რიგებში ჩადგნენ. ანდრია, ლამის არის, ყველას მბრძანებელი გახდეს: სიმამრი ვარ ბოლნელისაო... ღვთის წინაშე კი უნდა ითქვას, რომ კარგა სცოდნია ამ დროულ ადამიანს ციხის საქმე! არჩვიაძიანთ ახალგაზრდობაც ახლა რომ იქ იყოს, თვით ალფარსლანიც ვერას დააკლებდა ბოლნისის ციხეს.

— მერმე და სად არის არჩვიძიანთ ახალგაზრდობა? — შეაწყვეტინა ბაქარმა.

— ისინი ხომ აქა ტრიალებენ!..

— აქა? თვალითაც არ მინახავს, — ამცნო ბაქარმა გუგანს

— მაშ სად იქნებიან.

— ეგ ხნიერ არჩვიაძისათვის უნდა გეკითხა, — თქვა ბაქარმა და პირი ბაგრატის კარავისაკენ იბრუნა. თან გაიფიქრა:

— კარგი იქნება, რომ გუგანი გავაყოლო უჯარმაში და ბოლნისს ჩვენ ოჯახს ველთა და რევი ძალზე უყვარს, მირანდუხტს ენაცვალება... ეს და ფერისი, ან ონოფრე, ან ონოფრე და ესა, — სასანიანმა გულში დაწყებული აზრის მსვლელობა ხმამაღლა დააბოლავა, გუგანს უთხრა, როცა შენ პატრონს მოსახსენებელი მოახსენო, მერმე ჩემთან შემოიარე, საქმე მაქვსო.

გუგანი შეპპირდა ბაქარს, მოვალო, და თავის გზას გაუდგა. ბაქარმა ბაგრატისაკენ გასწია.

გვირგვინოსანი კარავში ბრძანდებოდა კარისკაცებშემომწკრიევებული. აქ ტახტის მემკვიდრეც დახვდა ბაქარს.

მეფისწული თავდახრილი იდგა და ფიქრით სხვაგან ტრიალებდა. მირანდუხტის სახეს უმზერდა გულის მორჩილი გონების თვალით. უიმედო სიყვარულით შეპყრობილი, მირანდუხტის გვერდით ყოლას ნატრობდა განუწყვეტლივ... ნატვრა აუსრულებელი ურჩებოდა და სახე გამოუდარებელ ცად ჰქცეოდა.

ბაქარი შევიდა მეფის კარავში და მეფისწულს მის დანახვაზე სახე გამოედარა: წრფელი გულით უყვარდა ბაქარი.

ბაგრატმა დაინახა თუ არა სასანიანი, თუმც გული დამძიმებული ჰქონდა, მაინც გაეღიმა ერთგული ადამიანის მოსვლაზე. ბაგრატს მუდამ თან ჰყავდა ბასა. მისი ოინები სევდას და მწუხარებას უქარვებდნენ. აი, ბაქარმა მეფის ზურგსუკან დაინახა იგი ამართული, საგრძნობლად ტანშეყრილი.

მეფემ შემდეგ ერთ კარისკაცთან ლაპარაკი გაათავა და ახლა ბაქარს მიმართა:

— რას მეტყვი, ბაქარ?

— მეფეთ მეფეო! ბოჭორმას, უჯარმას, რუსთავს ან ვერენას დავიცავთ, თუ თავს მივანებებთ? ქართლი სიმაგრეებს აფარებს თავს და იქნებ გარე კახეთსაც ეს მოემოქმედნა. ან იქნებ იქაური ხალხი სხვაგან გასახლდეს...

გარე კახეთის გახსენებამ მეფე შეარხია: ამ მხარესთან დამნაშაულად გრძნობდა თავს. არავითარ ზომას არ ღებულობდა მის დასაცავად. ამ ქვეყნის ხალხი თავისა და ღვთის ამარა რჩებოდა. თითქოს ჯერჯერობით მეფე ქართლში ბრძანდებოდა, ხალხს სიმაგრეებში აკეტინებდა თავს.

თვით ხალხიც, აზნაურობაც ხომ ასეთი თავდაცვის წესის მსურველი იყო. მაგრამ მეფე თვითონ ამ ამბების დამთავრების შემდეგ ქართლს უეჭველად დააგდებდა, მტერთან შეჯახებას არც აქ აპირებდა, ლიხს ამოეფარებოდა, უამრავ სპას მტრისას თავის სპანაკლებიან ლაშქარს არ შეაკლავდა. მეფეს უჯობდა ლაშქრის გადარჩენა. ცოცხალ-ძალა შენარჩუნებულს შეეძლო ისევ დაუფლებოდა ქართლსა და კახეთს. შიდა კახეთი ალბათ გადარჩებოდა აოხრებას. მეფეს ცნობა მოუვიდა, აღსართანმა თავი მოუხარა ალფარსლანს, მორჩილება გამოუცხადა, მაჰმადის რჯული მიიღო და სულთნის ფეხთ განერთხნენ კახეთის ერისთავებიცო. ზოგმა მათგანმაც აღსართანისებურად რჯული გამოიცვალაო. რჯულგამოკვლილთა შორის პირველს იაზონ ცალქალამანიძეს ასახელებდნენ. ყველა მათგანი, თქმა არ უნდა შეეცდებოდა ბაგრატიონთა გვარეულობის მიწასთან გასწორებას, მათ სამფლობელოთა გათელვას. ფეხქვეშ ამოიდებდნენ, თქმა არ უნდა, პირველ ჯერში გარე კახეთს ეს საქართველოს მხარე ხომ ბაგრატის ერთგულებით იყო საკვირველ და შველას ითხოვდა პატრონისაგან.

„ერთგულები კი არიან“, — გაიფიქრა მეფემ გარეკახელებზე და ბაქარს თვალი თვალში გაუყარა...

მეფეს სასანიანის ახლოს ყოლა უნდოდა მუდამ. გარე კახეთი კი სთხოვდა მის თავს და უნდა გაეშვა ეს სასურველი ადამიანი: სიმართლე და სამართლიანობა უჭრელებდა თვალს.

— სასანიანიც ხომ არ აპირებდა ალფარსლანის წინაშე თავის მოხრას? — გაჰკრა კბილი ბაგრატმა ბაქარს.

ბაქარს წარბი არ შეუხრია, მხოლოდ აღმოხდა ნაღვლიანი ხმით ნათქვამი სიტყვები:

— მეფეთ მეფეო! თუ გარე კახეთის ციხენი ღვთის ამარა დარჩება, მხოლოდ ერთსა გთხოვ, ნება დამრთე, უჯარმას წავიდე, ოჯახი გავხიზნო უშიშარ ადგილებში და მერმე ისევ დავბრუნდები, რომ მტკლად დაგედო.

მეფემ წყრომის აღგზნებული ცეცხლი დაიხშო და ლმობიერად გამოხედა.

— მერმე, სად გახიზნავ? — ჰკითხა წყნარად.

— ნათელია ყველასათვის, მბრძანებელო, ბოლნისის მხარე დაცულია ალფარსლანის თავდასხმისაგან, გზად არ უდევს მტარვალს. ვარაზ-ბაკურმა ხომ იქ გაგზავნა მეუღლეც და მისიანებიც. მეც გავგზავნი ჩემიანებს, რომელთათვისაც მთაში გახიზვნა სახიფათოა, — მოახსენა

მეფეს ბაქარმა და ბასას მზერა დაიჭირა.

ბასას მეფის დიდი სიყვარული დაემსახურებია: ჯერ თითქმის ისევ ყრმა გონივრულად იყენებდა თავის სიცქვიტეს და მახვილ ენას და მუდამ მეფის მასიამოვნებელი იყო. შორსმჭვრეტელი თვალის მქონე, ვინ იცის რა მანძილზე არ შენიშნავდა მხედარს ან ფრთხილად მომავალ, მზირის მოვალეობის აღმასრულებელს, ან კიდევ სპათ, მეფის საწინააღმდეგოდ წამოსულთ. მეფე თავიდან არ იშორებდა მას და მუდამ, სადაც კი იქნებოდა, ზურგსუკან იყენებდა.

დღეს ბაქარი ეწვია მეფეს და ბასას გული უმღეროდა: უყვარდა თავისი უფლისწული.

ბაქარმა ითხოვა მეფისაგან უჯარმას წასვლის ნებართვა და ონავარს ამღერებული გული შეუკრთა: ბაქარი წაიდოდა და თვითონ მეფესთან მოუხდებოდა დარჩენა. მეფე ლიხს გადაღ-. გადავიდოდა და ბასას უკან გაიყოლებდა. ბალღს მეფე უყვარდა, მაგრამ ლიხთიქითა მხარეში წასვლა არ იჭაცებდა. ბაქარის დანახვაზე მისმა გულმა უჯარმისაკენ უბრუნა პირი: მეფის კარს ობლობა იგრძნო მშობლიურ კერას დაშორებულმა. ბასას თვალწინ გაურბინა საყვარელი ჭირან ჯუხტის სახემ, პატარა რევიმ, დედ-მამამ, დაჩიმ, ბერამ, ონოფრემ, მისგან ბოჭორმის ეშმაკად მონათლულმა გულადმა. ამ ფხოველზედაც გული ჰქონდა დაყრილი ბასას. ყველანი კარგა ხანია არ ენახა და მათმა ნახვის სურვილმა წარიტაცა.

მეფემ დაახანა ბაქარის თხოვნაზე პასუხის გაცემა და ბასას გულმა ჩვეულებრივად იწყო ძგერა. უნდოდა რაღაც სალაღობო წარმოეთქვა, მაგრამ მეფემ დაასწრო — ბაქარს უჯარმაში წასვლის ნება დართო გულდამშვიდებით. იცოდა, ალფარსლანს ჯერ კიდევ შორს ედვა მისგან ბინა და ქართლში მის მოსვლამდე ბაქარი მოასწრებდა წასვლა-მოსვლას. ბასას კი მთლად გული შეუქანა ამ ნებართვამ. ბაქარი წავიდოდა და მოვიდოდა, ბასას კი თვალები დააწყდებოდა ბაქარის გზის მაცქერალს და უჯარმას თავისიანებს კარგა ხანს ველარ ნახავდა. მოულოდნელად მეფის წინ მუხლებზე დაეცა.

— რა ღმერთი გაგიწყრა, ყრმაო, — შეეკითხა გაოცებული მეფე.

— მეფეთ მეფეო, მეც გამიშვი უჯარმას! — წამოიღაღადა ბასამ ისეთი მუდარით, რომ ბაგრატს ლმობიერება გაუუფლა გულში. — ჩემ უფლისწულებს დავჭირდები!.. მირანდუხტს განსაცდელი მოელის და ჩემი თვალი გამოადგება, ხომ მომავალი დედოფალია ჩვენი ქვეყნისა.

ბაგრატი შეკრთა: საქართველოს დედოფლად მირანდუხტის დასახელებამ წონასწორობა დააკარგვინა. მას ველარ წარმოედგინა სასანიანთა ასული თავისი შვილის თანამეცხედრედ. გული ეუბნებოდა, დაესაჯა არამკითხე ბიჭი, რომ ღვთაება მირანდუხტი მისმა პირმა მიწიერ ადამიანად აღიარა. მაგრამ გონებამ ნება არ მისცა, გულს ლაგამი ამოსდო. მეფეს გონებამ ცხადუყო, რომ ბასას ღაღადისი ეკუთვნოდა ქვეყანას, მთელ ერს, რომ ბასას ხმა ერის ხმაა, რომ ხმა ერისა ხმა ღვთისაა, რომლისთვისაც მას ხშირად მიუმართავს.

მეფემ აღშოფოთებული სული დააშოშმინა და უნებლიეთ უფლისწულზე შეაჩერა თვალი.

შეფერიანებული იდგა გიორგი.

„ნეტავი რას გრძნობს ჩემი ნატამალი, რა თანამეცხედრე მოელის, — გაიფლ. გულში ბაგრატმა. — ახლა ხომ ხსნა იქნებოდა სასანიანის ასულისათვის ჩემ შვილთან მისი შეუღლება“.

მაგრამ მეფეს გული კიდევ აუმხედრდა ამის გაფიქრებაზე: ისევ ღვთაებად წარმოესახა მირანდუხტი და მკრეხელობად მიიჩნია რომელიმე მამაკაცთან მისი შეუღლება.

„რა იქნებოდა, რომ მირანდუხტი დამთანხმდებოდეს ბორენასთან ყოფნას“, — ჰკითხა თავს ბაგრატმა და პასუხი ვერ მიიღო. აღძრულ ფიქრთა დენა წამსვე შეწყვიტა.

ბაგრატის სულის მოძრაობა არ გამოჰპარვიათ არც მის წინ დაჩოქილ ბასას და არც ბაქარს. სასანიანი მზად იყო მუხლმოდრეკით ეთხოვნა მეფისათვის, ჯერ კიდევ ყრმა ბასა არ დაესაჯა, თვით ბასა კი წარბს არ იხრიდა.

მეფე სდუმდა თავდახრილი, ბასა კიდევ მის წინ მუხლთმოდრეკილი თანხმობას ელოდა.

მეფემ თავი მაღლა აიღო:

— მაშ ჩემთან ყოფნა აღარ გინდა, ჰა? — გაიგონა ბასამ მისი სიტყვები და თავი დაღუნა, წუთიერი ჭოჭმანი შეუდგა ონავარს. მეფეც ხომ უყვარდა, მაგრამ გაახსენდა, რომ ლიხს გადაღმა მოუხდებოდა გადასვლა, რომ თავისიანებს დააშორებდნენ და ჭოჭმანი სწრაფად გამონელდა.

— ჩვენ არემარეს, ჩემიანებს, ჩემი უფლის ახლობელთ ხიფათი მოელით, — იმართლა თავი ბასამ.

— განა ბოლნისს არ მიდიან შენი უფლის ახლობლებიც და შენიანებიც? — გაახსენა მეფემ ბასას. მეფის ამ სიტყვებს ბასამ დასძინა:

— მირანდუხტი არ წავა!

ბაქარი შეკრთა: ბასამ მარჯალი წამოიღალადა. მირანდუხტი მამას არ გაჰშორებოდა. ბაქარს ეს არ გახსენებია.

მეფემ მირანდუხტის სახელი გაიგონა და ნება დართო ბასას თავის უფლისწულს გაჰყოლოდა. გახარებული ბასა მეფეს ხელზე ეამბორა.

— აბა, ჩემო ერთგულო, რისთვის გასჯილხარ, — ჰკითხა მბრძანებელმა ბოლნელს.

— უჯარმაში გამიშვი, ერთი ორი დღით, მეფეთ მეფეო, ბაქარს უნდა გაეყვე!

მეფეს ოდნავ შუბლი მოენისლა. თითოეული მახლობელის მოშორება და მერმე კახეთის მიმართულებით, უნდობლობას ჰბადებდა მის გულში. მეფემ ალმაცერად გადახედა ორივ სიძე-ცოლისძმას და კვლავ აღეძრა ეჭვი: სიძე მიდიოდა უჯარმას და ცოლისძმასაც სწადდა გაყოლა. აქ კიდევ ბასამაც მოისურვა თავის უფლისწულთან ერთად უჯარმაში წასვლა.

„ღალატი თუ უდევთ გულში“, — გაიფიქრა მეფემ და ვარაზ-ბაკურს ხმამაღლა მიმართა.

— რა ამბავია, შენც გამიორგულდი? შენც ხომ არ გინდა ალფარსლანს თავი დაუკრა.

— ეგ რა ბრძანებაა, მეფეთ მეფეო!.. მტრის ლახვარმა გაჰგმიროს შენი ორგული! — წამოიძახა ვარაზ-ბაკურმა და უნებლიეთ თვალი ბაქარზე გადაიტანა.

ბაქარს ალმური ასდებოდა სახეზე.

— მეფეთ მეფეო! — წამოიღალადა სასანიანმა და მუხლი მოიყარა: — შეგთხოვ, გასცე ბრძანება, — დამსაჯონ ორგული ყმა!

მუხლი მოიყარა ვარაზ-ბაკურმაც.

— ნურც მე დამინდობ, მეფეთ მეფეო! — წარმოთქვა გულისტკივილით.

— მეც ჩემ უფლისწულს მიმაყოლე, მბრძანებელო! — გაისმა წკრიალა ხმა, და კარაულში მყოფთ მეფის წინ ბასაც დაინახეს მუხლზე დაცემული.

— მეფეთ მეფეო, სასჯელს ველი, დამსაჯე! — ისმოდა ბაქარის ვედრება.

ბაგრატმა თავი მაღლა აიღო და სასანიანს შეაცქერდა. მისი გამომეტყველება ღაღადებდა, არავითარ სასჯელს არ შევუშინდებიო.

დაჩოქილ სასანიანს ფერისის ნატამალი აჰკროდა გვერდში.

„ფოცხვერისაგან დაგლეჯას გადამარჩინა“, — გაიელო მეფემ გულში, გადახედა დაჩოქილებს, წამოდგა, და წარმოთქვა:

— აფხაზთა და ქართველთა მეფე არაევის სჯის სხვათა ჩაგონებით. ჩემ ყმებს ვუბრძანებ, ფეხზე წამოდგნენ.

ფეხზე წამომდგართ მეფის სახე გარკვეულს არაფერს ეუბნებოდა.

მეფემ ეჯიბი მოიხმო: ეს იმას ნიშნავდა, კარვიდან ყველას ითხოვდა ამჟამად.

მემკვიდრეც გავიდა.

მარტო დარჩენილმა გვირგვინოსანმა გაიარ-გამოიარა, ამოიოხრა და ფიქრთა სავანე ჩვეულებრივად აამოქმედა. ბაქარი, ვარაზ-ბაკური და ბასა ჯერ დაჩოქილნი წარმოიდგინა, მერმე ზეზე წამომდგარნი.

„დაიჩოქეს, — წარმოთქვა თავისთვის მეფემ, — და ამით მითხრეს ჩემ უბრალო კბილის გაკერაზე, დამწაშავე შენ ხარო, წამოდგნენ ჩემი ბრძანებით და ამით მითხრეს, დამწაშავე ისევ შენ ხარო. თავისი დასჯა კი არა მთხოვეს, მიბრძანეს. არა, ერთგულნი კი არიან, ორგულობა არ იციან, მაგრამ თავისი თავგამოდებული მოქმედებით წაგაყვედრებენ, აი როგორც ახლა: კბილი გაეკარი ცოტა და წამაყვედრეს — თავის დასჯას მთხოვდნენ. გული მატკინეს ამით... ბაქარი მიყვარს, ყველაფერს ვუთმობ, სასანიანის შინაყმა, ჯერ კიდევ თითქმის ყრმა — ბასაც კი, ყველაფერს მათმობინებს...“

ფიქრი შეწყვიტა: გარედან რაღაც ხმაურობა შემოიჭრა... მეფემ მიაყურადა.

— აგე, ამირანი! — გაისმა ბასას შეძახილი.

— სად ჰხედავ, ვერხვის ჭინკავ. — ჰკითხა ბაქარმა.

— სადა და აგე! — უპასუხა ბასამ და შორს მომავალი მხედარი დაანახვა.

— სწორედ ისაა, — დაადასტურა ვარაზ-ბაკურმა — ბალღო შენზე ნაკლებ არ ვხედავ.

მართლა არჩვიაძიანთ ამირანი მოაჭენებდა ცხენს.

ამირანს სამი მხედარი წამოეწია. ოთხაბოღებით მოაქროლებდნენ ცხენებს, ამირანს გამოუსწრეს და მალე სამეფო კარავთან გაჩნდნენ.

— იფრინდები მოვიდნენ, იფრინდები! — დაიძახა ბასამ.

მოსულთ კარავში ეჯიბის შეგზავნა აღარ დასჭირდათ: კარავში

შეჭრილმა ხმაურობამ მეფე გარეთ გამოიყვანა.

— ალფარსლანის ურდოებმა წინ წამოიწიეს, მბრძანებელო! — მოახსენეს მეფეს იფრინდებმა. — რუსთაველიდან მოვდივართ. იქ გვითხრეს, ხუნანს უახლოვდებიანო.

ბაქარსა და ვარაზ-ბაკურს გული შეეკუმშათ, შუბლი მოეღრუბლათ, ბასას ტოკვა შეუდგა, წამის-წამს თვალი მეფისკენ მიულტვოდა, მეფისწულმა ბაქარისაკენ გადმოინაცვლა: სურდა მასთან ახლოს დგომით თანაგრძნობა გამოეცხადებინა. ბაქარს კი გონებაში ფიქრებმა ორომტრიალი შეუქმნეს.

„რა საშინელი ამბავია, — წარმოიდგინა სასანიანმა. — მტერი ხუნანს მოახლოებია! ვინ იცის, დაიჭირა კიდეც ეს სიმაგრე!... ხუნანი თუ დაიჭირა, რუსთაველსაც ბოლო მოელება, მტერი ახლა უჯარმას, ვერენას და ბოჭორმას მოადგება. სამი სიმაგრე რას შეაჩერებს მოზღვავებულ მტერს, თუ იქვე ლაშქარიც არ გვეყოლება. მერმე ხომ მდინარესავით მოედინებიან ქართლს ალფარსლანის ურდოები?.. რად მიანება თავი გარე კახეთს მეფეთ მეფემ, რად ჩემმა წინაპარმა ვახტანგ გორგასალმა სწორედ უჯარმამდე არ მოუშვა სპარსთა უამრავი სპანი, ბრძოლით შეაჩერა. მართალია თვითონ მძიმედ დაიჭრა, მაგრამ სპარსთაც შიში აჭამა და უკან დაახევინა. მტერმა ველარ გაბედა ქართლში გასვლა... უჯარმა, ვერენა და ბოჭორმა. ამ ქსელს არ უნდა გასცილებოდა მეფეთ მეფე. ახლა გარე კახეთს ხომ გადმოლახავს მტერი და გადმოლახავს, ქართლსაც ფეხქვეშ ამოიღებს... ჩემი ოჯახი, და... მამა... რას იზამს ნეტავ მამაჩემი. გულხელდაკრეფილი არ იჯდება კია, მაგრამ მაინც რას იზამს?

სიტყვა „რას იზამს“-ზე შეჩერდა ბაქარი. მასთან ბაგრატი მივიდა...

ბაგრატი არ აულელვებია იფრინდების მოტანილ ამბავს: ამას ხომ მოელოდა კიდეც. ბაგრატმა მხოლოდ მოუსმინა იფრინდების ცნობას და მოსცილდა: სასანიანის მცირე გუნდი მოინახა. ბაქარს მხარზე ხელი დაადო.

— აღარ დაახანო და წადი უჯარმაში, — უბრძანა მეფემ და პირი ვარაზ-ბაკურისაკენ იბრუნა: — შენც გაჰყევი, — განუცხადა მას დაღონებული გამომეტყველებით: — მე არავის სიკეთეს არ ვივიწყებ, ეს კარგად იცოდეთ ორივემ, — დასძინა ბაგრატმა თავის წინა ნათქვამს.

ეტყობოდა, მეფეს ეძნელებოდა სასანიანისა და ბოლნელის დაშორება, მაგრამ მაინც იშორებდა ორივეს. უთხრეს, ალფარსლანის ურდოები ხუნანს უახლოვდე`იანო, და მაინც იშორებდა. ამით ეუბნებოდა

ორივეს, ვიცი ერთგულები ხართ ჩემი და გგზავნითო, ორგულები რომ ყოფილიყავით, დაგსჯიდითო.

მეფემ ბასას შეაცილო თვალი.

— მაშ, შენ აღარ გინდა, ყრმაო, ჩემთან ყოფნა?

— მე მირანდუხტს გამოვადგები, მბრძანებელო! — უპასუხა მან. — იქ მტერი ბევრია ახლა, გარეული და შინაური. აქ ყველანი შემოსეულ მტერს მტრულად ხვდებიან, იქ კი — ბევრი მოყვრულად.

მეფემ უბრძანა, ნებას გაძლევო და შუბლზე აკოცა ბასას, ის კიდევ, უსაზღვრო მადლობის ნიშნად, მეფის თავისუფალ მარცხენა ხელს დაეკონა.

— რა ამბავია, არჩვიაძევ. საიდან მოდიხარ? — ჰკითხა ამირანს მეფემ.

ამირანმა თაყვანი სცა მეფეს და უპასუხა:

— უჯარმიდან გიახელი, მბრძანებელო. ველთამზემ გამომგზავნა ამათთან, — ბაქარსა და ვარაზ-ბაკურზე უჩვენა. — ველთამზე მზადაა ბოლნისს წასასვლელად და ახანებს ადგილიდან აყრას, ეგებ მირანდუხტი დავიყოლიო და უჯარმას და გარე კახეთს მოვაშოროო და ვერას გამხდარა. ნინოწმიდელი კი თვითონ არაფერს ეუბნება თავის ასულს... სულ მოღუშული დაიარება. ბერას გამოუკვერია მირანდუხტისათვის საჭურველი ერთი წლის წინათ... ისე ხმარობს იადხმობილი ამ საჭურველს, რომ ღმერთმა შეარცხვინოს მასთან ვაჟკაცი. ერთი ეგ არის, სუსტი მაჯა აქვს, პატარა ხელი... ყველას იმორჩილებს მირანდუხტი. აი ახლაც იმისკენ მიმიწევს გული. ველთამზეს ხათრი ვერ გავუტეხე, თორემ აქ რა წამომიყვანდა. ერთი კვირა, თუ კვირანახევარი, ნინოწმიდელი სადღაც საქმეზე იმყოფებოდა და მირანდუხტი ამ ხანს ყველას თავისებურად ატრიალებდა.

მეფე უსმენდა ამირანს და გრძნობდა, ბრძოლა დასჭირდებოდა თავის გულთან, რომ მირანდუხტის გავლენის წრეში არ მოჰყოლოდა. ბაქარი უსმენდა ამირანს და გრძნობდა, მირანდუხტს ვერ გააყოლებდა ველთამზეს ბოლნისში. ვარაზ-ბაკურმა უსმინა, უსმინა ამირანს და ხელი ჩაიქნია, ჩვენ წასვლას აზრი არა აქვსო. ბასა უსმენდა ამირანს და თვალებიდან სხივებს აბნევდა, მოუსვენრობდა. ბოლოს ველარ მოითმინა და წამოიძახა:

— მირანდუხტს ჩემი თვალები გამოადგება! უფლისწულო, წავიდეთ, წავიდეთ ჩქარა.

მეფისწული უსმენდა ამირანს და იმედი ეკარგებოდა, რომ მირანდუხტი ოდესმე მისი იქნებოდა.

ბასამ კი საქართველოს დედოფლად გააწესა თავისი უფლის ასული წელან, მეფეს რომ სთხოვა, უჯარმაში გამიშვიო.

ვარაზ-ბაკურმა ახლა კიდევ ამირანის ნაამბობს დაასკვნა ხმამაღლივ:

— რამდენი ხანია, რაც მირანდუხტი მე ჩვენი ქვეყნის დედოფლად მელანდებაო.

„ისევ დედოფლად მიხსენეს სასანიანის ასული! — გაიცლო გულში მეფემ. — რა ამბავია. განა ნინოწმიდელი გაამხელდა ამ ამბავს ნაადრევად. არა, ეს არ იქნება... ნინოწმიდელი, ბაქარი, თვით ვაჩეც, ჩემი მასწავლებელი, წინასწარ არას გაამხელდნენ. ბასასაც და ვარაზ-ბაკურსაც, მირანდუხტის ჩვენი ქვეყნის დედოფლობა, უეჭველია, ზეშთაგონებამ ათქმევინა“, — მეფეთ მეფემ თავის მემკვიდრეს თვალი შეაცლო: ფერი ეცვალნა.

„ბედი გქონია, ბედი, შვილო! — მიმართა ფიქრით მეფემ თავის მემკვიდრეს და მოულოდნელად თავში ერთმა აზრმა გაურბინა კიდევ: — ჩანს, მაგასაც ჰსურს გაჰყვეს ბაქარს“. ბაგრატი მიუხვდა შვილის სულისკვეთებას: გიორგის სურდა ეთხოვა მამისათვის, გამაყოლეო, მაგრამ ასეთი ნაბიჯი ვერ გადაედგა. მხოლოდ, როცა ბაქარი, ვარაზ-ბაკური და ბასა მეფემ დააშოშმინა და ნება დართო უჯარმის გზას გასდგომოდნენ, სრულიად საქართველოს ტახტის მემკვიდრემ მუზარადი შეუცვალა გზაზე მდგარ ბაქარს: ბაგრატმა სასანიანს თავისი იებიანი და შურდულიანი თავსაბურავი დახურა, თვითონ კი მისი იებიანი და მგელლომიანი თავსაბური დაიხურა.

3

იქითურ სამყაროში გადასახლებული და იოანედ სახელდებული, ბოლოს ნინოწმიდელად მოვლინებული რეეყოფილი ვერ იშლიდა აქეთურ სამყაროსკენ მზერას, იქითური სამყაროს სულისმაცხონებელი მითითებებით ვერ იხიბლებოდა. იოანე ისევ რევად გრძნობდა თავს.

მრავალჭირნახული წინამძღვარი გრძნობდა, რომ მის ახლობლებს აგრერიგად საფრთხე არ ელოდათ, რადგან ბაქარი მეფესთან იქნებოდა, მისი ცოლშვილი და მირანდუხტი ბოლნისს გაიხიზნებოდნენ, გარე კახეთი კი მტრის სათარეშოდ გადაიქცეოდა და უქმაგოდ დარჩენილი მხარის დახსნისათვის უნდა ელონა რამე. რევის გული მეფეზე კი არ წყდებოდა, არამედ გარე კახეთის ბედზე... მეობრეთა ბრბოებმა თავი წამოყვეს. მოსვენებას

არ აძლევდნენ მოსახლეობას. ჯერ მტერს კარგა ფეხი არ შემოედგა, რომ ქვეყანა კიდეც ირეოდა. ფადლონის ხალხმაც გამოიღო ხელი.

ამ ამბებმა რისხვის ალში გახვია ნინოწმიდელის გული: რევყოფილი მეკობრეებთან ბრძოლაში ჩააბა. გარე კახეთის ქომაგს ორ მხრივ უხდებოდა ბრძოლა: თვით გარე კახეთის გარეწრებთან და განძის მფლობელი ფადლონის რაზმთან. ბაგრატის კახეთიდან გასვლამდე შეექმნა ნინოწმიდელს საიდუმლო რაზმები და აემოქმედებინა ბერასი, ფერისისა და ონოფრეს მეთაურობით სწორედ მეკობრეთა კბილის მოსაჭრელად. სინსილა გაუწყვიტეს კიდეც ამ რაზმებმა ბნელ ძალებს, მაგრამ ალფარსლანის მოახლოებით თავი ისევ წამოჰყვეს.

ნინოწმიდელი ერთ გადაწყვეტილებას დაადგა. სასანიანმა თვალსაჩინო ჯერ არ გამოლეული ხვასტაგის ნაწილი ჩაალაგა ხურჯინებში, გაიყოლა მღვდელმთავრები — კაწარელი. რუსთაველი და ჭერემელი, და ამგვარი კრებულით აწვია თავისი თავი ალფარსლანს. მტრის კარავში ნახა რჯულგამოცვლილი აღსართანი, იაზონ ცალქალამანიძე და სხვა ერისთავნი აღსართანისანი. ამაყად გადახედა ამათ ყველას სასანიანმა და ამაყად შეხედა თვით ალფარსლანსაც. თავისი წინაპრის წმიდა არჩილის ხატოვანობით გამომზირალმა მოჰხიბლა უცხო მტერი და თავისადმი პატივისცემით გამსჭვალა.

— რას იტყვის ქრისტიანეთა მღვდელმთავარი? — იკითხა ნინოწმიდელის სალამზე ალფარსლანმა და მღვრიე შავი თვალების შეყვითლებული თეთრი კაკლები აამოძრავა, ნინოწმიდელის თანმხლებ მღვდელმთავრებს გადახედა და მას კი თვალი ვერ გაუსწორა... ნინოწმიდელის მეფური გამომეტყველება, გაბედული გამოხედვა, გულახდილად მომზირალი თვალები როგორღაც ჰბოჭავდნენ და იზიდავდნენ სულთანს: ეგონა, რაღაც შელოცვებს გააგონებდა ნინოწმიდელი მის გასათანგავად და გულს შიში ეპარებოდა და გაოცება აღებეჭდა, როცა ნინოწმიდელისაგან უებრო არაბული მოესმა, ენით სადად ნათქვამი სიტყვები. ამ სისადავით უფრო მოხიბლა მტარვალი.

ნინოწმიდელმა ალფარსლანს მოურიდებლად გადაუშალა თავისი და თანამხლებელ მღვდელმთავართა მოსვლის მიზეზი, მოურიდებლად ამცნო: ხარკი მოგიტანე და ჩემი სამწყსო არ დაარბიოო.

ალფარსლანმა ახლა კი გაბედა და მიაპყრო თვალი რევის და უფრო ნათლად დაინახა სიმშვენიერე ხატისა მისისა და სიმაღლე ასაკისა მისისა.

ორმოცდათორმეტ წელს მიღწეული რევი მთელი ათეული წლით ახალგაზრდად გამოიყურებოდა. მისი სწორად აზიდული ტანი, ტანთან შეწყობილი კიდურები, თავისუფალი ნაბიჯის გადადგმა, დარბაისლური აწევა ხელისა, თითქოს გამოკვეთილი, სულიერი ბრძოლისაგან გაფერმკრთალებული სახე და სხივოსანი თვალების ელვარება სულთანს მოწიწებას უძლიერებდა და ალმობიერებდა. სდუმდა ალფარსლანი, თითქოს შელოცვისაგან ხმაგაკმენდილი და თვალს ვერ აშორებდა რევის.

ყველასათვის მოულოდნელად სულთანმა თვალი გადაავლო აღსართანს, გადახედა მის ერისთავებს და ზიზღი აღიბეჭდა სახეზე. იაზონს რომ გადახედა, თვალები აიბრიალა და გულში გაიცლო:

„ამან თავი მოიხარა ჩემ წინ, რომ თავისი მეკობრობა ჩემით დაფაროს. ეს მეკობრე, გუშინ პირისპირ რომ დარჩა ჩემთან, კახეთის მფლობელობას მთხოვდა, აღსართანის მოშთობას, მეუღლედ ვინმე რევი სასანიანის ასულს, თავის თავს ვინმე არგოელისა და კოლხეთის მეფის ასულის ჩამომავლად მიცხადებდა. – ალფარსლანმა აღსართანზე შეაჩერა თვალი და კვლავ გაიფიქრა. – ამას, ალბათ, ისე ათამაშებდნენ ერისთავები, რომ მე მთხოვს თავის განმტკიცებას კახეთის ტახტზე!.. კაი დაემართა მაგას, კაი მფლობელიც ეგ იქნება თავისი ქვეშევრდომებისა...“

ალფარსლანმა ხელახლა შეხედა რევის.

„ამას ვინ დაიმორჩილებს“, – შეეკითხა თავის თავს სულთანი.

შეკითხვა უპასუხოდ დარჩა.

„ნეტავი რა თვალი თვალში გამიყარა სპარსეთიდან შემოჭრილმა ამ ღვთისრისხვამ და პასუხს კი არ მაძლევს. – გაიფიქრა რევიმ. – ხომ არ სურს თვალით შემბოჭოს! ეი, – მიმართა თავის გულში ნინოწმიდელმა სულთანს, – უცხო ტომის ნატამალო, ქრისტიან ხალხზე გრძნეულის თვალი არ მოქმედებს!.. მაინც რად მიყრის თვალში თვალს?..

პასუხს ვინ მისცემდა რევყოფილს. სულთანი თავისას ფიქრობდა:

„ამას ვინ დაიმორჩილებს, – გაიმეორა რევყოფილის მამზერალმა ალფარსლანმა თავისი და თავის გამეორებულს ბოლოს ასე უპასუხა: – ვერავინ, ვერავინ. ისე შემომაძლია ხარკი, თითქოს სწორმა სწორს საჩუქრები მომართვაო... რატომ ბაგრატს არ მიბაძა და არ გამეცალა გზიდან... ბაგრატსა და ამას შორის ბევრი რამ საერთო არის, ეტყობა. ის გამირბის – არ მიხრის თავს, ეს მოდის – არ მიხრის თავს. არა,

მეტია! ეს ხარკს მაძლევს და თავს კი არ მიხრის, ეს სამწყსოს გადარჩენას ლამობს, ის — ცოცხალი ძალის შენარჩუნებას, ბრძოლის უნარის შერჩენას, ხალხს ციხეებს აფარებს. ეს კი ციხედ მემართება წინ...“

ალფარსლანს მოესმა სიტყვები:

— თუ უარს მეუბნება მბრძანებელი აღმოსავლეთისა?

ეს რევი შეეკითხა გულიდან ამონადენი ხმით.

ალფარსლანმა კიდევ გადახედა აღსართანს, გადახედა მის ერისთავებს, იაზონ ცალქალამანიძეს და დაინახა მათი სრული კაცუნობა. მოიწადინა ემცნო მათთვის, რომ თავის ღირსების შემგნები ადამიანი, მაგრამ ქედმოხრილი, მისგან არ ისჯებოდა, პირიქით პატივითაც სარგებლობდა და ნინოწმიდელს უპასუხა:

— ჩემს მორჩილს მე არას ვერჩი, მხოლოდ ვაჯილდოვებ და...

ნინოწმიდელმა სიტყვა ჩამოართვა.

— ერთადერთი ჯილდო შემიძლია მივიღო დიდი სულთანისაგან: ესაა ჩემი სამწყსოის დაუზიანებლობა.

როგორც უფროსი მღვდელმთავარი, რევი თავის სამწყსოებად თვლიდა მასთან ერთად მოსულ მღვდელმთავართა სამწყსოებსაც.

ჯილდოს გახსენებამ არასასიამოვნო გრძნობები აღუძრა იოანე მღვდელმთავარს. მისი თვალი უნებლიეთ გადაეცლო პირველად კაწარელს, რუსთაველსა და ჭერემელს, მერმე — ჯერ აღსართანს ელახვრა და რიგრიგობითი მის ერისთავებს, ბოლოს იაზონ ცალქალამანიძეს მიეშიზნა. იაზონის გარდა ყველას ქურდბაცაცობის შიშის იერმა გადაჰკრა სახეზე. იაზონს წარბიც არ შეუხრია, მეკობრე წინაპრით მოამაყე ცალქალამანიძე არც ერთ თავის გადადგმულ ნაბიჯს დანაშაულად არ თვლიდა.

„ამას რა უნდა მოჰკითხოს ადამიანმა? — სთქვა გულში ნინოწმიდელმა იაზონზე და თვალი ისევ კახეთის მფლობელს და მის სხვა ერისთავებზე გადაანაცვლა. — ეტყობა, ამათ სინდისის ნატამალი კიდევ უჩუჩუნებთ“.

მღვდელმთავარმა ამოისუნთქა და ალფარსლანს ამცნო.

— ჯილდოსაც და სასჯელსაც ჩვენ ოთხნი, — თანმხლებელ მღვდელმთავრებს გადახედა, მაღლიდან მოველით. თავებს დაგვაყრევინებ, ზეცის ნება იქნება ჩვენთვის, სიცოცხლეს შეგვინარჩუნებ, და ამასაც ზეცის ნებად მივიჩნევთ.

„რა უდრეკი ვინმეა! — გაიელო გულში ალფარსლანმა. — მჯერა: ტანჯვას მივაყენებ, მაინც თავისას იტყვის. მაგას რომ ვუყურებ, მა-

გონდებიან ახალქალაქის დიდგვარიანნი, მათ გვერდში ამომდგარნი მათი ყმანი, მაგონდებიან მოქალაქენი საქმეს მიჰჭირებდნენ შარშანწინ თავისი თავგამოდებული ბრძოლით. ბევრმა მათგანმა შეაკლა თავი ჩემ ჯარს, ბევრი მათგანი ტყვედ ჩამიყარდა და ტყვეობაშიც თავის სიკერპეს არ იშლიდნენ...“

ახალქალაქელებზე ფიქრი შეკვეცა და ნინოწმიდელის ჩამომავლობის გაგება მოისურვა სულხანმა, მაგრამ რატომღაც ამ მიმართულებით ვერ გადადგა ნაბიჯი.

სულთანი თუ შეყოყმანდა, ნინოწმიდელი დამშვიდებული თავისას განაგრძობდა. მღვდელმთავარს ჰსურდა, პასუხი მიეღო. ჰსურდა, გაეგო, დაკმაყოფილდებოდა თუ არა მისი მოტანილი ხარკით ალფარსლანი.

— იქნებ ინებოს სულთანმა და თვალი გადაავლოს ჩემგნით მოტანილ ხარკს? — ჰკითხა ნინოწმიდელმა ალფარსლანს და ყველას დაურიდებლად მის წინ სამღვდელმთავრო რაზმს მოყოლილ შინაყმა დაჩის, ფერისის ვაჟს, ხუჯინებიდან ამოალაგებინა იშვიათი განძეულობა.

სულთანი გაოცდა, კახეთის მფლობელსა და მის ერისთავებს თვალები გაუფართოვდათ. იაზონი შეტოკდა. მის მეკობრულ სულს შფოთი შეუდგა. თვალწინ ზღაპრული სიმდიდრე ამოულაგეს, ახლოს დაულაგეს და წარტაცება კი არ შეეძლო.

— სად მოაგროვე ასეთი და ამდენი სიმდიდრე? — ჰკითხა გაოცებულმა სულთანმა ნინოწმიდელს. — განა ასეთი მდიდარი ხალხია შენს სამწყსოში?

— ხალხი ნაკლები ქონების პატრონია, — ამცნო ნინოწმიდელმა შემკითხველს. — ეს ყველაფერი ჩემ წინაპართა გადმონაცემია.

სულთანმა ნინოწმიდელის წინაპრთა ვინაობის გაგება მოიწადინა.

— სულთანის წინ დგას ძველთა მეფეთა ნათესავი, სასანიანი, — განუცხადა ნინოწმიდელმა ალფარსლანს. — სასანიანთა გვარი, ვფიქრობ, მოეხსენება დიდ სულთანს.

ალფარსლანი ახლა ამან გააოცა და უნებლიეთ ორად ორი სიტყვა წარმოთქვა:

— რევი სასანიანი!

იაზონს გადახედა ჯერ დაცინვითა და მერმე შუბლი შეიკრა. ეს ნიშნავდა: მეკობრეს ვინ მოგცემს ასულსაო. ძველთა მეფეთა ნათესავის ასული, ხოსროიანთა ჩამომავალი მე შემფერისო.

სულთანს გაახსენდა სპარსეთის ხოსროიანნი, ოდესღაც სპარსეთის შარავანდედის შემქმნელნი.

— სპარსეთში მთლად აღივავა ეს გვარი, — წარმოთქვა დაბალი ხმით სულთანმა. — აქ გადარჩენილა.

სულთანმა ნინოწმიდელს გადახედა: ხოსროიანნი ძნელი მოსატეხი მოდგმისანი იყვნენ, — გაიელო გულში, — და ესეც, ჩანს, ძნელი მოსატეხია... უსამფლობელოდ დარჩენილა და მაინც ძნელი მოსატეხ-ა... ჩემს ერთ-ერთ ჩამომავალს სასანიანთა სისხლი უნდა გადავცე.

სულთანმა გადაწყვიტა, ლაშქრობას რომ გაათავებდა საქართველოში, რევი სასანიანის ასული თვითონ ეთხოვა ცოლად.

რევი სასანიანი დუმილით ელოდა პასუხს. სულთანი კიდევ ახალ ნაფიქრს თავს არ ანებებდა.

— რას იტყვის მბრძანებელი აღმოსავლეთისა? — გაისმა მკვეთრად ნათქვამი სიტყვები.

ნინოწმიდელი ეკითხებოდა ალფარსლანს.

ალფარსლანმა თავში ახლადდაბადებული აზრის ზეგავლენით შემკითხველს გაუღიმა და მტკიცედ აუწყა.

— შენი სამწყსო დაცული იქნება ყოველგვარ ძარცვა-გლეჯისაგან. ჩემი სპანი დაისჯებიან, თუ გადავიდნენ ჩემს ბრძანებას. ესაა ჩემი გარდუვალი სურვილი.

ნინოწმიდელმა და მისმა მხლებელმა მღვდელმთავარმა თავისი სამწყსოების დარბევისაგან უზრუნველყოფის სიგელები მიიღეს სულთანისაგან და სამღვდელმთავრო რაზმით შინისაკენ გამოსწიეს.

თუ მღვდელმთავრები გასცილდნენ ალფარსლანს მისი სიგელებით დაკმაყოფილებულნი, ალფარსლანიც კმაყოფილი დარჩა მათი ხარკით და თავისი მონაფიქრით, რომ სასანიანთა ასულს თვითონ შეირთავდა და არა მეკობრე იაზონ ცალქალამანიძე, და სასანიანთა ასულთან შეუღლებით ნაშობ თავის მომავალ მემკვიდრეს სასანიანთა სისხლს გადასცემდა.

ნინოწმინდელი, რუსთველი და კაწარელი ჭერემელმა შეიწვია ჭერემში, ჭერემის ტაძარში პარაკლისი იქნა გადახდილი დიდი ამბით.

— გურს, იცი, რას ამბობენ! — წასჩურჩულა წირვისას ერთმა მეკობრისაგან გულმოკლულმა ვაჭარმა გვერდში მდგომ ამხანაგს და ნინოწმიდელზე ანიშნა, — მეკობრეებს სინსილას უწყვეტსო.

— მერმე და მლედელმთავარს შეუძლია მახვილი ატრიალოს? სიტყვით უნდა იმოქმედოს, — უპასუხა გურსად მონათლულმა ჩურჩულითვე.
— არა, ქარდილაი, ჭორი იქნება.

— მეკობრეებზე სიტყვა რას გასჭრის, ჰა? — წაილაპარაკა ქარდილაიდ წოდებულმა ვაჭარმა.

— კიდევაც რომ არ გასჭრის! — ჩამოართვა ქარდილაის სიტყვა თავიდან ფეხებამდე იარაღში ჩამჯდარმა ახალგაზრდამ.

ბუმბერაზს ჰგავდა ეს ყმაწვილი, ჯერ კიდევ პირშიშველი.

— დაჩო! — გადმოსძახა პირშიშველს მისგან ხუთი კაცით დაშორებულმა და ახლა მისკენ გადმონაცვლებულმა ოციოდე წლის ვაჟკაცმა, — დღეს, მგონი, ვერ დავიძრებით.

— სწორე ხარ, თვალის! — დაუკრა კერი დაჩიმ თავის სახელის გამმჟღავნებელს.

— მძარცველების ახალი გუნდი გაჩენილა, — ამცნო დაჩის თვალისმა.

— ყური მოვკარი ხალხში: გზას არ აძლევენ თურმე ქარავნებს გარე კახეთის სანახებში.

— მერმე ჩვენ, ხალხს, რა, არჩვიაძევ? ვაჭრებმა იდარდონ! — თქვა დაჩიმ და ეშმაკურად გადახედა გურსსა და ქარდილაის.

— მერმე ჩვენ ხალხი არა ვართ? — წაედავა დაჩის ქარდილაი. — საქონელი ჩვენი ქვეყნისათვის მოგვაქვს.

— მოგაქვთ, მე შენ გითხრა, მუქთად ურიგებთ, — გაეპასუხა დაჩი ქარდილაის, — ხომ არ გინდათ, რუსთავამდე მიგაცილოთ. თვალის, მივაცილოთ რუსთავამდე, არა?

— უთქვენოდაც კარგად წავალთ რუსთავში, — გასცა პასუხი დაჩის ქარდილაის ნაცვლად მესამემ, აქამდე მდუმარედ მდგომმა ვაჭარმა. — ის გუნდი მეკობრეთა გაუფანტიათ კიდეც.

— გაუფანტიათ? — შეეკითხა მთხრობელს გურსი და ქარდილაის მიუტრიალდა. — ხედავ, ნინოწმიდელი აქ არის და იქ მაინც მოქმედებენ მეკობრეთა წინააღმდეგ. ნეტა ვისი უნარით კეთდება ასეთი კეთილი საქმე?

— აქ, ჭერემში, ამბავი მოვიდა! — წარმოთქვა გურსისთან მდგომმა ჭერემელმა, — რომ თვითონ ნინოწმიდელი კი არა, მაგისი ასული მირანდუხტი, იაღხმობილი, უძღვის მეკობრეთა სინსილის გამწყვეტ რაზმსაო.

— ეს კი შეიძლება, — დაუკრა კერი ჭერემელს გურსიმ. — მე რომ ის ჯვარპატიოსნობას ვნახე, პირდაპირ გამაოცა: ჯერ იყო და ორი

მარკენალი ვაჟკაცი ერთი ხელის გაქნევით გაჰყარა, თორემ ერთმანეთს თავს შეაკლავდნენ, მერმე კიდევ ჰუნეზე უკან ერთი თორმეტი წლის ბიჭი შემოისვა და ისე გასცურა ადიდებული იორი მეკობრეებთან მებრძოლთა წასაშველებლად.

— არა, ქალი მაინც იმდენ მხნეობას ვერ გასწევს! — დაიწყო ქარდილაიმ. — ერთხელ გაჰყარა მარკენალნი, ერთხელ გასცურა იორი ადიდებული, მაგრამ განა ხშირად შეუძლია გაიმეოროს ასეთი ოინები. მეკობრეებთან ბრძოლაში მამაკაცის ხელი ურევია... თუმცა ნინოწმიდელი აქ არის... ვინ იცის, მართლა ქალია...

ტაძრიდან მღვდელმთავრები გამოვიდნენ.

დაჩი და თვალის არჩვიაძე ნინოწმიდელმა მიიხმო.

თვალის არჩვიაძე, ანდრია არჩვიაძეს ვაჟი, ამირანის ძმა, ნინოწმიდელს მოსწონებოდა და სამღვდელმთავრო რაზმში ჩაერიცხა დაჩისთან ერთად.

დაჩი და თვალისი ძალიან დამეგობრდნენ. უერთმანეთოდ ვერა ძლებდნენ. ნინოწმიდელიც იშვიათად აშორებდა ერთმანეთს ამ ორ ახალგაზრდას და თვითონაც იშვიათად იშორებდა: თავის მცველებად მიაჩნდა. ახალგაზრდები ნინოწმიდელს აღმერთებდნენ და ისე უსრულებდნენ დავალებულ საქმეს, რომ მისგან ჯერ საყვედური არ გაეგონათ. ნინოწმიდელმა ხელი დაიქნია და წამს ორივე ნინოწმიდელს გვერდში ამოუდგა.

— ეეე! ნინოწმიდელის სამღვდელმთავრო რაზმისანი ყოფილან. მე კი გულში მეკობრეებად დავსახე. — წამოიძახა ქარდილაიმ. — ჰაა, გურს? რა იქნება, რომ ჩვენც თან გაგვიყოლიოს ნინოწმიდელმა. იცი, რა ბედი გვეწვევა. ჩვენ სავაჭროს ჯერ ნინოწმიდაში შევიტანთ უშიშრად, მერმე რუსთავში. ხომ ხედავ, ჭერემელი მოაცილა ნინოწმიდელმა. რუსთავს — რუსთველს მიაცილებს უსათუოდ. შემდეგ კაწარეთს — კაწარელს, ბოლოს უჯარმისაკენაც გადაადგამს ფეხს. თავისიანები ხომ უნდა ნახოს? რა იქნება, რომ მეც ვნახო მაგის ასული, მეკობრეთა სინსილის გამწყვეტი?

ქარდილაის უკანასკნელ სიტყვებს, ცოტა არ იყოს, დაცინვის იერი დაჰკრავდა. გურსი გაჯავრდა და მკვეთრი კილოთი მიმართა ამხანაგს.

— ცოტა თავი შეიკავე, ქარდილაი, თავი შეიკავე!

ქარდილაიმ უცნაური ციცინათელები შეამჩნია ამხანაგის თვალებში და გულში შიში იგრძნო. ქარდილაიმ იცოდა, რომ მის ამხანაგს ხუმრობა არ უყვარდა.

გურსი მოშორდა ქარდილაის და ჭერემელის სასახლისაკენ გაემართა.

ნინოწმიდელი სასახლის შესასვლელს უახლოვდებოდა. გურსს კი სასახლეში შებრძანებამდე სურდა ეთხოვნა ნინოწმიდელისათვის, შენთან მგზავრობის ნება დამრთეო, თორემ სასახლეში შესულ ნინოწმიდელთან აღარავინ შეუშვებდა. ვაჭარმა მოასწრო თავისი სურვილის ასრულება.

ნინოწმიდელმა ახედ-დახედა გურსის. მღვდელმთავარს თვალში მოუვიდა ვაჭარი. შესანიშნავი აღნაგობა, ნაკვეთის სიმკვრივე, წელმოქნილობა და თვალსხივოსნობა მიმზიდველს ხდიდა ამ ადამიანს.

„ეს ფერისს და ბერა ზენკალს გვერდში რომ ამოუდგეს, ურიგო არ იქნებოდა!“ — გაიფიქრა მღვდელმთავარმა.

მღვდელმთავარს თავში რომ ამ აზრმა გაურბინა, გურსიმ ლოცვა-კურთხევა სთხოვა. მღვდელმთავარმა ჯვარი გადასწერა თავზე და თვალებში შეაჩერდა.

— მეუფეო, იქნებ ნება დაგვრთო, მე და ჩემს ამხანაგებს, ვაჭრებს. შენი სამღვდელმთავრო რაზმის მფარველობით ვიმოგზაუროთ შენთან ერთად, — მოახსენა გურსიმ ნინოწმიდელს.

— ამქვეყნად მე უნდა ვიარებოდე შენი მფარველობის ქვეშ და არა თუ შენ ჩემის სამღვდელმთავრო რაზმის მფარველობის ქვეშ. — უთხრა გურსის რევყოფილმა ღიმილით. — მე სასულიერო პირი ვარ და იარაღს ჩემ დასაცავად საერო პირი უნდა ხმარობდეს.

გურსი გაწითლდა: ქედი მოხარა.

— ჩვენი იარაღი საჭირო საზომებია, მღვდელმთავარო, — გაისმა გურსის ახლოს.

მისდა შეუმჩნეველად გურსს გვერდში ქარდილაი ამოსდგომოდა.

— შენ უეჭველად ებრაელი ხარ, — უთხრა რევყოფილმა ქარდილაის. — სწორე პასუხს მაძლევ. კაი ხანია, რაც თქვენ იარაღად დაგჩემდათ საჭირო საქონლის საზომები. ეს კი, — მღვდელმთავარმა გურსიზე მიუთითა, — მართალს არ ამბობს. მაგისი იარაღი ხმალი და მშვილდ-ისარია.

— თუ სურს მეუფეს, მცველობასაც გაიწევ ამ მგზავრობაში.

— რამდენი ხართ ჩემთან მგზავრობის მსურველნი? — იკითხა ნინოწმიდელმა.

— სამნი, მეუფეო! — გაისმა მოკლე პასუხი.

— კარგი! — დასძინა რევყოფილმა და სასახლეს მიმართა, თან შეიყოლა დაჩი და თვალისი, [illegible]სთვის დაწესებული ოთახი ჩაჩვენა.

მისი სიტყვა დასტურად მიიღეს ვაჭრებმა, მხოლოდ ის კი არ იცოდნენ, თუ როდის გაუდგებოდა გზას ნინოწმიდელი.

ნინოწმიდელმა კი უბრძანა დაჩისა და თვალისს.

— გაავრცელეთ ხმა, რომ ხვალ დილით გავუდგებით გზას, რაზმი კი ამაღამისთვის მოამზადეთ წასასვლელად. ვაჭრებს ჯერ ნურაფერს ეტყვით. მხოლოდ ჩვენი გამგზავრებისას აცნობეთ, შემოგვიერთდნენ.

დაჩი და თვალისი ნინოწმიდელის ბრძანების შესრულებას შეუდგნენ, ნინოწმიდელი სატრაპეზოდ გამზადებულ სხვა მღვდელმთავრებს შეუერთდა.

მღვდელმთავრები ისე დაბრუნდნენ ალფარსლანისაგან, რომ ქვეყნის მომავალზე ხმა არ ამოუღიათ. ბაგეთა მათთა დუმილი დაეუფლა გზაზე. ნაწირვებს თითქოს გულს მოეშვათ. თითქოს ლოცვებმა თავისი ძალა აგრძნობინეს და სატრაპეზოდ დაბრძანებულთ ბაგენი განეხვნათ სალაპარაკოდ.

— ჯერ კი გადურჩა ჩვენი მხარე არევ-დარევას, დარბევას, აწიოკებას, და მერმე რა იქნება მის თავს, ვინ განსჭვრეტს? — დაიწყო ჭერემელმა.

— რა იქნება და, თუ ახლა გადარჩა, ღმერთი მეორეზეც არ დასტოვებს უნუგეშოდ, — მიადევნა ჭერემელის სიტყვებს კაწარელმა.

— ჩვენი მხარე აოხრებას რომ გადაურჩა, მეუფე ნინოწმიდელს უნდა ვუმადლოდეთ, მაგრამ ხალხი რომ წაიმურდლება, ეს ნათელია ჩვენთვის, — ჩაურთო რუსთველმა მღვდელმთავარმა. — აგერ, აღსართანს წინადაცვეთა უკისრია, მისთვის მის ერისთავებსაც მიუბაძნიათ, ცალქალამანიძეც, უეჭველია, ჯაბესაც აიგებს კვეტარში. ყველანი ესენი დაუსჯელნი უნდა დარჩნენ. ამის მნახველი ხალხი დიახ რომ შეეცდება, მიბაძავს აუგის ჩამდენთ.

ნინოწმიდელი ხნით ყველაზე უმცროსი იყო მღვდელმთავრებში, მაგრამ თავისი ნინოწმიდელობით ყველაზე წინ იდგა, განათლებითაც და გონებითაც ყველას სჭარბობდა.

რუსთველმა ლაპარაკი დაამთავრა და ნინოწმიდელს გადახედა. კაწარელმაც და ჭერემელმაც მას მიანათეს თვალნი, რას იტყვის სასანიანთა ნატამალიო.

— დიახ! — გაისმა მკვეთრად ნინოწმიდელის პირველი სიტყვა და ეს სიმკვეთრე მის დანარჩენ სიტყვებსაც არ მოჰკლებია, — დიახ, ხალხი წაიმურდლება, თუ ჩვენ გულხელდაკრეფილი ვიქნებით. ჩვენი მოძღვრება გვეუბნება, ხალხისათვის თავი უნდა დასდოთო, ხალხისათვის უნდა ეწამოთო და უნდა ვეწამოთ კიდეც. უფალმა მაცხოვარმა, კარგად

იცით, გვიჩვენა ამის შეუდარებელი მაგალითი. ჩვენ ალფარსლანის წინ წამდგართ, თვალი მოვკარით გამყიდველების მთელ მწკრივს. იუდას სინდისიც კი არ გააჩნიათ იმ გარეწრებს. იუდამ თავი მოისპო, როცა იხილა თავისი ანგარიშების შედეგი, ესენი ხელს შეუწყობენ ქართველი ტომების ფუძეთა განადგურებაში ალფარსლანს. ვამხილოთ ხალხში ეს გარეწარნი, ქრისტეს მოძღვრების დამგმობნი. ქართლის აზნაურნი მტკვრის ციხეში გამოკეტვით ეგებებიან, შიდა კახეთისანი თავის მფლობელიანად — ხელგაშლით, წინადაცვეთას არ უარობენ. ამის დამნახველს ხალხს და იმ გარეწართ მორის კედლად ავმართოთ ჩვენ სიტყვა. ხალხს ჩვენმა ღაღადისმა უნდა აღუკვეთოს მრუდე გზით სიარული. ხალხის სწორი გზით სიარულს თავი შევწიროთ!

— რას იტყვი, მეუფეო, ალფარსლანმა ასული რომ გთხოვოს თანამეცხედრედ? — უცბად, თავისთვისაც მოულოდნელად, შეეკითხა რუსთველი ნინოწმიდელს.

ნინოწმიდელს თავი მოეხარა, შუბლი შეეჭმუხნა. მას, შუახნის ადამიანს, მაგრამ ოცდახუთი-ოცდაათი წლის ჭაბუკის სიძლიერისა და სიმკვრივის მფლობელს, კუნთებში ელვამ დაურბინა. რევყოფილი რევად იქცა. სასანიანი გრიგალივით შეჭრას ლამობდა მტრის გუნდებში მათი მთავარი ფუძის გასაცამტვერებლად. მრისხანებამ მთელი სიძლიერით თავი წამოყო მის არსებაში, მაგრამ ვერ დასძლია მისი გონება. მისი გრძნობათა სავანე დაემორჩილა გონების საკანში მოხეთქილ კითხვათა ნაკადს და მას დაემონა. გონების თვალწინ რევი სასანიანს გადაეშალა ქართველ ტომთა განიავების აჩრდილი და აღშფოთებული გული დაუშოშმინდა. რევყოფილმა გაიარ-გამოიარა, მკერდი მაღლა აიზიდა, ღრმად ამოისუნთქა და ბოლოს დამშვიდებით წარმოთქვა:

— მე არ დავზოგე მიმალული მამაპაპეული ქონება, არ დავიშურე ქვეყნისათვის, მტერს ფერხთ წინ დავულაგე და ჩვენი სამწყსოები უზრუნველვყავი დარბევისაგან. სახლი ჩემი თითქმის გაყალარიბე. ეს ხომ ჩემს მიერ ჩემი შვილებისა და ახლობლების გაწირვაა და ღვთის ამარა მიტოვებაა. ჩვენი ქვეყანა კიდევ მოითხოვს ჩემგან მსხვერპლს... თავს მოვიხრი, და გავიღებ... მაგრამ მირანდუხტი თავის თავზეა მინდობილი, მის სურვილზეა მიგდებული მისი ბედი. ბაგრატმა მთხოვა მეფისწულისთვის ჩემი ასული და ჰო ვერ ვუთხარ... ვიმეორებ, თვით მირანდუხტმა უნდა გადაჭრას თავისი ბედი...

სასანიანი ერთ ხანს გაჩუმდა. დუმილი ჩამოვარდა. კრინტი არავის დაუძრავს. მღვდელმთავრებს ერიდებოდათ ეთქვათ რამე, ისევ სასანიანმა ამოიღო ხმა:

— ჩემთვის გაწესებულ ოთახში მივდივარ. საგზაოდ უნდა მოვემზადო, — განაცხადა რევყოფილმა და სატრაპეზო ოთახი მიატოვა.

— დიდება შენდა, ღმერთო, — წარმოთქვა შვებანარევი გრძნობით კაწარელმა ნინოწმიდელზე, როცა იგი სატრაპეზოდან გავიდა. — რა ძლიერი სულისა და სხეულის პატრონია! ალფარსლანი რომ ჩავარდნოდა ხელში, წამსვე გაგლეჯდა, წამსვე. მიკვირს, რომ ვნებანი არ ეპატრონებიან ასეთ პიროვნებას.

— რატომ გიკვირს, მეუფევ კაწარელო, — წარმოთქვა მელქისედეკ ჭერემელმა, — ხომ ნახე, როგორ სწრაფად ჩაიქრო ტანსმოდებული მრისხანების კოცონი. გასაოცარი მოვლენაა!... რა ხნისაა ნეტავი, ოცდახუთი წლის ჭაბუკს რომ მიაგავს.

— რა ხნისაა?.. თანამეცხედრე რომ გარდაეცვალა, ორმოცი წლისა იქნებოდა, — ამცნო რუსთველმა შემკითხველს და კაწარელს მიმართა: — ჩვენ, ხომ გახსოვს, ვიყავით მაგისი თანამეცხედრის გარდაცვალების ერთი კვირის უკან, ჩოხანი რომ ჩაიცვა მაშინ.

— მახსოვს, რას მიქვიან! თერთმეტ წელიწადზე მეტია მას შემდეგ გასული და ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ ჩამოგვეგებნენ წალკოტის სამხრეთ-აღმოსავლეთ კართან თვითონ რევი, მისი ვაჟი ბაქარი, შინაყმები. წალკოტის თავში რევის სიმამრი ვაჩე დაგვხვდა, სვეტიცხოვლის შემქსნელი. დიდ ხუროთმოძღვარს გვერდით ექვსი წლის მირანდუხტი ჰყავდა. ღმერთო რა საოცარი ბავშვი იყო. მე პატარას პატარა გულსაკიდი ხატი, ოქროს მინაით ქვნილი მთავარანგელოზი, ჩამოვკიდე. ნახევარბერიო, წამოიძახა ბავშვმა. თავის პაპას შეადარა მახვილიანი ანგელოზი. მის პაპა ვაჩეს ხომ ეძახიან ნახევარბერს, რაკი ხელიდან მახვილს არ უშვებს და არც მონასტერს ეკედლება.

— არა, — უთხრა რუსთველმა, — ბოლო დროს ცნობა მოუვიდა ნინოწმიდელს, რომ მის სიმამრს ჯვარში დაუდვია ბინა.

— ხნით ოთხმოც წელს გადააბიჯა ვაჩემ და ალბათ ამიტომ მონახა მონასტერი. მაინც მიკვირს ეს ამბავი. რამდენადაც გამიგია, მირანდუხტის დატოვება ეძნელებოდა რა ხანიც უჯარმაში დავყავით, თავისი ბავშვური, მაგრამ გონივრული ხასიათით მუდამ მაოცებდა ია.

— ახლა? — იკითხა ჭერემელმა. — ახლა როგორია? ბევრს ლაპარაკობენ იმ ქალზე და მაინც ბევრი რამ არა მჯერა.

— აქეთ წამოსვლისას გამოეუარე ნინოწმიდელს უჯარმაში და ვნახე მირანდუხტი, — უპასუხა რუსთველმა მელქისედეკს და კაწარელს მიაპყრო თვალები. — ის დაუდეგარი პატარა ია აღარ არის. მეთვრამეტე წელში გადამდგარი ქალი ჯერ არ თქმული თავშეკავებით გამოიმზირება ზეგონიერი, ყველას მომხიბლავი გონებითაც და გარეგნობითაც. მამა ასულს ყოველი ნაბიჯის გადადგმას უწონებს და მართლაც ვერაფინ დაუწუნებს. მთელი უჯარმა აღმერთებს. პატარაობიდან ბერა ზენკალისაგან ხუმრობით უჯარმის დედოფლად მონათლული რევი სასანიანის ასული მართლა უჯარმის დედოფლად გადაქცეულა. მცირეა ეს სახელი მისთვის. მირანდუხტი ქართველ ტომთა გამაერთიანებელ დედოფლად უნდა გამოცხადდეს... ღმერთო, ენამ მიყივლა თუ რა იყო? მართლა და იმ მზეცმა ღმერთგამწყრალმა არ მოიფიქროს და არ სთხოვოს ასული ნინოწმიდელს. ამასაც ვაწყენინე ჩემი დაუფიქრებლობით. მიყვარს სასანიანი. ბაგრატს ია თავის მემკვიდრისათვის პსურს თანამეცხედრედ, როგორც შეენიშნე მის ბანაკში ყოფნისას ალაერდში. დედაო ღვთისავ, ყოველად წმიდავ, შენ გადურჩინე ეს ასული ჩვენს ქვეყანას.

— რა დაგემართა, რუსთაველ მწყემსო! — შეეკითხა ჭერემელი. — რა შაეი ქვა ეცოდინება ალფარსლანს, ჰყავს ასული ნინოწმიდელს თუ არა. ეს სულთანი ქედმოუხრელ ბაგრატ მეფის მიწასთან გასასწორებლად მოვიდა და არა სასანიანის ასულის სათხოვნელად. მირანდუხტის სახელი სპარსეთამდე ხომ არ არის გავარდნილი?

— სპარსეთამდე კი არ იქნება, მაგრამ ალფარსლანმა ალბათ იცის მირანდუხტის არსებობა ახლა, — უთხრა კაწარელმა ჭერემელს. — იქ არ დაგეხედნენ იაზონ ცალქალამანიძე და სხვანი გამყიდველნი სინდისისა. ვერ ეტყოდნენ თავის ახალ პატრონს? იაზონი რევი სასანიანისა და მისი შვილის ბაქარის მტერია. მირანდუხტი სთხოვა ცალქალამანიძემ თანამეცხედრედ სასანიანებს და სასანიანებმა პასუხიც არ აღირსეს. პასუხი არ აღირსეს იმ კაცს, რომელიც თავის თავს იაზონ არგოელის და მედეას ჩამომავლად ჰრაცხს. მართლა რომ ენამ უყივლა რუსთველ მეუფეს, — კაწარელმა პირჯვარი გადიწერა: — ღმერთო, შენ აშორე ყოველი ბოროტი ჩვენ ქვეყანას! ღმერთო, შენ აშორე!

კაწარელი წამოდგა. ღელავდა. სატრაპეზოს კედლების თვალიერებას შეუდგა, გველეშაპის მსხვერპლ წმიდა გიორგის ხატი დაინახა და გული ცოტათი დაიმშვიდა. იმედი გაელვიძა, რომ დადგებოდა დრო და წმიდა გიორგი ალფარსლანისთანა გველეშაპსაც მოუღებდა ბოლოს.

კაწარელი ახლა მწარედ დაღვრემილ რუსოველს მიუტრიალდა და უთხრა:

— დროა, ჩვენც მოვემზადოთ, ნინოწმიდელი არ დავახანოთ გამგზავრებისას. ჩვენ ხომ არაფერი შეგვიძლია? ნინოწმიდელი მფარველია ჩვენი მგზავრობისაც და ჩვენ-ჩვენ სამწყსოში დაბინავებისაც.

კაწარელმა და რუსთველმა სატრაპეზოდან გასვლა დააპირეს და ჭერემელს მადლობა მოახსენეს, მაგრამ უნებლიეთ ლაპარაკი გააბეს, ისე, როგორც წასასვლელად გამზადებულებმა იციან ხოლმე.

— ნინოწმიდელმა გვაუწყა წასასვლელად უნდა მოვემზადოთ, — დაიწყო რუსთველმა, — და როდის გავემგზავრებით, ეს კი არ უთქვამს.

— არც იტყვის, — წამსვე მიაყოლა კაწარელმა. — გვაუწყა, უნდა მოვემზადოთო, ჩვენც უნდა მოვემზადოთ. ის მზად იქნება წასასვლელად თავის რაზმიანად, ჩვენც მზად უნდა ვიყოთ. ჭერემიდან ჩვენი გასვლის დროს მაშინ გავიგებთ, როცა ნინოწმიდელი გაემგზავრება.

— რა ამბავია ეგა? — იკითხა ჭერემელმა. — რატომ წინასწარ არ უნდა გაცნობოთ?.. რა ადამიანი ყოფილა?!.

— არა, არავინ იცის და არც ჩვენ ვიცით ჩვენი გამგზავრების დრო. ეს უეჭველად კარგია, მეუფეო ჭერემისაო! — გამოესარჩლა რუსთველი ნინოწმიდელის ასეთ მოქმედებას. — ცოტაა მტერი გზაში, ხომ ჩაგვისაფრდება სადმე ჩვენთვის მოულოდნელ ადგილას. ჩვენ ისიც არ ვიცით, რა გზით წავალთ. ეს ნინოწმიდელის საიდუმლოებაა. ჩვეულებრივ ადამიანს მოსდგამს საიდუმლოების უნებლიეთ გამომჟღავნება. შენ გგონია, ვიცოდით მე და კაწარელმა, როცა ალფარსლანთან მივდიოდით, რა მოჰქონდა ნინოწმიდელს ალფარსლანთან? არა, როგორც შენ პირველად დაინახე ალფარსლანის წინ ამოლაგებული ხარკი ხურჯინებითგან, ისე ჩვენ.

— მართალს ამბობს, მართალს, რუსთავის მწყემსი, მეუფეო ჭერემისაო, — დაადასტურა რუსთველის ნალაპარაკევი კაწარელმა და სატრაპეზო დააგდო.

კაწარელს რუსთაველიც მალე მიჰყვა და ჭერემელი მარტო დარჩა,

იმის მოლოდინში თუ როდის მოუხდებოდა მის სახლის სტუმრებს ჭერემის მიტოვება.

სამხარმა მოაწია და, როგორც ჩანდა, ნინოწმიდელი ჯერ წასელას არ აპირებდა. ჭერემელი ნინოწმიდელს მოწიწებით გამოეცხადა, ნინოწმიდელი მახვილს სინჯავდა, ჭერემელის შესვლაზე ოდნავ შეკრთა.

— იქნებ ვისამხროთ, მეუფეო იოანევ, — შეეკითხა ჭერემელი ნინოწმიდელს მორიდებით და თან ძრწოლის თვალით გადახედა მის ხელში მოტრიალე მახვილს.

ნინოწმიდელმა დაუყოვნებლივ განმარტა, თუ რას ნიშნავდა ჭერემელის თვალის გადახედვა და ამის პასუხად თავისი სიმამრის საყვარელი სიტყვები გაიმეორა და თან დასძინა.

— ახლა ყველას უნდა ეჭიროს მახვილი იქცევისი, თორემ გარეწრებისაგან ქვეყანა დაგველუპება. გარე კახეთი სავსეა, ჭერემელო, მეკობრეებით. დაე ისევ მე დავიღუპო ჩემგან დაღვრილი ადამიანის სისხლისათვის, სანამ ხალხი დაიღუპოს უდევნელად და დაუსჯელად დარჩენილ მეკობრეთაგან.

„ეს ადამიანი თავის თავს არ ინდობს", — გაიფიქრა ჭერემელმა და ხმამაღლა დასძინა: — ვისამხროთ, იოანე მეუფეო, ვისამხროთ.

ნინოწმიდელმა მახვილს თავი ანება და ჭერემელს სურვილი აუსრულა.

ოთხი მღვდელმთავარი ისევ სატრაპეზოში მოხვდა.

სამხარმა წყნარად ჩაიარა. თითქოს ლაპარაკს ერიდებოდა ყველა. კაწარელიც, რუსთველიც და ჭერემელიც ელოდნენ: ნინოწმიდელი გვეტყვის, როდის გაუდგება გზასაო, მაგრამ ნინოწმიდელი სდუმდა და ისე მიირთმევდა სამხარს. ნათლად სჩანდა. უბრალო სიტყვის თქმასაც არ ეპირებოდა.

შეღამდა. მღვდელმთავარ ნინოწმიდელის კარს დაჩი და თვალისი მოადგნენ. მზად ვართო, მოახსენეს თავის პატრონს, ნინოწმიდელმა თვალისს დაავალა ეცნობებინა რუსთველისა და კაწარკელისათვის, ჭერემს ვტოვებთ და გზას გამოუდექითო. თვალისს ესევე უნდა ეცნობებინა ვაჭრებისთვისაც, რომელთაც სურდათ ნინოწმიდელის სამღვდელმთავრო რაზმის მფარველობის ქვეშ მგზავრობა.

ნინოწმიდელმა დაჩი თავისთან დაიტოვა, რომ აბჯრის ასხმაში მოხმარებოდა. ფერისის შიში მის მეაბჯრეობასაც ეწეოდა.

მალე ნინოწმიდელი შეაბჯრული მოეცლინა მღვდელმთავრებს, მისი ფეხის გადადგმაში, ტანის რხევაში ძლიერება გამოსჭვიოდა. ნინოწმიდელი ამგვარად სახეცვლილი, მის თანამედროვე შემოქმედთაგან შექმნილ წმიდა მხედარ თევდორეს ჰგავდა.

ნინოწმიდელმა ჭერემელისაკენ გადინაცვლა გამოსათხოვებლად.

ჭერემელი ალაპარაკდა:

— ნუ წაბრძანდები, მეუფეო, ახლა, ღამე ბნელია, გზა ხევ-ხუვებითაა შემოზღუდული. ჭერემის წყლის გავლა ღამე არაა კარგი.

— სწორედ ღამის სიბნელეში მწადია გავიარო ჭერემის წყალი, ჩემი გზის შემზღუდავი ხევ-ხუვები, — დაიწყო ნინოწმიდელმა, — ღამე უნდა გავიარო ეს ბევრისათვის საშიში ადგილები, ჩვენთვის კი გზაზე დამდგართათვის, სწორედ ღამეა უხიფათო ეს ადგილები. თვალი ჯერ კიდევ კარგად მიჭრის. ჩემი რაზმელნიც შეჩვეული თვალით კარგა ჰკვეთავენ ღამის სიბნელეს. ჩემი თანამგზავრებიც ჩემი და ჩემი რაზმის თვალით ისარგებლებენ. გზები ჩვენ კარგად ვიცით.

ეზოში გასულ მეუფეებს სამგზაუროდ გამზადებული სამღვდელმთავრო რაზმი დახვდათ. აქ რაზმის გვერდით ვაჭარი ქარდილაი ტრიალებდა, მოუსვენრობდა და თვალს არ აშორებდა გალავნის კარებს. გვერდით სხვა მოძმეც ჰყავდა ქარდილაის.

ერთმა ზარადჩამოფარებულმა მხედარმა ცხენი შემოაჭენა გალავანში და გამოსწია რაზმისაკენ. ყველას თვალი მიიპყრო მოსულმა. მისი მხარბეჭი, ცხენზე ჯდომა, ტანისა და კიდურების ნაკვთები მის სიძლიერეს ადასტურებდნენ. ყველას მოურიდებელ უცხო ვინმედ მოელანდა. მხოლოდ ნინოწმიდელის გამჭრიახმა თვალმა განსჭვრიტა მისი ვინაობა.

— გურსი ხარ, არა? — შეეკითხა მოულოდნელად მოვლენილ მხედარს ნინოწმიდელი.

ზარადჩამოფარებულმა თვითონაც იცნო შეჯავშნული შემკითხველი. ზარადი აიხადა. ნინოწმიდელს თაყვანი სცა.

— გურსი გახლავარ, მეუფეო!

სამმა მღვდელმთავარმა, მათმა რაზმმა და ვაჭრებმა ჭერემის სასახლის გალავანი დასტოვეს. ჭერემელი სასახლეს დაუბრუნდა და თავის სენაკში ხატის წინ დაემხო. მელქისედეკმა ღმერთს შესთხოვა, მგზავრები მშვიდობით ეტარებინა და სისხლის ღვრას აეცილებინა ნინოწმიდელი.

ჭერემის წყლის მიმართულებით მიხვეულ-მოხვეული და კარგა დაქანებულ ვიწრო საურმე გზაზე დაეშვნენ სამი მღვდელმთავარი, სამღვდელმთავრო რაზმი და ნინოწმიდელის ნებართვით რაზმთან მყოფი სამი ვაჭარი. გურსი რაზმელად ითვლებოდა და, რატომღაც ნინოწმიდელის ნდობით მოსილი, მის მცველ ამალაშიც იმყოფებოდა. ნინოწმიდელმა თავისდა უნებლიეთ ყურადღება მიაქცია ამ ადამიანს.

„რატომ გამწია გულმა ამ ვაჟკაცისაკენ? – შეეკითხა თავის თავს რევყოფილი და გურს გამოჰხედა. – რა უნდა მქონდეს საერთო ამ უთვისტომოსთან. ახლა არ იყო, სასახლის გალავნის არეზე ქარდილაიმ წააყვედრა, მამაჩემმა გაგზარდა ობოლიო?..“

რევყოფილმა ერთხელ კიდევ აათვალიერა გურსი და შეკრთა: მთვარის მკრთალ შუქზე გურსის აღნაგობასა და თავის აღნაგობას შორის მკვეთრი ერთიანობა დაინახა.

რევყოფილმა გურსის უბრძანა გვერდში ამოსდგომოდა.

– როგორ მოხდა, რომ ქართველი ებრაელმა აღგზარდა? – ხმადაბლა ჰკითხა მას ნინოწმიდელმა.

– უპატრონოდ დარჩენილს დამეპატრონა, – უპასუხა გურსიმ, – სავაჭროდ გზად მიმავალმა იაკობმა, მეკობრეებთან აოხრებულ ოჯახში მნახა პატარა, ექვსი წლისა, მომტირალი ბავშვი, შემიცოდა და მიპატრონა. გულკეთილი ებრაელი იყო.

– მერმე და არაფერი არა გახსოვს რა შენი ოჯახისა? არავინ გახსოვს შენიანი?

– როგორ არა, დედაჩემი! მახსოვს ჩვენი ციხე-დარბაზი გალავნიანი, შინაყმები და... მეტი არაფერი.

– არაფერი არა გამოგყოლია დაქცეული ოჯახიდან?

– მხოლოდ ერთადერთი, პირგაკერილი პატარა პარკი, დედაჩემის ხელით ჩემ ყელზე ჩამოკიდებული.

– რა არის პარკში? არ გაგისინჯავს?

– პატარაობისას რას გავსინჯავდი? ეს დედაჩემის საჩუქარი ჩემმა აღმზრდელმაც კი არ მომაშორა მკერდიდან: თილისმაა ალბათ და მაგან თუ გადაგარჩინა, დროზე გამოგიარე და წამოგიყვანე ჩემთანაო. ასე მიამბო.

ნინოწმიდელი ჩაფიქრდა:

„მაჰმადიანური ხომ არა არის რა იმ გამოკერილ პატარა პარკში. ჩვენ ხალხს მოსდგამს წარმართული ბევრი რამ. იქნებ, ქრისტიანული ლოცვაა?“

გურსი უცქერდა ჩაფიქრებულ მღვდელმთავარს და არ იცოდა ისევ გვერდში სდგომოდა, თუ ზურგსუკან მოჰქცეოდა დაჩისა და თვალისივით, მაგრამ ამ დროს მოესმა წყნარად ნათქვამი სიტყვები;

— ნინოწმიდაში რომ მივალთ, იქ მაჩვენე ეგ შენი თილისმა.

გურსიმ მორჩილებით დახარა თავი. ნინოწმიდელი უცნაურად მოქმედებდა მის არსებაზე. მისმა სიტყვამ ჩააცმევინა ჯავშანი. ნინოწმიდელის სიტყვას ახლაც ვერ გადავიდოდა გურსი. წინასწარ გრძნობდა. დედის ხელით ჩამოკიდებულ თილისმას ჩააბარებდა ნინოწმიდელს.

ნინოწმიდელმა კიდევ მისცა ერთი შეკითხვა:

— იქნებ გიამბო შენმა აღმზრდელმა ებრაელმა, თუ ჩვენი ქვეყნის რა მხარეს გნახა? ვის სამფლობელოს შეადგენდა ის ადგილი, ციხე-დარბაზი გალავნიანი, საითგანაც შენ წამოგიყვანა?

— როგორ არა! — უპასუხა გურსიმ. — იაკობმა სიკვდილის წინ მიამბო ყველაფერი. ის ადგილი ყოფილა ქსანისა და ლეხურის გამყოფი მთის ფერდობებში მომწყვდეულ კარგა მოზრდილ ტაფობზე. ძნელად მისადგომია თურმე... ტერმა გადალახა ეს სიძნელე, — დაღონებით წარმოთქვა გურსიმ, — იაკობმა ისიც მითხრა, თუ ვინ იყო დედაჩემი. იაკობს ბევრჯერ გამოუვლია იმ გალავნიან ციხე-დარბაზთან. ბევრჯერ გაუთევია ღამე იქ, დაუსვენებია, მაშინაც, როცა მამა ჰყოლია დედას ცოცხალი და მე ჯერ აო გავჩენოდი და მაშინაც, როცა გავუჩნდი დედაჩემსა და მამა კი გარდაცვლილიყო. იშვიათი ქალი იყოო. სილამაზით განთქმულს მეტსახელად მზისიერს ეძახდნენ. კარგის გვარიშვილები თხოულობდნენ დედაშენს და გული არც ერთ მთხოვნელისაკენ არ მიუწევდაო. მამამისის სიკვდილის შემდეგაც ყოველ ვაჟკაცს უყურადღებოდ სტოვებდაო. მაგრამ მთაში მოვიდა ერთი ვაჟკაცი სხვა მხრიდან, ახლანდელი ბაგრატ მეფის საქმის განმმტკიცებელი, რომელიც სამი წელიწადი იბრძოდა თავისი რაზმით ამ მხარეს. ბინა დედაჩემის არემარეზე ჰქონია დადებული. ის იბრძოდა თურმე და დედაჩემიც არ ჩამოუვარდებოდა არ ბრძოლაში თავისი შინაყმებით საქმეს უჭირებდა ბაგრატის მტრებს. შეჰყვარებია დედაჩემს ეს ვაჟკაცი, მასაც — დედაჩემი, მაგრამ შეუღლებას ერიდებოდა ვაჟკაცი. თანამეცხედრე და შვილი ჰყოლია იმ კაცს. დედაჩემიც იტანჯებოდა, ის ვაჟკაციც. დედაჩემს მოუღია ბოლო ორივეს ტანჯვისათვის.

შეუღლებია დედაჩემი იმ ვაჟკაცს. მას თურმე ეძნელებოდა დედაჩემის თავის დანებება, მაგრამ მე გავჩენილვარ და ის წასულა დედაჩემის სახლიდან. დედაჩემს გული არ გასტეხია. მეც მზრდიდა და ქვეყნის დამრბევ ხალხსაც ებრძოდა. იაკობმა გადმომცა: თქვენ ციხე-დარბაზს ბევრი უკრეჭდა კბილებს, მაგრამ დედაშენი ძალზე მხნედ ებრძოდა ციხე-დარბაზის მსურველთ და ციხე-დარბაზი უვნებელი რჩებოდაო. ხალხი ამბობდა დედაშენზე: აი, ქალი ისეთი უნდა, როგორც არმაზელიაო...

— რაო, არმაზელიო? — შეეკითხა გურსის ნინოწმიდელი.

— დიახ, მეუფეო! დედაჩემი არმაზელის გვარეულობისა ყოფილა. იქ საკუთარი ტაძარი ჰქონიათ არმაზელთ. მე კი არ მახსოვს. არმაზელთა ციხე-დარბაზს მთიდან ჩამოსული მეკობრე ტომნიც ესხმებოდნენ. დედაჩემი ამათაც უმკლავდებოდა. თვითონ იჯავშნებოდა თურმე და პირადად უძღოდა უგვანი ხალხის მოსასვრელად. რისხვა ყოფილა ეს ადამიანი, რისხვა სარბეველად მოთარეშე ხალხის, მაგრამ მაინც ამ ბნელ ძალებისაგან მოისპო, თქმა არ უნდა, გამცემის წყალობით. მძულს ყველა მეკობრე ერი თუ კაცი და გამცემი. იაკობმა ვაჭრობა შემასწავლა, იარაღის ხმარებას კი ვსწავლობდი იაკობის ჩუმად ყოველ ქალაქში, სადაც კი გაჩერება გვიხდებოდა ვაჭრებს. ველოდი წინამძღოლს, რომ შური მეძია ყოველ მეკობრეზე, ყოველ ბნელ ძალაზე.

— მაშ არმაზელი ხარ დედით? — შეაწყვეტინა გურსის ნინოწმიდელმა. სიტყვა არმაზელი ერთი-ორჯერ გაიმეორა და გაიხსენა სურათი: ბრძოლა თავდამსხმელ მეკობრე დიდებულის რაზმთან და ამ რაზმში თავდავიწყებით შეჭრილი თავისი მამა არჩილი.

„ქართლიდან რომ დაბრუნდა, სულ ასე იბრძოდა თავგამეტებით. თითქოს სიკვდილს ეძებდა. სიფრთხილე ავიწყდებოდა მამაჩემს“. — ამბობდა თავისთვის ნინოწმიდელი და თან გონების თვალით წარმოიდგინა მამის უკანასკნელი ბრძოლის სურათი, როცა სასიკვდილოდ დაიჭრა ის და გაიხსენა, თუ თვითონაც როგორ გააფთრებული დატრიალდა მეკობრეთა შორის მამის გადასარჩენად. გაიხსენა ფერისი — თავისი შინაყმა, მასთან ერთად მეკობრე აზნაურთა მმუსვრელი. გაიხსენა ამ აზნაურების მიფანტვა-მოფანტვა და დაჭრილი მამის საკაცით შინ წამოღება.

— შვილო! — გაუმეორდა ყურში რეეყოფილს ჯერ მამის სუსტი ძახილი და შემდეგ კიდევ ორი სიტყვა მისგან წარმოთქმული ნაწყვეტ-ნაწყვეტად: გრაგნილი არმაზელიო და მეტი არაფერი.

— აზრის დამთავრება აღარ დასცალდა რევყოფილის მამას: შინ მიცვალებული მოასვენეს.

მამა დაასაფლაჯა. მამის დასაფლავებას დადარდიანებული დედის ლოგინად ჩავარდნა, სიკვდილი და დასაფლავება მოჰყვა. სევდიან რევის აღარ გახსენებია მაშინ მამის ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვები და აღარ გამოსდგომია მათ გაძორკვევას. არ გადაუთვალიერებია მისი გრაგნილები. გურსმა ახსენა გვარი არმაზელი და რევყოფილს გული სინანულით აღეესო, რომ დაივიწყა მამის უკანასკნელად წარმოთქმული სიტყვები. ტყუილად ხომ არ ახსენებდა მამამისი წიგნს? ჩანს, რაღაც სტანჯავდა, სული ეხუთებოდა, რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ველარ მოასწრო.

ნინოწმიდელს ნინოწმიდაში ჰქონდა მამის გრაგნილები, პატარა ყუთში შენახული: „მივალ და გადავათვალიერებ. ამ გურსს რამ თილისმა ჰკიდია მკერდზე, იმასაც გავსიჯავ. არმაზელია ხომ ესეც. ამის არმაზელობამ არ ამიშალა ეს დარდები! ნეტავი მენახა იაკობი როდისმე!“

— როდის გარდაიცვალა შენი მამობილი, — ჰკითხა გურსის ნინოწმიდელმა. — რაიმე გრაგნილები ხომ არ დარჩენია.

— არა, მეუფეო, — უპასუხა გურსიმ. — მამობილს ჩემი მშობლისა რომ ჰქონოდა რამე, გადმომცემდა, როცა წამოვიზარდე.

„ისევ მამაჩემის რომელიმე გრაგნილი თუ მეტყვის რამეს, — გაიფიქრა ნინოწმიდელმა. — არმაზელიო, გრაგნილიო, წამოიღაღადა მამაჩემმა რაღაც უნდა ეთქვა ჩემთვის და ვერ შესძლო მომაკვდავმა...“

ნინოწმიდელს თავისდა უნებლიეთ რატომღაც გურსის ვინაობის გამორკვევის აზრი აეკვიატა. გურსის არმაზელობა მამისაგან სიკვდილისას თქმულ სიტყვებს დაუკავშირა.

მეუფე მამის საიდუმლოების განჭვრეტას ფიქრობდა და თან სიფხიზლეს არ ჰკარგავდა. თვალ-ყურს ადევნებდა გზას, მის მიდამოებს, ბნელ ადგილებსა. მასვე ჰბაძავდნენ მისი მცველები და მთელი რაზმი. ვაჭრებიც ფხიზლობდნენ. ამათ თავიანთი საქონელი აფიქრებდათ. კაწარელსა და რუსთველს კი თვალები ელულებოდათ. ამ ორმა მღვდელმთავარმა ვერ შეამჩნია, რომ დილის სისხამი მის ბინდ-ბუნდს ანელებდა, რომ რაზმიანად ყველანი გარე კახეთში გაჩნდნენ. აი კიდეც შეერია რაზმი ნინოწმიდელის სამწყსოს სოფლების ველებს...

რომელიღაც სოფლიდან საშინელი ხმაური მოისმა. რაზმს არ დაუყოვნებია, წამსვე ხმაურის კვალს მიჰყვა. მხედრებმა ცხენები ააჩქარეს. :

ნინოწმიდელი მცველებიანად და რაზმიანად სოფელში შეიჭრა. —აქ სოფლის მამაკაცთა გუნდი შესტაკებოდა მეკობრეთა კარგა მოზრდილ რაზმს და წინააღმდეგობას უწევდა. მალე მოისპობოდნენ გამბედავნი, მათ ბედზე მაშველი რომ არ გაჩენილიყო.

ნინოწმიდელი ოავისიანებით მებრძოლთა შორის შეიჭრა. მისმა რაზმმა სოფლელთა გუნდი ბრძოლიდან გარიყა. ნინოწმიდელი თვითონ ეკვეთა თავისი რაზმით მეკობრეთა რაზმს.

ერთი უზარმაზარი მეკობრე გამოეყო რაზმს და წინ მოქცეულ გურსს შეებრძოლა.

— ნინოწმიდელო, მზად იყავი! — შესძახა მოწინააღმდეგეს მეკობრემ. — საიქიოს უნდა გაგისტუმრო!

— მაგასაც ვნახავთ! — უპასუხა გურსიმ მოპირდაპირეს და თვითონაც შეუტია.

რევყოფილს კი მახვილი აღარ აღუმართავს, არც არავინ შემობრძოლებია, არც თითონ დაუნახავს საჭიროდ ბრძოლაში ჩაბმა. მისი მხედრობა უმისოდაც მაჯვედ უსწორდებოდა თავდამსხმელთ. რევყოფილი უმზერდა გურსისა და ვინმე მეკობრე ბუმბერაზის ბრძოლას და აოცებდა მისგან წარმოთქმული სიტყვები, გურსის რომ მიმართა. ტანის ნაკვთებითა და ბრძოლაში თავდაჭერით აბჯრიანი გურსი ჩემი ასლიაო, ფიქრობდა მლვდელმთავარი და არ იცოდა, რას ნიშნავდა ეს.

გურსიმ ძირს დასცა მოპირდაპირე, ზარადი აჰგლიჯა, მკერდზე ფეხი დაადგა და ნინოწმიდელს შესძახა:

— გამარჯვებას გილოცავ, მეუფეო!

გამარჯვება უდავო იყო. თუ გურსიმ მეკობრეთა წინამძღოლი დასცა მიწაზე, დაჩიმ, თვალისმა და სხვა სამღვდელმთავრო რაზმელებმა მეკობრეთა გუნდები მიფანტ-მოფანტეს და ამოჟლიტეს.

დაჩიმ და თვალისმა იცვნეს ზარადაგლეჯილი მეკობრე. ეს იყო იაზონ ცალქალამანიძის მარჯვენა ხელი, შლეგიანად წოდებული.

— მაგას... ერთხელ, გახსოვს, დაჩო, აი იქ მეკობრეთა რომელიღაც რაზმი ანაზდეულად რომ თავს დაგვესხა? — დაიწყო თვალისმა. — ყველა ეფხიზლობდით, ყველამ მოვასწარით იარაღის აღება ხელში... არა, მაშინ ვიღაცამ გაგვცა, აქ არიანო, თორემ ჩვენ ვაპირებდით იმ რაზმზე თავდასხმას, თუმცა თვითონ დაგვასწრეს, მაგრამ ვერა გააწყეს

რა. ჰო და, ალბათ იმ გამცემს, ახლა ვფიქრობ, ონოფრესთვის ხმალი და სხვა იარაღიც აეცალა. ჰო, და, შლეგიანმა სწორედ უიარაღო ონოფრეს შემოუტია. იცოდა, რომ იარაღიანს ვერას დააკლებდა, გგონიათ, ონოფრე შეუშინდა? გარეული ტახივით შეეტოქა მაგ შლეგიანს. უშველებელი ლოდი რომ ამოიდო თაკქეშ ძილის დროს ონოფრემ, ხომ გახსოვს, დაჩო? დაავლო, კაცო, ხელი ამ ლოდსა და ბურთივით აიტაცა მაღლა. მაგ შლეგიანმა დაასწრო და მახვილი დაუშვა იმის თავზე. მახვილი კიდევ ონოფრესაგან შეგებებულს ლოდს მოხვდა და გადატყდა. მე ამ დროს, ერთი დამთხვეული ჰყავდა ცალქალამანიძეს, იმას ვებრძოდი რომ დაინახა შლეგიანმა, ონოფრე ლოდით ახლა კი თავისუფლად გამისწორდებაო, შეშინებულმა მოკურცხლა. მისმა გაქცევამ გადაწყვიტა რაზმის დამარცხებაც. ისეთი დაუნდობელი ვინმეა ეგ ძაღლის ნაწილი, რომა...

— დაუნდობელი იყო-თქო! — გაუსწორა გურსიმ თვალისს სიტყვა.

თვალისმა გადახედა მას და უცბად წამოიძახა:

— მართლა და, გურსო, როგორა ჰგევხარ ჩვენ მეუფეს, აი აგრე შეჭურვილი!

თვალისმა კიდევ დააპირა რაღაცის თქმა, მაგრამ ნინოწმიდელმა შეაჩერა და ბრძანება გასცა: დაჭრილები, მტრისა იქნებოდა თუ მოყვრისა, მოეკრიფათ და საკაცეები გაემართათ მათოვის. მკვდრები მიწისთვის მიებარებინათ და დაჭრილებიანათ ნინოწმიდის გზას გასდგომოდნენ.

მეუფის ბრძანება მალე შეასრულეს.

მზე უკვე შუბის ტარზე იყო წამოსული, როცა მღვდელმთავრები და მათი თანმხლებნი ტაძრის გალავანში შევიდნენ.

ნინოწმიდელმა რაზმს უბრძანა ბინა მოენახა დასასვენებლად, და დაჩისა და თვალისს კი უთხრა, ვაჭრები ბარგი-ბარხანით სადმე შესაფერის ადგილას მოეთავსებინათ, რუსთველსა და კაწარელს სასახლის მეორე სართული დაუთმო, გურსი კი თავისთან დაიტოვა და სენაკში შეიწვია.

ნინოწმიდელს ეჩქარებოდა გურსის თილისმის გასინჯვა. იმედოვნებდა, თილისმა მართლა თილისმობას გამიწევსო, და გურსის გარშემო შექმნილ საიდუმლოებას რამდენადმე მაინც ფარდას ახდისო.

პირისპირ დარჩნენ რეეყოფილი და გურსი.

— გურსო, ზოგიერთმა მოვლენამ ამ ხანმოკლე შეხვედრისას დამანახვა, რომ რაღაც საიდუმლო ძაფები გაიბა ჩვენს შორის. თუ რა არის

ეს, ახლა ამის გაგებას ვესწრაფი და ნუ ჩამომართმევ კადნიერებად, თუ მოგთხოვ, მკერდზე დამალული თილისმა მაჩვენე მეთქი.

გურსიმ უსიტყვოდ გადიძრო ჯაჭვანი. თვითონაც გრძნობდა, რომ მართლა რაღაც ძალა ეწეოდა ნინოწმიდელისაკენ. ჭერემშივე იგრძნო ეს პირველად, როცა ნინოწმიდელმა თვალი გადაჰკრა მის აღნაგობას.

ახლა კი, როცა ჯაჭვანი გადიძრო გურსიმ და პერანგის ამარა დარჩა, რაღაც თავისი, სასანიანური, დაინახა მღვდელმთავარმა გურსის აღნაგობაში და მისმა გულმა უფრო ძლიერად გაიწია გურსისაკენ. გურსმა თილისმად წოდებული მოიხსნა და უთქმელად გადააწოდა ნინოწმიდელს. ნინოწნიდელი შეკრთა, პირჯვარი გადაიწერა. „ეს ხომ ხატის ის ბუდეა, ნანამ რომ მოუქარგა მამაჩემს მაშინ, როცა მე და ნანა ჯერ კიდევ დაწინდულები ვიყავით, — გაიფიქრა რევყოფილმა, მაგრამ მალე ხელი ჩაიქნია, — არა, მეჩვენება. სად არმაზელთა სამკვიდრებელი, სად მამაჩემი? — მერმე? — შეეკითხა საიდუმლო ხმა. — მამამ რომ წარმოთქვა თავის სიკვდილის წინ სიტყვა: არმაზელიო?“..

ბუდის ცალ მხარეს ვერცხლის მკერდით ჯვარპატიოსანი ამოექარგა ხელმოსაქმეს და მეორე მხარეს — წმიდა არჩილი.

„არა, არა, ეს ნანას ხელითაა ნაქარგი“ — უკვე დარწმუნებით თქვა რევყოფილმა. — მე თვითონ დავუხატე ნანას ჯვარპატიოსანიც და წმიდა არჩილიც. ჩემი დახატულის მიხედვითაა ამოქარგული ყველაფერი ამ ბუდეზე“.

რევყოფილმა მოკრძალებით გაარღვია ბუდის საგანგებოდ მტკიცედ გაკერილი პირი. შიგ ნახა ოქროს მინაით შესრულებული წმიდა არჩილის ხატი.

— მამაჩემის გულსაკიდი ხატი! — წამოიძახა რევყოფილმა თითქოს გულნატკენმა იმით, რომ ეს ხატი სხვის გულზე ნახა, და თან ნასიამოვნებმა, ახლა რომ მის ხელში გაჩნდა და გურის გადახედა.

— მეუფეო, არ მომიპარავს! — მიუგო გურსიმ გულდაწყვეტილი ხმით. — კარგად მახსოვს, დედაჩემმა დამკიდა გულზე ბუდეში რაღაც გამოკერილი. დედაჩემის სახსოვარია. მამა არ მახსოვს...

ნინოწმიდელს ყურს არ უღია გურსის ნაწყენი კილოთი ნათქვამი სიტყვები. გულისყური ხატის ზურგის წარწერამ წაართვა. კარგად ახსოვდა, რომ ეწერა: „ქ. წმ. არჩილ, წინაპარო სასანიანთაო, მეოხ და მფარველ ექმენ ჩემს ძესა პირმშოსა რევის“.

მაგრამ მღვდელმთავარმა მამის გულსაკიდ ხატზე სულ სხვა წარწერა დაინახა. არა, სულ სხვა კი არა, რამდენადმე შეცვლილი ზურგის ფირფიტა ასე იყო შეცვლილი:

„ქ. წმ. არჩილ, წინაპარო სასანიანთაო, მეოხ და მფარველ ექმენ ჩემთა ძეთა რევისა და გურსის“, — ამოიკითხა რევყოფილმა და განცვიფრებით დაუწყო ცქერა გურსის.

„მაშ ის ვაჟკაცი, ამ გურსის აღმზრდელის ნაამბობით, მთაში იბრძოდა ახლანდელი ბაგრატ მეფის უფლების გასამტკიცებლად, გურსის დედასთან რომ ჰქონდა ბინა სამიოდ წელს, მამაჩემი ყოფილა! — უთხრა თავის თავსა ნინოწმიდელმა. — მაშ, მამაჩემისა და არმახელი ასულის ერთი წლის შეუღლების ნაყოფი ეს გურსია, როგორც ვხედავ“.

განცვიფრება აღშფოთებად შეეცვალა ნინოწმიდელს.

„მამას, არჩილს, დედაჩემისათვის უღალატნია! — გაურბინა თავში მღვდელმთავარს, — დედაჩემი კი იმას ჩაყყვა სამარეში“.

რევყოფილს გაახსენდა, თუ როგორ არიდებდა პირს არჩილ სასანიანი თავის მეუღლეს, როცა ქართლიდან დაბრუნდა.

„მე ჩემ მეუღლეს მკვდარსაც არ ვუღალატე, — განაგრძო ფიქრი არჩილ სასანიანის შვილმა. — მამაჩემმა კი ცოცხალ მეუღლეს უღალატა! მამაჩემს შვილი ვყავდი უკვე ცოლიანი, მაშინ ორმოცდა ხუთი წლის იქნებოდა მამაჩემი... დედა — ორმოცისა, დაავადებული... უყვარდა მამას დედა... მაინც ღალატისაკენ ფეხი გადადგა. მე მკვდარსაც არ ვუღალატე...“

„მერმე გქონდა შემთხვევა, შენი მეუღლის სიცოცხლეში, ცთუნებისა?“ — წასჩურჩულა რევყოფილს საიდუმლო ხმამ.

იოანე, ბერად ქცეული რევი, შეკრთა ამ შეკითხვაზე...

გაახსენდა ალავერდობა. მაშინ ცოლიანი იყო, მაგრამ ახალგაზრდა, მარულაში მონაწილეობას იღებდა და ხორნაბუჯელის ასული ნახა. პირდაპირ დაატყვევა ამ ასულმა... თუმცა თვითონაც კი უფრო მეტად დაუტყვევა გული ასულს... მაგრამ არ გაეკარა ახლოს რევი სასანიანი ხორნაბუჯელს. დასძლია ხორციელის წადიერება.

„მერმე? — წასჩურჩულა სასანიანს ისევ საიდუმლო ხმამ. — ხორციელი ნაბიჯის გადადგმაა დანაშაული მხოლოდ, მონაზონთა სამყაროს ადამიანო? თვით აუსრულებლად დარჩენილი, ადამიანში მხოლოდ აღძრული წადიერებაც ხომ დანაშაულად ითვლება?.. რა უფლება გაქვს, რომ

ჰკიცხავ მიწიერი სურვილების დასაკმაყოფილებლად გულწრფელი ნაბიჯის გადამდგმელ აღამიანს? ხომ გიმზერდა ხორნაბუჯელი მშვენიერება, ხომ შენც უმზერდი ამ მშვენიერებას? განა ყველა ჰფლობს თავის ხორციელ არსებას ისე, რომ აღძრული სურვილები არ დაიკმაყოფილოს?“

ნინოწმიდელი დიდხანს იყო ჩაფიქრებული და გაოგნებული.

გურსიმ უხერხულობა იგრძნო, არამცთუ უხერხულობა, — სულიერი შიშიც და ძრწოლაც კი შეეპარა მის გულს.

„დამწყევლის!“ — გაიელო გულში არჩილ სასანიანის მეორე შვილად მხილებულმა ადამიანმა.

ხუმრობა ხომ არ იყო, ქრისტიანისათვის მღვდელმთავრის წყევლა!

— ჩანს, რაღაც საშინელება მიტარებია მკერდზე, — ჩაილაპარაკა მან. — იქნებ დავისაჯო ღმერთისაგან მაგისათვის. ალბათ, არ შემინდობს ღმერთი ამ საშინელებას.

ამ სიტყვების განწირულმა კილომ ნინოწმიდელს ტანში ჟრუანტელი მოგვარა და მოულოდნელად ატეხილ აზრთა შეჯახების ქარცეცხლი გაუნელა. სახეზე ლმობიერება აღებეჭდა. გურსის დამშვიდების ძლიერი სურვილი აღეძრა და გული ნათესაური სიყვარულით აუმეტყველდა.

რევყოფილი ალაპარაკდა:

— რატომ უნდა ზღო შენ სხვისი ცოდვა? — მიმართა გურსის, — ცოდვის შვილი ხარ, მაგრამ მაინც ძმად უნდა გიცნო. ყური დამიგდე, — წარწერა ხმამაღლა წაუკითხა და თან დასძინა: — ჩემი ძმა ხარ, უეჭველია, თუმცა სხვა ქალისაგან ნაშობი. ჩანს, ღმერთს ჰსურდა შენი გაჩენა, რომ შენი დედის ოჯახის აოხრებისას შენ არ დაგღუპა, პატრონი გამოგინახა და გააზრდევინა შენი თავი.

რევყოფილმა წელზე ხელი მოჰხვია შემთხვევით ძმად მხილებულ ადამიანს, შუბლზე აკოცა და დაურთო:

— შენ ჩემთან უნდა დაიდო ბინა, გინდ აქ, გინდა უჯარმას. არმაზელი ხარ, მაგრამ ხატი ჰმოწმობს, სასანიანთა სისხლი ჩქეფს შენს ძარღვებში. მართალია, თითქმის გავაღარიბე ჩემი ოჯახი. ჩემი და შენი ქონების მეტი წილი მტერს მიერთვა ჩვენი მხარის გადასარჩენად, მაგრამ გვარს იმდენი აქვს, რომ კიდევ იარსებებს შენთან ერთად.

— მე თავს ვერ დავანებებ ქარდილაის, — წყნარად უთხრა გურსმა, — სანამ ცოცხალია. სიღარიბისა კიდევ არ მეშინია: მდიდარი ვარ.

— იშვიათი მამა ჰყოლია მაგ ქარდილაის. თვითონაც, ეტყობა, კარგი ვინმეა, — უთხრა ნინოწმიდელმა. — ნინოწმიდაში ვართ ახლა, შენ ჩემთან წამოგიყვანე და ის, ვინ იცის, უშენოლ ვერ ისვენებს...

— ოჯახი არა გყავს? — ჰკითხა რევყოფილმა და მიიღო მოკლე პასუხი: არაო.

— იქნებ ახლა მოეკიდო ოჯახს?

— ჩემი ნატამალები არმაზელები იქნებიან, — მიუგო გურსიმ ნახევარძმას.

არმაზელი ფეხზე წამოდგა.

— ამ ხატის ანდერძს რა პასუხს აძლევ? — შეეკითხა დაღონებით ნინოწმიდელი. — შენ რომ შეიგნო, ჩემთვის კი ნათელია, როგორ უყვარდა მამაშენს!.. დედაჩემს დიდ პატივს სცემდა მამაჩემი, აღმერთებდა, მაგრამ დედაშენის არემარედან რომ დაბრუნდა, ესეც ახლა გახდა ნათელი ჩემთვის, დედაჩემს პატივისცემას არ აკლებდა, ეს მართალია, მაგრამ ყოველ ბრძოლაში სიკვდილს ეძებდა და ეწია კიდეც ქვეყნის დაქსაქსვის მოსურნეებთან ერთ-ერთ შეტაკებაში: მძიმედ დაიჭრა, რაღაცის თქმას ეპირებოდა, ვერ ამბობდა. ბოლოს მომაკვდავმა, ძლივს, როგორც იყო, მოახერხა: „წიგნი არმაზელი-ო“ , წარმოთქვა და სამუდამოდ პირი მოკუმა. თუ რას ნიშნავდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოთქმული ეს სიტყვები, ისევ და ისევ ახლა იქნა ჩემთვის ნათელი. ძმაო ჩემო, უმცროსო ძეო მამიჩემისავ, შენთან ერთად გადავიკითხავ მამაკვდავის პირით ნახსენებ წიგნს. შენთან ერთად მოვისმენ მამიჩემის ანდერძს.

ნინოწმიდელს ძლიერი სურვილი აღეძრა, გურსი სწორედ სასანიანად გამოცხადებულიყო. სასანიანთა გვარის, ჯანღონით სავსე ვაჟკაცი გვარს გაძლიერებას უქადდა. ძვირფასნი იყვნენ მისნი შვილნი მისთვის, მაგრამ მამამისის შვილიც, ჯვარდაუწერელი ცოლისაგან ნაშობი, ძვირფასი გახდა რევყოფილისათვის. პირველ დანახვისას მხოლოდ მიიზიდა ვაჭარმა გურსმა ნინოწმიდელის გული, ახლა კი გარკვეული ძმური სიყვარულით დატვირთა. ნინოწმიდელს ისიც კი მოსწონდა, რომ გურსი დედას არ ივიწყებდა, არ ივიწყებდა ებრაელ გამზრდელსაც.

გურსიც გრძნობდა, რომ ნინოწმიდელი მის გულს ატყვევებდა და იგონებდა დედას, იაკობს და თავს იკავებდა, რომ ძმის სიტყვაზე მისთვის სასურველი ნაბიჯი არ გადაედგა.

ჯავშნის გადაცმას შეუდგა არმაზელთა და სასანიანთა ჩამომავალი, ბედის დახლართვით ვაჭრად ქცეული.

ნინოწმიდელმა შეაჩერა გურსი.

— ჯავშანს ნუ იცვამ! — უთხრა ძმას და მიაწოდა თავისი საერო სამოსელი, რომელსაც თავი მიანება მონაზვნად აღკვეცისას და სენაკში ინახავდა. — ეს ჩაიცვი. ჯავშანს თავი ანებე, მალე ვისადილებთ. ჩემი ძმა ჩემთან უნდა იყოს სადილზე. ეს ტანსაცმელი მე მეკუთვნის, მონაზვნად რომ აღვიკვეცე, არ გადამიგდია. ვინახავდი სახსოვრად. ეს ჩაიცვი! — გაუმეორა ბრძანების კილოთი.

გურსიმ ბრძანება აასრულა. ნინოწმიდელი გაოცდა. გაოცდა თვით გურსიც. თითქმის მის ტანზე იყო შეკერილი ტანისამოსი.

სენაკის კარზე ვიღაცამ დააკაკუნა.

— შემოალე კარი, — გასძახა ნინოწმიდელმა.

კარი გაიღო და ზღურბლზე ქარდილაი შემოდგა.

— გურს! ხომ ერთად წავალთ? — აღელვებით ჰკითხა მან.

არც კი შეუნიშნავს, რომ გურსი სხვის სამოსელში იყო გამოწყობილი, ისე აღელვებდა, გურსისა და ნინოწმიდელისათვის გაუგებარი, მასში აღძრული შიში.

— მაშ, მაშ! — უპასუხა გურსიმ აჩქარებით. — მეფეს გავყვებით, წავალთ რუსთავს, კაწარეთს, მერმე უჯარმას...

— არა, არა! — შეაწყვეტინა ქარდილაიმ. — ხორნაბუჯს ხომ წავალთ ერთად.

— წავალთ! — დაუდასტურა აღმზრდელის შვილს გურსმა.

5

მზე შუადღის სიმხურვალით დასცქეროდა უჯარმის არემარეს, როცა კაწარეთიდან წამოსული იოანე ნინოწმიდელი, ჭერემში ადევნებულ ვაჭრებთან ერთად, თავისი წალკოტის გალავანს მიუახლოვდა. რევყოფილს გული აუძგერდა. ოდნავ გავაკებულ ფერდობზე შეფენილი წალკოტი, გალავნის გარს შემორიგებული მაღალ-მაღალი ვერხვები, მუდმივად მთრთოლვარე ფოთლებით სალამს ეუბნებოდნენ წინასწარ, ოჯახის ნაცვლად, და აამებდნენ. ამ სალამს მოსდევდა კიდევ მირანდუხ-

ტის, ველთასი და პატარა რევის გამოგებება. რევყოფილი ნატრულობდა ბაქარის დახვედრასაც. სასანიანს თან მოყვებოდა ძმა, ძმა ახალგაზრდა, ბაქარზე ოთხი წლითა და მირანდუხტზე ცამეტი წლით უფროსი. სურდა ყველას ერთად გაეცნო მისი უმცროსი ძმა.

„იქნებ მართლა ბაქარიც აქ არის!“ – გაიფიქრა ნინოწმიდელმა და დაჩი დააწინაურა: მახარობლობა უნდა გაეწია ფერისის შვილს რევყოფილის ოჯახისათვის.

თვალის არჩვიაძე კი ზურგუკან მოსდევდა ნინოწმიდელს, ცოტა მოშორებით – დაქვეითებული რაზმი და ვაჭრები. გურსს გვერდიდან არ იშორებდა ნინოწმიდელი. მღვდელმთავარს ჯერ გული ატკინა ოდესღაც მამის მიერ თავშეუკავებლად გადადგმულმა ნაბიჯმა, მისმა უკანონო შეუღლებამ არმაზელის ასულთან, მერმე გრაგნილის ჩაკითხვამ დაუამა და აღიქმევნა:

– დიახ, ცოდვაა ჩადენილი. მაგრამ ეს არაა ქურდობა, ეს არაა ქვეყნის გაყიდვა, გაცემა, ეს არაა გარყვნილობა, ეს მხოლოდ მიწის ბრძოლაა სულთან, ეს არის სულის სიყვარულზე მიწიერის გამარჯვება. ეტყობა, მამაჩემს ეპატია ეს ცოდვა, რომ მეორე ვაჟი უპატრონოდ დარჩენილი წამოეზარდა.

ნინოწმიდელს ნატკენი გაუმთელდა და ძმას ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე უალერსოდ არ სტოვებდა. რევყოფილს აღარ ეუცხოვებოდა, რომ მას ძმა ჰყავდა ბაქარზე ოთხი წლით უფროსი. შვილების სიყვარულით აღვსილი მისი გული ძმის სიყვარულსაც ითავსებდა. გვერდით მისდევდა ახლადაღმოჩენილი ძმა და ეს ახარებდა.

ნინოწმიდელმა რუსთველსა და კაწარელს არმაზელთა ნატამლად გააცნო გურსი. საჭიროდ არ სცნო ჯერჯერობით დანარჩენი მისი ამბის გამომჟღავნება. რუსთველსაც და კაწარელსაც არსებაში გასჯდომოდათ ორმა მხცოვანობის გულგრილობა და ცნობისმოყვარეობა არ გამოუმჟღავნებიათ, გურსისა და ნინოწმიდელის ერთმანეთის მსგავსება არ გაუოცებიათ. დაჩი და თვალისი კი ეკითხებოდნენ ერთმანეთს, სად ჩვენი მეუფე ნინოწმიდელი, სად გურსი ვინმე ვაჭარი, რომ ასე ჰგვანან ერთმანეთსაო, და მერმე, ნინოწმიდელი რომ არ იშორებს გვერდიდან ამ ვაჭარს, ეს რას ნიშნავსო. დაჩიც და თვალისიც მთელ ამ მგზავრობისას, მეკობრეებზე გამარჯვების მერმე, სულ გურსის საიდუმლოებაში ჩაწვდო-

მას ლამობდნენ. მიუახლოვდნენ სასანიანთა წალკოტის გალავანს. დაჩი დაწინაურდა და მარტო დარჩენილ თვალისს არც ადგილი შეუცვლია ნინოწმიდელის უკან და არც ფიქრი შეუწყვეტია.

კაწარეთიდან წამოსული ნინოწმიდელი რამდენიმე ხანს გურსის სევდისაგან მონისლული თვალებით უცქეროდა. ნინოწმიდაში გაჩხრიკა სასანური ყუთი და ნახა მამის დაწერილი გრაგნილი. მამა მოუთხრობდა შვილს ყველაფერს: თავისი ცოდვიანი ნაბიჯის გადადგმის ამბავს. გრაგნილმა გადაუშალა რევის მამის ბრძოლა მთანგავ სიყვარულთან, რომელიც აღეძრა მამის გულში თავისი გმირობით თარხონ არმაზელის ასულ მზისიერს. გრაგნილი ემუდარებოდა რევის, არ გაეკიცხა მზისიერი, ქალი გმირი და ზნეობით აღსავსე, დახმარებოდა როგორც დედას და ხელი არ ეკრა ამ ქალისაგან ნაშობი მამის ნატამალისათვის. მამა არჩილი სთხოვდა რევის, ძმად გაეზარდა პატარა გურსი. ეს პატარა გურსი კი, უცხო ხელის ზრუნვით დავაჟკაცებული, ახლა აგერ მოსდევდა გვერდით ნინოწმიდელს.

— მამის სურვილი, მამის ანდერძი და დავალება მინდა ავასრულო, ჩემო ძმაო, — მიმართა ნინოწმიდელმა გურსის ნინოწმიდაში იმ გრაგნილის გადაკითხვის შემდეგ. ასევე მიმართა ახლა თავის წალკოტში ფეხშემოდგმულმა და გაიგონა ისევ ნინოწმიდაში მიღებული პასუხი გურსისა.

— მე კი დედის სურვილი მინდა ავასრულო! კარგად მახსოვს, პატარას რომ მეუბნებოდა, არმაზელთა გვარის გამგრძელებელიო.

გურსი მტკიცედ იდგა თავის აზრზე, თუმცა ნინოწმიდელის სიყვარული მის გულს საფუძვლიანად მოსდებოდა. გურსს უხაროდა, რომ უთვისტომო აღარ იყო. ოცდაორი წლით უფროსი ძმა გამოუჩნდა და ოთხი წლით უმცროსი ძმისწული ვაჟი და ცამეტი წლით უმცროსი ქალი ეყოლებოდა, მაგრამ დედის სამკვიდრებელში დაბრუნება მაინც მტკიცედ გადაეწყვიტა.

— როგორ გგონია? — ჰკითხა ნინოწმიდელმა, — ჯერ მამისა და მერმე დედის სიკვდილით დადარდიანებულს რომ არ დამვიწყებოდა მამისაგან სიკვდილისას ნათქვამი გრაგნილი, არ წამოგიყვანდი პატარას ჩემთან?

— დედაჩემი არ დაგანებებდა ჩემს თავს, — მიუგო გურსიმ. — მჯერა რომ წამომიყვანდი, მაგრამ დედასაც ხომ არ წამოიყვანდი აქ, მის გულს კი ვერ მომგლეჯდი...

მღვდელმთავარს რაღაც უნდა ეპასუხნა, მაგრამ წალკოტს მირანდუხტმა გადმოხედა და გული სიხარულით აევსო. ყელთაც ამოუდგა გვერდში მირანდუხტს. მიირბინა დედასთან პატარა რევიმაც, შინაყმებიც გამოიშალნენ და მირანდუხტთან და ველთასთან მიიდნენ, ბაქარი კი არ გამოჩენილა და გული ეტკინა რევყოფილს.

შემომგებლებთან მისვლისას გურსი გაოცებული დარჩა. შარშანწინ ჯვარპატიოსნობას ნანახი სასანიანის ასული ახლა სულ სხვა იერით გამოიყურებოდა. არმაზელ-სასანიანთა ნატამალმა შორიდან დაასკვნა ასე და ძმისწულთან ახლოს მისულმა დაადასტურა თავისი დასკვნა. პირანდუხტის პირისახემ გურსს გაახსენა სპარსეთში შეძენილი ბეჭედი და ამ ბეჭედის თვალი – ოდნავ ამოკვეთილი თავი ქალისა. ღვთისმშობლის თავიაო, უთხრა გამყიდველმა ბეჭდის თვალზე გურსს. ვაჭარი – არმაზელთა ნატამალი, უბეში ატარებდა ბეჭედს: ბედსა მწვევს ღვთისმშობელიო.

გურსიმ ბეჭედი ამოიღო, თვალს დახედა.

ცნობისმოყვარეობით დაძლეული პატარა რევი გურსის სწრაფად მიუახლოვდა.

– ჩემი ია – წამოიძახა ბავშვმა, დახედა თუ არა ბეჭედს.

– ჰო, პატარავ, შენი ია, – დაუმოწმა გურსიმ და ძმას მიმართა: – აი იისფერი თვალები, თეთრი კანი პირისახისა, მისი ნაკვთები, თმანი წაბლისფერნი, მუქად გამომზირალნი ეს ხომ ნამდვილი მირანდუხტია!

რევყოფილს ყურში უცვიოდა გურსის სიტყვები და თან თავში ერთი აზრი უტრიალებდა: როგორ გაეცნო თავისი ოჯახი გურსისათვის.

მირანდუხტი და ველთამზე განცვიფრებით უცქერდნენ ვაჭარს, რომელიც ძალზე წააგავდა ნინოწმიდელს ტანისა და პირისახის მოყვანილობით. პატარა რევიმ კი ხელი წააელო კალთაზე და უთხრა, რა კარგი ხარო

გურსიმ ბეჭედი მირანდუხტს უთავაზა და თავის გადადგმულ ნაბიჯს სადად დასძინა:

– ძმისწულს – ბიძისაგანაო.

მირანდუხტმა რატომღაც უარი ვერ უთხრა საჩუქარზე უცხო ადამიანს, თავის ძმისწულად მის აღმსარებელს, მაგრამ რაღაც უცნაურად კი ატრიალებდა ხელში ნივთს.

– ეს ჩემს რძალს! – თქვა გურსიმ და ახლა ჯიბიდან ამოიღო

იშვიათი აღმოსავლური ყელსაბამი და ხელების სწრაფი ამოძრავებით მკერდზე ჩამოუგდო ველთაძზეს.

ნინოწმიდელი უცქეროდა გურსის მოქმედებას და იღიმებოდა. უხაროდა, რომ გურსიმ აჯობა, ძალიან უბრალოდ თქვა, ჩემს ძმისწულს და ჩემს რძალსაო, და ამასთანავე სასანიანთა გულუხვობაც გამოიჩინა, ხოლო იქვე მდგომი ფერისი, დაჩი და თვალისი ფიქრობდნენ, რა უფლებით უწოდა მირანდუხტს ძმისწული და ველთას რძალიო. ქალები გაშტერებულები იდგნენ. გურსმა საჩუქრების გაცემის ბოლოს პატარა რევი აიყვანა ხელში. რევმა არ იუარა.

— შენ ვინა ხარ? — ჰკითხა გურსის.

— პაპა! — უპასუხა ღიმილით გურსიმ და თვალებში აკოცა.

არმაზელი გრძნობდა, რომ ძლიერი ნათესაური ფესვები მაგრად ადგამდნენ ფეხს მის გულში. თვალებზე ცრემლი მოადგა.

ნინოწმიდელმა ისარგებლა.

— ახლა, საყვარელო ძმაო, ხომ დარჩები ჩვენს არემარეში.

გურსს გულში ეჩხვლიტა, ცრემლები სწრაფად შეაშრნენ.

— არა! დედის ანდერძი უნდა ავასრულო, ძმაო, — უპასუხა არმაზელ-სასანიანმა რევყოფილს და თავი დახარა.

მის ხელში შერჩენილმა პატარა რევიმ ალერსით მოუცაცუნა ხელი ლოყაზე. გურსიმ ხელი დაუკოცნა.

— შენ ვინა ხარ? — ჰკითხა კიდევ პატარამ.

— აკი გითხრა, პაპაო! — გასცა პასუხი შვილიშვილს ნინოწმიდელმა, გურსის ნაცვლად.

— პაპა ხომ შენა ხარ! — გამოედავა შვილიშვილი ნინოწმიდელს. — თეთრი თმა გაქვს.

— მეც შენი პაპა ვარ. გურსიც შენი პაპაა, — უთხრა დამაჯერებელი კილოთი ნინოწმიდელმა ბავშვს და ბავშვიც გაჩუმდა.

სამაგიეროდ მირანდუხტი და ველთა შემკითხველად მიაჩერდნენ ნინოწმიდელს. ასევე მოიქცნენ ფერისი, დაჩი, თვალისი: ბავშვს თუ ეხუმრებაო.

— გურსი ჩემი ძმაა! — წარმოთქვა რევყოფილმა. — ჩემი სიტყვა უნდა ირწმუნოთ.

შემდეგ ფერისს დააცქერდა დაჟინებით, თითქოს რიღაცის ჩაგონებას უპირებს შინაყმასა და თანაშეზრდილსო.

— იქნებ გაიხსენო მამიჩემისაგან სიკვდილისას წარმოთქმული ორი სიტყვა: — ჰკითხა ბოლოს მღვდელმთავარმა და ფერისმაც გაიმეორა: არმაზელიო, გრაგნილიო...

— დიახ, მართალია! — დაუმოწმა ნინოწმიდელმა შინაყმას.

— არმაზელიო... — გაიმეორა ფერისმა პირველი სიტყვა და ფიქრთა სავანისი ყოველნი ძალანი მოიკრიფა თვისი გარდაცვლილი პატრონის საიდუმლოების ჩასაწვდომად.

— აი არმაზელი! — მიუთითა ნინოწმიდელმა ფერის გერსიზე და ფერისმა მხოლოდ მაშინ დაინახა გურსისა და ნინოწმიდელის დიდი მსგავსება.

— მალე გაიგებთ, რატომაა გურსი ჩემი ძმა, — ამცნო ნინოწმიდელმა სხვებსაც.

ფერისი კი ხელზე ემთხვია გურსის.

ქალებმა განუმარტებლად ირწმუნეს ნინოწმიდელის სიტყვები. მირანდუხტმა ხელი წაავლო გურსის მკლავზე და ასე აჩვენა მამას, რომ მისი სიტყვა ირწმუნა. ცხენიც ჩამოართვა და თავისთან მუდამ მყოფ შინაყმას გადააბარა. ველთამ პალატისაკენ გაიწია. პალატის დერეფანში მოართვეს სტუმარს სკამი.

რევყოფილს გეერდით მოუსხდნენ ძმად გამოცხადებული გურსი და ასული მირანდუხტი. ველთა სადილის მომზადებისათვის ბრძანების გასაცემად გაემართა. პატარა რევი გურსს არ შორდებოდა. მალე ნინოწმიდელ თავის ოთახში შევიდა დასასვენებლად. გურსისთან მხოლოდ მირანდუხტი და პატარა რევი დარჩნენ. მირანდუხტი გურსის გამოელაპარაკა.

— ამ ბეჭდის თვალი უნდა იხდებოდეს არა, ბიძაჩემო? მის ქვეშ წმინდა ნაწილები ხომ არ არის?

გურსი შეკრთა. ახლა გაახსენდა, რომ ბეჭდის თვალი მართლა პატარა ფოსოს სარქველობას ეწეოდა და ფოსოში კი საშინელი შხამი ინახებოდა. ადვილად შეიძლებოდა, მირანდუხტს თავი მოეწამლა უცოდინარობით. ტანში ჟრუანტელმა დაუარა ახლადმოვლენილ ბიძას.

„მაშინ რაღა ვქნა, რომ ამ ოჯახში უბედურება დატრიალდეს? გაიფიქრა მან. — თავი ცოცხალი რაღად მინდა, რომ ასეთი ამბავი მოხდეს“.

— ბიძაჩემო, სახე რატომ გაგიფითრდა ასე? თუ რამ გაგახსენდა რაიმე მძაფრი და მტკივნეული ამ სოფლისა? — ჰკითხა მირანდუხტმა

მოულოდნელად ფერწასულ გურსის. — ჩვენი ცხოვრება ხომ ჭარბად გვასმევს მწარე ნაღველს!

— ძმისწულო, ძმისწულო! რაზე დაგღუპავდი, მე უბედური! — წამოიძახა არმაზელ-სასანიანმა მირანდუხტის პასუხად. — მომეცი, ჩქარა მომეცი ეგ ბეჭედი, რომ თვალს ამოვუსუფთაო ბუდე. შიგ შხამია, სპარსეთში დამზადებული, შხამი საშინელი! ერთი ნემსის ყუნწის ოდენაც რომ მოხვდეს ადამიანის სხეულში, რამდენიმე წამში გააქრობს. მომეცი და მერმე მართლა შიგ წმიდა ნაწილები ჩაასვენე.

— არა, ბიძაჩემო! — უპასუხა მირანდუხტმა ურყევი კილოთი, — მაგის ნებას არ მოგცემ. შენ მხოლოდ მასწავლე, როგორ აუხადო თვალისარქველი. ეს დრო სავსეა მოულოდნელი ამბებით. უბედურების მომტან შხამს ხშირად შეუძლია ადამიანის ხსნაც უბედურებისაგან შენ მხოლოდ მასწავლე, როგორ აუხადო სარქველი, მის ბუდეში შენახული შხამი იქნებ ოდესმე გამომადგეს.

მუდარით აევსნენ გურსის თვალები.

— ნუ გეშინია, ბიძაჩემო! — დასძინა თავის ნათქვამს მირანდუხტმა: — ჩემ თავს კი არა, ჩემს მტერს მოვშხამავ!

ამის გამგონე არმაზელ-სასანიანმა მორჩილებით დახარა თავი ძმისწულის წინაშე.

6

ერთი კეირაა, რაც გურსი სასანიანთა ოჯახში ბინადრობს ზედა სართულში. მასთანვე არიან ვაჭრები — ქარდილაი და ელიაზარი.

თავისი ძმის ოჯახი თანდათან შეუყვარდა ბავშვობიდან თვისტომთა ნათესაურ გრძნობებს მოკლებულ არმაზელს. პატარა რევი სულში უძერებოდა და ყოველ წამს ეუბნებოდა: ჩემო გურსო პაპაო. ძმისწული მირანდუხტი, რომელმაც ველთასთან ერთად გულდასმით ჩაიკითხა არჩილ პაპის გრაგნილი, მთლად დაეუფლა მის ნებისყოფას თავისი ზეადამიანური მომხიბლავი იერით. რევყოფილი მამობრივი გრძნობებით გაიმსჭვალა უმცროსი ძმის მიმართ. დაჩისა და თვალის არჩეიაძეს ერთხელ კიდევ გაუმეორა, ჩემი ძმაო, ერთი მამის შვილები ვართო, და ახალგაზრდა შინაყმანი მუდამ მზად იყვნენ გურსის სამსახურისათვის. ნინოწმიდელმა ფერისს უამბო, თუ ვისიული ხატი ეკიდა გურსის, გააცნო იმ ხატის

წარწერაც, გურსის გადმონაცემიც და გრაგნილში აღნიშნული მამის სურვილები. ფერისს დიდად მოსწონდა ეს მოყმე თავისი აღნაგობით და თავდაჭერით, ნინოწმიდელთან დიდი მსგავსებით.

ბერამ რაკი გაიგო არჩილ სასანიანის ახალი ნატამალი აღმოჩნდაო, მაშინვე თავისი კეტითურთ სასანიანთა პალატში გამოცხადდა. ახედ-დახედა გურსის და კეტი მიაწოდა, აბა თუ იცი კომბლის ხმარებაო.

გურსიმ მის დასაკმაყოფილებლად ერთი-ორჯერ შეატრიალა კეტი და ბერა განცვიფრებაში მოიყვანა.

— მე და ჩემმა ღმერთმა, ნამდვილი სასანიანი ყოფილა ეს! — წამოიძახა აღტაცებულმა ზენკალმა და თან ამცნო: — აგრე ატრიალებდა კომბალს მამაშენი არჩილი, აგრე ატრიალებდა რევი, მისი პირმშო, ახლა ჩვენი მეუფე ნინოწმიდელი, ბაქარიც, შენი ძმისწული. ერთი კომბალი უნდა გამოგიკვეთო ჩემი ხელით. ხომ ატარებ? თაცზე ამოვუყვან სასანიანთა სალოცავ წმიდანთა სახეებს.

ბერა ხელზე ემთხვია და აბჯრის დამზადებაც აღუთქვა.

ერთ დღეს ონოფრეც მოეელინა ახალ სასანიანს მთლიანად სველი და ამოლუმპული.

— უფლისწულო! აი ეს ძღვენი შენ, — უთხრა და წინ გოდორი დაუდგა. — გავიგე, ასეთი ძვირფასი სტუმარი რომ გვეწვიე და შენ ბედზე თევზს ფაცერი დავუგე იორში და აი რამდენი მოგიტანე. შენ მოჰკალი შლეგიანი, ჰა? გამექცა, თორემ, განა გადამირჩებოდა?

გურსიმ ახედ-დახედა ამ ამოლუმპულ არსებას, გაახსენდა წინანდელი ჯვარპატიოსნობა და ონოფრეს რკენა პირზარადიანთან. ეს ამბავი კარგად ახსოვდა გურსის. ძალზე მოსწონდა სასანიანთა ეს შინაყმა თავისი უბრალოებით.

— მაშ, შენ შეებრძოლე ლოდით იმ მეკობრეს? — ჰკითხა ღიმილით არმაზელმა ბაქარის ძიძის შვილს. — კაი ვაჟკაცი ყოფილხარ; შენი რკენა მახსოვს.

— შენც კაი ვაჟკაცი ჩანხარ, მე და ჩემმა ღმერთმა! — შეუბრუნა სიტყვა ონოფრემ. — ნამდვილი ჩვენი უფალი რევი ხარ. სანადიროდ არ გახვალ, განა? ჩვენ ტყეებში ტახები იცის. აი, იქითო — დააპირა თქმა ონოფრემ და წალკოტისაკენ მიიხედა თითის გასაშვერად, მაგრამ ამის ნაცვლად წამოიძახა, ბაქარიო. გოდორს თავი ანება და წალკოტისაკენ მოჰკურცხლა.

ონოფრეს დაყვირებაზე ყველა წალკოტისაკენ მიბრუნდა და დაინახეს მომავალი ბაქარი, ვარაზ-ბაკური და ცისკარაც. ამათ მალე მოჰყვნენ ვერხვის ჭინკაც, ამირან არჩვიაძე, გუგანი და ბოლოს გულადიც (ეს უკანასკნელი ერწოში წამოსწეოდა მათ, არაგვის ხეობიდან მომავალი).

ყველანი მოსულთ გაეგებნენ, მხოლოდ გურსი არ დაძრულა ადგილიდან. თუ მირანდუხტსა და ველთამზეს თავისუფლად გაუმხილა თავისი ვინაობა, ბაქარის დანახვაზე უხერხულობა იგრძნო და დერეფნის ბოლოში მიიყუჟა.

— ეი, მამიდაშვილო! — მოესმა მარტოდ დარჩენილ გურსის, — მოდი, ჰუნე ჩამომართვი, მეფეთ მეფის კარისკაცს.

გურსიმ იცის, რომ ეს ბასაა, ონავარი. ჯვარპატიოსნობას ნახა.

ბასა ონოფრეს აბრაზებდა. შარშანწინ მამის ოჯახიდან გაქცეული დღეს პირველად მოხვდა სასანიანთა სამკვიდრებელში, სადაც მამამისი, ძმა და დედა ბინადრობდნენ. მამამ ჩვეულებისამებრ სილა დაანახვა, მაგრამ ბასამ არაფრად ჩააგდო და კვლავ ოინებს მიჰყო ხელი. უბიდან ოფოფი ამოაძვრინა და პატარა რევის გადააწოდა.

—ეს რა არის? — ჰკითხა პატარამ.

— ოფოფი.

— სად იყო?

— სად იყო? — გაიმეორა ბასამ პატარას შეკითხვა და ონოფრეს თავზე მიუთითა: — აი აქა. კიდევ ჰყავს ბლომად ჩემს მამიდაშვილს და მამაშენის ძიძიშვილს.

— ეი, ჭინკავ! — დაუტია ონოფრემ და ბასასკენ გაიწია. მამიდაშვილს სურდა ბიძაშვილისთვის გვერდში მუჯლუგუნი წაეკრა. ხოლო მოულოდნელად ბასამ ცხენის სადავე ჩამოუგდო სამუჯლუგუნოდ აწეულ ხელზე: ჰა, და აი ასე უნდა მცე პატივი მეფეთ მეფის მცველსო, უთხრა, და სწრაფად ნინოწმიდელისკენ წავიდა. გარს მდგომთ სიცილი აუტყდა.

— შენ საიდანღა მოხვედი, ზარდიავ, მათთან ერთად? — მიმართა ბერამ ერთ ვაჟკაცს.

— ბოჭორმის წმიდა გიორგის ეშმაკი არ არის ო...? — ისმის პასუხად ბასას სიტყვები. — პირდაპირ ბოჭორმის წმიდა გიორგის კედლიდან დაგვაცხრა, მალრანეთზე რომ მოვდიოდით.

— ონავარო, შენი ტოლი იცოდე! — უტევს ბერა ბასას.

— მართალი ხარ, ბერა ძიავ! აბა რად უნდა გაეუყადრო თავი მე, მეფეთ მეფის მცველმა, ბოჭორმის ეშმაკს.

გურსი უცქეროდა ბასას, ისმენდა მის კვიმატ სიტყვებს, ხედავდა, როგორ ალერსიან სალამს უძღვნიდნენ ერთმანეთს დამხვდურნი და მოსულნი. თითოეული ნინოწმიდელისაგან კურთხევას იღებდა. ნინოწმიდელმა ბაქარი გადაკოცნა, გადაკოცნა ვარაზ-ბაკური, ვინმე ახალგაზრდა ასული, ვარაზ-ბაკურს რომ არ შორდებოდა, მეორე ვაჟკაცს, ამირანს რომ უწოდებდნენ, შუბლზე აკოცა. თვალისი გადაეხვია იმ, მართლა, ამირანს. ჰგავდნენ ერთმანეთს ორივენი. ძმანი ყოფილან. ბაქარი გადაეხვია დას, ცოლს, შვილს. ასევე მიესალმა ამ სამს ვარაზ-ბაკურიც და ვინმე ახალგაზრდა ასულიც, ვარაზ-ბაკურს რომ არ შორდებოდა. ფერისი, ბერა და სხვა ყველანიც მოიკითხეს ამ პირთ. გუგანს და იმ წარბებდასერილს, ზარდია რომ ერქვა, ხელზე ამთხვევინა ნინოწმიდელმა. გუგანმა და ზარდიამ თაყვანი სცეს მირანდუხტს: უჯარმის დედოფალი უწოდეს.

ბასაც მივიდა მირანდუხტთან. ვერხვის ჭინკას ხელზე უნდა ემთხვიენა უფლის ასულისათვის, თვალში ბეჭედი მოხვდა, გურსის ნაძღვენი, და მთხვევის ნაცვლად წამოიძახა:

— უფლის ასულო! საიდან გიშოვია? ეს სადაური ბეჭედია? — ბასას წამოძახილმა ყველას ყურადღება მიიქცია. მირანდუხტს გარს შემოეხვივნენ მოსულნი.

გურსი წამოდგა და დარბაზის კარისაკენ გაეშურა.

— ეს ხომ ძველ ბერძენთა ქალღმერთია ჭირნახულისა! — წამოიძახა ბაქარმა, შეხედა თუ არა ბეჭედის თვალს. — დემეტრას ეძახდნენ. ბერძნულის მასწავლებლისგან მაქვს გაგონილი... ვინ მოგცა, იავ?

— ბიძაჩემმა! — ღიმილით უპასუხა ბაქარს მირანდუხტმა.

ბაქარს გაუკვირდა, ამას რას ამბობს ჩემი დაო. და კი დერეფნისაკენ მიტრიალდა, მიტრიალდა ველთაც, ნინოწმიდელიც და ყველა დამხვდური. მათ მოსულთაც მიჰბაძეს.

გურსი დერეფანში ველარ დაინახეს. დერეფანს გასცლოდა. ნინოწმიდელი დაიძრა დერეფნისაკენ და უკან აედევნენ დანარჩენებიც. დერეფანში ყველანი დარბაზის კარის მოშორებით მოთავსდნენ. მირანდუხტი დარბაზში შევიდა სწრაფი ნაბიჯით. შვილს უკან ნინოწმიდელიც მოჰყვა, მაგრამ მალე დაბრუნდა, რევყოფილმა გრაგნილი გამოიტანა და ბაქარს გადასცა, წაიკითხეო, და ვარაზ-ბაკურზედაც უჩვენა, მაგასაც წააკითხეო.

მირანდუხტი დარბაზის მეორე სართულზე ავიდა, გურსი უნდა ენახა. გურსი თავის ოთახში იჯდა.

„რატომ ვგრძნობ ობლობას? – ჰკითხა თავის თავს ვაჟკაცმა. – რატომ? – ჩაეკითხა საიდუმლო ხმა და იმ ხმამ თვითონვე გასცა პასუხი გურსის გასაგონად. – იმიტომ, რომ აქედან გაცლა მოგიხდება. – მართალია, მართალი, – დაემოწმა გურსი, – გაცლა მომიხდება და ეს ხვდება ჩემს გულს. მირანდუხტი, ბაქარი, რომელიც დღეს დავინახე, როგორც ნათესავი, მისი მეუღლე თავისი პატარითურთ და ჩემი ძმა სხვა მათი ახლობელნიც ფეხს იკიდებენ ჩემს არსებაში, მაგრამ ჩემი მოვალეობაა... არა! ვერ დავძლევ ჩემს მოვალეობას. ხუთ შლეგიანს შევებმი, არც ცალქალამანიძეს გავექცევი, მაგრამ მოვალეობას ვერ ალვუდგები წინ, ვერა!“

ქარდილაიმ და ელიაზარმა გურსი სახემონისლული დაინახეს და გამოელაპარაკნენ:

– რა ამბავია? – ჰკითხა ელიაზარმა. – რატომ დაგღვრემია სახე?

– მართლა რა ამბავია? – მიმართა ქარდილაიმაც და თან მოკრძალებით დასძინა: – ხომ წამოხვალ ხორნაბუჯში?

ებრაელმა ალღოთი იგრძნო, რომ გურსის ახლად აღმოჩენილ ნათესავთა ბუდის დაგდება აფიქრებდა.

გურსი შეკრთა ამ შეკითხვაზე.

ამ დროს ოთახში შემოვიდა მირანდუხტი, მიუახლოვდა გურსის და ისეთი ალერსითა და ნათესაური გულწრფელობით დაადო მხარზე ხელი, რომ სიამოვნების ღიმი მოჰგვარა პირზე ბიძას. თითქოს ობლობის გრძნობა წამსვე გუქრა გულში.

– ხორნაბუჯში როდის წავიდეთ? – ჰკითხა შემკრთალმა ქარდილაიმ თავის მამის გაზრდილს. ქარდილაის ვერ წარმოედგინა უგურსოდ თავის თავი და მთელი ოჯახი. ისიც უხაროდა, რომ მის ნაძმევს დიდგვარიანი ნათესავები აღმოაჩნდნენ. თავიც მოჰქონდა ამით ელიაზართან, მაგრამ გურსი სასანიანთათვის მთლად ვერ დაეთმო. ხშირად აწუხებდა ის გარემოებაც, რომ ერთ დროს გურსი თავის საკუთარ ოჯახს მოეკიდება და ოდესმე მაინც გამეყრებაო. მისთვის ეს ამბავი ჯერ სახიფათო არ იყო. სახიფათო მოვლენას ამ მხრივ სასანიანთა გვარი წარმოადგენდა. ეს იყო მიზეზი, რომ გურსის წამდაუწუმ აგონებდა ხორნაბუჯში წასვლას.

ყველაზე ძლიერ ეშინოდა გურსზე მირანდუხტის გავლენისა. მოვიდა თუ არა მირანდუხტი გურსისთან, ებრაელს გული გადმოუბრუნდა. გურსიმ პასუხი დაუგვიანა და ებრაელმა ისევ გაუმეორა.

— გურსი, ხომ წავალთ ხორნაბუჯში?

— ზეგ, მაზეგ! ამაზე მეტს არ დავიგვიანებთ, ძმაო ჩემო! — უპასუხა მტკიცედ გურსიმ აღმზრდელის შვილს.

მირანდუხტმა ერთი გადახედა ქარდილაის და თავი დააქრევინა. გურსი კი თან გაიყოლია.

— რას ჩააცივდი, კაცო? — უთხრა უკმაყოფილოდ ელიაზარმა ქარდილაის. — ბავშვი ხარ, თუ რა არის? ღმერთმანი, ბავშვმა იცის აგრე, სირცხვილია, სხვა არა იყოს რა! გულისთქმას ძალიან ადვილად ჰყვები! მერმე, ცოლი რომ მოიყვანოს იმ შენმა გურსიმ, რას იზამ მაშინ.

ამ გახსენებამ ქარდილაის გული მოუკლა. ოცდაათი წლის ვაჟკაცს, აქამდე უოჯახოდ დარჩენილ გურსის ხომ დღე-დღეზე შეეძლო თანამეცხედრე მოეყვანა. დიახ, შეეძლო, ქარდილაი ადგა თავჩაქინდრული და გურსის კვალს გაჰყვა. უკან ელიაზარი აედევნა. ორივე დარბაზის კართან აიტუზნენ და იქიდან დაინახეს უკვე მათთვის ნაცნობი სასანიანთა ოჯახის წევრები და კიდევ სხვა ახალნი. ერთი ახალმოსული ახალგაზრდა ძალიან ჰგავდა გურსის: გურსი ამ თავის მსგავს ახალგაზრდას გვერდით მიუდგომოდა და წყნარად ელაპარაკებოდა. პატარა რევი იმ ახალს კალთაში ეჯდა და თან გურსის ხელს უპოტინებდა. აგერ მოირბინა ერთმა თოთხმეტ წელს გადაცილებულმა ბიჭმა, გურსი და ის ახალი ერთად რომ დაინახა, წამოიძახა:

— რომელია ბაქარი, ველარ გამიგია? დიდება შენ, ღმერთო!

— დიდი ონავარი ვინმეა ეს ვიღაცაა, კოჭებზე ეტყობა, — უთხრა ქარდილაიმ ელიაზარს და ბასაზე მიუთითა.

— ბასა, ბასა! — გაიგონეს ებრაელებმა.

— ოფოფებს კიდევ მომიყვან? — ეკითხება რევი ბასას, და ებრაელებს ესმით ბასას პასუხი:

— მაშ! მაშ! პატარა უჟლისწულო! გამოაფრეს ონოფრე თუ არა, არ დავახანებ, დაიჭერ და მოგიყვან.

— ბასა, სადა ჰყავს ონოფრეს ოფოფები?

— სადა და თავში რომ ფაცერი უგია, იქა; ონოფრე ახლა მწყერებ-

საც აბუდებს იმ ფაცერში. აი ნახავ, ახლა მალე დადგება ენკენისთვე და გამოაფრენს იმ მწყერებს.

— ეი, ვერხვის ჭინკავ! — უძახის ონავარს ონოფრე. — დამაცა ერთი, დამაცა! ჩაგიგდო ხელში!

— შენმა მზემ, ახლავე ჩამიგდებ, — ესმის ქარდილაის ონოფრეს პასუხად. — შლეგიანი გაგისხლტა ხელიდან, შენ მე ჩამიგდებ?

— ვინაა ნეტავი ეს მოუსვენარი, ბასას რომ ეძახის პატარა რევი? — ეკითხება ქარდილაი ელიაზარს. — ამ ჩვენს ნაცნობ ონოფრეს პირდაპირ აბიაბრუებს.

— როგორც შენ იცი, ისე მე მაგის ვინაობა, — უპასუხა ელიაზარმა. — აი ის ვაჟი უნდა იყოს ნინოწმიდელისა, არა? — ანიშნა ბაქარზე.

— მაშ, შენ უკან ბრუნდები? — მოესმათ ნინოწმიდელის სიტყვები.

— რა ვქნა მაშ, მამაჩემო! — უპასუხა ნინოწმიდელს ვაჟმა.

— ვაჟი ყოფილა ნინოწმიდელისა, — დაასკვნა ელიაზარმა.

ბაქარმა ცოტა შეფერხების უკან განაგრძო:

— ბაგრატს ვემსახურები. ბაგრატს ქართლი ბრძოლის ასპარეზად აქვს გაწესებული. ბრძოლა იქნება ციხეებში გამაგრებულთა და მოზღვავებულ მტერს შორის. თვითონ ქართლის აზნაურობამ მოისურვა ასეთი ბრძოლა. ბაგრატი არც გაჩერდება ქართლში. მეფეთ მეფე და სპანი მისნი აფხაზეთს გადაელენ. მეფეთ მეფეს სურს ლაშქარი გადაარჩინოს ზარალისაგან. ასე ამბობს, მტერი მოვა და წავაო, აქ დარჩებიან შინაური მტრები ქვეყნისა და მათ დასაოკებლად დიდი სპა აუცილებელიაო.

— მერმე სანოვაგე? — ჰკითხა ნინოწმიდელმა. — აქვთ იმდენი, რომ გასწვდეს ყველას?

— არის „ქართლისა პური და ღვინო დიდი“, დიდძალი, რომ სამ წელს ეყოფათ ციხეებში გამოკეტილებს.

— უჯარმას რას უშვებით?

— უჯარმის ციხეს მატოვებინებს მეფეთ მეფე, — ამცნო მამას ბაქარმა დაღონებით. — გარე კახეთს უბრძოლველად ტოვებს. ციხიდან ყველა ციხოვანნი გაყვანილნი იქნებიან თავის დროზე.

— რატომ ბოჭორმა, ვერენა, უჯარმა, რუსთავის ჯაჭვი არ გაამაგრა მეფემ? — შეეკითხა ნინოწმიდელი თავის ვაჟს. — მისი ლაშქარი და ჩვენი ციხეთა ჯაჭვი უსათუოდ შეაკავებდა მტერს, გაიხსენე ჩვენი წინაპრის

ვახტანგ გორგასალის ამბავი. დაიჭრა ჩვენი წინაპარი და მაინც მტერმა ვერ გაბედა წინსვლა. იგრძნო ქართველთა ძალა. გამარჯვებული მტერი მიხვდა, რომ თუ კიდევ შეებრძოლებოდა ღვთის ამარა მიტოვებულ და უსარდლოდ დარჩენილ ქართველ ლაშქარს, თვითონაც სისხლისაგან დაიცლებოდა. უკან დაბრუნდა. ქართველთა ფუძე ქართლი დაურბეველი დარჩა.

— ლაშქარი ნაკლები ჰყავს მეფეთ მეფეს, გაცილებით ნაკლები! მერმე კვეტარი კიდევ აულებელი დარჩა. ამ ციხის პატრონის ხელშეწყობით ახლა რჯულგამოცვლილი ალსართანი ზურგიდან, ერწოს ველებიდან, დაჰკრავდა ლაშქარს, — უპასუხა ბაქარმა მამის მოსაზრებას და ველთასაკენ ქმნა პირი. — ქალო, მოემზადე და მოამზადე პატარა ბოლნისს გასამგზაურებლად. შენც მოემზადე წასასვლელად, — უთხრა მირანდუხტს. — ველთა, ცისკარა და შენ ერთად იქნებით. მე და ვარაზ-ბაკური გაგაცილებთ. სამშვიდობო გზაზე გაგიყვანთ. გუგანი, ზარდია, ამირანი თან გეყოლებათ. ოც ციხოვანს გაგაყოლებთ. ბოლნისი გზად არ უდევს წინ მტერს.

მირანდუხტმა მამას გადახედა, ქალმა თითქოს მამის სურვილი ამოიკითხა მის თვალებში, უარით უპასუხა ძმას და ცოტა ხნის დუმილის უკან დაურთო, მამაჩემს ვჭირდებიო.

რევყოფილი ამ სიტყვებზე არ გამოეხმაურა ასულს.

ბაქარმა მამას გადახედა.

— იქნებ ველთა და რევიც არ გავგზავნო? — ჩაილაპარაკა მან.

ბაქარს გული არ უწევდა უჯარმიდან. გონება კი, გონება ურჩევდა ბაგრატთან დაბრუნებას. გონება იმასაც ეუბნებოდა ბაქარს, დაც გააყოლე შენს ოჯახს ბოლნისშიო, მაგრამ კარგა ესმოდა დის სურვილი და სულის კვეთებაც: მირანდუხტს მამის მარტო დატოვება არ უნდოდა.

— იქნებ მართლა არ გაეისტუმრო ჩემი ცოლ-შვილი ბოლნისს? — გაიმეორა ბაქარმა თავისი პირველი შეკითხვა.

— ეგ არ შეიძლება! — წამოიგრგვინა ვარაზ-ბაკურმა. — შენ მეფეთ მეფეს ემსახურები. ციხოვანნიც კი გაყვანილ უნდა იქნენ უჯარმიდან მტრის მოახლოებისას. განა შეიძლება შენი ცოლ-შვილის აქ დატოვება? არა, არ შეიძლება. მამაშენს მტერი ხელს არ ახლებს, არც მირანდუხტს. მამაშენმა ხარკი გადაიხადა. მორჩილება გამოუცხადა ალფარსლანს, არ ებრძვის. შენი მბრძანებელი კი ებრძვის, მაშ შენც ებრძვი. შენს ოჯახს

არ დაინდობს. თუმცა მირანდუხტსაც ეურჩევ ბოლნისს გადასახლებას. მირანდუხტ, საყვარელო! – აქ ვარაზ-ბაკურის ხმა მუდარით აღივსო, – მირანდუხტ, საყვარელო! – გაიმეორა კიდევ ზვიადის ძემ, – ნუ ენდობი ღვთისამარა დაგდებულ ქალაქს.

– იქნებ მართლა წახვიდე, შვილო, აქედან? – მიმართა ასულს აქამდე მდუმარე ნინოწმიდელმა.

მირანდუხტმა ჯერ მამას შეხედა, მერე ვარაზ-ბაკურსა და ბაქარს და კვლავ მამას მიუბრუნდა:

– შენთან ვრჩები, მამაჩემო, – გამოუცხადა ქალმა გადაწყვეტილი კილოთი. – ველთა და რევი რომ უნდა წავიდნენ ბოლნისს, ეს სწორია. შენ, საყვარელო ჩემო ძმაო, მოვალეობას ვერ დაივიწყებ და არც უნდა დაივიწყო, მეფეთ მეფეს უნდა ემსახურო. ვარაზ-ბაკურო, ბედია ჩემი წინამძღვარი. მე ასე ვგრძნობ, რომ უნდა დავრჩე.

– მართალს ჰღაღადებს ჩემი ასული, – მტკიცედ წამოთქვა ნინოწმიდელმა, – მაგრამ მირანდუხტ, შენც რომ წახვიდე, არ მეწყინება.

მირანდუხტმა კიდევ შეხედა მამას: მის თვალებში ამოიკითხა, ნუ წახვალ შვილო.

– მამაე, არ წავალ! – მკვეთრად წამოიძახა ქალმა.

მირანდუხტის ამ სიტყვებზე, დარბაზის კართან მდგარმა ქარდილაიმ და ელიაზარმა დაინახეს, რომ გურსი შეირხა. ქარდილაი მთლად ცქერად და სმენად გადაიქცა, გურსი რას იზამსო.

გურსი თუ აქამდე თითქოს დამშვიდებით უგდებდა ყურს მამაშვილთა ლაპარაკს, ახლა აფორიაქდა და ფიქრები აერიენენ.

„ბერას უყვარს მირანდუხტი: უჯარმის დედოფალს ეძახის ყოველ წუთს და მაინც დუმილი დაუფლებია, – გაიელო გულში არმაზელმა ჯერ ერთი აზრი. – ფერისს უყვარს მირანდუხტი და მაინც დუმილისათვის ვერ დაულწევია თავი, – მიაყოლა პირველს მეორე აზრი. – აი, აქ არიან სხვა შინაყმანიც, ხომ ყველას თავისუფლად ალაპარაკებს ხოლმე ნინოწმიდელი: აზრს ათქმევინებს ხოლმე და უსმენს და ყველანი ახლა მაინც სდუმან. ველთაც პირმოკუმული ზის, თითქოს შელოცვილია და ამიტომ არაფერს ეუბნება მირანდუხტს, სდუმს ვარაზ-ბაკურის მეუღლეც, ცისკარა, რომელსაც, ჩანს, ძალიან უყვარს მირანდუხტი. ბაქარი დაჟინებით არ მოითხოვს მირანდუხტისაგან უჯარმიდან გასვ-

ლას და ბოლნისში წასვლას. არა, ვარაზ-ბაკურმა მოითხოვა დაჟინებით მირანდუხტის აქედან დაძვრა. ჩემი ძმაც უცნაურად ლაპარაკობს. ხომ ვიცი, რომ უსაზღვროდ უყვარს თავისი ასული. საბედისწეროა ყველა ეს, საბედისწერო მირანდუხტისათვის. მირანდუხტიც მისდევს ამ დენას...“

ნათესაური გრძობები აეშალნენ არმაზელ-სასანიანს. ვაჭრობაში გამახვილებული და რატომღაც უჯარმაში ყოფნისას მიყურებული ალღო ამ აშლილმა გრძნობებმა აუმოქმედეს და აუმეტყველეს. ამ ალღოთი თითქოს წინასწარ გრძნობდა მირანდუხტის დიდ უბედურებას. მირანდუხტი ხომ ახლა მისთვის სათაყვანებელი გახდა. როგორც ძმისწული, ახლად მოპოვებული, მისი ობლობის გამქარვებელი. მისმა ახალგაზრდულმა არსებამ მოითხოვა მირანდუხტისათვის თავის დადება. გული სთხოვდა, უჯარმაში დარჩი და მირანდუხტზე იზრუნეო.

ქარდილაიმ შეხედა შეშფოთებულ გურსის, მიხვდა მის სულისკვეთებას და შეკრთა. ებრაელს თავისი ბედივით უყვარდა გურსი. ეს სიყვარული მამამისმა იაკობმა ჩაუნერგა გულში. ქარდილაის ხშირად ახსენდებოდა მამის ნათქვამი და ახლაც მოაგონდა:

— მე ეს არმაზელთა ნატამალი წამოვიყვანე! — იტყოდა ხოლმე იაკობი გურსზე და თან უმატებდა: — ღმერთო ჩემო, ცოდვად არ ჩამითვალო. შემებრალა ბოროტის ხელით დაობლებული და წამოვიყვანე. სანაცვლო მინდოდა გადამეხადა მაგის მშობლებისათვის იმ პატივისცემისათვის, რაც მაგათ ოჯახში მიმიღია. — აქ ღრმად ამოიოხრებდა ხოლმე იაკობი და ისე აგრძელებდა სიტყვებს: — ჰოდა, რაც მე ეს არმაზელი წამოვიყვანე, სიმდიდრე გამიასკეცდა: კარგი ფეხი მომიტანა პატარამ. გურსი ნამდვილი ჩემი ოჯახის ბედია. ღმერთმა ჩემს ოჯახს აჩუქა ეს ბედი, და რაკი ასეა, ჩემი ოჯახის არც ერთმა მომავალმა წევრმა ხელიდან არ უნდა გაუშვასო.

იაკობის ოჯახის მომავალი წევრი კი ერთადერთი ქარდილაი იყო. მას ხომ უყვარდა და უყვარდა გურსი, იაკობის ანდერძის მიხედვით მართლაც თავის ბედადაც სახავდა და რას გაუშვებდა! ყოველ მის ფეხის გადადგმას უთვალთვალებდა მუდამ და ახლაც რას მოაშორებდა თვალს. ერთი წამით მისკენ მობრუნებულ გურსის წამს საყვედურის თვალი მიაპყრო, მაგრამ რას შეაჩერებდა აფორიაქებულ არმაზელს ქარდილაის ერთი წამით თვალთა მიპყრობა. ქარდილაი ადგილიდან დაიძრა და გურსის გვერდით გაჩნდა.

— ხომ წამოხვალ, გურსი, ხორნაბუჯში? — გაუმეორა არმაზელს აჩემებული კითხვა.

არმაზელი შეკრთა. ხომ დაჰპირდა ქარდილაის ხორნაბუჯში წასვლას. ახლა აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. რა პასუხი გაეცა მისთვის. მისი გული კი ძალუმად იხრებოდა სასანიანებისაკენ. ეს შენიშნა ნინოწმიდელმა, მღვდელმთავარს სიამოვნების ღიმმა გადაურბინა სახეზე. რევყოფილს უხაროდა, ძმა ახლა კი ნამდვილად მიძმობსო. ღიმი დასთამაშებდა ბაქარსაც, ყველა იქ მყოფთ, მხოლოდ მირანდუხტის სახეზე ადამიანი ვერაფერს ამოიკითხავდა.

„მე მივდივარ, მაგრამ მირანდუხტს აქ ორი მარჯვე გუშაგი წაემატება, — ფიქრობდა გულში ბაქარი. — ბიძაჩემი და კიდევ, კიდევ! — უკანასკნელი სიტყვა ბაქარმა ორჯერ გაიმეორა და ისე დასძინა: — ბასა, თვალფიცხელი და მახვილი ენის პატრონი ბასა. ფერისი, ბერა, ონოფრე, დაჩი, მირანდუხტის მგოსანი გულადი, ეს გმირები თავს დასდებენ მირანდუხტისათვის. ეს სამი კიდევ: მამაჩემი, გურსი და ბასა თავისი სიფხიზლით საშიშროებას გასჭვრეტენ უფრო ადრე...“

ბაქარს ფიქრი შეუწყდა. შემოესმა კიდევ ქარდილაის სიტყვები: ხომ არ წამოხვალ, გურსი, ხორნაბუჯშიო, და პასუხად მირანდუხტის ნათქვამი გაიგონა: ნუ გეშინია, ქარდილაი, გურსი გამოგყვებაო.

ეს სიტყვები მირანდუხტისაგან ისე მტკიცედ იყო წარმოთქმული, რომ გურსიმ ვეღარა თქვა, უჯარმაში დავრჩებიო, და პირზე ღიმმოსულთ მოიწყინეს.

ქარდილაიმ თავისი გაიტანა, მამამისის გაზრდილზე ზნეობრივად მას უფრო მეტი უფლება ჰქონდა, ვიდრე სასანიანებს, გურსის ახლად აღმოჩენილ ნათესავებს. ეს თვით მირანდუხტმა დაანახვა ყველას, თვით გურსისაც, თავისი მტკიცე თქმით. ძვირად უღირდა მირანდუხტს ეს სიტყვები, მაგრამ განა ვინმე ათქმევინებდა ამას. ქალს სახეზე მუდამ მისებური ამოცანური იერი დაჰკრავდა. რაც მამამ გურსი ბიძად აათვისებინა, არჩილის დატოვებული გრაგნილით და გურსის სასანიანობა დაუმოწმა, შემდეგ კიდევ გურსის, მამისა და ბაქარის ერთმანეთის მსგავსებამ, მამისა და ძმის სახის დარად მიიჩნია იგი. მირანდუხტს სავსებით შეეძლო გურსის დანდობოდა და მაინც უარის თქმა მოუხდებოდა გურსიზე. ქალს სამართლიანად მიაჩნდა ქარდილაის მოთხოვნა.

მირანდუხტმა შუბლზე აკოცა გურსის, და აგრძნობინა, მიყვარხარ, მინდა შენი აქ დარჩენა, მაგრამ ქარდილაის მეტი უფლება აქვს შენზედაო. მირანდუხტი გვერდით მიუჯდა. გურსიმ მძიმედ ამოიოხრა, ისე მძიმედ, თითქოს ამ ამოოხვრასთან გულის ამოყოლებაც მოიწადინაო.

მირანდუხტმა ქარდილაის გადახედა თითქოს საყვედურით, მაგრამ მხოლოდ ერთი ჰკითხა:

— როდის გსურს, ქარდილაი, შენ ნაძმევითურთ გაუდგე გზას?

— როცა გვიბრძანებს სასანიანთა სახლი, როცა გვიბრძანებს უჯარმის დედოფალი! — უპასუხა ქარდილაიმ, მუხლი მოიყარა მის წინაშე, ქალს თაყვანი სცა და კაბის კალთაზე ემთხვია.

ეს უდრიდა დათმობას. ამით განმარტა: დე, გვიან დაიძრას გურსი აქედან, მხოლოდ კი ხორნაბუჯში წამოსვლაზე უარს ნუ იტყვისო.

7

ბაქარი და მისი ცოლ-შვილი უჯარმიდან გავიდნენ. თან გაჰყვნენ ამ სახლეულობას ვარაზ-ბაკური ცოლითურთ, გუგანი და ამირანი. ეს ორი უკანასკნელი ბოლნისამდე უნდა მიჰყოლოდა ველთამზეს და ცისკარას. ცისკარას არ უნდოდა ბოლნისს წასვლა, სურდა თანამეცხედრესთან დარჩენა, მაგრამ ველთამზის ხათრით მაინც მოუხდა გამგზავრება. ბაქარმა და ვარაზ-ბაკურმა სამშვიდობო გზას დააყენეს თუ არა თავთავიანთი სახლეულობა, გადააბარეს ამირანსა და გუგანს უჯარმიდან გამოყოლილნი ციხოვანნი და თვითონ ბაგრატისაკენ ქნეს პირი. დაღონებული მიემართებოდა ბაქარი მეფეთ მეფესთან. გარინდებული მიჰყვებოდა გვერდით ბაქარს ვარაზ-ბაკური, ორივეს აწუხებდა ბირანდუხტის მომავალი.

მირანდუხტს კიდევ ფეხი არ მოუცვლია წალკოტიდან, სანამ გზას გამდგარნი ძმა, რძალი, ძმისწული და მათი თანამგზავრნი წალკოტის გალავნის კარს კარგა არ დაშორდნენ და თვალს არ მიეფარნენ. ქალს გვერდით მამა ედგა ჩაფიქრებული. ვინ იცის, რა აზრი არ უტრიალებდა რევყოფილს გულში. აქვე იდგა გურსი. არმაზელ-სასანიანს ერთი რამ უშფოთებდა სულს: უცხო ტომის შვილის ხელით გაზრდილს აღმოუჩნდნენ ნამდვილი ნათესავნი, ნათესაური გრძნობები აუმღელვარდნენ გულში და სწორედ ამ დროს ხელიდან ეცლებოდნენ ეს მისოვის საყვარელი ნათესავები. გვერდით ედგა ქარდილაი, როგორც სინდისი, ახლა თითქმის

ჯალათად ქცეული სინდისი. სახე მოჰღრუბლოდა. ორი, ერთიმეორის საპირისპირო გრძნობა მოსვენებას არ აძლევდა მას. თაეჩაქინდრული იდგნენ ბერა, თვალისი, გულადი, ფერისი, ონოფრე, დაჩი, ბასა და სასანიანთა სხვა შინაყმანი, რომელთათვისაც თავის პატრონთა მომავალი ისევე წყვდიადით იყო მოცული, როგორც ოვით პატრონთათვისაც. აქვე იყო ვაჭარი ელიაზარიც, ყველაფრის დინჯად ამწონ-დამწონი.

თვალს მიეფარნენ შორს გამგზავრებული მირანდუხტისანი და მირანდუხტმა თვალი ჩრდილოეთისაკენ გადაანაცვლა. შემოდგომის დამლევი ბოლოს უღებდა მთათა კალთების მომცველ ტყეებს. წალკოტის ფოთლიანი ხეებიც იძარცვებოდნენ და შიშვლდებოდნენ.

„ზამთარი შემოსევას აპირებს, – აღნიშნა ქალმა თავისთვის. – შემოსევას აპირებს ალფარსლანიც. მამამ თავი დაირბია. ჩვენი საგვარეულოს ნახევარი ქონება მისთავაზა სულთანს, რომ ჩვენს კუთხეს დარბევა ასცდეს... რუსთველს უთქვამს, შენ ასულსაც გაიმეტებ, ალფარსლანმა რომ თანამეცხედრედ გთხოვოსო. მართლა გამიმეტებს ალფარსლანისათვის მამაჩემი? არა, რას გამიმეტებს?.. მაგრამ ჩვენს ქვეყანას შავი ზღვიდან ხორნაბუჯამდე გადარჩენა რომ ოუტაჯოს სულთანთან ჩემმა თანამეცხედრეობამ?..“

ამ უკანასკნელ აზრს კიდევ სხვა აზრი მიადევნა ქალმა და გურსის ნაჩუქარ ბეჭედს დახედა. თვალები ააელვარა. მამას მკლავი მოჰხვია ანაზდეულად. ნინოწმიდელი შეკრთა. ფიქრთა სავანეში ჩაფლულ მამას ასულის ბედი არ აძლევდა მოსვენებას. ვაჟისა და მისი სახლეულობის ბოლნისს გასტუმრების შემდეგ რევყოფილი გრძნობდა, რომ მირანდუხტს უჯარმაში დარჩენით კარგი არა მოელოდა რა. ფიქრობდა, რატომ არ გავაყოლე ბაქარსაო. მამა გრძნობდა, ალფარსლანს რომ ეთხოვა, ვერ დაუთმობდა თავის ასულს. ქალის მკლავის შემთხვევამ ძლიერი თრთოლვა აუტეხა. მამამ ასულის დაკარგვის შიში განიცადა. იამ კი მეორე მკლავი გურსს მოჰხვია წელზე.

– შვილო, უშენოდ ვერ ვიცოცხლებ! – უთხრა რევყოფილმა. – ვერ ვიცოცხლებ უშენოდ, რამე რომ დაგემართოს!

– იავ, სადაც უნდა ვიყო, სადაც უნდა ვიყო და გავიგო შენი გაჭირვება, თავს არ დავზოგავ, ყველაფერს დავივიწყებ და შენსკენ წამოვალ! – შესძახა სასანიანის ასულს გულადმა.

— აბა, ერთი გაბედოს ვინმემ რამე! — წამოიძახა ბერამაც და თავისი კეტი შეათამაშა. — გაჭირვებამდე ვინ მიიყვანს?

— კიდევაც! — დაუმოწმა გულადმა ზენკალს. — რატომ უნდა მივიყვანოთ გაჭირვებამდე? მაგრამ რას გვიქადის ზეციერი, ვინ იცის?

თვალისი და დაჩი მირანდუხტს კალთაზე ეამბორნენ.

— მტლად დაგედები, უფლის ასულო! — წამოიძახა ფერისმა გულის სიღრმიდან ამონადენი ურყევი ხმით და მაღლა ხელი გაიშვირა. — ზეციერია მოწმე, მტერმა რომ შენზე მოიწიოს, ჯერ ჩემს გვამზე უნდა გადაიაროს.

— დედასა! — წამოიძახა ონოფრემ და მუშტი ასწია. — ხმალიც რომ გადამიტყდეს, ამით გავუხეთქავ თაეს მტერს.

— შენ მარტო მუშტის მოღერება იცი! — უთხრა ონოფრეს ბასამ და ცოტა მოშორებით გადაინაცვლა შეჯგუფებულებისაგან. — ლოდი მოულერე შლეგიანს და ვერა გააწყე რა. შენ გინდა, მუშტით დაიცვა უფლის ასული!

— ეი! ჭინკავ! ეგ ენა ნუ წაგიგრძელებია შენა! — შეუტია ონოფრემ დედის ძმისშვილს. — გაჩუმდი, თორემ მე ვიცი შენი.

— შენ ჩემი არაფერიც არა იცი რა! — გადაუსხვაფერა ონოფრეს ბასამ ნათქვამი. — აბა! იცი, რას ეხედავ ახლა?

— ღმერთმა ნუ იცის შენი თავი და ტანი! — აღმოხდა პირიდან მოთმინებადაკარგულ ონოფრეს და ბიჭისკენ გადადგა.

ბასამ ონოფრეს უკანასკნელი სიტყვები და მისკენ ფეხის გადმოდგმა უყურადღებოდ დასტოვა და ნინოწმიდელისაკენ გამოსწია. ყველას ეგონა, ონოფრე ყურებს ააწიწკნის ონავარ ბიძაშვილსაო, მაგრამ ბასამ ონოფრეს თვალები მიანათა და აწეული ხელი ძირს დააძვებინა, მშვიდად გვერდი აუქცია, ნინოწმიდელს მიაშურა და მის წინ გაჩერდა.

— რატომ არ ასვენებ, ბიჭო, მაგ ენას?.. — მიაგება ნინოწმიდელმა მასთან მოსულ ბასას და შემდეგი სათქმელი შეაჩერა. წამსვე მიხვდა, რომ ონავარს რაღაც უნდა ეთქვა. მოსცილდა მირანდუხტსა და გურსის და ბასასგან ადრე დაჭერილი ადგილი დაიკავა.

— ჩვენო პატრონო! — მიმართა მოწიწებით ბასამ ნინოწმიდელს დაბალი ხმით: — ჩვენები ახლა სამგორას გასცილდებოდნენ, არა?

— გასცილდებოდნენ, — დაუმოწმა ნინოწმიდელმა. — მერმე?

— აბა, მაშ, სამშვიდობოს გასულან, — განაგრძო ბასამ ისევ ხმადაბლა

და შემდეგ ხელის ოდნავ აწევით, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ გაუშვირა თავის ბატონს.

ნინოწმიდელმა თვალი დაჟინებით მიაჩერა ერთ შორეულ ადგილს და ბოლოს გზაზე შეამჩნია მხედართა გუნდი, რომელიც ხან იკუმშებოდა, ხან გარდიგარდმო იშლებოდა; ეს უკან ჩამორჩენილნი ეწეოდნენ დაწინაურებულთ, გვერდში უდგებოდნენ აქეთ-იქიდან, წინაც უსწრებდნენ და თვითონაც წინ მოეშურებოდნენ. ასეთი სურათი წარამარა მეორდებოდა.

ნინოწმიდელმა თვალი აშორა ამ სურათს და ბასას თავზე ხელი გადაუსვა.

— კაი მახვილი თვალი გაქვს, ბიჭო! ღიმილით უთხრა მას და ისევ მომავალ გუნდს გახედა.

— ეს არაა მეკობრეთა გუნდი, — ჩაილაპარაკა წყნარად. — მეკობრენი წამსვე სოფლებს დაერეოდნენ. ეს გუნდი სოფლებს ყურადღებას არ აქცევს.

— ასე მაყრებმა იციან სვლა, — დაურთო ნინოწმიდელის სიტყვებს ბასამ და სწრაფად დაუმატა: — ჩვენსკენ აქვთ აღებული გეზი!

ნინოწმიდელი შეკრთა ბასას ამ უკანასკნელ სიტყვებზე. ძლიერმა ეჭვმა აიტანა.

„ვინ იცის, ენამ უყივლა რუსთველს!“ — გაიფიქრა მღვდელმთავარმა და სწრაფად ფერისისა და ბერასაკენ შებრუნდა. ამათ გარს ედგნენ ისევ ონოფრე, დაჩი, თვალისი, გულადი და შინაყმანი. ცალკე იდგნენ მირანდუხტი და გურსი, მათ ახლოს ქარდილარ და ელიაზარი. ყველას ბასას პირველი ხელის გაშვერაზე ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ მიემართათ თვალი. ეტყობოდათ, გუნდი მათაც შეემჩნიათ.

ნინოწმიდელმა ფერისი და ბერა მოიხმო და გუნდზე მიუთითა.

— თქმა არ უნდა, ხედავთ!

— ახლავე ჩემს რაზმს აქ გავაჩენ, — მოკლედ უპასუხა ბერამ, ნინოწმიდელს. — დასავლეთის კარიდან შემოვიყვან.

— მე ჩვენ ერთგულებს შევაიარაღებ, — მიადევნა ბერას თქმას ფერისმა. — გაწაფულნი არიან. სწრაფი თავმოყრა იციან. იმ გუნდის მოსვლამდე კარგა ხანი გავა.

მირანდუხტმა გურსის გადახედა.

— თურქები არიან, სელჯუკიანები, — უპასუხა მირანდუხტის გადმოხედვას გურსიმ.

— დიახ, თურქები არიან. — დაამოწმა ფერისმა.

სასანიანთა შინაყმას კარგად ახსოვდა ჯავახეთში თავისი, ბაქარისა და ბაქარის რაზმის შეტაკება მათთან, მეფეთ მეფეს რომ იცავდნენ მაშინ.

„აი დედასა! რა არის სიმრავლე და! — გაიძახა გულში ფერისმა. — ცოტანი ვიყავით, თორემ მარტო მაგათი შეკავება რას მიქვიან, ვიფრენდით იმ ურდოებს, ცოტა მეტნი რომ ვყოფილიყავით... მადლობა ღმერთს, რომ მეფეთ მეფე მაინც ვიხსენით...! — ფერისმა ფიქრი შეწყვიტა და ნინოწმიდელს მოახსენა:

— აქეთ მოეშურებიან, ჩვენო მეუფეო.

— მართალია! შენმა შვილმა კიდეც აღნიშნა წელან. — მიუგო რევყოფილმა და ბასას ხელი გადაუსვა თავზე.

— აგერ, უკან ბარგიანი ცხენებიც მოსდევენ! — წამოიძახა ბასამ და თავის მამიდაშვილს კბილი გაჰკრა. — ონოფრესათვის მოაქვთ საჩუქრები.

— რას გადამეკიდე, ჭინკავ! — შეუტია ონოფრემ. — დამაცა შენა, დამაცა! კი ამოვიყრი შენს ჯავრს.

— შლეგიანზე ხომ ამოიყარე ჯავრი! ჯერ ეგ იკმარე, — წაუბოლა კიდევ ბასამ ბიძაშვილს. — გირჩევ, წადი, იორზე შენი ფაცრები გასინჯე. თევზი მოჰყვებოდა. აი, იმ სტუმრებისათვის დაგეჭირდება. — მერმე მომავალი გუნდისაკენ გაიხედა და წარმოთქვა: — გალავნის კარი უნდა დაიკეტოს, თორემ ეს გუნდი უცბად რომ შემოქანდეს ჩვენს წალკოტში, მაინცდამაინც კარგი ამბავი არ იქნება. სტუმრად მოდიან, მაგრამ მაინც ცოტა ხანს შეისვენონ გალავნის გარეთ. დაე, გაიგონ და შეიტყონ, რომ უცხო, მოყვრად მოსულიც კი ადვილად ვერ შემოდგამს ჩვენს არემარეზე ფეხს. ვინ იცის, იქნებ მტრებიც იყვნენ.

— მართალს ამბობს ეს ყბედი, — თქვა ბერამ. — მე მივდივარ, ჩემს ხალხს თაეს მოვუყრი და წამსვე აქვე გავჩნდები.

ბერა ნინოწმიდელმა შეაჩერა.

— ნუ მიხვალ! — უბრძანა მან. — ჩემი სამღვდელმთავრო რაზმიც საკმარისია!

ფერისსაც არ მისცა ნება, თავისი ერთგული პატარა რაზმი მთლად მოეყვანა, ხუთი კაცის მოყვანა დაავალა მხოლოდ. შემდეგ თვალისსა და დაჩის გადახედა. დაჩიცა და თვალისიც მიხვდნენ, რას ნიშნავდა ეს და წამს დაიძრნენ ადგილიდან.

— იქნებ, მეუფეო, ქველიძეს ერთი ოცეული ციხოვანნი გამოვართვათ, — დაიწყო ბერამ.

— ჩვენ არ ვებრძვით თურქებს, — უთხრა მეუფემ. — ხარკი მივეცი ალფარსლანს და ქვეყანას დარბევა ავაცდინე, მეფე ებრძვის ციხოვანნი სამეფო სპანი არიან. მათი ჩარევა ჩემს საქმეში, ჩემი ურჩობა იქნება ალფარსლანისათვის. ჩემი სამწყსონი ცუდ დღეში ჩავარდებიან, — მეუფე ონოფრეს მიუბრუნდა. — მეკარეთ უთხარით, ურდულები წაუყარონ.

ონოფრე თავქვე დაეშვა, სამხრეთ-აღმოსავლეთის კარს მიაშურა.

ბასა გულადს ამოუდგა და კალთა დაუწია.

— რა გინდა, ჭინკავ? — ჰკითხა გულადმა.

— რა უნდა უნდოდეს ჭინკას ბოჭორმის წმიდა გიორგის ეშმაკისაგან? — უპასუხა ბასამ. — ახლო ნათესავს ამოუდგა გვერდში. შენ დაუკარ ჩანგი და მე ვიროკებ. სტუმრები მოგვდიან. ხშირად გვექნება მე და შენ საქმე მაგისთანა სტუმრებთანა, ზარდიავ! როგორმე უნდა ვაცუროთ ასეთი დაუპატიჟებელნი, თორემ კარგს არას მოგვიტანენ.

გულადმა გაოცებით დაუწყო ბასას ცქერა. გულში შიშიც იგრძნო მის სიტყვებზე. შემოსეული მტრის შვილების სტუმრობა, ვითომდა მოყვრული, მაინცდამაინც კარგს არას უქადდა ქართველს. ბასამ, ჩანდა, კარგად იგრძნო ეს. პირველად ესმოდა ფხოველს ბასასგან ასე დარბაისლურად წარმოთქმული სიტყვები.

სტუმრებს გალავნის კარამდე ჯერ კიდევ კარგი მანძილი ჰქონდათ გამოსავლელი.

დაჩიმ და თვალისმა სამღვდელმთავრო რაზმს მოუყარეს თავი წალკოტის თავს. ფერისმა ხუთი დევგმირი შინაყმა დაუყენა ნინოწმიდელს, მის ასულსა და ძმას გვერდით. ყველა დადუმდა დაუპატიჟებელი სტუმრების მოლოდინში.

ნინოწმიდელი სულ იმას ფიქრობდა: ვაითუ მირანდუხტი მთხოვოს ალფარსლანმაო. ვაითუ ეს გუნდი სწორედ შუამავალი გუნდია ალფარსლანისაგან გამოგზავნილიო. ვაითუ ასული დამეღუპოს უცხო მხარეშიო. ხომ იყო, რომ გურანდუხტ დედოფლის ასული მისცეს ალფარასლანს და შემდეგ ალფარსლანმა თავის ვიღაც კარისკაცს მიუგდო ცოლადაო. ნინოწმიდელი თავის „ვაითუს“ ბოლოს არ მოუღებდა კარგა ხანს, ქარდილაის ღაღადისს რომ არ გამოერკვია: ქარდილაი სევდიანი სახით შესცქეროდა თავის მამის გაზრდილს და ეძახდა.

— რაო, ქარდილაი? — შეეკითხა გურსი.

— რა და ისა... — დაიწყო ქარდილაიმ, — რომ ონავარმა მართალი გვითხრა, — ებრაელმა ბასასკენ გაიშვირა ხელი და განაგრძო:

— ჰოდა, გურსი, შენ დარჩი აქ. შენი ძმისწულისათვის უფრო საჭირო ხარ. როგორ დაგიშლი აქ დარჩენას?

მეუფემ მადლიერი თვალით გადახედა ქარდილაის, მირანდუხტმა კი მხოლოდ ცნობისმოყვარეობით. ხმა კი არც ერთს არ ამოუღია. გურსის პასუხს ელოდნენ.

— არა, ქარდილაი, — გაისმა მკვეთრად და მტკიცედ. — მეც მოვდივარ თქვენთან ერთად ხორნაბუჯს, მაგრამ ხორნაბუჯში არ ვიტრიალებ. მე თურქთა ბანაკში დავიწყებ ვაჭრობას. ეს აუცილებელია ჩემი ძმის სახლისათვის.

რატომ იყო ეს აუცილებელი, ბევრი ვერ მიხვდა. ნინოწმიდელს გულში ელახვრა გურსის პასუხი. შიშით გამომზირალი თვალი ძმაზე შეუჩერდა. მირანდუხტმა კი ხელი მოჰხვია ბიძას და ბაქარს რომ ეტყოდა ხოლმე, ისე წაჰლულუნა: ჩემი ბიძა, ჩემი ბიძა, ჩემი კარგი ბიძაო.

მირანდუხტი მიუჯდა ბიძას, რაც უნდა გამოეხატა თავისი სიტყვებით.

ნინოწმიდელს მართალია, ჯერ არ მოეწონა ძმის განზრახვა, მაგრამ მერმე მალამოდ მოევლინა. ნინოწმიდელს გაახსენდა, რომ თურქთა ბანაკში მტრები უეჭველად მოქმედებდნენ მის წინააღმდეგ. ალფარსლანს ბევრ ცუდს ეუბნებ დნენ მისი სახლის სამავნებლოდ. ალფარსლანთან ყოფნისას ისიც დაინახა, რომ ალფარსლანი ძალიანაც არ ენდობოდა კახეთის მფლობელ აღსართანსა და მის დიდებულთ. მაგრამ ბოლოს, შესაძლებელია, დაჰყოლოდა კიდეც მათ რჩევას. მერმე თავიდან ვერ მოეცილებინა რუსთველისაგან ის უნებლიეთ წარმოთქმული სიტყვები: რას იზამ, ასული რომ გთხოვოს ალფარსლანმა, გაიმეტებო? და მოსვენება ეკარგებოდა.

„აგერ, მოდის აქეთკენ მთელი გუნდი თურქებისა, ეტყობა, მოყვრულად მოდიან, ვინ იცის, ქალი მთხოვონ“, — უტრიალებდა თავში წარამარა რევყოფილს. გურსის პასუხი მთლად სასიამოვნო მოვლენად გადაექცა. თურქთა ბანაკში მახლობელი ეყოლებოდა თვალ-ყურის მდევნებლად. ძმა იფხიზლებდა მტრის ბანაკში და ძმა მოაწვდიდა ცნობებს, ავსა და კარგს.

მირანდუხტი მიუხვდა მამის სულისკვეთებას. მამას წინ აღემართა და უთხრა:

— მამავ! მე სასანიანი ვარ და არაფერს შევუშინდები, მეც შუშანას მოდგმისა ვარ. შუშანა თავის მოწამვლას არ შეუდრკა, რომ მტერი არ შეპხებოდა მის სხეულს. მე კიდევ ფიცსა ვდებ მტრის თანამეცხედრეობას არ შევუდრკე. ჩემი თანამეცხედრეობით მტერს დავთრგუნავ.

რევყოფილმა ხელი მოხვია ასულს და შუბლზე აკოცა.

ბერა, ფერისი, დაჩი და თვალისი, შინაყმანი და სამღვდელმთავრო რაზმის სპანი კვირობდნენ უჯარმის დედოფლის მრისხანებას.

— ეს ივდითია! — წამოიძახა ელიაზარმა.

— დიახ, ეს ივდითია! — დაამოწმა ქარდილაიმ.

გულადმა კიდევ გაიხსენა მცხეთა და ექვსი წლის მირანდუხტი, ვაჩეს სასახლის გალავნის კარს რომ მიადგნენ ერთად. გაიხსენა, როგორ გაურისხდა ია ვაჩეს შინაყმას — მოხუც ზადენს, მათთვის გალავნის კარის გაღება რომ არ ეწადა.

„ეს მეორედ ვნახე ია ასე განრისხებული!“ — გაიელო გულში ფხოველმა.

გულადი ერთხელ კიდევ მიაჩერდა სასანიანთა სამკვიდრებელისაკენ მონადენ თურქთა გუნდს, წალკოტის თავქვეზე დაეშვა და სამხრეთ-აღმოსავლეთ კარისაკენ გაეშურა. მალე ფხოველს მოჰყვნენ ბერა, ფერისი და სამღვდელმთავრო რაზმიც. გალავნის კარისათვის ონოფრეს თავისი ხელით დიდი ურდული გაეგდო. იქვე იდგა ბასაც.

კარიბჭეს თურქთა გუნდი მოადგა,

— ეი, გამურულო! — დაუძახა ბასას ერთმა ქართულის მცოდნე თურქმა. — აცნობეთ მღვდელმთავარს ჩვენი მოსვლა. ალფარსლანმა თავისი ძმა ქავურდ სელჯუკიანი აწვია სასანიანს და მღვდელმთავარს დიდი ძღვენი მოართვა. — აქ მთქმელმა მებარგულეებისაკენ გადაიქნია ხელი. — ხომ ხედავ?

მღვდელმთავარი ცნობის მოტანას არ დაპლოდებია. სწრაფად გაემართა სტუმრებისაკენ. თან გაჰყვნენ გურსი, ქარდილაი და ელიაზარი.

მირანდუხტი ადგილიდან არ დაძრულა.

„სამტროდ არ მოსულან, ეს ნათელია, — გაიფიქრა მან. — მამამ ხომ არ მისცა ბერას თავისი რაზმის მოყვანის ნება და ფერისს კიდევ მხოლოდ ხუთი შინაყმის ნება დართო. არც თავციხიდან მოინდომა ციხოვანი. თავისი სამღვდელმთავრო რაზმი იკმარა მოსულთა დასახ-

ვედრად. დარწმუნებულია მამა, რომ სამტროდ არ არიან მოსულნი თურქნი. ბაგრატმა კახეთი დააგდო. მამა ალფარსლანს ეწვია. მორჩილია ახლა ალფარსლანისა და ბაგრატის მომხრედ კი დარჩა ისევ. უცნაური ხლართები იქმნებიან ამქვეყნად. ვინ ქმნის ამ ხლართებს?.. ბაქარმა მითხრა, საბერძნეთმა მოგვისია ალფარსლანიო და თვითონ ამით თავიდან აიცდინაო. რა რჯიდა დავით კურაპალატს, რომ საჭიროდ აჩნდა საბერძნეთის აჯანყებულებთან ბრძოლა და საბერძნეთის დაქცევისაგან გადარჩენა?.. დავით კურაპალატმა განსაცდელისაგან იხსნა ჩვენი ქვეყნის დამთრგუნველი ძალა "

ქალს გონების თვალწინ გადაეშალა მრავალხლართიანი ბადური და რომელ ადგილას იწყებოდა და რომელ ადგილას თავდებოდა ეს ბადური, ვერ გამოერკვია. მრავალი იყო გაბმული ამ ხლართებში და იგვემებოდა და ამ მრავალში ქალი თავის ქვეყანას ხედავდა

მირანდუხტი ფიქრთა დენას არ აჩერებდა, თან თვალს არ აშორებდა მშობელ მამას, მის მარცხნივ მიმავალ ორ ებრაელსა და მარჯვნით — ბიძას გურსის.

„ბიძაჩემი მიდის, მამაჩემს გამოუცხადა: თურქთა გუნდს არ გაუმხილო ჩემი და შენი ძმობაო. მე ისევ შენთვისაც, შენი შინაყმებისათვისაც, მახლობელთათვისაც ისევ ვაჭარი ვიყოო, უკარმაში ნუ გავრცელდება ხმა, რომ მე შენი ძმა ვარო. ახლა გურსისიან ერთად ორი ებრაელიც თან გაიყოლა. მამას სურს დაანახვოს თურქებს, რომ სამი ებრაელი ვაჭარი იმყოფება მის კარზე. მერმე ამ სამივე ვაჭარს მათვე გააყოლებს, რადგან ჯერჯერობით, ისევ ხორნაბუჯისაკენ უდევთ გზა თურქებს".

ქალი აღმოსავლეთ კარს მიაჩერდა.

ნინოწმიდელი თავისი სამი თანმხლებლით კართან მივიდა. ეს სამნი განცალკევდნენ სამღვდელმთავრო რაზმისა და შინაყმებისაგან. აგერ, ნინოწმიდელი კარს აღებინებს მეკარეს და თურქთა გუნდი მოწიწებით ფეხს ადგამს გალავნის არემარეს, ჰუნეებს იკავებს. მამას ვინმე ახალგაზრდა თავმდაბალი სალამს აძლევს. კიდევ ვიღაცეები უახლოვდებიან დაბალი სალმით. ვინმე დიდი გვარისანი იქნებიან. იმ ახალგაზრდას, ეტყობა, პირველი ადგილი უჭირავს. მამა ყველას დიდი პატივით მოეპყრა, მაგრამ ყველაზე უფრო ეტად ამ ახალგაზრდას. გურსი, ქარდილაი და ელიაზარი ვიღაცეებს გამოელაპარაკნენ. ვაჭრები იქნებიან... აგერ თურქთა

კარვებსა სდგამენ გალავნის კარის მოშორებით. ეს ექვსნი, უეჭველად, დიდ გვარისანი გამოჰყვნენ მამას. მათი ჰუნენი საჭურვლისმტვირთველო მოჰყავთ. დაბარგული ჰუნენიც გამოიყოლეს. მოშორებით მოსდევენ გურსი ებრაელებითურთ, ფერისი ხუთი შინაყმით, ბერა, გულადი.

სტუმრები ახლოვდებიან, მირანდუხტი ადგილიდან არ იძროდა მაინც. აუღელვებლივ თვალს ადევნებდა ექვს დიდგვარიან თურქს. დიასახლისად ჰრაცხდა თავს და სტუმრებს უნდა დახვედროდა.

სტუმრებმა ნინოწმიდელს მიაპყრეს თვალი.

— ჩემი ასულია, დიასახლისი და გელით! — უპასუხა ნინოწმიდელმა თურქებს წმიდა არაბულით. — ეგ ჰფლობს ახლა ჩემს სამკვიდრებელს.

წალკოტის თავს მოექცნენ ქვეითნი მომავალნი და მირანდუხტის წინ შეჩერდნენ. სიზმარში მყოფად მოეჩვენათ თურქებს თავი მირანდუხტის დანახვაზე, გადაავიწყდათ სალამი მიეცათ მისთვის.

— შვილო! — მიმართა რევყოფილმა ასულს. — გვეწვიენენ ქავურდ სელჯუკიანი, აღმოსაელეთის დიდი სულთანის ალფარსლან სელჯუკიანის ძმა და მისი თანმხლებელნი, თურქთა დიდგვარიანნი.

— მღვდელმთავარო! მღვდელმთავარო! — წამოიღაღადა ქავურდ სელჯუკიანმა, — შენს სამკვიდრებელს ღვთაება დაჰპატრონებია.

სელჯუკიანი ყველასა და თავის თავისთვისაც მოულოდნელად მუხლებზე დაეცა მირანდუხტის წინ. თანმხლებელთაც სელჯუკიანს მიჰბაძეს, თავიანთ უფროსს.

— დიდ არს ალაჰი! ვნახე ღვთაება დედამიწის ზედაპირზე ფეხდადგმული, — აღმოხდა ქავურდს სიტყვები და მიწას ემთხვია. — ბედნიერი ხარ, მიწავ, რომ შენს არეზე დაიარება ეს ღვთაება.

მირანდუხტი კი არ ააღელვა ამბავმა, რომ ღვთაებად მიიჩნიეს თურქებმა მისი არსება, ცოტა ხანს სხვა არეზე გადაინაცვლა გონებით. ეს არე ალფარსლანის კარავი იყო. ქალს გაუელვა თავში აზრმა, ამათ მსგავსად ალფარსლანიც გამათანაბრებს ღვთაებასთან თუ არაო, და გაახსენდა თავის გარშემო მომხდარი სხვა ამგვარი ამბები და გაელიმა.

თურქთ გაიფიქრეს: ღვთაებამ გაგვიღიმაო, ხოლო ნინოწმიდელი კი შეაკრთო ასულის ასეთმა გაღიმებამ.

მირანდუხტმა თურქებს პალატისაკენ ხელი გაუწოდა და წუთიერად ჩამოვარდნილი სიჩუმე დაარღვია.

— მასპინძელი, სასანიანთა ნატამალი, სთხოვს სტუმრებს, გააბედნიეროთ სასანიანების მამა-პაპათა პალატი თავისი იქ შემობრძანებით, — გადმოაბნია პირიდან ქალმა არაბულით ჩანგისებურ ბგერათა გამომცემი სიტყვები, მის წინ მუხლმოყრილ თურქთათვის მოულოდნელად.

— დიდ წინასწარმეტყველ მუჰამედის ენით მოგვმართა! — წარმოთქვა განცვიფრებულმა ქავურდმა და იგივე გაიმეორა მის მდგომარეობაში ჩავარდნილმა თვითოეულმა მისმა მხლებელმა.

მირანდუხტის სიტყვებმა ყველანი ფეხზე წამოაყენა.

მირანდუხტის გაღიმების\თ შემკრთალი ნინოწმიდელი საფიქრებელში ჩააგდო ქალის სიტყვების საიდუმლო კილომ, რომელიც მარტო მის ყურს მოხვდა. ნინოწმიდელს გაახსენდა ქარდილაისა და ელიაზარის წელანდელი ნათქვამი მირანდუხტზე — ეს ივდითიაო. გაახსენდა დაბადებაში მოთხრობილი ამბავი ამ ივდითზე და წარმოუდგა თავისი ასული მტრის ბანაკში, ახალი ჯურის ოლოფერნთან... ეს იქნებოდა სახიფათო ამბავი, სათუო ამბავი.

„საგმირო საქმე ჩაიდინა მაშინ ივდითმა, — გაიელო გულში მღვდელმთავარმა, — მტერი აშორა თავის ერს... რა მოელის ჩემს ასულს, ასეთი ნაბიჯის გადადგმა რომ განიზრახოს? ვინ იცის?

მღვდელმთავარი გრძნობდა, რომ სწორედ ახლა ასეთი აზრი უტრიალებდა თავში მირანდუხტს და გული ეკუმშებოდა. ხომ ახსენა წელან თავისი წინაპარი შუშანა და ის თქვა, თვითონ როგორ მოიქცეოდა ამ შემთხვევაში.

„ღმერთმა აშოროს ჩემს ასულს ასეთი სახიფათო ნაბიჯი, — ფიქრობდა რევყოფილი, — სახიფათო ნაბიჯი, რომლის კარგა დაბოლოება...“

მოულოდნელად თავის ნააზრევის დამმოწმებელი ამბავი დაინახა.

მირანდუხტის წინ მუხლებზე დაცემული ელიაზარ ვაჭარი ხელებს ზეცისაკენ აპყრობდა.

— ოო! ვფიცავ მამა-პაპათა სახელს, ასულო ქართველთა ერისავ, რომ მეორე ივდითი იქნები. ჩვენს ერს გამოევლინენ ასეთნი ასულნი. ქართველ ერს კი ბედნიერია ქართველი ერი! ქართველ ერს ადრე თუ გვიან ბრწყინვალება მოეფინება ამ ასულთაგან.

მირანდუხტმა წამოაყენა ებრაელი. ელიაზარი მის ხელს მოწიწებით ეამბორა.

— სასანიანთა პალატი გელით, უფლისწულო! — მიმართა ახლა პირადად ქავურდს მირანდუხტმა.

ქავურდმა თავის საჭურჭელმტვირთველს ჩამოართვა ერთი საუცხოო ყელმოღერებული, თვალსხივოსანი, თეთრი ცხენი და მირანდუხტს მიაპყრა თვალნი.

— მე, შენი მიწა, შენი მნახველი, — მიმართა სასანიანის ასულს ალფარსლანის ძმამ, — მე ქავურდ სელჯუკიანი ველარ დავიტოვებ ჩემთან მთელ საუფლისწულოში ქირმანში ცალის არ მყოლ ამ ჰუნეს. დღეიდან მხოლოდ შენ გატარებს იგი.

— დღეიდან ეს ჰუნე იყოს ავის მოსპობის საწინდარი შენსა და ჩემს მოდგმათა შორის, — უპასუხა მირანდუხტმა ქავურდს და ჩამოართვა ნაძღვნეი ჰუნეს სადავე.

შინაყმებს მიხედა ქალმა და ბერასა და გულადის უკან მდგომ ბასას თვალი შეასწრო. ბასა მიხვდა, უფლის ასულს ჰუნეს გადაცემა ჰსურსო და მასთან მიირბინა.

— უფლის ასულო! ეს ჰუნე არამცთუ ადიდებულ იორს გადასცურავს და გადმოსცურავს, მტკვარსაც არ დაერიდება, — მოახსენა მან მირანდუხტს დარბაისლურად და ცხენის სადავე ჩამოართვა.

— პირდაპირ ეშმაკის ფეხია! — წამოიძახა ბერამ და ფერისს მიმართა. — ეს როგორი შენი შვილია? დაჩი შენი ნაკვეთია ნამდვილი, პირწავარდნილი მამაა.

— მე მაგას ვაჩვენებ ეშმაკის ფეხობას! — წაილაპარაკა ფერისმა მუქარის კილოთი.

— ბერა ძიავ, მამას გულს რად აყრევინებ ჩემზე? — უსაყვედურა ხუმრობით ზენკალს ბასამ და მამას მიმართა: — არ გინდივარ ასეთი, და ქარდილაის გავყვები.

ამ სიტყვების გაგონებაზე ქარდილაი დაფაცურდა, გულის ნადები გამიგოო, წარმოთქვა და არმაზელს მხარზე ხელი დაადო.

— გურს, ჰა გურს! იცი, რა გითხრა! — წასჩურჩულა თავის მამის აღზრდილს. — ჭაბუკი კარგი ვაჭარი გამოვა. წავიყვანოთ.

— ეჰ, შენც ერთი! — შეუტია ხმადაბლა ელიაზარმა ქარდილაის. — ვერ ხედავ, როგორ ძმასავით უყურებს მირანდუხტი მაგ ონავარს?

— მართალი ხარ, ელიაზარ! — დაუმოწმა გურსიმ ბასას მოსარჩლე ებრაელს. — მაგრამ მე ვთხოვ ჩემს ძმისწულს, თურქთა ბანაკში გამაყო-

ლოს დროებით ბასა, რომელიც მეც გულში ჩამიძვრა. იქ გამომადგება თავისი თვალმახვილობით და სწრაფმახვილობით. ისე კი, უნდა ვთქვა, ჩემს ძმას არც შინაყმებს წაეედავები, არც სხვა რამეს.

— ჰო, ეგ კი კარგია, — მოუწონა ელიაზარმა გურსის. — ბევრი თვალი და გამჭრიახი გონება ზედმეტი არ იქნება თურქთა ბანაკში.

ბერა თუ ეშმაკის ფეხად იხსენიებდა ბასას და მამა ცემით ემუქრებოდა, გურსი და ელიაზარი კიდევ მის გამოყენებაზე ფიქრობდნენ თურქთა ბანაკში და ქარდილაი გურსის ურჩევდა ონავრის აღზრდას ვაჭრად. მეუფე ნინოწმიდელი ულიმოდა ბასას და მირანდუხტმა მხარზე ალერსიანად დაადო ხელი.

ბასამ მიხედ-მოხედა ყველას და ბოლოს ქავურდს მიმართა მოურიდებლად;

— უფლისწულო სელჯუკიანო! შენმა ჰუნემ ხომ კარგი ცურვა იცის?

მოენემ გადასცა ბასას შეკითხვა ქავურდს.

— არც ერთ ადიდებულ მდინარეს არ უშინდება შენი უფლის ასულის მირანდუხტ სასანიანის ჰუნე, — იყო პასუხი არაბულად.

— შენმა მზემ, ძალიან არ მესმის ეგ შენი არაბული? — მიაყოლა ბასამ სელჯუკიანის ნათქვამს. — ეს კი გავიგე, მირანდუხტ სასანიანი რომ ახსენე, დანარჩენს რაღა ვუყო?

მოენემ გადაუთარგმნა ბასას ქავურდის სიტყვები.

— ჩემი თქმა გამართლდა, უფლის ასულო! — მოახსენა ბასამ მირანდუხტსა და ცხენი გაიყვანა.

მირანდუხტი პალატის დერეფნისაკენ დაიძრა. თურქები ნინოწმიდელთან ერთად მირანდუხტს გაჰყვნენ.

ნინოწმიდელს ფიქრთა გროვა არ ასვენებდა.

— მღვდელმთავარო! — ჩაეწვეთა ნინოწმიდელს ყურში სიტყვა და გამოერკვა.

— რას იტყვი, უფლისწულო სელჯუკიანო? — შეეკითხა თვითონ ნინოწმიდელი ქავურდს!

— შენს ასულს, ქრისტიანს, არაბეთიდან დიდი, დიდი მანძილით დაშორებულს ჩვენი სჯულის ფუძემდებელი ენა ჩინებულად სცოდნია. — უპასუხა ქავურდმა გაკვირვებითა და კმაყოფილებით.

— არაბნიც არიან ხომ ქრისტიანნი, — განუმარტა ნინოწმიდელმა ქავურდს. — ქრისტეს ამაღლების პირველ საუკუნეშივე გაისმა არაბეთშიც

ქრისტეს მოძღვრების ქადაგება, გაისმა მაჰმადის მოვლინებამდე ხუთ საუკუნეზე მეტით ადრე. ქრისტეს მოძღვრება ჩვენგან მოითხოვს, თუ ძალა შეგწევს, ყოველ ენაზე ვადიდოთ ჩვენი იესო ქრისტე და ჩემმა ასულმაც შეისწავლა არაბული და სხვა ენებიც, — დასძინა ბოლოს ნინოწმიდელმა და სტუმრებს შეუძღვა თავის მამა-პაპათა პალატის დერეფანში.

8

თურქები დიდხანს არ დარჩენილან სასანიანთა სახლში. მოსვლის დღესვე ამოალაგეს ალფარსლანის საჩუქრები და ქავურდის სიტყვის წინწამძღვარებით მიართვეს ნინოწმიდელ მეუფეს. საჩუქრები საკვირველი შეეწონებოდა ნინოწმიდელისაგან ალფარსლანთან მიტანილ ძღვენს, სჭარბობდა კიდეც. უხვობდა ალფარსლანი. მოტანილ საჩუქრებს ზედ ერთოდ ალფარსლანის წერილიც. წერილში სულთანი თავის დანაპირებს იმეორებდა.

მეუფე მეფურად გაუმასპინძლდა სტუმრებს და თავაზიანი მოპყრობით ყველანი მოხიბლა. ხიბლავდა სტუმრებს ისიც, რომ ფეხთ არ ეგებოდა მღვდელმთავარი.

გურსი და ებრაელები კი ემზადებოდნენ თურქთა გუნდთან ერთად გასამგზავრებლად.

მირანდუხტსა და მეუფეს გურსიმ სთხოვა, ბასა გაეყოლებინათ მისთვის დროებით; გაუმჟღავნა თავისი მოსაზრება, თუ რად სჭირდებოდა ვერხვის ჭინკა.

— იქ იაზონი ტრიალებს, — უთხრა ძმას მეუფემ. — იცნობს ბასას და სიკეთეს არ დააყრის.

— მართალს ამბობს მამაჩემი, — თქვა მირანდუხტმა. — იაზონი არ აპატიებს ბასას მისი ვინაობის გამომჟღავნებას, შარშანწინ ჯვარპატიოსნობაში მომხდარ ამბავს.

— მაგასაც ვნახავ, თუ როგორ მიცნობს! — წამოიძახა ბასამ. — გულადი იცნო მაშინ? ვერ იცნო, ვერც ახლა სცნობს.

— მერმე, გულადიკით წარბებს დაისერავ? — ჰკითხა ნინოწმიდელმა.

— არა, მე გულადზე უფრო კარგ ფანდს მივმართავ, თავს არ დავისახიჩრებ.

— მერმე ამ თურქებმა რომ გაგცენ თავისდა უნებლიეთ? თქვან, სასანიანებისა არისო? — შეეკითხა ახლა მირანდუხტი.

— რაკი გურსის გავყვები, ვაჭრისა ვიქნები ყველასათვისაც და მაგ თურქებისათვისაც, — უპასუხა ბასამ, — მაგათ ხომ არ იციან ვინა ვარ?.. თვითონ მე მოგიტანთ გურსისგან ამბებს. გურსისაც მოგიყვანთ ისევე.

— ერთი უყურეთ, რა უეჭველობის კილოთი გპირდებათ ჩემს თავს ეს ონავარი! — სიცილით უთხრა გურსიმ მეუფეს და მირანდუხტს.

— ჩემთან ვიღა იქნება მორბედად? — ჰკითხა მირანდუხტმა ღიმილით.

— გულადი! — უპასუხა ბასამ. — ონოფრეს არ გირჩევ, უფლის ასულო, დაავალებ რამეს და, ფაცრებთან ამოჰყოფს თავს.

მესამე დღეს თურქთა დიდგვარიანები გზას გაუდგნენ. გურსი, ებრაელები და ბასაც თან გაჰყვნენ.

დიდხანს მდუმარენი მიდიოდნენ სტუმრები ივრის გაღმა ნაპირას და ხშირად იხედებოდნენ სასანიანთა თავცისხისაკენ.

— გრძნეულია ეს ქალი, გრძნეული! — ამოკვნესით აღმოთქვა ერთმა დიდგვარიანმა თურქმა. — მომათილისმა!

— მართალი ხარ, მართალი! — დაუმოწმა პირველს მეორემ. — მე გული საგულედან ამომიგდო მაგ ასულმა.

— მე სამუდამოდ დამიკოდა! — წამოიძახა გამწარებით მესამე თურქმა. — ველარაფერი გამიმთელებს გულსა.

— ლამის გულს შემოწოლილმა ბოღმა—ვარამმა სული ამომართვას, — დაიჩივლა სხვამ.

— ჩემი გული უჩინარი ძაფებით მიეწება იმ ასულის არსებას, მივიწევ წინ ჩვენი ბანაკისაკენ, ეს უჩინარი ძაფები უკანვე მქაჩავენ და გული მეწიწკნება, — წამოიღაღადა მეხუთემ. — ალბათ ბანაკამდე დამიწყდება ეს ძაფები და სისხლით დაეიცლები.

ქავურდმა ყველას დუმილით უპასუხა. ჭაბუკ სელჯუკიანს ჰბოჭავდნენ გულში ძლიერად ჩაჭრილი გრძნობები, ლაპარაკის უნარს უკარგავდნენ.

ხუთივე დიდგვარიანმა მოხედა დადუმებულ ქავურდს, თითქოს ყოველი მათგანი ამ მოხედვით შეეკითხა: შენ რაღას იტყვიო. თითოეულს სურდა, ქავურდიც მათ ტაფაში მოქცეულიყო. ქავურდმა იგრძნო ეს, თავს ძალა დაატანა და წარმოთქვა:

— ვინ მოგცათ ნება, — დაიწყო წყნარად, მაგრამ მკვეთრად ქავურდმა, — რომ აგეთ გრძნობებს ჰბედავთ და უკმევთ ქალს სასანიანს აღმოსავლეთის დიდი მბრძანებლის ალფარსლანის მომავალ მეუღლეს, თქვენს მომავალ დედოფლად ნაგულვებს? თქვენ მხოლოდ მონათა გრძნობებით ფერხთ უნდა ეგებოდეთ მირანდუხტს. მე კიდევ ერთგულ მაზლად ვეულინებოდე.

ამ უკანასკნელ სიტყვებში ქავურდმა თავისი უკურნებელი სევდა გამოხატა.

ქავურდის სიტყვები კარგა გაიგეს ქავურდისა და თურქ დიდგვარიანების უკან მომავალმა გურსიმ, ქარდილაიმ და ელიაზარმა. თურქული კარგად ესმოდა სამივეს.

გურსისათვის ნათელი გახდა, რომ თურქთ სტუმართა მოსვლით სასანიანთა პალატში პირველი ნაბიჯი გადაედგა ალფარსლანს მირანდუხტის სათხოვნელად.

თურქთა დიდგვარიანთა უკან გაიბა დაბალი ხმით ებრაული ლაპარაკი.

— აკი ვთქვი, მირანდუხტი იქნება-მეთქი! — დაიწყო ელიაზარმა. — მე განვჭვრიტე ეს! ოო! დიდი მირანდუხტი, დიდი!..

— მეც კი ვთქვი, მირანდუხტი იქნება-მეთქი, უეჭველად იქნებას გასწევს და იქნებასაც გადააჭარბებს, — წარმოთქვა ქარდილაიმ. — მჯერა, სჯერა ჩემს ნაძმესაც, თავს დასდებს მირანდუხტი თავისი ქვეყნისათვის, მაგრამ დიდ, დიდ ფულს გავიღებ, წინ გაუშლი მთელს ჩემს სიმდიდრეს ალფარსლანს, რომ მირანდუხტი გადააქციწყდეს. მირანდუხტი მაგ მხეცს არ უნდა ერგოს!

— სიმდიდრე აქ არაფერ შუაშია, ჩემო ქარდილაიქ! — უთხრა გურსიმ. — აგერ, ხომ ნახე, რამდენი გამოუგზავნა ჩემს ძმას ალფარსლანმა! აღმოსავლეთის დიდი მბრძანებელი არაფერს დაერიდება. მირანდუხტი რომ თანამეცხედრედ გაიხადოს. ხალხს დიდ ტკივრთად დააწვება მირანდუხტმა რომ უარი უთხრას ალფარსლანს.

— გამაგებინე, ჩემო ახალო პატრონო, — ჩურჩულით მიმართა ბასამ გურის. — რას ლაპარაკობთ? იქნებ მეც, თქვენმა უმრწემესმა კარგი რამ გითხრათ. ვიცი, რომ მირანდუხტზე ლაპარაკობთ, მაგრამ ებრაელების ენას ვინ რას გაუგებს? თურქულს უფრო მივხვდი. თავბრუ დაახვია ჩემმა უფლის ასულმა ამ რჯულძაღლებს, წარამარა იმეორებენ მის სახელს ეს მამაოხრები.

— ალფარსლანს, როგორც ამ თურქთა ლაპარაკიდან ჩანს, მირანდუხტი სურს თანამეცხედრედ, — ამცნო გურსიმ.

ბასამ თვალთაგან ცეცხლები გადმოჰყარა.

— ეს იაზონის მამაძაღლობაა! — წამოიძახა ბრაზმორეული ხმით ბასამ. — ჩაახარებდა იმ რჯულძაღლს, ჩვენს მეუფეს რომ ასული ჰყავს. იაზონ ცალქალამანიძეს სასანიანთა ზიანი არ შერჩება!

— ხმას ნუ აუწიე! — ჩუმი ხმით უთხრა გურსიმ ბასასა. — ხომ იცი, მოენე ჰყავთ ამ თურქებს. ისე კარგა ლაპარაკობს ქართულს, თურქებისაკენ გადასული ქართველი უნდა იყოს.

ბასა დაჩუმდა. მთელი გზა კრინტი აღარ დაუძრავს.

თუ გურსი გზად გაგონილმა ქაჯურდის სიტყვებმა შეაფიქრიანეს, ბასა გააბრაზეს, ქარდილაის თავის სიმდიდრეს ამეტებინებდნენ, ელიაზარი კიდევ იკდიობას უწინასწარმეტყველებდა მირანდუხტს, ნინოწმიდელი პალატში ვერ ისვენებდა: მისი ასული საფრთხის წინ იდგა, რუსთველის წინასწარმეტყველება მართლდებოდა. აბა რად გამომიგზავნიდა ამდენ საჩუქრებს ალფარსლანი, თუ გულში რაიმე ასეთ განზრახვას არ ატარებსო, არ ასვენებდა ეს აზრი ნინოწმიდელს და გზასაქცევი ვერსაითკენ მოეძებნა. შექმნილი მდგომარეობიდან თავის დაღწევა შეუძლებელი ხდებოდა. დაეტოვებინა მეუფეს ასული უჯარმაში, ეს იმას ნიშნავდა, რომ მამას მსხვერპლად გაეწირა შვილი. ალფარსლანის სიძეობაც გულს ურევდა. მირანდუხტი ალბათ მხოლოდ ერთი ცოლთაგანი იქნებოდა ალფარსლანისა და არა თანამეცხედრე, მისი ტახტის მონაწილე. ეს სასანიანთა გვარს შეურაცხყოფას მიაყენებდა. მამას სურდა, მის ასულს საქართველოს ტახტის მემკვიდრეს თანამეცხედრეობა არ ასცდენოდა, თუმცა ბაგრატისათვის დღემდე პასუხი არ გაეცა იმ წერილზე. მამა საყვარელ ასულს ვერ იშორებდა გვერდიდან მაშინ. ახლა კი მეუფე ნინოწმიდელი მზად იყო გაეგზავნა ბაგრატთან. მას სურდა, მის შვილს საქართველოს ტახტი არ ასცდენოდა და ეს სურვილი უცრუვდებოდა. წინასწარ გრძნობდა ნინოწმიდელი, თუ გაგზავნიდა მირანდუხტს ბაგრატთან, ქართველთა ტომთა ქვეყანას ზედმეტ უბედურებას თავს დაატეხდა. უფრო მძვინვარე იქნებოდა ალფარსლანის თარეში ამ ქვეყანაში. ნინოწმიდელს წამიწამ აგონდებოდა თავისი პასუხი, ჭერემში რუსთაველს რომ მისცა შეკითხვაზე — რას იტყვი, მეუფეო, ალფარსლანმა ასული რომ გთხოვოს თანამეცხედრედო. ეს

პასუხი სიტყვა-სიტყვით უმეორდებოდა ყურში მეუფეს. მკაფიოდ ესმოდა თავისი ნათქვამი: „მე მიმალული მამაპაპისეული ქონება არ დავზოგე, არ დავიშურე ჩვენი ქვეყნისათვის, მტერს ფერხთ წინ დავუყალე და ჩვენი სამწყსონი უზრუნველვყავ დარბევისაგან, სახლი ჩემი თითქმის გავაღარიბე. ეს ხომ ჩემ მიერ ჩემი შვილებისა და ახლობლების გაწირვაა კიდეც, ღვთის ამარას მიტოვებაა. ჩემი ქვეყანა თუ მოითხოვს ჩემგან მხსვერპლს, კიდევ თავს მოვისრი. გავიღებ კიდეც...“

ქვეყანა ქართველთა ტომებისა კიდევ მოითხოვდა მსხვერპლს და ნინოწმიდელს ეძნელებოდა მისი გაღება. მსხვერპლად უნდა შეწირულიყო მისი შვილი და მამის გული მის გონებას ეტოქებოდა.

მამა საგონებელში იყო ჩავარდნილი, შვილი მირანდუხტი სდუმდა. მამა გადაეხვია შვილს, შუბლი ცრემლით დაუსველა...

ქალმა მამა წყნარად მოიშორა და მშვიდად განუცხადა:

— მე არაფრისა მეშინია, მამაჩემო! — თუ გთხოვოს ჩემი თავი ალფარსლანმა, შეგიძლია ოქროს სინით გამგზავნო თურქთა ბანაკში. იქნებ ამ შენი მოქმედებით მეც გამოვადგე ჩვენს ქვეყანას.

— ბოლნისს წადი, შვილო! — შეჰმუდარა რეჭყოფილმა იადხმობილს. მეფესთან წასვლაზე ვერაფერი უთხრა რა, ვერ გაუბედა. ბოლნისს წადიო, მხოლოდ ეს გაუმეორა.

— მერმე ამოდენა ხარკი რომ გადიხადე ჩვენი კუთხის რბევისაგან დასახსნელად, ხომ ამაოდ ჩაგიარა? — შეეკითხა შვილი და უპასუხოდ დარჩა.

ნინოწმიდელმა გაიხსენა, რუსთველს პასუხად რომ უთხრა კიდევ: „მაგრამ მირანდუხტი თავის თავზეა მინდობილი. მის სურვილზეა მიგდებული მისი ბედი. ბაგრატმა მთხოვა მეფისწულისათვის ჩემი ასული და ჰო ვერ ვუთხარ... ვიმეორებ, თვით მირანდუხტმა უნდა გადაჭრას თავისი ბედიო...“

ნინოწმიდელი ცხადად ხედავდა, რომ მირანდუხტი მართლაც თვითონ სჭრიდა თავის ბედს...

მეუფეს პალატში ბერა ზენკალი, ფერისი და გულადი ეწვივნენ. მისულთ მეუფემ საშიშროება გადაუშალა, საშიშროება, სახლს რომ ელოდა მისას.

— ფხოვში წავიყვან უჯარმის დედოფალს, — თქვა გულადმა. — ჯერ

ხომ არ იცი დანამდვილებით, მეუფეო, რომ ალფარსლანი ასულს გთხოვს თანამეცხედრედ. ყველამ იცის, არეული დროა და ყოველი სახლი ეხიზნება მთას მოსალოდნელი ხიფათის თავიდან ასაცილებლად. ვერ გამოგედავება ალფარსლანი ამისათვის, ვერ გეტყვის, ასული რად მომარიდეო.

— ალფარსლანისაგან მოცემული მაქვს ფირმანი, რომ არამცთუ გარე კახეთის ხალხს, რომლის გულისათვისაც ხარკად გაეიღე მამაპაპათა განძეულობის ნახევარი მაინც, უჯარმის ციხის მხარს ამომდგარ ჩემს წალკოტსა და პალატსაც ხელი არ უნდა ახლოს თურქთა ლაშქარმა. მარტო ეს არ არის: მე მეკობრეთა განადგურების უფლებაც კი მაქვს დიდი სულთნისაგან მოცემული საიდუმლოდ.

— მაინც სახლის გახიზვნა რა ცოდვა არის? — წამოუყენა საკითხი ნინოწმიდელს ზენკალმა ბერამ. — მეკობრეებთან ბრძოლისას ხომ ყველაფერი მოსალოდნელია. თუმცა შენს ციხე-სიმაგრეს ძნელად თუ ვინმე რამეს დააკლებს, მაგრამ მაინც სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

— მინამ დრო არის, გავხიზნოთ მირანდუხტი, ჩემო პატრონო! — შეჰღაღადა ფერისმა ნინოწმიდელს.

— კარგი, გავხიზნოთ, — დაიწყო ნინოწმიდელმა, — მერმე რომ მთხოვოს ასული თანამეცხედრედ ალფარსლანმა, ხომ მეტყვის, დააბრუნეო, და უნდა დავაბრუნო.

— ეჰ, შე დალოცვილო! — უთხრა ზენკალმა, — ჯერ ხომ უნდა გთხოვოს იმ ალფარსლანმა, შენ ხომ უნდა შეუთვალო, გახიზნული მყავს და დავაბრუნებ-თქო. ამასობაში დროც გავა, და, ვინ იცის, როგორ წაუვიდეს ალფარსლანს საქმე.

— არა, მე ვერავინ გამხიზნავს! — გადაწყვეტით განაცხადა მირანდუხტმა, — ჩემო ფერის და ბერავ, მამა მშობელი აქ იბრძოდეს მეკობრეებთან და მე კი სხვაგან ვიმალებოდე? დაჭრილები ხომ გეყოლებათ?.. ჩემო ბერავ, სასანიანთა სამკვიდრებელი კიდევ გაუძლებს მეკობრეების იერიშებს! მამავ, მე აქ ვრჩები. ჩვენი პალატ-წალკოტის ზღუდე, ბერა, ფერისი, გულადიც, ონოფრეც, ბერას რაზმი და თვით ფირმანი ალფარსლანისა დამიცავენ. თუ აუცილებელი გახდება, გავყვე ალფარსლანს თანამეცხედრედ — გავყვები. ჩემი ხვედრი ეს ყოფილა.

ქალს თავისი ბედი გადაეწყვიტა, მაგრამ მამა ჯერ კიდევ ყოყმანობდა. ასულის გახიზვნას და მის დარჩენას პალატში სასწორზე სდებდა.

გარედან ონოფრე შემოიჭრა.

— რა იყო, დამთხვეულო? — შეუტია ბერამ. — მშვიდად ვერ შემოხვალ?

— სამშვიდობო რა მაქვს, ერთი შენც! — მიუგო ონოფრემ. — აი რა წერილი გამოუგზავნია გურსის გზიდან.

— შენმა მზემ ჩააბულბულებდი! — გაჰკრა კბილი ონოფრეს ბერამ.

— რატომაც არა? ვინ გგონიავარ? — გამოიდო თავი ონოფრემ. — ბაქარისა და მერმე ჩემი უჯარმის დედოფლის იადხმობილის მოწაფე არა ვარ? აი, მეუფეო, რას იწერება? იმ რჯულძაღლს ალფარსლანს რა განზრახვა ჰქონია, როცა ამ საჩუქრებს გზავნიდა! — ონოფრემ ოთახში დალაგებულ ალფარსლანის გამოგზავნილ სიმდიდრეზე მიუთითა ნინოწმიდელს და წერილი მიაწოდა.

გურსის წერილიდან ყველასათვის ნათელი გახდა ნინოწმიდელთან ალფარსლანის დამოყვრების სურვილი.

გურსის წერილით მოტანილი ამბავი მეხივით არ მოვლენია დარბაზში მყოფთ. რუსთველმა ჭერემში მხოლოდ ჰკითხა ნინოწმიდელს, რას იტყვი, მეუფეო, ალფარსლანმა ასული რომ გთხოვოსო, და აუშფოთა სული. ნინოწმიდელმა შესაძლებლად დაინახა ეს ამბავი და ყველა თავისიანებს აცნობა, რუსთველმა ეს მითხრაო, და ყველა პალატში მყოფთაგანი ნამდვილად ჰგონებდა, ალფარსლანი თხოულობს მირანდუხტსაო. არავის მოსვლია თავში, იცოდა თუ არა ალფარსლანმა თავისი საჩუქრების გამოგზავნამდე, რომ ნინოწმიდელს ჰყავდა ულამაზესი ასული. არავის არ მოჰსაზრებია, თუ ვინ ეტყოდა ამ ამბავს ალფარსლანს. ალფარსლანის შემოსევამ ხალხს დაუქსაქსა დამშვიდებული, გონებისაგან გაკვერილი გზა აზროვნებისა და თავისი გაჭირვების მეტი ყველაფერი დაავიწყებინა. დღეს მოვიდა თავზარდამცემი ამბავი და წამს თითქოს თვალები აეხილათ.

— ეს სულ იაზონის საქმეა! — წამოიძახა გულადმა.

— აბა, მაშ ვისი იქნება, თუ იმისი არა? — მიაყოლა გულადის წამოძახილს ფერისმა.

— უეჭველად იაზონის საქმეა! — დაუმოწმა თავის მხრივ ბერამაც. — ეგ ჯოჯოხეთის ნაშობი რჯულის რჯულამდე ჩაჰყვება ხოლმე კაცს.

— მეკობრისაგან რას უნდა მოელოდეს კარგს კაცი? — დაუმატა ონოფრემ.

— გამოუცხადა მორჩილება ალფარსლანს ცალქალამანიძემ, — განაგრძო თავისი დასკვნები გულადმა, — და მორჩილებისათვის სთხოვა წყალობა, სთხოვა იადხმ ბილი თანამეცხედრედ.

— ჰო, და აკი იმიტომაც მიიღო ამ ბოროტების წყაროთ ეს წყალობა? — წამოიძახა ბერამ.

— შური უნდა ეძია სასანიანებზე ცალქალამანიძეს, ეს ცხადია, — დაურთო ფერისმა ბერასას, — და ეს შურისძიება თვითონვე ეძგერა გულში, ჩანს, სხვისაგანაც შეესმა ალფარსლანს იაღხმობილის ქებათა ქება და ამან მოასურვა მისი თანამეცხედრეობა.

ნინოწმიდელი ისმენდა ყველაფერ ამას და თან გონებით ალფარსლანის ბანაკში იმყოფებოდა. ხედავდა კახეთის დიდებულებს თავდახრილთ ალფარსლანის კარავში, კახეთის მფლობელ აღსართანს მორცხვად ქვეშ-ქვეშ გამომყურეს და მისკენ თავხედურად და იმედიანად მაცქერალ იაზონ ცალქალამანიძეს. იაზონის სახეში ნინოწმიდელმა ამოიკითხა, რომ თავისთვის სთხოვა ალფარსლანს მირანდუხტი და, როგორც ნათელი ხდებოდა, დაპირების მეტი ვერა მიიღო რა. გაიხსენა ჭერემი და რუსთველის შეკითხვა.

„ეს შეკითხვა ნიშნავდა, რომ ალფარსლანმა კიდეც იცოდა იაზონისაგან ჩემი ასულის არსებობა, — გაატარა თავში აზრი ნინოწმიდელმა. — ვნახოთ, ჩემი ძმა რას მაცნობებს კიდევ. ოო, ღმერთმა მომიკლინა, ღმერთმა, ეს ჩემი ძმა.“

ნინოწმიდელი იაზონს ემუქრებოდა და შურისძიების სურვილით ღვიოდა.

მირანდუხტს გადახედა მღვდელმთავარმა, ცრემლები წამოყარა უნებლიეთ.

— მამაე, ზეციერის განჩინებას ემორჩილება თითოეული თაყისდა უნებლიეთ, — უთხრა მირანდუხტმა რევყოფილს, — შენ მასწავლიდი, ჩემს ბედს ვერსად ვერ გავექცევი. ზეციერისაგან აღთქმული ჩემი წერა, ალბათ, ეს არის. დეე, აღსრულდეს!

9

ალფარსლანის ბანაკი ხორნაბუჯის მახლობლად მდებარეობდა. ქალაქი მიჰკედლებოდა ციხის კალთებს, როგორც საფრებსა და საფრებად კი ვერ იყენებდა. სუსტობდნენ ეს საფრები მოზღვავებულ მტერთან. ქალაქი უომრად და მორჩილებით ჩაჰბარებოდა თავის პატრონიანად

თურქებსა, და ამგვარად აწიოკებას გადარჩენილი განაგრძობდა არსებობას. სამძიმო იყო მისთვის თურქთა ბანაკის მახლობლობა და მაინც ითმენდა. ზოგჯერ ზედმეტად ხელსაც უწყობდა თურქთა ლაშქარს, რომ მტრის გული მოეგო საფუძელიანად.

გურსისა და ებრაელებს, ხორნაბუჯს მოსულთ, კარგა დიდი ხარკი დახვდათ შეწერილი ხორნაბუჯის ერისთავისაგან თურქთა სასარგებლოდ, მაგრამ გული არ გასტეხიათ. გურსიმ, ელიაზარმა და ქარდილაიმაც ხარკი გადაიხადეს და დაუყონებლივ საქონელიც გაიტანეს თურქთა ბანაკში გასასაღებლად. ჩვენგან აღებულ ხარკზე სამჯერ მეტს გადავახდევინებ ამ რჯულძაღლებსო, შეუთანხმდნენ ერთმანეთს ერთი ქართველი და ორი ებრაელი ვაჭარი. გურსიმ ბასაც თან გაიყოლა. ბასამ ვაჭრის ტანისამოსში თითქოს ფერი იცვალა. თურქთა ბანაკში გაბედულად შედგა ფეხი. გაბედულადვე მოჰკიდა ხელი სრულიად ახალ ხელობას — საქონლის გასაღებას თურქ ჯარისკაცებს შორის.

ბასამ ერთი კარვის კარებში ქავურდს მოჰკრა თვალი და წამსვე მისკენ გადაინაცვლა.

— თურქთა უფლისწულო, აბა ერთი შენც იყიდე რამე!

ბასამ საუცხოო სარტყელი შესთავაზა ქავურდს.

ქავურდმა კაი გულით მიიღო ონავარი, სარტყელიც იყიდა ბასამ. მუნჯურად მადლობა გადაუხადა თურქთა უფლისწულს და ბანაკის ახლა სხვა კუთხეში გადაინაცვლა. კახეთის დიდგვარიანებში მოხვდა უნებლიეთ, მაგრამ არ შემკრთალა: წარბშეუხრელად განაგრძობდა ვაჭრობას.

— დასწყეველოს ღმერთმა, სად არ დაძრწიან ეს ებრაელები! — წამოიძახა ნახჭევნელმა.

— თუკი ქართველს შეუძლია აქ ყოფნა, მე, ებრაელს, რატომ არ შემიძლია? — შეჰღრინა ბასამ ნახჭევნელს და თავის ტომრიდან მოკლე მახვილი ამოაძვრინა. — აი ეს იყიდო, არ სჯობია მაგ შენს წამოდაეებას? ხედავ, რა კოხტაა! ბასრია ისეთი, რომა, უსათუოდ ბაგრატთან ბრძოლაში გამოგადგება.

— აგე, ხედავ კარავს? იქ წაიღე, იაზონ ცალქალამანიძეს გამოადგება.

„მაშ ის კარავი იაზონ ცალქალამანიძისა ყოფილა! — თქვა გულში ბასამ, — ჰო, აგერ მისი ძაღლებიც ტრიალებენ“.

ოდნავადაც არ შეფიქრიანებულა იაზონის ხსენებაზე, მის კარავს მიეჭრა.

— აბა, თუ გინდათ მახვილი მახვილთა შორის! — დაიძახა კარვის შესასვლელთან ონავარმა. — ისე ჰმახვავს ადამიანის გულს, მეტადრე ქრისტიანისას, რომ ჰა! მაჰმადიანებს კი ინდობს.

ბასამ იცოდა იაზონის გამაჰმადიანება.

— გააგდეთ ეგ ურია აქედან! — გაისმა კარვიდან ხმა.

ბასამ ხმაზე იაზონი იცნო და თუმცა თავისი გაგდების ბრძანება გაიგონა, გამგდებლის ხელი მაინც აიცდინა და კარავში თამამად შეიხედა: იაზონი პირქვე ეგდო და გმინავდა.

„ცუდად არის მაგისი საქმე, — გაივლო გულში ბასამ, — ასე რომ გმინავს! ნეტავი რა აწუხებს მაგ ქვეყნის გამყიდველს?“

ისევ ნახჭევნელს დაუბრუნდა.

— რა? არ იყიდა? — ჰკითხა ბასას ნახჭევნელმა.

— რა ამისთვის სცალიან! — უპასუხა ბასამ ნახჭევნელს. — ეტყობა, სიცხე აქვს: ძალზე გმინავს. ციებ-ცხელება ექნება. მთის შვილს ალაზნის ველის ქვემოები რას ახეირებს.

— მაგას ჭაბუკო, ალაზნის კი არა, სხვა ციებ-ცხელება აქვს, — დაურთო ბასას სიტყვებს პასუხად ნახჭევნელმა. — მაგას ხელიდან მირანდუხტ სასანიანი მთლად უსხლტება. აქამდის კიდევ იმედი ჰქონდა იმ მშვენიერი ასულის ხელში ჩაგდებისა, მაგრამ ეს იმედი სრულიად დაეკარგა ახლა. ალფასლანს განა მეტოქეობას გაუწევს?

ნახჭევნელს არ ჰქონია ცალქალამანიძეებთან მოყვრობა და სადაც კი შემთხვევა მიეცემოდა, კბილის გაუკრავი არ დარჩებოდა. არც იაზონი ინდობდა ნახჭევნელს. საერთოდ კი ერთიც და მეორეც დიდი მომხრენი იყვნენ აღსართანისა და მოძულენი ბაგრატიანის. მხოლოდ ეს ორი გარკვეული გეზი აერთებდა ორიევს ალფარსლანთან. ახლა კი ნამდვილ პატრონად ალფარსლანი ჰყავდათ ორიევს და ძაღლებივით უღრენდნენ ერთმანეთს ალფარსლანის გადმოგდებულ ძვალზე.

— მერმედა ალფარსლანმა საიდან გაიგო, რომ მეუფეს, სასანიანთა მოდგმისას ასული ჰყავდა? — ჰკითხა ბასამ.

— თვითონ მაგ ჭკუის კოლოფმა ამცნო, — ნახჭევნელმა იაზონის კარავზე მიუთითა ბასას, — ნინოწმიდელს ასული ჰყავს და თანამეცხედრედ მე დამისვი შენს მონა ერთგულსაო. ალფარსლანმა იაზონი ცარიელზე დასვა: თვითონ მოისურვა სასანიანის ასული თანამეცხედრედ. სასანიანთა

პალატს თავის ძმა აწვია თურქთა დიდგვარიანებითურთ. ყველანი გადარეულნი დაბრუნდნენ იქიდან. სულ გაფითრებულნი დაიარებიან სასანიანთა პალატში ნამყოფი დიდგვარიანნი... მალე ალფარსლანი მოციქულებსაც გაუგზავნის ნინოწმიდელს და ქალსა სთხოვს თანამეცხედრედ.

„ნეტავი როდის გააგზავნის ამ მოციქულებს ალფარსლანი? — იფიქრა ბასამ. — ამ ენაჭარტალას რომ ვკითხო, ვაითუ მიმიხვდეს რასმე! არა, დეე ეს გურსიმ გაიგოს".

ბასას ნახჭევნელმა მახვილი ჩამოართვა და სინჯვა დაუწყო.

— კარგია ეს მახვილი, — ჩაილაპარაკა მან.

— კარგია და აიღე, რაღა, ერთი მახეირე! — წააქეზა ბასამ.

— ურია ხარ, ტყავს გამაძრობ! — დაიწყო ჯანჯალი კაცის კილოთი ნახჭევნელმა.

— სამოცი თეთრი არა ღირს მაინც? — შეეკითხა ბასა.

— აი, აკი გითხარი, ტყავს გამაძრობ-მეთქი! — წამოიძახა ნახჭევნელმა და თან დასძინა: — ოცდაათ თეთრს მოგცემ.

— შენ მე მითხარი, ურია ხარ, ტყავს გამაძრობო, და ნამდვილად კი შენ უარესი ყოფილხარ. ძუნწობ! — უსაყვედურა ბასამ ნახჭევნელსა და მახვილი ჩამოართვა. — არ იყიდი, აგერ კარვიდან გამოვიდა, ვინ არის? ჰო, ცალქალამანიძე! ის იყიდის.

ბასა დაურიდებლად გაექანა იაზონ ცალქალამანიძისაკენ.

— დახედე რა ამ მახვილს! არა ღირს სამოცი თეთრი განა? — შეჰმუდარა არგოელის ჩამომავალს და თან გულში გაიცლო; „ე, მანდ რომ მიცნოს, რა სეირი იქნება. ხომ შუაზე გამგლიჯა!"

მაგრამ იაზონს ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ ახლა მის წინ მდგარი ებრაელი ვაჭარი, ჭაბუკობას ძლივს მიღწეული, ის ონავარი იქნებოდა შარშანწინ, ჯვარპატიოსნობას მისი ვინაობა რომ გამოამჟღავნა.

— აი, შენ მეზობელს შეეაძლიე, — ბასამ ნახჭევნელზე მიუთითა იაზონს, — და ნახევარი ფასი შემომაძლია. მე ურიას მეძახის და თვითონ ურიაზე ძუნწია.

იაზონს ესიამოვნა ნახჭევნელის ასეთი გაკილვა. ბასას სამოცი თეთრი მისცა და გაისტუმრა.

ბასამ დიდხანს აღარ მოუხდა დანარჩენი საქონლის ტარება. რაკი კახელთა შორის საშიშროება აღარ მოელოდა, მათი წრიდან აღარ დას-

ჭირვეებია გამოსვლა. გაასაღა დანარჩენი საქონელიც კახელთ შორისვე და თვალი აადევნ–ჩაადევნა ალფარსლანის ბანაკის ხან ერთ და ხან მეორე მხარეს: იქნებ, გურსი სადმე დავინახოო.

მაგრამ ბასამ პირველად ქარდილაი დაინახა და მისკენ გასწია. ონავარი აედევნა თავისი ახალი პატრონის ნაძმევს. შეეხვეწა, ჩემი პატრონი მომინახეო. ქარდილაიმ ყური კი არ ათხოვა ბასას ხვეწნას, თვალებგაფართოებულმა დაუწყო ცქერა. უკვირდა, ამ ქართველმა ასე მალე და ასე კარგ ფასებში როგორ გაასაღა ამდენი საქონელიო.

გურსი თვითონ წამოსულიყო ბასას საძებნელად. არმაზელ-სასანიანს ქავურდის ერთმა რაზმელმა აცნობა, კახელთა შორის ტრიალებსო და, ცოტა არ იყოს, შიში აღეძრა გულში.

„ვაითუ იაზონ ცალქალამანიძემ იცნო ის ონავარი!“ – გაიფიქრა გურსიმ და გაახსენდა, ბასამ რომ ჯვარპატიოსნობას არგოელის ჩამომავლის ვინაობა გამოამჟღავნა!

გურსიმ მაშინ მოისვენა, როცა საღსალამათი ბასა ქარდილაის გვერდით დაინახა. ბასამ წამსვე მის ზურგსუკან მონახა ბინა.

– შენ ეი, ჩემს ზურგსუკან რომ იმალები! – შეუტია ბასას გურსიმ, – რა პასუხი უნდა გავცე მირანდუხტს, აგრე გაბედულად რომ დაიარები შენთვის სახიფათო კახელთა შორის?

– რა პასუხი უნდა გასცე? – მიუგო ბასამ. – ჯერ წავიდეთ სახლში. იქ გეტყვი ყველაფერს.

– მაშ იაზონმა ვერ გიცნო? – დააბოლოვა გურსიმ ბასას ნაამბობი.

– აკი გითხარი, გურსი, ეს ჭაბუკი დიდი ვაჭარი იქნება-მეთქი! – გაიმეორა ქარდილაიმ და ბოლოს დასძინა: – იქნება კი არა, არის კიდეც.

– მირანდუხტი ივდითობას გასწვევს! – ელიაზარმა გაიმეორა თავისი აკვიატებული აზრი, რაკი დარწმუნდა ბასას ლაპარაკიდან, ალფარსლანი მირანდუხტს ითხოვს თანამეცხედრედო.

– ერთი ისიც გავიგო, თუ როდის აპირებს ალფარსლანი ჩემს ძმასთან მოციქულების გაგზავნას ქალის სათხოვნელად, – თქვა გურსიმ, – და მაშინ ჩემი საქმე აქ დამთავრებული იქნება.

ამ ამბის გაგებაც არ დახანებულა. მეორე დღეს თურქთა ბანაკში მოტრიალე ვაჭრებს თავი მოუყარეს ალფარსლანის კარვის წინ. მათ შორის გურსი, ელიაზარი, ქარდილაი ერივნენ. ამ სამს ბასა გვერდიდან არ მოუშორებია.

კარვიდან ალფარსლანი გამობრძანდა და წყნარი, მაგრამ მტკიცე ხმით მიმართა ვაჭრებს:

— რომელ თქვენგანს მოეპოვება უძვირფასესი სამკაული ქალისა?

არც ერთ ვაჭარს ხმა არ ამოუღია.

— ორმაგად დავაჯილდოებ ამგვარი სამკაულის მომტანს, — წარმოთქვა ალფარსლანმა, რაკი ნახა, რომ ვაჭრები დუმდნენ.

გურსი წინ წარსდგა.

— სრულიად აღმოსავლეთის დიდო მბრძანებელო! — მიმართა მან ალფარსლანს. — ერთი დღე გვადროვე და ხვალ წარმოგიდგენთ რამდენიმე სამკაულს. აირჩიე შენი ბედნიერი ხელით. მგონია, ყველას მოგვეპოვება ასეთი ძვირფასი სამკაული.

— ისეთი სამკაული უნდა იყოს, რომ მირანდუხტ სასანიანის სილამაზეს ედავებოდეს! — თქვა დინჯად ალფარსლანმა. — ხვალ ველი ამ სამკაულს.

გურსისა და ბასას გულზე უკბინა ალფარსლანისაგან მირანდუხტის ხსენებამ.

ალფარსლანი კარავში შევიდა. ვაჭრები წავიდ-წამოვიდნენ არც ისეთი ადვილი არჩევანის შესასრულებლად. თვითოეულმა მათგანმა კარგად იცოდა, რომ ალფარსლანის ბრძანების შეუსრულებლობა მის რისხვას გამოიწვევდა და თურქთა ბანაკის შემოსავლიანი წყარო მოაკლდებოდათ.

შინისაკენ მიმავალ ელიაზარს, გურს, ქარდილაისა და ბასას შორის გაიმართა საუბარი.

— მე პირადად არა მაქვს სამკაული! — განაცხადა ელიაზარმა.

— არც მე მაქვს, — წარმოთქვა გურსიმაც.

— მე მაქვს არაჩვეულებრივი სამკაული, — ჩაილაპარაკა ქარდილაიმ. — მირანდუხტის სილამაზეს არ შეედავება. მაგრამ მირანდუხტს კი შეეფერება. მისი წარდგენა ალფარსლანთან მაინც მაფიქრებს. ვინ იცის, მაგ მხეცს, მოეწონება თუ არა?!

— არ უნდა წარვუდგინოთ, — გადაწყვეტით თქვა გურსიმ. — ჩემო ძმაო ქარდილაი, ტყუილად ოავს შევირცხვენთ. ახლავე შევიმოსები ჩემი აბჯრით, გამოვცხადდები ალფარსლანთან, როგორც დიდგვარიან არმაზელთა ჩამომავალი, მის ყმადნაფიცობას მოწადინებული. ვის მოუვა აზრად, რომ ნინოწმიდელს ვგავარ, ან გინდ მიმამსგავსონ, რა მოხდება? ყველამ იცის, რომ ნინოწმიდელი ახლა არ მოვიდოდა აქ; ცალქალამან-

იძიანთ კარგად იციან, რომ ბაქარი ბაგრატთან არის და მესამე სასანიანს კი ჯერ არავინ სცნობს... გავიგებ როგორმე, თუ როდის აპირებს სულთანი მოციქულების გაგზავნას ჩემს ძმასთან და დღესვე დავბრუნდები ხორნაბუჯს. დღესვე ავიბარგოთ და სხვა ქალაქს შევაფაროთ თავი, თუგინდ ისევ უჯარმას დავბრუნდეთ.

— მე წარუძღვენ ალფარსლანს სამკაულს, ქარდილაის რომ აქვს, — გამოიდო თავი ბასამ. — ბოლოს და ბოლოს, რას მიზამს ალფარსლანი. არ მოიწონებს წარდგენილს და გამომაგდებს, ხომ არ ჩამომახრჩობს. თუმცა მაგისთანა მხეცისაგან ყველაფერი მოსალოდნელია. თუ დამიპირებს ჩამოხრჩობას ეგ სულთანი, იმედი მაქვს დავუძვრები ხელიდან და უჯარმისაკენ გავექანები. აქ არ შეგარჩენთ ჩემს თავს, თუმცა ქარდილაი თავგადაკლული ცდილობს ჩემს დარჩენას. აბა ჯერ შინ დავბრუნდეთ, ის სამკაული ვნახოთ, შეეფერება თუ არა მირანდუხტს. თუ შეეფერება, მივართვათ.

— გურსი, მართალია, ამან წარუძღვინოს ის ჩემი სამკაული! — დაიწყო ქარდილაიმ. — ეს დიდი ვაჭარია. ეს გააცურებს ალფარსლანს.

— მამა გიცხონდა პატიოსანი! — შეეხუმრა ბასა ქარდილაის. — ხოლო ეგ კი არის, ვაჭრისებურად სულ ტყუილებს ვილაპარაკებ ალფარსლანთან. იმ რჯულძაღლს პირდაპირ ვეტყვი სათქმელს.

— კიდევაც ამიტომ, რომ აგეთი მოურიდებელი ხარ, არ გაგიშვებ ალფარსლანთან სამკაული მიუტანო, — უთხრა გურსიმ.

ოთხივემ თავიანთ ბინას მიმართეს. ქარდილაიმ აღარ დააყოვნა, ამოიღო სამკაული და გურსის მიაწოდა. ეს სამკაული იყო ყელსაბამი, ის მართლაც არაჩვეულებრივად უცხო რამ აღმოჩნდა. ეს იყო ერთმანეთზე გადაბმული პატარა მთვარედების მწკრივი, თითოეული ოქროს მინაით გამოყვანილი წმიდანის სახითა და წმიდანის სახის შემოჩარჩოებული მცენარეული კლაკნურით. ოქროს მინაით გამოყვანილი სახეები ადამიანისა ბევრი ენახა გურსის, მაგრამ ამისთანა კი ჯერ არა.

— ეს მართლა ჯერ არსადთქმული სილამაზის სამკაულია, — თქვა წყნარად ელიაზარმა, — მერმე მირანდუხტისათვის მართლა შესაფერისი. მაგრამ მიხვდება ამ სილამაზეს ალფარსლანი? იმას, ვფიქრობ, მხოლოდ ინდური ძვირფასი პატიოსანი თვლებით მოოჭვილი ყელსაბამი თუ სამკაული მოეწონება. ეს კი მის გულს არაფერს ეტყვის.

— მართალია! — დაამოწმა გურსიმ ელიაზარის ნალაპარაკევი.

— როგორ თუ მართალია, მაგასაც ვნახავთ! — წამოიძახა ბასამ. — მომეცით თქვენ ეგ, წარვუდგინოთ აღმოსავლეთის მბრძანებელს. იმას ინდური ყველაფერი ნანახი ექნება, ეს კი — არა. ეს ალფარსლანისათვის მართლა ჯერ არსადთქმული სილამაზისაა. მომეცით ერთი, მივუტანო და მისგანვე გავიგო კიდეც, თუ როდის გეაწვეევს სასიძო მოციქულებს.

— ეს გაიტანს თავისას, გურსი, გაიტანს! — შეეცადა ქარდილაი ამხანაგების დაჯერებას. — ნეტავი ჩემ შვილად ექცია ღმერთს ეს ჭაბუკი! — წამოიძახა მან, — გაემდიდრდებოდი.

— ისე კი ნაკლები გაქვს, შენმა მზემ, — მიახალა ბასამ. — მე მგონია, ამ სამკაულზე არა ნაკლები სხვაც გექნება... გურსი! ხელს ნუ შემიშლი! წარვუდგენ ამ სამკაულს ალფარსლანს, დეე გაუგზაონოს დიდმა სულთანმა ეს ყელსაბამი მირანდუხტს. ხედავ, რამდენი წმინდანია ჩამომწკრივებული. დეე, ეს წმიდანები ჰფარავდნენ ჩემი უფლის ასულს.

გურსი ყოყმანობდა. ძნელად შესასრულებელ საქმედ სჭვრეტდა ასეთი ყელსაბამის მიტანას ალფარსლანთან.

— ხომ ჩემია ეს ყელსაბამი! — წამოიძახა მოთმინებადაკარგულმა ქარდილაიმ. — მაშ, მევე მიეართმევ ამას ალფარსლანს...

მეორე დღეს ქარდილაი მართლა გაემგზავრა ალფარსლანის ბანაკში. ბასაც აეკვიატა.

ქარდილაი რომ გამოცხადდა ალფარსლანის კარავთან, მარტო აღმოჩნდა. არც ერთი ვაჭარი არ მოსულიყო. ნათლად ჩანდა, ყველა დაჰრიდებოდა ალფარსლანს. ეტყობოდა, არც ერთი მათგანი არ მოელოდა სულთანისაგან სიკეთეს. ქარდილაი შეშინდა: უკან დაბრუნებას აპირებდა, მაგრამ ბასამ შეაჩერა:

— აქ მომეცი, ქარდილაი! — უთხრა ბასამ შეშინებულ ებრაელს და თითქმის ძალით გამოსტაცა ხელიდან ტილოში გამოხვეული. ამ დროს გურსიც მოვიდა. ალფარსლანის კარვის წინ აღმართულ ბასას ერთი დარაჯი გადაჰლობებოდა და მახვილს უღერებდა, მეორე ცნობისმოყვარეობით უცქეროდა ამ ამბავს და უკვირდა ბიჭის სითამამე.

— რა წერას აუტანიხარ, ბიჭო! — დაუძახა გურსიმ. — დაბრუნდი უკან. მიკვირს, აქამდე თავხედობისათვის თავი არ გაგაგდებინა მაგ დარაჯმა.

— აბა თუ მიმიხვდნენ ეს მამაძაღლიშვილები! — წამოიძახა ბოლოს ბასამ. — ერთი აცნობონ თავიანთ მბრძანებელს.

კარვიდან მალე ალფარსლანი გამობრძანდა. მძიმედ მიიხედ-მოიხედა და რაკი ბასას მეტი მის კარს ახლომოსული ვაჭართაგანი ვერავინ დაინახა, შუბლი შეიკრა რისხვის გადმოსაბნევად, მაგრამ თავი შეიკავა. ბასამ მიიპყრო მისი ყურადღება.

ალფარსლანმა ცნობისმოყვარეობით ახედ-დახედა ჭაბუკობას ძლიევს მიღწეულ მოურიდებელ არსებას. ბასამ სწრაფი მოძრაობით აქეთ-იქით მიიხედა და თავისდა მოულოდნელად დაინახა ნახჭევნელი, იაზონი და სხვანი, რომლებიც ალფარსლანის კარავს მიახლოებოდნენ, ეშმაკურად გაიღიმა და ალფარსლანს ყელსაბამი შესთავაზა. ალფარსლანმა თვალი გადაჰკრა სამკაულს. მისმა სახემ არაფერი არ გამოხატა.

— მთელი აღმოსავლეთის მბრძანებელთა დიდო მბრძანებელო! — მიმართა სულთანს ბასამ და მოენემაც ფეხი წინ წამოდგა მისი სიტყვების თურქულად სათარგმნელად.

— ხედავთ ეს ურიას ნასხლეტი როგორ გაბედულად ელაპარაკება? — წარმოთქვა ნახჭევნელმა.

— შენ კი, — უთხრა იაზონმა ნახჭევნელს, — სულთანს რომ გინდა მოახსენო რამე, სიტყვა პირში გეჩხირება!

— უფრო სწორი იქნება, თქვა, — შეუბრუნა სიტყვა ნახჭევნელმა ცალქალამანიძეს, — სიტყვა პირში გვეჩხირება ხოლმე-თქო.

იაზონმა ნახჭევნელს შეუბღვირა.

— რას მიბღვერი, შვილო? — შეუძახა ნახჭევნელმა არგოელის ჩამომავალს. — მე ხომ არ გედავები სასანიანთა მზეს? იმას შეუბღვირე ვინც გართმევს.

იაზონს სიბრაზისაგან კბილთა ღრჭენა აუვარადა. ნახჭევნელს ბოროტმა ღიმილმა გადაჰკრა სახეზე.

ორი დიდგვარიანი ერთმანეთს რომ კბენდა, ბასა თავის დაწყებულს განაგრძობდა.

— ხომ მოუხდება ეს სამკაული, აღმოსავლეთის მბრძანებელთა დიდო მბრძანებელო, მირანდუხტს, სასანიანის ასულს? — ჰკითხა ბასამ თამამად.

— არა! — ბრძანა ალფარსლანმა.

გურსი და ქარდილაი გაფითრდნენ. გურსის ბასას ბედი აწუხებდა. ქარდილაის კიდევ ეშინოდა, ბასამ არ მოახსენოს სულთანს, სამკაული რომ მე მეკუთვნისო.

— თუ არ მოუხდება, ესიამოვნება მაინც, — განაგრძობდა ბასა.

— რა იცის ამ ებრაელმა. რომ ეს სამკაული ესიამოვნება სასანიანთა ასულს? — თქვა ალფარსლანმა. — ამ სამკაულში ინდურ პატიოსან თვლებს ვერა ვხედავ.

სულთანმა ცნობისმოყვარეობით გადახედა ბასას, აბა რას იტყვისო.

— ჯერ ერთი, მე ებრაელი არა ვარ! — წამოიძახა ბასამ ამაყად. — მეორეც, რომ ესიამოვნება ეს ყელსაბამი ჩემს უფლის ასულს, ეჭვიც არ მეპარება, აღმოსავლეთის მბრძანებელთა დიდო მბრძანებელო!

„რაო?! ჩემი უფლის ასულიო! — გაიელო გულში იაზონმა. — მაშ, ნინოწმიდელი მეუფე თავის შინაყმებს ვაჭრადაც ზრდის? — მერე კარგად დააკვირდა ბიჭს და თავისთვის ჩაილაპარაკა: — ეს ხომ ფერისის ნატამალია, ჯვარპატიოსნობას ჩემი ვინაობა რომ ამხილა! დამაცა, შე ძაღლის ნასხლეტო, დამაცა! ეს მახვილიც რომ შემომატყუა!

იაზონი რომ ამას ამბობდა, ბასა თავისას განაგრძობდა ისევე, არ შეჩერებულა.

— აღმოსავლეთის მბრძანებელთა დიდო მბრძანებელო! მირანდუხტისათვის ეს ქრისტიანთა წმიდანების მწკრივი ათი ათასჯერ ძვირფასია, ვიდრე ინდური პატიოსანი თვლებიო, მოოჭვილი ყელსაბამი.

— მერმე გამომყვება შენი უფლის ასული? — ჰკითხა პირდაპირ ალფარსლანმა.

მოენემ განმარტა სულთანის სიტყვები.

— მაშ, იაზონ ცალქალამანიძეს გაჰყვება?! — წამოიძახა ბასამ და იაზონმა თვალთაგან ცეცხლი გადმოაბნია.

— ჰა? არ გესიამოვნა? — ჰკითხა ნახჭევნელმა ცალქალამანიძეს დაცინვით.

იაზონმა პასუხი არ გასცა ნახჭევნელს. იგი ბასას ზურგს მისჩერებოდა და განგმირვას ემუქრებოდა.

ბასამ კი ისევე თავისებურად განაგრძო:

— მეკობრე ხალხი სასანიანთ არ უყვართ.

იაზონი საშინლად გაბრაზდა, ნახჭევნელი კი ბოროტად იღიმებოდა.

— რა გაბაზებს, ყმაწვილო? — გულგრილად შეეკითხა ნახჭევნის პატრონი ცალქალამანიძეს. — განა მართალს არ ამბობს ეგ ვაჭარი, სასანიანთა შინაყმა?

იაზონმა ნახჭევნელს თვალები დაუბრიალა. ნახჭევნელმა ბოროტი ღიმილის შეუჩერებლად უპასუხა. ნახჭევნელს ცალქალამანიძის როდი ეშინოდა. განა ეს ნახჭევნელი არ იყო, ერთ დროს ბაგრატ მეფე პირში ჩალაგამოვლებული რომ დატოვა! თავისი ნახჭევანი არ ააღებინა.

სასანიანთა შინაყმის გამბედაობით გაოცებულმა ალფარსლანმა ჯერ იაზონს გადახედა, მერმე სხვებს, თითქოს იკითხა, ეს ვინ დგას ჩემ წინაო.

— მერმე? — შეეკითხა ბოლოს სულთანი ბასას. — იაზონ ცალქალამანიძისა არ გეშინია?

— აღმოსავლეთის მბრძანებელთა დიდი მბრძანებელის ფირმანს ვინ გადალახავს? — წამოიძახა ბასამ ალფარსლანის პასუხად.

ალფარსლანმა მოიწონა სასანიანთა ჭაბუკი შინაყმის ასეთი პასუხი და ბრძანა:

— მიეცეს ფირმანი ჩემი უშიშარ ჭაბუკს! — სულთანმა ამ ბრძანების გაცემის მერმე ისევ ბასას მიმართა და ჰკითხა: — რა ეღირება ეგ შენი ყელსაბამი?

ბასამ ფასი მოახსენა თურქთა მბრძანებელს.

— აბა გამოუტანეთ ამ სამკაულის ღირებულებაც! — ბრძანა ალფარსლანმა და ბასას ფირმანთან ერთად ყელსაბამის ფასიც ჩააბარა.

სულთანმა თავზე ხელი გადაუსვა.

— როდის ბრუნდები შენს უფალთან, ჭაბუკო? — ჰკითხა მან ბასას.

— დღეს, თუ აღმოსავლეთის მბრძანებელთა დიდი მბრძანებელი ამას მოისურვებს! — უპასუხა ბასამ.

— გადაეცი შენს უფალს, რომ ხუთი დღე გაივლის და მაშინ ეწვევიან ჩემი გაგზავნილი მოციქულნი.

— სიტყვა-სიტყვით მოვახსენებ აღმოსავლეთის მბრძანებელთა დიდი მბრძანებლის დანაბარებს ჩემს უფალს, — მიუგო ბასამ.

— ნამდვილი ეშმაკის ფეხია! — გაიმეორა გურსმა ბერას აზრი ბასაზე.

— გურსი, ჰა გურსი! — ეს თქვენი შინაყმა სამკაულის ფულს ხომ მომცემს? — შეეკითხა ქარდილაი.

— რაღა თქმა უნდა მოგცემს. ეჭვიც ნუ შეგეპარება, — უპასუხა გურსიმ და ბასასკენ გაიხედა. მისი ხმა კიდევ გაიგონა.

— აღმოსავლეთის მბრძანებელთა დიდო მბრძანებელო, თუ გზაში რამე დამემართა, იცოდე, ეს იაზონ ცალქალამანიძის ბრალი იქნება. ოქრო უყვარს ცალქალამანიძეს.

წარმოთქვა თუ არა ეს სიტყვები, ნიშნის მოგებით თვალი გადაჰკრა ცალქალამანიძეს და სულთანს ისე გამოესალმა. გურსისა და ქარდილაისკენ გასწია. ალფარსლანმა მრისხანედ გადახედა იაზონს. რაც ნიშნავდა: მე შენ გიჩვენებ სეირს, თუ რამე ჩაიდინე ამ ჭაბუკის წინააღმდეგო.

იაზონი ბასასაგან ნაყიდ მახვილს ატრიალებდა ხელში. ოო, რა დიდი სიამოვნებით გააგდებინებდა თავს ამ ენაჭარტალას. იმისი მონაყიდი მახვილით! მაგრამ ალფარსლანის მრისხანე მზერა საკმარისი გამოდგა, რომ იაზონს ბასას გაქრობის სურვილი გულში ჩაეკლა. არამცთუ აქ, სადმე ახლოს, შორს გზაზედაც, სანამ ალფარსლანი აქ ტრიალებდა, ამ გველის წიწილს ხელს ვერ ახლებდა იაზონი და ვერც სხვას დაავალებდა მის მოსპობას.

ბასამ, გურსიმ და ქარდილაიმ თურქთა ბანაკი მიატოვეს.

გზაზე ქარდილაიმ მიმართა ბასას:

— ნახევარ ფასს ხომ დაკმაყოფილდები!

— სულ მიირთვი ეს ფული, ჩემო ქარდილაი! — უპასუხა ბასამ, — მე, აი ამ ჩემი უფლის ძმის ხარჯითაც კარგად ვიყელი უჯარმამდე.

შინ დაბრუნებისას ბასამ უთხრა გუ ისის:

— გამიშვი, დღესვე წავალ უჯარმაში. გზა კარგად დამახსოვდა. მერე ალფარსლანს დანაპირებსაც ავუსრულებ, მანამ ნურაფერს შესჭამს ალფარსლანი, სანამ მირანდუხტი თანამეცხედრედ არ გაჰყვებოდეს.

— ასეთი მიმრთვა: ალმოსაელეთის მბრძანებელთა დიდო მბრძანებელოო, სად გაიგონე, ან ვინ გასწავლა? — ჰკითხა გურსიმ ცნობისმოყვარეობით.

— დაილოცა დედიჩემის ზღაპრები, — წამოიძახა ბასამ. — იქიდან მაქვს გაგონილი, თორემ მე შენ გითხრა, სულთანთა კარზე მიცხოვრია. ზღაპრებში. ყველაფერი გაბედულად არის ნათქვამი. მეც ამ ზღაპრებით ვლაპარაკობდი.

გურსიმ შუბლზე აკოცა თავის ძმის შინაყმას, დატვირთა საჭირო საგზლით, წერილით და უთხრა:

— შენ წადი. აი ცხენი. მე კი თურქთა ბანაკში ვიტრიალებ. გავიგებ კიდევ რამეს, ცალქალამანიძე აქაურობას არ შორდება, არა, შენ მარტო არ გაგიშვებ. დღეს ხორნაბუჯიდან, ვიცი, სხვებიც მიდიან უჯარმისაკენ. იმათთან ერთად იმგზავრე.

— მიდიხარ? — ჰკითხა ქარდილაიმ ბასას. — აი, ეს ფული სულ შენ წაიღე.

ქარდილაიმ პარკში გამოკრული ყელსაბამის ფული მთლიანად ბასას დაუდო წინ.

ბასამ გაშტერებით შეხედა გურსის.

— ჩამოართვი, ბასავ! ნუ აწყენინებ, — უთხრა გურსიმ. — გულწრფელია ქარდილაი.

— გულწრფელი ვარ, ჭაბუკო, გულწრფელი! — დაამოწმა გურსის სიტყვები ქარდილაიმ. — არ ეზარალობ. ახლა შენი მოხერხების წყალობით შორს აღარ მომიხდება ვაჭრობა. თურქთა ბანაკში უშიშრად ვივლი. მე და გურსიღა ვიქნებით ამ ბანაკში. დანარჩენნი ხომ შიშით გაიკრიფნენ აქედან. ჩვენც ხომ უნდა გავპარულიყავით სადმე, შენ რომ სიმამაცე არ გამოგეჩინა.

— არა, ამ ფულს მე ნუ გამატან, გზაზე სახიფათოა! — შეჰმუდარა ბასამ ქარდილაის. რაკი დაინახა, რომ ის მაინც თავისას არ იშლიდა.

— მაშ, აბა მაგ ფულს, როგორც შენსას ისე ვასარგებლებ, — დასძინა ბასას მუდარას ქარდილაიმ და ყელსაბამის ფული ცალკე გამოკეტა.

ქარდილაი და ბასა რომ ერთმანეთს ედავებოდნენ, გურსის ამ დროს სახე ენისლებოდა. ბასა მიდიოდა უჯარმაში და გურსის გულიც უჯარმისაკენ მიიბრძოდა. არმაზელ-სასანიანი გრძნობდა, რომ ახლახან მონაპოვარი ნათესავების დარდი-ვარამი მის დარდ-ვარამად იქცა. ისეთ დროს შეხვდა გურსი ამ ნათესავებს, როცა წინ ეშლებოდათ და გადაშლოდათ კიდეც გზა მსხვერპლის მომთხოვნი და მძაფრ დაბრკოლებათა გზა. პატარაობისას განცდილ თავის უბედურებას გურსი ახლა სასანიანთა მოქმედ ბედს აწერდა.

„დამელუპა დედა და მე გადავრჩი, — ფიქრობდა იგი, — შევხვდი ძმას. ძმისწულებს. გავიხარე მათი შეხვედრით და ესეშხამება ეს სიხარული. იღუპება ჩემიანი ბოროტი მეკობრის ვერაგული მოქმედებით. ვინ არის დამსჯელი ამ მეკობრისა? ალფარსლანი? ეს თავისას ცდილობს, სჯის ცალქალამანიძეს, რომ მის ოცნებას სასანიანთა ასულზე ბოლო მოეღოს. გვსჯის ჩვენც ჩვენს გვართან დამოყვრების სურვილით. ჩვენზე აღიზიანებს ჩვენს მტერს ამ სურვილით. ქვებუდანობის გზით შეებრძოლება იაზონი ალფარსლანს, რომ წაღებული აღუკვეთოს და ჩვენთვის ავზნე თავისი მისწრაფება დაიკმაყოფილოს. ვინ იცის, რა ზიანს უმზადებს ჩვენს გვარს მეკობრე? სანამ აქ ვხედავ იაზონს, მანამ უნდა წარვუკვეთო ბასრი კლანჭები. ახლა აქ ბასას დაწყებული საქმე მე უნდა განვაგრძო“.

ბასას გადახედა არმაზელმა: მას სამგზავრო სამზადისი დაემთავრებინა და ელოდა თავისი პატრონის ძმას, რას მეტყვისო. გურსის უნდა ერჩვენებინა მისთვის უჯარმისაკენ წამსვლელი მგზავრები. და გავიდა ქალაქში ამ მგზავრების მოსანახავად.

10

თურქები წავიდნენ. თურქებს ებრაელები და გურსი გაჰყვნენ. სასანიანთა პალატში დარჩნენ: ნინოწმიდელი, მირანდუხტი, სასანიანთა ერთგული შინაურნი და გარეშენი. სამი დღის უკან ნინოწმიდელიც დაიძრა, სამღვდელმთავრო რაზმიანად ნინოწმიდაში გაემართა. მეუფეს თავის სამწყსოსთვის უნდა დაეხედა. მტრის შემოჭრის ამბები მრევლს ხშირად გზა-კვალს უბნევდა და გამამხნევებელი სიტყვა სჭირდებოდა. მეუფე უნდა სწვეოდა რუსთაველსაც, კაწარელსაც, სამწყსოთა საქმის სათანადო დონეზე დასაყენებლად. ცოტა არ იყოს, ერთსაც და მეორესაც სისუსტე მოსდგამდათ სამწყსოს წინამძღვრობაში. ნინოწმიდელს ისიც უნდა გაეგო, იქნებ სადმე მეკობრეთა რაზმს თავი ჰქონდა მოყრილი.

მირანდუხტთან დარჩნენ მისი ერთგული მგოსანი, გულადი, დარბაისელი შინაყმა ფერისი. თავდადებული ონოფრე და ბერა ზენკალი.

ერთმა კვირამ გაიარა და გურსის წერილიც მოიტანა ბასამ თურქთა ბანაკიდან. ახლად მონაპოვარი ბიძა საყურადღებო ცნობას აწვდიდა. მალე მამაც დაუბრუნდა მირანდუხტს. წერილი ბერას, ფერისის, გულადისა და ონოფრეს თანდასწრებით მამასთან ერთად გადაიკითხა ქალმა.

წერილში ბასას ოინებზეც ვრცლად ეწერა.

ალფარსლანის გადაწყვეტილებამ, რომ მოციქულებს აწვევდა ნინოწმიდელს მირანდუხტის სათხოვნელად, ყველა დააღონა.

— დახე ერთი იმ ძაღლის ნასხლეტს, — წამოიძახა ონოფრემ. — ხედავთ, რასა ჰბედავს?

— აბა თუ არ გავიტაცო იადხმობილი და მაშ მე ბერა არ ვყოფილვარ! — წამოიძახა ზენკალმა. — ისეთ ადგილას მიგმალო, ჩემო უჯარმის დედოფალო, რომა ეშმაკმაც ვერ გიპოვოს.

გულადმა თავისი თქვა: ფხოვში გაიწვია კიდევ მირანდუხტი. ნინოწმიდელს სახე ჩამოუბნელდა. ხმა კი არ ამოუღია. ასეევე დაემართა ფერისსაც. ბასამ კი გულში გაიცინა, დღეს მოციქულები გვეწვევიანო.

— მამაჩემო! — მიმართა მირანდუხტმა ჯერ ნინოწმიდელს და მერმე თვალი გადაავლო დანარჩენებსაც, — და თქვენ, ჩემო გულისშემატკივარნო. ჩემი ხვედრია ესა მითქვამს კიდეც, ვამბობ და კიდევაც ვიტყვი. იქნებ ჩემმა ასეთმა ხვედრმა რაიმე სიკეთე მოუტანოს ჩვენს ქვეყანას. იქნებ გადაარჩინოს მარტო გარე კახეთი კი არა, ქართლი და კიდეც ქართველთა სხვა ქვეყნები აოხრება-აწიოკებას ამ ჩემმა ბედისწერამ. იქნებ კი არა, უნდა გადაარჩინოს!.. მე გავხდები ალფარსლანის თანამეცხედრე. დეე, მოვიდნენ მოციქულები! ჩემგან თანხმობას მიიღებენ. მხოლოდ მოვითხოვ დროს, ჯერ ჩემ წინაპართა სალოცავები უნდა მოვილოცო და მერმე ვეახლები ალფარსლანს მის ბანაკში.

— მამა უცხონდა ალფარსლანს! — წამოიძახა ბასამ. — მანამ ნურაფერს შესჭამს, სანამ ჩემი უფლის ასული თანამეცხედრედ არ დაუჯდეს.

— მკრძე, შე ეშმაკის ფეხო! — შეუტია ბერამ ბასას. — შენ თვითონ არ გითქვამს ალფარსლანისათვის, აბა მაშ იაზონ ცალქალამანიძეს გაჰყვებაო.

— მაშ, როგორ გამეგო, ბერა ძიავ, იმ ძაღლი-მამაძაღლის გულის ნადები დანამდვილებით? — წაედავა ბასა ზენკალს. — ასე რომ არ მოქცეულიყავი, ძალიან ცოტა გვეცოდინებოდა ამ ამბისა.

— მერმე რომ ვიცით, — შეუძახა ფერისმა შვილს, — მაგითი რამეს ვუშველით?

— მერმე! ცოტა რომ გვცოდნოდა ან სულ არაფერი, მაშინ კი უშველიდი? — შეეკითხა შვილი.

მამამ შვილს ამაზე არა უპასუხა რა, მხოლოდ ჩვეულებისამებრ სილა დაანახვა.

— ე სახეძაღლი! ბაგრატ მეფემ წაათამაშა! — დაუმატა ონოფრემ.

— წადი, შენს ფაცრებს დახედე! შენი საქმე ეგ არის! — თავისებურად ჩაუნისკარტა ბასამ. — მოციქულებს თევზი მოართვი. დღეს პირდაპირ შენ გეწვევიან. თანხმობას შენ გთხოვენ.

გულადი ალაპარაკდა. ნინოწმიდელი კი სდუმდა.შვილი მსხვერპლად უნდა შესწირვოდა ქვეყანას და ველარას ამბობდა ამის საწინააღმდეგოდ. შეეჩვია შვილის გადაწყვეტილებას.

— ტყუილად წაედავნენ ბასას! — დაიწყო გულადმა და თვალი ბერას, ფერისსა და ონოფრეს გადაავლო. — კარგა მოქცეულა, მე და ჩემმა ღმერთმა. ჩვენ დროს ვიგებთ ამით. მოვიდნენ ალფარსლანის მოციქულები და

თანხმობა ვუთხრათ, მხოლოდ ვთხოვოთ გვადროვონ. საბაბად იადხმობილის სურვილი გამოვიყენოთ. სადედოფლოს სურს, მამა-პაპათა სალოცავების მოლოცვა. სანამ მირანდუხტი მოილოცავს ნინოწმიდას, ბოჭორმას, სვეტიცხოველსა და ჯვარის საყდარს, ალფარსლანი ჩვენი მოღალატეებითურთ კიდეც დაიძვრის და წამოვა ქართლისაკენ. დეე ალფარსლანმა იგულვოს თანამეცხედრედ იადხმობილი. ამით არა დაუშავდება რა. შემდეგ როგორ შესრულდება მისი სურვილი, ღმერთმა იცის. ვფიქრობ, ალფარსლანს არ დასცალდება, რომ ელირსოს იადხმობილის თანამეცხედრეობა.

— მეც ასე ვფიქრობ. მართალია, ბასა სწორად მოქცეულა! — დაარღვია დუმილი ნინოწმიდელმა, — და გულადი სწორად ლაპარაკობს. ელირსება ალფარსლანი ჩემი ასულის თანამეცხედრეობას თუ არა, მაგასაც ვნახავთ. დღევანდელი დღე კი ჩვენგან მოითხოვს ხელგაშლით დავხვდეთ ალფარსლანის მოციქულებსა. — ნინოწმიდელმა ფერისს მიმართა: — შენ კი, ჩემო ერთგულო, ტყუილად ემუქრები შენს ნატამალსა. წინათ თუ ბევრი ბავშვური რამ მოსდგამდა, მაინც მაგის მოქმედებაში ჭკუა ჩანდა. ახლა კი მე მთლად გამაოცა მაგის საზრიანობამ და ჭკუამახვილმა მოქმედებამ...

ბასა ჯერ გულგრილად უსმენდა თვის ქებას, მერმე დაირცხვინა და გარეთ გავარდა.

— დასწყეველოს ღმერთმა მაგისი თავი! — მიადევნა ბერამ. — ე ფირმანიც რომ დაუტყუვნია ალფარსლანისათვის! უნდა გამოვტყდე და ვთქვა, ყველასა გჯობნის ეგ ვერხვის ჭინკა, ეგა.

— რაღა ჭინკაა? თხუთმეტ წელს აღარა უკლია თურმე, — წარმოთქვა გულადმა.

— იანვარში გახდება მაგდენისა, — დაუმოწმა გულადის სიტყვები ფერისმა, რომელსაც ძალიან სასიმოვნოდ დაურჩა, მეუფემ რომ უქო შვილი.

ბასა მალე შეიჭრა პალატში.

— ჩვენო დიდო პატრონო, — მიმართა ნინოწმიდელს, — მოდიან ალფარსლანის მოციქულენი.

ყველანი წამოიშალნენ და გარეთ გავიდნენ. პალატიდან გამოსულნი წალკოტის თავში გაჩერდნენ. ბასა არ ცდებოდა: პალატს უახლოვდებოდა თურქთა პატარა ჯგუფი.

მოციქულები მალე მოადგნენ გალავნის კარს და ეზოში ფეხი შემოდგეს. ჯგუფს მოჰყვა პატარა რაზმიც. ჯგუფში სამოსლის მიხედვით არათურქნიც ერივნენ.

რაზმი დაბლობში დატოვეს და ფერისისა და ონოფრეს თანხლებით ზევით გამოსწიეს.

ორი მათგანი ქართველი აღმოჩნდა. ნახჭევნელი, ბაგრატის მოწინააღმდეგე, და მისი მოპირდაპირე თავისი მიმართულებით, ხორნაბუჯელი ერისთავი წირქვალელი, რომლის შვილმა მისივე სურვილით ბაგრატს დროზე აცნობა მტრის შემოსევა და მისცა კახეთიდან აყრის საშუალება. შვილი თუ ბაგრატს გააყოლა წირქვალელმა, თვითონ მორჩილება გამოუცხადა მტერს.

ორმა ქართველმა ამოსვლისთანავე კურთხევა სთხოვეს ნინოწმიდელს. არც ბაგრატის მოწინააღმდეგე ნახჭევნელს და არც ბაგრატის მომხრე ხორნაბუჯის ერისთავს — წირქვალელს არ მიუბაძნიათ აღსართანისთვის და მაჰმადიანობა არ მიუღიათ. მათი თანამგზავრნი თურქნი კი მირანდუხტს მისჩერებოდნენ, გაოცებულნი. ქალის სიმშვენიერემ თვალი მოსჭრა ყველას.

ნახჭევნელმა და ხორნაბუჯელმა კურთხევა მიიღეს ნინოწმიდელისაგან და ისე შეავლეს თვალი მის ასულს. გულში სიბრალული აღეძრა ორივეს.

„ვინ საიდანღაც მოთრეული თურქთა მბრძანებელი და ვინ დიდთა მეფეთა სასანიანთა ნათესავი, მზისა და ცის მეტოქე ასულო?! — გაიფიქრა ნახჭევნელმა. — აი ვის ეპოტინებოდა მეკობრე ცალქალამანიძე! არა, ისევ ალფარსლანი!.. ადრე რომ მცოდნოდა, იაზონს ხომ არც თვითონ სასანიანი აძლევდნენ თავიანთ ასულს, მე არც ალფარსლანს ვარგუნებდი ახლა. მთებში გავიტაცებდი, ჩემი სამკვიდრებელის მთებში და იქ მივმალავდი ჩემთვის, როგორც შვილს, როგორც ჩემი დაღუპული ასულის მაგიერს“.

ხოლო წირქვალელს კიდევ იმის წუხილი აუვარდა, რომ მეფისწულს გიორგის ხელიდან ეცლებოდა ბაგრატისაგან მის თანამეცხედრედ გაწესებული სასანიანთა ასული, რაც თვით ბაგრატმა გაუმჟღავნა თელავში. ნახჭევნელი კი ახლაც მზად იყო ხელგაშლით მიეღო სრულიად საქართველოს მეფედ სასანიანთა შთამომავალი, თვით მეუფე და ან ბაქარი მისი ვაჟი. ბაგრატიანებს ვერ ინელებდა ნახჭევნელი. იგი ხელს უწყობდა აღსართანს, როგორც ბაგრატიანთა განმტკიცების ხელის შემშლელს სრულიად საქართველოს ტახტზე.

ნახჭევნელმა მირანდუხტს მიართვა მარგალიტით მოოჭვილი საუცხოო აღმოსავლური სადედოფლო ქოშები, წირქვალელმა კი — იაგუნდითა და ოქროს მცირე ვარდულებით შემკული კაბა, აკოცა და წასჩურჩულა:

— გისურვებ, შვილო, აგცდენოდეს ყოველი ავი და თვით ალფარსლანიც.

წირქვალელი განზე გადგა.

მირანდუხტმა ძღვნის მომრთმევლებს მადლობა უძღვნა.

გონს მოსულნი თურქნი მიუახლოვდნენ ნინოწმიდელს და ალფარსლანის წერილი გადასცეს. ალფარსლანი დიდი მოწიწებით სთხოვდა, მთელი აღმოსავლეთი გაებედნიერებინა და თავისი ასული დაესვა მის გვერდით დედოფლად: „დედოფლობა შენი ასულისა აღმოსავლეთში ეს ხომ დედოფლობა იქნება საქართველოსა და მცირე აზიაში, — იყო ნათქვამი წერილში, — სასანიანთა სისხლის დენა სელჯუკიანთა მემკვიდრეში ეს ხომ ბედნიერება იქნება თვით ჰერანისათვისაც. ვგზავნი ძღვენს, შემოთავაზებულს შენი ჭკუამახვილი ვაჭრის ჭაბუკი შინაყმის ხელით“.

წერილი გათავდა და ნინოწმიდელმა მძიმედ, მაგრამ მედიდურად ამოისუნთქა. მიხვდა მეუფე, რომ სასანიანთა სისხლი იყო სწორედ ის ანდამატი, რომელსაც ალფარსლანი მიეზიდნა.

ნინოწმიდელმა თვალი გადაავლო თურქებს.

— კეთილი იყოს თქვენი ფეხი, მოციქულნო, ჩემ სამკვიდრებელში, — გამოელაპარაკა თურქებს რევყოფილი თავისი უმწიკვლო არაბულით.

მაგრამ ეს მისი არაბული პირველი გაგონება არ იყო მოციქულთათვის. ალფარსლანის წინაც მოესმინათ ახლა აქ მოსულებს. განცვიფრებამ შეიპყრო მოციქულნი, როცა თვით მირანდუხტმა არაბულადვე გაიმეორა მამის სიტყვები.

— ჩვენ გვეყოლება უებრო და ყველას მჯობნი დედოფალი, — წარმოთქვა არაბულითვე მოციქულთა თავმა.

ნახჭევნელმა დიდი კმაყოფილებით უამბო მამა-შვილს — მეუფესა და მირანდუხტს, თუ როგორ გააბიაბრუა იაზონ ცალქალამანიძე სასანიანთა ჭაბუკმა შინაყმამ ვაჭარმა ბასამ, რაც ხორნაბუჯის ერისთავმაც დაუმოწმა.

— ეს ონავარი არც როდისმე ყოფილა ვაჭარი, — ამცნო ერისთავებს ნინოწმიდელმა. — ჩემს ძმას, ექვსი წლიდან ვაჭრებში ჩავარდნილს თავისი დედის უბედურების გამო და ვაჭრად გაზრდილს ებრაელ ვაჭრის სახლში, თან გამოვაყოლე დამხმარედ ხორნაბუჯს, როგორც ყმა.

ხორნაბუჯელსა და ნახჭევნელს გაოცება გამოეხატათ სახეზე. არასდროს არ გაუგონიათ, რომ არჩილ სასანიანს რევის გარდა შვილი ჰყოლოდეს კიდევ. გამოკითხვის სურვილი აღეძრათ, მაგრამ ეს სურ-

ვილი დაუკმაყოფილებელი დარჩათ ჯერჯერობით. მირანდუხტი დაიძრა პალატისაკენ და თან მხლებლებიცით მოციქულნი თურქნიც აედევნენ.

— გულად! — მიმართა ბერამ ფხოველს, როცა უკან დაბრუნებული ბასა მათკენ წამოვიდა, — ეს ეშმაკის ფეხი ყველას თავს გადაგვახტება.

— ამინ, აგრე იყოს! — დასძინა ზენკალის სიტყვებს მგოსანმა. — ბასასათვის არაფერი მშურს.

ალფარსლანის მოციქულნი პალატის ზედა სართულში მოხვდნენ. აქ ალფარსლანის ძღვენი ამოიღო მოციქულთა თავმა. ნინოწმიდელი გაოცდა. ძღვენი სწორედ ქრისტიანთა ასულის შესაფერისი აღმოჩნდა. მირანდუხტი ემთხვია ყელსაბამის წმიდანებს. ქალმა გულში შეავედრა თავისი თავი. სთხოვა გაჭირვებაში სიმხნევის ძალა.

მირანდუხტი ყელსაბამის წმიდანების სახეებს ემთხვია, თურქ მოციქულებს კი ეგონათ, ჩვენი პატრონის თანამეცხედრეობა სანატრელი ყოფილა ამ მშვენიერი ასულისათვის, ძღვენს რომ ემთხვიაო. მაგრამ მირანდუხტის გამოხედვამ ყველას ეს ნაფიქრალი გაუქარწყლა. ქალის თვალების უფსკრულმა თავი დაახრევინა ყველას. ყველას გულში ჩასწვდა რაღაც დამმონავებელი ძალა და მონური სული აუმოძრავდა.

ეს ასული ყველაა — ჩვენც და პატრონსაც თავის ფერხთა მტვრად გვაქცევსო, — გაივლო თითოეულმა ხნიერმა თურქმა მოციქულმა აზრად. ახალგაზრდებს კი გული დაუკოდა მისი სხივოსანი თვალების გამოხედვამ.

— ჩემი ქალის სურვილი, ჩემი სურვილიცაა, — განუცხადა მოციქულებს ნინოწმიდელმა, — მხოლოდ ჩემ ქალს უნდა დრო. ჰსურს მოილოცოს მამაპაპათა ქრისტიანული სალოცავები. ესაა ჩემი სურვილიც.

ნინოწმიდელმა წერილიც მისწერა ალფარსლანს. მადლობას უხდიდა დიდზე დიდი პატივისცემისათვის, რაც აღმოსავლეთის დიდმა მბრძანებელმა გაუწია მის სახლს თავისი სურვილით. ამასთან, როგორც თვით მოციქულებს განუცხადა, მის ასულთან შეუღლების დახანებას სთხოვდა სულთანს.

მეორე დღეს დილითვე აიშალნენ მოციქულები. ნახჭევნელი და წირქვალელიც აღარ დარჩენილა და თურქებთან ერთად გზას გაუდგნენ.

ნინოწმიდელი მირანდუხტის მომზადებას შეუდგა მამაპაპათა სალოცავებში გასასტუმრებლად. იადხმობილს ფერისი, ონოფრე და ბასა თან უნდა გაჰყოლოდნენ. ბერამ რაზმელები შესთავაზა უჯარძის დედოფალს,

მაგრამ ფერისმა მხოლოდ ოცი თავისიანი შინაყმა გამოარჩია და ამით დაკმაყოფილდნენ თვით მირანდუხტიც და ნინოწმიდელიც. ბერას კი ნინოწმიდელმა თავისი სამკვიდრებელის მოვლა-პატრონობა დაავალა. ამგვარი ნაბიჯით ნინოწმიდელი გამოემიჯნა ქველიძეს და ციხოვანთ, ეს ნიშნავდა: თაეციხე და ციხოვანნი ბაგრატისად რჩებოდა, ნინოწმიდელის სამკვიდრებელი კიდევ ალფარსლანის მოხარკედ ქცეულ გარე კახეთს უერთდებოდა. ბერას ევალებოდა ბრძოლა მეკობრეებთან, რომელნიც სად იყო, და სად არა, თავს წამოჰყოფდნენ ხოლმე. ბერა თავის რაზმითურთ ღვთის რისხვა იყო მეკობრეთათვის ისე, როგორც ნინოწმიდელი თავისი სამღვდელმთავრო რაზმით და მისი შინაყმანი ფერისისა და ონოფრეს მეთაურობით მოქმედნი. ნინოწმიდელი დიდი სიამოვნებით ჩააბამდა ახლადალმოჩენილ ძმას მეკობრეებთან ბრძოლის საქმეში, მაგრამ ეს ძმა ხომ ჯერ ისევ ალფარსლანის ბანაკში ტრიალებდა: იქაც საჭირო იყო თავისიანი და მერმე მთლად ხომ ვერ დაიყოლია მეუფემ ეს ძმა სასანიანებთან დარჩენაზე. გურსი მაინც არმაზელთა სამკვიდრებლის აღდგენას ეტრფოდა. თუმცა ესეც უნდა ითქვას, გურსის დარჩენა სასანიანთა სამკვიდრებელში მეუფეს ბერაზე უარს ვერ ათქმევინებდა. თავისუფალი მოქალაქე ბერა ნინოწმიდელს თავისიანად მიაჩნდა. ბერაც არ შორდებოდა ნინოწმიდელს. — ახლა ზენკალმა მიმართა თავის პატრონს, კეტი ასწია და წამოიძახა:

— ტვინს ამოვანთხევინებ, ტვინს ყველას, შენსა და ჩვენი ქვეყნის დაუდეგარს მტრებს!

მირანდუხტმა ჯერ მცხეთისაკენ ქნა პირი. ჯერ სვეტიცხოველი უნდა ელოცა, მერმე ჯვარი, სადაც ახლა ვაჩე ბინადრობდა.

ფერისს, ონოფრესა და ბასას გარდა მირანდუხტს გულადიც გაჰყვა. არაგვისაკენ ჰსურდა გამგზავრება ფხოველს. თავისი სახლისათვის უნდა დაეხედნა და მერმე ისევ მირანდუხტს დაუბრუნებოდა. გულადს რატომღაც სჯეროდა, რომ ალფარსლანი ვერ ეღირსებოდა იადხმობილის თანამეცხედრეობას.

„ჯერ კიდევ პატარა იადხმობილი დაგეპირდა გმირს გაგიზრდითო, — იძახდა ხშირად მგოსანი, — და უნდა აასრულოს. პატარას ღმერთმა ათქმევინა ეს დაპირება და ღმერთი აასრულებინებს დანაპირებს“.

ნინოწმიდელმა თავის რაზმითურთ უკანასკნელმა დააგდო ციხედარბაზი. მეუფე სამწყსოს საქმეებს უნდა მიბრუნებოდა.

გურსი თურქთა ბანაკს არ სცილდებოდა ებრაელებიანად. ალფარსლანს უკარმიდან დაბრუნებულმა მოციქულებმა მოუტანეს ამბავი, მირანდუხტმა თანამეცხედრეობაზე თანხმობა განაცხადაო. ნინოწმიდელის წერილი ხომ ამასვე აუწყებდა აღმოსავლეთის დიდ მბრძანებელს. ეს ამბავი მთელს ბანაკში გავრცელდა და გურსიმაც გაიგო. მიხვდა გურსი, რომ მირანდუხტსა და მის მამას თავი მოეხარათ აუცილებლობის წინ. ძმისა და მისი ასულის ასეთ ნაბიჯს დიდ საქვეყნო მსხვერპლად ჰსახავდა. ასეც იყო. საქართველოს დედოფლად განზრახული, ურჯულო ალფარსლანს მისდევდა თანამეცხედრედ და მის სხვა ცოლების რიგში უნდა ჩამდგარიყო. ნინოწმიდელის ვაჟი ბაგრატს ემსახურებოდა. ასული ალფარსლანს მიჰყავდა და ხანში შესული ნინოწმიდელის გარს სიცარიელე იკიდებდა ფეხს. გურსის პირველად რომ შეესმა თავისი და ნინოწმიდელის ერთი მამისაგან წარმოდინება, შეუყვარდა ნინოწმიდელიც და მისი შვილებიც. თავი მოჰქონდა, უთვისტომო აღარ იყო. ობლად დარჩენილი და კეთილ ებრაელთა სახლში მოხვედრილი, გულსავსე არასდროს არ ყოფილა გურსი. მაინც დავაჟკაცდა, უმადური თავის დღეში არ ყოფილა თავისი აღმზრდელებისა და მისიანებისა, მაგრამ ბედს სულ მუდამ უჩიოდა გულში. ბედმა გაუღიმა ერთხელ და ძმა გაძონახა. გააზარა ძმის პოვნამ და ძმის სახლმა. ძმა უობლდებოდა ახლა. გურსის სიბრალული აღეძრა ძმის მიმართ. სიბრალულმა ნათესაური სიყვარული გაუძლიერა. იაკობ ებრაელის აღზრდილმა, ძმისწულ ბაქარზე მხოლოდ ოთხი წლით უფროსმა, მოიწადინა ხნიერი ძმისათვის შვილობა გაეწია, სანამ ბაქარი სახლეულობით დაუბრუნდებოდა სასანიანთა სამკვიდრებელს.

— მე მოვესწრები დედაჩემის სურვილის ასრულებას, — განუცხადა გურსიმ ქარდილაის და ელიაზარს.

გურსი მურანდუხტის ბედს თუ გულწრფელად დასტიროდა, ელიაზარი წინასწამეტყველურად ასხივოსნებული თვალებით ივდითობას უქადდა მირანდუხტს და ყოველ წუთს ქვეყნის მხსნელად იხსენიებდა. ქარდილაი კი დღენიადაგ ერთსა და იმავეს იმეორებდა, მთელ ჩემს სიმდიდრეს არ დავზოგავ, ოღონდაც შესაძლებელი გახდებოდეს მირანდუხტის გამოცლა იმ მხეცის ხელიდანაო.

გურსი არ ჩიოდა ძმისწულის არასასურველ ბედს, მაგრამ არც რაიმე კარგს მოელოდა. რომ ივდითობა შეეძლო მირანდუხტს, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა. თავისი ბეჭედი მირანდუხტს რომ უძღვნა, არ ავიწყდებოდა. არ ავიწყდებოდა მირანდუხტის ნათქვამი, ჯერ მტერს წავიმძღვარებ წინაო. ეს ხომ არა ერთხელ გაუმეორებია მას, მაგრამ გურსის ჰსურდა, ივდითობა ასცილებოდა თავიდან მირანდუხტს. ივდითმა მოჰკვეთა ოლოფერნს თავი და ამ თავითურთ თავისიანებთან დაბრუნდა. ახლო იყო ბანაკი მტრისა ივდითის ქალაქთან. ამ თავით მან თავისიანებს მტრებზე გაამარჯვებინა. მირანდუხტი მოსწამლავდა ალფარსლანსა და თავის თავსაც მოიწამლავდა. ივდითის გზას ვერ აირჩევდა. ალფარსლანის ბანაკი ხორნაბუჯთან იყო, მირანდუხტის სამკვიდრებელი — უჯარმაში. ივდითისანნი ებრძოდნენ მოსულ მტერს, მირანდუხტის ერისანი კი — ზოგი ფერხთ ეგებოდნენ თავის ლაშქრიანად ალფარსლანს, ზოგნი თავის ლაშქრიანად შორს გაურბოდნენ. ალფრსლანის წინაალმდეგ მებრძოლი ახლოს არავინ იყო და ქართველთა ქვეყნის გულს აკლება ელოდა ალფარსლანის არსებობითაც, უალფარსლანოდაც. ძმა ქავურდი თან ახლდა ალფარსლანს. ახლდა თავისი შემცვლელი. ისევ ალფარსლანის სიცოცხლეს რჩებოდა გურსი.

„მირანდუხტი ყველას ჰხიბლავს! — ფიქრობდა გურსი. — მირანდუხტი ყველას თავს ახრევინებს და ალბათ ასე მოუვა ალფარსლანსაც, ჭკუიანი და ბრძენი თანამეცხედრე თავის სურვილზე გაატარებს მას და, ვინ იცის, გადაარჩინოს კიდეც ქართველ მოდგმათა მთელი სამკვიდრებელი. ვინ იცის, ჩემი ძმისწული სასანიანი მთელი საქართველოს სათაყვანებელ არსებად იქცეს!

გურსიმ გადაწყვიტა ბანაკში ყოფნა და მოქმედება, სანამ ბანაკი აიყრებოდა ადგილიდან. საჭიროდ თვლიდნენ ამას ქარდილაი და ელიაზარიც.

მოციქულების დაბრუნებისას ბანაკში ერთიანი სულიერი აღრევა მოხდა. თვით ალფარსლანი დიდად კმაყოფილი დარჩა მოციქულების მოტანილი ამბით, მაგრამ ქავურდი და ქავურდთან ერთად სასანიანთა პალატში ნამყოფი თურქნი დიდგვარიანნი თითქოს სისხლგამშრალნი დაიარებოდნენ: ერთმანეთს პირს არიდებდნენ, რომ მეორის გულის ნადებს არ ჩასწვდომოდა. ასეთ მდგომარეობაში იყვნენ დაბრუნებულ მოციქულთა შორის ახალგაზრდანიც, მირანდუხტის ნახვით გულდაკოდილნი.

არც იაზონ ცალქალამანიძე გრძნობდა თავს კარგად, კარვიდან აღარ გამოდიოდა. ხშირად ეგდო სარეცელზე პირქვე და ბორგავდა.

გურსი გაეცნო იაზონის ახლო მყოფთ: იაზონისაგან ჯერ კიდევ ელოდა მირანდუხტის საწინააღმდეგო ცუდს, ელოდა მის მეკობრულ ნაბიჯებს და ემზადებოდა მათ გასაქარწყლებლად.

ბევრჯერ შესთავაზა გურსიმ საჭირო საქონელი იაზონის მხლებლებს და სურვილი დაუკმაყოფილა. ისინიც ხანდახან ატყობინებდნენ ცალქალამანიძის ამბავს. ერთმა პირდაპირ განუცხადა, რაც ალფარსლანს მოციქულნი დაუბრუნდნენ, იაზონს ლამის არის დარდმა გონება დააკარგვინოს, რაკი გაიგო მირანდუხტი ალფარსლანს მისდევს თანამეცხედრედო.

გურსიმ კარგად იცოდა, რომ ცალქალამანიძეს ბორგვა განუწყვეტლივ არ ექნებოდა, რომ გონებაც აუმუშავდებოდა და რაიმე ფანდს გამოანახვინებდა, ამ ფანდის გამოძებნაზე აამოქმედებდა და ამიტომ ფხიზელი თვალი აადევნა.

დადგა დრო, იაზონმა ბორგვას თავი ანება.

— არა, არა! — მტკიცედ წარმოთქვა ცალქალამანიძემ. — არ დავუთმობ მირანდუხტს არავის, არც გიორგი მეფისწულს, არც ალფარსლანს! აღმოსავლეთის დიდი მბრძანებელი ხარ, ალფარსლანო, მრავალი ქვეყანა დაგიპყრია, აქაც მოხვედი, მორჩილებაც გამოგიცხადე, ყმადნაფიცად გევლინები, რჯულიც შემაცვლევინე, ყველაფერი, რაც მამა-პაპათაგან მქონდა გადმოცემული, თითქმის დამოუკიდებელი მფლობელის, შენ დაგითმე, მაგრამ მირანდუხტს არ დაგითმობ, ხელიდან წაგგლეჯ!

ხოლო როგორ უნდა მოეხერხებინა ეს, ჯერ არ მოესაზრებია. სასანიანებთან არ შეეძლო შებრძოლება თავისი რაზმით: ნინოწმიდელმა კარგი პასუხის გაცემა იცოდა. ხშირად ახსენდებოდა იაზონს ის დრო, როცა სასანიანებმა ძმა დაუჭრეს და თითონაც რაზმიანად გააქციეს, და ახსენდებოდა თვით მეუფე, უებრო მეომრობით განთქმული. ახსენდებოდა შარშანწინდელი ჯვარპატიოსნობა, თუ რა დაჰმართეს სასანიანებმა თვითონ მას ჯვარპატიოსნობაში და რა დაჰმართეს გულთფარსს, პეტრე ბერისა და სხვა მის ავანჩავანებისაგან ამხედრებულ ფადლონის რაზმს. აგონდებოდა ახლანდელი სამღვდელმთავრო რაზმი ნინოწმიდელისა, არაჩვეულებრივად გაწვრთნილი, რომელსაც ვერ ამარცხებდნენ მეკობრეების დიდი გუნდები და გამარჯვების ხელში ჩაგდების ნაცვლად ზედ თავს აკლავდნენ.

„ნინოწმიდაში მიმავალმა მღვდელმთავარმა თავისი სამღვდელმთავრო რაზმით შლეგიანის ორჯერ მეტ დიდ რაზმზე მიიტანა იერიში და მაინც დაამარცხა, — მსჯელობდა იაზონი. — მერმე შლეგიანიც მოკლა. მითხრეს

მნახველთ, ნინოწმიდელს თვითონ შეუტია შლეგიანმაო. დამთხვეულმა ონოფრემ ლოდით იფრინა ხმლიანი შლეგიანი და ნეტავი ნინოწმიდელზე მისვლას როგორ პბედავდა. გადარეულა ეს ოხერი!.. არა, მრავალზე მრავალი უნდა იყოს მეუფის რაზმზე ჩემი რაზმი, რომ გაიმარჯვო... მერმე იმ ბერა ზენკალის რაზმიც საქმეს მიჭირებს. ახლა ჩემთვის ერთი სანუგეშო ის არის მხოლოდ, რომ ციხე უჯარმისა და ციხოვანნი ვერ დაეხმარებიან მეუფეს. ბაგრატისანი არიან, ბაქარიც ბაგრატთან არის... არა, შინაყმანიც კარგა მაგარნი ჰყვანან. ხედავთ, ფერისის იმ ცინგლიანმა ნატამალმა როგორ შემარცხვინა! ჯერ შარშანწინ ჯვარპატიოსნობას და ახლა ამ ბანაკში, როგორ მასხარად ამიგდო ალფარსლანს ხელიდან როგორ გამოვგლიჯო მირანდუხტი? ხომ ვერ შევებრძოლები მის უამრავ ჯარს?..“

იაზონმა მსჯელობა შეწყვიტა. ეზოში გასვლა მოესურვა.

„გავალ ახლა და ნახჭევნელის დამცინავი თვალი დამხვდება, — ისიც ხომ იყო გაგზავნილი მოციქულად? ისა და ხორნაბუჯელი ერისთავი, ერთიცა და მეორეც სასანიანთა დიდი პატივისმცემელნი“.

გარეთ ვიღაცამ დაიძახა, თითქოს იაზონ ცალქალამანიძეს ალფარსლანი იხმობსო. იაზონი იძულებული გახდა თითონ გასულიყო.

— ვინა თქვა, იაზონ ცალქალამანიძეს ალფარსლანი იხმობსო? — იკითხა.

— არავისაც არ უთქვამს. — უპასუხა დარაჯმა და გურსიზე მიუთითა. — აი იმ ვაჭარმა იკითხა, იაზონ ცალქალამანიძეს აბჯარი ხომ არა სჭირიაო, და მაგ ვაჭარს კიდევ უთხრეს, ქარდილაის ალფარსლანი უხმობსო.

— გააჭირეს ამ ებრაელებმა საქმე! — წაიდუდუნა ცალქალამანიძემ. — ერთი გამოიარონ კვეტარისაკენ, ან ჩამივარდნენ გზაში მიმავალნი სადმე ხელში, მე ვუჩვენებ მაგათ სეირს.

— კვეტარის მფლობელო! — გაიგონა იაზონმა და ის ვაჭარი დაინახა, რომელსაც ეკითხნა, აბჯარი ხომ არ სჭირია იაზონ ცალქალამანიძესო.

ვაჭრის ასეთ თავხედობაზე წამოინთო იაზონი და თავისი ხელი ასწია ვაჭრის დასარტყმელად. ვაჭარმა გასაყიდი ფარი კოხტად შეაგება არგოელის ჩამომავლის ხელს და დაუსისხლიანა. გაბოროტებულმა იაზონმა ხელი მახვილს იტაცა. ცალქალამანიძის ამოწვდილი მახვილი ვაჭრის თავზე დაეშვა სწრაფად, მაგრამ ვაჭარმა უფრო მეტი სისწრაფით თავისი გასაყიდი მახვილი შეაგება მის მახვილს და პირი ღრმად შეუჭრა. აქეთ-იქიდან სიცილი ატყდა. ცალქალამანიძე გამშრალი იდგა.

— არგოელის ჩამომავალო! ხომ ხედავ მახვილი არ გქონია კარგი? — გაიგონა იაზონმა თითქოს შორიდან. — ტყუილად კი არ შემოგაძლიე ჩემი აბჯარი! ხომ დარწმუნდი, რომ ჩემი მახვილი შენ მახვილს სჯობნებია, მგონი, დანარჩენი ჩემი საჭურველიც შენსას დანარჩენს სჯობია. გირჩევ, იყიდო და ტყუილად ნუ ხარჯავ შენ მუშტს.

— ვაჭარი და ასეთი იარაღის მხმარებელი! — წამოიძახა ნახჭევნელმა, — ისიც დავინახე, არგოელის მუშტი როგორ მოიგერია.

იაზონთან ახლოს მისულმა ნახჭევნელმა იაზონის მომგერიებელ ვაჭარს გადახედა, გაოცებული დარჩა და პირჯვარი გადაიწერა.

— ზედ გამოჭრილია! — თქვა დაბალი ხმით და თან ხმამაღლა დასძინა. — აბა, ყმაწვილო, აბჯარი ჩემთან მოიტა. მგონი, არგოელის ჩამომავალმა მაგის ფასი არ იცის.

ხმობილმა ვაჭარმა ნახჭევნელისაკენ გადაინაცვლა და თავისი საქონელი მაღლა აზიდა, რომ გამსინჯველს კარგად შეეთვალიერებინა. ნახჭევნელმა ვაჭარი თავის კარავში შეიწვია.

— დღეს დავინახე მხოლოდ, რომ შენ სასანიანი ხარ! — უთხრა ვაჭარს ნახჭევნელმა, — ხომ მართალი ვარ?

— მხოლოდ ნახევრად! — გაიგონა ნახჭევნელმა ვაჭრის სიტყვები. — მე ვარ გურსი არმაზელ-სასანიანი. თარხონ არმაზელის ნაშობი.

— ნინოწმიდელის ძმა ხარ! — უთხრა დაჟინებით ნახჭევნელმა გურსის.

— უარს არა ვყოფ, ერისთავო! — უპასუხა გურსიმ. — მხოლოდ იმედი მაქვს, იაზონს ვინაობას არ აცნობებ.

— პირიქით, დავმალავ შენ ვინაობას, — დასძინა გურსის თხოვნას ნახჭევნელმა, — რომ ხშირად კბილი გავკრა ხოლმე მაგ არამზადას. ხშირად წავაძახებ, ებრაელმა თავი მოგჭრა-მეთქი.

— რა უყავი, შენ ვაჭარო, იმ არგოელის ჩამომავალს! — უსაყვედურა ხუმრობით ნახჭევნელის კარავში შემოსულმა წირქვალელმა.

— ხორნაბუჯის ერისთავო, სწორედ ვაჭარმა უნდა დაამარცხოს მაგნაირი მეკობრე, — უპასუხა გურსიმ წირქვალელს, — ეგ ვაჭრებს ხშირად ამცირებს ხოლმე.

— არა, გურსი, ახლა ველარ მომატყუებ, — უთხრა წირქვალელმა არმაზელ-სასანიანს. — ჩემ ქალაქში ტრიალებდი და რას ვიფიქრებდი, რომ სასანიანი იქნებოდი. მეუფე ნინოწმიდელს რომ არ ეთქვა ჩემთვის და ნახჭევნელისათვის ბასაზე — ეს ონავარი ჩემ ძმას გაჰყვა ალფარსლა-

ნის ბანაკშიო, ახლაც ვერ მიეხვდებოდი. მაგრამ მიკვირს მაინც, რომ ერთხელაც ვერ მიგამსგავსე

— გურსის ჰსურს, რომ მისი ვინაობა იაზონ ცალქალამანიძეს არ ეცნობოს, — გამოუცხადა ნახჭევნელმა წირქვალელს.

— არც ეცნობება, — წარმოთქვა წირქვალელმა და გურსის მიმართა: — ერთი მიამბე, თუ ღმერთი გწამს, საიდან და როგორ ხარ რევი სასანიანის ძმა. არჩილ სასანიანის შვილი. არჩილს ერთი თანამეცხედრე ჰყავდა. ჯერ თვითონ გარდაიცვალა, მერმე თანამეცხედრე მიჰყვა.

გურსიმ უამბო თავისი წარმოშობის ვინაობა წირქვალელსა და ნახჭევნელს, რაც ახსოვდა და რაც გაეგონა თავისი აღმზრდელისაგან და რაც გაიხსენა ნინოწმიდელმა, ხატის წარწერა და არჩილის გრაგნილში ამოკითხულიც.

— მერე რას აპირებ? არ ეკედლები მამიშენის კერას? — შეეკითხა წირქვალელი გურსის.

— ვეპირები, მაგრამ სამუდამოდ არა! — გაისმა მკვეთრად გურსის სიტყვა. — მე საბოლოოდ არმაზელთა ახლა აოხრებულს კერას დავუბრუნდები. ხელახლა ვაპირებ ამ კერის გაჩაღებას. ახლა კი, სანამ შვილი ბაქარი დაუბრუნდება ჩემ ძმას, შვილობა მინდა გავუწიო. — აქ გურსიმ გულდაწყვეტით დასძინა შემდეგი: — ობლად დარჩენილს თუ მე არ ვეყოლები თან, დარდი გადაიტანს.

— ძალიან ამბავი არ არის? — მიმართა ნახჭევნელმა წირქვალელს, რომელმაც სინჯვა დაუწყო აბჯარს, გურსს რომ გასაყიდად ჰქონდა, — მეომარი და ვაჭარი, და მერმე როგორი მეომარი! — ნახჭევნელი გურსის მიუტრიალდა. — მაშ ნინოწმიდელს ჭერემიდან გამოპყევი არა?.. აქ არგოელის ჩამომავალს ამბავი მოუტანეს, ჭერემიდან მიმავალმა ნინოწმიდელის რაზმმა მოსპო შლეგიანის რაზმიო. ამბის მომტანნი შლეგიანის რაზმისანივე გამოდგნენ. ორნი იყვნენ. ერთი ამტკიცებდა, ნინოწმიდელმა მოსჭრა თავი შლეგიანსო, მეორე დაჟინებით იძახდა, ნინოწმიდელს ძალიან კი ჰგავდა და ნინოწმიდელი კი არ ბრძანდებოდაო.

— მე გამოვასალმე წუთისოფელს შლეგიანი! — განუცხადა ნახჭევნელს გურსიმ. — შლეგიანს ნინოწმიდელი ვეგონე. ნინოწმიდელიო, შემომძახა, წუთისოფელს უნდა გამოგასალმოო. ნინოწმიდელი კი უჩვენებდა, თუ როგორ გამოასალმებდა წუთისოფელს ის თავხედი სასანიანთა ნატამალს, მაგრამ მე მერგო მისი თავი.

— მაინც რას აკეთებ აქ? რატომ არ ამოუდგები გვერდში შენ ძმას? — ჰკითხა ნახჭევნელმა.

— მინდა გავიგო, როგორ ნაბიჯს გადადგამს იაზონ ცალქალამანიძე ახლა, მირანდუხტი რომ დათანხმდა ალფარსლანის თანამეცხედრეობაზე, — უპასუხა გურსიმ. — მე ხომ ვიცი, ეგ არ მოისვენებს!

— ამ საჭურველს მე ვყიდულობ! — განაცხადა წირქვალელმა და გურსის საქონელი თავისკენ გადააწყო.

— არა! მე ხორნაბუჯის ერისთავს ისეც მივართმევ მაგ აბჯარს, — წარმოთქვა გურსიმ. — ეს სასურველი სახსოვარი მიიღე არმაზელ სასანიანისაგან, — და სწრაფად გავიდა ნახჭევნელის კარავიდან.

12

მირანდუხტი მცხეთას მიბრძანდა თავისი ამალითურთ. ზადენმა მიიღო პაპის ნაცვლად. ვერ იცნო უფლის შვილიშვილი. ვაჟურად იყო გამოწყობილი ქალი ია. ჯავშანი ეცვა რევი სასანიანის ასულს, თავს მუზარადი ეხურა, პირზე ზარადჩამოფარებული.

— მირანდუხტი ვარ, მირანდუხტი, ჩემო ზადენ, — ამცნო ქალმა.

თვალი გაიფართოვა ზადენმა ამ სახელის გაგონებაზე.

ხედავს ზადენი, პატრონის შვილიშვილს თვრამეტი წლისას, ვაჟურად საჭურველს ასხმულს. მთავარანგელოზს ამსგავსებს ზადენი ქალს და უნებლიეთ სიხარულის ცრემლს ღვრის.

— ჩემო ზადენო! ჩემო ზადენო! — წაჰღუღუნა ქალმა თავისებური ტკბილი ბგერებით პაპის შინაყმას.

მირანდუხტმა მუზარადი მოიხადა და ისე დაენახვა მოხუცს.

— ნანა, ნანა! — წამოიძახა ზადენმა თავშიშველი მირანდუხტის დანახვაზე.

გულადი ამოიყენა მირანდუხტმა გვერდში. მოხუცმა იცნო გულადი.

„აბა ნანას ხომ არ მოჰყვება გულადი სულეთიდან? — გაივლო გულში ზადენმა. — გულადი ხომ პატარა მირანდუხტს დასდევდა. ათი წლისას აქ მოჰყვა. შარშანწინ ჩემთან იყვნენ ეს გულადი წარბებდატეხილი, კიდევ, კიდევ ვარაზ-ბაკურის გუგანი და მესამე ენაჭარტალა ბიჭი. გაზრდილა მირანდუხტი, გაზრდილა. ნანას დამსგავსებია. გულადი ახლა მაშ დიდ მირანდუხტს მოჰყვა“.

მოხუცმა სხვა ამალისანი შეუთვალიერა თავის პატრონის ასულს. იცნო.

— ეს ხომ ფერისია! — წამოიძახა ზადენმა. — თვალს ძალიან დამაკლდა და მაინც ვიცანი ანაკვთულობით. ეს ონოფრეა, აი ათი წლის მირანდუხტს რომ მოჰყვა, არაგეზე გაექანა და წამს ფაცრები დამართა...

მირანდუხტის ამალაში სიცილი ასტეხეს.

— მართალს გეუბნებით! — მიმართა მოცინარეთ ჯიუტად მოხუცმა. — თვალს დამაკლდა და მაინც ვიცანი.

ზადენმა ახლა ბასაზე შეაჩერა თვალი.

— ეს ჭაბუკი ვილაა? — იკითხა მოხუცმა.

— პაპილო, ვერ მიცანი? — შეეკითხა ეშმაკური ღიმილით ბასა, — ვერხვის ჭინკა ვარ, ბოჭორმის ეშმაკისა და ფიწალახელებიან გუგანს რომ მოჰყვა შარშანწინ აქ.

— აი, შე ონავარო, შენა! — დაუტია ზადენმა ხუმრობით. — ჩემი ყავარჯნით თავი უნდა გაგიტეხო. შენ ვერხვის ჭინკა კი არა, ახლა ეშმაკის ფეხად ქცეულხარ. რა დამავიწყებს, ჩემი უფროსი — მე, გულადი და გუგანი მასხარად რომ აგვიგდე.

ზადენმა თითქოს ბურანს თავი დააღწიაო, საღად დაიწყო ლაპარაკი. სასანიანთა დანარჩენ შინაყმებს გადახედა და მირანდუხტს მიმართა:

— კარგა დიდი რაზმი გდევს, უფლის შვილიშვილო! მერმე კარგი ვაჟკაცნი არიან ახლა!

— აბა, მაშ, ჩემო ზადენ, ჩქარა დაგვაბინავე! — სთხოვა ქალმა. — ჰუნეთა ადგილი მიუთითე ჩემს რაზმელებს. თვითონ ბინას დიდ დარბაზში დაიდებენ. პაპაჩემს ხომ არ ელი დღეს?

— არა, უფლის შვილიშვილო! — უპასუხა ზადენმა. — მთელი თვეობით ჯვარის საყდარს არ შორდება.

— აბა, ნულარ ახანებ! — განაგრძო ბრძანება მირანდუხტმა. — მე ჩემ ძველ ბინას, ჯვარსა და სვეტიცხოველს რომ გასცქერის, იმ ოთახს მოვნახავ. ვინმე ქალი გამომიგზავნე.

— გამოგიგზავნი ჩემ შვილიშვილს ნინოს, — შეჰპირდა ზადენი.

მირანდუხტმა სვეტიცხოველს გახედა და დღესვე მოისურვა იქითკენ გაევლა. ვაჟური ტანსაცმელი არ გამოუცვლია. ქავურდისეული ჰუნე გადააბარა ბასას. მირანდუხტმა გაიყოლა გულადი და პაპის ხელთქმნილს მიმართა. დღესვე მოინდომა საღამოს ლოცვის მოსმენა.

ახლა თვით სვეტიცხოველმა გაახსენა იას ამბავი: ლიპარიტი ბაგრატისაგან დამარცხებული ჩოხანით იმოსება. ლიპარიტყოფილი — ანტონ ბერი — ვარჩე პაპას ელაპარაკება. პატარა იას ლიპარიტი წმიდა გიორგის ხატს მკერდზე ჰკიდებს. ლიპარიტი ახლა პაპის სასახლის გალავნის კარს მისდგომია. ზადენი კარს არ უღებს. ია ზადენს კარს აღებინებს. იას ლიპარიტი ბაგრატთან შეჰყავს პაპის სასახლის დარბაზში. შვილი იოანე უნდა შეავედროს ლიპარიტყოფილმა გამარჯვებულ ბაგრატს

„ახლა სად არის ლიპარიტი? — ჰკითხა თავის თავს მირანდუხტმა. — ბაგრატი თვითონ დამარცხებულია უომრად. ალფარსლანს გაურბის. ქართლს დიდი ომები მოელის... გამაგრებული მცხეთა არც კი უშველდა სასანიანის ასულს რაზმითურთ თავის წიაღში... აოხრდება ქართლი... დიახ! თურქს სარეცელი უნდა გავუნაწილო!.. მე ხარკად უნდა ვიქმნე გაღებული ქართველთა ქვეყნის გადასარჩენად. უგულოდ დარჩენილი ადამიანი ხომ მკვდარია? უგულოდ ჩვენი ქვეყნებიც გაპქრებიან... სვეტო, ცხოველო, შემაძლებინე ქართლის დაცვა! ღვთისმშობელო სვეტიცხოველისაო, ქართველთა შორის სათაყვანო დედაო! მომეცი ძალა...“ — გულად! ვილოცოთ, ვილოცოთ!

— უჯარმის დედოფალო! — შეჰღაღადა მირანდუხტს მგოსანმა. — რად გადაგიწყვეტია იმედი? შენგან მოველით შენი დაპირების ასრულებას. ეს დანაპირები ზეციერმა გათქმევინა და უნდა ასრულდეს, უნდა ასრულდეს! შენ უნდა აღზარდო შვილი ჩვენი ქვეყნის მხსნელი, მტკიცე შემაკავშირებელი ჩვენი ტომებისა.

— გავზრდიდი, გულად, გაზრდიდი შვილსაც და აკვნიდანვე ჩავუნერგავდი ქართველ ტომთათვის თავდადებას, ქვეყნის მტრის მუსვრას! — დაიწყო მირანდუხტმა გულადის პასუხად. — Ბაგრამ განგებამ მომისაჯა თავის გაწირვა და უნდა გავწირო! ვწირავ კიდეც და ვთხოვ მამა-პაპთა სალოცავებს, ხელის მომართვას და გულის გამაგრებას. თქვენ კიდევ, ჩემმა მახლობლებმა, უნდა ილოცოთ თქვენც, რომ ზეციერმა მტერზე გამარჯვება მე მომანიჭოს.

— ვფიცავ ჩვენი ქვეყნის ყველა სალოცავს! ვფიცავ ღვთისმშობელს სვეტიცხოველისას, თვით სვეტიცხოველს! — წამოიძახა გულადმა, — ვფიცავ, გადაიელის ეს ქარიშხალი სასანიანთა ასულის თავზე, სხვაც ბევრი ასეთი და ეს ასული მაინც შობს ქართველ ტომთა გამაერთიანებელ შვილს!

იადხმობილმა პაპაის სასახლეს მიაშურა. აღარსად შეჩერებულა: გულადიც თან ახლდა ყველგან. სასახლეში იადხმობილი თავის შერჩეულ ბინას დაეპატრონა. აქ ზადენის შვილიშვილი სარკმლის შუქს მიჰკედლებოდა და მამაკაცის წინდას ქსოვდა. ნინომ გაუღიმა მირანდუხტს.

— ჩემო ნინო, არ გიხარია ჩემი ნახვა? — ჰკითხა მას მირანდუხტმა.

— მაგას რას ბრძანებ, უფლის შვილიშვილო? — წამოიძახა წყენით ნინომ, — იას ნახვა, და არ მიხაროდეს! ძალიან, ძალიან გამეხარდა შენი ნახვა. გული კი დამწყდა; ძალზე დამწყდა! შენმა თვალებმა მამცნეს, მძიმე ხინჯს შენ გულში დაუბუდნია და არ გასვენებს. აი ეს არ გამხარებია, ან რაღ უნდა გამხარებოდა?

— ნინო, პაპაშენს უქსოვ? — ჰკითხა მირანდუხტმა. — ლამაზი წინდა გამოდის, არა? — დაურთო ქალმა თავის შეკითხვას. — პაპაშენს, ნინო, დიდი ფეხი აქვს. ძალიან, ძალიან დიდი ფეხი. ეს ძალიან მცირეა მის ფეხისათვის.

ნინო გაწითლდა. მირანდუხტმა კითხვის თვალით შეხედა ნინოს.

— ჩემ დანიშნულს ვუქსოვ ამ წინდას, — უპასუხა ნინომ დარცხვენით. — მალე უნდა კიდეც ჯვარი გად ამწერ ონ. ხეებს, ხომ ხედავ ფოთლები უყვითლდება და სცვივა, უფლის შვილიშვილო! პაპასთან ხომ მიბრძანდები ჯვარში?

— მაშა, ნინო, მაშა! ჯვარშიაც უნდა ვილოცო!

მირანდუხტმა ჯვარს გახედა და გაიფიქრა:

„იქ ჩემი წინაპრების ნათესავის თემესტიას ოთახია. იქ დავიდებდი სამუდამო ბინას“.

კათალიკოზი გეწვიაო, მოახსენეს ამ დროს.

ოქროპირი მობრძანდა. ნინო გავიდა მირანდუხტის ოთახიდან.

მირანდუხტმა კითხვის თვალი მიაპყრო კათალიკოზს.

— აი, ჩემო მირანდუხტ, — დაიწყო კათალიკოზმა პასუხად. — როგორც ვიცი, უნდა ეზიარო კიდეც? მერმე?..

— სამი დღეა ემარხულობ, — უპასუხა ქალმა მოკლედ.

— კარგი, საკმარისია სამი დღის მარხულობა, — უთხრა კათალიკოზმა. — მაგრამ, ხომ იცი, აღსარებაც არის საჭირო?

— ხვალ დილით მოგახსენებ, უწმიდესო და უნეტარესო, აღსარებას, — უპასუხა მირანდუხტმა, — ამიტომ მინდა ერთხელ კიდევ გადავავლო გონების თვალი, რაც სათქმელი მაქვს.

— შვილო ჩემო, რაღაც გაქვს განზრახული! — განუცხადა კათალიკოზმა. — ვგრძნობ, განზრახვა შენი ძნელია გადასალახავად. სრულიად საქართველოს ეკლესიის მწყემსს ჰსურს იცოდეს თავისი სულიერი შვილის, თავისი ნათლულის, ზრახვანი. მსურს დღესვე ვიცოდე, რა სახიფათო ნაბიჯს სდგამ. შენ ხომ ტყუილუბრალოდ არ მოხვიდოდი ჩვენი ქვეყნისათვის ამ ღვთისრისხვა დროს სვეტიცხოველში. მინდა ავწონ-დავწონო ზრახვანი შენი, რომ რჩევა მოგცე.

— ხვალ, ნათლია ჩემო, ხვალ! — უპასუხა მტკიცედ მირანდუხტმა.

ოქროპირმა პირჯვარი გადასახა ქალს, შუბლზე აკოცა და დაადგო მისი ოთახი.

ცისკარზე მირანდუხტმა შეასრულა თავისი დანაპირები. აღსარება უთხრა სრულიად საქართველოს კათალიკოზს. უწმინდესი და უნეტარესი შეკრთა და შეძრწუნდა. ხნოვანებით ჯერ თვრამეტიოდე წლის ქალს, ყველაფერში სრულიად უმწიკვლოს, განწირული ნაბიჯის გადადგმა გადაეწყვიტა ურყევად და მტკიცედ. ალფარსლანს თანამეცხედრეობაზე დასთანხმებოდა და ამ ფანდით სიკვდილს უქადდა.

— ადამიანის სიკვდილი ქრისტესაგან დაგმობილია! — უთხრა კათალიკოზმა.

— მტრისაც? — ჰკითხა მირანდუხტმა.

— ქრისტეს მოძღვრება გვიქადაგებს, — განაგრძო უწმიდესმა. — კაცმა ერთ ლოყაში სილა გაგარტყას, მეორეც უნდა მიუშვირო გამრტყმელსაო.

— მტერმა რომ ააოხროს ერთი კუთხე ჩვენი ქვეყანისა, მაშ მეორეც და მესამეც უნდა დავთმოთ ასაოხრებლად? — იკითხა მირანდუხტმა. კათალიკოზმა გაოცებით შეხედა იადხმობილს.

— მე რომ უარი განვუცხადო ალფარსლანს... — განაგრძო მირანდუხტმა. მაგრამ მღვდელმთავარმა თქმა არ აცალა.

— გაჰყევ ალფარსლანს თანამეცხედრედ, — უთხრა მან. — და ამით მოულბე გული. ჩვენს ქვეყანას შეღავათს მისცემს ალფარსლანი.

— მარტო გარე კახეთს, — დაუთმო კათალიკოზის ნათქვამს მირანდუხტმა და თან კითხვა მიადევნა: — ქართლს რაღას უპირებ, უწმიდესო და უნეტარესო? მიაცემინებ მეფე ბაგრატს ხარკს?.. მერმე არ სჯობია, ერთი მოიკლას ჩვენს ქვეყანაში საძარცვავად შემოჭრილი უცხო ტომისა, ვიდრე მრავალი შვილი ჩვენი ხალხისა. ერთის სიკვდილი რა ცოდვაა ჩვენი ხალხის მოსპობასთან?..

კათოლიკოზი ცდილობდა გადაეთქვა მირანდუხტს ეს განზრახვა. ენანებოდა სასანიანის ასული, ტახტის მემკვიდრის, გიორგი მეფისწულის თანამეცხედრედ ნაგულისხმევი. ეს ამბავი საიდუმლოდ გაეგო ბაგრატისაგან და ცდილობდა რაიმე დაბრკოლება აღემართა მირანდუხტისათვის, და ვერა ხდებოდა.

როცა ვერა გააწყო რა, პირჯვარი გადასახა ქალს, ამოიოხრა და ამ ამოოხვრას თან ამოაყოლა:

— შეგინდოს, შვილო, მაღალმა ღმერთმა განზრახული ცოდვა ხალხის გულისათვის!..

კათალიკოზმა მალე წირვაც მიაყოლა, ხალხმა მრავლად მოიყარა თავი სვეტიცხოველში. ყველამ იცოდა, რომ მცხეთას სალოცავად მოსული მირანდუხტ სასანიანი უნდა ზიარებულიყო და მის ნახვას ესწრაფოდნენ.

შუა წირვაა. აგე ბარძიმიც გამოიტანეს.

— შიშითა ღვთისათა და სარწმუნოებით მოვედით, — გ ისმა მკაფიოდ ტაძარში და ბარძიმისაკენ წამოვიდა სწრაფის ნაბიჯით აბჯარში გამოწყობილი ჭაბუკი, პირტიტველი, იისფერთვალებიანი. ტანწერწეტი. კათალიკოზი შეკრთა ჭაბუკის დანახვაზე. წამს გონება მოებინდა და მოელანდა, რომ საზიარებლად წამოვიდა ზეციერი მხედარი მიქელ მთავარანგელოზი, მაგრამ წამსვე გონება გადაეწმინდა და თვალმა გაურკვია: უახლოვდებოდა მიწიერი არსება — მირანდუხტ სასანიანი, თმებშეკეცილი თავის ფუძემდე. ქალი მიუახლოვდა ბარძიმს დიდი მოწიწებით და სულის აღფრთოვანებით.

„აკი მირანდუხტი უნდა ეზიაროსო! — იმეორებდნენ მცხეთელნი გუნებაში და შორს იხევდნენ მათთვის მოულოდნელ მოვლენილ ჭაბუკისაგან და შიშით ძრწოდნენ, ერთ ნათქვამს მეორეს ზედ ურთავდნენ. — ეს ხომ ზეციერი მხედარია, მიქელ მთავარანგელოზი!“

— ეზიარებდის მხეცალი ღვთისა, მირანდუხტ! — წარმოთქვა კათალიკოზმა და მცხეთელნი გონს მოვიდნენ.

— ეს ანგელოზი ხომ მართლა მირანდუხტსა ჰგავს, — თქვა ერთმა ხმადაბლა და სხვებმაც კვერი დაუკრეს: მართლა ჰგავსო.

— ჰგავს კი არა, თვითონ მირანდუხტია! — წამოიძახა ერთმა და გამეორდა მრავალთა შორის ეს წამოძახილი. მრავალი მცხეთელი სიხარულით გარს შემოეხვია ქალს.

მიიღო წმიდა საიდუმლო მირანდუხტმა, მოისმინა წირვა ბოლომდე და მიატოვა მცხეთა. ჯვარში გაეშურა ამალითურთ ვაჩე პაპასთან.

ხშირად უნატრია ვაჩეს შვილიშვილი და ბოლოს ნატვრა აუსრულდა. იცნო მოხუცმა იგი თავისი თანმხლები რაზმითურთ, შეაბჯრული, თმაშეკვეცილი, თითქოს მტრის მისუსრელ ანგელოზად გადაქცეული და მაინც გაკვირვებით შეავლო თვალნი: დიდზე დიდი სახეცვლილება შენიშნა მას. მირანდუხტი გადაეხვია მოხუცებულს, მკერდზე მიეყრდნო.

— ვერც შენი მკერდი დამიფარავს! — შეჰღაღადა იადხმობილმა ვაჩე პაპას.

— რა ამბავია შენ თავს, იავ? — ჩაეკითხა ვაჩე შვილიშვილს, მოხუცმა მკერდიდან თავი ააღებინა და თვალი თვალში გაუსწორა. ძნელი იყო იადხმობილის თვალთა სიღრმეში თვალის ჩაწვდომა და მოხუცი მაინც ჩასწვდა ამ სიღრმის არეს.

— მირანდუხტ, სად მიგიკარგავს თმათა ტევრი? ან რას მოგვითხრობს ეს ნაბიჯი? — შეეკითხა ვაჩე.

მოხუცმა ია თავის საკანში შეიწვია. ქალმა მოუთხრო ვაჩე პაპას თავისი ამბავი. მოხუცი გაშრა. მის ოცნებას მთავარი ფუძე ეცლებოდა. მას ხომ მუდამ სჯეროდა, რომ მეფისწულის თანამეცხედრედ გაწესებული ია საქართველოს გაუზრდიდა გმირთა გმირ შვილს...

— გიორგი მეფისწულს, ტახტის მემკვიდრეს და მეფეთ მეფეს ბაგრატს რა ჰასუხს აძლევთ ან შენ, ან მამაშენი? — შეეკითხა აღელვებული ვაჩე.

— რა პასუხს აძლევს ბაგრატ მეფე მისგან უპატრონოდ მიტოვებულ გარე კახეთს? — უპასუხა იამ. — ჩვენ კიდეც ვიცით, ბაქარმა გვიამბო, მიტოვებულნი იქნებიან ბაგრატისაგან უჯარმის ციხე და ბოჭორმა... მე მამას თავს ვერ დავანებებდი, ისე როგორც თვით მამა თავს ვერ ანებებს გარე კახეთს, — აქ მირანდუხტმა მძიმედ ამოისუნთქა და ისე განაგრძო: — ბიძაჩემისაგან ნამცნევი გვაქვს, ჩემი არსებობა და სხვა ჩემი ამბავი უკლებლივ სცოდნია ალფარსლანს.

— ვისგან? — ჰკითხა შვილიშვილს ვაჩე პაპამ.

— ვისგან და არგოელის ჩამომავლისაგან, რომელმაც მორჩილება გამოუცხადა ალფარსლანს და მაჰმადის რჯული მიიღო, ბიძაჩემი იწერება, ჩემი თავის მიღებას ესწრაფოდა თურმე ალფარსლანისაგან.

— კაი გზით უვლია. შენმა მზემ! ამ თავხედს! არ დასჯდომია კოჭი ალჩუდ! მერმე ვინ გაიგო ეს ამბავი?

— აკი გითხარი! ბიძაჩემმა-მეთქი, — უპასუხა მირანდუხტმა ვაჩეს.

მირანდუხტისაგან ორჯერ ბიძის გახსენება ყურად არ უღია ვაჩეს. მან გაიგონა ერთი საშინელი ამბავი და მან სხვა ახალი ამბავი დაუჩრდილა.

მოხუცმა გაოცებით გადახედა შვილიშვილს. ეკითხებოდა: რას ამბობ, ქალო, ვინ ბიძა, საიდან, ან როდის გყავდაო.

— რა ვქნა, პაპაჩემო! მთავარი ამბის გადმოცემამ გადამავიწყა ყველაფერი! — მოიბოდიშა იადხმობილმა. — ისე ვგრძნობ თავს, თითქოს ბიძაჩემის არსებობა შენც იცოდი.

ქალმა უამბო პაპას გურსის თავგადასავალი.

— აჰა! ეს გურსი მაშ თარხონის გმირი ასულის ნაშობია? — თქვა ვაჩემ. — მახსოვს, არჩილი რომ ტრიალებდა არმაზელთა სამკვიდრებელში. ჩანს, ვერ გაბედა და ვერ მითხრა მე, თავის მეგობარს, ეს სა ...დუმლოება. მერმე და რაზე მოჰპრიანებია ალფარსლანს შენი თანამეცხედრეობა? — ჰკითხა ვაჩემ შვილიშვილს.

— რაზე? როგორც გურსი ბიძა იწერებოდა, ალფარსლანს ჰსურს, რომ მის მემკვიდრეში სასანიანთა სისხლი დიოდეს, — უპასუხა მირანდუხტმა ვაჩეს თვალთა გაელვებით.

— კარგა იდინებს! — თქვა ხმადაბლა მოხუცმა და გულში გაიცინა: იქნებ ჩემი შვილიშვილის ნაბიჯი უფრო სწორე იყოს ჩემ ნაფიქრზეო.

ვაჩე გონებით ძიებას შეუდგა, თუ რა მოჰყვებოდა შვილიშვილის ასეთი ნაბიჯის გადადგმას. იადხმობილმა კი ჯვარს მიმართა სალოცავად.

ღამე მირანდუხტმა თემესტიას ოთახში გაატარა, პაპის რჩევით და მითითებით.

ქალს სვეტიცხოველში ლოცვა-ზიარებამ და ჯვარში ლოცვამ თითქოს სული დაუმშვიდა. ძილს მისცა თავი მაშვრალმა. მაგრამ დიდი ხნისა არ იყო ეს მისი ძილი. მალე გამოელვიძა. ნანახმა სიზმარმა წონასწორობა დაურღვია. გადაწყვეტილი ჰქონდა, პირდაპირ უჯარმას დაბრუნებოდა, მერმე იქიდან ეკლო მამა-პაპათა სხვა სალოცავებში და გადაწყვეტილებას სიზმარმა ფუძე გამოაცალა. ქალს გამოეცხადა მანდილოსანი და უბრძანა, ნოკორნას წასვლა და წინაპრის წმიდა არჩილის საფლავზე ლოცვა. მალე წაეძინა ისევ. კიდევ ის მანდილოსანი მოელანდა და უთხრა:

„მე თემესტია, სასანიანთა ნათესავი, გიბრძანებ: ნოკორნაზე უნდა დაიდო გზა. იქ არჩილის საფლავზე უნდა ილოცო! შენი წინაპარი სხვა გზას გიმზადებს. შენ ვერ აუქცევ ამ გზას გვერდს. ძნელია ეს გზა, უფრო დიდ მსხვერპლს მოითხოვს, მაგრამ შენგან არჩეული გზა უარყოფილია შენი წინაპრისაგან“.

მირანდუხტმა გამოიღვიძა კიდევ შეშფოთებულმა. ლოცვა დაიწყო, ჯვარს შესთხოვა, რომ ხელი მოემართა მისთვის. კარგა ხანს ილოცა, ბოლოს ისევ მიწვა ლოგინზე და ნახა სიზმარი იგივე: ო ემესტია კვლავ თავისას უმეორებდა მირანდუხტს.

დილით სამჯერ ნანახი სიზმარი პაპა ვაჩეს უამბო.

— შვილო, თუ სვეტიცხოველი შენი სალოცავია, ჯვარიც შენი სალოცავია, შენი წინაპრის საფლავი განა შენი სალოცავი არ უნდა იყოს? — შეეკითხა ვაჩე შვილიშვილს. — სალოცავია და შენი სული ამას ჰხედავს, თემესტიას პირით მოითხოვს ამას და გეუბნება, სხვა გზაა შენთვის განკუთვნილიო!

„რას ნიშნავს ეს, სამგორით უჯარმაში დაბრუნებას თემესტია რომ ეღობება წინ? — ფიქრობდა ვაჩე. — იქნებ მირანდუხტს უჯარმისაკენ მიმართული მოკლე გზა ხიფათით ემუქრება? შორს მოუარე და შინ მშვიდობით მიდიო, ეუბნება თემესტია ჩემ შვილიშვილს. მერმე რა ხიფათი უნდა ელოდეს ამ გზით? ხომ მამა მოეგებება კარგა შორს? იქნებ უარსაყოფი გზაა არჩეული მირანდუხტისაგან ქვეყნის ხსნისათვის? არა! „სხვა გ ხაა შენთვის განკუთვნილიო“. ეს ისეა თქმული, რომ აქ ცხოვრების გზაა ნაგულისხმევი და ნოკორნით უჯარმისაკენ წასვლა თუ დააყენებს ჩემ შვილიშვილს ცხოვრების შემქნელ სხვანაირ გზაზე. ხშირად ხომ შორ გზასაც მოაქვს ხიფათი... რატომ უნდა ეწამოს უმწიკვლო ადამიანი? ჩემი შვილიშვილისაგან სიკეთის მეტი რა უნდა ახსოვდეთ ამ უჯარმაში ან ამ მხარეს, მცხეთაში? განა ფერისმა არ მითხრა, რა სიხარულით შესცქეროდნენ ჩემ იას მცხეთელნი? რატომ უნდა იაროს ეკლიანი გზით?.. არა, არა, ყველა გზები ეკლიანია. ხალხისათვის თავდადებულს სულ ეკლიანი გზით უხდება სიარული“. — შვილო, საითაც წავა ადამიანი, ყველგან ნახავს ეკალთ დამაბრკოლებელთ!

— პაპაჩემო, თემესტია მიმითითებს ნოკორნაზე. ნოკორნიდანაც მოვხვდები უჯარმაში. ჯვარი ნოკორნა, ერწო მიმიყვანს ეს შორი გზა შინ მშვიდობით, ხომ კარგი, განვაგრძობ ჩემს დაწყებულს საქმეს,

არა — და, სიკვდილი ხომ მომიღებს ბოლოს. იქნებ მე თვითონ მოვისპო სიცოცხლე, თუ ამას აუცილებლობა მომთხოვს...

პაპამ მშვიდად გადახედა ქალს, თუმც გულში ლახვარივით მიიღო მისი ბოლო სიტყვები.

— დროა ჩემი წასვლისა ნოკორნაში, პაპაჩემო, — განუცხადა ვაჩეს იამ.

ვაჩე პაპა და შვილიშვილი ჯვარის საყდარში შევიდნენ დილის ღოცვისათვის.

სასანიანის ასულს აქ დახვდა თავისი ამალა, წასასვლელად გამზადებული.

ერთად ილოცეს. პაპას გამოეთხოვა შვილიშვილი.

— ახლა ნოკორნისაკენ! — განაცხადა მოკლედ მირანდუხტმა და ფერისსა და სხვა შინაყმებს დიდად გაუკვირდათ მისი სიტყვები. ონოფრეს კი აინუნშიაც არ მოსდიოდა, ნოკორნისაკენ გაემგზავრებოდა მისთვის საყვარელი ასული უფლისა, თუ სამგორით დაბრუნდებოდა უჯარმას. საითაც ია, მეც იქითაო, ამბობდა გულში ბაქარის ძიძიშვილი.

გულადსა და ბასას არ გაჰკვირვებიათ იადხმობილის განცხადება. კარგად ახსოვდათ. რაც იყო სასანიანთათვის არჩილის საფლავი.

— არჩილის საფლავზე უნდა ვილოცო, — განუმარტა მირანდუხტმა ფერისს.

ქალმა ერთი კიდევ შეავლო თვალი ვაჩე პაპას. გული წყდებოდა. პაპა ხომ მისთვის ერთი ძლიერი საყრდნობი იყო ყოველთვის. გული წყდებოდა, მაგრამ გონება აძალებდა ჯვარის დაგდებას და ნოკორნაში გამგზავრებას. პაპის მიტოვებას. და ვაჩე პაპა მარტო დარჩა.

მირანდუხტი რაზმითურთ სულ მდუმარედ მიდიოდა ბიწმენდამდე. ხმა არავის ამოუღია. ბიწმენდიდან მირანდუხტსა და მის რაზმს გულად გამოეთხოვა.

— ეს მეორე ეკალია ამ მოკლე განვლილ გზაზე, — ღრმა ამოოხვრით აღმოხდა მირანდუხტს სიტყვები.

გულადი, თავისი მგოსანი, ძალზე უყვარდა, როგორც ძმა და მამა. სიყვარულითვე ხომ გულადიც უპასუხებდა. ატირდა გულადი. რა დიდი სიხარულით გაიტაცებდა თავის უჯარმის დედოფალს ფხოვში და მიმალავდა იქ მთებში, სადაც ვერც ალფარსლანი და ვერც სხვა მისგვარი ხელს ვერ ახლებდა. მაგრამ დედოფალმა სხვა გზა აირჩია, ან თვითონ ბედმა შესთავაზა დედოფალს იგი.

იაზონ ცალქალამანიძე შეიპყრო შურისგების ძლიერმა წყურვილმა. გული მისი მოითხოვდა სასანიანთა მოდგმის მიწასთან გასწორებას, ხორციელად კი არა სულიერადაც, რომ უშრეტ ცეცხლს დაედაგა ამ მოდგმის თითოეული წევრის გული და ისე ჩასულიყო ყველა მათგანი სამარეში. არგოელის ჩამომავალს გონების თვალწინ აღემართა სასანიანთა მოდგმის წევრი იადხმობილი. ეს ხომ ხელიდან ეცლებოდა წინათაც და ეცლება ახლაც. წინათ თავის მეტოქედ მიაჩნდა გიორგი მეფისწული, ახლა — მის მბრძანებლად გადაქცეული ალფარსლანი.

„ერთი ხომ დარჩა ცარიელზე ალფარსლანის ჩარევით! — თქვა ნიშნის მოგებით ცალქალამანიძემ, — რა იქნებოდა, რომ ახლა ალფარსლანიც ასევე დარჩენილიყო ვინმე სხვისი ჩარევით“.

დიდი ხანია შენიშნა იაზონმა ალფარსლანს, რომ აბუჩად აგდების გეზი ჰქონდა აღებული. იაზონის მორჩილი თვალიც ესიამოვნებოდა და მისი გაკიცხვის სურვილიც ემჩნეოდა აღმოსავლეთის დიდ მბრძანებელს. ალფარსლანის ასეთი მოპყრობა გულს უსიებდა იაზონს და სასანიანთა მიწასთან გასწორების სურვილთან ერთად სანაცვლოს მიძღვნის სურვილი აღეძრა გულში.

მაგრამ იაზონს ვერ მოეფიქრა ჯერ, რა გზით სწეოდა თავის გულის ნადებს. სული მისი ესწრაფოდა რაიმე ფანდის გამონახვას და გონება კი აგვიანებდა. ასეთი საქმის გადაწყვეტა მარტოს არ შეეძლო. ინატრა გონებამახვილი ადამიანი და ვერ გამონახა თავის რაზმში. ძმები გაიხსენა, კვეტარში მყოფნი, ვერც იმათ შორის გამოარჩია ვინმე და ილაჯგაწყვეტილმა წამოიძახა:

„ნეტავი ცოცხალნი მყავდეთ, დედის ძმანო! თქვენ მიშველიდით, თქვენ!“

ცალქალამანიძეს გაახსენდა, ამ დედის ძმებმა ჯვარპატიოსნობას თავს რომ დაასხეს სასანიანებს ფადლონის რაზმელები.

„ეს ხომ მხოლოდ იმათ შეეძლოთ, რატომ მე არ შემიძლია ამის მოწყობა? მე თვითონ ვთხოვ ფადლონს. კარგად ვიცნობ. შევპირდები ხარჯის ანაზღაურებას. ექვსას კაცამდე შეეყარა ბიძა-ჩემთ ფადლონისანი. ცოტა აღმოჩნდა ეს ექვსასი ანაზღეულად თავზე დასხმისასაც კი ბაქარის გაწვრთვნილ ციხოვანებთან. მეკობრეთა ბრბოებთან ახლა ხომ ციხოვანნი

არ იბრძვიან? სამასნი არიან... ამათთან არ მექნება საქმე... საქმე მექნება ნინოწმიდელის სამღვდელმთავრო რაზმთან... ნინოწმიდელი... — აქ იაზონმა კბილები გააკრაჭუნა: გაიხსენა ივრისპირის მარცხენა მხარე, როცა თერთმეტი წლის წინათ რქევი სასანიანმა კუდით ქვა ასროლინა მის რაზმს. გაიხსენა ბერა ზენკალი თავის რაზმიანად. — მაშინ მერი მარჯვე ხელი ჰყავდა სასანიანს: ბაქარი, ვაჩე, ვეჟანი. ახლა ამ სამით ნაკლებნი არიან. ნინოწმიდელი, ბერა... პო კიდევ, ფერისი! — იაზონს გააკანკალა: ონოფრე გაახსენდა. ონოფრემ ხომ სირცხვილი აჭამა. — ამ ბრიყვმა საქმე გამიჭირა! — კოხიანი მომიკლა, გოდერძი, შლეგიანი ლოდით იფრინა. — შლეგიანის გახსენებაზე ცალქალამანიძეს მისი მკვლელიც გაახსენდა. — ეს ვიღაც რევის ორეული გამოჩნდა. — დასძინა იაზონმა შლეგიანის მკვლელის გახსენებაზე. — საიდან მოიმატეს ჩემი საქმის დასაფარავად? არა! ახლა უფრო მეტი ჰყავთ სასანიანთ მარჯვენი: დაჩი, თვალისი... ბევრი, ბევრი, გაცილებით ბევრი ჰყავთ ვაჟკაცნი მებრძოლნი ახლა, ვიდრე მაშინ ივრის პირას ჰყავდათ. თუმცა ვაჩე არსაკიძის მხლებელი თხუთმეტი ვაჟკაცი შინაყმანი არც ერთს ჩამოთვლილთაგანს არ დაუვარდებოდა... ან ბერას... არა! რაც უნდა დამიჯდეს, მაინც ამ მოკლე ხანში ან იადხმობილი უნდა ჩავიგდო ხელში და ალფარსლანს გამოვაცალო, ან არა და თავი უნდა მოვისპო! მძულან სასანიანნი, მაგრამ უიადხმობილოდ სიცოცხლე აღარ მინდა!“

აქ იაზონი შეჩერდა და დაუყურადა.

გარედან ლაპარაკი შემოიჭრა კარავში.

— იცით! ნინოწმიდელს შემოუთვლია ალფარსლანისათვის: მირანდუხტი მოილოცავს მამა-პაპათა სალოცავებს და მაშინ გიახლებათ ბანაკშიო.

— მერმე ვინა თქვა!

— ვინც იყო გაგზავნილი ნინოწმიდელთან. მოციქულებს მოუტანიათ ეს ამბავი.

— ჰოდა, — ისმოდა გარედან, — მოციქულები წამოსულან და იადხმობილსაც არ დაუხანებია: ახლა მცხეთაში იქნება, მერმე თავის გვარეულების სხვა სალოცავებს მონახავს.

იაზონს სახეზე რაღაც უცნაურმა იერმა გადაჰკრა.

„ნოკორნაშიც წავა ალბათ, — თქვა გულში და აზრი წირქვაღელზე შეაჩერა: — რატომ ასე თავისუფლად დაიარება ალფარსლანის ბანაკში? — ჰკითხა თავის თავს. — ეს ხომ ბაგრატის ერთგულია? ბაგრატის ერთ-

გული ხომ ნინოწმიდელიცაა. ერთმა და მეორემ მორჩილება გამოუცხადეს ალფარსლანს, ხარკიც მისცეს და ამით გადაირჩინეს თავი. მერმე ერთის შვილმა ბაგრატს აცნობა, ალფარსლანის შემოსევა და ბაგრატსავე აედევნა, და მეორისა ხომ სულ ბაგრატს ახლავს თან. მე, ბაგრატის მოძულეს, ალფარსლანის გულის მოსაგებად საკუთარ რჯულზე უარის მთქმელს, ალფარსლანის გამარჯვებას მოწყურებულს, რატომ უნდობლად მიცქერის ალფარსლანი? რატომ აღსართანი მაინც არ მოითხოვს ალფარსლანს ხორნაბუჯის ერისთავის დასჯას?... აღსართანიც მაინცდამაინც დიდ პატივში არ ჰყავს აღმოსავლეთის დიდ მბრძანებელს, — დაასკვნა იაზონმა. — ალფარსლანი ჩვენით მხოლოდ ძალებს იმრავლებს. ჩვენ, ალფარსლანისაგან უპატივცემულოდ დარჩენილნი, მისი მომხრენი, რატომღა ვუჭერთ მხარს მის მოქმედებას?.. ჩვენ ალფარსლანით ვსარგებლობთ, რომ დავასუსტოთ ბაგრატი. აღსართანსაც და მეც ძალიანაც არ გვეპიტნავება ეს ალფარსლანი!.. მაგრამ ალფარსლანი მხოლოდ აიკლებს ბაგრატის სამფლობელოს გულს, ბაგრატს დაასუსტებს და წავა, გაგვშორდება. ჩვენ დასუსტებულ ბაგრატთან გვექნება საქმე და ბაგრატი ველარ მოიტანს იერიშს ჩვენზე. ჩვენ ჩვენი სამფლობელოები შეგვრჩება".

ამ დასკვნით თითქოს გული უნდა დაამებოდა ცალქალამანიძეს, მაგრამ პირიქით ხდებოდა: აღსართანი მოგებული რჩებოდა საავსებით, თვითონაც ხომ სამფლობელო არ უზიანდებოდა, მაგრამ იაზონს სასანიანთა ასული ხელიდან ეცლებოდა. მის გულში მირანდუხტი ერთ სამფლობელოს ეწონებოდა.

კვლავ შფოთვა იწყო ცალქალამანიძემ და ძლიერ მოისურვა რომელიმე ძმის ყოფნა გვერდით თურქთა ბანაკში. აეთზე შეუჩერდა გონება: „ის უნდა მყაყდეს ახლა აქ. ყველაფერს მოაგვარებდა".

14

სასანიანთა სამკვიდრებელში სამწყსოდან დაბრუნებული ნინოწმიდელი მოუსვენრობდა: დღეებს ითვლიდა, თუ როდის უნდა დაბრუნებულიყო მირანდუხტი.

„მცხეთას ორ დღეს არც კი დარჩებოდა ჩემი ია და თავის რაზმითურთ, — ვარაუდობდა მამა-პაპათა პალატში მყოფი მღვდელმთავარი,

— საღამოს ლოცვას დაესწრებოდა მისელის დღესვე. მეორე დღეს აწირვინებდა, ეზიარებოდა და ამავე საღამოს ჯვარში გავიდოდა პაპასთან, გაახარებდა. ერთ საღამოს და ერთ დღეს იქ გაატარებდა და შემდეგ დაადგებოდა უჯარმის გზას, შინისაკენ გამოემართებოდა. სამგორის გზა ახლა ჯერჯერობით უზრუნველყოფილია მეკობრეებისაგან. ორჯერ მეტი რიცხვით შემთხვევით საიდანღაც გაჩენილი მეკობრეთა რაზმიც რომ შეეჩეხოს კიდეც ფერისის მეთაურობით მოქმედ და ონოფრესა და სხვა ვაჟკაცთაგან შემდგარ რაზმს ვერას დააკლებს, ვერ გაბედავს შეტევას ჩემი ასულის რაზმზე სამგორის მინდვრის საზღვრებში. სამგორის მინდორზე ყველამ იცის, ჩემი სამღვდელმთავრო რაზმი და ბერას რაზმი რომ მოქმედებენ. შიში აქვს ყველას ამ ორი რაზმისა. ხვალ, ვფიქრობ, აქ უნდა გაჩნდეს ჩემი ასული თავისი რაზმიანად“.

ნინოწმიდელმა შეაჩერა ფიქრი: გურსი დაუბრუნდა ხორნაბუჯიდან. არმაზელს თან არავინ აღარ მოჰყოლია. გაიხარა ნინოწმიდელმა: იგრძნო წამსვე, რომ გურსი სადიდხნოდ ეწვია. იგრძნო, მხართსაყრდნობი რომ გაუჩნდა. ჯერ კიდევ გრძნობდა თავის ხორციელ ძალას, სულიერი ძალის ნირშეუცვლელობას. მაგრამ ბაქარი ბაგრატთან წალმართობდა, მირანდუხტი მალე ალფარსლანის ბანაკში გაემგზავრებოდა მამა-პაპათა ორი თუ სამი სალოცავის მოვლის შემდეგ; თავის საყვარელ გულისნადებს, სრულიად საქართველოს გადარჩენას, ეწირებოდა მსხვერპლად ქალი. ნინოწმიდელს გვერდით ამოუდგა დარდების გამზიარებელი. წინათ მუდამ გულდახურულ ადამიანს, თავის ბოლმა-ვარამის თვითონვე მომწელებელს, ახლა სწყუროდა მახლობელის ახლო ყოფნა და ამ მახლობელთან გულისტკივილის გადაშლა. რევყოფილი მამობრივი გრძნობებით მიეგება უმცროს ძმას.

— შვილები დამიქსაქსა ჟამთა უკუღმართობამ, — შესჩივლა უფროსმა უმცროსს.

— მე, პატარაობიდანვე მშობლებდაკარგულმა, ძმა მოვიპოვე, მშობლების მაგიერო! — უპასუხა გურსიმ. — მწადია შენ წყლულებს მალამოდ დავედო.

ძმები ერთმანეთს გვერდით მოუსხდნენ და რამდენიმე ხანს დუმილს მიეცნენ.

— მირანდუხტს ხვალ მოველი! — ჩაილაპარაკა ნინოწმიდელმა და სიჩუმე დაარღვია.

პალატმა თითქმის გამოიღვიძა.

— სამგორის მინდორი აქვს იას გამოსავლელი, — განაგრძო რეეყოფილმა, — მეკობრეებისაგან გაწმენდილია ეს გზა, მაგრამ გული მეთანაღრება.

— გავეგებები! — თხოვნით უთხრა გურსიმ. — შენს რაზმს გავიყოლიებ. ადრე წავალ და შორს დავხვდები.

ნინოწმიდელმა პასუხი გააგვიანა. თითქოს გურსის პასუხად სასაინიანთა პალატში ბერამ ფეხი შემოსდგა. გურსის დანახვაზე გაიხარა, სალამი მისცა ორივეს და უფროს ძმას მიმართა.

— მაშინ მე გავაცილე სამგორის მინდორს იქით იადხმობილი ჩემი რაზმითურთ, მეუფეო! — მოახსენა ზენკალმა ნინოწმიდელს. — ხვალაც მე წავალ ჩემი რაზმითურთ იადხმობილის დასახვედრად. დაწყეცლილია ეს სამგორის მინდორი. სიწყნარეა ახლა იქ და მაინც არ უნდა ენდოს ამ სიწყნარეს ადამიანი.

— მაშ ბერას გავყვები! — დასძინა ზენკალის ლაპარაკს გურსიმ.

გურსი ეშურებოდა სამგორის იქით, ტფილისის საამირო სანახებში გაჰგებებოდა ძმისწულს. ტფილისის საამირო ჯერჯერობით მშვიდობიან ადგილად ითვლებოდა.

მღვდელმთავარმა თვითონაც გადიცვა აბჯარი. სამღვდელმთავრო რაზმი სამკვიდრებელში დატოვა, ბერას რაზმი საკმარისად სცნო სამგორის მინდორის გადასაჭრელად. ამ რაზმს უმთავრესად კუნთებმაგარი ხელოსნები შეადგენდნენ. ერივნენ ამ რაზმში აზნაურებიც: ბერას წინამძღოლობას არ თაკილობდნენ. სიამაყეს მათთვის მათი აზნაურული წოდება კი არა, წინამძღოლი ბერა ზენკალი და მისი კომბალი შეადგენდა.

ნინოწმიდელმა მცველები როდი გაიყოლია თან. თავის რაზმს დაუტოვა დაჩი და თვალისი და რაზმი კი მთლიანად ბოლნისიდან ამ ორიოდე დღეს მოსულ ბუმბერაზ ამირან არჩვიაძეს გადააბარა. არჩვიაძიანთ გვარი ხომ მეკობრეთა მოწინააღმდეგე მებრძოლთაგან შესდგებოდა.

— მამაჩემი ბოლნისს ციხოვანთა უფროსად დამკვიდრდა, — მოახსენა ნინოწმიდელს ამირანმა. — მამაჩემი ძალიან შეუყვარდა პატარა რევის, თითქმის არ ჰშორდებოდა. მამაჩემმა, მეუფეო, შენი შვილიშვილის სახელი ციხის უფროსად გამოაცხადა. ასე იძახის, მე ამ ციხის პატარა უფროსის ნაცვალი ვარო, ეს ციხის უფროსი კი ხანდახან დარდობს იადხმობილს. ხშირად იგონებს ველთაც, დარდობს თავის შვილს. შემოუთვალა რძალმა, ბოლნისს წამოდიო. მართლა და ახლა იქ დიდი სიწყნარეა. მოვედი აქ და იადხმობილი კი შინ არ დამხვდა.

ნინოწმიდელი, გურსი და ბერა რაზმიანად გზას გაუდგნენ.

სამგორი გაიარეს, განელეს ტფილისის საამიროს ნახევარი გზა, მაგრამ ვერავინ ნახეს, არსად სჩანდნენ მირანდუხტი და მისი რაზმელები.

შეფიქრიანდა ნინოწმიდელი. შეფიქრიანდა გურსი და ბერა.

— ჯვარში თუ მოუგვიანდა უჯარმის დედოფალს? — წამოიძახა ბერამ და რაზმმა თავი დაირწმუნა, იადხმობილი ჯერ კიდევ ჯვარშიაო.

რაზმმა გადმოლახა ლილოები, თვალი გაუსწორა დიღმის ველებს და ავჭალისაკენ გაეშურა. ჯვარს მიმართა.

მოხუცმა ვაჩემ გაიხარა მოსული სტუმრებით. სტუმრებმაც გულით სალამი უძღვნეს და თან კითხვის თვალითაც გადახედეს.

— თქვენ მირანდუხტსა და მის რაზმს კითხულობთ, რაკი გზად აღარ შემოგეყარნენ, — მიმართა მოსულებს ვაჩემ. — დღეს სწადდა გომბორის გზით დაბრუნება უჯარმას თავის რაზმითურთ მირანდუხტს და სულის მოთხოვნამ სხვა გზაზე მიუთითა. გუშინ შუადღისას თავის რაზმიანად ნოკორნას გაემგზავრა.

მოხუცმა უამბო მირანდუხტისაგან ერთი და იგივე სიზმრის სამჯერ ნახვა, თემესტიას ბრძანება, რომ ნოკორნისაკენ გამგზავრებულიყო და უცნაური თქმა თემესტიასი, შენ სხვა გზით უნდა იაროო.

ნინოწმიდელმა დაღვრემით მოისმინა სიმამრის ნაამბობი, საბედისწეროდ მიიჩნია ეს ნაბიჯი ასულისათვის. მისებრ ფიქრობდა გურსიც, ბერაც.

— რამ ჩაგაფიქრათ? — შეეკითხა მოხუცი სამივეს, — მშვიდობიანია ნოკორნისაკენ მიმავალი გზა. ერთი თუ ორი გარეწარი რას გაუბედავს მირანდუხტის რაზმს? — მოხუცმა გურსის მიაპყრო თვალი. — შენ ძმა ხარ არა ჩემი სიძისა, ახლახან აღმოჩენილი?.. მირანდუხტმა მიამბო ყველაფერი. ჩემი მოდგმისაც ყოფილხარ, ასე გამოდის. საფიქრებელი არა გაქვთ რა. შენც, ბერავ! თითქოს ცუდს რაღაცას მოელიო, რა ამბავია? მშვიდობაა ერწოსაკენ. ჯერჯერობით ავი სულები ალფარსლანთან არიან. მერმე და ვინ რას გაუბედავს ალფარსლანის თანამეცხედრედ გაწესებულს?.. — მოხუცმა ცოტა ხანს ფიქრს მისცა თავი და მას უკან რევყოფილს მიმართა:

— ხვალ დილით გაუდექი გზას, — ნოკორნაზე მიმავალი გზა მშვიდობიანია. მირანდუხტს არა მოელის რა.

— არა, ჩემო სიმამრო, დაწყეველილი ხანა გვფლობს. ვერ დაევნდობი ვერც დღევანდელ დღეს, ვერც ხვალინდელს! — განუცხადა ვაჩეს ნინოწმიდელმა და გამოეთხოვა მხლებლებიანად.

უჯარმიდან მოსული რაზმი ჯვარის ჩრდილოეთით დაეშვა აჩქარებით. ბიწმენდთან ღამემ უსწრო ნოკორნაში მიმავლებს და აქ ღამის გათევა არ უფიქრიათ. შუაღამემდე ნინოწმიდელი მხლებლებით ნოკორნას ეწვია. დიდი მოწიწებით მიიღეს წმიდა არჩილის ჩამომავალი მღვდელმთავარი მონაზვნებმა. მისი გამასპინძლებისათვის მზადებაც კი დაიწყეს, მაგრამ ნინოწმიდელმა ჯერ მირანდუხტისა და მისი რაზმის ამბავი გამოჰკითხა. გაიგო, რომ შუადღისას გასულიყვნენ ნოკორნიდან მირანდუხტი და მისი რაზმი. მერმე ილოცა არჩილის საფლავზე და სწრაფ მიატოვა ნოკორნა. ერწოზე გავლისას სოფლებში გაიგეს, მირანდუხტსა და მის რაზმს მშვიდობიანად გაეელო ერწო.

ბერა და გურსი დამშვიდნენ. სამგორის მინდორი გამოვიარეთ, არავინ გაღაგვლობებია, ტფილისის საამირო გამოვიარეთ, მოწინააღმდეგე არ გვინახავს, ჯვარიდან ნოკორნამდეც არავინ ყოფილა, ერწოში ხომ ერთი კაციც კი არ შეგვხვედრია, რაღა ამ დანარჩენ ადგილებში დახვდება ვინმე მიმავალ ხალხსო. ახლა, ვინ იცის, იადხმობილი რაზმიანად პალატში განისვენებს კიდეცაო, ფიქრობდა ბერა და გურსიც შორს არ წასულიყო ამ ფიქრებისაგან. ბერას დავიწყებოდა, ბოჭორმის წმიდა გიორგი მოსალოცი რომ ჰქონდა მირანდუხტს. ნინოწმიდელი კი მოუსვენრობდა. სიმშვიდემ ვერ მოიკიდა ფეხი მის გულში. მისი აზრით, იმდენი მანძილი კიდევ იყო გასაველელი უჯარმამდე, რომ კაცს გზაში რამე გადაჰყროდა. ბოჭორმის მთის ძირის ვიწრო ხეობას და თვითონ ამ ხეობდან უჯარმის განაპირა სანახებამდე მდებარე ადგილებს კარგა შეეძლო მცირისა და მრავალრიცხოვანი მტრისთვის სამალაობა გაეწია. დიახ! მეკობრეთა რაზმების თითქოს სინსილაც გაწყდა, მაგრამ ნინოწმიდელი ამას დროებით მოვლენად თვლიდა. ხომ არსებობდნენ ალფარსლანის ბანაკს შეფარებული იაზონ ცალქალამანიძე და ფადლონი და ეს ორიც საკმარისი იყო.

ბოჭორმის მთის ძირას ხეობას მიაღწიეს. დილა ეპატრონებოდა ქვეყანას და ღამე აჩრდილებად იბნეოდა ტყეებსა და ხრამებში. მიმავალნი ივრის ტყიან მარჯვენა სანაპიროს უნდა ჩაჰყოლოდნენ. უცბად ფხიზელ ყურს კვნესა მოესმა. მიმავალთ ერთმანეთს გადახედეს. გურსი

წამსვე ჩამოსცილდა ძმას და იმ მხარეს გაეშართა, საიდანაც კენესა მოისმა. შორს არ მოუხდა წასვლა. მიმავალთაგან ათიოდე ნაბიჯის მოშორებით შენიშნა თხილის ხშირ ტევრს ამოფარებული პირშიშველი, გაფითრებული, მხარსისხლიანი ჭაბუკი.

— დაჭრილია! — დაასკვნა ხმამაღლა გურსიმ.

— ოი! — დაიკვნესა დაჭრილმა და თვალები გაახილა.

— უფლის ასულო, უფლის ასულო! აქეთ გაემართე, აქეთ! — წამოიძახა და თან მიაყოლა. — ვაი, დედავ! — მივდივარ, მამავ, მივდივარ!.. ფრთხილად, ონოფრე! ზურგიდან გიპირებს თავდასხმას...

გურსიმ ბასა იცნო და თავზარი დაეცა. ბასას ასეთი მდგომარეობა მირანდუხტისა და მისი რაზმის უბედურებას მოუთხრობდა.

— გურსი, რა ამბავია? — დაუძახა შეშფოთებულმა ნინოწმიდელმა ძმას და პასუხს აღარ მოუცადა: თვითონ გასწია მისკენ და ბასა დაინახა.

რევყოფილს ელდა ეცა, ტანი გაეთანგა. გურსიმ მალე მოიკრიფა გონება. ბასა ბუმბულივით აიტაცა და მდინარის ნაპირას ჩაარბენინა. ჭაბუკს ჭრილობა მხარში ჰქონდა ისრისაგან მიღებული. მოპბანა ჭრილობა და შეუხვია.

ჭაბუკი ჰბოდავდა. ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიტყვებს ისროდა.

— ბასაა, ბერა, ბასა, ეგა! — ამცნო ნინოწმიდელმა ზენკალს გულსაკლავი ხმით და მიუთითა ჭაბუკზე, რომელსაც ახლა გურსი ჭრილობაშეხვეულს მოარბენინებდა რაზმისაკენ.

ბასას სახელის გაგონებაზე ბერა და მისი რაზმი აფორიაქდა: მირანდუხტისა და მისი რაზმის ხვედრს ჰკითხულობდნენ დაჭრილი ბასას მაცქერალნი.

— მაგრამ სად რა მომხდარა მაინც? — წამოიღაღადა ბერამ. — ეს ცალკე სადღაც ეგდო. რატომ ცალკე?

— აგერ, იქ ჰუნე გდია მკვდარი! — წამოიძახა ერთმა ბერას რაზმელმა. — ბასასი იქნება. თუ ჩამორჩა მირანდუხტის რაზმს ეს ბიჭი?

— ეტყობა, არა, — თქვა გურსიმ, რომელმაც დაჭრილი ბალახზე დაასვენა და საკაცეს მზადებას შეუდგა. —რომ მიეუახლოვდი, ბურანში თვალებგახილულს სხვა სიტყვებთან ერთად აღმოხდა: მივდივარ, მამაო. ჩანს, მამის დავალებას ასრულებდა. ეტყობა, ბრძოლა ყოფილა: ონოფრე, ფრთხილად, ზურგიდან თავდასხმას გიპირებენო, თქვა კიდევ დაჭრილმა.

— გავყვეთ ამ გზას, — წარმოთქვა ყრუ ხმით ნინოწმიდელმა, — და სხვა ნიშნებსაც ვნახავთ ჩემი ასულისა და მისი რაზმის უბედურებისას.

გაცდნენ ბასას საფარ თხილის ბუჩქს და წააწყდნენ მკვდართა გროვას. თურქთა ხროვა იყო თითქმის, რკალივით მოხრილი და რკალში კი დახოცილი ფერისი, ონოფრე, რაზმი მთლიანად, მირანდუხტი კი არსად ჩანდა.

„ვინ არიან ეს თურქნი? რად უნდა დასცემოდნენ, თუ ალფარსლანისანი იყვნენ, მირანდუხტსა და მის მცველ რაზმს?“ — ეკითხებოდა თავის თავს ამ ნანახი უბედურებით მხრებში მოხრილი ნინოწმიდელი.

ბერაც და მისი რაზმელებიც ასევე ეკითხებოდნენ თავის თავს და თან ფერისს, ონოფრეს და მირანდუხტის სხვა რაზმელებს სამარეს უმზადებდნენ.

ასეთივე კითხვები უტრიალებდა თავში გურსისაც, რომელიც ბასას დასტრიალებდა და მზრუნველ თვალს არ აშორებდა. შემთხვევით გადარჩენილ ამ ჭაბუკ შინაყმას სასანიანებში არ არჩევდა იგი. გონსმოსულ ბასას ბევრი რამ შეეძლო ეთქვა მომხდარ უბედურებაზე.

გურსიმ ცატა ხანს თავი ანება საზრუნავ საგანს და დახოცილ თურქთა ხროვას გულმოდგინედ სინჯვა დაუწყო.

—ფადლონისანიც ურევიან! — წამოიძახა მან რამდენიმე მკვდრის გადათვალიერების შემდეგ.

ყველა გურსისკენ მიბრუნდა. მხოლოდ ნინოწმიდელს არ მიუხედნია ძმისაკენ. მის დახრილ თავში ერთი აზრი ტრიალებდა. ეს აზრი ჰბოჭავდა მღვდელმთავარს. ეს აზრი ჩასჩიჩინებდა: ვაჟი ბაგრატს არ სცილდება, ასული დაკარგე და დაობლდიო. გურსი მიუახლოვდა და მხარზე ხელი დაადო.

— ძმაო, მამიჩემის შვილო! მამის მაგიერო! მამავ! — წაჰლუღუნა არმაზელ-სასანიანმა სიყვარულით აღსავსე კილოთი.

სიტყვა „მამავ“ გამოარკვია რევყოფილი, შეარხია. მხარზე დადებულმა ხელმა აგრძნობინა, რომ გვერდით კიდევ ჰყავდა ერთი სასანიანი, რომელიც იზრუნებდა როგორც მისთვის, ისე დაკარგული იასათვის. მან გულის შემამსუბუქებელი და გონების მრავალმხრივ ამმოძრავებელი ცრემლი გადმოაბნია და უმცროს ძმას, მართლადა ახლა მისთვის შვილად მოვლენილს, მკრედზე თავი მიაყრდნო, რაც უდასტურებდა გურსის: ახლა შენ ხარ ჩემი იმედი და შენ მომინახავ დაკარგულსაო.

გურსმა კი გაუმეორა ნათქვამი, ფადლონისანიც ურევიანო. ნინოწ-

მიდელს ამის გაგონებამ თვალებიდან ნაპერწკლები გადმოაყრევინა და შურისძიების ცეცხლი აღეგზნო გულში.

— შვილო მირანდუხტ! ცოცხალი ხარ თუ მკვდარი, მოგნახავ! — წამოიღაღადა გულიდან ამონადენი ხმით და თვალი გადაავლო დასასაფლავებლად მომზადებულ შინაყმათ, ნელი ნაბიჯით გადინაცვლა მათკენ და ყრუ ხმით დაიწყო ლაპარაკი, წელან თავსდატეხილი უბედურებისაგან მოხრილი წელი ახლა ალვისებურად გაისწორა და ჯერ ფერისს მიმართა:

— ჩემო ცალო, შენ დამეღუპე, გხედავ უსულოს! — რევყოფილმა ონოფრეს მიაპყრო თვალი: — შვილო ჩემო, ჩემი ასულისათვის დაღუპულო, შენც უსულოდ დევხარ ჩემ თვალწინ! — თვალი დანარჩენს შინაყმებზე გადაანაცვლა, — თქვენც უსულონი ხართ, ჩემი ასულისათვის დაღუპულნი! ჩემს ასულს კი ველარ ვიხილავ, ვიცი ეს და მაინც არ მწადია სიკვდილი. მინდა შურისძიების გზას დავადგე. მინდა თქვენი და ჩემი ასულის სანაცვლო სისხლი ავიღო. ყველა გარეწართა, რომელნიც კი ელობებიან ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობას!..

— მეუფეო, მეც შენთან ვარ! — წამოიძახა ბერამ და თავის რაზმელებს გადახედა.

— ჩვენც შენთანა ვართ, მეუფეო! — დაიგრიალა ერთხმად ბერას რაზმმა.

— მე, მეუფეო, შენი ძმა, ბაქარის ძმად მიგულვე! — მიმართა ნინოწმიდელს გურსიმ. — დედის სულს ვფიცავ, ვფიცავ საერთო ჩვენს მშობელ მამას, სანამ ცოცხალი ხარ და ვარ ცოცხალი, თავს არ დაგანებებ.

—გურსი, ჩემი პატრონო! — დაიძახა საკაცეზე მდებარე ბასამ, ყველასათვის შეუმჩნეველად გონსმოსულმა. — მიმიყვა ჩემ პატრონთან, მეუფესთან.

მაგრამ ბასას მეუფესთან მიყვანა არ დასჭირდა, თვითონ მეუფე მივიდა ბასასთან.

— რას იტყვი, ბიჭო? — ჰკითხა რევყოფილმა ბასას და შუბლზე აკოცა.

— მეუფეო, ჩემო პატრონო, გურსო, ჩემო პატრონო, ბერა ძიავ, დეე ამ ჭრილობამ გამიტანოს თუ თქვენ არ მოგყვეთ, თუ გვერდს არ ამოგიდგეთ, — თქვა სუსტი ხმით, — აღთქმასა ვდებ!

— შვილო, ძალა გაქვს? — შეეკითხა ნინოწმიდელი ბასას. — შეძლებ გვიამბო, რა დაგატყდათ თავს?

ბასას ამაზე პასუხი არ გაუცია. რამდენიმე ხანს ფიქრმა წარსტაცა თავი. მღვდელმთავარი ახლოს მიუჯდა და მისი თავი მუხლზე დაისვენა, შუბლზე ხელი გადაუსვა ალერსიანად.

— ჩემ ტუჩებთან მოიტა ხელი, მეუფეო! — შესთხოვა ბასამ ნინოწმიდელს.

ნინოწმიდელმა სურვილი აუსრულა დაჭრილს. პირჯვარი გადასწერა და თავისი ხელი მის ტუჩებს შეახო.

დიდი მოწიწებით ემთხვია თავის უფლის ხელს ბასა. ეს იყო ამბორი სასანიანთათვის თავგამოდებული ჭაბუკისა. შემდეგ ბასამ შეისვენა და თან ნინოწმიდელს მიაპყრო თვალი.

— მეუფეო! — დაიწყო მან. — მტერი მრავლად ჩაგვსაფრებოდა იერის ვიწრო ხეობაში, იერის დალმიდამ შემოგვიტია. ექვსჯერ მეტი იყო ჩვენზე. ჰაი, ყოფილიყო მეტი ჩვენზე ორჯერ ან სამჯერ, თუ გინდაც ოთხჯერ, ვერას წაიღებდა, ვერას... მრავალი დახოცეს მტრისანი ჩვენებმა. მამაჩემმა მითხრა, უფლის ასული წიაბეთიდან უჯარმას მიმავალი მეორე გზით, ტყის ტყეში მიმალული გზით წამემართებინა შინისაკენ. შარშანწინ, ჯვარპატიოსნობის მეორე დღეს გავიარეთ ეს გზა ბაგრატთან მიმავლებმა მე, გუგანმა და გულადმა. კარგად მახსოვდა ეს გზა... უფლის ასული და მე მოეცილდით ჩვენებს მტრის შემკავებელთ. მაგრამ სწორედ ჩვენგან არჩეული გზით გადმოგვეგება წინ ათეული მხედარი. დავიყვირე თუ არა, მამავ, მტერი გარს შემოგვეხვია-მეთქი, ისრით დამჭრეს. ჰუნედან გადმოვვარდი. დავიყვირე, უფლის ასულო, მაღრანეთს მიმართე-მეთქი... მეტი აღარაფერი მახსოვს. იქნებ, დაუსხლტა კიდეც უფლის ასული მტერს ხელიდან. ქავურდისეული ჰუნე ქარივით მალია...

ბასა მიდუმდა. ნინოწმიდელმა ხელი ჩაიქნია და თან მხლებლებს თვალი გადაავლო და ამ თვალის გადავლებას დასძინა:

— ჩვენ გამოვიარეთ ერწოს სოფლები და ქველა ამას გვეუბნებოდა, გვითითებდა, თქვენკენ, იქითკენ მიდიოდნენ და აქედან მომავალზე არავის რა უთქვამს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემ ასულს თავი ვერ დაუღწევია წინ გადამღობ მხედართაგან.

— იმ მხედართ შორის თითქოს ქართულად ნათქვამი სიტყვა გავიგონე, — დაუმატა ბასამ თავის ნაამბობს.

ყველა მსმენელმა ყურად იღო ეს უკანასკნელი ცნობა.

— მაშ მტერთა შორის ქართველნიც ყოფილან, — წამოიძახა გურსიმ, იაზონ ცალქალამანიძე გაიხსენა და თან დასძინა. — თუ ასეა, ამ საქმეში იაზონ ცალქალამანიძე ურევია.

— მაგრამ ერიენენ კი მტერს ქართველები? — თქვა ბერამ. — დახოცილებში ერთი ქართველიც არ სჩანს.

— გურსი, შვილო, ალფარსლანის ბანაკს უნდა ეწვიოთ! — უთხრა მტკიცედ ნინოწმიდელმა. — საიდუმლოების კვანძი იქ უნდა გამოეხსნათ. თურქნი იმ ბანაკიდან არიან წამოსულნი, უეჭველია, ფადლონისანიც იქიდან არიან და თუ ქართველნიც ერიენენ მათ შორის, ესენი იაზონ ცალქალამანიძისანი იქნებოდნენ. მე მტერი, ალფარსლანის მხარეზე გადასული, ქართველებ შორის სხვა არავინ მყავს. პასუხს მოვთხოვ ალფარსლანს. ეს მოთარეშენი გადმოსულან, უეჭველია, თელავით ვერენისაკენ მონადენი გზით. ჩანს, მტერი იმდენი არ იქნებოდა, რომ ვერენის ციხეს გარს შემორტყმოდა და არც ისე მცირერიცხოვანი, რომ ციხიდან გადმოჭრილი ციხოვანნი უკუ ვერ ებრუნებინათ... ალფარსლანის ბანაკს უნდა მივმართო, — გაიმეორა მტკიცედ ნინოწმიდელმა, — ალფარსლანს უნდა მოვახსენო ჩემ თავს დატეხილი ამბავი, რომ მისივე სადედოფლოდ გაწესებული ჩემი ასული და შინაყმები მისი ბანაკიდან მოვლენილ მოთარეშეთ დამიღუპეს...

— მივუთითებთ იაზონზედაც! — დაურთო ძმის ნათქვამს გურსიმ.

— მივუთითებთ, — გაიმეორა მღვდელმთავარმა.

ბერა და მისი რაზმელები ფერისის, ონოფრესა და სასანიანთა დანარჩენ დახოცილ შინაყმათ დასასაფლავებლად განემზადნენ.

— არა, ჩემო ბერა! მაგას ნუ იზამთ! — უთხრა ზენკალს მღვდელმთავარმა, — ჩვენიანები ყველა უჯარმას უნდა წავასვენოთ, ქრისტიანული წესი შევუსრულოთ და ჯვარპატიოსანს მივაბაროთ. საერთო აკლდამაში მოვასვენოთ.

15

სისხამი დილაა. კვეტარში დიდი საიდუმლო მითქმა-მოთქმაა და ჩურჩული. ხმამაღალი ლაპარაკი აკრძალულია, თითქოს მაღალი ხმით თქმა რამისა გალავანს გარეთ გააღწევსო. აკრძალულია კვეტარის გარეთ რაიმე ამბის გატანა. ერთიმეორეს რომ ხვდებიან კვეტარელები — ნაცნობები და მეზობლები, იქ სადაც ხალხი ირევა, ეჭვით თვალს ავლებენ ერთმანეთს, სალამს ძლივს აძლევენ ურთიერთს და სწრაფ

იშლებიან აქეთ-იქით. თუ მიყრუებულ ადგილას შეხვდებიან, სალამის მიცემა ავიწყდებათ და თავიდანვე ჩურჩულით ეკითხებიან, გაიგე, იციო, და ისმის წყენით ნათქვამი პასუხი: რატომ არ უნდა გამეგოო, მაშა, ვიციო. ცალ-ცალამანიძიანთ არემარის ციხე-პალატისანი ხომ სულგანაბულნი დაიარებიან, თითქოს ლოგინად ჩავარდნილი ავადმყოფი ჰყავთ ვინმეო, ისეთი გამომეტყველებით გამოიყურება ყველა მათგანი.

საჯინიბოს შესასვლელში ფეხი შედგა სავსე ტომარა წამოკიდებულმა მეჯინიბემ, შესასვლელიდანვე ცხენებს თვალი გადააყოლა და შემდეგ სავსე ტომარა საჯინიბოს სვეტს მიაგდო, ცხენებს სასწრაფოდ ჩამოუარა. წუხელის დაუსვენებელი ჭენებით ოფლში გაწურულებს, ზურგზე ხელი გადაუსვა თითოეულს. უკანასკნელმა ცხენმა მეჯინიბის ხელის გადასმაზე მეზობელ ცხენისაკენ გადინაცვლა.

— როგორ არ იამა ჩემი ხელი? — ჩაილაპარაკა მეჯინიბემ და ცხენს დაყვავებით მიმართა. — შენ ხამობ, ჩემო ჰუნევ! ჩემზე უკეთესი მომვლელი შენ არავინ გეყოლება. ისეთი ქერითა გკვებო, რომა სხვა ჰუნეთ თვალი დავუყენო.

მეჯინიბე გაჩუმდა. საჯინიბოში ვიღაც სტუმარი შემოვიდა. მეჯინიბემ იცნო.

— ოჰო! გრძელავ? — მიმართა სტუმარს.

— ესაა იმის ჰუნე? — ჰკითხა ხმადაბლა გრძელად წოდებულმა მეჯინიბეს.

— ესაა, — მოკლედ უპასუხა მეჯინიბემა.

სტუმარმა ახედ-დახედა ცხენს.

— რაა და! — აღტაცებით თქვა გრძელამ. — ამას რა ჰუნე დაეწევა. როგორ არ დააღწია თავი ამ ჰუნეზე მჯდომმა?

— რას დააწევინებდა ვინმეს თავის თავს მხედარი, რომ ივრის ვიწროებში უკან ბრძოლა ჩაბმული არ ყოფილიყო, წინ კიდევ ღობედ ამართულ რვა თუ ცხრა კაცს არ წასწყდომოდა?! — მიიღო პასუხად გრძელამ.

— ვინმე ჭაბუკია, ჯერ კიდევ პირშიშველი, დიდგვარიანი? — წაულაპარაკა გრძელამ მეჯინიბეს.

— ჰმ! — წაიზმუკუნა მეჯინიბემ, — ჯერ კიდევ პირშიშველიო. ის დიდგვარიანი, თუ იცოცხლებს, სულ მუდამ პირშიშველი იქნება.

— რაა! ქალია? — ჰკითხა გრძელამ ზედმეტად დაწეული დაბალი ხმით.

— შენც სუ და მეც სუ! — უპასუხა მეჯინიბემ და სვეტთან მიგდებულ ტომარას ხელი წაავლო. პინაში ქერი წამოყარა და ცხენს მისთავაზა.

— რაა და! — გაიმეორა თავლაში შემოსელისას თავისი თქმული გრძელამ. — სადაურია ნეტავი!

— ვერ ატყობ? არაბულია! — უპასუხა მეჯინიბემ და სხვა ცხენებს ახურაში ქერი ჩაუყარა.

მეჯინიბის სტუმარი არაბულ ცხენს არ აშორებდა თვალს, უალერსებდა.

საჯინიბოში შემოვიდა ერთი თვალებბრიალა იარაღასხმული ბიჭი.

— ეი, მარლი! — დაუყვირა მან მეჯინიბეს, — ფეხსწრაფი ჰუნე ამომირჩიე! იაზონს უნდა დავუბრუნდე. ახლავე უნდა გავიდე კვეტარიდან, რომ საღამოს ალფარსლანის კარავში მოვხვდე.

— ემანდ, ბუჭყიტ, ფეხსწრაფი ჰუნე! — მიუთითა მეჯინიბემ არაბულ ცხენზე.

— კაი დღესაც არ შევეყრები, შენმა მზემ, რომ მაგ ჰუნეთი ალფარსლანის ბანაკში გაჩნდე! — უპასუხა მეჯინიბეს ბუჭყიტად წოდებულმა. — ეგ ალფარსლანის ძმის ქავურდისეული ცხენია. ქავურდი დააჭენებდა მაგას. ნამდვილი ქარია! გაგიხარიან, მალე კი მივალ ჩემ მბრძანებელთან მაგ ჰუნეთი, მაგრამ წამსვე ჩემი პატრონის საიდუმლოებასაც გავცემ ბანაკში მისვლისას. ეს ქავურდის ძღვენია.

ბუჭყიტამ ერთი კიდევ გადაავლო თვალი ქავურდისეულ ცხენს, თავი გადააქნია, გამოარჩია ერთი სხვა და საჯინიბოდან გარეთ გაიყვანა.

— ვინაა ეგ ქავურდი? — ჰკითხა მეჯინიბეს გრძელამ.

— ვინაა და თურქი დიდგვარიანი, — ალფარსლანის ძმაო, აკი თქვა ბუჭყიტამ.

— მერმე იმ ქალს ვინ მისცა? — განაგრძო შეკითხვა გრძელმა.

— ჰა, ხმას ნუ უმატებ! — შეუტია მეჯინიბემ გრძელას და ახურაში ქერის ჩაყრა მოათავა. გაიწვია გრძელა და საჯინიბო გამოიკეტა.

გრძელა წავიდა. მეჯინიბემ აეთის დაუწყო ძებნა. სასახლის ძირა სართულს მიმართა. აქ ცალქალამანიძიანთ რძლებსა ჰქონდათ ჩურჩული. აეთი ზედა სართულიდან ჩამოვიდა, ღრმად ჩაფიქრებული. ვერავის ამჩნევდა თითქოს, მეჯინიბე მიუახლოვდა და წინ გაუჩერდა. ლამობდა რაღაცის თქმას და შეფერხდა. აეთიმ გზიდან მოიშორა, კარს მიაჩერდა, გარეთ გასვლა უნდოდა, მაგრამ ცოლი გადაეღობა.

ქალმა ქმარს ალერსით ხელი ხელზე შეახო და ღუღუნა ხმით მიმართა. ქალს არც შეეძლო სხვა ხმით ლაპარაკი, ყველამ იცოდა კვეტარში დედისას ღუღუნა კილო.

— რა დაგემართა, აეთო? — შეეკითხა დედისა ქმარს.

— არაფერი, — უგულოდ უპასუხა აეთიმ ცოლს და მაღლა სართულზე მიუთითა. — მიართვი რამე? მშიერი ხომ არ იქნება? რომ დაემართოს რამე მაგ სასანიანის ასულს, იაზონს ვინღა გადაურჩება ცოცხალი?

— რა ვქნა, გენაცვალე? — უპასუხა დედისამ. — ჩემი ხელით ავუტანე საჭმელი და ისე დააკვესა თვალები, კინაღამ ყველაფერი ხელიდან არ დამიცვივდა. კარს გვერდით ფეშხუმი დამხვდა, როგორც იყო, იმაზე დავალაგე. მე გამოვეცალე, ვერ ვუყურებ: მისი თვალები ბოჭორმის მთავარანგელოზივით რისხვის სხივებს ჰყრიან. ეგ ვინმე ასული ჩვენდა საბედისწეროდ არის აქ მოყვანილი. ცხონებული სალომეს სიტყვები მაგონდება, ბევრჯერ უთქვამს ჩემთვის: სასანიანთა ზარალისათვის მათ დამზარებელს კეთილს არ შეჰყრის ღმერთიო, ასკეცად გადაახდევინებსო.

სალომესი და მისი სიტყვების გახსენებაზე აეთი შეკრთა. ახლა გრძნობდა სალომეს სიტყვების სიმართლეს, გუშინღამ რვა ძმამ ადვილად ჩაიგდო ხელთ იადხ[illegible]ობილი. შინ თავისუფლად მოიყვანეს. ზედა სართულში მოათავსეს. არავის არაფერი უგრძვნია, თითქოს ჩვეულებრივი ადამიანი ჩაიგდეს ხელშიო. სხვა დროს, იაზონს გარდა, რვა ძმა ცალქალამანიძეთ ახლოს არასდროს არ უნახავთ სასანიანის ასული. დღეს დილით ავიდა ზედა სართულში აეთი და რაღაც საიდუმლო ძალამ შეიპყრო. ვერაფერი ვერ უთხრა რა დატყვევებულ ქალს იაზონის მომდევნო ძმამ. სასანიანის ასული თვითონ გამოვიდა აეთ ცალქალამანიძის დამტყვევებული. შემბოჭავ სხივებს აყრიდა თვალებიდან არგოელის მეორე ჩამომავალს. დილით აეთიმ ნახა: ბადური ბოდავდა რალაცას. ნათლად ჩანდა, აეთზე ადრე აჭრილიყო ზესართულში და ახლა გონებადაბნეული გამოიყურებოდა.

„რა ამბავია ჩემ თავს? — იკითხა გულში აეთიმ და პასუხი წამს წამოეჭრა: — ძმას შურით ვუცქერი. ჩემს მეუღლეს დედისას, ანგელოზს, ლამის არის გავუგულგრილდე".

— რა ვქნა, აეთი? — გაიგონა მან მეუღლის შეკითხვა.

— რა ქნა? რა ქნა? — გაუმეორა ორჯერ შეკითხვა და სწრაფად უპასუხა. — ადი მაღლა, ადი მაღლა! მიხედე!..

აეთიმ სწრაფად მიმართა კარებს. გარეთ ყოფნა ჰსურდა ცალქალამანიძეს.

ეკლესიისაკენ გასწია. ეკლესიის ერთ უბეთგანს გუდანი მიჰკედლებოდა. გაუკვირდა აეთის, რომ თავის ცალს დაჰშორებოდა ეს ძმა. ესა და გუბაზი ხომ მუდამ განუყრელნი იყვნენ. გუდანი თავდახრილი იჯდა, არაფერს ამჩნევდა. გასცდა აეთი ტაძარს, მიუახლოვდა თავციხის აღმოსავლეთის კოშკს: გუბაზი ასტუზოდა და სივრცეში იცქირებოდა.

„ისევ ის ამბავია ამათ თაეს, რაც მე დამემართა, — გაიფიქრა აეთიმ. — ეტყობა, ორნივე ცნობისმოყვარეობით დაძლეულნი, სასანიანის ასულს ეწვივნენ და დღის შუქზე მის დანახვით დაიბნენ. ეტყობა, ტყუპის ამ ცალებს ერთმანეთისათვის ველარ შეუხედნიათ. ნეტავი ის ორი წყვილი სადღა გადაკარგულა? უეჭველია, ისინიც გაონებადაბნეულები დაიარებიან. უეჭველია, ისინიც ეწვევოდნენ მირანდუხტს და მიიძღვნიდნენ იმას, რაც მივიძღვენით მე, ბაადურმა, გუდანმა და გუბაზმა. ღმერთი! რჯული! ძმანი ცხრანი ერთმანეთს გადავეკიდებით. დავჭამთ ამ ტყვის გულისათვის. ეს, ეს ტყვე კი მრისხანებით გვიცქერის, უიარაღოდ გვამარცხებს. იაზონი მაინც დაბრუნდეს მალე. ის თუ აგველაგმავს ჩვენ, თორემ დავიღუპებით ყველანი. იქნებ ზეგ გაჩნდეს ჩვენი უფროსი ძმა...“

ვაჟმა ფიქრის დენა შეიჩერა და ისევ პალატს მიმართა. მოიწადინა მეუღლესათვის ეამბნა თავისი გასაჭირი.

ხოლო მისი მეუღლე ზედა სართულ'ში ავიდა და თავდაღუნული მოწიწებით გაჩერდა დარბაზის კართან. ქალს ეკრძალებოდა თვალი გაემართა მისთვის. ქალმა არ იცოდა, როგორ მიემართა.

ტყვეს კიდევ დარბაზის კარისათვის ზურგი შემოექცია და თვალი სამხრეთის კედლისათვის მიეპყრო. იქ გამოხატულ სურათს მისჩერებოდა: სურათზე შუბლშეჭმუხვნილ ვინმე ქალს, ეტლში მჯდომს, ეტლში შებმული ცეცხლის მფრქვეველი ჰუნები მიაქროლებდნენ დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ გზად დადებულ ცაზე. ქალს ვაჟი ჰყავდა გვერდით.

— სასანიანის ასულო, მე ხომ დამნა'შავე არა ვარ შენთან, შენ რომ აქ ხარ'? — გაიგონა სათუთი კილოთი ღუღუნა წარმოთქმული შეკითხვა სურათზე თვალებმიპყრობილმა. — ქრისტიანი ვარ და მინდა ქრისტიანი ადამიანი მშიერი არ გამყოფო.

მირანდუხტი მოტრიალდა. აეთის მეუღლისაკენ წამოვიდა. ძრწოლით

შეპყრობილმა დედისამ დარბაზის მიტოვება დააპირა, მაგრამ რატომღაც ვერ მოახერხა ადგილიდან დაძვრა. სასანიანის ასულმა სურათისკენ ხელი გაიშვირა და აქამდე მოკუმული პირიდან სიმთა ჟღერისებრი ბგერები გადმოაბნია:

— განა ამ ბოროტი ადამიანის ჩამომავალში ქრისტიანები არიან? — დაიწყო ქალმა, — მედეა ვერაგი, სამშობლოს მოღალატე, მამის მოღალატე, ძმის არდამნდობი, სიკეთეს არ წარმოშობდა და არც წარმოშვა. ბოროტებას ანთხევდა და ეს ნანთხევი ცალქალამანიძენი არიან, მეკობრენი, ქვეყნის გამყიდველნი, მრავალი უცხო ტომისა დაგვასხეს თავს გველისაგან ნაშობთ. უსწორო ბრძოლა გაუმართეს თავდამსხმელთ უცალო ფერისს, ონოფრეს, ბასას და სხვა ჩემ შინაყმებს, ქართველთა შვილებს. მე ქალს ცხრა კაცი გადამეღობა. ქალის თავდამსხმელნი ლაჩრები არიან. უცხო ტომთა ხელით ნარის გლეჯა ლაჩართა საქმეა. ცალქალამანიძეანთ წინაპარმა იაზონმა თუ სადმე გაიმარჯვა, გაიმარჯვა ვერაგობით, მედეას ღალატით და ქურდ-ბაცაცობით გაიტაცა კოლხეთიდან ოქროსმატყლოვანი ტყავიც ვერძისა. იაზონი მეკობრედ მოევლინა კოლხეთს, მედეა ვერაგი მოღალატეა და ამ ორის ნატამალებში სცოცხლობს ვერაგობაც, მეკობრობაც და ღალატიც!..

აეთის მეუღლე ისმენდა საშინელებას თავისი მეუღლესა და მის ძმებზე და ვერა ეთქვა რა, ალაპარაკებულ ასულს ხელის შე'შლას ვერ უბედავდა. მკაცრი შინაარსის სიტყვები ჩანგისებური იერის ბგერებით რომ იქმნებოდნენ, უცნაურად ჰხიბლ·ავდნენ ცალქალამანიძიანთ რძალს. არასდროს ცალქალამანიძიანთ თვისებათა და საქმეთა საგმიროთა ასეთი მხილება არავისგან არ გაეგონა. თვითონ დედისა არ ცდილა არასდროს ცალქალამანიძიანთ ცხოვრებაში ღრმად ჩახედვას. ქმარიც, იაზონიც და სხვა მაზლებიც დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ მას. ქმრისა და მაზლებისაგან კეთილი მოპყრობის მეტი არა ახსოვდა რა, და რას გაახსენდებოდა კვეტარის გარეთ წარმოებული მათი მეკობრული საქმენი, ქართველთა დიდგვარიანნი ურთიერთს შორის რომ შუღლობდნენ, ამას ჰხედავდა ქალი დედისა. ჰხედავდა იმასაც, გამარჯვებული დამარცხებულს რომ სჩაგრავდა. რა ჰქონდა მოშუღლეთ სადავო, ამას ვერ სწვდებოდა და არც ცდილა ჩაწვდომას.

„ასეა დაწესებული, რომ სულ ერთმანეთს უნდა ედავონ", — ფიქრობდა იგი.

ბაქარსა და გიორგი მეფისწულს, კვეტარის შემოალყებულთ ბოროტ ხალხად იხსენიებდა, რაკი ერთიც და მეორეც კვეტარის გაქრობას ეპირებოდნენ.

დღევანდელმა დილამ თვალი აუხილა დედისას, თუ რატომ არ ჰსურდა ბაქარსა და მეფისწულს, რომ კვეტარსაც ეარსებნა ქვეყანაზე. დღევანდელმა დილამ ბევრი რამ მოასმენინა ქალს ცალქალამანიძეებზე. ცალქალამანიძიანთ რძალი იდგა გათანგული.

„ნეტავი რამ აამეტყველა ეს ტყვე ქალი სასანიანი! — ეკითხებოდა თავის თავს დედისა. — წელან რომ სდუმდა! მხოლოდ ისე იცქირებოდა, რომ მთავარანგელოზი გეგონებოდა: თვალით მიყრიდა მუქარის სხივებს!.. ჰო! სალომეც მეუბნებოდა აუგს თავის ძმისწულებზე... არა, სალომეს არ სძულებია ძმისწულნი, თუმცა შვილისაგან მაინც კარგი არასდროს მოუსმენია... ნეტავი რამ აამეტყველა სასანიანთა მოდგმის ასული“.

მირანდუხტი მიდუმდა, ტახტზე წამოჯდა. წამომჯდარმა გულთ ხელნი დაიკრიბა, თავი ჩაღუნა და გონების თვალი გადაავლო მისთვის ავად დამთავრებულ მთელ განვლილ კვირას. ამ კვირით გათავდებოდა კი მის თავზე დატეხილი ამბავი? ბოროტი ხელი ჩაერია მისი ცხოვრების დენაში, მამის ოჯახის ცხოვრების დენაში, თავს ქვეყანას სწირავდა და სად მოხვდა? მეკობრეთა ბუნაგში. მერმე?

„მერმე და ვერაგობას ვერაგობით უნდა უპასუხოს! — წასჩურჩულა ყურში სასანიანის ასულს საიდუმლო ხმამ. — ბაგრატმა, ამ ბაგრატის პაპამ ვერაგულად მოწყვიტა თავისი გვარისანი მთლიანი საქართველოს შექმნისათვის და შექმნა კიდეც. მერმე და ვერაგობა კი იქნება, რომ რაიმე ხერხით დაიცვას ადამიანმა თავი და დაიცვას რწმენა? ვერაგობა კი იქნება, რომ ხერხით მოსპოს ადამიანმა უდანაშაულოთა მომსპობნი?.. ჩანს, თემესტია ამ გზას მიქადდა: სხვა გზით უნდა იაროო. სამჯერა ვნახე სიზმარში და სამჯერვე ერთი და იგივე გამიმეორა. ამ მეკობრეთა ბუნაგში რა უნდა გავაკეთო, რომ ჩვენს ქვეყანას ეშველოს?.. მოვაკლდი მამას, მოვაკლდი ძმას, ძმის ოჯახს. — ქალს გურსიმ გაურბინა თვალწინ. — ნეტავი ეს ახლადაღმოჩენილი სასანიანთა ნატამალი რაღას ჩადის?.. ძმაში, ბაქარში, ველარ ვარჩევ... მამაჩემი... არც მამაჩემმა მომთხოვა ძლიერად, რომ ბაქარს ავდევნებოდე, მეც გავკერპდი, არსად გული არ მიმიწევდა. ვფიქრობდი ქართველთა ტომთა ხსნას და მეკობრეთა ბუ-

ნაგში მოეხვედი. კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. მერმე ღმერთი, როცა კაცი ბჭობდა, უნდა იცინოდეს? ხომ ღმერთმა უნდა მისცეს გზა კაცთა ბჭობას...“

დედისამ, თავდახრილი და გულს ხელდაკრეფილი ადამიანი რომ დაინახა, ვერ მოითმინა, შიში დასძლია, მისკენ წამოვიდა მსუბუქი ნაბიჯით.

სასანიანის ასულს ფიქრთა დენა შეუწყდა. ვიღაცამ ხელი შეახო. ქალმა თავი აიღო და დაინახა თავის წინ მდგომარე ღუღუნით სიტყვის გამომთქმელი ქალი.

— ვინა ხარ, ქალო, რომ მე ტყვედქმნილს თავს არ მანებებ? — შეეკითხა სასანიანის ასული.

— აეთი ცალქალამანიძის მეუღლე! — გაისმა სევდიანი კილოთი.

სასანიანის ასულს სულ სხვა იერის ღუღუნი შეესმა ყურში, ახლა კი ღუღუნი სინანულისა, სასანიანის ასულს ადამიანური სიკეთის სხივი ჩაესვენა გულში. აეთი ცალქალამანიძის მეუღლეო, დანაშაულის აღიარების იერით იყო თქმული.

სასანიანის ასული მიხვდა, რომ ღუღუნით მოლაპარაკე ქალს ახლა უარყოფით მოვლენად აეთვისებინა მეკობრის მეუღლეობა.

დედისამ კიდევ დასძლია გაუბედაობა და შესთხოვა, ცოტა რამ სჭამეო.

— მე ვჭამე კიდეც საკმარისი! განუცხადა სასანიანის ასულმა ცალქალამანიძიანთ რძალს.

— ხელიც არ გიხლია ჩემი მოტანილისათვის და რას შესჭამდი? — წამსვე მიაყოლა დედისამ ქალის ნათქვამს და გაიფიქრა: „დატყვევებამ თუ გონება დაუბნია... მაგრამ გონებადაბნეული ისე მეტყოდა იმას, როგორც მაგან გადამიშალა? არა.“

— მე ვჭამე სირცხვილი! — განუმარტა მირანდუხტმა დედისას და ისიც დარწმუნდა, რომ სასანიანის ასულს გონება კი არ დაბნეოდა, თავის დარდი ალაპარაკებდა.

დედისამ თავი არ დაანება ქალს და წელან ამოტანილი ქადა შესთავაზა.

— მე გამოვაცხე ამ დილით შენთვის, იადხმობილო! მიირთვი.

დედისამ იადხმობილს წინ დაუდგა შეთავაზებული.

ზედა სართულში ამომავალ კიბეზე ფეხის ხმა გაისმა და მალე კარს ვინმე ახალგაზრდამ გადმოაბიჯა. სასანიანის ასულმა თავი მაღლა

აიღო და შემოსულს თვალი მიაპყრო: ნაცნობი სახე დაინახა. ნაცნობს ხელში ლანგრით წყალი ეჭირა.

— დედისავ! აეთი გიხმობს ქვედა დარბაზში, — მიმართა მოსულმა ცალქალამანიძიანთ რძალს. — ეს წყალი კი ტყვე ქალისათვის გამომატანა: დაავიწყდათ, არ აუტანიათო.

დედისა წამსვე კიბეს ჩაუყვა.

მირანდუხტი და ის ახალგაზრდა პირისპირ დარჩნენ.

ახალგაზრდამ თაყვანი სცა. მუხლებზე დაეცა.

— ოო! ჩემო მკურნალო მირანდუხტ სასანიანო! ხომ მიცანი? — შეღაღადა მან.

— ძალიან კარგად! — უპასუხა მირანდუხტმა. — შლეგიანის რაზმელი, დაჭრილი ჩვენ პალატში იწექი. თომა. სხვებიც იყვნენ შენთან. მერმე ამ ბუნაგს რაღას დაუბრუნდი?

— დავბრუნდი, სათაყვანებელო, მხოლოდ დროებით. ისენიც დაბრუნდნენ და მხოლოდ დროებით, სახლეულობა უნდა გავაცალოთ ამ წყეულ ადგილს. სახლეულობას გავაცლით, მაგრამ ჩვენ დავრჩებით, სანამ მირანდუხტი აქ იქნება. სამნი არიან აქ კიდევ შენი მორჩილნი. სანამ აქ ხართ, თავს არ დაგანებებთ, აზნაურნი ვართ!

ახალგაზრდა ფეხზე წამოდგა.

— ძალა არ უნდა დაკარგო, მირანდუხტ! საჭმელი უნდა მიიღო, — დასძინა თავის წინა სიტყვებს თომამ და დარბაზის კარს მიმართა.

„მაშ მყვანან მეგობრები აქა? — გაიელო გულში მირანდუხტმა. — ვინ იცის, თემესტიასაგან მითითებული ჩემი გზა უნდა განვაგრძო".

ქალს გულში იმედი ჩაესახა.

დედისა უკან დაბრუნდა.

— ქვეით ჩამოსულმა მითხრა ახლა, ხელი არაფრისათვის უხლიაო, — უთხრა მან მირანდუხტს. — ქალო იადხმობილო, არ შეიძლება ეგრე! — ხმას დაუდაბლა: — თუ ჯანი არ გექნება, აქედან თავის დაღწევას ვერ მოახერხებ.

მირანდუხტი დედისას უკანასკნელ სიტყვებზე მიხვდა, რომ დედისაც მისი თანამგრძნობელი იყო.

— იქნებ ჯერ ცოტა წყალი შესვა? — შეეკითხა დედისა და წყალი მიაწოდა.

— ახლა ქადას შეექეც, — უთხრა წათამამებულმა.

დედისას ღუღუნა ხმა მირანდუხტს სულს უმშვიდებდა. გონებას უფრო მახვილად უმოქმედებდა. სანაცვლოდ მირანდუხტის ჩანგისებრი ბგერების ხმა დედისას ჰხიბლავდა და მირანდუხტს ამონებდა. მირანდუხტს უნდოდა ქადაც ჩამოერთმია დედისასათვის და შეჩერდა. კიბიდან ფეხის ხმა შემოიჭრა დარბაზში. წუთმა გაირბინა და კარის ზღურბლზე აეთიმ გადმოდგა მოწიწებით ფეხი.

— ჩემი მეუღლეა! — ამცნო მირანდუხტს დედისამ.

მირანდუხტმა მრისხანებით სავსე თვალები მიაპყრო ცალქალამანიძეს. თითქოს ზღურბლს მილურსმნილმა აეთიმ წინ ფეხი ვეღარ გადმოდგა. თავს ძალა დაატანა, კიბისაკენ ქნა პირი და მიიმალა.

— დღევანდელი დილის აქეთ სულგაყრილი დაიარება ჩემზე, — დაიჩივლა დედისამ.

— მაგისთანა მეუღლე არც გინდა! — მკაცრად უთხრა მირანდუხტმა. — ან როგორ გამოჰყევ მაგ მეკობრეს, მეკობრის ჩამომავალს?

— ღარიბი აზნაურიშვილი, ცამეტი-თოთხმეტი წლისა, წამომიყვანეს დიდგვარიანთა. ასეთ ხალხს უარს ვინ ეტყოდა? — უპასუხა დედისამ. — ჩემი დიდ-მამა სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. მომიყვანეს კვეტარში. მეც მეგონა, ღმერთი მწყალობს-მეთქი. აქ მაზლის ცოლი, იაზონის ცოლი პირიმზე და ძმათა ცალქალამანიძეების მამიდა სალომე დამხვდნენ. მამიდამ სიბრალულით გადმომხედა. პირიმზემ პირდაპირ მომახალა, შე უბედურო, ამ მეკობრეებში რას მოდიოდიო. იაზონს ძალიან უყვარდა პირიმზე, პირიმზეს კი ქმარი სძულდა, მაზლებიც სძულდა, ძალზე სძულდა. მე გაოცებას ვიყავი. ვფიქრობდი, ნეტა რას ემდურის ეს ქალი ან ქმარსა ან მაზლებს-მეთქი. რა ვიცოდი მე საცოდავმა? კვეტარში მეკობრობას მე ვერ ვხედავდი.

— პირიმზე რომ მეკობრულად წამოიყვანეს, ეს არ იცოდი? — ჰკითხა მირანდუხტმა.

— მოტაცებულიაო, მითხრეს პირიმზეზე, მაგრამ მოტაცება ჩვენში ხომ მიღებულია, — წამოიღუღუნა დედისამ.

— ძალიან უხაროდა პირიმზეს თავისი მოტაცება? — დაუსვა დედისას კითხვა. — ის ხომ ვეჟან ქველიძის დაი იყო? — მოჰყვა კითხვას განმარტება.

— სძულდა პირიმზეს ქმარი, სძულდა მაზლები! — გაიმეორა კითხვაზე დედისამ წელან თქმული და ყრუდ განაგრძო: — მაზლები ვერას უბედავდნენ პირიმზეს. ქმარი იაზონი ზედ აკვდებოდა. მეც იშვიათად მეპყრობიან ქმარიც, მაზლებიც. აეთის ჩემთვის ერთი მაღალი სიტყვა არ უთქვამს. აგერ, ბადურს, ტყუპებს, გუდანსა და გუბაზსაც ჰყავთ ცოლები დაუდევარნი, მაგრამ ქმართაგან და მაზლთაგან პატივცემულნი, დღეიდან კი რძალთ მოაკლდებათ პატივისცემა. მოაკლდათ კიდეც, — დაამთავრა სევდიანი ღუღუნით სიტყვა.

დუმილი გაუფლდა დარბაზში. მირანდუხტი ფიქრობდა ქალის უმწეობაზე კვეტარში. დედისა ფიქრობდა, თუ როგორ გაუგულგრილდა მეუღლე იადხმობილის დღის სინათლეზე ნახვით და თან მირანდუხტზე აჩერებდა თვალსა და გული ეხიბლებოდა. გრძნობდა, რომ სასანიანთა ასულს დაემონებინა.

— მე გამიგულგრილდა მეუღლე, მაგრამ ვაპატიებ! — წამოილაპარაკა ქალმა და მირანდუხტს მიმართა: — აპატიე შენც, რომ შენს მოტაცებაში ურევია ხელი. ხომ ხედავ, როგორ ძრწოლით გეპყრობა.

— მოტაცება რა გგონია შენ? — შეეკითხა მირანდუხტი დედისას და წინა შეკითხვას მეორე შეკითხვა მოჰყვა. — იქნებ გგონია,. რომ წამოაელებენ ქალს ხელს, წამოიყვანენ და ამითი თაედება? ჰა, მომიტაცეს! მერმე ადვილად შეასრულეს?.. საუკეთესო შინაყმანი ამომიხოცეს. მათ ამოხოცვას ასეული თურქი დასჭირდა. ჯანი გავარდეს ჩვენი მტრის შვილებს!.. ჩემი შინაყმანი, საუკეთესო მებრძოლნი ჩვენი ქვეყნის გამართვისათვის, ამომიხოცეს! გიმეორებ, სისხლით შეღებეს ეს ჩემ თაეს დატეხილი მოტაცება. რომელი ქალის გატაცება არ შეღებილა სისხლით? ვინ იცის, რამდენი შვილი ჩვენი ქვეყნისა შესწირვია ამ გატაცებას... აპატიეო! — განაგრძო სასანიანის ასულმა. — რომ კიდეეაც მე ვაპატიო, ჩვენი ქვეყანა აპატიებს, ჩვენი ქვეყანა, რომელსაც ჩემი დატყვეებით აუცილებელი აკლება ელის უცხო მტრისაგან? — ეს ისეთი რწმენით იყო გამოხატული, რომ დედისას ჟრჟოლამ დაურბინა ტანში.

— ქართველთ ტომთა სისხლის ღვრა არაეისაც არ უნდა შერჩეს! — განუცხადა მტკიცედ იამ. — არ შერჩებათ: არც გარეულს, არც შინაურს. მე ვიყავი ტარიგი, ქართველთა ტომთა სანაცვლო. ცალქალამანიძენი გადაელობნენ ამ გზით ჩემ სელას. არ შერჩებათ ეს არც იაზონს, არც ძმათა მისთა...

ალფარსლანის ბანაკში მყოფ იაზონს კი სული კბილით ეჭირა და მოუთმენლად ელოდა ამბავს კვეტარიდან. გონებას კარგად ამუშავებდა ბნელ საქმეთა გამოსანასკვად და შესასრულებლად, თავისი წადილის დასაკმაყოფილებლად. ახლაც, მოლოდინში მყოფმა, ახალი რამ შესთხზა ბრალდებისაგან თავის დასაძვრენად. გულში მალავდა ამ შეთხზულს და არავის უმხელდა. იტყოდა იქ, სადაც აუცილებელი იქნებოდა. შესთხზა კი ეს ახალი იაზონმა, მაგრამ მთავარი გადადგმული ნაბიჯის შედეგისა ჯერ არაფერი იცოდა. ეცოდინებოდა მხოლოდ საღამოს. კარგად დამთავრებოდა თუ ავად მისი დაწყებული საქმე, საღამოს უსათუოდ გაიგებდა ამბავს და ეჭვიც არ ეპარებოდა ამაში, მაგრამ სული და გული არ ასვენებდა, დღის მსწრაფლ დალევას ესწრაფოდა. ერთ ადგილზე ვეღარ დგებოდა. ხუმრობა ხომ არ იყო? უამრავი განძი ჩაუყარა ფადლონს ხელში და მოხალისე თურქებს, ალფარსლანის ჩუმად ბნელი საქმეების გამომკიდებელით. იქ, კვეტარში, ძმებს შეუთვალა, თვალი ადევნეთ იადხმობილს, სალოცავებში რომ დაიარებაო, ერთი მათგანი — აეთი თავისთან გამოიხმო და ფადლონელ რაზმელებისა და ალფარსლანის მალულად ბნელ საქმეთა ჩამდენ თურქთა ხელმძღვანელობა დაავალა. ფერისის, ონოფრესა და მათი რაზმის იარაღისაგან გადარჩენილი ფადლონისანი და თურქნი დაბრუნდნენ კიდეც ბანაკში. იაზონმა იცოდა კიდეც ფერისის, ონოფრესა და მათი ბედი, მირანდუხტისა კი ჯერ არაფერი.

საღამოს მოაწია და ალფარსლანის ბანაკში ცხენგაოფლიანებული მხედარიც მოვიდა. მხედარმა იაზონის კარავს მიაშურა. იაზონი კარვის შესასვლელში დახვდა. მოსული კარავში შეჰყვა იაზონს. მალე იაზონი შუბლგახსნილი გამოვიდა კარვიდან. ბრძანება გასცა ცალქალამანიძემ, ამაღამ ჰუნეს კარგად მიჭმიეთო. მოისურვა დილით კვეტარში წასვლა. გული ვეღარ უთმენდა არგოელის ჩამომავალს. ღამით მოსვენებას არ აძლევდნენ ფერად-ფერადი ფიქრები. იაზონ ცალქალამანიძეს ეგონა, მირანდუხტ სასანიანი ისევე დაჰყვებოდა მის ნებას, როგორც პირიმზე ქცელიძე. ავიწყდებოდა ქალის ყველაფრის დამმონავებელი, ყველაფრის მომდრეკი სულიერი ძალა და გული მიუწევდა კვეტარისაკენ. ცალქალამანიძე მოუთმენლად ელოდა დილას. გათენდა და შეჯავშნული იაზონი გარეთ გამოვიდა. ალფარსლანს უნდა სწვეოდა. ყმადნაფიცს კვეტარში წასვლის ნებართვა უნდა გამოეთხოვა თავისი ახალი პატრონისათვის.

კარგა ხანს აცდევინა სულთანმა თავის კარაღთან. აღსართანს თავის პირდაპირ, თუ ყოფილ პატრონს ასე არასდროს არ მოუთმენდა ცალქალამანიძე. კარავში თვითონ შეეჭრებოდა. აღმოსავლეთის დიდი ბრძანების მოპყრობას კი ინელებდა არგოელის ჩამომაყალი. მცირე ხნის მოვლენად მიიჩნევდა მის აქ ყოფნას.

გუნებაგაცუდებული შევიდა ალფარსლანის კარავში.

— იაზონ ცალქალამანიძე რას იტყვის? — იკითხა მოენის ჩაბმით სულთანმა. სულთანის კილო უგულობის იერს გამოსცემდა. კარგა ხანია ალფარსლანს აღარ ეპრიანებოდა ქართველი დიდგვარიანი მეკობრე. იაზონი ამას ხედავდა და მაინც ითმენდა, გაყარყარებულ კოცონს გრძნობდა გულში და მაინც ითმენდა. გულგასიებულს პირიდან სიტყვა ვერ ამოეშვა. კრიჭა შეჰკროდა. სათხოვარის თქმა ეძნელებოდა.

— რას დადუმებულხარ, ცალქალამანიძ[illegible]? — ჰკითხა მოენემ იაზონს. — მითხარი შენი სურვილი, მოვახსენო აღმოსავლეთის დიდ მბრძანებელს.

მაგრამ იაზონ ცალქალამანიძეს სიტყვის თქმა აღარ დასცალდა. ალფარსლანს მოახსენეს ნინოწმიდელის მოსვლა ბანაკში. იაზონი შეკრთა. მიხვდა, თუ რისთვისაც მოვიდოდა ალფარსლან იან სასანიანთა ჩამომაყალი, მაგრამ კარვიდან გარეთ მაინც არ გასულა. არც ალფარსლანმა ბრძანა გასცლოდა კარავს ცალქალამანიძე. ალფარსლანის გულისყურს მღვდელმთავრის მოსვლაზე გადაენაცვლა. მისმა გონებამ წამსვე განსჭვრიტა, რომ მღვდელმთავრის მოსვლა დიდზე დიდ ამბავს მოასწავებდა. არ მოელოდა ჯერ ძველთა მეფეთა ნათესავს სასანიანს, თავის სასიმამროს. ბრძანა დაუყოვნებლივ შემოეყვანათ კარავში ნინოწმიდელი. იაზონი კარვის დაბინდულ ადგილას მოექცა და მიიმალა.

კარავში შემოვიდა ორი შეჯაშნული იარაღასხმული ადამიანი, პირზარადახდილი: ჭაღარა, კუნთებნაკეთი, ტანგაწყობილი... და ახალგაზრდა, ისეც ჭაღარასებრ კუნთებნაკეთი და ტანადი. ეს ორნი ერთმანეთს ერჩევოდნენ მხოლოდ ერთი — ჭაღარით, მეორე — ჭაღარის უქონლობით. ამ ორს ამალად მოჰყვა ორი ახალგაზრდა ბუმბერაზი. იაზონმა იცნო ჭაღარა. გაიხსენა ეს, ახლა ჭაღარა, მაშინ თერთმეტნახევარი წლის წინათ, უჭაღარო, ივრის პირას ხუთი კაციით გრიგალისებრ რომ შემოვარდა მის მეკობრულსა და ბერა ვაჩეს რაზმთა შორის ჩართულ ბრძოლაში. პირი იბრუნა ხომ არგოელის ჩამომაყალმა თავის რაზმითურთ მაშინ. ახლა იაზონმა უჭაღაროს მიაპყრო თვალი.

„აი ვის ჰგავდა მაშინ რეეყოფილი! – გაიელო გულში არგოელის ჩამომავალმა. – ნეტა ვინ არის ეს ახალგაზრდა? ზედგამოჭრილი რეეყოფილია. თუ ბაქარია? არა ბაქარს რა მოიყვანდა ალფარსლანთან? ხომ ბაგრატსა სდევს? ამ ახალგაზრდას სასანიანთა სიამაყის იერი დასცემს“.

იაზონმა თვალი შეავლო ამაყად მომზირალის აბჯარს და წამსვე იცნო აბჯარიცა და თვით მხედარიც. ეს ხომ ის ვაჭარი იყო, ამას წინათ აბჯარი რომ მოუტანა და შესთავაზა, იყიდეო.

თუ იაზონმა გაარკვია ორი მხედრის ვინაობა, ალფარსლანი არ გარკვეულა. მღვდელმთავარს ელოდა და მღვდელმთავრის ნაცვლად დაინახა კარავში შემოსული ორი მხედარი, შეჯავშნული, შეჭურვილი, ერთი მეორის მსგავსნი აღნაგობით, ორი ბუმბერაზი თანმხლებითურთ. აღმოსავლეთის დიდ მბრძანებელს მოეჩვენა, მაცრუებენო და რისხვამ შეუპყრო ჰთელი არსება. სწადდა დაესაჯა ჯერ კარისკაცი ამ მხედრების შემოყვანისათვის და მერმე თვით მხედარნი თანმხლებითურთ. მაგრამ ბრძანება ვერ მოასწრო. წინ ფეხი წამოდგა ჭაღარით მოსილმა შეჯავშნულმა და რამდენიმე ხანს გაუფლებული მდუმარება დაარღვია.

– ნინოწმიდელი სალამს გიძღვნის, აღმოსავლეთის დიდო მბრძანებელო, – მიმართა ჭაღარა მხედარმა ალფარსლანს და მუზარადი მოიხადა. ჭაღარა კულულები შემოებნია მხრებზე.

ალფარსლანს სახეზე მრისხანება დიდ გაოცებად შეეცვალა.

– მღვდელმთავარი ქრისტიანთა და შეჯავშნული! – აღმოხდა პირიდან.

– დიახ, შეჯავშნული! – წარმოთქვა საყვედურის იერით რეეყოფილმა. – ვიცი შეჯავშნული, შენი ბრძანება რარად არის გადაქცეული მეკობრეებისაგან აღმოსავლეთის დიდი მბრძანებლის საფარველ ქვეშ მოქცეულ მხარეში, საცა დიდი სულთანის თანამეცხედრედ გაწესებულს პირსაც არ ინდობენ სულთანისავე ყბადნაფიცად გამცხადებულნი.

ალფარსლანი ზეზე წამოდგა. მისი თვალების შაგბაიანმა ყვითელნარევმა ფერმა კაკლებმა იწყეს ბრიალი მეტისმეტი სიშმაგისაგან, მაგრამ ნინოწმიდელს წარბიც არ შეჰხრია.

– დიახ! ეს ასეა! – განაგრძო რეეყოფილმა. – ჩემს ასულს, შენ თანამეცხედრედ გაწესებულს, მამა-პაპათა სალოცავებს მოსალოცად წასულს და ამის ასრულების უკან თავის რაზმითურთ შინისაკენ გამომგზავრე-

ბულს თავს დასხმიან ფადლონისანი და კიდევ თურქნი შენი ბანაკისანი. მე და ჩემი ძმა, ახლა ჩემ გვერდით მდგომი, ბოჭორმის ციხის გასწვრივ, ივრის ხეობის ვიწროებში წავაწყდით ჩემი ასულის რაზმელებს, ჩემს ორ შეუდარებელსა და სხვა ორ შინაყმას დაჰოცილთ, მათ გარს კიდევ მრავლად დაჰოცილთაენ ფადლონელთა დ.. თურქთ მრავალსა, დაჭრილ გულწასულ ჭაბუკს, ჩემი შინაყმის შვილს. ჩემი ძმაა ამისი მოწმე, – ნინოწმიდელმა გვერდით მდგომ ახალგაზრდა მხედარზე მიუთითა.

„ძაშ ეს ნამდვილად ძმა ყოფილა», – თქვა გულში კარვის დაბინდულ ადგილას თავშეფარებულმა იაზონმა, რომელსაც მის გვერდით მდგომი არაბულის მცოდნე მოენე დაბალი ხმით ეუბნებოდა ქართულით ნინოწმიდელისაგან არაბულად ნათქვამ ყველაფერს. – მაშ ესეც ზედმეტი ჩემი მტერი, ვნახოთ, რას გახდებით ჩემთან, მეიობრესთან?

– ასული ჩემი კი არსადა ჩანს, – განაგრძო ნინოწმიდელმა თავისი, – ვძებნეთ მე და ჩემმა ძმამ და ჩემმა მხლებლებმა და ვერსადა ვნახეთ. მრავალ ჰუნეთა კვალმა დაგვანახა, რომ ფადლონელთა და თურქთა დიდ რაზმს გადმოულახავთ ულელტეხილი შიდა კასპიისა ვერენის ახლოს. ნათლად ჩანს ეს, აქედან არიან წამოსულნი, დარაზმულნი ვინმეს დავალებით. მე მორჩილება გამოგიცხადე, და გმორჩილებ კიდევ და, როგორც მორჩილი, მოგახსენებ, შენ მოხარკედა გადავაქციე ჩემი სამწყსოც. მე შენ მორჩილს ზარალი მაქვს მიყენებული სულიერი, ჩემი სამარეში ჩამდები და ქონებრივი ვაჟი ჩემი ბაგრატს გაჰყვა, მე შენ წინ თავი მოვიხარე, მოვიხარე სრული შეგნებით, ჩემი სამწყსოს საკეთილდღეოდ და ამის სანაცვლოდ, მე ხანში შესულს, ვაჟს დაშორებულს და, იქნებ ჩემთვის სამუდამოდ დაკარგულს, საზღაურად მომენიჭა ასულის დაკარგვა და საუკეთესო შინაყმათა ამოჟლეტა.

ნინოწმიდელი ჩიოდა, ალფარსლანი ისმენდა შეშფოთებული.

– ქავურდს მიხმეთ! – წამოიძახა განრისხებულმა ალფარსლანმა. – მომიხმეთ ხუთნი დიდგვარიანნი, ქავურდს რომ ახლდნენ უჯარმაში.

ალფარსლანს გაახსენდა ქავურდისა და მისი ხუთი თანმხლებლის დაღონებული სახეები და ძლიერი ეჭვი აღეძრა მათზე. მაგრამ გურსიმ სულთნის ეჭვები სულ სხვა გზაზე გადაანაცვლა.

– დიდო მბრძანებელო აღმოსავლეთისა! – ძიმართა არმაზელ-სასანიანმა ალფარსლანს თურქულით. – რატომ ქავურდი და მისნი

თანმხლებელნი დიდგვარიანნი? აქ შენს ბანაკში ცალქალამანიძეთა გვარისაც არის, კვეტარის მფლობელი იაზონი, არამც თუ ბანაკში, ახლაც აქ არის, შენ კარავში.

გურსის შემოსვლისას დაენახა იაზონი.

— იაზონ ცალქალამანიძე! — დაიძახა შუბლშეჭმუხვნილმა ალფარსლანმა, წამსვე თავისი ეჭვები არგოელის ჩამომავალზე გადიტანა და იაზონიც წარსდგა ალფარსლანის წინ მდუმარე.

— ალბათ გაიგონებდი ბრალდებას? — შეეკითხა წინწამომდგარს ალფარსლანი.

მოენემ გადაუთარგმნა სულთანის სიტყვები.

— გაიგონე ჩემი სახელი და გვარი წარმოთქმული ვინმე უგვარო მხედრისაგან, — წარმოთქვა იაზონმა, — დანარჩენ მაგის სიტყვებს, თურქულით ნათქვამს, ჩემგნით გაგონილს, რას გავიგებდი, თურქული არ ვიცი.

მოენემ ალფარსლანის ბრძანებით იაზონს აცნობა, რაც თქვა გურსიმ.

— ახლა ხომ იცი ეს ბრალდება? — ჰკითხა იაზონს ალფარსლანმა და თან დასძინა. — რა პასუხს მაძლევ? შენ მთხოვდი თანამეცხედრედ სასანიანის ასულს.

— დიახ! მე გთხოვდი, აღმოსავლეთის დიდო მბრძანებელო! — უპასუხა იაზონმა. — მაგრამ მის შემდეგ, როცა შენ განიზრახე სასანიანის ასულის თანამეცხედრედ მოყვანა, მე რა მეტოქეობას გაგიწევდი? ბედს დავმორჩილდი.

— არგოელის ჩამომავალნი არვის ემორჩილებიან საქმით, — მოახსენა არაბულით სულთანს რევყოფილმა.

— ასე ამბობენ, არგოელის ჩამომავალნი საქმით არავის ემორჩილებიანო, — თქვა სულთანმა და მოენემ სულთანის ნათქვამი იაზონს გადასცა ქართულით.

— თუ არავის ვემორჩილებით, რატომ დავმორჩილდით აღმოსავლეთის დიდ მბრძანებელს? — უპასუხა იაზონმა. — უკან დავდევ მის ბანაკს, არ ვშორდები. სასანიანნი ჩემი მტერნი არიან და ჩემზე მოაქვთ იერიში. მერმე დიდ მბრძანებელს უნდა მოვახსენოთ, რომ მირანდუხტ სასანიანის თანამეცხედრეობის მოსურნე თვით ბაგრატის მეფისწული გიორგიც იყო.

— გიორგი მეფისწული თავის მამას გაჰყვა ქართლში და უკან აღარ მოუხედნია, — განუცხადა ალფარსლანს რევყოფილმა.

— გიორგი მეფისწულს სად შეეძლო წაექეზებინა ფადლონისანი და უწესო მოთარეშე თურქნი? — დასძინა გურსიმ ძმის სიტყვებს.

— ფადლონისანი მარტო დიდი სულთანის ბანაკში არ არიან, — წამოიძახა მოთმინებადაკარგულმა იაზონმა. — გარე კახეთში მათი ბევრი მომხრე დაძრწის! მათი მოგროვება და მათი თაოსნობით უწესო მოთარეშე თურქების ჩაბმა ქალის გატაცებაში მეფისწულის კაცებსაც შეეძლოთ.

ცალქალამანიძის ასეთმა ამბებმა ალფარსლანს ადვილად გადაატანინა ეჭვი მეფისწულზე. მთავარი გამოეპარა დიდ სულთანს: ბაგრატი ლაშქრიანად და მეფისწულიანად გაიქცა ქართლში და მისიანებს უკან აღარ მოუხედნიათ. რევყოფილს გარდა აღარავინ იყო გარე კახეთში, რევყოფილმა ხარკიც გადიხადა თავისი სამწყსოს აოხრებისაგან გადასარჩენად და მორჩილებაც გამოუცხადა აღმოსავლეთის დიდ მბრძანებელს. ციხოვანნი ბაგრატისანი, ზოგიერთ ციხეში დარჩენილნი გარე კახეთს, შიშით ციხიდან არ გამოდიოდნენ და ამ მხარეს თუ მოქმედებას გაშლიდნენ ვინმენი, ისევ იაზონისთანა მეკობრე დიდგვარიანნი, ერთ დროს აღსართანის დიდი ერთგულნი, გარეგნულად ახლა თვით ალფარსლანის მონა-მორჩილნი. გამოეპარა ალფარსლანს ყველა ეს. მეკობრე დიდგვარიანნი მორჩილებით ეგებებოდნენ აღმოსავლეთის დიდ მბრძანებელს. ბაგრატი კი არ ნებდებოდა და ურჩ მეფეს სწორედ შეეძლო ალფარსლანის გასაბრაზებლად მისთვის უსიამოვნო ნაბიჯიც გადაედგა. ალფარსლანს ავიწყდებოდა თავის მორჩილ მეკობრეთა ქვედაბუნობა და როგორც მეფის უმწეობა მის წინააღმდეგ რაიმე საქმის მოწყობაში: გიორგი მეფისწულზე გადატანილი ეჭვი სულთნის გულში სინამდვილის სხეულით შეიმოსა. ალფარსლანმა გაიხსენა, რომ ოთხი-ექვსი დღის წინათ მოციქულნი აწვია ბაგრატს, მოსთხოვა მორჩილება და ხარკი. სანაცვლოდ ჰპირდებოდა აჯხაზთა და ქართველთა მეფეს მის სამფლობელოს დაუზიანებლობას. ეს მოთხოვნა ყურად არ იღო მეფე ბაგრატმა და ახლა სასანიანის ასულის გატაცება ბაგრატის ხელქმნილად ჩაუსახა სულთნის გონების საკანში.

— ჩანს, ეს ბაგრატის პასუხია პირდაპირი ჩემ მოთხოვნაზე? — წამოიძახა აღმოსავლეთის დიდმა მბრძანებელმა. — არ ვახვირებ მის სამფლობელოს! მიწასთან გავასწორებ!

იაზონმა გაიხარა ნინოწმიდელის დაწყებული საქმის ამგვარი დაბოლოებით. იმედი დაებადა, რომ ალფარსლანი ნინოწმიდელს და მის ახ-

ლადაღმოჩენილ ძმას სიცოცხლეს გამოასალმებდა და გაანთავისუფლებდა საშიშ მტრისაგან. მაგრამ მოსტყუედა. ალფარსლანს მღვდელმთავრისათვის არავითარი ბრალი არ დაუდვია.

– შენ მთხოვ დასჯას შენი ასულის გამტაცებლისას, – მიმართა ალფარსლანმა რევყოფილს, – და დაისჯი. დაისჯი შენი ასულის გამტაცებელსაც და ჩემ ურჩებსაც.

ნინოწმიდელმა საქმე წააგო. საბაბი ქვეყნის აოხრებისა მუდამ სჭირდება ქვეყნის ამაოხრებელ შემომსეველს და ეს საბაბი ნაჩა კიდეც შემომსეველმა. მეკობრე, ნინოწმიდელის მოწინააღმდეგე, გამარჯვებული დარჩა.

თავზარდაცემულნი გავიდნენ ნინოწმიდელი და მისი ძმა ბანაკიდან. ქართლი მათი ჩივილის მსხვერპლი გამოდიოდა. დაკარგული ასულის კვალის გამოძებნა ეწადა ნინოწმიდელს და ბაგრატს ქვეყნის აკლებით დაემუქრნენ. თუ ერთი მახვილი ასულის დაკარგვამ ჩასცა გულში რევყოფილს, მეორე – ქართველ ტომთა შუაგულის ქვეყნის მომავალმა მიწასთან გასწორებამ. შვილი შეეძლო გაეწირა ქვეყნისათვის, მაგრამ შვილის ძებნამ ქვეყანა გააწირვინა. საიდან რა მოაფიქრებდა ამას ქართველ ტომთა გაერთიანების მოტრფიალეს. რევყოფილისათვის, ძველთა მეფეთა ნათესავისათვის, ეს უჩვეულო მარცხი იყო.

აღმოსავლეთის დიდმა მბრძანებელმა, ალფარსლან სულთანმა მტკიცედ გადაწყვიტა, ქართლში შესევა აღარ გადაედო.

წიგნი მეხუთე

I

ალფარსლანმა აყარა აურაცხელი სპანი, გაიდევნა თან განძის მფლობელი ფადლონი თავისი მეკობრული სპითურთ, სომხეთის მეფე კვირიკე და ტფილელი ამირა საკმარისად რიცხვმრავალი ლაშქრით, გამოიარა უსენებლიე გარე კახეთი, უბრძოლველად დაიჭირა რუსთავი, ბაგრატის ციხოვანთაგან განთავისუფლებული უჯარმისა და ბოჭორმის ციხეები. უჯარმის სიმაგრე დაიწუნა, ბაკი უწოდა, ბოჭორმის ციხე მოიწონა, სცნო აულებელ სიმაგრედ და მისი მიმტოვებელნი ციხოვანნი ლაჩრებად მონათლა. მალე ტფილისიც აიღო და მცხეთას მიმართა. ერწოდან აღსართანი შემოიჭრა არაგვის სანაპიროებში თავისი ერისთავებითა და ლაშქრით. მცხეთა გამაგრებული დახვდა ალფარსლანს და 2 ს კუდებს. ალფარსლანმა თავი ანება მცხეთას და ქართლის სხვა ციხეების შემოალყებასაც. მცხეთაცა და სხვა თავისი სიმაგრენი ქვეყნის დამცველთ იშვიათად ჰქონდათ გამაგრებულნი. სიმაგრეებს გარდა სუსხიანი დეკემბერიც გადაეღობა აღმოსავლეთის დიდ მბრძანებელს, რომელსაც თვით ბიზანტიაც კი თავს არიდებდა, გაურბოდა და, ვითომდა დიდი დამცველი ერთმორწმუნე მცირე ერებისა, ამ ერებს პირში უგდებდა აღმოსავლეთიდან მოვლენილ ალფარსლანისებურ ვეშაპებს.

ალფარსლანი ჰხედავდა, რომ ციე ზამთარში ციხე-სიმაგრეთა აღება სადიღხანო ამბებს წარმოადგენდა და სხვა გზას დაადგა. ალფარსლანს მიბაძეს მისმა კუდებმაც: სომხეთის მეფე კვირიკემ, ტფილელმა ამირამ, ფადლონმა და აღსართანმა. ჯაჭვი შეჰკრეს მტრებმა: „გაუშვეს მარბიელი“ უპატრონოდ დატოვებულ ქართლის სოფლებში, „ცისკრად და სამწუხაროდ აღივსო ყოველი ქართლი თუესა დეკემბერსა ათსა, დღესა სამშაბათსა, ქორონიკონსა ორას ოთხმოცდარვასა“. ექვსი კვირა პარპაშებდა ალფარსლანი თავისი კუდებითურთ საქართველოს გულში, აოხრებინებდა, არბევინებდა ყველაფერს, ახოცინებდა ხელი, მოხუცდრიცლ ხალხს. ალფარსლანი ლიხთიქითაც გადიჭრა, ლიხთიქითაც იქნა გაშვებული მარბიელი. დაარბიეს არგვეთი სურის ციხემდე. ბოროტმა და ვერაგმა ალფარსლანმა დაჩრდილა თავისი წინამორბედი მტარვალნი.

მაგრამ არგვეთში ალფარსლანი დიდხანს ვერ დარჩა. ლაშქარი მისი გაიშალა დიდ მანძილზე და სიმკვრივის ძალას ველარა გრძნობდა. ქართლის ციხეებში გამაგრებული ხალხის შვილნი შეუპოვრად იბრძოდნენ. თავგანწირულ გუნდებად იჭრებოდნენ ციხეებიდან, მოულოდნელი თავდასხმით არ ასვენებდნენ, სისხლს უშრობდნენ და მუსრს ავლებდნენ მტერს და ქართლის აოხრებას არ არჩენდნენ არც თურქთ და არც ფადლონელთ, ტფილელ ამირას, სომეხთა მეფის კვირიკეს სპათა და ქართველთა ტომების მოღალატე აღსართანის ხალხს. ქართლის ციხეთა მცველნი, მრავალი ხორაგეულით დატვირთულნი, უვნებელნი უბრუნდებოდნენ თავიანთ სავანეს. ეს ამბავი მისდიოდა არგვეთში მყოფთ ალფარსლანს და მალე მოუხდა უკან დაბრუნება. ალფარსლანს აფხაზეთს შეხიზნულმა ბაგრატმა მოციქულად გამოუგზავნა იოანე ლიპარიტის ძე: მშვიდობას სთხოვდა მეფე აფხაზთა და ქართველთა აღმოსავლეთის დიდ მბრძანებელს. ალფარსლანმა მალე გააბრუნა უკანვე აფხაზეთს ლიპარიტის ძე დანაბარებით: ბაგრატს ჰპირდებოდა მშვიდობას, მხოლოდ ხარკს სთხოვდა.

ქართლში ალფარსლანი დიდხანს აღარ დარჩენილა. ცალკე ციხე-სიმაგრეებიდან გამოჭრილი გუნდების ელვისებურმა მოქმედებამ შეაფიქრიანა, ცალკე ქართლის მკაცრმა ზამთარმა შეაწუხა. თითქოს ბუნების ძალნიც უმხედრდებოდნენ მტარვალს. ციხე-სიმაგრეთა რაზმები და მკაცრი ზამთარი თითქოს ერთმანეთთან შეთანხმებულად მოქმედებდნენ და ლაშქარს საგრძნობლად უზიანებდნენ დაუნდობელ მტერს.

მტარვალი აიყარა. გავიდა ქართლიდან. უკან გაჰყვნენ კუდებიც. მაგრამ, რაც მტარვალმა დააკლო ქართლს, ის მტარვალის ამყრელმა მკაცრმა ზამთარმა შეუსრულა.ზამთრის ჟამს მოსული დიდი თოვლიანობით გამოწვეულმა გაზაფხულის დიდმა წყალდიდობამ, რაც კი გადაურჩა მტარვალს, ყველაფერი წაულეკა ქართლს. მაგრამ წავიდა მტარვალი და ხალხმა მაინც თავისუფლად ამოისუნთქა. მეფე ბაგრატი ზაფხულის პირს გადმოვიდა აოხრებულ ქვეყანაში სპათა თანხლებით. თავის საყვარელ ზემო დიდგორს დაბინავდა. აქ შეუდგა ქართველთა ტომების გაერთიანების მოწინააღმდეგეთა და მოღალატეთა დასჯის მზადებას. აქედან ამხედრებდა ხალხს გარეწარ მოთარეშეთა, შინაური და გარეული მტრის ნაშთების მიწასთან გასასწორებლად. აქ მიიღო ქართლიდან აყრილი და მტკვრის ქვემოებში დროებით დაბანაკებული ალფარსლანის ცალკე წერილი. აღ-

მოსავლეთის დიდი მბრძანებელი განმეორებით სთხოვდა ბაგრატს ხარკს. მორჩილებას და მშვიდობიანობის ჩამოგდებას ჰპირდებოდა და უთვლიდა უცნაურ რამეს: შენმა შვილმა გაიტაცა ჩემს თანამცხედრედ გაწესებული ნინოწმიდელის მღვდელმთავრის სასანიანის ასული, მირანდუხტი, — სწერდა სულთანი, — და თუ მშვიდობა განდა სრული მოიპოვო ჩემგან, ხარკის გადახდასთან ერთად ის ასულიც უნდა დამიბრუნოო.

ამ ამბავმა ყველა გააოცა. ბაქარ სასანიანს და თვით გიორგი მეფისწულს კი ფერი აცვლევინა.

„ჩემს დას და მამაჩემს რაღაც უბედურება დასტეხიათ თავს! — გაიცლო გულში ბაქარმა. — შენმა შვილმა გაიტაცა ჩემს თანამეცხედრედ გაწესებულიო, იწერება სულთანი. ჩანს, მამაჩემი ხარკს გარდა სულთანს მირანდუხტის თანამეცხედრეობასაც დაჰპირებია. ჩანს, მირანდუხტი გატაცებულია. ვისგან? — ბაქარს ჟრუანტელმა დაურბინა. იაზონ ცალქალამანიძე გაახსენდა. — ეს იმის ჩადენილი საქმე იქნება!“ — შურისძიების სურვილით აევსო გული სასანიანს, მოელვარე თვალები მეფისწულზე შეუჩერდნენ.

სასანიანს ეგონა, ამგვარითვე თვალებით უპასუხებდა გიორგი მეფისწულიც, რომ ისიც შურისძიებით იქნებოდა აღსილი ალფარსანის წერილიდან ამოკითხული ამბის შემდეგ და სულ კი სხვა გამომეტყველებით გამოიყურებოდა. სასანიანმა დაინახა, რომ მეფისწული მთლიანად პირადი წყენის გრძნობას შეეპყრო: თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა სასანიანთაგან ბაგრატიანი, სიამაყეს წარეტაცნა და იმას კი აღარ იხსენებდა, რომ ბაგრატიანთ ღვთის ანაბარა მიატოვეს ქართველთა ქვეყნის უშველებელი ნაკვეთი, გარე კახეთი. ადვილად ჰგმობდა ნინოწმიდელის ნაბიჯს, მღვდელმთავარს გულში ცრუს უწოდებდა.

„მე გამცვალა ალფარსლანზე ნინოწმიდელმა, ქრისტინე მღვდელმთავარმა! — თქვა გუნებაში გიორგიმ, აფხაზთა და ქართველთა ტახტის მემკვიდრემ. — თუ მე უარმყვეს, განა ჩემთვის სულ ერთი არ არის, ალფარსლანს ეყოლება თანამეცხედრედ მირანდუხტი თუ სხვას, გინდ ახლანდელ გამტაცებელს? — მეფისწული გულისთქმას აჰყვა და სრულიად არ იგონებდა მირანდუხტის დამოუკიდებელ ხასიათს, მირანდუხტს დაშორებული ახლა მირანდუხტს სახავდა ჩვეულებრივ ქალად, რომელსაც შეეძლო მშობელს თავისი ნებით გაეთხოვებინა.

მეფისწულმა ახლაც არ იცოდა, რომ მისმა მამა ბაგრატმა ნინოწმიდელს სთხოვა კიდეც ასული მის თანამეცხედრედ, თორემ უფრო შეურაცხყოფილად იგრძნობდა თავს. სამაგიეროდ ბაგრატი გულში ნინოწმიდელს პირადად ღალატს სწამებდა. ვინ დააჯერებდა მეფეს, რომ მირანდუხტი ეწირებოდა მსხვერპლად ქართველთა ტომების აკლებისაგან გადარჩენას, რომ მირანდუხტი ივდითობას ეპირებოდა და ნინოწმიდელი კიდევ თუ ასულს იმეტებდა ალფარსლანისათვის, ამით ცდილობდა სისხლის ღვრის აცილებას.

ბაქარმა მეფესაც მიაპყრო თვალი და მის გამომეტყველებაშიც თანაგრძნობა ვერ ამოიკითხა. გული ეტკინა სასანიანს.

„განა მეფეთა მეფე არ უნდა გრძნობდეს, რომ მამაჩემი თუ მირანდუხტის თანამეცხედრეობას ჰპირდებოდა ალფარსლანს, უეჭველად საქვეყნო საქმისათვის სდგამდა ასეთ ნაბიჯს? საქვეყნო საქმის ერთგულება და მისი მთავარი მესვეურის ერთგულება ხომ მამაჩემისაგან მაქვს ჩანერგილი გულში? მამაჩემმა არ იყო, რომ გარე კახეთის გადარჩენისათვის ნახევარი ქონება გასწირა? თავის ასულზე მზე ამოსდიოდა მამაჩემსა და მაინც, ჩანს, იმეტებდა ქართველთა ტომთა საკეთილღეოდ“, — შვილს ბაქარს მამისაკენ გაებრძოლა გული.

ბაქარი გრძნობდა, რომ ასულის დამკარგველ მამას ვაჟი ახლა გვერდში უნდა ჰყოლოდა.

„მამას ჰყვანან ერთგული შინაყმები: ფერისი, ონოფრე და სხვები, ბერა, მისი მუდმივი თანამგზავრი. — გაიფიქრა ბაქარმა და დასძინა: — ახლა ეს მისთვის ცოტაა. ბიძაჩემი გურსი მხოლოდ გამოჩნდა სასანიანთა ცის კაბადონზე, მაგრამ მალე მიატოვებს ამ კაბადონს. ან იქნებ კიდეც მიატოვა? ხომ მოისურვა არმაზელის სახლში დაბრუნება? ვინ გაამტყუნებს? დედის ანდერძი უნდა აესრულებინა და ადამიანი ამის უარს ვერ ათქმევინებდა. იქ მამაა მარტო, აქ მე ვარ მარტო. მეფის უგულობას ვგრძნობ და მამას უნდა დავუბრუნდე. მასთან ერთად ვიჩიველო ჩემი დის დაკარგვა და მასთან ერთად მოვძებნო დაკარგული. აქ მეფეს აღარ ეჭირდები, უნდა გამიშვას მეფემ“.

ბაქარი სწრაფად მოსცილდა თავის ადგილს და მეფის წინ მუხლებზე დაეცა.

— სათხოვარი მაქვს, მეფეო, და მომისმინე! — წამოიძახა ბაქარმა.

— გისმენ! — უპასუხა მოკლედ და ცივად მეფემ ბაქარს.

— მე, მეფეთ მეფეო! — დაიწყო ბაქარმა, — შენთვის არ მიღალატია სიტყვითაც კი. ეს ჩემი თქმა საყვედურად არ ჩამომართვა. არ მიღალატია და არც გიღალატებ. შენ გიღალატო, ეს იმას ნიშნავს, ვულალატო ჩემს ქვეყანას. ასეთი გამზარდა პაპაჩემმა ვაჩემ და ასეთი გამზარდა მამაჩემმა რევიმ, ძემ არჩილისამ. მტერი მოვიდა და მამაჩემს გულში ღალატი არ გაუცლია. გაბედულად ვამბობ მე მისი შვილი. ცოდვაა ერისა და ღვთის წინაშე, მამაჩემს ვინმემ დასწამოს ღალატი. თუ მტერს მიართვა მამაჩემმა სასანიანთა პირადი უნჯი, მჯერა, რომ ჰსურდა გადაერჩინა ცხენ-სიმაგრით სუსტზე სუსტი გარე კახეთი აკლებისაგან. მჯერა მე, კიდევ თავის ასულს თუ იმეტებდა მამაჩემი ალფარსლანის თანამეცხედრედ, იმეტებდა ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ. მჯერა ისიც, რომ ნაბიჯი გადადგმულია მამაჩემისაგან თვით მირანდუხტის სურვილისამებრ. შენ, შენი მემკვიდრე და ყველანი, შენ რომ მოგდევენ, ხომ ვიბრძვით ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ ისე ჩემი დაი და მამაჩემი ამ მიზნისათვის იბრძოდნენ ისე, როგორც სინდისი მიუთითებდათ. ასულის დაკარგვა წელში მოჰხრიდა მარტოდარჩენილ მამაჩემს. ხელის გაწვდენა ეჭირვება... გამიშვი, მეფეო, დაკარგული უნდა ვეძებო.

ეს უბრალო გულწრფელი ლაპარაკი თავის ერთგულისა გულში ჩასწვდა მეფეს და უსაყვედურა თავის თავს მალერწმენობა. ბაგრატს ეჭვები გაეფანტა. გაახსენდა მირანდუხტის ძლიერი ნებისყოფა, მისი უცნაური დამოუკიდებლად გადადგმული ნაბიჯები და ნინოწმიდელი სულ სხვა სახით წარმოუდგა გონების თვალწინ. მეფემ ნება დართო ბაქარს მამა-მშობელთან დაბრუნებისა.

როცა ბაქარი ხელზე ემთხვია ბაგრატ მეფეს, თვით ბაგრატმა შუბლზე აკოცა თავის ერთგულ სასანიანს, სამშვიდობო გზა დაულოცა და თან დაურთო, რომ მალე თვითონაც ესტუმრებოდა გარე კახეთს.

გიორგი მეფისწულმაც ისევე იბრუნა გული ბაქარისაკენ. თავი მოიხარა ბაქარის გულწრფელ სიტყვაზე. მოისურვა ბაქარს გაჰყოლოდა და მასთან ერთად თვითონაც ეძებნა მირანდუხტი, რომლის სიყვარულიც ისევ უვარვარებდა. მაგრამ მამას ვერ თხოვა; მეც გამიშვი ბაქართან ერთადო.

ბაქარმა ვარაზ-ბაკურსა სთხოვა პატრონობა გაეწია მისი ცოლ-შვილისათვის, სანამ თვითონ ძისა და ძმის მოვალეობას შეასრულებდა და

სამგზავროდ მზადება იწყო. დილის დაბგდო დიდგორი მარტოდმარტომ. თანა არავის გაყოლება არ მოისურვა. სწადდა მოყმეს, რომ მისი გული ალფარსლანის წერილით დაკოდილი, არავის გაეღიზიანებინა თავისი უალაგო ჩარევით სასანიანთა პირად საქმეში. ვარაზ-ბაკურმაც კი ვერ გაუბედა ადევნება. დილით დიდგორიდან წამოსული ბაქარი საღამოს მზიურ მცხეთას ეწვია. ზადენისაგან გაიგო, რომ მირანდუხტმა მხლებლებითურთ სვეტიცხოველი მოილოცა. თუ რამ მოიყვანა მირანდუხტი მცხეთას სალოცავად, ზადენმა ვერ შესძლო ამის თქმა. ეს კი აცნობა, რომ სხვა ოცს შინაყმათ გარდა, მირანდუხტს თან ახლდნენ ფერისი, ონოფრე, გულადი და ბასა.

ბაქარი ღამე მცხეთას არ დარჩენილა. მოუსვენრობდა. ჯვარში გავიდა ვაჩე პაპასთან. მოხუცი შვილიშვილს დადარდიანებული დახვდა. ქართლის აკლებას ვერ შეჰრიგებოდა, თუმცა ხშირად ფიქრობდა ხოლმე, ბევრი მტერი შემოსევია ჩვენს ქვეყანას, კიდევაც შემოესევა, აიკლებს, მაგრამ დადგება ხანი და ქართველთა ტომების გაერთიანება მოხდებაო. ქართველი ხალხი, როგორც მთლიანი, მრავალფეროვნად აჰყვავდებაო. თავისიანები ხშირად არ დახედავდნენ ხოლმე მოხუცს და ესეც გულს აკლდა. აი, რამდენი ხანი გავიდა, და დღეს ძლივს ნახა ბაქარი ვაჩემ. მირანდუხტისა ხომ აქამდე არავის უცნობებია მისთვის. ჩივილი დაიწყო ვაჩემ.

— შარშან ნოემბრის დამლევებში მეწვია მცხეთიდან მირანდუხტი, — უთხრა მოხუცმა ბაქარს, — გამეხარა, ჯვარი მოილოცა და ერთი დღეც არ მოიცადა, მეორე დღესვე ნოკორნის გზას გაუდგა თავისი პატარა რაზმიანად. წმიდა არჩილის საფლავს უნდა ელოცნა.

რისთვის დადიოდა მირანდუხტი მამა-პაპათა სალოცავებში, ესეც აცნობა ბაქარს.

— მირანდუხტს გადაწყვეტილი ჰქონდა ალფარსლანს გაჰყოლოდა თანამეცხედრედ, რომ ქართველთა ტომების ქვეყანა აოხრებისაგან გადაერჩინა, — თქვა კმაყოფილებით და ამაყად ვაჩემ. — ასეთი ნაბიჯის გადადგმა მხოლოდ გმირთა გვარის ჩამომავალს შეუძლია.

ვაჩემ სიზმარიც უამბო ბაქარს, მირანდუხტისაგან სამჯერ ნანახი თემესტიას ოთახში. უამბო ისიც, ნინოწმიდელი, გურსი და ბერა თავის რაზმითურთ რომ ეწვიენენ.

— მირანდუხტი წინა დღეს გაემგზავრა ნოკორნას, ესენი მეორე

დღეს მოვიდნენ, — უთხრა ვაჩემ. — ერთი ღამეც არ მოისურვეს ჩემთან დარჩენა. ამით რა უნდა ღაჰმართნოდა მირანდუხტს? მაგარი რაზმი ჰყავდა და გზაც მშვიდობიანი ედო წინ.

მირანდუხტის გატაცებისა მოხუცმა არა იცოდა რა. რომ გაიგო ეს ამბავი, ქვითინი ამოუშვა.

მირანდუხტის გატაცება ვაჩემ ქართლის აოხრების ერთ-ერთ ამბად დასახა.

— ქართლი, ქართველ ტომთა ქვეყნების ეს გული შეუბრალებლად დაფლითა, — წამოიძახა მოხუცმა ნაღვლიანად და თან დასძინა, — ჩემი შვილიშვილი პირველი ნაფლეთია ამ გულისა! ის გაიტაცეს...

— გატაცებულია მირანდუხტი. მაშ ცოცხალია! მე მოვძებნი და ვიხსნი მტრისაგან ჩემ დას! მოვძებნი და ვიხსნი! — წამოიძახა ბაქარმა, ემთხვია პაპის ხელს და გამოეთხოვა. შუაღამე კარგა გადასული იყო. უჯარმას მიაშურა სასანიანმა.

პალატში დილით მისულ ბაქარს დახვდნენ დაჩი და ბასა, რომლის ჭრილობა კარგა ხანს ავზნეობდა და მხოლოდ ახლა დასდგომოდა გამომთელების გზას. ტრიალებდნენ პალატის გარშემო სხვა შინაყმებიც. მომგებლებმა ეზოს არეზე თავმოყრილებმა ბაქარის მოსვლით თუ ცალმხრივ გაიხარეს, მეორე მხრივ — მწარე ცრემლები ჰღვარეს... ქალები მოსთქვამდნენ, ვაი ჩვენ თავსო, ვაჟებიც ქვითინებდნენ. ბაქარს ეს არ გაჰკვირვებია: მირანდუხტია დაკარგული და იმას შემომტირიანო, გაიფიქრა ახალგაზრდა სასანიანმა. მაგრამ შინაყმებმა ამცნეს ერთი უბედურებაც: მამის სიკვდილი. ბაქარი დიდხანს გაქვავებული იდგა. არ მოელოდა ასეთ ამბავს. არ ეგონა, რომ კუნთებმკვრივი, ჭკუითა და სულით ძლიერი ადამიანი, მეომრობის არ მიმდევარი, მაგრამ ნამდვილი მეომარი, როცა კი ბრძოლაში ჩაებმებოდა, ორმოცდაათ წელს ოდნავ გადაცილებული, მაგრამ ჯერ კიდევ ახალგაზრდული ძლიერების მქონე, ასე მალე გამოეთხოვებოდა წუთისოფელს. ბაქარის სულისკვეთებას გრძნობდა ყველა შინაყმა, მისი მწუხარების სიმძიმე ყველას დაეუფლა და ყველამ შეწყვიტა ცრემლვა და მძიმე დუმილს დაუმორჩილა თავი. მხოლოდ ერთადერთი მათგანის სული და გული, ბასას სული და გული იყო გამოთიშული ამ გამთანგავი დუმილის წრიდან. ბასამ ადროვა ბაქარს და მერმე თავისებურად ამოქმედდა:

— ხალხნო! რას გარინდებულხართ, — დაუტია ბასამ სასანიანთ შინაყმებს: — წინათ ჩვენ უფლისწულს და ახლა კი ჩვენ უფალს, ჩვენ პატრონს, დასვენება და შენაყრება სჭირია ძალთა მოსაკრებად და მერმისისათვის სამოქმედოდ.

დაჩი შეფერიანდა: შერცხვენილი გამოვიდა უმცროსი ძმისაგან. ფერისის უფროსმა ნატამალმა უსაყვედურა თავისთავს, უყურადღებოდ დავტოვე პატრონიო. წამსვე ცხენი გააცალა ბაქარს. სხვა შინაყმებიც დატრიალდნენ პატრონის პალატში მისაღებად. ბასა კი ბაქართან დარჩა.

— ხომ არ ინებებ, უფლისწულო, ახლა ნახო ჩვენი უფლის სამარე? — ჰკითხა ბასამ.

ბაქარმა მდუმარემ თავი დაუქნია. ბასამ ეკვდერის გასაღები მოარბენინა. ბაქარი გაემართა ეკვდერისაკენ და ბასაც თან გაჰყვა.

— სად და როდის დაჭრილხარ, ბიჭო? — ჰკითხა ბაქარმა, ამ მოკლე ხნის წინათ ონავარს და ახლა კი იშვიათი სიდინჯით მომზირალს, საგრძნობლად გამხდარს, მაგრამ თითქმის დავაჟკაცებულს.

— სადა და. როდის დავიჭერ და მირანდუხტის გატაცებისას ბოჭორმის დასწვრივ, ივრის ხეობის ვიწროებში, — უპასუხა ბასამ და მოკლედ უამბო, ჯერ უამრავ ფადლონისელთა და თურქთა თავდასხმა მირანდუხტის მცირე რაზმზე. გადმოსცა ბაქარს რაზმის გმირობა. მრავალ თურქთა და ფადლონისელთა დახოცვა, მირანდუხტის ბრძოლიდან გაცლა ფერისის რჩევით და მისი შეპყრობა რვა თუ ცხრა კაცის ხელით და თავისი დაჭრა. მირანდუხტის მცირე რაზმის ამოწყვეტა, სიკვდილი მამისა და ონოფრესი. ბოლოს უამბო, თუ როგორ წამოაწყდნენ იმ უსწორო ბრძოლის შედეგს ნინოწმიდელი, გურსი და ბერა თავისი რაზმითურთ, დახოცილების გადმოტანა და ჯვარპატიოსნის არემარეზე მათი დასაფლავება. უამბო ნინოწმიდელისა და გურსის წასვლა ალფარსლანთან პასუხის მოსათხოვად და გაცრუება ამ მოთხოვნისა იაზონ ცალქალამანიძისაგან.

— ამ მეკობრემ მირანდუხტის გატაცება მეფისწულს გადააბრალა თურმე! — დასძინა ბასამ ნაამბობს. — ტყვედ კი თვითონ ჰყავს მირანდუხტი. ალფარსლანისაგან დაბრუნებული ჩვენი პატრონი დარდისაგან დაავადდა, მოკლე ხანში ლოგინად ჩავარდა. დიდი სიცხისაგან ბოდავდა და ამ ბოდვაში სულ მირანდუხტს ეძახდა, ეალერსებოდა. გურსი ბევრს ცდილობდა მის მობრუნებას. ვინ იცის, რა წამალი არ დაალევინა ჩვენ

პატრონს ამ ახლადაღმოჩენილმა ბიძაშენმა. ვინ იცის, რა არ სცოდნია გურსის! მეც იმან დამაყენა გამორჩენის გზაზე. მაგრამ ამ კეთილმა ადამიანმა ძმას ვერა უხერხა რა. გარდაიცვალა ჩვენი პატრონი და გურსიმვე დიდი ამბით დაასაფლავა ეკვდერში, დედაშენის გვერდით. გურსი ხორნაბუჯს წავიდა თავისი ქონების გადმოსატანად და თავისი ნაძმევის ქარდილაის წამოსაყვანად. სურს აქ დაბინავდეს დროებით. სანამ მირანდუხტს მოვძებნი და სანამ ბაქარი დაბრუნდება, აქ ვიქნებიო. შენ კი მოგვიკვდი, ჩვენო დიდო პატრონო, – მიმართა ბასამ რევყოფილის ეკვდერს და ამ სიტყვებზე თან მიაყოლა, – მირანდუხტი კი ცოცხალია!.. მაგრამ ტყვედ არის და, ვინ იცის, დაგვიბრუნდება?

– მერმე და დანამდვილებით იაზონ ცალქალამანიძეს ჰყავს მირანდუხტი ტყვედ? – იკითხა ბაქარმა.

– დანამდვილებით, მაშა! – უპასუხა ბასამ. – ჩვენებისათვის არ მითქვამს ეს ამბავი. მე კვეტარში ვიყავი კიდეც.

ბაქარმა გაოცებით გადააელო თვალი ფერისის ნატამალს.

– ბიჭო, რამ გაგაბედვინა მაგ მხეცების ბუნაგში შესვლა? – შეეკითხა ბაქარი. – იაზონი ხომ თავს გაგაგდებინებდა ჯვარპატიოსნობისას შენგან ჩადენილი ოინებისათვის?

– ხომ ხედავ, ჩვენო პატრონო, თავი ისევ მაბია, – უპასუხა ბასამ.

– მაინც როგორ მოახერხე? შენ ხომ დაჭრილი ხარ?

– ჭრილობა ჩემი მორჩენის გზას ადგია. მორჩებოდა კიდეც, მაგრამ იქ მოგზაურობით გავიღიზიანე. სამი დღე ვიყავი დაკარგული. გურსიმ კარგა შემთათხა, მაგრამ რომ ვუამბე, სადაც ვიყავი, გადამკოცნა, – მიუგო ბასამ.

– მაინც როგორ მოახერხე?

– როგორ მოვახერხე? – გულადმა ჩემი ტანის ერთი ფხოველური ჩოხა მომთავაზა, მიშოვნა ქუდი და სარტყელი თავიანთებური, ერთი ჩანგიც, ეს ძღვენი გამოვიყენე კვეტარში მისასელელად მე, ჭრილობისაგან ცარიელ ძვალ-ტყავად ქცეულმა. გამოვიპრანჭე ამ სამოსელში მალულად და ჩემი ჩანგიანად გავიპარე შინიდან. კვეტარში ჯერ ციხის მეკარენი გავამხიარულე. შხამად შეერგოთ ჩემი დაკვრა მეკობრეთა შინაყმებს. ყური დაუგდო ერთმა ცალქალამანიძეთაგანმა ჩემი ჩანგის დაკვრას, სახუმარო ლექსებს და თავიანთ სასახლეში წამიყვანა. აქ ძმები შემომეხვია გარს.

თვით იაზონიც მოვიდა. ეს მეკობრე არ გამოჰყოლია ალფარსლანს ქართლში. მირანდუხტს კვეტარში ხედავდა და რას გამოჰყვებოდა?.. ყველა ძმას მო'შაებნელებული ჰქონდა სახე. თითოეულს თითო ლექსი შევთავაზე. სახე გავუსხივოსნე. თვით იაზონიც ვაცინე... მაგრამ, ვნახოთ ზემო სართულიდან მონადენი კიბის ქვემო კარი გაიღო და გამოჩნდა შეჯავშნული ჩვენი მირანდუხტი. ყველა მიდუმდა მის დანახვაზე, ყველა დაღონდა და ბოღმა-ვარამი შემოაწვათ გულზე. ყველამ თავი ჩაქინდრა. იაზონმაც კი დახარა თავი. მირანდუხტი მკაცრ პატრონად ჩანდა, ძმანი ცალქალამანიძენი კიდევ ყმადნაფიცებად. დამინახა მირანდუხტმა და წამსვე მიცნო. მაგრამ არ გაუოცებია ჩემი იქ გაჩენა ჩემი პატრონის ასულს. გარეთ გავიდა მირანდუხტი. თავისუფლად დაიარება კვეტარის ციხე-პალატის არეზე.

— ვინ არის ეს ჭაბუკი? — წამოვიძახე მიამიტად, — რომ მის დანახვამ გული გადამიქანა, შემაშინა. მთავარანგელოზია თითქოს, რაღაც უჩინარ ბორკილებს ადებს კაცსა-მეთქი.

ცხრა ძმამ ყველამ თავი მაღლა აიღო, მე გადმომხედა. ხმა მხოლოდ იაზონმა ამოიღო.

— ამ ჭაბუკს პური აჭამეთ! — უთხრა მეკობრემ თავის რძლებს და გარეთ გავიდა. გარეთ გავიდნენ სხვა ძმებიც. როგორც ეტყობოდათ, კუდი-კუდს დასდევდნენ ერთმანეთს: თავისდა შეუმჩნევლად ყველას გულში ჩასჭრია მირანდუხტი, ცოლიანსაც და უცოლოსაც. საჭმელი მომიტანეს რძლებმა და წავიდ-წამოვიდნენ. გავოცდი, რომ ასე მომექცნენ. მშიერი ვიყავი და უარი არა ვთქვი ჭამაზე. გიახლებოდით ჯერ ისევ მოტანილს, რომ შემოვიდა ჩემთან ძალიან, ძალიან გულკეთილი ქალი. ღულუნით მოლაპარაკე. დედისა ვარო, აეთის თანამეცხედრეო, მაცნობა და მითხრა, გავყოლოდი. მეც გავყევი წამსვე, რას ვიზამდი? ციხე-პალატის არემარეზე გამიყვანა, ერთ მაღალ კოშკის ბანზე ავედით. იქ მირანდუხტი იჯდა. ჩაფიქრებული მთებს გაჰყურებდა, უჯარმის სანახებსა და კვეტარის სანახებს შუა ამართულს.

— აი, ჭაბუკო, ეს ასული გაართე შენი ლექსებით! იაზონმა ბრძანა, — მითხრა დედისამ.

— ასული! — წამოვილაპარაკე გაკვირვებით.

— დიახ, ასული! — მიპასუხა დედისამ და თან დასძინა: — მერმე მოვალ და წაგიყვან.

დედისა წავიდა, მირანდუხტი მომიტრიალდა.

— ხომ არ გადარეულხარ, რომ აქ მოსულხარ? — მითხრა თითქოს შეტევით, მაგრამ ნამდვილად ალერსიანი კილოთი. — განა ჩემი აქ ყოფნით მადლიერი ვარ, რომ შენც გაება მახეში? ხომ იცი, რომ გიცრონ ცალქალამანიძიანთ ჯვარპატიოსნობის ორიავარი, არ დაგინდობენ, ჩამოგახრჩობენ, თუმცა მონური მორჩილებით მექცევიან ცხრანივე.

— ჯერ მიცნონ და მერე ჩამოგახრჩონ, — ვუპასუხე უფლის ასულს და მივუთითე ჩემზე შერჩენილ ტყავ-ძვალზე. — ჩემმა დაკოდილმა ადგილმა ეს სიკეთე მიძღვნა-მეთქი.

ჩანგზე დავიწყე ფხაკუნი რამდენადაც შეიძლებოდა, სიმები ავახმაურე უჩინარ მეთვალყურეთა მოსატყუებლად. მსურდა ჰგონებოდათ, რომ ვართობდი მხოლოდ მათ ტყვეს. ჩანგის ძლიერ ხმაურზე ყველაფერი ვუამბე უფლის ასულს, რაც მოხდა მისი გატაცების უკან. ჩვენი პატრონის სიკვდილის გაგებაზე რამდენიმე ცხარე ცრემლი გადმოაგდო მირანდუხტმა და მერმე თვალები აიციცინათელა.

— შურისძიება ცალქალამანიძეებზე ყოველ სათვის, რასაც კი ჩვენ ქვეყანას და სასანიანთა აკლებენ და დააკლებენ აღთქმასა ვდებ. თავის საუბედუროდ დამატყვევეს ცალქალამანიძეთ! — წარმოთქვა მტკიცედ და მერმე მიდუმებულმა ისევ უჯარმასა და კვეტარს შორის აღმართულ მთებს მიაპყრო თვალნი.

მე კი ძალაუნებურად განვაგრძობდი ჩანგის ხმაურს.

დედისა მოვიდა და ბოლო მოვუღე ჩანგის დაკვრას. მივატოვე მირანდუხტი. ერთი დღე კიდევ დავრჩი კვეტარში. ცხრა ცალქალამანიძე მოუჯადოებია მირანდუხტს. ფინიებივით შესცქნავიან ყველანი. რომ იაზონს არა ჰყავდეს ალაგმული, ერთმანეთს დასჭამდნენ ძაღლებივით. გულში ღრმად ჩასჩრია თავის დამმონავებული სიყვარული მირანდუხტისა ყველას. მოსახლეობა ქალაქისა მძულვარებით უცქერის ქალაქის პატრონებს, მაგრამ მათი შიშით ძრწის.

ბაქარი და ბასა ეკვდერში შეიდნენ. ეკვდერი გამშვენიერებული გამოიყურებოდა. რევყოფილის სამარე ქვადადებული დახვდა კიდეც ბაქარს. ბაქარს კმაყოფილების ცრემლები გადმოსცვივდა. დიდს მზრუნველს ხელს ემოქმედნა ეკვდერში.

— გურსის ნაზრუნავია ყველაფერი, — განუმარტა ბასამ.

ბაქარმა ილოცა დედ-მამის საფლავებზე და ეკვდერი დასტოვა.

— ჩემო პატრონო! — მიმართა ბასამ ბაქარს, — შურისძიებისათვის ემზადება იადხმობილი, იაზონის თანამეცხედრეობაზედაც თანხმდება.

ბაქარი შეძრწუნდა. რაღაც საშინელება განსჭვრიტა რევის ძემ დის ამბაირ გადაწყვეტილებაში.

— რად დასჭირდა ასეთი ნაბიჯის გადადგმა ჩემ იას, რად? — წამოიღაღადა ბაქარმა, თუმცა კი ალღო აულო დას, რადაც სჭირდებოდა ასეთი ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ საშინელებად მიიჩნია იგი.

— შურისძიების აუცილებლობა მოითხოვს ჩემგან ასეთ ნაბიჯსო, — ბრძანა მირანდუხტმა, — უპასუხა ბაქარს ბასამ და თან დასძინა: — დიდს ურვადს ამზადებს იაზონ ცალქალამანიძე თურმე სასანიანთათვის. ეს მის შინაყმებს წამოსცდათ ჩემთან, როცა ჩემი ჩანგის ფხაკუნითა და ლექსებით ვართობდი.

— მერმე? მამის სიკვდილი რომ გაიგონა იამ? — ჰკითხა ბაქარმა.

— აკი გითხარი კიდეც, შურისძიება გადაწყვეტილი ჰქონდა ასეთ ნაბიჯის გადადგმით და მამის სიკვდილის გაგონებამ უფრო დაანახვა ამის აუცილებლობა აი რა მითხრა: მამის სიკვდილი მეუბნება, რომ ასეთი ნაბიჯი უნდა გადავდგაო.

ბაქარი საგონებელში ჩავარდა. ახალგაზრდა სასანიანმა არ იცოდა, ბასას ამ ცნობების შემდეგ რა გააკეთა მირანდუხტმა და ინატრა გურსის მალე დაბრუნება ხორნაბუჯიდან. ახლადაღმოჩენილი ბიძის გამოცდილება და მისი მაგარი მკლავი მტკიცე ბურჯი იქნებოდა ობლად დარჩენილი ძმისშვილისათვის.

2

რამდენიმე დღე ელოდა ბაქარი გურსის. ის კი არ ჩანდა. გურსი დაახანებდა კიდევ. ხანი გავიდა და მირანდუხტი თავის ნაბიჯს გადასდგამდა. ბაქარსაც კი ჰქონდა გული შურისძიების სურვილით აღვსილი. აბა მაშ რა იქნებოდა? მისი და გაიტაცეს, ამ გატაცებამ მამა მოტეხა და სიკვდილს მისცა. მაგრამ გონება სხვას ამბობდა.

„შურისძიება მხოლოდ გრძნობას აკმაყოფილებს, — უქადაგებდა გონება ბაქარს, — მამას ვერ გააცოცხლებს და დას ვერ იხსნის ტყ-

ვეობისაგან. კვეტარის ციხეს აღება უნდა და საამისოდ კი სპანი არ გვყავს. ბაგრატს ჯერ მაგ საქმისათვის არა სცალია. ცალქალამანიძეს ურვადის გაღება სდომებია და მაშ თავი არ დაუნებებია სასანიანებთან დამოყვრების სურვილისათვის. იქნებ ამ დამოყვრებამ მოახრევინოს ქედი და კვეტარის მფლობელი კვეტარიანად მყუე ბაგრატს დაემორჩილოს, ყმადნაფიცად ექცეს, მეკობარ დიდგვარიანთა რიცხვს გამოაკლდეს თავისი მოქმედებით. მირანდუხტი, ეტყობა, ძლიერ იმორჩილებს თვით იაზონსაც და მის ძმებსაც. უფლობს, კვეტარის ციხე-პალატის მფლობელებზეო, ბასამ ხომ მითხრა".

გული მალე დაიყოლია ბაქარმა. გაიხსენა საშუალება, რითაც, შეეძლო მის საყვარელ დას შური ეძია დამტყვევებლებზე, — გაიხსენა გურსის ნაბოძარი თვალთმხედრიანი ბეჭედი, რომელსაც ია მუდამ თან ატარებდა, არასდროს თავიდან არ იშორებდა, გაიხსენა საწამლავი, დემეტრიან თვალის ბეჭედში დამალული საკმარისი რაოდენობით, — გაიხსენა იასაგან ხშირად თქმული, ჯერ ჩემ დამტყვევებლებს მოვწამლავ და მერმე ჩემ თავსაო, და საზარელი სურათი წარმოიდგინა. გულში შიში ჩაუძერა და გულმაც გონებას მისცა ხმა. უარჰყო შურისძიება.

ბაქარმა ველარ მოიცადა. ასე რომ მოუცადო გურსის, მირანდუხტი ახლა აღარავის მოუცდის დიდხანსო, მამის სიკვდილის გაგების უკან კიდევ მიკვირს, განზრახული ნაბიჯი დაახანაო, და გადაწყვიტა კვეტარში გამგზავრება. შეიჯავშნა ტანი თავისი ხოსროვანი ჯავშნით, მკლავები —იებიანი სამკლავეებით, აიღო იებიანი ფარი, მუზარადი, გაიყოლია მამისებურად ხუთი შინაყმა, გაიყოლია თვალის არჩვიაძე, რომელიც ბაქარის პალატს მოსვლის უკან დაბრუნდა ბოლნისიდან. მის მამას მცველობას უწევდა დაჩისთან ერთად და უარს არ იყო მისთვისაც გაეწია მცველობა, და კვეტარისაკენ გასწია. ძნელი იყო ახლა კახეთს გადასვლა ბაგრატის მომხრეებისათვის. ერწო თუ გაეთავისუფლებია თავის სპათაგან აღსართანს, თიანეთი და თიანეთის სანახები ხელში ეჭირა. ივრის ხეობის ავლა თუ ერწოს სანახებში სიძნელეს არას წარმოადგენდა, თიანეთის სანახებში ხიფათით იმუქრებოდა. ბაქარმა კვეტარის სანახებში გადასასვლელად ბოჭორმისაკენ კახეთს მიმავალი ბილიკები ირჩია. დილით წამოსული ბაქარი და მისი თანმხლებელნი მზიურ მოექცნენ კვეტარის მთის აღმოსაველეთისაკენ დაქანებულ ხევგრძელსა და ილტოს

შესართავზე მიბჯენილ კალთის ბოლოს. აქ დაქვეითდნენ. შეჩერდნენ რამდენიმე ხანს. მგზავრებმა მწვანე ბალაიზე მიუშვეს ჰუნები. თვალისი დააწინაურა ბაქარმა. თვალისს უნდა ეცნობებია მისი მოსვლა კვეტარის მფლობელთათვის. მაგრამ თვალისი დაატყვევა ციხის გარე მიდამოების დამთვალიერებელმა პატარა რაზმმა. არ იწამა მოციქულობა არჩვიაძისა.

— ხანაა დაუდეგრობისა! — უთხრეს თვალისს. — ხშირად მოყვრის სახით იცის ციხის კარს მოდგომა მტერმა. ვარაზ-ბაკურმა ხომ მოტყუებით აულო ბაგრატ მეფეს სამშვილდე. ძმანი ცალქალამანიძენი აღსართანს ეახლნენ თელავს. საღამოს ჟამს აქ იქნებიან და მოვახსენებთ შენს ნათქვამს.

სხვა რამის თქმა აღარ აცალეს არჩვიაძეს. რაზმი არც წამოვიდა თვალისისაგან მითითებული, ბაქარისაგან დაკავებული ადგილისაკენ. უპატრონოდ ვერ ჰბედავდა ხევგრძელასა და ილტოს შესართავისაკენ წასვლას.

ბაქარი ელოდა თვალისს და თვალისი კი იგვიანებდა. ალაზნის ველის მხარეს ბაქარის თვალმა შენიშნა მომავალი რაზმი. მხლებლებს უბრძანა საბრძოლველად გამზადება! ისინი აღსართანის სპათა ნაკვეთად დასახა.

ალაზნის ველის მხრიდან მოსულნი მოუახლოვდნენ კვეტარის მთის კალთას. ცხრა ძმა ცალქალამანიძე და მათი მხლებელნი ბრუნდებოდნენ თავის ბუნაგში. ცალქალამანიძეთ შენიშნეს ბაქარის გუნდი.

უალფარსლანოდ დარჩენილ აღსართანს არა თუ ერწო, თიანეთის სანახებიც კი მიეტოვებინა ბაგრატის შიშით. სჯეროდა, რომ ბაგრატ მეფე დაუყოვნებლივ ისევ გადმოლახავდა კახეთს თავისი უკლებლივ შენარჩუნებული ლაშქრითურთ. ცალქალამანიძემ ბაქარის გუნდი მტრის წინამორბედად მიიჩნია. თანაც ბაქარი, ფარსა და სამკლავებზე იებით შემკული, ბაქარად არ დაუსახია. ბაქარს თავს ეხურა მეფისწულის მუზარადი. მუზარადს არეს უმშვენებდა ოქროთი ნაწერი ბაგრატიანთა გვარის ნიშანი —შურდული და დავით ებრაელთა მეფე — ჭაბუკის სახით. მეფისწულმა ეს მუზარადი მისცა სახსოვრად სასანიანს და თვითონ კი სახსოვრადვე თავს დაიხურა ოქროთინაწერი სასანიანთა ნიშნის მგელლომის მქონე მუზარადი თვით ბაქარისა. მეფისწულად მიიღო იაზონმა ბაქარი, რომლის ტანშედგმულობა მეფისწულისას უტოლდებოდა. და მისთვის წამოიძახა:

— მწყურობდა მისი აღგვა დედამიწის პირიდან და ამ წყურვილსაც ახლა მოვიკლავ!

დაუნდობელი და უთანასწორო ბრძოლა ატყდა ბაქარის მცირე გუნდსა და ცალქალამანიძეთა ხუთჯერ მეტს რაზმს შორის. მებრძოლთა შეძახების ხმა თვით კვეტარამდე აღწევდა. კვეტარის მაღალ კოშკებში მყოფნი დაჰყურებდნენ ბრძოლის ველს.

განწირულებით იბრძოდნენ ბაქარი და მისი შინაყმანი და ძვირად უსვამდნენ მოწინააღმდეგეთ თავის სიცოცხლეს. ბევრი დაეხოცათ ცალქალამანიძეთ ბაქარის მცირე გუნდისაგან, მაგრამ თვით მცირე გუნდსაც ბოლო მოელო. დარჩა ბაქარი მარტოდ-მარტო. კლდესავით იდგა, დახოცილებს საფრად იხდიდა და იბრძოდა გამწარებული. ცალქალამანიძენი ვერ უდგებოდნენ ლომად ქცეულ სასანიანს. დაიჭრა აფთარა, ფოცხვერაც, თვით იაზონი დაეტაკა სასანიანს, გაშმაგებული შეებრძოლა და ვერას გახდა. მუხანათური ფანდი დასჭირდათ არგოელის ჩ მომავალთ. ერთმა მოახერხა, ზურგსუკანიდან მოუარა სასანიანს, ბეჭებს შუა მახვილი ჩასცა, და მახვილის წვერი მკერდს უწვდინა. ჯაჭვმა ულალატა სასანიანს. ბრძოლა გათავდა.

— ჩვენი მკვდარნი და დაჭრილნი წამოასვენეთ ზევით, კვეტარში! — უბრძანა ძმებს იაზონმა. — ესენი კი, მიუთითა ბაქარსა და მის მხლებლებზე, — დეე, ნადირთ სჯიჯგნონ.

კვეტარიდან ხალხი ჩამოეშველა ცალქალამანიძეებს. საკაცეები ჩამოარბენინეს და თავისიანნი, დაჭრილნი და დახოცილნი, კვეტარის სავანისაკენ გაუყენეს.

იაზონს მისვლისას თვალისი მოჰგვარეს.

— ვინა ხარ შენ? — ჰკითხა უფროსმა ცალქალამანიძემ არჩვიაძეს.

— ვინა და ბაქარ სასანიანის მოციქული...

— ვინა და ბაქარ სასანიანის მოციქული? — გაიმეორა იაზონმა არჩვიაძის სიტყვები შეკითხვის კილოთი.

— მე დამაწინაურა ბაქარმა, — დაიწყო მოციქულმა, — თვითონ და მისმა ხუთმა მხლებელმა კი კვეტარის კალთაზე, ხევგრძელას და ილტოს შესართავს რომ იბჯინება, იქ შეისვენეს თქვენი პასუხის მოლოდინში, და...

— შენ სტყუი! — შეუტია აღელვებულმა იაზონმა არჩვიაძეს. გულმა საშინელება უგრძნო.

— თვალის არჩვიაძემ ტყუილი არ იცის! — წამოიძახა თვალისმა მკვეთრად. — შენმა ციხოვანთა დამატყვევეს მოციქული. შენ მოგელოდნენ ჩემი დამტყვევებელნი. იმას მოახსენეო, მითხრეს და მოგახსენებ.

— თვალის! — გაისმა არჩვიაძის ზურგთუკან ქალის ხმა. არჩვიაძემ მოიხედა.

შეუმჩნეველად მირანდუხტი შემოსულიყო გარედან პალატის ძირა სართულში. კვეტარის კოშკიდან მირანდუხტსაც ეშინოდა ხევგრძელასა და ილტოს შუამდებარე კალთაზე მომხდარ უსწორო არჩოლისათვის.

იაზონ ცალქალამანიძე გაშრა მირანდუხტის ხმის ვაგონებაზე. ქალი ღრმა მწუხარებით იცქირებოდა.

— თვალის! ჩემო თვალის! — შეჰღალადა მირანდუხტმა. — მაშ ხევგრძელასა და ილტოს შორის მოქცეულ მთის კალთაზე ბაქარი და მისი შინაყმები იბრძოდნენ?

დატყვევებულსა და სადღაც ციხე-პალატის დასავლეთ კოშკში შემწყვდეულ თვალისს ბრძოლისა არა გაუგია რა. ამიტომ გაკვირვება გამოეხატა სახეზე.

— რატომ იბრძოდნენ? — შეეკითხა თვალისი იადხმობილს და მყრმე განაგრძო. — ისინი საბრძოლველად როდი მოსულან. ბაქარი მოდიოდა აქ იაზონთან მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად კვეტარის პატრონთა და სასანიანის სახლს შორის და შენს სანახავად მაშ ბრიოლა იყო ილტოსა და ხევგრძელას შესართავთან! — თვალისმა იგრძნო, რომ ამ ბრძოლას ბაქარს იქ დაბლა და მისნი ძმანი მხლებლებითურთ თელავიდან შინ მომავალნი აუტეხდნენ. — ვაიმე ბაქარ! — წამოიძახა არჩვიაძემ გულის დაწყვეტით. — ვაი, ჩემო ბედო, რომ ბაქართან მეც არ ვიყავი. ვაი, ჩემო ბედო!..

— ეი! არჩვიაძევ! — მიმართა იაზონმა თვალისს შუბლშეჭმუხვნით და ძლიერი, მაგრამ შიშნარევი ხმით. — იმას მუზარადზე აჩრდა ოქროთა ნაწერი დავით მეფე — ებრაელთა, ჯერ ჭაბუკი, თაკისი შურდულით. ის მეფისწულია მკვდარი.

იაზონს ჰსურდა, რომ მეფისწულისა ყოფილიყო ხევგრძელასა და ილტოს შესართავთან მოკლული ვაჟკაცის გვამი. გულითა ჰსურდა. რაც მირანდუხტი ტყვედ ჩაუვარდა, ცალქალამანიძეს სულის კვეთება შეეცვალა. ჰსურდა სასანიანებთან დაახლოება, ჰსურდა სასანიანთა გულის მოგება.

ტყვე მირანდუხტი ღვთაებად ჰყავდა გადაქცეული. უღვთაებოდ არსებობას სიკვდილს რჩებოდა იაზონი.

თვით მირანდუხტსაც აოცებდა მეკობრის უცნაური სულისკვეთება. იაზონის სიყვარულში დიდ სიფაქიზეს ამჩნევდა ქალი. მას გულში სწვდებოდა ეს სიყვარული და სანაცვლოდ კი შურისძიებაზე ოცნებობდა. ქვეყნის აკლების ერთ-ერთი მიზეზის მოსპობა ჰსურდა სასანიანის ასულს. მამის სიკვდილმა ამ ნაბიჯის გადადგმა ნათლით შეუმოსა. ახლა საყვარელი ძმა თვალწინ მოუკლეს არგოელის ჩამომავალთ და შურისძიებამ მთლად გაუთანგა გული.

— მამაც შენ მომიკალი, — უთხრა მირანდუხტმა იაზონს უცნაური წყნარი კილოთი.

ამის გაგონებაზე კითხვის გამომეტყველებით მიაშტერა თვალი თვალისს.

— დიახ! აღარ არის ნინოწმიდელი! — დაამოწმა თვალ ასმა მირანდუხტის სიტყვები. — მირანდუხტის დაკარგვის დარდმა გადაიტანა.

— თვალის, წამიყვანე ჩემ ძმასთან! — შეემუდარა გულსაკლავი ხმით მირანდუხტი.

— რა ვქნა, უჯარმის დედოფალო, შენც ტყვე ხარ, მეც ტყვე ვარ ახლა, — უპასუხა დაღონებულმა არჩვიაძემ. — მე მოციქულად გამოგზავნილი დამატყვევეს... ვინ გაგვიშვებს მე და შენ კვეტარის გარეთ?

— ის მეფისწულია მკვდარი! — გაუმეორა არგოელის ჩამომავალმა არჩვიაძეს განწირულებით. — ბაგრატ მეფე ახლა ალბათ ერწოსა და თიანეთზე უფლობს. თავის ლაშქრით აქეთ მოდის ალბათ. ახლა აქ სადმე ახლოს იქნება მისი ლაშქარი. იქ ქვევით ბრძოლის ველზე დახოცილი ბაგრატ მეფის წინამორბედი გუნდი და მეფისწულია. დავითიანი და შურდულიანი მუზარადი მეფისწულისაა.

იაზონი ამბობდა ყველაფერ ამას და თვითონაც არ იყო დარწმუნებული თავის ნათქვამში.

— მართალი ხარ, ცალქალამანიძეე, მართალი! — უპასუხა თვალისმა — რომ მუზარადი დავითიანი და შურდულიანი მეფისწულს ეკუთვნის. მაგრამ მოკლული ბაქარია და მასთან დახოცილნი — მისი შინაყმანი. მეფისწულს მიეცა ეგ მუზარადი ბაქარისათვის და ბაქარს კი თავისი გადაეცა მეფისწულისათვის შარშან, ქართლისკენ რომ დაიხია მეფე ბაგრატმა.

იაზონი წელში გასწორდა. ძმებს მიუტრიალდა. ძმებმა უფროს ძმას კამეჩისებურად მომზირალ თვალებში შიში შენიშნეს.

თითოეული მათგანი ეკითხებოდა თვალით იაზონს, რა დაგემართაო.

— წამოდით, ჩქარა! გამომყევით! — მიმართა იაზონმა უმცროს ძმებს და ძმებიც დაიძრნენ ადგილიდან. დაჭრილმა და დაუჭრელმა ცალქალა-მანიძეებმა პალატი მიაგდეს. ცხრავეშ ხევგრძელასა და ილტოს შესართავს მიბჯენილ კვეტარის მთის კალთის ბოლოს მიაშურეს. თან გაიყოლეს დამხმარენი საკაცებითურთ.

მირანდუხტი იდვა დამწუხრებული და ადგილიდან არ იძროდა.

— მამა და ძმა! მამა და ძმა! — იმეორებდა ქალი და ცრემლები მოწანწკარებდნენ ღაწვებზე.

თვალისი უცქეროდა მირანდუხტს და ბოღმა-ვარამით ევსებოდა გული. ვერაფერ ნუგეშს ვერა სცემდა. უსაზღვრო იყო უჯარმის დედოფლის მწუხარება.

დედისა მიუახლოვდა ია. იამ იგრძნო ალერსის სითბო, ძლიერი სითბო, ეს დედისამ შეახო ია მხარს ხელი. ია ღუღუნა ლაპარაკიც ჩაესმა ყურში.

— იქნებ ინებო, ... ავ, სასანიანის ასულო, ამობრძანდე მაღლა, მოისვენო, სანამ დახოცილებს მოასვენებდნენ? — უთხრა დედისამ მამა და ძმადაკარგულ ქალს. — ძმანი წავიდნენ დახოცილებთან.

ია დაიძრა ადგილიდან, ზემო სართულის კიბის კარისკენ გაემართა და თან დედიას გაიყოლა.

თვალისი გაოცებული უყურებდა აეთის ცოლის მოქმედებას, გაოცებით ისმენდა მის ღუღუნა ხმას და უკვირდა ქალის ასეთი ლმობიერება.

„ვინ არის ეს ქალი? — იკითხა გუნებაში თვალისმა. — ნეტავი საიდან ჩაიგდო ამ მეკობრე ხალხმა ხელში? სად ეს სათნოება, სად ბოროტი ცალქალამანიძენი?“

დედისა ისევ გაჩნდა ქვედა სართულში და თვალისს უთხრა:

— ყმაწვილო, არჩვიაძევ, ია გიხმობს!

— მე ტყვე ვარ, ეს შენ თვითონაც კარგა იცი, — უპასუხა დედისას თვალისმა. — მაქვს ნება კი, რომ ვეახლო უჯარმის დედოფალს.

— ია ბრძანებს და მის ნაბრძანებს წინ ვერავინ გადაეღობება! ია ტყვეაო, ამბობენ, მაგრამ ნამდვილად კი ჩვენ ვართ ყველანი მისი ტყვეები, — თქვა დედისამ და თვალისი მაღლა აიყვანა.

დედისა მოხიბლა მირანდუხტმა. მირანდუხტმაც შეითვისა იგი და ხშირად ამშვიდებდა მის მეამბოხე სულს დედისას ღუღუნა ლაპარაკი. რაც მირანდუხტი მოიყვანეს კვეტარში, დედისამ ბევრი დაურიდებელი გაკიცხვა გაიგონა მისგან მაზლებსა და ქმრის მიმართ. სალომეც ხომ პკიცხავდა თავის ძმისწულებს, პირში ეუბნებოდა ყველაფერს და სალომეს გაკიცხვაში მაინც არ გამოსჭვიოდა მათდამი სიძულვილი. სალომეს სიძულვილი მათ ქცევას ეხებოდა. მერმე სალომე არ ცდილა დედისასთან ლაპარაკს. თითქოს დაბალ არსებად თვლიდა რძალს. მხოლოდ ქველიძიანთ ქალს უცქერდა კაი თვალით.

მირანდუხტმა დაანახვა დედისას ქმრისა და მაზლების სიავე. როცა მშობლები აეთზე ათხოვებდნენ დედისას, ეუბნებოდნენ, ძლიერი გვარია, ვერავინ ვერაფერს აკლებს მის სამფლობელოს, ბაგრატ მეფემაც კი ვერ აიღო ცალქალამანიძიანთ ციხე კვეტარიო. ეს გვარი ამარცხებს და ნადავლს ბევრს იხვეჭს თავის საცხოვრებლადო. მოიყვანეს რძლად დედისა ცალქალამანიძიანთ და იგი ცოლის მოვალეობას და სახლის შინაურ საქმის კეთებას შეუდგა. განა სხვა რაზე უნდა იფიქროს ქალმაო, ამბობდა მეკობრეებით გარშემორტყმული. ცალქალამანიძიანთ წესით გამრავლებული ქონება საჭირო მოვლენად მიაჩნდა.

ერთი გვარი თუ მეორეს ესხმოდა თავს და ანადგურებდა, ეს ასე უნდა იყოსო, ეუბნებოდნენ დედისას. ია მოვიდა. განგებამ მოუვლინა სასანიანის ასული ქალს. თითქოს სულ სხვა თვალებს დაეუფლა დედისა. ქალმა ბევრი რამ სხვანაირად დაინახა. ეს თვალები, ახლა ბევრი რამეს დამნახველი, კვეტარს მოსვლისთანავე იამ ჩაუსახა დედისას თვალთა ბუდეებში. ახლა ზოგთ თავდამსხმელთ დედისა მეკობრებად კი აღარ სთვლიდა, — მეკობრობის მომსპობლებად, ქვეყანაზე სიკეთის დამნერგველებად, ქართველთა ტომების ძლიერების შემქმნელებად. დედისამ ახლა იცოდა, რომ თვითონ კახნი, მისიანები და სხვანი, და ექსი კვირის მანძილზე ალფარსლანისა და მის ხელისშემწყობთა მეკობრე დიდგვარიანთა და ცუდრუკ აღსართანის საჯიჯგნად ქცეული ქართლელნი ერთი მოდგმისანი იყვნენ. დედისამ დაინახა, რა ღვაწლი მიუძღოდათ ცხრა ძმა ცალქალამანიძეთ ქართველთა აკლებაში ალფარსლანის შემოსევისას და ალფარსლანის შემოსევამდენაც, და შეიზარა ყველა მეკობრე ქართველი და ცხრა ძმანი ცალქალამანიძენიც უკლებლივ. ქალი ქმარსაც არ არჩევდა მათგან.

„ქმარმა ჩემმა დაინახა სასანიანთა ასული და მე გამიგულგრილდა, – ამბობდა დედისა. – მოევლინება ქმარს ჩემსას სხვა, სასანიანთა ასულზე უკეთესი, თუმცა იაზე უკეთესს სად ნახავს ადამიანი, მოეჩვენება სასანიანთა ასულზე უკეთეს სახისად და იმაზე გადაენაცვლდება გული. ეს სინდისგარეცხილი ადამიანის საქმეა. სინდისგარეცხილი ადამიანი ხომ ყოველგვარ სისაძაგლეს ჩაიდენს. სისაძაგლის ჩამდენი ადამიანი უნდა დაისაჯოს“.

დღევანდელმა ამბებმა ხომ მთლად აამხელრეს დედისა ცალქალამანიძიანთ წინააღმდეგ. დღეს კოშკიდან თვითონაც ჰხედავდა, რა უსწორო ბრძოლა გაუმართეს მათ მცირე გუნდს. პირდაპირ მივიდნენ და დაეტაკნენ ექვს კაცს, განუკითხავად შეებრძოლნენ. მერე როგორ იბრძოდა ის ექვსი!

„დეე მეფისწული ყოფილიყო, მერმე რაა? – გაივლო დედისამ გულში. – მირანდუხტი სწადდა თანამეცხედრედ მეფისწულსო. ცხრა ძმანი ცალქალამანიძენიც გადირიენენ მირანდუხტისათვის, ცოლიანნი და უცოლონი. რატომ არ ხოცავენ ერთმანეთს? იაზონი არა ჰყავდეთ, კი ამოჟლეტდნენ ერთიმეორეს, და ღირსნიც იქნებიან ამოჟლეტისა!“

ასეთი სულისკვეთება სუფევდა ახლა ცალქალამანიძიანთ სამფლობელოში. დედისა მირანდუხტის მხარეზე იყო მთლად გადასული. მირანდუხტი ჰმართავდა მის სულს. რასაც უბრძანებდა, დედისაც იმას აკეთებდა.

დედისა ქვემოთ ჩამოვიდა. ქალმა ხმაურობა გაიგონა. ქვემო სართულში მიცვალებული შემოასვენეს ხოსროვანი ჯავშნით შემოსილი. იებიანი ფარით, იებიანი სამკლავეებით და მუზარადით. მუზარადზე იებ შორის დედისამ შენიშნა ჭაბუკი ვინმე ოქროთი ნაწერი შურდულით.

„იქნებ მართლა მეფისწულია?“ – გაიფიქრა მან. მაგრამ ზედა სართულიდან იამ ჩამოირბინა, მიცვალებულისაკენ გამოსწია, მუზარადი მოჰხადა თავიდან და შუბლზე ემთხვია უსიტყვო ცრემლთაფრქვევით.

დედისამ დაინახა მიცვალებულის სახე. ქალი გააოცა მისმა მშვენებამ. მოკლულს მრისხანე მებრძოლის გამომეტყველება შენრჩენოდა. მისი ახოვანი ტანი ძლივს შემოიტანა რამდენიმე კაცმა. მომტანებში ერიჟნენ თომა და სამი მისი ამხანაგი, შლეგიანის ყოფილი რაზმელები, რომელთაც უმკურნალა მირანდუხტმა და ახლა იას ერთგულნი იყვნენ.

– რა ვაჟკაცია! – წამოიძახა თომამ ხმამაღლა, თავშეუკავებლად. – ცოდვა არ არის ამის სიკვდილი?!

ერთი ვაჟკაცი ხელზე დაეკონა ბაქარს. ეს თვალისი იყო, ყველას შეუმჩნეველად ჩამოსული ზემოსართულიდან.

— არა სჯობდა მეც შენთან ერთად სული დამელია! — აღმოხდა თვალისს გულის ტკივილით შეზავებული სიტყვები. — მეუფე ნინოწმიდელი აღარა გვყავს, შენ აღარა ხარ, აღარ არიან ფერისი, ონოფრე. სულ ერთმა ხელმა გაგიტანათ, სულ ერთმა ხელმა. რა იქნებოდა, რომ მეც გაეტანე იმ ხელს? მწირად ვგრძნობ თავს, მწირად

თვალისს სიტყვა შეუწყდა. მირანდუხტმა წააცლო ხელი, თვალთაგან უცნაური სხივების მყრელმა.

თვალისი მოსცილდა მიცვალებულს. შემოასვენეს სასანიანთა ხუთი შინაყმა და მარჯვენივ და მარცხნივ მოუწვინეს ბაქარს. შემოვიდნენ ძმანი ცალქალამანიძენი. მირანდუხტმა ყველას თავი დააბრევინა. სასანიანთა ასული მსაჯულად ევლინებოდა ცხრა ძმას.

უცნაურ, თავისთვის შეუფერებელ მოდუნებას გრძნობდა იაზონი. თავის სიცოცხლეში პირველად თვლიდა თაეს დამნაშავედ. იგი ხომ იბრძოდა გვარის სიკეთისათვის, იბრძოდა თავის სიკეთისათვისაც და სწორედ აქ ჩააჩოქა ბედმა. მეკობრული გზით ლამობდა ლელოს გატანას და დამარცხდა. იაზონმა განიცადა ახლა ყველა განცდილ წინა მარცხზე ძლიერი მარცხი. ღვთაება ხელში ჰყავდა ცალქალამანიძეს, თუ იმედი ჰქონდა როდისმე ყურადღებას მიაქცევდა ეს ღვთაება, ახლა მთლად დაეკარგა ამის იმედი. თურმე ახლოს იყო ის დრო, როცა ეს ღვთაება მიეკუთვნებოდა და მოახლოებული მოესპო. იგი მოისპო ცალქალამანიძემ თავისივე ხელით. მოვიდა თავისივე ფეხით ამაყი სასანიანი, ძველთა მეფეთა ნათესავი, ძმა მირანდუხტისა ბაქარი, მოსარიგებლად ცალქალამანიძეებთან და მათ ზურგში მახვილი ჩასცეს ამ სტუმარს, ძვირფასზე უძვირფასეს. სწყეველიდა გულში ცალქალამანიძე თავის მეკობრულ ნაბიჯებს. უყვარდა მირანდუხტი, ძლიერ უყვარდა! შორიდან ლოცულობდა ხელში ჩაგდებულს, ხანდახან მუდარის თვალითაც შეხედავდა ხოლმე და ახლა ვერც ლოცვას გაუბედავდა და ვერც მუდარის თვალით შეხედავდა.

„მამა მოუკვდა ჩემი მიზეზით, — ფიქრობდა მიცვალებულთან შორიახლოს მდგარი იაზონი. — ძმა მისი, ჩვენსკენ მოსარიგებლად მომავალი, ჩვენ ცხრა ძმამ შემოვიკალით უსწორო ბრძოლაში. სასანიანს ერთიც არ შევეკითხეთ, ვისთან გვქონდა ჩვენ ცხრა ძმას, ბრძოლა... შიში გვდევს

ყველგან, მეკობრული შიში! რომ დავინახოთ ჩვენკენ მომავალნი ბევრი თუ ცოტა, დაუკითხავად ვებრძვით... მოციქული ამოეგზავნა ბაქარს. რაზმს ჩვენსას კვეტარისას, ცხრაკაციანს, ვერ გაებედნა და ვერ ჩაეგზავნა დასაჯერებლად, ბაქარი იყო თუ სხვა კაცი. აქაც ხომ ისევ და ისევ მეკობრული შიშია ჩართული. თვალისს დავუტიე ჯიუტად. მეფისწულია-მეთქი და მოვუყევი: ბაგრატ მეფე ერწოსა და თიანეთზე უფლობს-მეთქი ახლა. აქეთაც მოდის და ბრძოლის ველზე ქვევით დახოცილნი მეფეს წინამორბედნი და მეფისწული არიან-მეთქი. წინამორბედი, თიანეთიდან გადმოჭრილნი და კვეტარის აღმოსავლეთით ხევგრძელასა და ილტოს შესართავთან მოქცეულნი? ისევ და ისევ ჩვენი მეკობრული შიშია. აქ გონება არ ჩანს. გრძნობა და შიში ამოქმედებს ჩვენ გონებას... კვეტარის მეზობლად მდებარე დაბნებში ირგვლივ ხალხში ხმა გავარდნილა: იაზონ ცალქალამანიძემ სასანიანთა ასული ია თანამეცხედრედ მოიყვანაო. ამბობენ თურმე, ბედი აქვს მეკობრეს, კვეტარის ახალომახლო გამველელ-გამომველელის ხალხის მძარცველსაო. ხან ერთი ვაჭრის გაძარცვას მაბრალებენ, ხან მეორისას, საქონლის გატაცებას... მე ვსჯი ბაგრატის მომხრეთ, მე ვძარცვავ და ვაძარცვინებ ბაგრატიანთა მომხრე დიდგვარიანთა დაბნებსაც, მაგრამ ვძარცვავდე ხან ერთს ვაჭარს, ხან მეორეს, ვტაცო საქონელი უმიზეზოდ, ეს ჩემ გრაგნილში არ მიწერია... ახლა იტყვიან, ამ დაბნებში ჰუნეთ აძოვებდნენ იაზონ ცალქალამანიძის ცოლიძმა და მისი ამალა, ვერ იცნეს ცხრა ძმათ მოყვარე და შემოიკლეს ამალიანად ბალახის მოძოვებისათვისო. ჩვენ ცხრა ძმათაგან ჩადენილ საქმეთ ამ ამბავსაც ზედ დაურთავენ. მირანდუხტი ჩემ თანამეცხედრედ გამოაცხადა მეზობელი დაბნების მითქმა-მოთქმამ, მირანდუხტი, რომელსაც ვუცქერ მხოლოდ მალულად, ან მოწიწებით, და ვგრძნობ, თანამეცხედრედ არ დამიჯდება და ამის დარდი გადამიყოლებს...“

მირანდუხტს შეხედა იაზონმა: მირანდუხტი ცრემლს აღარ ღვრიდა. თვალნი უელვარებდნენ, სხივებს დამსჯელს მიმოაბნევდნენ. იაზონმა თვალი ძმებზე გადაინაცვლა, საცოდაობას წარმოადგენდნენ თავდახრილები.

„აი ესენიც გადაირივნენ მირანდუხტისათვის. განა არ ვხედავ? ერთმანეთს დასჭამდნენ მირანდუხტისათვის. მეც ბოლოს მომიღებდნენ, ჩემი შიში რომ არ ედოთ გულში. მირანდუხტისათვის კი ვერ მიეპყროთ თვალნი სახეზე. ძვირად გვიჯდება ჩვენ ცხრავე ძმას ია ქალის ტყვედ ყოფნა“.

იაზონს ფიქრთა დენა შეუჩერდა: ია ქალის ხმა გაიგონა. ია ქალი ტყვედ წოდებული, მიცვალებულთა დასაფლავების წესს უბრძანებდა ცალქალამანიძეთ.

უცნაური მდგომარეობა იყო დამყარებული მირანდუხტის გარშემო. მირანდუხტი უფლობდა კვეტარის ციხე-პალატის არემარეზე: იტყოდა — ყველაფერს ასრულებდნენ მისთვის. მაგრამ კვეტარის ციხე-სიმაგრის კედლების გარეთ ვერ გასდგამდა ფეხს. კვეტარის შიგნით მირანდუხტი უფლობდა, კვეტარის კედლებს გარეთ ფეხის გადგმის მსურველი კი ტყვედ ცხადდებოდა. დიდად დამწუხრებული, ჯერ ერთი, თავისი დატყვევებით, მერმე თავისი რაზმის ამოჟლეტით, ფერისისა და ონოფრეს დაკარგვით, ბოლოს მწუხარება გაასკეცებული მამის სამარეში ჩასვლით, მრაელად დაპირულ კაჟად ეელინებოდა მნახველთ. ძმის სიკვდილმა კიდევ ხომ მთლად ანდამანტად აქცია. ქალი გრძნობდა თავის გაკაჟება-გაანდამანტებას. მაგრამ გრძნობდა თავის დაობლებასაც. გრძნობდა თავის უკიდურეს დაობლებას, მაგრამ დაობლებამ გული და გონება ვერ დაუშრიტა. გული მისი არ იცლებოდა, ბავშვობიდან დედის ნანათი, მამისა და ძმის მოქმედებით და პაპის შეგულიანებით მის არსებაში ჩანერგილი ქართველ ტომთა გაერთიანების მისწრაფებით. ქალს დედა ექვსი წლიდან აღარა ჰყავდა, მამა გამოეცალა ხელიდან თავის მოტაცების შემდეგ. დღეს კი თვალწინ გამოუსალმეს ძმა წუთისოფელს და კიდევ ერთი წყება შინაყმათა.

„მთლად დავობლდი!“ — თქვა გულში გამწარებულმა მირანდუხტმა, როცა მკვდარი ძმა დაინახა.

მთლად დავობლდიო, უნდა გაემეორებინა ქალს კიდევ და შეუჩერდა ეს გამეორება: მარჯვენა ხელი მისი მისდა უნებლიე მის მარცხენა ხელის უსახელო თითზე წამოცმულს ბეჭედს მოხვდა, ბეჭედს გურსის ნაძღვნევს. ბეჭედს ხომ საგრძნობლად დიდი თავი ჰქონდა. მის ბუდეში კიდევ ხომ დიდი თვალი იჯდა დემეტრას ამოზავებული გამოსახულების მქონე. გურსი გაიხსენა მირადუხტმა.

„არა, ჯერ მთლად ობოლი არა ვარ! ახლა ის მომნახავს და ახლა ის დაეღუპება სასანიანთა მოლეულ გვარს. არა, მე აღარ უნდა დავახანო! უნდა გადავდგა ჩემი ნაბიჯი, დედისა ჩემია ახლა, ჩემია ოთხი ჩემი ნამკურნალევი შლეგიანის რაზმიდან: თომა და მისი სამი ამხანაგი თავს

დასდებენ ჩემთვის. აქ თვალისიც მყავს ჩემიანი. და შეიდნი შევძლებთ ჩემი განზრახულის სისრულეში მოყვანას. არა, ამ ექვსმა დახმარება გამიწიონ. მთავარი მე უნდა შევასრულო, – ქალმა გურსის ნაძღვნევ ბეჭდის თვალს მოუსვა ხელი: – თხელი სარქველია ეს თვალი და ბუდე თვალისა კარგა ღრმაა. ცხრა ძმას ეყოფა... ცხრანივე დაიძინებენ ტკბილად, თავისა და ყველასათვის შეუმჩნეველად... საძხრობის უკან ხომ მოისურვებენ მოსვენებას. დაიძინებენ და ძილი დაეუფლებათ, დაეუფლებათ სამუდამოდ. ასე თქვა გურსიმ, აძინებს სამარადისოდო. მე? მე სამარადისო ტანჯვა მერგება. მერმე? ამის სანაცვლოდ ჩემი ქვეყანა მოისვენებს. გურსი მოვა. საქმეს ნახავს შესრულებულს. პატარა რევი? ჩემი პატარა რევი... არა!“

მირანდუხტმა გათვალისწინებულ ნაბიჯებს ბოლო ნაბიჯი გამოაკლო.

ღამე დაეუფლა კვეტარს. პალატის ქვედა სართულიდან ხალხმა გარეთ დაიწყო დენა. ძმანი ცალქალამანიძენი წავიდ-წამოვიდნენ და დილამდე, ციხე-პალატის სხვა ნაკეთებს შეაფარეს თავი. თვით იაზონიც მიეფარა თვალს. დროებით დახოცილთა საყუდრად ქცეულ დარბაზში დარჩნენ მირანდუხტი, დედისა, თვალისი და მირანდუხტის ოთხი ნამკურნალევი რაზმელი. მდუმარე, უძრავი მირანდუხტი ისევ თავის ფიქრთა დენას მისდევდა.

– იადხმობილო! იქნებ წაბრძანდე და მოსვენებას მისცე ცოტა ხანს მაინც თავი! – მიმართა დედისამ მირანდუხტს. – აქ თვალისი თომა და მისნი ამხანაგნი დარჩებიან.

– უჯარმის დედოფალო, მართალს გეუბნება ეს ქალი, – დასძინა დედისას სიტყვებს თვალისმა.

– თომა! – მიმართა მირანდუხტმა თომას. – ქავურდისეული ჰუნე ხომ ცოცხალია?

– ცოცხალია, – უპასუხა თომამ მირანდუხტს.

– თქვენ ოთხივეს ხომ გყავთ ჰუნენი! – ჰკითხა მირანდუხტმა ისევ თომას და პასუხად ჰო გაიგონა. მირანდუხტმა თვალისს გადახედა.

– ცოცხალია ჩემი ჰუნეც, – უპასუხა თვალისმა. – ცოცხალია ბაქარისაც და მის მხლებლების ცხენებიც, – დაურთო თომამ.

დედისა დამშვიდებით უგდებდა ყურს მირანდუხტის ამ შეკითხვებს.

– მეჯინიბე ჩემი ხელით არის მორჩენილი, – წაილაპარაკა მირანდუხტმა.

— მეჯინიბეცა და ბევრი სხვა კვეტარელიც, — დაურთო მირანდუხტის სიტყვებს დედისამ და მირანდუხტი თითქოს დედისას ამ სიტყვებმა დააკმაყოფილესო, აღარ შეჩერდა მიცვალებულებთან და ზედა სართულისკენ გაემართა. გვერდში დედისა ამოუდგა.

— მეც ხომ წამიყვან, იადხმობილო, აქედან? — შეეკითხა მუდარით.

— მაშა! — მოკლედ მიუგო იადხმობილმა და კიბეს აჰყვა.

— ოთხი ერთგული ვაჟკაცია მყავს! — ამცნო დედისამ სასანიანის ასულს, კიბეზე ასელისას.

— დაგეჭირდებიან. — უთხრა მირანდუხტმა თანამგზავრს და ზემო სართულში ფეხი შედგა.

ქვემო დარბაზში დარჩნენ თვალისი, თომა და მისნი ამხანაგნი. შუაღამემ მოაწია. გული არჩვიაძისა მოუსვენრობდა. მირანდუხტი რასაც აპირებდა, იცოდა თვალისმა. ძნელ საქმედ მიაჩნდა ეს არჩვიაძეს. შესაძლებელი იყო, დაელუპა ამ ნაბიჯის გადადგმას მირანდუხტი. თავს კი გადასდებდა არჩვიაძე სასანიანის ასულისათვის, მაგრამ რას მოუტანდა იას, მეკობრეთა კლანჭებში ჩავარდნილს.

„უფლობს კია ყველას აქ, — გაივლო გულში თვალისმა, — უბრძანებს და არა, დედისაც რომ მიუმხრია. ქმარსაც კი არ ინდობს ეს ქალი. დასანდობი რომ არ არის არც ერთი ცალქალამანიძე, ეს ჩემთვის ნათელია, მაგრამ ქმარს ცოლი არ ინდობს. როგორ ჩაუნერგა ასეთი სიძულვილი დედისას მირანდუხტმა. ნეტავი როგორ მოინადირა გული აეთის ცოლისა?“ — ეე! ღმერთო ჩემო, — ხმამაღლა წამოილაპარაკა თვალისმა ბოლო სიტყვა.

— რა იყო, არჩვიაძევ? — ჰკითხა ნამეკობრალმა თომამ. — რას ამოიოხრე. შესაწუხარი ბევრი რამ მოხდა, მაგრამ შენ კიდევ ზედმეტი რაღაც გაწუხებს.

— რა და უჯარმის დედოფალმა, თქვენმა მკურნალმა ხომ გკითხათ, თქვენ ოთხივეს ცხენები თუ გყავთო?

— გვკითხა. — დაუმოწმა თომამ თვალისს, — საქმეს აპირებს, მიუხვდით? მიხვდით, არა? — ჰკითხა თომამ ამხანაგებს.

— მივხვდით, — უპასუხეს მათ.

— მთელი კვეტარის ციხე-პალატის გადაბუგვაც რომ ჰქონდეს გულში იადხმობილს, — თქვა თომას ერთმა ამხანაგმა, — ხელს შევუწყობთ. ცოლ-შვილი გავაცალეთ კვეტარს. ჩვენ იასთვის ვართ აქ დარჩენილნი.

— ჩვენ მეკობრეებს ია ქალი გვკურნავდა, ია ქალი! — დაიწყო თომას მეორე ამხანაგმა. — თავიანთ პალატში: არაფერს არ იშურებდა ჩვენთვის, სხვა პატიოსან დაჭრილებში არ გვარჩევდა. ჩვენ იასათვის თავს დავდებთ აუცილებლად. მოვრჩით, დავუბრუნდით ჩვენ პატრონებს, მაგრამ სამუდამოდ როდი? ხომ ნათქვამი აქვს თომასაც. ძნელია ჩვენთვის ახლა მეკობრეობა. თუ დაჭრილ სხეულს გვიკურნავდა იადხმობილი, მეკობრეობით დამახინჯებულ სულსაც არ გვიტოვებდა უნუგეშოდ.

— ჩვენ გვწადიან სიკეთისათვის სიკეთე ვუძღვნათ იადხმობილს, — განაცხადა თომას მესამე ამხანაგმა.

— ხომ გაიგე, არჩვიაძევ, რა გითხრეს ჩემმა ამხანაგებმა? — მიმართა თვალისს თომამ. — მეც ვუმატებ ჩემსას. ჩვენ ვეყმობით ია, სახლეულობით, ვეყმობით, არა? — მიმართა თომამ ამხანაგებს.

— ვეყმობით, ვეყმობით! — დაუმოწმეს მათ.

თვალისმა თავისუფლად ამოისუნთქა. ახლა კი დაიჯერა, რომ უჯარმის დედოფლის მონაფიქრი მტკიცე ნიადაგს ემყარებოდა.

„ოთხნი ესენი, — დაიწყო თავისთვის თვლა არჩვიაძემ, — ოთხიც დედისას ჰყოლია. როგორც წელან მითხრა, ოთხი ეროგული ვაჟკაცი, ეს რვა, მეჯინიბე — ცხრა, მე მეათე და მირანდუხტი და დედისა თორმეტი. მერმე სხვების დაბნეულობა, გამოწვეული ცხრა ძმათა სამარადისო ძილით. დილავ, გათენდი! დილავ, გათენდი!“

ღამე სულს უხუთავდა არჩვიაძეს. დილა კი თითქოს მოსვლას ჯიუტობდა. მირანდუხტი ჩამოვიდა ზედა სართულიდან, ბაქარის გვამთან მივიდა. ხელი დაადო თავზე, მის მკერდს შუბლი დააყრდნო. დედისაც ჩამოვიდა და მირანდუხტს გვერდით ამოუდგა. აღარ შორდებოდა იადხმობილს.

— იცი, დედისავ, რომ ჩემი ძმა აღარა გრძნობს ჩემს შეხებას?.. — შესჩივლა მირანდუხტმა ცრემლთა დენით. — აი ახლა ხომ მაგრად სძინავს. გაიღვიძე, ბაქარ, გაიღვიძე! დილაა, ვაჟკაცო, დილა!

თვალისმა გაიგონა, რომ გათენებულიყო. ნამეკობრალნი ფეხზე წამოდგნენ.

— დილაა, ბაქარ დილა! — გაიმეორა მირანდუხტმა. — ჩანს, გულიდან ამოურეცხივარ ჩემ ძმას, რა დავუშავე?.. არა, დავუშავე, როგორ არა. დავუშავე ჩემი დედამიწაზე მოსვლით!..

თვალისმა ვეღარ შეიკავა თავი და თვალთაგან ცრემლები წასკდა. დედისამ ხელი დაადო მხარზე იადხმობილს და ძმის მკერდიდან შუბლი ააღებინა. თვალცრემლიანი ნამეკობრალნი მირანდუხტის წინ გაჩერდნენ.

— აქა ხართ!

— აქა ვართ მთელი ღამე!

— ჩემთან იქნებით ხომ?

— როცა კი გვიბრძანებს, საცა კი გვიბრძანებს ყოფნას სასანიანის ასული, — უპასუხა თომამ და ამხანაგთ მიმართა: — ხომ მართალს ვამბობ?

— მართალს ამბობ, მართალს. — დაუმოწმეს მათაც.

— შუაღამისას ბარით და ნიჩბით ბაქარის სამარესთან უნდა იყოთ, — უბრძანა მირანდუხტმა ნამეკობრალთ. — ბაქარის ჰუნეც თან უნდა გყავდეთ.

— ჩემებიც მოვლენ! — დასძინა მირანდუხტის სიტყვებს დედისამ.

— საჯინიბოში ჰუნენი ყველასათვის მზად უნდა იყვნენ, — ბრძანა მირანდუხტმა.

— მზად იქნებიან, — უთხრა თომამ და ამხანაგებიანად პალატის ქვედა სართული მიატოვა.

თვალისი მიცვალებულებთან დარჩა. მირანდუხტი კი დედისამ ისევ პალატის ზემო სართულში აიყვანა. — ცოტა წაიძინე, იავ. ძალა მოიკრიბე, ამაღამ უნდა ვიმგზავროთ! — უთხრა მირანდუხტს დედისამ.

3

ნაშუადღეს საფლავები მზად იყო: ერთი — ცალკეული — ბაქარისათვის და ერთიც — საძმო ბაქარის შინაყმებისათვის. პალატის ძირა სართულში დასვენებული დახოცილები მძიმე ლოდად აწვებოდათ გულზე და სულს უხუთავდა როგორც თვით ძმათა ცალქალამანიძეთ, ისე მათ გარშემო მყოფ მახლობლებს, მათ შინაყმებს, ციხე-პალატის არეზე მობინადრეთ. ცალქალამანიძენი ხმაგაკმენდილნი დაიარებოდნენ, დანარჩენები ჩურჩულით თუ დაბალი ამოთქმით ლაპარაკობდნენ რაიმე აუცილებელი ნაბიჯის გადადგმაზე, მიცვალებულთა დასაფლავების მომლოდინენი. უცნაური ხდებოდა ეს მოვლენა ბრძოლებით სავსე ხანაში, როცა დაუნდობელი ხოცვა და ჟლეტა ვრცლად მოსდებოდა ქართველ

ტომთა ქვეყანას, ტომი ტომს ერკინებოდა და მტერი შემოსეული ცალკე თვითონ ჰხოცავდა თავისი ძარცვა-გლეჯის საგნად გამხდარი ქვეყნის შვილებს, ცალკე მორკინალი ტომების ერთმანეთზე წაქეზებით თავისაგან დახოცილთა რიცხვს ადიდებდა. ხალხი ხომ ეჩვევა ამ მოვლენას, ხალხს გული უქვავდება და მიცვალებულთა მზერის სიმძიმე აღარ აწუხებს. თითქოს კვეტარის კედლებში ხოცვა-ჟლეტის ხშირ მოწმე მცხოვრებთ შორის მიცვალებულთა მზერის სიმძიმე არაფრად უნდა მიეჩნიათ. თითქოს ყოველ შეხვედრისას კვეტარელთ ან ერთმანეთისათვის უნდა გაელიმათ, ან ვისმეზე წყრომით აღესილთ მრისხანებით უნდა ემზირათ, მაგრამ ახლა ადამიანი ვერას ამჩნევდა კვეტარელებში ამგვარ რამეს. ყოველ კვეტარელს სახე ჰქცეოდა რუხფერ ღრუბლებით დაბინდებულ ცად, შუბლულიმარ და შუბლმრისხანე შემოდგომის ცად. მიცვალებულთა ჩასვენება სამარეში გვიანდებოდა. მირანდუხტი ეთხოვებოდა ძმას და შინაყმათ. იადხმობილს აჩქარებას ვერ უბედავდნენ.

— ხანი მიდის, საღამოს ჟამი მოახლოვდება და გვიან იქნება! — გაახსენა არჩვიაძემ.

მირანდუხტი შეკრთა და გასცილდა დახოცილებს. დახოცილები გაასვენეს ცალქალამანიძეანთა პალატიდან. მიიტანეს სამარეებთან... სამარეთა უბეებს მიაბარეს დახოცილები, ნიჩბები აამუშავეს და ორი ბორცვი აღიმართა კვეტარის საყდართან. ასრულდა პირველი ნახევარი მიცვალებულთა რიგისა. მიწამ დაფარა დახოცილნი და კვეტარელთ მოეშვათ ლოდი, გულს მოწოლილი. ალაპარაკდნენ. წავიდ-წამოვიდნენ. ცხრა ძმა პალატის ძირა სართულში სუფრას მიუჯდა მიცვალებულთა რიგის მეორე ნახევრის შესასრულებლად. თუ ციხე-პალატის არემარეზე სხვა მრავალი ალაპარაკდა, ძმანი სდუმდნენ. ლუკმა პირში უჩერდებოდათ. სუფრაზე მსხდომნი ვერ ახერხებდნენ ლაპარაკს. პირისპირ მსხდომთ ერთმანეთისათვის ვერ შეეხედათ. ტყვე მირანდუხტის ტყვედქმნილი ძმანი ერთი მეორეს მეტოქედ ევლინებოდნენ.

მირანდუხტი ჩამოვიდა ზესართულიდან. სუფრასთან მივიდა. ძმანი დაფაცურდნენ. მირანდუხტმა ხელი ასწია ოდნავ: ყველანი შეჩერდნენ. ბრძანებას ელოდნენ. ზევიდან ახლა თვალისი ჩამოვიდა ფიალითა და საღვინით ხელში. მირანდუხტთან მივიდა. მირანდუხტმა უბრძანა და თვალისმა საღვინე დახარა ფიალაზე. ფიალა აივსო წითელი ღვინით. მირანდუხტმა თვალისს ფიალა ჩამოართვა და იაზონს გადააწოდა.

— მიცვალებულთა შესანდობარი! — უბნო მოკლედ ქალმა იაზონს, — ძველთა, ახალთა დღეკანდელოთა და მომავალთა.

იაზონმა წესისამებრ ფიალას პირი მოუქცია პურზე, სიტყვასიტყვით გაიმეორა მირანდუხტის სიტყვები, ფიალა გამოსცალა და დაუბრუნა მირანდუხტსვე. მირანდუხტმა საკვე ფიალა ახლა აეთის მიაწოდა. აეთიმაც უკლებლივ გაიმეორა მირანდუხტის სიტყვები და ფიალა პურზე ოდნავ პირმოქცეული გამოსცალა. სავსე ფიალა დანარჩენ ძმებსაც ჩამოურიგა და ყველამ დასცალა მირანდუხტის თქმულის განმეორებით და საღვინეც გამოიცალა.

მირანდუხტი და არჩვიაძე ისევ ზედა სართულს დაუბრუნდნენ. ცალქალამანიძეებმა კი იადხმობილის მორთმეული ღვინისაგან იშვიათი სიამოვნება განიცადეს. ყველას რაღაც სასიამოვნო სითბომ დაურბინა ტანში. ყველანი ალაპარაკდნენ. დუმილი დაირღვა. ყველას სხივები სცვიოდა თვალთაგან.

კარგა ხნობამდე ისხდნენ ძმანი სუფრაზე. დაღამდა. ძილმა წაართვა ყველას თავი. ხვრინვა გაისმა სუფრის გარშემო, ხმაურიანი. ხმა ხვრინვისა ნელნელა შესუსტდა და ბოლოს ისლიანად მიწყდა.

შუაღამემ მოაწია. მირანდუხტი და თვალისი ზედა სართულიდან ჩამოვიდნენ. გარედან დედისა შემოვიდა შეკავშნული.

— დრო არის, ახლა საქმეს შევუდგეთ, — თქვა მირანდუხტმა.

დედისამ სუფრაზე მსხდომთ გადახედა კრძალვით. ქალს ეშინოდა, ვაითუ საწამლავმა არ იმოქმედოსო, და თვალი მირანდუხტზე შეუჩერდა.

— ვერა გვავნონ რა ჩვენ ძმათა ცალქალამანიძეთა ახლა, — წარმოთქვა მირანდუხტმა მტკიცედ დედისას დასამშვიდებლად. — ახლა ესენი თავის წინაპარ არგოელსა და მის ბოროტ მეულლეს მედეას ეწვევიან.

ღრმა რწმენით თქმულმა ამ სიტყვებმა დედისა დაამშვიდა.

— ნუღარ ვახანებთ, — თქვა მირანდუხტმა, როცა დაინახა, დედისა დამშვიდდაო.

— ჰუნები მზად არიან, — მეჯინიბე მოგველის საჯინიბოში.

თომა შემოვიდა დარბაზში.

მირანდუხტმა კითხვის თვალით შეხედა.

— იადხმობილო! ამოვიღეთ სამარიდან თქვენი ძმა და, როგორც გვიბრძანე, თავისსავე ჰუნეზე შევსვით, — უპასუხა თომამ. — ოო, ღმერთო!

რა მხედარია, უსულოც კი. მე დავრწმუნდი. გავიდეთ აქედან და ისინიც მოვლენ უსულო მხედრითურთ.

— გალავნის კარები? — იკითხა მირანდუხტმა.

— სხვა შენ ნამკურნალევთა ხელში არის! — უპასუხა თვალისმა. — რომ ვასაფლავებდით დახოცილებს, იქ მოსულიყვნენ. ვიცანი. შენი ერთგულნი არიან.

პალატიდან გავიდნენ ყველანი. ერთი ორი ნაბიჯიც კი არ გადაედგათ პალატიდან გამოსულებს, რომ უსულო მხედარი მოაგებეს შეჯავშნული. ყველანი უსულო მხედრით საჯინიბოსაკენ გაემართნენ. საჯინიბოში ცხენები მზად იყვნენ. საჯინიბოშივე ელოდა დედისას მისი ერთგული ოთხი ვაჟკაცი, შეჭურვილი.

— მეც მოგდევ, უჯარმის დედოფალო! — უბნო მირანდუხტს მეჯინიბემ. — შენ უნდა გეყმო.

— ეს ათი მცველი მაშ ციხე-პალატის არემარედან, — დასძინა მეჯინიბის თქმულს მირანდუხტმა.

ყველანი ცხენებს მოახტნენ და ციხე-პალატის გალავნის კარისკენ გაემართნენ. აქ არვის შეუჩერებია მიმავალნი. მეკარენი ისევ მირანდუხტის ნამკურნალევი აღმოჩნდნენ. თვალისმა რომ თქვა, დასაფლავებას დაესწრენო, სწორედ ისინი. გაიარეს მეორე გალავნის კარიც. კიდევ მირანდუხტის ნამკურნალევი იყო ორი მეკარე. ეს ორიც ციხე-პალატის გალავნიდან გამოსულებს შეუერთდა. მესამე გალავნის კარს მიადგნენ. აქ ორი მხედარი მკვდარი ეგდო და სხვა ორი მხედარი მახვილამოღებული სდარაჯობდა გალავნის კარს. მცირე რაზმი შექმნა მირანდუხტს თექვსმეტი ვაჟკაცისაგან შემდგარი. მეჩვიდმეტე მხედარიც იყო, მხოლოდ უსულო. ისე შეესვათ თომას ამხანაგთ ბაქარის ცხედარი ცხენზე, რომ ღამით ცოცხალ მხედარში ვერ გამოარჩევდი. ბევრს ცოცხალი ეგონებოდა; ცოცხალი, მხოლოდ კი მდუმარე, ლაპარაკს არ მოყვარული. მირანდუხტი და დედისა, შეჯავშნულები, მხედრების შუაგულს მოქცეულნი, მდუმარე მხედართან ერთად, მხედრებს მბრძანებლობდნენ.

პატარა რაზმმა ერწოსკენ მიმავალი მოკლე ბილიკი გამონახა. ძნელი გასავლელი ადგილები ედოთ ამ მიმართულებით და მაინც ეს მოკლე ბილიკი აერჩიათ ნამეკობრალთ.

— ამ სიძნელეებს ადვილად გადავლახავთ, — თქვა თომამ. — თიანე-

თისაკენ მიმავალ გზაზე კი ჩვენ შეგვხვდება უარესი დაბრკოლებანი. აღსართანის მარბიელებთან გვექნება საქმე.

— ეს ბილიკი კარგად ვიცი, ერწოელი ვარ, — თქვა თვალისმა, — მანდილოსნებს გაუძნელდებათ აქეთკენ სიარული. თიანეთის გზა კი თავისუფალი იქნება მარბიელებისაგან. აღსართანი ახლა ხომ თელავში ბუდობს?

— აღსართანი მართალია თელავში არის, — წაილაპარაკა მეორე ნამეკობრალმა, — მაგრამ აღსართანის მარბიელთა გუნდები კიდევ დაძრწიან თიანეთისკენ მიმავალ გზაზე თვით პატრონის დავალებით. ამ გზაზე გუშინწინ გამოვიარე.

— ჩვენ იადხმობილმა გვიყმო ჩვენივე თხოვნით, — განაცხადა მესამე ნამეკობრალმა, — და ჩვენს პატრონს ალალად უნდა ვემსახუროთ. ეს ჩვენი სიალალე ამ ბილიკით მიგვითითებს ერწოსკენ წასვლას. ჩვენს პატრონს აქეთ უვნებლად გავატარებთ. თიანეთისკენ მიმავალ გზაზედაც გამოგყვებით, უარს არ ვიტყვით, მაგრამ აღთქმით კი ვერ აღგითქვამთ ამ გზით უეჭველ გამარჯვებას.

თვალისი ყოყმანობდა და მირანდუხტი ჩაერია დავაში.

— ჩემ ნამკურნალევთ კვეტარშივე გამომიცხადეს ყმობა! — უბნო იადხმობილმა არჩვიაძეს. — ვენდოთ, თვალის, შენცა და მეც. კვეტარი დავაგდეთ უვნებლად. ხელი შეგვიწყვეს და ეჭვი არავის შეგვპარვია აქნობამდე მათ სწორ სამსახურში. ეჭვი არც ახლა დაგვბადებია; ჩემო თვალის, შენ გზა გაფიქრებს. ნუ გეშინია, მირანდუხტი და დედისა კვეტარის დაგდებას არ მოერიდნენ, არ შეუშინდნენ და ჩემ ახალ ყმათაგან არჩეულ ბილიკსაც გადალახავენ...

მირანდუხტი გაბედულად გაუდგა ნამეკობრალთაგან არჩეულ ბილიკს. მას მიჰყვა უკან დედისა, არჩვიაძე, მერმე უსულო მხედარი, რომლის ჰუნის სადავე არჩვიაძეს ეჭირა ხელში, და შემდეგ დანარჩენნი რაზმისანი. რამდენიმე ხევი გადასჭრეს. ამ ბილიკზე არც მირანდუხტსა და არც დედისას უკანდაბევა არ გაუელიათ გულში.

— იორს მივადექით! — აღნიშნა წინმიმავალმა თომამ.

ერწოს ფეხშედგმულმა პატარა რაზმმა ნოკორნას მიაშურა მირანდუხტის სურვილით.

როცა შურისძიება სისრულეში იქნა მოყვანილი და კეთილმოსურნეთაგან ზურგმაგარმა მირანდუხტმა კვეტარიდან ძმის გვამის გაცლა

მოიწადინა, აისრულა ეს წადილიც. მაგრამ უარყო უჯარმას დაბრუნება. უჯარმის გზა ცალქალაქანიძეთა ნათესაურების მდევარს უქადდა კვეტარიდან. ნამეკობრალთა დამონებით ერწო თავისუფლდებოდა აღსართანის ლაშქრისაგან. ამიტომ მირანდუხტმა გადაწყვიტა ნოკორნას მისვლა და იქიდან კი ჯვარში გამგზავრება ვაჩე პაპასთან. ქალს სწადდა, პაპასთან ერთად დაეცრემლა საყვარელი ძმის უსულო გვამი და დაემარხა მცხეთას, მის ადრეულ წინაპართა საძარადისო განსასვენებელში. კვეტარის სამარეში ძმის სამუდამოდ ჩარჩენას გული უარს უყო.კდა ქალს და ხელი მოემართა. გვამი თან მოსდევდა.

ნოკორნაში არჩილის საფლავზე მხურვალე ლოცვაში გაატარა მზის ამოსვლამდე.

ლოცვებმა თითქოს დააშვიდეს სასანიანის ასული. ასცილდა მზე ტატნობს. მირანდუხტმა სწრაფად აყარა რაზმი და ბაქარის გვამი ისევ გაამართვინა ცხენზე. გვამს ღამით უნაბდოს, დღისით მგზავრობისათვის ნაბადი წამოასხეს. რაზმი გაუდგა გზას. მირანდუხტი ესწრაფოდა, მალე ენახა ვაჩე პაპა და ეამბო ყველაფერი.

გზაზე მირანდუხტსა და მის რაზმს ხვდებოდნენ ბაგრატის ლაშქროსანი, ხშირად აჩერებდნენ და ერწოდან მომავლებს ამოწმებდნენ. მაგრამ გვარის – სასანიანის გაგონებაზე მსწრაფლ გზას უხსნიდნენ მირანდუხტის რაზმს.

ბაქარის ⁝აკვდილის ამბავს და მირანდუხტისაგან ჩადენილ დიდ შურისძიებას ნამეკობრალნი ყოველ შეხვედრილ გუნდს მოუთხრობდნენ. მათ კიდევ ბაგრატს ამცნეს ყველაფერი.

შუადღისას რაზმი ჯვარის მთის ვაკე'ზე მოექცა. მოხუცებულ ხუროთმოძღვარს მოჩვენება ეგონა, კარს რომ მირანდუხტი მიადგა თავისი პატარა რაზმითურთ, რომელშიაც მოჩანდა ვინმე ნაბადწამოსხმული მხედარი, უძრავად მჯდომი ცხენზე. ვაჩეს რამდენიმე ხანს ხმა არ ამოუღია. რამდენჯერმე ხელი მოისვა თვალებზე. მოჩვენება არა ჰქრებოდა. მირანდუხტი თვალწინ ედგა ცხენზე მჯდომარე და მერმე დაქვეითებულნი. მირანდუხტს ცრემლი სდიოდა ღაპაღუპით.

– იავ! ჩემო იავ! ჩემო პატარა იავ! – წამოიძახა ბოლოს არსაკიძემ და თვითონაც თვალთაგან ცრემლები გადმოაბნია, მაგრამ ცრემლები სიხარულისა, მირანდუხტი რომ ცოცხალი დაუბრუნდა.

— პაპავ! ჩემო პაპავ! მამა და ბაქარი აღარ გვყავს, მამა და ბაქარი! — შეკღაღადა შვილიშვილმა ვაჩეს და თვალთაგან მონადენი სიხარულის ცრემლები შეუჩერა.

ქალი გადაეხვია პაპას. მის მკერდში ჩამალა თავი.

მოხუცს თავზარი დასცა მირანდუხტის ღაღადისმა. ცხენიდან ჩამომხტარმა თვალისმა გაფითრებულს ხელი შეაშველა, საშინელი ამბისაგან შერხეულსა და აკანკალებულს.

ჩამოხტნენ დედისა და მისი წამოყვანილი ოთხი ვაჟკაცი. ნამეკობრალნი, ნამკურნალევნი, ნაყმევნი.

რამდენადმე მოსულიერებულმა ვაჩემ დაინახა, რომ ნაბდით შებურვილი მხედარი არ აპირებდა ცხენიდან გადმოსვლას, მაგრამ მის ცხენს მირანდუხტს მოყოლილი ვაჟკაცნი მოეხვივნენ და საქმეს შეუდგნენ. ერთმა ნაბადი აუწია მდუმარე მხედარს, დანარჩენთ მის დამამაგრებელ თოკებს ხსნა დაუწყეს. თოკები დაუხსნეს სასწრაფოდ და მხედარი ჩამოსვეს ცხენიდან. ნაბადი გაშალეს მიწაზე და ცხენიდან მიწაზე დაასვენეს. მხედარი წინააღმდეგობას არავის უწევდა.

ვაჩემ მხედარი ჯერ ტყვედ მიიღო, მერმე თვალი შეასწრო მდუმარე მხედრის მუზარადზე ოქროთი ნაწერ ჭაბუკს, დავით ებრაელთა მეფეს და მის შურდულს, და მაშინვე მიხვდა, რომ მხედარი ბაქარი იყო, მიცვალებული.

მოხუცმა დაუჩოქა მხედარს და ცხარე ცრემლი დააყარა.

— ვინ დამისერა გული ასე დაუნდობლად, ვინ? — წამოიღაღადა გამწარებულმა ვაჩემ. პაპის გვერდით იადხმობილმაც დაიჩოქა.

— აი, ბაქარ, ჩემო საყვარელო ძმაო, ვაჩე პაპასთან მოგიყვანე! — მიმართა დამ მიწაზე დასვენებულ გვამს. — რატომ ხმას არ სცემ? ხომ საყვარელი შვილიშვილი ხარ მისი. ხომ პაპამ შეგაყვარა ბაგრატიანი? ძმაო, არ გრძნობ, რომ ცრემლს გაყრის პაპა? რატომ ატირებ, რატომ? მოხუცებული შეიბრალე! პაპავ! პაპაჩემო! გაკერპდა ბაქარი, არ იგონებს ჩემ ღაღადისს! — ქალმა ახლა თვალისს, ნამეკობრალებს, თავის ყმად გამცხადებლებს, დედისას თანმხლებლებს და თვით დედისას მიმართა. — ოოჰ! ხალხნო, იქნებ თქვენ გააგონოთ ჩემ ძმას, შეასმინოთ! დის სიტყვას აღარ ისმენს!

ამ მიმართვაზე დედისამ ბაქარის ცხედარს ხელი დაადო:

— სასანიანთა ნატამალო ვაჟკაცო! — მიმართა დედისამ მიცვალებულს და თან ცრემლები გადმოაფრქვია. — უბედური ხარ, რომ მუხანათურად დაგამარცხეს და სამუდამოდ მიგადუმეს! ბედნიერი ხარ, რომ დაი და პაპა დაგტირიან. უბედურია ის ვაჟკაცი, როს თავისიანიც კი არ დასტირის შენებრ უსულოდ ქმნილს, როს თანამეცხედრეც კი ზიზღით უცქერის და წამს მიწის კერძად უნდა აქციონ!.. შენთვის კი ტაძარი ღია არის...

არჩვიაძეთა ნატამალი წინა წამოდგა.

— უჯარმის დედოფალო, დიდო მოხუცო და დედისავ! — მიმართა თვალისმა სამ მოტირალს. — აკმარეთ ცრემლი სამუდამოდ დადუმებულს. ნუ მოვაკლებთ ტაძრის წიაღში მოსვენებას.

ბაქარის გვამი ტაძარში შეასვენეს, ბევრი მედავითნე გამოცხადდა დაეთინის საკითხავად.

მირანდუხტი და დედისა ქალებისათვის განკუთვნილ თემესტიას ოთახში მოთავსდნენ.

— აი აქ მწადიან გავატარო ჩემი ღღენი, — უბნო მირანდუხტმა აეთი ცალქალამანიძის ნამეუღლარს. — მამაჩემისა და ჩემი ძმის მკვლელნი წუთისოფელს გამოვასალმე, შური ვიძიე. მძიმე საქმეა შურისძიება. დიდი ცოდვაა და ეს ცოდვა უნდა მოვინანიო. ამ ცოდვას ერთი რამ მიმსუბუქებს, ქართველ ტომთა ქვეყანას ბოროტი შვილები მოვაშორე. თუ კი ქრისტე ხალხის გულისათვის ეწამაო, მეტყოდა ხოლმე მამაჩემი, ხალხის მტრის მოსპობა მაშ მადლიაო. მაგრამ შურისძიება მაინც ცოდვაა.

აქ სიტყვა შეუწყდა, რადგან მოახსენეს, პაპა გიხმობსო.

მირანდუხტი სენაკში ეწვია ვაჩეს. პაპამ გულში ჩაიკრა ქალი.

— თვალისმა კიდეც მითხრა, — დაღვრემით დაიწყო მოხუცმა, — მამაშენი შენს დარდს გადაუტანია. ბაქარი გიორგი მეფისწულის მუზარადს უმსხვერპლია. ბასა ყოფილა შენთან. ცხრა ძმა მოგიწამლია დედისა, ნამეკობრალნი — ნამკურნალევნი, შენ რომ გეყმნენ ესეც ეიცი, ვინც არიან. ცხრა ძმაზე რაღაც უცნაურად გიუფლია. ყველა მოგიხიბლია, შვილო, იმ კვეტარში, ყველა. ყველა შენ წინ თურმე თავს იხრიდა. პირველი გაგონებაა, რომ მკვლელებს მოკლულის დისთვის თვალი ვეღარ გაესწორებინოთ.

— შენ, შვილო, გმირი ხარ, გმირი! — უთხრა ვაჩემ მირანდუხტს. — ხარ ნამდვილი ნატამალი ძველთა მეფეთა ნათესავის, სასანიანისა და

ნათესავისა ბრწყინვალეთა მათ ძლიერთა და ძველთა მეფეთა არსაკიანთა. შენ უნდა გახდე ქართველ ტომთა დედოფალი.

მირანდუხტი შეკრთა ამ თქმაზე: ქალს ველარ წარმოედგინა თავისი თავი დედოფლად. თვალებში შიში ამოესახა. ფიქრადაც აღარ მოსდიოდა გიორგი მეფისწულის თანამეცხედრეობა. პაპის სიტყვები გულზე ლოდად აწვებოდა.

— არა, პაპილო, არა! — წამოილულღლუღა მან. — არა! ქვეყნისათვის თავს დავდებ, შევეწირები მსხვერპლად და დედოფლობას კი ველარ გავწევ!

— რას ამბობ, ქალო? — შეკითხა გაოცებული მოხუცებული შვილიშვილს.

— შურისძიება ცოდვაა ხომ, პაპაჩემო? — შეეკითხა მირანდუხტი. — ეს ცოდვა ჩავიდინე და მთელი სიცოცხლე ამ ცოდვის მონანიებაში უნდა გავატარო.

— რაო? შურისძიება ცოდვაა? — წამოიძახა მოხუცმა. — მოუსპო ჩვენ ქვეყანას ბორკტი შვილნი, მომსპობნი ქვეყნის საუკეთესო შვილთა და შურისძიებად აღიარო ეგა? შენ წმიდანად უნდა გამოგაცხადონ! შენ ჩოქვით უნდა გთხოვონ ბაგრატიანთა, რომ ტახტი, შენთა წინაპართა გაუნაწილო!

— მე საუბედუროდ მოვლენილვარ ჩემიანებს! — წამოიძახა მირანდუხტმა. — არ ვყოფილიყავ ქვეყანაზე, ცოცხალი დარჩებოდნენ მამაც, ბაქარიც

ეს თქვა მირანდუხტმა და თვალთაგან ცრემლები გადმოღვარა, ბაქარზე გადაანაცვლა ლაპარაკი. ქალს არ ჰსურდა ხუროთმოძღვარს კიდევ ეთქვა რამე გადედოფლებაზე.

— პაპილო, მცხეთას დავასაფლაოთ ბაქარი, — უთხრა პაპას და ბაქარის სახელის გამეორებაზე კიდევ გადმოყარა ცრემლები. — უჯარმას, ვინ იცის, რა იქნება ახლა!

ვაჩე შეფერიანდა. უხერხულობა იგრძნო მოხუცმა, რომ მირანდუხტის დედოფლობაზე გააბა ბაასი და მიცვალებულის დასაფლავება კი დავიწყებას მისცა.

— კარგი იქნება, შვილო, კარგი! — მოუწონა პაპამ. — უეჭველად მცხეთას, უეჭველად!

მოხუცი ზეზე წამოდგა და საყდრისაკენ გაემართა. დავითნი უნდა ეკითხნა პაპას შვილიშვილის ცხედართან. მირანდუხტი თემესტიას ოთახს დაუბრუნდა. აქ დედისა სევდას შეეპყრო: აეთი ცალქალამანიძის ქვრივს შავი ფიქრები დაჰხვეოდნენ. თავი ვერ დაეღწია მათგან. გულიდან ლოდი მოსცილდა, რაკი ოთახში მირანდუხტი შემოვიდა.

— იავ, ჩემო იავ, შენ რომ ჩემთან ხარ, მხნედ ეგრძნობ თავს! — შეჰღუღუნა ქალმა სასანიანის ასულს. — თავს რომ მანებებ, შიში მეპარება გულში, შიში მარტოობისა. მე ხომ არავინა მყავს? იქ კვეტარში გაბრუებული ვცხოვრობდით. ყველაფერს, რაცა ხდებოდა ჩემ გარშემო, წესიერ აბბად ვგონებდი. ჯერ კიდევ ნორჩი მიმათხოვეს აეთი ცალქალამანიძეს. ჩემი მშობლები ცალქალამანიძიანთ მომხრენი იყვნენ. მითქვამს ყველაფერი ეს შენთვის. ერთი მეკობრე გვარისაგან, მეორეს გაძარცვა არაფრად მიაჩნდათ მათ, ესეც ხომ მითქვამს შენთვის. ტყვედ შემოგიყვანეს შენ და შემეშინდა შენი. შენს თვალებში კიცხვა ამოვიკითხე. არ მესმოდა, თუ რას ჰბედავდი გასაკიცხს. სიმართლეს კი ვგრძნობდი ამ გაკიცხვაში. შენ ამიხილე თვალები და დავინახე, გასაკიცხი რაც იყო. შენ კი წელან თქვი, შური ვიძიეო. შურისძიება ცოდვააო. რატომაა ცოდვა? შენ თქვი ცოდვა უნდა მოვინანიოო. რატომაა ცოდვა ბოროტი ხალხის მოსპობა? იმ მოსპობილთა ბუდე ხომ დაიშლება! ამ ბუდეში დარაზმულნი ხომ დაიქსაქსებიან და კეთილ ხალხს ისე აღარ შეაწუხებენ. შენი შურისძიებით იმ ბუდეში თავმოყრილი კეთილი ხალხი ხომ თავისუფლად ამოისუნთქავს! სადაა ცოდვა? შურისძიება ცოდვააო. მაშ ცოდვა ჩავიდინე, რომ არ გაგეცი, დაგეხმარე, ქმარი გავწირე. არა, მირანდუხტ! საშინელებაა, ვგრძნობ, ცხრა ძმა ცალქალამანიძეთა მოწამვლა, მაგრამ შენ არ იყავი, რომ დამანახვე, რამდენად უფრო საშინელებაა იმათი ჩადენილი საქმეები? ეს მოწამვლა არ მომხდარიყო, ვინ იცის, ცალქალამანიძენი რა საშინელ საქმეს არ ჩაიდენდნენ.

— დედისავ, ჩემო დედისავ! — წამოიღაღადა სასანიანის ასულმა. — წავიდეთ, ჩემი ძმის ცხედართან დავითნს ახლა მე წავიკითხავ. იცი, რა კეთილი იყო ჩემი ძმა!

დედისამ სურვილი აუსრულა მირანდუხტს.

ძმის ცხედართან დავითნის კითხვამ მირანდუხტი დააშოშმინა. მის გულს სიმშვიდეს უძლიერებდა ხანგამოშვებით დედისასაგან ღუღუნით წარმოთქმული სიტყვები.

ღამემ მოაწია და ძილმა თავისი მოითხოვა სულიერ არსებათაგან. მირანდუხტმა და დედისამ თემესტიას ოთახში მოისვენეს. თითქოს მშვიდი ძილი დაეუფლა ორივეს.

ხანმა გაიარა. ღამეს ჯერ კიდევ ძალა არ შეჰსუსტებოდა, როცა, თითქოს ვისიმე ხელისხლება იგრძნოო, დედისამ გაიღვიძა და მირანდუხტს გადაჰხედა. მოუსვენრობა შეჰნიშნა და ზრუნვით ხელი შეახო.

— იავ, ჩემო იავ! — ჩაჰღულღუნა ქალმა მძინარეს და თითქოს ჯადო მოაცილაო, წამს გამოაღვიძა.

— ქალო, თითქოს ძილში ვინმე გელაპარაკებოდა! — უბნო დედისამ მირანდუხტს. — არა, არაო, წამოიძახე ორჯერ დაჟინებით, ისე თითქოს ვინმე რამეს გაძალებდაო.

— დედისავ! თემესტია მეუბნებოდა, შენ გზას არამც და არამც გვერდი არ აუქციოო. შენ ქართველ ტომთა დედოფალი უნდა გახდეო, — განუმარტა მირანდუხტმა ქალს. — დედისავ, ჩემი გული უარობს მეფისწულის თანამეცხედრეობას.

— იადხმობილს ვინ დააძალებს? — დასძინა მირანდუხტის სიტყვებს დედისამ. — შენ, იავ, უსათუოდ პაპის ნათქვამი ჩაგყვა გულში. პაპაშენს, ჩანს, გულში ღრმად აქვს ჩანერგილი, რომ მიცვალებული ავიწყდება, მიცვალებული ჯერ არ დაუსაფლავებია და დედოფლობაზე გელაპარაკება.

თემესტიას ოთახის სტუმრებმა ამით გაათავეს ლაპარაკი და კვლავ ძილს მისცეს თავი.

4

განთიადმა აშალა ყველანი ჯვარში. ხმა დაირხა, დიდი რაზმი მოდის სწრაფი სიარულითაო. ბერების სავანე დაფაცურდა. საყდრის გალავნის კარს ურდული გაუგდეს.

„ნეტავი ვინ იქნებიან? — შეეკითხა თავის თავს ვაჩე არსაკისძე. — არა მგონია, მტერი იყოს. ვფიქრობ, ახლა არ მოვა. მთავარი თვითონ გაეცალა ჩვენს ქვეყანას. მისი ერთი კუდის, ფადლონის, 30000 სპისაგან შემდგარი ლაშქარი, თვით ფადლონის წინამძღოლობით აწიოკებულ ქვეყანას რომ შემოეჭრა და ნავარდობას აპირებდა, ისე დაქსაქსა პატრონიანად ჩვენმა მცირერიცხოვანმა ლაშქარმა უბაგრატოდ, რომ აქა-იქ ჯაგებში მიმალულთ თითქმის რამდენიმე დღის განმავლობაში

დედაკაცებიც იჭერდნენ. თვითონ ფადლონიც აღარსად ჩანს მაგრამ ეს სისწრაფე მაინც რა ამბავია?..“

პასუხი ვაჩეს თვით გალავნის კარს მომდგარმა რაზმელებმა გასცეს. ისინი ქართულად ლაპარაკობდნენ.

— ბაგრატ მეფეთ მეფე მობრძანდა! — ამცნეს ტაძრის გალავანში მყოფთ კარს მომდგარი რაზმიდან.

ქვემოთ დიდ გორის სანახებში დაბანაკებულ ბაგრატ მეფეს გაეგო პირველად ბაქარის სიკვდილი არაგვის მარცხენა სანაპიროებზე მობნეული ლაშქრის გუნდებისაგან, რომელნიც ხვდებოდნენ ერწოდან მომავალ მირანდუხტსა და მის რაზმს. ბაგრატ მეფესაც ლახვარივით სცემოდა გულში ეს ამბავი. მის ლაშქრის რიგებს გამოჰკლებოდა მისი უერთგულესი ადამიანი. გონებადაბნეული გიორგი მემკვიდრე მახვილით ემუქრებოდა ბაქარის უჩინარ მკვლელს და ვარაზ-ბაკური კრიჭაშეკრული დაიარებოდა მეფის კარვის ირგვლივ. ელოდა ჯვარში მსწრაფლ გაშგზავრებას, სიძის დატირებას. ეპირებოდა კახეთის თვითეულ ციხე-სიმაგრის მოსპობას. ბოლნელს ეგონა, ბაქარის სისხლის აღებას მეფე ახანებსო, და სიბრაზე გულს უსიებდა.

ალიონზე სწრაფად დაიძრა მეფე ასიოდე კაცით, არმაზის სანახები გამოიარა, მცხეთა გადმოსჭრა, არაგვი გაჰოსტოპა და რაზმიანად ჩრდილოეთიდან ჯვარში ამავალ გზას დაადგა განთიადისას.

ჯვარის გალავანს მომდგარი მეფე მოუთმენლად ელოდა გალავნის კარის გაღებას. კარი გააღეს და მეფე თითქოს ციხის გარემოცვისას შენგრეულ კედელს ჰხედავსო, ისე შეიჭრა გალავანში.

აფხაზ-ქართველთა მბრძანებელს წინ ვაჩე მიეგება.

— ბაქარი! — წამოიღაღადა მეფემ ვაჩეს დანახვაზე.

მეფის ღაღადისმა განწირულობის იერი გამოსცა. ამ ღაღადისში გამოიხატა მეფის მუდარა: მითხარით, ბაქარი ცოცხალიაო.

მეფეს მიჰყვნენ მეფისწული და ვარაზ-ბაკური. ამათაც სწადდათ ბაქარის სიკვდილის უარყოფა გაეგონათ. მაგრამ ყველამ გაიგონა, გულდაწყვეტით, ყრუ ხმით, ყელსმობჯენილი ტირილით ნათქვამი ვაჩესი, ბაქარი აღარ არისო.

მეფემ, მეფისწულმა, ვარაზ-ბაკურმა ტაძარს მიაშურეს.

მირანდუხტს არ უფიქრია გარეთ გამოსვლა. ეზარებოდა ბაგრა-

ტიანებთან შეხვედრა. დედისაც არ დაძრულა თემესტიას ოთახიდან. საყდარში სამს მხოლოდ ვაჩე და თვალისი შეჰყვა, თვალისი სიძე ვარაზ-ბაკურმა შეიყოლა, თორემ იქ შესვლას არ აპირებდა. არჩვიაძე ბაგრატიანთა სცებდა ბრალს ბაქარის დაღუპვაში. ნინოწმიდელისაგან გაგონილი ჰქონდა, რომ ბოჭორმა-უჯარმა-რუსთავის გამაგრება და ამ ციხეებით ზურგგამაგრებულნი სპანი ქართლს, ქართველთა ქვეყნების გულს გადაარჩენდაო. ეს გაიხსენა არჩვიაძემ და ამ გახსენებულს თავისიც დაურთო, არც ნინოწმიღელი და არც ბაქარი ასე უბრალოდ არ დაიღუპებოდნენ. მერმე ხომ ბაქარი მეფისწულის მუზარადმა დაღუპაო. მაგრამ არჩვიაძემ დაინახა, როგორი მწარე ტირილით დაემხო ბაგრატი ბაქარის გვამს. დაინახა ბაქარის გვამის დანახვაზე ქანდაკებად ქცეული მეფისწული, მის თვალთაგან გადმონადენი ცრემლები და ინანა თავისი დასკვნა.

ბაგრატმა გული დაიშოშმინა და მოითხოვა, მოეთხროთ მისთვის უკანასკნელ სასანიანთა საბედისწერო ამბავი. თხრობა ამბისა თვალისს უბრძანა და თვალისიც, ნამდვილი მოწმე სასანიანთა უკანასკნელი საქმეებისა, შეუდგა ამ ამბის გადმოცემას.

ბაგრატი ისმენდა და განცვიფრებას ეძლეოდა.

ზღაპრული ამბები გადაიშალა ბაგრატის წინ თვალისის მოთხრობით. მის სულსა და გულს ხან სინანული ეუფლებოდა, ხან აღტაცება და ხან შურისძიება. მეფისწულს გული მოუკლა ამ ამბავმა. რომ ბაქარის დაღუპვა მის მუზარადს გამოეწვია. ვარაზ-ბაკურსაც გულს უწიწკნიდა მძახლების თავგადასავალი და მხოლოდ ერთხელ აგრძნობინა თვალისმა კმაყოფილება, აგრძნობინა სრული კმაყოფილება ამბის თხრობისას: ეს მაშინ, როცა მოასმენინა ცოლისძმამ მოწამლა ცხრა ძმა ცალქალამნიძეთა.

— ძვირად დაგვჯდომია ცალქალამანიძეთა მოსპობა! — წამოიგრგვინა თავისებურად ბაგრატმა. — ძვირად დაგვჯდომია! მაგრამ ეს მათი მოსპობა მთელ აღსართანად და მის დანარჩენ ერისთავების მოსპობას უდრის. ნეტავი თუ დარჩათ ნატამლები?

— არიან ქორფანი! — უპასუხა თვალისმა თავის სიძეს. — გუდანისა და გუბაზის ვაჟები.

— იადხმობილის ნახვა მინდა! — დაურთო ვარაზ-ბაკურმა თვალისის პასუხს. — მინდა გულში ჩავიკრა. ქვემო დიდგორის სანახებშიც ხომ

მოგვითხრეს ჩვენი ლაშქრის დაბრუნებულმა გუნდისანებმა იას საქმენი საგმირონი და არ გვჯეროდა, – გაახსენა ბოლნელმა მეფეს და საყდარში მყოფთ თავი ანება. მირანდუხტისაკენ ეასწია.

ბაგრატსაც სწადდა ენახა მირანდუხტი, თვით მეფისწულსაც, მაგრამ ბაგრატმა ვერ განაცხადა ეს წადილი, დანაშაული იგრძნო გულში სასანიანთა ასულთან. მეფისწული კიდევ მამის უნებართვოდ ვერ ჰბედავდა იასთან წასვლას.

– ეს ძალიან დიდი ამბები მომასმენინე, არჩეიაძევ! – უთხრა ბაგრატმა თვალისს, ნათხრობ ამბებს გონების თვალი გადაავლო და დასძინა. – მაშ, ჩემი ერთგული თარხონის ასულს შვილი ჰყოლია რევის მამის არჩილისაგან? რა მომაფიქრებდა

– მეფეო, ისე ჰგავს გურსი არმაზელ-სასანიანი ნინოწმიდელს, როგორც შუაზე გაჭრილი ვაშლის ნახევრები ერთმანეთს, – მოახსენა თვალისმა. – აქნობამდე დაბრუნებულიც იქნება ხორნაბუჯიდან ოავისი ოქროებითურთ უჯარმას. უჯარმაში ბაქარის ყოფნას და უჯარმიდან კვეტარში წასვლას რომ გაიგებდა გურსი, არ მოისვენებდა, გაიყოლებდა ბერას თავის რაზმითურთ, გასწევდა კვეტარისაკენ და ვფიქრობ, ახლა გზად არის კიდეც.

გურსი მართლაც დაბრუნებულიც იყო უჯარმაში და კვეტარის გზასაც ადგა. ბაქარის კვეტარში წასვლის მესამე დღესვე დილით ტრიალებდა უჯარმაში ქარდილაითურთ და ამავე დღესვე გაუდგა გზას ბერასი და მისი რაზმის თანხლებით. გურსმა თან გაიყოლა ქარდილაიც და ბასაც, სასანიანთა პალატის მოვლა-პატრონად კი დაჩი დატოვა. საღამოს თვალნათლივ კვეტარის გარე გალავნის კარს მიადგა გურსი თანამგზავრებითურთ. საყვირის დახმარებაც არ დასჭირდათ კარს მიმდგართ: კარი ღია დახვდათ. პირველ შეხვედრილ კვეტარელთ რომ დაინახეს ბერას რაზმი და მისი წინამძღოლი ორი ახოვანი ვაჟკაცი, მიიფანტ-მოიფანტნენ. კვეტარის დაუპატიჟებელი სტუმარნი დაუბრკოლებლივ მიდიოდნენ წინ. მეორე გალავნის კარიც თავისუფლად გაიარეს და არც ციხე-პალატის გალავნის კართან დახვდათ შემაფერხებელი რამ. თავისუფლად მოხვდნენ ციხე-პალატის არე-მარეზე.

პალატიდან გამოისმა მოთქმა-ტირილი.

– რა ამბავია! – ჰკითხა გურსიმ პალატიდან გამოსულ მამაკაცს.

მამაკაცი შეკრთა კარგა ძლიერი რაზმის დანახვაზე და დამალვა მოიწადინა. მაგრამ ბერამ დაასწრო, მხარში ხელი წაავლო და ადგილზე გათანგა.

— ნუ გაეშინია! — უთხრა ზენკალმა. — არაფერს გიზამთ. მხოლოდ გვითხარი, რა დასტეხია კვეტარს თავს ისეთი, რომ ყველა გალავნის კარი ღია დაგვხვდა. დაუბრკოლებლივ გამოვიარეთ ყველა გალავანი, ხალხი გაგვირბის, მახვილი კი არავის ჩვენგანს არ აღუმართავს. გუშინ ამ დროს ალბათ მცირე რაზმითურთ ბაქარი, ძველოა მეფეთა ნათესავი, სასანიანი, უნდა ყოფილიყო მოსული აქ იაზონ ცალქალამანიძესთან მოსარიგებლად. ბაქარის დაი გამოიტაცეს ტყვედ არგოელის ჩამომავალთა...

იადხმობილის გაგონებაზე ცახცახი აუვარდა პალატიდან გამოსულ ვაჟკაცს.

— გრძნეული ყოფილა ის ქალი, გრძნეული! — წამოიძახა მან კბილების კაწკაწით. — აქ ყველანი დაგვიმონა, ბევრი გადაბირა თავისკენ. ცხრა ძმანი ცალქალამანიძენი, ჩვენნი პატრონნი, ფეხქვეშ ეგებოდნენ. თავისდა საუბედუროდ მოიყვანეს ეს ქალი.

— მერმე? — მოუთმენლად შეეკითხა გურსი.

— მერმე და იმ ქალის ძმა ილტოსა და ხევგრძელას შესართავთან მიბჯენილ ამ კვეტარის კალთის ბოლოზე შეხვდა ცხრა ძმა ცალქალამანიძეთ, თელავიდან მოდიოდნენ. ბაგრატ მეფის ძე ეგონათ იმ ქალის ძმა, შეებრძოლენ თავის რაზმითურთ იმ ქალის ძმასა და რაზმს. და მოსპეს მთლიანად.

გურსი, ბერა, ქარდილაი, ბასა და ბერას რაზმი სახტად დარჩნენ.

— მაშ ბაქარი აღარ გვყავს! — იმეორებდა თითოეული.

— შურისძიება გვმართებს! — წამოიძახა გურსიმ.

პალატიდან გამოსულს, ამბის გადმოცემისას დამშვიდებულს, ისევ აუვარდა ცახცახი. შლეგიანის რაზმთან ემეკობრნა და გაახსენდა, რომ ამ შურისძიების მოწადინემ შლეგიანი წუთისოფელს გამოასალმა.

— ვისზელა უნდა იძიოთ შური? — მისცა შეკითხვა გურსის აკანკალებული ხმით და თანვე დაურთო შეკითხვას აჩქარებით. — საშინლად აინაზღაურა იადხმობილმა ძმისა და მისი რაზმელების ცალქალამანიძეთა ხელით უნებლიეთ მოსპობა! ცხრა ძმა ცალქალამანიძეთ დიდი პატივით დაასაფლავეს სასანიანი და მისი მხლებელნი. ყოველი მისაგებელი

შეუსრულეს არგოელის ჩამომაელ'ებმა დახოცილებს. თვით ქალმა, იადხმობილმა, ცხრავე ძმას ფიალით ღვინო ასვა ძმის შესანდობარი. ძმანი, აქნობამდე ერთმანეთთან თითქოს უმძრახნი, ალაპარაკდნენ შეღამებული იყო, როცა ეს მოხდა დილით რომ ავდექით, აღარც ქალი ვნახეთ იადხმობილი, აღარც ვინმე არჩვიაძე, ქალის ძმას მოყოლილი, აღარც აეთის თანამეცხედრე, დედისად წოდებული. მეჯინიბე და სხვა თოთხმეტი კვეტარელნი გადაებირნა ქალს თავისკენ, ძმის გვამი გაეტაცნა. მთავარი გალავნის კარის მცველნი ამოეხოცათ. ეტყობა, კვეტარიდან სხვა გზით წასულან, რაკი თქვენ უჯარმიდან მონადენთ არ შეგიტყვიათ. ცხრა ძმანი დღესაც ყრიან აქ პალატს, მოწამლულნი.

გურსიმ და ბერამ ერთმანეთს შეხედეს, თითქოს ერთი-მეორეს ეკითხებოდნენ, ახლა რა ვქნათო.

— აი, ნამდვილი მირანდუხტი! გენაცვალოს ჩემი თავი, უფლის ასულო, რომ სანაცვალო გადაგიხდია მეკობრეთათვის! სასანიანთა და მათ შინაყმათა სისხლი ვის შერჩენია!

— მაგას ხშირად ეუბნებოდა იაზონს მამიდამისი, ქვრივი სალომე, მისი აღმზრდელი, — დაურთო ბასას სიტყვებს კვეტარელმა ამბის მომყოლმა: — შეილო იაზონ, სასანიანთა სისხლის დაქცევა საეალალოა ყველასათვისო. ერთი ცხრაკეცად გადახდება მის დამქცევსო.

— ერთი ცხრაკეცად კი არა, ერთი ცხრაჯერ ცხრაკეცად უნდა გადაჰხდეს ბაქარის მკვლელთ მისი სისხლი, — წამოიძახა ქარდილაიმ.

— მკვლელების ნატამალებმა უნდა ზღონ კიდევ მისი სისხლი!

ქარდილაის თავისი ნაძმევის ნათესავნი თავისად მიაჩნდა, ჯერ მირანდუხტის გატაცებამ და ნინოწმიდელის სიკვდილმა აუმღვრია გული და ახლა კიდევ ბაქარის სიკვდილმა ზედმეტი დაურთო ამ ამღვრევას. ბერა და მისი რაზმელნი ხელოსანნი ქებას ასხამდნენ მირანდუხტის გამბედაობას.

— ჩემს იას, უჯარმის დედოფალს, არ ასცდება გაერთიანებულ ქართველ ტომთა დედოფლობა! — წამოიძახა ზენკალმა და თავისი მძიმე კეტი მაღლა ასწია. — აღთქმას ვდებ, რომ არ დავაგდო ეს იარაღი და თავი გაეუჭეჭყო ჩვენი ხალხის მტერს, იადხმობილის მამისა და ძმის მოსაგონებლად.

— ჩვენც შენთან ვართ, ჩვენც, ბერავ! — შესძახეს ზენკალს

რაზმელებმა. — იადხმობილს, ჩვენს უჯარმის დედოფალს, მზად ვართ, მუდამ ვემსახუროთ!

— ჩემმა ქონებამ ხელი შეგიწყოს, სასანიანთა ერთგულო ხალხო! — დაურთო ბერას რაზმელების ნათქვამს გურსიმ და ცხენებით ციხე-პალატის გალავნის კარს მიაშურა. სხვებიც მის მაგალითს მიჰბაძეს.

— ჩვენ უჯარმიდან მონადენთ, ამოვყევით იორს და უჯარმისაკენ მიმავალი არავინ შეგვხვედრია, — უთხრა გურსიმ ბერას. — მაშ მირანდუხტი თავისი გუნდით ერწოს გადასჭრიდა, ნოკორნაში გაიელიდა და ახლა ჯვარში იქნება პაპა ვაჩესთან. ჯვარში მიასვენებდა ბაქარის გვამს.

— აბა, მაშ ჯვარში წავიდეთ. — დასძინა გურსის ნათქვამს ბერამ.

— მერმე ისევ იმ ოღრო-ჩოღრო გზით? — შეეკითხა გურსი ზენკალს. — ღამე ძნელი იქნება იმ გზით სიარული.

— თიანეთის გზით ვიაროთ, — უთხრა ზენკალმა. — ეს კია, შეიძლება აღსართანისანი გადაგეყრობნენ, თუმცა აღსართანი თვითონ თელავშია და ამ გზაზე გაბნეულ მისიან მცირე გუნდებთან გვექნება საქმე. შეგვეტაკებიან, ვერას წაიღებენ ჩვენგან. წავიდეთ თიანეთის გზით.

ამ გზით იარეს გურსიმ, ბერამ — რაზმიანად, ქარდილაიმ და ბასამ. ერთი სამი გუნდი აღსართანისა დაამარცხეს თავის თავის უზარალოდ. მაგრამ გამარჯვებულებს კარგა მოუგვიანდათ. მთელი ღამე და დილა მოუხდათ გზაში ყოფნა კვეტარიდან წამოსულებს. მოვიდნენ ჟალეთს უკლებლივ და შუადღემდე დარჩნენ. ნაომარნთ მოისვენეს და ისე გაიარეს ერწო. ნოკორნას გვერდი აუქციეს პირჯვრის გადაწერით და ჯვარის მისადგომებს ღამით მიაღწიეს. აქ დასცეს პატარა ბანაკი. ჯვარში ასვლა დილით გადაწყვიტეს. რაზმით ღამით მისვლა მტრის გუნდი ეგონებათო ჯვარში მყოფთ, ფიქრობდა გურსი, მაგრამ ბასა სულ სხვა გზას დაადგა.

„ერთის მისვლა ჯვარში ღამით არავის შეაშფოთებს, — თქვა მან თავისთვის. — მე წავალ და ჩემი პატრონის ასულს ვახარებ მოყვარეთა მოსვლას".

და გუდა-ნაბადი აიკრიბა.

— სად მიხვალ, ბიჭო? — ჰკითხა ქარდილაიმ ბასას.

— სად და აქ, ვიცი, ახლო წყაროა, — გაიშვირა ხელი, — მინდა წყალი დავლიო.

— ეს ყველაფერი ზედ რომ აისხი? — შეეკითხა კიდევ ქარდილაი.

— სიფრთხილეს თავი არ ასტკივაო, მეტყოდა ხოლმე მამაჩემი, — უპასუხა ბასამ, — ნადირი რომ შემეჩეჩოს, პასუხი არ უნდა გავცე? იარაღი მიმაქვს, ჰუნეს აქ ვტოვებ, ხომ ხედავ?

— წყალი მეც მწყურია! — განუცხადა ქარდილაიმ.

— მერმე ვინ გიშლის? წამოდი დალიე, — გაიწია ბასამ იმ იმედით, რომ შეშინდებოდა და ღამით ბანაკს ვერ დაანებებდა თავს.

მაგრამ მოტყუვდა. გასცდნენ თუ არა ორივე რაზმის ბანაკს, ქარდილაი ალაპარაკდა.

— ეი! შენ, ვერხვის ჭინკავ! ვერ მომატყუებ. შენ წყლის დასაღევად კი არა, ივდითთან მიდიხარ.

ბასამ იცოდა, რომ ქარდილაი ახლა იას ივდითად იხსენიებდა, კვეტარში მომხდარი ამბებისათვის.

— მერმე შენ რა? — შეეკითხა ბასა.

— მერმე ისა, რომ მეც მოვდივარ, — უპასუხა ქარდილაიმ.

ბასამ ახედ-დახედა მას და უთხრა:

— ჯანი გაგვარდეს, წამოდი!

ჯვარამდი კარგა გზა იყო გასასვლელი. სიჩუმით მოცულმა სიბნელემ ცოტა არ იყოს აწურა ქარდილაი. ბასას ხელი მოჰკიდა.

— რას მეკიდები, ადამიანო? — დაუტია ბასამ. — თუ ეშმაკის კერძი ხარ, სულ ერთია, წაგიყვანს ეშმაკი, მე ვერას გიშველი.

— ნუ ახსენებ ავ სულს, თორემ მართლა გაჩნდება! — შეემუდარა ქარდილაი.

— ავი სული ჯვარს არ ეკარება, — უპასუხა ბასამ. — მე ქრისტიანი ვარ, მკერდს ჯვარი მკიდია.

— ჰო და მეც ამიტომ წაგაყვანე ხელი, რომ ჯვარი გკიდია! — დასძინა ქარდილაიმ ბასას პასუხს. — შენ თუ არ მოგეკარება, არც მე მომეკარება მაშინ.

ბასამ მოულოდნელად მკერდიდან მოიხსნა ზონარგაყრილი ჯვარი.

— ჰა! — უთხრა ქარდილაის, ზონარი გასწი-გამოსწია და ჯვარი ყელზე გადაკიდა.

ქარდილაის ჟრუანტელმა დაურბინა ტანში. ჯვრის გადაგდება ჰსურდა.

— ნუ თრთი, — შეუტია ბასამ. — ივდითის მოცემული ჯვარია! იმან დამანათლა, იმისი მონათლული ვარ.

ქარდილაიმ რაკი გაიგო, მურანდუხტის ხელში ნაჭერი ჯვარიაო, ველარ გაბედა მისი გადაგდება.

— ბასა! — შეჰღალადა მან, — შენ დაიკიდე ისევ ეს ჯვარი, თორემ ეშმაკი დაგვნავსავს!

— მე და ეშმაკი ამხანაგები ვართ, — უთხრა ბასამ, — შენ გაურბიხარ ეშმაკს. გეკიდოს ჯვარი. მე არა მიშავს რა. ჯვარს თუ არ ჰყოფ, ჯვარის საყდარში რალად მიდიხარ?

— წაიღე ბიჭო, ჯვარი! რას დამკიდე?

— თქვენ ებრაელებმა უზარმაზარი ხის ჯვარი აჰკიდეთ ჩვენ ქრისტეს და გოლგოთაზე აატანინეთ, ზედ ვააკარით, — უთხრა ბასამ, — შენ ეგ პატარა ჯვარი მაინც აიტანე ამ ჩვენ გოლგოთაზე. პირობას მოგცემ, ზედ არ გაგაკრავ.

ბასამ კარგა ხანი აწვალა ქარდილაი და ისე ჩამოართვა ჯვარი. ამ ქილიკსა და ხუმრობაში გზა ისე გაიარეს, რომ ვერც კი შეამჩნიეს, ჯვარის გალავნის კარამდე მიელწიათ.

— ვინა ხართ მანდ? — გაისმა გალავნის შიგნიდან მეკარის მკვახე შეკითხვა.

— მირანდუხტის სახელით გეუბნები, გააღე კარი. აქ მგლებს არ დაგვაჭმევინო, თორემ სიკეთე არ დაგეყრება. — უპასუხა კარს მომდგარმა ბასამ მეკარეს.

— ეჰე! ეს ვერხვის ჭინკაა. ონავარი, მცხეთიდან რომ მოჰყვა მირანდუხტს გიორგობისთვეში, — თქვა მეკარემ და კარი გააღო.

— ეს ვიღაა! — ჰკითხა ბასას და ქარდილაიზე მიუთითა.

— ვიღაა და ებრაელი, — უპასუხა ბასამ. — ვაჩე პაპას უნდა მოვანათლინო.

— რა უნდა ებრაელს ჯვარში? — შეეკითხა ჯიუტად მეკარე. — რა უნდა, ჰა?

— კარგი, კარგი! — შეუტია ბასამ მას თავის მხრივ. — რა უნდა ეწადოს, მირანდუხტის ბიძის გურსის ნაძმეია.

ბასამ დაინახა მრავალი სპა და მეკარეს ჰკითხა, ვინ არიანო..

— ბაგრატ მეფისანი, — უპასუხა მან. — მეფეც აქ ბრძანდება, მეფისწულიც. ხვალ დილით მცხეთას, სასანიანთა წინაპრის მირიანის არემარეზე უნდა მივაბაროთ მიწას ბაქარი.

ბასამ ტაძარს მიაშურა ბაქარის ცხედრის დასატირებლად. ქარდილაიც აედევნა, ბასა ტაძარში შევიდა, ქარდილაი კი ტაძრის კარს აეყუდა.

ბასამ მირანდუხტი დაინახა ბაქარის ცხედართან, დავითნს კითხულობდა. იადხმობილი ღამეს უთევდა თავის ძმას. გვერდს დედისა ჰყავდა. ემუდარებოდა მოსვენებას. ბასა მაშინ შენიშნეს ქალებმა, როცა ბაქარს ხელებზე დაეკონა. მირანდუხტი ატირდა, დედისა აჰყვა.

— დავობლდით, უფლისწულო, დავობლდით! — დასძინა ბასამ.

— ძმაო, აი შენი ნებიერი, — შესტირა იამ ძმას. — შენი და ჩემიც. რატომ არ სცემ ხმას, თავის დაობლებას რომ გიჩივის? არ გესმის, ძმაო, განა? შეგვიბრალე ორი ობოლი! ხმა ამოიღე! არც მე მყავს მამა, არც ბასას. შენ მაინც ნუ გვტოვებ უნუგეშოდ, ჩემო ძმაო!... — მირანდუხტმა ბასას მიმართა: — ბიჭო, არ ესმის ჩვენი გოდება! განა ჩვენი? ველთაც და პატარა რეიც აღარაფერია ჩემი ძმისათვის ულმობელმა ხელმა მიადუმა ჩემი ძმა. ვერც ჩემმა შურისძიებამ დაარღვია მისი დუმილი...

მირანდუხტი ჰგოდებდა, დედისა უსიტყვოდ ცრემლს ჰღვრიდა, ბასა ხანგამოშვებით მიცვალებულის ხელებს ეკონებოდა და გულსაკლავად წამოიძახებდა: დავობლდი, დავობლდიო. ყველასათვის შეუმჩნეველად გათენდა კიდეც. დილასთან ერთად ჯვარის კარს მოადგნენ ვაჩე, მეფე, მეფისწული, ვარაზ-ბაკური. უსიტყვოდ ცრემლთა მფრქვეველს ქარდილაის თვალნი მიაპყრეს. არც მეფემ, არც მეფისწულმა, არც ვაჩემ არ იცოდნენ, თუ ვინ იყო იგი.

— მეფეო! ქართველთა ივდითის გოდება მდაგავს და ცრემლად ვდნები, — შეჰღაღადა ქარდილაიმ ბაგრატს. — იმ ჭაბუკის უნუგეშო წამოძახილი გულს მხვდება და ვითუთქები.

— ეს გურსის, არმაზელ-სასანიანის ნაძმევია, — მოახსენა ვარაზ-ბაკურმა ყველას.

ბაგრატ მეფე ცხედრისაკენ მიბრუნდა და დაინახა გამწარებული ბასა გაიხსენა შარშანწინდელი მისი ამბავიც, ქართლში, მის კარავში: ბაქარი მუხლდაჩოქილი და ბასა მის გვერდით. ბაქარმა წამოაყენა და უთხრა, მე გთხოვ გასცე, გასცე ბრძანება, დამსაჯონ, ორგული ყმაო, და ბასამ კიდევ რომ დასძინა პატრონის სიტყვებს, მეც ჩემ უფლისწულს მიმაყოლეო. მეფის თვალწინ დღეს უფრო ცხადი ხდებოდა ახალგაზრდა შენაყმის ძლიერი სიყვარული პატრონისადმი. მეფემ თვალი მირანდუხტს

გადაავლო და მისი და იედითის სწორობა უარს არ ჰყო. მეფე თუ შეხანდა კარებთან, ვარაზ-ბაკური არ შეხანებულა, ტაძარში შევიდა სწრაფი ნაბიჯით და ბასას ამოუდგა გვერდით. ბოლნელმა მას წელზე მოჰხვია მკლავი.

— ბიჭო, ვიტიროთ ერთად, ვიტიროთ! — მიმართა ყრუ მგრგვინავი ხმით მკლავმოხვეულ ჭაბუკს. — მე ამხანაგი აღარა მყავს, შენ — კარგი პატრონი. შენ თუ დაობლდი, მეც დავობლდი, ოჯახის პატრონი!... უჯარმის დედოფალო, მწარეა შენი ხვედრი, მწარე! მაგრამ მძლეთა მძლე ხარ ყველაფრისა. შენ გაფარებთ თავს მეც, ჩემი ოჯახიც, ყველა, პატარა რევი, ეს ონავარი გმირიც. — ვარაზ-ბაკური შეჩერდა: მეფე მოვიდა ბაქარის ცხედართან.

— მეფეო და მეფისწულო, — მიმართა ვარაზ-ბაკურმა, — გვეცლებიან ხელითგან ერთგულთაგანი უერთგულესნი, წყეული ბედი მრისხანებს ჩვენზე, ბედთან გვიხდება ბრძოლა! — ვარაზ-ბაკური ისევ მ< რანდუხტს მიუბრუნდა. — ნუ დავყრით, იავ, ფარხმალს, ნუ, რაც უნდა ბედი გვირისხდებოდეს! უსამართლოა ბედი, უსამართლო!..

ვარაზ-ბაკური შეჩერდა, რადგან ამ დროს შემოიჭრნენ გურსი, ბერა და მისი რაზმელები. გურსი დაემხო ბაქარის ტანს, აქვითინებული, ბერამ მუხლი მოიყარა და ცრემლი დააყარა უსულო ბაქარს, მაგრამ ცრემლთ პირით ვერაფერი შეაშველა რა. მძაფრი ნაღველი და მწუხარება კრიჭას უკრავდა ზენკალს.

ბაგრატმა გურსიზე შეაჩერა თვალი და განცვიფრდა: თვალწინ ჰხედავდა არჩილ სასანიანს, ნინოწმიდელს ჯავშანში გამოწყობილს: თვალით ნანახი მსგავსება აღემატა გადმონაცემს.

— ნეტავი ვინ დამწყევლა! — წამოიღაღადა გურსიმ. — ექვსი წლისას დედის სამკვიდრებელი გადამიბუგეს! დედა მომიკლეს. ექვსი წლიდან სხვის კარს მატარეს!.. ძმა და ძმისწულები გამომიჩნდა... ცუდი ფეხი მოვუტანე სასანიანთა სამკვიდრებელში, ცუდი ფეხი! ძმაცა და ძმისწულიც მსხვერპლად მიქცია ჩემმა ბედმა! იავ, ასულო ჩემი ძმისავ, პატარა რევო, ძმის შვილიშვილო, რით აგინაზღაუროთ ეს დანაკლისი, რით, ჩემ ფეხს რომ მოჰყვა? არ სჯობდა ჩემთვის, გამხმობოდა ქვედა კიდურნი? ხომ უჯარმას არ მოვყვებოდი ჩემ ძმას ლმობიერს! ნეტავი, ძმაო, უარ გეყავი!... ფიცს ვდებ, ვდიო ჩემი ძმის კვალსა და მეკობრეთა სინსილა

ვწყვიტო! ჯვარო პატიოსანო, ჩემ მამა-პაპათა სალოცავო, შენ გიმოწმებ!

— მამა-პაპათა სალოცავსო, სვეტიცხოველო, ჯვარის საყდარო! აღთქმას ვდებ, — დაიგრგვინა ბერამ და გურსის შეხედა, — ფეხდაფეს მივყვე სასანიანს და მეკობრეთა სინსილა ვწყვიტო სიკვდილამდე.

— ჩვენც ბერასთან ვართ! — იერიალეს ბერას რაზმელებმა და მახვილნი შეაელვარეს.

— გზირი ვიქნები. გურსო პატრონო! — განუცხადა ბასამ მტკიცედ არმაზელ-სასანიანს. ბაგრატი გურსისთან მივიდა. მეჯ.) მირანდუხტს თვალს არიდებდა. გურსისთან მისვლით მბრძანებელს მირანდუხტის ახლოს დგომა მოუხდებოდა: ამას ესწრაფოდა. მეფისწულმაც მამას მიბაძა.

ჯვარში მისვლისთანავე მიუსამძიმრა მშობლისა და ძმის დამკარგავ ქალს ბაგრატმა, მაგრამ სხვა რამ ლაპარაკი ვეღარ გაუბედა. მირანდუხტის გაბედულმა ნაბიჯებმა მეფის თვალში მაღალ, თითქმის მიუწვდომელ კვარცხლბეკზე აღმართეს იგი. ნატერად გადაექცა მირანდუხტის გადედოფლება ქართველთა ტომთა ზედა.

— თარხონის შვილიშვილს უყურადღებოდ ვერ დავაგდებ, — განუცხადა გურსის ბაგრატმა. — თვალისმა მომითხრო შენი ამბავი, მამცნოს არმაზელ-სასანიანმა, რაც უჭირს.

— დედის ანდერძის ასრულების ნებას მოვითხოვ, მეფეო! მინდა არმაზელთა სამკვიდრებელი დამიბრუნდეს, ციხე-პალატი აღვადგინო თარხონისა.

მირანდუხტმა თვალი გადააყოლო ბიძას. გურსის საყვედურად მოეღინა ეს, გულზე ლოდივით შემოაწვა და წამსვე წაჰოიძახა:

— არა, იავ, ბუდამ შენთან ვიქნები! სხვა ვინ მყავს შენისთანა? ანდერძს კი დედისას ბაინც ავასრულებ.

— არა, გურსო! შენ დედის ანდერძი აასრულე მარტო. ეს მართებულია. მე კი ჩემი ბედი სხვას მიქადის. მარტოობა ჩემი ხვედრია, — უპასუხა დარწმუნებით ბიძას მირანდუხტმა, და ბაგრატს მიმართა: — მბრძანებელო! იქნებ, უბრძანო ცხედრის წასვენება მცხეთას? დახანება აღარ იყარგებს.

— ეჰ! ჩემო იავ, მბრძანებლად კი მიხსენიებენ და შენც მომიხსენე, — წარმოთქვა ბაგრატმა მირანდუხტის პასუხად, — მაგრამ, თუ ზოგჯერ ჩემ ბრძანებას მორჩილდებიან, ხშირად ლაბავენ. შენც გადალახავ!...

ბაგრატს სწადდა ამით ეთქვა მირანდუხტისათვის: აი გიბრძანებ, გამოჰყვე ჩემ შვილს თანამეცხედრედ და უარს მეტყვიო. ჩემი ბრძანება გაცრუვდებაო.

ია უსმენდა ბაგრატს და თითზე გურსის ნაძღენევ ბეჭედს ატრიალებდა. გურსიმ ყველასათვის შეუმჩნეველი ძრწოლა განიცადა, თვალი რომ მოჰკრა ბეჭედს დემეტრიანს. მისი ტრიალი თითზე ძმისწულის მუქარას მოასწავებდა.

„ცხრა ძმა მოწამლა, — გაურბინა თავში აზრმა, — ჩანს, მეათესათვისაც გამოუყვია საწამლავი. მეათე ვიღაა, თუ თვითონ არა? თავის თავს ემუქრება რა ექნა? ვერას გაუგებს ადამიანი ჩემ ძმისწულს!“

მირადნუხტი ალაპარაკდა.

— რატომ გგონია, გადავლახავ, მეფეო, შენ ბრძანებას? — შეეკითხა იგი ბაგრატს. — თუ ის ბრძანება ჩემ სულს არ ტვირთავს უსამართლობით, რა დამიდგება წინ, რომ არ შევასრულო?

— მეფის ბრძანებანი სულს არ ტვირთავენ უსამართლობით! — შეედავა შვილიშვილს ვაჩე.

— არ ტვირთავენ? მაშ, შესრულდებიან, — უპასუხა მირანდუხტმა პაპას. — და თუ ტვირთავენ... — მირანდუხტი შეჩერდა.

— და თუ ტვირთავენ სულს, გზა აებნევა ადამიანს, — წამოიძახა დედისამ და მირანდუხტს მიმართა: — იავ, მოვემზადოთ, და მეფეც გასცემს ბრძანებას.

დედისას ღუღუნა ხმა გულს ჩასწვდა გურსის და სითბოსებრ დაუარა ტანში. ამ ხმამ კიდევ ბაგრატის გაოცება გამოიწვია.

— ვინა ხარ, მანდილოსანო? — შეეკითხა მეფე დედისას.

— ადამიანი, რომელსაც ძულქუში დასწოლოდა კეეტარში და იადხმობილმა თავისი იქ მოვლენით გამოაღვიძა, — გამოელაპარაკა ერთ ხანს დედისა შემკითხველს და მირანდუხტს გაჰყვა თემესტიას ოთახში.

— ვინაა ეს ქალი? — შეეკითხა ბაგრატი ვაჩეს.

— აეთ ცალქალამანიძის ქვრივი, — უპასუხა ვაჩემ.

ბაგრატს უსაზღვრო გაოცება დაეუფლა, როცა ემცნო დედისას ვინაობა. მეფე ვერ ჩასწვდომოდა მირანდუხტის ძალას, რომლითაც იგი მოეხიბლა და ქმრისა და მაზლების მოწამვლის მონაწილე გაეხადნა.

— მაგ ქალსა და მირანდუხტს თხუთმეტი ნამეკობრალიც მოჰყავთ, — წარმოთქვა ვაჩემ.

— ოთხი მაგ ქალის ერთგული, თერთმეტი ეყმო მირანდუხტს.

— მიკვირს, მთელი კვეტარი არ გამოჰყვა შენ შვილიშვილს, ხუროთმოძღვარო! — უთხრა ბაგრატმა ვაჩეს.

— თვალისმა გადმომცა, რომ კვეტარელებს შიშს უნერგავდა გულში ია, დიდი და პატარა თურმე კრძალვითა და დიდი მოწიწებით თავს უხრიდნენ ჩემ შვილიშვილს, — განაგრძო ვაჩემ.

— მჯერა, რომ აგრე იქნებოდა, — თქვა ბაგრატმა. — რა დაგიმალო, მე აფხაზთა და ქართველთა მბრძანებელს ენა მებორძიკება, როცა მწადიან რამე ვუთხრა იადხმობილს.

— თუ გულში რამე ძნელს, თუნდაც კარგს ფიქრობს ადამიანი მირანდუხტისთვის, — წამოიგრგვინა ვარაზ-ბაკურმა, — სიტყვას ძნელად სძრავს მირანდუხტთან. ასე მომდის მე. აი, როცა ენატრულობ ია დედოფლად, ვერ ვეუბნები, ენა მებმის, მეფეო. თუ არა ვფიქრობ მის დედოფლობას, მირანდუხტი ჩემთვის ისევ პატარა იაა, რომელსაც ენის უბორძიკოდ ვეალერსები.

— ალალი გულით ნაფიქრი არ უნდა ელობებოდეს ჩემ ძმისწულთან ლაპარაკს, — უთხრა მეფეს გურსიმ. — ყველაფერს ეუბნები ძმისწულს, მეფეო, დაურიდებლივ. ბასაც ეუბნება, ბერა კიდევ... ასე გვგონია, იადხმობილი დედოფლადაა დაბადებული. ვამბობთ, არა ემალავთ.

— მეც, გურს, მეც. — გაისმა გურსის გვერდით ქარდილაის ხმა. ებრაელს გაეკვდნა ქრისტიანთა ტაძარში ფეხის შემოდგმა და მოწიწებით უმზერდა მეფეს. — მირანდუხტი ივდითია! — განაგრძო ქარდილაიმ თავის დაწყებული. — გულწმინდად ვამბობ, ივდითია-მეთქი, და თავისუფლად ვუმეორებ ნაძმევის ძმისწულს, რომ ივდითია და დედოფლობა არ უნდა ასცდეს!

— იადხმობილი უჯარმის დედოფლად გამოვაცხადე ჯერ ისევ პატარა, — წამოილაპარაკა გულწრფელად ბერამ, — და ვუსურვებ მრავალ ქალაქთა დედოფლობას, ამას ვამბობ და ვეტყვი კიდეც ია პირდაპირ, იამ დედოფლობა უნდა იკისროს.

გიორგი მეფისწული, თუმცა მდუმარე, თითქოს სიტყვის თქმის უნარდაკარგული, იდგა უძრავად, შუბლშეჭმუხვნილი. მირანდუხტის დედოფლობაზე ისე მიამიტად ლაპარაკობდნენ, თითქოს ეს უნდა მომხდარიყო უმეფისწულოდ. ტახტის მემკვიდრეს, ბაგრატიანს, არარად

ხდიდნენ და ეს მის გულს ელახვრებოდა. ტახტის მემკვიდრეს გულში იას მტრული გრძნობა ესახებოდა, შურის გამომწვევი. უეჭველად უყვარდა ია, სიყვარული არ გაჰქრობია, მაგრამ მტრული გრძნობა, ჯერ კიდევ ჩანასახი, სიყვარულს ბრძოლას უცხადებდა.

ბაგრატს არ სწყენია ვარაზ-ბაკურის, გურსის, ქარდილაის და ბერას წამოძახილები. მეფე ისმენდა სასანიანთა შინაურების გულწრფელ სიტყვებს. თვითონ კი ეძნელებოდა მირანდუხტთან ლაპარაკი დედოფლობაზე ადრეც და ახლაც. ახლა უფრო მეტად, მირანდუხტის დიდ ამბავთა მომსმენს, ბაქარის ცხედრის დამტირებელს. თვით გულში ჰქონდა სიყვარული, ია ქალის მაღმერთებელი. თითქოს შვილისთვის ეძნელებოდა მისი დალოცვა. დიდი ხანია მეფე ღვთაებას უახლოვებდა ია ქალს. კვეტარი მოსპო იამ და მეფე მოხარა. ბაგრატი ახლა მაღალ კცარცხლბეკზე აყენებდა სასანიანის ასულს. მეფე, თუ თვითონ ვერ ბედავდა, ხარობდა მაინც, რომ გულწრფელად აღიარებდნენ თვის გულის ნადებს გურსი თუ ბერა, ვარაზ-ბაკური, თუ გინდ ებრაელი ქარდილაი: ქართველთა ტომნი საჭიროებდნენ თვის შემდუღებელ მემკვიდრეს და ასეთ ნატამალს მოელოდა მირანდუხტისაგან მეფე ბაგრატიც.

5

ვაჩე პაპის სურვილით ბაქარ სასანიანი დაასაფლავეს სვეტიცხოვლის ჩრდილოეთ ეკვდერში, სადაც განისვენებდა ვაჩეს ძმა — მელქისედეკ კათალიკოზი და სადაც თვით ვაჩესაც უნდა მოენახა სამუდამო სამკვიდრებელი. მირანდუხტი მხურვალე ლოცვით გამოეთხოვა ძმას. ქალს ცრემლი აღარ გადმოუბნევია, მაგრამ სახე ისევ ძლიერად ჰქონდა დანაღვლიანებული, ნუგეშისცემას ვერვინ უბედავდა. ყველა გრძნობდა, რომ თანაგრძნობის თითოეული სიტყვა გულს უარესად დაუკოდავდა. არც არავინ ჩანდა ნუგეშისმცემელი, ერთს გარდა. ყველა ჭირისუფალი გამოდიოდა. ვარაზ-ბაკური საყვარელი სიძისა და მეგობრის დაკარგვას ჩიოდა; ოდესღაც უთვისტომო, სხვის კარს გაზრდილი გურსი, მისთვის მოულოდნელად აღმოჩენილი ძმისა და ძმისწულის სიკვდილს დასტიროდა, ვაჩე პაპა — საყვარელ შვილიშვილის უდროოდ დაღუპვას, მეფე — მისთვის თავგადაკლულ ერთგულ ყმადნაფიცს. მეფისწული

ბავშვივით ქვითინებდა: ღრმად ჰყავდა გულში ჩაჭრილი ბაქარ სასანიანი ტახტის მემკვიდრეს. ბასა ძლივს ააცლიეს მკერდიდან ბაქარს თვალისმა, რომელსაც თვითონაც გული საგულეში აღარ ჰქონდა. კომბალზე დაყრდნობილი ქანდაკებას დამსგავსებული ბერა თავს მოჰქცეოდა ბაქარის ცხედარს და მისთვის გამზადებულ სამარეს. ქარდილაი გზააბნეულივით იცქირებოდა, მხოლოდ დედისამ კვერ თანაგრძნობით გადახედა მოჭირისუფლე ხალხს, რამდენიმე ხანს თვალი შეაჩერა გურსიზე და მირანდუხტისაკენ გადაინაცვლა. დააცადა სასანიანის ასულს ლოცვის გათავება და მკლავზე ხელი მოჰკიდა.

— ქალო, იავ, გაიხსენე რომ შენებრ მრავალია ნაწამები! —შეემუდარა ცალქალამანიძის ქკრიევი ღულუნა კილოთი. — ხომ შენ თვითონ გადამიშალე ჩემგან სრულიად არნაფიქრი ეს ამბები? შენ თვითონ არ ამამხედრე ძმებ ცალქალამანიძეებზე. ჩემ მაზლთა და ქმრის წინააღმდეგ? შენ ამიხილე თვალი. ჩანს, დიდ მსხვერპლს მოითხოვს მრავალი ბოროტი ადამიანის მოშორება, ჩვენი ქვეყნის გაწმენდა უწმინდურთაგან. ვუცქერი ამ ვაჟკაცს, — დედისამ ბაქარის ცხედარზე უჩვენა, — და გული მიკვდება. რომ ასეთი უმწიკვლონი ეწირებიან საერთო საქმეს. ძმა და მამა დაჰკარგე, შეგრჩენ პაპა, ბიძა, ძმისწული და მრავალი მოკეთე. მე არავინა მყავს შენს მეტი, მე შენით გამოღვიძებულს, და ნუ მიმატოვებ მწირს, ნუ მიატოვებ სხვებსაც, რომელნიც შენ შემოგცქერიან. მოიშორე ეს საშინელი ბეჭედი, — დედისამ დემეტრიან ბეჭედზე უჩვენა და მირანდუხტს ხელი გადუკოცნა, ზედ ცრემლებიც დააფრქვია.

მირანდუხტმა თავისუფალი ხელი დედისას თავზე გადაუსვა და ბაგრატმა ამ ხელის შუა თითზე შეამჩნია თლიანი ოქროს ბეჭედი და იმ თვალზე ქალის ამოზიდული თავი. მეფე მიხვდა, რომ თვალის ბუდე შეიცავდა ნაშთს იმ საწამლავისას, რომლითაც მოეწამლა მირანდუხტს ცხრა ძმა ცალქალამანიძე, მიხვდა იმასაც, რომ ქალს ნაშთი საწამლავისა თავისთვის ჰქონდა შენახული.

„რად აპირებს თავის მოწამვლას სასანიანის ასული?“ — ჰკითხა თავისთავს ბაგრატმა და პასუხის ამოკითხვის ძიებას მისცა თავი.

დედისამ კი თავისი გაიტანა: მირანდუხტმა მოიძრო ბეჭედი, მიცვალებულ ბაქარს გაუკეთა და თან დასძინა:

— ძმაო, შენ გაიყოლე ეს ბეჭედი! მე, როგორც ჩანს, კიდევ უნდა ვიცოცხლო. ამას მოითხოვენ ჩემგან მდუმარებით ჩემიანები.

წარმოთქვა ეს და თვალი გურსიზე შეაჩერა, მერმე შემოავლო ირგვლივ და წრე შეკრა დედისათი; ამ წრეში ქარდილაიც კი მოჰყვა. წრის გარეთ დაურჩნენ სასანიანის ასულს ბაგრატ მეფე მემკვიდრიანად. ბაგრატს გული ეტკინა. თავისიანებად არ თვლიდა იადხმობილი ბაგრატიანებს. იადხმობილმა კი ისევ ძმას მიმართა:

— ბაქარ, ჩემო ძმაო საყვარელო, შვილს, პატარა რევის გაგიზრდი, რომ ჩვენ მეფეს და მის მემკვიდრეს შენებრ ერთგულად ემსახუროს.

ბაგრატს გული დაუმა ამ სიტყვებმა.

„არ კი დაგვიწყა მე და ჩემი მემკვიდრე, — თქვა გუნებაში მეფემ. — ბაგრამ რატომ თავისი თვალის წრეში არ მოგვაქცია, თავისიანებად ნაგულისხმევთ რომ შემოავლო?“

ამ კითხვაზე ისევ თვით მირანდუხტი გასცემდა პასუხს, სხვა არავინ. მირანდუხტმა კი გაიყოლა დედისა და ტაძარი მიატოვა. ვაჟკაცთ ფეხი არ მოუცვლიათ ტაძრიდან: მეფის ბრძანებას ელოდნენ ყველანი.

მეფე კი ფიქრთა დენას ჰყავდა წარტაცებული. ნატრულობდა თავისი სახლის წევრად იადხმობილის გახდომას და ეძებდა გზას ამ ნატვრის განსახორციელებლად.

ვაჩემ გამოარკვია.

— მეფევ, ხანი გაიელის და განვლილი ხანი გვეტყვის ყველაფერს, — მოახსენა ხუროთმოძღვარმა ბაგრატს თითქოს მის ფიქრთა დენის პასუხად, და ბაგრატი მემკვიდრიანად თავის სასახლეში გაიწია.

მოხუცი იმედს არ ჰკარგავდა, გონებას, თავისი ჩვეულებისამებრ, მწუხარების გრძნობათა მორჩილად არ ხდიდა.

„მჯერა, მირანდუხტი თავის მოწამლას ეპირებოდა, — გაიფიქრა ტაძრიდან გამოსულმა ვაჩემ, — უსათუოდ ეპირებოდა. უეჭველად მოიწამლავდა თავს: ჯერ იყო, და საუკეთესო შინაყმანი ამოუხოცეს ქალს მერმე მის გატაცების დარდმა საყვარელი მამა გამოუსალმა წუთისოფელს და ბოლოს ვაჟკაცი ძმაც მოუკლეს. განა გასაკვირი იქნებოდა, რომ ძმის სიკვდილის გაგების შემდეგ წამსვე თავი მოეწამლა?.. შურისძიების ძლიერმა გრძნობამ გადამირჩინა შვილიშვილი. უეჭველად ჩემი ია ამ შურისძიებამ ცოცხალი დამიტოვა, თავის მოწამლა გადაადებინა. იმოქმედა კიდევ ძმის წესიერად დასაფლავების სურვილმაც. ძმას მივაბარებ მიწას და მერმე მეც უკან გავყვებიო, უეჭველად ასე იფიქრა. მაგრამ

გონება გაძლიერებით დროზე აუმუშავდა ჩემ იას... დედისა... რა ადამიანია ეს დედისა? დღეს ანგელოზად მომევლინა. მირანდუხტის ამაგს ვერ ივიწყებს ქალი. გამომაღვიძაო, იძახის მირანდუხტზე... დღეს სანაცვლო გადუხადა დედისამ ჩემ შვილიშვილს... ახლა თვითონ გამოაღვიძა ჩემი შვილიშვილი, საშინელ ბურანში გახვეული, დაანახვა დადარდიანებული მისიანები და სამარეს მიაბარებინა საშინელი საწამლავი. გონება აუმუშავდა, გონება ჩემ შვილიშვილს და ამუშავებული მწარე მწუხარებას გადაატანინებს. ჯერ დაინახა, რომ თავისიანებს სჭირდებოდა, მერმე... მალე იქნება ეს მერმეც, ჩემი ია დაინახავს მთავარსაც. ჩემ იას უყვარს ქართველ ტომთა მომავალი მთლიანობა".

ია ხუროთმოძღვარს სასახლეში მოეგება. განვლილი ამბებისაგან შეძენილი სიგამხდრე იას სულის სიძლიერეს კი ჰმოწმობდა, მაგრამ რა გზას გააკეთებინებდა ამ სიძლიერეს, ეს არავისათვის ნათელი არ იყო. ახლა მხოლოდ ყველა ერთს ხედავდა, რომ ია უფლობდა ვაჩეს სასახლეში. ვაჩეს სასახლის დარბაზში იას მცირე სუფრა გაეშალა მიცვალებულთა მოსახსენებლად. მეფე და თვით სასახლის პატრონი სუფრას თავს მოუსხდნენ. მეფეს გვერდით ჰყავდა ტახტის მემკვიდრე. დანარჩენ ადგილებს ჩამოურიგდნენ ტაძარს ყოფნისას იას თვალის წრეში მოქცეულნი, თავისიანებად ნაგულისხმევნი. მირანდუხტი დედისიანად ფეხზე ტრიალებდა. დედისას საღვინე ეჭირა, მირანდუხტს — ფიალა. დედისა უსხებდა მირანდუხტს ფიალას, მირანდუხტი აწვდიდა სავსე ფიალას სუფრაზე მსხდომთ, მიცვალებულთა შესანდობარს ასმევდა. მირანდუხტი ბაგრატ მეფის წინ აღიმართა სავსე ფიალით, მეფეს გული შეუჩოჩქოლდა. მირანდუხტმა ფიალა მიაწოდა. მეფემ გული დაიმორჩილა. მირანდუხტს თვალი გაუსწორა. დღეს პირველად მოხდა ეს ამბავი. მეფემ ქალის ზრახვების გაგება მოიწადინა, მაგრამ წადილი ვერ შეისრულა. უმწეობა იგრძნო მეფემ. მირანდუხტის თვალები უფსკრულ ზღვად ევლინებოდნენ გვირგვინოსანს. როგორც მუდამ, უფსკრულში ჩახედვა არ ძალუძდა. ფიალა ჩამოართვა, რეჟოფილისა და ბაქარის შესანდობარი ბრძანა და მერმე თვით მირანდუხტს უსურვა ატანა მწუხარებისა, ლხენა სულისა, ბედნიერება.

— არა, მბრძანებელო, ცხრა ადამიანის მომწამვლელისათვის სულის მოლხენა მიუღწეველია. ბედნიერ ცხოვრებას ვერ ეღირსება ის, თუნდაც

წყნარი ცხოვრების არეს მოექცეს. მირანდუხტი ვერ მოისვენებს, — უპასუხა იამ ბაგრატს და თან ფიალა ჩამოართვა.

ბაგრატმა დედისას მიმართა.

— შენ რაღას იტყვი, ადამიანო, მირანდუხტისაგან თვალახელილო.

— მე რაღას ვიტყვი, მეფეო? — დაიწყო დედისამ თავისი ჩაკითხვით და ბაგრატს გაუმეორა მირანდუხტის ნათქვამის აზრი სხვა სიტყვებით: — არა კაც კლა, ბრძანებს უფალი. თანაზიარი ვარ ია ქალისა, რა მოასვენებს ჩემ გულს?

მირანდუხტმა ფიალა გაუშვირა დედისას. დედისამ გამოწვდილი აავსო. მირანდუხტმა ახლა მეფისწულს მიმართა:

— მეფისწულო, მე არავის რას ვედავები!.. არც შენა, და გულში ხინჯი ნუ გაქვს ჩემზე. — სხვა გზით მიემართები შენ, მეფისწულო, სხვა გზით მივემართები მე, რევი სასანიანის ასული.

ბაგრატმა გაოცებით მოისმინა მირანდუხტის ნათქვამი, მეფისწულისკენ მიმართული.

„განა რა ხინჯი გამოუნახა ამ ქალმა გულში ჩემ ტახტის მემკვიდრეს? რა მოხდა განა?.. გრძნეულია ეს ქალი, გრძნეული!“

მეფემ გაიხსენა ჯვარი, მირანდუხტის შინაურების გულწრფელი თქმანი და სხვა მომხდარი ამგვარი ამბები და ვერ დაასკვნა ვერაფერი. შვილს გადახედა.

მეფისწულს მირანდუხტის სიტყვები რომ ჩაესმა, ფერმა გადაჰკრა. დანაშაული იგრძნო ტახტის მემკვიდრემ: დაინახა, რომ მირანდუხტი არ ისწრაფოდა ტახტისაკენ... ჯვარში ჩასახული მტრული გრძნობები მირანდუხტისა მეფისწულს გულში გაუცამტვერა თითქოს და თავდავიწყებამდე მიმყვანი სიყვარული აუღორძინდა. გულიც ეტკინა, მირანდუხტმა რომ უთხრა: სხვა გზით მიემართები შენ, მეფისწული, სხვა გზით მივემართები მე სასანიანის ასულიო. მირანდუხტმა კი, სახეზე თავის ჩვეული ამოუცნობი იერით, საესე ფიალა მიაწოდა მემკვიდრეს, შესანდობარი ათქმევინა და სხვისაკენ გადაინაცვლა თავისი თანამდევნი მელვინითურთ. ქალმა ვაჩე პაპს მიაწოდა ფიალა. ხუროთმოძღვარმა ჩამოართვა ფიალა, მიცვალებულთა შესანდობარი დალია და შვილიშვილს დაუბრუნა.

მირანდუხტი გურსისთან მივიდა, დედისა თავდახრილი ამოუდგა

გვერდში. მირანდუხტმა გურსის მხარზე ხელი დაადო და ისე მიაწოდა ფიალა.

— ბიძაჩემო, ახლა ეპირები არმაზელთა სამკვიდრებელში წასვლას, თუ სამერმისოდ უნდა გადასდო? — შეეკითხა ქალი გურსის ფიალის გადაწვდისას.

დედისა მირანდუხტის ამ შეკითხვაზე ცოტა აღელდა. ხოლო გურსიმ გაიფიქრა: ჩანს, ჩემს ძმისწულს უნდა, მასთან დაერჩეო.

— ჰო, გურსი! დარჩი! — წამოიძახა სუფრიდან გამოცალკევებულმა ქარდილაიმ. — მეც შენთან ვიქნები.

გურსიმ ჯერ ძმისა და ძმისწულის შესანდობარი დალია და მერმე მირანდუხტს მიმართა:

— სანამ იადხმობილისათვის საჭირო ვარ, მანამ სასანიანთა არემარედან ფეხსაც არსად გავდგამ! — განაცხადა მტკიცედ გურსიმ და დედისას თითქოს უნებლიეთ მიხედა. ცალქალამანიძის ქვრივი თავდახრილი და თითქოს შეფერიანებულიც დაინახა.

დედისამ მირანდუხტს ფიალა გაუვსო და ამით უხერხულობას თავი დააღწია.

მირანდუხტმა ვარაზ-ბაკურს მოსთხოვა ველთასი და პატარა რევის დაბრუნება.

— მცხეთას მომიყვანე ველთა, ვარაზ-ბაკური, თანამეცხედრემ თანამეცხედრის საფლავი ინახულოს. მე იმას დაველოდები, მერმე, ერთად უჯარმას წავალთ მამის საფლავის მოსატირებლად. ეს ყველაფერი კვირა ნახევრის განმავლობაში უნდა მომიხერხოთ, უჯარმელნო და ბოლნელნო.

ბაგრატმა მირანდუხტისაგან უჯარმაში წასვლის ამბავი რომ გაიგონა, ეაჩეს გადახედა. ვარაზ-ბაკური კიდევ მირანდუხტს პასუხს ვერ აძლევდა. ცხადი გახდა, რომ ბოლნელს რაღაც აფერხებდა. მირანდუხტს ფერი ეცვალა.

— კიდევ უბედურება რამ ხომ არ არის ჩემ თავზე დატეხილი? — იკითხა აჩქარებით ქალმა. — რევი, ველთა, როგორ არიან?

— კარგად არიან, საყვარელო იავ, კარგად! — სწრაფად მიუგო ვარაზ-ბაკურმა.

. — მერმე რა უშლის აქ მოსვლას?

— დღესვე გაიგზავნება თვალისი, იავ, და მოგგვრის რძალსაც და

ძმისწულსაც. მცხეთა უხიფათო ადგილსამყოფელს წარმოადგენს ახლა, — უპასუხა ვარაზ-ბაკურმა სასანიანის ასულს და ის კი ვეღარ გაუბედა, ეთქვა, უჯარმაში არც შენ გაგიშვებენ, არც ჩემ დას, არც ჩემ დისწულსაო, და ამის ნაცვლად მეფეს გადახედა.

— ია, უჯარმის დედოფალო, რა გითხრა! — მიმართა მეფემ ყველასათვის მოულოდნელად მირანდუხტს. — ერწოდან წამოსულს, შენ იცი, გზვდებოდა ჩემ სპათა გუნდები.

ცხადად დაინახა იადხმობილმა, ბაგრატს შუბლი შეეჭმუხნა ძლიერი გულისტკივილისაგან.

— სწორედ ამ გუნდებმა მომიტანეს, უჯარმის დედოფალო, ჩემ თავს დატეხილი უბედურება, — ბაქარის სიკვდილის ამბავი. ეს გუნდები სდევნიდნენ ოცდაათი ათასი სპით ქართლში ხალხის ასაკლებად შემოჭრილ, და ძუხრანსა და წილკნის გორთა შუა მკაცრად დამარცხებულ თავხედ ფადლონს. ფადლონი, თითქოს უგზო-უკვლოდ დაკარგული, ერწოში ჩაუვარდა ისაკ თოლობელის ძეს, აზნაურ მესხს და მე კი არ მომგვარა ჩემმა აზნაურმა მეკობრე, არამედ ალფარსლანისაგან ტფილისის ამირად დანიშნულ აღსართანს — თელავში. აუცილებელი გახდა ფადლონის ხელში ჩაგდება და იძულებული ვიყავ ბოჭორმა და უჯარმა დამეთმო აღსართანისათვის. შენი წასვლა უჯარმას ახლა სახიფათოა. ცხრა ბურჯი გამოცალეს ხელიდან კახეთის მფლობელს... შენი უჯარმაში მისვლა არ მოასწენებს... შურისძიება აღეძვრის... ჩავიბარო ფადლონი და...

„ჩავიბარო ფადლონი... — გაიმეორა მირანდუხტმა თავისთვის, — ფადლონის რაზმეულები არ იყვნენ, ჯვარპატიოსნობას თავს რომ დაგვასხეს კვეტარელებმა? ფადლონის რაზმეულები არ იყვნენ, რომ ბოჭორმის დასწვრივ, ვიწროებში, ივრის სანაპიროებზე თურქებთან ერთად თავს დამასხეს ისევ კვეტარელებმა? ფადლონი თვითონაც თავს ესხმის ჩვენს ქვეყანას და სხვასაც უთმობს თავის მეკობრეებს თავდასასხმელად. — ქალს გული შურისძიებით აღეკსო, — ჩანს. მამაჩემიც, ჩემი ძმაც ამ ფადლონის ვერაგობის მსხვერპლნი არიან, ამისა და ამისთანა ვერაგობის მსხვერპლად ხალხიცაა გადაქცეული... აღსართანი ვერაგობს, ასეთი ხალხი უნდა მოისპოს... ვინ მოსპობს?...“

ქალმა ბაგრატს გადახედა, მის მეშკვიდრესაც. ქალს მათში უნდა ემხილა თავისი კითხვის პასუხი და უმხილებელი დაურჩა.

„ამათ არ ძალუძთ ფადლონისთანების მოსპობა გარეულისა და შინაურისა.“ — დასძინა გულში ქალმა და შესანდობარი მამისა და ძმისა ჩამოათავებინა ყველას.

მირანდუხტი მიუახლოვდა ბაგრატს და ხელზე ემთხვია.

ბაგრატს კი მისი ხელის მეამბორე სასანიანის ასული ისეც მაღალ კვარცხლბეკზე აღმართულ ღვთაებად ეჩვენებოდა. საიდუმლო ხმა კი ჩასჩურჩულებდა: ვერ გაუბედავ შენ იას და ვერ სთხოვ შვილის თანამეცხედრეობას. თვით ქალმა უნდა გადადგას ეს ნაბიჯი თავისი სულის ზემოქმედებით. ბაგრატი საიდუმლო ხმის ჩურჩულს ისმენდა და სასანიანის ასული კი თავისი დედისათი თავისთვის განკუთვნილ მხართოთახში გავიდა. აქ სკამზე ჩამოჯდა და ჩუმი ხმით ატირდა. მისმა მამზირალმა დედისამაც გადმოყარა ცრემლები. ცალქალამანიძის ქვრივი გრძნობდა, რომ იადხმობილის მწუხარება მისი მწუხარების ბადალი იყო და ერთმანეთის ნუგეშისცემას არაფრად აგდებდა. თავისთვისაც და მირანდუხტისათვისაც ცრემლთა ფრქვევაში ხედავდა შვებას.

ოთახში ბასა შემოვიდა. ბასას შემოსელა ამცნობდა მირანდუხტს მეფის ბრძანებას, ხალხის აშლას სუფრიდან. მაგრამ ბასას შემოსელა სულ სხვა ამბავს გამოეწვია. პირშიშველ ჭაბუკს სევდიანი სიხარული უღვიოდა თვალებში.

— უფლის ასულო! — მიმართა მირანდუხტს ფერისის ნატამალმა. — უფლის ასულო!... — ბასა შეჩერდა, შებორძიკდა.

მირანდუხტს ცრემლი შეუშრა თვალებზე. ქალმა შეკითხვით გაჰედა ბასას, თან გაიფიქრა, ახალი ხომ არაფერი დამატყდა თავსაო. ბასამ შენიშნა მირანდუხტის სულისკვეთება და წამს ბოლო მოუღო ჭნის ბორძიკს.

— გულადი მოვიდა, უფლის ასულო, გულადი! — დაიძახა ხმამაღლა.

ბასამ უმეტესახელოდ მოიხსენია ფხოველი, რაც მის დიდ სიხარულს აღნიშნავდა.

— შენ ნახვას მოითხოვს გულადი, უფლის ასულო! — დაურთო ბასამ თავის ნათქვამს.

მირანდუხტს გულადის მოსვლის გაგონებაზე თვალწინ წამოუდგა მთელი რიგი სურათებისა. აგერ გულადი მცხეთას მოსულა თორმეტი წლის წინათ. გაიხსენა, რა ნაბიჯები გადადგა ექვსი წლის იამ, გულადი

რომ სდევდა მცხეთას. გაიხსენა მირანდუხტმა გულადი ჯვარპატიოსნობაზე ლექსი უმღერა ფხოველმა თექვსმეტი წლისას, მოაგონა ექვსი წლის ია ქალის დანაპირები, ქვეყნის მხსნელი გმირი უნდა გავზარდოო. აგერ კიდევ სურათი: გულადი, ვაჩე პაპას ხელით განკურნებული ჭრილობისაგან, სასანიანთა პალატის კარმიდამოზე დგას და ექვსი წლის ია საჩემორზე დამარხული სამი გმირის ამბავს გადმოსცემს.

„მეც გაუზრდი მაგ სამისთანა გმირს!“ — ჩაესმა მირანდუხტს ყურში მაშინდელი თავის ნათქვამი და წარმოუდგა სურათი: ოცდახუთი წლის გულადი მუხლმოყრილი ეამბორება პატარას, ექვსი წლის ია...

— უფლის ასულო, რა ვუთხრა გულადს? — გაისმა ბასას შეკითხვა, რაკი მირანდუხტი ჯერ კიდევ მდუმარებდა და მის მოტანილ ამბავზე არაფერს ამბობდა.

მირანდუხტი შეკითხვამ გამოარკვია.

— მოვიდეს, ბასა, მოვიდეს! — უთხრა ქალმა.

დედისამ მირანდუხტს გადახედა გულადის სახელის ხსენებაზე. გაგონილი ჰქონდა, რომ კვეტარის მიდამოებში მოსახლეობდა მგოსანი გულადი, ჩანგზე საუცხოო დამკვრელი, გ ლსჩ. მწვდომი ლექსის გამომთქმელი, უჯარმის ახლოს ივრის მარცხენა სანაპიროებზე დაღუპული, ცალქალამანიძეთა და სასანიანთა შორის მომხდარ ბრძოლაში.

„თორმეტი წელია მას აქეთ, რაც ეს ბრძოლა მომხდარა,“ — გაიფიქრა დედისამ და მოისურვა გულადის ვინაობის გაგება.

— ვინაა ეს გულადი? — იკითხა მან.

— ვინაა ეს გულადი? — გაიმეორა მირანდუხტმა დედისას შეკითხვა, — ვინაა და ფხოველი მგოსანი, თორმეტი წლის წინათ იაზონ ცალქალამანიძის მეკობრეთა რაზმში მოქცეული და ვაჩე პაპას ნამკურნალევი, მის და სასანიანთა ერთგულ ადამიანად ქცეული.

— ჩანს, მოხერხებული კაცი ყოფილა, რომ ცალქალამანიძიანთ მიემალა. — დაასკვნა დედისამ მირანდუხტის სიტყვებს.

— ვაი იმ მოხერხებას... — დაიწყო მირანდუხტმა და დაწყებული ველარ გაათავა.

გულადი შემოვიდა, შეჯავშნული და ჩანგით ხელში. ფხოველს ბაქა მოუძღვებოდა.

„რა ვაჟკაცი ყოფილა! — თქვა გულში დედისამ და თან დაურთო: — ნეტავი თავისთვის სავაიო რა მოახერხა?“

დედისამ მალე მიიღო პასუხი, გულადმა მუზარადი მოიხადა და მკერხზე დადო. დედისამ შუბლი დაუნახა ვაჟკაცს და დასახიჩრებული წარბები იცნო.

„ეს ხომ კვეტარში გვეწვია ჩანგითურთ ჩოხისა და ნაბდის ამარა, მაშინ, როცა ბაქარი სასაინიანი და მეფისწული კვეტარის სიმაგრეს გარემოცვას ეწეოდნენ, – წამოიღაპარაკა დაბალი ხმით დედისამ. – ბაგრატის მტრად აცხადებდა თავს და ბევრი სასაცილო ლექსი გვიმღერა იმაზე. იაზონისაგანაც დავალება იკისრა და ისე დააგდო კვეტარი, მზირი ყოფილა ბაქარისა... ისე გაუმეტნია თავი და დაუსახიჩრებია წარბები, რომ ვერავინ იცნო. თვით იაზონმაც კი. მაინც როგორ გაბედა კვეტარში მოსვლა, მერმე მის გარემოცვისას?! მართლა რომ გამბედავი ყოფილა ეს მგოსანი...“

დედის ამბობდა თავისას და თან გულადს თვალს არ აშორებდა.

გულადი კი მუზარადმოხდილი, იღლიაში ამოდებული ჩანგით, მუხლებზე დაეცა მირანდუხტის წინ და მწარედ აქვითინებული ეამბორა მირანდუხტს ხელზე. იქვე გულადის ასლოს ბასა ღვრიდა ცრემლებს.

– ვიცი ყველაფერი, უჯარმის დედოფალო, ვიცი! – უთხრა გულადმა მირანდუხტს, როცა ქვითინით გული მოიჯერა. – მთელმა ერწომ იცის კვეტარში მომხდარი ამბავი. – გულადი კიდევ ეამბორა ხელზე მირანდუხტს, – მამაშვინის სიკვდილიც გავიგე. უჯარმას ვიყავი. შენ, იავ, შური იძიე ჩვენი ქვეყნის მიმძლავრებულ ხალხზე. ვინ მოსთვლის, რამდენია ცალქალამანიძეთა და მათებურთა მუხანათური თავდასხმით დაღუპული! რომ ასეთი ადამიანები არ ბუდობდნენ ჩვენს ქვეყანაში, ალფარსლანი ასე გაუკითხავად ვერ გაანადგურებდა ქართლის და ლიხთ იქითის დიდ ნაწილს. იავ, გლოვის ზარია ყველგან ქართლში, როგორც შენ სახლში! ბევრი, ბევრი მოსთქვამს: დაკლონებულვარ სიკვდილსა, დაბნელებასა მზისასაო. ბევრს დაუბნელეს მზე, ბევრს, შინაურმა ავზნე გარეწრებმა და გარედან შემოჭრილებმაც... უბედურია ჩვენი ქვეყანა, უბედური, იავ! შენი წინაპრის ვახტანგ გორგასალისთანა ბუმბერაზი უნდა ეშვას ჩვენ ქვეყანას, რომ თვისი ბედის ჩარხი მოუტრიალდეს...

გულადი ამას ამბობდა, ბასა ცრემლთა ღვრას განაგრძობდა. გულადმა ბოლმა-ვარამით აღსავსე გული ვერ დაიოკა სადა, სიტყვიერი ჩივილით. ჩანგი ასწია, აახმაურა და გლოვის ჰანგები გადმოაბნევინა. გლოვის

ჰანგებს ლექსი შეუწყო: ხან დედა ატირა შვილიშვილზე, თავის შვილთა მამაზე, ხან — დანი ძმებზე, შვილნი მშობლებზე და წყევლა-კრულვა შეათვლევინა მტერთან მგოდებელი ტანჯული ქვეყანა აჩივლა ზენაართან.

— უჯარმის დედოფალო! იადხმობილო! იავ! იცი? — მიმართა გულადმა შეკითხვით სასინიანის ასულს და ამ შეკითხვას თან მიაყოლა გლოვის ჰანგების გადმომცემი ჩანგის ჟღერა:

გოდებენ ხევნი, ველნი ტიალნი,
ბანსა უბნობენ ქარნი გრიალით,
სტირიან შვილებს, დაღუპულ გმირებს,
უპატრონოდა ცის ქვეშ დაყრილებს.
ბორგავს მდინარე, გამწარებული,
კლდეთ ეხეთქება, გახელებული,
გრგვინავენ მთანი, დაობლებულნი,
ბოლმა-ვარამით დამძიმებულნი.

მოსთქვამს მრავალი თვის დაკარგულსა,
წყევლას და კრულვას აყოლებს გულსა,
მდრტვინავი გმინვით იშფოფებს სულსა,
ზენაარს შესთხოვს ულმობელ შურსა.

ჩანგის გლოვის ხმას და გლოვის ხმასთან შეწყობილ ლექსებს დარბაზის სიღრმიდან მოეზიდნა მეფე, მეფისწული, ხუროთმოძღვარი, გურსი, ბერა, ვარაზ-ბაკური. გურსი ზურგთუკან ქარდილაი ამომდგარიყო. ყველა ისმენდა მგოსნის გლოვას. ყველას გული ეთუთქებოდა და ყელში რაღაც ებჯინებოდა.

— გურს, გურს! ეს ხომ ჩვენი მოთქმაა! — წამოიძახა ქარდილაიმ. — ჩვენი: ებრაელთა, განადგურებულ ებრაელთა იერუსალიმი! ეს ხომ ჩვენი გოდებაა!...

ებრაელი თუ რომაელთაგან განადგურებულ იერუსალიმს იგონებდა მგოსნის მოთქმაზე, მეფე ბაგრატი და ხუროთმოძღვარი, ფიქრთა უფსკრულში მოქცეულნი, გზას ეძებდნენ ქვეყნის შვებისას.

ვარაზ-ბაკური დრტვინავდა, გმინავდა მწუხარებისაგან და თან მტერს

ემუქრებოდა, ბერა შუბლშეჭმუხვნილი, მეფისწულს უცქერდა. მეფისწული და გურსი კი მირანდუხტს მისჩერებოდნენ: მის გამომეტყველებას გაეთანგა ორი ვაჟკაცი, სასახიანთა ასული მთელი თავისი არსებით მწუხარებას წარმოადგენდა. მირანდუხტი გლოვობდა ახლა მთელ ქვეყანას.

გურსიმ მოიწადინა ძმისწულის მწუხარების მიყუჩება და მხართოთახში ფეხი შედგა. ძმისწულს ესვია ბიძა, გვერდით მიუჯდა. ხელზე ხელი წააცლო მწუხარეს, ალერსიანი. მირანდუხტმა მხარზე თავი მიაყრდნო ბიძას.

— ხომ არ დამაგდებ უპატრონოდ? — ჰკითხა დაბალი ხმით.

ბიძამ მხოლოდ თავის დახრით უპასუხა. სიტყვიერად არა უთხრა რა, მაგრამ მგოსანმა მოულოდნელად ჩანგს გამხნევების ხმები გადმოაბნევინა. მგოსანმა ხმებს ლექსიც შეუწყო. ყოველ ადამიანს ხომ ცხოვრების გზაზე ნიადაგ ეკლების კაფვა უხდება. შორია ეს ეკლიანი გზა. ხან დაეცემა მოქანცული ადამიანი, სისხლ-ოფლში გასვრილი, ხან ძალამოკრებილი ისევ ფეხს ადგამს და უეკლო ველზედაც გადის, ნეტარებას გრძნობს. ხალხიც ასეა. ხალხსაც უხდება გავლა ეკლიან გზაზე, ხალხს უბრძოლველად არა ხვდება რა. ბრძოლა უნდა, ბრძოლა მედგარი...

მგოსანმა ახლა ბრძოლის ჰანგები აჟღერა: ჩანგის ხმებთან შეწყობილი ლექსიც ბრძოლაში იწვევდა ქვეყნის მოყვარულთ და ისევ იარაღით გზის გაკაფვას უქადაგებდა, მტერზე შურისძიებას მოითხოვდა, ძლიერ შურისძიებას, შვილების აღზრდას შურისძიების ჩაგონებით.

წელან, მირანდუხტს მეფისაგან რომ შეესმა, უჯარმას და ბოჭორმას აღსართანს ვუთმობ ფადლონის ხელში ჩასგდებადო, იმისგან აენთნენ თვალები შურისძიებით, ახლა ბრძოლით ანთებულმა ჩანგის ხმებმა შურისძიებად გადუქციეს მთელი არსება.

„მამა და ძმა ჩემმა დატყვევებამ გადაიტანა, — გაივლო გულში ქალმა. — ეს მტრის შემოსევამ გამოიწვია. ჩვენ ქვეყანაში გოდება ისმის. ეს ხომ მტრის გათარეშების კვალია. ეს უნდა გვიზღოს ისევ მტერმა, შინაურმაც და გარეულმაც. ბუმბერაზი უნდა ამ შურისძიებას, ბუმბერაზიო. ამბობს გულადი. უნდა ბუმბერაზი! ეს ბუმბერაზი შენ უნდა შვაო, მიბრძანა თემესტიამ სიზმარში, შენ უნდა აღზარდოო. დედისა მეუბნება, განა სიზმარი მართლდებაო.“

ქალმა გაიხსენა ორი წლის წინ ნანახი სიზმარი, ჯერ ერთი,

ცხრამკლავა დევი რომ იბრძოდა მის ხელში ჩასაგდებად. დევმა ონოფრე და ფერისი დაუხოცა, თვით მას ხელი წაავლო კიდეც და ამ დროს გამოელვიძა. ქალმა გაიხსენა მეორეც: თექვსმეტი წლის ჭაბუკი რომ ეუბნებოდა, დედავ, დამლოცე, ჩვენი ქვეყნის მტრებს უნდა შევებრძოლოთო. ,,პირველი სიზმარი ამისრულდა. შემდეგ დროს ნანახი სხვა სიზმრებიც დამისრულდებოდნენ. ეს მეორე, ჯვარპატიოსნობას ნანახი!.. ბედს ისე მივყევარ, რომ...“

ქალს ფიქრთა დენა შეუწყდა. გულადმა ერთი ორჯერ ძლიერად გადაათარეშა თითები ჩანგის ძალებზე, მომაყლის გამარჯვების ძლიერი ხმები გააგონა ქალს და შეაჩერა ძალთა მეტყველება.

გულადის ჩანგის ბგერებსა და ლექსებში იას შემოესმა უტეხი ხალხის ხმა, ხალხის გადაულახავი მოწოდება. მირანდუხტს ემხილა უნებლიე თავისი მოწოდებაც, თვალები უცნაურად შეუჩერდნენ დარბაზის სიღრმიდან მხართოთახის კარისაკენ წამოწეულ მეფის წულზე და მეფისწულმაც იგრძნო, რომ მის ნებისყოფას საშიშროება მელოდა.

ყველა მიხვდებოდა, რომ მირანდუხტი გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმას ეპირებოდა თავისი ცხოვრების გზაზე. ვაჩე პაპას თვალები გაუსინათლდნენ, გურსი სახეგაბრწყინებული იმზირებოდა, ბასა კაბის კალთაზე ეამბორა ქალს, გულადი მუხლთმოყრით ხელზე ემთხვია.

— მე ჩემ მხრებზე დაგიდგამ, იავ, სადედოფლო ტახტს! — შეჰღალადა ბერამ.

— მე ერთგულ მცველად მიგულვე! — დაიგრგვინა ვარაზ-ბაკურმა. აღტაცებული ზვიადის ძე წინ გაუჩერდა მირანდუხტს.

— მე ხომ თავს არ დამანებებ, იავ! — წარმოთქვა დედისამ თავისებური ღუღუნით. მირანდუხტმა წელზე ხელი შემოაჭდო დედისას, შუბლზე აკოცა და გურსის მიმართა:

— მაშ ჯერ კიდევ არ დამტოვებ, გურსო?

— სანამ სამუდამო სამკვიდრებელს მიმითითებდეს ზეციური, ჩემ თვალის წრეს არ გაგაშორებ, — უპასუხა გურსმა.

სულ მაღლდებოდა და მაღლდებოდა სასანიანის ასულის კვარცხლბეკი. კვარცხლბეკზე მდგომი ეს ასული თავის ირგვლივ უმწიკვლო მბზინვარებას მიმოაბნევდა. მეფეს მოესურვა მირანდუხტის წინ თავის დახრა და დახანება მოუხდა. ხუროთმოძღვარი მოსცილდა მხართოთახის კარს და შვილიშვილთან ¿აჩნდა.

მეფისწულს კი გულში ისევ წამოეჭრა მტრული გრძნობა მირანდუხტისა. ეს მტრული გრძნობა მეფისწულის გულში დაბუდებულ მირანდუხტის სიყვარულს წაედავა.

— შენ გაქვს მაგის სიყვარული, — ჩასჩურჩულა მტრულმა გრძნობამ და მირანდუხტზე მიუთითა.

— მაგას კი არა აქვს შენი სიყვარული. შენ მაგისათვის მხოლოდ თანამეცხედრე იქნები და არა საყვარელი არსება.

— მერმე შენ რას კითხულობ, უყვარხარ, თუ არ უყვარხარ? — მოესმა მეორე ხმა, — შენ ხომ გიყვარს? შენი საყვარელი არსება შენ გვერდით იქნება და არა სხვა ვინმესთან. ამითაც უნდა დაკმაყოფილდე.

— ეგ ალფარსლანთან მიდის! — ჩასჩურჩულა მტრულმა გრძნობამ.

— იქ ალფარსლანს წუთისოფლის გამოსალმება უქადდა თავის ქვეყნის გულისათვის, — ჩასძახა მირანდუხტის სიყვარულმა.

— ამას მხოლოდ ქვეყნისთვის თავდადებული იზამს. შენ გეყოლება გვერდით თავდადებული ადამიანი.

— შენთან თუ ჩოდის, ქვეყნისათვის თავისი სისხლის მემკვიდრე უნდა შვას, — უთხრა თავის მხრივ მტრულმა გრძნობამ. — შენ არა ხარ მირანდუხტისათვის.

— მისი ქვეყანა შენიც არის. მისი ნაშობი შენი შვილი იქნება. შენი მოდგმაც, — ააგონა სიყვარულის ხმამ მეფისწულს. — ყველა ქვეყნისათვის უნდა იყოს. შენც ქვეყნისათვის ხარ. შეიყვარე შენი ქვეყანა შენს თავზე მეტად, თვით მირანდუხტზე მეტად, და მაშინ მირანდუხტი შენც შეგიყვარებს...

მეფისწული მერყეობდა ორ გრძნობას შუა და ოთახის კარს არ შორდებოდა. მირანდუხტთან კი მეფეც მივიდა. ოთახის კარს დარბაზიდან მომდგარი მხოლოდ მეფისწული-ღა შერჩა.

მირანდუხტი მეფეს ფეხზე წამოუდგა.

გათანგულივით იცქირებოდა მირანდუხტისაკენ მეფისწული. მირანდუხტმა თვალი შეავლო მას. გიორგი მორჩილებით დაიძრა ადგილიდან და მოშორდა კარს. ტახტის მემკვიდრემ ძოწიწებით შედგა ფეხი ოთახში, მოკრძალებით მიუახლოვდა მირანდუხტს და გვერდით ამოუდგა.

— ძმაო, შენ გაიყოლე ეს ბეჭედი! მე, როგორც ჩანს, კიდევ უნდა ვიცოცხლო. ამას მოითხოვენ ჩემგან მდუმარებით ჩემიანები! — უთხრა მირანდუხტმა ძმის ცხედარს მაშინ და საწამლავის შემცველი ბეჭედი ნეკზე გაუკეთა. ბაქარის დასაფლავების ყველა დამსწრე მიხვდა, რომ ქალს თავის მოწამვლაც ჰქონდა განზრახული და განზრახვაზე უარის თქმა მოუხდა. დედისამ და მდუმარებით მაცქერალმა თავისიანებმა მირანდუხტს მწარე საყვედური აგრძნობინეს. ამასთან იადხმობილს გაახსენდა ველთაც და პატარა რევიც. მათი მიტოვება დიდ ცოდვად ჩაესახა გულში: სამძიმრის სათქმელად მოსულმა გულადმა კიდევ აწიოკებული ხალხი გაახსენა, მისებრ მრავალ ტანჯული და გული ახალი შურისძიებით აღევსო. ყველამ დაინახა, რომ მირანდუხტი ახალ დიდ ნაბიჯს გადაღგამდა და თავს გასწირავდა. ყველა გრძნობდა, რომ დრო გაელიდა, და მირანდუხტი ტახტის მემკვიდრის თანამეცხედრეობას იკისრებდა. სწორედ ეს იქნებოდა მისგან დიდი ნაბიჯის გადადგმა. მაგრამ უკვე წელიწადმა განელო ნინოწმიდელისა და ბაქარის დაკარგვის შემდეგ და მირანდუხტს გლოვის იერი მაინც ვერ გაუქრა სახეზე. ქართველთა ჩვეულება, ჭერის ახსნა მამისა და ძმის დაკარგვის წლისთავზე არ გახსენებია. უსაზომო მწუხარებით გული განუწყვეტლივ ეგვემებოდა. გურსი, დედისა, პაპა ვაჩე და ყველა თავისუფალნი დავიწყებას არ მიუცია. ახსენდებოდა ხალხი და მისი აწიოკებული სამკვიდრებელი. ადარებდა თავისი გვარის დანაკლისს ხალხის დიდ დანაკლისს. ჰხედავდა, რომ ერთნაირად მოსდებოდა ცეცხლის გენია თვითონაც და ხალხსაც. ჰხედავდა, რომ თავს დატეხილი უბედურება ყველას ათანაბრებდა, ერთნაირად ამწუხრებდა. ხშირად ღოცულობდა ძმის საფლავზე ხალხისათვისაც და თავისთვისაც და მაინც სულის სიმშვიდეს ვერ პოულობდა. ვარაზ-ბაკურმა ველთამზეც მოჰგვარა, პატარა რევიც და მაინც სულის სიმშვიდე ვერ მოუპოვა. მამასა და ძმას რომ ვერ ხედავდა იადხმობილი, მარტოდმარტო ჰგონებდა თავს და უნუგეშო მწუხარებას ველარ იოკებდა, მისი შემყურე მახლობლები ალაპარაკდნენ. გურსიმ დაიწყო:

— წელიწადმა განელო, ძმისწულო, ჩემი ძმის გარდაცვალების დღიდგან და არა თქვი რ· ჭერის ახსნაზე. მეგონა, ბაქარის წლისთავს

ელის-მეთქი. აი ახლა ბაქარის დაკარგვის წლისთავიც არის და სდუმხარ კიდევ.

გურსის ამ თქმაზე ველთა აქვითინდა.

— ნეტავი ცოცხალი როგორღა ვარ?! — წამოიძახა ზვიადის ასულმა გულამოყოლებით.

შვიდი წლის რევიმ დედას კალთაზე ხელი მოჰკიდა. ბაეშვს ტირილი არ ავარდნია, მხოლოდ ფერმა გადაჰკრა სახეზე.

— გავიზარდო ერთი! — წამოიძახა პატარამ, — არ;ჯ ერთ ცალქალამანიძეს ცოცხალს არ გავუშვებ...

მირანდუხტმა ველთამზეს გადახედა. ქალი მთლად ჩამომხმარიყო. აქამდე მწუხარებით გათანგულ იას ყურადღება არ მიუქცევია რძლისათვის. წინათ სიცოცხლით სავსე ველთამზე, მუდამ თვალთაგან სხივთა მფრქვეველი, ახლა სახე დაბინდული იყო, თითქმის სამარის კარს მიახლოებულს ემსგავსებოდა.

მირანდუხტს გულში ელახვრა ფითრად ქცეული სახე ველთამზისა. წლის განმავლობაში თვალწინ უტრიალებდა რძალი და მისი მდგომარეობა თვალმა მხოლოდ დღეს შენიშნა. სინანულმა შეიპყრო სასანიანის ასული.

— ჩანს, მე ჩემი დარდი მახსოვდა მხოლოდ და სხვა არაფრად მიმაჩნდა, — გაიფიქრა მან და შუბლი ოდნავ შეიჭმუხნა. ერთი ორი რისხვის სხივიც გადმოჰვარდა თვალთაგან: შურისძიების გრძნობა გაელვიძა.

— იაზონძა მოიმკო, რასაც სთესავდა თავის ძმებთან ერთად, — მიადევნა ქალმა პირველ აზრს შემდეგი. — გულო ჩემო, რას ამტეხიხარ?.. მამასა და ძმას სიკეთე თავისი თავის დაღუპვით აუნაზღაურდათ და ვგლოვობ მათ დაღუპვას, უსამართლო დაღუპვას! იაზონმა მიიღო სამართლიანი საზღაური საქმეთა თვისთა... ჩემი ძმისანი ყველა მიმავიწყდა?

მირანდუხტი ჯერ კიდევ მდუმარებდა და გურსის პასუხს არ აძლევდა. გურსი ელოდა. პასუხი დაგვიანდა და გურსი ისევ ალაპარაკდა.

— ძმისწულო, დაბანება აღარ იყარგებს! წლისთავი უნდა გადავუხადოთ ჩვენ მიცვალებულთ, — უთხრა მან. — ბაგრატ მეფეც ელის ალბათ ამის გაგებას.

— კარგი, ბიძაჩემო, სამზადისს შეუდექი და მეფესაც კაცი გაუგზავნე! — უპასუხა მირანდუხტმა და შეეკითხა: — ბიძაჩემო, ბერა რას ამბობს უჯარმაზე? პაპაჩემი რატომ არ იღებს ხმას?

— ბერა შენ გამოფხიზლებას ელის, ძმისწულო, პაპაშენი თუ სდუმს, ეს იმას ნიშნავს, რომ ავად არის და ჯვარიდან გამოსვლას ვერ ახერხებს, — უპასუხა გურსიმ მირანდუხტს.

პაპის ავადმყოფობა გაიგონა ქალმა და ქავურდის ნაძღვნევი ცხენი შეაკაზმინა. თვითონ ეწვია ჯვარში პაპას. მოხუცმა შვილიშვილის მისვლაზე მოიხედა, გაიხარა.

— ჩემი ია, ჩემი ია! — გაიმეორა რამდენჯერმე ვაჩემ და შუბლი გადაუკოცნა შვილიშვილს. — ვიცოდი, ვგრძნობდი, რომ გონებას აამუშავებდი. ახლა მალე, მალე კარგად გახდები!

მირანდუხტმა არ დაახანა ჯვარში, პაპა მცხეთას გამოაყვანინა საკაცეთი და დედისა მიუყენა მომვლელად. მერმე ველთამზესა და რევის მიხედა: ველთას გამობრუნებას შეუდგა.

გურსიმ მიცვალებულთა წლისთავის სამზადისს მოჰკიდა ხელი.

— ია ქალი მთლად გამოიცვალა. — უთხრა დედისამ ვაჩე პაპას რამდენიმე დღის შემდეგ. — გლოვის იერი მზრუნველობის იერად შეეცვალა. მე მხელმძღვანებლობს შენს მოვლაში და ველთასა და რევის სულ თავს დასტრიალებს.

— მალე, ჩემო დედისავ, მალე, თავისი მთავარი მოვალეობის გზასაც დაადგება, — მიუგო მოხუცმა.

ველთამზე შემოვიდა ვაჩე პაპასთან, დედისამ გაოცებით გადახედა სასანიანთა ქვრივ რძალს. ქალს დაღონების ძლიერი იერი დასცემოდა, მაგრამ სახეზე კი ვარდისფერი უკრთოდა.

— გრძნეულია, გრძნეული ია ქალი! — წაილაპარაკა თავისთვის ცალქალამანიძიანთ ქვრივმა.

ვაჩემ მოჰკრა ყური დედისას სიტყვებს და წამოიძახა:

— დიახ! — მოხუცს უნდოდა კერი დაეკრა დედისასათვის, მაგრამ შეჩერება მოუხდა, რადგან ამ დროს მირანდუხტიც შემოვიდა.

პაპამ თვალი შეავლო შვილიშვილის სახეს: გლოვისა აღარა შერჩენოდა რა. ამოცანური იერის გამომეტყველება გადაბურვოდა.

— ძოდი ახლა და შენ გაუგე რამე მაგას, — ჩაილაპარაკა მოხუცმა.

— პაპაჩემო, ბერა დაბრუნდა თავისი რაზმით! — ამცნო ხუროთმოძღვარს მირანდუხტმა. — ამბავი მოიტანა, რომ მეფე ზემო დიდგორიდან დაძრულა, გზაშია თურმე და დღეს მცხეთაშიც იქნება. წლისთავის

წირვაზე დასწრება მოსურვებია მბრძანებელს. თან მოჰყვებიან დედა, თანამეცხედრე და ტახტის მემკვიდრე. მე მამის საფლავსაც ვნახავ, დაურთო ბერას მოტანილ ამბავს მირანდუხტმა და რძალს მიმართა: — ველთა, გენაცვალე, შენ დარჩი ეაჩე პაპასთან, დედისა გამომყვეს! დედისავ, მარცხენა მხართოთახები მოვამზადებინოთ დიდთა დიდი სტუმრებისათვის.

დიდ დარბაზში მირანდუხტს დახვდა გურსი, ბერა, ქარდილაი, დაჩი და პატარა რევი. გურსი შეფერიანდა დედისას დანახვაზე.

პატარა რევი მირანდუხტს შემოეგება.

— მამიდავ, ჩემო მამიდავ! — შესძახა პატარამ, — შენც კარგი ხარ და დედისაც!

ბავშვი დედისას ხელზე ჩამოეკიდა.

— ხომ გიყვარვარ, დეიდა დედისავ? — შეეკითხა იგი ცალქალამანიძის ქვრივს.

— ნუ აწუხებ, მოუსვენარო, დეიდას! — გაუჯავრდა ძმისწულს მირანდუხტი.

— განა გაწუხებ! — შეეკითხა ბავშვი დედისას და მამიდას მიუტრიალდა. — არ ვაწუხებ, არა, დეიდას. დეიდა ისეთია, რომ შენც გიყვარს... კიდევ ვისა? — ბავშვი ჯერ ჩაფიქრდა და მერმე უცბად გურსის მიუტრიალდა.

— შენც გიყვარს! — ამხილა არმაზელ-სასანიანი უჯარმელმა პატარა სასანიანმა. დედისა გაფითრდა, დედისას დარბაზში შემოსვლისას ოდნავ შეფერიანებული გურსი კი მთლად გაწითლდა. ბერამ გაიღიმა. დაჩი თვალებგაფართოებული უცქეროდა დედისას. დღეს მოვიდა უჯარმიდან და პირველად ჰხედავდა: მის სანაზეს ჰკვირობდა. დაჩისთან ერთად მოსული ქარდილაი დედისას დანახვაზე შეშფოთდა. ებრაელმა თავის ნაძმევს გადახედა და გულსაკლავი ხმით მიმართა.

— მე ხომ არ დამივიწყებ, გურს! მე ხომ არ დამივიწყებ!

უხერხულობა შეიქმნა ყველასათვის.

მირანდუხტი ამოქმედდა.

— გურსი თავის დღეში არ დაგივიწყებს! — უთხრა ებრაელს, და დაჩის მიმართა:

— წლის წირვა გადაგიხდია მამისა და ონოფრესი!

— გადავიხადე, უფლის ასულო! გადავიხადე მათთან დახოცილი შინაყმებისაც.

— უფლის ასულო, ხვალ უჯარმელებიც მოვლენ ჩვენი უფლისა და უფლისწულის წლის წირვაზე, — დაამთავრა დაჩიმ თავისი პასუხი ამ ცნობით.

მირანდუხტს თითქოს თვალები მოენამა. ჯერ დედისასაკენ მიტრიალდა და მერმე ისევ მაიკაცთა ჯგუფს მოუბრუნდა.

— მოემზადენით! მეფეს გავეგებოთ, მის სახლეულობას, — წარმოთქვა მირანდუხტმა. რევიმ კიდევ თავისი ენა არ დააყენა.

— გურსი პაპამ მითხრა, დედისა დეიდა კარგია და არ შეაწუხოო. თორემ გაგებუტებიო, — თქვა მიამიტად ბავშვმა და გურსის მიმართა დაჟინებით: — ხომ თქვი, ხომ თქვი?

მირანდუხტმა შუბლი შეიკრა. რევი შეკრთა. მამიდას გაჯავრება მუდამ გულში სწვდებოდა ბავშვს. სახე დაელერიმა. მაგრამ მირანდუხტი მაინც არ მიალერსებია.

— მამიდა, დედასთან წავალ! — შესთხოვა მოწიწებით და თავი დაღუნა.

— წადი! — უბრძანა მოკლედ ძმისწულს ქალმა და გურსის მიმართა: — მოვემზადოთ არა, მეფის მისაგებებლად?

გურსი, ბერა და დაჩი დაიძრნენ ადგილიდან, ქარდილაი გურსის აედევნა.

მირანდუხტი ახლა დედისას მიუტრიალდა. სასანიანის ასულს უნდა ეთქვა ცალქალამანიძიანთ ქვრივისათვის, ახლა მხართოთახები გავაწყოთო, მაგრამ მის თვალს მოხვდა მისსა და დედისას შორის გაჩერებული რევი. გული მოულბა, მაგრამ კი არ მიუალერსნია ძმისწულისათვის.

მირანდუხტმა მიმავალ გურსის სიტყვა მიადევნა:

— შეუკაზმონ ჰუნეები რევის, მე და ველთას. ჩვენც ხომ უნდა გავეგებოთ მეფეს. რევისათვის ქავურდისეული შეკაზმეთ, მშვიდია!

რევის ამის გაგონებაზე სახიდან ღრუბლები გადაეყარა.

— შენი ჭირიმე, მამიდა, რა კარგი ხარ! — წამოიძახა ბავშვმა და დედასთან წასვლა აღარ დაუხანებია.

ოთახები სასწრაფოდ იქნა მომზადებული. მალე ცხენებიც დაუმზადეს მირანდუხტს, ველთას და რევის და სასახლის დერეფანს მიაყენეს. დედისა ისევ ხუროთმოძღვარს დაუბრუნდა, მაგრამ ველთამ უარი თქვა მეფისა და მისი სახლეულობის გაგებებაზე. ბაქარი აღარ ჰყავდა ქალს

ემძიმებოდა ზეიმური ამბები. ეს ქვეყანა აღარ ჰხიბლავდა. მონაზვნად შედგომა გადაწყვიტა. შვილს, იმედი ჰქონდა, მული გაუზრდიდა.

სასახლის დერეფანში მირანდუხტი, დედისა და რევი გამოვიდნენ. ეზოში ბავშვმა დაინახა სხვებთან ერთად მყოფი გულადი, რომლის ჩანგის დაკვრა და დამღერება ძალიან უყვარდა. აქვე იყო მისი გამრთობი ბასა. ბასას ტანი აეყარა, მეთექვსმეტე წელში იყო გადამდგარი. ვაჟკაცის იერი მისცემოდა.

პატარა რევი ცხენზე შესვეს და ახლა უფლის ასული აპირებდა ცხენზე შეჯდომას. ბასას უნდოდა თვითონ წაეხმარებოდა იადხმობილს. გულადმაც დერეფნისაკენ გასწია, რაკი პატარა რევი ცხენზე მჯდომარე დაინახა.

მირანდუხტის ჯგუფი ეზოში მომლოდინე ჯგუფს შეუერთდა და მასთან ერთად გალავნის კარისაკენ გაემართა. კარისაკენ მიმავალთ შორის დაჯგუფება მოხდა. მირანდუხტი, დედისა და გურსის წინ მოექცნენ. ამ სამს გულადი, რევი და ბასა მიჰყვნენ. გულადი მირანდუხტს მოექცა ზურგს უკან, რევი – დედისას და ბასა – გურსის. პირველ ორ სამეულს მიჰყვა მესამე სამეული: ქარდილაი, თვალისი და დაჩი, და ბოლოს – ბერა და ორმოცდაათი კაცისაგან შემდგარი მისი რაზმი. მეფის გამგებლებმა დააგდეს გალავანი და ვესპანიანეს ხიდს გაუსწორეს თვალი. მცხეთელთა ყურადღება მირანდუხტზე იყო მიპყრობილი. ქალს ადევნებული მცხეთელნი გზადაგზა უამბობდნენ იმათ, ვისაც არ გაეგონათ, მირანდუხტის ვაჟკაცურ ამბებს, მისი ხელით კვეტარელ მეკობრეთა ამოწყვეტას.

– უიმე, გენაცვათ, – წამოიძახა მცხეთელთა სტუმარმა ერთმა მანდილოსანმა, – რა გულის ადამიანი ყოფილა! ცხრა ადამიანის შვილი მოწამლოს და ერთი წარბიც არ შეიხაროს!

– როგორ არ დაიბნა, ადამიანო, აი რა მაოცებს! – წამოიძახა მეორემ, – ცხრა მოწამლული ადამიანის დანახვაზე ხომ გავგიჟდებოდი! მაგრამ თავის ხელით მოწამლა ცხრანივე!

– იჰ! შენც ერთი! – შეუტია მესამემ მეორეს. – აბა ერთი შენთვის მოეკლათ საყვარელი ძმა და მამა! ცხრა კი არა, ვინ იცის, ორჯერ ცხრაც მოგეწამლა გამწარებულს!

– ეგ არის, წამსვე ქოქს გაეუწყვეტდი დამზარალებელთ, – გამოეკამათა მოლაპარაკე მანდილოსნებს ერთი მცხეთელი მამაკაცი. – ვინ

მოხვალთ მირანდუხტთან? ჯერ მაგისი მოდგმისანი უნდა იყვნეთ, რომ მაგისი გამბედაობა მოგღგამდეთ. ეგ მირიანის ჩამომავალია და ვახტანგ გორგასალისა. თხუთმეტი წლისა იყო თურმე ვახტანგი, როცა ოსთა ორ გმირს თავი წააჭრა. აი ნოკორნაში რომ საფლავია, წმიდა არჩილის, ხომ გაგიგიათ? ის არჩილიც მაგისი მამაპაპის ერთი პაპათაგანია. იმ რჯულძაღლმა მტერმა აწამა, სტანჯა და მაინც ვერ ათქმევინა უარი ქრისტინობაზე.

— იცით, ახლა? — ჩაერია ლაპარაკში მეორე მცხეთული მამაკაცი, — იმ წყეულ ალფარსლანს უთხოვნია მირანდუხტი თანამეცხედრედ, როგორც ძველთა მეფეთა ჩამომავალი და ესეც დათანხმებულა. იმიტომ დაიარებოდა პაპათა სალოცავებში და ლოცულობდა, თურმე ალფარსლანის მოწამვლა დაუპირებია ქალს და არ დააცალეს ცალქალამანიძეთ. არ შეეშალათ ამ მეკობრეთ ხელი მაგისთვის, ალფარსლანი მკვდარი იქნებოდა და ქართლს აღარ აიკლებდა. დედა კი ეტირათ იმ ცალქალამანიძეთ. დედა! კარგი მიიძღვნეს მირანდუხტის გატაცებით.

მცხეთელები ლაპარაკობდნენ და თავისდა შეუმჩნეველად არმაზის ხევის მიდამოებში მოექცნენ თვითონაც და მირანდუხტიც თავისიანებითურთ. არმაზის ხევამდე ნირი არ შეუცვლია მცხეთიდან გამოსულ მირანდუხტსა და მისიანებს. არმაზის ხევთან გზის სივიწროვემ ყველა მცხეთელი მირანდუხტის ხალხს უკან მოაქცია. ბერა თავისი რაზმით დაწინაურდა ტყიდან მოსალოდნელი ხიფათის თავიდან ასაცილებლად. მაგრამ ხიფათი ნამდვილად ზურგიდან მოელოდა მირანდუხტსა და მისიანებს. მცხეთელთ შორის ერთი ახალგაზრდა მხედარი გარეულიყო. ყველა იცნობდა ერთმანეთს მცხეთელებში. ყველა მირანდუხტზე ლაპარაკობდა. ყველა მირანდუხტის სიყვარულს გამოთქვამდა. მის ქებათაქებას ამბობდა. ეს ახალგაზრდა მხედარი კი ლაპარაკს გაურბოდა და მდუმარედ იყო. მხოლოდ მისი თვალები მეტყველებდნენ, რაღაც საიდუმლოებით იმუქრებოდნენ. გალავნიდან გამოსვლისთანავე შენიშნა ბასამ ეს ახალგაზრდა ხალხში. იგი ხანგამოშვებით თვალს ადევნებდა ამ შემოპარულ ვაჟს. მცხეთელნი მირანდუხტის სამეულებს ზურგს უმაგრებდნენ. ასე ჰგონებდნენ, მაგრამ მათ შორის მყოფი მდუმარე მხედარი სულ სხვას ფიქრობდა. ბასას აზრით, მცხეთელნი შეჰხაროდნენ იადხმობილს, ეს ახალგაზრდა ვერაგი ნაბიჯის გადადგმით ემუქრებოდა. ბასა მოსცილდა

პატარა რევის. თვალისს დაუთმო მის გვერდით ადგილი, თვითონ კი მცხეთელთა შორის გაერია.

„ეს ვიღაც არის. კაი სული არა ჩანს! — გაიელო გულში ბასამ, — კიდევ კარგი, მე არ მიცქერის! ვინ არის მაინც? სახე მეცნობა ბიჭოს! — ბასამ გაიხსენა ჯვარპატიოსნობა სამი წლის წინათ. — თორმეტი წლის ვიყავი მაშინ, — ჩაილაპარაკა თავისთვის და გაიხსენა რკენა მცირეწლოვანთა, დიდების რკენამდე მომხდარი. გაიხსენა, თავისთავზე ორი წლით დიდი კვეტარელი რომ დასცა ძირს. — ეს ხომ გულთფარის ვაჟია! — შურისსაძიებლად მობრძანებულხარ, ვაჟო, ალბათ. ვნახოთ, როგორ იძიებ შურს. ჩემნი პატრონნი, მამა და შვილი, ცხრაჯერ ცხრა ცალქალამანიძენი რომ ამოგვეხოცა, მაინც ანაზღაურებულნი არ იქნებოდნენ. ზედ დაერთო მათ მამაჩემი, ონოფრე და სხვანი ჩვენიანნი და დაინახავ, რამდენი სისხლი გმართებთ კიდევ ჩვენი. ჩემი პატრონები და მათი შინაყმანი რა შენ მამიდაშვილებზე მეტად არ ღირან თუ რა არის? პატიოსანი ხალხი იყო, თუ რა არის შენი მამიდაშვილები, მამაშენი, ბიძაშენი ცალმკლავა პეტრე და შენისთანა მეკობრენი? ის ქვეყნის გამყიდველნი!... ვნახოთ, როგორ იძიებ შურს!“

ბასამ გულთფარის შვილს საჭურველი შეუთვალიერა.

— ამას თავის მშვილდისრის იმედი ექნება, — განმარტა ბასამ თავისთვის — არც მე ვარ შენზე ნაკლები მშვილდოსანი. ჰო, შეაფარე ტყეს თავი, შეაფარე! ვნახოთ, როგორ საფრად გამოგადგება ეს ტყე.

ბასა ისევ გამოეყო მცხეთელთ, თვალისი თავისთვის დათმობილ ადგილს არ დაბრუნებია, დაწინაურდა და ბერას გვერდით ამოუდგა.

— რა გინდა ჭინკავ? რად დაგინებებია რევისათვის თავი? შე ცუღლუტო, შენა! — დაუტია ზენკალმა.

— ბერა ძიავ, რას მიყავრდები? — უთხრა ბასამ გულსაწყალი ადამიანივით. — მამის მაგიერი ადამიანი ხარ. მიყვარხარ და ხანდახან შენთან მინდა ვიყო ხოლმე.

— ვუყვარვარ ვაჟსა! ვითომდა ძალიან სწყურიან ჩემთან ყოფნა! — თქვა ბასას სიტყვაზე ბერამ და თან დასძინა. — შენ აქ საონავროდა ხარ გადმონაცვლებული. არ ვიცი, რა კაი სულიცა ხარ? გასწი, აიკრიფე აქედან!

— დაიცა, ბერა ძიავ, დაიცა! — უთხრა ზენკალს ბასამ და თვალის დახამხამებაზე მშვილდისარი მოიმარჯვა.

— ვაიმე! — წამოიძახა გულადმა. ფხოველმა მაღალი ხის იქით ვინმე ახალგაზრდა შენიშნა მოგვიანებით: გურსის იღებდა მიზანში მშვილდისრით. გულადმა ისღა მოახერხა, რომ ფიქრებში გართულ გურსის გვერდში ამოუყენა თავისი ცხენი და ფარმომარჯვებულმა თავი საფარად უქცია. გურსის საშიშროება უქადდა და მგოსანი თავს სწირავდა სასანიანს. ყველას თვალები გაუფართოვდა. ყველას ერთი კითხვა უტრიალებდა თავში: რა მოუვიდა ფხოველსაო. თვით გურსისაც უცნაურად ეჩვენა გულადის ქცევა. მაგრამ ძალიან მალე განწირული გამომეტყველება გულადს სიხარულის სხივებმა შეუცვალა.

— შენი თვალების ჭირიმე, ბასავ, შენი თვალების! — წამოიძახა გულადმა და არმაზის ხევგადაღმა წყალის ნაპირს მიმდგარი ტყის უშველებელ ხეზე მიუთითა. — იქა გდია.

— ვინა გდია იქა? — ჰკითხა გულადს გურსიმ.

ესევე კითხვა გაუმეორა მირანდუხტმაც, თვალისმაც, დაჩიმაც და თან ყველამ ბასას გადახედა. ბასას ბერა გადაჰხვეოდა და კოცნიდა. ზენკალს თვალი გაეყოლებინა ბასას ხელით გასროლილი ისრისთვის და შეემჩნია, თუ როგორ დაეცა ის ახალგაზრდა, ეტყობა, მტერი, ბასას ისრით განგმირული.

ბასამ ძლივს დააღწია თავი ზენკალის ხვევნა-კოცნას და ცხენი თავის მსხვერპლისაკენ გააქანა. მალე ერთ ადგილას შეგუბებულმა ხალხმა დაინახა, როგორ მოიყვანა ბასამ ისრით დაჭრილი, თავისავე ცხენზე გადმოკიდებული.

— მუდამ ასე გამარჯვებული გამყოფოს ზეციერმა, ჩემო პატრონო, მტერზე! — უბნო ბასამ გურსის და თავისი მსხვერპლი ცხენიდან გადმოიღო. გურსის წინ დაუსვენა და თან დასძინა: — ეს გულთფარის ნასხლეტია. მცხეთელთა შორის დავინახე გარეული, მალე ვიცანი. ყველა ხარობდა მცხეთელებში. მარტო ეს გამოიყურებოდა შავად და ვერაგულად. ვიგრძენ, რომ შურისსაძიებლად იყო გადმოვარდნილი მცხეთაში. არმაზის ხევის გზას რომ შეუდექით, ეს ხევგალმა გავიდა და ტყეს ამოეფარა. ორმოცდაათი ნაბიჯია იქამდე. მეტი კი არა. შორიდან მშვილდისრით უნდოდა ემოქმედნა.

— მე გვიან შევნიშნე, — ჩაურთო გულადმა. — მშვილდი მოეზიდნა. მე მშვილდის მომარჯვება ვეღარ მოვასწარ და იმიტომ წამოვიღაღადე: ვაიმე-მეთქი.

ბასამ სიტყვა შეაწყვეტინა გულადს.

— აბა, ერთი წყალი მომიტანეთ, მოვასულიერო, — მიმართა ახლოს მომდგარ მცხეთელებს ბასამ.

წყალი მოიტანეს. დაჭრილი მოასულიერეს.

— აბა, შენი პირით თქვი, ვინ ხარ! — ჩასძახა ყურში ბასამ.

— შურისმაძიებელი. სასანიანთაგან სისხლის ამღები, — წამოილაპარაკა მისუსტებული ხმით დაჭრილმა, თავს ძალა დაატანა და მირანდუხტისაკენ გადმოიხედა. — ვაი რომ ვკვდები წადილშეუსრულებელი! მსურს ჯერ ახლადმოპოებული ბიძა მომეკლა შენი იადხმობილო, მერმე შენი ძმისწული, რომ ჯერ შენთვის გული კარგა ჰეწიწკნა და ისე გამესტუმრებინა შენი თავი საიქიოსკენ.

— დახე ამ გველის წიწილს, რა სდებია გულში! — წამოიძახა დაჩიმ. — მიდი და ახლავე ნუ ჩავაწყვეტინებ ხმას.

— აბა, თქმა არ უნდა, დაჭრილს მოერევი! — გაჰკრა კბილი ბასამ ძმას და თან დასძინა: — შენ დაუხმარებლადაც გზა ხსნილი აქვს საიქიოსაკენ. რას შეუშალე ხელი? კიდევ რაღაც უნდა ეთქვა. — ბასა დაჭრილს მიუტრიალდა და ჩაეკითხა დაცინვით: — კიდევ ვიღაც გყავდა გასასტუმრებელი იმ მხარეს, სადაც ახლა შენ თვითონა მალე ამოყოფ თავს?

დაჭრილს თვალები დედისაზე შეუჩერდნენ.

— წყეულიმც იყავ, ძალუაჩემო, წყეულიმც იყავ! — აღმოხდა პირიდან მრისხანებით გაჟღენთილი სიტყვები. — შენ ხელი არ შეგეწყო მაგ ალისათვის, მამიდაშვილნი ახლაც ცოცხალნი მეყოლებოდნენ, მაგრამ არიან კიდევ სისხლის ამღებნი. წამოიზრდებიან

— წამოიზრდებიან და ისევე გავუყენებ საიქიოს გზას, როგორც შენ! — შეუძახა ბასამ დაჭრილს.

— შენგან უნდა დამეწყო, ვერხვის ჭინკავ! შენგან! — უპასუხა ბასას გულთფარის ნატამალმა და მიდუმდა.

— ჯვარპატიოსნობა გაიხსენე, ვაჟო, ფეხქვეშ რომ ამოგიდე, — მიაყოლა ბასამ.

მაგრამ მსხვერპლს ლაპარაკის თავი აღარ ჰქონდა.

— მამიდა, რად მემუქრებოდა ეს კაცი? — შეეკითხა რევი მირანდუხტს. მირანდუხტმა აკოცა ძმისწულს და თვალებაციცინათელებულმა წამოილაპარაკა.

— ვნახოთ, ვინ რას დაგაკლებს, ჩემო პატარავ!

ქალმა გურსის გადახედა. გურსიმ იგრძნო, რომ ძმისწული რაღაც გადაწყვეტილებას დაადგა და ამ გადაწყვეტილებას არასდროს აღარ გადაუხვევდა.

— ვნახოთ, ვინ რას დაგაკლებს, ჩემო პატარავ! — გაიმეორა მირანდუხტმა და ერთხელ კიდევ აკოცა რევის.

— გავიზრდები და მე თვითონ მოვკლავ ჩემ მტერს! — წამოიძახა ბავშვმა.

— არა, ჩემო პატარავ, სანამ შენ გაიზრდები, მანამ უნდა მოიკლას ჩვენი მტერი! — წაბოილაპარაკა გურსიმ ძმის შვილიშვილის სიტყვაზე, თითქოს მის პასუხად, ნამდვილად კი ყველასი და მირანდუხტის გასაგონად, და მირანდუხტს მიმართა: — სიფრთხილეში წავიბორძიკე, ძმისწულო. კიდევ კარგი, რომ შენ შინაყმებში არ გამოლეულა არც სიფრთხილე და არც სიფხიზლე, — გურსიმ ალერსით გადახედა ბასას, — ჯერჯერობით ამას უნდა ვუმადლოდეთ.

ბასამ რევის ამოუყენა თავისი ცხენი.

— სანამ მე ცოცხალი ვარ, ჩემს პატარა უფლისწულს ვერავინ ვერას დააკლებს და ვერც მისიანებს რამეს... მტკიცედ წარმოთქვა მან.

— მე თვით უზრუნველვყოფ ჩემ ძმისწულსაც და ყველა ჩემიანს შურისძიების საშიშროებისაგან! — განაცხადა მირანდუხტმა და დაჩის მიმართა, — მოიხმარე ერთი-ორი ჩვენიანი და დამარხე ეს მტერი. მიცვალებულის დატოვება ზეზე არ შეეფერება ადამიანებს.

დაჩი, ბერას ორი რაზმელის დახმარებით, გულთფარის ნატამალის დამარხვას შეუდგა.

მირანდუხტმა გზა განაგრძო თავისიანებითურთ მეფის მისაგებებლად. მცხეთელნი ისევ აედევნენ და თან არემარეს ათვალიერებდნენ, სასანიანთა მტერი ხომ არავინ არისო.

7

გუშინ მირანდუხტმა მიაგება ქვემო დიდგორის ველზე თავისიანები და თავისი თავი მეფეს და მისიანებს, დღეს წლის წირვა გადაუხადა თავის მიცვალებულთ. დღეს ჭერი აუხსნეს სასანიანთა სახლს. ორი

სუფრა იყო გაშლილი. ერთ სუფრას ესხდნენ მეფე, დედამისი მარიამ დედოფალი, სენექერიმ არშაკუნიანის ასული, თანამეცხედრე ბორენა დედოფალი და ტახტის მემკვიდრე გიორგი. დაი, დედოფალი გურანდუხტი კი, ადამიანი სრული უნაცვალო სახითა, სიუხვითა, ღვთის მსახურებითა და ყოველითა, აღარა სჩანდა ბორენა დედოფლის გვერდით. გურანდუხტმა ველარ ნახა ცამეტი წლის წინათ მისგან ნახული ექვსი წლის მირანდუხტი, ახლა დაქალებული, ვაჩე პაპას სასახლეში მბრძანებლად მოვლინებული. გურანდუხტი, ალფარსლანის თანამეცხრედ წაყვანილისა და მერმე ვიღაც ვიგინდარის საცოლედ მიგდებული მირანდუხტის დარდს გადაეტანა. მეფის სუფრას უსხდნენ: ლოგინიდან წამომდგარი ვაჩე პაპა, ვარაზ-ბაკური და მისი თანამეცხედრე ცისკარა, დღეს დილით პატარა რაზმითურთ მეუღლისათვის სრულიად მოულოდნელად ბოლნისიდან მცხეთას მოსულნი, გურსი და ველთამზე. ვაჩე მეფის სუფრას განაგებდა. მარიამი, მოხუცებული დედოფალი, პირველად ჰხედავდა მირანდუხტს. გაოცებით უცქერდა. თვალს ვერ აშორებდა. ასეთ თადარიგიან ქალს მეორეს ჰხედავდა. პირველ ნანახ ასეთ ქალად თავის შვილს გურანდუხტს სთვლიდა. მაგრამ მარიამ დედოფალს, ბიზანტიის კარს ნამყოფს, იქაური კარის გარიგების მნახველს, ერთი რამ არ მოსწონდა მირანდუხტისა: ეს, როგორც ეჩვენებოდა, ძალიან დიდი სისადავე მცირეგვარიან და უგვარო ხალხთან, შინაყმებთან. მარიამ დედოფალს ისიც უკვირდა, რომ გვირგვინოსანი ბაგრატიც იჩენდა ასეთ სისადავეს სასანიანებში. ეს გაშინაურება ბაგრატისა სასანიანებთან, სასანიანებისა ბაგრატთან მიუღებლად მიაჩნდა მას. ბაგრატს ძე მემკვიდრეც აჰყოლოდა, ბორენა კი ამას არაფერს ამჩნევდა. ბორენა დედოფალი მეგობრობდა მირანდუხტს, უჯარმაში ყოფნისას, ორი წლის წინათ დაახლოებოდა ხნოვანობასთან შედარებით არაჩვეულებრივი სიდარბაისლის მქონე ჩვიდმეტი წლის ასულს. ბორენა შვილის თანამეცხედრედ ნატრობდა მას. ამაზე ხმა-კრინტს როგორ დასძრავდა იადხმობილთან. თვით მეფეს, ახლა მთლად წმიდა ღვთაების გრძნობით გადაჰქონდა ხოლმე თვალი მირანდუხტზე. მირანდუხტის მამაკაცურმა მოქმედებამ კვეტარში გაუნელა მბრძანებელს მამაკაცური სურვილი. მეფე ჰხედავდა, რომ სასანიანთა ასული უფლობდა ყველაზე, უფლობდა მასზედაც. მეფისწული გიორგი მზად იყო ასდევნებოდა ქალს, ისე როგორც ცამეტი წლის წინათ, აქვე მცხეთაში, თვითონ ცხრა

წლისა აედევნებოდა ხოლმე ექვსი წლის ძირანდუხტს. მირანდუხტის ასეთმა გაუფლებამ ყველაზე მალე მის წინაალმდეგ აღამხედრა მარიამ დედოფალი. მირანდუხტმა ეს ამბავი შენიშნა, მაგრამ არაფრად ჩააგდო. მისთვის სულ ერთი იყო, ესიამოვნებოდა თუ არა მარიამ დედოფალს მისი გაუფლება ყველაზე.

ქალი ახლა ორ სუფრას შორის ფეხზე ტრიალებდა და ვაჩე პაპას სასახლეში თვით ვაჩე პაპასაც პატრონად მოვლინებოდა. განკარგულებებს იძლეოდა. მირანდუხტს ღედისა არ შორდებოდა, ველთამზე ბორენა დედოფალს მისჯდომოდა. უბაქარობით მონისნული. არაფერი ახარებდა მის გულს.

მეორე სუფრას ვარაზ-ბაკურს მოყოლილი ანდრია არჩვიაძე დაპატრონებოდა. მის საუფლოში თავი მოეყარაო ბერას, გულადს — თავისი ჩანგით, არჩვიაძეებს — ამირანსა და თვალისს, და გუგანს. დაჩი და ბასა არ სჩანდნენ. გარეთ ეზოში უძღვებოდნენ თავმოყრილ ხალხს. ქარდილაიც ანდრიას საუფლო სუფრას მიჰკედლებოდა. ანდრიამ ახადა ჭერი სასანიანთა სახლს. ფეხზე წამოდგა, თასი ასწია, შესანდობარი თქვა მიწას მიბარებულთა, ცხონება შეუთვალა, ღვინო დალია, ყველას გაამეორებინა თავისი ნათქვამი ფეხზე წამოდგომით, და ღვინოც დაადევინა.

ანდრია ალაპარაკდა, მეფე სდუმდა. ანდრიამ სიმღერა დაიწყო. ანდრიას შვილები აჰყვნენ და სიმღერა აგუგუნდა. მეფემ ცრემლები გადმოჰყარა: სიმღერის სიტყვები „ვინც მოკვდა, თავსა მოუკვდა, ვინც დარჩა, გაიხარებსა“, გულში ჩასწვდა და ემწვავა.

— ეაი, რომ ვინც მოკვდა, მარტო თავს არ მოუკვდა! — წარმოთქვა გულდაწყვეტით მეფემ. —არა, ხალხო! თავისიანებს ხომ დაეხოცნენ და დაეხოცნენ, მეც დამეხოცნენ, ქვეყანას, საუკეთესო შვილნი, ერთგულნი. „ვინც დარჩა, გაიხარებსაო.“ ვერა ვერ გაიხარებთ. როცა ჩვენი თვისტომნი შემოსეულ მტერს გვერდში უდგებიან და ხელს უწყობენ ქვეყნის აოხრებაში. გაიხარებთ მაშინ, როცა ქართველ ტომთა ერთიანობის შეგნება განმტკიცდება ჩვენს ქვეყანაში. უნდა ვიბრძოლოთ ამ შეგნებისათვის, უნდა ვიბრძოლოთ!

— ვიბრძოლებთ! მეფეო, ვიბრძოლებთ! — წამოიგრგვინა ვარაზ-ბაკურმა.

— ვარაზ-ბაკურს ბანს ვაძლევთ არჩვიაძენიც, — დაურთო ზვიადის ძის სიტყვებს ამირანის წამოძახილმა.

— მეც არჩვიაძე ვარ! — მიადევნა ამირანის წამოძახილს ცისკარამ თავისი და ფეხზე წამოდგა. —მე ჩემ თანამეცხედრეს ფეხდაფეხ მივდევ და მუდამ მიეყვები.

მარიამმა გაოცებული თვალი შეავლო დღეს პირველად მისგან ნახულ არჩვიაძიანთ ასულს. მირანდუხტმა კი წაქეზებით გაუღიმა.

— აბა, ჩემო კომბალო, — წამოიძახა ბერამ და კომბალი შეათამაშა, — შენ იცი, როგორც დამეხმარები! ცისკარას არ ჩამოვრჩეთ, ცისკარას!

— კომბალს გარდა სხვა იარაღსაც დავატრიალებთ! — მიაყოლა ბერას სიტყვებს გუგანმა.

— გამოეუდგე უკან ჩემ ძმას, ძმისწულს და მათთან დახოცილებს, თუ გურსიმ სხვა გზით როდისმე გაიაროს! — წამოიძახა არმაზელ-სასანიანმა.

— სიბერემ ძალზე დამრია ხელი, მეფეო! ოთხმოცდა სამი წელი ზურგს ამასენია, — წამოილაპარაკა ვაჩე ბუროთმოძღვარმა. — მაგრამ გული და სიტყვა ჩემი მაინც არ განელებულა.

ყველამ თავისი თქვა, მეფისწულს ხმა არ ამოუღია. მირანდუხტმა გადახედა და წითელმა ფერმა გადაჰკრა.

— ყველას გვმართებს თავის დადება! — წარმოთქვა სასანიანის ასულმა.

— ნამდვილად გვმართებს, ნამდვილად! — ჩამოართვა სიტყვა მირანდუხტს მარიამ დედოფალმა, ბაგრატის დედამ.

— მეც ნამდვილად მოგახსენებ, დედოფალთ დედოფალო! ყველაა გვმართებს თავის დადება. — უპასუხა მირანდუხტმა.

მარიამმა სწრაფად ველარა თქვა რა მირანდუხტის პასუხზე. მირანდუხტს კი დედისამ ხელი წაავლო და წაჰყვნა:

— იავ, მეც შენთანა ვააარ!

ამ სიტყვებთან ერთად გურსის გადაჰკრა თვალი და დაინახა, რომ მისმა თქმამ კმაყოფილება აღუბეჭდა სახეზე არმაზელ-სასანიანს.

„ეს ვიღა ჰყავს აკვიატებული სასანიანის ასულს? — ჩაეკითხა თავის თავს მარიამი დედისაზე. — გუშინ და დღეს სულ უკან სდევს...“

ფეხზე წამომდგარნი შესანდობარის დალევისას ანდრია და მისნი არიფნი, გულადს გარდა, სუფრას ისევ მოუსხდნენ. გულადმა ჩანგი აიღო ხელში.

„ეს ვიღაა, ღმერთო ჩემო! — გაიფიქრა მარიამ დედოფალმა, გულადის

დასახიჩრებული სახე რომ დაინახა. — ყველა თავისუფლად მოქმედებს ამ სახლში, სად გაგონილა ეს! მეფე აქ ზის, მისი დედა, მისი თანამეცხედრე და აინუნშიც არ მოსდის ეს არავის!"

ბიზანტიის იმპერატორის კარს ნამყოფს მარიამს ვერ მოეწყინებინა, რომ თვით მისი შვილნიც და შვილის თანამეცხედრე და შვილის მემკვიდრეც არ უცხოობდნენ სასანიან-არსაკიძეთა სახლში გაუფლებულ ასეთ ქცევას.

ფიქრი შეუწყდა დედოფალს, — გულადმა ჩანგის ხმები მიმოაბნია და სასანიანის ასულს მიმართა:

მტერი შინა და მტერი გარეთ, იადხმობილო!
იქ აღმოსავლეთი გვიავდება, იადხმობილო!
აქ დასავლეთი გვედავება, იადხმობილო!
მაჰმადის სჯული ცალკე გეჩაგრავს, იადხმობილ ო!

ერთმორწმუნენიც თავს გვესხმიან, იადხმობილო!
სამგორის ველი გაიხსენე, იადხმობილო!
დანაპირები შეგვისრულე, იადხმობილო!
მტერთა მმუსვრელი აღგვიზარდე, იადხმობილო!

გულადი მიდუმდა.

— სამგორის ველი გაიხსენე, იადხმობილო! — მუდარით გაუმეორა მირანდუხტს ბერამ გულადის ნათქვამი. — დანაპირები აღგვისრულე, იადხმობილო! მტერთა მმუსვრელი აღგვიზარდე, იადხმობილო!

მეფემ, დედოფლებმა მარიამმა და ბორენამ ვაჩეს მიაპყრეს თვალი. სურდათ გაეგოთ, რას ნიშნავდა სიტყვები — სამგორის ველი გაიხსენეო, მირანდუხტს რომ უთხრეს ჯერ გულადმა დამღერებით და მერმე ბერამ. გიორგი მეფისწულს გულმა რეჩხი უყო. ტახტის მემკვიდრემ გაიხსენა, რომ ზარდიამ მირანდუხტს ჯვარპატიოსნობასაც უმღერა ამ დანაპირებზე ლექსი. ბაქარმა განუმარტა გიორგის მაშინ ეს დანაპირები და გადმოსცა სამგორის თაობაზე თქმულება, რომელმაც ექვსი წლის ბავშვს მირანდუხტს ათქმევინა, რომ მეც გაუზრდი მტრის სისხლის ამღებ ასეთ ვაჟსო. მემკვიდრე ჯავრობდა, რომ მირანდუხტთან ის აღარავის ახსოვდა, თუმცა მირანდუხტს ხალხი მის თანამეცხედრედ იწვევდა.

მემკვიდრე გულში წყრებოდა ყველაზე, ვაჩე მეფეს, მის დედას და თანამეცხედრეს სამგორის ველის ამბავს უამბობდა, მირანდუხტი მდუმარებდა და გულში ფიქრობდა თავის ბავშვობის დანაპირებზე. ეს დანაპირები ნამდვილ აღთქმად და ბედისწერად უქცევია ქალს, თემესტია სიზმარში აღარ ასვენებდა, სადედოფლო ტახტზე მიუოთებდა...

სუფრიდან აწყვეტილი მეფისანი ყველანი გარეთ გაემართნენ, ვაჩე პაპამ შვილიშვილი თავის მხარითათახში გაიყვანა. ამ ოთახს მეფეც ეწვია.

— შვილო საყვარელო, მამაშენისა და შენი ძმის მოსაგონებლად მარტო ეს არ კმარა! — უთხრა მეფესთან მირანდუხტს ხუროთმოძღვარმა. — მათი სურვილიც უნდა აასრულო. მამაშენს ხომ უარი არ უთქვამს მეფის მზახლობაზე და შენს ძმას ხომ ნატვრად ჰქონდა გადაქცეული გიორგი მეფისწულის დამოყვრება. მეც, პაპაშენიც, ხომ მოუთმენლად ველით ამ ამბავს.

— მეც ნატვრად მექცა მირანდუხტისა ბაგრატიანთა სძლობა, — წამოილაპარაკა მორიდებულად ბაგრატ მეფემ.

მეფე ელოდა მოწიწებით ქალის პასუხს, ელოდა ვაჩეც. პასუხი მირანდუხტისა არ შეფერხებულა.

— ბაგრატიანთა სახლში ჩემ შესვლას ჩემგან მომოხოვს ჩვენი ქვეყანა, — მიუგო ქალმა მეფეს და პაპას. — ხომ მოისმინეთ ხალხის შეილების, გულადის ლეჩსი, ბერას მომართვა? მე დავყევ ხალხის მოთხოვნას.

„მე მაჯობა თავის პასუხით! — თქვა თავისთვის ხუროთმოძღვარმა. — არ გამახსენდა ჩვენი ქვეყანა, რომლის გულისათვის მთელი სიცოცხლე ვიდაგებოდი და ვიღწვოდი.“

ბაგრატმა მადლიერი თვალი გადაავლო ქალს და გულში თქვა: ჩემს შვილს ბედმა გაუღიმაო, მხართოთახი მიატოვა და შვილს აცნობა, მირანდუხტი თანამეცხედრედ გეყოლებაო.

მალე ჯერ მცხეთას მოედო ხმა — ტახტის მემკვიდრეს დედოფლად მიჰყავს ძველთა მეფეთა სასახიანთა ნათესავი და ნათესავი ბრწყინავალეთა და მათ ძლიერთა მეფეთა არსაკიანთაო, მცხეთის მშვენების, სვეტიცხოვლის ტაძრის შემქმნელის დიადთა დიადი ხუროთმოძღვარის ვაჩე არსაკიანის შვილიშვილი, მირანდუხტ იადხმობილიო, და ეს ხმა ბერამ და მისმა რაზმელებმა მთელ გარე კახეთს სასიხარულო ამბად მოჰფინეს.

ქორონიკონსა სჯბ სამშვილდის ტბათ მდგომ ბაგრატ მეფეს აუტყდა სალმობა მუცლისა; მარაბდას გაღმოყვანილს გაუძნელდა სალმობა. თან ახლდნენ ძე თავისი გიორგი და ყოველნი დიდებულნი. მეფე ქართლისა მოიყვანეს ტახტით. მის გარშემო თავი მოიყარეს მეფისწულს გარდა, კიდევ სხვა მისიანებმაც. დედამ მისმა მარიამ დედოფალმა, თანამეცხედრემ მისმა ბორენა დედოფალმა და ასულმა მისმა მართამ, საბერძნეთის იმპერატორის თანამეცხედრემ, საბერძნეთში მარიამის სახელით ცნობილმა, რომელიც ეწვია გიორგი მეფისწულსა და მირანდუხტს ქორწილში სამშობლო მხარეს და საბერძნეთს ჯერ ვერ დაბრუნებულიყო. მეფემ თვალი გადაავლო თავისიანების ჯგუფს და ვერ დაინახა თავის სასურველი პირი. მკაცრი გამომეტყველება აღებეჭდა სახეზე მბრძანებელს. თვალი გიორგიზე შეუჩერდა.

— მირანდუხტ იადხმობილი სად არის? — შეეკითხა სუსტი ხმით ბაგრატი მემკვიდრეს.

— სად არის იადხმობილიო? — გამეორდა შეკითხვა ახლა ერთი სახელით: სად არის ია?...

ტახტის მემკვიდრე შეფერიანდა: სიცრუის თქმას ვერ უბედავდა მამას და სიმართლის თქმას კიდევ შიშობდა, სიცოცხლე არ მოუსწრაფო მამაჩემსო! წელიწადნახევარი გავიდა კიდეც, რაც მირანდუხტი თანამეცხედრედ ესვა გიორგის, უყვარდა კიდეც, ძალზე უყვარდა იადხმობილი, უყვარდა სიყვარულის სიძლიერით და მაინც გვერდს არა ჰყავდა.

ბაგრატ მეფის სახლში შესვლისთანავე სასახიანის ასულს დედამთილის დედამთილი მარიამ დედოფალი — დედა ბაგრატისა, და მისი შვილიშვილი — ბაგრატის ასული მართა უკმაყოფილო გულით დახვდნენ. ერთსაც და მეორესაც სასურველად არ მიაჩნდათ მირანდუხტის გაუფლება ბაგრატიანთა კარზე. დიდდაცა და შვილიშვილიც მედიდურობდნენ მირანდუხტთან. მირანდუხტი თითქოს ჯერ ყურადღებას არ აქცევდა მულისა და დედამთილის ამგვარ გამოსვლებს გართული იყო თავისიანებში, რომელთა დაშორებაც ეძნელებოდა. მის კარზე იყვნენ რევი, დედისა, გურსი, გურსისგან განუშორებელი ქარდილაი და ბასა. ამ წრეს არც ბორენა ერიდებოდა. თუ წინათ, ცოტა არ იყოს, შიშით უცქერდა

მირანდუხტის რძლად მოყვანას, ახლა მირანდუხტისაგან იხიბლებოდა და ჰკვირობდა დედამთილისა და ასულის საქციელს. ეშინოდა, მირანდუხტს ყურადღება არ მიექცია მათი მედიდურობისათვის. დიდებასი და დაის მედიდურობა გიორგი მეფისწულსაც გულს უგოზავდა, მაგრამ მაინც დუმილს მისცემოდა. ფიქრობდა: იქნებ, ულაპარაკოდ შერბილდეს ყველაფერიო. დედამისიც ასე აზროვნებდა.

მირანდუხტმა ველთამზეს სურვილი აუსრულა და ჯვარში, თემესტიას ოთახში დააბინავა, უბაქაროდ ამქვეყნიური ცხოვრების უარმყოფელი. რევის თავიდან არ იშორებდა, გურსის გააბედვინა, დედისა შეართვევინა და ჯერ არ უშვებდა თავისი კარიდან.

— ჯერ აიშენე, ბიძაჩემო, არმაზში ციხე-დარბაზი და მერმე ისე გადასახლდი იქ, — უთხრა იადხმობილმა.

ქალი ბასასაც არ იშორებდა. სურდა იადხმობილს ვინმე მახლობელი ყოლოდა უკარმელი, არც თვითონ ბასა ანებებდა თავს. ასევე ქარდილაიც. მაგრამ გურსი გადასახლდა არმაზში თანამეცხედრითურთ. ქარდილაიც უკან აედევნა თავის ნაძმევს და მირანდუხტს რევი და ბასა შერჩნენ. საზრუნავ საგნად რევი ღა ჰყავდა. როცა სამეფო კარი ქართლს იმყოფებოდა, ხანდახან გულადი, ბერა და დაჩი მიაკითხავდნენ მას. არჩვიაძენიც არ ივიწყებდნენ, ნამეტნავად — ანდრია. ეს ადამიანი და მისიანნი ხომ სასანიანის ასულის მალმერთებელნი იყვნენ. მირანდუხტიც ყველას სიხარულით ხვდებოდა ხოლმე. მირანდუხტისათვის ამ სასურველ ადამიანთა სამეფო კარზე სიარულს ძალიან თაკილობდნენ მეფის დედა მარიამი და ასული მართა, ბიზანტიის იმპერატორის თანამეცხედრე. მირანდუხტის ახლობლებს ბაგრატიანთა სამეფო კარის დამცირებად რაცხვდნენ. სანამ ბაგრატი ტრიალებდა სახლში, ვერც ერთი მათგანი მირანდუხტს ვერას უბედავდა. თვით ბაგრატი არ უარობდა რძლის სტუმრებს, სიამოვნებდა, როცა მირანდუხტს ახლდნენ ხოლმე ეს სტუმრები. საქმისაგან მოქანცული მბრძანებელი მათ წრეში ისვენებდა. გულმოდგინედ ისმენდა გულადის ჩანგის დაკვრას და ზედ დამღერებულ ხალხურ ლექსებს, რომელიმე მომხდარი ამბის სასაცილო მხარის აღმნიშვნელ ბასას კვიმატ სიტყვებს, გულადისა და ბასას ერთმანეთის გამკილავ გაშაირებას, და გულიანად იცინოდა.

მაგრამ დედა ბაგრატისა და ბაგრატის ასული მართა ვერ ურიგდე-

ბოდნენ მირანდუხტთან მოსიარულე გულადისთანა და ზენკალის მსგავს ადამიანებს.

დიდედა-შვილიშვილმა ჯერ ჩუმი ბრძოლა აუტეხეს მირანდუხტს, მაგრამ გამართლდა ქართული თქმა: მოვიდა სეტყვა და დაბვდა ქვაო. მის მოწინააღმდეგეთ ვერ აუსრულდათ წადილი. მირანდუხტისაგან ზურგგამაგრებულნი არავითარ დაბრკოლებას არ ერიდებოდნენ და ნირშეუცვლელად დაიარებოდნენ მირანდუხტთან. კარის მცველნი მათ წინ ვერ ეღობებოდნენ. მირანდუხტის რიდი ჰქონდათ. ხანდახან არმაზიდან წამოსული ქარდილაიც კი ადვილად იკვეთდა გზას მირანდუხტისაკენ. გურსის ამბები მოჰქონდა. ორმა მარიამმა ახლა სიტყვიერი იერიში მიიტანეს მირანდუხტზე.

— სასანიანის ასულო, როდის მოელება ბოლო ასეთი ხალხის ტრიალს ბაგრატიანთა კარზე? სამეფო კარზე? — შეეკითხა დედამთილის დედამთილი იადხმობილს.

იადხმობილმა თვალები გააელვარა და კინაღამ მუცელში ენა ჩაუგდო ქერიე დედოფალს. საბერძნეთის დედოფალს, თავისი აზრის გამოთქმის მოსურნეს, ხომ მთლად ლაპარაკის უნარი დააკარგვინა. ორივე მარიამს ელვასავით გაურბინა თავში აზრმა მირანდუხტზე: — ეს ხომ ის ადამიანია, ცხრა ძმის მოწამვლას რომ არ დაერიდაო? ამას ხომ შეუძლია სხვასაც ეს ამბავი დაჰმართოსო.

ორივეს ამ სხვაში თავისი თავი ჰქონდა ნაგულისხმევი.

მაგრამ მირანდუხტის სახეზე ჩვეულებრივი ამოცანური იერის გამომეტყველება აღიბეჭდა.

ქალმა დამშვიდებით და, თითქოს მიამიტად, უპასუხა ქერიე მარიამს.

— სამეფო კარი ხომ იქ არის, საცა მეფეა?

— ბაგრატიანთა კარს არ შეეფერება შენი სტუმრები, — უპასუხა გულმომაგრებულმა მოხუცმა მარიამმა, როცა დაინახა, მირანდუხტი აღარ მრისხანებსო.

— ბაგრატიანთა კარს არ შეეფერება ასეთი სტუმრები? — ჩაეკითხა მირანდუხტი დედამთილის დედამთილს. — კარგი! შესაფერის კარს ვამყოფებ ჩემს სტუმრებს. მალე აგისრულებთ წადილს, — დასძინა წინა სიტყვებს და მსწრაფლ თავისი სამყოფი ბინა მონახა.

„აქამდის მაინც გამოელაპარაკებოდი!“ — თქვა გუნებაში მეფის

დედამ და შვილიშვილს კმაყოფილებით უთხრა: — მაშ ჩვენმა ცდამ ამაოდ არ ჩაგვიარა! მაშ მირანდუხტ სასანიანის სტუმარნი მალე ფეხს ამოიკვეთავენ ბაგრატიანთა კარზე.

მირანდუხტმა კი ბასას პირით ტახტის მემკვიდრე მოიხმო.

— მეფისწულო, როდის აპირებ მეფესთან გამგზავრებას? — შეეკითხა იადხმობილი თანამეცხედრეს.

— ამ ერთ კვირაში ვფიქრობ, მეტი აღარ მომიგვიანდება, — უპასუხა გიორგი ტახტის მემკვიდრემ, ახლა კურაპალატობით დაჯილდოებულმა, ბიზანტიის იმპერატორისაგან.

— ამაზე ადრე ვერ შეძლებ? — შეეკითხა თანამეცხედრე გიორგი კურაპალატს.

გიორგიმ გაფართოებული თვალებით გადახედა თანამეცხედრეს. მისი პასუხის მოლოდინში დუმილი ჩამოვარდა.

— რა ამბავია? — დაარღვია ბოლოს გაუფლებული დუმილი მეფისწულის ღელვანარევმა შეკითხვამ.

— არაფერი, არაფერი! — უპასუხა იადხმობილმა. — მცხეთაში მინდა გადასახლება და ბარემ შენ წამოგყვები.

— რატომ? — შეეკითხა გიორგი თანამეცხედრეს.

— ხვალვე უნდა დავიძრათ აქედან! — უპასუხა მოკლედ იადხმობილმა.

გიორგი აღარ შეჰკითხებია მირანდუხტს მირანდუხტის სიტყვები: ხვალვე უნდა დავიძრა აქედანო, იმდენს ეუბნებოდნენ უფლისწულს, რომ პირიდან სიტყვა აღარ წამოსცდენია და მისი გამგზავრება სამშვილდის ტბისაკენ, საცა ახლა ბაგრატი იმყოფებოდა, საერთკვირაოდ აღარ გადადებულა. მეორე დღესვე გზას გაუდგნენ ტახტის მემკვიდრე და მისი თანამეცხედრე. ამ ამბავმა სული შეუშფოთა ბორენა დედოფალს.

„რატომ, რატომ მივდუმდი და არ გადავეღობე მირანდუხტის მიმართ გადადგმულ ჩემი ასულისა და ჩემი დედამთილის ასეთ ნაბიჯს?“ — ამბობდა გულში ბორენა და დამნაშავეთ კი. ხმას არა სცემდა.

დამნაშავენი კი თავისი დაწყებული საქმის ასეთი დაბოლოებით პირში ჩალაგამოვლებულები დარჩნენ. ორივე მარიამს ვეღარა ეწამებიათ რა. მეფისა ეკრძალებოდათ: შიში ჩაუსაფრდათ გულში.

მირანდუხტმა მცხეთაში დაიდო ბინა. მეფის რძალი სამეფო კარისათვის ღირსეულ ადგილად სთვლიდა მცხეთას.

„ვინ იცის, დედაქალაქი რამდენ სამეფო გვარს დასდებია ფუძედ! – თქვა მირანდუხტმა. – ბაგრატიანთ რძალს თავისუფლად შეუძლია აქ ცხოვრება. მცხეთა ხომ არსაკისძეთა და სასანიანთა სამკვიდრებელიც არის. მე ვარ არსაკიანთა და სასანიანთა ნაჩამალი და მეც შემფერის აქ ცხოვრება“.

მირანდუხტს ჰყავდა აქ თავისი ხალხი, კვეტარიდან გამოყოფილნი ნამეკობრალნი, თავისი ნამკურნალევნი. ესენი იფრინდებად ეელინებოდნენ იადხმობილს და მის თანამეცხედრეს გიორგი კურაპალატს, ტახტის მემკვიდრეს. მათ მიმოქონდათ იადხმობილისა და მის თანამეცხედრეს შორის ამბები. ტახტის მემკვიდრეს მუდამ გონების თვალწინ ჰქონდა იადხმობილის ყოფა-ცხოვრება მცხეთაში და იადხმობილს კიდევ – ტასტის მემკვიდრისა მეფის ბანაკში.

მცხეთაში ხშირად ტრიალებდნენ გულადი, ბერა, დაჩი, არჩვიაძე, გურსი, დედისასი და ქარდილაის თანხლებით. ბასა ხომ სულ მუდამ თან ჰყავდა ქალს. ჯვარის მონასტერს მირანდუხტი თვითონ დაჰხედავდა ხოლმე.

არ ესიამოვნა ვაჩეს, რომ მირანდუხტმა ბაგრატიანთა კარი მიატოვა.

– რას იტყვიან, ქალო, იქ მყოფნი? – ჰკითხა ნაწყენი კილოთი მოხუცმა ხუროთმოძღვარმა შვილიშვილს, ჯვარში მოსვლისთანავე.

– რას იტყვიან? – გაიმეორა მირანდუხტმა პაპის შეკითხვის პირველი ორი სიტყვა და პასუხიც ზედ მიადევნა. – იმაზე მეტს რას იტყვიან, რაც კიდეც დახარჯეს ჩემთან მარიამ დედოფალმა, დედამთილისა დედამთილმა, ბიზანტიის კარს ქვებუდანობას შეჩვეულმა. ჩემ ხალხს მიწუნებდნენ! შეუფერებლად მიაჩნდა ორივე დედოფალს ჩემთან ყოფნა იმ ხალხისა, რომელთა ხელში მე გავიზარდე და მათგან თავგანწირვისა და სიყვარულის მეტი არა ვიცი რა.

მირანდუხტმა ეს ყველაფერი ისე მტკიცედ და მკვეთრად გამოთქვა პაპის პასუხად, რომ ვაჩეს აღარა უთქვამს რა.

ქორონიკონსა სჟბ-ს შემოდგომით, იადხმობილმა თავი გუნებნაქცევად იგრძნო. ველთამზემ დროებით თემესტიას ოთახი მიატოვა, მცხეთას გადმოსახლდა და აქ დაიდო ბინა. ვაჩეც აღარ დადგა ჯვარის საყდარში. შვილიშვილის გუნებნაქცევამ ესეც მცხეთას გადმოასახლა. ოთხმოცდახუთი წლის მოხუცი გამოცოცხლდა. ამ ამბის გამგონენი გულადი, ბერა

და დაჩი, არჩვიაძეები, გურსი, დედისა და ქარდილაი ყველანი მცხეთას ეწვივნენ და იადხმობილი ნახეს, ქალს მიულოცეს.

ერთ საღამოს ვეჟან ქველიძე ეწვია მირანდუხტს: წერილი მოუტანა გიორგი მეფისწულისაგან. ტახტის მემკვიდრე აცნობებდა მირანდუხტს ბაგრატ მეფის თავს დატეხილ უბედურებას საამშვილდის ტბასთან. სწერდა: მამაჩემი მკაცრი მუცლის სალმობით გახდა ავად და პირდაპირ ქართლს მიგვყავს ტახტით, მცხეთას ველარ შემოგიველი და იქნებ შენ როგორმე მოახერხო და შენიანების თანხლებით გამოსწიო ქაროლისაკენო. დაავადებამდე გაიგო მამაჩემმა შენი გუნებნაქცევობა და ძალიან გაიხარა. დაავადებულმა რამდენჯერმე გიკითხა. ვერ კუმყლავნებ მამაჩემს, რომ მცხეთას ხარ, მეშინია, ამ ამბავმა ავადმყოფობა არ გაუძლიეროს. ლიხთ იქით ველარ გადავალთ. ქართლს დავბინავდებითო.

ამ ამბავმა მირანდუხტს თავისი მდგომარეობა გადაავიწყა და მზადებას შეუდგა ქართლს გასამგზავრებლად.

— შვილო, ძნელი იქნება შენი გამგზავრება, — უბნო ვაჩემ შვილიშვილს, — ვაცნობებ შენ მდგომარეობას...

— არა, პაპილო! — შეაჩერა მირანდუხტმა ხუროთმოძღვარი. — მეფეს ვუკითხივარ და არ შეიძლება არ წავიდე. დღესვე უნდა წავიდე. ვინ გამიბედავდა რამეს, რომ ის ქართლში დარჩენილიყო მაშინ თავის სახლეულობასთან. ვერც ჩემმა თანამეცხედრემ უზრუნველმყო და ვერც ჩემმა კეთილმა დედამთილმა. გითხარი კიდეც შენთან ჯვარში ჩემ პირველ მოსელისას, რასაც მოითხოვდნენ ეს ახირებულნი ადამიანნი. ვარ შვილი ქვეყნისა და არა კონსტანტინეს ქალაქით მოსული. განა უნდა მოვიშორო გულადი, ბერა, ანდრია და შვილნი მისნი, დაჩი და ბასა, ჩემი ერთგულნი, მეფის ერთგულნი და პატიოსანი ადამიანები? არა! ბევრ დიდებულს, მეფის კარს მოტრიალეს, მარტო ვერ ჩავუგდებ ჩემ თავს. უნდა მყავდეს ჩემნი ერთგულნი და მყვანან კიდეც. კვეტარელნი ნამეკობრალნი, ადამიანის სიკეთის ამთვისებელნი მირჩევნიან თვით დედამთილის დედამთილსა და ჩემი თანამეცხედრის დას. ბიძაჩემსა და მის თანამეცხედრეზე, დედისაზე არაფერს ვამბობ: იმათთან არავის არა აქვს სამედიდურო, დიდგვარიანთა ნატამალნი არიან, მაგრამ ბიძაჩემის ნაძმევსაც რომ ბერძნული ზრდილობით მოეპყრას ვინმე, ვერ გადურჩება ჩემს წყრომას.

ერთ თვეზე მეტს გაეარნა, რაც მირანდუხტის თაყვანისმცემელნი ყველანი მცხეთაში ტრიალებდნენ. სვეტიცხოვლობას სწვეოდნენ მცხეთას და ამის უკან ფეხი აღარსად გაედგათ. მირანდუხტმა უბრძანა, ქართლს გამომყევითო. ვაჩემ დაინახა, რომ მირანდუხტს საშიშროება არ მოელოდა მგზავრობისას, რაკი ასეთი ერთგული და ასეთი გამოწვრთნილი ამალა გაჰყვებოდა ქართლს, და აღარ წაედავა.

„ამათთან მეც წავალ ოთხმოცდახუთი წლის მოხუცი," — თქვა გულში და თვითონაც მოემზადა წასასვლელად.

მირანდუხტმა თან რევიც და ველთამზეც გაიყოლა. გულადს თავისი ჩანგი არ დაუგდია მგზავრობისას, ბერას — კომბალი და ბასას — კვიმატი სიტყვა.

— გული კი შეულონდება სენექერიმ არშაკუნიანის ასულ მარიამს და ჩვენი უჯარმის დედოფლის მულს! — დაიწყო ფერისის ნატამალმა და თავისი ენა აღარ დაუყენებია, თანამგზარებსაც არ სტოვებდა შეუმკობლად. მგზავრებმა ისე მიაღწიეს მეფის ადგილსამყოფელს, რომ გავლილი მანძილი არ შეუმჩნევიათ.

მხოლოდ მეფის ადგილსამყოფს მიახლოებისას შეაჩერა ბასამ თავისი ენა, ყველასათვის მოულოდნელად მოიწყინა და სახე დაღვრემით გადახედა ყველას.

— რა დაგემართა, ბიჭო? — შეეკითხა ბერა. — იყბედე, იყბედე და უცბად გაჩერდი.

— ბერა ძიავ! — უთხრა ბასამ ზენკალს, — რაღაც ვერ უნდა იყოს საქმე კარგად. აგერ რა ჩოჩქოლი აქვთ მეფის სადგომის წინ.

ყველამ მართლაც დაინახა, რომ რაღაც ამბავი ხდებოდა მეფის სადგომთან. მოჩოჩქოლე ხალხს გამოეყო მეფის სადგომიდან ახლადგამოსული ახოვანი ვაჟკაცი და მირანდუხტის ჯგუფისაკენ წამოვიდა: ტახტის მემკვიდრე უახლოვდებოდა მცხეთიდან მომავალთ სწრაფი ნაბიჯით.

— მეფე უკანასკნელ დღეშია! — უთხრა მისვლისთანავე მეფისწულმა მირანდუხტს. — შენ გკითხულობს. რა კარგი გიქნია, რომ არ დაგიყოვნებია და წამოსულხარ, — დაურთო მადლიერი კილოთი წინანათქვამს.

ყველანი დაქვეითდნენ. მეფისწული, მირანდუხტი და ვაჩე წინ მიდიოდნენ. ფეხაკრეფით შევიდნენ უკანასკნელ დღეში მყოფ მეფესთან. ბაგრატს თვალები მილულეოდა. მეფის დედამ, მარიამ დედოფალმა ამრეზით გადახედა მირანდუხტსა და მის ამალას.

„რა თავხედი რამ არის!“ — გაიფლო გულში მირანდუხტზე.

მირანდუხტმა წამს თვალები მიანათა დედამთილის დედამთილს და თავი დაახრევინა. რაღაც ძრწოლის მომგვრელ ძალას გრძნობდა სასანიანის ასულში სენექერიმის ასული, მაგრამ ებრძოდა ამ ძალას და არ ემორჩილებოდა. შვილის სარეცელთან ახლოს მდგომმა მარიამმა უფრო ახლოს მიიწია, თითქმის მიაწება მუხლები ავადმყოფის სარეცელს.

ბაგრატი გაინძრა. მარიამ დედოფალი მისკენ გადაიხარა.

— შვილო ჩემო, ტახტის მემკვიდრეს კითხულობდი და აი გეახლა, — გამოელაპარაკა დედა ბაგრატს.

— შენ ხარ, დედაჩემო? — მიმართა მისუსტებული ხმით, თვალებაუხილებლიე ბაგრატმა და თან დაასძინა. — „დედაო, მეწყალი შენ, რამეთუ ყოველნი შობილნი შენნი წარგუიქციენ წინ და ეგრეთ ღა შენ მოჰკვდები!“

მეხივით იმოქმედა მარიამ დედოფალზე შვილის სიტყვებმა, აქამდე ქედსწორი მოხუცებული მოხარა და ჩაკრიფა, ავადმყოფის სარეცელს მიაშურა.

მარიამ ბიზანტიის დედოფალი ამოქმედდა, რომ მამის ნათქვამს არაფერი მოჰყოლოდა სხვა უხერხული კიდევ თავის მოამაგე დიდედასათვის დიდებულთა თანდასწრებით: ბიზანტიის დედოფლობა ხომ ამ დიდედამ მოუხერხა მართა ბაგრატიანს, ახლა სარეცელზე მდებარე, აფხაზთა და ქართველთა მეფის ასულს.

— მამაო! გიორგის კითხულობდი და დიდედამ მოგაგონა, — უბნო ბაგრატს ასულმა.

ბიზანტიის დედოფალს, როგორც მის დიდედას, მირანდუხტის მისვლა განგებ არ გაუხსენებია მამისათვის. თუმცა ბაგრატი ტახტის მემკვიდრესთან ერთად მირანდუხტსაც კითხულობდა.

თვითონ ტახტის მემკვიდრე მიუახლოვდა ავადმყოფის სარეცელს.

— მამავ, მირანდუხტს კითხულობდი და აი მირანდუხტიც აქ არის, მოვიდა. — ჩაელაპარაკა ბაგრატს შვილი გიორგი.

ბაგრატმა თვალები აახილა, ჯერ შვილს მიაპყრო. შვილმა მამას წინ წამომდგარ მირანდუხტზე გადაატანინა თვალი. ბაგრატს სახე გაუსხივოსნდა. თვალებში ნისლი გაუქრა.

— იადხმობილო, იავ, მოჩვენება ხომ არა ხარ, რომ არ მიახლოვდები?

— წამოილაპარაკა ბაგრატმა. — ეს ვაჩეა, გულადიც აქ გყოლია, ბერაც, ვერხვის ჭინკაც, კიდევ არიან... — ბაგრატი შეჩერდა.

მირანდუხტი მიუახლოვდა მეფეს.

მირანდუხტმა დაუჩოქა მეფეს. მეფემ ქალს დახრილ თავზე ხელი დაადო და უბრო:

„სამგორის ველი გაიხსენე, იადხმობილო!

დანაპირები აგვისრულე, იადხმობილო!

მტერთა მმუსვრელი გაგეზარდე, იადხმობილო!

იადხმობილი ხელზე ემთხვია მეფეს. მეფემ თავი მაღლა აახრევინა რძალს, თვალებში ჩახედა და, თითქოს ამ თვალებში ამოიკითხაო, ხმამაღლა, მკვეთრად, ყველას გასაგონად წარმოთქვა დარწმუნებით:

— იადხმობილი ამისრულებს პირობას!... აუსრულებს ხალხს!

მეფემ თავს ძალა დაატანა და დიდებულთაკენ იბრუნა პირი.

— აი თქვენი მეფე და დედოფალი! — მიუთითა ბაგრატმა დიდებულებს გიორგისა და მირანდუხტზე. — ახლა ამათ უნდა უერთგულოთ, ჭაპანი ჩვენი ქვეყნისა ამათთან ერთად უნდა სჭიმოთ და... — ბაგრატს სიტყვა შეუწყდა: — მუცლის ძლიერი სალმობა აუტყდა, სახე ძლიერმა ჭმუნვარებამ აუვსო, ერთი ორჯერ თითქოს სუნთქვა აღმოხდა, ტანი უძრავად შეექმნა და მიიცვალა მოკლე ხნის ავადმყოფობით.

სიკვდილმა თავისი უდრეკი ძალა აგრძნობინა ყველას. მიცვალებულის გარს წუთიერად ყველა გაითანგა. ირგვლივ დაურღვეველი სიჩუმე გაუფლდა. თითქოს მბრძანებელს მიეძინა და ეკრძალებათ მისი გამოღვიძებაო, მაგრამ სიჩუმეს მალე ფუძე გამოეცალა. ბასამ ყველას უცნაურად გადახედა, მერმე მსწრაფლ მეფის გვამისაკენ გადინაცვლა. გვამს დაუჩოქა, ხელზე ემთხვია და ქვითინი ამოუშვა. ბასას ქვითინი და მირანდუხტის ამოძრავება ერთი იყო. ქალმა ჯერ თანამეცხედრეს წააველო ხელი და გამოარკვია, ბორენა დედოფალს შესტირა. მწარედ აატირა რძალმა დაქვრივებული დედამთილი. მირანდუხტის და ბორენას ტირილი მეფის სხვა მახლობლებსაც გადაედო. ყველამ ცრემლი დააყარა მიცვალებულ მეფეს.

დიდებულებმა კი იგრძნეს უღლის მობოშება. ორგულთ გული შეუტოკდათ, თავისი თავის გალაღება მოელანდათ: თამამად დაიწყეს მზერა. ახალმა მეფემ წამს უმწეობა განიცადა. მირანდუხტს წამს

თვალზე ცრემლი შეუშრა. თვალებმა უელვეს. ვარაზ-ბაკური მოუნახეს. ვარაზ-ბაკურმა მისკენ გადმოინაცვლა. ქალმა ბიძას გადახედა: ბიძა გადმოანაცვლა თავისკენ. ბერა, გულალი, არჩვიაძენი, დაჩი, ბასა წრედ შემოევლნენ ქალს. ეკითხებოდნენ თვალთა გამომეტყველებით, რას გვიბრძანებო. მირანდუხტის თვალს სხვანიც დამორჩილდნენ.

— მეფის გვამს სათანადო პატრონობა უნდა გავუწიოთ! — წამოილაპარაკა მირანდუხტმა მკაფიოდ.

— უნდა გაუწიოთ! — გაიმეორეს მირანდუხტის სიტყვა ვარაზ-ბაკურმა, გურსიმ და სხვა დიდებულთაც. დიდებულთ იგრძნეს მირანდუხტის უცხო ძალა.

მირანდუხტმა მარიამ დედოფალს გადახედა: საცოდავად გამოიყურებოდა ახლა ეს მედიდური ადამიანი. შვილის ნათქვამის შემდეგ მარტოკა იდგა მოხრილი, ჩაფიქრებული. შვილიშვილი მარიამიც კი, საბერძნეთის დედოფალი, მის ახლოს აღარ იდგა, დედა ბორენას ამოსდგომოდა გვერდში. მირანდუხტი გამოეყო თავის ჯგუფს და განმარტოებულ დედოფალს მიუახლოვდა. ქალმა დამორჩილებული კეთილი თვალით შეხედა.

— დიდო დედაო, ადამიანს ხომ ღვთისგან მიკუთვნებული თავის ხვედრი აქვს, — უბნო მირანდუხტმა დედამთილის დედამთილს თავისებური ჩანგის ბგერების იერით აღსავსე ხმით. — ჩვენ ყველანი ჩვენ ხვედრს ვემორჩილებით შვილი აღარ გყავს, შვილიშვილი გყავს მეფე და ამ შვილიშვილს ერთ დედაბოძად შენ ეყოლები.

მირანდუხტი ხელზე ემთხვია მარიამ დედოფალს და მით გული მოულბო. მაგრამ გულმოლბობილი მარიამ დედოფალი იმასაც მიხვდა, რომ სამეფო კარს მირანდუხტი დაეუფლებოდა.

ეპილოგი

ქორონიკონსა ტივ, მეათსამეტესა მოქცევასა, მცხეთის სანახებს დასავლეთიდან მომდგარმა, სამასეულიანმა რაზმმა გამოიარა ვესპანისეული ხიდი, გვერდს გაუარა სამთავრის მონასტერს და ვაჩეს სასახლეს მიმართა. თვით ხუროთმოძღვარი, რომელიც თავის ცხოვრების უკანასკნელ დღეებს ჯვარში ატარებდა, შვილიშვილის მირანდუხტის გადედოფლების შემდეგ მალე გარდაიცვალა, წლებით დამძიმებული. სასახლეს სამნი პატრონობდნენ, სამნი, მირანდუხტის ნამკურნალევნი ნამეკობრალნი. დიდი ხუროთმოძღვრის ბინა ძველებურად მტკიცედ გამოიყურებოდა. მოვლილი ჩანდა.

საღამოს ბუნდ-ბუნდი ფრთებს შლიდა, მცხეთას ძოსული რაზმი გალავნისაკენ მიდიოდა და რაზმს შეხვედრილნი მცხეთელნი, ბელტის ციხის მხრიდან მოგვიანებით საღამო ჟამს შინ მომავალნი, ერთმანეთს წინ შეხვედრილი რაზმის ამბავს გადასცემდნენ.

— იცი, კაცო! — მიმართა ერთმა ხანში შესულ მამაკაცს, — რაზმი შემომხვდა სამასეულიანი, სულ ახოვან ვაჟკაცებაგან შემდგარი, მაგრამ წინ მოუძღოდა რაზმს ერთი, რომ ისეთი ადამიანის მნახველი იშვიათად თუ ვინმე იქნება! ღმერთმანი, მთაა ნამდვილი, მთა! ვაჩე ხუროთმოძღვრის სახლისაკენ მიდიოდნენ.

— მეც ხომ შემხვდა ის რაზმი! — განაცხადა მეორემ. — იცით რამ გამაკვირვა? იმ მთას მისდევდა გვერდით ერთი ტანწვრილი ჭაბუკი, შეჯავშნული. მთავარანგელოზი მეგონა, სწორე გითხრათ! ღმერთმანი, ახლაც მგონია, რომ მთავარანგელოზია!

— მე კიდევ იცით, რამ გამაკვირვა? — წამოიძახა მესამემ. — ყური მოვკარი, იმ მთამ იმ ტანწვრილს დედა უწოდა. აჰა, უბნო იმ მთამ მთავარანგელოზს, საყვარელო დედაჩემო, მცხეთას ხომ მოგიყვანე, სვეტიცხოვლობას სვეტიცხოველი ვილოცოთ, მერმე, ჯერ მივმუსრ-მოვმუსრო ეს თურქები, უჯარმაშიაც წაგიყვანო. ისინი მიდიოდნენ ფეხდალაგებით. მე დავდექი და სანამ ჩემ ყურამდე აწევდა იმ მთაკაცის ლაპარაკი, ფეხი არ მომიცვლია..

— იჰ, ადამიანო! — წამოიძახა ამის გაგონებაზე ერთმა ხნიერმა მანდილოსანმა. — ეგ იადხმობილი იქნება, ვაჩე არსაკიძის შვილიშვილი,

ჩვენი დედოფალი. აბა, მაშ ვინ მიედინებოდა ვაჩეს სასახლეში? ეს, მთად რომ გჩვენებია, შვილი იქნება იადხმობილის, ახლა ჩვენი მეფე, დავითი. ბურბერაზიაო, ამბობენ მაგ დავითზე. ამ ოცდაშვიდი წლის წინათ ვნახე ია ქალი, როცა სვეტიცხოველში თავის შეკვეთილ წირვას ისმენდა. ახლა სახე ხნიერისა ექნება, მაგრამ, უეჭველია, თავისი სიწერწეტე მაინც შერჩენილი ექნება ჩვენ ია.

— ისე ამბობ, ჩვენ იასაო, დედაჩემო, თითქოს მართლა ჩვენი იყოს! — წაედავა მანდილოსანს ქალიშვილი.

იჰ, შენცა გოგო! — შეუტია წამოდავებულს ხნიერმა მანდილოსანმა. — ექვსი წლისა მცხეთას გვეწვია ია. მეც ამ ხნისა ვიქნებოდი. ისე შეგვიყვარდა ყველას, ბავშვებს, როგორც ღვიძლი დაი! ათი წლისაც იყო მცხეთას და ყველანი გვიცნო, გადაგეკოცნა! ოი, დედავ! როგორი დადრბაისლებული გვეწვია. სიდარბაისლით დიდ ადამიანს აჭარბებდა. მოვიდა ბოლოს მეთვრამეტეში გადამდგარი, მამაპაპათა სალოცავში სალოცავად, დაღონებული, დაღვრემილი და როგორც თავისიანებს, ისე გვიცქეროდა მაინც. მერმე მისთხოვდა გიორგი მეფისწულს და ამის უკან მცხეთას თითქმის სულ არა სცილდებოდა, სანამ გიორგი არ გამეფდა: პირდაპირ ჩვენად იქცა მაშინ. მერმე ახლა ჩვენი დედოფალი არაა თუ? დიახ, და ჩვენი გულის შემატკივარიც არის! ხვალ, უეჭველია, კათალიკოზს აწირვინებს. მეც წავალ და... — მანდილოსანმა სიტყვა შეწყვიტა: რაზმსშეხვედრილი მეოთხე კაცი ალაპარაკდა.

— სწორე გითხრა, დანარჩენი რაზმელნიც ახოვანნი ვაჟკაცნი იყვნენ: მეც ხომ ვნახე და, სამი თუ ოთხი მაინც დიდად არ ჩამოუვარდებოდა ტანადობითა და მხარბეჭიანობით იმ მთისა. არა, რას ვამბობ! პირდაპირ ტოლნი იყვნენ იმ მთისა!

— ნუ გიკვირს, ყმაწვილო! — გამოელაპარაკა ხნიერი მანდილოსანი მეოთხეს. — სასანიანნი იქნებიან, ხოსროიანნი. ჯიშიანი ხალხია. ის მთობაც დავით მეფეს სასანიანთაგან ექნება გამოყოლილი.

— საიდან იცი მაგდენი, ადამიანო? — შეეკითხა მანდილოსანს მეუღლე. — იქნებ სხვები იყვნენ?

— აი მე კი მითქვამს, და შენ თუ გინდა, ნუ დაიჯერებ! — უპასუხა მანდილოსანმა მეუღლეს და თან დაუმატა: — სვეტიცხოველი გვეტყვის ხვალ. მერმე, ზეგაც სვეტიცხოვლობაა ახლა!..

ბელტის ციხის მხრიდან მომავალნი, რაზმს შეხვედრილნი, სხვანიც

აღმოჩდნენ. ამათ რაზმი ენახათ, ხუროთმოძღვრის სასახლის გალავნის კარს მიმდგარნი. თვითონაც ცნობისმოყვარეობით გატაცებულნი მისულიყვნენ გალავნის კართან. ესენიც სულ რჩეულ ვაჟკაცებზე ლაპარაკობდნენ: პირველშეხვედრილის სახლის წინ თავმოყრილთ უერთდებოდნენ და იითოეული თავის შთაბეჭდილებას გაიზიარებდა.

— შენ რაღას იტყვი? — შეეკითხა სახლის პატრონი ერთ-ერთ მათგანს.

— მე რაღას ვიტყვი, მაგე? — შეეკითხა ის თვითონაც შემკითხველს. — უეჭველია, შენ იმ რაზმზე მეკითხები, ვაჩეს სახლის გალავანში რომ შეიკრიბა. მოციქულად გამომგზავნეს, — თქვა ეს და ხნიერ მანდილოსანს მიმართა: — თუთა, მირანდუხტ დედოფალი მოგიწოდებს!.. სასახლეში ქალი არავინ დახვდა და შენ გახსენებიხარ ჩვენს დედოფალს.

თუთად წოდებულმა მანდილოსანმა მეკლესე ნიშნი მოუგო.

— ხომ გითხარი! — მიაბარა ქმარს და თავის ქალს გადახედა: — წამომყევი, შვილო, მომესმარები!

თუთამ შვილითურთ გასწია ვაჩესეულ სასახლისაკენ. იადხმობილი ეძახდა თუთას, და როგორ შეეძლო, იმის ხმა[illegible] ათვის ყური არ ეთხოვა.

იადხმობილმა პაპის სასახლეში თავისი საყვარელი მხართოთახი დაიკავა, ჯავშანი და მუზარადი მოიშორა და მანდილოსნის სამოსელში დაანახვა თავი ოთახს. ოთახმაც თითქოს იცნო პატრონი და თითქოს გაიხარა კიდეც მისი ნახვით.

„კეთილი იყოს შენი მობრძანება, კეთილო დედოფალო! — უბნო იდუმალმა სმამ იადხმოპილს. — ოცდაერთი წელია, რაც შენი სხივოსანი ორი ია-თვალი აღარ მოგვხვედრია. მოწყენილი ვიყავით უშენოდ. განა მცხეთა საკადრისი არ არის დედოფლისა და მეფისათვის? რომელია ასეთი ქართველა ტომთა ქვეყანაში, რომელი? პაპაშენი ვაჩე, ჩვენი პატრონი, ხომ იმას წინასწარმეტყველებდა, მცხეთა იუფლებს ყველა ქალაქებზეო, უნდა ეუფლა მცხეთას მართლაც, და როგორცა ჩანს, კი არავინ აუფლებს!.. შენ რაღად დაიგვიანე? განა შენი ბავშვობა აქ აღარ გაგონდებოდა?..

მირანდუხტ დედოფალს გონების თვალწინ გაურბინა მცხეთაში ყოფნისას ბავშვობის სურათების მთელმა რიგმა: აი ექვსი წლის ია და ცხრა წლის მეფისწული. ია გონების წიაღში ამოცურებულ სურათებში პირდაპირ მეფისწულის მბრძანებლად მოსჩანს: ექვსი წლის იას წარბ-

შეუხრელად უგონებს ცხრა წლის მეფისწული... ექვსი წლის იასაგან დედოფალმა ათი წლის იაზე გადაანაცვლა გონების თვალი. აჰა, აი ათი წლის ია სვეტიცხოველში... დარბაისლობით ხანს წინ გასწრობილი ია კარგახანს ედგა თვალწინ დედოფალს. ცრემლები გადმოსცვივდა. ვინ იცის, რამდენჯერ გადმოსცვივნია!.. აბნია ცრემლები მირანდუხტმა მამას, ძმასა და თავის დამცველთ შეუდარებელ შინაყმათ, ალფარსლანისგან აკლებულ ქართლს, თავის მაღმერთებელ ბაგრატ მეფეს და გადედოფლების შემდეგ მალე გარდაცვალებულ ვაჩე ჰაჰას, აფრქვია ცრემლი მალიქშაჰისაგან აკლებულ თავის ქვეყანას და ბოლოს დედისას, რომელიც ხელიდან გამოაცალა სიკვდილმა გურსის ქორწინების ცხრა წლის შემდეგ. გურსის დედისა გამოეცალა ხელიდან და აღარ უფიქრია სხვა თანამეცხედრის მოყვანა. თავის სიცოცხლეს არმაზელ-სასანიანი თანაცხედრის დაკარგვის უკან ანდომებდა ახლა კიდეც დავაჟკაცებულს, დედისასაგან ნაყოლ ვაჟს — არჩილს, თავისი თავის მხოლოდ არმაზელად მომხსენებელსა. არჩილს თავი სასანიანობითაც მოჰქონდა და მაინც სასანიანად არ იცნობდნენ. ეს მამის სურვილით მოხდა: გურსი შვილს თავიდან აცილებდა ცალქალამანიძეთა ნატამლების შურისძიებას.

ველთამზე მირანდუხტს კარგა ხანია აღარ ენახა: ქალი ჯვარის საყდარს არ შორდებოდა, თემესტიას ოთახში ლოცვა-მარხვაში ატარებდა დროს.

ცრემლს აფრქვევდა მირანდუხტი ველთამზეს გახსენებაზედაც. დაიტირა ბოლოს ქალმა თანამეცხედრის მეფობისას ჯერ დიდგვარიანთა საჯიჯგნად და მერმე თურქთა სარბევ საგნად ქცეული ქართლი.

მცხეთამ ბევრი რამ გაახსენა მირანდუხტს. ჭრავალმა სურათმა გაურბინა და მერმე თავის დედოფლობის ცხოვრების სურათებზე შეჩერდა. შეჩერდა თანამეცხედრე გიორგისაგან გამოჩენილ თვისებებზე.

„მოუშვა სადაეე დიდგვარიანებს ჩემმა თანამეცხედრემ და ყველაფერი დაუთმო, — დაიწყო მირანდუხტმა და წარსული გადმოშალა. — აპატია ერთს, მეორეს, მესამეს და მრავალს და ქვეყანა მიწასთან გაასწორა. თურქთა საძოვრებად იქცა. ვეჟინის ამბავი ხომ მის უკიდურეს სიმჩატეს ჰღალადებს! სულთანმა სპანი შემოარტყა ციხეს და შენ ნადირობა მოისურვე ამ დროს, მიანებე თავი ჯარსა და აჯამეთს გასწიე სანადიროდ! ეს ხომ ზღაპრული ამბავია, ზღაპრული! ზღაპრული სიმჩატე მფლო-

ბელისა! ეს სიმჩატე გამოიჩინა ჩემმა თანამეცხედრემ... მერმე რცხვენოდა და კარგა ხანს აღარ მეჩვენებოდა. რამდენი დავა დამჭირდა, რომ შვილი მისი წრისაგან გადამერჩინა".

მირანდუხტმა გაიხსენა ისიც, თუ როგორ ეწვია თვითონ გიორგი მეფეს და სთხოვა ტახტიდან გადადგომა. მოსთხოვა თავისი ძალაუფლებით შეემოსა თექვსმეტი წლის დავითი.

— მეფეო, იკმარე წამება ხალხისა, შენი დაუდევრობით გამოწვეული! — უბნო მირანდუხტმა მკაცრად თანამეცხედრეს. — საზღაპრო გახდა შენი სიმჩატე, საზღაპრო! ყველას თითით საჩვენებელი გახდი, ცუდრუკმა აღსართანმაც კი გაგჯობა შენ! — ბოლოს მირანდუხტი ხალხითაც დაემუქრა მეუღლეს.

გიორგი მეფე დააბნია თანამეცხედრის ასეთმა იერიშმა. ტყუილად კი არ გაურბოდა მირანდუხტთან ხშირად შეხვედრას. მირანდუხტთან ყოველ შეხვედრისას დაუძლურებული, საბერძნეთის იმპერატორისაგან კესაროსად წოდებული, მეფე პირში წყალს იგუბებდა, სიტყვის უნარს ჰკარგავდა: მირანდუხტის მოთხოვნაზე უარს ვერ ამბობდა. უმირანდუხტოდ კი მუდამ დიდგვარიანთათვის სასურველ ნაბიჯს სდგამდა. დიდგვარიანები ვერ ინელებდნენ მირანდუხტს, მეფის ყოველი დაუთმობლობა მირანდუხტის რჩევის შედეგად ეელინებოდათ გალაღებული. წამოეზარდა შვილი დავითი დედოფალს და კესაროსმა უარი ვეღარ გაუბედა მოთხოვნაზე: შვილს ტახტი დაუთმო. შვილი დავითი ჯერ ხომ თვითონ განსწავლა იადხმობილმა. ასწავლა არაბული და ბერძნული. მასწავლებლები თვითონ შეურჩია. გაზარდა თავის წრეში: დავითს შეუყვარდა დედის გარს მოტრიალენი დიდგვარიანნიც და მცირეგვარიანნიც. თავი და თავნი იყვნენ ვარაზ-ბაკური, გურსი, ძმანი არჩვიაძენი, ბასა და დარჩ. გულადი ჩგოსანი, ბერაც, მამა არჩვიაძე, ანდრია, ხშირად სწვევიან მირანდუხტს წაღვლისთავს. ახლა ამ წრეს აღარ ჰყავდა ვარაზ-ბაკური. ფხოველი მგოსანი კარგა ხანია აღარ სჩვენებოდა თავის ღვთაებას — იადხმობილს. ბერა ზენკალი და არჩვიაძე-მამა უკვე გამოსალმებოდნენ წუთისოფელს...

მირანდუხტმა ფიქრთა დენა და წარსული ცხოვრების სურათების გადათვალიერება შეწყვიტა. შვილი დავითი, მეფე აფხაზთა და ქართველთა, შემოვიდა მხართოთახში. დავითს უყვარდა წიგნის კითხვა: ხელში სამოციქულო ეჭირა.

— დედაჩემო, ახლა კი უნდა კარგა გამიხდე! — უბნო დავითმა მირანდუხტს. — უშენოდ ჩემთვის ძნელია სიცოცხლე. აი პირველ ქრისტიანებს, მოციქულები რომ ადრე გასცლოდნენ ამქვეყნიერ ცხოვრებას, თავგზა აებნეოდათ. მოციქულების დარიგება ნელსაცხებლად ედებოდა გულზე, ამხნევებდათ. შენ ჩემი მოციქული ხარ მე რომ გამომზარდე, ჩემი პატარა დემეტრეც, დემეტრე გორგასლიანი უნდა...

დავითი შეჩერდა.

— მამიდა, შეიძლება შენთან შემოვიდე? — გაისმა დარბაზიდან შემოტყორცნილი შეკითხვა.

— რევი რევიანი! — დაასახელა დავით მეფემ შემკითხველი და დედას მიმართა. — აგერ, უკან უდგას არჩილ არმაზელი, შენი ბიძაშვილი.

რევი რევიანად დავითმა მოიხსენია რევი ბაქარის ძე, დედის ძმისწული. რევი მამიდა მირანდუხტს არ გასცილებია მას აქეთ, რაც დედამისი ველთამზე მონაზვნად აღიკვეცა. შვიდი წლიდან მამიდას კალთას არ მოშორებია ბაკშვი. გაუჩნდა დავითი მირანდუხტს და მაინც თავიდან არ მოუშორებია ძმის ნატამალი. გახდა ექვსი წლის დავითი და ხუთმეტი წლის რევი ბიძაშვილი მის მასწავლებლად იქცა: რევიმ ამ დროს ბევრი რამ იცოდა — გონებით ნამდვილი მამამისი ბაქარი იყო.

ძმისწულის რევიანობა მირანდუხტმა მოისურვა. ამით სასანიანობა დაუმალა. ასევე მოიქცა გურსი: შვილს არჩილს მხოლოდ არმაზელობა დაუტოვა და სასანიანობა მოხსნა. თვით დავითმა თავის პატარა პირმშოს, დემეტრეს, მის გაჩენისთანავე, გორგასლიანი უწოდა. მეფე ამაყობდა, რომ თავისსა და შვილის არსებაში, ბაგრატიანთა ნატამალებში, განახლებული სისხლიც დიოდა ახლა და შვილს ბაგრატიანს, სასანიანთა დიდი წინაპრის, დიდი ვახტანგის ზედმეტი სახელით ახსენებინებდა თავის წრეში.

— რა უკან-უკან დგებით, რევი და არჩილ, — გაელაპარაკა დარბაზიდან მომზირალი მირანდუხტი.

— რა ვიცი? იქნებ დავით მეფისათვის არაა ახლა სასურველი ჩვენი შენთან შემოსვლა, — უპასუხა მამიდას რევიმ.

— ბიძაშვილო, რა ამბავშია ხარ? — შეეკითხა დავით მეფე, — როდის ყოფილხარ ჩემთვის არასასურველი?!

— ჩემი ძმისწული ბასამ გამისაძაგლა, — დაურთო შვილის სიტყვებს მირანდუხტმა ხუმრობით და რევის მიმართა: — სადაა, ბიჭო, ბიძაშენი?

— ბიძაჩემი კი თან მომდევს, მამიდაჩემო! — უპასუხა რეცხმ, ღიმილით მირანდუხტს და თავისზე ცხრა წლით უმცროს არჩილ არმაზელს გადახედა. — ბიძაშენი და ონავარი ბასილი რაზმში ტრიალებენ. უკან ძმანი არჩვიაძენი და დაჩი დასდევენ და რაზმელებს რაღაცას უჩიჩინებენ.

— ხომ არას აპირებ, შვილო? — შეეკითხა დავით მეფეს მირანდუხტი.

— თურქებთან ბრძოლას, დედაჩემო! — უპასუხა დავითმა მირანდუხტს. — ქართლისა ქვემოები გასათავისუფლებელი მაქვს, ტფილისიდან დაწყებული. ხომ ჩამინერგე გულში მტრის ჟლეტა? სამგორის გმირების სისხლის ამღების გზას ვადგივარ. მუდამ ასე ვიქმ. სანამ მტერი სულ არ აღმოიფხვრება ჩვენ ქვეყანაში. ამბავი მომიყიდა, რომ განძიდან ქარავანი მოდის ვაჭრებისა და დიდძალი სპა თურქებისა მოსდევს თურმე.

— მერმე? — შეეკითხა შვილს მირანდუხტი.

— მერმე და ხვალ შენ აწირვინე სვეტიცხოველში და მე კიდევ ამ შენ მამაპაპათა სალოცავს საზოგადოდ ხვალ თურქებთან ბრძოლით ნადავლს მოეუპოვებ, თორემ ქვეყანა გაგვიღარიბდა.

— მეფეო, მაშ ჯორი რაღად გინდა წიგნებით დატვირთული? — შეეკითხა რევი დავითს და გვერდში ამოუდგა.

დავითს გვერდში არჩილ არმაზელიც ამოუდგა. პატარაობიდანვე რევისთან გაზრდილს დავითს ღრმად უყვარდა იგი. რევიც ასე უპასუხებდა მამიდაშვილს. ჯერ ბავშვს თუ გულში ისვამდა, დავაჟკაცებულს, გამეფებულს პირდაპირ აღმერთებდა და ეთაყვანებოდა. დავითმა შეიყვარა იგი ათი წლიდან თავისთან უდედოდ გაზრდილი, თავისი კბილა, დედის ბიძაშვილი, არჩილიც. მეფე არ იშორებდა მას.

დიდ პატივს სცემდა დავითი დედის ბიძასაც, დაქვრივებულ გურსის, არჩილის მამას, დაკვირვებულსა და მრავალ საქმეში გამოცდილს.

მხართოთახში მალე გურსიც მოვიდა მირანდუხტთან, წინათ თუ თვალებსხივოსანი, ახლა დედისას დაკარგვის შემდეგ თვალებმონისლული, ხანში შესული, არმაზელ-სასანიანს უკვე დაჭარმაგებულნი თან მოჰყვნენ: დაჩი, არჩვიაძენი — ამირანი და თვალისი. შემოიჭრა ბასაც, რომელსაც დავითი ბასილ ფერისიანს უწოდებდა და დიდგვარიანებს უსწორებდა.

— სათაყვანებელო დედოფალო, გეახლათ მცხეთელი თუთა და ასულიც მოიყვანა! — ამცნო მირანდუხტს ფერისიანმა და დასძინა: — ასული თუთასი ლამაზია! მეკუთვნის, მეკუთვნის, დედოფალო, რომ ახლა მაინც მყავდეს ორმოცი წლისას თანამეცხედრე.

— აი, თავის სიცეტეს მაინც არ იშლის! — წამოილაპარაკა ძმის უკანასკნელ სიტყვებზე მუდამ დარბაისელმა დაჩიმ.

— შენ, რას მიბედავ მაგას? მე, დიდგვარიანს, ფერისიანს?! — შეუტია ხუმრობით ბასამ ძმას.

— თუ მამაჩემის ეროი ნატამალი დიდგვარიანად არის გამოცხადებული და გვარს ფერისიანს ატარებს, მაშ ფერისიც მიცვალებული გადიდგვარიანებულა და მეც იმისი შვილი დიდგვარიანად მოვნათლულვარ, — უპასუხა დაჩიმ წყნარად ბასას.

— დიახ! — დაუმოწმა დავითმა დაჩის ნათქვამი. — შენც დღეიდან დიდგვარიანი ხარ.

— აბა! მაშ ჯერ მეფეს გადაუხადე მადლობა, რომ ასე გულუხვად დაგაჯილდოვა! — უბნო ბასამ ძმას, — და მერმე მე, მე რომ არ მეთქვა ჩემი, შენ არაფერსაც არ მიიღებდი! — ბასამ წარმოთქვა ეს და ისევ მირანდუხტს მიმართა. — დედოფალო, რა ეუთხრა თუთას?

— მოვიდეს თუთა! — ღიმილით გამოელაპარაკა ბასას მირანდუხტი.

ბასა წამსვე გაიჭრა გარეთ.

— ხმოვანობამაც ვერ მოაშლევინა თავის შათაბუთობა მაგ ბასას, — ჩაილაპარაკა თვალისმა ღიმილით.

— მართალია! — დაუმოწმა ძმამ, ამირანმა, თვალისს. — პირველად ჯვარპატიოსნობას ვნახე ბასა, აი მაშინ, როცა ფადლონელები თავს დაასხეს ცალ ქალამანიძეთ მოვარჯიშე უჯარმელ ციხოვან ივრის მარცხენა სანაპიროზე. თორმეტი წლისა იყო მაშინ, და ახლა ორმოც წელს მიღწეული იმ თორმეტი წლისას არაფრით არ ჩამორჩენია. ერთი ესაა, ხეებზე აღარ დაძვრება!

— ბასას ბევრი ღვაწლი მიუძღვის ხომ, დედაჩემო! — მიმართა მირანდუხტს დავით მეფემ.

— მიუძღვის, შვილო, მიუძღვის! — დაუმოწმა დედამ და ბოლოს ჰკითხა. — ბასაც თუ მოგყავს ხვალ სათარეშოდ?

— როგორც გენებოს, დედაჩემო! — უპასუხა დავითმა მირანდუხტს

— შვილო, მაგდენი წიგნი რომ მიგაქვს თან, ჯორიც კი გჭირდება მათ წასაღებად, რა ამბავია? — შეეკითხა მირანდუხტი შვილს.

— დედაჩემო, ჩემმა ბიძაშვილმა რევი რევიანმა რომ არ გამკრას კბილი არ შეიძლება, აკი გითხარი, — უპასუხა მირანდუხტს დავითმა

ღიმილით. — თუმცა, თუნდაც წიგნებით დავტვირთო ჯორი და ისე წავიყვანო, რა გასაკვირია? ვინ იცის, როგორ შემაყვარე შენ წიგნის კითხვა!... მაგრამ ასე არაა ახლა საქმე. ჯორი მიმყავს დატვირთული, მხოლოდ წიგნებით არა, ჩემთვის სხვა საჭირო საგზლით. თან მიმაქვს მხოლოდ ოთხი წიგნი — დავითმა სიტყვა შეწყვიტა.

შემოიყვანა ბასამ თუთა და მისი ახალგაზრდა ასული. მოსულნი ეთაყვანნენ მეფესა და მირანდუხტ დედოფალს, მიესალმნენ ოთახში მყოფთ.

— იადხმობილო დედოფალო, გეახელი შენ მოხმობაზე ჩემი ასულიანად, რომ გემსახურო, სანამ არ მიბრძანებ, ახლა კი თავი დამანებეო, — მოახსენა მირანდუხტს თუთამ და თან დასძინა. — იცი, დედოფალო, რა ბედნიერი ვარ, რომ გაგახსენდი და სწორედ მე მომიხმე.

— მე თუთა ამორჩეული მყავდა ბავშვობისას, — ამცნო შვილს მირანდუხტმა. — ჩემთან, აქ მცხეთაში, ექვსი წლის ბავშვთან, თუთა განუყრელად იმყოფებოდა ხოლმე.

— მე იმ დროს დედა გარდამეცვალა, — თქვა თუთამ — და მწარედ ვტიროდი. მეც ობოლი ვარ, თუთა, მეც ახლა შომიკვდა დედაო. სულ ერთად ვიყოთო, — მითხრა ექვსი წლის იამ — უნდა გამოვტყდე, დიდო მეფეო. იმ ხანებში პაპაშენი ბაგრატ მეფე ეწვია მცხეთას და იას ორი-სამი დღე არ ეცალა ჩემთვის. ცხრა წლის გიორგი მეფისწული, მამაშენი დასდევდა უკან ჩვენ იას და გული მწყდებოდა... ათი წლისაც, სვეტიცხოვლობას რომ ეწვია იადხმობილი, მაინც უჩემოდ არ დადიოდა მცხეთას და სწორე გითხრა, მე დამთხვეული, — ასე მეძახდნენ ბიძაშვილები, — იას სიდინჯემ მაშინ სასწაულებრივ მეც დამადინჯა. წავიდა ია უჯარმაში და ეს სიდინჯე აღარ გამქრობია.

ასულმა კალთაზე ხელი წაავლო ამეტყველებულ თუთას.

— რა იყო, შვილო? — შეეკითხა უკმაყოფილოდ თავის ასულს.

— ვაითუ თავი შეაწყინო, დედავ, ჩვენს მეფეს და მის დედას, ჩვენს დიდ დედოფალს! — გაიგონა თუთამ შვილის პასუხი.

— რა ჰქვია, თუთავ, შენს ასულს? — ჰკითხა მირანდუხტმა მცხეთელ მანდილოსანს და ამით ამცნო მის ასულს, რომ ლაპარაკი შეიძლებოდა.

— ეთერი! — მოახსენა თუთამ.

— ლამაზია! — მოკლედ აღნიშნა მირანდუხტმა.

— ნეტავი გონჯი დამბადებოდა! — წამოიღაღადა თუთამ. — მოტაცებას

ემუქრება ჩემს ასულს ვინმე ბედურიძე. სვეტიცხოველში თვალი მოეკრა ეთერისათვის ამ ბედურიძეს და კაცი მიეგზავნა ტაძარში მდგომარე ჩემი მეუღლისათვის, შემოეთვალოს, მომათხოვე, თორემ მოვიტაცებო.

— ნუ გეშინიან, თუთავ! — უთხრა დავითმა ღიმილით. — მეტოქე გამოუჩნდა იმ ბედურიძეს და ხელიდან გააგდებინებს შენს ასულს, არ დაანებებს.

დავითს ხუმრობის გუნება მოეკლინა, მირანდუხტს კი გვარმა ბედურიძემ გონების სავანეში ფიქრები აუშალა.

„მართლა გვარია, თუ მამის სახელით მოხსენებაა თავის თავისა?“ — იკითხა გულში მირანდუხტმა.

დედოფალს ბედურ ცალქალამანიძე გაახსენდა.

— იმას ხომ დარჩა ორი პატარა! — მიადევნა მირანდუხტმა წინა თავის კითხვას სიტყვები. — ასეთი თავხედური იერიშის მიტანა ქალის მშობლებზე ხომ ცალქალამანიძისთ მოსდგამთ.

— თუთავ! — მიმართა მირანდუხტმა მცხეთელ მანდილოსანს. — სადაურია ბედურიძე?

— თვითონ მთიულად გამოუცხადა თავის თავი ჩემ მეუღლეს, — უპასუხა თუთამ მირანდუხტს და თან დაურთო პასუხს: — ერთმა ფხოველმა კი, მოხუცებულმა წაუჩურჩულა ჩემს მეუღლეს, სტყუის, არარის მთიულიო.

— ეგ ბედურ ცალქალამანის ნასხლეტი იქნება! — წამოილაპარაკა ბასამ წყნარად.

ფხოველის გახსენებაზე მირანდუხტმა გულადი მოიგონა.

— საიდან იცოდა იმ ფხოველმა, რომ ბედურიძე სხვა გვარისა იყო?

— აბა, რა ვიცი, დედოფალო? — მოახსენა მირანდუხტს თუთამ. — სვეტიცხოვლობას მუდამ არის ხოლმე. — ჩანგი უჭირავს ხელში. ჰო, კიდევ! წარბებიც აქვს როგორღაც დატეხილი.

— გულადი! — წამოიძახა ბასამ.

— დიახ, გულადია! — თქვა მირანდუხტმა.

— არა, დედოფალო, არა! — წამოიძახა თუთამ. — გულადი კარგად მახსოვს, ექვსი წლისას დაგდევდა შენ. იმას წარბები როდისა ჰქონდა დატეხილი.

— გულადია, გულადი! — დასძინეს დაჩიმ, თვალისმა და ამირანმა.

თუთა გაკვირვებული იცქირებოდა.

— მეც მახსოვს ხომ გულადი, — თქვა ღავითმა. — პატარა რომ ვიყავი, მაშინ მოდიოდა ხოლმე ჩვენთან. ათი წლისა გავხდი და მერმე თვალი აღარ მომიკრავს. რატომ დაგვანება, დედავ, თავი? თუ ხანმა მოსტეხა?

— მთლად გაჭაღარავებულია და მხრებში მოხრილი, — დაუმოწმა თუთამ და დასძინა, — მაგრამ რად უნდა იყოს გულადი? წარბები დატეხილი აქვს.

თუთას უცბად გაახსენდა ფხოველი. სალოცავად მორთულ ჩვიდმეტი წლის მირანდუხტს რომ მოჰყვა თან სხვებთან ერთად და მერმე ხომ ხშირად ტრიალებდა მცხეთაში, რამდენიმე ხანს საცხოვრებლად დამკვიდრებულ მირანდუხტთან.

— ჰო, ახლა გამახსენდა! რა ღმერთი გამიწყრა, აქამდის რომ ვერ მოვიგონე? — წამოიძახა თუთამ. — ეს ზარდიაა, ზარდია! დედოფალო, აი შენთან რომ ტრიალებდა მაშინ, აქ რომ დასახლდი იმ უბედურებას უკან, — თუთა ბაქარის სიკვდილზე მიუთითებდა.

მირანდუხტმა აუხსნა თუთას, რომ ზარდია გულადი იყო, რომ გულადს მოუხდა წარბების დასახიჩრება და სახელის გამოცვლა მერმე, რომ მის მტრებს ცალქალამანიძიანთ არ ემუხანათათ რამე მისთვის.

— ცალქალამანიძიანთო? — იკითხა თუთამ და თან დაუმატა. — ჰო, სწორედ ეგ გვარი დაუსახელა ჩემ მეუღლეს იმ ფხოველმა ჩემი ქალის მოხოვნელის გვარად. წელან იმ ყმაწვილმა, — ბასაზე უჩვენა თუთამ, — რომ დაასახელა, უცბად აზრზე ვერ მოვედი.

ოთახში მყოფ ახალგაზრდათა შორის მხოლოდ არჩილ არმაზელს არ ჰყავდა გულადი ნანახი. რევის კარგად ახსოვდა და ახსოვდა დავით მეფესაც. იმის ჩანგი და სიმღერები გაიხსენეს ბიძაშვილ-მამიდაშვილმა.

მირანდუხტი, გურსი, ბასა და არჩვიაძენი კიდევ ფიქრმა გაიტაცა, ცალქალამანიძიანთ ნასხლეტები წამოზრდილან და სიფრთხილე ჰმართებთ სასანიანთა მოდგმასო. ერთმანეთს აღარავინ გამოლაპარაკებია, სიჩუმე გაუფლდა და სიჩუმის დამრღვევად დავითი გამოვიდა.

— დედავ, დროა ახლა კი მივლაგ-მოვლაგდეთ! — უთხრა მირანდუხტს შვილმა.

ყველამ ღამე მშვიდობისა უსურვა დედოფალს და მხართოთახი მიატოვა. მირანდუხტის სურვილით თუთაც გავიდა დარბაზში მამაკაცთა

ლოგინების მოსაგვარებლად. ეთერი კი მირანდუხტს არ მოშორებია. ელოდა, თუ რას მიბრძანებს დედოფალიო.

დედოფალი კიდევ წარსულის ფიქრებმა გაიტაცეს. მირანდუხტს ის ჯვარპატიოსნობა უტრიალებდა გონების თვალწინ, პირველად რომ გიორგი მეფისწული ეწვია სასანიანთა სახლს. ეთერის ხნისა არ იყო მაშინ იადხმობილი? არა, ეთერზე უმცროსი იყო. მაშინვე იგრძნო ქალმა გიორგი მეფისწულის, გონიერების აუცილებელი ლმობიერება, მაშინვე აღნიშნა მისი რბილი ხასიათი, რომელიც ავიწყებინებდა ქვეყნის მზრუნველად დაბადებულს ქვეყნის სიყვარულს და აქეზებდა თავისი პირადი გრძნობების დაკმაყოფილებაზე. გაჰყვა ქალი გიორგი მეფისწულს ქვეყნის გულისათვის. გამეფდა გიორგი ქვეყნის სავალალოდ. რამდენჯერ გამოამჟღავნა გიორგიმ მეფისწულისათვის შეუფერებელი სიმჩატე! დაასნეულა იადხმობილი ამ სიმჩატესთან ბრძოლამ. შვილი გაზარდა ქალმა, ქვეყნის თვალი. გული აუვსო ქალს შვილის ზღაპრულმა თვისებებმა. ვისგან ჰქონდა ეს სათაყვანო თვისებები დავითს? თქმა არ უნდა, სასანიანთა და არსაკიძეთა გვარისაგან მოსდგამდა. საკმარისია გაიხსენოს ადამიანმა სასანიანთა გვარის გმირები: მირიანი, ვახტანგი, არჩილ, შუშანა და წამსვე მიხვდება, რომ დავითი ამ ფესვთა ძლიერებაა!

მირანდუხტი ამაყობდა შვილით, თითქოს ეს უნდა ყოფილიყო მისი არსების გამკაჟებელი და ხანგრძლივი სიცოცხლის მომასწავებელი და ნამდვილად კი ეს არ იყო. მისი სულის ბრძოლამ თანამეცხედრის სიმჩატესთან დაუუძლურა სხეული და ახლა მამაპაპათა სამუდამო სამკვიდრებელისაკენ მიისწრაფოდა. შვილს უმალავდა მირანდუხტი თავისი სხეულის დაძაბუნებას, დავრდომილებას. დიდი ხანია იადხმობილს სიცოცხლის მომსპობი სენი რამ ღრღნიდა...

— დედოფალო, იქნებ მოისვენო? — დაარღვია ყრუ მომხიბლავი ბგერებით წარმოთქმულმა შეკითხვამ სიჩუმე.

— ჰა, დედისა, შენ ხარ? — იკითხა ჯერ კიდევ ფიქრების ბურანიდან ნახევრადაც არგამორკვეულმა მირანდუხტმა.

— არა, დედოფალო! მე გეკითხები, მე თუთას ასული! — უპასუხა ეთერმა. — ნამგზავრი ხარ და მოქანცული. თუ მიბრძანებ, ლოგინს დაგიმზადებ.

— ოო! როგორ ჰგევხარ ბიძაჩემის მეუღლეს შენი ხმის ბგერებით! — უბნო მირანდუხტმა ეთერს.

— დედოფალო, მოგიმზადებ ლოგინს! — შეჰღაღადა მუდარით მირანდუხტს ეთერმა. — ძალზე მოქანცული ხარ, ძალზე. დიდი და ძნელი გზა გამოგივლია.

— ნამდვილს ამბობ, შვილო, ნამდვილს! — მიმართა მირანდუხტმა ეთერს. — ძნელი გზა მაქვს გამოვლილი, ძნელი, ძნელი გზა ჩემი ცხოვრებისა! ძალზე მოვიქანცე. ეს გზა ჩემი მარტოოდენ ბრძოლისა იყო, თითქოს გაეიმარჯვე და ბოლო კი მელება. არა, ბოლო არ მელება! მე ირჩება შვილი, ქვეყნის მხსნელი! ის განაგრძობს ჩემ არსებობას

— ღმერთო! — წამოიღაღადა ეთერმა და მირანდუხტმა სიტყვა შეწყვიტა, ეთერის ხმას ყური დაუგდო.

— ღმერთო! — გაიმეორა ეთერმა და თან მიადევნა. — რატომ დედაჩემმა არ შენიშნა შენი ასეთი მდგომარეობა! ან კიდევ იმ ახოვან ვაჟკაცთა! გული მედაგვის, შენ რომ გიცქერი! ძალზე შემიყვარდი, დედოფალო. თავს დავდებ შენთვის! მტლად დაგედები! გემუდარები, დედოფალო, მოისვენე.

მირანდუხტი დაჰყვა ეთერის ღაღადს.

— შენა, ეთერ? — ჰკითხა თუთას ასულს მისთვის მოულოდნელი დამშვიდებული კილოთი. — შენ კი არ გინდა ძილი?

ეს შეკითხვა ზრუნვის იერს ჰფენდა ეთერს და ამან უფრო შიში აღუძრა გულში.

— დედოფალო, შენ ვერა ხარ კარგად, — უბნო ეთერმა მირანდუხტს გულის სიღრმიდან ამოყოლილი სითბოთი. — შენ მოისვენე! მე, აი მერხზე მივეგდები. არა მიშავს რა. აგერ, დედაჩემიც დაბრუნდა. ერთმანეთს შევცვლით ხოლმე და ისე მოგივლით.

მირანდუხტმა თვალები დახუჭა მხოლოდ, ძილით კი არ დაუძინია: ეთერის არსებამ შეიპყრო მისი გონება.

„ესეც გამოცალკევებულია სხვა ქალებისაგან, — გაივლო გულში თვალების დახუჭვისთანავე იადხმობილმა. — ნათელია, ეთერში გონება უფლობს ძლიერ გრძნობებზე. ასეთი ახალგაზრდა დედას სჭარბობს სიდარბაისლით. მაგისთანა ადამიანის გზა მუდამ ეკლიანია. თუმცა ამ ხანაში, როცა თურქებს ერეკებიან ჩვენი ქვეყნიდან, ხალხი წელს იმაგრებს, ქვეყანა განმტკიცებისა და სიმკვრივისაკენ მიისწრაფის, გულის შვებაც უნდა ნახოს ასეთმა ადამიანმა. გული, დამორჩილებული გონებას, მაინც

უტოქდება მას და თავისას მოითხოვს: ხშირი აუსრულებლობა მისი მოთხოვნისა მის დასნეულებას ნიშნავს. დასნეულება მისი სხეულის დაძაბუნებას იწვევს, სხეულის დაძაბუნება სხეულის სიკვდილთან პირისპირ დაყენებაა რა იქნება, რომ ეთერი, მცხეთის უბრალო მოქალაქე, ჩემმა ძმისწულმა რევიმ შეიუღლოს?“

ფიქრთა დენა სიზმართა დენად გადაექცა მირანდუხტს. სახეზე ღიმი შეუთამაშდა ძილში წასულ სასანიანის ასულს: შვილს ჰხედავდა, შარავანდედით შემოსილს. მშვიდი ძილი დედოფლისა არ დარღვეულა ცისკრამდე.

მირანდუხტს ეძინა. თუთა და ეთერი ხან წასთვლემდნენ, ხან თვალს ახელდნენ და თავის დედოფალს გადახედავდნენ ხოლმე.

— დედავ, ძალიან ტანჯული სახე აქვს ჩვენ დედოფალს! — უბნო ეთერმა თუთას დედოფლის პირველი წაძინების ხანს.

— ეჰ, შვილო, რაც მაგან გამოიარა, ან როგორ კიდევ მოაღწია აქამდე! — მიადევნა თუთამ თავისი პასუხი.

— დედავ, რატომ აქამდე არ გითქვამს, ჩემთვის, რომ ჩვენ ქვეყანას ასეთი კარგი დედოფალი ჰყოლია? — უსაყვედურა ეთერმა თუთას.

— ეჰ, შვილო, რა მომაცლიდა თხრობისათვის? — წარმოთქვა გულისტკივილით. — ამისმა შვილმა მოგვცა შვება, რომ გამეფდა, თორემ მანამდე სულ ციხე-სიმაგრეებში ვისხედით ყველანი და თურქების შიშით ვკრთებოდით. ოი, ღმერთმა ისე ქნას, რომ ქართველებმა მიწიდან სრულიად აღგავონ ეს ძაღლთა ნასხლეტები, ვენაცვალე, ჩვენი მეფის მარჯვენასა და თავს! გონებაც უჭრის, მერმე ახლა როგორ! და მკლავიც უჭრის.

— ვინაა, დედავ, ის ბუმბერაზი, რევი რევიანს რომ უწოდებს დავით მეფე? — შეეკითხა ეთერი თუთას.

— შვილო, ეგ იადხმობილის ძმისწული უნდა იყოს, სვეტიცხოვლის ჩრდილოეთ ეკვდერში რომ განისვენებს, ბაქარ სასანიანი, იმის ძე. მაგ ყმაწვილის დედა, ჯვარში მონაზვნად აღკვეცილი, ქმრის სიკვდილის უკან თემესტიას ოთახშია დაბინავებული. შვილი რევი იადხმობილს დაუტოვა. იადხმობილმა გაზარდა რევი.

— დედავ, როგორ მინდა, რომ დედოფალმა იცოცხლოს დიდხანს! — წამოიღაღადა ეთერმა, — ღმერთმანი, თავს არ დავზოგავ მაგისთვის...

— ვინ იცის, შვილო, ეგ ზეციერის საქმეა! მისი განჩინებისა! — უპასუხა თუთამ ეთერს. — ვილოცოთ მაგისთვის და — თუთა შეჩერდა. მამლებმა იყივლეს და მხართოთახში მყოფთ დავითი შემოესმაურა.

მირანდუხტს გამოელვიძა.

— რა ამბავია, შვილო? — დაუძახა მირანდუხტმა.

— წასასვლელად ვემზადები, დედავ! მინდა გამოგეთხოვო, დაგალოცვინო ჩემი თავი, — უპასუხა დავითმა.

მირანდუხტმა თვალი გადაპკრა თუთასა და ეთერს. სამოსელი არ გაეხადათ. რა დაინახა ეს, დავითს მხართოთახში შემოსვლის ნება დართო.

დავითს თან შემოჰყვნენ გურსი, რევი რევიანი, არჩილ არმაზელი და მაონი განუყრელნი ძმანი: ფერისიანნი და არჩეიაძენი.

— შვილო, შარავანდედით შემოსილი მესიზმრე! — უბნო მირანდუხტმა დავითს, — შენ გადიდებდა შენი ქეყანა!

დავითმა მირანდუხტისაკენ გადაინაცვლა.

— დედავ, დრო არის, უნდა წავიდეთ, მივდივარ გულდამშვიდებული, რომ ამისთანა ასულს ვხედავ შენ მომელელად, — მეფემ ეთერზე მიუთითა.

მირანდუხტმა შვილი გადაკოცნა.

გზა დაულოცა მტრის სისხლის საღვრელად მიმავალთ.

რაზმმა დააგდო ვაჩეს სასახლე. განთიადი ეწვია მცხეთას. არაგვი უნდა გაეცურათ მებრძოლთ და ფონის მცოდნე მცხეთელი დასჭირდებოდათ. თუთას რჩევით მის სახლს გაუარეს და მისი მეუღლე მათე გაიყოლეს ფონის მიმთითებლად. მათემ არამცთუ ფონი მიუთითა მებრძოლთ, თვითონაც მოიწადინა თურქებთან ბრძოლა და როგორც მცხეთის მიდამოებში არაგვის ფონის მცოდნემ, თვითონ შეაგდო ცხენი პირველად.

არაგვი მშვიდობით გასტოპა რაზმმა, გაიარა მტკვრის მარცხენა ნაპირი და აეჭალა, გლდანის ხევი გადასჭრა, ღრმა ღელე მოიქცია უკან და დიდუბის ასწვრივ ჩრდილოეთით ხევსუვებში ჩასაფრდა.

თხუთმეტი კაცი გამოჰყო დავითმა.

— ვის ერჩის გული, რომ ამ თხუთმეტ კაცს წინ გაუძღვეს? — შეეკითხა მეფე თავის ამალისანებს. უკან დამდგონი ერთიც არ აღმოჩენილა.

— ხომ დიდი საშიშროება მოელის ამ პატარა რაზმს? — დაიწყო ბასამ. — ხომ ხედავთ, გათენდა და ტფილისის მოსახლეთ თვალს რაზმი

ვერ ასცდება. ლოჭინის ხევამდე მისვლა შეუმჩნეველად და იქიდან ნახირის გამორეკა ადვილი არ არის. ძნელია. მჯერა, ამ სიძნელეს ჩვენთაგანი არავინ გაექცევა, მაგრამ, მეფეო, მე გამწირე ამ თხუთმეტ კაცთან. თუ გაქრება ვინმე ამ თხუთმეტ კაცთან, ისევ მე გავქრე. სამაგიეროდ გადარჩებიან სასანიანთა ნატამლები, ჩემი ძმა დაჩი და არჩვიაძენი.

ბასა გრძნობდა რაღაც უბედურებას და ამ უბედურების ასაცილებლად თავის თავს სდებდა სამსხვერპლოზე.

— არა! — წარმოთქვა არჩილ არმაზელმა საერთო დუმილის მოყვარულმა და იშვიათად ხმის ამომღებმა. — ეგ არ შეიძლება, მეფეო, არ სწორი ლაპარაკია... უფრო სწორი იქნება, რომ ჩვენ საქმეში ხელი ჩაჰრიოს განგებამ. კენჭი გვიყარე.

გურსი შეკრთა შვილის გადაჭრილ მოთხოვნაზე.

— არ გვინდა კენჭი, მეფეო! — წამოილაპარაკა არმაზელ-სასანიანმა. — მე დამაკისრე თხუთმეტი კაცის ხელმძღვანელობა. მე მეკობრეებთან ბრძოლაში ვარ გაწაფული და ბევრჯერ თვალი ამიხვევია მტრისათვის. მჯერა რომ ბასა, არჩვიაძენიც მეტოქეობას გამიწევენ სხვადასხვა ფანდებში, მაგრამ ჩემი ხანი გარდასულია, ამქვეყნიური ალარა მინდა რა და თავი ჩემი არცა ჩემთვისა და არცა სხვისთვის დასანანი არ არის, როგორც სხვა მსურველთა მაგ თხუთმეტი კაცის წინამძღოლობისა.

— კენჭი გაგვაშველებს, დავით მეფეო! — თქვა ამირანმა არჩვიაძემ.

— დიახ კენჭი! — დაუმოწმა თვალისმა ძმას.

— კენჭი, კენჭი! — წამოიძახა დაჩი ფერისიანმა, იგრძნო, რომ ონავრობის არგადამგდები ძმა ძალიან უყვარდა.

— რა გაეწყობა, გვიყარე კენჭი, — უბნო დავითს რევი რევიანმა. — კენჭი იყოს? იყოს კენჭი! — თქვა დავითმა და თვითონაც მოიწადინა სხვებთან ერთად კენჭი ეყარა.

რევი რევიანს ჰსურდა ამხედრება საკითხის ასე გადაჭრაზე და მეფის ბრძანებამ ნება არ მისცა.

კენჭი იყარეს და არჩილს შეხვდა. გურსი დაღონდა.

— შვილო, მე წავალ შენ ნაცვლად! — შეჰმუდარა მამამ არჩილს.

— მე გამიშვი, პატრონის შვილო! — მიმართა ბასამ არჩილს, — და მამაშენს გულს ნუ უღელვებ.

რევიც ამოქმედდა არჩილის დასაკავებლად.

მაგრამ არჩილმა ხმა აიმაღლა.

– განგების განჩინებას ნუ ელობებით! – თქვა მტკიცედ ჭაბუკმა და თხუთმეტკაციან რაზმს უბრძანა გზას გასდგომოდა.

– შვილო, არჩილ! – მიმართა მუდარის კილოთი გურსიმ ჭაბუკს.

– მე სასანიანთა ნატამალი ვარ ხომ მამაჩემო! და არც არმაზელნი იხევდნენ უკან. შენგან ვიცი. არჩილ არმაზელ-სასანიანი განგების განჩინებას არ ელობება! აბა, გამარჯვება!

ჭაბუკი არჩილი გამოეთხოვა მამას, რევის, ფერისიანებს, არჩვიაძეთ, მეფეს ხელზე ემთხვია და გზას გამდგარ რაზმს წამოეწია.

დავით მეფე კიდევ გამოეყო თავისთან დარჩენილებს ხმლის ამარა და სადღაც ხევში მიიმალა წიგნის საკითხავად, გასტუმრებული პატარა რაზმისაგან ცნობის მიღების მოლოდინში.

არჩილმა და მისმა რაზმმა კი მალე ელიას მთას ზურგი გადუსერა, ისნის ასწვრივ ჩრდილოეთის ადგილები შეუმჩნეველად გადალახა, ლოჭინის სანახებს მოექცა და აქ ჩასაფრდა. ლოდინი უწყეს განძის გზით მომავალი ქარავნის გამოჩენას. მეფეს ჰქონდა ეს ცნობა მიღებული. ცნობა გამართლდა: გამოჩნდა ტფილისს მომავალი ქარავანი. ქარავანს მრავალი შეიარაღებული თურქი მოსდევდა. ქარავნის გამომცილებელი თურქების გასაღიზიანებლად თხუთმეტმა კაცმა არჩილის წინამძღოლობით გამორეკა ლოჭინის ხევის სანახებში მძოვარი ნახირი და მოაშურა მეფისა და მისი რაზმის ადგილსამყოფელისაკენ. ხერხმა თავისი გასჭრა. ქარავნის მცველ თურქთა რაზმის რამდენიმე ასეული გამოეკიდა დიდუბის მიმართულებით გამორეკილ ნახირს, გამრეკთა დასასჯელად და ნახირის უკან დასაბრუნებლად. თურქნი ნახირს წამოეწივნენ, დიდუბის სანახებში გამრეკთ გარს შემოერტყნენ. ატყდა დიდი ბრძოლა. თურქნი ცდილობდნენ გამრეკთა ხელში ჩაგდებას. საშიშ მდგომარეობაში ჩავარდა დავითის ერთი მუჭა ხალხი: კაცის გაგზავნა ვერ მოახერხა დავითთან და ებრძოდა უამრავ თურქს თავის ამარა. იბრძოდა გამეტებით, არ ნებდებოდა. ყველას სიკვდილი ერჩივნა ტყვეობას. ძლიერი ზათქი ედებოდა არე-მარეს და შორს გაისმოდა.

მოპირდაპირეთ ცხენები ამოუხოცეს არჩილსა და მის თხუთმეტ კაცს და დაქვეითებულებზე მიიტანეს იერიში. დაქვეითებულნი ცოცხალი არ ნებდებოდნენ მტერს.

ბრძოლის ველიდან შორს წასული ზათქი ყრუდ შეესმა ხევის რომელიღაც ყრუ ადგილში მოქცეულს და წიგნის კითხვაში გართულ დავით მეფეს. უფრო ადრე შეესმათ იგი გურსის, ფერისიანებს და არჩვიაძეთ, მცხეთელ მათეს, რევი რევიანსა და დავითის სამასეულს. წამოიშალნენ ყველანი. წამოიშალა სამასეულიც. რევი რევიანი წამს მეფის მოსანახად გაემართა. ყველანი იმ ზათქსა და ყიჟინს მიჰყვნენ ასწრაფებულნი. დავითიც აღარ გაჩერებულა მყუდრო ადგილს. შეუაბჯრავი, ხმლის ამარა გაემართა, გზად რევი რევიანი შემოეყარა. ბაქარის ძემ ველარ მოასწრო ამბის თქმა, მეფემ დაასწრო სასანიანს:

— რა ამბავია, ბიძაშვილო?

— შეიმოსე აბჯრით, მეფეო! — უბნო პასუხად რევი რევიანმა. — შეიაბჯრე, მეფეო, შეიაბჯრე. აქ ყრუდ მონადენი ხმა იქ საფარში, ბრძოლის მკაფიო ზათქად მოგვესმა.

— ბრძოლის ზათქად! — წამოიძახა მეფემ და ცხენი მონადენი ხმის გეზით გააქანა. რევი რევიანიც არ ჩამორჩა მამიდაშვილს.

რა დაინახა გურსმა, თურქნი ირგვლივ შემოჯაჭვოდნენ ქვეითად მებრძოლ თხუთმეტ კაცს და მათ წინამძღოლ არჩილ არმაზელს, გრიგალისებურად მიმართა ცხენი, ჯაჭვი გაწყვიტა და, შეიჭრა შუაგულში. გურსის უკან მიჰყვნენ ფერისიანნი, არჩვიაძენი, მათე მცხეთელი. არჩილი სისხლით იცლებოდა. მოიჭრა მალე დავით მეფის სამასეულიც. ბრძოლა გართულდა. ბრძოლაში ჩაბმული თურქთა სპათა წამოეშველნენ სხვა თურქნი სპანიც. თურქნი სჭარბობდნენ ქართველ მებრძოლთა და მაინც ბრძოლა ეძნელებოდათ. გურსი ძირს დაგდებულ არჩილს გამწარებული დასტრიალებდა და თურქთა სპათ შორის სიკვდილს აუფლებდა. გურსისთან ერთად მუსრს ავლებდნენ მტერს სხვებიც. ბრძოლას ბოლო არ ელებოდა. ბრძოლის ბედი დავითისა და რევის მოსვლამ გადაწყვიტა. მეფე ხმლის ამარა ვითა არწივი შთაბრიალდა თურქთა რიგებში. რევი რევიანი პაპას და მამას მოაგონებდა კაცს კისკასობით. მეფე ყველგან ღვთისრისხვად ელინებოდა მტერთა გუნდებს. თურქების სპათა პირი იბრუნეს და ტფილისის ციხემაგრეს მიაშურეს. ქართველნი უკან მოსდევდნენ გაქცეულთ და მუსრს ავლებდნენ. უკან ჩამორჩა ქართველ მებრძოლთ მხოლოდ გურსი. მძიმედდაჭრილ შვილს ველარ მოშორდა. მასთან დარჩნენ არჩილთან ერთად გამგზავრებულნი.

თურქებს დალეწებულთ ქართველთ განძითაგან მონადენი ქარავანიც ხელთ იგდეს. თურქთა სპის მცირე რიცხვი შეიჭრა ქალაქ ტფილისს და მის სიმაგრეებში თავი იფარა. ქართველნი დიდი ნადაელით გამოემართნენ შინისაკენ. მძიმედ დაჭრილი შვილს არჩილ არმაზელი საკაცით წამოიღეს.

საღამოს ჟამს ეწვიენენ მცხეთას გამარჯვებულნი. მირანდუხტმა არჩილს ნაკოდთა სინჯვა დაუწყო და თავი უმეტოდ გააქნ-გამოაქნია. ნაკოდნი მაინც მოჰბანა ბიძაშვილს. დედოფალს ხელს უწყობდნენ ჯვარიდან გამოსული ყელთაშუა, თუთა და ეთერი.

დაღვრემილი გურსი ხან შვილს დასცქეროდა უიმედოდ, — ჩახედული იყო მკურნალობაში, ხან მუდარის თვალს ავლებდა ძმისწულს მირანდუხტს. არჩილი გონდაკარგული ესვენა სარეცელზე. არჩილის მაცქერალთ, რევი რევიანს, ფერისიანთ და არ ჩვიაძეთ კრიჭა შეჰკროდათ. თუთას მეუღლე მათე მცხეთელი სვეტიცხოველის გალავანს სწვეოდა და ბრძოლის ამბავს გადასცემდა ღამის სათევად მოსულ მღოცავთ.

— ეე, ღმერთო! რა ყოფილა ეს ჩვენი დავით მეფე! — უბნო პირველ შემხვედრ ნაცნობ მლოცავს მათემ. — ‘ბჯარა’ არ ეცვა, არც ფარი ეჭირა. აი ასე, მარტო ხმლის ამარა იბრძოდა და კატებივით ჰფანტავდა გუნდებს. მაგრამ არც ის ბუმბერაზი აკლებდა ხელს. კაცო, ერთი რევი რევიანია, რაკი მეფეს აბჯარი არ ემოსა, ის უწევდა აბჯრობას. ერთმა უშველებელმა თურქმა ზურგიდან მიიტანა მეფეზე იერიში. მაგრამ რევი რევიანმა დედა უტირა იმ თურქს. კაცო, ერთი თვალის დახამხამებაზე კისერში დასტაცა ხელი და ჯერ ფეხები ჰაერში აათამაშებინა, მერმე თავი ქვაზე მიუხალა და სული გააყრევინა. რალა რევი რევიანი, მისი პაპის ძმაო, მამცნეს. გურსი, ფერისიანი, არჩვიაძენი, ნამდვილი ზღაპრული გმირები არიან, რა ბიჭი დაგვიჭრეს ახლა, რა ბიჭი, იმ ძაღლის ნასხლეტთ! ვინ იცის, გადარჩება თუ არა!... ნახირის გამოსარეკად ლოჭინის ხევის სანახებიდან თხუთმეტი კაცი გამოჰყო მეფემ და ამ თხუთმეტი კაცის წინამძღოლობა იმას ერგო, არჩილ არმაზელს. გამოედევნენ ერთი ხუთასნი თურქნი მაინც ნახირის ამ გამომრეკელთ. ან როგორ შეაკავეს ამოდენა თურქობა? მართლა რომ დეეგმირები ჰყავს ამ ჩვენ დავითს მეფეს. ამ უსწორო ბრძოლაში დაიჭრა არჩილი. იცი, როგორ იბრძოდა თურმე! მაგრამ მაინც თექვსმეტი კაცი რას გააწყობდა იმოდენა თურქებთან. კიდევ კარგ დროს მოვუსწარით.

მათე ლაპარაკობდა და მის გარშემო თავს იყრიდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან სვეტიცხოველში ღამისსათევად მოსული ხალხი, აგერ ტაძრიდან გამოვიდა ჭაღარა მამაკაცი, წარმოსადეგი, ნაბადმოგდებული. უკან გამოჰყვა ქალი ტანადი. მსუბუქად, მაგრამ მტკიცედ მოადგამდა ფეხს. შკელის იერი დასცემდა მის ტანის რხევას. ცხრა ნაწნავი გიშრისა კოჭებამდე წვდებოდა.

— რა ამბავია, ნეტავი, მამავ, აი იმ ხალხს რომ თავი მოუყრია, — შეეკითხა ქალი ფხოურ კილოთი ნაბდიანს.

— მივიდეთ, შვილო, და გავიგოთ! — უპასუხა მამადხმობილმა ქალს. — ჩვენი ქვეყნის ახალ ამბავს თუ რამეს ამბობენ. ჩვენი ქვეყნის ჟამთა უკუღმართობით გაწამებულთ, შვილთა გულისყურს სხვა რაღა უნდა იპყრობდეს?

ჰამა და მისი ასული გროვას შეუერთდა. მათე დიდუბის სანახებში მომხდარის ბრძოლის თხრობას განაგრძობდა. ხშირად ბევრ რამეს იმეორებდა, ხშირად სხვა ახალს უმატებდა ბრძოლის ამბავს.

— ძიავ, მორჩება ის ახალგაზრდა დაჭრილი? — შეეკითხა მათეს ერთი ახალგაზრდა ქალი მცხეთელი.

— რა ძალიან ეკითხები? — წაედავა ქალსა ახალგაზრდა ვაჟი. — სულ ერთია, გინდ მორჩეს, შენ ის არ წაგიყვანს ცოლად! ის დიდგვარიანია! ბედმა შენი თავი მე მარგუნა.

— მეხი-მედგარი კი დაეცა შენ ბედსა და შენც მასთან ერთად! უბედურო! — შეუტია ქალმა ვაჟს. — რა დროს ხუმრობაა! ვერ ხედავ, შე თვალებდასაბრმავებელო, რომ ჩვენ ქვეყანას, შეიძლება ერთი საუკეთესო ძალა მოაკლდეს! სისულელეს რა გაროშვინებ?

— მართალს გეუბნება, პეტრე, ის ქალი, მე და ჩემმა ღმერთმა! — უბნო ხუმრობის გუნებაზე მყოფს ამხანაგმა და ამბის მთხრობელს მიმართა — მათე, მართლა, იმ ვაჟის მორჩენის იმედი აღარ არის?

— აბა, რა გითხრა? ძალიან მძიმედ არის დაჭრილი. ბედია. კენჭი რომ ერგო თხუთმეტი კაცის წინამძღოლობისა ახალგაზრდას და მამა და სხვები ემუდარებოდნენ, მის ნაცვლად წასვლას, ლამობდნენ განგების განჩინებას ნუ ეღობებითო, გადმოებნა ასეთი სიტყვები, ბაგეთაგან მტკიცედ ნათქვამი, — უპასუხა მათემ შემკითხველს. — მკურნალი კი თავს კარგი ადგას. მირანდუხტ დედოფალი.

მირანდუხტის გაგონებაზე სვეტიცხოველიდან თავის ქალთან ერთად ახლახან გამოსული ნაბდიანი სმენად გადაიქცა, მათეს ნაამბობიდან ბევრი ნაცნობი სახელი შეესმა მის ყურს. მოხუცი ქალითურთ ახლახან სწვეოდა მცხეთას დღეობისათვის. შემოვიდა თუ არა გალავანში, დაუყონებლივ საყდარს ეწვია მწუხრის ლოცვის მოსასმენად. მოხუცს ჯერ არ ჰქონდა გაგებული, რომ ვაჩეს სასახლეში მის სათაყვანებელ ხალხს მოეყარათ თავი.

— მაშ მირანდუხტი აქა ბრძანდება? — ჰკითხა მოხუცმა მათეს.

— მირანდუხტიც აქა ბრძანდება და მისი შვილიც, ჩვენი სულისჩამდგმელი დავით მეფეც. კიდევ გურსი, ბიძა მირანდუხტისა, რევი რევიანი, ფერისიანნი და არჩვიაძენი, — უპასუხა მათემ და თვალი ხანგრძლივ შეაჩერა ნაბდიან მოხუცზე. — შენ ყოფილხარ, ჩემო შემთხვევითო მოკეთევ? შენ არ გაგეფრთხილებინე, შეიძლება, იმ მეკობრეთა ჩამომავლისათვის უარიც არ მეთქვა ჩემი ქალის მითხოვებაზე.

ყველამ მიხედა მოხუც ნაბდიანს, თვალი შეაჩერა მის სახეზე და ახლადამოცურებულ მთვარის შუქზე დატეხილი წარბები დაუნახა. იღლიის ქვეშ ჩანგიც დაუნახეს.

მოხუცმა აღარ მოიცადა თავმოყრილ ხალხთან. ქალს ხელის მტკიცედ გაქნევით ანიშნა, წავიდეთო, და გალავნის კარს მიმართა. მალე ვაჩეს სასახლის გალავნის კარსაც რახუნი აუტეხა და გალავნის შიგნიდან შეკითხვაც გაიგონა:

— ვინ არის, ასე უდროო დროს რომ მოსდგომია გალავნის კარს?

— გულადი! — უპასუხა მოკლედ შეკითხვაზე.

კარის ურდული ახმაურდა და კარმა გზა მისცა გულადს და მის ასულს: მეკარედ მდგომმა მირანდუხტის ნამკურნალევმა ნამეკობრალმა წამს იცნო გულადი. აგერ გალავნის ეზოში თავმოყრილ რაზმს სწრაფად მოსცილდა ერთი ვაჟკაცი, გულადისაკენ გამოექანა. ბასას მახვილმა თვალმა უმალვე იცნო გულადი.

— აი ფერისიანი ვინ არის! — თქვა გულადმა.

ბასა გადაეხვია გულადს, მერმე მის ქალს მიაცქერდა.

— ჩემი შვილია, ბიჭო! — ამცნო გულადმა ფერისის ნატამალს. — თვალშავას უხმობენ ფხოვში.

— აი, შვილო, თვალშა! — მიმართა გულადმა ასულს. — ესაა ბასა, ონავარი.

ბასამ სალამი მისცა გულადის ასულს.

— დაჭრილი როგორ არის? — ჰკითხა გულადმა ბასას. — არჩილ არმაზელი?

ბასას ყელში რაღაც მოებჯინა და გაუძნელდა სიტყვის თქმა.

— რა იყო, ბიჭო? რა დაგემართა? — ჰკითხა გულადმა ფერისცვალს.

ბასა აქვითინდა და გულადი მიხვდა, რომ დაჭრილი გათავებულიყო. ბასას უყვარდა არჩილი: ბევრჯერ უტარებია ბაკშვი ხელითა და ზურგით, გაუროვია. აგრეთვე უყვარდა, როგორც რეკი, თავისი საკვარელი ბაქარის ძე, და ვინც ხვდებოდა მახლობელი და ნაცნობი ცრემლები ყელში ებჯინებოდა და გულადის დანახვაზედაც ასევე დაემართა.

ბასამ აცნობა მირანდუხტს, გულადი მოვიდა და თავის ასული მოიყვანაო. გულადი ასულითურთ დარბაზში შეიწვიეს. აქ ესვენა მიცვალებული. თვალს დასცეროდა გაქვავებული გურსი, ბიძას გვერდში მოსდგომოდა მირანდუხტ დედოფალი, იადხმობილი. დედოფალს — ძმისწული რევი, რევის — ველთამზე, მონაზვნად აღკვეცილი. ცალ მხარეს მიცვალებულს თავთან დავით მეფე იდგა და სმამაღლა ფსალმუნებს უკითხავდა. გულადი წყნარი ნაბიჯით მიუახლოვდა მიცვალებულს. უკან ქალი, მიჰყვა და, მიცვალებულთან მისული, მამას გვერდით გაუჩერდა. ქალი, თვალებგაფართოებული, ჯერ მიცვალებულს და მის დევურ აგებულებას დააცქერდა და მერმე დავითისაკენ მიტრიალდა, დააცქერდა დავითს, გურსის, რევის და უსაზღვრო გაოცებას მიეცა.

— დევების ბინა ყოფილა, მამავ, აქა! — წამოიძახა თვალშავამ მიამიტად. — ჯიშიანი ხალხია სულა!

გულადი შეკრთა. ვაითუ გაჯავრდეს ვინმეო.

თვალშამ მირანდუხტს მიაპყრო თვალი.

— ეს ხომ იადხმობილია, მამავ! — დასძინა თავის წინა ნათქვამს გულადის ასულმა. — შენ რომ მიამბობდი ხოლმე, მამავ, ის იადხმობილი.

დავითმა ფსალმუნის კითხვა შეწყვიტა, ცნობისმოყვარეობით გადახედა ფხოვლის ქალს და გულში აღნიშნა მისი აღნაგობის სიძლიერე, გულუხვნჯობა. გულადმა დადინჯებით გადახედა თვალშას და უბნო:

— იადხმობილია, შვილო, იადხმობილი!

დავითმა ქალისაგან თვალი მამაზე გადაასაცილა და მისმა დატეხილმა წარბებმა ამცნო მისი გულადობა. გულადმა კი განაგრძო მვილის პასუხად:

— ის იადხმობილია, თვალშავ, პირობა რომ აუსრულა თავის ქვეყანას და მისცა მწვერვალი მთათა, — მოხუცმა მუხლი მოუყარა დავითს და მოისურვა მის ფერხთა მოხვევა.

დაყითმა იღლიებში ხელები მოჰკიდა მოხუცს, წელი აახრევინა, თავი მაღლა ააღებინა და დატეხილი წარბები გადუკოცნა დაჩოქილს. მეფემ ფეხზე წამოაყენა მოხუცი.

გულადი ცრემლითა დენით მეფეს ხელებზე ეამბორა, და ალაპარაკდა.

— მეფეო, მთელი ქვეყანა შენზე ლოცულობს! მთელი ქვეყანა ხელ-ფეხზე გეამბორება ჩემი პირით! — გულადი მიცვალებულის მამას მიუტრიალდა, — გურს, ჰა, გურს! ცოდვაა ასეთი ვაჟკაცი, წუთისოფელს რომ ესალმება უშარავანდედოდ, ტყუილ-უბრალოდ. დიადია ასეთი ვაჟკაცი! — გულადმა მიცვალებულს ხელი შეახო, — ვაჟკაცი გმირი! ზეიმი უნდა ასეთ ვაჟკაცს, თავის ქვეყანას რომ ემსხვერპლება. მეც მყავდნენ შვილნი, ვაჟკაცნი გმირნი. ღმერთო, შენ იცი დამეხოცნენ მტერთან ბრძოლაში! ეს-ღაა ჩემი ვაჟკაცი. — გულადმა თვალშაზე მიუთითა: — ვინ იცის! ეს კი შეგერჩება მოხუცთ, მე და ჩემს მეუღლეს? მე მითხრეს, იქ, სვეტიცხოველის არემარეზე, არჩილმა გვიბნოო, განგების განჩინებას ნუ ეღობებითო. ხალხნო, მართალია! ეს განგების განჩინებაა. მძიმე განჩინებაა წუთისოფელს გამოსალმება. მაგრამ განგებამ განაჩინა ქვეყნის სამსხვერპლოზე ამ ვაჟკაცის სისხლის დაღვრა, და დაიღვარა. ჩვენ კიდევ ცრემლი დავაყარეთ, მეტ რას მოვიმოქმედებთ. განგების განჩინებას ნუ ეღობებით

გულადმა მირანდუხტისაკენ გადინაცვლა, მირანდუხტს მუხლი მოუყარა, კალთანი დაუკოცნა.

— იადხმობილო, დედოფალო! — მიმართა ფხოველმა მირანდუხტს, — შენმა ბიძაშვილმა ყველას დაგვასვა გულს ლახვარი, რომ ბიძას რევყოფილს და ბაქარს ბიძაშვილს იქ სულეთს ახაროს იადხმობილმა აღგვიზარდა ქვეყნის სულისჩამდგმელიო. იადხმობილო, შევუნდოთ არჩილს ამისათვის ჩვენი გულის დაკოდვა. შეუნდე, რეკი, შენს ნათესავს, შეუნდეც შენ, ველთამზეო, ჭაბუკს არჩილს უნებლიეთ დანაშაული: განგების განჩინებას წინ ვერ აღუდგა არჩილ ჭაბუკი. თქვენ იცოცხლეთ მეფეო ჩვენო, დედისა და ქვეყნის ბრწყინვალებავ! იადხმობილო, გურსო — მამაო არჩილისავ, ველთამზეე, რევო, ჭაბუკ არჩილის მოსაგონებლად!

გულადმა მირანდუხტს თვალები მიაპყრო — ამით ამცნო დედოფალს აბა, მისმინე შენ მგოსანსო, და ჩანგი აიღერა. გადმოიბრა გლოვის ზარის ჰანგები. მგოსანმა მიცვალებულზე მოთქმა იწყო:

განჩინებას ნუ ეღობებით, ხალხნო!
მივდივარ მე სულეთს და მიმაქვს ამბავი, ხალხნო!
მიმაქვს მე არმაზელს, არჩილ სასანიანს, ხალხნო!
მოვუთხრობ ბიძაშვილს და ბიძას რევყოფილს. ხალხნო!
შუქი რომ მოჰფინა წამებულ ქვეყანას, ხალხნო!
ძემ მირანდუხტისამან, დავით მეფემ, ხალხნო!
დავით მეფემან, ბოროტთა მთრგუნველმა

გულადს მოულოდნელად ხმა მიუდუმდა და, „ხალხნო“ აღარ უთქვამს, ელდანაკრავის ფერმა სახე მოუცვა, ჩანგზე მარბენალი ხელი ძალზე აუცახცახდა, ჩანგმა დაიჟღრიალა გულსაკლავად — მგოსანმა თავისდა უნებლიეთ ძალი გაწყვიტა: დაინახა, რომ მის სათაყვანებელ იადხმობილს მუხლნი ჩაეკეცნენ.

გურსიმ და ველთამზემ ხელი მიაშველეს დედოფალს. დავითმა დედა მკლავზე გადაიწვინა... გაფითრებული მეფე ჩასცქეროდა მშობელს თვალებში.

— დედავ, ჭირიმე! — ჩასძახა გამწარებულმა დავითმა მირანდუხტს.

— არა, შვილო! ჭირი ისევ მე. შენ უნდა განაგრძო შენი საქმენი! — გაიგონა დავითმა დედის პირიდან წყნარი ხმით ამონადენი სიტყვები, — განგების განჩინებას ნუ ეღობები!

დავითმა დედა სარეცელისკენ გააქანა.

— შვილო, ნუ დამაწვენ! დეე შენ მკლავზე დავლიო სული! მიმიკარ გულზე, რომ სანამ ცოცხალი ვარ, ვგრძნობდე შენ სითბოს!

— იადხმობილი ვერაა კარგად-მეთქი, ხომ ვთქვი გუშინვე, დედაჩემო! — გაისმა დარბაზის სვეტებთან სიტყვები და ზედ ქვითინი მოყოლებული. ეს ეთერმა უთხრა თავის დედას და თვალთაგან ცრემლი გადმოაბნია.

დიდხანს არ მოუხდა დავით მეფეს დედის გაჩერება თავის მკლავებზე. სულ მალე განუტევა სული იადხმობილმა. დავითმა დაასვენა იგი სარეცელზე და უბრძანა ძმათ ფერისიანთ და არჩვიაძეთ, რომ სარეცელით

არჩილის გვერდით გადმოესვენათ. ბრძანება შესრულდა.

დავითი ემთხვია დედას ხელებზე და, ორ მიცვალებულს თავთ აღმართული, დავითის ფსალმუნთა კითხვას შეუდგა. მალე შეჩერდა. გაისმა ჩახანი. ეს გულადმა გადატეხა ჩანგი. ფხოველი მეფეს მიუახლოვდა.

— იცოცხლე, მეფეო, იცოცხლე! — უთხრა მუხლთმოყრით გულადმა დავითს და ორად გადატეხილი ჩანგი დაანახვა. — ასე გადატყდეს შენი მტერი, მტერი ქვეყნისა. — გულადი მუხლებზე ეამბორა გაოცებულ მეჯეს და ზეზე წამოდგა. — მეფეო, იადხმობილი აღარ არის და აღარც მე მინდა, მის ყმადნაფიცს, რომ ვიარსებო, — მოახსენა მტკიცედ მგოსანმა მბრძანებელს. — ჩემი ჩანგი იადხმობილს უყღერდა მხოლოდ ხუთჯერ ცხრა წელზე მეტი ხანი. აღარ არსებობს იადხმობილი, ჩანგიც გაქრა. მე უნდა გავქრე...

მეფეს მწარე ოხვრა ამოხდა პირით. ერთგული სული სცილდებოდა.

თვალშამ მეფესა და გულადისაკენ გადმოინაცვლა, დარბაზის სიღრმიდან ბასაც მოვიდა გულადის უცნაურ განცხადებაზე. ფხოველი მგოსანი ხომ მუდამ საყვარელ კაცად ჰყავდა ფერისის უმცროს ნატამალს.

— რად უნდა გაქრე, რად, გულად! — წამოიძახა ბასამ. — გვეყო, ვინც გაქრა და გულში ლახვარი გაგვიბნია. გვაკმაროს განგებამ ამდენი მწუხარება!

— მამავ, არ გიშვებ! — წამოიძახა გამწარებულმა თვალშამ, რომელმაც იგრძნო, რომ თავის ნათქვამს მამა ნამდვილად აასრულებდა. — დედას რა ვუბნო, დედას! დედაჩემს!

— განგების განჩინებას ნუ ეღობები, შვილო! ეს ცოდვა არის! — შეუძახა გულადმა ასულს წყნარად და ბასასკენ პირი იბრუნა. — ეი, ვერხვის ჭინკავ, შენ უპატრონე ჩემს ასულს. არ გიღალატებს. უპატრონე ჩემ მეუღლესაც, ჩემ ბებერს. — მერმე ასულს მიმართა: — თვალშავ, მისდიე მხარდამხარ ამ ვაჟკაცს.

გულადი მიცვალებულთ ეამბორა, დარბაზში მყოფთ გამოეთხოვა და დარბაზი მიატოვა.

არავინ გამოსდევნებია ფხოველს. განგების განჩინებამ გათანგა ყველანი სამარისებული დუმილი უფლობდა დარბაზში.

— მეფეო, სად ასაფლავებ ბიძაშვილებს? — დაარღვია დუმილი გურსიმ, მამამ და ბიძამ.

დავითმა წამს იფიქრა, რომ დედის ბიძაც გულის მლახვრელ ნაბიჯს სდგამდა: გურსი მიუხვდა მეფეს და აჩქარებით ალაპარაკდა.

— მე მხოლოდ მწადიან ჩემ ძმას მივებაძო და მინდა ვიცოდე, სად ექნება ამ ორ ჩემიანს სამუდამო სამკვიდრებელი, რომ მეც გვერდს ვყავდე და მოვუარო. წყალობა იქნება შენგან ჩემთვის, თუ მცხეთის სანახებს არ გააცილებ.

მეუფემ აღუთქვა ეს წყალობა დედის ბიძას. დიდ პატივს სცემდა დავითი გურსის. მისი ცოდნა მრავალმხრივი გამოცდილებით შეძენილი, მისი ცოდნა, სიბრძნე და მწიგნობრობა მეფისთვის გონების დიდ საუნჯეს წარმოადგენდა. როგორც მეფემ დაინახა, გურსის ჩოხანის ჩაცმა სწადდა, ბერად შედგომა და ბერადშემდგარს ორი მიცვალებულის სამკვიდრებლის მოვლა-პატრონობა. მეფემ იქითურ სამყაროში გადასახლების მოწადინე დედის ბიძას ასეთი სავანეც მოუნახა, საცა მიცვალებულებსაც მიაბარებდა მიწას. სვეტიცხოვლობის მეორე დღეს მირანდუხტი და არჩილ არმაზელი დაასაფლავეს შიომღვიმეში ადგილსა ყოვლად მშვენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულოსა, და გურსიც ბერად აღიკვეცა ამ სავანეში არსენის სახელით.

გმირთა მეორე სამეული

დავით მეფე ქართლს თითქმის აღარ სცილდება, გადავა მოკლე ხნით აფხაზეთში და ისევ უბრუნდება დედისა და თვისი პაპის ბაგრატის საყვარელ მხარეს. ათ წელს გაუვლია, რაც დედა გამოაცალა ხელიდან ულმობელმა სიკვდილმა მეფეს, რომლის შიშით ახლა ყველა ძრწის, და მაინც სევდა აქვს გულსმოდებული: უდედობის გრძნობა გულ'ში არ უქრება. არავისთვის კი არ გაუნდვია ეს ამბავი. მოსდგამს სასანიანთა გულდახურულობა რევყოფილი პაპისა, დედის ძმის ბაქარისა და დედისაც. მეფეს არც თავის ხნის არჩილ არმაზელი ავიწყდებოდა. ოცი წლის ჭაბუკი, დარბაისელი, ბრძნული სიტყვის მქონე. რა დაავიწყებს მის თქმულს: „განგების განჩინებას ნუ ელობებითო.“ დავითი ვერ ისვენებს, რომ საყვარელი მისი დედა და საყვარელი მისი ტოლი არჩილ შიოს სავანეში განისვენებენ. მართალია „ადგილსა ყოვლად შვენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულოსა“, მაგრამ — ციე სამარეში. ვერ მოუხერხდა აქამდის მეფეს ისე, რომ ჭერს შეჰფაროდნენ ორთა მახლობელთა ადამიანთა სამარენი. ქვეყნის საქმე არ ელეოდა. მტერი გარეული და შინაური არ ისვენებდა და ითხოვდა, თუმცა თავისდა სავალალოდ, დავითთან ბრძოლას. ჯერ იყო და, ლიპარიტ ამირა, იოვანეს ძე, ბუზანკალობდა, არ იშლიდა თავის „მამა-პაპათა კვალზე სვლას“; „დაადგა ყოველსა გზასა არა კეთილსა“. დავითმა ჯერ გამოამწყვდია ეს ბუზანკალი, იქნებ ბუზანკალობა მოიშალოსო. ბუზანკალმა არ მოიშალა ბუზანკალობა ამ გამომწყვდევით. რომ არ იქნა და არ იქნა, ვერ გამოსწორდა ბუზანკალი, საბერძნეთს გაისტუმრა და იქ „განეყო ცხოვრებასა“. აქ დარჩა ლიპარიტს ძე, რატი, „კაცი ორგული“, მამის ნატეხი, მოუსვენართა ბაღუიავშთა სახლის ნასხლეტი. მაგრამ განგების განჩინება სწყალობდა დავითს: ციხე ჩაუგდო ხელში ზედაზენი ამ განჩინებამ ქორონიკონსა ტკგ-ს და რატიც აშორა თავით და სულეთისაკენ გაამგზავრა. დავითმა შვება იგრძნო: სხვა ბევრი მეკობრეც გაუყენა რატის გზას, დარჩენილთ ქედი მოახრევნა. კეთილმა ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქა, მაღლა აიღო თავი, მოხრილი ქედი გაისწორა და დავითს მტკიცედ მხარი მისცა. დავით მეფეს არ შორდებოდნენ დედის მხრისანიც: მხარს უმაგრებდნენ გამუდმებით. დავითს თან ახლდა განუყრელად დედის ძმისწული რევი

რევიანი. რჩეცას აძლევდა გურსი, ჩოხანით შემოსილი, შიო მღვიმელის სავანეში დამკვიდრებული, არსენად სახელწოდებული. თან ახლდნენ მუდამ დავითს კიდევ თავისგნით დიდებულად აღსარებულნი ფერისიანნი, არჩვიაძენი, ხანშიშესულნი, გამობრძმედილნი. ბასას თან სდევდა თვის მეუღლე თვალშა, გულადის ნატამალი, გულადური. რევი რევიანს ჰყავდა მეუღლე, ეთერ ქალი, ნატამალი მათე მცხეთელისა და თუთასი, სხეულის ნაკვთებში მირანდუხტივით ქალური სინაზის გამომცემი და მირანდუხტივითვე სულით ძლიერი და გრძნეული. ელთამზემ შვილს ურჩია მისი შერთვა, თვით რევიც იქნა მიზიდული ეთერ-ქალის სათუთობით. ვაჩეს სასახლეს ჰპატრონობდა თუთას ასული და თავის მშობლებსაც არ იშორებდა. მცხეთელნი, შურით კი არა, ჩვეულებრივი წარმოდგენით, ვერ შეჰრიგებოდნენ იმ ამბავს, რომ მცხეთელის მცირე მოქალაქის ნატამალს დიდგვარიანის ძველთა მეფეთა ორთა შტოთა ნატამალის თანამეცხედრეობა ერგო წილად. ეთერს კი სრულიად არ აფიქრებდა ეს ამბავი. უხერხულად არ მიაჩნდა დიდგვარიანთა რძლობა. ქალს ჩასწვდომოდა გულის სიღრმეში იადხმობილი და აზრადაც არ გაუვლია მისი დავიწყება. ყოველ კვირა დღეს გაიყოლებდა მცველებად მირანდუხტის ნამკურნალევ ნამეკობრალებს და მიდიოდა შიო მღვიმელის სავანეში, თავის ზრუნვას არ აკლებდა დედოფლისა და მისი ბიძაშვილის სამარეთ. დავით მეფეს ეს ამბავი გულს უხარებდა, როცა ესმოდა, და ხშირად იმეორებდა.

„მე აფხაზთა და ქართველთა მეფემ, ახლა კიდეც ხალხის თვალში დიდ ადამიანად ასახულმა, ჩემ შესაფერისად ნაათალიც ვერ გავაკეთე დედიჩემისა და მის ბიძის ძის მოსაგონებლად. ეს მისი რძალი, სუსტი რძალი, ყველას გვჯობნის თავის მეუღლის მამიდისა და ბიძის მოგონებაში“.

მეფე ელოდა დღეებს, როცა დედას და მის ბიძაშვილს გადაადგამდა ეკვდერს საკუთრივ. ეს დღენიც დადგნენ.

— არიშიანის იფრინდია, მეფეო! — შემოუტანა ამბავი ბასამ დავითს. ზემო დიდგორთან მყოფს საზაფხულოდ.

— შემოიყვანე. — ბრძანა დავითმა.

ბასამ იფრინდი წარუყენა მეფეს.

იფრინდმა თაყვანი სცა.

— დიდო მეფეო, მეფეთ მეფეო, — მიმართა დავითს აღფრთოვანებით. — შეიპყრეს ჰერთა დიდებულთა არიშიანმან და ბარამმა, და დედის ძმამან მისმან ქავთარ ბარამის ძემან კახთ მეფედ ხსენებული აღსართანი და გთხოვეს კახთ-ჰერეთის პატრონობა.

— მერმე? სადაა აღსართანი? — ჰკითხა დავითმა ამბის მომტანს.

ეს იმას ნიშნავდა, რომ აღსართანი შეპყრობილია, რატომ აქ არ მომგვარესო.

— დიდო მეფეო, მეფეთ მეფეო, მცხეთას მოგგვრიან. ასე მიბრძანეს, — მოახსენა დავითს იფრინდმა.

დავითმა ბრძანა მცხეთას წასვლა. ბანაკი მისი აიშალა. მეფეს გარს შემოეხვივნენ რევი რევიანი, სხვანი დედის ამალისანი, ხნით გამობრძნედილნი, და დიდგვარიანნი, ახლა მის გვერდში ამომდგარნი. ყველას ყურადღებას იპყრობდა თვალში გულადაური, დავითს ფხოველი ქალის ცხენზე ჯდომა დედის ცხენზე ჯდომას მოაგონებდა. ერთი ეს იყო, რომ თვალშას ტანნაკეთულობა უფრო ვაჟურ იერს გამოსცემდა.

— ვინაა ეს ქალი, მეომრის იერი რომ დასცემს ასრე, ჩვენო მბრძანებელო? — შეეკითხა დავითს მისი მოძღვარი.

— მეომარია და მეომრის იერიც იმიტომ დასცემს, — უპასუხა ღიმილით დავითმა შემკითხველს.

მაინც? — იკითხა მოძღვარმა და თან დასძინა: — მართლაც რომ მართებულია, ჩვენი ხალხის ასულნი მეომრობასაც ეწეოდნენ.

მოძღვარმა მეფეს მოწიწებით თვალი მიაპყრო. პასუხს ელოდა.

— მეუღლეა ბასილ ფერისიანის, ჩემი ყმადნაფიცის, და ასული ფხოველი მგოსნის, გულადად სახელწოდებულისა. გარდამეცვალა დედაჩემი და მგოსანმა ჩანგი გადატეხა, უიადხმობილოდ ეელარ ვიარსებებო, თქვა და ასულიც თვალშა ჩემ ყმადნაფიცს მეუღლედ დაულოცა. უყვარდა მგოსანს ბასილ ფერისიანიც. მერმე გაქრა მგოსანი: აღარავის აღარ გვინახავს.

— მაშ ფხოველია ეს ქალი, — თქვა მოძღვარმა, ნაამბობით გაოცებულმა და დიდგორზე გაგონილი, ვინმე მწყემსისაგან შემთხვევით ფანდურზე ღამღერებული, ერთი ლექსი გაიხსენა, და მეფეს გაუმეორა:

ვაჰმე, ვაჰმე, ჩემო თავო!
ჩემო მეშვილდოსნობავო!
ფხოველის ქალი გამომიდგა,
ჩამარბინა ხეობაო.

— მაშ მართალი ყოფილა ეს, ვინმე მეფანდურისაგან ჩემი მოსმენილი, — დასძინა ხალხურ თქმას მოძღვარმა.

მეფეს გაეცინა: გაახსენდა თვალშას ბრძოლა, წარბშეუხრელი.

— რომელია, მბრძანებელო, მაგის მეუღლე, ეს ბასილ ფერისიანი? — იკითხა მოძღვარმა, დავითის მითითებით თვალი შეავლო ბასას, და წაილაპარაკა. — ჰოო! მაგას ვერ ჩაარბენინებს ხეობას ვერც ფხოველის ქალი და ვერც ვაჟკაცი რომელიმე.

— მაინც? — იკითხა მოძღვარმა და თან დასძინა: — მართლაც რომ მართებულია, ჩვენი ხალხის ასულნი მეომრობასაც ეწეოდნენ.

მეფემ კიდევ გაიცნა. ესიამოვნა, ბასაზე რომ ეს თქვა მოძღვარმა. სამართლიანად მიიჩნია. ბასა ხომ თავგადაკლული იყო მისთვის და ყველა მისიანისთვის: მირანდუხტის საფლავზე თავს იკლავდა, რომ გურსის ხელი არ შეეშალა.

— მირანდუხტ დედოფალს, ალბათ, სხვანიც მაგისთანანი ეყოლებოდა!

— მართალსა ბრძანებ! — დაუმოწმა დავითმა მოძღვარს. — ვინც შემრჩნენ დედიჩემისანი, ყველანი ბუმბერაზნი არიან, მერმე ჭკუის სავანენი, გამობრძმედილნი მტრებთან და ცხოვრების ბრძოლაში, თავდადებულნი ჩემთვის. აი ჩემი ბიძაშვილი, დედიჩემის ძმისწული, — მეფემ მოძღვარს თავის გვერდით მომავალ ზარადჩამოფარებულ ვაჟკაცზე მიუთითა: რევი იყო ეს ვაჟკაცი, — აგერ, კიდევ სამნი! — მეფემ მოძღვარს დაჩი და არჩვიაძენი დაანახვა.

— მეფეო, ნუ მიწყენ! — უთხრა მოძღვარმა დავითს, — უნდა მოგახსენო, რომ არც ერთი მათგანი ბუმბერაზული ტანშედგმულობით, მეტადრე ესა, — მოძღვარმა რევიზე მიუთითა, — არ ჩამოგივარდება.

— გიორგი მოძღვარო, ეგ ვაჟკაცი ვახტანგ გორგასლის ნატამალია! — მიუგო დავითმა და თან დასძინა ამაყად: — მეც სასანიანთა გვარისაგან მომდგამს ბუმბერაზული ტანადობა. მეც, ბაგრატიანი, სასანიანი ვარ, დიდთა და ხოსროიანთა მეფეთა ნატამალი.

გიორგად წოდებული მოძღვარი ათონიდან მოვლენოდა აფხაზეთს.

მარტვილის მონასტერში დაბინავებული ნახა მეფემ, მოიწონა მისი დიდი განათლების იერის გამომცემი გონიერი ლაპარაკი, მოისურვა მოძღვრად ყოლა. და აისრულა სურვილი.

ძალიან მოკლე ხანს გაეცლო, რაც მეფეს გვერდში ამოეყენებინა ათონში გაწაფული ადამიანი. გიორგიმ ჯერ კიდევ ბევრი რამ არა იცოდა რა დავითისა. თანდათანობით იშლებოდა მის თვალწინ გვირგვინოსანის ამბავი, შინაური და გარეული. დადგა ხანი, როცა დავითი გიორგი მოძღვარს ლაშქრობაშიაც არ იშორებდა და ბევრს რამეს მოუთხრობდა ხოლმე თვითონვე თავის თავზე. დღესაც, მცხეთისაკენ წარმართული სპანით ამცნობდა შეკითხვების მომცემს, თუ რა მახლობელი ხალხი დაუტოვა თავისმა დედამ. გიორგიმ, როცა მოძღვრობა იკისრა, ბევრი რამ თითქოს ზღაპრული ნათხრობი გაიგონა მირანდუხტ დედოფალზე და საეჭვოდ მიიჩნია. დღეს მეფის ცნობებმა სხვა აფიქრებინა მოძღვარს.

„აი, მეფის დედას ასეთი ხალხი ჰყოლია გარს შემოკრებილი! – გაიელო გულში გიორგიმ. – თავდადებულნი ყოფილან ყველანი ქალთუფლისათვის და თავდადებულნი არიან მის შვილისათვის. ქალთუფალს შვილი პირდაპირ ბრძნად უქცევია. დედამ მასწავლა ყველაფერიო, თვითონ მეუბნება დავით მეფე. საიდან ჰქონდა ასეთი ცოდნა ქალს და ასეთი უნარი შვილის გაზრდისა. მეფეს ისე ჰყვარებია, ჰყვარებია კი არა, ახლაც უყვარს მიცვალებული, მიწაში მდებარე! მიწისაგან ჩაყლაპულს ხომ მალე ივიწყებს ადამიანი. მეფე კი, აი წლებს გაუცლია, დედაზე ისე ლაპარაკობს, როგორც ცოცხალზე, დედის გვარეულობით მოაქვს თავი“, – მოძღვარმა გაიხსენა მეფის ნათქვამი: მე ბაგრატიანი, სასანიანი ვარ, დიდთა და ხოსროიანთა ნატამალიო, და ხმამაღლა გაიმეორა უნებლიეთ თავისთვის.

– არამც თუ დიდთა და ხოსროიანთა მეფეთა ნატამალი! – უთხრა მეფემ მოძღვარს. – ბრწყინვალეთა მათ და ძლიერთა მეფეთა არსაკიანთა ნატამალიც ვარ.

– ეგ კი ვიცი მბრძანებელო! დიდედა შენი მამისა ხომ სენექერიმ არშაკუნიანის ქალი იყო. კონსტანტინეს ქალაქში მინახავს, – მოახსენა დავითს მოძღვარმა.

დავითმა გაიღიმა.

— არა, მე ვარ ქართველი არსაკიანთა ნატამალი დედაჩემისაგან, — უბნო მოძღვარს მეფემ. — ჩემი დედის პაპა და დედაჩემის დედის მამა დიადი ტაძრის სვეტიცხოვლის ამგები დიდი ხუროთმოძღვარი ვაჩე არსაკის ძე გახლდა.

გიორგი მოძღვარმა თვალები გააფართოვა. როგორ არ იცოდა, ვინ იყო ვაჩე ხუროთმოძღვარი? იქ, ათონზე, მოსული ქართველები, სვეტიცხოვლის სიდიადეს რომ ახსენებდნენ, ვაჩე ხუროთმოძღვარს ქებათა-ქებას ასხამდნენ სულმუდამ. მცხეთას ახლა პირველად მოყვებოდა მეფეს გიორგი მოძღვარი და გულში ხარობდა, რომ ნახავდა ვაჩე არსაკიძის ნაგებ ქებულ ტაძარს. დავით მეფე კიდევ ვაჩე არსაკიძისა და სასანიანთა გვარს დაუბრუნდა.

„გვარი ნიადაგია, — გაივლო გულში მეფემ. — თუ ნიადაგი ნოყიერია, ღონიერ მცენარეს აღმოაცენებს. — მეფემ გონების თვალი გადაავლო ორი დიდი გვარის არსებობის მანძილს და თვითეულ გვარში ნახა ღონიერი მცენარის მომცემი სინოყივრე. — თუ გვარი ნიადაგია, გამოფიტვაც მოსდგამს, იღლება, მწირდება. ნოყიერი ნიადაგი მცირე გვარშიაც მოიპოვება, ჩანს. ჩემგან გადიდკაცებულნი ფერისიანნი და არჩვიაძენი, მცირე გვარისანი, მაგრამ ნოყიერი ნიადაგისანი არიან. ნოყიერი ნიადაგისა იყო ფხოველი მგოსანიც, რომელიც ვნანობ, ერთხელ ვნახე სრულწლოვანმა. ეს ბევრს დიდგვარიანს შეარცხვენდა. აჰა, დიდგვარიანი აღსართანი! ჩანს, გამოფიტულ ნიადაგზე აღმოცენებულა... სასანიანთა გვარს ეკუთვნის მირიანი, ვახტანგი და წმინდა არჩილი. ბაგრატიონთა გვარს ეკუთვნის დავით დიდი. კურაპალატი, პაპაჩემის პაპა ბაგრატი დიდი კურაპალატი. არსაკიანთა გვარს ეკუთვნის მირიანი, ვახტანგი და წმინდა არჩილი. ბაგრატთა გვარს ეკუთვნის უკანასკნელი არსაკიძე, ვაჩე ხუროთმოძღვარი არსაკიანთა გვარს ამშვენებდა. ამ სამი გვარის გმირთაგან დროთა გარკვეულ გზაზე დიდნი მეფენი უნდა გაჩნდნენ. მეც ვკვერავ გზას, რომ ჩვენ მომავალთ სიძნელის გადალახვა გაუადვილდეთ. სადმე თუ წამაჩოქებს განგების განჩინება, დაე წამაჩოქოს, წამოჩოქებამდე კი გზის გაკვერვას მომავლისათვის მე არ დავაგდებ“.

მეფე ფიქრობდა და ამ ფიქრისას სპათა დენას წინ მიუძღოდა. დიდგორითგან საღამოს ჟამს გამოსულ გვირგვინოსანს განთიადი დიღმურას სათავეებთან წამოეგება და მოესურვა სპათა მცირე რიცხვით დიღმის

ველებზე გათარეშება. აქ თურქებს ხანდახან ცხენთა რემა გამოჰყავდათ საძოვარზე, თუკი იცოდნენ, რომ მოუსვენარი ქართველთა მეფე შორეულ მხარეს იმყოფებოდა. დავითმა გამოყო ასეული, სპათა დანარჩენი რევი რევიანს გადააბარა, უბრძანა ქვემო დიდგორის დასავლეთით გაეყვანა და არმაზით დედაქალაქს მცხეთას სწვეოდა. თვითონ კი მეფე ასეულითურთ დიღმურას დაჰყვა, ნენავით დიდ ვარცლის ღელეში მოექცა, შეუმჩნევლად ჯანყუფეს ჩავიდა, ტფილისით მონადენ გზაზე სწრაფად გაჩნდა, ჩრდილოეთისაკენ მოტრიალდა, დიღმურა გასტობა და თრელიგორეებს ამოეფარა, აქედან მოულოდნელად გაჩნდა დიღმის ველებზე და მძოვარ რემას ასეულითურთ მიეტია. თან ახლდნენ მეფეს ფერისიანი, არჩვიაძენი. ბასას თან სდევდა მეულლე გულადაური თვალშა.

თურქთა ცხენები სპათათვის სჭირდებოდა მეფეს. ცხენების გამრავლება მხედრებს უმრავლებდა.

მწყემსნი შეებრძოლნენ შემომტევთ, მაგრამ რას გახდებოდნენ დავითის ასეულთან. ყველანი შეიპყრეს დავითისიანებმა. ცხენებს თავი მოუყარეს და მცხეთის გზისაკენ უბრუნეს პირი. თითქოს უზარალოდ ჩაუვარდა დავითს ყველაფერი ხელში. დავითი კი სულ სხვას ფიქრობდა. მისი მოქმედება სულ სხვა რამეზე მიუთითებდა. მეფე და სხვა მის ახლოს მდგომნიც ასკვნიდნენ, რომ გატაცებულ ცხენთა რემას თურქთა მდევარი გამოეკიდებოდა მზირად ჩასაფრებული დიღმის ველთა მზღუდავი მტკვრის არემარეზე და ეს სიფხიზლესა და სიფრთხილეს მოითხოვდა. მეფემ გულადაურის მეთაურობით ოც კაცს ცხენთ რემა წინ გაარეკინა, რომ უზარალოდ და დაუქსაქსავად მცხეთას მიეყვანათ, ორმოც კაცს დასავლეთით უნდა გადაეჭრა დიღმის ველები დაჩისა და თვალისის ხელმძღვანელობით, ორმოც კაცს კიდევ მეფის ხელმძღვანელობით — აღმოსავლეთით. მეფის ვარაუდით მზირი მდევარი ან ალტოს ხევში იქნებოდა ჩამალული, ან მტკვრის მაღალ ნაპირებს ამოფარებული, ან ორივე ადგილას — რაიმე ხელსაყრელის მოლოდინში. მეფემ კარგად იცოდა, რომ ის მდევარნი არ იყვნენ დანიშნულებით მდევარნი, იყვნენ თურქთა მოთარეშენი ტფილისიდან საგანგებოდ ხალხის საძარცვავად მაღვით გამოსულნი. იმედი ჰქონდა მეფეს, რომ თურქთა ზედმეტი ულეტის საბაბი მიეცემოდა. მტრის მუსერის შემთხვევას, სანამ მტერი ძლიერი იყო, დავითი საჭიროდ სთვლიდა ყოველთვის მტრის ძლიერების

მოსასპობად. მეფეს იმედი არ გაუცრუვდა: თრელეების დასწვრივ მტკვრის მაღალ ნაპირებთან ასეული თურქი ამოიჭრა და ქართველებს გამოელეენა. დავითმა თავის ორმოცეულით პირი იბრუნა თურქებისაკენ. თან ახლდნენ დავითს ორმოცეულში ბასა და ამირანი. ქართველთა ორმოცეული თურქებისაკენ გაექანა. თურქებმა მშვილდები მოიმარჯვეს, მოიწადინეს ქართველთა ორმოცეულის შორიდან დაზიანება. ისრების სროლა ვერ მოასწრეს. ქართველთ ელვის სისწრაფით შეამოკლეს გზა თურქებამდე, მათ ასეულის გულის გულში ამოყვეს თავი და ასტეხეს ორომტრიალი. თურქებმა უსწორმასწოროდ იწყეს ბრძოლა და ძაინც თავის რიცხვით ხიფათს უქადნენ ქართველობას. მეფემ ბრძოლით ამირანსა და ბასას ნინოწმიდელი გაახსენა, ვინ იცის, რამდენჯერ უფრენია რევყოფილსო, გაივლეს გულში ფერისიანმა და არჩვიაძემ, ფადლონისეული ასეულიო. მეფეს ბასა მისდევდა ფეხდაფეხ. თვალსწრაფი და თვალმახვილი, ხანშიშესულიც გააფთრებული ეცემოდა ხოლმე მეფეზე ზურგიდან იერიშით მოსულ მტერს. ბასას მახვილი გაუტყდა და ბერასეული კომბალი დაატრიალა.

— აბა! ბერა ძიავ, შენ მოსაგონებლად იყოს ეს! — წამოიძახა ბასამ და მტერს დასჭყივლა.

საშინელებად მოევლინათ ეს კომბლის ტრიალი. თითოეულ მის შემოქნევაზე თითო თურქი აუცილებლად მიემართებოდა სულეთისაკენ. თურქნი იძლივნენ და მოისრნენ საკმარისი რიცხვით. ნადავლი ბევრი ჩაუვარდათ ქართლოსიანებს, მაგრამ მეფეს მძიმედ დაჭრილი ბასა შერჩა ხელში.

— მთელ ნადავლს მივცემ, მთელ ნადავლ'ს, ქვეყნის მთელ კუთხეს, რომ მომირჩინოს ეს ვაჟკაცი, — წამოიძახა დავითმა და ბრძანა საკაცის შეკვრა ბასასთვის.

მცხეთას ფერისი უმცროსი ნატამალი მირანდუხტის მხართოთახში მოათავსეს.

დაჭრილს თვალშა თავს დაადგა, გული უტიროდა და არ ტიროდა.

„მეუღლეს ჩემსას გულს დაეუმძიმებ ჩემი ჭმუნვით და ვაითუ სიცოცხლე მოვუსწრაფო!“ — ფიქრობდა ქალი.

მეფემ ბერი არსენი გურსყოფილი შიოს სავანიდან გამოიწვია. მისი უნარი მკურნალობისა გაიხსენა.

— მომირჩინე, მოძღვარო საყვარელო, ეს საყვარელი შენთვისაც და ჩემთვისაც ვაჟკაცი ფერისიანი.

არსენ ბერს, გურსყოფლის, ცრემლები გადმოსცვივდა, დაჭრილი თვალებმილულული ბასა რომ დაინახა, უყვარდა ეს ვაჟკაცი.

„ეს არ იყო, რომ ერთ დროს თავის თვალთა სიმახვილით, თავის მშვილდოსნობით სიკვდილი მომაშორა სასანიანთა მოშურნის ხელისაგან, გულთფარის ძისაგან? — გაიელო გულში გურსყოფილმა. — ეს არ იყო, რომ თაესა სდებდა ჩემი გვარისათვის?“

— მთელ ღონეს შევალევ, რომ დავაბრუნო სულეთის გზიდან! — მოახსენა გურსყოფილმა ხმამაღლა მეფეს.

ჭრილობა გაუსინჯა ბასას, უიმედობა იგრძნო და მაინც მოჰკიდა ხელი მკურნალობას.

— გურს, გურს! — მიმართა დაჭრილმა არსენ ბერს. — ამაო იქნება შენი გარჯა. წასულია ჩემი საქმე. განგების განჩინებას ნუ ელობები!

სპათა ბანაკიდან დაბრუნებული რევი რევიანი შემოვიდა ოთახში მეფესთან. ახალი ამბით მოსულიყო. რომ დაინახა მძიმედ დაჭრილი ბასა, სახე მოეღუშა და ობლობა იგრძნო. მამისა და მამიდის ერთგულ ხალხიდან ყველაზე საყვარელი ბასა იყო მისთვის. მაგრამ რევი არ გამოლაპარაკებია ბასას. რევიანმა მეფეს მიმართა.

— მეფეთა მეფეო, „არიშიანმა და ბარამმან, და დედის ძმამა მისმან ქაუთარ-ბარამის ძემან“ აღსართანი მოგგვარეს!

— დარჩი, რევი, აქ, ბასილთან! — უბნო დავითმა ბიძაშვილს.

— კიდევ ამბავი, მეფეთ მეფეო! — დასძინა თავის წინანათქვამს რევიმ. — გამოტაცებულ აღსართანს თურქნი და მრავალნი კახნი თურქთა მხარეს გადასულნი დასდევნებიან, ხელში ჩაგდება ვერ მოუსწრიათ, მაგრამ ერწოს მხრიდან შემოსევას აპირებენ თურმე ქართლში.

დავითმა თვალი შეავლო დაჩისა და არჩვიაძეთ, რაც უდრიდა თქმას, თქვენ გამომყევითო, რევის კი უბრძანა.

— ბასილთან დარჩი, ბიძაშვილო, ბასილთან.

მაგრამ დავითის ეს სიტყვები უფრო თხოვნის იერს გამოსცემდნენ და არა ბრძანებას.

ბასამ გაიგონა მეფის ნათქვამი.

— მეფეთა მეფეო! — წამოილაპარაკა დაჭრილმა მისუსტებული

ხმით. — რევიც გაიყოლე, რევიც! ნუ დაიკლებ ერთგულ ყმათ ბრძოლის განსაცდელში ჩემი გულისათვის. მხოლოდ, რევი, — უბნო ფერისის ნატამალმა ბაქარის ძეს. — ერთ წუთს გადმოხარე თავი ჩემსკენ. ჰო, ეგრე! — ბასამ ხელი გადაუსვა რევის თავზე და ალერსით წაილაპარაკა. — ჩემი პატარა რევი, ჩემი პატარა რევი!... — და ამ სიტყვებს დასძინა. — მეტი აღარაფერი მინდა, აღარაფერი. გაჰყევი ახლა მეფეს, გაჰყევი!

რევიმ თხოვნა აუსრულა ბასას, შუბლზე აკოცა და ისე გაჰყვა მეფეს. მეფესაც აღარა უთქვამს რა.

დავითი სწრაფად გავიდა გარეთ თავისი თანმხლებლებით სტუმრების სანახავად. მეფეთ მეფემ მადლობა უთხრა თავის ახლად მხართამომდგარ დიდგვარიანებს. მერმე გამოყო ერთი ასეული სპათაგან, უფროსად ამირან არჩვიაძე დაუნიშნა და ამ ასეულის თანხლებით აღსართანი ლიხთ იქით ქვეყანაში გაგზავნა. თვითონ კი თავისი მცირე ლაშქრით საღამოს ჟამს დაიძრა მცხეთიდან, არაგვი გასტოპა, გაიარა წიწამური, ბიწმენდი და ახატანი, გადალახა ქართლისაგან ერწოს გამმიჯვნელი მთა და მოულოდნელად თავს დაესხა სულთანისა და განძის ათაბაგის ურიცხვ სპათ, მათ მხარეს გადასულთ კახთა და თავზარი დასცა ქართლის აკლების მოსურნეთ. მტრის ბანაკი აირია. მეფე ლაშქარს თვითონ მიუძღოდა წინ, როგორც საერთოდ სჩვეოდა და არა მხოლოდ ბრძანებებს სცემდა ლაშქრის სამოქმედოდ. „ვითა ლომი შეუზახებდა ჰხმითა მაღლითა“, და „თვით გოლიათებრ მიმართებდა და მკლავითა მტკიცითა დაამხობდა ახოვანთა. სვრიდა და დასცემდა წინა დამთხვეულთა“. მეფეს მხარს უმაგრებდნენ რევი რევიანი, ბრძოლაში მოკისკასე და ბასას უბედობით განრისხებული, დაჩი მძვინვარე და თვალის არჩვიაძე, გაშმაგებული.

„ამ დღესა სამნი ცხენნი გამოუკლნეს მეფესა და მეოთხესაღა ზედა მჯდომმან სრულ ყო მის დღისა ომი“.

მტერი დამარცხდა. მეფეს დარჩა აურაცხელი სიმდიდრე მტრისა. გამარჯვებულებს ერწოში გაუთენდათ და შუადღის უკან მცხეთა კიდეც ეგებებოდა სიხარულით.

ბასაც დახვდა მეფეთა მეფეს სიხარულით, თუმცა უკანასკნელ წუთებში იმყოფებოდა.

— მეფეთა მეფეო, მინდა მარჯვენა გადაგიკოცნო! მეფეთა მეფეო, ნუ დამაკლებ ამ ბედნიერებას! — შეემუდარა მომაკვდავი დავითს.

თუ ბასამ მარჯვენა ხელი გადუკოცნა, მეფემ მას შუბლსა და მკერდზე აკოცა და მომაკვდავმა ბასამ ნეტარება განიცადა მთელი არსებით.

— ოოჰ, არსენ მოძღვარო, დამიბრუნე ვაჟკაცი! — შეღაღადა დავითმა გურსყოფილს. — მაკლდებიან საუკეთესონი და ვაი, თუ მწირ დაჯრეჭ!

გურსყოფილმა უმწეოდ ხელები გაასავსავა.

ბასამ კი, უკანასკნელ წუთამდე ყურმახვილმა, დავითის სიტყვები გაიგონა და სისუსტისაგან მილულულნი თვალნი ძალდატანებით აახილა.

— მეფეთა მეფეო, გული ნუ გწყდება! — მიმართა დავითს ფერისის უმცროსმა ნატამალმა. — გრჩება გურსყოფილი, არსენ მოძღვარი, რევი რევიანი, მოკისკასე მხედარი, ღირსეული შვილიშვილი თავის პაპისა და რევისა, შვილი ღირსეული თავის მამისა, ბაქარისა და ღირსეული დისწული ვარაზ-ბაკურისა. ჩემი ძმა დაჩი დაუფიქრებლად ცეცხლში გადავარდება შენი გულისთვის, ძმანი არჩეიძენი, ზღაპრული ამირანის ტოლი ამირანი, და თვალისი ჩემი პატრონის რევყოფილის, შენი პაპის, უებრო მეომარის, გრიგალად ცნობილის გამობრძმედილი. ძველნი თუ მივდივართ, დიდო მეფეო, ახალნი მოიბრძვიან შენკენ სიყვარულით. აი ხომ არის შენთან მოსული და შენთვის ერთგულობს განსწავლული ბერი, მოძღვარი. შენთან მოვიდნენ გუშინ და შემოგცქერიან სიყვარულით არიშიანი და ბარამ და ამის დედის ძმისწული ქაეთარ ბარამის ძე. დიდო მეფეო, ჩვენი ქვეყნის მზევ და ბრწყინვალებავ, შენ გარშემო თავს მოიყრიან რჩეულნი შვილნი ჩვენი ქვეყნისა. ეი! თვალშავ, — მიმართა ბასამ მეუღლეს, — ჩამოვიყვანე დედაშენი მოხუცებული, ჩვენი სამეული: ბერა, ფერისი და გულადი აქ მცხეთას და წინათ ვაჩესი და ახლა ჩემი საყვარელი პატრონის ძმის რევი რევიანის სასახლეში. დაბინავდით ერთ რომელიმე კუთხეში და აქ დაზარდე მეფეთა მეფის ერთგულებაში. რევი რევიანი, ეიცი, არ იუარებს ჩვენი ნატამლების აქ დაზრდას. მოდი, გამოგეთხოვო.

თვალშა მუხლებზე დაეცა მეუღლის სარეცელთან და ცრემლთა ღვრით შეჰფიცა.

— პირობას ვდებ, ჩვენი შვილებიც დავუზარდო მეფეთა მეფეს ერთგულებაში და მე თვითონ.ც თავი შევწირო.

— დაე მალე მეც გამოგყვე უკან, თუ შენ შვილებს არ ეუპატრონო! — ჩასძახა რევიმ მომაკვდავს.

— მჯერა, რომ უპატრონებ! — წამოიძახა ბასამ და დადუმდა სამუდამოდ.

— არსენ მოძღვარო, შიოს სავანეში დაეასაფლაყოთ! — განუცხადა თავისი სურვილი დავითმა გურსყოფილს. — დედიჩემის მეორე გვერდით დაე აღიმართოს ამის ბორცვიც.

მეორე დღეს ბასა მიაბარეს ცივ სამარეს მისთვის ნ.)ფისაგან გაწესებულ ადგილას.

— აქ სამი ბორცვია ახლა! — განუცხადა დავითმა ბასას დასაფლავების დამსწრეთ და მიუთითა მირანდუხტის, არჩილისა და ბასას ერთად გამწკრივებულ სამარეებზე. — აქ გმირთა მეორე სამეულია თქვენ თვალწინ, სამგორის გმირთა სამეულის მერმე. მოძღვარო არსენ, ეფიცავ ზეციერს, ეს სამეული იმ გმირთა სამეულის დარი არის, სამგორის ველზე ძეგლად რომ გორთ სამეული ზედ გადაედგათ. ამ სამეულს, შიოს სავანეს დაბინავებულს, გორთა ნაცვლად სხვა ძეგლს დავადგამ.

მეფეთა მეფემ აღასრულა თავისი სურვილი. ერწოს ბრძოლაში მოპოვებული სიმდიდრით, არსენ ბერის ხელმძვანელობით, მოკლე ხანს, დედის, არჩილის და ბასას საფლავთ „ადგილსა ყოვლად შეუნიერსა და ყოვლითურთ უნაკლულოსა“ მდებარეთა, გარდააკარვა ტაძარი ყოვლად წმიდისა, აგე/ული ტაძარი აღავსო წმიდანთა ნაწილებითა, წმიდანთა ხატებითა. და აქვე „დასხნა დიდთა და ხოსროიანთა მეფეთა ტახტნი“, ტახტი იმ ხოსროიანთა, რომელთა მოდგმად თვითონაც თავის თავს რაცხდა და ამაყობდა ამ თავის მოდგმით.

სარჩევი

წიგნი პირველი - 11
წიგნი მეორე - 89
წიგნი მესამე - 220
წიგნი მეოთხე- -411
წიგნი მეხუთე- 559
ეპილოგი - 649
გმირთა მეორე სამეული - 675